საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

მონოგრაფიების სერიიდან

გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები

https://doi.org/10.36073/978-9941-28-963-7

საგამომცემლო სახლი
„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

მონოგრაფიების სერიიდან

გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები

https://doi.org/10.36073/978-9941-28-963-7

თბილისი
2023

გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები

VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

გურგენიძე დავით - სტუ-ის რექტორი, აკადემიკოსი (თავმჯდომარე);
კლიმიაშვილი ლევან - სტუ-ის ვიცე-რექტორი;
კოპალიანი კარლო - სტუ-ის კანცლერი;
გასიტაშვილი ზურაბ - სტუ-ის რექტორის მოადგილე;
გახოკიძე ჯემალ - სტუ-ის სპიკერი;
ქუთათელაძე რუსუდან - ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი.

კონფერენციის სარედაქციო საბჭო:

ქუთათელაძე რუსუდან - ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
ბარათაშვილი ევგენი - პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
აბრალავა ანზორ - პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
იაშვილი გენადი - პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ბერიაშვილი მამუკა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
კოჭლამაზაშვილი ლელა - პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
გრიგალაშვილი ლევან - პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ბურდიაშვილი რატი - პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
სულაშვილი გიორგი - ასოც. პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
სოფრომაძე ზაზა - ასოც. პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ყურაშვილი გუგული - პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ჩიკვილაძე ნინო - ასოც. პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
მეტრეველი მარინა - პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ოთინაშვილი რამაზ - პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ჰუტერი შტეფან - პროფესორი, დოქტორი, ზაარლანდის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი
ჰაუზერი ვილჰელმ - ზაარლანდის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი, სტუ-ის მოწვეული პროფესორი
ფეჰერვოლგუი ბიეტა - პანონიის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
ცუპონი ვიქტორია - პანონიის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორი
ლომანი გეორგ - მაგდენბურგის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი
ჰარცი მიხაელ - სენატორი, დოქტორი, ზაარლანდის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი

ჟურნალში წარმოდგენილი მასალები იბეჭდება ავტორისეული რედაქციით

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2023
ISBN 978-9941-28-963-7
http://www.gtu.ge

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.
წიგნში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი/ავტორები.
ავტორის/ავტორთა პოზიციას შეიძლება არ ემთხვეოდეს საგამომცემლო სახლის პოზიცია.

Verba volant,
scripta manent

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

FACULTY OF BUSINESS TECHNOLOGIES

FROM A SERIES OF MONOGRAPHS

GLOBALIZATION AND CURRENT CHALLENGES IN BUSINESS

https://doi.org/10.36073/978-9941-28-963-7

Tbilisi

2023

GLOBALIZATION AND CURRENT CHALLENGES IN BUSINESS

VII International Scientific Conference

Organisation Commitee of Conference:

Gurgenidze David- Rector of GTU, academic(chairman)
Klimiashvili Levan - Vice rector of GTU
Kopaliani Karlo – Chancellor of GTU
Gasitashvili Zurab - Deputy Rector of GTU
Gakhokidze Jemal - Speaker of GTU
Kutateladze Rusudan - Dean Faculty of Busines Technologies

Editorial board of Conference:

Kutateladze Rusudan – Professor at GTU, The faculty of Business Technologies
Kutateladze Rusudan - Dean of Faculty of Busines Technologies, Professor
Baratashvili Evgeni - Professor of Faculty of Business Technologies
Abralava Anzor - Professor of Faculty of Business Technologies
Iashvili Genadi - Professor of Faculty of Business Technologies
Beriashvili Mamuka – Professor at Georgian Technical University
Kochlamazashvili Lela – Professor at GTU, The faculty of Business Technologies
Grigalashvili Levan - Professor at GTU, The faculty of Business Technologies
Burdiashvili Rati - Professor at GTU, The faculty of Business Technologies
Sulashvili Giorgi - Associated Professor at GTU, The faculty of Business Technologies
Sopromadze Zaza - Associated Professor at GTU, The faculty of Business Technologies
Kurashvili Guguli - Professor at GTU, The faculty of Business Technologies
Chikviladze Nino - Associate Professor at GTU, The faculty of Business Technologies
Metreveli Marina - Professor at GTU, The faculty of Business Technologies
Otinashvili Ramaz - Professor at GTU, The faculty of Business Technologies
Hutter Stephen - Professor, Ph.D. Saarland University of Technology and Economics. Dean of the Faculty of Economics
Hauser Wilhelm - Professor at University of Technology and Economics in Saarbrücken
Fehérvölgyi Beáta – Professor at University of Pannonia, Hungary, Faculty of Business and Economics, Dean of Faculty
Csizmadiáné Czuppon Viktória – Professor at University of Pannonia, Hungary, Faculty of Business and Economics
Lohmann Georg – Professor, Dr, Em. University Magdeburg
Michael Hartz - Senator, Ph.D. Saarland University of Technology and Economics

The Presented materials are printed according to the authors original way

© Publishing House „Technical University“, 2023
ISBN 978-9941-28-963-7
http://www.gtu.ge
All rights reserved. No part of this publication may be reproduced (will this be a text, photo, illustration or otherwise) in any form or by any means (electronic or mechanical) without the prior written permission of publisher.
Piracy is punished according to the law.
Author(s) are responsible for the accuracy of all the facts provided in the book.
The position of author(s) might not be coinciding with the position of the Publishing House.

Verba volant,
scripta manent

შინაარსი

აბრალავა ანზორ, გოგეშვილი პაატა
სამშენებლო ფირმების კომპლექსური მმართველობითი ანალიზი 15

აივაზიშვილი თამთა
ღვინის ტურიზმის გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში კომპანია „დების ღვინის“ გამოცდილებით 20

არქანია მარია
გუნდებში პერსონალის გამოფიტვის შემცირებისა და მუშაობის ეფექტურობის ზრდა სწავლება-განვითარების გზით 24

ახალაია ნანა
საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების სტატუსის განსაზღვრის შესახებ (შიდა ქართლი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მაგალითზე) 28

ბარათაშვილი ევგენი, გეგეშიძე ანა
ტექნოლოგიების გადაცემის პროცესების თანამედროვე ტენდენციები ქართულ კონპანიებში, ენტროპიის გათვალისწინებით 32

ბარკალაია ბესიკ, აქიმიშვილი ნინო
ეროვნული პარკი - ტურისტული ობიექტი 35

ბაღათურია მარინა, ბერუაშვილი მანანა, მარტიაშვილი მაია
მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების გზები ქართულ რეალობაში 39

ბერიკაშვილი ლია, სააკიანი ჯემმა, თხინვალელი მარიამ
მარკეტინგის სისტემის ინოვაციური მიდგომების გამოყენება ელექტრონული კომერციის ზრდადი ტენდენციის პირობებში 43

ბერიძე ლიკა, ელგენდარაშვილი ცირა, ელგენდარაშვილი ნატალია
ადამიანური რესურსების შერჩევის არსი და მნიშვნელობა 47

ბიბლური ანი, ჩხარტიშვილი ნათია, ბუხნიკაშვილი ელენე
ციფრული ლარი - საქართველოს ეროვნული ბანკის ინოვაციური პროდუქტი 51

ბლიაძე მურმანი, ბლიაძე სოფიო, ჭელიძე ლიზი
ციფრული შესაძლებლობები და მისი ახალი სამყარო 55

ბლიაძე მურმან, შარაშიძე ლაშა, ბლიაძე სოფიო
საქართველოს პორტების ინვესტიციების ეკონომიკური სარგებლის შეფასება 59

გალახვარიძე ნაირა
გლობალიზაცია და ეთნოტურიზმი 63

გამსახურდია თამაზ
ეფექტური მენეჯმენტი - ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორი 68

გელიტაშვილი გოგა, აბუთიძე გოჩა, ჭელიძე მედეა
საბანკო საქმიანობის რეგულირების და ზედამხედველობის საერთაშორისო გამოცდილება 77

გვენეტაძე შორენა, ჯინჭარაძე ტრისტან
მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა და საგადასახადო პოლიტიკა 82

გემიაშვილი მეგი, ვანიშვილი მერაბ
საჯარო-კერძო პარტნიორობის როლი სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის რეალიზაციაში 86

გვეტაძე ნინო
გლობალიზაციის გავლენა სოციალურ პოლიტიკაზე 90

გრიგალაშვილ ლევან, ხოფერია ლაშა
შიდა აუდიტის ხელმძღვანელი, როგორც ლიდერი: ტრანსფორმაცია დროში და თანამდეროვე გამოწვევები 96

გიორგაშვილი ლამარა
მცხეთის კულტურული მემკვიდრეობა და საერთაშორისო ტურიზმი 100

გრიგალაშვილი ლევან, მარგიანი ჯილდა, გრიგალაშვილი ბიძინა
დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის აქტუალური საკითხები საბიუჯეტო ორგანიზაციებში 104

დავითიძე დავით, ცაავა გიორგი
კომერციული ბანკის აქტიური ოპერაციების კლასიფიკაცია, ხარისხი და შეფასება 110

დათაშვილი ლაშა-გიორგი, დათაშვილი მარიამ, თაბუკაშვილი თამთა
ონლაინ მარკეტინგი XXI საუკუნეში 114

დარჩაშვილი მანანა
რელიგიის თავისუფლების საკითხი პოსტსაბჭოთა საქართველოში.....119

დევიძე თამარი, ამყოლაძე გურამ
მარკეტინგი და თანამედროვე გამოწვევები 123

ვასაძე მანანა
ეთნოგასტრონომიული ტურიზმის მდგრადი განვითარების მარკეტინგული სტრატეგია 128

ზირაქაშვილი თამარ
ნაციონალური ერი და არატრადიციული ნაციონალიზმი 132

თოდაძე მურთაზ, ჯანხოთელი მირანდა ჭანტურია ნატალია
ეკომეგობრული ჯანდაცვის მენეჯმენტის ეკოსისტემური მიდგომის თანამედროვე გამოწვევები.....135

თოფჩიშვილი მარინე, ჩუთლაშვილი მარიამ, ჯაბადარი ლიზი
მერჩენდაიზინგის როლი საცალო ვაჭრობაში..... 140

თურმანიძე გიორგი
საქართველოს საფონდო ბირჟაზე არსებული მდგომარეობის ანალიზი 144

იაშვილი ირინე
პოლიტიკური მარკეტინგი და პროგნოზირება საქართველოში: პოლიტიკური მომხმარებლის კონცეფციის ფილოსოფია 149

ივანიშვილი ვანო, მიქელაშვილი მერაბ
სატრანსპორტო და საექსპედიტორო მომსახურების მართვის არსებული სისტემების შეფასება..... 154

კავთიძე ედუარდი, ლაგვილავა გიორგი
პერსონალის ეფექტური მართვის სხვადასხვა სტრატეგიები..... 158

კალანდია ლელა
ბიზნესის რეაბილიტაციის გამოწვევები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ ახალი კანონის მოქმედების ფონზე..... 162

კანდელაკი სალომე
რუსეთის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონში (საქართველოს მაგალითზე)..... 166

კარგაძე ნინო
კლინიკის ეკონომიკური მენეჯმენტის სრულყოფის საკითხები 169

კერესელიძე შალვა, კერესელიძე დავით, გელიაშვილი ნინო
ფორს-მაჟორულ სიტუაციებში ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნების შესახებ 173

კერესელიძე ლევან, კერესელიძე შალვა, ხვადაგიანი მარიკა
მრავალეროვნული კოლექტივის მართვის თანამედროვე გამოწვევები..... 177

კვირჭიშვილი ლია
ბედნიერების ინდექსის გავლენა ორგანიზაციის მართვის პროცესებზე 181

კოჭლამაზაშვილი ლელა, თოფჩიშვილი მარინე, პაქსაძე კობა
აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივები მაღალმთიან აჭარაში 185

კოღუაშვილი პაატა, ხალვაში ელდარ
სასურსათო უშიშროება – ეროვნული და რეგიონული გამოწვევები..... 189

კოჭლამაზაშვილი ლელა, თოფჩიშვილი მარინე, თევდორაშვილი გვანცა
საქართველოს ტურისტული პოტენციალი 194

კუჭავა ბექა
საქართველოსა და აზერბიჯანის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციები 197

კუჭავა მარიამ
დემოკრატიული სახელმწიფო მმართველობის საბაზისო პრინციპები 202

ლაზვიაშვილი ნინო, გეგენავა ზურაბ
ინოვაციური განვითარება, როგორც ქვეყნის ეკონომიკური წარმატების საფუძველი 207

ლობჯანიძე გელა
გაზიარების ეკონომიკის გლობალური ტენდენციები: მიღწევები, პროლემები და პერსპექტივები 212

მაისურაძე თემურ, ლომსაძე გიორგი
საქართველოში არსებული პერსპექტივები ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებისთვის 217

მალანია ელისაბედ, მალიაშვილი ნატო
სამედიცინო ტურიზმის პოპულარიზაცია საქართველოში 222

მამალაძე ირინე
შიდა კონტროლის სისტემის დანერგვისა და განვითარების პროცესები საქართველოში 226

მამფორია ნანი, აბრამიშვილი ნათია
ტურისტული ბაზარი და მისი ფორმირებები 231

მარგიანი ჯილდა, გრიგალაშვილი ბიძინა, გრიგალაშვილი ლევან
დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის აქტუალური საკითხები საბიუჯეტო ორგანიზაციებში 234

მაჭარაშვილი თამარ
სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მდგომარეობა კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით 2017-2022 წლებში 238

მეტრეველი მარინა, რამიშვილი ლამარა
გლობალიზაცია და ტურისტული მომსახურების დაჯავშნის გზები 242

მეტრეველი მარინა, ჯაფარიძე ოთარ
ეკოტურიზმის როლი საქართველოს ტურიზმის მდგრად განვითარებაში 247

მეტრეველი ლია, ჯაველიძე ნინო
ქოუჩინგი დამოუკიდებელი პროფესია 252

მიქელაშვილი მერაბ, ბარბაქაძე-პეტაშვილი ხათუნა
საგადასახადო მენეჯმენტში განხორციელებული ცვლილებები და მათი გავლენა ბიზნესზე 256

მშვილდაძე სოფია, გოგონაია ირინა, ლომაძე ინგა, ჩიკვილაძე ნინო
სასკოლო კულტურის განვითარება და მართვა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში: გამოწვევები და პერსპექტივები (მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ფარგლებში) 259

ნადარეიშვილი ნანა, რევია ნინო
სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ტურისტული პოტენციალი და განვითარების პერსპექტივები 266

ოთინაშვილი რამაზ, ელისაბედაშვილი ალექსანდრე, ბედინაშვილი ვარაზ
უსაფრთხო ბიზნესგარემოს ფორმირების მნიშვნელოვანი ასპექტები 271

ომანაძე ნინო, ლაგვილავა თამარ, სირაძე მაია
მოტივაციის მნიშვნელობა კრიზისის მენეჯმენტში 275

რობაქიძე მიხეილ, რობაქიძე მაყვალა, ჭანტურია ნატალია
სოციალურ- ეკონომიკური სისტემების შესწავლისა და კლასიფიკაციის ენტროპიულ- სინერგიული მიდგომა 278

როსტიაშვილი თამარ, ლეკიაშვილი თამარ
ბიზნეს პროცესების დღევანდელი გამოწვევების ანალიზი ხვალინდელი უკეთესობისთვის 282

სირაძე მაია, რამიშვილი ვარლამი, თელია კონსტანტინე
თანამედროვე უნარ-ჩვევები მენეჯმენტში 287

სულაშვილი მალხაზ, კუცია ირმა, ნეფარიძე ირინე
ციფრული ტრანსფორმაცია და თანამედროვე გამოწვევები 290

სულაშვილი გიორგი, ფოჩხიძე დარეჯან, გრიგალაშვილი ბიძინა
აუდიტორული საქმიანობის თეორიული ასპექტების ანალიზი 294

ტაბატაძე მარინა, თანდილაშვილი ანნა
ხელისუფლების ანტიკრიზისული სტრატეგია და ქვეყნის განვითარების პერსპექტივები 299

ტყეშელაშვილი გოდერძი, არჯევანიძე თამარი
საქართველოს რკინიგზაზე საკონტრეილერო ტექნოლოგიების შედარებითი ანალიზი 305

ფაილოძე ნინო, მურვანიძე ლაშა, ჯაფარიძე ირინე
კოვიდ 19-ით გამოწვეული კრიზისის შედარებითი ანალიზი ეკონომიკის ცალკეულ სფეროში საქართველოში .. 310

ფალიანი სოფიო
ორგანიზაციული გარაქმნების არსი: რაობა, გამომწვევი ფაქტორები და განხორციელების მოდელები 314

ფიფია ასმათ, აბრალავა თინათინ, ფოდიაშვილი ნინო
რისკის მართვა და სამართლებრივი რეგულირების საკითხები 318

ქაჯაია თამარ, ბალახაშვილი ჟანა, დუგლაძე ანდრო
ინოვაციური მენეჯმენტის თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები 324

ქაჯაია თამარ, ხარხელაური ხათუნა
ადგილობრივი შრომის ბაზარი და მისი გავლენა პროფესიულ განათლებაზე საქართველოში 328

ქაჯაია მანანა
იაკობ ფანცხავას წერილი გიორგი წერეთელს გარდაცვალებასთან დაკავშირებით 334

ქაჯაია თამარ, ჯავშანაშვილი გიგი
მოტივაციის გავლენა შრომის ეფექტიანობაზე 337

ქართველიშვილი ნიკოლოზ, სააკიანი ჯემმა, ადამაშვილი ნინო, ანტონინო გალატი
ვაშლის სიდრის განვითარების შესაძლებლობები: ტექნოლოგიური და მარკეტინგული ხედვა 342

ქერაშვილი ხათუნა
სიტუაციური ლიდერობის თეორია განათლების მენეჯმენტში 346

ქეშელაშვილი ომარ, ვანიშვილი მერაბ, კუტუბიძე შალვა
საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო სტრატეგიის პრიორიტეტები 350

ქინქლაძე რუსუდან, გულისაშვილი ნანა
პროდუქტის მარკეტინგის გამოყენება ტექნოლოგიურ კომპანიებში 354

ქუთათელაძე რუსუდან, ვეკუა ელზა
ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების მართვის კონცეფცია მომხმარებლებისა და დამკვეთების ინტერესების შეთანხმების საფუძველზე 362

ქუთათელაძე ალეკო, ტერჩანიანი სოს, მურადიანი შირაზ
საფინანსო-საბანკო სექტორის განვითარება ფინანსური გლობალიზაციის პირობებში 365

ქუთათელაძე რუსუდან, აბალოიძე მაია
სამედიცინო დაწესებულებების ენერგომოხმარების ტრენდის გამოსავლენად დროითი მწკრივების ანალიზის მეთოდის გამოყენება 369

ღამბაშიძე თამარ, ჩიკვილაძე თეა
შრომითი რესურსების კლასიფიკაცია ჯანდაცვაში და ადამიანური კაპიტალის ფორმირების მექანიზმი 374

ღურწკაია თათია, გოგოლაძე მაკა, ღურწკაია კარლო
ეკონომიკური გლობალიზაციის წინააღმდეგობრივი შედეგები 378

ყანდაშვილი თეიმურაზ, ფირანაშვილი მაკა, კალმახელიძე ლიკა, ქორიძე იგორი
ეკოტურიზმის განვითარების შესაძლებლობები ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში 381

ყურაშვილი თამილა
ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები ახლო აღმოსავლეთის საგარეო მსხვილ აქტორებთან 385

ყურაშვილი გუგული, ბერიძე თამარ, სოსელია მაია
კომპანიის შეფასება ადამიანური კაპიტალის პოტენციალისა და ინტელექტის ინდიკატორების მიხედვით 390

შენგელია ქეთევან
მწვანე ინოვაციის განვითარების მნიშვნელობა და უმაღლესი განათლების როლი ამ სფეროში 394

შუბითიძე ვაჟა
ნიკო ნიკოლაძე – ეროვნული იდეოლოგი და ინფორმატორი 398

ჩიკვილაძე ნინო, იაშვილი ირინე, ონეზაშვილი სოფი, ფალიანი სოფიო
სილამაზე და ესთეტიკა თანამედროვე საზოგადოებაში 403

ჩიქოვანი მიხეილ
საგანმანათლებლო დაწესებულების მარკეტინგული კომუნიკაციები 409

ცაავა გიორგი, ბურდიაშვილი რატი
საბანკო ლოჯისტიკა: პრობლემები და განვითარების პერსპექტივები 412

ჭოლიკიძე მაია
კლინიკურ ნევროლოგიაში დაავადებების დიაგნოზირებისთვის შემუშავებული ექსპერტული სისტემის ინტერფეისი 417

ხარაზი გიგა
ევროკავშირის წევრი ქვეყნების დაახლოება სატრანსპორტო კომუნიკაციების გზით 423

ხარხელაური ხათუნა, ხინიკაძე-გვარამია თამარ, ბიბიჩაძე დავით, ჯინჭველაშვილი ვახტანგ
პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით დანახარჯების აღრიცხვის სისტემის დანრგვა ქართულ კომპანიებში 427

ხინიკაძე-გვარამია თამარი, შამოევი ეთერი
შიდა აუდიტის როლი და ფუნქციები კომერციულ ბანკებში 433

ხოზრევანიძე ნოე, ქობლიანიძე თამარ, კოჭლამაზაშვილი ლელა
ტურიზმის მდგრადი განვითარების გამოწვევები და პერსპექტივები მთიან რეგიონეში 437

ჯაგოდნიშვილი ანა
სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისა და ევროკავშირის ურთიერთობების საკითხები 447

ჯიქია ანა
პროექტის მართვის სისტემურ ანალიზში ციფრული კომუნიკაციის ეფექტიანობის მახასიათებლები და სრულყოფილი ფუნქციონირების შესაძლებლობები 416

ჯოლია გურამ, აბრალავა ანზორ
ციფრული კლასტერის უპირატესობები თანამედროვე მენეჯმენტში 455

ჯორბენაძე ზურაბ, ზავრაშვილი ნინო
ჯანდაცვის სფეროს ციფრული ტრანსფორმაცია და განვითარების ალგორითმი 460

ჯოხაძე ილონა
ორგანიზაციული ცვლილებების მენეჯმენტი 464

ჰასრათოვი თეა
ციფრული ტრანსფორმაცია და მისი გამოწვევები 468

Contents

Abralava Anzor, Gogeshvili Paata
Complex management analysis of construction firms 15

Aivazishvili Tamta
Challenges and development prospects of wine tourism in Georgia with the experience of "Debi Wine" company 20

Arkania Maria
Enhancing Team Effectiveness and Reducing Burnout Through Learning and Development 24

Akhalaia Nana
About Determination of the Status of Highland Settlements of Georgia (On the Example of Shida Kartli - Khashuri Municipality) 28

Baratashvili Evgeni, Gegeshidze Ana
Modern trends of technology transfer processes in Georgian Companies, considering Entropy 32

Barkalaia Besik, Akimishvili Nino
National Park – The Tourist Site 35

Bagaturia Marina, Beruashvili Manana, Martiashvili Maia
Ways of making governance decisions in Georgian reality 39

Berikashvili Lia, Saakyan Jemma, Tkhinvaleli Mariam
The Implementation of Innovative Marketing System in the Growing Tendency of E-Commerce 43

Beridze Lika, Elgendarashvili Tsira, Elgendarashvili Natalia
The essence and importance of staff recruitment 47

Bibiluri Ani, Chkhartishvili Natia, Bukhnikashvili Elene
Digital Lari - an innovative product of the National Bank of Georgia 51

Bliadze Murman, Bliadze Sofio, Tchelidze Lizi
Digital opportunities and the new world 55

Bliadze Murman, Sharashidze Lasha, Bliadze Sofio
Assessment of the economic benefits of Georgian port investments 59

Galakhvaridze Naira
Globalization and Ethnotourism 63

Gamsakhurdia Tamazi
Effective management is an important factor in increasing the prosperity of the country 68

Gelitashvili Goga, Abutidze Gocha, Chelidze Medea
International experience of banking regulation and supervision 77

Gvenetadze Shorena, Jincharadze Tristan
Promoution of small and medium entrepreneurship and tax polity 82

Gemiashvili Meggie, Vanishvili Merab
The role of public-private partnership in the realization of state investment policy 86

Gvetadze Nino
Impact of globalization on social policy 90

Grigalashvili Levan, Khoperia Lasha
The Head of Internal Audit as a leader: transformation over time and contemporary challenges 96

Giorgashvili Lamara
Mtskheti cultural heritage and international tourism 100

Grigalashvili Levan, Margiani Jilda, Grigalashvili Bidzina
Current accounting of receivables and payables Issues in budgetary organizations 104

Davitidze Davit, Tsaava Giorgi
Classification, quality and assessment of active commercial bank operations 110

Datashvili Lasha-Giorgi, Datashvili Mariam, Tabukashvili Tamta
Online marketin in XXI century 114

Darchashvili Manana
The question of religious freedom in post-Soviet Georgia..... 119

Devidze Tamari, Amkoladze Guram
Public relations, marketing and contemporary challenges 123

Vasadze Manana
Marketing strategy for Sustainable Development of Ethno-Gastronomic Tourism (Case study of mountainous Adjara)..... 128

Zirakishvili Tamari
National nation and unconventional nationalism 132

Todadze Murtaz, Jankhoteli Miranda, Tchanturia Natalia
Contemporary challenges of an ecosystem approach to eco-friendly healthcare management..... 135

Topchishvili Marine, Chutlashvili Mariam, Jabadari Lizi
The role of merchandising in retailing..... 140

Turmanidze Giorgi
Analysis of the current situation on the Georgian stock exchange 144

Iashvili Irine
Political Marketing and Forecasting in Georgia: Expanding the Concept of Political Consumer 149

Ivanishvili Vano, Mikelashvili Merab
Evaluation of existing transport and forwarding service management systems..... 154

Kavtidze Eduard, Lagvilava Giorgi
Different Strategies of Personal's Effective Management 158

Kalandia Lela
ბo Challenges of business rehabilitation against the background of the new law "On Rehabilitation and Collective Satisfaction of Creditors' claim" 162

Kandelaki Salome
Russia's geopolitical and geoeconomic interests in the South Caucasus region (on the example of Georgia at the beginning of the 20th century) 166

Kargadze Nino
Issues of improving economic management of the clinic 169

Kereselidze Shalva, Kereselidze Levan, Geliashvili Nino
About maintaining business continuity in force majeure situations 173

Kereselidze Shalva, Kereselidze Levan, Khvadagiani Marika
Contemporary challenges of managing a multinational company 177

Kvirchishvili Lia
The Influence of the Happiness Index on Organization Management Processes 181

Kochalamazashvili Lela, Topchishvili Marine, Paksadze Koba
Prospects for the development of agrotourism in the highlands of Adjara 185

Koguashvili Paata, Khalvashi Eldar
Food Security- National and Regional Challange 189

Kochlamazashvili Lela, Tofchishvili Marine, Tevdorashvili Gvantsa
Tourist potential of Georgia 194

Kuchava Beka
National security concepts of Georgia and Azerbaijan 197

Kuchava Mariam
State management principles and democratic values 202

Lazviashvili Nino, Gegenava Zurab
Innovative Development as a Key to the County's Economic Success 207

Lobjanidze Gela
Global trends of sharing economy: achievements, problems and prospects 212

Maisuradze Temur, Lomsadze Giorgi
Prospects in Georgia For the development of innovative management 217

Malainia Elisabed, Maliashvili Nato
Promotion of medical tourism in Georgia 222

Mamaladze Irine
Internal control system implementation and development processes in Georgia 226

Mamporia Nani, Abramishvili Natia
Tourist market and its formations 231

Margiani Jilda, Grigalashvili Bidzina, Grigalashvili Levan
Current issues of accounting of receivables and payables according to the new chart of accounts 234

Macharashvili Tamar
Conditions of South Caucasus Countries according to Corruption Perception Index in 2017-2022 238

Metrevli Marina, Ramishvili Lamara
Globalization and ways of booking tourist services 242

Metreveli Marina, Japaridze Otar
The role of ecotourism in sustainable development of Georgian tourism 247

Metreveli Lia, Javelidze Nino
Coaching is an independent profession 252

Mikelashvili Merab, Barbakadze-Petashvili Khatuna
Changes in tax management and their impact on business 256

Mshvildadze Sofia, Gogonaia Irina, Lomadze Inga, Chikviladze Nino
Development and management of school culture in general educational institutions of Georgia: challenges and perspectives (within the implementation of the third generation national curriculum) 259

Nadareishvili Nana, Revia Nino
Tourism potential of the Samegrelo-Zemo Svaneti region and development prospects 266

Otinashvili Ramaz, Elisabedashvili Aleksandre, Bedinashvili Varaz
Important aspects of forming a safe business environment 271

Omanadze Nino, Lagvilava Tamar, Siradze Maia
The importance of motivation in crisis management 275

Robakidze Mikheil, Robakidze Makvala, Chanturia Natalia
Entropic-synergistic approach to the study and classification of socio-economic systems 278

Rostiashvili Tamar, Lekiashvili Tamar
The Impact of Business Globalization on Organizational Governance Decisions 282

Siradze Maia, Ramishvili Valeri, Telia Konstantine
Modern skills in improving management 287

Sulashvili Malkhaz, Kutsia Irma, Neparidze Irine
Digital transformation and modern challenges 290

Sulashvili Giorgi, Pochkidze Darejan, Grigalashvili Bidzina
Analysis of theoretical aspects of audit activity 294

Tabatadze Marina, Tandilashvili Anna
The government's anti-crisis strategy and for the country's development perspectives 299

Tkeshelashvili Goderzi, Arjevanidze Tamari
Comparative analysis of contrailer stacking technologies on the Georgian railwayso 305

Pailodze Nino, Murvanidze Iasha, Japaridze Irine
Comparative analysis of the crisis caused by Covid-19 in a separate area of the economy in Georgia 310

Paliani Sofia
The essence of organizational transformation: meaning , causing factors, models for implementation 314

Pipia Asmat, Abralava Tinatin, Podiashvili Nino
Risk management and legal regulation 318

Kajaia Tamar, Balakhashvili Jana, Dugladze Andro
Contemporary trends and challenges of innovative management 324

Kajaia Tamar, Kharkelauri Khatuna
Local labor market and its impact on vocational education in Georgia 328

Kajaia Manana
Iakob Pantskhava's Letter Regarding the Death of Giorgi Tsereteli 334

Kajaia Tamar, Javshanashvili Gigi
The influence of motivation on work efficiency 337

Kartvelishvili Nikoloz, Saakyani Jemma, Adamashvili Nino, Antonino Galati
The Development Opportunities for Apple Cider: Technological and Marketing Perspectives 342

Kerashvili Khatuna
Situational leadership theory in educational management 346

Keshelashvili Omar, Vanishvili Merab, Kutubidze Shalva
Priorities of the Supervisory Strategy of the National Bank of Georgia 350

Kinkladze Rusudan, Gulisashvili Nana
Application of Product Marketing in Technology Companies 354

Kutateladze Rusudan, Vekua Elza
The concept of managing integrated marketing communications based on the agreement of interests of customers and clients 362

Kutateladze Aleko, Terchanyan Sos, Muradyan Shiraz
Development of the financial and banking sector In the conditions of globalization 365

Kutateladze Rusudan, Abaloidze Maia
Using the time series analysis method to reveal the trend of energy consumption of a medical institution 369

Gambashidze Tamar, Chikviladze Tea
Classification of labor resources in healthcare and the mechanism of human capital information 374

Gurtskaia Tatia, Gogoladze Maka, Gurtskaia Karlo
Contradictory effects of economic globalization 378

Kandashvili Teimuraz, Piranashvili Maka, Kalmakhelidze Lika, Khoridze Igor
Importance and role of natural recreational resources of Lagodekhi municipality in ecotourismob 381

Kurashvili Tamila
Relations of the United States of America with major foreign actors in the Middle East 385

Kurashvili Guguli, Beridze Tamar, Soselia Maia
Evaluation of the company according to human capital potential and intelligence indicators 390

Shengelia Ketevan
Importance of developing Green Innovation and the Role of the Higher Education in this Field.....394

Shubitidze Vaja
Niko Nikoladze - National Ideologist and Reformer 398

Chikviladze Nino, Iashvili Irine, Onezashvili Sopi, Paliani Sopfia
Beauty and aesthetics in modern society 403

Chikovani Mikhail
Marketing communications of an educational institution 409

Tsaava Giorgi, Burdiashvili Rati
Banking logistics: problems and development prospects 412

Tcholikidze Maia
Designing an interface for an expert system developed for diagnosing diseases in clinical neurology 417

Kharazi Giga
Bring Georgia closer to EU member states through transport communication 423

Kharkhelauri Khatuna, Khinikadze-Gvaramia Tamar, Bibichadze David, Jintchvelashvili Vakhtang
Introduction of responsibility Accounting System in Georgian Companies.....427

Khinikadze-Gvaramia Tamar, Shamoevi Eter
Role and functions of internal audit in commercial banks 433

Khozrevanidze Noe, Koplianidze Tamar, Kochlamazashvili Lela
Challenges and prospects of sustainable development of tourism in the mountainous region.....437

Jagodnishvili Anna
Issues of relations between the countries of the South Caucasus and the European Union 447

Jikia Ana
Characteristics of the efficiency and capabilities of digital communication in system analysis of project management.....416

Jolia Guram, Abralava Anzor
The Advantages of Digital Clusters in Contemporary Management 455

Jorbenadze Zurab, Zavrashvili Nino
Digital transformation of healthcare and development algorithm 460

Jokhadze Ilona
Organizational Change Management.....464

Hasratovi Tea
Digital transformation and its challenges.....468

სამშენებლო ფირმების კომპლექსური მმართველობითი ანალიზი

აბრალავა ანზორ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

გოგეშვილი პაატა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

მშენებლობა ქვეყნის ეკონომიკის დამოუკიდებელი დარგია, რომელიც შექმნილია ახალი, აგრეთვე არსებული სამრეწველო და არასამრეწველო ობიექტების გაფართოების, რეკონსტრუქციის, შეკეთებისა და ხელახალი აღჭურვისთვის. სამშენებლო ინდუსტრიის განვითარება ქმნის პირობებს ქვეყნის ეკონომიკის დინამიური აღმავლობისთვის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როდესაც ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაცია მიღებულ იქნა განვითარების სტრატეგიის მიმართულებად.

ახალმა მოთხოვნებმა განაპირობა მშენებლობის უფრო საფუძვლიანი სამართლებრივი და ორგანიზაციული და ტექნიკური მომზადება, ინდიკატორების უფრო ღრმა ანალიზის საჭიროება, რომელიც განსაზღვრავს მომავალი მშენებლობის ეკონომიკურ მიზანშეწონილობას და გაიზარდა მოთხოვნები კონტრაქტორების ფინანსური სიცოცხლისუნარიანობისთვის.

საკვანძო სიტყვები: ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები (იმკ); საგანმანათლებლო მომსახურებებისა და პროდუქტების (სმპ) ბაზარი; სმპ-ს მომხმარებლები; სმპ-მომხმარებელთა სტრუქტურა.

შესავალი

ინვესტიციების მოცულობა ძირითად კაპიტალში პროგნოზების მიხედვით 2023 წლის ბოლოსთვის იქნება 4,730.5 მილიარდი ლარი; 2023 წელს საბინაო მშენებლობის მოცულობა 12,8 მილიონი კვადრატული მეტრი იქნება, რაც 2022 წელთან შედარებით 2-ჯერ აღემატება ზრდას. უკვე 2022 წლის შუა პერიოდისთვის ქვეყანაში მსხვილი და საშუალო ზომის ორგანიზაციების მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობამ შეადგინა 5728,9 მილიონი ლარი, რაც ახასიათებს ზრდას 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 109,4% -ით. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ სამშენებლო საწარმოების შემცირებული რაოდენობის შემთხვევაში მათი სიმძლავრე სრულად იქნება დატვირთული და საჭირო იქნება საწარმოო პოტენციალის გაზრდა.

ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მოცულობის ცვლილების პროგნოზისა და სამშენებლო მასალების, ნაწილებისა და სტრუქტურების ძირითადი ტიპების სპეციფიკური მოხმარების პროგნოზის საფუძველზე 2022 წლამდე, შედგენილია სამშენებლო მასალების ძირითადი ტიპების წარმოებისა და მოხმარების ბალანსი. რამაც აჩვენა, რომ ზოგიერთი სახის სამშენებლო მასალაში იმპორტს მნიშვნელოვანი წილი უკავია, კერძოდ, ლინოლეუმი, კერამიკული ფილები, თბოსაიზოლაციო მასალები, ცემენტი, მინა. მშენებლობის ახალი მოცულობის უზრუნველსაყოფად, უკვე 2023 წელს აუცილებელია დამატებითი სიმძლავრეების ექსპლუატაციაში გაშვება ასაწყობი რკინაბეტონის, ცემენტის, მინის და კედლის მასალების წარმოებისთვის. ამგვარი დეფიციტის აღმოფხვრა სამშენებლო საწარმოებს მოუხსნის მნიშვნელოვან პრობლემებს სამშენებლო პროდუქციაზე მომხმარებლისთვის ფასების მისაღები დონის მიღწევაში.

ქვეყნის სამშენებლო კომპლექსში საბაზრო ურთიერთობების განხორციელებას საბინაო სამშენებლო პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებით აქვს ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი: ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ საბინაო და სამოქალაქო სამშენებლო სამუშაოებს მხოლოდ ადგილობრივ ბაზრებზე, ხოლო სამრეწველო სამშენებლო სამუშაოებს სხვა სუბიექტების ტერიტორიაზე, საწარმოებს, რომლებიც ამარაგებენ სამშენებლო ინდუსტრიას რესურსებით, აქვთ თავიანთი საქმიანობის ინტერრეგიონული არეალი, რაც მათ უფრო ადაპტირებულს ხდის ბაზრის პირობებისადმი.

უძრავი ქონების ადგილობრივი ბაზრების ფუნქციონირებას აქვს თავისი შაბლონები, დიდ-წილად დამოკიდებულია რეგიონში მიწათსარგებლობის არსებულ მექანიზმზე, საინვესტიციო აქტივობაზე.

სამშენებლო ინდუსტრიის მდგომარეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთლიანად ეკონომიკის ხარისხობრივი მახასიათებლების შესაცვლელად. სამშენებლო ინდუსტრია სწრაფად მზარდია, მშენებლობაში სამუშაოს მოცულობის ზრდის ტემპი გაცილებით მაღალია, ვიდრე ეკონომიკის სხვა სექტორებში.

მხოლოდ საბინაო მშენებლობაში წლიური ინვესტიცია წინაკრიზისულ პერიოდში 10-12 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული. 30 - 32 მლნ მ“ საცხოვრებელი ფართის ექსპლუატაციაში გაშვებით. საცხოვრებლის პოტენციური საჭიროება დაახლოებით 150 მილიონი მ წელიწადში [114]. ეს ყველაფერი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სამშენებლო ინდუსტრიის შემდგომი ზრდის საჭიროებაა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ინდუსტრიის ყველა სამშენებლო საწარმო ზრდის ფაზაშია, რაც დასტურდება საწარმოთა ცალკეული ჯგუფების ფინანსურ მაჩვენებელში მნიშვნელოვანი უფსკრულით.

სამშენებლო საწარმოები მუშაობენ მოგებისთვის, მაგრამ ამავდროულად უზრუნველყოფენ მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემების გადაწყვეტას, ასევე გამონაკლისის გარეშე ეკონომიკის ყველა დარგის განვითარებას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მთლიანობაში სამშენებლო ინდუსტრიის განვითარება, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რასაც ბიზნეს სუბიექტების დონეზე ეფექტურ მენეჯმენტს უზრუნველყოფს.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ინდუსტრიამ განიცადა ძირითადი გარდაქმნები, გაიარა ფორმირების რთული ეტაპი ახალ ეკონომიკურ პირობებში. ამ დროის განმავლობაში გამოჩნდნენ დიდი, ტექნიკურად და ტექნოლოგიურად აღჭურვილი სამშენებლო კომპანიები, მაგრამ ეკონომიკური კრიზისის გამოვლენამ საფრთხე შეუქმნა მათ საქმიანობას, მოითხოვა რეზერვების მოძიება მდგრადობის უზრუნველსაყოფად, რაც ყალიბდება შიდა და გარე ფაქტორების გავლენით.

საინვესტიციო და სამშენებლო სექტორში საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება მოითხოვს ეკონომიკური ანალიზის თეორიისა და მეთოდოლოგიის შემდგომ განვითარებას, უპირველეს ყოვლისა, მიკრო დონეზე.

ამავდროულად, საბაზრო გარემოში წარმატებული ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია ანალიტიკური განზოგადება არა მხოლოდ სამშენებლო საწარმოების შიდა ბიზნეს პროცესების დონეზე, არამედ საწარმოების ბიზნეს გარემოს დონეზეც, რაც საშუალებას აძლევს დროულად აისახოს მდგომარეობა და სამშენებლო მატერიალური და შრომითი რესურსების ბაზრების დინამიკა, ასევე სამშენებლო, ინვესტიციების გავლენის მოხდენილი სოციალური, პოლიტიკური და დემოგრაფიული ფაქტორების შესაძლო ცვლილებები.

ეკონომიკური ანალიზი მართვის სისტემაში ასრულებს დამაკავშირებელ ფუნქციას ინფორმა-ციის მოპოვებასა და მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებას შორის.

ანალიზიდან გამომდინარე დასკვნებისა და რეკომენდაციების სიღრმე და სანდოობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ასახავს ანალიზი რეალურად სამშენებლო კომპანიის მდგომარეობას და გარემოს, რომელშიც ის ოპერირებს. ანალიზი ადეკვატურად უნდა ასახავდეს რაოდენობრივ და ხარისხობრივ ცვლილებებს, რომლებიც მოხდა ობიექტთან გარკვეული პერიოდის განმავლობაში და მათი გამომწვევი ფაქტორები. ამ შემთხვევაში, ძირითადი კონცეფცია არის ანალიზის მიზანი, რომელიც განისაზღვრება მენეჯმენტის გადაწყვეტილების არსით, რათა უზრუნველყოს ანალიზის ჩატარება.

ეკონომიკური სუბიექტების დონეზე ანალიზს აქვს სპეციფიკური შინაარსი, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს ფინანსურ და ეკონომიკურ საქმიანობასთან და ბიზნესის დაგეგმვის ანალიტიკური მხარდაჭერის საჭიროებასთან, ფასების და მარკეტინგული პოლიტიკის შემუშავებასთან, წარმოების დაგეგმვასთან და წარმოების ფაქტორების გამოყენებასთან. ეფექტური სტრატეგიების შესარჩევად აუცილებელია საწარმოს პოზიციონირების ანალიზი დარგის ბაზარზე და მისი

კონკურენტუნარიანობის შესწავლა. ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია შეფასების რთული მოდელების, სტრატეგიული და კონკურენტული ანალიზის მეთოდების ფორმირებით.

ყოვლისმომცველი მენეჯმენტის ანალიზის განხორციელების თეორიული ცნებები და პრაქტიკული მეთოდები ფოკუსირებული უნდა იყოს სამშენებლო ინდუსტრიის სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებაზე. ეს შესაძლებელს გახდის დროულად და სწორად გამოავლინოს როგორც სტრატეგიული, ასევე ოპერატიული ხასიათის პრობლემები, ჩამოაყალიბოს სამშენებლო საწარმოს ობიექტები, საგნები და მართვის პროცესები.

სამშენებლო საწარმოს ეფექტურობის გაუმჯობესებისას მნიშვნელოვანია პირველადი საწარმოო რგოლების მართვა, როგორიცაა სამშენებლო უბნები, ობიექტები, გუნდები და, შესაბამისად, ობიექტურად აუცილებელია ჩატარდეს სისტემატური, ღრმა და ყოვლისმომცველი შიდა წარმოების მართვის ანალიზი. საჭიროა სამშენებლო ინდუსტრიაში ანალიზის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება და მისი პრაქტიკული აპრობაცია. სამშენებლო საწარმოების საქმიანობის შესწავლამ აჩვენა, რომ მენეჯმენტის ანალიზის პრაქტიკა ბევრად ჩამორჩება თეორიას.

საბაზრო პირობებში იზრდება შედარებითი ანალიზის როლი, რომლის მეთოდების შემუშავება შესაძლებელს ხდის სამშენებლო საწარმოს შედეგების შედარებას კონკურენტებთან, განსხვავებების მიზეზების იდენტიფიცირებას და კონკურენტუნარიანობის გაზრდის რეზერვების პოვნას.

მიზანშეწონილია სამშენებლო საწარმოების მუშაობის ინდიკატორების ანალიზი და შეჯამება არა მხოლოდ შიდა რეზერვების მოსაძებნად, არამედ სარეიტინგო სიების ფორმირებისას საწარმოს ბაზარზე პოზიციონირებისთვის, განმცხადებლების წინასწარი შეფასება წინადადებების მომზადებისას, რაც მოითხოვს შემუშავებას. რეიტინგის ანალიზის მეთოდოლოგია.

ინტეგრირებული მენეჯმენტის ანალიზის სისტემა უნდა იყოს ორგანიზაციულად განხორციელებადი, უზრუნველყოს მართვის სისტემის ყველა ელემენტის საინფორმაციო კომუნიკაცია და ხელმისაწვდომი იყოს ანალიტიკური ინფორმაციის მომხმარებლის ყველა დონისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ მენეჯმენტის წინა საბაზრო პერიოდში დაგროვდა მნიშვნელოვანი გამოცდილება კონტრაქტორი სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის კუთხით, ძირითადად ორიენტირებულია რეზერვების მოძიებაზე სამშენებლო წარმოების ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

სოციალისტური ეკონომიკის პერიოდში დაგროვილი სამეცნიერო და პრაქტიკული მიღწევები უნდა განზოგადდეს და მოერგოს ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების დღევანდელ ეტაპს.

სამშენებლო კომპანიების საჭიროება ფოკუსირება მოახდინონ საბაზრო მოთხოვნაზე, მოითხოვს სამშენებლო პროდუქტების მარკეტინგული ანალიზის მეთოდოლოგიის შემუშავებას, რაც საშუალებას გაძლევთ ეფექტურად მართოთ საწარმოს პროდუქტი და ფასების პოლიტიკა, მოქნილად უპასუხოთ ბაზრის მოთხოვნის რყევებს. ეკონომიკურ კვლევებში საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა საქმიანობის შეფასებას, მაგრამ სამშენებლო საწარმოს მართვის სისტემის დიაგნოსტიკის მეთოდები ჯერ არ არის საკმარისად გამჟღავნებული.

ჩვენ კვლევაში ვეყრდნობოდით მეცნიერთა ნაშრომებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებაში მისი განვითარების ყველა ეტაპზე, მათ შორის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორთან მიმართებაში, მათ შორის, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ს.კ. თატურა, მ.ი. ბაკანოვა, ა.დ. შერემეტა, ს.ბ. ბარნგოლტსი, ვ.ფ. დიაჩკოვა, ნ.პ. კონდრაკოვა, ნ.მ. ზავარიხინა, ვ.ი. პეტროვი, მ.ვ. მელნიკი, ვ.ტ.ჩაია, ვ.პ. სუიცა, ვ.ფ. პალია, მ.ა. ბახრუშინი, ო.ე. ნიკოლაევი, ტ.ვ. შიშკოვი, ვ.დ. ნოვოდვორსკი, დ.ი. დერკახი და სხვა მეცნიერები.

ამ მეცნიერებმა შეიმუშავეს როგორც ეკონომიკური ანალიზის ძირითადი პრინციპები, ასევე ეკონომიკის სხვადასხვა სექტორისთვის ადაპტირებული სპეციფიკური მეთოდები. თეორიული მემკვიდრეობის შესწავლამ ეკონომიკური ანალიზის სფეროში და კერძოდ მენეჯმენტის ანალიზმა მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ანალიზის სფეროში ყველა მიღწევა არ გადავიდა სამშენებლო ინდუსტრიაში, რის შედეგადაც ინტეგრირებული გამოყენების პრაქტიკა. მენეჯმენტის ანალიზი ინდუსტრიის საწარმოებში მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

პროფესორ შერემეტის სამეცნიერო სკოლა ა.დ. შეიქმნა და განუწყვეტლივ მუშავდება საწარმოთა საქმიანობის ყოვლისმომცველი ეკონომიკური ანალიზის თეორია და მეთოდოლოგია, მათ შორის მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების ეფექტური საინფორმაციო მხარდაჭერის შექმნის თვალსაზრისით. ამ კვლევაში ავტორმა დაისახა ამოცანა საბაზრო პირობებში სამშენებლო საწარმოების პირობებთან მიმართებაში ინტეგრირებული მართვის ანალიზის სისტემის კონცეფციის შემუშავება.

ჩვენ ვთვლით, რომ ინტეგრირებული მენეჯმენტის ანალიზის ეფექტური სისტემის ასაშენებლად აუცილებელია მეცნიერთა მიერ სოციალისტური ეკონომიკის პირობებში შემუშავებული კონტრაქტის სამშენებლო ორგანიზაციების ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის თეორიული მემკვიდრეობა და პრაქტიკული მეთოდების გათვალისწინება. რომლის სიძლიერეა წარმოების პროცესების ღრმა შესწავლა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია თანამედროვე პერიოდში მშენებლობაში საბაზრო ურთიერთობების ფორმირებისა და განვითარების სპეციფიკის გათვალისწინებით.

ამ პრობლემის გადაჭრისას აუცილებელი ხდება იმის უზრუნველყოფა, რომ სამშენებლო საწარმოების საქმიანობის ანალიზის თეორიის შინაარსი შეესაბამება მათი ფუნქციონირების თანამედროვე პირობებს.

სამშენებლო საწარმოების საქმიანობის ინტეგრირებული მართვის ანალიზის მეცნიერულად დაფუძნებული თეორიის არარსებობა, მშენებლობაში თეორიის, მეთოდოლოგიისა და ანალიზის მეთოდების მთელი რიგი ფუნდამენტური საკითხების განუვითარებლობა, აგრეთვე თეორიული დასაბუთების დიდი პრაქტიკული აქტუალობა. ანალიზის მიდგომებითა და მეთოდებით განსაზღვრა სადისერტაციო თემის, საგანი, ობიექტი, მიზანი, ამოცანები და შინაარსი.

ინტეგრირებული მართვის ანალიზის მეთოდოლოგიის ავტორის ინტერპრეტაცია ეფუძნება სამშენებლო საწარმოს პირობებისა და შედეგების სისტემატურ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს რეტროსპექტული, ოპერატიული და პერსპექტიული ანალიზის მეთოდოლოგიის უწყვეტობას, მშენებლობაში კონკურენციის ხასიათის გათვალისწინებით. ბაზარი, ასევე ანალიტიკური ინსტრუმენტების ორიენტირება ინფორმაციის კონკრეტული მომხმარებლების საჭიროებებზე.

დასკვნა

პრიორიტეტული მიმართულებებით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიების რეალიზაციის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ საკადრო თანხლების მდგრადი სისტემა, რომელიც ეყრდნობა უმაღლესი პროფესიული განათლების სისტემას. ამ მიზნით, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია უნივერსიტეტის, კვალიფიციური სპეციალისტების დამკვეთების (სახელმწიფოსა და დამსაქმებლების სახით) ძალისხმევის ინტეგრირება ქვეყნის კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც წარმოიქმნება ცალკეულ დარგებში და ეხება როგორც კადრების პროფესიული მომზადების საკითხებს, ასევე სმპ-ის ბაზრის სუბიექტების და მთლიანად ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური, მმართველობითი პრობლემების გადაჭრას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თოდუა ნ. საქართველოს ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა. მონოგრაფია. თბ., 2012;
2. გიგაური ი. მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტები საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე. დისერტაცია. თბ., თსუ. 2012;
3. ვალიშვილი თ. საქართველოს საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის მარკეტინგული კვლევის საფუძვლები. დისერტაცია. ქუთაისი, 2011.
4. Bennetot–Pruvot E, Claeys-Kulik A-L. Estermann T. (2013), ,,Designing strategies for efficient funding of higher education in Europe", European Union's Association, http://www.eua.be/Libraries/publication/DEFINE_final.pdf?sfvrsn=4, (15.10.2014);
5. Hendrickson Robert M. LaneJason E. Harris James T. Dorman Richard H. (2013). „Academic Leadership and Governance of Higher Education", Stylus Publishing, LLC;

Complex management analysis of construction firms

Anzor Abralava
Professor of Technical University of Georgia

Paata Gogeshvili
Doctoral student of Technical University of Georgia

Abstract

Construction is an independent branch of the country's economy, created for expansion, reconstruction, repair and re-equipment of new and existing industrial and non-industrial facilities. The development of the construction industry creates conditions for the dynamic rise of the country's economy, which is especially important in the conditions when the modernization of the country's economy has been adopted as the direction of the development strategy.

The new requirements led to a more thorough legal and organizational and technical preparation of the construction, the need for a deeper analysis of the indicators that determine the economic feasibility of the future construction, and increased requirements for the financial viability of the contractors.

Keywords: integrated marketing communications (IMC); educational services and products (SMP) market; SMP users; Structure of SMP-users.

ღვინის ტურიზმის გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში კომპანია „დების ღვინის“ გამოცდილებით

აივაზიშვილი თამთა
აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
კომპანია „დების ღვინის“ თანადამფუძნებელი

აბსტრაქტი

წარმოდგენილ ნაშრომში მიმოხილულია ქართული ღვინის ისტორია და მისი განვითარების საფეხურები. პირადი გამოცდილებით გაგიზიარებთ იმას, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას ღვინის ტურიზმის სექტორი და რა პერსპექტივები გვაქვს ამ დარგში.

საქართველო ღვინის სამშობლოა, ეს არის სიტყვები, რომელიც თითოეულ ქართველს სიამაყით აღავსებს. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ ეს პირველ რიგში დიდი პასუხისმგებლობაა. მოდი თვალი გადავავლოთ იმას, თუ საიდან იწყება ღვინის ისტორია საქრთველოში.

არქეოლოგიური მონაცემებით, ქართველების ვაზთან და ღვინოსთან დამოკიდებულება ძალიან ადრეული ეპოქებიდან ჩანს. საქართველოში ღვინის დასაყენებლად ფართოდ გამოყენებული ქვევრი ნეოლითის ჭურჭლის მსგავსია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ამ რეგიონში ღვინის კულტურას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს და მის უწყვეტობას უსვამს ხაზს.

ვარაუდი იმის შესახებ, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა, საერთაშორისო ლიტერატურაში აქტიურად გვხვდებოდა. ეს ვარაუდები ძირითადად ემყარებოდა ზემოხსენებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ყურძნის წიპწების კვლევას, თუმცა, სამწუხაროდ, მაშინ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოება მათ არ აღიარებდა, რადგან ვერ ხერხდებოდა აბსოლუტური დათარიღება.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ღვინის ტურიზმი, ქართული ღვინო, დების ღვინო, ღვინის ტურიზმი საქართველოში.

ძირითადი ტექსტი

2014 წლიდან, ასოციაციის „ქართული ღვინო“ ინიციატივით და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, ღვინის ეროვნული სააგენტო, ლევან დავითაშვილის ხელმძღვანელობით, ჩაუდგა სათავეში საერთაშორისო მულტიდისციპლინარულ პროექტს „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა“. მასში, ქართველ მეცნიერებთან ერთად, პენსილვანიის, მონპელიეს, მილანის, კოპენჰაგენის, ტორონტოს უნივერსიტეტების, ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტისა და მონპელიეს აგრარული კვლევების ეროვნული ინსტიტუტის (INRA) თანამშრომლები მონაწილეობდნენ. პროექტის ფარგლებში, პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორის - პატრიკ მაკგოვერნის ხელმძღვანელობით ჩატარებული ბიომოლეკულური კვლევების შედეგად მარნეულის რაიონში მდებარე ნეოლითის პერიოდის „გადაჭრილი გორის“ და „შულავერის გორის“ არქეოლოგიურ ძეგლზე უკანასკნელი პერიოდის გათხრების დროს აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის კედლებზე ღვინისათვის დამახასიათებელი ორგანული მჟავების (ღვინის მჟავა, ვაშლმჟავა, ქარვამჟავა და ლიმონმჟავა) არსებობა დადასტურდა, რაც Vitis vinifera-ს ვაზის ჯიშისგან დამზადებული ღვინის მარკერია. მილანის უნივერსიტეტის მკვლევრებმა ოსვალდო ფაილას ხელმძღვანელობით აღადგინეს ძვ.წ. VI ათასწლეულის კლიმატი და დაადასტურეს, რომ ქვემო ქართლში 8000 წლის წინ ვაზის კულტივირებისთვის შესაბამისი პირობები იყო, ხოლო ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტში ელიზაბეტა ბოარეტოს ხელმძღვანელობით განხორციელებული ლაბორატორიული კვლევების შედეგად, C14-ის დათარიღების მეთოდით ნიმუშების ასაკი ძვ.წ. 6000-5800 წლებით განისაზღვრა, რაც 600 წლით უფრო ძველია, ვიდრე აქამდე უძველესად მიჩნეული ღვინის კვალი ზაგროსის მთიანეთიდან (ირანი).

თანამედროვე სამეცნიერო საზოგადოება სულ უფრო მეტი დამაჯერებლობით აღიარებს საქართველოს „ღვინის სამშობლოდ“. ამას, ერთი მხრივ, მოწმობს ვაზისა და ღვინის კულტურასთან დაკავშირებული უძველესი არქეოლოგიური მასალა და, მეორე მხრივ, არქეობოტანიკური მონაცემები. მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება თანხმდება, რომ მეღვინეობის უძველესი კვალი სწორედ

საქართველოს ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი, საიდანაც ის შემდეგ გავრცელდა მთელ მსოფლიოში და უდიდესი გავლენა იქონია სოფლის მეურნეობის, ხალხთა კულტურის, ბიოლოგიის, მედიცინისა და, ზოგადად, ცივილიზაციების ჩამოყალიბებაზე.

ასეთი მდიდარი ისტორიის მქონე ერი, დამეთანხმებით ვალდებულია, გააგრძელოს ღვინის გზა და განავითაროს ეს სფერო. ისევე, როგორც ყველა აქტივობას თან ახლავს გამოწვევები, არც ღვინის ტურიზმია გამონაკლისი. იყო პერიოდები, როდესაც საქართველოში მხოლოდ რამდენიმე მსხვილი ღვინის კომპანია არსებობდა. დღესდღეობით ეს მდგომარეობა შეიცვალა. ბაზარზე გაჩნდა უამრავი კომპანია, რომლებიც ღვინის დაყენებას ტრადიციული მეთოდით აგრძელებენ.

კომპანია „დების ღვინო“ 2017 წლიდან იბადება ღვინის სამყაროში. ჩვენი ამ სფეროთი დაინტერესება ქართული კულტურის სიყვარულმა და დიდი ტრადიციის გაგრძელების სურვილმა განაპირობა. პროცესში კარგად გამოიკვეთა ის, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას ღვინის ტურიზმის სექტორი და რა პერსპექტივები გვაქვს ამ დარგში. მიუხედავად, იმისა, რომ შეიძლება ითქვას ქართული ბაზარი გაჯერებულია ღვინით, ფრაზა - „კარგი ღვინოა?“ არ კარგავს აქტუალურობას. ჩვენ, ქართველ მეღვინეებს როდესაც გვაქვს პრეტენზია პირველობაზე მსოფლიო მაშტაბით, უნდა გვესმოდეს, რომ მთავარი წარმოებული რაოდენობა კი არა ხარისხია. ნელ-ნელა ვისწავლეთ, ის რომ ბიო პროდუქცია პრიორიტეტულია. ბოლო წლებში განსაკუთრებით იმატა მცირე მარნების რიცხვმა, რომელთა მიზანი ხარისხიანი პროდუქციის წარმოებაა. ასეთი ტიპის მარნების გამოჩენამ შექმნა ჯანსაღი კონკურენცია. ეს კი განნაპირობების ბრენდის, მწარმოებლის და საბოლოო ჯამში ქვეყნის განვითარებას.

საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს. ტურიზმის რამდენიმე მიმართულება არსებობს, ჩვენს პატარა, მაგრამ მდიდარ ქვეყანას თავისი კულტურით, ისტორიით თუ ტრადიციებით, ტურზმის ყველა სექტორში შეუძლია წარმატების მოპოვება. ერთ-ერთი მიმართულება ღვინის ტურიზმია. ჩვენს ქვეყანაში, მოგზაურებს იზიდავს სწორედ ის, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან გასაუბრების შემდეგ ნათლად იკვეთება პრობლემები, რაც შეიძლება უარყოფითად აისახოს ჩვენი ქვეყნის იმიჯზე. ღვინის ხარისხი, როგორია ის ჩვენთან და კონტროლდება თუ არა სათანადო დონეზე? კარგად უნდა გვესმოდეს, რომ საქართველოს გაცნობას ტურსტი და მოგზაური უკვე აეროპორტიდან იწყებს. იქ, იმ წამს ჩნდება და ყალიბდება პირველი შთაბეჭდილებები. ხშირად მსმენია, რომ თვითმფრინავის ბორტზე უხარისხო ღვინო დააგემოვნეს, რამაც გაუჩინათ კითხვა: საქართველო ნამდვილად ღვინის სამშობლოა? თუ ეს უბრალოდ კარგად დაგეგმილი პიარია ქვეყანაში ტურისტების მოსაზიდად? ჩვენ არ გვაქვს შეცდომის დაშვების უფლება. ხარისხიანი ღვინის შეთავაზება და მაღალი დონის მომსახურება მხოლოდ ოფიციალურად მოწვეული დელგაციებისთვის არ უნდა ხდებოდეს. მოგზაურები, სომელიეები თუ უბრალოდ ღვინის მოყვარულები, რომლებიც თავად ადგენენ სამოგზაურო მარშრუტს, არიან მეტად მნიშვნელოვანნი. სწორედ ისინი არიან ინფორმაციის წყარო სხვა მოგზაურებისთვის, რადგან ბლოგერებს, რომლებსაც პიარში კომპანიები თანხას უხდიან, ნაკლებად ენდობიან.

ექსპორტიორებთან გასაუბრებისასაც გამოიკვეთა პრობლემები, ყველაზე მთავარი კი ჩემდა გასაკვირად კეთილსინდისიერი ქცევის მოთხოვნა იყო. უფრო კონკრეტულად კი ისინი აგემოვნებენ კარგ ღვინოს, ხოლო იგივე ბრენდის ექსპორტზე გატანილი პროდუქტი რადიკალურად განსხვავებული აღმოჩნდა. მსგავსი უპასუხისმგებლო ქმედება განაპირობებს უნდობლობას, რაც ლახავს ჩვენი ქვეყნის იმიჯს.

საქართველოს უსაზღვრო პოტენციალი მის უნიკალურობაში მდგომარეობას. აღსანიშნავია, რომ ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს 2013 წელს იუნესკოს (UNESCO) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, რაც გზავნილია მთელი მსოფლიოსთვის. ეს აღიარება მნიშვნელოვანია ქვევრის ღვინის ცნობადობის ამაღლებისთვის და ხელს შეუწყობს ქართული ღვინის მსოფლიო პოპულარიზაციას.

სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ღვინის ტურიზმში ყოველდღიურად უფრო მეტი ახალგაზრდები ერთვებიან და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საყვარელ საქმეს. ისინი, არ სჯერდებიან

მხოლოდ რუსეთის ბაზარს და ახალი გასაღების გზებს ეძებენ.

სწორად დაგეგმილი მარკეტინგული ღონისძიებები კიდევ უფრო მეტ საშუალებას მოგვცემს ქართული ღვინის პოტენციალი ფართო აუდიტორიას გავაცნოთ. ჩვენი მიზანია საქართველოს ღვინის ნამდვილი მოყვარულები და ექსპერტები სტუმრობდნენ. ეს ის კატეგორიაა, რომელმაც იციან კარგი ღვინის ფასი და არომატი. ადგილობრივ ბაზარზე თუ საზღვარგარეთ თითოეულმა ქართულმა ბრენდმა ღირსეულად უნდა წარმოაჩინოს ქართული ღვინის გემო. პატიოსანი და კეთილსინდისიერი შრომით, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი პოტენციალი და რესურსი.

ქვევრის ღვინის წარმოებით, საქართველოს გარდა, ბოლო დროს სხვა ქვეყნებიც დაინტერესდნენ. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში ექსპორტზე სულ უფრო მეტი ქართული ქვევრის ღვინო გადის, და მათ შორის ისეთ ტრადიციულ ღვინის ქვეყნებში, როგორიცაა იტალია და საფრანგეთი.

2022 წლის მონაცემებით ქართული ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულია 21,8 მლნ აშშ დოლარამდე შემოსავალი, რაც 35%-ით მეტია 2021 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

აღნიშნულ პერიოდში, საქართველოდან მსოფლიოს 35 ქვეყანაში ექსპორტირებულია 5,3 მილიონი ბოთლი (0,75 ლ) ქართული ღვინო, რაც 51%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს; ექსპორტით მიღებულია 11,6 მლნ აშშ დოლარი, ზრდამ 43%-ს მიაღწია.

ექსპორტის ზრდის დინამიკა შენარჩუნებულია სტრატეგიულ ბაზრებზე, სადაც ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტო მარკეტინგულ ღონისძიებებს ახორციელებს:

ქვეყანა	რაოდენობა
პოლონეთი	103% (502986 ბოთლი)
ჩინეთი	514% (278493 ბოთლი)
ლიეტუვა	114% (117588 ბოთლი)
აშშ	245% (79890 ბოთლი)
ლატვია	22% (92892 ბოთლი)
ესტონეთი	102% (64344 ბოთლი)
იაპონია	482% (17280 ბოთლი)
დიდი ბრიტანეთი	35% (42528 ბოთლი)

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იზრდება საქართველოს ჩართულობა საერთაშორისო ღონისძიებებსა და გამოფენებზე, რამაც კიდევ უფრო მეტი წარმატება და აღიარება უნდა მოუტანოს ქართულ ღვინოს.

დასკვნა

როგორც ყველა სფეროში, ღვინის ტურიზმშიც ვაწყდებით სხვადახვა პრობლემებს. მთავარია ჩვენ ეს შევამჩნიოთ, შევისწავლოთ და შემდეგ ვიმუშავოთ მის აღმოფხვრაზე. მნიშვნელოვანია კონტროლდებოდეს ღვინის მწარმოებლები და ღვინის ხარისხი. ჩვენ ჩვენი ნიშა უნდა შევინარჩუნოთ და მსოფლიოში არსებულ უმაღლესი ხარისხის ღვინოებს გვერდით ამაყად დავუდგეთ. ყველაზე მთავარი კი არის ის, რომ ღვინოს მისი ისტორია ყიდის. საქართველოს პოტენციალი კი იდეალური ბაზისია საუკეთესო ღვინოების შესაქმნელად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://wine.gov.ge/Ge/KvevriWine/Details/2
2. https://nationalgeographic.ge/story/saqartvelo-ghvinis-samshoblo/
3. https://wine.gov.ge/Ge/News/34873

Challenges and development prospects of wine tourism in Georgia with the experience of "Debi Wine" company

Aivazishvili Tamta
Master of Business Administration of Agrarian University
Co-founder of "Debi Wine" company

Abstract

The presented work reviews the history of Georgian wine and the stages of its development. I will share with you from my personal experience what challenges the wine tourism sector is facing and what prospects we have in this field.

Georgia is the homeland of wine, these are words that fill every Georgian with pride. However, we should not forget that it is a big responsibility first of all. Let's take a look at where the history of wine in Sakrtvelo begins.

According to archaeological data, the attitude of Georgians to vine and wine can be seen from very early ages. The widely used pitcher for making wine in Georgia is similar to a Neolithic vessel, which once again confirms that the wine culture in this region has deep historical roots and emphasizes its continuity.

The assumption that Georgia is the homeland of wine was actively encountered in international literature. These assumptions were mainly based on the study of grape seeds found during the above-mentioned archaeological excavations, although, unfortunately, they were not recognized by the international scientific community at the time, because absolute dating was not possible.

Keywords: tourism, wine tourism, Georgian wine, Debi wine, wine tourism in Georgia.

Enhancing Team Effectiveness and Reducing Burnout Through Learning and Development

Arkania Maria
Deputy Head of Admissions Office at Georgian American University
PHD Candidate of Georgian-American University

Abstract

In today's fast-paced and demanding work environments, teams face the dual challenge of achieving high levels of productivity while also ensuring the well-being of their members. Learning and Development (L&D) programs play a pivotal role in addressing these challenges by equipping teams with the necessary skills, knowledge, and resources. This article explores how L&D initiatives can decrease burnout and maximize team effectiveness, fostering a culture of growth and success.

There is no exact blueprint for organizational success.

Every successful company has its own strategy, which consists of many components. Learning and Development initiatives have the power to transform teams, reduce burnout, and maximize effectiveness. By identifying training needs, offering targeted programs, fostering a culture of continuous learning, promoting flexibility and autonomy, facilitating knowledge sharing, prioritizing work-life balance, and monitoring progress, teams can thrive in today's dynamic work environments. Investing in L&D not only enhances skills but also cultivates engaged and resilient teams, poised for success.

Key Words: L&D, Training, Effectiveness.

Main text

Learning and Development (L&D) in business is typically implemented through a combination of some common approaches:

Training Programs: Businesses often conduct structured training programs to provide employees with specific knowledge or skills relevant to their roles. These programs can be delivered through in-person workshops, online courses, webinars, or a blended learning approach combining multiple modalities.

On-the-Job Training: On-the-job training involves learning through practical experience within the workplace. It can include shadowing experienced employees, mentoring relationships, job rotations, or cross-functional projects.

E-Learning and Digital Platforms: With advancements in technology, businesses increasingly utilize e-learning platforms and digital tools to deliver training content. These platforms offer flexibility, self-paced learning, and access to a wide range of courses and resources. Online modules, videos, interactive quizzes, and discussion forums are common elements of e-learning platforms.

Coaching and Mentoring: Coaching and mentoring programs offer individualized guidance and support to employees. Trained coaches or mentors work closely with individuals to help them identify areas for development, set goals, and provide ongoing feedback and advice. These programs focus on personal and professional growth, leadership development, and career advancement.

Employee-Led Learning Initiatives: Some businesses encourage employees to take ownership of their learning by fostering a culture of knowledge-sharing and collaboration. This may involve setting up internal knowledge-sharing platforms, organizing lunch-and-learn sessions, or creating communities of practice where employees can exchange insights, best practices, and expertise.

Continuous Professional Development: In addition to formal training programs, businesses recognize the importance of continuous learning. They may provide resources for employees to pursue professional certifications, attend conferences, participate in industry associations, or engage in self-directed learning. Continuous professional development supports ongoing skill enhancement and keeps employees updated in their respective fields.

Performance Management and Feedback: Performance management processes often include regular feedback and development discussions. These conversations help identify areas for improvement and determine appropriate L&D interventions to support employee growth. Performance reviews can be used to align individual development goals with organizational objectives.

It's important for businesses to evaluate the effectiveness of their L&D initiatives regularly. This can be done through feedback surveys, assessments, performance metrics, and employee engagement indicators. By continuously refining their L&D strategies, businesses can ensure that learning interventions align with organizational goals and contribute to the overall growth and success of the company and its employees.

Implementing Learning and Development (L&D) initiatives in a business setting can present certain challenges. However, these challenges can be addressed through various strategies and solutions. Here are some common challenges faced in L&D and potential ways to overcome them:

Limited Budget: Budget constraints can hinder the implementation of comprehensive L&D programs. To address this challenge, businesses can explore cost-effective options such as leveraging digital learning platforms, utilizing free or low-cost online resources, partnering with external training providers, or developing in-house training materials. Prioritizing and focusing on high-impact training areas can also help optimize limited resources.

Time Constraints: Finding time for training can be difficult, especially in fast-paced work environments. To overcome this challenge, businesses can adopt flexible training approaches, such as offering self-paced e-learning modules or microlearning sessions that can be completed in shorter time frames. Integrating training into regular work schedules, providing dedicated learning time, or incorporating training as part of team meetings or retreats can also help overcome time constraints.

Engaging Employees: Maintaining employee engagement throughout the learning process can be a challenge. To enhance engagement, businesses can design interactive and experiential learning activities, incorporate gamification elements, create opportunities for discussions and knowledge sharing, and provide regular feedback and recognition for employees' progress and achievements. Tailoring training content to align with employees' interests and career aspirations can also boost engagement.

Applying Learning to the Job: Sometimes, employees struggle to apply the knowledge and skills acquired through training to their actual job tasks. To address this challenge, businesses can incorporate practical exercises, simulations, or real-life case studies into training programs to bridge the gap between theory and practice. Providing opportunities for on-the-job applications, ongoing support, and coaching can help reinforce learning and ensure its effective application.

Resistance to Change: Employees may resist or be reluctant to embrace new learning initiatives, especially if they perceive them as time-consuming or disrupting their workflow. Involving employees in the planning and decision-making process and addressing their concerns or misconceptions can also help overcome resistance.

Measuring Training Effectiveness: Assessing the impact and effectiveness of training programs can be challenging. Using qualitative and quantitative data, businesses can evaluate the effectiveness of training programs and make data-driven improvements.

By proactively addressing these challenges, businesses can enhance the effectiveness of their L&D efforts, improve employee engagement and performance, and foster a culture of continuous learning and development.

The implementation of Learning and Development (L&D) initiatives in Georgia, as in any other country, can vary based on factors such as the size of the organization, industry sector, and available resources. Here are some key considerations regarding L&D practices in Georgia.

Training Programs: Georgian businesses often conduct training programs to enhance employee skills and knowledge. These programs may cover a range of topics, including technical skills, customer service, leadership development, and compliance training. Training sessions can be delivered in-house, outsourced to training providers, or conducted through online platforms.

Professional Development Institutions: Georgia has several professional development institutions and training providers that offer a variety of courses and programs for individuals and businesses. These institutions may offer certifications, diplomas, or short-term courses tailored to specific industries or job roles.

Government Initiatives: The Georgian government recognizes the importance of L&D for the country's economic development. It has implemented initiatives to support skill development, such as vocational training programs and partnerships with educational institutions. The government also collaborates with international organizations to enhance workforce capabilities.

Industry-Specific Training: Certain industries in Georgia, such as tourism, agriculture, and technology, have specific training needs. L&D initiatives in these sectors may focus on industry-specific skills, compliance with regulations, or emerging technologies. Industry associations and professional networks often play a role in promoting and organizing relevant training opportunities.

Collaboration with Educational Institutions: Businesses in Georgia often collaborate with universities, colleges, and vocational schools to provide practical training or internships for students. These partnerships enable students to gain hands-on experience and enhance their employability. Additionally, businesses may engage with academic institutions to develop customized training programs or participate in research collaborations.

Informal Learning and Knowledge Sharing: Informal learning and knowledge sharing play a vital role in L&D in Georgia. Businesses encourage employees to engage in peer-to-peer learning, mentoring, and cross-

functional collaboration. Internal knowledge-sharing platforms, communities of practice, and team meetings provide opportunities for employees to exchange insights and best practices.

Continuous Professional Development: Continuous professional development is gaining importance in Georgia. Employers are increasingly recognizing the need for employees to continually update their skills. They may provide resources and support for employees to attend conferences, workshops, or pursue industry certifications. Individual employees are also taking the initiative to engage in self-directed learning and participate in online courses or webinars.

Evaluation and Measurement: Evaluating the effectiveness of L&D initiatives is crucial. Georgian businesses may utilize feedback surveys, performance metrics, and engagement indicators to assess the impact of training programs. This helps organizations identify areas for improvement, make data-driven decisions, and optimize their L&D efforts.

It's important to note that the specific L&D practices and trends in Georgia may vary across industries and organizations. Local regulations, economic factors, and cultural considerations also influence the design and implementation of L&D initiatives in the country.

Learning and Development (L&D) initiatives can have a significant impact on the development and progress of a country.

L&D can contribute to a country's development in some ways:

- Enhanced Workforce Skills: L&D programs help individuals acquire new skills, improve their competencies, and stay updated with industry trends.
- Increased Employability and Reduced Unemployment: L&D initiatives that focus on equipping individuals with relevant skills and knowledge enhance their employability. By addressing skill gaps and aligning training with industry demands, L&D programs can reduce unemployment rates and facilitate the transition of individuals into productive employment.
- Entrepreneurship and Innovation: L&D plays a crucial role in fostering entrepreneurship and promoting innovation. By providing training and support for aspiring entrepreneurs, countries can nurture a culture of innovation, stimulate the establishment of new businesses, and drive economic growth.
- Addressing Industry-Specific Needs: L&D initiatives can be tailored to address industry-specific needs and challenges. For instance, in sectors such as technology, manufacturing, or agriculture, targeted training programs can equip workers with specialized skills and expertise.
- Capacity Building and Human Capital Development: L&D contributes to capacity building and human capital development within a country. By investing in the development of individuals, organizations, and communities, L&D programs help build a strong foundation for sustainable growth.
- Continuous Learning and Adaptability: L&D initiatives foster a culture of continuous learning and adaptability. In rapidly evolving industries and markets, individuals and organizations need to continuously update their skills and knowledge to remain relevant.
- Collaboration and Knowledge Sharing: L&D initiatives often promote collaboration, knowledge sharing, and networking among individuals, organizations, and sectors. This facilitates the exchange of ideas, best practices, and experiences, leading to collective learning and problem-solving.

While L&D alone may not be the sole driver of a country's development, it plays a crucial role in building human capital, fostering economic growth, and promoting social advancement. By investing in L&D programs and creating an enabling environment for continuous learning, countries can unlock the potential of their workforce, drive innovation, and achieve sustainable development.

In Georgia, there are various types of Learning and Development (L&D) programs available to individuals and organizations. These programs cater to different sectors, industries, and professional development needs.

I'd like to mention the programs which are quite popular nowadays in Georgia:

Vocational Training Programs

Entrepreneurship Training

Professional Certification Programs

Leadership Development Programs

Language and Communication Skills Training

IT and Technical Training

Soft Skills and Personal Development Programs

Industry-Specific Training

It's important to note that the availability and scope of L&D programs in Georgia may evolve over time, and

specific programs may vary across regions and institutions. Individuals and organizations in Georgia can explore these programs through research, industry associations, educational institutions, and government initiatives to find relevant L&D opportunities that meet their specific needs and aspirations.

The level of involvement of people in Learning and Development (L&D) programs can vary based on factors such as individual motivation, employer support, access to resources, and awareness of available opportunities.

Conclusion

Enhancing team effectiveness and reducing burnout through learning and development is essential for creating a thriving and high-performing work environment. By investing in continuous learning opportunities, organizations can equip their teams with the necessary skills and knowledge to excel in their roles. Learning and development initiatives also play a crucial role in preventing burnout. By offering training programs that focus on stress management, resilience building, and work-life balance, organizations can help employees navigate the challenges of their roles while maintaining their well-being. It is important for organizations to regularly assess the impact of their learning and development initiatives to ensure they are meeting the desired objectives. Collecting feedback from employees, measuring performance improvements, and monitoring indicators of burnout can help identify areas for improvement and make necessary adjustments.

In conclusion, organizations that prioritize learning and development to enhance team effectiveness and reduce burnout are more likely to create a positive and productive work environment. By investing in the growth and well-being of their employees, organizations can cultivate high-performing teams that drive innovation, adaptability, and long-term success.

Bibliography

1. https://www.teamland.com/post/learning-annd-development-activities-for-your-team
2. https://elmlearning.com/blog/5-core-ingredients-of-learning-and-development-teams/
3. https://journals.aom.org/doi/full/10.5465/amj.2006.21794668

გუნდებში პერსონალის გამოფიტვის შემცირებისა და მუშაობის ეფექტურობის ზრდა სწავლება-განვითარების გზით

არქანია მარია

უცხოელ სტუდენტთა მიღების სამსახურის უფროსის მოადგილე

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

ბიზნესის სკოლის დოქტორანტი ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

დღევანდელ კონკურენტულ სამუშაო გარემოში გუნდები ორმაგი გამოწვევის წინაშე დგანან - პროდუქტიულობის მაღალი დონის მიღწევა და მათი წევრების კეთილდღეობის უზრუნველყოფა. სწავლება-განვითარების (L&D) პროგრამები გადამწყვეტ როლს თამაშობენ ამ გამოწვევების გადაჭრაში კერძოდ გუნდების საჭირო უნარებით, ცოდნითა და რესურსებით აღჭურვის გზით. ეს სტატია იკვლევს, თუ როგორ შეუძლიათ L&D ინიციატივებს შეამცირონ გამოფიტვა და გაზარდონ გუნდის ეფექტურობა, ხელი შეუწყონ ზრდის კულტურას და წარმატებას. ყველა წარმატებულ კომპანიას აქვს თავისი სტრატეგია, რომელიც შედგება მრავალი კომპონენტისგან. სწავლებისა და განვითარების ინიციატივებს აქვთ გუნდების გარდაქმნის ძალა და შეუძლიათ მაქსიმალური ეფექტურობის მიღწევა. მიზნობრივი პროგრამების შეთავაზებით, უწყვეტი სწავლის კულტურით, მოქნილობისა და ავტონომიის ხელშეწყობით, ცოდნის გაზიარების ხელშეწყობით, გუნდებს შეუძლიათ აყვავდნენ დღევანდელ დინამიურ სამუშაო გარემოში. L&D-ში ინვესტიცია არა მხოლოდ აძლიერებს უნარებს, არამედ ავითარებს ჩართულობას და აძლიერებს გუნდებს, რომლებიც მზად არიან წარმატებისთვის.

საკვანძო სიტყვები: L&D, ტრენინგი, ეფექტურობა.

საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების სტატუსის განსაზღვრის შესახებ (შიდა ქართლი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)

ახალაია წანა
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

მაღალმთიანი დასახლებების სტატუსის მქონე სოფლები, დაბები და ქალაქები საქართველოს ყველა რეგიონშია, რომლებიც განსხვავდებიან გეოგრაფიული მდებარეობის, ბუნებრივი კატასტროფებისადმი მოწყვლადობის, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სირთულის, ეკონომიკური აქტივობის, მოსახლეობის შემცირების, მოსახლეობის სიმჭიდროვის, მუნიციპალიტეტში ეროვნული უმცირესობების წილის და სხვა ნიშნების მიხედვით. მაღალმთიანი ტერიტორიები პრაქტიკულად დაცლილია მოსახლეობისაგან, ხოლო იქ, სადაც მოსახლეობა ჯერ კიდევ არის, რაოდენობა მკვეთრად კლებულობს. ადგილობრივები საკუთარ სახლებს ტოვებენ მძიმე საცხოვრებელი პირობების, ეკონომიკური მდგომარეობის, მოუწყობელი ინფრასტრუქტურისა თუ სხვა პრობლემების გამო. საქართველოს მთავრობის დადგენილებით მაღალმთიან დასახლებათა სტატუსი ხაშურის მუნიციპალიტეტის 37 სოფელს აქვ მინიჭებული. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან ფაქტობრივ მოწყვეტილობას განსაზღვრავს პერიფერიულობის კოეფიციენტი, რომელიც მაღალია. მუნიციპალიტეტში არის სოფლები, რომელთა საკითხის შესწავლა საჭიროა არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. მოთხოვნის მიხედვით ორი კრიტერიუმის დაკმაყოფილების პრობლემა დგას. ხაშურის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი დასახლების სტატუსის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნას, კრიტიკულ ზღვარზე მყოფი რამოდენიმე სოფლის პარამეტრები, ასევე საზღვრისპირა სოფლებში არსებული სავალალო სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა .

საკვანძო სიტყვები: მაღალმთიანი დასახლებები, სტატუსი, დემოგრაფიული, სასოფლო-სამეურნეო, პერიფერიულობის კრიტერიუმები.

ძირითადი ტექსტი

საქართველოს მაღალმთიანი დასახლებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან და დაბლობის საცხოვრებელი არეალებისგან როგორც ბუნებრივი, ეკონომიკური და სასოფლო-სამეურნეო რესურსებით, ასევე სოციალური პირობებითა და ეთნო-კულტურული თავისებურებებით. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით, მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში 9 თვის და მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრობს ასეთ არეალში, ენიჭება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი. მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობის, ცხოვრების დონის ამაღლების, დასაქმების ხელშეწყობის, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობა მათთვის განსაზღვრავს ისეთ შეღავათებს როგორიცაა: დანამატი სახელმწიფო პენსიაზე, დანამატი სოციალურ პაკეტზე, ფულადი დახმარება შვილის შეძენის შემთხვევაში, სახელფასო დანამატი მასწავლებლებს, მწვრთნელებს, ექიმებს და ექთნებს, მოხმარებული ელექტროენერგიის თანადაფინანსება, დასაქმებულთა და მეწარმე ფიზიკური პირების გათავისუფლება საშემოსავლო გადასახადიდან და მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე არსებული მიწის მესაკუთრეთა ქონების გადასახადისგან გათავისუფლება. შეღავათებს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირები და მაღალმთიანი დასახლების საწარმოები.

მაღალმთიანი სტატუსის მქონე დასახლებების განსაზღვრის მეთოდოლოგია

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული აქვს ზღვის დონიდან 1 500 მეტრ სიმაღლეზე ქვემოთ მდებარე დასახლებასაც, რომელიც აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს. კრიტერიუმები ზღვის დონიდან 1500 მეტრზე დაბლა

მდებარე დასახლებებისათვის მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მისანიჭებლად, რომლებიც არ შედის კანონით გათვალისწინებულ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში არის: *დემოგრაფიული კრიტერიუმი* - გამომდინარე იქიდან, რომ კანონის ერთერთი მიზანია მოსახლეობის მთაში შეკავება, საჭირო გახდა იმ დასახლებების იდენტიფიცირება, სადაც მიგრაციული პროცესები მწვავეა. ის დასახლება, რომელიც 800-1500 მეტრზე მდებარეობს და მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატება 10-ს ავტომატურად, კრიტერიუმების გარეშე იღებს მაღალმთიანი დასახლების სტატუსს. სხვა შემთხვევაში დემოგრაფიული კრიტერიუმი შედგება ორი ქვეკრიტერიუმისგან: 1. 2002 და 2014 წლების აღწერის პერიოდში მოსახლეობის რაოდენობამ დასახლებაში იკლო 25%-ზე მეტად 2. მოსახლეობის საშუალოდ ასაკი შეადგენს 40 წელზე მეტს. *სასოფლო-სამეურნეო კრიტერიუმი* - ამ კრიტერიუმმა უნდა გამოავლინოს ის დასახლებები, რომელთა მოსახლეობისთვისაც რელიეფი ართულებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. აღნიშნულის შეფასება გამოყენებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და გამოვლენილი ის დასახლებები, სადაც რეგისტრირებული მოქალაქეების კუთვნილი მთლიანი სასოფლო-სამეურნეო ან სახნავ-სათესი ფართობების ნახევარზე მეტის დამუშავება შეუძლებელია იმ სტანდარტული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, რომელიც გამოიყენება ბარის პირობებში. *პერიფერიულობის კრიტერიუმი* - გულისხმობს პერიფერიული დასახლებების გამოვლენას. გამომდინარე იქიდან, რომ მოსახლეობას ხელმისაწვდომობა მეტ-ნაკლებად სათანადო ინფრასტრუქტურაზე და მომსახურებაზე აქვთ მუნიციპალურ ცენტრებში, მათი დაშორება ცენტრიდან საცხოვრებელი გარემოს შედარებით დაბალ ხარისხზე მიუთითებს. მუნიციპალური ცენტრიდან დასახლების დაშორების შესაფასებლად გამოითვლიან ორ ინდიკატორს: S=0,01S1+0,02S2+0,03S3+0,04S4. სადაც S1 - დასახლებასა და მუნიციპალურ ცენტრს შორის საერთაშორისო გზების სიგრძეა, S2 - შიდასახელმწიფოებრივი, S3 - ადგილობრივი მნიშვნელობის გზა ასფალტის/ბეტონის საფარით, S4 – გრუნტის გზის მონაკვეთი. აღნიშნული მონაკვეთების სიგრძე თითოეული დასახლებისთვის მრავლდება შესაბამის სირთულის კოეფიციენტზე და ჯამდება. S-ს უწოდებენ დასახლებიდან მუნიციპალურ ცენტრამდე *მისასვლელი გზის სირთულის კოეფიციენტს,* რომელიც განპირობებულია გზის მდგომარეობიდან გამომდინარე. $\boldsymbol{K = h\ 10 + h\ 10 - h}$, სადაც, h არის კილომეტრებით გამოხატული აბსოლუტური სიმაღლე, ხოლო შედეგად იღებენ K კოეფიციენტს, რომელიც გვიჩვენებს დასახლებიდან მუნიციპალურ ცენტრამდე მისასვლელი გზის სირთულეს, რაც გამოწვეულია დასახლების მაღალმთიანობით. დასახლების პერიფერიულობა განისაზღვრება ამ ორი კოეფიციენტის ჯამით (S+K), თუ ეს ჯამი მუნიციპალიტეტის საშუალო მაჩვენებელს აღემატება, დასახლება პერიფერიულია. იმისთვის, რომ ზღვის დონიდან 1,000 მეტრზე მდებარე დასახლებას მიენიჭოს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი უნდა აკმაყოფილებდეს ზემოთ წარმოდგენილი სამი კრიტერიუმიდან ერთს მაინც, ხოლო თუ დასახლება მდებარეობს 800-დან 1,000 მეტრამდე სიმაღლეზე მაშინ ორი კრიტერიუმის დაკმაყოფილება არის საჭირო სტატუსის მისაღებად. მაღალმთიანი დასახლებების სტატუსის მქონე სოფლები, დაბები და ქალაქები საქართველოს ყველა რეგიონშია, რომლებიც განსხვავდებიან გეოგრაფიული მდებარეობის, ბუნებრივი კატასტროფებისადმი მოწყვლადობის, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სირთულის, ეკონომიკური აქტივობის, მოსახლეობის შემცირების, მოსახლეობის სიმჭიდროვის, მუნიციპალიტეტში ეროვნული უმცირესობების წილის და სხვა ნიშნების მიხედვით. ამ რეგიონების ჩამონათვალშია შიდა ქართლის ხაშურის მინიციპალიტეტი სადაც ცხოვრობს 52603 ადამიანი, საშუალო სიმჭიდროვე 90 კაცი 1კვ.მ-ზე, 14 წლის მოსახლეობის წილი არის 18,5%, შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი -66,3%, 65+ ასაკის- 1,1 %, განსახლების ზონა- 600-1000 მ. ზღვის დონიდან. მაღალმთიან დასახლებებში დგას მოსახლეობისგან დაცლის (დეპოპულაციის) პრობლემა. 2015 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის 25 სოფელს მიენიჭა მაღალმთიანი დასახლების სტატუსი, 2016 წ.-ს დაემატა 8 სოფელი, 2017 წ.-ს დაემატა კიდევ 4 სოფელი. დღეისათვის სტატუსი აქვს 37 სოფელს. მათ შორის: 800 დან- 1000 მ.-მდე - 34 სოფელი, 1000 დან -1500 მ. მდე -3 სოფელი (ალექსანდრესწყარო, დიდი თხილნარა, პატარა თხილნარა). სეზონური მაცხოვრებლებით 6 სოფელია (ქაშვეთი, ღანძილები, დიდი თხილნარა, პატარა თხილნარა, დიდი ხავლეთი, ალექსანდრესწყარო.). მაღალმთიანის სტატუსი

არ გააჩნია ორ სოფელს: ზემო ბროლოსანს და ქვემო ბროლოსანს. ქვემო ბროლოსანი :39 შინამეურნეობა, 125 მოსახლე ზემო ბროლოსანი:29 შინამეურნეობა, ჩორჩანა:16 შინამეურნეობა, 48 მოსახლე, ყობი :1 შინამეურნეობა, 2 მოსახლე, ხაშურის მუნიციპალიტეტის 37 მაღალმთიან სოფელში მოსახლეობის რიცხვი შეადგენს 2440 ადამიანს, შრომისუნარიანი მოსახლეობა - 62-85%, 0-14 წლამდე- 0-21 სოფელში, 65+ასაკის- 37-60%. მუნიციპალიტეტი არის მრავალნიადაგიანი, (1200-1600 მ. ზღვის დონიდან), მუნიციპლიტეტში განვითარებულია სოფლის მეურნეობის შემდეგი დარგები: მემინდვრეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა. ძირითადი სასოფლო - სამეურნეო კულტურები: ხორბალი, სიმინდი, ლობიო, ქერი, შვრია, ვაზი. განვითარებულია მეცხოველეობა: ძირითადად მესაქონლეობა, მეღორეობა. სოფლები ჩორჩანა და ყობი ასვე მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტში საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ.

სოფლების სახნავ-სათესი ნაკვეთები საზღვრის იქით, დასახლებული ტერიტორიები კი საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აღმოჩნდა. საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში, ოკუპაციით გამოწვეულ უსაფრთხოების პრობლემებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების წინაშე დგას. სოფელ ყობში მხოლოდ ერთი ოჯახი ცხოვრობს. საყოფაცხოვრებო და ინფრასტრუქტურული პრობლემები ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რაც განაპირობებს საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლიდან მოსახლეობის მიგრაციას. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან ფაქტობრივ მოწყვეტილობას განსაზღვრავს პერიფერიულობის კოეფიციენტი. ეს კოეფიციენტი მაღალია რასაც, უმეტეს შემთხვევაში, გზის სირთულე განაპირობებს. მუნიციპალიტეტის მცირე დასახლებათა მოსახლეობა ეკონომიკურად და სერვისებზე ხელმისაწვდომობის მხრივ დამოკიდებულია ახლომდებარე ურბანულ ცენტრებსა და კურორტებზე, თუნდაც ისინი არ შედიოდნენ იმავე მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში. მუნიციპალიტეტში არის სოფლები, რომელთა საკითხის შესწავლა საჭიროა არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. ამ სოფლების კრიტერიუმების შესაბამისობა მოთხოვნებთან წარმოდგენილია ცხრილში სადაც ნათლად ჩანს ზღვის დონიდან 800-1500 მეტრ სიმაღლეზე მდებარე დასახლებები, სადაც მცხოვრებთა რაოდენობა 10 ნაკლებია და არ აქვთ მინიჭებული მაღალმთიანი დასახლების სტატუსი, რომელთა მინიჭების მიზანშეწონილობა უნდა განისაზღვროს კრიტერიუმების გათვალისწინების გარეშე

სოფელი	სიმაღლე ზღვის დონიდან	S+K=საშ. 1,29 (>1,29)	2002	2014	დემოგრაფია		სოფლის მეურნეობა
			მოსახლეობის რიცხოვნობა	მოსახლეობის რიცხოვნობა	მოსახლეობის კლება (>25%)	საშუალო ასაკი (>40%)	სტანდ. ტექნიკით ვერ იხვნება (>50%)
ქინძათი	800	1,38	374	304	19	39,2	0,0
მონასტერი	870	1,42	217	195	10	36,7	42,8
თაგვეთი	800	1,04	103	56	46	48,4	19,5
ზემო ბროლოსანი	960	1,8	126	97	23	36,9	0,0
ქვემო ბროლოსანი	900	1,61	157	118	24,84	39,3	0,0

.

როგორც ცხრილიდან ჩანს ზემოთ ჩამოთვლილი სოფლების მონაცემებს თუ გავაანალიზებთ მოთხოვნის მიხედვით ორი კრიტერიუმის დაკმაყოფილების პრობლემა დგას, თუმცა არსებული მონაცემები მხოლოდ ხელს უშლის ამ სოფლების მოსახლეობის კეთილდღეობას.

დასკვნა

ხაშურის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი დასახლების სტატუსის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნას, მოცემული სოფლების პარამეტრები ასევე საზღვრისპირა სოფლებში არსებული სავალალო სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა და გამოსასწორებლად, აუცილებელია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებმა იმუშაონ უფრო კოორდინირებულად, იქონიონ მჭიდრო კავშირი ადგილობრივ მოსახლეობასთან და აწარმოონ მათთან აქტიური კომუნიკაცია. ხოლო, მცოცავი ოკუპაციიდან გამომდინარე საფრთხეების გათვალისწინებით, ამ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობა განსაკუთრებით პრიორიტეტული უნდა იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ, 2015
2. საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგია
3. ანგარიში „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში“ არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC), 2022 წელი
4. ჯიბუტი მ. „სივრცით-ტერიტორიული მოწყობა და რეგიონების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები“ დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბ.2020
5. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020
6. საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2016-2020 და 2017-2020 წლები
7. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2015.

About Determination of the Status of Highland Settlements of Georgia
(On the Example of Shida Kartli - Khashuri Municipality)

Nana Akhalaia
Professor of Gori State University

Abstract

There are villages, towns and cities with the status of highland settlements in all regions of Georgia, which differ in terms of geographical location, vulnerability to natural disasters, difficulty of agricultural activities, economic activity, population decline, population density, share of national minorities in the municipality and other features. Highland areas are practically depopulated, and where the population is still there, the number is decreasing sharply. Locals leave their homes due to difficult living conditions, economic situation, unorganized infrastructure or other problems. According to the decree of the Government of Georgia, the status of highland settlements has been granted to 37 villages of Khashuri Municipality. The actual separation from the administrative center of the municipality is determined by the coefficient of peripherality, which coefficient is high. There are villages in the municipality, the issue of which needs to be studied considering the current situation. According to the request, there is a problem of meeting two criteria. When determining the status of the highland settlement of Khashuri municipality, the parameters of several villages on the critical border, as well as the deplorable social and economic situation in the border villages, should be taken into account.

ტექნოლოგიების გადაცემის პროცესების თანამედროვე ტენდენციები ქართულ კომპანიებში, ენტროპიის გათვალისწინებით

ბარათაშვილი ევგენი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

გეგეშიძე ანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ქვეყნის წარმატებული განვითარება შეუძლებელია მსოფლიო ბაზართან ურთიერთობისა და ეკონომიკის გარეშე. საქართველოც არ არის გამონაკლისი. ტექნოლოგიების პროცესში იზრდება, იხვეწება და სტიმულირდება ახალი ცოდნა, რომელიც ხელს უწყობს კაპიტალის დაბანდებას, ინვესტიციის შექმნას. ენტროპია ხელს უწყობს და უზრუნველყოფს მთლიანი სისტემის გამართულ მუშაობას, დიდი ეფექტის მიღებას, ვიდრე ერთად აღებული ცალკეული ქვესისტემებისა და შემადგენლების ეფექტიანი ჯამურობა. პრობლემების მოსაგვარებლად ერთობლივი მოქმედებით მიიღწევა უფრო დიდი და მაღალი ეფექტი, ვიდრე ინდივიდუალური ძალისხმევით. საქართველოში კომპანიები ფლობენ რა საკმაო ფინანსურ შესაძლებლობებს. მათ შეუძლიათ მიიზიდონ ტალანტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან. ენტროპიული ეფექტი სხვა არაფერია, თუ არა ცვლილვებისკენ მისწრაფება, მისი განვითარების ტრაექტორია და იმავდროულად, გვაქვს არამხოლოდ ეკონომიკური სისტემის ელემენტების კოლექტიური მოქმედების შედეგის მეტობა მათი ინდივიდუალური მოქმედების ჯამზე, რაც ახალიათებს ენტროპიული ეფექტის შესახებ გავრცელებული შეხედულების შეზღუდულობას. რთული სისტემების ქცევის შესწავლამ საბოლოოდ გაფანტა წარმოდგენა იმის შესახებ, რომ თითქოს არსებობდეს ერთადერთი გზა გარანტირებული ახალი ტექნოლოგიების გადაცემის წარმატებისა. თანამედროვე ტექნოლოგიების გადაცემის პროცესებში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მოწესრიგებულობა, ურთიერთკავშირები, ურთიერთობებისა და შეზღუდულობების პროცესი. მნიშვნელოვანია შინაგანი იმპულსების შერჩევა, რაც უზრუნველყოფს ახალი ტექნოლოგიების პროცესში ენტროპიული თეორიის გათვალისწინებას.

საკვანძო სიტყვები: ენტროპია; ტექნოლოგიები; ეკონომიკა; ცოდნა; ინოვაცია.

ძირითადი ტექსტი

მსოფლიოში ძლიერდება სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულება. ხდება ბაზრებთან ინტეგრაცია და თანამშრომლობა, იზრდება ცოდნისა და ახალი ტექნოლოგიების როლი. ქვეყნის წარმატებული განვითარება შეუძლებელია მსოფლიო ბაზართან ურთიერთობის გარეშე და ქვეყნის შიდა ეკონომიკური, საფინანსო პოლიტიკის გლობალურ, რეგიონულ ლიდერებთან კოორდინაციის გარეშე, ენტროპიის გათვალისწინებით. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა უზრუნველყოფს საგარეო პირობებს, საზოგადოების დემოკრატიულ საფუძველს, საერთაშორისო ურთიერთობებში მოქალაქის გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლების დაცვას.

საქართველოც არ არის გამონაკლისი. ის დამოკიდებულია მსოფლიო და რეგიონალურ ბაზრებზე. XXI საუკუნის მიჯნაზე საქართველო უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანების წინაშე აღმოჩნდა. მთავარი იყო სახელმწიფოებრიობის აღდგენა, რომელიც მისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალ-კულტურული პროგრესის საფუძველია. ეროვნული ეკონომიკის განახლება-განვითარება შეუძლებელია ენტროპიის თეორიის გარეშე. ამისთვის საჭიროა შესაბამისი თეორიული ბაზის მომზადება, რასაც წინ უნდა უსწრებდეს ჭრმა მეცნიერული ანალიზი.

საქართველოში მიმდინარეობს რთული წინააღმდეგობით სავსე პროცესები. წლების განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკურ იზოლაციაში ყოფნას უკვალოდ არ ჩაუვლია, ამიტომაც თანამედროვე ტექნოლოგიები კომპანიებში რთულ პრობლემასთან ჰქონდა საქმე. ამიტომ საქართველოს ხედვა ევროპულ კონტექსტში აუცილებელ საფუძველს ქმნის მომავალი ტექნოლოგიების საქმეში.

ქართულ ეკონომიკაზე, როგორც ცნობილია, ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა სტიმულები. მასში

შესაძლებელია დომინანტური პოზიცია დაიკავოს მსოფლიო და სამამულო ეკონომიკური ნაშრომებით მეცნიერულად დასაბუთებულმა ფუნდამენტურმა და რეალურმა სოციალურად მნიშვნელოვანმა ფასეულობებმა. მათ რიცხვს მიეკუთვნება მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგია, რომელთა ფორმირებასა და რეალიზაციას ასევე შესწევს უნარი, რეგიონში გახდეს ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მნიშნელოვანი ფაქტორი.

რეგიონულ სივრცეში სტრატეგიული მოქმედებისათვის აუცილებელია წარმოდგენილი გვქონდეს აქტუალური კანონზომიერებების წყება და იმ ფაქტორების კომპლექსი, რომლებიც დამატებით ზემოქმედებს მოვლენათა მოსალოდნელი დასრულების შედეგზე. ამიტომ, ამ მიზნით საჭიროა ვილაპარაკოთ ეკონომიკაში ენტროპიის კატეგორიის შემოტანასა და მის დამკვიდრებაზე.

საქართველოს ტექნოლოგიების პროცესში იზრდება, იხვეწება და სტიმულირდება ახალი ცოდნა. ის დაფუძნებულია ინვესტიციების მექანიზმებზე, მეცნიერულ კვლევებზე, საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოებზე და ინვესტორთა უფლებათა დაცვაზე. ყოველივე ეს ხელს უწყობს დააბანდოს კაპიტალი, მონახოს მყარი ინვესტიციები და ქართულ კომპანიებში დააბანდოს ახალი ტექნოლოგიები. ამავე დროს, იქმნება ცოდნის მონოპოლიზაცია და ფუნდამენტალური გამოკვლევების მიმზიდველობის შემცირება, უმოკლეს პერსპექტივაში ინვესტორებისათვის მოგების შემცირება.

ენტროპია ხელს უწყობს და უზრუნველყოფს მთლიანი სისტემის გამართულ მუშაობას, დიდი ეფექტის მიღებას, ვიდრე ერთად აღებული ცალკეული ქვესისტემებისა და შემადგენლების ეფექტიანი ჯამურობა. ენტროპია ეკონომიკაში ნიშნავს სტრატეგიულ უპირატესობებს, რომლებიც წარმოიშობა ერთობლივი ხელმძღვანელობით ორი ან მეტი კომპანიის შეერთება-თავმოყრით. ამ დროს მატულობს და მაღლდება ეფექტიანობა, რომელიც გამოვლინდება ნაყოფიერების ზრდით, წარმოების დანახარჯების შემცირებით: ასე რომ, პრობლემების მოსაგვარებლად ერთობლივი მოქმედებით მიიღწევა უფრო დიდი და მაღალი ეფექტი, ვიდრე ინდივიდუალური ძალისხმევით. ენტროპიული ეფექტი ტექნოლოგიების გადაცემის პროცესის დონეზე შეიძლება შეფასდეს კომპანიის მუშაობის შედეგების მიხედვით; დარგში გაერთიანებისა და კონკურენციის გაძლიერებით; ორგანიზაციის პერსონალისა და ნოვატორ-ინოვატორების არაწინააღმდეგობრივი ურთიერთქმედებით; მართვის წესებით; პიროვნული და პროფესიული განვითარების სრულყოფით. ინტელექტუალური საკუთრების ბაზარზე ტექნოლოგიების გამყარების ძირითად მექანიზმებს წარმოადგენს სამართლებლივი ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია ენტროპიის შედეგების დაცვასთან.

საქართველოში კომპანიები ფლობენ რა საკმაო ფინანსურ შესაძლებლობებს. მათ შეუძლიათ მიიზიდონ ტალანტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან. „ტვინის გადინების“ ეფექტი ხელს უწყობს მსხვილი კომპანიების დომინირებას, რამდენადაც თავის ქვეყანაში ნიჭიერი სპეციალისტები ინოვაციული საქმიანობისთვის ყოველთვის არ არიან უზრუნველყოფილნი მისარები პირობებით. სასაქონლო ნიშნის დაცვის მექანიზმები საშუალებას აძლევს კომპანიებს ახალი ტექნოლოგიების პროცესებში შეინარჩუნონ ლიდერობა. აქტიურად ახდენენ კაპიტალის ინვესტირებას ბრენდების შექმნაში და ზრდიან ენტროპიის გაგებას თანამედროვე ბაზარზე. ენტროპიული იდეების გამოყენება გვეხმარება მართვის ეფექტიანობის ამაღლებაში, კერძოდ, განსაკუთრებული დანახარჯების გარეშე შევიცნოთ და გავიაზროთ მნიშვნელოვანი ხარვეზები და მათი აღმოფხვრის გზები.

ეკონომიკაში არსებობს მთელი რიგი დარგები, რომლებშიც ტექნოლოგიების გადაცემის პროცესები თანამედროვე კომპანიებში და მათ მიერ წარმოებული პროდუქტები 90%-ს წარმოადგენს. მათში შედის ცოდნის ინტელექტუალური აქტივები. ტრადიციულ ეკონომიკას კომკურენტულობის დაცვის საშუალება არ ქონდა. მნიშვნელოვანია ნივთების დამზადების საშუალება, შიდა მოწყობილობა, აგებულება და სხვა. ყველა ეს ელემენტები არსებითად ზემოქმედებენ პროდუქტის დახასიათებაზე და მის უნარზე დააკმაყოფილოს საბოლოო მომხმარებლის მოთხოვნილებები.

კომპანიაში ტექნოლოგიების გადაცემის პროცესების დროს იბადებოდა მნიშვნელოვანი საშუალებანი რათა შექმნილიყო და დამყარებულიყო კონკურენტული უპირატესობანი. მსოფლიო ეკონომიკაში ჩამოყალიბდა სამართლებლივი ნომრმები, რომლებიც ამყარებენ კომპანიის უფლებას მათ მიერ შექმნილ ცოდნაზე. ხორციელდება ინვესტიციების დაცულობა, ეს მეტად მნიშვნელოვანია

განვითარებული სამრეწველო საზოგადოების პროცესებში, რომლებშიც ახალი პროდუქტის დამუშავება (კვლევები) ხდება ენტროპიული პირობების გათვალისწინებით.

ენტროპიული ეფექტი სხვა არაფერია, თუ არა ცვლილებისკენ მისწრაფება, მისი განვითარების ტრაექტორია და იმავდროულად, გვაქვს არამხოლოდ ეკონომიკური სისტემის ელემენტების კოლექტიური მოქმედების შედეგის მეტობა მათი ინდივიდუალური მოქმედების ჯამზე, რაც ახალიათებს ენტროპიული ეფექტის შესახებ გავრცელებული შეხედულების შეზღუდულობას. რთული სისტემების ქცევის შესწავლამ საბოლოოდ გაფანტა წარმოდგენა იმის შესახებ, რომ თითქოს არსებობდეს ერთადერთი გზა გარანტირებული ახალი ტექნოლოგიების გადაცემის წარმატებისა. ახალმა შეხედულებამ კომპანიაზე, როგორც რთულ სისტემაზე, საშუალება მოგვცა ყურადღება მიგვეპყრო მრავალ პირობაზე, რომლებიც წარმოადგენენ მათი ეფექტიანობის განმსაზღვრელს. საქართველოში ქართული კომპანიების ხანგრძლივვადიანი ტექნოლოგიების წარმატებების მიზეზების გამოკვლევამ აჩვენა, რომ ყოველ შესწავლილ ცნობილ კომპანიას (თიბისი ბანკი, საქართველოს ბანკი, ევროპაბეთი, აჭარაბეთი, ასკანელი ძმები, გსქ კულა) გარეგნულად სრულიად განსხვავებული სავალი გზები ჰქონდათ, მაგრამ კომპანიების საქმიანობის სიღრმისეული მექანიზმები ერთდროულად არატრადიციული და მსგავსია.

დასკვნა

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების გადაცემის პროცესებში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მოწესრიგებულობა, ურთიერთკავშირები, ურთიერთობებისა და შეზღუდულობების პროცესი. ამასთან ერთად, მნიშნელოვანია კომპანიის შიგნით ევოლუციური პროცესები; თვითრეგულირებადი სტრუქტურების შექმნა; ღია სისტემებში პროცესების შესწავლა აზროვნების კუთხით; შინაგანი იმპულსების შერჩევა, რაც უზრუნველყოფს ახალი ტექნოლოგიების პროცესში ენტროპიული თეორიის გათვალისწინებას. ეს საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს და იგი უნდა განვიხილოთ ინოვაციური მართვის კონტექსტში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., გალახვარიძე ნ., გრძელიშვილი ნ., ნადარეიშვილი ნ., „რეგიონული ეკონომიკა“, თბ., 2010.
2. აბრალავა ა., „გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ“, (მონოგრაფია), თბ., 2001.
3. ჭალაგანიძე შ., „საინოვაციო საქმიანობის პრობლემები საქართველოში“, თბ., 2000.
4. Richard L. Daft, New of Management, 11th ed 2017;
5. I. M. Abassov, R. F. Sadigov, Management (Manual), Viana do Castelo, 2015;

Modern trends of technology transfer processes in Georgian Companies, considering Entropy

Evgeni Baratashvili
Professor of Georgian Technical University
Ana Gegeshidze
PhD student of Georgian Technical University

Abstract

Successful development of the country is impossible without relations with the world market and economy. Georgia is not an exception. In the process of technology, new knowledge grows, improves and stimulates, which contributes to capital investment, investment creation. Entropy promotes and ensures the smooth functioning of the entire system, achieving a greater effect than the effective sum of the individual subsystems and components taken together. Working together to solve problems has a greater and higher effect than individual efforts. Companies in Georgia have sufficient financial capabilities. They can attract talent from around the world. The entropic effect is nothing more than the tendency to change, its development trajectory, and at the same time, we have not only the excess of the result of the collective action of the elements of the economic system over the sum of their individual actions, which renews the limitations of the widespread view of the entropic effect.

Key words: Entropy; Technologies; Economy; Knowledge; Innovation.

ეროვნული პარკი - ტურისტული ობიექტი

ბარკალაია ბესიკ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აქიმიშვილი ნინო
აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია დაცული ბუნებრივი ტერიტორიის სისტემები სადაც, ძირითადი აქცენტები კეთდება, სხვადასხვა პირობებში მიზნების საფუძველზე რელიეფური, კლიმატური, ფლორისტიკული და ფაუნისტური სხვაობების, ეკოლოგიური, ბუნებრივი ლაშდშაფტების და ბუნებათსარგებლობის მდგომარეობას. სახელმწიფოში ბუნებისდაცვითი სტრატეგიის არსებობას დაკავშირებულს - ტრადიციების, რეგიონული და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, საკანონმდებლო ინსტიტუციური და ფინანსური უზრუნველყოფის განსხვავებულ დონეს. ამასთან დაკავშირებით კი, ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირმა ,,IUCN", შეიმუშავა დაცული ბუნებრივი ტერიტორიების კატეგორიები და მათი განსაზღვრის ერთიანი სისტემა და სადაც, თავისი პოლიფუნქციური მნიშვნელობით, ფართობის სიდიდით, გავრცელების ფართო მასშტაბურობით, ხანგრძლივი ტრადიციის არსებობით და პოპულარობით, გამორჩეული ადგილი უკავია ეროვნული პარკის კატეგორიას. გარდა ამისა, განხილულია ეროვნული პარკების ფორმირების იდეა რომელიც დაკავშირებული იყო ბუნების საუკეთესი ნიმუშების უკვდავყოფასთან და მათი ადამიანისთვის ჩვენებასთან. გარდა ამისა, დასაბუთებულია დაცული ტერიტორიების და მათ შორის ეროვნული პარკების თვისებები. ტურისტული თვალსაზრისით ტერიტორიების გამოყენების დასაშვები ზღვარი, რაც დაკავშირებულია ბუნებრივ, სოციალურ და მმართველობითი ფაქტორებთან. ასევე, საქართველოში ეროვნული პარკების განვითარების კონცეპტუალური სქემის თავისებურებები რაც ითვალისწინებს ვიზიტორთა გადაადგილების შეზღუდვების თავისებურებებს. ასეთი მიდგომა წარმოადგენს მდგრადი ტურიზმის განვითარების საფუძველს და რაც პირდაპირ კავშირშია უნიკალური ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებასთან მუდმივი სარგებლობისათვის.

საკვანძო სიტყვები:დაცული ტერიტორია, ეროვნული პარკები, რეკრეაცია, ლანდშაფტი, უნიკალური, ვიზიტორები, ტურისტები, ეკოსისტემები, ტრადიციული, რეგიონული, ბუნებისდაცვა, სტრატეგია, ინფრასტრუქტურა, რელიეფი, კულტურული.

ძირითადი ტექსტი

დაცული ბუნებრივი ტერიტორიის სისტემები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა პირობებში, მიზნების საფუძველზე და მიმართულებით ვითარდებოდა. მათ შორის უნდა აღინიშნოს რელიეფური, კლიმატური, ფლორისტიკული და ფაუნისტური სხვაობები, ეკოლოგიური, ბუნებრივი ლანდშაფტების, ბუნებათსარგებლობის მდგომარეობა, სახელმწიფოში ბუნებისდაცვითი სტრატეგიის არსებობა - ტრადიციების, რეგიონული და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, საკანონმდებლო ინსტიტუციონალური და ფინანსური უზრუნველყოფის განსხვავებული დონე და სხვა. ბუნებრივია, რომ ამან წარმოშვა დაცული ტერიტორიების სახეობათა ცნებებში კითხვათსხვაობაც, რომლის დაძლევასაც შეეცადა ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი ,,IUCN", შეიმუშავა რა დაცული ბუნებრივი ტერიტორიების კატეგორიები და მათი განსაზღვრის ერთიანი სისტემა. მათ შორის, თავისი პოლიფუნქციური მნიშვნელობით, ფართობის სიდიდით, გავრცელების ფართო მასშტაბურობით, ხანგრძლივი ტრადიციის არსებობით და პოპულარობით, გამორჩეული ადგილი უკავია ეროვნული პარკის კატეგორიას.

უნდა აღინიშნოს, რომ უცხოეთში, ეროვნული პარკების შექმნის გარიჟრაჟზე, სამეურნეო სარგებლობიდან ძვირფასი და დასაცავი ტერიტორიების ამოღების მთავარ არგუმენტად რეკრეაცია ითვლებოდა და მართლაც, პირველ ხანებში, დასვენება, სხვა საქმიანობისგან განსხვავებით, ამ

ტერიტორიებს საფრთხეს არ უქმნიდა და მხოლოდ მოგვიანებით, დაახლოებით მე-20 საუკუნის დასაწყისიდან რეკრეაციამ ბუნებაში საშიში სახე მიიღო, რამაც დასვენებისაგან ბუნების დაცვის საგანგაშო პრობლემაც წარმოშვა.

ეროვნული პარკების იდეა ისტორიულად ორი მისწრაფებიდან იღებდა სათავეს, ეს იყო ბუნების საუკეთესი ნიმუშების უკვდავყოფა და მათი ადამიანისთვის ჩვენება. მაგრამ უკანასკნელ ათწლეულებში უნიკალობის ცნება შეიცვალა, თანაც გაფართოვდა. დღეს უნიკალურად თვლიან არა მარტო გეოგრაფიულ ფენომენებს - უმაღლეს მთებს, უღრმეს ტბებს, ფართო მყინვარებს, ღრმა გამოქვაბულებს, შთამბეჭდავ კანიონებს და ჩანჩქერებს. ეს ღირსშესანიშნაობები როგორც ბუნებრივი მოვლენები, თავისი იშვიათობის, სილამაზის და მცირერიცხოვნობის გამო დაცვას საჭიროებს, რადგან უზომოდ გაიზარდა სამეურნეო საქმიანობის გააქტიურებით გამოწვეული ზეწოლა ბუნებაზე, საფრთხე შეუქმნა ორგანულ სამყაროს და ამჟამად, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლები სულ უფრო იშვიათი და ფასეული გახადა.

ამ გარემოებამ ტურისტს ბუნებისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაუღრმავა. მას უკვე მხოლოდ ლანდშაფტის სილამაზე და თავისებურება კი აღარ იზიდავს, არამედ იმ ფენომენთა ნახვის სურვილიც უჩნდება. ისინი სხვადასხვა ბუნებრივ ზონებში ან ქვეყნებში ადამიანის ზემოქმედებისაგან ან სტიქიური მოვლენებისაგან გადარჩენილი ლანდშაფტების ფრაგმენტებს, ასევე ვიწროარეალურ ენდემებს, ფლორისა და ფაუნის გადაშენების ზღვარზე მისულ ან მცირერიცხოვან სახეობებს წარმოადგენენ და მათ დაცვა სჭირდებათ. ხოლო ამ ღირსშესანიშნაობათა თავმოყრის ადგილი და მათი ზრუნვა-პატრონობის განმახორციელებელი დაწესებულება ხომ ძირითადად ეროვნული პარკია. ხშირად ტურისტებს სურვილი უჩნდებათ არაკომფორტულობას შეუთავსონ კომფორტი, მაგალითად, როგორიცაა აუზში ცურვა, მზის აბაზანების მიღება, მაღაზიებში სიარული, რესტორნებში და კაფე-ბარებში დროს გატარება, ადგილობრივი ადათ-წესების და ეროვნულ-კულტურული პროგრამების გაცნობა და სხვა. ამიტომ, ტურისტებისათვის შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალური კომფორტის შესაქმნელად მიზანშეწონილია კომფორტის ელემენტები დაიგეგმოს ეროვნული პარკის მომიჯნავე ტერიტორიაზე (დამხმარე ზონებში). ზემოთ ჩამოთვლილი კომფორტის ელემენტების შერწყმა მაქსიმალურად დააკმაყოფილებს ტურისტების მოთხოვნებს და გაზრდის ეროვნული პარკების რენტაბელობას, რის შედეგადაც პარკს უფრო მეტი შემოსავალი გაუჩნდება.

ტურიზმის ამოცანების გადასაწყვეტად, ეროვნული პარკების მართვისა და კომპლექსური ინფრასტრუქტურის შექმნისათვის აუცილებელია არსებობდეს მჭიდრო კავშირი პარკის ადმინისტრაციასა და ეროვნულ - რეგიონულ ტურისტულ ორგანოებს შორის, რადგან ამ ორგანოებს შეუძლიათ გარკვეული დახმარება გაუწიონ პარკების ადმინისტრაციას ტურისტული ობიექტების მოსაწყობად. გარდა ამისა, პარკის ადმინისტრაციამ უნდა განუმარტოს ტურისტულ ორგანოებს რა შეზღუდვები არსებობს ტურისტებისათვის, პარკის შიგნით არსებული მარშრუტები და სხვა. შეზღუდვების ერთი ნაწილი მიმართულია პარკის გადაჭარბებული გამტარუნარიანობის წინააღმდეგ და უკონტროლობამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს პარკზე, გაანადგუროს ის რესურსები რაზეც დამოკიდებულია ტურიზმის განვითარება.

გამტარუნარიანობა არის ვიზიტორთა მიერ ტერიტორიის გამოყენების დასაშვები ზღვარი, რომელიც უზრუნველყოფს პარკის ნაწილში ტურისტების მოთხოვნების მაღალ დონეზე დაკმაყოფილებას და ბუნებრივი ეკოსისტემების უმნიშვნელო დაზიანებას. გამტარუნარიანობის შესაფასებლად არსებობს სხვადასხვა ფაქტორები და ძირითადად ესენია: ბუნებრივი, სოციალური და მმართველობითი.

- ❖ ბუნებრივ ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ - პარკის ტერიტორიის ნაწილი სადაც დაშვებულია ტურიზმის შეზღუდული განვითარება. გარემო სადაც განსაკუთრებული ეკოსისტემები შეიძლება არსებობდეს და გამტარუნარიანობის გაზრდით შესაძლებელია მათი დაზიანება ან განადგურება. ლანდშაფტი, სადაც გამტარუნარიანობის გაზრდით მოსალოდნელია ნიადაგის ეროზირება. გამტარუნარიანობის გაზრდა უარყოფითად მოქმედებს ცხოველთა და ფრინველთა ბინადრობის პირობებზე, ხელს უშლის მათ

ბუნებრივი გამრავლების პროცესს და სხვა.

- ❖ სოციალურ ფაქტორებს მიეკუთვნება - ვიზიტორთა კონცეტრაცია ან თანაბრად განაწილება. პარკის ტერიტორიაზე ტურისტთა განთავსების საშუალებების არსებობა. კემპინგები, ქოხები და ცხოველებზე დაკვირვების შესაძლებლობა, თუ რამდენ ადამიანს შეუძლია ერთდროულად დაკვირვების მოხდენა და სხვა.
- ❖ მმართველობით ფაქტორებს - მიეკუთვნებ პარკებში სავალი ბილიკების რაციონალურად დაგეგმარება, პარკის ტერიტორიაზე ტურისტებისათვის განთავსების საშუალებების მშენებლობებისათვის ტერიტორიების შერჩევა. პარკის ტერიტორიაზე, ვიზიტორთა კონცენტრაციის თავიდან ასაცილებლად სარეკლამო ფირნიშების რაციონალური განლაგება, ვიზიტორებისათვის შესაბამისი საინფორმაციო-განმარტებითი საუბრების ჩატარებ. პარკის საშტატო პერსონალისთვის ფუნქციების განაწილება და სხვა.

საქართველოში ეროვნული პარკების განვითარების კონცეპტუალური სქემა ითვალისწინებს საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით შემუშავებული საქმიანობის განაწესს, რომელშიც სხვადასხვა ზონების მიხედვით ცალცალკეა განსაზღვრული ადამიანის საქმიანობის შეზღუდვები კერძოდ, პარკში არსებულ ბუნების მართვადი დაცვისა და ვიზიტორთა ზონებში იკრძალება: ეკოსისტემისების და მისი (მათი) კომპონენტების მოდიფიცირება (სახის შეცვლა); ბუნებრივი რესურსების რღვევა, დაზიანება, ამოღება, ნადირობა, თევზაობა, საქონლის ძოვება, თიბვა და მერქნის მოპოვება; გარემოს დაბინძურება ნიადაგის, წყლის, ჰაერის ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ნებისმიერი სახის რადიაქტიული დაბინძურება; უცხო და ეგზოტიკურ ცოცხალ ორგანიზმთა შემოყვანა და გავრცელება; ტერიტორიაზე ვიზიტორთა მიერ საბრძოლო, სათევზაო და სანადირო იარაღისა და ნებისმიერი მოწყობილობების შეტანა; ტერიტორიაზე ვიზიტორთა ყოფნა სპეციალურად გამოყოფილი დროისა და ადგილების მიხედვით (ტურისტული ბილიკები და თავშესაფრები, სპეციალურად მოწყობილი ადგილების) გარდა; ვიზიტორთა გადაადგილება მოტორიანი და სხვა აკრძალული სახმელეთო, საჰაერო და საწყალოსნო სატრანსპორტო საშუალებებით; ბუნებრივი გარემოსათვის უსაფრთხო რაოდენობაზე გადაჭარბებით ვიზიტორთა დაშვება; ბუნებრივ ზონაში ბუნებრივი რესურსებისა და ტერიტორიის სახელმწიფო საკუთრების შეცვლა და სარგებლობაში გადაცემა კანონით განსაზღვრული დაცული ტერიტორიების სახელმწიფო სამსახურის გარდა;

ამგვარად, კაცობრიობა მეტად აქტუალური პრობლემის - ტურიზმისა და ბუნების დაცვის ურთიერთზემოქმედების გარკვევის, მათი თანაარსებობის რაციონალური გზების დასახვისა და პრაქტიკული განხორციელების წინაშე დგას. ამასთან დაკავშირებით, წარმოჩინდა საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხი ეროვნული პარკების ფუნქციონირებაში ტურიზმის მზარდი როლის, მათ შორის პოზიტიური და ნეგატიური ურთიერთზემოქმედების შესწავლა და ჰარმონიული გზების ძიება. ამასთან, ეროვნულ პარკებში ბუნებრივი და ისტორიული ფასეულობების უკვდავყოფის ტრადიციულ იდეებთან ერთად ბოლო ხანს სულ უფრო მზარდი და არსებითი როლი ენიჭება ასევე დიდ მიზანს - დამსვენებელი ადამიანის ეკოლოგიური განათლების ორგანიზაციას. მას გარკვეული ხარვეზის ამოვსება ევალება არა მარტო ტურისტული და რეკრეაციული მომსახურების სრულყოფის, არამედ ქვეყნის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ ინტერესის გაღვიძების, მათი დაცვის და ნამდვილი მოქალაქეობრივი დამოკიდებულების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

დასკვნა

აღნიშნულ სტატიაში მოცემულია დაცული ბუნებრივი ტერიტორიის სისტემები და მათ შორის ეროვნული პარკების თვისებები. ტურისტული თვალსაზრისით ტერიტორიების გამოყენების დასაშვები ზღვარი, რაც დაკავშირებულია ბუნებრივ, სოციალურ და მმართველობითი ფაქტორებთან. ასევე, საქართველოში ეროვნული პარკების განვითარების კონცეპტუალური სქემის თავისებურებები რაც ითვალისწინებს ვიზიტორთა გადაადგილების შეზღუდვების თავისებურებებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ. ბარკალაია „ეროვნული პარკები"(თბილისი, 2010წ);
2. ბ. ბარკალაია „ეროვნული პარკები და მოსახლეობა" (თბილისი, 2015წ);
3. საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (თბილისი, 2018);
4. ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. (თბილისი,2020).

National Park – The Tourist Site

Besik Barkalaia
Georgian Technical University Professor

Nino Akimishvili
P.H. Doctor

Abstract

The present article discusses the systems of protected natural areas, where the main emphasis is placed on the relief, climatic, floristic and faunal differences, ecological, natural landscapes and nature use conditions under different conditions. Regarding the existence of nature protection strategy in the state – it refers to taking into account traditions, regional and national interests, different levels of legislative institutional and financial provision.

In this regard, the International Union for Conservation of Nature "IUCN" has developed the categories of protected natural areas and a unified system for their determination, and where, with its polyfunctional importance, the size of the area, the wide scale of distribution, the existence of a long tradition and popularity, the category of national park occupies a prominent place.

In addition, the idea of formation of national parks is discussed, which was related to the immortalization of the best specimens of nature and their display to people. Furthermore, the properties of protected areas, including national parks, are substantiated in the article. The article also refers to the permissible limits for the touristic use of territories related to natural, social and governance factors. Also, the peculiarities of the conceptual scheme of the development of national parks in Georgia, which takes into account the peculiarities of restrictions on the movement of visitors. Such an approach is the basis for the development of sustainable tourism and is directly related to the preservation of unique natural resources for permanent use.

მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების გზები ქართულ რეალობაში

ბაღათურია მარინა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ბერუაშვილი მანანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

მარტიაშვილი მაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესი ინდივიდუალურია და სხვადასხვა გარემოებებით ხასიათდება. ხშირად არის პრაქტიკაში ისეთი შემთხვევები, როდესაც უწევთ გადაწყვეტილების მიღება კონფლიქტურ, ან არაკონფლიქტურ სიტუაციაში.სრულყოფილად არაკონფლიქტური სიტუაციები არ არსებობს.მენეჯერმა უნდა იცოდეს როგორ შეაფასოს კონფლიქტის ხარისხი. კონფლიქტის ანალიზი საშუალებას მისცემს მას იზრუნოს მის მოგვარებაზე.ქართულ რეალობაში, მოქმედი ფაქტორების ანალიზი, მმართველობითი გადაწყვეტილებების ეფექტურად მიღების გარანტიაა.

როცა ვსაუბრობთ მმართველობით გადაწყვეტილებებზე და მასზე მოქმედ ფაქტორებზე ქართულ რეალობაში, პირველი, რაც უნდა განვიხილოთ არის კომპანიათა შიდა გარემო. ხშირად გადაწყვეტილებათა მართებულობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, რომელიც ხელს უშლის გადაწყვეტილებათა ოპტიმიზაციას.შესაბამისად, რისკი იმისა, რომ უმაღლეს მენეჯერებს არასწორი, ხშირად, არა გაზრდის, არამედ პირადი ინტერესებისათვის მიეწოდებათ კონკრეტული ინფორმაციები.

ქართულ სივრცეში კომპანიებს ადეკვატურად მიიღონ მმართველობითი გადაწყვეტილებები აფერხებს პოლიტიკა და გარემო, რომელშიც უწევთ გადაწყვეტილების მიღება და შემდეგ მისი რეალიზება. ქართულ რეალობაში პოლიტიკა, როგორც წყობა და მიმართულება კომპანიებში არც თუ ისე კარგად არის ჩამოყალიბებული. ხშირად შევხვდებით კონპანიებში გარემოს, სადაც არის პრინციპული შეუთანხმებლობა, მენეჯერთა მრავალფეროვნება, სადაც პიროვნული ინტერესები ჭარბობს მმართველობით ინტერესებს. პრობლემა, რომელიც პრინციპულ მიდგომებს რთავს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაში, ცუდ გავლენას ახდენს კომპანიებზე და აუცილებელია მისი ანალიზი და განხილვა.

საკვანძო სიტყვები: ოპტიმალური ალტერნატივა, კლასიკური მოდელი, კონკურენტუნარიანი პროდუქტიულობა

ძირითადი ტექსტი

ნებისმიერი კომპანიის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პროცესების მართვას.სტრატეგიული გადაწყვეტილებები კომპანიის დაარსების საწყის ეტაპზეც და მის შემდეგაც უმნიშვნელოვანესია. სტრატეგიული გადაწყვეტილებები განსაზღვრავს თუ რა უნდა იყოს კომპანიის სტრუქტურა, სტრატეგია, მიზნები, მისია, კომპანიის პოლიტიკა. სტრატეგიული გადაწყვეტილებები მიიღება კომპანიის უმაღლესი მენეჯერების დონეზე.კომპანიის უმაღლესი მენეჯერების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, თუ როგორ უნდა იფუნქციონიროს კომპანიამ, უნდა იყოს საფუძველი საშუალო მენეჯერებისათვის და მიმართული არსებული რესურსების განაწილებაში. საშუალო მენეჯერებისათვის გადაწყვეტილების მიღება უკავშირდება, როგორც ფინანსური, ასევე ადამიანური და სხვა რესურსების განაწილებას.სტრატეგიულ და ტაქტიკურ გადაწყვეტილებებს, კომპანიის პოლიტიკის სრულყოფისათვის, უნდა ერთვოდეს სწორი, ოპტიმალური ოპერატიული გადაწყვეტილებები. მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების გარეშე, არც ერთი პროცესი არ ექვემდებარება შესრულებას. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ერთ-ერთი პრიორიტეტული არის

ინფორმირებულობის უზრუნველყოფა. მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესი იწყება მაშინ, როდესაც არსებობს კონკრეტული სუბიექტი. პირველ ეტაპზე ხდება პრობლემის, სუბიექტის გამოკვლევა და ანალიზი.იმ შემთხვევაში თუ მენეჯერებს ამ ეტაპზე აქვთ ინფორმაცია რესურსებზე, არსებულ რეალობასა და იმ შედეგებზე, რომლის მიღწევაც მისაღები გადაწყვეტილებით სურთ, მაშინ მათ შეუძლიათ გადავიდნენ გადაწყვეტილების მიღების მეორე ეტაპზე.პრობლემის წარმოშობის, ინფორმაციის მიღებისა და გადაწყვეტილების მიღებამდე, მენეჯერებმა უნდა გააანალიზოს ფაქტორები.გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არასწორი მოდელირება გამოიწვევს არასასურველ შედეგს. არასწორი მოდელის შერჩევა მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებას აჭიანურებს, აფეხებს, შეუძლებელს ხდის. თუ მენეჯერმა ოპტიმალური მოდელირება ვერ მოახერხა, მიღებული გადაწყვეტილება არასასურველ შედეგს გამოიწვევს.

კლასიკური მოდელით ხელმძღვანელობენ ის მენეჯერები, რომლებსაც სრულყოფილი კვალიფიკაცია აქვთ მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისათვის. კლასიკური მოდელი გულისხმობს, რომ გადაწყვეტილებაზე მოქმედი ფაქტორები სრულყოფილად აღქმულია, ყველა შესაძლო ვარიანტი, ალტერნატივა არის გათვალისწინებული, მენეჯერებს სრულყოფილი ინფორმაცია აქვს მიღებული გადაწყვეტილების მისაღებად. მენეჯერს აქვს კვალიფიკაციის ის დონე, რომელიც აუცილებელია ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად.

თუ კლასიკური მოდელი მოითხოვს ინფორმაციის სრულყოფილად ათვისებას, ყველა გარემოების გათვალისწინებას, სრულ მზადყოფნას გადაწყვეტილების მიღებისათვის, პოლიტიკური მოდელისათვის დამახასიათებელია ინფორმაციისა და რესურსების ნაკლებობა.მენეჯერები, რომლებსაც უწევთ პოლიტიკური მოდელით ფუნქციონირება, მუდმივად ცვლიან ინფორმაციას ერთმანეთში. იმისათვის, რომ საერთო აზრამდე მივიდნენ იყენებენ დისკუსიას მუდმივი საუბრითა და მსჯელობით. ინფორმაციათა გაცვლა ხდება, მას შემდეგ, რაც მენეჯერებს ინფორმირებულობის საერთო დონე ექნებათ. დისკუსია ეხმარებათ გარემო ფაქტორების, რესურსების მოზიდვისა და განაწილების, რეალური ალტერნატივების მოყვანასა და შერჩევაში.

ადმინისტრაციული მოდელი, წინააღმდეგობაში მოდის კლასიკურ მოდელთან, ვინაიდან რესურსების, ინფორმაციისა და კვალიფიკაციის სრულყოფილი მაჩვენებელი მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში შეიძლება იყოს რეალური.

მენეჯერები, რომლებიც მოქმედებენ ადმინისტრაციული მოდელით, ცდილობენ ყველა თვალსაჩინო ფაქტორის გათვალისწინებას, რისკების შემცირებასა და ყველაზე ოპტიმალური ალტერნატივის არჩევას. მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების ადმინისტრაციული მოდელის გამოყენებისას, მენეჯერები აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ რეალობაში ცვლილებები ხშირად არაპროგნოზირებადია. გადაწყვეტილების შედეგების წინასწარ განსაზღვრა ძალიან ძნელია, ამიტომ, გადაწყვეტილების მიღების ამ მოდელით ხელმძღვანელობისას ისინი ირჩევენ ნაკლებად რისკიან, რეალურ და ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს.

მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესი თითოეულ სიტუაციაში ინდივიდუალურია და სხვადასხვა გარემოებებით ხასიათდება. ხშირად არის პრაქტიკაში ისეთი შემთხვევები, როდესაც უწევთ გადაწყვეტილების მიღება კონფლიქტურ, ან არაკონფლიქტურ სიტუაციაში. სრულყოფილად არაკონფლიქტური სიტუაციები არ არსებობს.მენეჯერმა უნდა იცოდეს როგორ შეაფასოს კონფლიქტის ხარისხი. მისი ანალიზი საშუალებას მისცემს მას იზრუნოს მის მოგვარებაზე. ქართულ რეალობაში, მოქმედი ფაქტორების ანალიზი მმართველობითი გადაწყვეტილებების ეფექტურად მიღების გარანტიაა.

როცა ვსაუბრობთ მმართველობით გადაწყვეტილებებზე და მასზე მოქმედ ფაქტორებზე ქართულ რეალობაში, პირველი, რაც უნდა განვიხილოთ არის კომპანიათა შიდა გარემო.ხშირად გადაწყვეტილებათა მართებულობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, რომელიც ხელს უშლის გადაწყვეტილებათა ოპტიმიზაციას.შესაბამისად, რისკი იმისა, რომ უმაღლეს მენეჯერებს არასწორი, ხშირად, არა გაზრდის, არამედ პირადი ინტერესებისათვის მიეწოდებათ კონკრეტული ინფორმაციები. ასეთ დროს, გვაქვს სრულყოფილი საფუძველი ვთქვათ, რომ მსგავსი ინფორმაციები პირდაპირ ვნებს

მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ოპტიმიზაციის საშუალებებს.ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც იწვევს კომპანიებში მმართველობითი არასრულყოფილი გადაწყვეტილებების მიღებას არის მენეჯერების კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების დონე.

თუ განვიხილავთ სიტუაციას, სადაც მენეჯერებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა და კვალიფიკაცია, ნათელი იქნება ის ფაქტი, რომ ძნელი იქნება პრობლემის ხარისხისა და ხასიათის განსაზღვრა, მმართველობით სიტუაციაზე მორგებული მოდელების, მეთოდებისა და სტრატეგის შერჩევა, არსებული პრობლემის გადაჭრის გზების პოვნა, ვინაიდან მენეჯერს არ ექნება პრაქტიკაში მიღებული გამოცდილება.

კიდევ ერთი რეალური ფაქტორი, რომელიც ქართულ სივრცეში კომპანიებს აფერხებს მიიღონ მმართველობითი გადაწყვეტილებები ადეკვატურად არის ის,რომ პოლიტიკა და გარემო რომელშიც უწევთ გადაწყვეტილების მიღება და შემდეგ მისი რეალიზება. ქართულ რეალობაში პოლიტიკა, როგორც წყობა და მიმართულება კომპანიებში არც თუ ისე კარგად არის ჩამოყალიბებული. ხშირად შევხვდებით კონპანიებში გარემოს, სადაც არის პრინციპული შეუთანხმებლობა, მენეჯერთა მრავალფეროვნება, სადაც პიროვნული ინტერესები ჭარბობს მმართველობით ინტერესებს. პრობლემა, რომელიც პრინციპულ მიდგომებს რთავს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაში, ცუდ გავლენას ახდენს კომპანიებზე და აუცილებელია მისი ანალიზი და განხილვა.

დასკვნა

ხშირი პრობლემა ქართულ ბაზარზე არის მეცნიერულ-ტექნიკური გარემო, როდესაც რაიმე სახის საქმიანობას უძღვები და მუდმივად გიწევს კონკრეტულ მიმართულებებში გამოწვევების, ცვლილებებისა და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება და რეალიზება. მეცნიერულ-ტექნიკური სამუშაოები პირდაპირ კავშირშია გადაწყვეტილებების ოპტიმიზაციასთან. ქართულ ბაზარზე უამრავი საშუალო ბიზნესია, რომელიც ილტვის გახდეს მსხვილი ბიზნესი. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ კონკურენტული გარემო პირდაპირ მოითხოვს პროგრესირების იმ ფაზაში ჩართვას, რომელიც დაგეხმარება პოზიციონირებაში, ეს ყველაფერი მეცნიერულ-ტექონოლოგიური მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია. მენეჯერს კარგად უნდა ჰქონდეს გაანალიზებული ეყოფა თუ არა კომპანიის ტექნიკური დონე გადაწყვეტილების განხორციელებას, უნდა იყოს გაცნობიერებული კონკრეტული ტექნოლოგიური სახსრების ფონზე მიღებული ადეკვატური გადაწყვეტილება იქნება თუ არა კონკურენტუნარიანი პროდუქტიულობის მაღალი დონის მისაღწევად. თუ კომპანიას უნდა, რომ მმართველობითი გადაწყვეტილებები უფრო ოპტიმირებულად მიიღოს, მეცნიერულ საქმიანობებს მუდმივი სახე უნდა მისცეს, რაც იშვიათია ქართულ რეალობაში. მეცნიერული პროცესები კომპანიებში იშვიათად მიმდინარეობს, მენეჯერებს არ აქვთ შესაძლებლობა გამოწვევებს გაუმკლავდნენ და მიიღონ უფრო პროდუქტიული გადაწყვეტილებები.

ვფიქრობ, ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა არის ადამიანური რესურსების გაუთვალისწინებლობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://www.academia.edu/22906650/Introduction_to_Decision_Making_Methods

Ways of making governance decisions in Georgian reality

Marina Bagaturia
Assistant Professor of Georgian Technical University

Manana Beruashvili
Assistant Professor of Georgian Technical University

Maia Martiashvili
Assistant Professor of Georgian Technical University

Abstract

The process of making administrative decisions is individual and characterized by different circumstances. There are often cases in practice when you have to make a decision in a conflict or non-conflict situation. There are no completely non-conflict situations. The manager must know how to assess the degree of conflict. The analysis of the conflict will allow him to take care of its resolution. In the Georgian reality, the analysis of the operating factors is a guarantee of effective management decisions.

When we talk about management decisions and the factors affecting them in the Georgian reality, the first thing we should consider is the internal environment of companies. Often, the validity of decisions depends on such factors that prevent the optimization of decisions. Accordingly, the risk that top managers are given wrong, often, specific information is not increased, but for personal interests.

In the Georgian space, companies are prevented from making adequate management decisions due to politics and the environment in which they have to make decisions and then implement them. In the Georgian reality, politics, as an arrangement and direction in companies, is not very well established. We will often encounter an environment in companies where there is disagreement on principle, diversity of managers, where personal interests prevail over management interests. The problem that involves principled approaches in making managerial decisions has a bad effect on companies and it is necessary to analyse and discuss it.

მარკეტინგის სისტემის ინოვაციური მიდგომების გამოყენება ელექტრონული კომერციის ზრდადი ტენდენციის პირობებში

ბერიკაშვილი ლია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სააკიანი ჯემმა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

თხინვალელი მარიამ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ციფრული ტექნოლოგიების ფართო და სიღრმისეული დანერგვა ხელს უწყობს კომპანიის მუდმივ განვითარებას, თუმცა აღსანიშნავია ასევე, ინოვაციური მარკეტინგული მოდელების ინტეგრირება და უწყვეტი გამოყენება. ელექტრონული კომერცია 21-ე საუკუნის თანამედროვე ტენდენციაა, რაც იძლევა მდგრადი განვითარების შესაძლებლობებს. ჩვენი კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოს ბაზარზე ელექტრონული კომერციის შესწავლა და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების არსებობის ფონზე მარკეტინგის ინოვაციური მოდელების გამოყენების ტენდენციის განსაზღვრა. საქართველოს ბიზნეს სექტორში ელექტრონული კომერცია საკმაოდ მაღალ დონეზეა განვითარებული, მომხმარებელთა შეღწევადობა ონლაინ B2C და C2C პლატფორმებზე 50%-ს აჭარბებს, თუმცა მომხმარებელთა ნდობისა და ლოიალურობის გასაზრდელად მეტი მარკეტინგული ხრიკების დანერგვა არის საჭირო.

ჩვენ დავასკვენით, რომ ინოვაციური მარკეტინგული მოდელი ელექტრონული კომერციის სისტემაში სტრატეგიის ჩამოყალიბებას მოითხოვს, რაშიც იგულისხმება კომპანიის ძირითადი ფოკუსი, რომელიც სათანადოდ უნდა იყოს დიფერენცირებული.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული კომერცია, ინოვაციური მარკეტინგის მოდელი, სოციალური მედია.

ძირითადი ტექსტი

ბიზნეს პროცესების მართვის ინოვაციურ სისტემათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მარკეტინგული მოდელის ინოვაციურ მიდგომას. საჭირო მარკეტინგული მოდელის შემუშავება ორგანიზაციის ბაზარზე გადარჩენის ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტია. მეცნიერთა უმეტესობა მარკეტინგის მოდელს აღიქვამს, როგორც სინერგიულ სისტემას, რომელიც აერთიანებს ორგანიზაციაში არსებულ სხვადასხვა რგოლებს. მარკეტინგის სისტემის არსებობის მთავარი მიზანი არის კონკურენტული უპირატესობის მოპოვება და მომგებიანობის მუდმივი ზრდის ტენდენციის შენარჩუნება. ამიტომ, მარკეტინგის სისტემა უნდა ეყრდნობოდეს ჰოლისტურ მიდგომას. საინფორმაციო ტექნოლოგიების რევოლუციამ შექმნა სპეციალური სივრცე ინოვაციური მარკეტინგული მოდელის ჩამოყალიბებისთვის. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ქსელური და მობილური საკომუნიკაციო ტექნოლოგიების არსებობამ ყოვლისმომცველად შეცვალა ადამიანთა წარმოებისა და ცხოვრების წესი. შესაბამისად ინოვაციური მარკეტინგული მოდელი ორგანიზაციაში შერწყმული უნდა იყოს საინფორმაციო ტექნოლოგიებთან, რათა შეასრულოს თავისი მიზანი. მონაცემთა ბაზების და ინტერნეტის გამოყენებადობა ყოველდღიურ ცხოვრებაში უმაღლეს წერტილზეა ასული და შესაბამისად, დღესდღეობით კვლევის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. ბევრი ორგანიზაცია უკვე იყენებს მონაცემთა ბაზების დიდ მარაგებს მათთვის საჭირო ინფორმაციის გაფილტვრის მიზნით. ქსელის მეშვეობით ბევრად მარტივია ორგანიზაციისთვის საჭირო რესურსის დამუშავება, აღნიშნული ამცირებს დროსა და სივრცეს შორის მანძილს, და იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას შეუფერხებლად მოხდეს ინოვაციური მოდელების დანერგვა.

DigitalReportal საინფორმაციო ქსელის გამოქვეყნებული სტატისტიკური ანგარიშის მიხედვით საქართველოში 2023 წლის დასაწყისისთვის 2,86 მილიონი ინტერნეტის მომხმარებელი დაფიქსირდა, რომელიც საერთო მოსახლეობის 76.4%-ს შეადგენს. სოციალური მედია პლატფორმებს იყენებს - 3,05 მილიონი მომხმარებელი, რაც 81.7%-ს პროცენტს უტოლდება, შედარებით მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა მობილური დაკავშირება - 5,87 მილიონი აქტიური კავშირი, რაც მთლიანი მოსახლეობის 157.1%-ს შეადგენს . (DataReportal, 2023)

ამასობაში, კეპიოს (Kepios, 2023) მიერ გამოცემულმა ანგარიშმა აჩვენა, რომ ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა საშუალოდ შემცირდა 14 ათასით, 2022-2023 წლის მონაკვეთში. ადამიანთა რაოდენობა ვისაც საერთოდ წვდომა არ აქვთ ქსელთან საკამოდ დიდია და შეადგენს 880.0 ათასს, საქართველოს მოსახლეობის 23,6% სწორედ ხაზგარეშეა.

ყურადსაღებია, რომ ხსენებულ სტატისტიკურ მაჩვენებელთა ფონზე, ონლაინ ვაჭრობის წილი გაზრდილია მთლიან გაყიდვების სექტორში COVID-19 პანდემიის პერიოდში და მის შემდგომაც. აღნიშნულმა აიძულა კომპანიები გადასულიყვნენ ონლაინ ვაჭრობაზე, ამისთვის კი საჭირო იყო ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა, ინოვაციური მარკეტინგული სისტემის ამოქმედებით. საქართველოში ადგილობრივი ელექტრონული კომერციის ბაზრის წილი ხასიათდება ზრდადი ტენდენციით, Statista-ს ელექტრონული კომერციის კვლევის ცენტრის პროგნოზირებით 2023 წლისთვის საქართველოში ელექტრონული კომერციის ბაზარზე შემოსავალი 680.7 მილიონ აშშ დოლარს მიაღწევს, ხოლო მომხმარებლის შეღწევადობა ქსელში ელექტრონული კომერციის მიზნით ამეტაპისთვის 51.1% შეადგენს. (Statista, 2023)

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში დაფიქსირებული ელექტრონული კომერციის ზრდის ტემპი პირდაპირ კავშირშია ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით მარკეტინგის პოლიტიკის ჩამოყალიბებასთან. ელექტრონული კომერციის საერთაშორისო პლატფორმები, როგორიც არის Amazon, Ebay, Alibaba, Taobao, Trendyol არის ერთგვარი ელექტრონული ველი, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა სახის ორგანიზაციები. როგორც მცირე, ასევე დიდი ზომის ორგანიზაციებს მარკეტინგის მოდელის ინოვაციური მიდგომის დანერგვა უწევთ, იმისათვის რომ გაუმკლავდნენ ბაზრის კონიუნქტურას. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაციები გამოირჩევიან მგრძნობიარობით ახალ ტენდენციებთან მიმართებაში, მათი უმრავლესობა განიცდის ფინანსურ და ადამიანურ რესურსების ნაკლებობას მარკეტინგის ინოვაციური მიდგომების გამოყენებისას.

ჩვენი კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს ინოვაციური მარკეტინგის სისტემის ინსტრუმენტების გამოყენებადობის დადგენა ელექტრონული კომერციის პირობებში.

მარკეტინგის ინოვაციური მოდელის დანერგვა ელექტრონულ კომერციაში თანამედროვე მონაცემთა ბაზების გამოყენებით ბევრად განსხვავდება ტრადიციულისგან, მას ახასიათებს გავრცელების სიმარტივე, დროისა და სივრცის რაციონალური გამოყენება, მყარი ურთიერთკავშირის დამყარება, დანახარჯების შემცირება. აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო ეპოქის წინსვლასთან ერთად, ორგანიზაციებში ტრადიციული მარკეტინგული სტრატეგიები ვერ აკმაყოფილებდა ბიზნეს პროცესების მოთხოვნებს. მარკეტინგის მოდელის შეცვლა და თანამედროვე გარემოს შესაფერისი სისტემის ჩამოყალიბება გახდა მნიშვნელოვანი.

(Khoa, 2021) ავტორი განიხილავს მარკეტინგის ინოვაციურ მიდგომებს, როგორც სხვადასხვა სოციალური მედია პლატფორმების კომბინირებულ სისტემას, რომელიც არის მიზანმიმართული პროდუქტის ან მომსახურების პოპულარიზაციისთვის. აღნიშნული, ხაზს უსვამს მომხმარებელთან ურთიერთსასარგებლო კავშირების დამყარებას და შენარჩუნებას სოციალური მედიის კომუნიკაციის არხებით. აღსანიშნავია, რომ ციფრულიზაციის ერაში, მარკეტინგის ინოვაციურ მოდელს ბევრად უფრო რთული სტრუქტურა აქვს, თუმცა ავტორები აქცენტს აკეთებენ მომხმარებელთან „ონლაინ ინტერაქტიულობაზე", რომელიც გულისხმობს კომპანიის მიდრეკილებას ხელი შეუწყოს ინფორმაციის ონლაინ გაზიარებას საჭირო კონტენტის წარმოებისა და შენარჩუნების მიზნით. (Hanaysha, 2022)

მარკეტინგის ინოვაციური მოდელი პრაქტიკულად იკვლევს ელექტრონული კომერციის სამუშაო პროცესს და მოიცავს გარკვეული ღონისძიებების შესრულების აუცილებლობას, რაც

განსაზღვრავს წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანი პოზიციის შენარჩუნებას ბაზარზე. მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობა ელექტრონული კომერციისას არის ძალიან დიდი ბენეფიტი მარკეტინგის ინფორმაციულ-ანალიტიკური კვლევების განხორციელებისთვის. (Zhigang, 2020)

Galt and Taggart-ის 2021 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველოში ელექტრონული კომერცია 2018-2020 წლების განმავლობაში 40.3%-ით არის გაზრდილი. საერთაშორისო მასშტაბით 4 ონლაინ პლატფორმა არის ძალიან პოპულარული, მათ შორის; Ebay.com, Amazon.com, Aliexpress.com და Taobao.com. ხოლო რაც შეეხება ადგილობრივ ელექტრონული კომერციის პლატფორმებს, მოწინავე პოზიცია უკავია Mymarket.ge-ს, სადაც ძირითადად C2C სახის ოპერაციები სრულდება, ასევე მაღალი პოპულარობით სარგებლობენ ისეთი პლატფორმები როგორიც არის extra.ge, vendoo.ge და be.ge, სადაც B2C სახის ბიზნეს ოპერაციები ხორციელდება. ელექტრონული კომერციის ბრუნვამ 597 მლნ ლარი შეადგინა 2020 წელს, ერთ მომხარებელზე საშუალო წლიური ონლაინ დანახარჯი განისაზღვრა 950 ლარი. ქართული პორტალების ელექტრონული კომერციის წილი 23%-ს შეადგენს ჯამურ ონლაინ შესყიდვებში.

ყურადსაღებია, ასევე დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციის დონე, ელექტრონულ კომერციაში ინოვაციური მარკეტინგის მოდელის დანერგვა უნდა განხორციელდეს აუცილებლად საჭირო სპეციალისტის მიერ, ვისაც ექნება შესაბამისი ღრმა ცოდნა და უნარ-ჩვევები, როგორც ბიზნესის საფუძვლებში, ასევე საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში.

დასკვნა

შესწავლილი ლიტერატურისა და მეცნიერული ნაშრომების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში ელექტრონულ კომერციას აქვს ზრდადი ტენდენცია. მომხმარებელთა ლოიალურობისა და ნდობის ჩამოყალიბება ცალსახად არის დამოკიდებული მარკეტინგის ინოვაციური მოდელის დანერგვაზე, რაც პირდაპირ კავშირშია სოციალურ მედიასა და ციფრულ ტექნოლოგიებთან.

აღსანიშნავია, რომ ინოვაციური მარკეტინგის მოდელი ელექტრონულ კომერციაში იმუშავებს შეუფერხებლად მაშინ, როცა მუდმივად მოხდება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გაუმჯობესება, რაც ურთიერთკავშირშია თანამედროვე ფინანსურ და ლოგისტიკურ სისტემასთან. ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა იძლევა შესაძლებლობას არსებული პოტენციალის სრული რეალიზებისა და ინფორმაციიის სწრაფ რეჟიმში დამუშავების. თუმცა საქართველოში სათანადო ყურადღება არ ექცევა აღნიშნული სისტემის სრულყოფილ დანერგვას, დარგის სპეციალისტების სიმცირის გამო, სწრაფად ცვალებად გარემოში კომპანიის განვითარება სწორედ აღნიშნულზე არის დიდად დამოკიდებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. DataReportal. (2023). *DIGITAL 2023: GEORGIA*. Retrieved from https://datareportal.com/reports/digital-2023-georgia
2. Hanaysha, J. R. (2022). Impact of social media marketing features on consumer's purchase decision in the fast-food industry: Brand trust as a mediator. *International Journal of Information Management Data Insights*. doi:doi.org/10.1016/j.jjimei.2022.100102
3. Kepios. (2023). *Global Digital Reports.* Retrieved from https://kepios.com/reports
4. Khoa, B. T. (2021). The Impact of the Personal Data Disclosure's Tradeoff on the Trust and Attitude Loyalty in Mobile Banking Services. *Journal of Promotion Management*. doi:doi: 10.1080/10496491.2020.1838028
5. Statista. (2023). *E-commerce Georgia.* Retrieved from https://www.statista.com/outlook/dmo/ecommerce/georgia
6. Zhigang, F. Z. (2020). Research on Marketing Strategy of B2C E-Commerce Platform Based On

Marketing Strategy Triangle Model. *Advances in Economics, Business and Management Research*, 314-319.

The Implementation of Innovative Marketing System in the Growing Tendency of E-Commerce

Lia Berikashvili, Associate Professor
Georgian Technical University

Jemma Saakyan, PhD Student
Georgian Technical University

Mariam Tkhinvaleli, PhD Student
Georgian Technical University

Abstract

The massive and deep adoption of digital technology contributes to the company's ongoing development, but it is also worth noting the integration and constant use of innovative marketing models. E-commerce is a modern trend of the 21st century, providing opportunities for sustainable development. The main goal of our study is to examine the e-commerce in the Georgian market and determine the trend of using innovative marketing models against the background of the availability of modern digital technology. In Georgia's business sector, e-commerce is developed at a relatively high level, with customer penetration on online B2C and C2C platforms exceeding 50%, but more marketing tricks need to be introduced to increase customer trust and loyalty. We concluded that an innovative marketing model in an e-commerce system requires the formulation of a strategy that involves a company's primary emphasis, which needs to be appropriately differentiated.

ადამიანური რესურსების შერჩევის არსი და მნიშვნელობა

ზერიძე ლიკა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ელგენდარაშვილი ცირა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

ელგენდარაშვილი ნატალია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

აბსტრაქტი

ნებისმიერი ორგანიზაციის მომავალი საქმიანობა პერსონალის მართვის სფეროში დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი კადრები იქნა შერჩეული და როგორ ჩატარდება შერჩევის პროცესი. აქედან გამომდინარე, საჭიროა მთელი სერიოზულობით მოვეკიდოთ პერსონალის მართვის ამ ეტაპს, რათა ადგილი არ ჰქონდეს დამატებით გართულებებს ფირმის საქმიანობაში. თანამედროვე მენეჯმენტის სისტემაში საკადრო მენეჯმენტი ევოლუციურად გარდაიქმნა ადამიანური რესურსების მენეჯმენტად. პერსონალის შერჩევა, ზრდა-განვითარება და დასაქმება ემყარება მართვის კონცეფციებს, რომლებიც სამი ძირითადი მიდგომის საფუძველზე განვითარდნენ. ესენია: ეკონომიკური, ორგანული და ჰუმანური. წარმოების მასშტაბების ზრდამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი, ორგანიზაციის მენეჯერებს დაექირავებინათ ისეთი თანამშრომლები, რომელთაც ექნებოდათ ცოდნა მენეჯმენტის მიმართულებით. ყოველივე ამის გამო საჭირო გახდა ადამიანური რესურსების მართვაზე მეცნიერული შეხედულებების გაანალიზება.

საკვანძო სიტყვები: პერსონალი, რესურსები, რეკრუტირება

ძირითადი ტექსტი

ნებისმიერ ორგანიზაციას მუდმივად აქვს მოთხოვნილება პერსონალზე, პერსონალის მოზიდვას კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობისთვის, რამდენადაც ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია მისი პერსონალის მუშაობის ეფექტიანობით. ამიტომ ნებისმიერი ორგანიზაციის მომავალი საქმიანობა პერსონალის მართვის სფეროში დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი კადრები იქნა შერჩეული და როგორ ჩატარდება შერჩევის პროცესი. აქედან გამომდინარე, საჭიროა მთელი სერიოზულობით მოვეკიდოთ პერსონალის მართვის ამ ეტაპს, რათა ადგილი არ ჰქონდეს დამატებით გართულებებს ფირმის საქმიანობაში. მ.მესკონი მართვას განსაზღვრავს როგორც დაგეგმვის, ორგანიზების, მოტივაციისა და კონტროლის პროცესს, რომელიც ორგანიზაციის მიზნების ფორმულირებისა და მათი მიღწევისთვისაა აუცილებელი.[1]

პერსონალის მოზიდვის პროცესი – რეკრუტირება – წარმოადგენს მარკეტინგული საქმიანობის სპეციფიკურ სახეს.[2] ვაკანტურ თანამდებობაზე რეკრუტმენტის პროცესში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ასპექტი:

1. ბაზრის გამოკვლევა;
2. საქონლის შემუშავება;
3. ფასწარმოქმნა;
4. საქონლის წინწაწევა. აღნიშნული ადგილები ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატების რეკრუტირების, ე. ი პერსონალის მოზიდვის არსს წარმოადგენს.

---

[1] Мескон М., Альберт М., Хедоури Ф.-Основы менеджмента-Перевод с английского. Общая редаксия Л.И.Евенко.-Москва: Издательство «Дело», с.25

[2] ც.ლომაია, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თბ.2014, გვ.236

რეკრუტირების პროცესის მნიშვნელოვან შემადგენელ სამუშაოს შინაარსის ანალიზი წარმოადგენს. ეს გახლავთ სამუშაოს სისტემური კვლევის პროცესი, რომლის მიზანია მისი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებლებისა და მოცემული სამუშაოს შესრულებისადმი წაყენებული მოთხოვნების განსაზღვრა. სამუშაო ანალიზს ორი ასპექტი გააჩნია:

1) ამოცანაზე ორიენტაციის ანალიზი, რომელიც გამოიყენება მოვალეობების, პასუხისმგებლობისა და სამუშაოს შესრულების მეთოდების განსაზღვრისთვის;

2) მომუშავეზე ორიენტაციის ანალიზი, რომელიც გამოიყენება სამუშაოს წარმატებით შესრულებისთვის საჭირო მომუშავის ქცევის მახასიათებლების განსაზღვრისათვის.

სამუშაოს ანალიზი აუცილებელია პერსონალის მართვის მრავალი ფუნქციის შესასრულებლად. იგი გამოიყენება შემდეგი მიზნებისთვის:

1. სამუშაოს აღწერილობის მოსამზადებლად;
2. პიროვნების სპეციფიკაციის შესადგენად, რომელშიც მითითებულია მომუშავის პიროვნული თვისებები;
3. მომუშავეთა შესარჩევად და მათ სამუშაოზე მისაღებად;
4. მომუშავის შრომის შედეგების შესაფასებლად;
5. კადრების მოსამზადებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად, კადრების მომზადების პროგრამების მომზადებისა და დანერგვის გზით;
6. საქმიანი კარიერისა და სამსახურებრივი დაწინაურების დაგეგმვისათვის;
7. შრომის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად;
8. შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

პერსონალის მოზიდვის პროცესი (რეკრუტინგი) მოიცავს:

1. ორგანიზაციის ძირითადი მიზნების გათვალისწინებით პერსონალზე მოთხოვნის განსაზღვრას;
2. ზუსტი ინფორმაციის მიღებას იმ მოთხოვნების შესახებ, რომლებსაც ვაკანტური თანამდებობა უყენებს მომუშავეს;
3. სამუშაოს წარმატებით შესრულებისთვის აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენას;
4. სამუშაოს ეფექტიანი შესრულებისთვის აუცილებელი პიროვნული და საქმიანი თვისებების განსაზღვრას;
5. კადრების შევსების შესაძლო წყაროების მოძებნასა და შესაფერისი კანდიდატების მოზიდვის ადეკვატური მეთოდების შერჩევას;
6. კადრების შერჩევის შესაფერისი მეთოდების განსაზღვრას, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ოპტიმალურად შევაფასოთ მოცემულ ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის შესაბამისობა;
7. ორგანიზაციაში ახალი მომუშავეების ადაპტაციისთვის საუკეთესო პირობების შექმნას.

კანდიდატების მიმართ წაყენებული მოთხოვნების ფორმულირებაში სხვადასხვა მიდგომა არსებობს.[1] პრაქტიკაში, როგორც წესი, შემდეგი ინსტრუმენტები გამოიყენება:

1. თანამდებობრივი ინსტრუქციები – წარმოადგენს კანდიდატების მიმართ წაყენებული მოთხოვნების ერთ-ერთ ფორმალურ სახეს და წარმოდგენილია დოკუმენტის სახით, რომელიც აღწერს კონკრეტულ სამუშაო ადგილზე დასაქმებული მომუშავის ძირითად ფუნქციას;

2. საკვალიფიკაციო რუკები – შეიცავს საკვალიფიკაციო მახასიათებლების ნაკრებს (განათლება, კომპიუტერი), რომელიც უნდა გააჩნდეს მოცემულ თანამდებობაზე მყოფ მომუშავეს;

3. კომპეტენციის მოდელი – პერსონალის შეფასებაში არსებული თანამედროვე მიდგომები, რომლებიც კომპეტენციის ცნებას ემყარება, ყველაზე მეტადაა გავრცელებული;

4. სამუშაო ადგილის მოდელი.

[1] მ.თორია, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თბ.2014, გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ.119

მეცნიერ ა. ფაიოლს კვლევებმა საშუალება მისცა ჩამოეყალიბებინა მართვის 14 უნივერსალური პრინციპი, რომლებიც დღესაც არ კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას პიროვნების მიერ ნებისმიერი საქმიანობის განხორციელების მიზნით. ეს პრინციპები გახლავთ:

- შრომის დანაწილება;
- უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა;
- დისციპლინა;
- ერთმმართველობა;
- მიმართულების ერთიანობა;
- პირადი ინტერესების საერთოსადმი დაქვემდებარება;
- პერსონალის დაჯილდოება;
- ცენტრალიზაცია;
- იერარქია;
- წესრიგი, სამართლიანობა;
- პერსონალისა და სამუშაო ადგილის სტაბილურობა;
- ინიციატივა;
- კორპორატიული სულისკვეთება.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მენეჯმენტის სისტემაში საკადრო მენეჯმენტი ევოლუციურად გარდაიქმნა ადამიანური რესურსების მენეჯმენტად. პერსონალის შერჩევა, ზრდა-განვითარება და დასაქმება ემყარება მართვის კონცეფციებს, რომლებიც სამი ძირითადი მიდგომის საფუძველზე განვითარდნენ. ესენია: ეკონომიკური, ორგანული და ჰუმანური. თუ მანამდე ადამიანური რესურსების მენეჯმენტის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, ფორმირება მიმდინარეობდა ორგანიზაციის მართვის ფარგლებში, მე-20 საუკუნიდან უკვე დაიწყო პერსონალის მენეჯმენტის, როგორც მართვის სპეციალიზებული ფუნქციისა და დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინის, განვითარება და პერსონალის შერჩევის კვლევაც ამ დროიდან იღებს საფუძველს. შეიცვალა წარმოების მასშტაბები, გაღრმავდა მომუშავეთა სპეციალიზაცია. შრომის ინტენსიურობის ზრდამ ობიექტურად მოითხოვა მომუშავეთა კვალიფიციური დონის ამაღლება. წარმოების მასშტაბების ზრდამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი, ორგანიზაციის მენეჯერებს დაექირავებინათ ისეთი თანამშრომლები, რომელთაც ექნებოდათ ცოდნა მენეჯმენტის მიმართულებით. თუ მანამდე კადრების განყოფილების საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა ურთიერთობების განსაზღვრა დამსაქმებლებსა და დაქირავებულებს შორის, მომუშავეთა შრომის ანაზღაურების დადგენა და საკადრო დოკუმენტაციის გაფორმება, მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში აქტიურად ვითარდება კანონშემოქმედებითი საქმიანობა პერსონალის მართვის სფეროში.

რაც შეეხება პერსონალი შერჩევის მეთოდოლოგიურ ასპექტებს XX საუკუნის 60-იან წლებამდე ადამიანური რესურსების მართვის სამსახურების საქმიანობა საწარმოს მართვის მიმართულებით უფრო დამხმარე ხასიათს ატარებდა და არ ჰქონდა ძირითადი მნიშვნელობა.

XX საუკუნის მეორე ნახევარსა და XXI საუკუნის დასაწყისში ადამიანური რესურსების მართვის უამრავი მეცნიერული სკოლის გაჩენდა. (აღნიშნული პერიოდი ხასიათდება ჰუმანისტური ფსიქოლოგიის იდეის გაძლიერებით, კომპანიების მართვაში პერსონალის ჩაბმით, ორგანიზაციული ქცევის დემოკრატიზაციით და პასუხისმგებლობის დელეგირებით, ინვესტიციების ზრდით ადამიანურ კაპიტალში და სხვა პრინციპული ცვლილებებით კომპანიების სოციალურ გარემოში, რაც განპირობებულია XX საუკუნეში ადამიანთა ერთობლივი საქმიანობის ორგანიზაციის ფორმების ტრანსფორმაციით. XX საუკუნის 80-იან წლებში ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიული როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა, რადგან ორგანიზაციები ამცირებდნენ საშტატო განაკვეთებს, ხურავდნენ ქარხნებს და ატარებდნენ „სტრუქტურულ გარდაქმნას“. იაპონიის, კორეის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის უნარმა ეჯობნათ წარმოებრივი თვალსაზრისით აშშ-ში განთავსებული კომპანიებისთვის, აიძულა ამერიკის ფირმებიც ეზრუნათ ეფექტიანობის ამაღლების გზების ძიებაზე. მომუშავეთა მობილობა, მათი პროფესიული მომზადება და გადამზადება გახდა კომპანიების

ადამიანური რესურსების მართვის ქვედანაყოფების ძირითადი ფუნქცია.

ამრიგად, ადამიანური რესურსების მართვაზე მეცნიერული შეხედულებების ევოლუციის პროცესში შეიძლება გამოვყოთ საკადრო მენეჯმენტის ოთხი ძირითადი პარადიგმა: 1. შრომის მეცნიერული ორგანიზაცია; 2. ადამიანური ურთიერთობები; 3. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის კონტრაქტაცია; 4. გუნდური მენეჯმენტი. ხოლო შერჩევის ძირითადი მეთოდებია: გამოკითხვა, შერჩევის ცენტრები და ფსიქოლოგიური ტესტები, ქცევითი აღწერა, სხვადასხვა სახის გამოკითხვები და შერჩევის ცენტრები.

ამრიგად, ადამიანური კაპიტალის ფორმირებისა და ზრდა-განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია სწორად წარიმართოს ადამიანური რესურსების მართვის პროცესი, რათა კომპანიას მომავალში ჰყავდეს მისთვის საჭირო პერსონალი ბიზნესის მომავალი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ.თორია, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თბ. 2014, გამომცემლობა „მერიდიანი“
2. Мескон М., Альберт М., Хедоури Ф.-Основы менеджмента-Перевод с английского. Общая редаксия Л.И.Евенко.-Москва: Издательство «Дело»
3. ც.ლომაია, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თბ.2014
4. Human Resource Management, https://open.umn.edu/opentextbooks/textbooks/71

The essence and importance of staff recruitment

Lika Beridze, GTU, Professor

Tsira Elgendarashvili, GTU, Assoc. Professor

Natalia Elgendarashvili, GTU, Assoc. Professor

Summary

The future activities of any organization in the field of personnel management largely depend on which personnel were selected and how the selection process will be carried out. Therefore, it is necessary to take this stage of personnel management seriously so that there are no additional complications in the company's activities. In the modern management system, personnel management has turned into human resource management.

The selection, development and employment of personnel are based on management concepts developed on the basis of three main approaches. These are: economic, organic and humanitarian.

The increase in the scale of production put on the agenda the question of the leaders of the organization to hire such employees who would have knowledge in the direction of management. Because of all this, it became necessary to analyze scientific views on human resource management.

ციფრული ლარი - საქართველოს ეროვნული ბანკის ინოვაციური პროდუქტი

ბიბილური ანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი

ჩხარტიშვილი ნათია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი

ბუხნიკაშვილი ელენე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი

აბსტრაქტი

მსოფლიო მუდმივად განიცდის ცვლილებებსა და მიისწრაფვის განვითარებისაკენ, რაც თითოეული ადამიანის ცხოვრებაზე აისახება. თუკი საუკუნეების წინ მონეტები ან ქაღალდის ფული სიახლე იყო, დღეს აღარავის უკვირს. პირიქით სახელმწიფოები ცდილობენ უფრო მეტად დახვეწილი, დაცული და განახლებული ბანკნოტები გამოუშვან და აღნიშნულ პროცესში მაქსიმალურად გამოიყენონ თანამედროვე ტენდენციები და ტექნოლოგიები. ყველა ჩვენგანი აქტიურად ვართ ჩართულნი ყოველდღიურ ცხოვრებაში, სადაც საქმიანობის მიუხედავად გვიწევს ფულთან შეხება, თუნდაც მაშინ როდესაც ვყიდულობთ თეატრის ბილეთებს, საკვებ პროდუქტებს ან ვიხდით კომუნალურ გადასახადებს, შესაბამისად ნებით ან უნებლიეთ ვიყენებთ ფულს, რომელიც შეიძლება იყოს ნაღდი ან უნაღდო ფორმით. ნაღდი ფული - თავად სიტყვაც გვეუბნება რომ არის რაღაც ხელშესახები და არსებული, რომელიც შეგვიძლია ავიღოთ, ვისარგებლოთ და დაბეჭდილ ბანკნოტას გულისხმობს. უნაღდო ფული სხვადასხვანაირია, თუმცა თანამედროვე ეტაპზე ყველაზე გავრცელებული პლასტიკურ ბარათების გამოყენებით ხდება მსგავსი ანგარიშსწორებები და ტრანზაქციები, როდესაც თანხა ელექტრონულად ჩანს და ყოველგვარი განაღდების გარეშე შეგვიძლია განვახორციელოთ ნებისმიერ წერტილში გადარიცხვა. კაცობრიობამ დიდი გზა გაიარა ბარტერული გაცვლიდან დღევანდელ ელექტრონულ ფულამდე, რეალურად ბანკნოტების ემისია ნამდვილ ხელოვნებად იქცა, თუმცა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა გეგმავს ფულის ბეჭდვის შემცირებასა და ციფრული ვალუტის გამოშვებას. ჩვენი თემაც სწორედ ციფრულ ფულს შეეხება, საქართველოს ეროვნული ბანკის ახალ ინოვაციურ პროდუქტს ციფრულ ლარს და საკითხს თუ რას მოგვიტანს მისი დანერგვა.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ვალუტა, ციფრული ლარი, ტექნოლოგიები, ინოვაცია.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე ქართული საბანკო სისტემის ისტორია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 90-იან წლებში დაიწყო, როდესაც 1991 წელს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა საკრედიტო სისტემის ყველა სტრუქტურა ქვეყნის საკუთრებად გამოეცხადებინა, რის შედეგადაც შეიქმნა და ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნული ბანკი, რასაც 1995 წელს ორგანული კანონი „ეროვნული ბანკის შესახებ“ მოჰყვა, რითაც საფუძველი დაედო გამართული ქართული საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას, ამავდროულად ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკების მაკონტროლებელი და მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციები შეითავსა და მართვის ბერკეტები საკუთარ ხელში აიღო. წინ გადადგმული ნაბიჯი იყო 1996 წელს საქართველოს კანონის „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ შემოღება, რითაც განისაზღვრა კომერციული ბანკების როლი, ფუნქციები და საქმიანობის პრინციპები. 2008 წლის 14 მარტს საქართველოს პარლამენტმა „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში რიგი ცვლილებები განახორციელა, რაც ახალი კანონის მიღების ტოლფასი იყო, შესაბამისად 2009 წლის 24 სექტემბრის ხელმოწერილი კანონის თანახმად ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის რეგულირება, რომლის მიხედვითაც იგი სრულად დამოუკიდებელია, რაც გულისხმობს რომ თავისუფალია სახელმწიფოს მმართველობითი ორგანოების მხრიდან ჩარევისაგან. საქართველოს

ეროვნული ბანკის სტატუსი განსაზღვრულია და დაცულია ქვეყნის კონსტიტუციით. იგი პასუხისმგებელია მონეტარული პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაზე. საბანკო სისტემაში გვევლინება, როგორც ბანკთა ბანკი და წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ბანკირსა და ფისკალურ აგენტს. ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა, მაგრამ ამავდროულად ასრულებს სხვა მრავალ ფუნქციასაც, მათ შორის კანონის თანახმად შეუძლია განახორციელოს საქართველოს ფულადი ნიშნების ემისია. კერძოდ, მხოლოდ მას აქვს ექსკლუზიური უფლება განახორციელოს, როგორც მიმოქცევისათვის, ასევე საკოლექციო და სხვა საჭიროებებისათვის ლარის ბანკნოტებისა და მონეტების გამოშვება. თავად ლარი 1995 წლის 2 ოქტომბრიდან შემოვიდა მიმოქცევაში და წარმოადგენს კანონიერ საგადამხდელო საშუალებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. თავად ტერმინი „ლარი“ ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს განძს, ქონებას. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო უზრუნველყოფს ბანკონოტებისა და მონეტების ვიზუალის, დიზაინის, რიგი მახასიათებლებისა და ფაქტორების შერჩევას, რის შემდეგაც იბეჭდება ფული. ფულადი ნიშნები კი მოსახლეობაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების საშუალებით ვრცელდება და მიმოქცევაში ეშვება, ხოლო ეროვნული ბანკის მხრიდანვე ხდება მოძველებული და დაზიანებული ფულის მიმოქცევიდან ამოღება, განადგურება და ახლით ჩანაცვლება. 1995 წლის შემდეგ ლარის ბანკნოტების მოდიფიცირება რამდენჯერმე მოხდა, დაიხვეწა გარკვეული ნიუანსები, შეემატა თანამედროვე დეტალები და დამცავი ნიშნები. დღეისათვის მიმოქცევაში 5, 10, 20, 50, 100 და 200 ლარიანი კუპიურები, ასევე 5, 10, 20, 50 თეთრის, 1 და 2 ლარის მონეტებია. აღსანიშნავია, რომ ქართულ ფულად ნიშნებზე გამოსახულია საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი წვლილის მქონე პიროვნებები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურადაა დაკავებული საინვესტიციო და საკოლექციო მონეტების გამოშვებით, რომელთა შორის აღსანიშნავია „საქართველოს მეფეების“ სერია, რომელიც ნუმიზმატიკით დაინტერესებული პირებისათვის ნამდვილი აღმოჩენაა საკოლექციო და ისტორიული თვალსაზრისით. ბანკთა ბანკი ორიენტირებულია მუდმივი სიახლეებისაკენ და ინოვაციების დანერგვისაკენ, რისი დასტურიცაა ციფრული ლარის პროექტი, რომელზეც ბოლო ორი წლის განმავლობაში მუშაობს და რითაც ქვეყანაში დაინერგება *ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა - Central Bank Digital Currencies (CBDC),* რომელსაც ექნება გადახდის საშუალების სტატუსი. ციფრული ლარის გამოშვებით საქართველოს ეროვნული ბანკი ვარაუდობს, რომ გაიზრდება ფინანსური შუამავლების ეფექტიანობა, დაჩქარდება ახალი ფინანსური ტექნოლოგიების დანერგვა, ხელს შეუწყობს ფინანსურ ჩართულობას, მონეტარულ პოლიტიკასა და ლარიზაციის პროცესს.

რა არის ციფრული ვალუტა და როგორ გამოიყენება იგი? თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ტექნოლოგიურმა სიახლეებმა მოიცვეს კაცობრიობა, მსოფლიოში წამყვანი ცენტრალური ბანკები აქტიურად ნერგავენ ციფრულ ფულს, რომელიც არის ელექტრონული ფორმით და ნაღდი ფულის მსგავსად გადახდის საშუალებად გამოიყენება. მისი გამოშვება ბევრად უფრო იაფი ჯდება ცენტრალური ბანკისათვის, ვიდრე ნაღდი ფულის ბეჭდვა. ციფრული ვალუტა საშუალებას იძლევა კომერციული ბანკების გვერდის ავლით განხორციელდეს ისეთი ოპერაციები, როგორიცაა დაგროვება, გადარიცხვა და სხვა მრავალი ტრანზაქცია, რისთვისაც მანამდე საჭირო იყო ბანკი. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას რომ საბანკო სექტორი და ფინანსური ტექნოლოგიური კომპანიები აღნიშნულ პროცესში ჩართულები არ არიან, პირიქით ისინი წარმოადგენენ პარტნიორებს, რომლებსაც ციფრული ფული ახალი პროდუქტისა და მომსახურების შექმნის შესაძლებლობას აძლევთ.

ციფრული ვალუტით გადახდა ანუ ანგარიშსწორება შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონულად, შესაბამისად ლარი გახდება ციფრული ფორმატის. რა უპირატესობები გააჩნია აღნიშნული ტიპის ფულს? შეგვიძლია გამოვყოთ ციფრული ვალუტის შემდეგი დადებითი ფაქტორები, როგორიცაა:

- ❖ ნაღდი ფულის გამოშვების ხარჯების შემცირება;
- ❖ ფულის გათეთრებისა და კორუფციის რისკების შემცირება;
- ❖ ანგარიშსწორება ელექტრონულ სივრცეში, რითაც ნაღდი ფულის გამოყენება დაიკლებს და

სახელმწიფო „ჩრდილოვან ეკონომიკას“ უფრო გააკონტროლებს;

- ❖ ანგარიშსწორების ოპერაციების გამჭირვალობა;
- ❖ შესრულებული ოპერაციების სწრაფი და ეფექტიანი გადამოწმება.

დაგეგმილია რომ ციფრული ლარით საქართველოს თითოეული მოქალაქე აქტიურად ისარგებლებს, რადგან COVID19 პანდემიის პერიოდმა აჩვენა თუ როგორი დიდი მოთხოვნა გაჩნდა კომერციული ბანკების კლიენტების მხრიდან ინტერნეტ და მობაილბანკის გამოყენებაზე. ციფრული ვალუტით დაინტერესება კრიპტოვალუტების შემოღებამ განაპირობა, თუმცა მათ შორის დიდი განსხვავება არსებობს. პირველ რიგში იმ მხრივ, რომ კრიპტოვალუტის მოპოვება რთულია, საჭიროა დიდი ოდენობით ელექტროენერგიის მოხმარება, რაც საბოლოოდ პლანეტის ეკოლოგიაზე უარყოფითად აისახება. ამავდროულად კრიპტოვალუტები არარეგულირებადია, რადგან მას უშვებენ ფიზიკური პირები, შესაბამისად მართვა დეცენტრალიზებულია, მაშინ როდესაც ციფრული ვალუტა კონკრეტული ქვეყნის ეროვნული ფულია და მას ცენტრალური ბანკები აკონტროლებენ, შესაბამისად რეგულირება და მართვა ხორციელდება. თუმცა არის რიგი ფაქტორები, რამაც შეიძლება ციფრული ფულის დანერგვა შეაფერხოს, როგორიცაა: მოსახლეობის მზაობისა და სანდოობის დონე ანუ რამდენად მიიღებენ საქართველოს მოქალაქეები აღნიშნულ სიახლეს, ისარგებლებენ კი ციფრული საფულით? ხომ არ შეიძლება მოხდეს ტექნიკური ხარვეზები, თანხების არასწორი ასახვა ან სჭირდება თუ არა საქართველოს ციფრული ლარი? ამიტომ საჭიროა სხვადასხვა მარკეტინგული აქტივობები და სტიმულირების გზების ძიება, რათა აქტიურად დაინერგოს აღნიშნული ტექნოლოგია, რისთვისაც შეიძლება გამოყენებულ იქნას ფასდაკლებები, განსაკუთრებული შეთავაზებები და აქციები მათთვის ვინც ციფრული ლარით მოახდენს ანგარიშსწორებას. საქართველოში ციფრული ვალუტის შემოღება 2024 წლის დასაწყისიდან იგეგმება, მაგრამ მსოფლიოში არსებობენ სახელმწიფოები, რომლებიც საერთოდაც არც კი განიხილავენ მის შემოღებას, მაგალითად ფინეთი. ზოგიერთ ქვეყანაში კი უკვე სატესტო რეჟიმშია ციფრული ვალუტა, როგორიცაა: ჩინეთი, ბრაზილია, ინდოეთი, ასევე მსგავსი სიახლე იგეგმება ევროკავშირის ქვეყნებშიც. ფაქტია სერიოზული ტექნოლოგიური განვითარება მიმდინარეობს ამ მიმართულებით, რადგან საფინანსო-საბანკო სექტორი ხომ მუდამ სიახლეებისა და ინოვაციების სფეროა. რამდენად გაამართლებს აღნიშნული იდეა დრო გვიჩვენებს, თუმცა, როგორც წესი, დიდი ცვლილებების წინ ყოველთვის არსებობს ეჭვები, მაგრამ პრაქტიკამ არაერთხელ აჩვენება რომ კაცობრიობის განვითარებას აუცილებლად სჭირდება მსგავსი ცვლილებები, რომლებიც საბოლოოდ დადებითად აისახება ჩვენს ცხოვრებაზე.

დასკვნა

წლების წინ ვერავინ წარმოიდგენდა რომ ქართული საბანკო სისტემა მსგავს წინსვლას შეძლებდა, რადგან მთელი 70 წლის განმავლობაში ჩვენი პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა და ცხოვრების ყველა სფერო მიბმული იყო უშუალოდ საბჭოთა კავშირზე, შესაბამისად თანამედროვე ეტაპზე ჩვენნაირი პატარა სახელმწიფოსათვის მარტო ადაპტირება ბევრისათვის წარმოუდგენელად ჩანდა. თუმცა საქართველომ დაამტკიცა, რომ არის დამოუკიდებელი და ძლიერი ქვეყანა, რომელსაც თავადაც შეუძლია ააშენოს და შექმნას ყველაფერი საკუთარი კეთილდღეობისათვის. შესაბამისად საფინანსო-საბანკო სექტორიც ბოლო 30 წლის განმავლობაში საგრძნობლად განვითარდა, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის დამსახურებაა, რომელიც მუდმივად ცდილობს შეიტანოს სიახლეები და თანამედროვე ტენდენციები მოცემული სფეროს წინსვლისათვის. ჩვენს თემაში სწორედ ახალი ინოვაციური პროდუქტი ციფრული ვალუტის იდეა განვიხილეთ, რომელიც სულ მალე დაინერგება და დიდ ცვლილებებს გამოიწვევს ანგარიშსწორების სისტემაში.

ბიბლიოგრაფია:

1. გ. ცაავა, რ. ბურდიაშვილი, ვ. მოსიაშვილი - „ფული, ფულის მიმოქცევა და კრედიტი“, გამომცემლობა „დანი“, 2017წ. გვ.670.
2. გ. ცაავა, გ. ხანთაძე - „საბანკო საქმე“ (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), გამომცემლობა

„დანი“, 2014წ. გვ.600..
3. ვ. მოსიაშვილი, ე. მამაცაშვილი, ნ. ახალკაცი - „ფულის მიმოქცევა და კრედიტი“, გამომცემლობა „დანი“, 2017. გვ.588.
4. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., აბუთიძე გ. – „საბანკო საქმე“ (სახელმძღვანელო), გამომცემლობა „დანი“, 2020წ, გვ.458.
5. www.nbg.gov.ge - უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01.05.2023.

Digital Lari - an innovative product of the National Bank of Georgia

Bibiluri Ani
Georgian Technical University, Assistant Professor

Chkhartishvili Natia
Student of Georgian Technical University

Bukhnikashvili Elene
Student of Georgian Technical University

Abstract

The world is constantly changing and striving for development, which affects the life of each person. If coins or paper money were a novelty centuries ago, today no one is surprised anymore. On the contrary, the states are trying to issue more sophisticated, protected and updated banknotes and in the mentioned process to use modern trends and technologies as much as possible. All of us are actively involved in our daily lives, where regardless of our activities we have to deal with money, even when we buy theater tickets, food products or pay utility bills, therefore willingly or unwillingly we use money, which can be in cash or non-cash form. Cash - the word itself tells us that there is something tangible and present that we can take, use, and it means a printed banknote. Cashless money is different, however, at the modern stage, similar payments and transactions are made using the most common plastic cards, when the amount is visible electronically and we can make a transfer at any point without any cash. Humanity has come a long way from barter exchange to today's electronic money, in fact, issuing banknotes has become a real art, although many countries around the world are planning to reduce money printing and issue digital currency. Our topic will also concern digital money, the new innovative product of the National Bank of Georgia, digital Lari, and the question of what its introduction will bring us.

Keywords: Digital Currency, Digital Lari, Technologies, Innovation.

ციფრული შესაძლებლობები და მისი ახალი სამყარო

ბლიაძე მურმანი
საქართველოს ტერქნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ბლიაძე სოფიო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ჭელიძე ლიზი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი

აბსტრაქტი

ცნობილია, რომ XXI-ე საუკუნეში თანამედროვე ციფრული შესაძლებლობები თითქმის ყველა სფეროში იმკვიდრებს თავს. ციფრული შესაძლებლობები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ადამიანური შესაძლებლობების პოტენციალის ზრდას, ციფრული შესაძლებლობების დამკვიდრება მსოფლიოში უსწრაფერი ტემპებით მიმდინარეობს, ძირითადა განვითარებულ ქვეყნებში.

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ძირითად საკითხად იხილება სამუშაო ადგილები შექმნა და სამეწარმეო ხარჯების შემცირება. ამ მიმართულებით ყველაზე მნიშვნელოვანია ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება. დღეისათვის აუცილებელია აღინიშნის რომ მსოფლიო მასშტაბით ციფრული შესაძლებლობები იმდენად შეერწყა ეკონომიკას, რომ გაჩნდა ცალკე ტერმინი ციფრული ეკონომიკა. ე.ი. ეკონომიკა, რომელიც დაფუძვნებულია ციფრულ ტექნოლოგიაზე ციფრული კონომიკა ეწოდება.

ციფრული შესაძლებლობები მნიშვნელოვნად ამცირებს ახალ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის განვითარებას და უამრავ ახალგაზრდას სთავაზობს სტაბილურ სამსახურს, ასე, რომ ციფრული შესაძლებლობები შეიძლება მივიჩნიოთ როგორც მსოფლიო ეკონომიკის ზრდის კატალიზატორი. ე.ი. ახალი ტექნოლოგიური მიმართულებები პასუხობს დღევანდელ მსოფლიოში არსებულ ეკონომიკურ გამოწვევებს.

საერთოდ ციფრული შესაძლებლობები ეს არის მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის ახალი ეპოქა,რომელიც ხელოვნური ინტელექტის, ციფრული ტექნოლოგიების და სხვა ტექნოლოგიების დანერგვით და გამოყენებით მსოფლიო მიმართულებას დაჩქარებული წესით შეცვლიდა.

წარმოდგენილ სტატიაში გადმოცემულია მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციები, რომლებიც დაკავშირებულია ციფრული ტექნოლოგიის განვითრებასთან, აქვეა ასახული თუ რა გავლენას ახდენს ციფრული შესაძლებლობები ციფული ეკონომიკის განვითარებაზე და თვით ციფული ეკონომიკა როგორ პასუხობს მსოფლიოში არსებულ ეკონომიკურ გამოწვევებს. ე.ი. ციფრული შესაძლებლობების განვითარება ქვეყნის ყველაზე სწრაფ და ეფექტიან გზას წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, ციფრული ტექნოლოგია, ციფრული ეკონომიკა.

ძირითადი ტექსტი

ციფრული შესაძლებლობები საზოგადოების ცხოვრებას განუსაზღვრელი სიჩქარით და არნახული გაქანებით ცვლის, ამასთან წარმოშობს როგორც უზარმაზარ შესაძლებლობებს, ასევე კოლოსალურ სიძნელეებს. ციფრული შესაძლებლობებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია მდგრადი განვითარების სფეროში მიზნების მიღწევის მიმართულებით. მაგრამ დადებითი შედეგების მიღება არ არის გარანტირებული. იმისათვის, რომ სრულფასოვნად გაიხსნას ციფრული შესაძლებლობების სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალი და ამასთან, თავი ავარიდოთ არასასურველ შედეგებს, აუცილებელია რაც შეიძლება უფრო ჩქარა განვამტკიცოთ საერთაშორისო თანამშრომლობა. ციფრული შესაძლებლობების ქვეშ, როგორც წესი, იგულისხმება ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან, რეალიზაციასა და მოხმარებასთან ციფრული ტექნოლოგიების, ასევე ელექტრონული კომერციის და ინტერნეტ ეკონომიკის გამოყენებით. სხვადასხვა ქვეყანაში ციფრული ეკონომიკის სფეროში ზოგიერთი

სტარტაპის განსაცვიფრებელი წარმატების შემდეგ და განსაკუთრებით, როდესაც ინტერნეტ გიგანტების კაპიტალიზაცია გაუთანაბრდა და შემდეგ გაასწრო ეკონომიკის ტრადიციულ სექტორში მოღვაწე უმსხვილესი საწარმოების კაპიტალიზაციას, ციფრული შესაძლებლობების მნიშვნელობა განუზომლად გაიზარდა. ციფრულ ეკონომიკას ადამიანთა დიდი ნაწილი მიიჩნევს პანაცეად, ხოლო მის დაჩქარებულ განვითარებას კი ყველა პრობლემის გადაწყვეტის საშუალებად. ყოველივე ეს თავის ასახვას პოულობს სოციალურ-ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ კვლევებში ციფრული პრობლემატიკის მიმართ დაინტერესების სწრაფ ზრდაზე, მათ შორის გავლენიანი პოლიტიკოსების გამონათქვამებსა და სახელმწიფო მმართველობის დოკუმენტაციაში. ახალი ტექნოლოგიები ძირითადად დაკავშირებულია შრომის ბაზარზე მნიშვნელოვან ცვლილებებთან, კერძოდ ეკონომიკის ერთ სექტორში სამუშაო ადგილების შემცირების და მეორე სექტორში კი მასობრივ მასშტაბებში, მისი ზრდის ჩათვლით. ციფრული შესაძლებლობები მოითხოვს სხვადასხვა სახის ახალ ცოდნასა და ხერხებს, სოციალური დაცვის პრინციპულად ახალ ღონისძიებებს და ხარისხობრივად ახალ თანაფარდობას სამუშაოსა და დასვენებას შორის. აუცილებელია მსხვილი ინვესტიციების მოზიდვა განათლების სისტემის განვითარებისათვის, რომელიც ორიენტირებული იქნება არა მხოლოდ სწავლის პროცესზე, არამედ აღნიშნული პროცესის ორგანიზაციის მეთოდების შესწავლაზე, ასევე, მთელი ცხოვრების მანძილზე, საგანმანათლებო მომსახურებაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე.

ციფრული შესაძლებლობები ეს არის მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის ახალი ეპოქა, რომელიც ხელოვნური ინტელექტის, ციფრული ტექნოლოგიების და სხვა ტექნოლოგიების დანერგვით და გამოყენებით მსოფლიო მიმართულებას დაჩქარებული წესით შეცვლიდა. კარგი იქნებოდა საქართველოშიც სწორედ ამ მიმართულებით გაძლიერებულიყო მუშაობა სხვადასხვა სფეროში, რადგანაც ცნობილია რომ ქართული ციფრული შესაძლებლობები ჯერ კიდევ ტრანსფორმაციულ ცვლილებებს განიცდის, რიალურად რომ ვთქვათ ბიზნესში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა დაბალი ტემპებით მიმდინარეობს რაც თავის მხრივ ხელს უშლის ბიზნესში დოვლათის შექმნის პროცესს. საერთოდ ციერული შესაძლებლობები არ უნდა განვიხილოთ ვიწრო მიმართულებით,იგი უნდა განვიხილოთ როგორც ციფრული ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტის და ტექნოლოგიური მიმართულების ერთიანი სისტემა.

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ძირითად საკითხად იხილება სამუშაო ადგილები შექმნა და სამეწარმეო ხარჯების შემცირება. ამ მიმართულებით ყველაზე მნიშვნელოვანია ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება. დღეისათვის აუცილებელია აღინიშნის რომ მსოფლიო მასშტაბით ციფრული შესაძლებლობები იმდენად შეერწყა ეკონომიკას, რომ გაჩნდა ცალკე ტერმინი ციფრული ეკონომიკა. ე.ი. ეკონომიკა, რომელიც დაფუძვნებულია ციფრულ ტექნოლოგიაზე ციფრული კონომიკა ეწოდება.

მსოფლიოში ციფრული შესაძლებლობები მოიცავენ: სოციალურ მედიას, ინტერნეტ ვაჭრობას, კომპიუტერულ სისტემებს, მობილურ სერვისებს და სხვა,დღეისათვის ის მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ფაქტორია. ამიტომაა, რომ დღეისათის მსოფლიო მოსახლეობის 72 %-ზე მეტი დაკავშირებულია ციფრულ ტექნოლოგიასთან.

ციფრული შესაძლებლობები მნიშვნელოვნად ამცირებს ახალ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის განვითარებას და უამრავ ახალგაზრდას სთავაზობს სტაბილურ სამსახურს, ასე, რომ ციფრული შესაძლებლობები შეიძლება მივიჩნიოთ როგორც მსოფლიო ეკონომიკის ზრდის კატალიზატორი. ე.ი. ახალი ტექნოლოგიური მიმართულებები პასუხობს დღევანდელ მსოფლიოში არსებულ ეკონომიკურ გამოწვევებს.

მსოფლიოში დღეისათვის რამოდენიმე ქვეყანა ლიდერობს ტექნოლოგიური პროცესების განვითარების მიმართულებით: აშშ, გერმანია, იაპონია და ჩინეთი. მსოფლიო გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ციფრული შესაძლებლობების განვითარება ქვეყნის ყევლაზე სწრაფ და ეფექტიან გზას წარმოადგენს.

განვითარებული ქვეყნების ციფრული ეკონომიკური ზრდის ყოველწლიური მაჩვენებელი დაახ-ლოებით 10-15%-ს აღწევს, აუცილებლად მიგვაჩნია საქართველომ სწრაფი ტემპებით დაიწყოს

თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიური პროცესების ათვისება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყოფს ხელს ქვეყნის განვითარებას. საქართველოში ციფრული შესაძლებლობების პროცესების დანერგვისათვის აუცილებლად და საჯიროდ მიგვაჩნია სერიოზული ინვესტიციების განხორციელება, მომსახურე პერსონალის გადამზადება რათა მათ მოახდინონ შემდგომში ახალი ციფრული ტექნოლოგიური პროცესების ათვისება და განვითარება, აქვე მინდა ავღნიშო რომ დღეისათვის საქართველოში უკვე არსებობს რამდენიმე კომპანია(ფირმა) რომლებიც ციფრულ ტექნოლოგიებით მუშაობენ.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოში მოქმედ საწარმოებს ინტერნეტთან წვდომის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი აქვთ მაგალითად თუ 2020 წელს საწარმოოს ინტერნეტთან წვდომა შეადგენდა 98,6%, 2022 წლის 1-იანვრისათვის ეს მაჩვენებელი გაიზარდა და შეადგენს 99,2%.

აღსანიშნავია რომ 2015 წლის დასაწყისში მსოფლიოში ინტერნეტ მომხმარებელი 500 მილიონს აღწევდა, 2020 წელს ამ ციფრმა მიაღწია 4,5 მილიარდს, ხოლო 2022 წელს დაახლოებით 6,5 მილიარდი ადამიანი მოიხმარს ინტერნეტს. ალბათ მომდევნო წლებში ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზრდება და სავარაუდოდ ყოველი მეორე ან მესამე ადამიანი ინტერნეტით იქნება დაკავებული.

საქართველოში 2020 წელს ინტერნეტ მომხმარებელი იყო 545,8 ათასი აბონენტი, ხოლო 2022 წელს ამ ციფრმა შაედგინა 892,8 რაც იმის მაჩვენებელია, რომ მოსახლეობაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს როგორც საჯარო ისე კერძო სტრუქტურებში. მსოფლიოში დღეისათვის ციფრულ ეკონომიკაში დასაქმებულია დაახლოებით 400-მილიონი ადამიანი, ევროპის მაშტაბით 2022-წლის დასაწყისისათვის ციფრული ეკონომიკის მიმართულებით დამატებით კიდევ 7-მილიონ ადამიანმა დაიწყო მუშაობა.

ციფრული შესაძლებლობების სწრაფ განვითარებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადრება ექცევა ინფორმაციის დაცულობის საკითხს, ამასთანავე ძალზედ მნიშვნელოვანია ყოველგვარი მონაცემების შენახვის საკითხი. კერძოდ: პერსონალური ინფორმაციის დაცულობა, კიბერშეტევები და სხვა სახის რისკები, რომლის განხილვას და გაანალიზებას ალბათ ცალკე შრომა მიეძღვნება.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია შევაჯამოთ და ავღნიშნოთ, რომ ციფრული შესაძლებლობები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ადამიანურ შესაძლებლობებს. ამასთან ციფრული ტექნოლოგიების დანერგვით მსოფლიოს მიმართულებაც გარკვეული სახით შეიცვლება.

მიგვაჩნია, რომ საჭიროა საქართველოშიც ამ მიმართულებით გაძლიერდეს მუშაობა და დროულად დაინერგოს ბიზნესში ციფრული ტექნოლოგიები, რაც ხელს შეუწყობს საწარმოში დოვლათის შექმნის პროცესს, წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და სამეწარმეო ხარჯების შესრულებას.

ლიტერატურა

1. რ. აბულაძე, ციფრული ეკონომიკია სიღარიბის და უთანასწორობის წინააღმდეგ. Business Media Georgia; 2019 წ
2. ციფრული ეკონომიკა. მ.ბლიაძე 2022წ.
3. შოთა დოღონაძე, გენადი იაშვილი - „საჯარო სამსახური საქართველოში: რეფორმები, გამოწვევები - ელექტრონული მთავრობა“, „ცის ნამი“ თბ. 2013
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2000 წლის მონაცემები; https://www.geostat.ge/ka/modules/categories/105/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqenebasatsarmoebshi 4. saqarTvelos
5. Streolkowski W.; Grysova, I.; Kaluigina, S. (2017). Modern Teqnologies in Public Administrarion Managment: A Comparison of Estonia, India and Unated Kingdom.
6. Цифровая экономика Сергеев, Л. И. Цифровая экономика

Digital opportunities and the new world

Bliadze sofiio
Associate Proffesor, Georgian Teqnical University

Bliadze Murman
Professor, Georgian Teqnical University

Tchelidze Lizi
Granduate Student, Georgian Teqnical University

Abstract

It is known that in the 21st century, modern digital capabilities are establishing themselves in almost all fields. Digital capabilities significantly improve the growth of human potential, the establishment of digital capabilities is taking place at the fastest pace in the world, mainly in developed countries.

In any country of the world, creating jobs and reducing business costs are seen as the main issues. In this direction, the use of digital technologies is the most important. Today, it is necessary to note that worldwide digital capabilities have merged with the economy so much that a separate term digital economy has emerged. i.e. An economy based on digital technology is called digital economy.

Digital capabilities significantly reduce the development of the new world economic crisis and offer many young people stable jobs, so digital capabilities can be seen as a catalyst for the growth of the world economy. i.e. New technological directions respond to the economic challenges of today's world.

Digital opportunities in general This is a new era of the fourth industrial revolution, which would change the world direction in an accelerated manner by introducing and using artificial intelligence, digital technologies and other technologies.

The presented article presents the current trends in the world related to the development of digital technology, it shows how digital capabilities affect the development of the digital economy, and how the digital economy itself responds to the economic challenges in the world. i.e. Development of digital capabilities is the fastest and most effective way for the country.

საქართველოს პორტების ინვესტიციების ეკონომიკური სარგებლის შეფასება

ბლიაძე მურმან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

შარაშიძე ლაშა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ბლიაძე სოფიო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

პორტების ეკონომიკური სარგებელი ჩვეულებრივ იზომება მთლიან დონეზე ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა დამატებული ღირებულება, დასაქმება, საგადასახადო შემოსავალი და ინვესტიციის დაბრუნება. ეს მაჩვენებლები პირველყოფილია პორტის განვითარებაში ინვესტირების გადაწყვეტილების მისაღებად და მხედველობაში უნდა იქნას მიღებული:

მოთხოვნის პროგნოზებით ცდილობს შეაფასოს მოსალოდნელი ტრაფიკი, რომელსაც ინვესტიცია ხელს შეუწყობს. ლაინერი გადაზიდვის სტრატეგიები, განსაკუთრებით როგორ ემსახურებიან ისინი ბაზრებს და როგორ ჯდება პორტი მათი სერვისის კონფიგურაციაში გემის სიმძლავრისა და სიხშირის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი პორტი მოქმედებს როგორც დატვირთვის ცენტრები, სხვები გადაზიდვის ცენტრებია. გადაზიდვის ფუნქცია ხშირად არის გადამზიდავი კომპანიის სტრატეგიის შედეგი სერვისის სპეციფიკურ რეგიონებში.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს პორტები, ინვესტიცია, ეკონომიკური სარგებელი.

ძირითადი ტექსტი

პორტების ეკონომიკური სარგებელი ჩვეულებრივ იზომება მთლიან დონეზე ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა დამატებული ღირებულება, დასაქმება, საგადასახადო შემოსავალი და ინვესტიციის დაბრუნება. ეს ინდიკატორები პირველყოფილია პორტის განვითარებაში ინვესტირების გადაწყვეტილების მისაღებად და მხედველობაში უნდა იქნას მიღებული:

მოთხოვნის პროგნოზებით ცდილობს შეაფასოს მოსალოდნელი ტრაფიკი, რომელსაც ინვესტიცია ხელს შეუწყობს. ლაინერი გადაზიდვის სტრატეგიები, განსაკუთრებით როგორ ემსახურებიან ისინი ბაზრებს და როგორ ჯდება პორტი მათი სერვისის კონფიგურაციაში გემის სიმძლავრისა და სიხშირის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი პორტი მოქმედებს როგორც დატვირთვის ცენტრები, სხვები გადაზიდვის ცენტრებია. გადაზიდვის ფუნქცია ხშირად არის გადამზიდავი კომპანიის სტრატეგიის შედეგი სერვისის სპეციფიკურ რეგიონებში.

შიდა სატრანსპორტო სიმძლავრე და ხელმისაწვდომობა, რომელიც დამოკიდებულია პორტში მიმავალ და მომდინარე ტვირთზე. ისინი განსაზღვრავენ არსებულ და პოტენციურ სატვირთო ბაზას, რომლითაც პორტი შეიძლება დამუშავდეს.

კონკურენცია ტერმინალებს შორის: შეიძლება იყოს კონკურენტული ტერმინალები იმავე პორტის ობიექტში. მონოპოლისტურ სიტუაციაში ტერმინალებს, როგორც წესი, აქვთ უფრო მეტი ფასის ძალა, მაგრამ შეიძლება დაკავშირებული იყოს უფრო მაღალ მოგებასთან. ინვესტიციის დაფინანსება, რომელიც დაკავშირებულია კაპიტალის წყაროსთან და პირობებთან. მსხვილი პორტის ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორც წესი, ფინანსდება პორტის ორგანოების მიერ გამოშვებული ობლიგაციებით ან საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ განხორციელებული ინვესტიციებით, როგორიცაა განვითარების ბანკები, სუვერენული ფონდები ან საპენსიო ფონდები.

ამ ინფორმაციის შეფასება შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა მეთოდოლოგიას:

გამოკითხვები ეფუძნება ინტერვიუებსა და კითხვარებს ან ფირმების მიკროეკონომიკურ მონაცემებს. ისინი ცდილობენ დაადგინონ და რაოდენობრივად განსაზღვრონ ურთიერთობები სხვადასხვა პორტის აქტორებს შორის, ხშირად ხარისხობრივი თვალსაზრისით, მაგრამ ჩვეულებრივ

დასაქმების თვალსაზრისით. ეს კვლევები ხაზს უსვამს მნიშვნელოვან ურთიერთობებს ტვირთის ექსპედიტორებსა და აგენტებს შორის. პორტების ეკონომიკური სარგებელი აისახება მონაწილე აქტორების ოპერაციების რთულ სისტემაში.

შედარებითი ანალიზი ადგენს ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც დაფიქსირდა საცნობარო პორტში, განსაკუთრებით მის ეკონომიკურ ბაზაზე. ეს მიდგომა ცდილობს დაასკვნას იმ ეკონომიკურ ცვლილებებზე, რომლებიც უკვე მოხდა პორტის შესადარებელ გარემოში (მსგავსი ტრაფიკი და ტრაფიკის შემადგენლობა) შესასწავლ პორტთან. ვინაიდან ადგილობრივი და რეგიონული ეკონომიკური პირობები არ არის მსგავსი, ასეთი კვლევები არ იძლევა განსაკუთრებით ზუსტ შედეგებს. მიუხედავად ამისა, ისინი გვაწვდიან სასარგებლო მითითებებს იმის შესახებ, თუ რა შეიძლება დაემართოს პორტს და მის რეგიონულ ეკონომიკას ინვესტიციის განხორციელების შემდეგ.

შეყვანის-გამომავალი ანალიზის მოდელები, რომლებიც მიზნად ისახავს სექტორთაშორისი მულტიპლიკატორების იდენტიფიცირებას, როგორიცაა პორტების მოძრაობასა და რეგიონულ დასაქმებას შორის. ისინი ხაზს უსვამენ პორტის საქმიანობის აგლომერაციულ ეფექტს, როგორც პორტის გარშემო, ასევე პორტის რეგიონის გარშემო. ასეთი კვლევები ხაზს უსვამს ელასტიურობის დაბალ დონეს პორტების მოძრაობასა და მომსახურების სექტორში დასაქმებას შორის.

შეყვანის-გამომავალი ანალიზი ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული ტექნიკაა. I-O ანალიზი ემყარება ცხრილების ერთობლიობას, რომელიც ადგენს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორს შორის კავშირებსა და ტრანზაქციებს. მოცემული პერიოდის შეყვანისა და გამომავლების რაოდენობა შეყვანილია შეყვანის-გამომავალი მატრიცაში/ცხრილში, რათა გაანალიზდეს რა ხდება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში მულტიპლიკატორული ანალიზის შესრულებით.

მულტიპლიკატორი არის ინდექსი (ფარდობა), რომელიც მიუთითებს აქტივობის დონის საერთო ცვლილებაზე, რომელიც გამოწვეულია აქტივობის საწყისი ცვლილების შედეგად. ის ეფექტურად აგროვებს ხელახალი ხარჯვის ყველა თანმიმდევრულ რაუნდს, იმ ვარაუდით, რომ ძირითადი ფაქტორები, როგორიცაა შეყვანის ფასები, უცვლელია და არ არსებობს რესურსების შეზღუდვა.

ყველა სექტორზე დაფუძნებული მულტიპლიკატორი (პირდაპირი, არაპირდაპირი და ინდუცირებული ეფექტების ჩათვლით) შეიძლება გამოითვალოს, როდესაც მატრიცა სრულია და მოიცავს კერძო მოხმარების ციფრებს. I-O ტექნიკა შეიძლება გამოყენებულ იქნას მულტიპლიკა-ტორების მოსამზადებლად სხვადასხვა ზემოქმედების ღონისძიებებისთვის, როგორიცაა გამომავალი, დასაქმება და შემოსავალი. მულტიპლიკატორები ასევე შეიძლება შეფასდეს ძირითადი კომპონენ-ტებისთვის, როგორიცაა ტვირთის ტიპის მიხედვით. შეყვანის-გამომავალი ანალიზი მიჰყვება ზემოდან ქვევით მიდგომას, რომელიც აგებულია ყოვლისმომცველ მონაცემებზე თითო სექტორზე. მონაცემთა შეგროვება ასევე შეიძლება დაეყრდნოს ქვემოდან ზევით მიდგომას, რაც გულისხმობს, რომ საერთო ზემოქმედების რიცხვები გამოითვლება ფირმის დონის მონაცემებზე დაყრდნობით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მონაცემთა შეგროვება შეიძლება ეფუძნებოდეს ცალკეული ფირმების ბალანსებს ან წლიურ ანგარიშებს, ან მონაცემები გროვდება გამოკითხვების მეშვეობით.

I-O ანალიზის ტექნიკისა და შედეგების გაგება შედარებით მარტივია და საჭირო ექსპერტიზა ხელმისაწვდომია კონსულტანტებისა და აკადემიკოსების დიდი რაოდენობით. თუმცა, ტექნიკის გამოყენება ასევე აწყდება რამდენიმე პრობლემას:

ეს შეიძლება იყოს საკმაოდ ძვირი, თუ საჭირო შეყვანის-გამომავალი ბაზის ცხრილები არ არის ხელმისაწვდომი ეროვნულ და რეგიონულ დონეზე ან მოძველებულია. ვინაიდან რეგიონული ეკონომიკის სტრუქტურა შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში, ძველი I-O ცხრილების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს არასწორი შედეგები. ხშირ შემთხვევაში, ახალი რეგიონალური ცხრილები გენერირდება კვლევის მეთოდების გამოყენებით ან არსებული ცხრილების განახლებით რეგიონში წარმოებისა და დასაქმების შესახებ უახლესი მონაცემების ჩართვით.

ეს შეიძლება იყოს საკმაოდ ძვირი, თუ საჭირო შეყვანის-გამომავალი ბაზის ცხრილები არ არის ხელმისაწვდომი ეროვნულ და რეგიონულ დონეზე ან მოძველებულია. ვინაიდან რეგიონული ეკონო-მიკის სტრუქტურა შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში, ძველი I-O ცხრილების გამოყენებამ

შეიძლება გამოიწვიოს არასწორი შედეგები. ხშირ შემთხვევაში, ახალი რეგიონალური ცხრილები გენერირდება კვლევის მეთოდების გამოყენებით ან არსებული ცხრილების განახლებით რეგიონში წარმოებისა და დასაქმების შესახებ უახლესი მონაცემების ჩართვით.

ასევე არსებობს ინტეგრირებული მოდელირების ტექნიკა პორტების ეკონომიკური გავლენის გასაზომად. ეს მიდგომები აერთიანებს შეყვანის-გამომავალი ანალიზს და ეკონომეტრიულ ტექნიკას, რათა გააანალიზოს ეკონომიკის რეაქცია გარე შოკებზე დროთა განმავლობაში. ძალიან მოწინავე ტექნიკაა გამოთვლითი ზოგადი წონასწორობის მოდელირება (CGE), რომელიც აფასებს ეკონომიკური ცვლადების ოპტიმალურ ნაზს (მაგ. მოხმარება) გარე შოკის საპასუხოდ. ინტეგრირებული მოდელირება და CGE მოდელირება უფრო დახვეწილია, ვიდრე მულტიპლიკატორული ანალიზი, მაგრამ ამ მეთოდების მონაცემთა მოთხოვნები ძალიან მაღალია, ისევე როგორც ანალიზის შესრულების ხარჯები.

პორტის საქმიანობას აქვს გამრავლებული ეფექტი ეკონომიკაში, რომელიც ბევრად აღემატება თავად პორტს. მიუხედავად იმისა, რომ იზრდება პორტების ეკონომიკური მნიშვნელობა, განსაკუთრებით იმ სექტორებისთვის, რომლებთანაც ისინი დაკავშირებულია, მათი შედარებითი მნიშვნელობა რეგიონში, რომელსაც ემსახურებიან, ხშირად იკლებს. ეს ამცირებს მთლიან ეკონომიკურ სარგებელს რეგიონული ეკონომიკისთვის, რადგან ეს ეკონომიკა იზრდება და უფრო რთული ხდება. ქვემოთ მოცემულია პორტების ყველაზე გავრცელებული ეკონომიკური სარგებელი რეგიონული დასაქმებისთვის:

პორტის გამტარუნარიანობა, ზოგადად, დადებითად არის დაკავშირებული საპორტო რეგიონებში დასაქმებასთან, რაც გულისხმობს იმას, რომ რაც უფრო მაღალია გამტარუნარიანობა, მით უფრო მაღალია დასაქმების დონე. დასაქმებაზე ზემოქმედება ინდუსტრიაში უფრო არსებითია, ვიდრე მომსახურების სექტორში.

დასაქმებაზე ზემოქმედება განსხვავდება სასაქონლო სექტორების მიხედვით. კონტეინერებისა და ნაყარი ნაყარი ტრაფიკს, როგორც წესი, აქვს ორჯერ მეტი გავლენა სამუშაოზე, ვიდრე მშრალი და თხევადი ნაყარი ტრანსპორტი.

როგორც წესი, კერძო პორტებს უფრო მეტი გავლენა აქვთ რეგიონალურ დასაქმებაზე, ვიდრე საჯარო პორტები, რადგან ისინი ჩვეულებრივ ემსახურებიან კომერციულ მიწოდების ქსელებს.

დასკვნა

თითოეული პირდაპირი პორტის დასაქმება ჩვეულებრივ ასოცირდება სამიდან ოთხ ირიბ სამუშაოსთან, თუმცა ასეთი მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავდება გამოკითხვებისა და კონტექ-სტის მიხედვით. არსებობს შეზღუდული ემპირიული მტკიცებულება სამუშაოს მულტიპლიკატორის მაჩვენებლების შესახებ.

თუმცა, ეკონომიკური სარგებელი პორტის ტვირთის ერთეულზე, როგორც დასაქმების, ისე ეკონომიკური აქტივობის თვალსაზრისით, ჩვეულებრივ იზრდება ეკონომიკურ ზრდასთან ერთად. ამრიგად, პორტის ინვესტიციების დაბალი შედარებითი სარგებელი დაფარულია ეკონომიკური ზრდით, ხოლო პორტების ეკონომიკური მნიშვნელობა იზრდება. ეკონომიკური სარგებელი ნაკლებად პირდაპირ კავშირშია პორტის საქმიანობასთან, მაგრამ უფრო მეტად დაკავშირებულია მათ მიერ მხარდაჭერილი მიწოდების ჯაჭვების დინამიკასთან. ეს მხარდაჭერა ხდება ოპერატიული და ფუნქციონალური, სარგებელი, რომელიც გადამწყვეტია ეროვნული კონკურენტუნარიანობისთვის. აქედან გამომდინარე, გლობალური ტენდენციები ხაზს უსვამს პორტების პირდაპირი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, მაგრამ მათი არაპირდაპირი და გამოწვეული ეკონომიკური სარგებლის შესამჩნევ ზრდას. ეს ტენდენცია რთულია, რადგან პირდაპირი ეკონომიკური სარგებელი შეიძლება ადვილად შეფასდეს, ხოლო ირიბი და გამოწვეული ეფექტების დაფიქსირება რთულია.

Assessment of the economic benefits of Georgian port investments

Murman Bliadze
Professor of Technical University of Georgia

Lasha Sharashidze
Doctoral student of Technical University of Georgia

Sofia Bliadze
Associate Professor of Technical University of Georgia

Resume

The economic benefits of ports are usually measured at the aggregate level by indicators such as value added, employment, tax revenue and return on investment. These indicators are primary for the decision to invest in port development and should be taken into account: Demand forecasting attempts to estimate the expected traffic that an investment will generate. Liner shipping strategies, especially how they serve the markets and how the port fits into their service configuration in terms of vessel capacity and frequency. While some ports act as loading centers, others are shipping centers.

The shipping function is often the result of a carrier's strategy in specific service regions.

გლობალიზაცია და ეთნოტურიზმი

გალახვარიძე ნაირა
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

გლობალიზაცია-სამეურნეო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის სივრცობრივი მახასიათებელია, რომელიც მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი უკანასკნელ ათწლეულებში მეტად ინტენსიურ ხასიათს იღებს და მთელ მსოფლიოს მოიცავს.

ტრანსნაციონალიზაციას მივყავართ პოსტნაციონალიზმთან, როცა რეალური ხდება სახელმწიფოებისა და ერების „გახსნა, შერევის“ პერსპექტივა უფრო რთულ, ადრე არ არსებულ საერთაშორისო სტრუქტურებში.

გლობალიზაციის ბევრი აპოლოგეტის მთავარი შეცდომა არის, მათი დარწმუნება, რომ ახალი კულტურული სტანდარტები და ახალი გლობალური იდენტობები აუცილებლად შეცვლიან ძველს, უპირველეს ყოვლისა კი ეთნიკურს. ამასთან ერთად თავად ეთნიკური თვითშეგნება აჩვენებს სხვადასხვა იდენტობის თანაარსებობის შესაძლებელ ფორმებს. ეთნიკური საზოგადოების წევრები შეიძლება ფლობდნენ, როგორც საერთო ეთნიკურ თვითშეგნებას, ისე სუბეთნიკურსაც ე.ი. ერთდროულად შეუსაბამოს საკუთარი თავი მთლიანად ეთნოსს და ეთნოგრაფიულ ჯგუფს, ანდა სუბეთნოს, მთავარია მხედველობაში გვქონდეს, რომ გლობალიზაციის პროცესის ეკონომიკური არსი, გამოხატული ტრანსნაციონალური კომპანიებისა და საწარმოო სისტემების ინტეგრაციის დომინირებაში, რომელიც გვიჩვენებს, რომ თითქოს ანგრევს ეროვნული სახელმწიფოს დომინირების, ეპოქის ყველა საზღვარსა და შეზღუდვას, სინამდვილეში მკაცრად რეგლამენტირდება ეროვნული მთავრობის მიერ, მის ხელთ არსებული ინსტიტუციური ფორმებით. ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობები, როგორც წესი დაკავშირებულია განსაზღვრულ ეროვნულ სახელმწიფოებთან, სწორედ ეს უკანასკნელნი ინარჩუნებენ მათზე გადამწყვეტ ზემოქმედებას.

საკვანძოსიტყვები: ინტეგრირებულობა, ურთიერთდამოკიდებულობა, უდიები, ებრაელები, გლობალიზაცია, ზენაციონალიზმი, ეთნოტურიზმი, კულტურა.

ძირითადი ტექსტი

გლობალიზაცია-სამეურნეო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის სივრცობრივი მახასიათებელია, რომელიც მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, მეტად ინტენსიურ ხასიათს იღებს და მთელ მსოფლიოს მოიცავს.

გლობალიზაციის ახლანდელ ეტაპს მკვლევარები განიხილავენ, როგორც ქვეყნების , რომლებიც აძლიერებენ მეურნეობის ტრანსნაციონალიზაციას ინფორმაციული და სხვა სახის საქმიანობით, მზარდი ურთიერთდამოკიდებულობის დამატებას. თუ მივუბრუნდებით გლობალიზაციის არსობრივ მახასიათებელს, მაშინ აქ აქცენტი უნდა გაკეთდეს მსოფლიო ინტეგრირებულობის, მთლიანობისა და ურთიერთდამოკიდებულობის ხარისხობრივ ახალ დონეზე.

გლობალიზაციის ასეთი გაგება განაპირობებს, რომ ეთნიკური ფაქტორი კარგავს თავის მნიშვნელობას შიგა და საერთაშორისო პოლიტიკაში, რომ დომინირებულ მნიშვნელობას იძენს ახალი იდენტობები და ფასეულობების ახალი სისტემები, რომლებიც არღვევენ წინანდელ კულტურულ საზღვრებს. აანალიზებს რა ნაციონალიზმის პრობლემების იმ მკვლევარების პოზიციებს, რომლებიც მას გლობალიზაციის კონტექსტში განიხილავენ, ე.სმიტი აღნიშნავს, რომ ისინი წინასწარმეტყველებენ პირველ ყოვლისა, „ნაციონალური სახელმწიფოს“ გარდაუვალ დაკნინება, დაქვეითებას, მეორე მხრივ ნაციონალიზმის შეცვლა- შენაცვლებას, მესამე მხრივ ეთნიკურობის გადალახვას.

ის ვინც იყენებს ცნებას „ზენაციონალიზმი“და „გლობალური კულტურა“, მიუთითებს ნაციონალური იდენტობის ფრაგმენტაციაზე, ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ეროვნული სახელმწიფოების გაზრდილ პოლიტიკურ ურთიერთდამოკიდებულებაზე, მაგრამ ამასთან ერთად იმის

მტკიცებულებაც არსებობს, რომ „სოციალური ურთიერთზემოქმედების ნებაყოფლობითი კავშირების

ეპოქაში, რომელიც წარმოქმნილია ინდივიდების მოთხოვნილებებისა და საქმიანობებიდან, ეთნონაციონალური ორგანიზაცია ემსახურება და წარმოადგენს ინდივიდთა იდენტიფიკაციის სოლიდარობის მნიშვნელოვან არსს... ეთნონაციონალური მოძრაობები პოლიტიკურად აქტიურნი არიან და ამავდროულად წარმოადგენენ კულტურის ფორმირების საფუძველს. ადგილი აქვს არაეთ-ნიკურობის დაძლევას, არამედ აღდგენა - განახლებას „ეთნიკური კვანძის, თავად გლობალიზაციის პროცესებით“.

უფრო მეტიც მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულის მოვლენებმა საშუალება მისცა ე. სმიტს გამოეთქვა აზრი აშკარა „გლობალურ ეთნიკურ აღორძინებაზე“.

სანამ ჩვენ მოვლენებს ვაკვირდებით, არა ახალი გლობალური ფორმირებანი, არა შეცვლა და ეთნიკურობის გადასვლა „ზენაციონალიზმზე“, არამედ ადგილი აქვს აშკარა ეთნიკურობის აქტუალიზაციას დამატებული რეგიონალიზმის გაძლიერება. შემთხვევითი არ არის, რომ ბოლო წლებში სულ უფრო ხშირად საუბრობენ ევროპულ რეგონებზე. მართალია, გლობალიზაციის პროცესები განაპირობებენ ახალ ტრანსსასაზღვრო რეგიონების, ან „ევრორეგიონების“ფორმირებას, რომლებიც ყალიბდება ადრე არსებული სახელმწიფო საზღვრების პირაპირზე.

გლობალიზაციის ბევრი აპოლოგეტის მთავარი შეცდომა არის, მათი დაწრმუნება, რომ ახალი კულტურული სტანდარტები და ახალი გლობალური იდენტობები აუცილებლად შეცვლიან ძველს, უპირველეს ყოვლისა კი ეთნიკურს. ამასთან ერთად თავად ეთნიკური თვითშეგნება აჩვენებს სხვადასხვა იდენტობის თანაარსებობის შესაძლებელ ფორმებს. ეთნიკური საზოგადოების წევრები შეიძლება ფლობდნენ, როგორც საერთო ეთნიკურ თვითშეგნებას, ისე სუბეთნიკურსაც ე.ი. ერთდროულად შეუსაბამოს საკუთარი თავი მთლიანად ეთნოსს და ეთნოგრაფიულ ჯგუფს, ანდა სუბეთნოს, მაგალითად ფრანგი და კორსიკელი, გერმანელი და ბავარიელი, ქართველი და მეგრელი ან თუში. მთავარია მხედველობაში გვქონდეს, რომ გლობალიზაციის პროცესის ეკონომიკური არსი, გამოხატული ტრანსნაციონალური კომპანიებისა და საწარმოო სისტემების ინტეგრაციის დომინირებაში, რომელიც გვიჩვენებს, რომ თითქოს ანგრევს ეროვნული სახელმწიფოს დომინირების, ეპოქის ყველა საზღვარსა და შეზღუდვას, სინამდვილეში მკაცრად რეგლამენტირდება ეროვნული მთავრობის მიერ, მის ხელთ არსებული ინსტიტუციური ფორმებით. ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობები, როგორც წესი დაკავშირებულია განსაზღვრულ ეროვნულ სახელმწიფოებთან, სწორედ ეს უკანაკნელნი ინარჩუნებენ მათზე გადამწყვეტ ზემოქმედებას. გლობალიზაცია ადამიანთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე არ იწვევს ეთნიკურობის შევიწროვებასა და შეცვლას, არამედ ხელს უწყობს მის აქტუალიზაციასა და პოლიტიზებას. გლობალიზაცია შესაძლებელს ხდის გაფართოვდეს კულტურული არტიკულირების პოლიტიკური და ინფორმაციული სივრცე, ის განაპირობებს მინორიტალური ეთნიკური საზოგადოებების გადაქცევას არა უბრალოდ პოლიტიკურად აქტიურ მოთამაშეებად, არამედ საერთაშორისო აქტორებადაც კი. გლობალიზაცია საშუალებას იძლევა რესურსები განაწილდეს იმ ეთნიკური საზოგადოებებისა და ჯგუფების სასარგებლოდ, რომლებიც რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან და მათ აძლევს დამატებით სტიმულებს თვითორგანიზებისა და გადარჩენისათვის.

იმ ფაქტზე ხაზის გასმა, რომ გლობალიზაცია არ ავიწროებს და არ ცვლის ეთნიკურობას, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ უდავოა გლობალიზაციის პროცესები ეთნიკურობაზე ახდენენ დამანგრეველ ზემოქმედებას, მაგრამ კულტურათა და ენების კონკურენციას კაცობრიობის ისტორიაში ყოველთვის ჰქონდა ადგილი, ისინი გლობალიზაციამ არ წარმოქმნა, მას შეუძლია მხოლოდ ამ მოვლენების ინტესიფიცირება მოახდინოს, რომლებიც ხარისხობრივად სულ სხვა თვისებებს იძენენ. ამასთან ერთად გლობალიზაცია ეთნიკურ ჯგუფებს აძლევს ახალ რესურსებს უნიფიკაციისა და ასიმილაციის პროცესების წინააღმდეგობების გასაწევად. ამ რესურსებში უპირველესყოვლისა მოიაზრება კულტურის როლის,კულტურული ინტეგრაციისა და ეთნოტურიზმის განვითარება და სრულიად ახალ საფეხურზე აყვანა.

რაც უფრო გამორჩეულია და განსხვავებულია ამათუიმ ერის კულტურა მით უფრო ღირე-

ბულია იგი მთელი კაცობრიობისათვის. კაცობრიობის ისტორიული განვითარებისათვის მცირე ეთნიკური ჯგუფის კულტურა ისეთსავე ღირებულს წარმოადგენს, როგორც დიდი ერისა.

ტერმინი „კულტურის“ უნივერსალური განსაზღვრება, რომელიც იმავდროულად საერთა-შორისო მნიშვნელობისაცაა მოცემულია მეხიკოში მიღებული კულტურის პოლიტიკის დეკლარაციაში: „კულტურა ხელოვნების და ლიტერატურის გარდა მოიცავს ცხოვრების წესს, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას, ფასეულობათა სისტემებს, ტრადიციებსა და რწმენას“. ამ კუთხით საინტერესოა ეთნოტურიზმი და ამ ბოლო პერიოდში მისი სწრაფი გამვითარება.

ეთნო ტურიზმი კულტურული ტურიზმის ერთერთი მიმართლებაა, რომელსაც მკვეთრად გამოკვეთილი ეთნიკური, ენობრივი და კულტურული შემადგენლები ახასიათებს. ის შეიძლება იყოს წარმოდგენილი, როგორც შიდა ტურიზმის, როდესაც ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების მაცხოვრებლები (განსხვავებული ეთნოკულტურის წარმომადგენლები. მაგალითად სვანები, ხესურები, თუშები, მთიულები, მეგრელები და ა.შ) ინტერესდებიან და ეცნობიან საკუთარი ქვეყნის ისტორიის განუყოფელ ნაწილს - რომელიმე ეთნიკური ჯგუფის ყოფა ცხოვრებას და ასევე საერთაშორისო, როდესაც:

1. ქვეყნის გარედან მიზნობრივი პროგრამების ბაზაზე, ჩამოდიან ვიზიტორთა ჯგუფები, ამათუიმ ისტორიული თემის გასაცნობად (ავტოქტონური მოსახლეობის არქაული ლექსიკა, ცხოვრების წესი, ფოლკლორი და ა.შ);

2.როდესაც ქვეყანაში მიზნობრივად შემოდიან ქართული დიასპორის წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნიდან, როგორც ქვეყნის ეთნომრავალფეროვნების ასევე საკუთარი წინაპრების ისტორიული კვალის გასახსენებლად.

საქართველოში ყვარლის მუნიციპალიტეტში სოფელ ზინობიანში ცხოვრობენ ერთ-ერთი ავტოქტონი ხალხი, უდიები. ისინი მე-20 სუკუნის დასაწყისში ჩამოვიდნენ .ამას ხლმძღვანელობდა ზინობი სილიკაშვილი და სწორედ მისი პატივისცემის ნიშნად დაერქვა სოფელს „ზინობიანი“.ზინობი სილიკაშვილის ინიციატივით შეიქმნა ქართველ უდიათა დამხმარე საზოგადოება,რომლის წევრებიც იყვნენ ივანე ჯავახიშვილი და შალვა დადიანი. დედამიწაზე სულ უდიათა რაოდენობა შეადგენს 8,440 კაცს ისინი მიიჩნევიან კავკასიის ალბანელების შთამომავლებად (ცხოვრობენ აზერბაიჯანში, სომხეთში, ყაზახეთში, უკრაინაში, რუსეთში და საქართველოში). უდიები ქრისტიანობის მიმდევრები არიან. 1970 წლის აღწერით საქართველოში 800 უდი ცხოვრობდა; 1989 წელს-793 უდი; 2002 წელს-203 უდი ცხოვრობდა. მათი ცხოვრების წესის ადათწესებისა და ტრადიციების გასაცნობად ხშირად ჩამოდიან საზღვარგარეთიდან ტურისტები.

სამტრედიიდან 5 კილომეტრში მდებარე დაბა კულაშში ქართველი ებრაელების ისტორიის საინტერესო ნაწილია თავმოყრილი. ამ პატარა ადგილას მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დაახლოებით ათი ათასი ქართველი ებრაელი ცხოვრობდა სადაც 6 ებრაული სალოცავი მოქმედებდა. ისტორიულ წყაროებში მიქელაძეთა საგვარეულოს ბრძანებით კულაშში მე-17 საუკუნის მიწურულს 7 ებრაელ გლეხს მისცეს ცხოვრების უფლება. დროთა განმალობაში კულაშში ახალციხელი, ლაილაშელი და ბანძელი ებრაელები დასახლდნენ. დაბა კულაშში იმითაცაა გამორჩეული, რომ საქართველოში არსებულ ებრაეულ დასახლებათა შორის ერთ-ერთია სადაც მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობა ქართველი ებრაელი იყო. 2005 წელს ამირან მიხელაშვილის სახლში დაარსდა ქართველთა და ებრაელთა მუზეუმი.

1800 წელს საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით აქ ცხოვრობდა 3300 ებრაელი; 1865 წელს 7800; 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით 6,407 ებრაელი თავის მშობლიურ ენად ქართულს მიიჩნევდა. 1989 წელს ემიგრაციაში წავიდა 488 ებრაელი, 1992 წელს საქართველოდან ისრაელში წავიდა 2595 კაცი.

კავკასია და საკუთრივ საქართველო გეოპოლიტიკური, სტრატეგიული, ეკონომიკური, ეკოლოგიური, კონფესიური თვალსაზრისით ისტორიულად და განსაკუთრებით დღეს თავისი მრავალფეროვნებითა და მრავალკონფესიური რელიგიურობით „აქტიური ველის“ რეგიონს წარმოადგენს. ამდენად, ერთაშორისი ურთერთობანი ერთ-ერთი უპირველესი პრობლემაა და მისი ჰარმონიულად ჩამოყალიბება, როგორც ქვეყნის, ისე რეგიონისა და მსოფლიოსათვის უმნიშვნელოვანეს

ამოცანას წარმოადგენს, ამხრივ ქართულ-ებრაულ ურთიერთობებზე გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს ისტორიაში ბადალი თითქმის არ მოეძებნება. აღსანიშნავია, რომ საქართველო არის იმ უიშვიათეს ქვეყანათა რიგში, სადაც ებრაელები არასდროს იდევნებოდნენ. მულტიკულტურულ საქართველოში ებრაული დიასპორა ერთ-ერთი უძველესთაგანია.

საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება, მონახულებული რეგიონების მიხედვით 2017-2019 წელს ასეთ სურათს იძლევა: საქართველოში 2017 წელს შეადგინა 779,3 ათასი ვიზიტორი, მათ შორის აჭარაში159,9 ათასი; ქვემო ქართლში 100,3 ათასი; მცხეთა მთიანეთში - 91,1 ათასი; სამცხე ჯავახეთში 60,6 ათასი; კახეთში 42,0 ათასი; იმერეთში 28,4 ათასი; სხვა რეგიონებში 38,8 ათასი.

2019 წლისათვის კი აღნიშნულმა მაჩვენებელმა საქართველოში შეადგინა 902,3 ათასი ვიზიტორი. მათ შორის აჭარაში - 189,1 ათასი ვიზიტორი; ქვემო ქართლში 106,2 ათასი; მცხეთა მთიანეთი 105,8 ათასი; სამცხე ჯავახეთი 41,5 ათასი; კახეთი 40,8 ათასი; იმერეთი 30,4 ათასი; სხვა რეგიონები 46,5 ათასი ვიზიტორი.

მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად ვიზიტორთა რაოდენობამ 2017 წელს შეადგინა 120,2 ათასი ხოლო 2019 წელს 122,4 ათასი ვიზიტორი.

დასკვნა

გლობალიზაცია ადამიანთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე არ იწვევს ეთნიკურობის შევიწროვებასა და შეცვლას, არამედ ხელს უწყობს მის აქტუალიზაციასა და პოლიტიზებას. გლობალიზაცია შესაძლებელს ხდის გაფართოვდეს კულტურული არტიკულირების პოლიტიკური და ინფორმაციული სივრცე. გლობალიზაცია საშუალებას იძლევა რესურსები განაწილდეს იმ ეთნიკური საზოგადოებებისა და ჯგუფების სასარგებლოდ, რომლებიც რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან და მათ აძლევს დამატებით სტიმულებს თვითორგანიზებისა და გადარჩენისათვის. ამასთან ერთად გლობალიზაცია ეთნიკურ ჯგუფებს აძლევს ახალ რესურსებს უნიფიკაციისა და ასიმილაციის პროცესების წინააღმდეგობების გასაწევად. ამ რესურსებში უპირველესყოვლისა მოიაზრება კულტურის როლის,კულტურული ინტეგრაციისა და ეთნოტურიზმის განვითარება და სრულიად ახალ საფეხურზე აყვანა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე.ბარათაშვილი,ნ. გალახვარიძე,ზ.ნასარაია „ეთნომენეჯმენტი“,თბ.2023 წელი.
2. ევგენი ბარათაშვილი,ზურაბ ნასარაია,ნაირა გალახვარიძე,ლეილა მამულაშვილი
3. „საქართველოს ეკონომიკა“,თბ.2022 წელი
4. ლარისა დოლიკაშვილი,კობა არაბული„ტურიზმის საფუძვლები“,თბილისი2024.
5. Smith E. Nationalism and modernism. M., 2004. Page 388

Globalization and Ethnotourism

Galakhvaridze Naira
Shota Rustaveli Theater and Cinema of Georgia
Associate Professor of the State University

Abstract

Globalization at the modern stage of development of human society does not lead to the narrowing and changing of ethnicity, but contributes to its actualization and politicization. Globalization makes it possible to expand the political and informational space of cultural articulation. Globalization allows resources to be

distributed in favor of ethnic communities and groups that are in a difficult situation and provides them with additional incentives for self-organization and survival.

It must be said that there is no doubt that the processes of globalization have a devastating effect on ethnicity, but the competition of cultures and languages has always taken place in the history of mankind, they were not created by globalization, it can only intensify these events, which acquire qualitatively different characteristics. At the same time, globalization provides ethnic groups with new resources to resist the processes of unification and assimilation. In these resources, first of all, the role of culture, cultural integration and development of ethno-tourism are considered and taken to a completely new level.

The more distinctive and different the Amatui nation's culture is, the more valuable it is to all mankind. For the historical development of humanity, the culture of a small ethnic group is as valuable as that of a large nation.

Keywords: integration, interdependence, Jews, globalization, supranationalism, ethnotourism, culture.

ეფექტური მენეჯმენტი - ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორი

გამსახურდია თამაზ
აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ხელისუფლების ძირითადი ამოცანები, რომლებიც ითვალისწინებს ქვეყნის ძლიერებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას, რომელიც დამოკიდებულია გამოცდილების, კვალიფიკაციის, პროფესიული დონის ამაღლების, ფიზიკური და გონებრივი შრომის ეფექტურად გამოყენების უნარზე. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ეფექტური შრომითა და გონივრული გადაწყვეტილების შემუშავების გზით, უზრუნველყოთ საკუთარი და მთლიანად ქვეყნის კეთილდღეობა.

აქვე აღნიშნულია, რომ ჩვენი დემოგრაფიული სიტუაციიდან გამომდინარე, ხელისუფლებამ უფრო მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს ჩვილბავშვიანი დედების მიმართ და რაც შეიძლება მეტი ინვესტიციები მიმართოს ამ დიდ მამულიშვილურ საქმისადმი, რომელიც ქვეყანას უდაოდ დიდ ეფექტს მოუტანს. აქვე აღნიშნულია ინვესტიციების ნაკლებობაზე ლექტორ-მასწავლებელთა საპენსიო განაკვეთების ზრდის თაობაზე.

ნაშრომში საუბარია ქვეყნის ბუნებრივი და წიაღისეული სიმდიდრის მნიშვნელობაზე და მისი მოპოვება-გამოყენების ეფექტიანობაზე ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისათვის. ამასთან ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ახალი ჰესების მშენებლობა ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანია მაგრამ, ნამოხვან ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით დაშვებული იყო ზოგიერთი ხარვეზები: არ იყო გათვალისწინებული ჰესის მიმდებარე ტერიტორიებზე, რომელთა ინვესტორზე გადაცემა ხდებოდა, არსებული ბუნებრივი თუ კულტურული სიმდიდრეები იკარგებოდა დროებით (99 წლით) ან სამუდამოდ ნადგურდებოდა. ამს მოყვა საზოგადოების აღშფოთება და წინააღმდეგობები. ხელისუფლებას მოუწია ინვესტორთან ხელშეკრულების გაწყვეტა და მშენებლობის შეჩერება.

ნაშრომში ნაჩვენებია ისეთი ნეგატიური მოვლენები, რომლებიც ნეგატიურად მოქმედებენ ქვეყნის მომავალზე, კერძოდ ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების წესებზე. საუბარია აზარტული თამაშების, ნარკოტიკების ადვილად ხელმისაწვდომობაზე ახალგაზრდობისა და მოზარდებისადმი. თუ ეს მდგომარეობა არ გამოსწორდა ან მინიმუმამდე არ იქნა დაყვანილი, ჩვენთვის როგორც მცირერიცხოვანი ერისათვის შეიძლება კატასტროფული აღმოჩნდეს.

აგრეთვე აღნიშნულია, რომ ახალგაზრდობის სწორად აღზრდის ერთ-ერთი შემაფერხებელ მიზეზია ქვეყნის მასშტაბით განქორწინების რიცხვის ზრდაც. განქორწინების რიცხვმა თითქმის ქორწინების რიცხვს გაუთანაბრდა, ამას ემატება მშობლების ემიგრაციაში წასვლა და მოზარდების მოხუცებული ბებია-ბაბუის იმედზე დატოვება. ჯერ-ჯერობით ამ მაჩვენებლების კლების ტენდენცია არ შეიმჩნევა. გაურკვეველია თუ რა ვიღონოთ ასეთ შემთხვევაში.

გამახვილებულია ყურადღება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტ-ექსპორტის დისბალანსზე იმპორტის მხრივ, მის მიზეზებზე და აღმოფხვრის გზებზე.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური რესურსები, დემოგრაფია, მიგრაცია, ინვესტიცია, ეფექტური შრომა, უმუშევრობა, იმპორტ-ექსპორტი, მენეჯმენტი, ბუნებრივი რესურსები, წიაღისეული სიმდიდრე.

ძირითადი ტექსტი

ნებისმიერი ხელისუფლების ძირითადი ამოცანა უნდა იყოს დღენიადაგ ქვეყნის ძლიერების განმტკიცებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზე ზრუნვა, რომელიც უშუალოდ დაკავ-შირებულია თითოეული მათგანის გამოცდილების, კვალიფიკაციის, პროფესიული დონის ამაღლების, ფიზიკური და გონებრივი შრომის ეფექტურად გამოყენების უნარზე, რომელთა ხარჯზე შესაძლებელია მიღწეულ იქნას წარმატებები, რაც ქვეყნის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების საფუძველია.

ქვეყანაში, ბევრი მოუგვარებელი პრობლემის გამო, მაღალია უმუშევრობის მაჩვენებლები და

ღარიბია მოსახლეობის დიდი ნაწილი. ამ შემთხვევაში ადამიანი იმაზე ფიქრობს რა გზას დაადგეს და რით ირჩინოს თავი. ღარიბი ხარ თუ მდიდარი, მთავრობის წევრი ხარ თუ რიგითი მუშაკი, უნდა გიყვარდეს შენი ქვეყანა, უნდა იყო პატრიოტი და იზრუნო ქვეყნის აღმშენებლობისთვის. მივბაძოთ ჩვენს სახელოვან წინაპრებს, როდესაც სამშობლოს უჭირდა ერი და ბერი ერთიანდებოდა და ერთსულოვნების ხარჯზე მუდმივად აღწევდნენ წარმატებებს. ბევრჯერ ააოხრა და გააპარტახა მტერმა ჩვენი სამშობლო, მაგრამ ის მაინც ახერხებდა ფეხზე დადგომას. ეფექტური შრომითა და გონივრული გადაწყვეტილების შემუშავების გზით, უზრუნველყოთ საკუთარი და მთლიანად ქვეყნის კეთილ-დღეობა. ამისათვის საჭიროა გავათვითცნობიეროთ, რომ სხვისი შემყურე ცხოვრება შეუძლებელია. ადამიანის ძირითადი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ სწორად შეაფასოს თავისი უნარ-ჩვევები და შეარჩიოს პრიორიტეტები, რათა მაქსიმალურად და ეფექტიანად გამოიყენოს ხელთარსებული რესურსი, რომ დაძლიოს მის წინაშე არსებული პრობლემები.

ძირითადი ნაწილი

ქართველი ერი ყოველთვის გამოირჩეოდა ტოლერანტობით, სხვისი პატივისცემითა და დაფასებით ყველგან და ყველაფერში. მიუხედავად უმძიმესი ეკონომიკისა, ქართველი კაცის ღირსება არასოდეს ისეთი ამაღლებული არ ყოფილა, როგორც საბჭოთა ეპოქაში. უფროს თაობას კარგად ახსოვს, როგორ ხვდებოდნენ ქართველებს მოსკოვსა და ლენინგრადში (ახლანდელი სანკ-პეტერბურგი). ჩვენი მეცნიერება, კულტურა სპორტი და ხელოვნება ისე ყვაოდა, რომ მთელი საბჭოთა კავშირი შემოგვნატროდა. ქართველს, თუნდაც ვიღაც ბოგანო რომ ჩასულიყო რუსეთში, უკრაინაში ან ნებისმიერ მოკავშირე რესპუბლიკაში, ყველა პატივს სცემდა.

ქართველს თავისუფლად შეუძლია იამაყოს თავისი ერის წარსულით, სახელოვანი მამულიშვილებით, მწერლებით, პოეტებით, მეცნიერებით, კულტურის მოღვაწეებით, სპორტსმენებით და სხვა, რომლებმაც ჩვენი სამშობლოს სახელი და დიდება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაიტანეს, გააცნეს მსოფლიოს ჩვენი ქართული გენის სიდიადე. როგორ ლამაზად ჟღერს რასიოლოგიისა და ანთროპოლოგიის ფუძემდებლის, ფრიდრიხ ბლუმენბახის შეფასება. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში მას შემთხვევით როდი უღიარებია ქართველები მსოფლიოში ულამაზეს ხალხად და თეთრი რასის ფუძემდებლად.

ჩვენმა დაკვირვებამ მოგვცა შესაძლებლობა გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ისტორიულად ქართულ ოჯახში დაბადებული და გაზრდილი ბავშვები პატარა ასაკიდან ეჩვეოდნენ შრომას, იცოდნენ მისი ფასი და ათვითცნობიერებდენ იმას, რომ შრომისა და გარჯის გარეშე ყოფა-ცხოვრება შეუძლებელია.

პატარებს შრომა აჩვევს, აწრთობს და ხელს უწყობს კარგ პიროვნებად და ადამიანად ჩამოყალიბებაში. უდაოდ, ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის მშობლებს, მაგრამ შვილის აღზრდაში ლომის წილი უდევს დედას. როგორც ვაჟა ბრძანებდა "ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა"-ო. დედას მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს, როგორც შვილის გამზრდელს. პირველ რიგში, ეს დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობით უნდა გამოიხატებოდეს. დედას უნდა ქონდეს უფრო მეტი დრო შვილის აღსაზრდელად. მოსამსახურე დედებს უმეტეს შემთხვევაში ძიძა ჰყავთ აყვანილი შვილის მომვლელად, რაც კარგ მიდგომად არ მიგვაჩნია. შვილის აღმზრდელი დედა სოციალურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რაშიც ხელისუფლებამ გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს. დედის ძირითად მოვალეობად უნდა ითვლებოდეს შვილის გარკვეულ ასაკამდე აღზრდა და ამ საქმეში უდაოდ დიდი ინვესტიციების ჩადებაა აუცილებელი, რაც უდავოდ დიდ ეფექტს მოუტანს სახელმწიფოს. ალბათ ღირს გავითვალისწინოთ უნგრეთის მაგალითი, სადაც შვილების აღრზდით დაკავებული დედა დასამებულად ითვლება (შრომის სტაჟის წყვეტა არ ხდება) და სახელმწიფო უხდის შესაბამის ანაზღაურებას. საინტერესო პროექტია - "პატარების დიდი შოუ", სადაც ვიხილეთ ნიჭით დაჯილდოვებული და გამორჩეული ბავშვები. იმედია, რომ მათი ნიჭი უფრო გაიფურჩქნება, მაგრამ მშობლებმა არ უნდა მოადუნონ ყურადღება და ხელშეწყობა ასეთი ნიჭით გამორჩეული შვილების მიმართ. მიგვაჩნია, რომ განათლების სამინისტროსთან შეიქმნას ცალკე რომელიმე დეპარტამენტი ან ბიურო, რომელიც უხელმძღვანელებს განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული ბავშვებთან საქმიანობას.

ჩვენ გვჯერა, რომ ამით მომავალში ვიხილავთ მცოდნე და მაღალკვალიფიციურ ახალგაზრდა თაობას, რომლებიც 21-ე საუკუნეში უდაოდ დიდი საქმის განხორციელების ავტორები იქნებიან.

საამაყოა თუ როგორი მონდომებითა და რუდუნებით შრომობდნენ ჩვენი სასიქადულო წინაპრები. ეპოქის ამა თუ იმ პერიოდში დიდ თაოსნობას იჩენდნენ თუ როგორ დაეცვათ სამშობლო მტრებისაგან, როგორ შეექმნათ უკეთესი ცხოვრების პირობები და ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდათ, რომ უწყვეტად ეკეთებინათ დიდი მამულიშვილური საქმეები და ასეთი პატრიოტული სულის-კვეთებით უდგებოდნენ სამშობლოს სიყვარულს. სწორედ დაუღალავი შრომის შედეგია ის დიდი მიღწევები, რომლებიც განუმეორებელი ძეგლების სახით დაგვიტოვეს, როგორიცაა: ვარძია, სვეტიცხო-ველი, გელათი, ხახული, შიო მღვიმე, ჯვარი, საფარა, მარტვილი და მრავალი სხვა მატერიალური ძეგლები, რომლებიც ჩვენი საამაყო წარსულის მემატიანეა და ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათია.

საქართველო თავისი მდებარეობით, ბუნებრივი რესურსებით და წიაღისეული სიმდიდრით, თავის ადგილს იკავებს მსოფლიოს თანავარსკვლავედში. ჩვენი ქვეყანა გამორჩეულია თავისი ბუნებრივი და წიაღისეული სიმდიდრეებით. მსოფლიოში ცნობილი მაღალი დონის მეცნიერმა ალექსანდრე ჯანელიძემ 1933 წელს შექმნა ქართული გეოლოგიური სკოლა. მას საზღვარგარეთიდან ჩამოჰყავდა ცნობილი მეცნიერები საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის შესასწავლად. სწორედ მათ აღწერეს მთელი საქართველოს გეოლოგიური რუქა. როგორც ირკვევა, დღეს ხელისუფლებაში სრულყოფილად არ იციან საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე და მისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. კვლევებიდან ჩანს, რომ საქართველოში თითქმის 73 სახეობის წიაღისეული სიმდიდრეა აღმოჩენილი, რომლებიც შეიცავს მენდელეევის თითქმის მთელ სისტემას, ესენია: ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, თუთია, ტყვია, რკინა, ბარიტი და ასე შემდეგ. როგორც ცნობილია, ჩვენი ქედები, როგორც სამხრეთით, ისე ჩრდილოეთით შეიცავს ისეთ წიაღისეულს, როგორიცაა ლოპოტის მარმარილო, რომელიც ხარისხით არ ჩამოუარდება იტალიურ მარმარილოს, სალიეთის მარმარილოზე დიდი მოთხოვნაა, მაგრამ სამწუხაროდ, დიდი მოცულობით არ ხდება მისი მოპოვება. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სალიეთის მარმარილოთია მოპირკეთებული მოსკოვის მეტროპოლიტენის მთელი რიგი სადგურები. გარდა მარმარილოსა გვხვდება გრანიტი, ბაზალტი, მთელი ვულკანური ქანების ბევრი სახეობები. მთელი კავკასიონი ხომ ამოუწურავი სიმდიდრეა. რუსეთის უდიდეს ტერიტორიაზე ისტორიულად ერთ-ერთი მდიდარი მხარეა ურალი. მიუხედავად მისი საუკუნეობრივი ინტენსიური ექსპლოატაციისა ის მაინც ინარჩუნებს პირველ ადგილს რუსეთის გეოლოგიაში. ჩვენ ხელუხლებელი გვაქვს ურალზე უფრო მდიდარი საბადოები. საქართველოში მარტო ოქრო რომ ავიღოთ, დაწყებული პატარა მდინარე გლდანულადან თითქმის ყველა მდინარეების სილა-ღორღი შეიცავს ოქროს და მრავალ სასარგებლო ქანებს, რომლებიც ფართოდ გამოიყენება მშენებლობაში.

საქართველო უმდიდრეს ქვეყნად ითვლება, რადგან ფლობს დიდი რაოდენობით რესურსებს. კერძოდ, აღსანიშნავია შავი ქვა, რომლის მაქსიმალური გამოყენება დიდ ეკონომიკურ ეფექტს მისცემს სახელმწიფოს. საბადოს აუზი ზესტაფონიდან საჩხერემდე გრძელდება, რომელიც შეიცავს მაღალი ხარისხის მადანს.

უნდა აღინიშნოს, რომ ნავთობის მოპოვება საქართველოში არ ხდება (დაწყებული ჭალადიდან-კახეთამდე მთელი რიგი ტერიტორიები მდიდარია ნავთობით). სამწუხაროდ, ძალიან პასიურობენ და არავინ ფიქრობს ნავთობის მოპოვების საქმეს ხელი მოჰკიდონ, რომელსაც შეუძლია ქვეყნის ფინანსური რესურსების განვითარებაში გარკვეული როლი ითამაშოს.

როგორც ცნობილია, საქართველოში გამოვლენილია 2000-ზე მეტი მინერალური წყლის წყარო, რომელსაც მაღალი სამკურნალო თვისებები გააჩნია. აგრეთვე უნიკალური დასალევი წყაროს წყლით დაინტერესებას გამოხატავს მთელი რიგი სახელმწიფოები, რომლებიც სხვა ქვეყნის სასმელი წყლებთან შედარებით მაღალი საგემოვნო თვისებებით გამოირჩევა. ეს ჩვენი სიმდიდრე არ არის? ჩვენი სიმდიდრეები ეფექტურად და რაციონალურად რომ გამოვიყენოთ, ამისათვის საჭიროა კარგად მოფიქრებული მენეჯმენტი, რომელიც დიდ შრომასა და ენერგიას მოითხოვს, რომ ექსპორტს მივცეთ სწორი მიმართულება, რასაც სახელმწიფოსთვის დიდი შემოსავლის მოტანა შეუძლია.

ახალი ჰესების მშენებლობის შესახებ გვინდა ჩვენი მოკრძალებული მოსაზრება გამოვთქვათ,

რომ მრავალი ჰესების მშენებლობის მიუხედავად, როგორც აღნიშნავენ მაინც იგრძნობა ელექტროენერგიის დეფიციტი. სანამ ნამოხვანჰესის და სხვა მშენებლობის იდეის პრაქტიკულად განხორციელებას შევუდგებოდეთ, აუცილებელია სპეციალისტები და ექსპერტები გაეცნონ აღნიშნულ პროექტს და ბოლოს მოხდეს მისი გაცნობა-განხილვა საზოგადოების წევრებთან. იქ დაისმებოდა კითხვები: ვინ არის ინვესტორი, რა ვადით შემოდის საქართველოში, რა სიმაღლის კაშხალი იქნება აღმართული, მიწის რა ფართობს დაიკავებს, რა გავლენას მოახდენს ეკოლოგიაზე და ა.შ. ქვეყანაში, რომ შენდება ჰესები, ფაქტია, ქვეყნის ძლიერებაზე მეტყველებს, მაგრამ არავის გახსენებია, რომ ნამოხვანის შემოგარენი რა მრავალფეროვან სიმდიდრეს ინახავს. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას მომავალში რა ბედი ეწევა მას! არ ითვალისწინებენ ყველაზე მნიშვნელოვანს, რომ საქართველოს ტერიტორიის 30% არის მხოლოდ სავარგულები და ისიც წყლით უნდა დაიფაროს? მეტი გონება რომ მოგვეხმო და მოქნევამდე მოზომვა აგვერჩია, ასეთი დაძაბულობა და პერმანენტული აქციები არ მოჰყვებოდა ამ საკითხს. ამ შემთხვევაში მოვუხმოთ ბრძნულ აზრებს, შევიმუშაოთ ოპტიმალური ვარიანტები, რომ მოგებული დარჩეს ქვეყანა და მადლიერი იყოს ქართველი ხალხი.

ხელისუფლება უნდა გრძნობდეს სწავლა-განათლების პრიორიტეტულობას, რადგან განათლებული ადამიანი არის ქვეყნის უდიდესი რესურსი და სიმდიდრე. გაუნათლებელი ადამიანი ფიქრობს მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე და არა ქვეყნის მომავალზე. ან არასწორად ჩაებმება საზოგადოებრივ საქმიანობაში და ან საერთოდ არ მიიღებს აქტიურ მონაწილეობას მასში. ამიტომ თითოეულმა ადამიანმა თავისი ინტერესისა და სურვილის შესაბამისად უნდა მიიღოს განათლება, რომ გახდეს კარგი ადამიანი, აქტიური მოქალაქე და სამშობლოს პატრიოტი. ამ დიდ მამულიშვილურ საქმეში უდიდესი წვლილი შეაქვთ უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერ-პედაგოგებს, რომელთა მიზანია, თითოეული კურსდამთავრებული იყოს მეტად კრეატიული და გონებაგახსნილი ახალგაზრდა, რომელიც იქნება აქტიური, საქმის მოყვარული და თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის კეთილდღეობისათვის მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებაში. როგორც სულმანათი ილია ბრძანებდა: "ქვეყანა იმით კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულანთებული კაცები არ ჰყავს"-ო. სწორედ ეს არის დღეს ჩვენი ქვეყნის გადაუდებელი პრობლემა, როცა ქვეყანა განიცდის მაღალკვალიფიკაციური, გონებაგახსნილი და განათლებული ადამიანების დეფიციტს!

უმაღლესი კურსდამთავრებულების ჩამოყალიბებაში უდაოდ დიდი და ფასდაუდებელი ამაგი მიუძღვის კეთილსინდისიერ მეცნიერ-პედაგოგებს, რომლებსაც მთელი ცხოვრების დიდი ნაწილი უმაღლესი სკოლის კედლებში აქვთ გატარებული. ისმის კითხვა, როგორ აფასებს ხელისუფლება უმაღლეს სასწავლებლებში თუ სამეცნიერო დაწესებულებებში მომუშავე პედაგოგ-მეცნიერების მოღვაწეობას? საპენსიო ასაკს მიღწეულ მეცნიერ-პედაგოგებს, რომლებიც საბოლოოდ სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის სარბიელიდან გადიან, არ იკითხავთ რამდენია მათი პენსია?! იმდენი აქვს, რამდენიც მუშაობის სტაჟის არმქონე პენსიონერს. ეს ხომ ცინიზმია, სატირალი რომ არ იყოს, სასაცილოა. რესურს ამოწურული უმაღლესი სკოლის პედაგოგები (ლექტორები) სახელმწიფოსგან ნამდვილად მივიწყებული არიან. დღევანდელ პირობებში, როცა კატასტროფულად იზრდება ყველა სახის პროდუქტზე ფასები, როგორ შეუძლია საპენსიო მიზერული თანხებით შეიძინოს სამკურნალოდ საჭირო პრეპარატები? მომავალში უმაღლეს სკოლებში მომუშავე ლექტორ-მასწავლებლების შრომა უფრო მეტად მოტივირებული და დაფასებული თუ არ იქნა, უმაღლესი სკოლები კრიზისულ მდგომარეობაში და ჩიხში აღმოჩნდებიან. ნიჭიერი ახალგაზრდობა უმაღლესი კვალიფიკაციის ამაღლებაზე და საერთოდ პედაგოგიურ საქმიანობაზე უარს იტყვიან.

მეცნიერებისა და განათლების სამინისტრომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები და იფიქროს იმაზე, რომ ზემდგომ ორგანოებში დააყენოს საკითხი და მეცნიერ-პედაგოგების მიმართ გამოიჩინონ მეტი ყურადღება პენსიების გაზრდის თაობაზე, რომლებიც ხელისუფლებისა და საზოგადოებისაგან დიდ სიყვარულს და დაფასებას იმსახურებენ! აუცილებლად უნდა შეიცვალოს ემერეტუსის წოდების მინიჭებისა და ანაზღაურების წესი. ის არ უნდა ანაზღაურდეს უმაღლესი სკოლის ბიუჯეტის ხარჯზე, რადგანაც ემერეტუსები არამარტო ცალკეულ უნივერსიტეტს ემსახურებიან, არამედ მთელი ქვეყნის

საზოგადოებას.

კვლევებმა და დაკვირვებამ გვანახა, რომ ახალგაზრდობის სწორად აღზრდის ერთ-ერთი შემაფერხებელ მიზეზად მიგვაჩნია კაზინოები, ტოტალიზატორი და ონლაინ აზარტული თამაშების მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის ადვილი ხელმისაწვდომობა. როგორც ცნობილია, ონლაინ აზარტული თამაშები ამერიკაში აკრძალულია. ამ სენის წინააღმდეგ რუსეთიც იბრძვის. საქართველოში ამ მიმართულებით ჯერ-ჯერობით რადიკალური ზომები არ ტარდება. მცირერიცხოვანი ერისთვის ეს მავნე სენი თუ არ იქნება მინიმუმამდე დაყვანილი, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. დაგვიანებულია კიდეც და საჭიროა ჩამოვკრათ განგაშის ზარი, რათა ვიხსნათ ჩვენი მომავალი თაობა დაღუპვისაგან.

ახალგაზრდობის სწორად აღზრდის ერთ-ერთი შემაფერხებელ მიზეზად მიგვაჩნია აგრეთვე ქვეყნის მასშტაბით განქორწინების რიცხვის ზრდაც. განქორწინების რიცხვმა თითქმის ქორწინების რიცხვს გაუთანაბრდა, ამას ემატება მშობლების ემიგრაციაში წასვლა და მოზარდების მოხუცებული ბებია-ბაბუის იმედზე დატოვება. ჯერ-ჯერობით ამ მაჩვენებლების კლების ტენდენცია არ შეიმჩნევა. გაურკვეველია თუ რა ვიღონოთ ასეთ შემთხვევაში.

ახლახანს გამოქვეყნებულ დემოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, დემოგრაფი ანზორ თოფაძე განგაშს ტეხს და აცხადებს, რომ ქვეყანა კატასტროფის ზღვარზეა. იგი აღნიშნავს, რომ 2020 წელს საქართველოში 46 520 ბავშვი დაიბადა, ანუ 1776 ბავშვით ნაკლები, ვიდრე 2019 წელს. თუ ამას 2014 წლის მონაცემებს შევადარებთ, როდესაც 60 635 ბავშვი დაიბადა, დავინახავთ, რომ სურათი კიდევ უფრო მძიმეა. ფაქტია, 2014-2020 წლებში ანუ შვიდი წლის განმავლობაში, 14 ათას115 ბავშვით ნაკლები დაიბადა!

თუ ეს ტენდენცია ასე გაგრძელდა, 2028 წლისთვის ქვეყანაში 30 ათასამდე ბავშვი დაიბადება, აქედან ვაჟი დაახლოებით 15 ათასი იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული ჯარის დაკომპლექტებაც კი გაჭირდება, რაც ქვეყანას საშიშროების წინაშე დააყენებს. საერთო ჯამში, დემოგრაფიული პროცესების მხრივ მეტად არასახარბიელო მდგომარეობაა. მიუხედავად ამისა, 2020 წელს 2019 წელთან შედარებით შემცირდა განქორწინებულთა რაოდენობა, სულ 7643 განქორწინება მოხდა, მაშინ, როდესაც 2019 წელს 11205 წყვილი განქორწინდა ანუ შესაბამის პერიოდთან შედარებით 31,8 პროცენტით შემცირდა განქორწინებულთა რაოდენობა. მცირერიცხოვან ერში აღნიშნული პროცენტით განქორწინების შემცირების მიუხედავად, ეს მაჩვენებელი მაინც დიდია, რადგან მტკიცე და ძლიერი ოჯახები დადებით გავლენას ახდენენ პატარების აღზრდა-განათლების საქმეზე. განქორწინებულთა ოჯახების მიმართ საჭიროა მეტი ყურადღების გამახვილება, რადგან არ დაიჩაგრონ და არ გახდნენ ბულინგის მსხვერპლნი ბავშვები. ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ იმედისმომცემ მომავალ თაობას მაქსიმალურად შეუწყოს ხელი.

ცხადია, რომ ნებისმიერი სოფელი იქნება თუ ქალაქის მოსახლეობის თანდათან კლება, დასაწყისია გაუკაცრიელობის, რაც უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის წინსვლაზე და წარმატებაზე. მოსახლეობის ბუნებრივ კლებაზე არანაკლებ საშიშია მიგრაციული პროცესები. მაგალითად, 2002-2004 წლებში ქვემო სვანეთში მოსახლეობის ბუნებრივ კლებას ადგილი არ ჰქონია, თუმცა სწორედ ამ პერიოდში მოსახლეობა 9 ათასიდან 4500-მდე შემცირდა. არა ერთი სოფელი გაუკაცრიელდა და ძირითადად დიდ ქალაქებს მიაშურეს. როგორც სტატისტიკიდან ჩანს, საქართველოში 4488 სოფლიდან 700 მთლიანად დაცარიელებულია, ხოლო 800 სოფელში მხოლოდ პენსიონრები ცხოვრობენ.

სამწუხაროდ, მიგრაცია უარყოფით გავლენას ახდენს ნებისმიერი ადამიანის გუნება-განწყობაზე. სწორედ ამის მიზეზია ცუდი სოციალურ-ეკონომიკური პირობები. იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ ვაწარმოებთ იმდენ პროდუქციას რამდენიც საჭიროა ქვეყნისათვის ერთი წლის განმავლობაში საჭირო ხდება არასაკმარისი პროდუქციის იმპორტი. მოვუხმოთ სტატისტიკას: საქართველო ერთი წლის მანძილზე მოიხმარს 700 ათას ტონა ხორბალს, მაგრამ აწარმოებს მხოლოდ 107 ათას ტონას და დანარჩენი უცხოეთიდან იმპორტის სახით შემოგვაქვს. მოვიხმართ 270 ათას ტონა სიმინდს და ვაწარმოებთ 194 ათას ტონას. მოვიხმართ 220 ათას ტონა ბოსტნეულს, ვაწარმოებთ 142 ათას ტონას, 108 ათასი ტონა კი უცხოეთიდან შემოგვაქვს. მოვიხმართ 30.5 ათას ტონა მსხვილფეხა საქონლის ხორცს და

ვაწარმოებთ 22.8 ათას ტონას, 7.4 ათასი ტონა კი უცხოეთიდან შემოგვაქვს. მოვიხმართ 40 ათას ტონა ღორის ხორცს, ვაწარმოებთ მხოლოდ 17.6 ათას ტონას, ხოლო 22.8 ტონა კი უცხოეთიდან შემოგვაქვს. მოვიხმართ 69 ათას ტონა ფრინველის ხორცს, ვაწარმოებთ 22.6 ათას ტონას, 51.8 ათასი ტონა კი უცხოეთიდან შემოგვაქვს. რძესა და რძის პროდუქტებს მოვიხმართ 68.3 ათას ტონას, ადგილზე ვაწარმოებთ კი 55.5 ათას ტონას და 13.3 ათასი ტონა უცხოეთიდან შემოგვაქვს. მოვიხმართ 640 მილიონ კვერცხს და ვაწარმოებთ 635 მილიონს და 11 მილიონი უცხოეთიდან შემოგვაქვს.

ქვეყნისთვის საჭირო კვების პროდუქტების პრობლემური საკითხების გადაწყვეტა შესაძლებელია თუ ჩვენ გავითვალისწინებთ მეცნიერების მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე საჭიროა ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც უნდა ეფუძნებოდეს კანონიერებას და სამართლიანობას, ასევე არსებული რესურსების ეფექტური გამოყენებას, რაც საჭირო პროექტების მიზანმიმართული განხორციელების აუცილებელი პირობაა. ჩვენს ხელთარსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ხვედრითი წილით მოწინავე ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს ბევრად ჩამორჩება. უახლეს წარსულში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მაჩვენებელმა ცხოვრებაში მხოლოდ ქაღალდზე და არა პრაქტიკულად ჰპოვა ასახვა.

ბოლო წლებში მცირე და საშუალო ბიზნესს შესაბამისი ყურადღება არ ექცევა, ზეწოლას განიცდის ან სამთავრობო სტრუქტურებთანაა გაიგივებული მსხვილი ბიზნესი. როგორც საბითუმო, ასევე საცალო ბაზარზე გაბატონებულია ოლიგარქიული და კარტელური გარიგებების ტენდენციები. სრულიად იგნორირებულია, როგორც მეცნიერების, ასევე გამოცდილი პროფესიონალების აზრი. რა თქმა უნდა, აუცილებელი იყო სამეცნიერო აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტების რეფორმირება, მაგრამ არა მათი სრული იგნორირება და მათი ფაქტობრივად სასიკვდილოდ განწირვა. ისინი თავის დროზე დიდძალ კვლევით სამეცნიერო სამუშაოებს ატარებდნენ და მათი საქმიანი რეკომენდაციები მნიშვნელოვნად ხელს უწყობდა ქვეყნის მრავალგვაროვანი ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებას.

ცხადია, ხელისუფლებამ ბევრი და კარგი ინფრასტრუქტურის ხორცშესხმაში დიდძალი ინვესტიციები ჩადო, რაც გამოიხატება იმაში, რომ თითქმის რესპუბლიკის ყველა სოფლის მისასვლელი თუ შიდა გზები მოასფალტირებული თუ მობეტონებულია, რომელმაც მისცა ბიძგი ადამიანებს, რომ დაბრუნებოდა სოფელს. ერთ-ერთი წინანდალელი ქალბატონი, რომელსაც უმაღლესი განათლება საზღვარგარეთ აქვს მიღებული და ცხოვრობდა თბილისში, ერთ დღეს გადაწყვიტა თავისი სოფლის მონახულება და თავისი თვალით იხილა და მოეწონა კეთილმოწყობილი გზები, თანაც იქაურობაც და გადაწყვიტა საცხოვრებლად დარჩენილიყო სოფელში და დაუღალავი შრომის ფასად აღადგინა გაპარტახებული სახლ-კარი, კიდევაც ბაღნარად აქცია ეზო-გარემო. ყველა შენატრის მის ნახვა-დათვალიერებას. ქალბატონი მოუწოდებს მოსახლეობას, რომ თბილისში ერთოთახიან ბინაში ცხოვრებას ჯობს დაუბრუნდნენ მიტოვებულ საკუთარ კარ-მიდამოს და საკუთარი შრომით მიღებული შედეგებით დატკბნენ.

სოფელში თითქმის ყველა ოჯახი გაზიფიცირებული და ელექტროფიცირებულია. მოსახლეობა წყალმომარაგებით უზრუნველყოფილია, სარგებლობს ინტერნეტით მაგრამ ძალზე ბევრია გასაკეთებელი იმისთვის, რომ შემცირდეს მიგრაცია, მოსახლეობის უმრავლესობა მყარად იყოს ფეხმოკიდებული თავის მამულში. ხელისუფლების დახმარებით შექმნილია და იქნება ოჯახური ფერმერული მეურნეობები, სადაც გაერთიანებული იქნებიან ოჯახის წევრები და საჭირო შემთხვევაში შესაძლებელია მოიწვიონ მეზობლები და ჩაერთონ ოჯახური ფერმერული მეურნეობის საქმიანობაში. ჰარმონიული შრომის შედეგად შესაძლებლობა ეძლევათ დაძლიონ ოჯახური პრობლემები, საშუალება ექნებათ აწარმოონ მაღალი საგემოვნო თვისებების მქონე ბიოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანი პროდუქცია. ქვეყნის მოსახლეობის კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთი საშუალებაა ნაყოფიერი მიწის მქონე რეგიონებში ფართოდ გაიშალოს მუშაობა ოჯახური ფერმერული მეურნეობის შექმნის თაობაზე, რაც მოგვცემს საშუალებას საგრძნობლად შევამციროთ იმპორტირებული პროდუქციის ხვედრითი წილი. ხელისუფლებამ აქტიური როლი უნდა შეასრულოს იმისათვის, რომ ფერმერები უზრუნველყოს ტექნიკით, მანქანა-იარაღებით და ხელი შეუწყონ პროდუქციის შენახვისა და რეალიზაციის მოგვარებაში, რათა სოფლის მოსახლეობამ იგრძნოს ოჯახური

ფერმერული მეურნეობის სიკეთე.

როგორც ირკვევა, ქართველი მეცნიერებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მტკიცებით, საქართველოს თავისი სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსების კლიმატური პირობებისა და ყველა შესაბამისი ფაქტორის გათვალისწინებით 10-12 მილიონი ადამიანის გამოკვება შეუძლია.

ქვეყნისა თუ პიროვნების წარმატების საწინდარი იყო და არის შრომის გონივრული დისციპლინა, რომელსაც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. კაცობრიობის ისტორიაში არც ერთ არმიას არ მიუღწევია წარმატებისათვის, ვისაც არ ჰქონდა შეგნებული და მკაცრი წესრიგი, როგორც კი მოეშვებოდა დისციპლინა, იმ წუთში მარცხდებოდნენ. ვერც ერთი რგოლი წარმატებას ვერ მიაღწევს, თუ იქ დისციპლინა არ არის. დისციპლინის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მომჭირნეობა და ფულის სწორად ხარჯვის ცოდნა. ჩვენი დაკვირვებით და ანალიზით ირკვევა, რომ ხელისუფლების შტოებში უყაირათოდ იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, ხელფასების განუსაზღვრელი ოდენობით დანიშვნაში, ძვირადღირებული პირადი მომსახურების ავტომობილების შეძენაში, კაბინეტების მოწყობაში და სხვა. მოვუხმოთ გონებას, სანამ კრიზისში ვართ, ყოველი თეთრი მიზანმიმართულად დავხარჯოთ. ვისწავლოთ ეკონომიური ტრანსპორტით გადაადგილება, რათა ხელი შევუწყოთ ქვეყნის აღმავლობას. ხელი მოვკიდოთ და განვავითაროთ ისეთი ბიზნესი, რომლის პირობებიც არსებობს ჩვენში და ასევე, რაც მთავარია, ერი რომ არ გადაშენდეს, დემოკრატიული მდგომარეობა პრიორიტეტულად გავხადოთ.

ქვეყანა მაშინაა ძლიერი, როცა ხელისუფლების მმართველობით სტრუქტურებში თანამდებობებს იკავებენ ცივი გონებისა და სუფთა ხელების მქონე ადამიანები, რომლებსაც აქვთ მაღალი კვალიფი-კაცია, კარგი გამოცდილება, მენეჯერული აზროვნება, რომლებსაც შეუძლიათ ძლიერი მოთამაშე-ებისგან ჩამოაყალიბოს კარგი გუნდი და ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილების შედეგად მიაღწიონ ახალ-ახალ წარმატებებს. ამიტომაა საჭირო, რომ ადამიანის კეთილდღეობაზე დღენიადაგ მოფიქრალი ცენტრალური თუ მუნიციპალური ხელისუფლება ჰყავდეს ქვეყანას. როგორ იქცეოდნენ ჩვენი წინაპრები, რას არ აკეთებდნენ იმისთვის, რომ ძლიერი ყოფილიყო ხალხი და ქვეყანა. რაინდული შემართების მეფე დემეტრე თავდადებული ღამღამობით სახლიდან ჩუმად გადიოდა ფულიანი ქისებით და ხალხში მოწყალებას არიგებდა. დღეს რომელი ქართველი მილიონერი მიბაძავს სახელოვან დემეტრე თავდადებულს. ჩვენი წინაპრები დიდ საქმეებს აკეთებდნენ ერის ბედნიერებისთვის.

იყვნენ ადამიანები, რომლებიც ქართველი ერის კეთილდღეობისთვის მათხოვრობასაც არ თაკილობდა. ასეთი იყო ნიკო ცხვედაძე, რომელსაც ზოგი გიჟს და გადარეულს ეძახდა. თვითონ ღატაკი და უქონელი დადიოდა ხვეწნა-მუდარით, ლამის მათხოვრობით ფულს აგროვებდა, უარს არავინ ეუბნებოდა, რადგან მის პატიოსნებაში ეჭვი არ ეპარებოდათ. მას ფული ქართული უნივერსიტეტის შენობის ასაგებად სჭირდებოდა. ნიკო იყო გულმხურვალე ქართველი პატრიოტი, რომელსაც პირად ინტერესზე მაღლა მუდამ ქართულ სახელმწიფოებრივ საქმეს აყენებდა. სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული დიდი ქართველი, ექვთიმე თაყაიშვილი, ემიგრაციაში ყოფნის დროს პარიზში ერთი მარჩენალი თხა ჰყავდა და იმდენად ხელმოკლედ ცხოვრობდა, მხოლოდ ნახევარი ბოთლი რძით და პურით არსებობდა. შიმშილობისა და ავადმყოფობისგან მეუღლე გარდაეცვალა, მაგრამ მან ქართული განძის არცერთი ექსპონატი გასაყიდლად არ გაიმეტა. ქართული განძის მცველი და გადამრჩენელი, ექვთიმე თაყაიშვილი, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ყველასგან მივიწყებული მარტოობაში გარდაიცვალა. მან ფასდაუდებელი ამაგი დასდო თავის სამშობლოს, რომელსაც სიცოცხლეში ღირსეული პატივისცემა და დაფასება არ ჰქონია. როგორც დიდ ერისკაცს და მამულიშვილს, ტანჯულ ექვთიმე თაყაიშვილს, ღირსეული პატივი მხოლოდ სიკვდილის შემდეგ მიაგეს და ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

აღსანიშნავია, რომ უახლოეს ისტორიაში ერთ-ერთი გამოჩენილი, ნიჭიერი მეცნიერის, სერგო ბერიას მიერ დამუშავებული ტექნოლოგია, რომელსაც თავის დროზე მსოფლიოში ანალოგი არ ჰქონდა. მან ბაზალტის ქვისაგან დაამზადა ძაფი და ამ ძაფისგან შექმნილი ქსოვილი დიდ სიმხურვალეს უძლებს. ეს გახლავთ გასაოცარი ტექნოლოგია. ამ ქსოვილისგან დამზადებული კომბინიზონით

ადამიანი ცეცხლში რომ შევიდეს, აბსოლუტურად უვნებელი გამოვა. ბაზალტისგან აგრეთვე ამზადებდნენ სპეცბლოკებს, რომლებსაც სტრატეგიული ობიექტების მშენებლობაში იყენებდნენ. ასევე ანტიკოროზიულ მილებს და უამრავ საჭირო მასალას, რომელიც სარაკეტო მშენებლობაში გამოიყენება. იქედან გამომდინარე, რომ მთელი კავკასია და მათ შორის საქართველო, რომელსაც ბაზალტის ულევი რესურსი გააჩნია. დიდი მეცნიერი, სერგო ბერია საქართველოში აპირებდა ამ უნიკალური და საჭირო ტექნოლოგიის დანერგვას და ბაზალტისგან სტრატეგიული ძაფისა და შესაბამისი ქსოვილის დამამზადებელი ცენტრის შექმნას. მისი პირველი ცდა იყო, როცა მან ნავთლუღში ქარხანა ააშენა, სამწუხაროდ, გადაწვეს. მეორე ქარხანა თელავში უნდა აეშენებინა, მაგრამ იქაც არ გაახარეს. კაცი თვითონ აფინანსებდა, როგორც თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი მამულიშვილი. საქართველოსთვის ეს იქნებოდა ძალიან მომგებიანი პროექტი, რომელიც ქვეყანას სხვა სიმაღლეზე აიყვანდა, მაგრამ მტრებმა შესანაიშნავი იდეის განხორციელების საშუალება არ მისცეს. მამულზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი საქართველოდან გულმოკლული გააქციეს. სამწუხაროდ, ასეთი მაგალითები ბევრია ჩვენს სინამდვილეში, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის წინსვლაზე და ცუდ იმიჯს უქმნის სახელმწიფოებრიობას. ხელისუფლების წარმომადგენლები თუ თითოეული მოქალაქე მოკრძალებას უნდა გამოხატავდეს თავისი სამშობლოს მიმართ, იყოს სახელმწიფოებრივი აზროვნების მქონე პიროვნება, პატივს სცემდეს კანონს, უნდა ჰქონდეს კანონმორჩილების შეგრძნება, იბრძოდეს ქვეყანაში გამეფებული ნეპოტიზმის წინააღმდეგ, რომელიც ჰყვავის მმართველობით სტრუქტურებში, რის ნაყოფსაც აშკარად ვიმკით. როგორც ჩანს, ქვეყანაში ნელ-ნელა იშლება ქვეყნის მმართველობითი ბერკეტები, რომელიც ბუმერანგივით გვიბრუნდება უკან. საშიშროების წინაშეა ქვეყნის დამოუკიდებლობაც კი. საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ბრძანა, რომ ჩვენ უნდა ვიცხოვროთ იდეებისთვის და არა ამქვეყნიური კეთილდღეობისთვის!

საქართველო ძლიერი და სტაბილური ქვეყანა მაშინ იქნება, როცა თითოეული მოქალაქე კანონმორჩილი იქნება. კანონის წინაშე ყველა ერთნაირად თანასწორი უნდა იყოს თანამდებობებისა და წოდებების მიუხედავად. როცა კანონი არ კანონობს და საქმე უხარისხოდ სრულდება ქვეყანა წინ ვერ წავა. მაღალი თანამდებობის პირებმა და ცნობადმა პერსონებმა თვითონ უნდა უჩვენონ საზოგადოებას კანონმორჩილებისა და შრომის დისციპლინისადმი პატივისცემის მაგალითები. თვალი გადავავლოთ განვითარებული ქვეყნების კანონიერებას, სადაც ნახავთ, იქ მცხოვრები ადამიანები და ხელისუფლების წარმომადგენლები როგორ სცემენ პატივს კანონსა და პიროვნებას. ისინი აქტიურად არიან ჩართული ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმიანობაში, რადგან მათ სჯერათ სამართლიანობისა და კეთილი მომავლის. ქვეყანაში თუ კანონების, დისციპლინის მაღალი პასუხისმგებელი და შემსრულებელი ვიქნებით, მაშინ თითოეულ ადამიანს მიეცემა მეტი შესაძლებლობა თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების საქმეში და მისი იდეების რეალური განხორციელებისათვის. ამით მოსახლეობის დიდი ნაწილი დაუბრუნდება თავიანთ საცხოვრისს და მეტი საზოგადოებრივი პროდუქციის მწარმოებლები ვიქნებით. ადამიანების ურთიერთ პატივისცემა, კეთილგანწყობა და სიყვარული უფრო მაღალ დონეზე იქნება აყვანილი. ადამიანებს გაუჩნდებათ მოტივაცია თავის საქმიანობაში ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენებაზე, გამოცდილებების ურთიერთ გაცვლაზე და ახალი იდეების შექმნაზე დაიწყებს ფიქრს. ყოველივე ეს გამოიწვევს მენეჯმენტისადმი მეტად გაზრდილ მოთხოვნებს. ეფექტური მენეჯმენტი, გუნდურობა, გამჭირვალეობა, დროის მენეჯმენტი, უახლესი ტექნიკა-ტექნოლოგიები, მაღალი შრომის დისციპლინა და პასუხისმგებლობა ძლიერი საფუძველი გახდება ღონიერი, ეკონომიურად გამართული სახელმფწიფოს განმტკიცებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. გამსახურდია, თ. ფესტვენიძე, „მენეჯერის გონივრული გადაწყვეტილება ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ფაქტორია“, პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფ. გ. წერეთლის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გვ. 117-126, თბილისი, 2022 წ. 27 ნოემბერი.
2. თ. გამსახურდია, „ქვეყნის ბუნებრივი და ფინანსური რესურსების ეფექტური ხარჯვისადმი

ძირითადი მიდგომები“, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, №3 კონფერენციის „თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები“ მასალები, 2019, EISSN2346-8203.

3. თ. გამსახურდია, მენეჯერული აზროვნება, როგორც წარმატებული განვითარების მთავარი ფაქტორი. აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, №1 კონფერენციის „თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები“ მასალები, 2015 წ., EISSN2346-8203.

Effective management is an important factor in increasing the prosperity of the country

Tamazi Gamsakhurdia
Akaki Tsereteli State University, Associate Professors

Abstract

The paper deals with the main tasks of the government, the aim of which is to strengthen the country and improve the well-being of the population that depends on the ability to use experience, qualifications, and professional development, physical and mental labor effectively. It is emphasized that through effective labor and the development of wise decisions, you can provide the well-being of yourself and the country as a whole.

It is also mentioned here that due to our demographic situation, the government should pay more attention to the mothers of infants and invest as much as possible in this great patriotic issue that will obviously have a great impact on the country. It also mentions the lack of investment and the increase in lecturer-teacher retirement rates.

The paper discusses the importance of the country's natural and mineral wealth and the efficiency of its extraction-use for the prosperity of the country's economy.

Key words: financial resources, demography, migration, investment, effective labor, unemployment, import-export, management, natural resources, mineral wealth.

საბანკო საქმიანობის რეგულირების და ზედამხედველობის საერთაშორისო გამოცდილება

გელიტაშვილი გოგა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბუთიძე გოჩა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ჭელიძე მედეა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

საბანკო საქმიანობის რეგულირების და ზედამხედველობის აუცილებლობა განპირობებულია ბანკების საქმიანობის სპეციფიკით, რომლებიც საბაზრო ურთიერთობების პირობებში უზრუნველ-ყოფენ ანგარიშსწორებისა და გადახდების განხორციელებას, იღებენ და ინახავენ მოსახლეობის, ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ორგანოების დანაზოგებს და დეპოზიტებს, იყენებენ აღნიშნულ სახსრებს დაკრედიტებისა და სხვა აქტიური ოპერაციების განსახორციელებლად, ე.ი. ძირითადად ფუნქციონირებენ მოზიდული სახსრების ხარჯზე. ამავდროულად, ბანკების საქმიანობა ექვემდებარება მნიშვნელოვან რისკებს, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას კრედიტორების და მეანაბრეების ინტერესებს.

საბანკო რეგულირების მიზნები განსხვავდება ეროვნული ეკონომიკის მიმდინარე მდგომარე-ობის და საბანკო სისტემის მეშვეობით გადასაჭრელი პრობლემების მიხედვით. რეგულირების მიზანი შეიძლება იყოს ბანკების სტაბილური, უსაფრთხო, მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, კრედიტორებისა და მეანაბრეების ინტერესების დაცვა, საბანკო სისტემაში დესტაბილიზაციური ტენდენციების თავიდან აცილება, საბანკო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება და სხვა.

სტატიაში დასაბუთებულია, რომ თანამედროვე პირობებში საბანკო საქმიანობის რეგულირების და ზედამხედველობის ძირითადი ტენდენციაა სხვადასხვა ქვეყნებში საბანკო საქმიანობისადმი წაყენებული მოთხოვნების გამოთანაბრება და უნიფიცირება. ამასთან, ეს ეხება როგორც ქვეყნის შიდა საბანკო ინსტიტუტებს, ისე ტრანსსასაზღვრო საბანკო ორგანიზაციებს.

საკვანძო სიტყვები: ბანკი, საბანკო საქმიანობა, საბანკო რეგულირება და ზედამხედველობა, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი, საერთაშორისო თანამშრომლობა.

ძირითადი ტექსტი

საბანკო საქმიანობის რეგულირება და ზედამხედველობა საკვანძო ფაქტორებია არა მხოლოდ საბანკო სისტემის, არამედ მთლიანად ეკონომიკის ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ეს ფაქტი განაპირობებს მრავალი სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურების მომატებულ ყურადღებას საბანკო რეგულირების და ზედამხედველობის განხორციელების საკითხისადმი.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიო ეკონომიკაში გაძლიერდა გლობალიზაციის და ტრანსსასაზღვრო კრიზისული მოვლენების ტენდენციები. ეროვნულ მარეგულირებლებს გაუჩნდათ საჭიროება შეექმნათ მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მისცემდათ თავიდან აეცილებინათ დისბალანსი საერთაშორისო სავალუტო და საბანკო ბაზრებზე.

საბანკო ზედამხედველობის ახალი პრინციპების შექმნისას მთავარ მიდგომას წარმოადგენდა საბანკო ზედამხედველობის განხორციელების არსებითად ერთიანი და უნიფიცირებული მეთოდების შემუშავება ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით, გამომდინარე ქვეყნის ეკონომიკისა და საბანკო სისტემის განვითარების დონიდან.

საბანკო რეგულირების და ზედამხედველობის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს გასული საუკუნის 70-იანი წლების პირველი ნახევარი, როდესაც მაღალრისკიანი სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული დიდი ზარალის შედეგად საქმიანობა შეწყვიტა

დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთმა უმსხვილესმა ბანკმა. ბანკის უცხოური ფილიალების დახურვამ გამოიწვია ტრანსსასაზღვრო პრობლემები და გამოავლინა საბანკო რეგულირების და ზედამხედველობის ეროვნული მოდელების არასრულყოფილება.

1974 წელს, ქ. ბაზელში, საბანკო რეგულირების სფეროში სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანოს სახით, საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკთან G10-ის ქვეყნების ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელების მიერ შეიქმნა ახალი სტრუქტურა, რომელიც ცნობილია როგორც „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი“.

ბაზელის კომიტეტი არსებითად წარმოადგენს ეროვნულ მარეგულირებლებს შორის საერთა-შორისო თანამშრომლობის არაფორმალურ ინსტიტუტს, რომლის საქმიანობის მიზანია საბანკო რეგუ-ლირების და ზედამხედველობის მნიშვნელოვანი საკითხებისადმი ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბება რეკომენდაციების შემუშავებისა და მასში წარმოდგენილი სახელმწიფოების საბანკო ზედამხედ-ველობის ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის გზით. ოფიციალურად, ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციები არ არის სავალდებულო ხასიათის, მაგრამ განვითარებული ქვეყნების უმრავლესობის მარეგულირებლებისთვის აღნიშნული რეკომენდაციები წარმოადგენს საზედამხედველო საქმიანობის განხორციელების საფუძველს.

მიუხედავად იმისა, რომ ბაზელის კომიტეტის დირექტივებსა და რეკომენდაციებს არ გააჩნიათ პირდაპირი იურიდიული ძალა, ისინი დიდ გავლენას ახდენენ საბანკო მარეგულირებელი ორგანოების გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე. საბანკო საქმიანობის ეროვნული სამართლებრივი რეგულირების შექმნისას განვითარებული ქვეყნების თითქმის ყველა საზედამხედველო ორგანო ცდილობს რაც შეიძლება სრულად და ფართოდ გაითვალისწინოს კომიტეტის რეკომენდაციები. ბაზელის კომიტეტის დოკუმენტები გამოიყენება არა მხოლოდ მის წევრ ქვეყნებში, არამედ მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში. ფაქტობრივად, დირექტივებისა და რეკომენდაციების შემუშავება ხორციელდება მთელი მსოფლიოს მარეგულირებელ და ზედამხედველ ორგანოებთან და ბანკებთან თანამშრომლობით.

1975 წლიდან დღემდე ბაზელის კომიტეტმა შეიმუშავა მთელი რიგი რეკომენდაციები, მ.შ. საბანკო საქმიანობის მოთხოვნებთან დაკავშირებით. ბაზელის კომიტეტის ძირითად დოკუმენტებს წარმოადგენს: „ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის მნიშნელოვანი პრინციპები“ (1997 წ., ცვლილებები შევიდა 2006 წელს); ბაზელი I (1988 წ.); ბაზელი II (2004 წ.); ბაზელი II.5 (2009 წ.); ბაზელი III (2010 წ.).

ბაზელის კომიტეტის დოკუმენტები აუცილებელი და მნიშვნელოვანი საფუძველია კონკრეტულ სახელმწიფოში ზედამხედველობის საიმედო სისტემის შესაქმნელად, რაც შესაძლებელს ხდის გათვალისწინებულ იქნას ეროვნული ზედამხედველობის თავისებურებები, ადგილობრივი საბანკო ბაზრისთვის დამახასიათებელი რისკები, ადგილობრივი საბანკო ინფრასტრუქტურა. მათ საფუძველზე ეროვნული მარეგულირებელი დამოუკიდებლად განსაზღვრავს დამატებით მოთხოვნებს ადგილობრივ ბაზარზე არსებული კონკრეტული რისკებისა და ზოგადი პირობების გათვალისწინებით.

1997 წელს ძალაში შევიდა „ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის მნიშნელოვანი პრინციპები“. 2006 წელს შესწორებული დოკუმენტი შეიცავდა ოცდახუთ პრინციპს, რომლებიც მიმართულებების მიხედვით გაერთიანდა შვიდ ძირითად ჯგუფად.

„ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის მნიშნელოვანი პრინციპების“ 2012 წლის რედაქცია შეიცავს 29 პრინციპს. ისინი იყოფა ორ ჯგუფად:

- საზედამხედველო ორგანოების საზედამხედველო უფლებამოსილებები, მოვალეობები და ფუნქციები (პრინციპები 1-13);
- პრუდენციული რეგულირება და მოთხოვნები (პრინციპები 14-29).

1988 წელს ბაზელის კომიტეტმა გამოაქვეყნა დოკუმენტი „კაპიტალის გაზომვის პრინციპების საერთაშორისო კონვერგენცია და კაპიტალის სტანდარტები“, რომელსაც ეწოდა ბაზელი I. დოკუმენტით განისაზღვრა კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნები ბანკების მიერ აღებული საკრედიტო და საბაზრო რისკებიდან გამომდინარე.

2004 წელს ბაზელის კომიტეტმა მოამზადა და გამოსცა კაპიტალის ახალი მოთხოვნები

„კაპიტალის გაზომვის პრინციპების საერთაშორისო კონვერგენცია და კაპიტალის სტანდარტები: ახალი მიდგომები“, ანუ ბაზელი II, რომელიც დაფუძნებულ იქნა ეკონომიკური კაპიტალის გამოთვლის პრინციპზე. ახალი მიდგომების საჭიროება განპირობებული იყო ფინანსურ ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვლილებებით და რთული სტრუქტურირებული პროდუქტების გამოჩენით, რომლებიც მოითხოვდნენ სრულიად განსხვავებულ მიდგომებს: დაზუსტდა კაპიტალის მოთხოვნები საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკების გათვალისწინებით კაპიტალის ადეკვატურობის დონის 8%-ზე შენარჩუნებით (პირველი კომპონენტი); საზედამხედველო პროცესის ძირითადი საკითხები (მეორე კომპონენტი); საბაზრო დისციპლინა (მესამე კომპონენტი).

ამავდროულად, გლობალური ფინანსური ბაზრის სირთულისა და დინამიზმის, აქტივების შეფასების ნორმატივების და კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების სწრაფად ცვლილების შეუძლებლობის გათვალისწინებით, უმსხვილეს ბანკებს მიეცათ შესაძლებლობა (ეროვნულ საზედამ-ხედველო ორგანოსთან შეთანხმებით) რისკის სტანდარტული შეფასების ნაცვლად გამოეყენებინათ რისკის გამოთვლის საკუთარი მოდელები შიდა რეიტინგების საფუძველზე.

დასავლეთის ბანკებმა საკმაოდ წარმატებით დანერგეს ეს მიდგომები და მომდევნო ორი წლის განმავლობაში შესამჩნევად გაიზარდა დაკრედიტების ზრდის ტემპი. თუმცა, რეალური რისკების შეუფასებლობამ და ახალ პროდუქტებში ბანკების ინვესტიციების მოცულობის მკვეთრმა ზრდამ გამოიწვია მათ მიმართ ნდობის დაკარგვა, რაც მყისიერად გადაიზარდა ლიკვიდობის კრიზისში.

ბანკების საკუთარი სახსრების მოცულობისა და ხარისხის შემცირებამ, ლიკვიდობის არასაკმარისმა რეზერვებმა, კომერციულ ოპერაციებსა და სესხებზე სისტემურმა დანაკარგებმა, დიდი რისკებისთვის კაპიტალის იმობილიზაციამ გამოავლინა ბანკების რისკ-მენეჯმენტის სისუსტე.

ბაზელი II-ის თავისებურება იყო შიდა ან გარე შეფასებებზე დაფუძნებული რისკების შეფასების მეთოდების ვარიატულობა. ბანკს ჰქონდა უფლება აერჩია მისთვის ყველაზე შესაფერისი მეთოდი. ამავდროულად, აღნიშნული ინოვაციები უფრო მიესადაგებოდა მსხვილ ბანკებს. პრაქტიკაში მისი განხორციელება ძვირადღირებული აღმოჩნდა, რაც საშუალო და მცირე ბანკებს გამარტივებული მიდგომების გამოყენების საშუალებას არ აძლევდა.

ბაზელი III-მა საგრძნობლად გაამკაცრა რეგულირების პრინციპები. ბაზელი III-ით შემოვიდა ახალი სტანდარტები, კერძოდ, გაზრდილი მოთხოვნები კაპიტალის ხარისხისა და ადეკვატურობის მიმართ; შემოღებულ იქნა გამკაცრებული მოთხოვნები ძირითადი კაპიტალის ოდენობაზე, ასევე გაიზარდა პირველი დონის კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური ნორმატივები, რაც უზრუნველ-ყოფს მაღალი ხარისხის კაპიტალის არსებობას ზარალის დასაფარად საჭირო ოდენობით; შემოღებულ იქნა ძირითადი კაპიტალის გაანგარიშებისას გათვალისწინებული საკუთარი სახსრების წყაროების, ასევე კაპიტალის რეზერვების (კონსერვაციის ბუფერი 2,5% და კონტრციკლური ბუფერი 0-2,5%) უფრო მკაცრი განსაზღვრა.

ბაზელი III-ის დებულებები მოიცავს ლიკვიდობის ახალ მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც მიზნად ისახავს ბანკების ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესებას ლიკვიდობის დეფიციტის პირობებში. ისინი დაყოფილია ორ ჯგუფად: რაოდენობრივი მოთხოვნები (მოიცავს მოკლევადიანი ლიკვიდობის მაჩვენებელს და წმინდა სტაბილური ფონდირების მაჩვენებელს) და ხარისხობრივი მოთხოვნები (ინფორმაციის გამჟღავნება).

ბაზელი III-ის ფარგლებში გაგრძელდა მუშაობა კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნების დეტალიზაციისა და რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების გამოთვლის უფრო რთული პროცედურის შემუშავების მიმართულებით. მისი მთავარი მიზანია ბაზელი II-ის გამოყენებისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა.

ბაზელი III-ის ნორმატივების დანერგვას ორი ძირითადი მიზანი აქვს: ა) კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის საერთაშორისო სტანდარტების გაძლიერება; ბ) საბანკო სისტემის მდგრადობის გაზრდა ფინანსური და ეკონომიკური კრიზისების შედეგების დაძლევის მიზნით. ამ მიზნების მისაღწევად ბაზელი III-ის რეკომენდაციები დაიყო შემდეგ ძირითად მიმართულებებად: კაპიტალის რეფორმა; ლიკვიდობის რეფორმა; ფინანსური სისტემის სტაბილურობის საერთო გაუმჯობესებასთან

დაკავშირებული სხვა ელემენტები.

ბაზელი III-ის შემოღება ითვალისწინებდა ბანკებისთვის თანაბარი პირობების შექმნას. რეალურად, სასტარტო პოზიციებში განსხვავებამ და ქვეყნებზე ფინანსური კრიზისის არათანაბარმა ზემოქმედებამ გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა ბაზელი III-ის დანერგვასთან დაკავშირებით.

ევროკავშირის მარეგულირებლებისთვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა კაპიტალისა და ლიკვიდობის ბუფერების გაზრდა, ხოლო შიდა მარეგულირებლისთვის - რისკის ყოვლისმომცველი მართვა, სტრეს-ტესტირების მიდგომების გაუმჯობესება და კაპიტალისა და რისკების მართვის შესაბამისობის, ბანკის სტრატეგიაში მათი ინტეგრაციის აუცილებლობა.

ბაზელი III-ის დანერგვის მიდგომებთან დაკავშირებით განსხვავებებმა განაპირობა ზემარეგულირებლის ინდივიდუალური მიდგომები თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბაზელი III არ ცვლის ბაზელი II-ის მიერ გათვალისწინებულ ძირითად მიდგომას საკრედიტო რისკით შეწონილი აქტივების შეფასების კუთხით და ტოვებს კაპიტალის ადეკვატურობის რეჟიმს „რისკზე დაფუძნებულს". მარეგულირებლები გააგრძელებენ ძირითად ფოკუსირებას რისკის მართვაზე და კორპორაციულ მმართველობაზე, როგორც მდგრადი ფინანსური სექტორის უზრუნველყოფის ძირითად ფაქტორებზე.

საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტმა გადაწყვიტა ბაზელი III-ის დანერგვა განხორციელდეს ეტაპობრივად. აღსანიშნავია, რომ კოვიდ პანდემიამ და რუსეთის აგრესიულმა ქმედებებმა უკრაინის მიმართ გარკვეული სირთულეებმა წარმოქმნა ბაზელი III-ის საბოლოო დანერგვის ვადებთან დაკავშირებით.

დასკვნა

ფინანსური ბაზრის განვითარების მაღალი ხარისხი და ეფექტიანად ფუნქციონირებადი საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობაა განვითარებული საბაზრო ეკონომიკისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ამავდროულად, საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების წარმატებული საქმიანობა უშუალოდ არის დამოკიდებული მარეგულირებელი ინსტიტუტების მიერ უზრუნველყოფილ „ფინანსურ კლიმატზე".

თანამედროვე პირობებში საბანკო ზედამხედველობის ძირითად მიდგომად გვევლინება საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის დირექტივების და რეკომენდაციების გამოყენება ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელიც მათ შორის დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის და საბანკო სისტემის განვითარების დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Hussain, B. (2009). *Integrated Financial Supervision and its Implications for Banking Sector Stability.* Leonard N. Stern School of Business, New York : New York University.
2. *Core Principles for Effective.* (2012). Retrieved from Basel Committee on Banking Supervision, Bank for International Settlements: https://www.bis.org/publ/bcbs230.pdf
3. Абрамова, С. Ю. (2018). Инструменты регулирования банковской деятельности в условиях нестабильности экономики . *Вестник университета, №4*, 125-130.
4. *The Basel Committee on Banking Supervision - overview.* (n.d.). Retrieved from The Bank for International Settlements: https://www.bis.org/bcbs/index.htm
5. Godwin, A., Howse, T., & Ramsay, I. (2017. Vol. 18. № 2.). A Jurisdictional Comparison of the Twin Peaks Model of Financial Regulation. *Journal of Banking Regulation.*
6. *Basel III Regulatory Consistency Assessment Programme (RCAP) - Handbook for jurisdictional assessments.* (2016, March). Retrieved from Basel Committee on Banking Supervision, Bank for International Settlements: https://www.bis.org/bcbs/publ/d361.pdf

International experience of banking regulation and supervision

Gelitashvili Goga
PhD student of Georgian Technical University
Abutidze Gocha
Assistant professor of Georgian Technical University
Chelidze Medea
Professor of Georgian Technical University

Summary

The need for regulation and supervision of banking activities is due to the specifics of the activities of banks, which ensure settlements and payments, receive and keep savings and deposits of the population, organizations and state bodies, use these funds for lending and other active operations, i.e. they mainly function at the expense of the raised funds. At the same time, banks' activities are subject to significant risks, which may threaten the interests of creditors and depositors.

The goals of banking regulation vary depending on the current state of the national economy and the specifics of the tasks to be solved through the banking system. The purpose of regulation may be to ensure stable, safe, sustainable functioning of banks, protect the interests of creditors and depositors, prevent destabilizing tendencies in the banking system, increase the efficiency of banking activities, etc.

The article substantiates that the main trend in the banking regulation and supervision in modern conditions is the equalization and unification of requirements for banking activities in different countries. At the same time, this applies to both domestic banking institutions and cross-border banking organizations.

Key Words: Bank, Banking activity, Banking regulation and supervision, Basel Committee on Banking Supervision, International cooperation.

მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა და საგადასახადო პოლიტიკა

გვენეტაძე შორენა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ჯინჭარაძე ტრისტან
საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ემყარება თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, სადაც ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელ ძალას და სამუშაო ადგილების შემქმნელს კერძო სექტორი წარმოადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებულ იყოს კერძო სექტორის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერაზე და მისი განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე.

მცირე და საშუალო საწარმოები, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე, ეკონომიკის განვითარებისა და მის ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ხერხემლად შეიძლება იქნას მიჩნეული. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი განსაკუთრებულ როლს ასრულებს ზოგადად ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში. იგი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტის ზრდას, ინოვაციებსა და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას. ამასთანავე, მცირე და საშუალო საწარმოებს მნიშვნელოვანი წვლილი შეუძლიათ შეიტანონ ახალი ტექნოლოგიების გაუმჯობესებასა და გამოყენებაში, მათი ინოვაციური და მოქნილი სტრუქტურების გამო.

სახელმწიფოს აღმასრულებელი ორგანოების ერთ-ერთი მთავარი როლი ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელებაა. ფისკალური პოლიტიკა კი სახელმწიფო ხარჯებისა და დაბეგვრის მეთოდების იმგვარად მართვაა, რომ მიღწეულ იქნას ქვეყნის მდგრადი და ძლიერი ეკონომიკური ზრდა. ერთი შეხედვით, გლობალურ ეკონომიკაში, საქონლისა და მომსახურების განაწილებაში ბაზრები ასრულებენ მთავარ როლს, სახელმწიფოს როლი კი შესუსტებულია, თუმცა ეკონომიკური კრიზისების პერიოდში განსაკუთრებით აქტიურდება ფისკალური პოლიტიკის განხორციელების საჭიროება. ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს კი საგადასახადო პოლიტიკა წარმოადგენს, გადასახადების დონის, სახეობების ოპტიმალური ცვლილება და მათი გამოყენება ეკონომიკის გაჯანსაღების პროცესში.

საკვანძო სიტყვები

მცირე და საშუალო ბიზნესი; საგადასახადო პოლიტიკა; ბიზნესის ხელშეწყობა; რისკების პრევენცია; მეთოდოლოგიური ბაზის ჰაბი; საკანონმდებლო ბაზა.

ძირითადი ტექსტი

წარმოშობიდან დღემდე გადასახადებმა, როგორც ეკონომიკური შინაარსის მქონე კატეგორიამ, განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილება. დროთა განმავლობაში იცვლებოდა როგორც გადასახადის სახეები, ასევე დასაბეგრი ობიექტი და გადასახადის გადახდას დაქვემდებარებულ ვალდებულ პირთა წრე. არ იცვლებოდა მხოლოდ გადასახადის ხასიათი, რაც გულისხმობს გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულების შესრულებისას მის საკუთრებაში არსებული რესურსის გადაცემას სახელმწიფოსათვის, ასევე მისი სავალდებულოობის პირობას.

ქვეყნის ეკონომიკაში დიდი როლი აქვს გამართულ საგადასახადო სისტემას, რომელიც მუდმივად უნდა იხვეწებოდეს და მორგებული იყოს გადასახადის გადამხდელთა ინტერესებზე.

ბოლო წლების განმავლობაში საგადასახადო სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა და მეტად ეფექტიანი გახდა საგადასახადო ადმინისტრირების სისტემა. კერძოდ, საგადასახადო ვალდებულების შესრულება გამარტივდა ელექტრონული სისტემის

გამოყენებითა და გადასახადის გადამხდელისთვის ხელსაყრელი დისტანციური სერვისების განვითარებით. მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი მოდელის შესაბამისად გაუნაწილებელი მოგება გათავისუფლდა მოგების გადასახადისგან. ასევე, ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, დღგ-ის კანონმდებლობა სრულად მოვიდა შესაბამისობაში ევროკავშირის კანონმდებლობასთან. დაინერგა დღგ-ის ზედმეტობის სრულად ავტომატური დაბრუნების სისტემა. გატარებული რეფორმების შედეგად, ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა საგადასახადო ანგარიშგებისთვის საჭირო დრო და საგადასახადო ტვირთი.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, მნიშვნელოვანია რეფორმების გაგრძელება, მათ შორის მნიშვნელოვანია გაგრძელდეს როგორც საგადასახადო ადმინისტრაციის შემდგომი გაციფრულების პროცესი, ასევე გაგრძელდეს რეფორმები საგადასახადო დავების მოგვარების ეფექტიანი სისტემის დანერგვის მიზნით.

ბიზნესის გამართული ფუნქციონირებისთვის, რისკების მაქსიმალური აღმოფხვრის მიზნით, ასევე საგადასახადო დავების წარმოქმნის პრევენციისათვის, მნიშნელოვანია, ეფექტიანი საგადასახადო ადმინისტრირება.

აღნიშნული რეფორმებისა და პროგრესის კვალდაკვლად, აუცილებელია ბიზნეს გააჩნდეს პასუხისმგებლიანი ქცევა, რომელიც განაპირობებს მის შემდგომ წარმატებას. აღნიშნული პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, მნიშვნელოვანია, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები პირნათლად ასრულებდნენ საგადასახადო ვალდებულებებს, შემდგომი სირთულეების თავიდან აცილების მიზნით.

ქვეყანაში საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმი არის სისტემური და ერთგვაროვანი საგადასახადო პრაქტიკის არსებობა. საგადასახადო კოდექსი, მისი დაქვემდებარებული ნორმატიული აქტები და საგადასახადო ურთიერთობის მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულებები ადგენს მხოლოდ დაბეგვრის ძირითად პრინციპებს, შესაბამისად შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცემული ინსტრუქციები და მეთოდური მითითებები, სასამართლოს და ფინანსთა სამინისტროს სისტემაში არსებული დავების განმხილველი ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან ერთად, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ერთგვაროვანი საგადასახადო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში.

საქართველოში არ არსებობდა საკანონმდებლო აქტებისა და საგადასახადო პრაქტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების ერთიანი ბაზა, რაც დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას მისცემდა ხელმისწვდომი ყოფილიყო მათთვის ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და დამკვიდრებული საგადასახადო პრაქტიკა, მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით. გადასახადის გადამხდელებს არ გააჩნდათ წვდომა შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცემულ წინასწარ გადაწყვეტილებებზე, ასევე ფინანსთა სამინისტროს სისტემაში არსებული დავების განმხილველი ორგანოების და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების უმეტესობასთან.

ეს ყოველივე განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენდა მცირე და საშუალო ბინზესისთვის და უარყოფითად აისახებოდე გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულების შესრულების ხარისხზე.

ამ მიმართულებით განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც ქვეყნის საფინანსო სისტემის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გასულ წელს დაანონსებული იყო ,,ერთიანი მეთოდოლოგიური ბაზის შექმნის პროექტის“ ფარგლებში. 2023 წლიდან კი შეიქმნა და ფუნქციონირება დაიწყო ონლაინ პლატფორმამ www.infohub.rs.ge, რომელიც წარმოადგენს საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის საინფორმაციო ჰაბს, რაც გამიზნულია, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისთვის. კერძოდ, აღნიშნული აჩენს შესაძლებლობას, ბიზნესი ეზიაროს და გაეცნოს გადასახადებით დაბეგვრის ერთიან პრაქტიკას, რათა გაუმარტივდეს საგადასახადო ვალდებულების შესრულების პროცესი განხორციელებული/განსახორციელებელი ოპერაციების მიხედვით. გასათვალისწინებელია, რომ გადასახადების სწორი და დროული

ადმინისტრირება ხელს უწყობს ბიზნესის წარმართვას შეუფერხებლად.

ერთიან მეთოდოლოგიურ ბაზაში განთავსდება და მუდმივად განახლდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია. კერძოდ:

- საკანონმდებლო აქტები - საერთაშორისო ხელშეკრულებები, ფინანსთა მინისტრის, შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებები, მთავრობის დადგენილებები და ა.შ.;
- შიდა მარეგულირებელი ინსტრუქციები და მეთოდური მითითებები, წინასწარი გადაწყვეტილებები, პროცედურული სახელმძღვანელოები, სიტუაციური სახელმძღვანელოები, მომსახურების სტანდარტები და ა.შ.;
- კონკრეტულ თემაზე მომზადებული გზამკვლევევები;
- აქტუალურ თემებზე სტრუქტურული ერთეულების მიერ დაფიქსირებული პოზიციები; და ა.შ.

ერთიანი მეთოდოლოგიური ბაზა იქნება ძირითადი ინფორმაციის წყარო იმ სტრუქტურული ერთეულებისთვის, რომლებსაც უწევთ კონსულტაციის გაწევა დაინტერესებული პირებისთვის, ასევე, ბაზაში მოცემული ინფორმაციით მომარაგდება ელექტრონული ინფორმაციის არხები - ვებ-გვერდი.

ერთიან მეთოდოლოგიურ ბაზაში განთავსებულმა ინფორმაციამ, სხვა მნიშვნელოვან შედეგებთან ერთად, ხელი უნდა შეუწყოს:

- საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის ანალიზის და განზოგადების შედეგად, პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებას, შემდგომი რეაგირების მიზნით;
- ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო/საბაჟო დავის განმხილველი ორგანოების განტვირთვას, ერთგვაროვანი პრაქტიკის გაზიარების შედეგად საჩივრების რაოდენობის შემცირების გზით.
- დავის განმხილველი ორგანოების გადაწყვეტილებების განჭვრეტადობას და პრაქტიკის ანალიზის შესაძლებლობას.

გადასახადებით დაბეგვრის ერთიანი პრაქტიკის უზრუნველყოფის კვალდაკვალ, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მნიშვნელოვანია მეტი სიცხადე არსებობდეს გადასახადებით დაბეგვრის წესების მხრივ კონკრეტული შემთხვევების მიმართ. აღნიშნულის უზრუნველყოფა შესაძლებელია კანონისმიერი მექანიზმით - ფინანსთა მინისტრმა გამოსცეს საჯარო გადაწყვეტილებები, დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების ან საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელთა დაბეგვრის არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ნორმის გამოყენების შესახებ. ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების თანმდევად საგადასახადო პოლიტიკის ჭრილში, სექტორული პრიორიტეტის გათვალისწინებით, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სფეროში ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირებისთვის, საგადასახადო ვალდებულებების სწორად განსაზღვრის მიზნით, 2023 წელს გამოიცა შემდეგი საჯარო გადაწყვეტილებები: ,,ტურისტული მომსახურებების დღგ-ით დაბეგვრის თაობაზე“ და ,,საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის ,,უ“ ქვეპუნქტის გამოყენების თაობაზე“. ეს უკანასკნელი ასახავს ნორმის გამოყენების სახელმძღვანელოს, რომელიც ითვალისწინებს დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებას საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდებისას, მის სამრეწველო გადამუშავებამდე.

ნათელია, რომ ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაზეა ორიენტირებული. მცირე და საშუალო ბიზნესი ქვეყნის ეკონომიკის ყველაზე მობილური სექტორია, რომელიც ასრულებს მნიშვნელოვან დამბალანსებელ როლს და აერთიანებს ქვეყნის შრომითი რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს. მცირე ბიზნესს, თავის მხრივ, ნოვატორული იდეები კვებავს. რესურსების ახალი წყაროების მიღება კი, მის განვითარებას განაპირობებს.

ამდენად, დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ინფორმირებულობას ზოგადად მცირე ბიზნესის და მისი მნიშვნელობის შესახებ. ასევე არსებული შრომითი იდეებისა და რესურების სრულ რეალიზებას, რაც მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე არ შეიძლება განხორციელდეს. აუცილებელია საზოგადოებრივი დაინტერესება და აქტიურობა-ჩართულობა.

დასკვნა

მცირე და საშუალო ბიზნესი, როგორც ძირითადი საშუალება ეკონომიკის ინკლუზიური ზრდისა და დასაქმების მიზნების მისაღწევად, საჭიროებს მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან, მათ შორის ეფექტიანი საგადასახდო პოლიტიკის გატარების მხრივ. ბიზნესისთვის, საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებასთან ერთად, არანაკლებ მნიშნელოვანია ღია, გამჭვირვალე, განჭვრეტადი დაბეგვრის წესების ცოდნა, საჯაროობა, დადგენილი დაბეგვრის პრაქტიკის გაზიარება და სათანადო რესურსებზე წვდომა. ასევე, სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის წარმომადგენლების ინფორმირებულობა იმ სიკეთეებზე, რომელიც მათი განვითარების მიზნებს ემსახურება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საგადასახადო დავების გადაწყვეტის ეფექტური ინსტიტუტები, საგადასახადო სასამართლოები და ალტერნატიული გზები - კვლევის ავტორი GSMEA;
2. საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის თემატური მოკლვევა თემა - ,,პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - არსებული გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები“
3. ,,საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის“- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო https://bit.ly/3NRk8Ut ;
4. საგადასახადი დავების ანალიზი; USAID GEORGIA აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი ,,მმართველობა განვითარებისათვის“ (2016 წ.).
5. Directorate-General for international policy; Economic and monetary Affairs; Tax rulings in the EU Member States; https://www.europarl.europa.eu
6. სახელმძღვანელო მცირე და საშუალო ბიზნესისათვის; აწარმოე საქართველოში, ERPC
7. Horton, M., & El-Ganainy, A. (2020). Fiscal Policy: Taking and Giving Away. International Monetary Fund.

Promoution of small and medium entrepreneurship and tax polity

Gvenetadze Shorena, Ph.D student
Georgian Technical University

Jincharadze Tristan, Professor
Free University of Tbilisi

Summary

Small and medium-sized businesses, as the main factor for achieving inclusive economic growth and high employment, need support from the government with tools such as effective tax policy implementation. Along with reducing the tax burden, it is no less important for businesses to have open, transparent, predictable taxation rules, publicity, sharing of existing taxation practices and access to appropriate resources from tax authorities. Besides, awareness of business representatives on the benefits that provide their development goals.

A unified electronic platform, which is an information hub of the legal and methodological base, is a uniquely positive opportunity for businesses to conduct their economic activities smoothly and transparently, while at the same time correctly and timely fulfilling their tax obligations to the budget. This should have a positive effect on the prevention of tax disputes. www.infohub.rs.ge is the step that has been taken forward in the way of implementing the dispute reform. Encouraging small and medium-sized businesses and growth-oriented policies is the most justified way for the sustainable development of our country's economy.

keywords: small and medium business; tax policy; business promotion; prevention of risks; methodological base hub; Legal framework.

საჯარო-კერძო პარტნიორობის როლი სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის რეალიზაციაში

გემიაშვილი მეგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ვანიშვილი მერაბ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

სტატიაში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, თანმიმდევ-რულად არის შესწავლილი საჯარო-კერძო პარტნიორობის ადგილი და როლი სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის რეალიზაციაში.

ნაჩვენებია, რომ ბიზნესთან პარტნიორობის სფეროში სახელმწიფო თავის მარეგულირებელ ქმედებას ახორციელებს სამი ძირითადი მიმართულებით: ჯერ-ერთი, შეიმუშავებს სტრატეგიასა და პრინციპებს, რომლითაც ხორციელდება ბიზნეს-ურთიერთობები მთლიანად საზოგადოებასთან და საჯარო ხელისუფლებასთან; მეორე, აყალიბებს ინსტიტუციურ გარემოს პარტნიორული პროექტების დამუშავებისა და რეალიზაციისათვის; და მესამე, უშუალოდ დაკავებულია საჯარო-კერძო პარტნიორობის ორგანიზაციითა და მართვით.

დასაბუთებულია, რომ საჯარო-კერძო პარტნიორობის სხვადასხვაგვარი ფორმები, მეთოდები და მექანიზმები საშუალებას იძლევა ფართოდ იქნეს გამოყენებული კერძო კაპიტალის შესაძლებლობები სახელმწიფოს მიერ საჯარო ინტერესთან დაკავშირებული უამრავი პრობლემის გადაჭრაში.

საკვანძო სიტყვები: საჯარო-კერძო პარტნიორობა, ოპერატორის მოდელი, კოოპერაციის მოდელი, კონცესიის მოდელი, სახელშეკრულებო მოდელი, ლიზინგური მოდელი.

ძირითადი ტექსტი

ტერმინი „საჯარო-კერძო პარტნიორობა" გაჩნდა ამერიკაში მე-20 საუკუნის დასაწყისში და, თავდაპირველად, გულისხმობდა საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლივ სახელმწიფო და კერძო დაფინანსებას, მოგვიანებით, 50-იან წლებში - საზოგადოებრივი სარგებლობის ობიექტების დაფინანსებას, 60-იან წლებში კი უფრო ხშირად გამოიყენებოდა ქალაქების მოდერნიზაციითა და გარდაქმნით დაკავებული ერთობლივი საჯარო-კერძო საწარმოების აღსანიშნავად. ამერიკაში მას გამოიყენებენ აგრეთვე არასახელმწიფო (როგორც წესი, არაკომერციული) სტრუქტურების მიერ სახელმწიფოს დაფინანსებით გაწეული სოციალური მომსახურების აღსანიშნავად, ასევე კერძო კომპანიების მიერ ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების სახელმწი-ფოებრივი დაფინანსების აღსანიშნავად ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტექნოლო-გია. საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში ეს ტერმინი აღნიშნავს ერთობლივ სამთავრობო და კერძო ინიციატივებს ისეთ დაავადებებთან ბრძოლისათვის, როგორიცაა სპიდი და მალარია, სოფლის მეურნეობის გაძღოლის მეთოდების სრულყოფისათვის ან, საერთოდ, ეკონომიკური განვითარების მეთოდების სრულ-ყოფისათვის ან, საერთოდ, ეკონომიკური განვითარების მიზნებისათვის [1, გვ. 56].

დასავლეთ ევროპაში კი საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმაში ინვესტიციებისადმი ინტერესი გაჩნდა ბევრად უფრო ადრე, ვიდრე აშშ-ში. საფრანგეთში კერძო ინვესტორთა ფულით არხების მშენებლობა ხორციელდებოდა ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში. ისტორიაში საჯარო-კერძო პარტნი-ორობის პირველი პროექტი სანქცირებული იქნა საფრანგეთში მეფე ჰენრიხ მეორის მიერ, რომლის რეალიზაციის მსვლელობაში (კონცესიური ფორმის ფარგლებში) აშენებული იქნა არხი. ცნობილი ეიფელის კოშკი პარიზში - ასევე საჯარო-კერძო პარტნიორობის მექანიზმის მუშაობის შედეგია. ინგლისში მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში იქმნებოდა საგზაო ნდობითი ფონდები, რომლებიც კერძო ინვესტორებისაგან იღებდნენ კრედიტებს გზების რემონტისათვის, და

ფარავდნენ მათ გზით სარგებლობისათვის დაწესებული გადასახდელიდან. ლონდონში ხიდების უმეტესობის მშენებლობა მსგავსი ფონდებით ფინანსდებოდა თითქმის მე-19 საუკუნის შუა წლებამდე [2, გვ. 4]. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში კერძო კაპიტალის დახმარებით აგებული იქნა ბრუკლინის ხიდი ნიუ-იორკში. საჯარო-კერძო პარტნიორობა კონცესიური ფორმით მე-19 - მე-20 საუკუნეების მიჯნაზე გამოიყენებოდა მრავალ ქვეყანაში და, მათ შორის, ყოფილ საბჭოთა კავშირშიც, განსაკუთ-რებით რკინიგზების მშენებლობისას [3, გვ. 22].

საჯარო-კერძო პარტნიორობის თეორიამ შემდგომი ფუნდამენტური განვითარება მიიღო მე-20 საუკუნის შუა პერიოდში. თუმცა, პრაქტიკულ საქმიანობაში მისი აქტიური განხორციელება დაიწყო გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. ამ მომენტიდან საჯარო-კერძო პარტნიორობის მექანიზმი გამოიყენება სულ უფრო მეტ ქვეყანაში.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში დიდ ბრიტანეთში განვითარება იწყო საჯარო-კერძო პარტნი-ორობის ბრიტანულმა ფორმამ - „კერძო ფინანსური ინიციატივის“ სახელწოდებით [4], რომლის არსი მდგომარეობდა კერძო ინვესტიციების მოზიდ-ვაში მსხვილი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობისათვის, ანუ როცა კერძო ბიზნესი ფაქტიურად თვითონ ახორციელებდა სახელმწიფო ობიექტების მშენებლობას საკუთარი საშუალებების ხარჯზე და, კერძო ინვესტო-რის ხარჯების კომპენსაცია ხდებოდა ან ექსპლუატაციიდან შემოსავლების ან ბიუ-ჯეტიდან გადასახადების ხარჯზე.

დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე პარტნიორობის განვითარების პარალე-ლურად, სახელ-მწიფოსა და ბიზნესის ურთიერთქმედების მოცემული ფორმა აქტიურად დაინერგა აშშ-შიც. უნდა აღი-ნიშნოს, რომ აშშ-ში ხელისუფლებისა და კერძო კომპანიათა კოოპერაცია ფართოდაა გავრცელებული და მოწონებული სახელმწიფო იერარქიის ქვედა დონეებზე: მუნიციპალიტეტებსა და საგრაფოებში.

საჯარო-კერძო პარტნიორობის ნაციონალური საბჭოს მონაცემებით, აშშ-ში მუნიციპალური ხელისუფლების საქმიანობის 65 საბაზო სახიდან პარამეტრების უმრავლეობის მიხედვით საშუალო ქალაქი კერძო ფირმებს იზიდავს მათგან 23-ის შესასრულებლად [5, გვ. 23].

საჯარო-კერძო პარტნიორობა პროექტების რეალიზაციის სფეროში განვითა-რებული ქვეყნების პრაქტიკული საქმიანობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გა-მოვყოთ უშუალოდ პარტნიორობის კერძო მონაწილეებთან ურთიერთობაში სა-ხელმწიფოს საქმიანობის მარეგულირებელი შემდეგი მიმართულებები:

- პარტნიორული შეთანხმების მონაწილეთა მიერ ყველა თავისი ვალდებულებე-ბის შესრუ-ლებაზე მუდმივი კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანიზაცია და განხორციელება, ასევე ხელშეკრულების პირობების დარღვევის დროულ აღმოფხვრაზე კონტროლი;
- აუცილებლობის შემთხვევაში, წინადადებების შემუშავება ხელშეკრულების პირობების კორექტირების მიმართულებით;
- პარტნიორობის კერძო მონაწილეებისაგან საჩივრებისა და წინადადებების მიღება და განხილვა ხელისუფლების ცალკეული ორგანოების ან თანამდებობის პირთა არასათანადო მოქმედების მიმართ, რომელიც ხელს უშლის შეთანხმების პირობების შესრულებას;
- პარტნიორობის მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების გამომყენე-ბელთა პრეტენზიების მიღება და განხილვა;
- ზომების მიღება პარტნიორობის მონაწილეებისა და მის მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების გამომყენებელთა უფლებების დარღვევის ფაქტე-ბის აღმოფხვრის მიმართულებით.

პარტნიორობის ფორმებისა და მეთოდების მთელ მრავალფეროვნებაში სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის კონკრეტული მონაწილეობის ზომა, ასევე მათი შერწყმის პირობები შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს. ასე, მაგალითად, პარტნიორობაში კერძო კომპონენტი შეიძლება გამოდიოდეს კონტრაქტის ერთ-ერთი მხარის სახით, როცაა საკუთრების უფლება მკაცრად გამიჯნულია. პარტნიო-რობას, საკუთრების გამიჯნული უფლებებით, მიეკუთვნება შეთანხმებები პრო-დუქციის განაწი-ლებისა და ლიზინგის შესახებ.

ყველა სახის კონცესიური შეთანხმების შემთხვევაში უკვე საუბარი მიდის სახელმწიფოსგან კერძო პარტნიორისათვის საკუთრების ზოგიერთი უფლებამოსილების (ჩვეულებრივ, სარგებლობის, ფლობისა და მართვის უფლებამოსილებათა) ნაწილობრივ გადაცემაზე.

დაბოლოს, სახელმწიფო საწარმოში კერძო კაპიტალის სააქციო ან წილობრი-ვი მონაწილეობა გულისხმობს სახელმწიფო და კერძო კაპიტალის ინტეგრაციის უფრო მაღალ დონეს პარტნიორული ურთიერთობების რეალიზაციაში სოციალურად და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწევად. საჯარო-კერძო პარტნიორობის თითოეული ამ ინსტიტუციური ალტერნატივის და სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის უფლებემოსილებათა განაწილების უამრავი სპეციფიკური ვარიანტების ფარგლებში იქმნება სტიმულების ეფექტიანი სისტემის გამოყენების შესაძლებლობა, რომლებიც შეესაბამება საკუთრების უფლებათა კონცენტრაციას.

საჯარო-კერძო პარტნიორობის მსოფლიო გამოცდილება დღეისათვის საკმაოდ ფართოა და უკვე გამოიკვეთა განსაზღვრული უპირატესობა ცალკეულ სფეროებში პარტნიორობის კონკრეტული ფორმებისა და მეთოდების შერჩევისას. თუ ამ ნიშნით მივუდგებით პარტნიორობას, მაშინ შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი საბაზო მოდელები, რომლებიც განსხვავდებიან საკუთრებითი ურთიერთობის, მართვისა და დაფინანსების წყაროების სპეციფიკური ფორმებით.

ოპერატორის მოდელმა, მაგალითად, ფართო გავრცელება ჰპოვა კომუნალური მეურნეობის ისეთ სფეროში, როგორიცაა ნარჩენების გადამუშავება. ეს მოდელი ხასიათდება სახელმწიფოსა და კერძო პარტნიორს შორის პასუხისმგებლობის მკვეთრი გამიჯვნით და, ამასთან, სახელმწიფოს მხრიდან მაკონტროლებელი ფუნქციის შენარჩუნებით.

კოოპერაციის მოდელი გამოიყენება იქ, სადაც კონკრეტული მომსახურება არასაკმარისად მკაფიოდაა გამოკვეთილი და განსაზღვრული, და ამიტომ რთულია მათი ქცევა დაბეგვრისა და სააამორტიზაციო ანარიცხების ცალკეულ ობიექტებად. ასეთ შემთხვევაში პარტნიორობა რეალიზდება სახელმწიფოსა და კერძო ინვესტო-რის ერთობლივი საპროექტო კომპანიის საშუალებით.

კონცესიის მოდელი მოქმედებს იმ დარგებში, რომლებიც ხასიათდებიან პროექტების რეალიზაციის ხანგრძლივი ვადებით, ასევე იმ შემთხვევებში, როცა პოლიტიკური ან სამართლებრივი მიზეზით გამოირიცხება სახელმწიფოსაგან კერძო პარტნიორისათვის საკუთრების უფლების გადაცემა.

სახელშეკრულებო მოდელი გამოიყენება ენერგეტიკაში, სადაც ინვესტიციები მიმართულია, პირველ რიგში, მიმდინარე დანახარჯების შემცირებაზე. ამასთან, მიმდინარე დანახარჯების შემცი-რების გზით მიღებული ეკონომია, არცთუ იშვიათად, აჭარბებს საკუთრივ საინვესტიციო დანახარჯებს.

ლიზინგური მოდელი წარმოადგენს ყველაზე მეტად შესაფერისს საზოგადოებრივი შენობების აღჭურვისათვის. მსოფლიოში დაგროვილია კერძო ბიზნესთან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პარტნიორობის ლიზინგური ფორმის მეტად წარმომადგენლობითი გამოცდილება [6, 26].

საჯარო-კერძო პარტნიორობის მიერ შემუშავებულ და რეალიზებულ პროექტებში სახელმწიფოს წვლილია – მესაკუთრის უფლებამოსილება, საგადასახადო და სხვა შეღავათების შესაძლებლობა, გარანტიები, ასევე გარკვეული მოცულობის ფინანსური რესურსების მიღება. სახელმწიფო, როგორც უმთავრესი სუბიექტი და მთავარი მარეგულირებელი, უფლებამოსილია, აუცილებლობის შემთხვე-ვაში, გადაანაწილოს რესურსები წმინდა საწარმოო პროგრამებიდან სოციალურ მიზნებზე.

დასკვნა

ინფრასტრუქტურის სფეროში საჯარო-კერძო პარტნიორობის განვითარების ზომის მიხედვით, სახელმწიფოს შეუძლია თავისი საქმიანობის აქცენტები ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციის კონკრეტული პრობლემებიდან გადაიტანოს ადმინისტრაციულ-საკონტროლო ფუნქციებზე. ამასთან დაკავშირებით, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ გარდაუვალი სამეწარმეო რისკები გადანაწილ-დება ბიზნესის მხარეზე. საჯარო-კერძო პარტნიორობის საზოგადოებრივი მნიშვნელობა კი მდგომა-რეობს იმაში, რომ, საბოლოო ჯამში, მოგებული რჩება საზოგადოება, როგორც უფრო ხარისხიანი მომსახურების გლობალური მომხმარებელი.

ნებისმიერ შემთხვევაში სახელმწიფოს რჩება რეგულირებისა და კონტროლის ძირითადი

სადავეები. მათ რიცხვს მიეკუთვნება: სატარიფო პოლიტიკა, წარ-მოების უსაფრთხოებასა და ეკოლოგიური პირობების დაცვაზე კონტროლი, საბო-ლოო მომხმარებელთა მომსახურების ხარისხზე კონტროლი. ამ საკონტროლო ფუნქციების შენარჩუნებით სახელმწიფოს შეუძლია წავიდეს სამეურნეო სფეროს უშუალო ხელმძღვანელობიდან, სამეურნეო საქმიანობა გადააბაროს ბიზნესს ისე, რომ დაიტოვოს მაკონტროლებელი ბერკეტები პროექტის მიხედვით თავისი პარ-ტნიორების საქმიანობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Михеев В.А. Государственно-частное партнерство: политика и механизм реализации. В кн. Проблемы формирования государственных политик в России». - М.: Научный эксперт, 2006.
2. Becker, R. Zielplanung und - Kontrolle von Public Private Partnerchips in der Forschung-Konzeption und praxisorientierte Gestaltungsempfehlungen fur Forschungskooperationen zwischen Wissenschaft und Wirtschaft. Wiesbaden: Deutscher Universitats-Verlag, 2003.
3. Варнавский В.Г. Концессии в транспортной инфраструктуре: теория, практика, перспективы. - М.: ИМЭМО РАН, 2002.
4. Санникова Т. Фундаментальная предпосылка - можно ли вести бизнес с этим государством? //www.opec.ru/point-doc.
5. Ferlie E„ Lynn L. E. and Pollitt C. (eds) The Oxford Handbook of Public Management. - Oxford/New York: Oxford University Press, 2005.
6. ვანიშვილი ნ. საჯარო-კერძო პარტნიორობის უცხოური გამოცდილება საქარ-თველოში: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა. - თბილისი: გამომცემლობა „საზოგადოება ცოდნა“, 2016. – 168 გვ.

The role of public-private partnership in the realization of state investment policy

Maggie Gemiashvili, PhD student
Georgian Technical University

Merab Vanishvili, Professor
Georgian Technical University

Abstract

In the article, the latest literary sources, tanmimdevruladaa explored the public-private partnership for economic nature and role of the state in the realization of the investment policy.

It is shown that the private business of the partnership in the sphere of its regulatory actions in three main areas: first - one that develops strategies and principles on which the business relationship between the society and the public authorities, the other identifies the institutional environment for collaborative projects, processing and sale, and the third, the busy public-private partnerships organizatsiita and control.

It is proved that the public - private partnership in various forms, methods and mechanisms to allow private capital to be widely used by the public interest in connection with a multitude of problems.

Keywords: Public-private Partnership, Operator Model, Cooperation Model, Concession Model, Contract Model, Leasing Model.

გლობალიზაციის გავლენა სოციალურ პოლიტიკაზე

გვეტაძე ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სიტყვა გლობალიზაცია 1990-იანი წლებიდან დამკვიდრდა სასაუბრო ლექსიკონში და თანდათან დომინანტი გახდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და აკადემიურ დისკურსებზე. გლობალიზაციამ სამყარო ახალ საფეხურზე აიყვანა და თანამედროვე ეპოქაში იგი სულ უფრო მასშტაბური ხასიათი შეიძინა. ინდუსტრიული საზოგადოებიდან პოსტინდუსტრიულ რელსებზე გადასვლამ ახალი ბიძგი მისცა მსოფლიო განვითარებას და დააჩქარა გლობალიზაციის პროცესი და ახალი ორიენტაცია შესძინა მსოფლიო ეკონომიკას.

წარმოდგენილ ნაშრომში აღწერილია მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია გლობალიზაციის დადებით და უარყოფით მნიშვნელობასთან და მის გავლენებთან ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკაზე. მიმოხილულია საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობა სოციალური პოლიტიკის შემუშავებაში და ზოგადად, გლობალური სოციალური პოლიტიკის აქტუალური საკითხები და მიდგომები. გლობალიზაციას ადანაშაულებენ ისეთ პროცესებში, როგორიცაა ქვეყნებს შორის შემოსავლების არათანაბარი განაწილება, ეკონომიკის რეგულირებაში სახელმწიფოს როლის შემცირება, სახელმწიფოებზე ზეწოლა, რაც ავალდებულებთ მათ აწარმოონ ბაზრისთვის მეგობრული პოლიტიკა, რომელიც სარგებელს მოუტანს სავაჭრო ინვესტიციებს, შედეგად იზრდება სოციალური დაძაბულობა, ხდება სახელმწიფოს როლის შესუსტება სოციალურ სფეროში, დასავლური ღირებულებების გავლენების გაძლიერება და ეროვნული ტრადიციების უგულებელყოფა. ერთი რომელიმე ძლიერი ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი უარყოფითად აისახება მსოფლიოს სხვა ქვეყნებზე.

მიუხედავად უარყოფითი მხარეებისა, უდიდესია გლობალიზაციის სარგებლიანობა კაცობრიობის სოციალურ კეთილდღეობაზე. გლობალიზაცია ითვლება სახელმწიფოებისთვის მრავალი წარმატების, სიღარიბის შემცირების, ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის, უკეთესი სერვისების განვითარების და ადამიანის უფლებების მიმართ გაძლიერებული ზრუნვის საფუძველი. მათაც კი, ვინც სკეპტიკურად უყურებს გლობალიზაციის მიერ მოტანილ სარგებელს, უნდა დარწმუნდეს, რომ იგი უალტერნატივოა, რის გამოც მისგან თავის არიდება ქვეყნის იზოლაციაში მოქცევას ნიშნავს. გლობალიზაციით მსოფლიო იძენს ახალ სტანდარტებს.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაციის აქტუალურობა, გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები, გლობალიზაციის მომავალი, კონვერგენცია, დეკომოდიზაცია, სტრატიფიკაცია, გლობალიზაციის ელემენტები, კეთილდღეობის სახელმწიფოს ტიპები.

ძირითადი ტექსტი

გლობალიზაცია და მისი მიმდინარეობა

გლობალიზაცია გულისხმობს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული პროცესების ერთობლიობას და იგი გამოიყენება მსოფლიო ეკონომიკების, კულტურებისა და მოსახლეობის მზარდი ურთიერთდამოკიდებულების, მსოფლიო ბაზრების ურთიერთშერწყმის ასაღწერად. ფაქტია, რომ გლობალიზაცია არის პროცესი, რომელსაც პლანეტა თანდათან მიჰყავს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ჰომოგენიზაციისაკენ. მისი მთავარი კონტენტიც ამაში მდგომარეობს: მაქსიმალურად დაძლეულ იქნას მანძილები და სახელმწიფოთა საზღვრები. ტერმინი ,,გლობალიზაცია“ ცალკეული ბაზრების შერწყმის მოვლენის აღსაწერად პირველად გამოიყენა ამერიკელმა მეცნიერმა თეოდორე ლევიტმა 1983 წელს თავის სტატიაში - ბაზრების გლობალიზაცია. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გლობალიზაციის პროცესები მანამდე არ მიმდინარეობდა, ეს პროცესები ათასწლეულების განმავლობაში მიმდინარეობს და ჯერ კიდევ ბერძნული კოლონიზაციის დროს დაიწყო. გლობალიზაციის ისტორიულ თვალსაჩინოებად აბრეშუმის

გზის ვაჭრობა შეგვიძლია მოვიტანოთ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საერთაშორისო თანამშრომლობისა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით შეიქმნა გლობალური ეკონომიკური სისტემა საერთაშორისო წესებით. დამკვიდრდა მრავალეროვნული ინსტიტუტები, როგორიცაა გაერო (გაერო), საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. 1980-იან წლებში გლობალიზაციის პროცესის დაჩქარება უკავშირდება ტექნოლოგიურ ინოვაციებს, რომლის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ პერსონალური კომპიუტერის დანერგვა და შემდგომში თანამედროვე ინტერნეტის ევოლუცია, რომელიც დაეხმარა საერთაშორისო კომუნიკაციის, კომერციისა და გლობალიზაციის განვითარებას. მეცნიერებს გააჩნიათ სხვადასხვა დამოკიდებულება და ხედვა გლობალურ პროცესებთან დაკავშირებით. ლევიტი გამოირჩეოდა პროვოკაციული განცხადებებით ახალი აზროვნებითა და ქმედებებით, რაც აუცილებელი იყო ბიზნესის მენეჯმენტის ახალ სამყაროში გადასაყვანად. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეპოქიდან მოყოლებული ტერმინი გლობალიზაცია უკვე აქტიურად გამოიყენება სოციალურ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ დისკურსში. აღნიშნულმა პროცესმა კაპიტალიზმის განვითარებას შეუწყო ხელი. პოლიტიკურ და ეკონომიკურ დისკურსში გლობალიზაცია სახელმწიფოს სუვერენიტეტის შესუსტებასთან ასოცირდება: სახელმწიფო აღარ არის საკუთარი ძალაუფლების ფარგლებში გადაწყვეტილების ერთადერთი მიმღები. ის სრულად ვეღარ აკონტროლებს თავის ეკონომიკას, რადგან ტრანსნაციონალური კომპანიების სიმრავლემ, რომლებიც მსოფლიოს მასშტაბით მოქმედებენ, თავისი როლი შეასრულა და იმოქმედა სახელმწიფო ეკონომიკურ მართვაზე. ეკონომიკური პოლიტიკის შექნის პროცესში უფრო და უფრო აქტიურ როლს საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტები და ორგანიზაციები (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ევროკავშირი) თამაშობენ. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები განსაკუთრებით აქტიურობენ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში, ცდილობენ მიაღწიონ ამ ქვეყნების ეკონომიკის მაქსიმალურ დერეგულაციასა და ლიბერალიზაციას.

ისეთი სოციალური პრობლემები, როგორიცაა შიმშილი, სიღარიბე, უთანასწორობა, გენდერული თანასწორობა, კლიმატური ცვლილებები და სხვა მსგავსი, ხშირად სწორედ გლობალიზაციის შედეგად განიხილება, თუმცა, გლობალიზაცია საერთაშორისო თანამშრომლობის, სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელი წინაპირობაა. ეს მოსაზრებები ცხადყოფს, რომ გლობალიზაციას ნამდვილად თან სდევს მნიშვნელოვანი, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები, რომლებიც სოციალური პოლიტიკის შემუშავების დროს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული. გლობალიზაციის 4 სახე არსებობს ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული. გლობალიზაციაზე საუბრისას არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, ბაზრებს შორის კავშირები, რაც უმთავრესი ინსტრუმენტია ჯანსაღი პროცესების წარმართვისას. მარტო ეკონომიკური კავშირებით არ გამოიხატება ბაზრებს შორის კავშირები, აქ ერთვება უკვე სხვა ინტერესები და სტრატეგიული ხედვები. გლობალიზაციის პროცესი დინამიურია და ბევრი დადებითი მხარეები გააჩნია - ინტეგრაციის გზით გლობალიზაცია ხელს უწყობს სხვადასხვა ერებსა და სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა კავშირების გაღრმავებასა და განმტკიცებას.

რატომ არის გლობალიზაცია მნიშვნელოვანი:

გლობალიზაცია ცვლის ერების ბაზრებს შორის ურთიერთკავშირების გზებს. კერძოდ, ის ცვლის ქვეყნებს შორის ეკონომიკური აქტივობის ხასიათს, აფართოებს ვაჭრობას, ხსნის გლობალურ მიწოდების ქსელებს და უზრუნველყოფს წვდომას ბუნებრივ რესურსებსა და შრომის ბაზრებზე. ხელს უწყობს კულტურულ გაცვლას, ხსნის გეოგრაფიული შეზღუდვებს, პოლიტიკური საზღვრების დაწესებულ ბარიერებს. გლობალიზაცია საშუალებას აძლევს ერთ ქვეყანაში ბიზნესს წვდომა ჰქონდეს სხვა ქვეყნის რესურსებზე. უფრო ღია წვდომა ცვლის პროდუქტების განვითარების გზას, მიწოდების ჯაჭვების მართვას და ორგანიზაციების კომუნიკაციას. ბიზნესი პოულობს იაფ ნედლეულს და ნაწილებს, ნაკლებად ძვირი ან უფრო კვალიფიციურ მუშახელს და პროდუქტის განვითარების უფრო ეფექტურ გზებს. გლობალიზაციის პირობებში გაზრდილი ვაჭრობა ხელს უწყობს საერთაშორისო

კონკურენციას. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს ინოვაციებს და, ზოგიერთ შემთხვევაში, იდეებისა და ცოდნის გაცვლას. გარდა ამისა, სხვა ერებიდან ჩამოსულ ადამიანებს ბიზნესისა და სამუშაოს გასაკეთებლად მოაქვთ თავიანთი კულტურები, რომლებიც გავლენას ახდენენ და კულტურათა შერწყმას. გლობალიზაციის პროცესში ადამიანები ადვილად იცვლიან საცხოვრებელს და ადვილად ადაპტირდებიან ერთი ქვეყნიდან მეორეში. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია სასწავლო გაცვლითი პროგრამები. გლობალიზაციის მომხრეები ხშირად კონკრეტულ შედეგებს პოზიტიურად თვლიან, ხოლო გლობალიზაციის კრიტიკოსები იმავე შედეგებს უარყოფითად ხედავენ.

გლობალიზაციის ნეგატიური მხარე (Negative consequences of globalization)

რა ნეგატიური მხარე გააჩნია გლობალიზაციას? - ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობის შესუსტება და გაერთსახოვნება. ქვეყნებს შორის არათანაბარი განაწილება; სახელმწიფო როლის შემცირება სოციალურ სფეროში; სოციალური დაძაბულის ზრდა; დასავლური ღირებულებების გავლენების ზრდა; ეროვნული ტრადიციების უგულებელყოფა; მტკივნეულ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს რომელიმე ერთი მსხვილი განვითარებული ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის სწრაფად გავრცელება მსოფლიოს სხვა ქვეყნებზე, რომელიც საკმაოდ დიდხანს გრძელდება და ამის მაგალითად გამოდგება ამერიკის გლობალური ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი, რომელმაც მსოფლიო მოიცვა. განვითარებად ქვეყნებზე მათ შორის საქართველოზე გლობალიზაციის ყველაზე მწვავე პრობლემად საბაჟო გადასახადის შემცირება შეიძლება მივიჩნიოთ. სავაჭრო შეზღუდვებისა და ბარიერების შემცირება ხელს უწყობს და უმარტივებს უცხოურ კომპანიებს შემოიტანონ თავიანთი, ანუ უცხოური პროდუქცია. ეს იწვევს ეროვნული ბაზრების გავსებას უცხოური საქონლით და შედეგად ხდება მაგ: ქართული ეროვნული ბაზრის, საწარმოების და სამეურნეო საქმიანობის შესუსტებას. გამომდინარე იქიდან, რომ ქართული ადგილობრივი საწარმოები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ არიან აღჭურვილნი თანამედროვე ტექნიკითა და ახალი ტექნოლოგიებით, რის გამოც დაბალია შრომის ნაყოფიერება. შესაბამისად, დაბალია პროდუქციის ხარისხიც და მაღალია თვითღირებულება. ეს ყველაფერი ართულებს უცხოურ პროდუქციასთან კონკურენციას. გლობალიზაციის მანკიერი მხარეა ასევე ჩრდილოვანი ეკონომიკის, მაფიოზური და ტერორისტული ორგანიზაციების გაჩენა და მათი გავლენები.

გლობალიზაცია ახდენს ბაზრების დესტაბილიზაციას. შრომის ბაზრები განსაკუთრებით ზარალდება, როდესაც ადამიანები გადადიან საზღვრებს გარეთ უფრო მაღალანაზღაურებადი სამუშაოების მოსაძებნად. ინტელექტუალური ადამიანური კაპიტალის გადინება საზღვარგარეთ უარყოფითად აისახება ქვეყნებზე.

გაზრდილი მობილობა ხშირად განვითარებული ქვეყნებისათვის მიგრანტებისა და თავშესაფრის მაძიებელთა პრობლემად გარდაიქმნება. ამ უკანასკნელთა უმეტესობა ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით არათანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობს. ხშირ შემთხვევაში უმუშევრობისა და დასაქმების საკითხები წყდება არა ქვეყნის დონეზე, არამედ იმის მიხედვით, თუ სად აკეთებენ ინვესტირებას საერთაშორისო კომპანიები და ა.შ. გლობალიზაცია აზიანებს გარემოს. ტრანსპორტის გაზრდილი რაოდენობა მოქმედებს ეკოლოგიაზე, გლობალური დათბობის საშიროების წინაშეა პლანეტა. ხარჯების შესამცირებლად კომპანიები გადადიიან სხვა ქვეყნებში და ქვეყანაში ჩნდება უმუშევრობის პრობლემა. და ბოლოს, გაზრდილ მოგზაურობას აქვს პოტენციალი გაზარდოს პანდემიის რისკი. ამის საუკეთესო მაგალითია covid 19 პანდემია, რომელმაც 2020-2023 წლებში მთელი მსოფლიო მოიცვა.

გლობალიზაციის მომავალი (Future of globalization)

ტექნოლოგიური მიღწევები, განსაკუთრებით ბლოკჩეინი, მობილური კომუნიკაცია და საბანკო საქმე, ხელს უწყობს ეკონომიკურ გლობალიზაციას. მიუხედავად ამისა, პროტექციონიზმისა და ანტიგლობალიზაციის განწყობის ზრდამ ქვეყანაში შეიძლება შეანელოს ან თუნდაც შეცვალოს გლობალიზაციის სწრაფი ტემპი. ნაციონალიზმი და კონსერვატიული ეკონომიკური პოლიტიკისკენ მიმართული მზარდი ტენდენციები აღვივებს ანტიგლობალიზაციის მცდელობებს. გლობალური ვაჭრობა ისეთი მზარდი საფრთხეების წინაშე აყენებს ქვეყნებს როგორიცაა: კლიმატის ცვლილება;

ინფრასტრუქტურის მოშლა; კიბერშეტევები; ადამიანის უფლებების უგულებელყოფა მაგრამ მაინც, გლობალიზაცია გრძელვადიანი ტენდენციაა ღია საზღვრებს და თავისუფალ ვაჭრობას აქვს უპირატესობები. გლობალიზაციის პროცესში კულტურები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში უფრო და უფრო ემსგავსებიან ერთმანეთს. მეცნიერები იზიარებენ კულტურული იმპერიალიზმის იდეას, რაც ერთი ან რამდენიმე დომინანტი კულტურის მიერ ადგილობრივი კულტურებზე თავიანთი გავლენების გაძლიერებას გულისხმობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ტრადიციულის, ეროვნულისა და ადგილობრივის გლობალური დომინანტური კულტურით ჩანაცვლებას გულისხმობს. არის ქვეყნები, რომლეცბიც ენთუზიაზმით ერთვება გლობალიზაციის პროცესში და აქტიურად მონაწილეობს მასში. გლობალიზაციის პროცესი განსაკუთრებით დაბალგანვითრებული ქვეყნებისათვის მომგებიანია. ქვეყნებს უჩნდებათ შესაძლებლობა მოიზიდონ დონორი ორგანიზაციები, გაუზსნან გზა ახალ ინვესტიციო პროექტებს, სხვადასვხა საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს. გლობალიზაცია არა შემზღუდველი, არამედ პირიქით, შესაძლებლობების მიმცემია სახელმწიფოსათვის.

გლობალიზაციაში უზარმაზარი წვლილი მიუძღვის ახალი ტექნოლოგიების განვითარებას. ტექნოლოგიური პროგრესი ყოველთვის ეკონომიკური ზრდის გარანტია. ახალი ტექნოლოგიებით ქვეყნები კიდევ უფრო კონურენტუნარიანი ჩნდებიან ბაზარზე და ლიდერულ პოზიციებს იკავებენ. უამრავი პოზიტიური მხარე აქვს გლობალიზაციას, შრომის მწარმოებულურობის ამაღლება, ტექნოლოგიური პროგრესის წახალისება, ფინანსური რესურების მობილიზება, საერთო საკაცობრიო პრობლემების კოორდინირებულად გადაწყვეტა დადებითი ეფექტის მომტანი პროცესია ყველა განვითარებადი ქვეყნისთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც.

"მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლება"[1] 2021 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო შეფასდა 8.26 ქულით და მსოფლიო ლიდერთა ხუთეულშია. რეიტინგში საქართველო შეფასებულია 5 ინდიკატორით.

- მთავრობის ზომა – 21-ე ადგილი, 8.14 ქულა
- სამართლებრივი სისტემა და საკუთრების უფლების დაცვა – 30-ე ადგილი, 6.72 ქულა
- მყარი ვალუტა - 75-ე ადგილი, 9.18 ქულა
- საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება – მე-3 ადგილი, 9.12 ქულა
- რეგულაციები - 22-ე ადგილი, 8.16 ქულა.

აღნიშნული მონაცემები არც თუ ისე ცუდი შედეგია ჩვენი ჩვეყნისთვის.

გლობალიზაციის ინტეგრირება სოციალური პოლიტიკაში

გლობალიზაციასა და სოციალურ პოლიტიკას შორის კავშირის ანალიზისას, ყურადღება მახვილდება კიდევ ერთ მიმართულებაზე, რომელიც ცდილობს კეთილდღეობის სახელმწიფოში მომხდარი ცვლილებები დაუკავშიროს ქვეყნების შიგნით მიმდინარე მოვლენებს და არა გლობალიზაციას. გლობალიზაცია არის უაღრესად სადავო ტერმინი, თუ როგორ მუშაობს იგი, როგორი მიმართულებებით მიდის, როგორია მისი სოციალური და პოლიტიკური ზეგავლენები. გლობალიზაციის შედეგების გაანალიზება ძალიან რთულია. გლობალიზაციის გავლენის შესახებ დისკუსიაში გამოიყენება ტერმინი კონვერგენცია **(სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური სისტემების, მათი სტრუქტურების თანდათანობითი დაახლოება ურთიერთკავშირის, თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების საფუძველზე, არსებითი წინააღმდეგობების გადალახვა და საერთო მახასიათებლების შეძენა).** კონვერგენციამ შეიძლება გამოავლინოს დაღმავალი ან აღმავალი ტენდენცია; ეს შეიძლება იყოს გლობალური კონვერგენცია ან შეიძლება იყოს კონვერგენცია რეგიონულ დონეზე. ამასთან, კონვერგენცია შეიძლება ნიშნავდეს, რომ ყველა პოლიტიკა შეიცვლება ახალ კონფიგურაციაში, მაგრამ ასევე შეიძლება ნიშნავდეს, რომ ისინი უფრო ჰგვანან, რადგან უფრო დაემსგავსნენ ქვეყანაში უკვე არსებულ პოლიტიკას. იზრდება რეგიონული და გლობალური ორგანიზაციების ზეგავლენა ეროვნულ დონეზე სოციალური პოლიტიკის ფორმირებასა და კეთილდღეობის სახელმწიფოს ტრანსფორმაციაზე; აღნიშნული თემების დეტალური განხილვის დროს ნათელი ხდება, რომ ისინი

[1] https://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/2022/ratings_2022_geo_6_06_22.pdf

მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს. და მაინც, როგორი გავლენა აქვს გლობალიზაციას ქვეყნის სოციალურ პოლიტიკაზე? სოციალური პოლიტიკის მეცნიერი Esping-Andersen-ის მიხედვით, იმისათვის, რომ შეფასდეს, არის თუ არა გლობალიზაციის ინდიკატორებთან კეთილდღეობის ტრადიციული რეჟიმის ტიპოლოგიების კორელაცია, მისმა ანალიზმა მოახდინა კაპიტალისტური კეთილდღეობის სახელმწიფოების კლასიფიკაცია ორ მთავარ განზომილებაზე დაყრდნობით: **დეკომოდიზაცია** (მიუშვებს თუ არა სახელმწიფო პოლიტიკა ადამიანებს ბაზრისგან დამოუკიდებლად იცხოვრონ) და სტრატიფიკაცია (პოლიტიკა ინარჩუნებს სოციალურ კლასობრივ განსხვავებებს).

გლობალიზაციის ელემენტები (Elements of globalization)

- საერთაშორისო კაპიტალის ნაკადები;
- ბიზნეს საქმიანობის გლობალური ინტეგრაცია
- ინფორმაციის გაცვლა მედიისა და კომუნიკაციების საშუალებით
- კონსუმერიზმისა და ინდივიდუალიზმის გავრცელება მთელ მსოფლიოში
- ადამიანების საერთაშორისო მობილურობა (დასვენებისთვის, სამუშაოსთვის) და იდეების გავრცელება.
- ადამიანის საქმიანობის გავლენა გლობალურ ეკოლოგიურ სისტემასა და გარემოზე
- საზოგადოების მხრიდან გლობალური მოვლენებისა და რისკების შეგნება
- სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების გაჩენა
- პოლიტიკური მოქმედება საზღვრებს მიღმა

დასკვნა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გლობალიზაცია შეუქცევადი პროცესია და სამყაროს განვითარებასთან ერთად მას ვერ უკუვაგდებთ, თუმცა მისი შეფასება დადებითად ან უარყოფითად არ იქნება გონივრული. გლობალიზაციის პირობებში ჩვენი ამოცანაა ვიყოთ უნივერსალურები და კონკურენტულები. ამასთან, არ ვუგულებელვყოთ კულტურული იდენტობა და თავისებურება, გავითავისოთ მაქსიმალურად გლობალიზაციის ღირებული მახასიათებლები, რომელიც ცალსახად სახელმწიფოს მდგრადი განვითარების მყარი საფუძველია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/2022/ratings_2022_geo_6_06_22.pdf
2. https://www.techtarget.com/searchcio/definition/globalization
3. აბრალავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, თბილისი 2005;
4. http://geoeconomics.ge/
5. https://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/2158244017692381
6. https://www.files.ethz.ch/isn/102835/18.pdf
7. http://www.conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&adgi=588&title
8. Globalization and Social Policy Nicola Yeates 2007

Impact of globalization on social policy

Nino Gvetadze
Georgian Technical University,
Doctoral student of the Faculty of Business Technologies.

Abstract

Since the 1990s, the word globalization has established itself in the colloquial dictionary and has gradually become dominant in political, economic and academic discourses. Globalization has taken the world to a new level and in the modern era it has acquired an increasingly large-scale character. The transition from industrial societies to post-industrial tracks gave a push for world development and accelerated the process of globalization and gave a new orientation to the world economy.

The presented work describes a number of issues related to the positive and negative meaning of globalization and its effects on economic and social policy. There are reviewed the importance of international organizations in the development of social policy and, in general, actual issues and approaches of global social policy.

Globalization has been blamed for such processes as unequal distribution of income among countries, reducing the role of the state in regulating the economy, pressure on states to pursue to adopt market-friendly policies that prompte trade investment, as a result, social tension is increasing, the role of the state in the social sphere is weakening, the influence of Western values is strengthening, and national traditions are being neglected. The economic and financial crisis of one powerful country has a negative impact on other countries of the world.

Despite the negative aspects, the benefit of globalization to the social welfare of mankind is great. Globalization is considered to be the basis of many successes for states, reducing poverty, increasing economic prosperity, developing better services and increasing awareness of human rights. Even those who are skeptical of the benefits brought by globalization must be convinced that there is no alternative, so avoiding it means isolating the country. In fact, the world is gaining new standards.

შიდა აუდიტის ხელმძღვანელი, როგორც ლიდერი: ტრანსფორმაცია დროში და თანამდეროვე გამოწვევები

გრიგალაშვილი ლევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ხოფერია ლაშა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი,

აბსტრაქტი

უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში თანდათანობით იზრდება დაინტერესება შიდა აუდიტის საქმიანობის მიმართ. აღნიშნული დაინტერესება გამოვლინდა მრავალი მიმართულებით და ამავდროულად ბევრი გარემოება მიუთითებს შიდა აუდიტის როლის პერმანენტულ ზრდაზე, როგორც ბიზნესის წარმატებით გაძღოლის, ასევე საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის ამაღლების თვალსაზრისით. ამ გარემოებებიდან აღსანიშნავია რამდენიმე მათგანი, რომლებიც თავიანთი შინაარსითა და დანიშნულებით, შიდა აუდიტის შემდგომი განვითარების ვექტორის განმსაზღვრელი და შემადგენელი ნაწილები არიან, კერძოდ: კვალიფიციური შიდა აუდიტორების ნაკლებობა საკადრო ბაზარზე, შიდა აუდიტორების შენარჩუნებისა და ანაზღაურების სისტემის გაუმჯობესება, სათანადო მხარდაჭერა კომპანიებისა თუ ორგანიზაციების მესვეურების მხრიდან შიდა აუდიტის სტრუქ-ტურული ერთეულის ინსტიტუციონალური გაძლიერების უზრუნველსაყოფად, შიდა აუდიტორების კვალიფიკაციის ამაღლებისა და საჭირო უნარების განვითარების ხელშეწყობა საერთაშორისო სერთიფიცირების ჩათვლით, საინფორმაციო ტექნოლოგიების მაქსიმალური გამოყენება შიდა აუდიტორულ საქმიანობაში და სხვ.

საკვანძო სიტყვები: შიდა აუდიტი, შიდა აუდიტის ხელმძღვანელი, შიდა აუდიტის საერთა-შორისო სტანდარტები, ლიდერი, პირადი უნარები, ტექნიკური უნარები, კომუნიკაცია.

დღვანდელობა ახალ გამოწვევებს უყენებს შიდა აუდიტორებს. ორგანიზაციის ხელმძღვანელებსა და კომპანიის მესაკუთრეებს აღარ აკმაყოფილებთ შიდა აუდიტორი, როგორც ვიწრო მიმართულების ტექნიკური პერსონალის წარმომადგენელი. შესაბამისად, ვისი დანახვა უნდათ შიდა აუდიტის ხელმძღვანელად? პასუხია: ლიდერის, რომელიც მართავს შესრულების მაღალი პოტენციალის მქონე გუნდს და რომელიც თანმიმდევრულად ქმნის დამატებით ღირებულებას დაინტერესებული მხარე-ების საჭიროებებისათვის, რისკების დაქვეითებისათვისა და განვითარებადი ბაზრის მოლოდი-ნებისათვის.

ახალი ხედვები და ახალი მიდგომები ახლებურად წარმოაჩენენ შიდა აუდიტის სამსახურსა და მის ხელმძღვანელს. აუცილებელია ხელმძღვანელმა იცოდეს, რა უნდათ დაინტერესებულ მხარეებს, რა მოლოდინი აქვთ მათ მის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურისგან, რას ელიან თითოეული შიდა აუდიტორისგან და რა დამატებითი ღირებულების მოტანას გეგმავენ მთლიანობაში სამსახურისგან. ამისათვის, შიდა აუდიტის ხელმძღვანელმა უნდა დაამყაროს პირდაპირი და საქმიანი ურთიერთობა დაინტერესებულ მხარეებთან და მუდამ უნდა იცოდეს, თუ რა გზავნილები აქვთ მათ და რას ელოდებიან ისინი, მის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურისგან.

შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელმა, როგორც მენეჯერმა, მიმდინარე მომენტისთვის უკვე გადალახა ის სირთულე და პრობლემები, რაც მომდინარეობდა საერთაშორისო სტანდარტთან შეუსაბამო საკადრო დანატოვარიდან. ქართული ორგანიზაციები და კომპანიები, თანდათანობით წარმატებით პასუხობენ ახალ გამოწვევებს საჭირო საკადრო უნარების აღიარებიდან გამომდინარე, შესაბამისად თანდათანობით ყალიბდება კვალიფიციური შიდა აუდიტორების კლასტერი. ფაქტიურად, დანგრეულია ის სტერეოტიპი, რომ შიდა აუდიტორი არის „შემმოწმებელი“, რომ შიდა აუდიტორს უნდა მოერიდონ, ის „საშიშია“ და თავი შეიკავონ მასთან კოლეგიალური ურთიერთობის დამყარებისგან. აგრეთვე, უკვე საქმიან საუბრებში ნაკლებად გამოყენებაშია ტერმინი „აქტი“ ან

„შემოწმების აქტი“. ნაცვლად ამისა, გამოიკვეთა და გამყარდა ტერმინი, რომელიც წარმოადგენს შიდა აუდიტის მიერ შექმნილ დოკუმეტს, და რომელსაც ეწოდება ის სახელი, რაც მის შინარსობრივ სულისკვეთებას მართებულად უსვამს ხაზს, კერძოდ ეს არის ტერმინი: „ანგარიში“. ანგარიში, როგორც საბოლოო პროდუქტი შიდა აუდიტორული პროცედურებისა, ნათლად წარმოადგენს ლოგიკურ დასასრულს იმ ფუნქციონალის განხორციელბისა, რაც განსაზღვრულია შიდა აუდიტის მანდატით, თანახმად საერთაშორისო სტანდარტებისა. რაც შეეხება ფუნქციონალსა და მანდატს, შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი, უფრო თამამად აპროტესტებს საკუთარი კადრების, ანუ შიდა აუდიტორების, ჩართვასა და მონაწილეობას სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში. ვინაიდან, დროის გარკვეული მონაკვეთის გავლის შემდეგ, მათ ან მათ კოლეგებს მოუწევთ კონკრეტულ საქმიანობებში მათი თანამონაწილეობის შესწავლა და შეფასება, რაც პირდაპირ წინააღმდეგობრივია ინტერესთა კონფლიქტის თვალსაზრისით. შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი პერმანენტულად ადგენს რისკზე ორიენტირებულ სამუშაო წლიურ გეგმას, ნაცვლად ციკლურობის პრინციპის დაცვისა და აღარ ითვალისწინებს თავის თანამშრომლებს სხვადასხვა საკადრო ხასიათისა და დანიშნულების ამოცანების შესასრულებლად, როგორიცაა კომპანიის თუ ორგანიზაციის პერსონალის კონტროლი სამსახურებვრივი დისციპლინის დაცვის კუთხით. სამსახურებრივი ინსპექტირების განხორციელება ცალსახად წარმოადგენს გადახვევას საერთაშორისო სტანდარტებიდან, გარდა ამისა, რატომ იყო განსაკუთრებით წინააღმდეგობრივი და პრობლემების წარმოშობის წყარო ნებისმიერი შიდა აუდიტის სამსახურისთვის? ისმის კითხვა, რატომ? პასუხი მარტივია, სამსახური და თანამშრომლები, რომლებიც იკვლევენ დისციპლინარულ გადაცდომებს და სასჯელის სახეობას ურჩევენ მენეჯმენტს, ვერ გახდებიან ღირებული კონსულტანტები სტრატეგიული მიზნების მიღწევისა და ტაქტიკური ამოცანების შესრულების პროცესში. ეს ყველაფერი კი უარყოფითად მოქმედებს შიდა აუდიტის ხელმღვანელის ავტორიტეტზე და აკარგვინებს მას ნდობას კოლეგებს შორის.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, შიდა აუდიტის ხელმძღვანელი უნდა იყოს გამოკვეთილი ლიდერი, რომელიც ამჟღავნებს საქმიან უნარებს, არის დარგის კარგი მცოდნე, არის აქტიური და ჩართული თანამშრომელი და ბოლოს არის ცვლილებათა აგენტი და ინიციატორი, რომელიც პატივს სცემს და ადეკვატურად პასუხობს შიდა სამსახურეობრივ კულტურას.

თანამედროვე შიდა აუდიტის ხელმძღვანელი ხასიათდება ძლიერი საქმიანი გამჭრიახობით, დარგის ცოდნის ჩათვლით. ამის დასამტკიცებლად, მან უნდა აჩვენოს თავისი კომპანიისა თუ ორგანიზაციის მესვეურებს, რომ ესმის ბიზნესის სტრატეგია, შეუძლია რისკების გააზრება და აქვს შეფასების ინტუიცია. ამისათვის, შიდა აუდიტის ხელმძღვანელმა იდენტიფიცირება უნდა გაუკეთოს თავისი ორგანიზაციის წარმატების საჭიროებებს, ასევე, დარგის საჭიროებებს, გარე გარემოს, არჩეულ სტრატეგიას, საქმიანობას და მათთან დაკავშირებულ რისკებს. ადეკვატური იქნება, შიდა აუდიტის ხელმძღვანელმა მოაგვაროს პრობლემები დაინტერესებული მხარეების შეხედულებიდან გამომდინარე, აუცილებელია ჰქონდეს მათთან კომუნიკაცია, იმ ენის გამოყენებით, რომელიც მათ ესმით.

თანამედროვე შიდა აუდიტის ხელმძღვანელს უნდა შეეძლოს საკუთარი შესაძლებლობების გულწრფელი თვითშეფასება, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა კომუნიკაციის უნარის გამოყენებით, განვითარების ნათელი გეგმის ჩამოყალიბება. აუცილებელია აღმასრულებელ მენეჯმენტთან და საბჭოს წევრებთან ერთად თვით შეფასების მიგნებებისა და განვითარების გეგმის განხილვა, მათგან თანხმობის მიღება. შიდა აუდიტის ხელმძღვანელი უნდა იყოს მენტორი, როგორც თავის სამსახურის აუდიტორებისათვის, ასევე, დანარჩენი პერსონალისთვისაც.

თანამედროვე გამოწვევები მოითხოვს შიდა აუდიტის ხელმძღვანელისგან მჭიდრო ურთიერ-თობის ჩამოყალიბებას დაინტერესებულ მხარეებთან. მას უნდა შეეძლოს სამსახურის წინაშე არსებული ამოცანებისა და პრობლემების შესახებ მათთან საუბარი, საქმიანი მსჯელობა და საერთო გადაწყვე-ტილების ფორმირება. საკუთარი პოზიციის გამოხატვისას, შიდა აუდიტის ხელმძღვანელი ყოველთვის და მყარი არგუმენტაციით, დასაბუთებულად უნდა დაეყრდნოს მხოლოდ საკუთარ პროფესიონალურ ვალდებულებებს.

და ბოლოს, შიდა აუდიტის ხელმძღვანელი უნდა იყოს ორგანიზაციული კულტურის

ცვლილებების ხელშემწყობი. ასევე, მან უნდა შეაფასოს, თუ რამდენად პასუხობს შიდა აუდიტის კულტურა იმ კულტურას, რაც სასურველია ორგანიზაციისათვის.

ყველა ეს გზავნილი მიემართება შიდა აუდიტის ხელმძღვანელს, ვინაიდან მოქმედი სტანდარტის მიხედვით (ხარისხობრივი მახასიათებელის სტანდარტი 1300. „ხარისხის უზრუნველ-ყოფისა და გაუმჯობესების პროგრამა“) შიდა აუდიტის ხელმძღვანელმა უნდა განავითაროს და შეინარჩუნოს ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამა, რომელმაც უნდა მოიცვას შიდა აუდიტორული აქტივობების ყველა ასპექტი.

შიდა აუდიტის სამსახურის წარმატებული საქმიანობის გზამკვლევი მისი ხელმძღვანელის ხელშია, მასზეა დამოკიდებული და მის უნარებსა და მონდომებაზე, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფმა შიდა აუდიტორებმა სრულყოფილად და სტანდარტების შესაბამისად ჩაატარონ აუდიტორული პროცედურები, შექმნან ღირებული და ორგანიზაციისთვის სასარგებლო აუდიტის ანგარიში, რომელშიც მითითებული რეკომენდაციები ხაზს გაუსვამს მათ პროფესიონალიზმს და ღირსეულად წარმოაჩენს მათ ავტორიტეტს.

განვითარების საფეხურებსა და ტემპებს განსაზღვრავს ის დიალოგი, რომელსაც აწარმოებს შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი დაინტერესებულ მხარეებთან მიმართებაში. შიდა აუდიტის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოსალოდნელია აუდიტირებული პირებისგან წარმოიქმნას და წამოვიდეს გარკვეული დოზირებით ნეგატივი. ამიტომ, აუცილებელია შიდა აუდიტის სამსახურის წიაღში, შიდა აუდიტორების მიერ ჩამოყალიბდეს განსაკუთრებული მიკროკლიმატი. მიკროკლიმატი, რომელიც დაფუძნებულია შიდა აუდიტორების ეთიკის კოდექსსა და ქცევის პრინციპებზე. უპირველეს ყოვლისა შიდა აუდიტის ხელმძღვანელი და შემდგომ თითოეული შიდა აუდიტორი, ვალდებულია გაუფრთხილდეს და პატივისცემით მოეპყრას აღნიშნული მიკროკლიმატის განმტკიცებასა და გაძლიერებას.

შიდა აუდიტის ხელმძღვანელი კარგად უნდა იცნობდეს საკუთარ თანამშრომლებს, უნდა აკონტროლებდეს მათი ყოველდღიური საქმიანობის შესაბამისობას სტანდარტების მოთხოვნებთან. ამ მხრივ აღსანიშნავია შემდეგი გარემოება, კერძოდ ის, რომ „ძალაუფლება რყვნის“. ყველას არ შეუძლია დაამარცხოს და გაუმკვლავდეს შიდა აუდიტში მუშაობით წარმოქმნილ გრძნობას საკუთარი უპირატესობისა და შეუმცდარობის შესახებ. ეს გრძნობა თავ იჩენს არამარტო ობიექტის მიმართ, არამედ კოლეგების მიმართაც. ამიტომ არის უაღრესად მნიშვნელოვანი, რომ შიდა აუდიტის საქმიანობის ორგანიზებისას, პროცესები უნდა შეესაბამებოდეს შიდა აუდიტორების ინსტიტუტის მიერ ჩამოყალიბებულ შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს, კერძოდ ამ ნაწილში, სენსიტიურია ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების ღონისძიებების დანერგვა ანუ შიდა აუდიტის საქმიანობის ხარისხის შეფასება, რაც მთლიანად წარმოადგენს ხელმძღვანელის პასუხისმგებლობასა და პრეროგატივას.

შიდა აუდიტის სამსახურის მთავარ პროფესიონალურ უნარს წარმოადგენს კრიტიკული აზროვ-ნებისა და საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომის ურთიერთკავშირის განხორციელება, ამ კავშირის უზრუნველყოფის შესაძლებლობა. ამ ურთიერთკავშირის ჰარმონიული თანარსებობის შედეგად იქმნება სწორედ, ის დამატებითი ღირებულება, რაც წარმოადგენს შიდა აუდიტის საქმიანობის საბოლოო პროდუქტს. რაც შეეხება, შიდა აუდიტის ხელმძღვანელის კომუნიკაციის უნარს, ამ უნარის სიმწიფის ხარისხზეა დამოკიდებული ისეთი საკითხების განხილვა და სრულყოფილად დასრულება, როგორიცაა სამსახურის სტრატეგიის შემუშავება და დამტკიცება, შიდა აუდიტორების ანაზღაურებისა და წახალისების სისტემის დანერგვა, შიდა აუდიტის სამსახურის დამოუკიდებელი ბიუჯეტის ფორ-მირება, თანამშრომლების პერმანენტული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა, სამსახურის წინაშე არსებული პრობლემების შესახებ მსჯელობა და ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღება და სხვა.

დასკვნა

უაღრესად მნიშვნელოვანია შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის პერსონალური უნარები და მონაცემები, რომელმაც უნდა მოიპოვოს როგორც საბჭოს (კომიტეტის) ნდობა, ასევე,

აღმასრულებელი მენეჯმენტის პატივისცემა. შიდა აუდიტის კონტროლი უნდა ხორციელდებოდეს სამსახურის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი პერიოდული ანგარიშების საფუძველზე. ამიტომ არის ძალზედ მნიშვნელოვანი, რომ შიდა აუდიტის სამსახურმა წარმოებული საქმიანობის, ანუ ჩატარებული აუდიტების მეშვეობით შექმნას და გაამყაროს ორგანიზაციაში საკუთარი სტრატეგიული სტატუსი. შიდა აუდიტის ხელმძღვანელმა უნდა აირჩიოს ის ოპტიმალური გზა, რომელიც საშვალებას მისცემს მას გავიდეს კონკრეტულ შედეგებზე, რისი მოლოდინიც აქვთ ორგანიზაციის დაინტერსებულ მხარეებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. International Professional Practices Framework (IPPF) --- 2017 edition, The Institute of Internal Auditors
2. Sawyer's Guide for Internal Auditors --- 2012 6th edition, Larry Sawyer
3. Internal Audit Capability Model (IA-CM) --- 2017 Internal Audit Foundation
4. Common Body of Knowledge CBOK --- 2015 The IIA Research Foundation
5. Your journey to success in the chief audit executive role – EY 2019

The Head of Internal Audit as a leader: transformation over time and contemporary challenges

Grigalashvili Levan
Georgian Technical University Professor

Khoperia Lasha
Doctoral Student of the Georgian Technical University
Deputy Director LLC "Solid Waste Management Company of Georgia"

Abstract

The present day poses new challenges for internal auditors. The heads of the organization and the owners of the company are no longer satisfied with the internal auditor as a representative of the narrow technical staff. Therefore, who do they want to see as the head of internal audit? The answer is: a leader who manages a team with high performance potential and who consistently creates additional value for stakeholder needs, risk mitigation and evolving market expectations.

The head of the internal audit service, as a manager, has for the current moment already overcome the difficulties and problems that arose from the human recourses inheritance that is not in line with the international standard. Georgian organizations and companies are gradually successfully responding to new challenges based on the recognition of the necessary personnel skills, therefore a cluster of qualified internal auditors is gradually being formed.

The modern head of internal audit is characterized by strong business acumen, including industry knowledge. To prove this, he must demonstrate to the managers of his company or organization that he understands the business strategy, can understand the risks and has an intuition for evaluation.

Modern challenges require the head of internal audit to develop close relationships with stakeholders. He should be able to talk with them about the tasks and problems facing the Internal Audit Unit, make business judgments and form a common decision. When expressing his position, the head of internal audit should always and with solid argumentation, justifiably rely only on his professional obligations.

Keywords: internal audit, head of internal audit, international standards of internal audit, leader, personal skills, technical skills, communication.

მცხეთის კულტურული მემკვიდრეობა და საერთაშორისო ტურიზმი

გიორგაშვილი ლამარა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

მცხეთას თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით და არსებული ისტორიული - კულტურული რესურსებით საერთაშორისო ტურიზმის განვითარების უზარმაზარი შესაძლებლობები გააჩნია. მცხეთა ანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) სამეფოს დედაქალაქია. ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია მატერიალურ გამოხატულებას პოულობს მრავალრიცხოვან ისტორიულ ძეგლებში, რომელიც მცხეთამ და მისმა შემოგარენმა შემოგვინახა, მათი უმრავლესობა დიდ ინტერესს იწვევს ტურისტული თვალსაზრისით. ამისთვის საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ის ხელსაყრელი შესაძლებლობები, რომელსაც საერთაშორისო ტურიზმის შემდგომი განვითარება გვთავაზობს.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების წინაპირობაა მცხეთაში უნიკალური ისტორიულ - კულტურული ფასეულობების არსებობა. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა - ძიების შედეგად აღმოჩენილია უაღრესად საყურადღებო ძეგლები. დადგინდა, რომ ანტიკური ქალაქი მცხეთა და მისი შემოგარენი დასახლებული იყო ჯერ კიდევ ადრინდელ და შუა ბრინჯაოს ხანებში (III-II ათასწლეული), გვიანდელ ბრინჯაოსა და ადრინდელ რკინის ხანებში (II-I ათასწლეული) კი აქ უკვე მჭიდრო დასახლებაა. ძვ. წ I ათასწლეულის შუახანებისათვის ძველი სამოსახლოები ერთ დიდ ქალაქად – „დიდ მცხეთად“ გაერთიანდა.

საერთაშორისო ტურიზმი, როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც დასაქმების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო გახდა. კულტურული ღირებულებების პოპულარიზაცია, საერთაშორისო ტურიზმის განვითარებასთან ერთად, კომერციულად მომგებიანი საქმიანობა ხდება. ტურიზმი საშუალებას იძლევა ფინანსურად მგრადი გახადოს ქვეყანა. ამიტომ მცხეთის შემოგარენში აღმოჩენილი უაღრესად საყურადღებო არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა და მიღებული შედეგების ახლებურად გაანალიზება მნიშვნელოვანია არამარტო ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ ზოგასაკაცობრიო კულტურის ისტორიის კვლევისთვის.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, მცხეთა, საერთაშორისო ტურიზმი, ქართლის მეფეთა რეზიდენცია.

ძირითადი ტექსტი

ქართლის (იბერიის) სამეფოს დედაქალაქმა მცხეთამ და მისმა შემოგარენმა ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიისთვის მეტად მნიშვნელოვანი ძეგლები შემოინახა. არქეოლოგიურ აღმოჩენათა შედეგად, ანტიკური ხანის ხუროთმოძღვრების ისტორიის თვალსაზრისით, საყურადღებო ძეგლებია გამოკვეთილი. იმ ნაგებობებს შორის, რომელიც მცხეთის რელიგიურ - პოლიტიკურ ცენტრში არმაზციხის შიდა ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, განსაკუთრებით გამოირჩევა ქვედა ტერასაზე გათხრილ შენობათა კომპლექსი. ამ კომპლექსის მთავარი ნაგებობა, ქართლის (იბერიის) მეფეთა რეზიდენცია, ე. წ. სვეტებიანი დარბაზის სახელით არის ცნობილი.

ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქართველი და უცხოელი მკვლევარები, არმაზში გამოვლენილი ძვ.წ. III - I საუკუნეებით დათარიღებული სამეფო სასახლის შესწავლის საფუძველზე, აღნიშნავენ - მონუმენტურობითა და არქიტექტურული სტილის მიხედვით, სამეფო სასახლე, სავარაუდოდ, ქართლის (იბერიის) მეფეთა რეზიდენცია უნდა ყოფილიყო. ამგვარი მოსაზრება აკად. ანდრ. აფაქიძესაც აქვს გამოთქმული: „შენობის მონუმენტურობა, სწორი გეგმა, აღმოჩენილი სვეტის თავი და სვეტის ძირი საგანგებოდ შერჩეული ქვის კარგად გათლილი ზღურბლი, სქელი და საკმაოდ კარგად შედუღაბებული კედლები, მაშინვე მიგვანიშნებდნენ, რომ საქმე გვქონდა წარჩინებულთა წრის სასახლის, ტაძრის ტიპის ნაგებობასთან, რომელთანაც უთუოდ მჭიდროდ უნდა ყოფილიყო თავის დროზე დაკავშირებული. ასეთ მოსაზრებას სხვა მომენტებიც აძლიერებდა... კედლების გაწმენდისას

ისიც გაირკვა, რომ სასახლის ეზო სათანადო ადგილებში წვრილი ფილაქნებით ყოფილა მოფენილი. ნაგებობის მნიშვნელობის დამახასიათებლად სახურავიც მიუთითებდა, კერძოდ კრამიტის ნატეხები, რადგან კრამიტით გადახურული, ძვირფასი ჩუქურთმებიანი დეტალებით შემკული, სქელკედლიანი და მონუმენტური ნაგებობა, მხოლოდ წარჩინებულთა წრის კუთვნილებად ან საზოგადოებრივ, თუ სახელმწიფო დანიშნულების ნაგებობად უნდა ყოფილიყო მიჩნეული იმთავითვე.“ (აფაქიძე 1963, 28, 18).

ქართლის (იბერიის) მეფეთა რეზიდენცია, ე. წ. სვეტებიანი დარბაზი, სამეფო სასახლის ცენტრალურ ადგილას იდგა. იგი არმაზის ციხის I ხანისაა. პირველი ხანის მშენებლობა ქართლოსს მიეწერება: ... „და ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთჳს არაგჳ მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი, და უწოდა მთასა მას სახელი თავისა თჳსისა ქართლი.“ ამ ხანას უნდა უკავშირდებოდეს ბაგინეთის ნაგებობათა ნაშთების უძველესი ფენა, რომელსაც, პირობითად, არმაზციხე პირველი ეწოდა. „ცნობები, ამ ხანის მშენებლობის შემდგომი საფეხურის შესახებაც, „ქართლის ცხოვრებამ“ შემოგვინახა. ახლა უკვე ქართლოსის მეუღლე განაგრძობს მშენებლობას - „და შემდგომ ამისა ცოლმან მისმან აღაშენა დედაციხე“ (ანდ. აფაქიძე1963, 24, 25).

ძვ.წ. III - I საუკუნეებით დათარიღებული სამეფო რეზიდენცია, ე.წ. სვეტებიანი დარბაზი, ქართლის მთის ტერასაზე მდებარეობს, რომლის ფართობი დაახლოებით 185 კვ. მ. აღწევს (24მX12მ.), მისი ღია გალერეა წინა საფასადო მხარესაა. სამეფო რეზიდენციის ნაგებობის ექსტერიერი მართკუთხა იყო. მის დასავლეთ კედელს მართი კუთხით უკავშირდებოდა ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები. ნაგებობის ინტერიერში, გეგმის მიხედვით, აბსიდები იკითხებოდა. შემორჩენილი ოთხივე კედელი კარგად გათლილი ქვიშაქვის ბლოკებისაგანაა აგებული. გარედან მხოლოდ სამი კედელი ჩანს - აღმოსავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი. დარბაზის კედლები, გარკვეულ დონემდე, ნაგებია კარგად დამუშავებული ქვიშაქვის კვადრებით, შემდეგ კი ალიზის აგურით იყო ამოყვანილი. დარბაზის აღმოსავლეთის კედელში იყო გაჭრილი შესასვლელი. შესასვლელი კარის ორივე მხარეს ანტისებრი შვერილია, რაც პოსტამენტის შთაბეჭდილებას ტოვებს. გამორიცხული არა არის, რომ მათზე ქანდაკებები მდგარიყო. დარბაზის შუაში, მთელ სიგრძეზე, ყოველი სამი მეტრის დაშორებით, აღმართული იყო ხის სვეტები, ქვის ბაზისებსა და კაპიტელებში მოქცეული (სულ 6 სვეტი). დარბაზში აღმოჩენილი სვეტის ბაზები და თავები ტოსკანურ ორდერს ჰგავს, რაც დორიული ორდერის რომაული ადაპტაცია იყო (ულრიჩი, ქვენემონი 2013, 207).

არმაზის გეგმარებაში აშკარაა ფერდობის დატერასება და შენობების სხვადასხვა ტერასაზე განლაგება. სვეტებიანი დარბაზიდან გარკვეული ხედიც იშლება, მაგრამ არ ჩანს შენობებისა და ტერასების დამაკავშირებელი გზები, რადგანაც ნამოსახლარი სრულად არ არის გათხრილი. დარბაზის შიდა სივრცე, ინტერიერი 189 კვ.მ. (21მX9მ). დარბაზის იატაკი ვარდისფერი ტუფოგენური ქვიშაქვის ფხვნილითაა მოტკეპნილი. ქვიშაქვის ექვსი ბაზა ჩამწკრივებული იყო ცენტრში, სამხრეთ-ჩრდილოეთ გრძივ ღერძზე, რომელიც ორ ნაწილად ყოფდა დარბაზის სივრცეს.

აღმოჩენილია სვეტებიან დარბაზში კედლის შელესილობის ფრაგმენტები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დარბაზი შიგნიდან შელესილი იყო. როგორც ჩანს, სხვადასხვა დეკორაციით უნდა ყოფილიყო მორთული შელესილი კედლები. აკად. ანდ. აფაქიძე აღნიშნავს: „დარბაზში რამდენიმე არტეფაქტი აღმოჩნდა ძვლის ფირფიტა შიშველი ქალის გამოსახულებით, ოქროს ფირფიტების ფრაგმენტები, ბრინჯაოს ბრტყელთავიანი ლურსმნები, ბრინჯაოს ბალთა და ბრინჯაოს ფარგალი“ (აფაქიძე 1963, 26-27). სვეტებიან დარბაზში აღმოჩენილ ძვლის პატარა ფირფიტაზე გამოკვეთილი შიშველი ქალის ფიგურა, ძალზე წააგავს კალეჰ იაზდიგირდის (ირანი) არქიტექტურული ანსამბლის ერთ-ერთი ოთახის ინტერიერში გამოვლენილ მოხატულობას. ამგვარი შელესილობისა და მოხატულობის გავრცელება პართიაში არშაკიდების დინასტიას უკავშირდება. კალეჰ იაზდიგირდის მოხატული შელესილობა კი გვიანი პართული ხანით, მეორე საუკუნით თარიღდება (ქილი 1977, 8-9). მე - 11 ა ოთახის წახნაგოვანი სვეტები ბათქაშის სქელი ფენით იყო შელესილი და მასზე ფერადი საღებავით შესრულებული შიშველი ქალის ფიგურა იყო გამოსახული - ე. წ. მოცეკვავე ქალი (ჰერმანი 1977, 71). ქალის თმის ვარცხნილობა

და პოზა თითქმის იდენტურია სვეტებიან დარბაზში აღმოჩენილ ფირფიტაზე აღბეჭდილი ქალის ფიგურისა. ქართველი მკვლევრები ამ არტეფაქტს ძვ.წ. მესამე - პირველი საუკუნეებით ათარიღებდნენ (აფაქიძე, 1963, 26-27; ნიკოლაიშვილი 2011, 22).

სასახლეები სოციალური აქტივობებისთვისაც იყო გამიზნული. წვეულება ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სასახლის კარზე, ამიტომ სასახლეებს სასადილო ოთახები ჰქონდა (ნილსენი 1994,168). მეფის ძლევამოსილებისა და სიმდიდრისა წარმოჩენაში მდგომარეობდა სასახლეების ძირითადი დანიშნულება. არქიტექტურის მთავარ ამოცანას მეფისთვის სამფლობელოს ადვილად დანახვა და ხელის მიწვდომა წარმოადგენდა. ამავე დროს, მეფე მისგან ზემყოფი და აღმატებული უნდა ყოფილიყო. აუცილებელი იყო კიბეებით ან პანდუსებით დაკავშირება ტერასებისა და პლატფორმების ერთმანეთთან და მეფის სასახლის მბრძანებლური, გამაკონტროლებელი პოზიციის ჩვენება. იმ ტერიტორიას გადაჰყურებდა მეფის სასახლის მონუმენტური ფასადი, რომელსაც ის განაგებდა. ყოველივე ეს ძლიერი საინჟინრო ტექნიკის ფლობას მოითხოვდა (ნილსენი 1994, 209- 211). ელინისტურ სასახლეებს, განსაკუთრებით, ანტიოქიის, პერგამონისა და ალექსანდრიისას, დიდი გავლენა ჰქონდა რესპუბლიკურ და, ზოგადად, ადრეულ რომაულ არქიტექტურაზე. ეს განსაკუთრებით საცხოვრებელ არქიტექტურაზე - კერძო სასახლეებსა და ვილებზე აისახა (ნილსენი 1994, 216). არმაზის მეფეთა რეზიდენცია ჰგავს თალ-ჰალაფის სასახლეს, რომლის მსგავსი ნაგებობა აღმოჩენილია კარმირ-ბლურზეც (სომხეთი). არქეოლოგიური აღმოჩენები, მცხეთასა და მის მიდამოებში, გვაძლევს საფუძველს ვარაუდისთვის, წინაელინისტურ ხანაში, ქართლის (იბერიის) სამეფოში, საქალაქო ცხოვრების არსებობის შესახებ.

დასკვნა

მცხეთის შემოგარენში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების და ქართლის სამეფოს სოციალურ - პოლიტიკური ვითარების მეცნიერულმა კვლევამ აჩვენა, ქართლის იბერიის სამეფო ძველ აღმოსავლური და ანტიკური ეპოქების მსოფლიო ცივილიზაციათა შექმნა-განვითარების პროცესში, საერთაშორისო პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად იყო ჩართული. ამით აიხსნება უცხოელ სპეციალისტთა ის დიდი ინტერესი, რომელიც მცხეთაში აღმოჩენილმა არქეოლოგიურმა ძეგლებმა გამოიწვია.

ამდენად, მცხეთის კულტურული მემკვიდრეობა უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. ქართლის იბერიის სამეფოს დედაქალაქში და მის შემოგარენში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების კვლევის შედეგებს და მის პოპულარიზაციას მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ისტორიისთვის, არამედ საერთოდ ანტიკური კულტურის შესწავლისათვის. საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი არსებობს. მცხეთის მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიისა და კულტურის უნიკალური ძეგლები ქმნიან წინა პირობას საქართველო გახდეს ტურისტული ქვეყანა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაშვილი თ., ბორის კუფტინი და საქართველოს არქეოლოგია, თბ., 2009;
2. აბესაძე ც., ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 2011;
3. აფაქიძე ა., მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. II, თბ., 1978;
4. აფაქიძე ა., ქართული საბჭოთა არქეოლოგიის განვითარების ნახევარსაუკონოვანი გზა, თბ., 1972;
5. აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1974.

Mtskheti cultural heritage and international tourism

Giorgashvili Lamara
Doctoral candidate Georgian Technical University

Abstract

Mtskheta, with its geopolitical situation and existing historical and cultural resources, has enormous opportunities for the development of international tourism. Mtskheta is the capital of the ancient Kartli (Iberia) kingdom. The centuries-old history of the Georgian people finds a material expression in numerous historical monuments that Mtskheta and its surroundings have revealed to us, most of them are of great interest from a tourist point of view. For this, we need to make the most of the favorable opportunities offered by the further development of international tourism.

The existence of unique historical and cultural values in Mtskheta is a prerequisite for the development of international tourism. Conducted archaeological research - as a result of the search, extremely noteworthy monuments were discovered. It was established that the ancient city of Mtskheta and its surroundings were inhabited even in the Early and Middle Bronze Ages (III-II millennium), and in the Late Bronze and Early Iron Ages (II-I millennium) there is already a dense settlement here. BC By the middle of the 1st millennium AD, the old settlements were united into one big city - "Great Mtskheta".

International tourism, like all over the world, has become one of the most important areas of employment in Georgia. Promotion of cultural values, along with the development of international tourism, is becoming a commercially profitable activity. Tourism allows to make the country financially stable. Therefore, the study of the highly noteworthy archaeological monuments found in the surroundings of Mtskheti and the analysis of the obtained results in a new way is important not only from the economic point of view, but also for the study of the history of the general human culture.

Key words: Georgia, Mtskheta, international tourism, residence of kings of Kartli.

დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის აქტუალური საკითხები საბიუჯეტო ორგანიზაციებში

გრიგალაშვილი ლევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

მარგიანი ჯილდა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი

გრიგალაშვილი ბიძინა
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

აბსტრაქტი

საქართველოში საბუღალტრო აღრიცხვის და ანგარიშგების ახალი სისტემის ჩამოყალიბება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ განაპირობა, რომელმაც კერძო და სახელმწიფო სექტორებში სააღრიცხვო სისტემის რეფორმირების აუცილებლობა გამოიწვია. პირველ რიგში დღის წესრიგში დადგა ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ანგარიშთა გეგმის შემუშავების საკითხი. იგი რეფორმირების მთელი პერიოდის მანძილზე მუდმივ ცვლილებებს განიცდიდა.

წარმოდგენილ ნაშრომში შემოთავაზებულია ზოგადად ანგარიშთა გეგმის სრულყოფის საკითხები. გარდა ამისა გამოკვეთილია ახალი ანგარიშთა გეგმის მიხედვით დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის საკითხები. საუბარია იმაზე, რომ ანგარიშთა გეგმის მიხედვით უფრო ანალიტიკური გახდა დავალიანებების მართვა, თუმცა ამან გარკვეულწილად გაართულა აღრიცხვა.

სტატიაში ავტორები გვთავაზობენ ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი საჯარო სუბიექტების მიერ არასაბიუჯეტო სახსრებით საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილი დებიტორული დავალიანებების და შესაბამისად მიღებული შემოსავლების აღრიცხვის მეთოდოლოგიას და სხვა პრობლემური საკითხებიის გადაჭრის გზებს. ახალი ანგარიშთა გეგმა ორგანიზაციებს აძლევს იმის საშუალებას, რომ დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები მაქსიმალური სიზუსტით ასახონ ბუღალტრულ ბალანსებსა და ფინანსური ანგარიშგების სხვა ფორმებში.

საკვანძო სიტყვები: ანგარიშთა გეგმა, დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები, დარიცხვის მეთოდი, აღრიცხვა, ანგარიშგება.

ძირითადი ტექსტი

საჯარო სამართლის სუბიექტებში მანამდე მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვა- ანგარიშგების სისტემა ეფუძნებოდა საზოგადოებრივ ინტერესებს და სახელმწიფო მოთხოვნებს. ფინანსური და ბუღალტრული ანგარიშგების შედგენისას არ გამოიყენებოდა საერთაშორისო პრაქტიკა, რომელიც უარყოფითად მოქმედებდა ორგანიზაციათა ფინანსურ მაჩვენებლებზე. მოქმედი კანონმდებლობა არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ბუღალტრებს შეემუშავებინათ საკუთარი სააღრიცხვო პოლიტიკა. სანამ თანამედროვე სტანდარტები დაინერგებოდა, მოქმედი ანგარიშთა გეგმის მიხედვით ვერ ხერხდებოდა ასახულიყო მრავალი სამეურნეო ოპერაციის არსი, რომელიც შესაბამისობაში იყო საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ საჯარო სექტორშიც განაპირობა სხვადასხვა სახის ოპერაციებისა და შესაბამისი რისკების წარმოქმნა, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციასთან, ინფლაციური პროცესებთან, ფასების ცვალებადობასთან და სხვ. გაჩნდა ახალი ტიპის ოპერაციები, როგორიცაა მაგალითად, ინვესტიციები სხვა საწაროთა ფასიან ქაღალდებში, უცხოური ვალუტით ანგარიშსწორება, აქციების გამოშვება, უძრავი ქონებისა და მიწის ბაზრის ოპერაციები, უცხოელი ინვესტორების მოზიდვა და სხვა, რომელმაც განაპირობა ერთიანი საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის აუცილებლობა.

ორგანიზაციების წარმატებულად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მოწესრიგებული აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემა, რომელიც ერთ-ერთ ძირითად ბერკეტს წარმოადგენს მართვის პროცესში. მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ საჯარო სამართლის სუბიექტებმა ფინანსური სახსრები უნდა გამოიყენონ რაციონალურად და მიზნობრივად.

რეფორმირების პროცესში პირველ რიგში საჭირო გახდა ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ანგარიშთა გეგმის შემუშავება. 2008 წლამდე მოქმედი საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმაში ანგარიშები სამნიშნა კოდებით იყო წარმოდგენილი. ცვლილების შემდეგ ოთხნიშნა კოდები იქნა შემოღებული, ხოლო ანგარიშთა რაოდენობამ 144 შეადგინა. გაჩნდა ისეთი სააღრიცხვო ობიექტები, როგორიცაა „ფინანსური აქტივები“, „არაფინანსური აქტივები“, „ფასეულობები“, „არაწარ-მოებული აქტივები“, „ფინანსური ვალდებულებები“, „კაპიტალი“, „წმინდა ღირებულება“ და სხვ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა ორგანიზაციებმა, საჯარო სამართლის იურიდი-ულმა პირებმა და არაკომერციულმა იურიდიულმა პირებმა ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების წარმოება დაიწყეს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საკასო და დარიცხვის მეთოდების ალტერნატიული მოდელის - მოდიფიცირებული საკასო მეთოდის საფუძველზე. მოდიფიცირებული საკასო მეთოდი განსაზღვრავდა ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვას და ანგარიშგებაში ასახვას როგორც დარიცხვის, ასევე საკასო მეთოდის გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების პირველივე წლებში გამოიკვეთა შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის საერთაშორისო ნორმებთან მისადაგების მცდელობა, რომელიც განმტკიცებული იქნა კიდეც კანონმდებლობაში. დადგენილი იქნა საგადასა-ხადო აღრიცხვის წესები, რომელიც გულისხმობდა ე.წ. „დარიცხვის მეთოდის“ გამოყენებას. ეს პრინციპი ნიშნავს მისაღები შემოსავლების აღიარებას უკვე მიღებულად და გაუწეველი ხარჯების აღიარებას უკვე გაწეულად, თანხების ფაქტობრივი მიღებისა თუ გადახდის გარეშე. ამ მეთოდის გამოყენება საჯარო სამართლის სუბიექტებში, კერძოდ სსიპ-ებისათვის სავალდებულო გახდა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ნაწილში, რამაც თავისებური ბუღალტრული გატარებები მოითხოვა.

2020 წლიდან სამოქმედოდ იქნა შემოღებული საერთაშორისო სტანდარტების ბაზაზე შემუშავებული ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა და მისი გამოყენების ინსტრუქცია, რომელიც წარმოადგენს ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საწარმოებლად. ფინანსური ანგარიშგების მომზადების ისეთი პრინციპები, როგორიცაა სამართლიანი წარდგენა, IPSAS-ებთან შესაბამისობა, ფუნქციონირებადი ერთეული და სხვა, საბიუ-ჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესებშია მოცემული.

ანგარიშთა გეგმა ვრცელდება როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ საბიუჯეტო ორგანიზაციებზე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და არაკომერციულ ორგანიზაციებზე. იგი ეყრდნობა ფინანსთა სამინისტროს მიერ აღიარებულ 24 საერთაშორისო სტანდარტს. ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ანგარიშთა გეგმისათვის დამახასიათებელია შვიდნიშნა კოდები და მოიცავს 700-ზე მეტ ანგარიშს. იგი უაღრესად დაწვრილმანებულია, რაც ართულებს მის აღქმას და პრაქტიკაში გამოყენებას. სხვა ქვეყნებში მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმების გაცნობით ირკვევა, რომ უკრაინაში, ყაზახეთში, რუსეთში, ტაჯიკეთში - ის შედგება ოთხნიშნა კოდებისაგან, ხოლო ბელორუსიაში სამნიშნა კოდებისაგან. გარდა ამისა ყველა ამ ქვეყანაში მოქმედ ანგარიშთა გეგმას ახლავს შესაბამისი ბუღალტრული გატარებები, რომელიც მის მომხმარებლებს კარნახობს მომხდარი სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრულ ანგარიშებზე ასახვის წესს[1]. აღნიშნული მოთხოვნა დაცული

[1] Рриказ Минфина Украини от 31.12.2013г. №1203 https://www.budgetnyk.com.ua/article/ru/150-plan-schetov-buhgalterskogo-ucheta-byudjetnyh-uchrejdeniy-2021; Распоряжение Премьер-Министра Республики Казахстан от 29.12.2008 г. № 292-р;Рриказ Минфина Российской Федерации от 16.12.2010 г N 174н.;
Рриказ Минфина Республики Беларус от 10.12.1999 г. N354.

იყო საქართველოში 2020 წლამდე მოქმედ ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმებში, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორებისათვის. დღეისათვის არსებული სიტუაცია მოქმედი ანგარიშთა გეგმის სერიოზულ ნაკლოვანებას წარმოადგენს და იწვევს მომხმარებელთა უკმაყოფილებას, რომელიც მარეგულირებელი ორგანოს მიერ სასწრაფო რეაგირებასა და გამოსწორებას საჭიროებს.

მოქმედი ანგარიშთა გეგმა[1] გვაძლევს ინფორმაციას თუ რა აღირიცხება ამა თუ იმ ანგარიშზე, მაგრამ არ მიგვანიშნებს აღრიცხვის მეთოდოლოგიაზე, არ გვაძლევს ინფორმაციას, თუ რა იწერება ამ ანგარიშის დებეტში და კრედიტში. მაგალითად, ეროვნულ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტები და სესხები განმარტებულია შემდეგნაირად: 1-12-1110 ანგარიშზე „საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტები და სესხები“ აღირიცხება საბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტები და სესხები ეროვნულ ვალუტაში. აღნიშნული ხარვეზი დამახასიათებელია მთელი ანგარიშთა გეგმისათვის. ზოგიერთ ანგარიშს არ ახლავს სრულყოფილი დახასიათება, მაგალითად, 2-13-4200 ანგარიში განმარტებულია შემდეგნაირად -„საქონლისა და მომსახურების მოწოდების შედეგად წარმოქმნილი მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ“ აღირიცხება საქონლის და მომსახურების მოწოდების შედეგად წარმოქმნილი მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ.

მომდევნო წელს, როცა წინა წლების განმავლობაში წარმოქმნილი დავალიანებების ნაწილი „საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ“ კატეგორიაში გადავა, საჭირო გახდება „საბიუჯეტო წლის ფარგლებში წარმოქმნილი დავალიანების“ ანგარიშიდან თანხები გადატანილი იქნეს „საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ წარმოქმნილ დავალიანებებში“, რომელიც უნდა აისახოს 2-13-4100 ანგარიშის „საქონლისა და მომსახურების მოწოდების შედეგად წარმოქმნილი მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები საბიუჯეტო წლის ფარგლებში“ დებეტში და 2-13-4200 ანგარიშის „საქონლისა და მომსახურების მოწოდების შედეგად წარმოქმნილი მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ“ კრედიტში. ყოველივე ზემოაღნიშნული ანგარიშთა გეგმაში უნდა იყოს მოცემული. ასეთი ზედაპირული ინფორმაცია დამახასიათებელია მთელი ანგარიშთა გეგმისა და შესაბამისად ყველა ანგარიშისათვის, რომელიც გარკვეულ კითხვებს ბადებს მის მომხმარებლებში. გარდა ამისა დასახვეწია ცალკეული ანგარიშების დასახელებები როგორც აზრობრივად, ასევე სტილისტურად. საჭიროა აგრეთვე ერთნაირი ტერმინოლოგიის გამოყენება, რაც ყოველთვის დაცული არ არის, კერძოდ, ზოგჯერ გამოყენებულია ტერმინი „დებიტორული დავალიანებები“, ზოგჯერ - „მოთხოვნები“. უპრიანია აღინიშნოს, რომ ტერმინები „მოთხოვნები“ და „ვალდებულებები“ პირველად ჩვენს სააღრიცხვო პრაქტიკაში გაჩნდა და დამკვიდრდა 1995 წლიდან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ. იგი დღესაც გამოიყენება კერძო სექტორის საბუღალტრო კანონმდებლობაში და პრაქტიკაში. 2020 წლიდან საჯარო სექტორში ისევ ძველ პრაქტიკაზე დაბრუნება, ვფიქრობთ გამართლებული არ არის.

დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვა უშუალოდ უკავშირდება დარიცხვის მეთოდის გამოყენებას. დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორების აღრიცხვის ანგარიშები წარმოადგენენ ნებისმიერი ორგანიზაციის ანგარიშების განუყოფელ ნაწილს, ვინაიდან მათ გარეშე ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ორგანიზაციის ფუნქციონირება პრაქტიკულად შეუძ-ლებელია. ეს დავალიანებები ორგანიზაციას წარმოექმნება საქონლისა და მომსახურების მიწოდების დროს, ასევე თანამშრომლების წინაშე. თანამშრომლებისთვის ხელფასებისა და დასაკავებელი გადასახადების დარიცხვა მუდმივი და ქრონოლოგიური პროცესია. სტანდარტების მიხედვით

распоряжение Министра финансов Республики Таджикистан от 26.01.2005 г. No173. https://docplayer.com/30742182-Edinyy-plan-schetov-buhgalterskogo-ucheta-v-byudzhetnyh-uchrezhdeniyah-organizaciyah-i-kaznacheystve-i-instrukciya-po-ego-primeneniyu.html

[1] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 15.01.2020წ N17 ბრძანება, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“. https://matsne.gov.ge/ ka/document/view/4761772?publication=0).

ბუღალტრულ აღრიცხვაში გამოიყენება დებიტორული დავალიანების აღიარების კრიტერიუმები, რომელიც აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს ეკონომიკური სარგებლის მიღების მაღალ ალბათობას და საიმედოდ შეფასებას.

დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ასახვა შესაბამის ანგარიშებზე ხორციელდება, რომლის უმთავრესი არსი მდგომარეობს ჯერ ერთი, შემოსავლებისა და ხარჯების სიზუსტით ასახვაში და მეორეც ეს მაჩვენებლები იძლევა უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას ორგანიზაციის მიერ მისაღები საქონლისა თუ მომსახურების მოცულობაზე, აგრეთვე უახლოეს პერიოდში გადასახდელ თანხებზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე

დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების მართვა მოკლევადიანი ფინანსური პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

დებიტორული დავალიანებების აღსარიცხავად განკუთვნილია 1-13-0000 ჯგუფის ანგარიშები, რომელიც მოიცავს: სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებულ მოკლევადიან დებიტორულ დავალიანებებს (1-13-1000), მოკლევადიან საგადასახადო დებიტორულ დავალიანებებს (1-13-2000), მოკლევადიან დებიტორულ დავალიანებებს საპენსიო სქემაში შენატანებით (1-13-3000), მოკლევადიან დებიტორულ დავალიანებებს დარიცხული პროცენტებით (1-13-4000); მოკლევადიან მისაღებ დივიდენდებს (1-13-5000), საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მოკლევადიან დებიტორულ დავალიანებებს (1-13-6000), მოკლევადიან მოთხოვნებს თანამშრომლებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ (1-13-7000), მოკლევადიან მოთხოვნებს არაფინანსური აქტივების გასვლით (1-13-8000) და სხვა მოკლევადიან მოთხოვნებს (1-13-9000).

სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები თავის მხრივ მოიცავს ხაზინის მოკლევადიან დებიტორულ დავალიანებებს და საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიან დებიტორულ დავალიანებებს ხაზინის მიმართ. ხაზინის მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები (1-13-1100) მოიცავს: დებიტორულ დავალიანებებს საგადასახადო შემოსავლებიდან (1-13-1110), არასაგადასახადო შემოსავლებიდან (1-13-1120) და შემოსულობებიდან (1-13-1130). მთლიანობაში, დებიტორული დავალიანებების აღსარიცხავად გამოსაყენებელი ანგარიშთა რაოდენობა 60-ზე მეტია, ამდენივე ანგარიშია გათვალისწინებული კრედიტორული დავალიანებების აღსარიცხავად. მართალია, რომ ანგარიშთა გეგმა უნდა გვაძლევდეს სრულყოფილ ინფორმაციას მომხდარი სამეურნეო ოპერაციების შესახებ, მაგრამ რაღაც გარკვეულ დონეზე, რათა ამან ხელი არ შეუშალოს მის პრაქტიკულ გამოყენებას.

ანგარიშთა გეგმა ითვალისწინებს თითოეული გადასახადის, არასაგადასახადო შემოსავლისა თუ შემოსულობის დებიტორულ დავალიანებად აღრიცხვას, მაგრამ, რომელ ანგარიშებთან კორესპონდენციაშია ეს ანგარიშთა გეგმაში მოცემული არ არის. გარდა ამისა აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ეს ოპერაციები და ბუღალტრული გატარებები უნდა წარმოებდეს ხაზინაში შესაბამისი ბუღალტრული დოკუმენტების საფუძველზე. ნაკლებ სავარაუდოა, რომ ეს ოპერაციები ღევანდელ პირობებში ხაზინაში პრაქტიკულად ხორციელდებოდეს. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ანგარიშთა გეგმის ეს ნაწილი მეთოდოლოგიურად დასამუშავებელია.

მოქმედ ანგარიშთა გეგმაში მოცემული არ არის ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი საჯარო სუბიექტების მიერ არასაბიუჯეტო სახსრებით საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილი დებიტორული დავალიანებების და შესაბამისად მიღებული შემოსავლების აღრიცხვის საკითხები. ამ შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი მეთოდოლოგიური მიდგომა:

1) საქონლისა და მომსახურების მიწოდება მყიდველებზე:

დებეტი -„საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები“

კრედიტი -„საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები“

2) მყიდველის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა:

დებეტი -„საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ“

კრედიტი -„საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები“

ცნობილია, რომ საჯარო სექტორში საბუღალტრო აღრიცხვის რეფორმის ძირითადი მიზანი იყო დარიცხვის მეთოდზე გადასვლა სამეურნეო პროცესებისა და მოვლენების აღრიცხვაში. მართლაც, პირველი გატარებიდან ჩანს, რომ მიწოდებული საქონლის ასახვისათვის გამოყენებული იქნა დარიცხვის მეთოდი, ანუ დაფიქსირდა მოთხოვნის, იგივე დებიტორული დავალიანების წარმოქმნა და იმავდროულად შემოსავლის აღიარება. რაც შეეხება მეორე გატარებას, მყიდველის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დროს საბიუჯეტო ორგანიზაციას ერთის მხრივ წარმოექმნება „დებიტორული დავალიანება“ ანუ მოთხოვნა ხაზინის მიმართ (აქ მთლიანად დაცულია დარიცხვის მეთოდის გამოყენების მოთხოვნა) და მეორე მხრივ იმავდროულად მცირდება მოთხოვნები საქონლისა და მომსახურების მყიდველების მიმართ, თუმცა უფრო რეალური იქნებოდა მყიდველის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა აისახოს „ხაზინის ერთიანი ანგარიში ეროვნულ ბანკში“ დებეტში და „საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები“ კრედიტში. აღნიშნული ბუღალტრული გატარება უფრო ზუსტად ასახავს იმას, თუ რა თანხები ერიცხება საჯარო სამართლის სუბიექტს ხაზინაში.

ვალდებულებების წარმოშობა ხდება მომსახურების მიწოდებისას, საქონლის მიწოდებისას, რომელიც წარმოადგენს მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებას და მისი აღრიცხვა წარმოებს 2-13-4100 ანგარიშზე (გაცვლითი ოპერაციების ნაწილში) ან 2-13-9900 ანგარიშზე (არაგაცვლითი ოპერაციების ნაწილში) რომლის დროსაც დებეტდება აქტივების და ხარჯების შესაბამისი ანგარიშები და კრედიტდება 2-13-4100 ან 2-13-9900 ანგარიში.

დასკვნა

დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის მეთოდების განხილვისას მივედით იმ დასკვნამდე, რომ გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე, პირველ რიგში საჭირო იყო შემუშავებულიყო ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ანგარიშთა გეგმა, რომელიც მორგებული იქნებოდა საბაზრო ეკონომიკის პირობებთან. მიუხედავად განხორციელებული რეფორმებისა საჯარო სექტორის ბუღალტრულ აღრიცხვაში ჯერ კიდევ მრავალი მეთოდოლოგიური საკითხია მოსაგვარებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Grigalashvili Levan, Grigalashvili Bidzina - Problems of Reforming Accounting and Financial Reporting in post-Soviet Countries (On the example of Georgia). ECOFORUM, Volume 10, Issue 3(26), 2021.
2. Grigalashvili Levan, Grigalashvili Bidzina - Accountings and financial reportings reform in the Georgian public sector. interConf. Scientific trends and trends in the context of globalization. 7-8 june 2021. Umea, Sveden
3. გრიგალაშვილი ლევან - საჯარო სექტორის აღრიცხვა-ანგარიშგების პრობლემები. ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009წ. გვ128 -131;
4. გრიგალაშვილი ლევან, საბუღალტრო აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2017 წ. 263 გვ.
5. გრიგალაშვილი ბ. - საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიური სრულყოფის საკითხები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“. 2021, N2, გვ.75-79
6. Григалашвили Л., Григалашвили Б. Ретроспективний анализ системы бухгалтерского учета и аудита Грузии, VII Международная научно-практическая конференция «Учет и контроль в управлении предпринимательской деятельностью» 25 октября 2019 года, Украина г.

Кропивницкий.
7. გრიგალაშვილი ლ. საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სისტემური ანალიზი, თბილისი 2015 წ. გვ.119
8. სახოკია გ. ანანიძე ჯ. გიორგიძე ბ. ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, თბილისი 2018, გვ.826
9. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 28.12.2007წ. N1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“

Current accounting of receivables and payables Issues in budgetary organizations

Grigalashvili Levan
Professor, Georgian Technical University

Margiani Jilda
Master's student Georgian Technical University

Grigalashvili Bidzina
Doctor of Business Administration

Abstract

The establishment of a new system of accounting and reporting in Georgia was caused by the transition to a market economy, which led to the necessity of reforming the accounting system.

First of all, the issue of developing a new chart of accounts for accounting was on the agenda. It underwent constant changes throughout the reformation period.

In the presented work, the issues of general plan of accounts improvement are proposed.In addition, the problems of accounting of receivables and payables according to the new chart of accounts are highlighted. It is said that the management of debts has become more analytical according to the chart of accounts, although this has somewhat complicated the accounting.

In the article, the authors propose the methodology of accounting of receivables and received income by public law entities performing economic activity and ways of solving other problematic issues. The new chart of accounts allows organizations to accurately reflect accounts receivable and payable on balance sheets and other forms of financial reporting.

Key words: chart of accounts, receivables and payables, accrual method, accounting, reporting.

კომერციული ბანკის აქტიური ოპერაციების კლასიფიკაცია, ხარისხი და შეფასება

დავითაძე დავით
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი

ცაავა გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში აღწერილია თემის აქტუალურობა, დასახულია მიზანი და ამოცანები, მითითებულია თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, დაზუსტებულია კომერციული ბანკის აქტივებისა და აქტიური ოპერაციების ცნება, მითითებულია კომერციული ბანკის მიერ მოგების მიღებისა და ლიკვიდობის შენარჩუნების მიზნით, საკუთარი და მოზიდული სახსრების განთავსების აუცილებლობა, ჩამოყალიბებულია კომერციული ბანკის აქტიური ოპერაციების კლასიფიკაცია, დაზუსტებულია კომერციული ბანკების აქტივების სტრუქტურა. ბანკის აქტივები - არის კომერციული ბანკის მიერ მოგების მიღებისა და ლიკვიდობის შენარჩუნების მიზნით განთავსებული საკუთარი და მოზიდული სახსრები. მეორე მხრივ, ბანკის აქტივი - ესაა ბუღალტრული ბალანსის ნაწილი, რომელშიც აღირიცხება ფულად ფორმაში შეფასებული აქტიური ოპერაციებისაგან შექმნილი სხვადასხვა აქტივი. კომერციული ბანკის აქტივების სტრუქტურის შესწავლისას ნათლად ჩანს მისი მენეჯმენტის უნარი, მიიღოს მაქსიმალური მოგება მინიმალური დანახარჯებით და ლიკვიდობის აუცილებელი დონის შენარჩუნებით, ანუ რამდენად უზრუნველყოფს იგი, ოპტიმალურად გაანაწილოს საკუთარი და მოზიდული სახსრები სხვადასხვა სახეობის აქტივში. კომერციული ბანკის აქტივების სტრუქტურა - ესაა ხარისხითა და ეკონომიკური შინაარსით ბალანსის აქტივის შემადგენელი სხვადასხვა ელემენტის შესაბამისობა ერთმანეთთან და მთლიან აქტივებთან. აქტივების სტრუქტურა საშუალებას იძლევა, ვიმსჯელოთ კომერციული ბანკის აქტივების შემადგენლობასა და ხასიათზე, მის მომგებიანობაზე, ლიკვიდობაზე, რისკის ხარისხზე.

საკვანძო სიტყვები: საბანკო კრედიტი, ფინანსური აქტივები, ხარისხი, შეფასება.

ძირითადი ტექსტი

საბაზრო ურთიერთობების პირობებში საბანკო საქმიანობა ორმაგი დატვირთვით გამოირჩევა. ისინი არა მარტო კომერციულ უნივერსალურ დაწესებულებას, არამედ მნიშვნელოვან სოციალურ ინსტიტუტსაც წარმოადგენენ. როგორც „ფულის მწარმოებელი“ კომერციული საწარმოები, ბანკები მაქსიმალურად შესაძლო მოგების მიღებაში არიან დაინტერესებულები, ხოლო როგორც სოციალური ინსტიტუტები - ისინი ფინანსური ინფრასტრუქტურის „ჯაჭვის“ მთავარ რგოლს წარმოადგენენ და საბიუჯეტო სისტემასთან ერთად, სახელმწიფოს ფუნქციონირების სტაბილური პირობებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო დონის ამაღლების უზრუნველყოფას ემსახურებიან. ამასთან, საწარმოების, ორგანიზაციებისა და მოსახლეობის საფინანსო-საკრედიტო მომსახურების ორგანიზების სამეურნეო სექტორების განვითარების საქმეში, საკრედიტო ორგანიზაციების გამართულ ფუნქცი-ონირებას მეტად მნიშვნელოვანი როლი აკისრია. ბანკები, თავიანთი საქმიანობის უნივერსალიზაციისა და სპეციალიზაციის მეშვეობით, პრაქტიკულად კვლავწარმოების პროცესთან მუდმივად და განუყოფლად არიან დაკავშირებულები, ამდენად ნაშრომის თემა საკმაოდ აქტუალურად გვესახება.

მოცემული ნაშრომის მიზანია კომერციული ბანკების ოპერაციების, ფინანსური მომსახურების სიღრმისეულად შესწავლა, რამაც შემდეგი ამოცანების დასახვისა და გადაწყვეტის გზების მოძიების აუცილებლობა განაპირობა, კერძოდ, ისეთი საკითხების განხილვა, როგორიცაა: საბანკო საქმის არსი და საბანკო სისტემა; ცენტრალური ბანკების ჩამოყალიბება და ძირითადი ფუნქციები; საქართველოს საბანკო-საკრედიტო სისტემა, კომერციული ბანკების საქმიანობა, ოპერაციები და ძირითადი ფუნქციები; კომერციული ბანკის რესურსები და პასიური ოპერაციები; კომერციული ბანკის აქტიური

ოპერაციები, აქტივების ხარისხი; ბუღალტრული აღრიცხვა კომერციულ ბანკში და კომერციული ბანკის ბალანსი; უნაღდო ანგარიშსწორების სიტემა, ფორმები და სხვ.

ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს - საბანკო სექტორის რეგულირების შესახებ ქართული და უცხოელი მეცნიერების გამოკვლევები, სხვადასხვა მკლევართა ანალიტიკური ნაშრომები, საქართველოს ეროვნული ბანკის საინფორმაციო-სტატისტიკური და ანალიტიკური მასალები. კვლევის პროცესის სწორად წარმართვისათვის ნაშრომში გამოყენებულია კვლევის სხვადასხვა მეთოდები, ისეთები, როგორებიცაა: კვლევის გრაფიკული მეთოდი, კვლევის ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდი, კვლევის რაოდენობრივი (მსაობრივი გამოკითხვის) მეთოდი და სხვა.

კომერციული ბანკის აქტივისა და აქტიური ოპერაციების ცნებასთან დაკავშირებით უნდა იქნას აღნიშნული, რომ: ბანკის აქტივები - არის კომერციული ბანკის მიერ მოგების მიღებისა და ლიკვიდობის შენარჩუნების მიზნით განთავსებული საკუთარი და მოზიდული სახსრები. მეორე მხრივ, ბანკის აქტივი - ესაა ბუღალტრული ბალანსის ნაწილი, რომელშიც აღირიცხება ფულად ფორმაში შეფასებული აქტიური ოპერაციებისაგან შექმნილი სხვადასხვა აქტივი.

ქვეყნის საბანკო სისტემის აქტივების და მათ შორის, საკრედიტო პორტფელის მოცულობა, ასევე მათი მშპ-თან შეფარდების მაჩვენებლის დონე და დინამიკა ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის შეფასების კარგ ინდიკატორებად ითვლება.

კომერციული ბანკის აქტიური ოპერაციების კლასიფიკაციასთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ თუ კომერციული ბანკის პასივების ანალიზი - არის მისი რესურსების კლასიფიკაცია, აქტივების ანალიზი კი - არის მოზიდული რესურსების გამოყენების მიართულებათა კლასიფიკაცია და სტრუქტურა, ანუ სად, რა მიზნით, რა მოცულობით, რა ფასად და რაც მთავარია - რისკის რა დონით ხდება მათი განთავსება.

აქტივების კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა ნიშნით იქნას განხორციელებული, კერძოდ: დანიშნულების მიხედვით; სახსრების განთავსების ხასიათის მიხედვით; რისკის ხარისხის მიხედვით; შემოსავლიანობის მიხედვით; ლიკვიდობის მიხედვით; ვადიანობის მიხედვით; ვალუტების მიხედვით.

კომერციული ბანკის აქტივების სტრუქტურის შესწავლისას ნათლად ჩანს მისი მენეჯმენტის უნარი, მიიღოს მაქსიმალური მოგება მინიმალური დანახარჯებით და ლიკვიდობის აუცილებელი დონის შენარჩუნებით, ანუ რამდენად უზრუნველყოფს იგი, ოპტიმალურად გაანაწილოს საკუთარი და მოზიდული სახსრები სხვადასხვა სახეობის აქტივში.

ის, თუ რამდენად ოპტიმალურია აქტივების სტრუქტურა, რამდენად მიზანშეწონილად და საიმედოდაა ისინი დაბანდებული, რამდენად არის დაცული ბალანსი მომგებიანობასა და რისკიანობას შორის, განაპირობებს კომერციული ბანკების მდგრადობას, ანუ ამ ბანკში განთავსებული დეპოზიტებისა და სხვა სახსრების უსაფრთხოების გარანტირებას.

აქედან გამომდინარე, ცალკეული ბანკისა და მთლიანად საბანკო სისტემის მიერ აქტივების განთავსებისას ფრთხილ და გონივრულ გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება. ცალკეული ბანკების გაკოტრება იწვევს მის პასივში აღრიცხული ფულადი სახსრების მეპატრონეთა ფინანსურად დაზარალებას და ხშირად გაკოტრებასაც. ერთი ბანკის გაკოტრებამ შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური სუბიექტების მიერ სხვა, ჯანსაღი ბანკებიდან ანაბრების მასობრივი გატანის პროვოცირება, შეიძლება დაიწყოს ჯაჭვური რეაქცია, ე.წ. „დომინოს ეფექტი“, ანუ კრიზისში ჩათრეულ იქნენ სხვა ბანკები და მთელი ფინანსური ბაზარი.

კომერციული ბანკის აქტივების სტრუქტურა - ესაა ხარისხითა და ეკონომიკური შინაარსით ბალანსის აქტივის შემადგენელი სხვადასხვა ელემენტის შესაბამისობა ერთმანეთთან და მთლიან აქტივებთან. აქტივების სტრუქტურა საშუალებას იძლევა, ვიმსჯელოთ კომერციული ბანკის აქტივების შემადგენლობასა და ხასიათზე, მის მომგებიანობაზე, ლიკვიდობაზე, რისკის ხარისხზე.

საქართველოს საბანკო სისტემის აქტივების სტრუქტურის დინამიკა წლების მიხედვით.

	აქტივები	**1995**	**2000**	**2005**	**2010**	**2015**	**2020**	**2021**
1	ფულადი სახსრები	19%	24%	24%	22%	23%	19%	17%
1.1	ნაღდი ფული	5%	4%	5%	4%	5%	3%	4%
1.2	ფული საბანკო ანგარიშებზე	14%	19%	18%	18%	18%	16%	13%
2.	ფასიანი ქაღალდები	0%	1%	1%	8%	9%	11%	9%
3.	წმინდა სესხები	49%	53%	65%	54%	60%	63%	68%
4.	დარიცხული პროცენტები და დივიდენდები	5%	1%	1%	1%	1%	1%	1%
5.	ინვესტიციები	0%	2%	1%	4%	1%	0%	0%
6.	ფიქსირებული აქტივები	8%	10%	7%	8%	5%	3%	3%
7.	სხვა წმინდა აქტივები	17%	8%	2%	3%	2%	2%	2%
	მთლიანი პასივები	**100%**	**100%**	**100%**	**100%**	**100%**	**100%**	**100%**

როგორც ვხედავთ, 2021 წლის ბოლოსათვის საქართველოს საბანკო სისტემის აქტივებში ლიკვიდურ სახსრებზე (ფულადი სახსრები და ფასიანი ქაღალდები) მთლიანი აქტივების 26% მოდიოდა. ამ მაჩვენებლების დინამიკა დიდი ცვლილებით არ ხასიათდება. 2008 წლის გამოკლებით, როცა ობიექტური მიზეზების გამო, მათი წილი 22%-მდე შემცირდა. რაც შეეხება აქტივების მთავარ შემადგენელ ნაწილს, საკრედიტო პორტფელს, მათი ხვედრითი წილი სტაბილურად იზრდებოდა და 2021 წლის ბოლოს 68%-ს. ამასთან თვალში საცემია ფიქსირებული აქტივების ხვედრითი წილის თანდათანობითი შემცირება „მუშა“ აქტივების მოცულობითი ზრდიდან გამომდინარე.

ოპტიმალური „ოქროს“ შუალედის მიღწევა „მუშა“ და ლიკვიდურ აქტივებს შორის, არის კომერციული ბანკის მენეჯმენტის მთავარი საზრუნავი. მისი მთავარი მიზანი. ამ მხრივ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების პორტფელი, რომლის აბსოლიტურ უმრავლესობას ქართულ ბანკებში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები წარმოადგენს. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები შედის როგორც „მუშა“ აქივების, ისე ლიკვიდური აქტივების შემადგენლობაში, რაც განპირობებულია მისი უნარით, უმოკლეს ვადაში მოხდეს მისი ფულზე „გაცვლა“. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის საპროცენტო განაკვეთები შედარებით დაბალია, ისინი ვერ უზრუნველყოფენ ისეთ შემოსავლებს, როგორსაც საკრედიტო პორტფელი, მაგრამ მისი ფორმირება ბანკის მოკლევადიანი, დროებით თავისუფალი ფულადი სახსრებით ხორციელდება.

ფასიანი ქაღალდების პორტფელი - ესაა მობილური აქტივი, რომელიც ბანკის მენეჯმენტის ხელში წარმოადგენს მოქნილ ინსტრუმენტს, რათა მუდმივად იყოს ოპტიმალური შესაბამისობა „მუშა“ აქტივებსა და ლიკვიდურ აქტივებს შორის.

კომერციული ბანკის აქტივების ხარისხი და მისი შეფასება: საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწყებული რეფორმების გზაზე მეტად მნიშვნელოვანი იყო კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების მექანიზმის შემოღება. შესაბამისი დოკუმენტი შემუშავებულ იქნა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რეკომენდაციით და მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პრობლემური სესხებიდან ბანკების ბალანსების გაწმენდის, რისკის შემცირებისა და გონივრული საკრედიტო პოლიტიკის გატარებისთვის საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია შემდეგი სახის **დასკვნების** გაკეთება:

1. მითითებულია - კომერციული ბანკის მიერ მოგების მიღებისა და ლიკვიდობის შენარჩუნების მიზნით, მუშა აქტივებისა და ლიკვიდობას შორის თანაფარდობის შენარჩუნება.

2. ჩამოყალიბებულია - კომერციული ბანკის აქტიური ოპერაციების კლასიფიკაცია და მითითებულია, რომ იგი შემდეგი ნიშნებით იქნას განხორციელებული: დანიშნულების მიხედვით, სახსრების განთავსების ხარისხის მიხედვით, რისკის ხარისხის მიხედვით, შემოსავლების მიხედვით,

ლიკვიდობის მიხედვით, ვადიანობის მიხედვით, ვალუტების მიხედვით.

3. დაზუსტებულია - კომერციული ბანკების აქტივების სტრუქტურის სრულყოფა და მითითებულია, რომ მოგებასა და ლიკვიდურ აქტივებს შორის ოპტიმალური „ოქროს“ შუალედის მიღწევა ბანკის მენეჯმენტის მთავარი საზრუნავი პრობლემაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბურდიაშვილი რ. - ბუღალტრული აღრიცხვა ბანკებში. - თბილისი, გამომცემლობა „პოლიგრაფისტი“, 2013.- 400 გვ.
2. კოვზაანაძე ი., კონტრიძე გ. - თანამედროვე საბანკო საქმე (თეორია და პრაქტიკა), სახელმ-ლო. - თბილისი, გამომცემლობა შპს „სეზანი“, 2022. – 700 გვ.
3. მოსიაშვილი ვ., ჭეილიძე მ. - საბანკო საქმე, სახელმძღვანელო, - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2018. – 300 გვ.
4. ხანთაძე გ., ცაავა გ. - საბანკო ოპერაციები, სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014. – 300 გვ.
5. Fitch T, P. – Dictionary of Banking Terms (Barrons Business Dictionaries) 7th Edition, 2018.

Classification, quality and assessment of active commercial bank operations

Davit Davitadze
Giorgi Tsaava

Abstract

The paper describes the relevance of the topic, sets the goal and objectives, specifies the theoretical and methodological foundations, establishes the concept of assets and active operations of a commercial bank, indicates the need for a commercial bank to place its own and raised funds to make a profit and maintain liquidity, defines the classification of active operations of a commercial bank, the structure of assets of commercial banks is specified. Bank assets - are owned and raised funds placed by a commercial bank to make a profit and maintain liquidity. On the other hand, the bank's asset is a part of the accounting balance, in which various assets created from active operations valued in the monetary form are recorded. When studying the structure of assets of a commercial bank, its management's ability to obtain maximum profit with minimal expenses and maintain the necessary level of liquidity is visible, that is, how well it ensures optimal distribution of its own and raised funds in different types of assets. The structure of commercial bank assets is the quality and economic content of the balance sheet assets and their consistency with each other and the total assets. The construction of assets allows us to discuss the composition and nature of the commercial bank's assets, profitability, liquidity, and risk level.

KeyWords: Bank advace, financial assets, quality, estimate.

ონლაინ მარკეტინგი XXI საუკუნეში

დათაშვილი ლაშა-გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

დათაშვილი მარიამ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

თაბუკაშვილი თამთა
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

აბსტრაქტი

სტატიაში საუბარია მარკეტინგის განვითარების თავისებურებებზე. თემა აქტუალურია იმის გათვალისწინებით, რომ ტექნოლოგიების უსაზღვრო გამოყენება გვიმარტივებს ცხოვრებას. ნებისმიერი ბიზნესი მარტივი, ხელმისაწვდომი და დროული ხდება ციფრული მარკეტინგის მეშვეობით. მისი დახმარებით ხდება მასალის დამუშავება, მიწოდება, მომხმარებელებთან კომუნიკაცია და პროდუქტის რეალიზაცია. ონლაინ მარკეტინგი ადამიანს აძლევს საშუალებას მარტივად იმუშაოს, იყიდოს და გაყიდოს პროდუქტი ნებისმიერ დროს ნებისმიერ ადგილას.

21-ე საუკუნეში კი, თითოეული ადამიანის ცხოვრების რეჟიმი შეიცვალა. ინტენეტის გამოყენებამ ახალი და სრულიად განსხვავებული ეკონომიკა შექმნა, რომელიც მოითხოვდა ბიზნესის მხრიდან, გარკვეული ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებას, რომელიც მძალვრი რესურსია. კომპანიებმა აქტიურად დაიწყეს სხვადასხვა ონლაინ პლატფორმების გამოყენება. პლატფორმა კი ერთგვარი ონლაინ ბაზარი იყო, რომელიც აერთიანებდა ორ მხარეს, ცხადია - მყიდველსა და გამყიდველს. ციფრულმა სარეკლამო სისტემებმა ერთიანი და საკმაოდ მარტივად მართვადი ქსელი შექმნეს, რომელიც ეფექტურ კომუნიკაციას ახორციელებდა აუდიტორიასთან. ინტერნეტი წარმოადგენს უნიკალურ გარემოს, რომელიც მარკეტინგის განხორციელების საშუალებას იძლევა. სწორედ, რომ ინტერნეტმა მოიტანა მარკეტინგის განხორციელების ახალი ეტაპი, ვინაიდან, იგი მარკეტოლოგებს დაეხმარა ამოცანების გადაწყვეტაში, რომელიც ხორციელდებოდა ტრადიციული გზებით, მისი გადაწყვეტა კი, არც თუ ისე მარტივი იყო.

საკვანძო სიტყვები: მარკეტინგი, ინტერნეტი, ონლაინ მარკეტინგი, მომხმარებელი.

ძირითადი ტექსტი

21 საუკუნეში ინტერნეტის განვითარებამ ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება მოახდინა სხვადასხვა სფეროზე, განავითარა სხვადასხვა ინდუსტრიები და მოახდინა ბევრი საჭირო მიმართულების ერთმანეთში ინტეგრირება. აქტუალური და მნიშვნელოვანია ინტერნეტის შერწყმა მარკეტინგთან დღევანდელი ბიზნესისთვის

ამერიკელი სპეციალისტი ფილიპ კოტლერის განმარტებით მარკეტინგი არის ადამიანის საქმიანობის სახე, რომელიც მიმართულია გაცვლის გზით მომხმარებელთა საჭიროებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ. რაც შეეხება მარკეტინგის არსს, ეს ისეთი საქმიანობაა, რომელიც მყიდველებსა და გამყიდველებს ერთმანეთს ახვედრებს. მარკეტინგი მოიცავს როგორც რეკლამას, ისე ყიდვასა და გაყიდვას, ტრანსპორტირებასა და შენახვას, პროდუქტების ნომენკლატურის დაგეგმვასა და ბაზრის შესწავლას, პროდუქტების გასაღებისათვის ხელის შეწყობას, მომხმარებელთა მომსახურებას, დაფინანსებას, დაზღვევას, მოკლედ ყველაფერს, რისი საშუალებითაც ხდება ბიზნესის წარმოება და შემდგომი რეალიზება როგორც მსოფლიო ისე ადგილობრივ ბაზარზე.

მარკეტინგი ეს არის საქმიანობა, რომელიც ეხმარება კომპანიას საკუთარი ბრენდის ინდენტი-ფიკაციაში, ახდენს ბრენდების დახარისხებას და ახერხებს ამა თუ იმ ბრენდის იდენტიფიცი-რებისათვის საჭირო დეტალების დიფერენცირებას, რაც შემდგომში კომპანიას აძლევს საშუალებას იყოს შემჩნევადი პროდუქტის გაყიდვის ადგილებში, ამ ყველაფრის მიღწევა კი ხდება შემდეგი ღონისძიებებით, როგორიცაა მაგალითად, ინფორმაციის შეგროვება, იმის შესახებ თუ რომელ ბაზარზე

გადიხარ როგორც ფირმა და რა მოგებას შეიძლება ელოდე. შესყიდვა– სანამ მზა პროდუქციას საცალო ვაჭრები გაყიდიან, საჭიროა მისი შერჩევა და შესყიდვა მწარმოებლისგან ან მოვაჭრისგან. ტრანსპორტირება– საჭიროა პროდუქტის მიტანა გაყიდვის ადგილამდე ისე, რომ არ მოხდეს მისი დაზიანება. გაყიდვა – უნდა მოხდეს საქონლის სწორი კუთხით რეკლამირება და გაყიდვა. შენახვა– მარაგში ინახება იმაზე მეტი საქონელი ვიდრე, შეიძლება გაიყიდოს ერთი დღის განმავლობაში, აქედან გამომდინარე, უნდა მოხდეს მისი სათანადოდ შენახვა. დახარისხება გულისხმობს, პროდუქტების კლასიფიცირებას ხარისხისა და ზომის მიხედვით. ერთი სიტყვით, მარკეტინგი ეს არის მართვის პროცესი, მისი ძირითადი ფუნქცია კი მომხმარებლის დაკმაყოფილება, პროგნოზირების გაკეთება და ამა თუ იმ საქმიანობის მოგების განსაზღვრაა, რაც, რა თქმა უნდა, ორგანიზაციის სასარგებლოდაა მიმართული.

ინტერნეტის წარმოშობა

ინტერნეტს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ინფორმაიული განათლების გზაზე და ასევე მრავალი სფეროს განვითარებაში. ინტერნეტის შექმნის ზუსტ თარიღს ვერ დავასახელებთ. მან მრავალი საფეხური გაიარა, ვიდრე საბოლოო, ჩვენთვის ნაცნობ სახეს მიიღებდა.

ახლა ვისაუბროთ თანამედროვე საკომუნიკაციო ქსელზე. თავდაპირველად ინტერენტის საშუალებით მხოლოდ ინფორმაციის გაგზავნა და მიღება იყო შესაძლებელი. ტერმინი „ციფრული მარკეტინგი“ მე-20 საუკუნის 90-იან წლებში გამოდის ასპარეზზე. ამ დროისათვის, კომპანიებმა ინტერნეტის გამოყენება დაიწყეს თავიანთი პროდიქციის რეკლამირებისათვის, შემდეგ საკუთარ ვებ-გვერდებზე განათავსეს ინფორმაციები. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა 1990 წელს, როდესაც პირველი საძიებო სისტემა გაჩნდა - (Archie) გარკვეული წლების შემდეგ კი, ონლაინ სივრცეში პირველი სარეკლამო ბანერი გაჩნდა (Clickable), რომელიც გარკვეულ ინფორმაციას აწვდიდა მაუსის დაკლიკების შემთხვევაში.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ რამდენიმე წლის შემდეგ, ინტერნეტ-მარკეტინგმა სახე იცვალა და დაიწყო საინფორმაციო სივრცის ყიდვა-გაყიდვა.

პირველი ინტერნეტ კომერციული ტრანზაქცია კი, - 1994 წელს შესრულდა, ხოლო 1994 წელს წარმოიშვა საძიებო სისტემა Yahoo სტენფორდის უნივერსიტეტში, ელექტრო ინჟინერიის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ.

1995 წლის აგვისტოში კი, პირველი ვებ-პორტალი, Microsoft MSN გაეშვა, რომელიც აერთიანებდა სხვადასხვა აპლიკაციებსა და ინტერნეტ - სერვისებს, როგორც მობილური აპლიკაციისა თუ Windows-თვის.

1998 წელს განხორციელდა პირველი და მნიშვნელოვანი საძიებო სისტემის დაბადება სტენფორდის უნივერსიტეტში, იგულისხმება Google, რომელიც დღემდე სარგებლობს პოპულარობით. იგი სერგეი ბრინმა და ლარი პეიჯმა დაარსეს. ვებ-გვერდის თავდაპირველი ვერსი აგახლდათ ინგლისურენოვანი, ამჟამად კი, იგი ძალიან ბევრ ენაზე არის ნათარგმნი, მათ შორის არის - ქართულიც. Google-ის, მსოფლიო ბაზრის 70 % უკავია და იგი 50 მილიონზე მეტ ახალ საძიებო მოთხოვნას იღებეს ყოველდღიურად. აქვე აღსანიშნავია, რომ Google 8 მილიარდ ვებ-გვერდს უკეთებს ინდექსირებას. იგი საშუალებას იძლევა ნებისმიერმა ადამიანმა, ნებისმიერ წერტილში მოიძოს მისთვის სასურველი ინფორმაცია, სწორედ მაშინაც, როდესაც კონკრეტულ პირს შეჰყავს არასრული კითხვა.

Google-ს გააჩნია საკუთარი სარეკლამო სისტემაც, იგულისხმება Google Adwords, რომელიც საშუალებას აძლევს ბიზნეს მფლობელებს, რომ მიაღწიონ პოტენციურ კლიენტებამდე. ედვორდსი Pay Per Click სისტემაზე არის დაფუძნებული. აღნიშნული სისტემის საშუალებით, დღესდღეობით, 2 ტიპის რეკლამირებაა შესაძლებელი:

•Search Network - იგი გულისხმობს საძიებო სისტემის რეკლამას, რათა ნებისმიერი ადამიანის რეკლმა როგორც გულგში, ისე სხვა პარტნიორ საძიებო სისტემებშიც განხორციელდეს. ამ დროს, დამკვეთს აქვს შესაძლებლობა, რომ სასურველი საძიები სიტყვები თავად შეარჩიონ, რომელიც რეკლამაში გამოჩნდება.

•Display Network - იგი გუგლის პარტნიორ საიტებზე, კონკრეტული რეკლამის გაშვებას

გულისხმობს. მაგალითად, ამგვარია - Youtube.

ამდენად, Google წარმოადგენს ადგილს, სადაც ადამიანები არჩევენ რა იყიდონ, ეძებენ მათთვის სასურველ ინფორმაციას. ასევე, იგი სწორი ადგილია, რათა ნებისმიერი კომპანიის რეკლამა გამოჩნდეს.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში კი Cookie ტექნოლოგია გაჩნდა, რომელმაც ციფრული მარკეტინგის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა. იგი თავდაპირველად, ხშირად არ გამოიყენებოდა, როგორც დღეს გამოიყენება. Cookie წარმოადგენს პატარა ფილიალს, რომელიც ნებისმიერ მოწყობილობაში ინახება კონკრეტულ ვებ-გვერდზე სტუმრობისას. მასში კონკრეტული ვიზიტორისა და ვებ-გვერდის ინფორმაცია იყო მოთავსებული.

ამა და სხვა სისტემის საშუალებით, ციფრული მარკეტინგი უფრო განვითარდა. 2001 წელს კი, პირველი მობილური სარეკლამო კამპანია გამოჩნდა სახელწოდებით Universal Musical, რომელიც 75000-მდე მომხმარებელს სთავაზობდა კომპოზიციას. 2020 წლის ბოლოსკენ კი, ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელი გაეშვა, სახელით LinkedIn, რომელიც აერთიანებს 600 მილიონზე მეტ ადამიანსა და 30 მილიონზე მეტ კომპანიას. იგი წარმოადგენს სტანდარტულ სოციალურ ქსელს, რომელიც სრულიად განსხვავდება სხვა სოციალური ქსელებისაგან, რადგანაც აღნიშნული მხოლოდ საქმიანი ურთიერთობისათვის გამოიყენება. ამდენად, LinkedIn წარმოადგენს საუკეთესო ქსელს - B2B მარკეტინგისათვის. 2003 წელს - WordPress შეუერთდა ციფრულ სამყაროს, რომელიც ბლოისა და ვებ-გვერდის შექმნის საშუალებას იძლევა. მას 409 მილიონამდე ადამიანი ნახილობს 15. 5 მილიონამდე ვებ-გვერდს. სოციალური ქსელის მომხმარებელთა რაოდენობა კი, 41,7 მილიონამდე პოსტს აქვეყნებს, ხოლო პოსტებდა კომენტარების რაოდენობა შეადგენს - 60,5 მილიონს. 2004 წელს, გაჩნდა Google-ის კიდევ ერთი სერვისი, რომელიც დღესდღეობით, ყველაზე ცნობილი და პოპულარულია, იგულისხმება Gmail, ამის შემდეგ კი, შეიქმნა Facebook, ციფრულ მედიაში დიდ როლს ასრულებს 2005 წელს შექმნილი Youtube. იგი წარმოადგენს ვიდეო პორტალს, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ მილიონობით მომხმარებელს საკუთარი შემეცნებითი, კომერციული ან კიდევ, ნებისმიერი სახის ვიდეო გავუზაიაროთ, გარდა ამისა, თავად ადამიანებმა მოიძიონ სხვების მიერ ატვირთული ვიდეო, მუსიკა, ინფორმაციული ვიდეორგოლები, ვიდეო-გაკვეთილები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ Youtube-ს იძლევა საშუალებას, რომ ნებისმიერმა ადამიანმა, კომპანიამ განათავსოს საკუთარი რეკლამა და გავიდნენ სამიზნე აუდიტორიაზე. მშვნელოვანია ისიც, რომ როდესაც მომხმარებელი 30 წამს მაინც ნახავს რაიმე კონკრეტულ ვიდეო-რგოლს, მაშინ ვიდეოს ავტორი ივსებს კონკრეტულ ბიუჯეტს. აღნიშ-ნულ ვიდეო პლატფორმას გააჩნია ანალიტიკური საშუალება, რომელიც საშუალებას იძლევა მიღებუ-ლი იქნას ისეთი ინფორმაცია, როგორიც არის გამომწერების რაოდენობა, მოწონება, გაზიარება და ა.შ.

21-ე საუკუნეში კი, თითოეული ადამიანის ცხოვრების რეჟიმი შეიცვალა. თითოეული მომხმარებელი ენერგიისა და დროის დასაზოგად გადაერთო ონლაინ სივრცეზე და ცხადია, ციფრულ ტექნიკაზე. ინტენეტის ასეთმა გამოყენებამ კი, ახალი და სრულიად განსხვავებული ეკონომიკა შექმნა, რომელიც მოითხოვდა ბიზნესის მხრიდან, გარკვეული ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებას, რომელიც მძალვრი რესურსია. კომპანიებმა აქტიურად დაიწყეს სხვადასხვა ონლაინ პლატფორმების გამოყენება. პლატორმა კი ერთგვარი ონლაინ ბაზარი იყო, რომელიც აერთიანებდა ორ მხარეს, ცხადია - მყიდველსა და გამყიდველს. ციფრულმა სარეკლამო სისტემებმა ერთიანი და საკმაოდ მარტივად მართვადი ქსელი შექმნეს, რომელიც ეფექტურ კომუნიკაციას ახორციელებდა აუდიტორიასთან. ინტერნეტი წარმოადგენს უნიკალურ გარემოს, რომელიც მარკეტინგის განხორციელების საშუალებას იძლევა. სწორედ, რომ ინტერნეტმა მოიტანა მარკეტინგის განხორციელების ახალი ეტაპი, ვინაიდან, იგი მარკეტოლოგებს დაეხმარა ამოცანების გადაწყვეტაში, რომელიც ხორციელდებოდა ტრადიციული გზებით, მისი გადაწყვეტა კი, არც თუ ისე მარტივი იყო.

თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა იმის საშუალებას, რომ ინფორმაციის გაცვლა სწრაფად განხორციელეს, ასევე, სწრაფად განხორციელდეს სხვადასხვა მომსახურებისა და პროდუქტის გაყიდვა. ინტერნეტ მარკეტინგი კი, მარკეტინგის ძირეულ მიზანს ემსახურება, სადაც იგულისხმება ის ფაქტორი, რომ მომხმარებლები შეინარჩუნონ და კვლავ შეიძინონ ახალი მომხმარებლები, ახალი ურთიერთობები.

ინტერნეტ-მარკეტინგის ძირითადი სსტრატეგია და მისი გამოყენების უპირატესობები

ინტერნეტ-მარკეტინგში სტრატეგიული გადაწყვეტილებების უმთავრესი საფუძველია მარკეტინგული ინფორმაცია და ინფორმაციული ბაზა. როგორც ვ. ვარჰაპტინგი აღნიშნავს: „ლოიალურობა გულისხმობს მომხმარებლის გრძელვადიან ურთიერთობას კომპანიასთან“ აქედან გამომდინარე კომპანიების ძირითად სტრატეგიას ინტერნეტ მარკეტინგში წარმოადგენს მომხმარებელთა ლოიალურობის შენარჩუნება. მომხმარებლის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ ლოიალურობის მოპოვებით და ამაღლებით. ამ სტრატეგიასთან დაკავშირებით მკვლევარები ი. დოუესი და ს. სვეილსი აცხადებენ, რომ ონლაინ ბაზარზე ლოიალურობა წარმატებული ბიზნესის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ონლაინ ბაზარზე მომხმარებელთა კმაყოფილებისა და ლოიალურობის მოსაპოვებლად აუცილებელია ინტერნეტის სრულყოფილი და გამართული მუშაობა, სამომხმარებლო ინტერფეისის გამართული ტექნიკური მდგომარეობა, პროდუქციის ფართო ასორტიმენტი, ინტერნეტ კომპანიების გამჭვირვალეობა და სიმრავლე, მომხმარებლის ინფორმაციის კონფიდენციალურობა, საანგარიშ-სწორებო სისტემების საიმედოობა უსაფრთხოება, მოქნილი ფასწარმოქმნის სისტემა, მომსახურების მაღალი ხარისხი, გამართული ლოგისტიკის სისტემა და ხელმისაწვდომობა.

ინტერნეტში მომხმარებელი წარმოსდგება როგორც პარტნიორი, ამიტომ კომპანიამ ამ ურთიერთობის შენარუჩუნების ვალდებულება თავის თავზე უნდა აიღოს. ეს კი მიიღწევა პროდუქ-ციის ხარისხის, მომსახურებისა და ინოვაციის მეშვეობით. ამასთან, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და გლობალური ინფორმაციული სისტემის განვითარება გავლენას ახდენს ინტერნეტ-მომხმარებელთა მოთხოვნილებებზე და ინტერესებზე, მსოფლიო მასშტაბით წარმოგვიდგენს მათ როგორც ერთგვაროვანს.

ინტერნეტ მყიდველი ონლაინ ვაჭრობისას მოიპოვებს ინტერნეტ-მარკეტინგის მთელ რიგ უპირატესობებს, რომლებიცაა მაგალითად ფულისა და დროის ეკონომია, ფასებისა და ხარისხის შედარების შესაძლებლობა, ხელსაყრელობა, ფართო არჩევანი, გართობა, მოსახლეობის ფართო მასებთან და გამყიდველთან ურთიერთობა და სხვა.

ინტერნეტ მყიდველის მიერ ქსელში ვაჭრობიდან მიღებული სარგებელი შეიძლება დავაჯგუფოთ სამ კატეგორიად:

1) შედარებით დაბალი ფასები. ინტერნეტში პროდუქტის უმრავლესობა უფრო ნაკლები ღირს, ვიდრე ტრადიციულ მაღაზიებში, ასევე ინტერნეტი მყიდველისთვის აადვილებს შეთავაზებული ფასებისა და ხარისხის შედარებას. ამასთან ერთად მომხმარებელი არ განიცდის გამყიდველისგან ზეწოლას და არც მათ სამუშაო საათებთან უწევს შეწყობა.

2) ხელსაყრელობა. ონლაინ მყიდველს შეუძლია ნებისმიერ დროს შეიძინოს პროდუქტი და მომსახურება.

3) ინდივიდუალიზაცია. ონლაინ საიტების უმრავლესობა ცალკეულ მყიდველს სთავაზობს პროდუქციის ინდივიდუალიზაციას მისი მოთხოვნების გათვალისწინებით, აქედან გამომდინარე web საიტებმა უნდა უზრუნველყონ ადვილი ნავიგაცია, უსაფრთხოების მაღალი დონე, კონფიდენ-ციალობის გარანტია, სარგებლიანი ინფორმაცია, რრომელიც მომმარებელმა შეიძლება გამოიყენოს პროდუქტების შედარებისა და ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის. ინტერნეტ-მწარმოებელი ყოველთვის მზად უნდა იყოს შეიტანოს ცვლილებები თავის საიტზე მომხმარებლის სურვილების გათვალისწინებით.

დასკვნა

მოცემული თემატიკის ანალიზის საფუძველზე, უნდა აღინიშნოს რომ ყოველმხრივ და დღევანდელ ტენდენციურ სამყაროში, მათ შორის ყოველდღიურობაშიც ძალიან მნიშვნელოვანია ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. ფაქტები ცხადყოფს რომ ინტერნეტის განვითარებამ დიდი როლი ითამაშა ზოგადად მარკეტინგის განვითარებაში და შესაბამისად მივიღეთ სინთეზი იმ მოცემულობით რომელსაც დღეს ვიყენებთ და ვუწოდებთ ციფრულ მარკეტინგს.

ციფრული მარკეტინგის განვითარება რაღათქმაუნდა ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას როგორც გლობალურად ისე საქაართველოში. ის ინფორმაციული ბაზისი რომელსაც მარკეტინგი იძლევა ბიზნესის წარმატებაში უდიდეს როლს თამაშობს. მსოფლიო ეკონომიკისთვის და საერთოდ ცივილიზაციისთვის, ისევე როგორც საქართველოსთვის ამოსავალი წერტილია წარმატებული ბიზნესი. ამიტომ მნიშვნელოვანია საქართველოში ციფრული მარკეტინგის მუდმივი ევოლუცია თავისი ყველა სიკეთეებით, რომელსაც ინტერნეტ მარკეტინგი მოიცავს და რომელზეც ზემოთ ნაშრომში მოგახსენეთ.

ყოველივე ზემო აღნიშნულის რეზიუმირება რომ მოვახდინოთ, ნათელია, რომ ციფრული მარკეტინგი მისი თავისებურებებით და უპირატესობებით აუცილებელია კარგი ბიზნესისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თოდუა.ნ., საერთაშორისო მარკეტინგი ,,თბილისი,, 2012წ
2. თოდუა ნ., მღებრიშვილი ბ., მარკეტინგის საფუძვლები, გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი,, 2009წ
3. თოდუა ნ, საერთაშორისო მარკეტინგი: წიგნი 1, თბილისი 2012წ
4. https://lemons.ge/ka/blog/52-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98/40-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A2-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%AB%E1%83%9A
5. თოდუა ნ, აბულაძე რ, ინტერნეტ-მარკეტინგი სახელმძღვანელო, „უნივერსალი“, თბ., 2011
6. თოდუა ნ, აბულაძე რ, საქართველოს ინტერნეტ-ბაზრის მარკეტინგული კვლევა. მონოგრაფია, „უნივერსალი“, თბილისი 2008წ.
7. აბულაძე, რ. ელექტრონული მარკეტინი, პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2008წ
8. http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000628/rati%20abuladze.pdf

Online marketin in XXI century

Lasha-Giorgi Datashvili – Gtu Assistant-Professor
Mariam Datashvili - Gtu Assistant-Professor
Tamta Tabukashvili, Doctor of Business Administration

Abstract

Today Online marketing gives chance to buy and sell there product any time any where. In the 21st century, the lifestyle of each person has changed. The use of the Internet created a new and completely different economy, which required the use of certain digital tools by businesses, which is main resource. Companies have actively started using various online platforms. The platform was a kind of online market that united two parties, Obviously - to the buyer and the seller. Digital advertising systems have created a unified and fairly easily managed network that effectively communicates with the audience. The Internet is a unique environment that allows marketing to take place. It is that the Internet has brought a new stage of marketing implementation, since it has helped marketers to solve tasks that were carried out in traditional ways, and its solution was not so easy.

keywords: Marketing, internet, online marketing, customer.

რელიგიის თავისუფლების საკითხი პოსტსაბჭოთა საქართველოში

დარჩაშვილი მანანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მრავალრელიგიურ ქვეყანაში სხვადასხვა მრწამსის მოსახლეობის მშვიდობიანი თანააარსებობა ქვეყნის საშინაო პოლიტიკის მნიშვნელოვანი გამოწვევაა, შესაბამისად, ყველა დროის ხელისუფლების მუდმი საზრუნავია. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე ჩვენი კვლევის მიზანია შევისწავლოთ რელიგიის თვისუფლების საკითხი პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში, როგორია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული დოკუმენტები რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზე, როგორ პასუხობს ხელისუფლება არსებულ გამოწვევებს.

ნაშრომში შესწავლი ემპირიული მასალის, სამეცნიერო ნაშრომებების, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული მთელი რიგი დოკუმენტების განხილვა-ანალიზის, ისტორიზმის მეთოდის გამოყენების საფუძველზეა წარმოდგენილია.

ნაშრომში საქართველოში არსებული რეალობაა წარმოდგენილი, სახელმწიფოს ქმედითი ნაბიჯები რელიგიური მრავალფეროვნებით გამოწვეული სირთულეების დასაძლებვად, რწმენის თავისუფლების გარანტიისთვის საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით შეწყნარებისა და პატივისცემის ხელშეწყობა.

თანამედროვე ქართული პოლიტიკა მოტივირებულია მშვიდობისმოსურნე ქვეყნების უახლოეს წარსულ გამოცდილებაზე, მსოფლიოში მიმდინარე ახალ ტენდენციებზე დაყრდნობით საქართველოში შეიქმნას ყველა პირობა რელიგიის თავისუფლებისათვის, რაც იქნება დემოკრატიის დამკვიდრების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი გარანტი.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, რელიგია, თავისუფლება, თანამშრომლობა, პოლიტიკა.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, რელიგიის თავისუფლების საკითხი, რომელიც პიროვნების ღირსების, სინდისის ხელშეუხებლობად აღიქმება, მნიშვნელოვანია და შესაბამისად აქტუალური განსჯის საგანია. მრავალრელიგიურ ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრებისათვის ამ პრინციპის დაცვა აუცილებელი პირობაა. ამასთან, საქართველო დასავლური და აღმოსავლური კულტურათა კონტაქტის ზონაა, რის გამოც აღნიშნული საკითხი არაერთხელ მოექცა საერთაშორისო დონეზეც მეცნიერთა განსჯის საგნად.

პოსტსაბჭოთა პერიოდში, როდესაც ღიად შეიძლება აზრის და რელიგიური აღმსარებლობის გამოხატვა, საკითხის შესწავლა - ადგილობრივ დონეზე პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების ინტერესიდან გამომდინარე აქტუალურია.

ნაშრომში შევეცადეთ წარმოგვედგინა ქვეყანაში არსებული მოცემულობა - ზოგიერთი შემთხვევა რელიგიური მრავალფეროვნების პოლიტიკური ინტერესებისთვის გამოყენებისთვის და აქედან გამომდინარე საქართველოს ძირითადი სახელმწიფოებრივი კურსი: არსებული ვითარების დარეგულირება და დემოკრატიის თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად შვიდობიანი თანაცხოვრების პირობების შექმნა ყველა აღმსარებლისთვის, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მხრიდან ქვეყანაში რელიგიის თავისუფლების მიზნით მთელი რიგი ღონისძიებების გატარების მცდელობით.

საკითხის განხილვისას საჭიროა აღინიშნოს, რომ ქართულ სინამდვილეში ათწლეულების მანძილზედ არაერთი ავტორის მიერ სხვადასხვა აღმსარებელთა შესახებ მნიშვნელოვანი შინაარსის ნაშრომები შეიქმნა. სადაც აღწერილია რელიგიების მოღვაწეობა, ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნის თუ ადგილობრივ სხვა რწმენის წარმომადგენლებთან, მორწმუნეთა მშვიდობიანი თანაცხოვრება.

რელიგიური დაპირისპირების შემთხვევები ქართულ სინამდვილეში

პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში გახშირდა უსიამოვნო ფაქტები სხვადასხვა აღმსარე-

ბელთა შორის. კერძოდ, ბოლო წლების ცნობილი ფაქტები ძირითადად ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის მთელ რიგ სოფლებში - ნიგვზიანში (საერთო ლოცვისთვის ტრადიციული შეკრება), წინწყა-როში (ჯვრის ჩამოხსნის ფაქტი), სამთაწყაროში (ცალკე სამლოცველოს გახსნის მცდელობა), მოხესა (სადავო შენობა) და ჭელაში (მინარეთის უნებართვოდ დამონტაჟების ფაქტი), გამოვლინდა მუქარისა და ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევები. აღსანიშნავია, რომ ძირითადად უთანხმოებები გარკვეული შეთანხმებით დასრულდა, თუმცა ეს არ ნიშნავს პრობლემის გადაწყვეტას.

აღნიშნულ საკითხებზე არაერთგვაროვანი შეფასებები გამოვლინდა, კერძოდ, რომ რელიგიისა და რელიგიურ ინსტანციებთან ამა თუ იმ სახით დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების კომენტი-რებისას პოლიტიკოსები, სახელმწიფო და საჯარო მოხელეები ხშირად არ იცავენ რელიგიური ნეიტ-რალურობის პრინციპს და მოვლენას, სიტუაციას აფასებენ მიკერძოებულად, ამასთან, იყო შემთხვევები, როდესაც პოლიტიკური პარტიები წინასაარჩევნო პროცესში ხმების მოზიდვის მიზნითაც იყენებდნენ რელიგიას. ზოგიერთი პოლიტიკოსი ერიდებოდა საკითხისადმი პრინციპული, თანასწორუფლებიანობის, ტოლერანტობისა და სეკულარობის პრინციპებზე დაფუძნებული პოზიციების გამოხატვასაც.

მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში ხშირად ტრადიციული რელიგიის შეურაცხყოფის ფაქტებზეც გაისმის საყვედური, როდესაც მართლმადიდებლური სიწმინდეების გამოხატვა, რბილად რომ ვთქვათ, არასათანადო ფორმით მოხდა, რაც აღშფოთების მიზეზი გახდა და შესაბამისად საზოგადოებიდან წამოვიდა მოთხოვნა რაღაც ფორმით (ან თუნდაც კანონით) სიტუაციის დარეგულირების საჭიროების შესახებ.

აღსანიშნავია ის შემთხვებებიც, როდესაც რელიგიური და არასამთავრობო ორგანიზაციები შეშფოთებას გამოთქვამდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა ეპოქაში სახელმწიფოს მიერ ჩამორთმეული შენობების დაბრუნებაში ფავორიტიზმით ქართული მართლმადიდებლური ეკლესია სარგებლობდა.

თუმცა, არსებობს ეკლესიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიტიური თანამშრომ-ლობის მაგალითებიც. საინტერესოა ევროინტეგრაციის თემა, როდესაც ეკლესიას ხშირად ანტი-დასავლურობაში სდებენ ბრალს, ეს შემთხვევები აჩვენებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დამოკიდებულებას პროგრესისადმი[1]. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელის უწმინდესის ილია მეორის მთელი რიგი ეპისტოლეები, რომელიც საყოველთო მშვიდობის, ტოლერანტობის და თანამშრომლეობის უზადო მაგალითია [2].

მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის მნიშვნელოვანია თვითონ რელიგიების წარმომადგენელ პირველ პირთა დამოკიდებულება თანაარსებობისადმი. უამრავი ემპირიული მასალით დასტურდება, რომ მათი მიდგომები პოზიტიურია, ეს არის საეკლესიო დღესასწაულები, საიუბილეო თარიღები, სადაც კარგად ჩანს ურთიერთპატივისცემა. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საქართველოს კათალიკოს პატრიარქის (მოსახლეობის 85 % მართლმადიდებელი ქრისტიანია) დამოკიდებულების აღნიშვნა, რომელიც მისი მხრიდან, თითქმის ყოველი დაპირისპირების შემდეგ, მშვიდობიანი თანაარსებობიკენ არის მიმართული.

საქართელოს ხელისუფლება რელიგიის თავისუფლების შესახებ

საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკედებლობის აღდგენის შემდეგ პოლიტიკურ მიზნად დასავლურ-ევროპული გზა აირჩია. 2005 წლიდან „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩოკონვენციის ფარგლებში აღებული ვალდებულებებიდან გამომდინარე საქართველოს სამოქალაქო თანახმობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია მიზნად ისახავს და ცდილობს განახორციელოს სამოქალაქო თანხმობა და უზრუველყოს თანასწორობა[3].

სტრატეგია იზიარებს 1999 წლის ევროპის საბჭოში გაწევრიანებით და სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წელს ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების ძირითადი მიზნის - დემოკრატიული რეფორმების გატარებას, რომელიც თავის მხრივ კულტურული მრავალფეროვნების, რელიგიის, რწმენის თავისუფლების დაცვას და ინტეგრაციასაც მოიაზრებს. ამ ყველაფრის განხორციელებისათვის მიღებული სამოქმედო გეგმები წლების მიხედვით სტრატეგიულ მიზნებს ისახავს და ცდილობს მათ აღსურლებას [4].

2014 წლეს საქართველოში, სახელმწიფოს ინიციატივით, კვალიფიციურ ექსპერტთა და მეცნიერთა თანამონაწილეობით სპეციალური ინსტიტუტი - რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს დაფუძნება, რომელიც სპეციალიზირებული სტრუქტურაა და ახორციელებს ეროვნული გამოცდილებისა და თანამედროვეობის მოთხოვნების საფუძველზე მწყობრი რელიგიური პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რამაც ქვეყანას უნდა დაუბრუნოს თავის კუთვნილი ადგილი თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში. ამასთან, მისი კომპეტენციაა ისტორიული გამოცდილებისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გათვალისწინებით პროფესიული კვლევისა და მეცნიერული ანალიზის საფუძველზე შეიმუშავოს რეკომენდაციები რელიგიის სფეროში თანამედროვეობის გამოწვევების შესაბამისად. სწორედ სააგენტოს პრეროგატივაა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად რეგისტრირებული რელიგიური (რომის კათოლიკურ, მუსლიმურ, სომხური სამოციქულო ეკლესიის და ებრაულ) ორგანიზაციებისთვის სახელმწიფო კომპენსაციის განაწილება რაც მათ „მატერიალური და მორალური ზიანისათვის საბჭოთა პერიოდში მიადგათ“. 2014 წლიდან მათ თანხა ყოველწლიურად ერიცხებათ, რომლის წლიურ რაოდენობას ქვეყნის მთავრობა განსაზღვრავს. 2014 წლიდან სააგენტოსთან არსებულმა რელიგიური გაერთიანებების ქონებრივი და ფინანსურ საკითხთა შემსწავლელმა სარეკომენდაციო კომისიამ განიხილა არაერთი საკითხი რელიგიური გაერთიანებების საკულტო ნაგებობების გადაცემისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს მიერ ბოლო წლებში გაკეთებული განაცხადები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რელიგიის თავისუფლების შემლახველი ფაქტების გასაჯაროვების შესახებ.

აღსანიშნავია საქართველოში 2013 წელს „ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის“ დაარსებაც. რომლის მიზანი რელიგიის თავისუფლების, კულტურული მრავალფეროვნების, სამოქალაქო ინტეგრაციის, კულტურათაშორისი დიალოგის, სეკულარული სახელმწიფოს იდეის დაცვა და ხელშეწყობაა. მათ მიერ განხორციელებული პროექტები, რომელიც (ძირითადად უცხოეთიდან, ქვეყანაში დემოკრატიის პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობის მიზნით ფინანსდება) სწორედ ამ საკითხების კვლევას ეხება. ორივე შემთხვევაში, რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს და ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის, დასკვნები სადაც გამოვლენილია ქვეყანაში არსებული ხარვეზები და შემუშავებული რეკომენდაციები, სამომავლოდ ნამდვილად ხელსშეუწყობს ქვეყანაში არსებული ვითარების მოწესრიგიბას.

საქართველო: ცივილური მსოფლიოს რელიგიის თავისუფლების საკითხის დამოკიდებულების კონტექსტში

თანამედროვე მსოფლიოში ინტერრელიგიური ცხოვრების წესმა დღის წესრიგში ახალი გლობალური ეთიკის ჩამოყალიბებეის საჭიროება დააყენა, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია კულტურული, რელიგიური ურთიერთობის განვითარების პირობების შესაქმნელად[5], რადგან მისი შინაარსი აგებულია განსხვავებულობის პატივისცემაზე, თანამშრომლობაზე, სიკეთეზე, დაპირისპირების უარყოფაზე და თანამშრომლობის გზების ძიებაზე მშვიდობიანი რეალობის შესაქმნელად. ამასთან, საქართველოში, როგორც მრავალეთნიკურ და რელიგიური სიჭრელით გამორჩეულ სახელმწიფოში მნიშვნელოვანი კონპონენტია - სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისობა რელიგიის თვისუფლებასთან მიმართებაში [6].

საქართველოს ხელისუფლება ცდილობს რა, ქვეყანაში შექმნას მშვიდობიანი გარემო დემოკრატიის პრინციპების დამკვიდრებისთვის, ითვალისწინებს ამ გზაზე მისი პარტნიორი ქვეყნების დამოკიდებულებას მთელი რიგი საკითხების, მათ შორის რელიგიის თავისუფლების საკითხის მიმართაც. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია და ითვალისწინებს აშშ-ის რელიგიის თვისუფლების ანგარიშებს - ინფორმაციას საქართველოს შესახებ, რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით[7].

დასკვნა

ფაქტია, რომ ჩვენს ეპოქში მთავარი პარადიგმა არა მარტო მსგავსი, არამედ განსხვავებულ ჯგუფთა და ინდივიდთა ინტენსიური ურთიერთკონტაქტია. ახლა თითქმის შეუძლებელია ჰომოგენური საზოგადოების ნახვა, რომლის წევრები ერთი და იმავე რელიგიის აღმსარებლები არიან. შესაბამისად, ინტერრელიგიური დიალოგის მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდება და

საქართველოშიც ინტერრელიგიური დიალოგი განიხილება როგორც მნიშვნელოვანი ახალი პარადიგმა, რომელიც წამყვან როლს თამაშობს მშვიდობის მშენებლობის პროცესში.

ამასთან, სასურველია საქართველოს ხელისუფლებამ გათვალისწინოს პარტნიორი ქვეყნების, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის, ადამიანის უფლებების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების, სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს მიერ გამოთქმული რეკომენდაციები ქვეყანაში რელიგიის თავისუფლების განმტკიცების მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მონესაშვილი, ს., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც სამოქალაქო აქტორი: გამოწვევები და შესაძლებლობები, 2017წ. http://gip.ge/wp-content/uploads/2017/05/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98
2. Darchashvili, M., (2015), Globalization, Development and perspectives, უკრაინა, კიევი.
3. საქართველოს მთავრობის განკარგულება #1740, 2015 წლის 17 აგვისტო, თბილისი, http://gov.ge/files/410_50997_650312_N1740.pdf, ნანახია, 20.01.2020
4. რელიგიის სახელმწიფო სააგენტო, https://web.facebook.com/ReligiisSaagento/?_rdc=1&_rdr.
5. ინტერრელიგიური დიალოგის გლობალური დინამიკა: გზა "მშვიდობის ჩივილიდან" "ეკუმენურ ქარტიამდე", https://tdi.ge/ge/page/interreligiuri-dialogis-globaluri-dinamika-gza-mshvidobis-chivilidan-ekumenur-kartiamde, ნანახია 10.12.20219
6. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი, 13/10/2017, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3811818 25.12.20219
7. აშშ-ის რელიგიის თავისუფლების ანგარიში საქართველოს შესახებ, http://tdi.ge/ge/news/580-ashsh-religiis-tavisuplebis-angarishi-sakartvelos-shesaxeb ნანახია 09.01. 2020

The question of religious freedom in post-Soviet Georgia

Manana Darchashvili
Georgian Technical University Professor

Abstract

After declaring the independence of the Georgian state in the end of the 20th century Georgia faced a different kind of challenges in the internal politics and one of the most important issues among them was a peaceful coexistence of multi-ethnical and multi-religious groups in the new realities. Any governments of Georgia have always taken into consideration the issue.

Depending on the actuality of the theme, we define the main aim of the paper, which is studying the quality of the freedom of religion in Post-Soviet Georgia. The work analysis the content of the research-based documents on freedom of beliefs and religions, prepared by different international organizations and how the Georgian government reacts and answers to the dilemmas of freedom of religion.

The empirical data such are – scientific works, research papers, official documents written by the state institutions discussed with historicism method.

The paper suggests different angles of view over the religion freedom reality in Georgia. How effective are tools and steps made by the Georgian government for solving the controversy or similar flows in society. What kinds of arrangements do the government creates for implementing recommendations worked out by the international organizations and guaranteeing basement religious freedom, respect for them and tolerance.

Modern Georgian policy on religion is oriented on peaceful examples shown by various counties political experience and nearest past, it relies on new trends in the global politics and is looking for the ways for creating a comprehensive environment for religious freedom and expression, at least all those measures serve and are meaningful pillars for creating democratic prosperity in Georgia.

Keywords: Georgia, Religion, Freedom, collaboration, Politics.

მარკეტინგი და თანამედროვე გამოწვევები

დევიძე თამარი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ამყოლაძე გურამ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

ბოლო რამდენიმე წელმა მკვეთრად შეცვალა მარკეტინგის ტენდენციები და პრაქტიკა. დღევანდელი მომხმარებლები უფრო მეტად აფასებენ ავთენტურობას, გამჭვირვალობას, კონფიდენციალურობას და ინკლუზიურობას, ვიდრე ოდესმე. და უახლესი ტექნოლოგიების მოსვლასთან ერთად, როგორიცაა VR და IoT, მარკეტოლოგებს აქვთ შესაძლებლობა, დაუკავშირონ ეს ღირებულებები თავიანთ შეტყობინებებს ახალი, ინოვაციური გზებით. სტატიაში განხილულია სოციალური ქსელების გამოყენების მახასიათებლები ინტერნეტში საქონლის პოპულარიზაციისათვის. სოციალური მედია დღეს გახდა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი მარკეტინგული ინსტრუმენტი. ის მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის კომუნიკაციის ახალი არხია. სტატია განიხილავს ყურადღების მიქცევის ინტეგრირებულ წესებს: ბრენდს, ორგანიზაციის, საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის კომპეტენტურ განთავსებას სოციალურ ქსელებში.

სოციალური ქსელების სიმრავლე, თავის მხრივ, იწვევს საზოგადოების და მეცნიერების აქტიურ განვითარებას. შესაბამისად, სოციალური ქსელი ხელს უწყობს კაცობრიობის განვითარებას. სოციალური ქსელების განვითარებამ სერიოზულად შეცვალა ჩვენი ცხოვრება, გავლენა მოახდინა არა მხოლოდ კომუნიკაციის პროცესზე, არამედ ბიზნესის პროცესზეც. ონლაინ რეკლამა კომპანიის განვითარების ერთ-ერთი გზაა. დღეს ინტერნეტ კომუნიკაციების ახალი ფორმები იქცევა საკმაოდ ეფექტიან მარკეტინგულ ინსტრუმენტად. ინტერნეტი არის ნათელი ინსტრუმენტი კომუნიკაციის განსახორციელებლად, რომელიც მიმართულია სამიზნე აუდიტორიაზე. მთავარი უპირატესობებია მობილურობა და უკუკავშირის სიჩქარე.

საკვანძო სიტყვები: ინტერნეტი; სოციალური მედია; მარკეტინგი; რეკლამა; ინტერნეტ მარკეტინგი; ბრენდი; მომხმარებლები.

ძირითადი ტექსტი

სოციალური ქსელები ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი მარკეტინგული ინსტრუმენტებია მტკიცედ შემორჩენილი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ის გახდა ახალი საკომუნიკაციო არხი, რომელიც ყოველ საათში გადის ინფორმაციის დიდ ნაკადს. მათი აუდიტორია დიდი ხანია აჭარბებს რადიოს, ტელევიზიის პოტენციურ აუდიტორიას და ტექსტურ პუბლიკაციებს. სოციალური ქსელები (Social Networking Services) – ინტერნეტ სერვისები შექმნილია ქსელური კომუნიკაციების ორგანიზებისა და შენარჩუნებისათვის. ადამიანს უკვე განუვითარდა ჩვევა ან თუნდაც დამოკიდებულება სოციალურ ქსელზე, ამ დროისთვის სოციალური ქსელების ინფრასტრუქტურა ვითარდება და სულ უფრო მეტად მოქმედებს ადამიანის სიცოცხლეზე.

გლობალური ინტერნეტ ქსელის ინფრასტრუქტურის განვითარებამ და ინტერნეტის კომერციალიზაციამ გამოიწვია ბიზნესის წარმოების ცვლილებები და ელექტრონული ბაზრის გაჩენა. ინტერნეტის გამოყენება დაიწყო როგორც ბიზნესპარტნიორებთან, ასევე, მომხმარებლებთან, რამაც უზრუნველყო ინტერაქტიული მარკეტინგი და პირდაპირი ონლაინ გაყიდვების განხორციელება. ინტერნეტ მარკეტინგი აქტივობების ერთობლიობაა ბაზარზე საქონლისა და მომსახურების პოპულარიზაციისა და გაყიდვისათვის ინტერნეტ ქსელის ტექნოლოგიების გამოყენებით.

საქონლისა და მომსახურების ინტერნეტში პოპულარიზაციისათვის კომპანიას არ სჭირდება საკუთარი კორპორატიული ვებ-გვერდი, რომელიც უნდა აწვდიდეს სხვადასხვა ინფორმაციას ამ კომპანიის სერვისებისა თუ პროდუქტების შესახებ, მრავალი ორგანიზაცია რეკლამის

განთავსებისათვის იყენებს სხვადასხვა ტიპის სოციალურ ქსელებს. ახალი არ არის, რომ რეკლამა სოციალურ ქსელებში ძალიან პოპულარულია, ყოველ წამს მომხმარებელი ყურადღებას აქცევს რეკლამას. არსებობს რამდენიმე სახის სოციალური ქსელი, თითოეული მათგანი შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა გზით მარკეტინგული მიზნებისათვის.

1.ზოგადი ფორმატის სოციალური ქსელები, როგორიცაა Facebook, My World, Instagram, Youtube, Twitter და ა. შ. მარკეტინგული ინსტრუმენტების ფართო სპექტრია (რეკლამა, მომხმარებელთა პოპულარიზაცია, პირადი გაყიდვა) ინტერნეტ მარკეტინგში. მომხმარებელს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში გაჯეტების წყალობით შეუძლია ინტერნეტში შეღწევა ყველაზე ფართო სპექტრის საშუალებით: ინტერნეტ სერვისები და მობილური ტექნოლოგიები (GPS, Bluetooth, Wi-Fi, Geo-IP და ა. შ.).

ასეთ ქსელებში დიდი პლიუსია ის, რომ რეკლამა შეიძლება განხორციელდეს განურჩევლად სამიზნე აუდიტორიისა, ასევე, რეკლამა შეიძლება განთავსდეს თემატურ ჯგუფებში, თემებში. რეკლამა ძალიან გამოხატულია საიტზე და იპყრობს მრავალი მომხმარებლის ყურადღებას. მაგალითად, თიზერული რეკლამა გამოიყენება Facebook, და სხვ. ქსელებში; ეს არის რეკლამის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობა. „ტეიზერი“ ითარგმნება როგორც „პროვოკატორი“, „ცელქი“. IN სარეკლამო სფეროში ეს სიტყვა ნიშნავს პროვოკაციულ, მიმზიდველ რეკლამას მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმატში სურათით. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული რეკლამა სოციალურ ქსელში. ჩვეულებრივ, ონლაინ მაღაზიების რეკლამას ამ გზით აკეთებენ ტანსაცმელზე ან ინოვაციურ ტექნოლოგიებზე.

ამ ფორმატის სოციალური ქსელების წყალობით ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ და თან სწავლობენ რეკლამას. სოციალური მედიის მარკეტინგი მნიშვნელოვნად განსხვავდება მარკეტინგისგან სპეციალიზებულ, კორპორატიულ საიტებზე. მათი საიტები არაეფექტიანია, თუ საიტის ბმული არ არის მიმაგრებული რეკლამაზე სოციალურ ქსელში.

მოდური გახდა რეკლამის განთავსება ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა, მაგრამ, ასევე, დინამიურ სოციალურ ქსელში - „ინსტაგრამი". Instagram სოციალური ქსელია, რომელიც სპეციალიზირებულია ძირითადად მობილური ტელეფონით გადაღებულ ფოტოებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ძირითადი სარეკლამო კონტენტი იქნება გრაფიკული. ბოლო პერიოდში მომხმარებელთა უმრავლესობას ატვირთული აქვს დიდი რაოდენობით ფოტო და ყოველდღიურად მას აქვს დაახლოებით 1,5 მილიარდი მოწონება. ამავდროულად, ინსტაგრამზე არსებობს მოკლე ვიდეოების ატვირთვის შესაძლებლობა (არა უმეტეს 15 წამისა), რაც ამატებს კიდევ უფრო მეტ სარეკლამო შესაძლებლობებს.

ეს პლატფორმა უფრო გამოიყენება როგორც პროდუქტის კატალოგი, სადაც განთავსებულია პროდუქტების ფოტოები. ინსტაგრამზე არის ერთი განმასხვავებელი თვისება ჰეშთეგების სახით - საკვანძო სიტყვა ან ფრაზა. ჰეშთეგები იძლევა კლიენტების დამატებითი მოზიდვის შესაძლებლობას კომპანიის ვებ-გვერდზე. ჰეშთეგების დახმარებით მომხმარებელს შეუძლია სასურველი ბრენდის, პროდუქტის ფოტოს პოვნს. ჰეშტაგები ზრდის დათვალიერების აქტივობას და ხელს უწყობს პროდუქტს ინტერნეტში. კომპანიები საკმაოდ დიდი ხანია იყენებენ ინსტაგრამის სერვისს საკუთარი ბიზნესის რეკლამირებისათვის და კარგი შედეგების მისაღებად.

საიდუმლო არ არის, რომ დღეს არის უამრავი ფირმა - შუამავალი - გადამყიდველი. საქონელი აზიური ონლაინ აუქციონიდან ტაო ბაოდან, სწორედ მათი ინსტაგრამის ბიზნესი იძენს იმპულსს. ისინი ინსტაგრამზე ქმნიან ბიზნეს ანგარიშს, რომელშიც აქვეყნებენ გარკვეული საქონლის გაყიდვის ფოტოებს. პროდუქტის სამიზნე აუდიტორია განსხვავებულია, პროდუქტის შეძენა შესაძლებელია დაუყოვნებლივ, თუ ის ხელმისაწვდომია, ან შეკვეთა 50% ან 100% წინასწარი გადახდით, მთელ მსოფლიოში დიდი მოთხოვნაა ასეთი ბიზნეს ანგრიშსწორების. ამ სქემას ყველაზე მეტად მისდევს დამწყები ბიზნესმენები სხვადასხვა ინდუსტრიულ სექტორში. ეს ძალიან სარისკოა, თაღლითობას ახლა ძალიან ხშირად ვხვდებით სოციალურ ქსელებში.

ზოგადი ფორმატის სოციალურ ქსელებში ისინი წარმოადგენენ არა მხოლოდ იურიდიულ პირებს, არამედ ფიზიკურ პირებს, დარეგისტრირებულ მომხმარებლებს. ისინი ყიდიან, აქვეყნებენ რეკლამას და სთავაზობენ თავიანთ საქონელს, ასევე, მომსახურებას სალონების სახით, სარემონტო

სამუშაოებს, სატვირთო მანქანებს, საკონდიტრო ნაწარმს და ხელოვნების ნიმუშებს. რეკლამა წარმოდგენილია შექმნილი ჯგუფების, თემების სახით, სადაც გროვდება აქტიური აბონენტების დიდი რაოდენობა, ხშირად იმართება მარკეტინგული გათამაშებები, სადაც უნდა იყოს ერთი ან მეტი გამარჯვებული. მონაწილეებს სთავაზობენ სხვადასხვა სახის მომსახურებას ან პროდუქტს, მოთხოვნა ასეთ სერვისებზე და თანამედროვე მარკეტინგის პროდუქტზე ყოველდღიურად იზრდება. ასევე, იზრდება სოციალური ქსელების პოპულარობაც.

2. პროფესიული სოციალური ქსელები აგებულია პროფესიულ კომუნიკაციაზე მომხმარებელთა კონკრეტული პროფესიის წარმომადგენლებს შორის. ასეთი საიტების მაგალითები ბევრია "Business World", "HeadHunter Live" და სხვ., ეს საიტები იდეალურია რეკრუტირების, ვირტუალური ბიზნეს პროექტების შესაქმნელად და ასევე, საქონლისა და მომსახურების პოპულარიზაციისათვის პროფესიულ გარემოში. პროფესიონალურ ქსელებში ინტერნეტ მარკეტინგის ძირითადი ინსტრუმენტებია ღია თემები, ონლაინ კონფერენციები, ბლოგები და საბანერო რეკლამა.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტ მარკეტინგი აკმაყოფილებს უამრავ მოთხოვნილებას, ადამიანურ მოთხოვნილებებს, როგორიცაა ფიზიკური, სოციალური, ინდივიდუალური. თანამედროვე მარკეტინგის მიზანი არ არის საქონლის გაყიდვა და მომსახურება ნებისმიერი გზით, მომხმარებლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას.

3. სოციალური ქსელების ინტერესები მდგომარეობს მათ უნიკალურობაში. ასეთი ქსელები აგებულია მომხმარებელთა კომუნიკაციაზე, რომლებიც გაერთიანებულია საერთო ინტერესებითა და მიზნებით. ამ ქსელის ტიპი კომპანიას აძლევს შესაძლებლობას ფოკუსირება მოახდინოს სამიზნე აუდიტორიაზე, პროდუქტებსა და სერვისებზე, რომლებიც შესაბამისია ამ აუდიტორიისთვის. რეკლამაში სოციალური ქსელები ინტერესების მიხედვით გვთავაზობს გარკვეულ თემატურ აქცენტს. საიტზე ნაჩვენებია არა მხოლოდ სარეკლამო ბანერები, არამედ რეკლამის განმთავსებლებს შეუძლიათ განათავსონ სარეკლამო სტატიები, სლოგანები, დააფინანსონ სხვადასხვა ღონისძიებები და მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა კონკურსებში.

მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ ფოტოგრაფების სოციალური ქსელი. ეს საიტი 25 წელზე მეტი ხნისაა და მის ფარგლებში ასევე შეგვიძლია ვიხილოთ ინტერნეტ მარკეტინგის ინსტრუმენტების არსებობა. მომხმარებლებს სთავაზობს მის მომსახურებას. ასევე, ფოტოკონკურსებში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც ფოტოგრაფებს, ასევე ახლად დარეგისტრირებულ მომხმარებლებს. საიტის ვიზიტორებისთვის არის შეტყობინებების დაფა, ბლოგები და თემატური ფორუმები, მათ ასევე შეუძლიათ ეწვიონ ონლაინ ფოტოების გამოფენებს. საიტი, ასევე, შეიცავს ცნობილი მწარმოებლის Canon-ის ფოტოგრაფიული აღჭურვილობის რეკლამებს.

სოციალური ქსელები მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო არხი და განუყოფელი ნაწილია მარკეტინგული აქტივობების, ნებისმიერი საწარმოს, ასევე, შემოქმედებითი საქმიანობაა ნებისმიერი ადამიანის, მომხმარებლის. ყველა თავის ცხოვრებაში სოციალური ქსელების ხარჯზე შეხვდა ინტერნეტ მარკეტინგის ინსტრუმენტებს. ზოგიერთი დადებითად იღებს რეკლამას და იყენებს მას თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ზოგი კი ნეგატიურადაა დამოკიდებული და რეკლამას ბლოკავს.

ბევრი სოციალური მედიის პლატფორმა, ასევე, ეფექტიანად იყენებს რეკლამის სხვადასხვა ფორმებს პროდუქტების გასაყიდად და მყიდველების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ასეთი რეკლამები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი სახით: ბლოგები - რეკლამის ყველაზე პერსპექტიული ვარიანტია, ეს გულისხმობს უახლოეს კონტაქტს პოტენციურ კლიენტთან. ბლოგი აღიქმება როგორც რეკომენდაცია, ეს ზრდის მის ეფექტიანობას; კონტექსტური რეკლამა - აგებულია იმ საიტის კონტექსტზე, რომელსაც მომხმარებელი ეძებს ან ნახულობს; თიზერული რეკლამა - იზიდავს პოტენციურ კლიენტს ხილვადობის გამო, წარმოდგენილია როგორც პატარა სურათი; ელექტრონული ფოსტის სერვისები - საფოსტო სიები - კომპანიები ქმნიან საკუთარ ელ. ფოსტას; საინფორმაციო ბიულეტენი, რომელიც იგზავნება ელექტრონული ფოსტით, ასეთი ბიულეტენი ინარჩუნებს მომხმარებლებს კარგ ფორმაში და იზიდავს ახალს.

ყველა სახის რეკლამა თავისებურად ეფექტური და ეფექტიანია, თითოეული კომპანია თავისთვის ირჩევს რეკლამას საკუთარი კრიტერიუმების მიხედვით, არის რეკლამაც სოციალურ ქსელებში გასავრცელებლად. შესაბამისად, ტექნოლოგიების კლასიფიკაციაა: ვირუსული მარკეტინგი _ ვიდეოების გავრცელება, ბანერები სოციალურ ქსელებში "YouTube", "RuTube", კინოინდუსტრიის საიტებზე, ასევე, თემატური ჯგუფები; პარტიზანული მარკეტინგი, როდესაც კომპანია მონაწილეობს სამიზნე აუდიტორიის წარმომადგენლებთან დისკუსიაში და საჭირო დროს ახდენს მათზე გავლენას შექმნას აზრი, პროდუქტის უნიკალურობაზე; სტატიები და პუბლიკაციები - კომპანიები აქვეყნებენ თავიანთ სტატიებს კონკრეტულ სამიზნე აუდიტორიის მქონე ვებსაიტებზე.

თითოეულ ტექნოლოგიას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე. ყველაზე მეტად ვირუსული მარკეტინგი განიხილება, რადგან ის ეფექტიანია, აქვს ხანგრძლივი სიცოცხლის ციკლი და აყალიბებს მომხმარებლის დამოკიდებულებას პროდუქტის მიმართ. სოციალურ ქსელებში ხშირად ვხვდებით მსგავს რეკლამებს სხვადასხვა საიტზე. რეკლამა იძლევა უზარმაზარ შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს ნებისმიერი კომპანიის განვითარებაზე.

2021 წელს Meta-მ (ყოფილი Facebook) წარმოადგინა თავისი პერსპექტიული მეტავერსია. ამან დააჩქარა მარკეტინგის აუცილებლობა, შეეტანათ ჰიბრიდული და შერეული რეალობები მათ მარკეტინგში. ვირტუალური რეალობის (VR) მარკეტინგი საშუალებას აძლევს ბრენდებს გაავრცელონ თავიანთი პროდუქტები ან სერვისები VR ტექნოლოგიის გამოყენებით, რათა შექმნან იმიტირებული, მაგრამ რეალისტური გამოცდილება.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა ბრენდმა წარმატებით გამოიყენა გაძლიერებული რეალობის (AR) ტაქტიკა მომხმარებელთა ჩასართავად, როგორიცაა Sephora-ს Virtual Artist და Ikea-ს AR, რამდენიმემ შეიმუშავა ვირტუალური რეალობის სრულად ჩაძირული გამოცდილება, რომელიც მოითხოვს VR ყურსასმენს.

ვირტუალური ფიტინგები და Instagram-ის ბრენდირებული ფილტრები გააგრძელებენ გავლენას 2023 წლის მარკეტინგულ ლანდშაფტზე, მაგრამ მოსალოდნელია, რომ კიდევ უფრო ინოვაციური VR მარკეტინგული ტაქტიკა გამოვა წინა პლანზე.

ბოლო წლებში ნივთების ინტერნეტი (IoT) ფართოდ გავრცელდა (Alexa და Siri). ეს ტერმინი აღწერს „ნივთების“ ქსელს, რომლებიც დაკავშირებულია სენსორებისა და პროგრამული უზრუნველ-ყოფის საშუალებით, რათა დაუკავშირდნენ და გაცვალონ მონაცემები ერთმანეთთან ინტერნეტით.

Cisco-ს მონაცემებით, 2030 წლისთვის 500 მილიარდი მოწყობილობა ინტერნეტთან იქნება დაკავშირებული. ეს ნიშნავს, რომ მარკეტერებმა უნდა დაიწყონ ფიქრი იმაზე, თუ როგორ უნდა ჩართონ IoT და ხელოვნური ინტელექტი თავიანთ პროგრამებში, რათა მხარი დაუჭირონ ომნიკანალურ მარკეტინგს ყველა არხზე, რომელსაც გამოიყენებენ მათი პოტენციური მყიდველები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე რ., თოდუა ნ., ინტერნეტ-მარკეტინგი. თბ., „უნივერსალი“. 2011
2. აბულაძე რ., წოწკოლაური ფ. ელექტრონული ბიზნესი. თბ., „უნივერსალი“. 2016
3. ლომინაძე ს. ბრენდი და თანამედროვე ბრენდინგის ტექნოლოგიები. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2011
4. ხახუტაშვილი ე, ქობლიანიძე თ., კოჭლამაზაშვილი ლ. რეკლამა და სტიმულირება. „გრაალი“. 2013
5. ჭიაურელი ვ., ლომინაძე ს., სტრელკოვა რ. საზოგადოებრივი ურთიერთობების ძირითადი პრინციპები. ,,ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბ., 2021
6. Richard Rosenbaum, Elliott, Larry Percy, Simon Pervan - “Strategic Brand Management”. Swinburne University of Technology. ISBN 978-0-19-870420-1. United Kingdom. July, 2015

Public relations, marketing and contemporary challenges

Devidze Tamari
Associate Professor of Georgian Technical University

Amkoladze Guram
Professor of Georgian Technical University

Abstract

It must be said that social networks are not only a tool for Internet marketing. Forms of e-commerce, a new type of entrepreneurial activity on the Internet have appeared and are developing in social networks. Internet marketing is the most powerful tool in Internet commerce. What consumer trends are we seeing with the advent of Internet technology: The loss of privacy is perhaps the most obvious dark side of technical systems. We've heard many times that Google is watching us. Snowden's flight made it clear that not only Google is watching us, but everything from computers to computer protection systems against surveillance and viruses is watching and infecting us. and endless customer information from databases. This data is essential information for advertising agencies. Now it is no longer necessary to ask about the user's preferences, the database will tell us about all his needs, a portrait of the user will be formed after decades of visiting the Internet. The user entered a query in the search engine Google, etc. And at his request, banners, contextual advertising, modified text with brands integrated into it, links to websites, etc. appeared.

ეთნო გასტრონომიული ტურიზმის მდგრადი განვითარების მარკეტინგული სტრატეგია (მთიანი აჭარის მაგალითზე)

ვასაძე მანანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

გასტრონომიული ტურიზმი მსოფლიო მასშტაბით უკვე დამკვიდრებული და საკმაოდ წარმატებული ტურისტული ატრაქციაა. ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო იზრდება გასტრონომიულ თემასთან დაკავშირებით დაინტერესებული ტურისტების რაოდენობა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ტურიზმის ამ კატეგორიის მიმზიდველობას და პერსპექტიულობას. გლობალიზაციისა და ტურიზმის სფეროში უდიდესი კონკურენციის ეპოქაში ყველა ქვეყანა ცდილობს უნიკალური კვების პროდუქტის თუ გასტრონომიული თავისებურებების მარკეტინგის მეშვეობით დაანახოს სხვა სამყაროს მისი განსაკუთრებულობა, ეგზოტიკურობა და სიდიადე. სწორედ ასეთი ქვეყნების რიგს შეიძლება თამამად მივაკუთვნოთ ქართული გასტრონომიული კულტურა, რომლის პოპულარიზაცია ნელ-ნელა, მაგრამ მაინც მიმდინარეობს. საქართველოთი დაინტერესებაში განსაკუთრებული როლი, სხვა ფაქტორებთან ერთად, ითამაშა ამ ქვეყნის გასტრონომიულმა თავისებურებებმა და იუნესკოს მიერ ქვევრის ღვინის დაყენების მსოფლიო არამატერიალური ფასეულობების ნუსხაში შეტანამ. შანსი, რომელიც ჩვენ ამით მოგვეცა ქვეყანამ უნდა გამოიყენოს როგორც დიდი ტურისტული ბიზნესის წყარო, მეცნიერების, გასტრონომების, ისტორიკოსების, ბიზნესის ჩართულობით. კლიენტზე ფოკუსირებული ბიზნესის ფილოსოფია, ორიენტაცია მომხმარებელზე, კლიენტის საჭიროებათა დაკმაყოფილება ტურიზმში დასაქმებული კომპანიისა და მისი ყველა სამსახურის მთავარი ამოცანაა. შიდა ტურისტებს აჭარაში ძირითადად ზღვა იზიდავთ, ხოლო უცხოელი ტურისტები ეკოტურიზმით (მაღალმთიანი აჭარა) არიან დაინტერესებულნი. შესაბამისად, აჭარაში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ტურიზმის სფეროში სხვადასხვა მიმართულების განვითარების კუთხით, რათა რეგიონი მიმზიდველი იყოს ტურისტებისთვის წლის ნებისმიერ სეზონზე. კვლევა გვიჩვენებს, რომ აჭარული კერძების უმრავლესობა სრულიად უცნობია საზოგადოებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ტურისტული ატრაქცია, გასტრონომიული ტურიზმი, ეთნო გასტრონომიული ტურიზმი, მარკეტინგული მიქსი, მარკეტინგული სტრატეგია

ძირითადი ტექსტი

გასტრონომიული ტურიზმის მდგრადი განვითარება ცვლის გლობალურ სოციალურ მიდგომებს ადამიანებში, აფართოვებს საკვების როლის მნიშვნელობას ადამიანთა განვითარების ისტორიაში და აყალიბებს სამომავლო პერსპექტივებს გლობალურ სამყაროში, სადაც ყველა არსებას ჭირდება საკვები.

საკვებს შეუძლია სენსორული, კულტურული და სოციალური გამოცდილებების ინტეგრირება თავის თავში. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ისიც არის, რომ გასტრონომიულ გამოცდილებას შეუძლია დროის შეჩერება და დროში დაბრუნება, ეს არ არის მარტო საკვებზე ორიენტირება, არამედ მისი საშუალებით ერის კულტურაში შეღწევა, დაფასება, მიღება. მისი საშუალებით ხდება ქვეყნის გეოგრაფიის, ისტორიის და ადამიანთა ხასიათის ფორმირების შეცნობა.

გლობალიზაციისა და ტურიზმის სფეროში უდიდესი კონკურენციის ეპოქაში ყველა ქვეყანა ცდილობს უნიკალური კვების პროდუქტის თუ გასტრონომიული თავისებურებების მარკეტინგის მეშვეობით დაანახოს სხვა სამყაროს მისი განსაკუთრებულობა, ეგზოტიკურობა და სიდიადე. სწორედ ასეთი ქვეყნების რიგს შეიძლება თამამად მივაკუთვნოთ ქართული გასტრონომიული კულტურა, რომლის პოპულარიზაცია ნელ-ნელა, მაგრამ მაინც მიმდინარეობს. საქართველოთი დაინტერესებაში განსაკუთრებული როლი, სხვა ფაქტორებთან ერთად, ითამაშა ამ ქვეყნის გასტრონომიულმა თავისებურებებმა და იუნესკოს მიერ ქვევრის ღვინის დაყენების მსოფ-

ლიო არამატერიალური ფასეულობების ნუსხაში შეტანამ. შანსი, რომელიც ჩვენ ამით მოგვეცა ქვეყანამ უნდა გამოიყენოს, როგორც დიდი ტურისტული ბიზნესის წყარო, მეცნიერების, გასტრონომების, ისტორიკოსების, ბიზნესის ჩართულობით.

აჭარა საქართველოს ძირძველი ნაწილია. ანტიკური ხანიდან მოყოლებული, ეთნიკურად, ენობრივად და ისტორიულად იგი ერთიან ქართულ სივრცეში მოიაზრება. აჭარული ტრადიციები, ადათ-წესები, დიალექტი, ფოლკლორი, ხალხური თვითშემოქმედება და ამ კუთხის ყოფის მრავალი სხვა დეტალი, ერთიანი ქართული კულტურის მძლავრი შტოა. ამასთან ერთად, საქართველოს სხვა ისტორიული პროვინციებისაგან აჭარას გარკეული სპეციფიურობა და ადგილობრივი თავისებურება განასხვავებს.

შიდა ტურისტებს აჭარაში ძირითადად ზღვა იზიდავთ, ხოლო უცხოელი ტურისტები ეკოტურიზმით (მაღალმთიანი აჭარა) არიან დაინტერესებულნი. შესაბამისად, აჭარაში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ტურიზმის სფეროში სხვადასხვა მიმართულების განვითარების კუთხით, რათა რეგიონი მიმზიდველი იყოს ტურისტებისთვის წლის ნებისმიერ სეზონზე.

როგორც ყველა ბიზნესის, ასევე, გასტრო-ტურისტული ბიზნესის სტრატეგიის საკვანძო ნაწილს მარკეტინგი წარმოადგენს. ეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურიზმისათის, რადგან ეს დარგი მომსახურების სფეროს წარმოადგენს, ამიტომ, მასში წარმატების მიღწევა და მისი შენარჩუნება უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანის რთული რეკრეაციული მოთხოვნილებების, ინტერესების, განწყობილებების სწორ შეფასებასა და მართვაზე. გარდა ამისა, ტურიზმის ბაზარი ჭეშმარიტად პლანეტარულ მასშტაბებს მოიცავს, შესაბამისად მისი შესწავლა და მარკეტინგული სტრატეგიის წარმოება ასევე პლანეტარულ მასშტაბებზე უნდა იყოს გათვლილი. და, ბოლოს, ტურიზმში კონკურენცია ძალიან მძაფრია, სწორი მარკეტინგის გარეშე აქ წარმატების მიღწევაზე ფიქრიც კი ზედმეტია. თანამედროვე მარკეტინგი ძალზე განვითარებული და დახვეწილია. იგი მყისიერად პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს, ითვალისწინებს ტენდენციებს და პროგნოზს. ეს განსაუთრებით ეხება ტურიზმის სფეროს, როგორც მომსახურების სფეროს ყველაზე დინამიურად განვითარებად დარგს. განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა თანამედროვე ტურისტულ ბაზარს სამომხმარებლო მოთხოვნის ინდივიდუალიზაციის დივერსიფიკაციის ტენდენციები ახასიათებს. რაც ადეკვატურ მარკეტინგს მოითხოვს.

მარკეტინგში მნიშვნელოვნად გაიზარდა მომხმარებლის ფაქტორი. ტურიზმისა და სასტუმრო ინდუსტრიის ცნობილი სპეციალისტები ფ.კოტლერი, ჯ.ბოუენი და ჯ. მეიკენზი[1] მარკეტინგის ბუნების კვლევას იწყებენ მტკიცებით, რომ მარკეტინგი ბიზნესის ერთ-ერთი ფუნქცია კი არ არის, რომელსაც შესაბამისი მარკეტინგის განყოფილება ასრულებს, არამედ კლიენტზე ფოკუსირებული ბიზნესის ფილოსოფიაა. კლიენტზე ორიენტაცია უნდა განსჭვალავდეს მთელს ორგანიზაციას. ამ ფილოსოფიის მთავარი იდეა კლიენტის საჭიროებათა დაკმაყოფილებაში მდგომარეობს. ეს უნდა იყოს ტურიზმში დასაქმებული კომპანიისა და მისი ყველა სამსახურის მთავარი ამოცანა. ამისათვის ავტორებს შემოაქვთ მარკეტინგ-მიქსის - მარკეტინგული ღონისძიების კომპლექსის ცნება.

თუ მარკეტინგი სწორადაა წარმართული, სწორადაა განვსაზღვრული კლიენტის მოთხოვნილებები და საჭიროებები, თუ ვაწარმოებთ საჭირო საქონელს, არსებობს ფასების შესაბამისობა, შექმნილია საქონლის გასაღების ხელსაყრელი პირობები და მისი განაწილების ეფექტიანი სისტემა, შედეგად მიმზიდველ საქონელსა და კმაყოფილ კლიენტს ვიღებთ.

მენიუს შედგენისას გარდა მისი მრავალფეროვნებისა, გასათვალისწინებელია კლიენტების მზარდი მოთხოვნა ჯანმრთელ კვებაზე, ადგილობრივი სამზარეულოს თავისებურებები, პროდუქტების სეზონურობა, მათი თვითღირებულება და ა.შ. თანამედროვე მასპინძლობის ინდუსტრიის უმთავრეს ნაწილად იქცა გართობა და ამიტომ სასურველია, რომ მზარეული კლიენტისთვის ხელმისაწვდომი და ხილული გახდეს. მენიუს გადახალისებისას საჭმელთან „თამაშის“, ინტერპრეტაციების და ექსპერიმენტების ჩატარების საშუალება გვეძლევა. სადავო აღარ არის, რომ ადამიანების ერთ–ერთ უმთავრეს საზრუნავს სწორედ ჭამა–სმა წარმოადგენს,

გასტრონომიული ტურიზმის განვითარების ტრენდები აჭარაში

აჭარული სამზარეულო გამოირჩევა მრავალფეროვნებით და უნიკალური კერძებით, აჭარულ

კერძებში უხვადაა რძის სხვადასხვა პროდუქტის გამოყენებით მომზადებული შეჭამანდები. მაგალითად, მთიანი აჭარის საუზმე ძირითადად ჩაი და დაწნული ყველი გახლავთ, ჰასუთასთან და ბორანოსთან ერთად. სადილად ხავიწსა და კაიმაღს შემოგთავაზებენ, ხოლო ვახშმად – ყურუთს, სინორსა ან ბორანოს [2]. აჭარული სამზარეულო ყველაზე მრავალფეროვანია, იგი ფერთა მთელი პალიტრაა. აქ ერთმანეთშია შერწყმული მთის ხისტი და ზღვისპირეთის ნაზი არომატები. აჭარაში სულ 150-მდე დასახელების კერძია ფიქსირებული [3}. იმის გამო, რომ აჭარაში ერთმანეთს ერწყმის ორი განსხავებული კულტურა: ქრისტიანული და მუსულმანური, სამზარეულო შესაბამისად ყველაზე მრავალფეროვანი და გამორჩეულია. აჭარულ სამზარეულოში უხვადაა როგორც ბოსტნეულისგან, ასევე ხორცისა და თევზისგან დამზადებული კერძები, ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტკბილეულობას. მთიანი აჭარის კერძებში საკმაოდ შეიმჩნევა თურქული გავლენა. მაგალითად, აჭარის ერთ-ერთი უგემრიელესი ნუგბარი, სწორედ თურქული ბაქლავას ანალოგიურია. აჭარული სუფრის ყველაზე მნიშვნელოვან ატრიბუტს ღვინო წარმოადგენს. მევენახეობის ისტორიულ მხარედ ქედის მუნიციპალიტეტი ითვლება. სხვა უამრავ ნაირსახეობასთან ერთად აჭარაში ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს: ცოლიკაური (თეთრი) და ჩხავერი (ვარდისფერი).აჭარული კერძების მრავალფეროვნება და სპეციფიკურობა მუდმივად აოცებს ამ კუთხის ვიზიტორს. სამზარეულო ხომ მთიანი აჭარის ერთ -ერთი სავიზიტო ბარათია!

ბათუმში 40-მდე ტურისტული სააგენტოა. მათ კარგად აქვთ ათვისებული აჭარის რეგიონის როგორც ბარის ასევე მთიანი ნაწილი. ბევრი ტურისტული სააგენტო მუშაობს ტურებზე აჭარაში, თუმცა, არც ერთი მათგანი არ არის ფოკუსირებული, კონკრეტულად, აჭარული სამზარეულოს პოპულარიზაციაზე. ძირითადი ყურადღება მახვილდება სანახაობებზე, განსაკუთრებით მაღალმთიან აჭარაში. 30 ტურისტული სააგენტოდან მხოლოდ ორი სააგენტო, აჭარა ტური და აკარ ტური არის დაკავებული გასტრონომიული ტურებით, ამ ტურების დიდი ნაწილი ღვინის მასტერკლასებს, ღვინის მარნების მონახულებას და ქართული ღვინის დაგემოვნებას მოიცავს.

კვლევამ აჩვენა, რომ აჭარაში არსებული 143 რესტორანიდან (ამ რიცხვში არ შედის ევროპული და მაღალი კლასის სასტუმროების რესტორნები) მხოლოდ:

- 35 რესტორანში მზადდება ერთი აჭარული კერძი მაინც.
- 35-დან 10 რესტორანი ანუ რესტორნების 27% აჭარული სამზარეულოდან ამზადებს ერთადერთ აჭარულ კერძს. ეს არის აჭარული ხაჭაპური.
- 2 ამზადებს აჭარული კერძების უმრავლესობას.
- (აჭარული სახლი 23 კერძი; რესტორანი მასპინძელი- 15 კერძი)
- ბათუმისა და მაღალმთიანი აჭარის რესტორნებში აჭარული 70 კერძიდან მზადდება მხოლოდ 30.
- აჭარული კერძების 42% მზადდება რესტორნებში. დანარჩენი კერძები სრულიად უცნობია საზოგადოებისათვის და დაკარგულია.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 50-მა ადამიანმა. ანკეტაში აღნიშნულია 20 აჭარული ტრადიციული კერძი. მწვანე სვეტით აღნიშნულია გამოკითხულთა ის რაოდენობა, რომლებსაც სმენიათ აქ ჩამოთვლილი კერძების შესახებ. მაგალითად: აჭარული ხაჭაპური როგორც ვხედავთ ყველასთვის ნაცნობია, 50-ვეს სმენია ამ კერძის შესახებ. ლურჯი სვეტი გვიჩვენებს იმ რაოდენობას, რომლებსაც არამარტო სმენიათ არამედ დაუგემოვნებიათ კიდეც თითოეული კერძი. მაგალითად: აჭარული ხაჭაპურის შესახებ სმენია და დაუგემოვნებია 50-დან 50-ს. და ბოლოს წითელი სვეტი გვიჩვენებს კერძების იმ რაოდენობას, რომლებიც არც სმენიათ და არც დაუგემოვნებიათ მონაწილეებს. კვლევა გვიჩვენებს, რომ აჭარული კერძების უმრავლესობა სრულიად უცნობია საზოგადოებისათვის.

10%	6%	3%	1%	3%	1%	0,36%	0,36%	0,36%	0,72%	0,72%	0,36%	0,36%
აჭარული ხაჭაპური	ბორანო	იახნი	ჩაქონდრი	სინორი	ჩირბული	ჯრმა	იაღლიჭადი	ყურუთი	ყაიმაღი	ბაქლოვა	ყაისაფა	მაღლახტო



ამრიგად, გასტრონომიული ტურიზმი მსოფლიო მასშტაბით უკვე დამკვიდრებული და საკმაოდ წარმატებული ტურისტული ატრაქციაა. ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება გასტრონომიული თემით დაინტერესებული ტურისტების რაოდენობა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ტურიზმის ამ კატეგორიის მიმზიდველობას და პერსპექტიულობას. თვალნათლივ ჩანს, რომ გარდა აჭარული ხაჭაპურისა სხვა აჭარულ კერძებს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. შესაბამისად, საჭიროა ადექვატური მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Kotler P., Bowen J., Makens J. Marketing for Hospitality and Tourism. Prentice Hant., 2005.
2. http://mzias-supra.com/acharuli-samzareulo/ყველაფერი კულინარიაზე
3. goadjara.wordpress.com/2015/-აღმოაჩინე აჭარა
4. http://tsu-tdi.blogspot.com/p/i.html

Marketing strategy for Sustainable Development of Ethno-Gastronomic Tourism (Case study of mountainous Adjara)

Vasadze Manana GTU, Professor

Abstract

Gastronomic tourism is an established and quite successful tourist attraction worldwide. Every year the number of tourists interested in getting to discover new cuisine is increasing. In the era of globalization and the greatest competition in the field of tourism, every country tries to show the other world its uniqueness, exoticism and greatness through the marketing of a unique food product or gastronomic features. Georgian gastronomic culture can be confidently attributed to such countries, the promotion of which is slowly but still ongoing. A special role of Georgia, among other factors, was the inclusion of Kvevri winemaking in the list of World Intangible values by UNESCO.. Customer-focused business philosophy, client-orientation, satisfaction of client's needs is the main task of the company employed in tourism and all its services. Domestic tourists are mainly attracted to Adjara for sea, sand and sun, while foreign tourists are interested in ecotourism (mountainous Adjara). Accordingly, work is actively underway in Adjara in terms of the development of various directions in the field of tourism, so that the region is attractive for tourists in any season of the year. Research shows that the majority of Adjarian dishes are completely unknown to the public.

Key words: tourist attraction, gastronomy tourism, ethno-gastronomy tourism, marketing mix, marketing strategy.

ნაციონალური ერი და არატრადიციული ნაციონალიზმი

ზირაქაშვილი თამარ
ინფორმატიკის დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსტეტი

აბსტრაქტი

ნაციონალური ერი და არატრადიციული ნაციონალური სახელმწიფოს მდგომარეობაზე დღეისათვის კიდევ ერთი მოვლენა ახდენს გავლენას. ეს არის კიდევ ერთი გლობალური ტალღა, რომელიც დემოგრაფიული ფაქტორით განიზარვრება. „მსოფლიო სამხრეთიდან“, „მსოფლიო ჩრდილოეთისაკენ“ სწრაფვამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო. ამ ტალღის ობიექტურად განმაპირობებელი კომპონენტებია ეკონომიკური და პოლიტიკური მიგრაცია. ეს რათქმა უნდა „მესამე სამყაროდან“ წამოსული იმიგრაცია მიმღები ქვეყნების კულტურებზე ზეგავლენას ახდენს. გავიხსენოთ, რომ თანამედროვე ნაციონალური სახელმწიფოები თავის დროზე მათ წინამორბედი იმპერიების დაცემის შედეგად და პოლიეთნიკური და პოლიტკულტურული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნებისაგან აღმოცენდნენ. მათი ფორმირება ნიშნავდა პოლიტიკურ ემანსიპაციას და შედარებით ერთიანი კულტურის ერთობათა შერწყმას.

საკვანძო სიტყვები :ნაციონალური, საერთაშორისო, არატრადიციული.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის ყველა დონეზე უდიდეს გავლენას ახდენს გლობალური კულტურული ნაკადი, რომელსაც რიგი საერთაშორისო მკვლევარები მოიხსენიებენ, როგორც „მსოფლიო საინფორმაციო წესრიგს“. ასეთი წესრიგი შესაძლებელი გახდა უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საკომუნიკაციო სისტემების წყალობით და მოიცვა ტრანსნაციონალური ურთიერთობების ყველა პროცესი.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფუნდამენტური გარემოება, რომ გლობალური კულტურა თავისი არსით, პოსტმოდერნის კულტურაა, ანუ ის პრინციპში წარმოადგენს ღია, პლურალისტურ და ჰეტეროგენურ კულტურას. მას შეუძლია შემდეგშიც მოახდინოს ადაპტირება ნებისმიერ კულტურულ შინაარსსა და ტრადიციასთან. სხვა საკითხია, რომ „მსოფლიო საინფორმაციო წესრიგის“ კომერციული მიდგომის ფარგლებში, სწორედ დასავლური კულტურის პროდუქტებია მასობრივად მოთხოვნადი.

ამგვარად, გლობალური კულტურა თავის თავში ორი შინაარსობრივი პლასტის მატარებელია: პირველი - ესაა კოსმოპოლიტური, პრინციპულად რაიმე ნაციონალური შეფერილობისაგან თავისუფალი იდეები და სახეები; მეორე - ესაა „ყველა დროისა და ხალხის“ ტრადიციული კულტურული ელემენტების მკვეთრი შერევა .

ნებისმიერ შემთხვევაში ფორმირებად გლობალურ კულტურას ძალზე ცოტა რამ აქვს საერთო ნებისმიერ ტრადიციულ ეროვნულ კულტურასთა. ამ თვალსაზრისით გლობალური კულტურა მასზე ახდენს ნეგატიურ ზეგავლენას (ამ მხრივ ნიშანდობლივია საფრანგეთის მაგალითი).

ეროვნულ კულტურაზე ამგვარი შეტევა, ცხადია აისახება კლასიკურ ნაციონალურ სახელმწიფოზე. გავიხსენოთ, რომ სწორედ ამა თუ იმ ხალხის კულტურული ერთობა, ისტორიულ - ტრადიციული ერთიანობა წარმოადგენდა თავის დროზე შესაბამისი „ნაციონალური ელიტების“ უმთავრეს არგუმენტს ერი-სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე ლეგიტიმაციისა და პოლიტიკური პრეტენზიისათვის. გლობალიზაციის პირობებში კულტურები, რომელსაც ფორმალურად ინარჩუნებენ კლასიკური ერი-სახელმწიფოები, თანდათან იკარგება. ამ უკანასკნელისათვის, როგორც საკუთარი ძალაუფლების გამართლების საკვანძო რესურსი.

„მსოფლიოს საინფორმაციო წესრიგისადმი“ რამდენადმე სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა ნაციონალისტურად განწყობილი პოლიტიკოსებისა და ბიუროკრატების მხრიდან, როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს წინასწარ განწირულია დასამარცხებლად. ყოველ შემთხვევაში,

ასე იყო აქამდე, თუმცა ბოლო დროს მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ნაციონალური სახელმწიფოს ჩამოწერა ნაადრევია.

საერთაშორისო კომუნიკაციების არსებობას ჩაკეტვა იქნებოდა ნებაყოფლიობითი საინფორმაციო იზოლაცია, საზოგადოების კულტურული და შემოქმედებითი პოტენციალის სტაგნაცია, ასევე იქმნებოდა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან გარკვეული არჩევანი ეკონომიკურად და სოციალურ მხარდაჭერაზე ასეთი სახელმწიფოებისადმი. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უკვე კარგა ხანია აღიარა შეზღუდული ეროვნული მასშტაბით. მოქალაქეთა უმრავლესობისათვის ხელმისაწვდომია მათი რეგიონისა და ქვეყნის გარეთ არსებული და ინტერპრეტირებული ინფორმაცია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი ღიაა სხვა კულტურაზე გავლენის მოსახდენად. ისეთ პირობებში, როცა არსებობს თანამგზავრები და ინტერნეტი, ნაციონალური მასშტაბით სელექციური საინფორმაციო და კულტურული პოლიტიკის გატარება შეუძლებელია. რა თქმა უნდა რეგიონული და ტერიტორიული განსხვავება კვლავაც არსებობს, მაგრამ საინფორმაციო და გასართობი პროგრამების მართვა და გაკონტროლება ცენტრალიზებული ფორმით შეუძლებელი ხდება.

ამრიგად გლობალიზაციის საინფორმაციო - კულტურული პროცესის პროექცია ეროვნულ - სახელმწიფოებრივ სფეროზე გვიჩვენებს ფუნდამენტურ ცვლილებაზე კულტურასა და პოლიტიკას შორის ურთიერთობებთან მიმართებით.

მაგრამ კულტურულ - პოლიტიკური კოორდინაციები რომ შეცვლილია, ფაქტია. გლობალიზაციის ეპოქაში პოლიტიკურ მოღვაწეებსა და იდეოლოგებს სულ უფრო და უფრო უჭირთ ლეგიტიმაცია მისცენ ამა თუ იმ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და პროგრამების და პოზიციონირება მოახდინონ მასობრივ შემეცნებაზე შესაბამისი პოლიტიკური სტრუქტურებისა, აპელაციის მეშვეობით ნაციონალური კულტურული ფასეულობებითა და ისტორიული წარსულის „გმირული სახით“.

მსგავს ზეწოლას, რომელსაც გლობალური საინფორმაციო ნიაღვარი ახორციელებს თანამედროვე ნაციონალური სახელმწიფოს კულტურულ „წყობაზე“, ნაციონალური სახელმწიფოს სამეურნეო „ბაზარზე“, ესაა გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური ტალღა.

ეს უკანასკნელი თავისთავად წარმოადგენს ყოველმხრივ საქმიან ტრანსაქციათა ერთობლიობას, რომელიც სუბიექტებს შორის მიმდინარეობს. ეს სუბიექტები ოპერირებენ სხვაადსხვა ნაციონალურ და რეგიონულ მოედნებზე და ხელმძღვანელობენ კერძო-პირადი ან კოოპერატიული, კომერციული ინტერესებით. სამართლებრივი ლიბერალიზაციის პირობებში და ტრანსპორტის უახლესი და საკომუნიკაციო ნედლეულის წყალობით საქონელი, ტექნოლოგიები და კაპიტალი ადვილად კვეთენ ნაციონალურ საზღვრებს, რომელიც 50-60 წლის წინათ წარმოუდგენელი იყო.

განსაკუთრებულ როლს აღნიშნულ საკითხში თამაშობს მსხვილი და უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციები. მაგრამ მის გარდა, გლობალური ეკონომიკური ტალღის წარმოქმნაში მონაწილობენ უამრავი საშუალო და პატარა ბიზნეს-სტრუქტურები - საბანკო - საფინანსო ორგანიზაციები, ტურისტული და სარეკლამო სააგენტოები, პერსონალის დამქირავებელი ფირმები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, სატრანსპორტო კომპანიები და ა.შ. ერთი სიტყვით, ეკონომიკური სისტემა უაღრესად გართულებულია.

ყოველივე ეს გავლენას ახდენს კლასიკური ნაციონალური სახელმწიფოს ეკონომიკურ სუვერენიტეტზე, მაგ. თუ XX საუკუნის პირველ ნახევარში ეკონომიკური ავტარქია განიხილებოდა, როგორც სავსებით გამართლებული რამ და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის გონივრული ფორმა, XX საუკუნის მიწურულსა და XXI საუკუნის დასაწყისში მოწოდებები „სრული სამეურვეო თვითკმარობის“ შესახებ შეიძლება განხილულ იქნას ან როგორც ეკონომიკური არაკომპეტენტურობის გამოვლინება, ან კიდევ როგორც იდეოლოგიური ექსტრავაგანტულობის დემონსტრაცია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობაზე უარის თქმა ნებისმიერ თანამედროვე სახელმწიფოსთვის ნიშნავს გარდაუვალ სტაგნაციას და მსოფლიო სისტემის ღრმა პერიფერიაზე არსებობას. ყოველივე ეს კი აისახება ნაციონალური სახელმწიფოს ეკონომიკურ სივერენიტეტზე.

გლობალიზაციის პირობებში არსებით შესუსტებას განიცდის სახელმწიფო მართვის ისეთი ტრადიციული ეკონომიკური ინსტრუმენტი, როგორიცაა ემისიური პოლიტიკა. რა თქმა უნდა ყველა

ეროვნული სახელმწიფო უვებს თავის ფულს, მაგრამ როგორც XX საუკუნის ბოლოს ეკონომიკურმა პრაქტიკამ გვიჩვენა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ფულადი ანგარიშწორება ხდება არა ეროვნულ ვალურებში, არამედ აშშ-ს დოლარებში.

დღეისათვის ჩვენ თამამად შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ გლობალიზაციის ფინანსურ-ეკონომიკური პროცესი რადიკალურ ტრანსფორმირებად ზემოქმედებას ახდენს ტრადიციულ, ნაციონალური სახელმწიფოს ბოლო საუკუნეებში მტკიცედ დამოკიდებულ ეკონომიკური ხელისუფლების სფეროზე. იმის ნაცვლად, რომ არეგულირებდეს ნაციონალური კორპორაციების მოღვაწეობას და აუცილებლობის შემთხვევაში მათ პოზიციებს იცავდეს მსოფლიო ბაზარზე, თანამედროვე ეროვნული სახელმწიფო იძულებულია იმოქმედოს ტრანსნაციონალური კორპორაციების ინტერესების შესაბამისად და მოემსახუროს მათ მიერ კონსტრუირებულ გლობალურ ეკონომიკას.

დასკვნა

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ვესტერნიზაციის (გლობალიზაციის) პირობებში ნაციონალურმა სახელმწიფომ თანდათან დაიწყო დაკარგვა საკუთარი სუვერენიტეტის ყველა კლასიკური ატრიბუტისა. მას აღარ შეუძლია უკვე გაატაროს არა მარტო დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკისა - თვით ემისიური და საბიუჯეტო შემადგენლებით, და დაიცვას საკუთარი კულტურულ - საინფორმაციო სივრცე, მხარი დაუჭიროს ნაციონალური იდენტობის უმაღლეს დონეს, არამედ „ადამიანის უფლებების“ დროშის ქვეშ შეზღუდულია თავის ყოფილ არცთუ დიდი ხნის წინ განსაკუთრებულ უფლებას, იურიდიული კონტროლი განახორციელოს საკუთარ მოქალაქეებზე.

ამასთანავე მსგავსი ტენდენციები არ უნდა გნვიხილოთ, თითქოს ისინი წარმოდგენენ ზენაციონალური თუ „ანტინაციონალური“ სტრუქტურებისა თუ ინსტიტუტების სტრატეგიის რეალიზაციის გეგმას. ნაციონალისტებისა და შეთქმულების თეორიების მიმდევართა შეხედულებას თუ არ დავუჯერებთ, ნაციონალურ სახელმწიფოთა დესუვერენიზაციის პროცესები უმთავრესად ატარებს სტიქიურ და სავსებით ობიექტურ ხასიათს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ионин Л. Социология культуры: путь в новое тысячелетие. 3-е изд., доп. и перераб. М. 2000.
2. Ионин Л. Новая магическая эпоха, Логос. 2005. № 5 (50).
3. Сидорина Т. Полянников Т. Национализм: теории и политическая история. М. Изд. дом ГУ ВШЭ, 2006.
4. Уткин А. Глобализация: процесс и осмысление. М. Логос, 2000.
5. ჰეივუდი ე. პოლიტიკა, თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტი, 2008.
6. Deutsch K. Nationalism and Social Communication: An Inquiry into the Foundations of Nationality. 2nd edn. Cambridge, Mass.: MIT Press and John Willey, 1966.

National nation and unconventional nationalism

Tamari Zirakishvili
Doctor in informatics
Georgian technical universiry

Deriving from all the above, under the conditions of westernization (globalization), the national state gradually began to lose all the classical attributes of its sovereignty. It is no longer able to carry out independent economic policy - even emission and budgetary components, and protect its own cultural - informational space, support the highest level of national identity, but under the banner of "human rights" is limited to its former special right, legal exercise control over their own citizens.

At the same time, we should not consider such trends as if they represent a plan for realizing the strategy of supranational or "anti-national" structures or institutions. If we do not believe the views of nationalists and followers of conspiracy theories, the processes of de-sovereignization of national states are primarily spontaneous and completely objective in nature.

ეკომეგობრული ჯანდაცვის მენეჯმენტის ეკოსისტემური მიდგომის თანამედროვე გამოწვევები

თოდაძე მურთაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ჯანხოთელი მირანდა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ჭანტურია ნატალია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ჯანმრთელობა ადამიანის კონსტიტუციური უფლება და მისი კეთილდღეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც თანაბრად ეხება როგორც ინდივიდუალურ, ისე ბიზნესისა თუ ეკოსისტემურ დონეზე დაინტერესებულ მხარეებს. როგორც გამოცდილება აჩვენებს, მოსახლეობის ჯანმრთელობა პირდაპირ დამოკიდებულია გარემოს, კერძოდ, ეკოსისტემების მდგომარეობაზე. ამავდროულად, ეკოსისტემები თავის მხრივ გავლენას ახდენენ ბიომრავალფეროვნებაზე, რაც გარემოს ჯანმრთელობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია. სწორედ ამიტომ, ეკოსისტემური მიდგომა ჯანდაცვის სექტორების მართვის მიმართ სულ უფრო აქტუალური ხდება. ეს მიდგომა გულისხმობს ეკოსისტემების მართვის ინტეგრირებულ მიდგომას, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ბუნებრივი რესურსების დაცვას და აღდგენას, არამედ ეკოსისტემების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული კომპონენტების მართვას.

ციფრული სივრცისა და ციფრული მედიცინის სწრაფი განვითარება პოსტკოვიდურ პერიოდში განუყოფლად არის დაკავშირებული ინოვაციური სამედიცინო ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაავადებათა პროფილაქტიკის, ადრეული დიაგნოსტიკის, მკურნალობის, რეაბილიტაციის, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის დისტანციური მონიტორინგის თითეულ ეტაპზე. რაც თავის მხრივ მოითხოვს შესაბამისი პლატფორმის, მონაცემთა ბაზებისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებულ მზაობას სათანადო მართვისათვის საჭირო უნარჩვევებისა და ლეგიტიმურობის თვალსაზრისით.

სტატიაში განვიხილავთ, ეკოსისტემურ მიდგომას როგორ შეუძლია ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესება, გარემოს მდგრადობისა და ბიომრავალფეროვნების მხარდაჭერა და მთლიანად ჯანდაცვის სექტორის მართვის სრულყოფა.

საკვანძო სიტყვები: ჯანდაცვის მენეჯმენტი, ეკოსისტემური მიდგომა, ეკომეგობრული ჯანდაცვა

ძირითადი ნაწილი

ბოლო წლებში მზარდია ინტერესი გარემოზე ჯანდაცვის სერვისების ზეგავლენისა. ეკომეგობრული ჯანდაცვა არის ჯანდაცვის მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს გარემოს შენარჩუნებას და მასზე ჯანდაცვის მავნე ზემოქმედების შემცირებას. ეკომეგობრული სისტემის დანერგვა ხელს უწყობს პრობლემის განზოგადებას საერთაშორისო დონეზე, რაც საუკეთესო პრაქტიკათა გაზიარებით ამარტივებს გამოსავლის მოძებნას და ეფექტური, საერთო პრევენციული ზომების შემუშავებას. ჯანდაცვის სექტორის მართვის ეკოსისტემური მიდგომა საშუალებას იძლევა შეინარჩუნოს და გაუმჯობესოს გარემოს ხარისხი, უზრუნველყოს მოსახლეობის ჯანმრთელობა და შეინარჩუნოს ბიოლოგიური მრავალფეროვნება; ხელს უწყობს ჯანმრთელობასა და ეკოლოგიასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემის მოგვარებას და მდგრადი განვითარების მიღწევას. მაგალითად,

- ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების გამოყენებამ და მონაცემთა გაცვლის ელექ-ტრონულმა სისტემამ, კონფიდენციალურობის ყველა ნორმის დაცვით, შეიძლება შეამციროს ქაღალდის დოკუმენტების გამოყენება და ამით შეამციროს ტყეების გაჩეხვა.
- ჯანდაცვის დაწესებულებებში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შემცირება და

სათანადო უტილიზაცია. ნარჩენების შესამცირებლად, ჯანდაცვის დაწესებულებებს შეუძლიათ გამოიყენონ ბიოდეგრადირებადი მასალები ან შეცვალონ ერთჯერადი მასალები მრავალჯერადად გამოყენებადი მასალებით, რომლებიც შეიძლება სათანადოდ გასტერილდეს[1]. ბიოდეგრადირებადი და ეკოლოგიურად სუფთა სამედიცინო ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენება შეამცირებს გარემოზე უარყოფით გავლენას და გააუმჯობესებს სამედიცინო მომსახურების ხარისხს.

- ❖ ეკომეგობრული ჯანდაცვის კიდევ ერთი ასპექტია ეკოლოგიურად სუფთა სადეზინფექციო საშუალებებისა და მასალების გამოყენება სამედიცინო დაწესებულებებში. ზოგიერთი ქიმიური ნივთიერება, რომელიც გამოიყენება მედიცინაში, შეიძლება საზიანო იყოს გარემოსთვის და ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ამის თავიდან ასაცილებლად სამედიცინო დაწესებულებებს შეუძლიათ აირჩიონ ეკოლოგიურად სუფთა ალტერნატივები.
- ❖ ეკომეგობრული ჯანდაცვა მოიცავს განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებას.

ეკომეგობრული ჯანდაცვის დანერგვის მიზნით, აუცილებელია არა მხოლოდ მისი მნიშვნელობის გაგება, არამედ მზადყოფნა ყოველდღიურ პრაქტიკაში ცვლილებების განხორციელებისათვის. სამედიცინო სფეროს ყველა რგოლის წარმომადგენლისათვის აუცილებელია ცოდნა იმისა, რომ გამოიყენონ ეკოლოგიურად სუფთა მასალები და მეთოდები შესაბამისი, უახლესი ტექნოლოგიებით. ეკოსისტემური მიდგომის მნიშვნელოვანი ელემენტია ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია, რომელიც არა მხოლოდ უზრუნველყოფს გარემოს აუცილებელ მდგრადობას, არამედ ხელს უწყობს მრავალი ღირებული სამედიცინო რესურსის შენარჩუნებას. თავის მხრივ, მოსახლეობის ჯანმრთელობა გავლენას ახდენს ეკოსისტემებსა და ბიომრავალფეროვნებაზე. ჯანმრთელ ადამიანებს შეუძლიათ უფრო ეფექტურად მართონ ბუნებრივი რესურსები და უზრუნველყონ გარემოს მდგრადი განვითარება.

ჯანდაცვის ეკოსისტემა შეიძლება განვიხილოთ როგორც მუდმივად განახლებადი, მრავალმხრივი სოციალური ქსელი, რომელიც აკავშირებს სისტემის მოთამაშეებს მართვის ყველა საფეხურზე, რომლებიც ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან და გარემოზე. ჯანდაცვის სექტორში ბოლო პერიოდის ტენდენციებმა გამოიწვია ჯანდაცვის რამდენიმე ეკოსისტემის შექმნა ციფრულ სერვისებზე ორიენტირებით პაციენტცენტრული მომსახურებისათვის, რაც აუმჯობესებს ჯანმრთელობის მონაცემთა ხელმისაწვდომობას, ჯანმრთელობის მონაცემებთან დაკავშირებას და მათ გაზიარებას სამეცნიერო კვლევის და ჯანდაცვის გამოსავლების გაუმჯობესების მიზნით. ეკოსისტემური მიდგომა სულ უფრო პოპულარული ხდება გარემოს დაბინძურებით გამოწვეული დაავადებების მზარდი რაოდენობის გამო. ეკოლოგიურად სუფთა ჯანდაცვის ინოვაციური მენეჯმენტის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია ტექნოლოგიების გამოყენება, რომლებიც ამცირებენ მავნე ნივთიერებების ნარჩენებს და ემისიებს სამედიცინო დახმარების გაწევის პროცესში.

ეკოსისტემური მიდგომა წარმოადგენს პლატფორმების, მონაცემთა ბაზებისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე დაფუძვნებულ ინოვაციურ ბიზნესმოდელს, ორიენტაციით სისტემის ეფექტურობის, მოქნილობისა და სერვისების ინდივიდუალიზაციის გაზრდისათვის სისტემის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებით. რაც მოითხოვს სწრაფად განვითარებად ტექნოლოგიურ აღმასვლასთან დაკავშირებული მთელი რიგი ცვლილებების გათვალისწინებას და მათთან ადაპტირებას, მათ შორის მენეჯერების, ინოვატორების, პოლიტიკოსების, კონკურენტების, დასაქმებულთა უნარჩვევებისა და მომხმარებელთა პრეფერენციების თავსებადობა, სამართლებრივ და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობა და სხვა. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ინსტიტუციური გარემოსა და სოციალური მიმღებლობის ფაქტორის გათვალისწინება, საზოგადოების მზაობა ინოვაციის მისაღებად. ურთიერთქმედება ეკოსისტემის აღნიშნულ სამ კომპონენტს შორის

[1] საგულისხმოა, რომ ერთჯერადი მასალების გამოყენებით მიღებული სარგებელი მნიშვნელოვნად აღემატება იმ ზიანს, რასაც შესაძლოა მათი გადაყრა ახდენდეს. თუმცაღა, განუზომელია ის ზიანი, რაც გამოყენებული ერთჯერადი მასალების, მაგალითად, შპრიცის, ხელმეორედ შემთხვევით ან გაცნობიერებულად გამოყენებას შესაძლოა მოჰყვეს.(ავტ)

მრავალმხრივია და მათი განხილვა უნდა მოხდეს არა მარტო იზოლირებულად, არამედ ჰოლისტიკური მიდგომითაც საუკეთესო შედეგის მისაღებად.

პლატფორმა ქმნის ერთგვარ სივრცეს, სოციალურ ქსელს სისტემისთვის, სადაც არა მხოლოდ მომხმარებელზე და სერვისებზე, სისტემაში ჩართულ ყველა დეველოპერზე შესაძლებელია სრული ინფორმაციის მიღება, გაცვლა და შედარება გაუმჯობესებული გამოცდილების მისაღებად. პლატფორმაზე ღირებული და მნიშვნელოვანია ყველა მოთამაშე. პლატფორმა ხელს უწყობს პროცესების ავტომატიზაციას, სიმარტივეს, ეფექტურობას და ქმნის ეკოსისტემას, რომელიც აკავშირებს სამედიცინო სერვისის მიმწოდებლებს როგორც ერთმანეთთან, ისე პლატფორმის შემქმნელთან და აქვთ შესაძლებლობა შექმნან საკუთარი კომპიუტერული პროგრამები, აპლიკაციები, ვებ-სერვისი და სხვა, არსებული საკანონმდებლო ბაზის გათვალისწინებით.

მონაცემთა ბაზები: ოცდამეერთე საუკუნეს მონაცემთა მოცულობის უპრეცენდენტო ზრდა და ახალ მონაცემთა არასტრუქტურირებული ნაკადები ახასიათებს, რაც უდაოდ მოითხოვს სათანადო მართვას. ახალი, ღირებული ბიზნეს მოდელების შესაქმნელად მომხმარებელთა მონაცემები, მიწოდების ჯაჭვები ან სოციალური მედიის ინტერაქციები, მონაცემთა წარმოების უპრეცედენტო სიჩქარე და ხელმისაწვდომობა, პარალელურად უპრეცედენტო კომპიუტერული სიმძლავრე, ხელოვ-ნური ინტელექტი და მონაცემთა დამუშავება, მონაცემთა ინტეგრაცია და ექსპლოატაცია მფლობელის კონკურენტუნარიანობის ზრდის მნიშვნელოვანი აქტივია.

ხელოვნური ინტელექტი შეიძლება ჩაითვალოს ერთერთ არსებით, თანამედროვე ინტელექ-ტუალურ სისტემად, რომელიც შექმნილია მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და გარკვეული ამოცანების შესასრულებლად. ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით შესაძლოა მოხდეს სისტემაში გადაწყვეტილების მიღების პროცესის გადაფასება, გახდეს სისტემა უფრო მარტივი და დახვეწილი.

პლატფორმა, მონაცემები და ხელოვნური ინტელექტი, ბიზნესმოდელის არჩევანი და შედეგები წარმოადგენს გადაჯაჭვულ ცნებებს ეკოსისტემის დონეზე. ეკოსისტემაში კი ინოვაციური ბიზნესმო-დელები შესაძლოა შემუშავდეს აღნიშნული კომპონენტების ნებისმიერი კომბინაციით, საუკეთესო, ყოვლისმომცველი და გამჭვირვალე შედეგის მისაღწევად. საგულისხმოა, რომ ჯანდაცვის სისტემის მართვის ეკოსისტემური მიდგომის გამოწვევები, კერძოდ კი, ლეგიტიმაციის საკითხი, ეხება მრავალ დაინტერესებულ მხარეს და აისახება სისტემის დონეზე როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ისე შედეგის განხილვისას. რაც განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ ლეგიტიმაცია არის სოციალური შეფასება, რომელსაც აკეთებს მრავალი სუბიექტი, როგორიცაა ცალკეული იურიდიული და ფიზიკური პირები, დაწესებულებები, მედია ან მარეგულირებლები, რომლებიც ქმნიან კოლექტი-ური ლეგიტიმურობის გადაწყვეტილებას და ამავდროულად, საჭიროებენ სათანადო ინფორმირებუ-ლობას. ლეგიტიმურობის მისაღწევად მენეჯერული არჩევანის ფორმირებისათვის მნიშვნელოვანია ეკოსისტემასთან დაკავშირებულ მონაწილეთა ინფორმირებულობის დონის, შესაძლო ქცევებისა და გაურკვევლობასთან დაკავშირებული რეაქციების მართვა და მორგება ბაზრის შესაძლებლობებთან, საჭიროების შემთხვევაში კი მნიშვნელოვანია მენეჯერთა მხრიდან შესაძლო დათმობის ზღვრის ფორმირება.

ეკოსისტემური მიდგომის დანერგვის პროცესი რთული და არაერთგვაროვანია. აღნიშნული პრობლემის გას,ააზრებლად, კვლევის ფარგლებში ჩვენს მიერ შემოთავაზებულია ჯანდაცვის სისტემაში ეკოსისტემური მიდგომის დანერგვის SWOT ანალიზი:

ბარიერები/სუსტი მხარეები	ძლიერი მხარეები
სტანდარტების და სანდო ქსელების არარსებობა, საკომუნიკაციო საფუძვლების სიმწირე	გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა იზრდება 100% ით
დაფინანსების და საინვესტიციო პრობლემები	ხდება სტრატეგიის რადიკალური ცვლილება-პირველადი ჯანდაცვის რგოლის გაძლიერება
გადაწყვეტილების მიმღების არასაკმარისი ცოდნა და აქტივობა	მცირდება სამედიცინო და დიაგნოზის დასმის რისკები
პასუხისმგებლობასა და მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები, ლეგიტიმაცია	ფინანსური ბიუჯეტირების კუთხით გამოიწვევს ხარჯების კლებას როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ეფექტით

ამრიგად, ეკოსისტემური მიდგომა ჯანდაცვაში ხელს უწყობს ჯანდაცვისა და ეკოსისტემების სერვისების ჯანსაღ ურთიერთქმედებას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ჟანგბადის, სუფთა წყლისა და საკვები მარაგების შენარჩუნებით. რის უზრუნველსაყოფადაც კიდევ უფრო იზრდება მნიშვნელოვნება მარეგულირებელი და მხარდამჭერი მექანიზმების საჭიროებისა: საზოგადოების მაღალი ხარისხის განათლებაზე ზრუნვა, ადექვატური საკანონმდებლო ბაზა, სტაბილური და უსაფრთხო ცხოვრების პირობები, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა/დაცვა, კლიმატის ცვლილებებისადმი მზადყოფნა, წყლის დაცვა/გაწმენდა, სასოფლო- სამეურნეო მავნებლებთან სწორი ბრძოლა, დაავადებების მართვა და სხვა. მრავალი მათგანი ჯანმრთელ ბუნებრივ პირობებში თავისთავად მიმდინარეობს სრულად და უწყვეტად. თუმცა, სამწუხაროდ, არასწორად დაგეგმილი, არამდგრადი საქმიანობის ან არასწორი ექსპლოატაციის შედეგად ბევრი ეკოსისტემა უკვე დაზიანდა, რამაც გააღრმავა კლიმატის გლობალური ცვლილება. ეს კი წარმოქმნის მრავალმხრივ და ურთიერთდაკავშირებულ პრობლემათა თითქმის უწყვეტ ჯაჭვს, რაც ჩვენი გადარჩენისა და კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

დასკვნა

ეკოსისტემური მიდგომის მთავარი უპირატესობა მისი ყოვლისმომცველი ბუნებაა. ეს მიდგომა ითვალისწინებს ეკოსისტემის ყველა კომპონენტის ურთიერთკავშირს და იძლევა ოპტიმიზაციის შანსს მათი ურთიერთქმედების მაქსიმალური ეფექტურობის მისაღწევად. ეკოსისტემური მიდგომის უპირატესობას წარმოადგენს ოპტიმალური თანაფარდობის რეალურად მიღწევის შანსი მენეჯერებსა და მრავალფეროვანი სისტემის სხვა მომხმარებელთა შორის მუდმივი კომუნიკაციისა და მონიტორინგის პირობებში, მყიფე ფაქტორებზე განსაკუთრებულად ფრთხილი კონტროლით როგორც სისტემის შიდა, ისე გარე მონაცემებთან მიმართებაში ქვეყნის სამართალდამცავ და მარეგულირებელ სისტემებთან შესაბამისობით. ასევე, ეკოსისტემური მიდგომის თითეული კომპონენტის სწორად განხორციელებით შესაძლებელია ბალანსის მიღწევა სათანადო და დროული სამედიცინო მომსახურებით მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილებასა და ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს მდგრადობის შენარჩუნებას შორის.

ეკომეგობრული ჯანდაცვის სისტემის ეკოსისტემური მიდგომის განხორციელება მოითხოვს ყველა დაინტერესებული მხარის ძალისხმევას და გარემოსდაცვითი ჯანმრთელობის სფეროში სამეცნიერო კვლევის საშუალებების გაზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Lehto, I., Hermes, J., Ahokangas, P., & Myllykoski, J. (2013), COLLABORATION IN CLOUD BUSINESSES – VALUE NETWORKS AND ECOSYSTEMS.
- Jacobides M. G., Cennamo C., Gawer A. Platforms, ecosystems, architectures: Rethinking the aggregate?. Working paper. 2015. [Электронный ресурс]. URL: https://onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1002/smj.2904
- Michael David Sankey, Stephen James Marshall, Perspective Chapter: The Learning Management System of 2028 and How we Start Planning for this Now, Higher Education - Reflections From the Field [Working Title], 10.5772/intechopen.110120, (2023).
- Giulia Piantoni, Marika Arena, Giovanni Azzone, Exploring how different innovation ecosystems create shared value: insights from a multiple case study analysis, European Journal of Innovation Management, 10.1108/EJIM-09-2022-0495, 26, 7, (206-232), (2023)
- Katharina Cepa, Henri Schildt, What to teach when we teach digital strategy? An exploration of the nascent field, Long Range Planning, 10.1016/j.lrp.2022.102271, 56, 2, (102271), (2023).
- ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია https://www.gov.ge/wp-content/uploads/2022/11/khedva-2030-saqarthvelos-ganvitharebis-strategia-1.pdf 170-177 გვ.

Contemporary challenges of an ecosystem approach to eco-friendly healthcare management

Todadze Murtaz
PhD Associate Professor of Georgian Technical University

Jankhoteli Miranda
PhD student of Associate Professor of Georgian Technical University

Tchanturia Natalia
Associate Professor of Georgian Technical University

Abstract

Health is a constitutional human right and one of the most important components of its well-being, which applies equally to stakeholders at the individual, business, or ecosystem level. As experience shows, the health of the population directly depends on the state of the environment, in particular ecosystems. At the same time, ecosystems in turn influence biodiversity, which is one of the main indicators of environmental health. That is why the ecosystem approach to the management of healthcare sectors is becoming more and more relevant. This approach implies an integrated approach to ecosystem management, which includes not only the protection and restoration of natural resources but also the management of the economic, social, and cultural components of ecosystems.

The rapid development of the digital space and digital medicine in the post-covid period is inextricably linked to the use of innovative medical technologies at each stage of disease prevention, early diagnosis, treatment, rehabilitation, remote monitoring of the patient's health condition, which in turn requires appropriate readiness for the use of the proper platform, databases, and artificial intelligence.

The article discusses how an ecosystem approach can improve the quality of health care, support environmental sustainability and biodiversity, and improve the management of the health sector as a whole.

Keywords: healthcare management, ecosystem approach, eco-friendly healthcare

მერჩენდაიზინგის როლი საცალო ვაჭრობაში

თოფჩიშვილი მარინე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ჩუთლაშვილი მარიამ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი

ჯაბადარი ლიზი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი

აბსტრაქტი

ნებისმიერი ფირმის წარმატებით ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მომხმარებელთა მოთხოვნის შესაბამისი საქონლისა და მომსახურების ფლობა და გაყიდვა, რაც თავის მხრივ, მერჩენდაიზინგზეა დამოკიდებული. მერჩენდაიზინგი უზრუნველყოფს საცალო სავაჭრო ფირმებში მომხმარებელთა მოთხოვნის შესაბამისი ასორტიმენტის ფორმირებას. დროთა განმავლობაში მომხმარებელთა ქცევისა და მოლოდინების ცვლილებებმა ზეგავლენა იქონია მერჩენდაიზინგზეც. ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში ციფრული სტრატეგია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა ბრენდის გადარჩენისთვის, რომელიც აქტუალური რჩება სამყაროში, სადაც „შოპინგი"-ვაჭრობა სულ უფრო მეტად ხდება ციფრულ პროგრამებზე დამოკიდებული.

საცალო ვაჭრობა ფრანგული წარმოშობის სიტყვაა, რაც „ჩამოჭრას" ნიშნავს. ძველ ფრანგულში საცალო ვაჭრობა ნიშნავდა ჭრას, მოჭრას. ფრანგულში ეს სიტყვა tailler პირველად გამოყენებული იქნა 1433 წელს და განსაზღვრავდა „გაყიდვას მცირე რაოდენობით", ხოლო შემდეგ ასეთივე მნიშვნელობით გადავიდა სხვა ევროპულ ენებში.

აღსანიშნავია, რომ საცალო ვაჭრობა წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობას, სადაც საცალო მოვაჭრე არის შუამავალი ორგანიზაცია, რომლის მიზანია პირდაპირ მიჰყიდოს პროდუქტი ან მომსახურება მომხმარებელს. საცალო ვაჭრობის საბოლოო მიზანია რეალიზება გაუკეთოს პროდუქტს და/ან მომსახურებას არასაქმიანი, არაბიზნეს მოხმარებისათვის, რაშიც დიდ როლს ასრულებს მერჩენდაიზინგი.

არსებობს კვალიფიციური მერჩენდაიზინგის ზოგადი პრინციპები და სტანდარტები, რის საფუძველზეც ხდება კონკრეტული სავაჭრო ობიექტის ან პროდუქციის სახეობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ე.წ. Mercandaising-Book-ის შემუშავება (მერჩენდაიზინგის კონკრეტული სტანდარტების გამოყენების ინსტრუქცია-სახელმძღვანელო).

საკვანძო სიტყვები: მერჩენდაიზინგი, საცალო ვაჭრობა, რეკლამა, მომხმარებელთა ქცევა, ციფრული სტრატეგია, ციფრული ვაჭრობა, ვიზუალური ვაჭრობა.

ძირითადი ტექსტი

როდის გაჩნდა მერჩენდაიზინგი? სავარაუდოდ მერჩენდაიზინგის ჩამოყალიბების დროდ ითვლება საცალო გაყიდვების წარმოშობა, როცა პირველი მოვაჭრეები ცდილობდნენ მომგებიანი განლაგებით წარმოეჩინათ პროდუქცია, ეს იყო დრო როცა მოვაჭრეები აპრიალებდნენ პროდუქციას მტვრისგან და ალაგებდნენ პირამიდის ფორმით, რომ უფრო შესამჩნევი ყოფილიყო. პირამიდის ფორმით პროდუქციის წარმოდგენა დღემდეა შენარჩუნებული მერჩენდაიზინგში და ითვლება ერთ-ერთ ეფექტურ მეთოდად.

მერჩენდაიზინგის დამფუძნებლად მიიჩნევა ჯასპერ მიკი (Jasper Meek), პრინტერი, რომელიც იმ დროს Coshocton-ში, ოჰაიოს შტატში მოღვაწეობდა. მე-19 საუკუნის ბოლოს მან დაარწმუნა ფეხსაცმლის მაღაზია, რომ ეწარმოებინათ წიგნების ჩანთები, რომლებზეც აღბეჭდილი იქნებოდა ამ მაღაზიის სახელი და დაერიგებინათ ადგილობრივ სკოლებში. ჰენრი ბიჩმა, Coshocton-ის კიდევ ერთმა პრინტერმა და მიკი-ს კონკურენტმა, აიტაცა ეს იდეა და მალე ორი მამაკაცი ყიდდა და ბეჭდავდა ჩანთებს, ბაგის მათრახებს, ბარათების ყუთებს, კალენდრებს, ნაჭრის თავსახურებს, წინსაფარებს და

ცხენების ქუდებსაც კი.

Merchandising-მა დიდი გზა გაიარა იმ დროიდან, როდესაც "მაღაზია" უბრალოდ იყო ადგილი, სადაც ყველაფერი ინახებოდა, ხოლო "წარმატებული ვაჭრობა" შედგებოდა ყველა ნივთის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისგან.

მერჩენდაიზინგის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- მომხმარებელთა მოთხოვნის შესაბამისი პროდუქტის ასორტიმენტის შესყიდვა
- საქონლის სავაჭრო დარბაზში გამოლაგება და გამოფენა
- რეკლამა უშუალოდ მაღაზიაში
- მაღაზიაში კლიენტების მოხერხებულად გადაადგილების ორგანიზება
- მომსახურების თანამედროვე ფორმების დანერგვა და განვითარება
- მოქნილი ფასების დაწესება
- საქონლის შეფუთვა
- მომხმარებლებისთვის დამატებითი მომსახურების შეთავაზება და ა.შ.

ასევე განასხვავებენ მერჩენდაიზინგის სხვადასხვა სახეობებს:

- პროდუქტით ვაჭრობა
- ვიზუალური ვაჭრობა
- ციფრული ვაჭრობა

პროდუქტით ვაჭრობა ხაზს უსვამს პროდუქციის საუკეთესო მახასიათებლებსა და სარგებელს და ასტიმულირებს გაყიდვას, ასევე უფრო დიდ შესყიდვებს გაყიდვებისა და ჯვარედინი გაყიდვების გზით.

პროდუქტის ვაჭრობა ასევე მოიცავს ექსპერიმენტულ ელემენტებს, როგორიცაა მაღაზიის ვიზიტორების პროდუქტებთან ურთიერთობის, პროდუქციის ნიმუშის გამოცდა ან ფოტოების გადაღება. აქციები და პროდუქტების შეფუთვა ასევე არის პროდუქტის სავაჭრო ძალისხმევის ნაწილი - ისევე როგორც ელექტრონული ფოსტის მარკეტინგი, სოციალური მედია და ნებისმიერი სხვა ციფრული მარკეტინგის სტრატეგია, რომელსაც ფართოდ გამოიყენება ამ სფეროში.

ვიზუალური ვაჭრობა ტრადიციულად ხდება განათების, ფერების კომბინაციებისა და დეკორაციის ნაზავის გამოყენებით დამკვირვებლის სტიმულირებისა და ინტერესის გასაჩენად.

21-ე საუკუნის დასაწყისში ვიზუალური ვაჭრობა მეცნიერებად იქცა. ამჟამად ვიზუალური მერჩენდაიზინგი გახდა ბიზნესის პოპულარიზაციის მთავარი ინსტრუმენტი, რომელიც ფართოდ გამოიყენება მყიდველების მოსაზიდად და გაყიდვების გაზრდისთვის.

ვიზუალური ვაჭრობისას რამდენიმე საჭირო და გამოსადეგ ხრიკს მიმართავენ:

- აქციეთ თქვენი პროდუქცია ხელოვნებად
- შექმენით სრული გამოცდილება
- ისარგებლეთ ტექნოლოგიებით
- გამოიყენეთ ყვავილების ძალა
- შექმენით განახლებული პროდუქტის ჩვენება
- გამოიყენეთ ნამდვილი ადამიანები მანეკენების ნაცვლად
- გამოიყენეთ თქვენი მომხმარებლები

ციფრული ვაჭრობა, რომელსაც ასევე უწოდებენ ელექტრონული კომერციის ვაჭრობას, მოიცავს პროდუქტების პოზიციონირებას და გაყიდვას ონლაინ რეჟიმში. მიუხედავად იმისა, რომ იგი მოიცავს განსხვავებულ სტრატეგიას და ტაქტიკას, ვიდრე ტრადიციული სამაღაზიო ვაჭრობა, მიზანი ერთია: მომხმარებლების მოზიდვა და გაყიდვების გაზრდა.

ელექტრონული კომერციის მერჩენდაიზინგის სტრატეგიები ჩართულობისა და გაყიდვების გასაძლიერებლად მიმართავს სხვადასხვა მეთოდებს:

- ჩადეთ ინვესტიცია მთავარ გვერდზე, რომელიც მოგვითხრობს ამბავს
- შეაგროვეთ და გამოიყენეთ მომხმარებლის მონაცემები
- გაეცით საქონლის პერსონალური რეკომენდაციები

- ❖ მოახდინეთ ძიების ოპტიმიზაცია, რათა შოპინგი გაუმჯობესდეს
- ❖ იმპულსური ყიდვის პოპულარიზაცია
- ❖ აჩვენეთ პროდუქტის მიმოხილვები და სოციალური მტკიცებულება

როგორც ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, მიუხედავად მერჩენდაიზინგის უდიდესი როლისა საცალო ვაჭრობაში, რომელშიც ნებსით თუ უნებლიედ ყველა ჩართულია, მის შესახებ საზოგადოებაში ცნობადობის დონე მაინც დაბალია, რაც ერთი მხრივ გამოწვეულია მისი სპეციფიკური ბუნებისა და ვიწრო პროფესიული მიმართულებისა, და მეორე მხრივ საზოგადოების ინერტული დამოკიდებულებისა ახალი და საინტერესო ინფორმაციის მიღების მიმართ.

გამოკითხული 24 ადამიანიდან, რომელთა ასაკიც 20-დან 45 წლამდე იყო, აღმოჩნდა, რომ მერჩენდაიზინგის შესახებ უბრალოდ სმენია 5 ადამიანს, ისიც ბილბორდებიდან და სარეკლამო განცხადებებიდან, მის შესახებ სრული ცოდნა გააჩნდა მხოლოდ 1-ს, ხოლო დანარჩენ 18-ს არანაირი ცოდნა, თუნდაც ზედაპირული არ გააჩნდა. ეს ყველაფერი კი გრაფიკულად ასე განაწილდა:



დასკვნა

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მერჩენდაიზინგი წარმოადგენს საცალო ვაჭრობის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნდამენტს, რომელზეც დამოკიდებულია მოგების სიდიდე და გაყიდვების სტიმულირება.

როგორც ავღნიშნეთ, მერჩენდაიზინგი გულისხმობს საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებზე გასაყიდად მომზადების ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობას, თუმცა აქაც არსებობს ხარვეზები. კერძოდ, მერჩენდაიზინგის ერთ-ერთი მთავარი მინუსი არის საცალო ვაჭრობაში გასაყიდად პროდუქციის შექმნასთან დაკავშირებული ღირებულება და მაღაზიების თაროებზე ასეთი პროდუქტების მოტანისა და მათი პოპულარიზაციის ღირებულება, რაც არ უნდა გასცდეს დაწესებულ ჩარჩოებს, რადგან აუცილებელია ოქროს შუალედის დაცვა.

აღსანიშნავია, რომ 21-ე საუკუნეში ციფრული ვაჭრობა თავისი მასშტაბებით უტოლდება სამაღაზიო ვაჭრობას, რაც მერჩენდაიზერების მხრიდან დამატებითი იდეების და მეთოდების შეთავაზებას გულისხმობს. ამ თანმიმდევრულ სტრატეგიას კი შედეგად მერჩენდაიზინგის, როგორც ვაჭრობის უნიკალური შესაძლებლობის კონცეფციამდე მივყავართ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თოდუა.ნ, მღებრიშვილი.ბ, საცალო ვაჭრობა. თბილისი. 2017;
2. არმსტრონგი გ., კოტლერი ფ. მარკეტინგის საფუძვლები. თბ., 2015წ;
3. თოდუა ნ. აბულაძე რ. ინტერნეტ-მარკეტინგი. თბ., თსუ 2011წ;
4. კობალავა მ. საცალო ვაჭრობა. თბილისი., 2013წ;
5. ლევი მ., ვეიტცი ბ. საცალო ვაჭრობის საფუძვლები, სანკტ-პეტერბურგი, 1999წ;
6. https://www.sitecore.com/knowledge-center/digital-marketing-resources/what-is-merchandising

7. https://www.shopify.com/retail/product-merchandising
8. https://www.claravine.com/8-digital-merchandising-strategies-for-driving-more-sales-2021/#:~:text=Digital%20merchandising%2C%20also%20referred%20to,attracting%20customers%20and%20driving%20sales.
9. https://www.vendhq.com/blog/digital-merchandising/

The role of merchandising in retailing

Topchishvili Marine
Asistent-professor of Technical University of Georgia

Chutlashvili Mariam
Student of Technical University of Georgia

Lizi Jabadari
Student of Technical University of Georgia

Abstract

For the successful functioning of any firm, it is necessary to own and sell goods and services corresponding to customer demand, which in turn depends on merchandising. Merchandising ensures the formation of an assortment corresponding to consumer demand in retail trade firms. Changes in consumer behavior and expectations over time have also affected merchandising. In the age of digital technology, digital strategy has become vital to brand survival, which remains relevant in a world where shopping is becoming increasingly dependent on digital programs.

Retail is a word of French origin that means "to cut". In Old French retail meant to cut, to cut. In French, the word tailler was first used in 1433 to mean "to sell in small quantities" and then spread to other European languages with the same meaning.

It should be noted that retail trade is an entrepreneurial activity where the retailer is an intermediary organization whose purpose is to directly sell a product or service to a consumer. The ultimate goal of retailing is to sell products and/or services for non-business, non-business use, in which merchandising plays a major role.

There are general principles and standards of qualified merchandising, on the basis of which the so-called Development of Mercandaising-Book (instruction manual for the use of specific merchandising standards).

Keywords: merchandising, retail, advertising, consumer behavior, digital strategy, digital commerce, visual merchandising.

საქართველოს საფონდო ბირჟაზე არსებული მდგომარეობის ანალიზი

თურმანიძე გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ქვეყნის ეკონომიკის სიძლიერისა და სტაბილურობის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა საფონდო ბირჟის გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირება. იგი არის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გამორჩეულად კარგი საშუალება. საქართველოში, სადაც ადგილობრივი საინვესტიციო რესურსის დეფიციტია, ორმაგად მნიშვნელოვანია, რომ საფონდო ბირჟა იყოს მდგრადი, რათა მაქსიმალურად მეტი უცხოური ინვესტიცია იქნეს მოზიდული.

საფონდო ბირჟა არის ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობასა და მის რეგულარულ ფუნქციონირებას დადგენილი წესების შესაბამისად. აგრეთვე, ავრცელებს ინფორმაციას ბირჟაზე დადებული გარიგებებისა და ფასების შესახებ. გარდა ამისა, საფონდო ბირჟა არის საშუამავლო დაწესებულება, რაც გულისხმობს, რომ ის მხოლოდ ქმნის გარიგების დასადებად აუცილებელ პირობებს, ასევე ფასიანი ქაღალდების მყიდველებსა და გამყიდველებს ერთმანეთთან აკავშირებს და ყველა იმ მომსახურებას უწევს, რაც ხელს უწყობს გარიგების დადებას.

საქართველოში, ფასიანი ქაღალდების გამოშვება და მათი მიმოქცევის დროს წარმოშობილი ურთიერთობების რეგულირება ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. მისი მიზანია ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა, სხვადასხვა ღონისძიებების შედეგად, თუმცა სახელმწიფოს როლი უმნიშვნელოვანესია. მას შეუძლია ძალიან დიდი პოზიტიური ცვლილებები მოახდინოს და ხელი შეუწყოს კანონმდებლობის დახვეწას, გამჭვირვალობის ხელშეწყობასა და საფონდო ბირჟის ინფრასტრუქტურის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: საფონდო ბირჟა, ფასიანი ქაღალდები, საბროკერო კომპანია, სავაჭრო სესიები, არასაბირჟო გარიგება.

ძირითადი ტექსტი

საქართველოს საფონდო ბირჟა (სსბ), რომელიც დაარსდა 1998 წლის 8 იანვარს, არის ერთადერთი მოქმედი ორგანიზებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში. იგი USAID-ის მხარდაჭერით ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს ამერიკელი ექსპერტების დახმარებით შემუშავებულ საკანონ-მდებლო ჩარჩოებში.[1]

1999 წლის 18 ოქტომბერს ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება - ბირჟაზე დადებული გარიგებების სწრაფი, ეფექტიანი და საიმედო კლირინგისა და ანგარიშსწორებისათვის ბირჟის მიერ დაფუძნდეს ორგანიზაცია, რომელიც გადაწყვეტს ამ პრობლემას. შედეგად, სსბ-მ 100%-იანი მფლობელობით დააფუძნა შპს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი'' (სფქდ).

2000 წლის 14 იანვარს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ სსბ-ზე გაიცა საფონდო ლიცენზია N 90001.

იმავე წლის 18 იანვარს კომისიის მიერ სსბ აღიარებული იქნა თვითრეგულირებად ორგანიზაციად. 2000 წლის 23 მარტს ჩატარდა პირველი ვაჭრობა „გაერთიანებული ქართული ბანკის" აქციებზე. მას შემდგომ მოყოლებული, დღემდე, ბირჟაზე რეგულარულად მიმდინარეობს საბირჟო ვაჭრობები.[2]

ძირითადი ნაწილი

საქართველოს საფონდო ბირჟაზე სარეალიზაციოდ გამოტანილი ფასიანი ქაღალდების

---

[1] https://www.gse.ge/about-gse

[2] *ნანა შონია. თინათინ გუგეშაშვილი. საბირჟო საქმე ნაწილი I, თბილისი 2009*

მიმოხილვა.

2022 წლის ბოლოსთვის საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე 2 საფონდო ბირჟა, 1 ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი, 9 საბროკერო კომპანია და ფასიანი ქაღალდების 3 დამოუკიდებელი რეგისტრატორი საქმიანობდა. 9 საბროკერო კომპანიიდან 2 საფონდო ბირჟის წევრი არ იყო.[1]

საბროკერო კომპანიები.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის მოქმედი საბროკერო კომპანიების აქტივების საერთო მოცულობამ 114 მილიონი ლარი შეადგინა.

საბროკერო კომპანიებისა და კომერციული ბანკების კლიენტების ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე რიცხული კლიენტების ფასიანი ქაღალდების ჯამური ღირებულება 2022 წლის ბოლოს 7.7 მილიარდ ლარს შეადგენდა და, 2021 წელთან შედარებით, 17 პროცენტით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გათვალისწინების გარეშე). აღნიშნული ზრდა, უმეტესწილად, უცხოური ფასიანი ქაღალდების ანგარიშებს უკავშირდება.[2]

დიაგრამა N 1 საბროკერო კომპანიების ჯამური აქტივების დინამიკა წლების მიხედვით (2011-2022)



წყარო: ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში 2022, გვ. 238 [https://nbg.gov.ge/publications/annual-reports

საფონდო ბირჟა.

2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში 31 ემიტენტის ფასიანი ქაღალდები იყო დაშვებული. საანგარიშო პერიოდში სავაჭრო სესიებსა და ბირჟაზე დაფიქსირებულ გარიგებათა საერთო ღირებულებამ 37.8 მლნ ლარი შეადგინა (2 მლნ ცალი ფასიანი ქაღალდი). აქედან, ბირჟის სავაჭრო სესიებზე, ჯამურად, დაახლოებით 7.4 მლნ ლარის ღირებულების გარიგება დაიდო, ხოლო ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების ღირებულებამ 30.4 მლნ ლარი შეადგინა.[3]

ცხრილი N 1 ჯამური ინფორმაცია სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული მაჩვენებლების მიხედვით (2021-2022)

	გარიგების რაოდენობა		ფასიანი ქაღალდების რაოდენობა		ფასიანი ქაღალდების ღირებულება (ლარი)	
წელი	**2022**	**2021**	**2022**	**2021**	**2022**	**2021**
საბირჟო	34	14	1,256,350	176,775	7,395,948	104,078
დაფიქსირებული	121	179	700,824	178,534,049	30,366,907	58,945,873
სულ	**155**	**193**	**1,957,174**	**178,710,824**	**37,762,855**	**59,049,951**

ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში 2022, გვ. 237, 240 [https://nbg.gov.ge/publications/annual-reports,

[1] *ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში 2022, გვ. 237 [https://nbg.gov.ge/publications/annual-reports,*
[2] *ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში 2022, გვ. 238 [https://nbg.gov.ge/publications/annual-reports*
[3] *ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში 2022, გვ. 240 [https://nbg.gov.ge/publications/annual-reports*

დიაგრამა N 2 სავაჭრო სესიებზე და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების რაოდენობა წლების მიხედვით (2011–2022 წ)



	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
საბირჟო გარიგეგები	860	339	283	131	120	127	277	133	56	48	14	19
დაფიქსირებული გარიგეგები	421	538	230	115	579	1,135	438	215	224	139	179	136

წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟის წლიური ანგარიში საქმიანობის შესახებ; ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში 2022, გვ. 241 [https://nbg.gov.ge/publications/annual-reports,

სავაჭრო სესიები.

2023 წლის 1 იანვრიდან - 2023 წლის 8 მაისამდე პერიოდში, საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სესიებზე განხორციელდა 8 გარიგება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 23,195 ლარი. აღნიშნული გარიგებები განხორციელდა მხოლოდ ლარში.

ცხრილი N 2 გარიგებები ლარში

გარიგებები ლარში

გარიგებების რაოდენობა 8
მოცულობა 2,269,516
ღირებულება (₾) 23,195.16

ფ/ქ	ემიტენტი	გარიგებები	გახსნის ფასი	მინ. ფასი	მაქს. ფასი	დახურვის ფასი	მოცულობა	ღირებულება	საშუალო შეწონილი	თარიღი
BANK	სს "ლიბერთი ბანკი"	1	0.01	0.01	0.01	0.01	500,000	5,000.00	0.01	01/05/2023 13:29:22
BANK	სს "ლიბერთი ბანკი"	1	0.01	0.01	0.01	0.01	92,305	923.05	0.01	28/02/2023 13:26:57
BANK	სს "ლიბერთი ბანკი"	1	0.011	0.011	0.011	0.011	300,000	3,300.00	0.011	23/02/2023 13:17:49
BANK	სს "ლიბერთი ბანკი"	1	0.011	0.011	0.011	0.011	200,000	2,200.00	0.011	22/02/2023 13:27:53
BANK	სს "ლიბერთი ბანკი"	1	0.01	0.01	0.01	0.01	204,950	2,049.50	0.01	10/02/2023 13:04:08
BANK	სს "ლიბერთი ბანკი"	1	0.01	0.01	0.01	0.01	761,370	7,613.70	0.01	08/02/2023 13:22:10
BANK	სს "ლიბერთი ბანკი"	1	0.01	0.01	0.01	0.01	150,495	1,504.95	0.01	30/01/2023 13:09:31
BANK	სს "ლიბერთი ბანკი"	1	0.01	0.01	0.01	0.01	60,396	603.96	0.01	25/01/2023 13:10:47

წყარო: https://www.gse.ge/trades?securities_id=&from=Jan+1%2C+2023&to=May+8%2C+2023

არასაბირჟო გარიგებები დროის იგივე მონაკვეთში

ლარში, დოლარსა და ევროში, ჯამურად, განხორციელდა 64 გარიგება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 480 ლარი, 7,275,828 დოლარი და 1,563,404 ევრო.

ცხრილი N 3 გარიგებები დოლარში

გარიგებები დოლარში

გარიგებების რაოდენობა 46
მოცულობა 7,171
ღირებულება ($) 7,275,828.50

ფ/ქ	ემიტენტი	გარიგებები	მინ. ფასი	მაქს. ფასი	მოცულობა	ღირებულება	საშუალო შეწონილი	თარიღი
$GLC06N	შპს "საქართველოს სალიზინგო კომპანია"	22	1,016.07	1,016.54	5,452	5,540,000.16	1,016.14089508437	28/04/2023 18:33:12
$GLC06N	შპს "საქართველოს სალიზინგო კომპანია"	3	1,015.44	1,015.6	68	69,057.92	1,015.55764705882	25/04/2023 18:07:28
$GLC06N	შპს "საქართველოს სალიზინგო კომპანია"	4	1,015.28	1,015.28	340	345,195.20	1,015.28	24/04/2023 17:06:06
$GLC06N	შპს "საქართველოს სალიზინგო კომპანია"	1	1,014.34	1,014.34	155	157,222.70	1,014.34	18/04/2023 17:09:51
$IGD01O	შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია"	1	1,001.47	1,001.47	72	72,105.84	1,001.47	03/04/2023 17:08:21
$IGD01O	შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია"	1	995.17	995.17	100	99,517.00	995.17	22/03/2023 18:37:16
$GLC06N	შპს "საქართველოს სალიზინგო კომპანია"	2	1,010.08	1,010.08	446	450,495.68	1,010.08	17/03/2023 17:50:45
$IGD02O	შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია"	1	1,015.14	1,015.14	40	40,605.60	1,015.14	14/03/2023 18:00:57
$GLC06N	შპს "საქართველოს სალიზინგო კომპანია"	1	1,005.51	1,005.51	90	90,495.90	1,005.51	17/02/2023 17:44:30
$GLC06N	შპს "საქართველოს სალიზინგო კომპანია"	1	1,004.25	1,004.25	250	251,062.50	1,004.25	09/02/2023 20:11:13
$GLC06N	შპს "საქართველოს სალიზინგო კომპანია"	2	1,002.84	1,002.99	69	69,201.81	1,002.92478260869	01/02/2023 19:10:49
$IGD02O	შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია"	3	1,002.56	1,020	26	26,240.96	1,009.26769230769	23/01/2023 21:24:57
$M206O	სს „საქართველოს უძრავი ქონება"	1	1,030.34	1,030.34	19	19,576.46	1,030.34	16/01/2023 20:40:18
$GLC06N	შპს "საქართველოს სალიზინგო კომპანია"	1	1,000	1,000	6	6,000.00	1,000	12/01/2023 18:22:58
$M206O	სს „საქართველოს უძრავი ქონება"	1	1,029.89	1,029.89	3	3,089.67	1,029.89	12/01/2023 18:21:56
$M206O	სს „საქართველოს უძრავი ქონება"	1	1,027.46	1,027.46	35	35,961.10	1,027.46	03/01/2023 19:30:24

წყარო: https://www.gse.ge/otc-trades?securities_id=&from=Jan+1%2C+2023&to=May+8%2C+2023

ცხრილი N 4 გარიგებები ევროში

გარიგებები ევროში

გარიგებების რაოდენობა 17
მოცულობა 1,544
ღირებულება (€) 1,563,404.87

ფ/ქ	ემიტენტი	გარიგებები	მინ. ფასი	მაქს. ფასი	მოცულობა	ღირებულება	საშუალო შეწონილი	თარიღი
@GLC07N	შპს "საქართველოს სალიზინგო კომპანია"	15	1,013.27	1,013.53	1,403	1,421,752.88	1,013.36627227369	28/04/2023 18:31:18
@GLC07N	შპს "საქართველოს სალიზინგო კომპანია"	1	1,012.75	1,012.75	17	17,216.75	1,012.75	25/04/2023 18:06:39
@GLC07N	შპს "საქართველოს სალიზინგო კომპანია"	1	1,003.51	1,003.51	124	124,435.24	1,003.51	09/02/2023 20:12:06

წყარო: https://www.gse.ge/otc-trades?securities_id=&from=Jan+1%2C+2023&to=May+8%2C+2023

დასკვნა

თუ გადავხედავთ საქართველოს საფონდო ბირჟის, ბოლო ათწლეულის, სტატისტიკას აღმოვაჩენთ, რომ საბირჟო გარიგებების რაოდენობა დრამატულად არის შემცირებული. გარიგებების დადება ხორციელდება, თუმცა ბირჟის გარეთ. თუ შევადარებთ 2022 წლის საანგარიშო პერიოდში, სავაჭრო სესიებსა და ბირჟაზე, დაფიქსირებულ გარიგებათა ღირებულების თანაფარდობას აღმოვაჩენთ, რომ გარიგებების ღირებულების 19,1% (7,4 მილიონი ლარი) მოდის საბირჟო გარიგებებზე, ხოლო დანარჩენი 80,9%, (30,8 მილიონი ლარი) არასაბირჟო გარიგებებზე. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ არასაბირჟო გარიგებები, საქართველოში, კანონმდებლობით არ არის შეზღუდული. საზღვარგარეთ ეს ყველაფერი რეგულირდება კანონით, რომლის მიხედვითაც გარიგებების უმეტესობა უნდა იდებოდეს საფონდო ბირჟაზე, რომელიც არის ორგანიზებული ბაზარი და ფუნქციონირებს დადგენილი წესების შესაბმისად.

2007 წლის 31 მარტი, საქართველოს საფონდო ბირჟის ისტორიაში, არის მნიშვნელოვანი თარიღი, ვინაიდან საქართველოს კანონში „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ შევიდა ცვლილება, კერძოდ მე-18 მუხლის 1 და 5 პუნქტების მიხედვით, შესაძლებელი გახდა გარიგება დაიდოს ბირჟაზეც და მის გარეთ, საბროკერო კომპანიის მონაწილეობით ან მის გარეშე. აღნიშნული თარიღი აღმოჩნდა უკანასკნელი, საქართველოს საფონდო ბირჟის ვაჭრობაში, როდესაც გარიგებებსა და გაყიდვებში, ჯამურად, მოცულობის ზრდა დაფიქსირდა. მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებამ განაპირობა სსბ -ზე სავაჭრო გარიგებების შემცირება, თანხობრივმა ბრუნვამ კი ბირჟის გარეთ გადაინაცვლა. ზემოთ მოყვანილ დიაგრამასა და ცხრილებში ნათლად ჩანს აღნიშნული ფაქტი.

შედეგად მივიღეთ ბაზარი, რომელშიც გამჭვირვალობის ნაკლებობაა და ასევე, ფასიანი ქაღალ-

დების ემიტენტი კომპანიების ფინანსური მაჩვენებლები არასრულია, ან არ მოიპოვება. ყოველივე ზემოთ აღნიშნული იწვევს ინვესტორის უნდობლობას, რაც ამცირებს მოთხოვნას ფასიან ქაღალდებზე. აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა, ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელია პირობაა, ვინაიდან განვითარებული ფინანსური ბაზრები ქვეყნისთვის უზრუნველყოფს, როგორც საერთაშორისო კაპიტალის მოზიდვას, ასევე ადგილობრივი რესურსების ეფექტიან გადანაწილებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნანა შონია. თინათინ გუგეშაშვილი. საბირჟო საქმე ნაწილი I, თბილისი 2009
2. https://www.gse.ge/about-gse
3. ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში 2022, [https://nbg.gov.ge/publications/annual-reports,
4. საქართველოს საფონდო ბირჟის წლიური ანგარიში საქმიანობის შესახებ
5. https://www.gse.ge/trades?securities_id=&from=Jan+1%2C+2023&to=May+8%2C+2023
6. https://www.gse.ge/otc-trades?securities_id=&from=Jan+1%2C+2023&to=May+8%2C+2023

Analysis of the current situation on the Georgian stock exchange

Turmanidze Giorgi
PhD student of Georgian Technical University

Clinic Este Group, Marketing and Sales Manager, Ph.D. student in Business Administration at the faculty of Business Technologies, Georgian Technical University

Abstract: One of the necessary prerequisites for the strength and stability of the country's economy is the smooth and efficient functioning of the stock market. It is an exceptionally good means of attracting foreign investments. In Georgia, where there is a shortage of local investment resources, it is doubly important that the stock market is sustainable in order to attract as much foreign investment as possible.

A stock exchange is a financial institution that ensures the trading of securities and its regular operation in accordance with the established rules. It also disseminates information about deals and prices concluded on the exchange. In addition, the stock exchange is an intermediary institution, which means that it only creates the necessary conditions for concluding a transaction, as well as connecting buyers and sellers of securities and providing all services that facilitate the conclusion of a transaction.

In Georgia, the issue of securities and the regulation of relations arising during their circulation are carried out by the National Bank of Georgia. Its purpose is to promote the development of the securities market, as a result of various measures, although the role of the state is the most important. It can make a huge positive difference and help improve legislation, promote transparency and develop stock market infrastructure.

Key words: stock exchange, securities, brokerage firm, trading sessions, OTC trades.

Political Marketing and Forecasting in Georgia: Expanding the Concept of Political Consumer

Iashvili Irine
Professor of Georgian Technical University

Abstract

Political marketing has emerged as a powerful tool in shaping electoral campaigns and public opinion. This article explores the concept of political market and political consumer, highlighting the debates surrounding their outcomes. By analyzing the mixture of citizen and consumer perspectives, we delve into the role of political marketing in public administration. Additionally, we examine the origins of political marketing and its symbiotic relationship with politics and marketing. Furthermore, this article investigates the significance of political marketing strategy and forecasting, drawing parallels between business, military, and political strategies. The methods and possibilities of forecasting political processes are explored, with a specific focus on the Georgian context. Examples of foreign experiences in political marketing provide insights into innovative practices. This article explores the application of political marketing in public administration, focusing on the context of Georgia. It delves into the ways marketing strategies can be effectively utilized in political campaigns and governance. The origins of political marketing are traced, highlighting the expansion of marketing principles into the political sphere. Additionally, the article emphasizes the symbiotic relationship between politics and marketing, examining how these two domains intersect and influence each other. Furthermore, examples of foreign experiences in political marketing are provided to illustrate successful practices from around the world. This article aims to shed light on the importance of political marketing in Georgia and its potential for enhancing public administration and electoral processes. Political marketing and forecasting play crucial roles in shaping political landscapes and ensuring successful campaigns. In this article, we delve into the realm of political marketing strategy and forecasting in Georgia. We explore the relationship between business, military, and political strategies, examine methods to measure strategic behavior, and discuss the tools and literature used to forecast political processes. By drawing from international experiences, we highlight valuable insights that can be applied to the Georgian political context.

Keywords: political marketing, forecasting, Georgia, political market, political consumer, citizen, consumer, competitive landscape, political marketing strategies, public administration, foreign experiences, strategy, business strategy, military strategy, strategic behavior, political processes

Introduction

Political marketing and forecasting have become increasingly vital aspects of modern politics, shaping electoral campaigns and influencing the behavior of voters. In Georgia, where the political landscape is rapidly evolving, understanding the dynamics of political marketing and the role of the political consumer is of utmost importance. This article aims to shed light on these topics by exploring the concept of the political market, the emergence of the political consumer, debates about political consumer outcomes, and providing examples of foreign experiences that can offer valuable insights for Georgia's political landscape.

Political Market:

The political market can be seen as a unique marketplace where political parties, candidates, and ideologies compete for the support and votes of the electorate. It encompasses the complex interactions between political actors, media, and voters. In Georgia, the political market has witnessed significant changes in recent years, with the emergence of new political parties, shifting voter preferences, and the growing influence of social media in political discourse. Analyzing the political market provides valuable insights into the dynamics of political competition, the effectiveness of political messages, and the strategic positioning of political actors.

Political Consumer:

The political consumer represents an amalgamation of the roles of citizen and consumer. In the context of

political marketing, individuals are not merely passive citizens but active consumers of political messages and promises. They evaluate political offerings, make choices based on their preferences, and hold political actors accountable for their actions. The emergence of the political consumer reflects the increasing importance of marketing techniques and strategies in politics. Political parties and candidates must now adopt consumer-oriented approaches to engage and persuade voters effectively.

Debates about Political Consumer Outcomes:

Debates surrounding political consumer outcomes revolve around the effects of marketing strategies on voter behavior and democratic processes. Critics argue that political marketing tactics, such as emotional appeals and image manipulation, can undermine the informed decision-making process and lead to the superficiality of political discourse. Proponents, on the other hand, emphasize the necessity of effective communication and engagement strategies to mobilize citizens and promote participatory democracy. The outcomes of political consumerism are multifaceted, and their implications are subject to ongoing discussions among scholars and practitioners.

Foreign Experiences:

Examining foreign experiences in political marketing can provide valuable insights and lessons for Georgia's political landscape. For example, the use of micro-targeting techniques in the United States allowed political campaigns to tailor their messages to specific demographic groups, maximizing their effectiveness. The successful utilization of social media platforms in mobilizing voters during elections in countries like France and India showcases the potential of digital marketing strategies. By studying and adapting these foreign experiences, Georgian political actors can enhance their marketing efforts and engage with the increasingly empowered political consumer.

Political Marketing in Public Administration

Political marketing encompasses the strategic use of marketing techniques and principles in the political sphere. In the context of public administration, political marketing plays a crucial role in shaping electoral campaigns, policy implementation, and governance. It involves understanding the needs and preferences of the electorate, crafting persuasive messages, and effectively communicating political agendas.

Effective political marketing in public administration requires a deep understanding of the target audience and the ability to tailor messages to resonate with their aspirations and concerns. By conducting research and analysis, politicians and policymakers can identify the key issues that matter most to the public, enabling them to develop policies and initiatives that address those concerns. Through market segmentation and targeting, political marketing allows for the creation of tailored campaigns and policies that are more likely to resonate with specific voter segments.

How Marketing Can Be Used in Politics

Marketing techniques offer valuable tools for political actors to effectively communicate their messages, shape public opinion, and build a favorable brand image. These tools include market research, branding, positioning, messaging, and communication strategies. By applying these principles to politics, politicians can engage with the public more effectively and build a strong voter base.

Market research enables politicians to gain insights into public opinion, preferences, and concerns. This information helps shape policy platforms and campaign messages that align with the needs of the electorate. Furthermore, branding allows politicians to establish a distinct and recognizable identity, creating an emotional connection with voters. Positioning strategies ensure that political candidates are perceived as credible and trustworthy, differentiating themselves from competitors.

Messaging and communication strategies play a critical role in political marketing. Crafting persuasive messages that resonate with voters' values and concerns can significantly influence public opinion and voter behavior. Effective communication channels, such as social media, allow politicians to reach a wider audience and engage in real-time conversations. By employing marketing techniques in politics, politicians can enhance their ability to connect with the public and garner support.

Origins of Political Marketing: Expanding the Concept of Marketing

The concept of political marketing emerged as an extension of traditional marketing principles applied to the political arena. Initially, marketing focused primarily on commercial products and services. However, as democracy evolved, political candidates recognized the value of adopting marketing strategies to effectively communicate their ideas, gain support, and win elections.

The expansion of marketing into politics was driven by the increasing significance of public opinion in electoral processes. Political candidates realized that successful campaigns required more than just policy expertise; they needed to effectively communicate their ideas to a diverse electorate. By incorporating marketing techniques such as market research, segmentation, and messaging, politicians could tailor their **campaigns to resonate with specific voter groups.**

Political Marketing: "Marriage" of Politics and Marketing

Political marketing represents the symbiotic relationship between politics and marketing. It entails the adaptation of marketing principles to the unique characteristics of political campaigns and governance. In this "marriage," politics provides the substance and purpose, while marketing contributes the techniques and strategies necessary to communicate and persuade.

Business strategy, military strategy, and strategy in politics

Strategies form the backbone of successful political campaigns, borrowing elements from business and military domains. Business strategy involves planning and executing activities to achieve desired political goals, while military strategy emphasizes the effective use of resources to gain a tactical advantage. In politics, strategy encompasses a comprehensive approach to influence voter behavior, shape public opinion, and gain electoral success. These strategies rely on thorough analysis, data-driven decision-making, and a deep understanding of target audiences. Adapting elements from business and military strategies can provide political campaigns with a competitive edge.

Measuring strategic behavior

Measuring strategic behavior is critical for political campaigns to gauge the effectiveness of their strategies. Various metrics and indicators help assess strategic behavior, such as campaign expenditures, social media engagement, public sentiment analysis, and voter turnout. By analyzing these factors, political marketers can identify the success of their messaging, mobilization efforts, and overall campaign performance. Additionally, studying the behavior of opponents allows campaigns to refine their strategies and respond effectively to emerging challenges.

Methods and possibilities of forecasting political processes

Forecasting political processes is an essential aspect of political marketing in Georgia. Several methods can be employed to forecast political outcomes, including public opinion polling, data analytics, predictive modeling, and scenario planning. Public opinion polling provides insights into voter preferences, sentiment, and evolving attitudes. Data analytics involves analyzing large datasets to uncover patterns, trends, and correlations. Predictive modeling leverages historical data to anticipate future outcomes, while scenario planning prepares campaigns for multiple contingencies. By utilizing these forecasting methods, political actors can adjust their strategies to align with the anticipated political landscape.

Examples of Foreign Experience:

International experiences can provide valuable insights for political marketing and forecasting in Georgia. Countries like the United States, United Kingdom, and Germany have well-established political marketing practices.

United States: The U.S. political landscape is known for its advanced use of data analytics and targeted messaging. Campaigns extensively leverage voter databases, microtargeting, and personalized communication to reach specific demographics.

United Kingdom: The British political arena emphasizes the use of market research, focus groups, and polling to understand voter sentiment. This approach enables campaigns to tailor their messages and strategies

accordingly.

Germany: German political parties often utilize "Wahl-o-Mat," an online tool that matches voters' policy preferences with party platforms. This interactive approach engages citizens and facilitates informed decision-making.

Conclusion

Political marketing and forecasting play pivotal roles in modern political landscapes, shaping electoral campaigns, public opinion, and governance strategies. The concept of the political market, where political parties and candidates are seen as suppliers and voters as consumers, has transformed the dynamics of political engagement. The emergence of the political consumer, blending citizen and consumer perspectives, has brought new dimensions to political decision-making processes.

Debates surrounding political consumer outcomes highlight the potential benefits and concerns of treating citizens as consumers. While critics argue that it may trivialize politics, proponents emphasize the importance of bridging the gap between politicians and the public, making politics more accessible and engaging. Understanding the mixture of citizen and consumer perspectives allows for tailored political strategies that resonate with different segments of the population.

In public administration, political marketing enables governments to deliver effective governance and public services by considering citizens' needs, expectations, and preferences. Applying marketing principles in policy design and implementation can enhance overall satisfaction and citizen engagement. By segmenting the population and targeting specific groups, governments can address diverse concerns and effectively communicate policy initiatives.

The marriage of politics and marketing originated in the 1960s, with the incorporation of advertising, opinion polling, and market research in political campaigns. Over time, the field has evolved, leveraging advancements in technology and data analytics. Social media platforms, in particular, have become essential tools for political marketing, enabling personalized messaging, targeted advertising, and real-time feedback analysis.

Political marketing strategy involves careful planning, messaging, and execution to achieve political objectives. Drawing parallels with business and military strategies, political marketers must measure strategic behavior and adapt their strategies based on voter responses, public opinion, and evolving trends. Forecasting political processes helps anticipate voter behavior, identify emerging patterns, and adjust strategies accordingly.

In the context of Georgia, political marketing and forecasting are vital for political parties, candidates, and governments seeking to connect with citizens and shape public opinion. By adopting innovative practices and learning from foreign experiences, Georgia can leverage effective political marketing strategies to engage the electorate, deliver efficient governance, and foster democratic participation.

In conclusion, political marketing and forecasting have become integral components of modern politics, enabling effective communication, targeted messaging, and informed decision-making. As the concept of the political consumer continues to evolve, it is essential to strike a balance between engaging citizens as consumers while preserving the value and significance of civic participation. By embracing political marketing strategies and leveraging forecasting methods, nations like Georgia can navigate the complex political landscape, strengthen democratic processes, and meet the evolving needs of their citizens.

Literature on Political Marketing and Forecasting:

To delve further into political marketing and forecasting, relevant literature includes:

"The Victory Lab: The Secret Science of Winning Campaigns" by Sasha Issenberg.

"Campaigns and Political Marketing" by Ronald D. Smith.

"Political Marketing: Principles and Applications" edited by Jennifer Lees-Marshment.

"The Art of Political Campaigning: How to Run for Elected Office with No Money, Name Recognition or Political Connections" by Dan S. Kennedy.

პოლიტიკური მარკეტინგი და პროგნოზირება საქართველოში: პოლიტიკური მომხმარებლის კონცეფციის ფილოსოფია

იაშვილი ირინე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

პოლიტიკური მარკეტინგი გაჩნდა, როგორც ძლიერი ინსტრუმენტი საარჩევნო კამპანიისა და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. ეს სტატია იკვლევს პოლიტიკური ბაზრისა და პოლიტიკური მომხმარებლის კონცეფციას, ხაზს უსვამს მათ შედეგებთან დაკავშირებულ დებატებს. მოქალაქისა და მომხმარებლის პერსპექტივების ნაზავის ანალიზით, ჩვენ განვიხილავთ პოლიტიკური მარკეტინგის როლს საჯარო ადმინისტრირებაში. გარდა ამისა, ეს სტატია იკვლევს პოლიტიკური მარკეტინგული სტრატეგიისა და პროგნოზირების მნიშვნელობას, ავლებს პარალელებს ბიზნეს, სამხედრო და პოლიტიკურ სტრატეგიებს შორის. ამ სტატიაში წარმოდგენილია პოლიტიკური პროცესების პროგნოზირების მეთოდები და შესაძლებლობები, განსაკუთრებული აქცენტით ქართულ რეალობაზე. პოლიტიკური მარკეტინგის უცხოური გამოცდილების მაგალითები გვაწვდის ინფორმაციას ინოვაციური პრაქტიკის შესახებ და გვიჩვენებს იმ გზებს, თუ როგორ შეიძლება მარკეტინგული სტრატეგიების ეფექტიანად გამოყენება პოლიტიკურ კამპანიებსა და მმართველობაში. ასევე, სტატიაში ფართოდ არის გაშლილი პოლიტიკასა და მარკეტინგს შორის სიმბიოზური ურთიერთობის სპეციფიკა, თუ როგორ იკვეთება ეს ორი მიმართულება და რა გავლენას ახდენს ერთმანეთზე. გარდა ამისა, მთელი მსოფლიოდან მოწოდებულია უცხოური გამოცდილების საუკეთესო პრაქტიკა პოლიტიკური მარკეტინგის სფეროში. წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს ნათელი მოჰფინოს პოლიტიკური მარკეტინგის მნიშვნელობას საქართველოში და მის პოტენციალს საჯარო მმართველობისა და საარჩევნო პროცესების გაძლიერებისათვის, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს პოლიტიკური ლანდშაფტების ჩამოყალიბებაში და წარმატებული კამპანიების უზრუნველყოფაში. ამ სტატიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოში პოლიტიკური მარკეტინგული სტრატეგიისა და პროგნოზირების სფეროს, კავშირს ბიზნეს, სამხედრო და პოლიტიკურ სტრატეგიებს შორის, განხილულია სტრატეგიული ქცევის მეთოდები, ინსტრუმენტები და ლიტერატურა, რომლებიც გამოიყენება პოლიტიკური პროცესების პროგნოზირებისთვის. საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, გამოკვეთილია ღირებული შეხედულებები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ქართულ პოლიტიკურ კონტექსტში.

სატრანსპორტო და საექსპედიტორო მომსახურების მართვის არსებული სისტემების შეფასება

ივანიშვილი ვანო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

მიქელაშვილი მერაბ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში კონკურენციის გამწვავებამ და ეკონომიკური ინტეგრაციის დაჩქარებულმა პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა ლოგისტიკური პოტენციალის ოპტიმიზაციის მნიშვნელოვანი ცვლილებების აუცილებლობა. დღეს ლოგისტიკა წარმოადგენს მიწოდების ჯაჭვის მთავარ ხერხემალს, რომელიც განაპირობებს ინფორმაციისა თუ პროდუქტის/სერვისის ეფექტურ, სარფიან და სანდო მიმოცვლას. საკითხის აქტუალობას ზრდის ისიც, რომ მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის ფონზე ქვეყნის ეკონომიკის განვითარება პირდაპირ კავშირშია ლოგისტიკური სისტემის და მაშასადამე, მიწოდების ჯაჭვის ყველა პროცესის გამართულ ფუნქციონირებასთან. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში კომპანიების მიერ მოგების მაქსიმიზაციისა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების ერთ-ერთი საშუალება ეფექტური ლოგისტიკური სისტემის დანერგვასა და მიწოდების ჯაჭვში გაწეული დანახარჯების მინიმიზაციაში მდგომარეობს. სწორედ რაციონალური ლოგისტიკა განაპირობებს მაღალი ხარისხის სერვისს, იაფ და ეფექტურ მიწოდების ჯაჭვს, რაც კონკურენტუნარიანობის ამაღლების აუცილებელი პირობაა. თანამედროვე ლიტერატურაში ხარისხის პრობლემებს მზარდი ყურადღება ეთმობა. ბევრი უცხოელი და ადგილობრივი ავტორი თავის კვლევებში ყოველთვის მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა ტვირთის მიწოდების სიჩქარისა და ხარისხის საკითხებს.

ჩვენ მიერ განხილული მაჩვენებლები არის მომხმარებლის მომსახურების ხარისხის ძირითადი მაჩვენებლები. მათი განსაზღვრა, კონტროლი და შეფასება განაპირობებს მომსახურების სისტემის ეფექტურობას.

საკვანძო სიტყვები: ლოგისტიკა, ეფექტიანობა, ხარისხი, შეფასება, სტრატეგია.

ძირითადი ტექსტი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ლოგისტიკური საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება ბაზრის მონაწილეების დიდ ყურადღებას იქცევს. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება ხდება საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფიძველზე, რომლის დახმარებით შესაძლებელია ობიექტურად იქნეს შეფასებული მისი გადახდისუნარიანობა, შემოსავლები, ფინანსური შედეგები და ა.შ.

ჩვეულებრივ, ლოგისტიკური სისტემის ეფექტიანობა, ისევე როგორც საწარმოსი, ფასდება მრავალი მაჩვენებლით, რომლებიც მოქმედებენ ლოგისტიკური საქმიანობის ეფექტიანობაზე. შეიძლება გამოვყოთ შემდეგი მაჩვენებლები:

1. ***საერთო ლოგისტიკური დანახარჯები.*** საერთო ლოგისტიკური ხარჯები არის მთლიანი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციური ლოგისტიკური მენეჯმენტისა და ლოგისტიკური ადმინისტრირებასთან. საერთო ლოგისტიკურ დანახარჯებს მიეკუთვნება ხარჯები ტრანსპორტზე, დასაწყობებაზე, დატვირტვა-გადმოტვირთვაზე, მარაგების და შეკვეთების მართვაზე და ა.შ.

ლოგისტიკური გეგმის განხორციელების შესახებ ანგარიშგების ფორმები შეიცავს ლოგისტიკური დანახარჯების მაჩვენებლებს, რომლებიც დაჯგუფებულია ფუნქციურად სფეროების მიხედვით, როგორიცაა მასალების მართვის ხარჯები, ფიზიკური განაწილების ოპერაციების ხარჯები და ა.შ. [1]

ხშირად, ლოგისტიკის სისტემაში სტრუქტურის ან მენეჯმენტის ოპტიმიზაციის პრობლემების გადასაჭრელად, მთლიანი ლოგისტიკური ხარჯები ითვალისწინებს ზარალს მარაგებში პროდუქციის

[1] https://www.adbl.uz/ru/vse-o-logistike/klyuchevie-pokazateli-effektivnosti-logistiki.

უძრაობისგან (იმობილიზაციით), ასევე ლოგისტიკური რისკებისგან ან ლოგისტიკის ცუდი ხარისხის მომსახურებისგან. ეს ზიანი ჩვეულებრივ ფასდება როგორც გაყიდვების შესაძლო შემცირება, ბაზრის წილის შემცირება, მოგების დაკარგვა და ა.შ.

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების სხვადასხვა ინდუსტრიებში ლოგისტიკური ხარჯების სტრუქტურის ანალიზი შემდეგ სურათს გვიჩვენებს:

- ტრანსპორტირება (58 %);
- საწყობის ხარჯები (23 %);
- ინვენტარის შენახვა (11 %);
- ადმინისტრაციული და მმართველობითი ხარჯები (8 %).



დასავლური კომპანიების მიერ ლოგისტიკური ხარჯების ანალიზი ჩვეულებრივ ხორციელდება პროცენტულად სტანდარტის, მოცულობის ან რესურსის მაჩვენებლის მიმართ, მაგალითად:

- ლოგისტიკური ხარჯები გაყიდვების მოცულობასთან მიმართებაში;
- ლოგისტიკური ხარჯების ცალკეული კომპონენტები მთლიან ხარჯებთან მიმართებაში;
- ლოგისტიკური ხარჯები ფირმის ბიუჯეტის შესაბამის მუხლებთან მიმართებაში;

ჩამოთვლილი მაჩვენებლები ხშირად აისახება ლოგისტიკური მწარმოებლურობის (პროდუქტიულობის) ანგარიშგების ფორმებში. იგი ფოკუსირებულია კომპანიის ფინანსური რესურსებ-ის გამოყენების ეფექტიანობაზე.[1]

2. ***ლოგისტიკური მომსახურების ხარისხი*** **-** რომლის შეფასება საკმაოდ რთული პროცესია. ამისათვის საჭიროა კარგად ვიცოდეთ სატრანსპორტო მომსახურების მომხმარებელთა მოთხოვნები და მათი შესაძლებლობები. სწორად განისაზღვროს სატრანსპორტო მომსახურების მარკეტინგული სტრატეგია კონკრეტული ტვირთის მფლობელებისთვის და მათი რეალიზაციის შესაძლებობა.

ხარისხის ძირითადი პარამეტრებს მიეკუთვნება:

- დრო შეკვეთის მიღებიდან ტრანსპორტირებამდე;
- რეზერვების ხელმისაწვდომობა, მიწოდების სტაბილურობა;
- შეკვეთის შესრულების სისრულე და ხელმისაწვდომობის ხარისხი;
- კრედიტების გაცემის შესაძლებლობა;
- საწყობებში ტვირთის გადამუშავების ეფექტურობა;

3. ***ლოგისტიკური ციკლის ხანგრძლივობა,*** მომსახურების ციკლი (შეკვეთის შესრულება) არის დროის შუალედი, ინტერვალი პროდუქციის მიწოდების შეკვეთის გაგზავნასა და მომხმარებლის მიერ შეკვეთილი პროდუქციის მიღებას შორის.

[1] https://www.marineinsight.com/maritime-law/11-basic-components-of-logistics-cost

შეკვეთის შესრულების ციკლი განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლებით:

● მომხმარებლის მოლოდინების დაკმაყოფილების ხარისხი შეკვეთის შესრულების თვალსაზრისით;

● ლოგისტიკური ოპერაციების უწყვეტი შესრულებით;

● ლოგისტიკური ოპერაციების მოქნილობით;

4) მწარმოებლურობა კომპლექსური მაჩვენებელია, რომელიც განისაზღვრება ტექნიკური საშუალებებით, ტექნოლოგიური აღჭურვილობით ან ლოგისტიკურ სისტემაში ჩართული პერსონალით შესრულებული ლოგისტიკური სამუშაოს (მომსახურების) მოცულობით, დროის ერთეულში ან რესურსების წილობრივი ხარჯებით.

ლოგისტიკური სერვისების მქონე უცხოურ ფირმების უმეტესობაში შედგენილია სპეციალური ანგარიშები ლოგისტიკური მუშაობის პროდუქტიულობის შესახებ, რომლებშიც აისახება მაჩვენებლების საკმაოდ დიდ რაოდენობა, მაგალითად:

●სატვირთო გადაზიდვები საწყობის და სატრანსპორტო საშუალების ტვირთის მოცულობაზე;

●პროდუქციის "მიღება -გაშვების" დინამიკა

● საოპერაციო ლოგისტიკური ხარჯების თანაფარდობა ინვესტირებული კაპიტალის ერთეულზე;

●ლოგისტიკური ხარჯების თანაფარდობა გამომუშავების ერთეულზე;

● ლოგისტიკური ხარჯები დისტრიბუციაში გაყიდვების მოცულობის ერთეულზე.

5) ინვესტიციის ეფექტიანობა ლოგისტიკურ ინფრასტრუქტურაში - ახასიათებს ინვესტიციების ეფექტურობას ლოგისტიკური სისტემის ინფრასტრუქტურულ ერთეულებში, როგორიცაა

- საწყობი, სატვირთო ტერმინალები და ტერმინალური კომპლექსები;

- სატრანსპორტო კომუნიკაციები (გზები, რკინიგზა და ა.შ.);

-საინფორმაციო-კომპიუტერული სისტემა (ტექნიკური საშუალებებისა და საოფისე ტექნიკის კომპლექსი).

ჩამოთვლილ ლოგისტიკურ ინფრასტრუქტურულ ობიექტებში ინვესტიციის დაბრუნება განისაზღვრება კაპიტალური ინვესტიციების ეფექტურობის შეფასების მოქმედი მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური დოკუმენტების შესაბამისად.

დასკვნა

ლოგისტიკის ხარისხის შესახებ გაბატონებული შეხედულებების შესაბამისად, მწარმოებელმა მთელი ყურადღება უნდა დაუთმოს მომხმარებელთა მოთხოვნილებებისა და სურვილების დაკმაყოფილებას. საბოლოო ჯამში, როგორც ამერიკელი მეცნიერი ა. მასლოუ განსაზღვრავს, სწორედ ადამიანის მოთხოვნილებები, არის ბაზრის „ძრავა“.

მომსახურების რაციონალური დონის დასადგენად, ხარჯები, შემოსავლები და მოგება შედარებულია კომპრომისული გადაწყვეტის პრინციპის რეალიზებასთან, რომლითაც ფირმები მიაღწევენ საუკეთესო თანაფარდობას ფასებსა და მომსახურების დონეს შორის, ხარჯებსა და შემოსავალს შორის.

დღეისთვის არსებული სატრანსპორტო და საექსპედიტორო მომსახურების მართვის სისტემების შეფასება და მათი პრაქტიკაში დანერგვა არის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი, რათა მოხდეს ლოგისტიკურ კომპანიებში სატრანსპორტო კომპანიების საქმიანობაში სიჩქარისა და ხარისხის მართვის სისტემის ოპტიმიზაცია. რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ლოგისტიკური კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და საერთაშორისო ბაზრებზე მათ დამკვიდრებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/395/transporti307.https://www.geostat.ge/ka/modules/categories/395/transporti307.
2. https://www.adbl.uz/ru/vse-o-logistike/klyuchevie-pokazateli-effektivnosti-logistiki.
3. https://www.marineinsight.com/maritime-law/11-basic-components-of-logistics-cost/
4. https://transportgeography.org/contents/chapter7/logistics-freight-distribution/global-logistics-costs-function/
5. https://www.interpressnews.ge/ka/article/274690-logistikis-roli-kartuli-ekonomikis-ganvitarebashi.
6. http://www.bm.ge/ka/article/irani-saqartvelos-portebshi-logistikuri-centrebis-ganvitarebas-stavazobs/19236

Evaluation of existing transport and forwarding service management systems.

Vano Ivanishvili
PhD student of GTU
Merab Mikelashvili
Professor of GTU

Abstract

The intensification of competition in the modern global economy and the accelerated processes of economic integration put the need for significant changes in the optimization of logistics potential on the agenda. Today, logistics is the main backbone of the supply chain, which enables the efficient, cost-effective and reliable exchange of information or products/services. The urgency of the issue is also increased by the fact that the development of the country's economy is directly related to the proper functioning of the logistics system and, therefore, all the processes of the supply chain. In the modern market economy, one of the ways for companies to maximize profits and maintain competitiveness is to implement an effective logistics system and minimize costs incurred in the supply chain. The supply chain is found in all areas of economic activity. Properly rational logistics leads to high-quality service, cheap and efficient supply chain, which is a necessary condition for increasing competitiveness. The strengthening and tightening of competition has led to the fact that the level of service is now receiving the greatest attention. This becomes fundamentally important as companies are forced to meet customer demands and provide higher quality services in order to retain existing customers and attract new ones in the current challenging environment. Quality problems are receiving increasing attention in modern literature. Many foreign and domestic authors have always given an important place in their studies to the issues of speed and quality of cargo delivery.

The indicators we consider are the main indicators of the quality of customer service. Their determination, control and evaluation determines the efficiency of the service system.

Key words: logistics, efficiency, quality, assessment, strategy.

პერსონალის ეფექტური მართვის სხვადასხვა სტრატეგიები

კავთიძე ედუარდი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ლაგვილავა გიორგი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

აბსტრაქტი

პერსონალის მართვის ძირითადი მიზნებია: ეფექტიანი სამუშაო ძალის მოზიდვა, მისი პოტენციალის განვითარება და მისი გრძელვადიანი მხარდაჭერა. ამ მიზნების მიღწევას სჭირდება დაგეგმვის, პროგნოზირების, სწავლების, სამუშაო ამოცანების შესრულების შედეგების შეფასების ჩვევების გამოყენება, ადამიანური რესურსების წახალისებისა და სანქციების მოწესრიგებული და გამჭვირვალე სისტემა, რომელიც ასახულია შინაგანაწესში; ხელფასების, დამატებითი შეღავათებისა და სამსახურიდან დათხოვნის ადმინისტრაციული მართვის განხორციელება.

ქართულ კომპანიებში პერსონალის მართვა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. კომპანიათა ნაწილში ზოგიერთი ხელმძღვანელი, შეცდომით, პერსონალის მართვას ბიზნესთან ნაკლებად დაკავშირებულ სფეროდ მიიჩნევს. ბევრ ქართულ კომპანიაში ადამიანური რესურსების მენეჯერის როლი ბუნდოვანია და ზედმეტად გამარტივებული. იგი ხშირად მხოლოდ ზოგად ადმინისტრაციულ საქმიანობასთან არის გაიგივებული, რაც თანამშრომლებთან შრომითი კონტრაქტების და სამუშაოდან გათავისუფლების გაფორმებით, დაგვიანებებისა და შვებულებების აღრიცხვით ამოიწურება. ცხადია, ყოველივე აღნიშნული შეცდომაა. სინამდვილეში, ეკონომიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, ბიზნესი წარმატებული შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია პერსონალის მართვის სწორი სტრატეგია, რამდენადაც სწორედ ადამიანია ბიზნესის წარმატების მთავარი შემოქმედი.

პერსონალის მართვის სტრატეგია, ისევე როგორც მისგან გამომდინარე კონკრეტული ინიციატივები, ეფექტიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შესაბამისობაშია ორგანიზაციის ზოგად სტრატეგიასთან, მის მიზნებთან და ეხმარება ორგანიზაციას თავისი მისიის მიღწევაში. კარგად გააზრებული სტრატეგიის გარეშე (იგულისხმება როგორც ზოგადი ორგანიზაციული სტრატეგია, ისე პერსონალის მართვის სტრატეგია) ნებისმიერი ორგანიზაცია განწირულია წარუმატებლობისთვის, რამდენადაც მისი საქმიანობა გაუაზრებელი და არასისტემური იქნება, რესურსების ხარჯვა კი არამიზნობრივი და არაეფექტიანი.

პერსონალის მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის მიმართულებები ძირითადად დამოკი-დებულია ორგანიზაციის მიზნებსა და გეგმებზე. ბიზნესის მენეჯერს სჭირდება ბიზნეს პარტნიორი ადამიანური რესურსების მენეჯერის სახით, რომელიც მას მიაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ორგანიზაციას ჰყავს საიმედო აპერსონალი უკეთესი შედეგის მისაღწევად ან, პირიქით, ურჩევს, რომ გეგმის მიღწევა გართულდება, რადგან მაღალია პერსონალის დენადობა ან დაბალია მომუშავეთა კვალიფიკაცია და ა. შ. და ურჩევს სათანადო ღონისძიებების გატარებას, რომელთა დასახვასა და რეალიზაციაში თვითონაც მიიღებს აქტიურ მონაწილეობას.

საკვანძო სიტყვები: პერსონალის მართვა, მართვის სტრატეგიები, ეეფექტური მართვა, ადამიანური რესურსები

ძირითადი ტექსტი

ქართულ კომპანიებში ძირითადად ადამიანური რესურსების მართვის შემდეგ სტრატეგიებს იყენებენ:

-სტაფინგი (კომპანიის ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა),

-განვითარება (რაც შეიძლება მეტი ინვესტიციის ჩადება პერსონალის ტრენინგსა და კარიერულ ზრდაში, შედეგების მართვა),

-შენარჩუნება (უფრო მეტ ჩართულობაზე ზრუნვა) და შრომის ანაზღაურების მართვა.

ამ ძირითადი სტრატეგიების გარდა, არსებობს რეკრუტინგის სტრატეგია (მაგალითად, მხოლოდ საუკეთესოების დაქირავება),

-განვითარების სტრატეგია (მხოლოდ საუკეთესო შედეგების მქონე თანამშრომლების წახალისება) და

-ანაზღაურების სტრატეგია (ბაზარზე არსებული ყველაზე მაღალი სახელფასო ანაზღაურების გადახდა).

ისეთი საკითხები, როგორიცაა: რა სჭირდება ორგანიზაციას, რა არის მისი შესაძლებლობები და საფრთხეები, რა არის ძლიერი და სუსტი მხარეები, როგორია ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია, რამდენად შეესაბამება იგი ბიზნესის მართვის სტრატეგიებს და სხვ. ადამიანური რესურსების მენეჯერმა, მენეჯმენტის საერთო გუნდთან ერთად, უნდა განიხილოს.

ქართულ კომპანიათა მართვის ძირითადი პრობლემა, როგორც უკვე აღინიშნა ისაა, რომ ადამიანური რესურსების მენეჯერის საქმიანობად ხშირად მხოლოდ ჰუმანიტარული სფეროა მიჩნეული და არა ბიზნესის მართვა. სინამდვილეში მოცემული კატეგორიის მენეჯერს მოეთხოვება აქტიურად მონაწილეობდეს ორგანიზაციის პერსონალის მართვაში და სხვა მენეჯერებს მიაწოდოს ინფორმაცია ორგანიზაციის პერსონალის მართვის სტრუქტურის, კადრების დენადობისა და იმის შესახებ, თუ რა შედეგის მოტანა შეუძლია კომპანიისთვის თითოეულ თანამშრომელს. სამუშაოს აღწერილობის, შეფასებისა და მოტივაციის სისტემების აღწერა ადამიანური რესურსების მენეჯმენტის უმთავრესი კომპონენტია. იგი კონკრეტული პოზიციისათვის ადგენს აუცილებელ ფუნქციებს, პასუხისმგებლობებსა და კომპეტენციებს, ზრდის ინდივიდუალურ და ორგანიზაციულ ეფექტიანობას, აცნობს პერსონალს კონკრეტული პოზიციისა და ორგანიზაციის მიზნებს.

კერძო სექტორში სამუშაოს აღწერილობა გააჩნია თითქმის ყველა ორგანიზაციას, თუმცა იგი არსებული წესით გაფორმებული ორგანიზაციათა მხოლოდ 40%-შია.

ქართულ კერძო კომპანიათა ორგანიზაციულ სტრუქტურებში გამოვლინდა სხვა ხარვეზებიც, რომლებიც ხელს უშლის შემუშავებული სტრატეგიების განხორციელებასა და დაგეგმილი შედეგების მიღწევას. ხშირად, მომუშავეთა შორის ფუნქციების ფაქტობრივი განაწილება რადიკალურად განსხვავდება ოფიციალურად გაწერილი დავალებებისგან და სამუშაო ადგილის, სამსახურებისა და განყოფილებების დასახელებები არ ასახავს შესაბამის ქვედანაყოფსა და პოზიციაზე ფაქტობრივად განხორციელებულ სამუშაოს. “მკაფიოდ არ არის განსაზღვრული კომპანიების თანამშრომლების უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები, რაც შესაბამისად ახდენს ფუნქციების დუბლირებას ან უფუნქციობას” .ასეთი ფაქტები მრავალი გაუგებრობის, კონფლიქტისა და უსიამოვნო გარჩევის მიზეზი ხდება, რაც ამცირებს თანამშრომელთა მოტივაციას, შრომის მწარმოებლურობას და იწვევს დროის არამიზნობრივ ხარჯვას.

საქართველოს ეკონომიკის კერძო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილია:

- პერსონალის მართვის სტრატეგიის ბიზნესის სტრატეგიასთან შესაბამისობაში მოყვანა ყველა იმ ორგანიზაციაში, სადაც ამას დღეს ადგილი არ აქვს.
- ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება მოხდეს კომპანიათა (ფირმების და ა. შ.) დანიშნულების საფუძვლიანი გააზრებისა და ძირითადი პროცესების სწორად დაგეგმვის საფუძველზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პერსონალის
- შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენება, მიმდინარე პროცესების ეფექტიანად წარმართვისა და კომპანიათა სტრატეგიების განხორციელებისათვის;
- პერსონალის იმგვარი ეფექტიანი მართვის პოლიტიკის განხორციელება, რომელიც უშუალოდ დადებით გავლენას მოახდენს დასაქმებულის ისეთ თვისებებზე, როგორიცაა: მართვის პროცესებში ჩართულობა, მოტივაციის ამაღლება, ხელმძღვანელ პირებს შორის პასუხისმგებლობის რაციონალური განაწილება და ა.შ., რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის (ფირმის, კომპანიის და ა. შ.) საერთო ხელმძღვანელობის (მათ შორის, პერსონალის

მართვის) ხარისხის ამაღლებას.

პერსონალის მართვის სტრუქტურა გულისხმობს პერსონალის მართვის მიზნების, ფუნქციებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებას. იგი მოიცავს აგრეთვე მმართველობით გადაწყვეტილებათა დასაბუთების, დამუშავების, მიღებისა და რეალიზაციის პროცესში ხელმძღვანელობისა და სპეციალისტების ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ფუნქციონალურ ურთიერთდაკავშირების ფორმირებას. ორგანიზაციული პროცესით განსაზღვრული თანამდებობები გულისხმობს ორგანიზაციაში სხვადასხვა გამოცდილებების, ინდივიდუალური ინტერესებისა და მიზნების მქონე ადამიანთა ურთიერთობებს. იმისათვის, რომ მოხდეს ორგანიზაციისა და თანამშრომელთა მიზნების ჰარმონიზაცია, მათი ერთ მთლიან გუნდად შეკვრა, მენეჯერები კარგად უნდა ერკვეოდნენ მმართველური მოღვაწეობის მესამე ფუნქციაშიხელმძღვანელობის ხელოვნებაში.

პერსონალის მართვაში შეიძლება გამოვყოთ სამი ურთიერდაკავშირებული მიდგომა, რომელიც გამომდინარეობს ეკონომიკური და საორგანიზაციო თეორებიდან.

პირველი მიდგომა დაკავშირებულია ადამიანური კაპიტალის ფორმირებასთან. მეორე მიდგომა გულისხმობს პერსონალის მართვაში იმ ფაქტორების გამოყენებას, რომლებიც ახდენენ დამქირავებლის მოტივირებას, რათა გარე შრომის ბაზარზე მოიძიოს შესაბამისი პროფილის მქონე ოპტიმალური სამუშაო ძალები. მესამე მიდგომა დაფუძნებულია ორგანიზაციისადმი ერთგულების კონცეფციაზე, რომელიც იწვევს ორგანიზაციის (ფირმის) ქცევის მოდელის შექმნას. შიდა საფირმო მართვის უმნიშვნელოვანეს თავისებურებად გადაიქცა მთელ პერსონალზე ერთიანი და კომპლექსური ზემოქმედება. ამასთან დაკავშირებით ყალიბდება საკადრო მუშაობის სისტემა.

არადამაკმაყოფილებელია საქართველოს კერძო სექტორში პერსონალის მართვის საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების ამჟამად არსებული პრაქტიკა. იგი უმეტესად ცენტრალიზებულია და მასში ნაკლებად ან საერთოდ არ მონაწილეობენ დაბალ თანამდებობებზე მყოფი სპეციალისტები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია განხორციელდეს დაბალანსებული მიდგომა ცენტრალიზებასა და დეცენტრალიზებას, ვერტიკალურ დელეგირებასა და ჰორიზონტალურად ფუნქციების განაწილებას შორის. ეს თანამშრომელთა ინდივიდუალიზმს, პროდუქტიულობასა და პროფესიულ განვითარებას შეუწყობს ხელს.

მმართველობით სტრატეგიაში იგულისხმება ორგანიზაციის ძირითადი ამოცანების მიღწევის, მის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტისა და ამისთვის აუცილებელი შეზღუდული რესურსების განაწილების ზოგადი კონცეფცია. იგი, ისე როგორც ნებისმიერი სხვა სტრატეგია, უნდა იყოს შინაგანად ერთიანი, გარემოსთან შეთავსებადი, რესურსებით დაბალანსებული, რეალური, ზომიერად რისკიანი, გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების მომცველი. პრაქტიკაში სტრატეგია ორგანიზაციის (ფირმის, კომპანიის) მისიის, მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციისადმი მიმართული მმართველობითი და ორგანიზაციული გადაწყვეტილებების სისტემაა. იგი მოიცავს რამდენიმე ელემენტს.

სტრატეგიის უპირველესი ელემენტია მიზანთა სისტემა. მასში შედის მისია (მთავარი დანიშნულება), ზოგადორგანიზაციული და სპეციფიკური მიზნები; სტრატეგიის მეორე ელემენტია პრიორიტეტები. მასში იგულისხმება რესურსების (მოცემულ შემთხვევაში ადამიანური რესურსების) განაწილების მთავარი პრინციპები; მესამე ელემენტია მმართველობითი მოქმედებებისა და კადრებთან მუშაობის წესები.

პერსონალის მართვის სტრატეგია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:

1.უნდა ჰქონდეს გრძელვადიანი ხასიათი;

2.უნდა ითვალიწინებდეს მრავალ ფაქტორს და, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული უნდა იყოს ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიასთან.

პერსონალის სტრატეგიული მართვის ობიექტია ორგანიზაციის მომუშავეები, შრომის პირობები და მომუშავეთა სტრუქტურა.

პერსონალის სტრატეგიული მართვისას დიდი მნიშვნელობა აქვს პერსონალის ოპტიმალური სტრუქტურის უზრუნველყოფას.

კოლექტივის პერსონალის სტრუქტურიზაციის კრიტერიუმებია: სქესი,ასაკი, ეროვნება,

კვალიფიკაცია.

სტრატეგიის შემუშავებისათვის აუცილებელია მრავალი ადამიანის ერთობლივი მუშაობა. ამ მიზნით, დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მსხვილ ფირმებში ხშირად იქმნება სპეციალური ჯგუფები. მასში, როგორც წესი, შედის 10-15 კაცი (ძირითადი ქვედანაყოფების ხელმძღვანელები, უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები, შრომითი კოლექტივის წარმომადგენლები, გარე კონსულტანტები). მათ მიერ მუშავდება სტრატეგიის ფუძემდებლური პრინციპები და მისი ალტერნატიული მოდელები. ცხადია, სტრატეგიის ფორმირებისას შეუძლებელია ყველაფრის გათვალისწინება. ნებისმიერ მომენტში, როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე მის გარეთ შეიძლება წარმოიშვას ახალი მოვლენები. ასეთ შემთვევაში უმეტესად არაა საჭირო მთელი სტრატეგიის შეცვლა, საკმარისია მასში სათანადო ცვლილებების შეტანა. ხშირად მოწინავე ორგანიზაციებს, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, აქვს არა ერთი, არამედ რამდენიმე სტრატეგია. მათ შორის წამყვანია გენერალური სტრატეგია, რომელიც მოიცავს ორგანიზაციის განხორციელების წესებსა და გზებს, განსაკუთრებული შემთხვევისათვის კი ამუშავებენ სპეციალურ სტრატეგიებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა., ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები, თბ., 2014;
2. ბარათაშვილი ე. ,აბრალავა ა., მენეჯმენტი და ადმინისტრირება თბ. 2007;
3. Triandis H.C. Culture and social behavior. N.Y. etc., «McGraw-Hill», 1994
4. Leading a Multicultural Team https://www.ccl.org/articles/leading-effectively-articles/leading-a-multicultural-team/

Different Strategies of Personal's Effective Management

Eduard Kavtidze
Associate Professor of Technical University of Georgia

Giorgi Lagvilava
Doctor of Business Administration

Abstract

Different strategies of perception are stable images, those which were worked out among representatives of some particular ethnic societies and are revealed in relations between the components of cognitive and emotional evaluations. During the perception of other culture and people of different race, some particular keys exist, by means of which the human freely perceives the representatives of his / her circle, but the keys are not operational whilst the representatives of other culture are about to be perceived

Different strategies exist as the stereotypes of national conduct and stereotypes of perception. Thanks to stereotypes of national conduct (stable, schematic models of conduct) the situations are split into types and ethnic micro group choses the answer to managerial impact into organization. The leader`s knowledge on specific properties of conduct allows to preliminarily determine the actions and responses of staff individuals and representatives of ethnic micro groups.

ბიზნესის რეაბილიტაციის გამოწვევები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ ახალი კანონის მოქმედების ფონზე

კალანდია ლელა
საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ჩვენი კვლევის მიზანია შევისწავლოთ თუ რა ეფექტი იქონია ბიზნესზე გადახდისუუნარობის შესახებ ძველი კანონის ძირეულად შეცვლამ, რა ხარვეზები გამოვლინდა ახალი კანონის მოქმედების პროცესში და რა არის საჭირო ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

ახალი კანონის პროგრესულობის მიუხედავად, კომპანიების მხრიდან საწარმოს გაკოტრებასთან და რეაბილიტაციასთან დაკავშირებით სასამართლოსთვის მიმართვიანობა საკმაოდ დაბალია, რაც რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული, _ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ინფორმაციის ნაკლებობა და კერძო სექტორის მხრიდან პროცესისადმი უნდობლობა.

კანონში მრავალი პროცესუალური ხარვეზია, რომელიც ამ კვლევაში აღვწერეთ. აღნიშნული დასკვნები ჩვენი მართვის ქვეშ მყოფი კომპანიების გამოცდილებასა და ამ სფეროში ჩართული პირების პრაქტიკაზეა აგებული და სრულად წარმოადგენს ავტორის პირად დაკვირვებებს. შედეგად, დავასკვენით, რომ ახალი კანონი საჭიროებს კვლევაში აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებას, რაც უზრუნველყოფს მის ეფექტიან მოქმედებას. აუცილებელია კანონის ცნობადობის ამაღლება ბიზნეს-სექტორში, კვალიფიკაციის ამაღლება პროცესში ჩართული სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებში.

აღნიშნული საკითხების მოგვარება ასევე მნიშვნელოვანია მოქმედი საწარმოებისთვის იმდენად, რამდენადაც პოსტ-პანდემიურ პერიოდში მრავალი საწარმო განიცდის კრიზისს და მისთვის საციცოცხლო მნიშვნელობისაა კანონის ეფექტურობა, გამართულობა და რეაბილიტაციის (გადარჩენის) მიღწევა, რაც წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვან საკითხს.

საკვანძო სიტყვები: გადახდისუუნარობა, რეაბილიტაცია, ბიზნესი, კრედიტორი, კანონი.

ძირითადი ნაწილი

2021 წლის 01 აპრილიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, რომელმაც შეცვალა ძველი - „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი. ძველი კანონი ვერ აკმაყოფილებდა ვერც მოვალეთა და ვერც კრედიტორთა ინტერესებს და გადახდისუუნარო სუბიექტებისთვის არ ქმნიდა რეაბილიტაციის, როგორც ფინანსური პრობლემების დაძლევის ოპტიმალური სტრატეგიის არჩევის სტიმულებს.

ჩვენი კვლევის მიზანია შევისწავლოთ თუ რა ეფექტი იქონია ბიზნესზე გადახდისუუნარობის შესახებ ძველი კანონის ძირეულად შეცვლამ, რა ხარვეზები გამოვლინდა ახალი კანონის მოქმედების პროცესში და რა არის საჭირო ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

რა შეიცვალა ბიზნესისთვის ახალი კანონით?

დაინერგა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის პროფესია და კანონმა სრულად ჩაანაცვლა აღსრულების ეროვნული ბიურო საწარმოს მეურვობის პროცესს, რაც უდავოდ შესანიშნავი ცვლილებაა. გადახდისუუნარობის პრაქტიკოსები შეირჩევიან სასამართლოს ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რაც პროცესის გამჭვირვალეობას და მიუკერძოებლობას უზრუნველყოფს. დღეისათვის ავტორიზაცია მინიჭებული აქვს 18 გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს, რომელთა შორის 16 იურისტი და 2 ეკონომისტია.

მიუხედავად ამ პოზიტიური ცვლილებისა, ხარვეზად მიგვაჩნია გადახდისუუნარობის პრაქ-ტიკოსთა საკვალიფიკაციო პროგრამის სასწავლო მოდული, რომელშიც არ არის გათვალისწინებული ბიზნესის მენეჯმენტის საფუძვლები და ძირითადი სალექციო საათები ეთმობა სამართლის საკითხებს.

ვფიქრობთ, მართებული არაა რეაბილიტაციის მმართველებად და ზედამხედველებად დაინიშნონ პირები, რომელთაც წარმოდგენა არ აქვთ ბიზნეს-პროცესებზე და მენეჯმენტზე.

გადახდისუუნარობის განცხადების დასაშვებად ცნობა და მისი შედეგები. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებობის საკითხს სასამართლო, როგორც წესი, წყვეტს ზეპირი მოსმენის გარეშე, რაც ემსახურება კანონის მიზნის მიღწევას, მოვალის ფინანსური სირთულეები გადაწყვეტილი იქნეს სწრაფად და თანმიმდევრულად.

რეგულირებული შეთანხმება (ალტერნატიული მექანიზმი) რეგულირებული შეთანხმება ნოვაციაა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში და წარმოადგენს საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცეულ მოლაპარაკებებს მოვალესა და კრედიტორებს შორის. რეგულირებული შეთანხმების პროცედურის ერთადერთი უშუალო მიზანი მოვალე სუბიექტის გადარჩენაა, რაც გამორიცხავს მის ლიკვიდაციას.

გადახდისუუნარობის მასა. შეიცვალა მოვალის ქონების სახელწოდება და სამეურვეო ქონების ნაცვლად, „გადახდისუუნარობის მასად" იწოდება. კანონის ერთ-ერთი სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ იგი მკაფიოდ განსაზღვრავს მოვალის ქონებაში მყოფ ცალკეულ ნივთებთან დაკავშირებული სანივთო უფლებების საკითხს; უფრო ამომწურავად და, რაც მთავარია, სამართლიანად არის განსაზღვრული მოვალის ქონების ის ნაწილი, რომელიც ამორიცხულ უნდა იქნეს გადახდისუ-უნარობის მასიდან. ასეთი მიდგომა გადახდისუუნარობის მასაში შემავალი ქონების ცალკეულ ნაწილებზე უფლებამოსილი მესამე პირების ლეგიტიმური ინტერესების დაცვისაკენ არის მიმართული.

რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის დაწყება. სასამართლო მოვალის რეაბილიტაცი-ის/გაკოტრების რეჟიმის დაწყების თაობაზე განჩინებით ასევე იღებს გადაწყვეტილებას რეაბილი-ტაციის რეჟიმის მმართველის/ზედამხედველის ან გაკოტრების რეჟიმის მმართველის დანიშვნის შესახებ. კანონი გარკვეულ გარანტიებს აძლევს კეთილსინდისიერ და გულისხმიერ მოვალეს მართვის შენარჩუნებისათვის. მოვალის მართვაში დატოვებისას სასამართლო მოვალეს უნიშნავს რეაბილი-ტაციის ზედამხედველს. ამასთან, რეაბილიტაციის მმართველის/ზედამხედველის უშუალო მოვალე-ობაა შეადგინოს კრედიტორთა რეესტრი და განსაზღვროს კრედიტორთა ხმები, _ ეს მოვალეობა სრულად ჩამოსცილდა სასამართლოს, რამაც უზარმაზარი დრო დაზოგა მოვალისა და კრედიტორებისთვის. ახალ კანონში პრობლემურ ხარვეზად დარჩა პირობითი კრედიტორების ხმების უფლებები, რომელიც კანონში გამოსასწორებელია, ვინაიდან იწვევს ძირითადი კრედიტორების ხმების დუბლირებას (თავდებობის შემთხვევაში) ან დაუსაბუთებელ ზრდას (სამომავლო კრედიტორების შემთხვევაში), რაც ახდენს გავლენას პროცესზე.

საწარმოს რეაბილიტაცია. რეაბილიტაციის რეჟიმს ცალსახა და უპირობო პრიორიტეტი ენიჭება, რაც გამოიხატება როგორც გაცხადებული მიზნებისა და პრინციპების დონეზე, ასევე რეაბილიტაციის წამახალისებელი არაერთი მექანიზმის გათვალისწინებით, როგორიცაა მოვალის მართვაში დატოვება, გაკოტრების რეჟიმის რეაბილიტაციაში კონვერსიის შესაძლებლობა და სხვ. რეაბილიტაცია იმ პირობით დაიშვება, რომ ის უკეთესი შედეგების მომტანი უნდა იყოს კრედიტორთა ერთობლი-ობისთვის, ვიდრე გაკოტრებისას მისაღები მინიმუმია (გამოიანგარიშება წმინდა მიმდინარე ღირებულების მეთოდით).

პრაქტიკაში გამოიკვეთა წმინდა მიმდინარე ღირებულების მეთოდის გაანგარიშების პრობლემები. პრაქტიკულად ყველა ახალ რეაბილიტაციის გეგმაში გამოყენებულია სხვადასხვა მიდგომა. სასურველია, რომ კანონში დაზუსტდეს მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა და მკაფიო ფორმულა იქნეს ჩამოყალიბებული.

რეაბილიტაციის რეჟიმი სრულდება რეაბილიტაციის გეგმის ძალაში შესვლისთანავე. კანონი უშვებს რეაბილიტაციის რეჟიმის გაკოტრების რეჟიმში გადასვლის (კონვერსია) შესაძლებელობას იმ შემთხვევაში, თუ რეაბილიტაციის გეგმა არ დამტკიცდა, ან თუ რეაბილიტაციის მმართველი მიიჩნევს, რომ რეაბილიტაციის მიზნის მიღწევის გონივრული ალბათობა არ არსებობს, რასაც დამატებით ამოწმებს და ამტკიცებს სასამართლო. ახალი კანონის მიხედვით გაკოტრების მმართველი უფლება-მოსილია გადახდისუუნარობის მასის რეალიზაცია განახორციელოს ქონების რეალიზაციისათვის კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი ფორმით, რაც განაპირობებს ქონებიდან მაქსიმალური

თანხის ამოღებას და პროცესის ეფექტიანად და სწრაფად დასრულებას. ძველი კანონის მიხედვით, ქონების გასხვისება შესაძლებელი იყო მხოლოდ აუქციონის გზით.

ახლებურად წესრიგდება პროცესში კრედიტორთა დაკმაყოფილების რიგითობა. ძველი კანონისაგან განსხვავებით არ არსებობს კრედიტორთა რიგითობა და ყველა კრედიტორი უნდა დაკმაყოფილდეს კოლექტიურად და პროპორციულად. უპირატესობა ენიჭება მხოლოდ პროცესის ხარჯებს და მუშა-მოსამსახურეთა მიმართ დავალიანების გადახდას განსაზღვრულ ფარგლებში. სიახლეა ისიც, რომ გაკოტრების დასრულების შემდეგ დარჩენილი ქონება პარტნიორებს შორის ნაწილდება მათი წილის პროპორციულად. ძველი კანონი განაწილების შემდეგ დარჩენილი ქონების ბედს განსხვავებულად განსაზღვრავდა და მას სახელმწიფო საკუთრებაში მიაქცევდა.

სპეციალური რეჟიმის სტატუსის მქონე მოვალე. ახალ კანონში გაჩნდა სპეციალური რეჟიმის სტატუსის მქონე მოვალის ცნება. თუ მოვალის საქმიანობის შეჩერება/შეწყვეტა არსებით ზიანს მიაყენებს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესს, სასამართლოს შეუძლია ასეთ პირს მინიჭოს სპეციალური რეჟიმის მქონე მოვალის სტატუსი, როდესაც საქმე ეხება კონკრეტული რეგიონის თუ მთლიანად ქვეყნისათვის საჭირო ისეთი სერვისის მიმწოდებელ მოვალეს, რომლის ქონების ცალ-ცალკე გაყიდვა და მისი პროფილის შეცვლა გამოიწვევს კონკრეტული სერვისის პარალიზებას.

პროცესის ხარჯები. სახელმწიფო ბაჟის მთლიანი ოდენობა შეადგენს გადახდისუუნარობის მასის ღირებულების 3%-ს, მაგრამ არანაკლებ 500 და არაუმეტეს 10 000 ლარისა. ამასთან, რეაბილიტაციის შემთხვევაში, სახელმწიფო ბაჟი ნახევრდება. ხარვეზად მიგვაჩნია რეაბილიტაციის მმართვე-ლის/ზედამხედველის ანაზღაურების წესი - რომელიც გარდა დადგენილი ანაზღაურებისა (ამოღებული თანხის %) უშვებს გაწეული მომსახურების საათობრივ ტარიფიკაციას, რაც პრაქტიკაში სცდება გონივრულ საზღვრებს. ასევე ხარვეზად განვიხილავთ რეაბილიტაციის მმართველისთვის და რეაბილიტაციის ზედამხედველისთვის ანაზღაურების ერთგვაროვან წესს, მაშინ, როდესაც მმართველობითი უფლებამოსილება მნიშვნელოვნად რთული და ფართო სფეროა და ის ვერ შეედრება ზედამხედველის მიერ გასაწევ შრომას.

პროცესუალური ხარვეზები. პრაქტიკაში გამოიკვეთა, რომ პროცესში მნიშვნელოვანი ხასიათის პრობლემები ფიქსირდება. კერძოდ, ახალი კანონის თანახმად, რეაბილიტაციის პროცესში მყოფი კომპანიის აქტივები არ შეიძლება დაყადაღდეს /ან პროცესის გახსნის მომენტისათვის დაყადაღებული ქონებას დაუყოვნებლივ უნდა მოეხსნას ყადაღა/საგადასახადო გირავნობა-იპოთეკა/ინკასო. ფიქსირ-დება შემთხვევები, როდესაც გადახდისუუნარობის გახსნის შემდგომ კომპანიის მიმართ იძულების ღონისძიებები როგორც პროკურატურამ, ასევე აღსრულების ეროვნულმა ბიურომ და საგადასახადო ორგანომ განჩინების მიუხედავად მაინც გამოიყენა. შესაბამისად ხელი ეშლება გადახდისუუნარობის პროცესის სრულფასოვან აღსრულებას და კომპანიებს არ ეძლევათ საშუალება გამოიყენონ საკუთარი აქტივები რეაბილიტაციის მიზნებისთვის.

დასკვნა

უპირველესად, ხაზგასმით აღსანიშნავია ახალი კანონის პროგრესულობა, საერთაშორისო სტანდარტებთან მნიშვნელოვანი დაახლოება და ერთი მხრივ მოვალე საწარმოს რეაბილიტაციის მიზნების პრიორიტეტულობა, მე მხრივ კი -კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების მიზანი.

თუმცა, კომპანიების მხრიდან საწარმოს გაკოტრებასთან და რეაბილიტაციასთან დაკავშირებით სასამართლოსთვის მიმართვიანობა საკმაოდ დაბალია. მიმართვების დაახლოებით 25%-ზე იხსნება გადახდისუუნარობის პროცესი, რომლის მხოლოდ 20% რეაბილიტაციით სრულდება. მიმართვიანობის დაბალი მაჩვენებელი რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული, _ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ინფორმაციის ნაკლებობა, და კერძო სექტორის მხრიდან პროცესისადმი უნდობლობაა.

ახალი კანონით კრედიტორებმა უნდა მიიღონ იმაზე მეტი, ვიდრე საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში მიიღებდნენ, რაც პრაქტიკაში მნიშვნელოვნად ზრდის ვალდებულებებს ფულის მიმდინარე წმინდა ღირებულებების მეთოდის გამოყენების პრინციპის გათვალიწინებით, - აღნიშნული კი აფერხებს ბიზნესს მიმართონ კანონით მოცემულ შესაძლებლობას.

კანონში მრავალი პროცესუალური ხარვეზია, რაზეც ხშირად სასამართლოს ერთგვაროვან საკითხებზე სხვადასხვა გადაწყვეტილებები გამოაქვს, რაც ასევე პრობლემურია და ცუდი პრეცენდენტია ბიზნესისთვის, წარმოშობს რა გაურკვევლობებს.

შედეგად, ვასკვნით, რომ ახალი კანონი საჭიროებს კვლევაში აღნიშნული ხარვეზების დროულ გამოსწორებას, რაც უზრუნველყოფს მის ეფექტიან მოქმედებას. აუცილებელია კანონის ცნობადობის ამაღლება ბიზნეს-სექტორში, კვალიფიკაციის ამაღლება პროცესში ჩართული სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებში, რაშიც პასუხისმგებლობა როგორც სახელმწიფოს, ასევე საგანმანათლებლო და პროფესიულ წრეებს ეკისრება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“
2. საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“
3. www.e-court.ge

Challenges of business rehabilitation against the background of the new law "On Rehabilitation and Collective Satisfaction of Creditors' claim"

Lela Kalandia
PhD student of Georgian Technical University

Abstact

The purpose of our research is to study what effect the radical change of the old law on insolvency had on business, what errors were revealed during the operation of the new law, and what is needed to eliminate the errors.

Despite the progressive nature of the new law, companies' appeals to the court regarding bankruptcy and rehabilitation of the enterprise are quite low, which is due to several reasons, the most important of which is the lack of information and distrust of the process by the private sector.

There are many procedural flaws in the law, which we have described in this study. The mentioned conclusions are based on the experience of the companies under our management and the practice of the persons involved in this field and fully represent the personal conclusions of the author.

As a result, we concluded that the new law needs to correct the shortcomings mentioned in the study, which ensures its effective operation. It is necessary to raise awareness of the law in the business sector, raise the qualifications of representatives of the judicial and executive authorities involved in the process. Solving the mentioned issues is also important for the operating enterprises to the extent that many enterprises are experiencing a crisis in the post-pandemic period, and it is of vital importance for the effectiveness, soundness and rehabilitation (survival) of the law, which is an important issue for the country's economy.

რუსეთის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონში (საქართველოს მაგალითზე)

კანდელაკი სალომე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

საერთაშორისო პოლიტიკაში კავკასია სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონია. შესაბამისად, აქ მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს ყოველთვის ჰქონდათ თავისი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესები. ისტორიულად მუდმივი ბრძოლა იყო სხვადასხვა დიდ ძალებს შორის რეგიონში დამკვიდრებისათვის, რადგან ეს არის დამაკავშირებელი ადგილი ევროპისა აზიასთან. შესაბამისად, გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ყოველთვის იყო მეტოქეობა ამიერკავკასიაზე დომინირებისთვის. დიდი სახელმწიფოები ცდილობენ სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში დამკვიდრებას, რათა დაეკმაყოფილებინათთავიანთი გეოეკონომიკური ინტერესები. თუმცა რუსეთი უპირისპირდება ყველა სხვა ძალებს სამხრეთ კავკასიაში, მისთვის „თავისად“ მიჩნეულ რეგიონში. გასაკვირი არაა, რომ აქ ერთმანეთს ეჯახებოდა დასავლეთისა და რუსეთის ინტერესები. ამ უკანასკნელის მიზანი ყოველთვის მტკიცე კონტროლის მოპოვება იყო ენერგიის ტრანსპორტირების მარშუტებზე, რათა გახდეს დასავლეთისთვის ნავთობისა და გაზის ერთადერთი მიმწოდებელი. შესაბამისად ცდილობს საქართველო და სამხრეთ კავკასია, რომელიც წარსულში რუსეთის უკანა ეზოდ განიხილებოდა, კვლავ თავისი ინტერესებიდან გამომდინარე გამოიყენოს და დომინანტობა შეინარჩუნოს რეგიონში[1].

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკა, გეოეკონომიკა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, სამხრეთ კავკასია.

ძირითადი ტექსტი

რუსეთის ინტერესები საქართველოში

საქართველო-რუსეთს საუკუნოვანი ურთიერთობები აკავშირებს. ხშირად მოკავშირეული, თუმცა არასოდეს მეგობრული. ისტორიულად ფაქტები ცხადჰყოფს, რომ საქართველო-რუსეთის „მეგობრობა“ ყოველთვის რუსეთის ინტერესებზე იყო დამყარებული.

სხვა დამპყრობლების მსგავსად, რუსეთსაც არ სჭირდებოდა გვერდით ერთიანი და ძლიერი საქართველო, მას სურდა სუსტი ქვეყანა რომელსაც გამოიყენებდა თავისი ინტერესების შესაბამისად.

თანამედროვე ეტაპზე, ერთ-ერთ მწვავე პრობლემას მსოფლიო თანამეგობრობისათვის კონფლიქტების დარეგულირება წარმოადგენს. საკითხის არსს კიდევ უფრო ამძაფრებს ეთნიკურად რთული სივრცე, მაგალითად როგორიც არის სამხრეთ კავკასიის რეგიონი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მისი დამანგრეველი შედეგები ყველაზე მეტად სამხრეთ კავკასიამ იწვნია. რაც გამოხატული იყო სომხურ-აზერბაიჯანულ შეიარაღებულ დაპირისპირებაში ყარაბაღის გამო. ასევე საქართველოს კონფლიქტებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში[2]. 90-იანი წლების შემდეგ ქართულ-ოსური კონფლიქტი პასიურ ფაზაში გადავიდა, თუმცა 2008 წლის აგვისტოში კი დაპირისპირება კვლავ განახლდა. რუსეთი სამხრეთ კავკასიას და განსაკუთრებით საქართველოს აღიქვავს რა თავის გავლენის სფეროდ ვერ ეგუება ახალი საერთაშორისო მოთამაშეების გავლენების განმტკიცებას და გამოირჩევა საკმაოდ ხისტი პოლიტიკით[3].

---

[1] Modebadze V., Kozgambayeva G., Russia's Geopolitical Interests in Georgia (South Caucasus and the Threats Coming From Moscow), journal of history. No4 (91). 2018. Al-Farabi Kazakh National University.

[2] პიპინაშვილი, დ., სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2009

[3] გუჩუა, ა., ღიბრაძე, გ., დიდი სახელმწიფოების გეოპოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონში., საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში“ სტატიათა კრებული, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბ., 2020

კრემლი საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე ყოველთვის ცდილობდა რეალობის წარმოჩენას იმგვარად თითქოს სამხრეთ კავკასიაში და კონკრეტულად საქართველოში შექმნილი მდგომარეობა რუსეთის ეროვნულ უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნიდა.

რუსეთის გეოეკონომიკურ მიზანს წარმოადგენდა კონტროლის დამყარება კასპიისპირა ენერგორესურსების ალტერნატიულ მარშუტებზე, რომლებიც საქართველოზეც გადის. რადგან სწორედ ეს გზაა მისთვის ევროპის ენერგოუზრუნველყოფის მონოპოლიის გარანტი[1], შესაბამისად სამხრეთ კავკასია, როგორც მნიშვნელოვანი ენერგომიმწოდებელი, კვლავ რჩება აშშ-სა და ევროკავშირის სტრატეგიული ინტერესის სფეროდაც.[2]

საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რუსეთის გეოეკონომიკურ იმპერიალისტურ ზრახვებში. კერძოდ, აღსანიშნავია ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი და ასევე ბაქოს ნავთი. რუსეთმა ბაქო 1920 წლის გაზაფხულზე დაიქვემდებარა, ამ პერიოდში კი საქართველოსთან დადო ხელშეკრულება, რომლითაც მის სუვერენობას და შიდა საქმეებში ჩაურევლობას ადასტურებდა. ამასთან, რუსეთს ჰქონდა საშუალება საქართელოდან ნავთსადენით სრულად ესარგებლა[3].

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ჯერ კიდევ 1887 წელს ბაქო-ბათუმის ნავთობმსადენის მშენებლობის ნებართვა რუსმა იჟინერმა ივან ილიმოვმა მოიპოვა ყოფილ გენერალ ალექსანდრ ლავროვთან ერთად. ნავთობსადენის მშენებლობას დიდი მოწონებით შეხვდნენ რუსი მეცნიერ-სპეციალისტები, თუმცა რაღა თქმა უნდა ყველასათვის მოსაწონი ვერ იქნებოდა და ამ პროექტსაც ჰყავდა მოწინააღმდეგეებიც, ძირითადად ნავთობმრეწველები რომლებსაც ახალი წამოწყებული ინიციატივა დიდ სიკეთეს არ უქადდა. 1891 წელს მინისტრთა კაბინეტმა მშენებლობა გადადო, მიზეზად კი ხაზინის ხარჯზე ნავთობსადენის აშენების არააუცილებლობა დასახელდა. საბოლოოდ მილსადენი სახელმწიფოს დაფინანსებით (21 მილიონი მანეთი) აშენდა. ხარჯი კი მილსადენმა დაახლოებით 5 წელიწადში მთლიანად დაფარა და მოგებაც ნახა. 1907 წლისათვის მილსადენით 1.06 ტონა ნავთობი გადაიტვირთა[4]. დასრულებული მაგისტრალი სწორედ ამავე პერიოდში გაიხსნა და დღემდე რუსეთის იმპერიაში უმნიშვნელოვანეს ინფრასტრუქტურულ ობიექტადაა აღქმული. საბჭოთა კავშირის დროს, 1930-იან წლებში ბაქო-ბათუმის მილსადენი ნედლი ნავთობის ტრანსპორტირებისთვის გამოიყენებოდა, მისი დაშლის შემდეგ კი ყველაზე მსხვილმა აქციონერმა „ბრითიშ პეტროლიუმმა“, აღნიშნულ მაგისტრალზე ბაქო-სუფსის მაგისტრალი გაიყვანა რომელიც 1999 წელს ამოქმედდა[5] და დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს.

საყურადღებოა იმ პროექტების განხორციელების მცდელობა, რომელიც რუსეთის გეოეკო-ნომიკურ ინტერესებში შედიოდა, კერძოდ, 1918 წელს შეიქმნა „საუღელტეხილო რკინიგზის საზოგადოება“ - რომლის მიზანს წარმოადგენდა თბილისიდან ვლადიკავკაზამდე სარკინიგზო ხაზის მშენებლობის პროექტის გაწერა და მისი სისრულეში მოყვანა. დაფინასების წყაროს წარმოადგენდა უცხოური ინვესტიციები, ძირითადად ინგლისის კაპიტალი. მოლაპარაკება ასევე მიმდინარეობა ფრანგულ, იტალიურ და ქართულ ბანკებთანაც. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურმა კომისიამ „საუღელტეხილო რკინის გზის საზოგადოების“ პროექტი მოიწონა და ნებართვა გასცა მშენებლობის თბილისი-ვლადიკავკაზის რკინიგზის პროექტი ვერ განხორციელდა[6]. 1921 წლის თებერვლის მოვლენების შემდეგ, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა და

---

[1] ჯანელიძე., ო, რუსეთის კავკასიური ინტერესები, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, https://gfsis.org.ge/files/library/pdf/Georgian--2849.pdf ნანახია 15.05.2023

[2] მაჩიტიძე ი., „რუსეთ-თურქეთის ძალაუფლებისთვის ბრძოლის თავისებურებები სამხრეთ კავკასიაში: რისკები და შესაძლებლობები საქართველოსთვის“, პოლიტიკის დოკუმენტი #13, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, მაისი 2020.

[3] 1922: რატომ დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა? მოსკოვის იმპერიალიზმი, ჟურნალი თავისუფალი საქართველო, 1922 წლის 10 ივნისი, N23, პარიზი

[4] Матвейчук А., Багиров А. „Нефтяные перекрестки братьев Нобелей : исторические очерки“. 2014

[5] ჯანელიძე ო., დაუშვილი ა., „საქმიანი საქართველო 1801-1921“ ალეტერნატიული მედია საშუალება, 2022

[6] სამუშია ჯ., “თბილისსა და ვლადიკავკაზს შორის კავკასიონზე „საუღელტეხილო“ რკინიგზის მშენებლობის პროექტი“. თბილისი, 2018

ტრანსკავკასიური რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობაც დავიწყებას მიეცა.

რუსეთისთვის XX ს-ის დასაწყისში და შემდეგ, სამხრეთ კავკასია, კერძოდ საქართველო გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესის ობიექტია. ყოველთვის ცდილობდა მონოპოლიის მოიპოვებას ენერგომარშუტებზე, საბჭოთა კავშირის დაშლის მემდეგაც ძალას არ იშურებს თავისი პოზიციების განსამტკიცებლად. მას დღემდე ჩვენი ქვეყნის 20% ოკუპირებული აქვს, გრძელდება უკანონო ბორდერიზაცია, ადამიანის უფლებების უხეში დარღვევები და სხვა, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოს მშვიდობიან განვითარებას, მის საერთაშორისო თანამშრომლობაში ჩართულობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Modebadze V., Kozgambayeva G., Russia's Geopolitical Interests in Georgia (South Caucasus and the Threats Coming From Moscow), journal of history. No4 (91). 2018. Al-Farabi Kazakh National University.
2. პიპინაშვილი, დ., სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები, თბილისი 2009
3. გუჩუა, ა., ღიბრაძე, გ., დიდი სახელმწიფოების გეოპოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონში., საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში“ სტატიების კრებული., თბილისი 2020
4. ჯანელიძე., ო, რუსეთის კავკასიური ინტერესები, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, https://gfsis.org.ge/files/library/pdf/Georgian--2849.pdf
5. მაჩიტიძე ი., „რუსეთ-თურქეთის ძალაუფლებისთვის ბრძოლის თავისებურებები სამხრეთ კავკასიაში: რისკები და შესაძლებლობები საქართველოსთვის“, პოლიტიკის დოკუმენტი #13, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, მაისი 2020.
6. 1922: რატომ დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა? მოსკოვის იმპერიალიზმი, ჟურნალი თავისუფალი საქართველო, 1922 წლის 10 ივნისი, N23, პარიზი
7. Матвейчук А., Багиров А. „Нефтяные перекрестки братьев Нобелей : исторические очерки“. 2014
8. ჯანელიძე ო., დაუშვილი ა., „საქმიანი საქართველო 1801-1921“ ალეტერნატიული მედია საშუალება, 2022
9. სამუშია ჯ., “თბილისსა და ვლადიკავკაზს შორის კავკასიონზე „საუღელტეხილო“ რკინიგზის მშენებლობის პროექტი“. თბილისი 2018

Russia's geopolitical and geoeconomic interests in the South Caucasus region (on the example of Georgia at the beginning of the 20th century)

Salome Kandelaki
PHD student of Georgian technical university

Abstract

The Caucasus is a strategically important region in international politics. Accordingly, the world's leading states have always had their geopolitical and geoeconomic interests here. Historically, there has been a constant struggle between the various great powers for a foothold in the region, as it is the connecting point between Europe and Asia. Therefore, due to the geopolitical location, there has always been a rivalry for dominance over Transcaucasia. Great powers are trying to establish themselves in a strategically important region in order to satisfy their geo-economic interests. However, Russia confronts all other powers in the South Caucasus, a region it considers "its own". It is not surprising that the interests of the West and Russia collided here. The aim of the latter has always been to gain firm control over energy transport routes to become the sole supplier of oil and gas to the West. Accordingly, Georgia and the South Caucasus, which were considered Russia's backyard in the past, are still trying to use it for their own interests and maintain their dominance in the region.

კლინიკის ეკონომიკური მენეჯმენტის სრულყოფის საკითხები

კარგაძე ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ მენეჯმენტი არის ძალა, პროფესიონალური საქმიანობა და პასუხისმგებლობის სფერო. მაგრამ ის უცვლელი არ არის. სიტუაციების ცვლილება მენეჯმენტის ცვლილებასაც მოითხოვს, მის კორექტირებას, სრულყოფას, ანდა სრულიად ახალი მეთოდებით და ხერხებით ჩანაცვლებას. სწორედ ამის აუცილებლობამ გადაწყვიტა ჩვენს მიერ განხილვის თემად ჰოსპიტალური სამსახურის მენეჯმენტის სრულყოფის აღება.

მენეჯმენტი სამი მეთოდით ხორციელდება, ესენია: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, სოციალურ-ფსიქოლოგიური და ეკონომიკური მეთოდები.

ჩვენს ყურადღებას ვამახვილებთ მენეჯმენტის ეკონომიკურ მეთოდებზე.

მას შემდეგ რაც ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში რეფორმების გატარება დაიწყო, მოხდა მისი დეცენტრალიზაცია და წარმოიშვა სხვადასხვა სამედიცინო ორგანიზაციებს შორის კონკურენცია, რაც განსაკუთრებულად გამწვავდა ჰოსპიტალურ სექტორში, დღის წესრიგში დადგა დარგში მმართ-ველობითი ვერტიკალის შემდგომი განვითარება-სრულყოფის აუცილებლობის საკითხი. ეს განსაკუთრებით ეხება: ჰოსპიტალური სექტორის ორგანიზაციათა როგორც შიგასაფირმო, ისე ფირმათაშორის, ფირმასა და სახელმწიფოს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს.

საკვანძო სიტყვები: კლინიკის ეკონომიკური მენეჯმენტი; ჰოსპიტალური სექტორი;

ძირითადი ტექსტი

საქმე ისაა, რომ ჰოსპიტალურ სექტორში ფუნქციონირებენ როგორც სახელმწიფო საკუთრების, ისე არასახელმწიფო ანუ კერძო საკუთრების სამედიცინო ორგანიზაციები. სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებები ბიუჯეტურ დაფინანსებაზე არიან და მათთან ჯანმრთელობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ამ სახსრებს ეფუძნება. სხვა საქმეა კერძო სექტორი. კერძო სექტორის ჰოსპიტალური დაწესებულებები საკუთარი შემოსავლებით ფინანსდებიან და ეს შემოსავლები მოითხოვს სწორ პროგნოზირებას და დაგეგმვას. აღრიცხვას და ანალიზს, განაწილებას და გადანაწილებას, მიზნობრივ გამოყენებას. აქ უკვე ჩნდება არა ჩვეულებრივი მენეჯმენტის ცოდნის საჭიროება, არამედ, ფინანსური მენეჯმენტის ცოდნისა, რომელიც ფულის მართვის მეტად რთულ და მრავალწახნაგოვან პრობლემას ეხება.

კარგი ფინანსური მენეჯერის ჩამოსაყალიბებლად არ კმარა მხოლოდ

უმაღლეს სასწავლებლების კედლებში მიღებული ცოდნა. ამასთან მას უნდა ჰქოდნეს ისეთი თანდაყოლილი თვისებები, რომელთაც ინტუიცია და ინსაიტი ეწოდება. დაგვეთახმებით, რომ ასეთი ადამიანები ძნელად მოიძებნება არა თუ საქართველოში, არამედ, საზღვარგარეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი. ამიტომ კარგი, ძლიერი, ფინანსური მენეჯერის შრომის ანაზღაურება, ხშირად, კომპანიის გენერალური მენეჯერის შრომის ანაზ ღაურებაზე მეტია. საზღვარგარეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში იგი შეადგენს წელიწადში რამოდენიმე მილიონ დოლარს.[1]

ამ ყველაფრით იმის თქმა გვინდა, რომ როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებში, მთლიანად ეკონომიკის, მისი დარგების, ქვედარგების, სექტორების და ცალკეული საწარმო-დაწესებულებების ეკონომიკური მართვა, ყველგან პრობლემაა. ეს არ ეხება მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვას და მხოლოდ ჰოსპიტალურ სექტორს. ამ მდგომარეობაში არიან სხვა დარგებიც და სხვა სექტორებიც. ამიტომ არის დარგობრივი მინისტრების ხშირი ცვლა, ფინანსური მენეჯერების ხშირი ცვლა და ა. შ. საქართველოს ჯანმრთელობის სფეროს ჰოსპიტალურ სექტორში გამოსაკვლევად და მეცნიერული განსჯისთვის სწორედ მენეჯმენტის ეკონომიკური მიმართულება ავირჩიეთ.

ამ სექტორში სხვა დარგებთან და სექტორებთან შედარებით, ეს პრობლემა უფრო მწავედ დგას.

ამას იწვევს ის, რომ რიგი საკითხები - შრომის დიფერენცირებული ანაზღაურება, სტიმულირების სიდიდე, ანგარიშსწორება სამედიცინო დაწესებულებებსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის, პერსონალური წანამატები და მრავალი სხვა - ჰოსპიტალურ სექტორში დღესაც სადისკუსიოა. ისინი არა თუ პრაქტიკოსთა, არამედ მეცნიერთა ყურადღებასაც იპყრობენ.

ნებისმიერი სექტორის თუ ცალკეული საწარმოს ან ორგანიზაციის გაჯანსაღება ეკონომიკიდან უნდა დაიწყოს. აღნიშნული პრობლემის კვლევის პროცესის ორგანიზების პროგრამა სქემატურად გვაქვს წარმოდგენილი (იხ. ნახაზი1).

ნახაზი 1.გამოკვლევის პროგრამა-კლინიკის მართვა ეკონომიკური მეთოდებით



როგორც ნახაზიდან ჩანს, გამოსაკვლევად უნდა აირჩეს ერთ– ერთი ჰოსპიტალური დაწესებულება, კერძოდ, მისი საქმიანობის მართვა ეკონომიკური მეთოდებით. გადასაწყვეტია 7 ამოცანა, რომელთაც ეტაპობრივად უნდა გადაიჭრას, კვლევის მიმდინარეობისას მათი რაოდენობა და შინაარსი დაზუსტდება. გამოკვლევა უნდა ჩატარდეს როგორც ეკონომიკურ-სტატისტიკური, ისე ანალიტიკური მეთოდებით. დაწესებულების 3-4 წლის მუშაობის ეკონომიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომლებიც მოცემული იქნება მის წლიურ ანაგრიშგებებში (წლიური ბალანსები, მოგება-ზარალის ანგარიშები, ნაღდი ფულის მოძრაობის უწყისები, საწოლთა ფონდის აღრიცხვა-გამოყენების უწყისები, ავადმყოფთა აღრიცხვის ბარათები და სხვ.). უნდა ჩატარდეს ავადმყოფების ტესტურ გამოკითხვებიც. კვლევის დაწყებამდე უნდა დამუშავდეს ყველა ხელმისაწვდომი ლიტერატურა ამ საკითხებზე, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე. შემდეგ ეტაპზე აღიწერება მართვის რომელ ეკონომიკურ მეთოდებს იყენებს კლინიკა და რა ეფექტს აძლევენ ისინი მას. შემდეგ გამოკვლეულ და შევაფასებულ უნდა იქნას სახელმწიფოს მიერ კლინიკის სამედიცინო მომსახურების შესყიდვის წესი საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის ფარგლებში. ამის შემდეგ გაანალიზდება კლინიკის დაფინანსების

მდგომარეობა და იწერება დასკვნები. შემდეგ ეტაპს დავუთმობთ კლინიკის ფინანსური მდგომარეობის შეფასებას, კერძოდ, დავადგენთ მის კრედიტუნარიანობას. ამისათვის წლიური საბალანსო-ანგარიშის და მოგება-ზარალის ანგარიშის მონაცემებზე ჩავატარებთ მის ანალიზსს და შეფასებას. მეორე შემთხვევაში დადგინდება უმჯობესდება თუ უარესდება კლინიკის ეკონომიკური მდგომარეობა ამ ბოლო წლებში, პირველით კი გაირკვევა თუ როგორია რესურსების სტრუქტურა კლინიკაში - საკუთარი რესურსი სჭარბობს ნასესხებს თუ პირიქით, ხომ არ დაარღვია კლინიკამ ნასესხი სახსრების ნორმატივი (50%) და ხომ არ გადავიდა რისკის საგანგაშო ზონაში. იგივე მიზანს ემსახურება მეორე, მესამე და მეოთხე ჯგუფის ფინანსური კოეფიციენტები. ფინანსური კოეფიციენტების მეორე ჯგუფის - კაპიტალის სტრუქტურის - მაჩვენებლები ; ფინანსური კოეფიციენტების მესამე ჯგუფია - ლიკვიდობის კოეფიციენტები. ლიკვიდობა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ერთ-ერთიუმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია და გვიჩვენებს მის მიერ ვადაში ვალების დაფარვის უნარს.

ჰოსპიტლის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი არ მთავრდება მხოლოდ ამ მაჩვენებლების გამოთვლით და შეფასებით. საჭიროა აგრეთვე, ფინანსური სტაბილურობის შეფასებაც. მისი ამოცანაა ჰოსპიტლის ქტივების და პასივების სტრუქტურის გარკვევა. ეს საჭიროა იმისთვის, რომ გავარკვიოთ რამდენადაა დამოკიდებული გარე წყაროებზე, იზრდება, თუ მცირდება ეს დამოკიდებულება და მისი აქტივებისა და პასივების მდგომარეობა პასუხობს თუ არა მის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამოცანებს. მაშასადამე, ფინანსური სტაბილურობა ახასიათებს დამოკიდებულებას და ფინანსების გარე წყაროებთან და განისაზღვრება საკუთარი და ნასესხი სახსრების თანაშეფარდებით და, აგრეთვე, მათი სტრუქტურით. ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტები გვიჩვენებენ ინვესტორების და კრედიტორების ინტერესების დაცულობის ხარისხს.

ფინანსური სიმყარე მისი ფინანსური რესურსების, მათი განაწილებისა და გამოყენების ისეთი მდგომარეობაა, რომელიც რისკის დასაშვები დონის პირობებში, კაპიტალის და მოგების ზრდის და გადახდის- უნარიანობის და კრედიტუნარიანობის შენარჩუნების პირობებში უზრუნველყოფს ზრდას. ამიტომ, ფინანსური სიმყარის ფორმირება ხდება არამყისიერად, რომელიმე ოპერაციის შესრულების შედეგად, არამედ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მთელი პროცესის განმავლობაში და იგი საერთო სტაბილურობის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

ფინანსური სიმყარის ანალიზი პასუხს გვაძლევს კითხვაზე

- რამდენად სწორად მართავდა ჰოსპიტალი თავის ფინანსურ რესურსებს და მათი მოცულობა და სტრუქტურა შეესაბამებოდა თუ არა ბაზრის მოთხოვნებს და განვითარების მოთხოვნებს.

ფინანსური სიმყარე 4 სახისაა: აბსოლუტური სიმყარე, ნორმალური სიმყარე, არასტაბი-ლური მდგომარეობა და კრიზისული მდგომარეობა.

ფინანსური სიმყარის სრულყოფილი ანალიზისათვის მსოფლიო პრაქტიკაში შემუშავებულია მაჩვენებელთა სპეციალური სისტემა,რომელშიც შედის:

- საერთო გადამხდელუნარიანობის კოეფიციენტი;
- ავტონომიის კოეფიციენტი;
- მანევრირების კოეფიციენტი;
- გრძელვადიანი ინვესტიციების უზრუნველყოფის კოეფიციენტი;
- დაფინანსების საკუთარი წყაროებით მარაგების უზრუნველყოფის კოეფიციენტი;
- აქტივების მობილიზაციის კოფიციენტი;
- აქტივების იმობილიზაციის კოფიციენტი;

კლინიკის ფინანსური სიმყარის განსაზღვრის შემდეგ საბოლოოდ შევაფასებთ მის ფინან-სურ მდგრადობას, განვიხილავთ მაის ფინანსურ სტრატეგიას და შევიტან მასში კორექტირებებს (თუ საჭირო იქნება) და ჩამოვაყალიბებთ საერთო დასკვნას კლინიკაში გამოყენებული მართვის ეკონო-მიკური მეთოდების და თვით კლინიკის ეკონომიკური (ფინანსური) გუნდის მუშაობის ეფექტურობის შესახებ.

კვლევის პროგრამის დამამთავრებელი ეტაპია კლინიკის ეკონომიკური მენეჯმენტის სრულ-ყოფის მიმართულებით კონცეპტუალური რეკომენდაციების წარმოდგენით.

დასკვნა

რადგან ნებისმიერი სუბიექტის ეკონომიკურ მართვის ნაწილში მთავარი არის ფინანსური ანალიზი, ამდენად უპირველესად საჭიროა შეფასდეს კლინიკის ფინანსური მდგომარეობა. ჩატარდეს ლიკვიდობის ანალიზი, გაანგარიშდეს როგორც საერთო, ისე შუალედური (სწრაფი) და ისე აბსოლუტური ლიკვიდობა. საავადმყოფოს ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად და საჭირო ღონისძიებების მისაღებად მის ფინანსურ სამსახურს ევალება ანალიზსსა და შეფასებაში არა მხოლოდ უკვე კარგად ცნობილი მეთოდების გამოყენება, რომელთა შორისაა ლიკვიდობის და ავტონომიის კოეფიციენტები, არამედ ახალი მეთოდების ჩართვაც.

გამოყენებული ლიტრატურა:

1. ბაქრაძე გ., თაკალანძე ლ., „სამედიცინო დაწესებულებების მართვის ფორმები განვითარებულ ქვეყნებში“, საერთაშორისო-პრაქტიკული კონფერენცია „პოსტკრიზისული ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმები“, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2011.
2. ბაქრაძე გ., მართვის ფორმების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები ჰოსპიტალურ სექტორში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბ., 2014.
3. ლორთქიფანიძე რ., მენეჯერული ხარჯები ჯანდაცვაში, თბ., 2013.
4. მაია სოსელია, თამარ როსტიაშვილი, ლელა ინასარიძე „ჰოსპიტალური სამახურის მენეჯმენტის სრულყოფის გზები საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში“ მონოგრაფია თბილისი, 2017

Issues of improving economic management of the clinic

Nino Kargadze
PhD student of Gerogtian Technical University

Abstract

Society has realized that management is a power, a professional activity and an area of responsibility. But it is not immutable. The change of situations also requires a change in management, its correction, improvement, or replacement with completely new methods and techniques. It is the necessity of this that decided us to take the perfection of hospital service management as a topic of discussion.

Key words: economic management of the clinic; hospital sector;

Management is carried out by three methods, namely: administrative-legal, social-psychological and economic methods.

We focus on economic methods of management.

After reforms in the health care system began, its decentralization took place, and competition between different medical organizations arose, which became particularly acute in the hospital sector, the issue of the need for further development and improvement of the management vertical in the field was on the agenda. This especially applies to: economic relations between the organizations of the hospital sector, both intra-firm and inter-firm, between the firm and the state.

ფორს-მაჟორულ სიტუაციებში ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნების შესახებ

კერესელიძე შალვა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

კერესელიძე დავით
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

გელიაშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიაში - „ფორს-მაჟორულ სიტუაციებში ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნების შესახებ“ - დასმულია საქართველოს კომპანიებში და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაში ბიზნესის უწყვეტობის რისკის მართვის საკითხი. მოყვანილია მრავალი ქვეყნის მაგალითი, სადაც ეს საკითხი მაღალ დონეზე დგას და ფორს-მაჟორულ სიტუაცუებშიც კი სწრაფად ახდენენ ნორმალური მდგომარეობის აღდგენას.

განსაკუთრებით მინიშნებულია ამ საკითხის დიდ მნიშვნელობაზე კომერციულ ბანკებში, რომლებშიც ბიზნესის წყვეტამ შეიძლება დაანგრიოს მთელი ეკონომიკა. ნათქვამია ისიც, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს, სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკების დარად შეუმუშავებია ოპერაციული რისკების მართვის ახალი დებულება და დავალება მიუცია კომერციული ბანკებისთვის, რომ მათ დაეწყოთ ბიზნესის უწყვეტობის რისკების მართვის გეგმების შემუშავება, მაგრამ ამ ბანკებში პრაქტიკულად ეს საქმე ჯერ არ დაწყებულა. რაც შეეხება სხვა ფირმებს, იქ საერთოდ ეს საკითხი არც წამოჭრილა.

ავტორები აყენებენ საკითხს იმის შესახებ, რომ რადგან საქართველო მეტად არამდგრად გეოპოლიტიკურ სივრცეში მდებარეობს, ამიტომ სახელმწიფოებრივ დონეზეც და კომპანიების დონეზეც უნდა მუშავდებოდეს და პრაქტიკულადაც ხორციელდებოდეს ბიზნესის უწყვეტობის მართვის გეგმები.

საკვანძო სიტყვები: ფორსმაჟორი; უწყვეტი ბიზნესი; მონაცემთა ბაზები.

ძირითადი ტექსტი

ფორსმაჟორული სიტუაცია ყველა ქვეყანაში შეიძლება შეიქმნას. მასში იგულისხმება ომები, რევოლუციები, ბუნებრივი კატასტროფები და სხვა. მისგან არავინ არის დაზღვეული და არც ის იცის ვინმემ, როდის დაიწყება ის, რა ფორმით დაიწყება და რამდენ ხანს გაგრძელდება. ყველა ასეთი შემთხვევისთვის ადამიანები უნდა იყონ მზად, რათა გადარჩნენ, სახელმწიფომ კი უნდა იზრუნოს როგორც თავისი ხალხის გადასარჩენად, ისე ეკონომიკური საქმიანობის უწყვეტობის შესანარჩუნებლად, რათა ფორსმაჟორი რომ ჩაივლის ცხოვრება ნოლიდან არ იყოს დასაწყები.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა ქართველი ხალხისთვის სასარგებლოც არის და საშიშიც. სასარგებლოა იმით, რომ იგი ევროპა-აზიის დამაკავშირებელ ჰაბად მოიაზრება, საშიში კი იმით, რომ სწორედ ამ ფუნქციის გამო, მას ძლიერი კონკურენტები, ე. წ. „მტრები“ ჰყავს. ესენია: რუსეთი, თურქეთი, ირანი. რუსეთის ზრახვების პროგნოზირება ჩვენი მისამართით შეუძლებელია. განა ვინმე ვიფიქრებდით მისი ინიციატივით წამოწყებულ ომებს აფხაზეთთან და ოსეთთან და ქართული ტერიტორიების 20%-ის დაკარგვას? რა თქმა უნდა არა. თურქეთის და ირანის დამოკიდებულებაც საქართველოსთან კარგად გვახსოვს ისტორიულად. დღეს თუ ისინი „იარაღს არ გვიჟღარუნებენ“, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენს მიმართ მტრობა სამუდამოდ დამთავრდა - მათთვისაც და რუსეთისთვისაც ჩვენი მდებარეობაა დამაინტრიგებელი. ასე რომ, ფრთხილად უნდა ვიყოთ.

წლების წინ, კერძოდ, 2013 წელს, ებრაულმა კომპანია „Bynet Data Communications“-მა იერუსალიმის ერთ-ერთ უბანში (კერძოდ, ჰარჰოცვიმის უბანი), რომელიც ისრაელის მაღალტექ-ნოლოგიური ცენტრია, მიწის ქვეშ 35 მეტრის სიღრმეზე დააპროექტა და ააშენა 17000 კვ. მეტრის

შენობა-ნაგებობა, რომელშიც განთავსდა 100 000 ერთეული კომპიუტერული სერვერი, რომელთა ერთობლივი სიმძლავრე იმდენად მაღალია, რომ უზრუნველყოთ ისრაელში არსებული ყველა ორგანიზაციის მონაცემთა შენახვას, დაზღვევას და კრიტიკული ოპერაციების აღდგენის შესაძლებლობა [1. გვ. 36]. ისრაელში არსებული ყველა ორგანიზაციის მონაცემთა შენახვას, დაზღვევას და კრიტიკული ოპერაციების აღდგენის შესაძლებლობას [1. გვ. 36].

ისრაელი მსოფლიოს ყველაზე არამდგრად რეგიონში მდებარეობს. მისი დაარსების დღიდან დაიწყო ისრაელ-პალესტინის ომი და არავინ იცის, როდესმე დამთავრდება თუ არა. ეს პროექტიც ისრაელში ეკონომიკაზე ამ ომით გამოწვეული რისკებისგან თავის დასაცავად განხორციელდა. ინფორმაციის დასაცავად ისრაელს მიწისზედა ბაზები 2013 წლამდეც ბევრი ჰქონდა და შემდეგაც დაამატა, მაგრამ ფორსმაჟორის პირობებში მონაცემთა მიწისზედა ბაზები ნაკლებდაცულად ითვლება და თუ ისინი განადგურდება, მათ მყისიერად ჩაენაცვლება მიწისქვეშა ბაზა, რომ ქვეყანაში არ შეწყდეს ბიზნესპროცესები და აქედან გამომდინარე, არ დაინგრეს ეკონომიკა.

საქართველოში მონაცემთა დასაცავად მიწისზედა ბაზები არსებობს, მაგრამ, არასაკმარისად, მიწისქვეშა ბაზების შექმნაზე კი ჯერ არაფერი უთქვამთ. არადა, საქართველო თავისი გეოპოლიტიკური ვითარებით ისრაელზე უკეთეს მდგომარეობაში არ იმყოფება. ამიტომ, არათუ დროული, არამედ, დაგვიანებულიც კი არის საქართველოს მთავრობის მიერ ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება. იგივეს ვიტყვით ბიზნესკომპანიებზეც. თუ გლობალური საფრთხე დადგა, მათაც დაუდგებათ ბიზნესის შეწყვეტის რისკი. ამ რისკს მართვა სჭირდება, მართვას კი შესაბამისი ცოდნა.

პირველი, რაც ამ მიმართულებით კომპანიამ (და მთლიანად ქვეყნის მთავრობამ) უნდა გააკეთოს, ეს არის ბიზნესის უწყვეტობის გეგმის შემუშავება. მასში დეტალურად უნდა დაიგეგმოს უწყვეტი ბიზნეს-ჯაჭვის ყველა მდგენელი. ბიზნესის უწყვეტობის გეგმას ოთხი ძირითადი კომპონენტი აქვს [1. გვ. 27]:

- პროექტის სფეროს განსაზღვრა და წინასწარი დაგეგმვა;
- ბიზნესზე ზეგავლენის ანალიზი;
- უწყვეტობის დაგეგმვა;
- დამტკიცება, განხორციელება და მოქმედებაში მოყვანა.

ბიზნესის უწყვეტობის გეგმის შედგენის მეთოდოლოგია მსოფლიოში არსებობს [2], მაგრამ იგი არ არის უნივერსალური. საჭიროა მისი გაცნობა და მისადაგება კომპანიის (ქვეყნის) პირობებთან და შესაძლებლობებთან. მეტიც, ამ გეგმის შედგენისას კომპანიის სიდიდესაც - მცირე, საშუალო, დიდი - აქვს მნიშვნელობა. კომპანიამ (და ქვეყანამ) უპირველესად ბიზნესის უწყვეტობის გუნდი უნდა ჩამოაყალიბოს, რომლის ერთი წევრი აღმასრულებელი დირექტორი იქნება. სწორედ მათ უნდა ჩაუტარონ კომპანიას სრულყოფილი და კარგად გააზრებული ანალიზი და შეაფასონ მის ხელთ არსებული რესურსები, რომელთა მობილიზაცია შეიძლება საჭირო გახდეს საგანგებო სიტუაციების დადგომისას. ამის გარდა, ამ გუნდმა უნდა მოახდინოს კომპანიის იმ კრიტიკული ბიზნეს-სტრუქტურების და ცალკეული თანამშრომლების იდენტიფიცირება, რომლებიც ბიზნეს-პროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფაში უმნიშვნელოვანეს როლს ითამაშებენ; ასეთ სტრუქტურულ ერთეულებად ჩვენ, უპირველეს ყოვლის, წარმოგვიდგენია, კომპანიის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება და მისი თანამშრომლები, აგრეთვე, დაცვის სამსახური (თუ კომპანიას ასეთი აქვს). ამის გარდა (ეს დადასტურებულია საზღვარგარეთის გამოცდილებით), ამ კრიტიკულ ფუნქციების შემსრულებელთა რიცხვში უნდა შევიდნენ ბიზნეს-ფუნქციების წარმომადგენლებიც, კერძოდ, აღმასრულებელი მენეჯმენტის წარმომადგენლები, იურიდიული განყოფილების თანამშრომლები, კომპანიაში უშუალოდ ბიზნეს-პროცესების შემსრულებლები და სხვები.

გუნდის ფორმირებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მასში აღმასრულებელი დირექტორის დაინტერესებას და ჩართულობას. არის ქვეყნები, რომლბშიც კანონმდებლობა პირდაპირ ავალებს კომპანიის დირექტორებს ამ საკითხით დაინტერესებას და აკისრებს უშუალო პასუხისმგებლობას. სამწუხაროდ, საქართველოში არც ასეთი კანონმდებლობაა შექმნილი და არც ბიზნესის უწყვეტობის გეგმები დგება კომპანიებში (არც ქვეყანაში).

ბიზნესის უწყვეტობის გეგმა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო რესურსებით, უპირველეს ყოვლისა, ინვესტიციით. ეს სჭირდება პარალელური სერვერების შექმნას, დუბლირებული კომუნიკაციური არხების შექმნას და სხვას. ასე რომ, კომპანიამ ამ მიზნისთვის ინვესტიციებიც უნდა მოიზიდოს.

ბიზნესის უწყვეტობის დაგეგმვის ეტაპზე ძირითადად სამი სახის აქტივის დაცვა უნდა იყოს გათვალისწინებული. ეს აქტივებია: ადამიანები, შენობა-ნაგებობები, კონკრეტული აპარატურა და საინფორმაციო სისტემები.

ბიზნესის უწყვეტობის გეგმამ დამტკიცების შემდეგ, უნდა გაიაროს ტესტირება, ანუ იგი უნდა გაეცნოს კომპანიის ყველა თანამშრომელს და ეს უნდა მოხდეს არა წელიწადში ერთხელ, არამედ, კვარტალში ერთხელ მაინც. ეს გაზრდის კომპანიის თნამშრომელთა ცნობიერების დონეს ამ საკითხში და ბიზნესის უწყვეტობის მნიშვნელობის აღქმადობას.

ბიზნესის უწყვეტობის რისკის მართვის საკითხი მრავალ ქვეყანაში უკვე დაინერგა, ზოგან კი, ეხლა მუშავდება მისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტები. ამ საკითხით განსაკუთრებული დაინტერესება საბანკო სფეროში გამოჩნდა, რადგანაც, ეს ის სექტორია, რომლის ჩამოშლითაც შეიძლება დიდი ზიანი მიადგება ეკონომიკას.

სხვა ქვეყნების მსგავსად საქართველოს ეროვნულმა ბანკმაც შეიმუშავა საოპერაციო რისკების დებულების ახალი პროექტი, რომელიც კომერციულ ბანკებს ავალდებულებს ბიზნესის უწყვეტობის გეგმების შემუშავებას და რეგულარული ტესტირების ჩატარებას, მაგრამ პრაქტიკულად კომერციულ ბანკებში ეს საქმე არ დაწყებულა.

ჩვენი აზრით, კომერციული ბანკები ყოველგვარი ცენტრიდან დავალების გარეშეც თვითონ უნდა იყვნენ დაინტერესებულნი ბიზნესის უწყვეტობის გეგმის ორგანიზებით, რადგანაც არასასურველი ინციდენტის შემთხვევაში ისინი დიდი ალბათობით ვერ მოახერხებენ უარყოფითი მოვლენისგან დროულად და ეფექტიანად თავის დაღწევას, რაც მათ ათასობით კლიენტის წინაშე შეულახავს რეპუტაციას. ბევრი კლიენტი აღარ ისურვებს ასეთ ბანკთან საქმის დაჭერას და სხვა ბანკში გადაინაცვლებს.

ჩვენი ეს მოსაზრება უნდა გაითვალისწინონ არა მხოლოდ ბანკებმა, არამედ, მსხვილმა საწარმოებმაც, მაგალითად, სააქციო საზოგადოებებმა, რომელთაც გარკვეული ვალდებულებები გააჩნიათ აქციონერების წინაშე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **პაპუაშვილი დ.** ბიზნეს-უწყვეობის ეფექტიანი მართვა, ჟ. „ეკონომიკა და საბანკო საქმე“. თბ., 2013. ტ. 1. #2.
2. As with any fommalises business prozess, the deveicpment of a strand business continuity plan requires the use of proven metgodology. Stewart. Tittel and Chapple. 2011. p. 613.

About maintaining business continuity in force majeure situations

Shalva Kereselidze,
Associated professor of Georgian Technical University

Levan Kereselidze
Doctor of businees administration

Nino Geliashvili, PhD student
Georgian Technical University

Abstract

In the previous article - "About maintaining business continuity in force majeure situations" - raises the issue of business continuity's risk management in Georgian companies and the country's economy as a whole. There are many examples of countries where this issue is at a high level and even in force majeure situations they quickly restore the normal situation.

The great importance of this matter is especially pointed out in commercial banks, in which the interruption of business can destroy the whole economy. It is also said that the National Bank of Georgia, like the central banks of other countries, has developed a new operational risk management regulation and tasked commercial banks to start developing business continuity risk management plans, but this work has not actually started in these banks yet. As for other companies, this issue was not raised at all.

The authors raise the issue that since Georgia is located in a highly unstable geopolitical space, business continuity management plans should be developed and practically implemented at the state level and at the level of companies.

Keywords: force majeure; continuous business; Databases.

მრავალეროვნული კოლექტივის მართვის თანამედროვე გამოწვევები

კერესელიძე ლევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

კერესელიძე დავით
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

ხვადაგიანი მარიკა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში - „მრავალეროვნული კოლექტივის მართვის თანამედროვე გამოწვევები“ - ეძღვნება იმ პრობლემას, რომელიც მომავალში შეექმნებათ საქართველოს კომპანიებს, თუ მათი კოლექტივი დაკომპლექტდება უცხო ეროვნების წარმომადგენლებისგან. სტატიაში ნაჩვენებია ამ პროცესის სარგებელიც, ზიანიც და ამ სარგებლის მაქსიმალურად გამოსაყენებლად ეძლევა რჩევა მენეჯერებს გაეცნონ და შეისწავლონ ამ საკითხზე არსებული ლიტერატურა, კერძოდ კი, მეცნიერ გ. ხოფსტედეს კვლევები, რომელმაც მსოფლიო ხალხები სხვადასხვა ნიშნებით კლასტერებად დაჰყო.

სტატიის ავტორები მენეჯერებს მიუთითებენ, რომ მართვის ის სტილი - პარაქიალიზმი, - რომელსაც ისინი ამჟამად იყენებენ, მრავალეროვნულობის შემთხვევაში აღარ გამოადგებათ.

მრავალეროვნული კოლექტივების შექმნა გლობალიზაციის პირდაპირი შედეგია. ქვეყნებმა საზღვრები გახსნეს და მოსახლეობას საშუალება მიეცა არა მხოლოდ იმოგზაურონ უცხოეთის ქვეყნებში, არამედ, იმუშაონ კიდეც. ამ გზით მათი მიმღები (მასპინძელი) ქვეყნის კომპანიების კოლექტივი თანდათან მრავალეროვნული ხდება. ეს პრობლემა დღეს მწვავედ არ დგას საქართველოში, მაგრამ მეცნიერებმაც და პრაქტიკოს მენეჯერებმაც დღესვე უნდა ვიფიქროთ ამ საკითხზე და მოვემზადოთ მისი ეფექტური მართვისთვის.

საკვანძო სიტყვები: მრავალეროვნული კოლექტივი; შრომითი იმიგრანტები; მრავალ-ეროვნულობის სარგებელი; მრავალეროვნულობის გამოწვევები.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში შრომითი მოწყობისთვის შემოსულ იმიგრანტთა რაოდენობა მზარდია. 2010-2015 წლებში იგი 1000-დან 7000-მდე გაიზარდა [1. გვ. 36]. შემცირდა იგი მხოლოდ „კოვიდ-19“-ის გავრცელების წლებში (2019-2022 წ,წ,). ეს ვითარება საქართველოს საზღვრების ჩაკეტვით იყო გამოწვეული. ამჟამად საზღვრები გახსნილია და ცხადია, ემიგრანტთა ტალღებიც დიდია. ეს პროცესი დააჩქარა რუსეთ-უკრაინის ომმაც, რის გამოც, საქართველოში დიდი რაოდენებით უკრაინელები და რუსები შემოვიდნენ.

საქართველოში დასაქმების მიზნით შემოსულ იმიგრანტთა უფლებები დაცულია საქართველოს კანონებით - „შრომითი მიგრაციის შესახებ“, „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. ამის გარდა, საქართველოში შემუშავებული და ამოქმედებულია „შრომითი მიგრაციის სამართლებრივი რეგულირების ასპექტები“. ზემოთნათქვამი იმას ნიშნავს, რომ საქართველო აღიარებს ცივილიზებული მსოფლიოს დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი და თანთადან, ნაბიჯ-ნაბიჯ ავსებს და სრულყოფს მის საკანონმდებლო-ნორმატიულ ბაზას. ამას მოწმობს მის მიერ „შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ“ ევროპის კონვენციის რატივიცირებაც.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ მოსახლეობის ემიგრაცია-იმიგრაციის საკითხებს საქართველოში სახელმწიფოს დონეზე ხელმძღვანელობს ან საგარეო საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო და სხვა უწყებები, მაგალითად, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო. საქართველოს მიგრაციის სტრატეგიაში ჩაწერილია, რომ ამ სამინისტროს ევალება „იმიგრანტთა ინტეგრაციის ხელშეწყობა“ [1. გვ. 10]. ასე რომ, დასაქმების (თუ სწავლის) მიზნით, საქართველოში შემოსული იმიგრანტები „უპატრონოდ“ არ არიან. მათ სახელმწიფო იცავს.

საკითხს რომელსაც ჩვენ მოცემულ ნაშრომში ვიხილავთ, ეხება არა სახელმწიფოს დამოკიდებულებას შრომითი მოწყობისთვის შემოსულ იმიგრანტთა მიმართ, არამედ, კერძო სექტორის კომპანიების ხელმძღვანელების დამოკიდებულებას მათ მიმართ. ეს დამოკიდებულება სხვადასხვანაირია - ზოგს მოსწონს ისინი და „კარს უღებენ“ დასასაქმებლად, ზოგი - თავს არიდებს მათ. ერთი რამ ცხადია, მოგვწონს თუ არ მოგვწონს ეს პროცესი დაწყებულია და, თუ დღესვე არ ვისწავლეთ ამ პროცესის სწორი მართვა, ხვალ გვიან იქნება. მენეჯმენტის გურუს - პიტერ დრუკერს აქვს ნათქვამი - „მომავალი იწყება დღეს“. მაშასადამე, პერსონალის შემადგენლობის საკითხში საქართველოს კომპანიების მომავალი, როგორც პიტერ დრუკერი ამბობს „დღეს იწყება“, უფრო ზუსტად, მისი სიმპტომები დღეს უკვე ჩანს - საქართველოს ბანკებში თითო-ორი კაცი ევროპელია, ასევეა მსხვილ კომპანიებში („კოკ-კოლა“, „ზედაზენი“, „თელასი“ და სხვები). მათი სიმცირის გამო, ეს დღეს გამოწვევად არ აღიქმება. გამოწვევა გახდება მომავალში, როცა ამ კომპანიებშიც და სხვაგანაც, მათი რიცხვი მომრავლდება და ანგარიშგასაწევი ძალა გახდება.

მრავალეროვნულ კოლექტივებს აქვთ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები (ცხრ.1).

ცხრილი 1

მრავალეროვნული კოლექტივების დადებიტი და უარყოფიტი მხარეები [2. გვ. 623]

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
➢ უკეთესი გაგება ➢ უცხოელ კლიენტებთან ურთიერთობების გაფართოება ➢ უცხოელ მომხმარებლებთან უკეთესი სავაჭრო ურთიერთობები ➢ უფრო მეტი კრეატული იდეები ➢ გადაწყვეტილებების ფართო არჩევანი	➢ მეტი კონფლიქტები ➢ კომუნიკაციის სიძნელე ➢ გუნდების ნაკლები შეკრულობა ➢ გადაწყვეტილებებზე შეთანხმების სირთულე ➢ კულტურული განსხვავებების სამართავად მეტი დროის ხარჯვა

ამ ჩამონათვალში რაოდენობის თვალსაზრისით, დადებითი და უარყოფითი მხარეები ერთმნეთს აბათილებენ, თუმცა, უარყოფით მხარეებში შეიძლება რომელიმე ფაქტორი ისე გამწვავდეს, რომ დადებითი მხარეები მთლიანად „დაანგრიოს“. ეს რომ არ მოხდეს, ამიტომ ვთვლით საჭიროდ, რომ საქართველოს კომპანიების მენეჯერები ეხლავე შეუდგნენ მრავალეროვნული კოლექტივის მართვის ლაბირინთებში გარკვევას. კითხვაზე თუ - „რატომ არის მრავალეროვნული კოლექტივის მართვის სწავლა ასეთი მნიშვნელოვანი?“ - უცხოელი მეცნიერები ასეთ პასუხს იძლევიან: „სამუშაო ძალის მრავალფეროვნება უნდა განვიხილოთ როგორც საუკეთესო უნარების, კომპეტენციების, საუკეთესო შედეგების, ბაზრის წილის და საუკეთესო მომწოდებლების მიღების საშუალება“ [3. გვ. 123]. ასეთი სარგებელი ნებისმიერი კომპანიის ოცნებაა. ამ სარგებლით იგი კონკურენტუნარიანი გახდება და შეიძლება დარგის ლიდერიც გახდეს. მაგრამ ეს მაშინ მოხდება, თუ კომპანიის გენერალურ მენეჯერს ეცოდინება პერსონალის მართვა მრავალეროვნულობის კონტექსტში. საქმე ის არის, რომ ქართველები ტოლერანტული ხალხი ვართ, ჩვენ პატივს ვცემთ უცხო ეროვნების წარმომადგენლებს, ზოგიერთ მათგანთან (აზერბაიჯანელები, სომხები და სხვები) მეგობრულად ვცხოვრობთ კიდევაც. მაგრამ ეს ხალხები ისტორიულად თითქმის ქართულ კულტურაზე არიან აღზრდილნი, ამდენად, მათთან ერთად მუშაობა კომპანიების ხელმძღვანელობას პრობლემებს არ უქმნის. პრობლემა იქნება საქართველოს კომპანიაში კულტურით ჩვენგან აბსოლუტურად განსხვავებული ხალხების წარმომადგენელთა მომრავლება. ესენია: აფრიკელები, ინდოელები, ირანელები, ჩინელები, თურქები და სხვები. ისინი ერთი და იგივე საკითხს ქართველებისგან განსხვავებულად აღიქვამენ. ასეთი ურთიერთგანსხვა-ვებული აზროვნება კონფლიქტებს ქმნის, რასაც მოსდევს გაფიცვები და გაცდენილი სამუშაო დღეები. ამის მაგალითები უკვე არის იმ ქვეყნებში, სადაც პრაქტიკულად უკვე არსებობს მრავალეროვნული

კოლექტივები. მაგალითად, კომპანიებში ეროვნებათაშორისი კონფლიქტების მიზეზით ყოველ 1000 დასაქმებულზე წელიწადში იკარგება: ესპანეთში - 250 დღე, კანადაში - 180 დღე, ფინეთში - 110 დღე, ისლანდიაში - 554 დღე და ა. შ. [4]. მსოფლიოში არის ისეთი ქვეყნებიც, რომლებშიც განსხვავებული ერის წარმომადგენლების სიმრავლის მიუხედავად, კომპანიებს ნაკლები მოცდენები აქვთ. ასეთებია: აშშ (45 დღე), ავსტრია (1 დღე), შვეიცარია (3 დღე), გერმანია (4 დღე) და სხვები. ეს ქვეყნები ამ სფეროში ნიმუში უნდა იყვნენ ჩვენთვის.

ყველა ზემოთჩამოთვლილლ ქვეყნებში მრავალეროვნული კოლექტივები დიდი ხანია არსებობენ. ეს პროცესი ჩვენთან ეხლა იწყება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ ქართველები ტოლერანტული ხალხი ვართ და ყოფითი პრობლემები უცხო ერის წარმომადგენელთან არ გვექნება, მაგრამ, რომ არ შეგვექმნას მათთან საქმიან ურთიერთობებში პრობლემები, გუნდები (კოლექტივები), რომლებშიც ისინი იქნებიან ჩართულნი უნდა ვმართოთ მათი კულტურის (ფასეულობები, ღირებულებები) მხედველობაში მიღებით. არსებობს მრავალი ლიტერატურა ამ საკითხის უფრო ფართოდ გასაცნობად და კონკრეტულ კომპანიისთვის პროგრამის შესადგენათ. ერთ-ერთი ასეთია დ. ნიჟარაძის ნაშრომი, რომელიც გვირჩევს, რომ გავეცნოთ და შევისწავლოთ მსოფლიოს ხალხთა კულტურები კლასტერების მიხედვით [5. გვ. 103].

მსოფლიოს ხალხთა კულტურები შეისწავლა და კლასტერებად დააჯგუფა მეცნიერმა გ. ხოფსტედემ. დაჯგუფება შესრულდა შემდეგი ნიშნებით [6. გვ. 54].

- ❖ ინდივიდუალურობა, კოლექტიურობა;
- ❖ სპეკულტურა, დიფუზიური კულტურა;
- ❖ უნივერსალიზმი, სპეციალური კულტურა;
- ❖ ნეიტრალური კულტურა, ემოციური კულტურა;
- ❖ მიღწევადობის კულტურა, მიკუთვნებულობის კულტურა.

კულტურის ეს ნიშნები იმიტომ არის შესასწავლი საქართველოს კომპანიების მენეჯერების მიერ, რომ მომავალში მათ ადვილად შეძლონ მათთან დასაქმებული სხვადასხვა ეროვნების ადამიანთან საქმიანი ურთიერთობები, რადგან ეს ადამიანები სწორედ ამ ნიშნებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან და მათ მართვაში საქართველოს კომპანიების მენეჯერებს ერთიანი მეთოდი არ გამოადგებათ. მაგალითად, აზიური წარმოშობის ადამიანებს კოლექტიურობა ახასიათებთ და გუნდებში კარგად მუშაობენ. აშშ-ს და კანადის წარმომადგენლებს ინდივიდუალურობა ახასიათებთ და გუნდებში ცუდად მუშაობენ და ა. შ.

დასკვნა. დღეის მდგომარეობით საქართველოს კომპანიებს მათი მენეჯერები პაროქიალიზმის მეთოდით მართავენ. ეს ნიშნავს საკუთარი შეხედულებით მართვას და ამის თავდაჯერებას, რომ მათი ცოდნა საკმარისია კომპანიის მართვისთვის. ეს შეიძლება ასეც იყოს დღეს, ანუ მანამ, სანამ, ამ კომპანიის კოლექტივი არ არის მრავალეროვნული, მაგრამ როგორც კი იგი მრავალეროვნული გახდება, კომპანიის მენეჯერებს, თუ მათ არ შეცვალეს მართვის სტილი, პრობლემები ექნებათ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. 2015. გვ. 36.
2. **შენგელია თ.** საერთაშორისო მენეჯმენტი. თბ., 2012. გვ. 623.
3. **რობინსი ს. კოულტერი მ.** მენეჯმენტი. თბ., 2019. გვ. 120.
4. **Sarrow R. D.** (2011). European Human Resourse Management in Transition. N. Y. Prentice. Call.
5. **ნიჟარაძე დ.** ადამიანური რესურსების მართვის მულტიკულტურული კონტექსტი. ჟ. „ეკონომიკა“. #12. 2018. გვ. 103.
6. Сравнительный менеджмент, под ред. **Пивоварова С. Д.** М., 2006. გვ. 54.

Contemporary challenges of managing a multinational company

Shalva Kereselidze,
Associated professor of Georgian Technical University

Levan Kereselidze
Doctor of businees administration

Marika Khvadagiani, PhD student
Georgian Technical University

Abstract

The article - "Modern challenges of managing a multinational team" - is dedicated to the problem that will be faced by Georgian companies in the future if their team is staffed by representatives of foreign nationalities. The article shows both the benefits and harms of this process, and in order to use these benefits as much as possible, managers are advised to familiarize themselves with and study the existing literature on this issue, in particular, scientist G. Hofstede's studies, which divided the world's peoples into clusters with different characteristics.

The authors of the article point out to the managers that the style of management – "Parachialism" - which they are currently using, will no longer be useful in the case of multinationals.

Keywords: multinational collective; labor immigrants; benefits of multi-nationality; Challenges of Multinationality.

The creation of multinational collectives is a direct result of globalization. Countries opened their borders and allowed people not only to travel to foreign countries, but also to work. In this way, the collective of companies of their receiving (host) country gradually becomes multinational. This problem is not acute in Georgia today, but both scientists and practical managers should think about this issue and prepare for its effective management.

ბედნიერების ინდექსის გავლენა ორგანიზაციის მართვის პროცესებზე

კვირკჩიშვილი ლია
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სამუშაო ადგილზე თანამშრომელთა ბედნიერების ინდექსის ცნება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება HRM კვლევისთვის.

ბედნიერებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანების უმეტესობისთვის, და ბედნიერება აღმოჩნდა უაღრესად დასაფასებელი და მისაღწევი მიზანი უმეტესი ორგანიზაციებისთვის (Diener 2000). ბედნიერებამ მიიპყრო ყურადღება ფილოსოფოსების წერილობით კვლევებში (McMahon 2006), თუმცა ბოლო პერიოდში აღნიშნული საკითხი წამოიწია ფსიქოლოგიის კვლევებშიც. გასულ ათწლეულში პოზიტიური ფსიქოლოგიის თემის აქტუალობამ (Seligman and Csikszent mihalyi, 2000) გაამახვილა ყურადღება ბედნიერებაზე. აღნიშნული კვლევა თავის მხრივ ეხმიანება ბედნიერების თემას შემდეგ ასპექტში: „ბედნიერება სამუშაო ადგილზე". ორგანიზაციის მკვლევარები შთაგონებულები არიან ზოგადად პოზიტიურ ფსიქოლოგიისკენ გადასვლაზე და დაიწყეს პოზიტიური ორგანიზაციული სკოლების (Cameron et al. 2003) და პოზიტიური ორგანიზაციული ქცევის (Luthans 2002; Wright 2003) გატარება კომპანიებში. თუმცა ჯერ კიდევ მიმდინარეობს კამათი იმაზე, თუ რა ტერმინებია ეს და რამდენად სასარგებლოა ისინი კომპანიებისთვის (Fineman 2006 წელი; ჰეკმენი 2009; ლუთანები და ავოლიო 2009; რობერტსი 2006). სტატიაში წარმოჩენილია შემდეგი აქტუალური საკითხები: (1) როგორ განისაზღვრება და გაიზომება ბედნიერება? (2) რა არის ბედნიერების წინამორბედი ქმედება? (3) რა შედეგები მოჰყვება ბედნიერებას კომპანიის თანამშრომლებისთვის? თითოეული კითხვისთვის წარმოდგენილია მიმოხილვა და სრულდება სამუშაო ადგილზე ბედნიერების ამჟამინდელი გაგების განხილვით და ბედნიერების მნიშვნელობით სამსახურში.

საკვანძო სიტყვები: ბედნიერების ინდექსი, ბედნიერება სამუშაო ადგილზე, თანამშრომლის ბედნიერების დონე.

ძირითადი ტექსტი

ბედნიერების ინდექსი არის მუდმივი მონიტორინგის ინსტრუმენტი, რომელიც აანალიზებს თანამშრომლის უკუკავშირს რეალურ დროში. კომპანიები, რომლებშიც დასაქმებულთა ბედნიერების ინდექსი საშუალოზე მაღალია მიუთითებს უკეთესს ფინანსურ შესრულებაზე და მომხმარებელთა კმაყოფილებაზე. ბედნიერების ინდექსი არის ინსტრუმენტი, რომელსაც ძირითადად იყენებენ მკვლევარები, კომპანიები, პოლიტიკის განმსაზღვრელი პირები, რომლებიც ცდილობენ შეიცნონ და გაამლიერონ ინდივიდუალური ბედნიერება. ბედნიერების ინდექსის გაზომვა ასახავს იმ ფაქტს, რომ ბედნიერება ღრმად პირადი და სუბიექტური საკითხია. ბედნიერი ადამიანები დიდხანს ცოცხლობენ, უკეთესად შეუძლიათ პრობლემების მოგვარება, უფრო კმაყოფილები არიან სამუშაო ადგილით და არიან მეტად პროდუქტიულები. ბედნიერება არჩევანია და ადამიანები ყოველთვის ამჯობინებენ იყონ ბედნიერები ნებისმიერ სიტუაციაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათთვის ისეთ კომპანიაში მუშაობა, რომელიც ზრუნავს მათი ბედნიერების ინდექსის ზრდაზე.

თანამშრომელთა კეთილდღეობის დამკვიდრების სფეროში შედის: დამაკმაყოფილებელი სამუშაო გარემოს შექმნა, სტრესის მართვა (დაძაბულობასთან გამკლავება), სამსახურსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსის პრობლემაზე ზრუნვა, სექსუალური შევიწროებისა და ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლა, თანამშრომელთა გვერდში დგომის პროგრამების განხორციელება, კვებისა და სოციალურ/სპორტული ობიექტების შექმნა. თუმცა, უპირველესად იმაზე უნდა შევჩერდეთ, თუ რატომ უნდა ზრუნავდეს კომპანია თანამშრომელთა კეთილდღეობაზე.

ზრუნვის საფუძვლები:

- დამსაქმებლებს აკისრიათ ზრუნვის ვალდებულება, რაც მათგან მოითხოვს

თანამშრომლებთან ურთიერთობისას სოციალური პასუხისმგებლობის მიდგომის გამოყენებას;

- ❖ ასეთი მიდგომა დამსაქმებლის ინტერესში შედის, რადგან ეს ამყარებს ორგანიზაციის მიმართ თანამშრომელთა ერთგულებას და ხელს უწყობს მისი, როგორც „საუკეთესო სამუშაო ადგილის“ იმიჯის დამკვიდრებას;
- ❖ დამსაქმებელი პასუხისმგებელია, შექმნას კარგი სამუშაო გარემო არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მისი ვალდებულებაა, არამედ იმიტომაც რომ ეს ანაზღაურების საერთო სისტემის განუყოფელი ნაწილია.

ბედნიერების ინდექსი პირდაპირ კავშირშია თანამშრომელთა ჩართულობასთან, რომელიც ახლა დადგა სამყაროს ცენტრში რიგი მიზეზის გამო. კვლევამ არაერთხელ აჩვენა, რომ ჩართული თანამშრომლები არა მხოლოდ უკეთესი საქმის შემსრულებლები არიან, არამედ ისინი უფრო ერთგულები არიან ორგანიზაციის მიმართ, აღწევენ უკეთეს ბიზნეს შედეგებს და აჩვენებენ მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალ დონეს. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ადამიანები უერთდებიან ან ტოვებენ ორგანიზაციას, არის ურთიერთობა მათ უშუალო მენეჯერთან, შესაბამისად, ხელმძღვანელობას აქვს მნიშვნელოვანი ბერკეტი გავლენა მოახდინოს არა მხოლოდ თანამშრომლების ჩართულობასა და კმაყოფილებაზე, არამედ კომპანიის საბოლოო შესრულებაზე. ამიტომ მიმაჩნია, რომ ბედნიერების ინდექსი არის არაპირდაპირი გზა ორგანიზაციის მომგებიანობის, რეპუტაციისა და გრძელვადიანი წარმატებისკენ.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ინდუსტრია გამოირჩევა ბედნიერების ინდექსის უფრო დაბალი ნიშნულით ვიდრე სხვები. Fortune-ის ბოლო სტატიაში ნათქვამია, რომ ტექნიკური დარგის თანამშრომლები ნაკლებად ბედნიერები არიან, ვიდრე სხვა სექტორების თანამშრომლები, თითქმის ყველა გამოკითხულ კატეგორიაში. დასკვნები ეფუძნებოდა Tiny Pulse-ის ახალ კვლევას, რომელმაც დაადგინა, რომ ამ სისუსტის გამომწვევი მიზეზებია პროფესიული ზრდის შესაძლებლობების ნაკლებობა, მათი სამუშაოს აღიარების ნაკლებობა და თანამშრომლებთან მაღალი ხარისხის ურთიერთობის ნაკლებობა. ფაქტობრივად, კვლევები აჩვენებს გათიშული და უკმაყოფილო თანამშრომლების მზარდ ტენდენციას მრავალ ბიზნეს სექტორში.

არ არსებობს ერთიანი მოდელი, რომელიც ყველა კომპანიისთვის შესაფერისია, როდესაც საქმე ეხება თანამშრომელთა სამუშაო კმაყოფილების უზრუნველყოფას. შეგვიძლია დამატებით მოვიშველიოთ იმ ცნობილი კომპანიების გამოცდილება, რომელთაც თანამშრომელთა შრომითი კმაყოფილება ერთ-ერთ პრიორიტეტად აქციეს:

1. Amazon ცნობილია, როგორც დინამიური კომპანია, რომელიც მოითხოვს მაღალ პროდუქტიულობას თავისი თანამშრომლებისგან. კომპანია ორიენტირებულია თანამშრომლების შრომის კმაყოფილებაზე, რომელიც თავის მხრივ განაპირობებს მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების მიწოდებას. ამაზონის 1045 ამერიკელი თანამშრომლის ორწლიანმა კვლევამ აჩვენა, რომ Amazon აჭარბებს ეროვნულ საშუალო მაჩვენებელს შრომით კმაყოფილებაში 12 პარამეტრით, გენდერული თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და სამუშაო ადგილის უსაფრთხოების თვალსაზ-რისით. მონაცემები გააანალიზა ავსტრიაში დაფუძნებულმა დამსაქმებელთა სარეიტინგო კომპანიამ Kununu-მ და გამოაქვეყნა Observer-მა.

2. Amazon-ის მსგავსად, Apple-იც პრიორიტეტს ანიჭებს თანამშრომლების სამუშაო კმაყოფილებას, როგორც წარმატების ძირითად კომპონენტს. მართლაც შესწავლილ იქნა ათასობით სამუშაო მიმოხილვა გაერთიანებული სამეფოს ტექნიკურ კომპანიებში, რათა გაეანალიზებინათ თანამშრომელთა შრომის კმაყოფილების მდგომარეობა. Apple გახდა ლიდერი თანამშრომელთა კმაყოფილების თვალსაზრისით, რასაც მოჰყვა GDS Group, Cisco და Microsoft, როგორც CNBC იტყობინება გამოქვეყნებულ კვლევაში.

- ❖ კარგი ანაზღაურება, ფასდაკლებული პროდუქტები, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შეღავათები და კომპანიის კულტურა იყო Apple-ის მაღალი კმაყოფილების ქულების მთავარი განმსაზღვრელი.

მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლებისთვის სხვადასხვა პრივილეგიების მინიჭება (როგორც ამას Amazon-ი და Apple-ი აკეთებენ) შესაძლოა ყველა კომპანიისთვის არ იყოს შესაძლებელი, თუმცა მსგავსმა მაგალითებმა შეიძლება მიგვიყვანოს იმ აზრამდე, რომელიც საშუალებას მოგვცემს პირველ რიგში ფოკუსირება მოვახდინოთ სამუშაო კმაყოფილების მნიშვნელობაზე და შემდეგ მივიღით საჭირო ზომები სამსახურში მის გასაუმჯობესებლად.

ამასთან, პირველად თანამედროვე ისტორიაში, ჩვენ გვყავს მინიმუმ ოთხი თაობა (Baby Boomers, Millennials, Gen-Xers და Gen-Z), რომლებიც ერთად მუშაობენ და ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია.

კორპორატიული აღმასრულებლები აქტიურად უნდა ეცნობოდნენ კვლევის შედეგებს, რათა დაადგინონ თუ რას გრძნობენ რეალურად სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები სამუშაო ადგილებზე, რამდენად არიან ან არ არიან ბედნიერები, და შემდგომ გაატარონ შესაბამისი პოლიტიკა, რომელიც საბოლოო ჯამში დაეხმარება მათ ბიზნესის წარმატების მიღწევაში. თუ ისინი იგნორირებას გაუკეთებენ თავიანთი თანამშრომლების საჭიროებებსა და სურვილებს, „დიდი წასვლების“ გარემოში, დაკარგავენ ღირებულ ადამიანურ კაპიტალს. ასევე, ერთ რამეზე, რაზეც თითქმის ყველა თაობის წარმომადგენელი თანხმდება არის შემდეგი: თანამშრომლების 83% ამჯობინებს ოთხდღიან სამუშაო კვირას (GoodHire-ის გამოკითხვა, 2021 წ.).

დასკვნა

სამსახურში ბედნიერება არის მთლიანი კონცეფციის ქოლგა, რომელიც მოიცავს უამრავ კონსტრუქციას. სამუშაო ადგილზე ბედნიერება გავლენას ახდენს როგორც ხანმოკლე პროცესებზე, ასევე გრძელვადიან პროცესებზეც, როგორიცაა დავალება, სამუშაოს შესრულება. და არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ბედნიერების გაუმჯობესება სამუშაო ადგილზე მართლაც რომ ღირსეული მიზანია. მტკიცებულებებიც იმაზე მიუთითებს, „ბედნიერი-პროდუქტიული თანამშრომ-ლის ჰიპოთეზა“ შეიძლება იყოს უფრო ჭეშმარიტი ვიდრე გვეგონა. მართლაც თანამშრომლები, ვინც უფრო ბედნიერები არიან ისინი ჩვეულებრივზე უკეთ მუშაობენ. მეტა-ანალიტიკური მტკიცებულებები აჩვენებს, რომ ბედნიერებასთან დაკავშირებული კონსტრუქციები, როგორიცაა სამუშაო კმაყოფილება, ჩართულობა და ემოციური ვალდებულება მნიშვნელოვანია როგორც ინდივიდებისთვის, ასევე ორგანიზაციებისთვის.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაციებმა უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ თანამშრომელთა ბედნიერების ინდექსის კვლევას. ასევე, საერთო კონსენსუსია იმის თაობაზე რომ შრომითი ურთიერთობები შეიცვალა და მომავალში უფრო მეტად შეიცვლება. დამსაქმებლები და დასაქმებულები ზოგადად უფრო ახლოს არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან. სამუშაო უსაფრთხოება, ლოიალობა და საშუალო შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა უფრო დაბალია, ვიდრე წარსულში. დამსაქმებელი-დასაქმებულის ურთიერთობები როგორც ჩანს დამოკიდებულია ორივე მხარისთვის კმაყოფილების მიღებაზე, და ერთამენისთვის მოლოდინების გამართლებაზე, რაც წინა წლებში სხვაგვარად ვითარდებოდა, და უფრო მეტად ყურადღება ეთმობოდა დამსაქმებლის ინტერესების გატარებას (cf. Roehling et al. 2000). ასეთ გარემოში სამუშაო ადგილზე ბედნიერების შეგრძნება სავარაუდოდ ის წებოა, რომელიც ინარჩუნეს და მომავლის სტიმულს აძლევს მაღალი პოტენციალის თანამშრომლებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არმსტრონგი მ. „ადამიანური რესურსების მართვა“, თბილისი 2020, გვ. 607-614.;
2. საჯარო სამსახურის ბიურო, ბედნიერების კვლევა საჯარო სამსახურში, თბილისი, 2021
3. Bakker, A., Oerlemans, W. G. M. (2011). Subjective well-being in organizations;
4. Boehm, J. K., Lyubomirsky, S. (2008). Does Happiness Promote Career Success? Journal of Career Assessment;
5. Ch. J. Soto. (2015). Is happiness good for your personality? Concurrent and prospective relations of

the Big Five with subjective well-being? Journal of Personality;
6. Bakker, A.B. and Demerouti, E. (2008). Towards a model of work engagement. Career Development International, 13, ȣ. 209–223.;
7. Glatzer, W (2000). Happiness: Classic Theory in the Light of Current Research;
8. https://www.forbes.com/sites/jackkelly/2021/11/15/which-generation-is-the-happiest-at-work/?sh=1bf98941114b
9. https://ivypanda.com/essays/organisational-behaviour-a-happy-and-productive-worker/
10. https://www.forbes.com/sites/jacquelynsmith/2013/12/05/can-money-buy-you-happiness-at-work/?sh=24e7ddbf3a9a
11. Parker, C. P., Baltes, B. B., Young, S. A., Huff, J. W., Altmann, R. A., Lacost, H. A., & Roberts, J. E. (2003). Relationships between psychological climate perceptions and work outcomes: A meta-analytic review. Journal of Organizational Behavior, 24(4), ȣ. 389-416.;
12. Pryce-Jones, J. (2011). Happiness at work: Maximizing your psychological capital for success. John Wiley & Sons.;
13. Oswald, A. J., Proto, E., & Sgroi, D. (2009). Happiness and productivity;

The Influence of the Happiness Index on Organization Management Processes

Lia Kvirchishvili
(JSC Iberia Refreshments (Workplace: PepsiCo Bottler in Georgia, HR Lead)

Abstract

Based on the analysis of the information obtained as a result of processing the issue presented in the article we can say that companies should show more courage and start researching the happiness index in organizations, which in turn includes job satisfaction, engagement and many other components. Also, the Human Resources Unit should be strengthened, since today the majority of employees do not perceive this Unit as an important Unit; Reducing stress and minimizing it is one of the tasks of companies, since it prevents employees from doing their work calmly and being more productive.

In summary, it should be noted that organizations can have a direct impact on the happiness index of its employees. By emphasizing workplace happiness in organizational policies and company culture, and establishing an employee-centered human resources strategy, an organization can provide employees with the benefits they need and as a result get the financial benefits and good reputation necessary for a successful company.

აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივები მაღალმთიან აჭარაში

კოჭლამაზაშვილი ლელა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

თოფჩიშვილი მარინე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

პაქსაძე კობა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი

აბსტრაქტი

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ხანა ძირითადათ xx საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება.როგორც მოგეხსენებათ ტურიზმი არის მოგზაურობა ქვეყნის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ დასავენებლად, ჯამრთელობის, სპორტულური ან კულტურული მიზნებისთვის. საქართველოში ტურიზმი ეკონომიკის პრიორიტეტურლ სფეროს წარმოადგენს. საქართველოს ყველა კუთხეს ტურიზმის სახეობების განვითარების პერსპექტივები გაჩნია, აქედან მინდა გამოვყოთ აჭარის რეგიონი რომელსაც, საზღვაო ტურიზმის განვითარების გარდა აგროტურზიმის განვითარების დიდი პერსპექტივებით სარგებლობს.

სოფლის ტურიზმი არის ტურიზმის მნიშვნელოვანი სახეობა, რომელიც საშუალებას აძლევს ტურისტებს იცოდნენ ბუნებრივი და კულტურული ტერიტორიები და ინტეგრირდნენ ამ ტერიტორიების ხალხთან. სოფლის ტურიზმის მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. დიდ ქალაქებში ცხოვრების გადატვირთულობამ, ჰაერის დაბინძურებამ, ხმაურმა დამსვენებლების ყურადღება უფრო მშვიდი გარემოსკენ გადაიტანა, შესაბამისად ამ სტატიის მიზანია გამოავლინოს შესაძლებელია თუ არა მაღალმთიან აჭარაში აგროტურიზმის განვითარება.

სოფლის ტურიზმი აგროეკონომიკის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ავსებს საბაზისო ეკონომიკას სოფლად, მხარს უჭერს ადგილობრივი პროდუქტების გამოყენებას და უზრუნველყოფს ადგილობრივ საქმიანობაში მონაწილეობას. აგრო ტურიზმი ხსნის შესაძლებლობებს მცირე ფირმებისათვის. სოფლის ტურიზმი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ქვეყნის ან რეგიონის პოპულარიზაციისთვის. სოფლად ტურიზმის განვითარება ასევე დადებითად აისახება ჯანდაცვის სერვისების განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები მაღალმთიანი აჭარა, აგროტურიზმი სოფლის ტურიზმი, კურორტები, ნაკრძალები, შავი ზღვა და მაღალმთიანი რეგიონი.

ძირითადი ტექსტი

ტურიზმის სექტორი მჭიდრო კავშირშია თითქმის ყველა სექტორთან. 1960 წლიდან მსოფლიოში ტურიზმის სექტორმა სწრაფად დაიწყო განვითარება და მის ცენტრად ევროპა იქცა. ევროპის თითქმის ყველა ნაწილში სოფლის ტურიზმი მიიღეს მთავრობებმა, როგორც სოფლად არსებული ნეგატივების გამოსწორების და ეკონომიკურად განვითარების საშუალებად.

მრავალი განსხვავებული განმარტება შეიქმნა სოფლის ტურიზმის ცნების ასახსნელად, რომელსაც ასევე უწოდებენ სხვადასხვა სახელს, როგორიცაა ფერმერული ტურიზმი, სოფლის ტურიზმი, მაღალმთიანი ტურიზმი, სასოფლო-სამეურნეო ტურიზმი, იმისდა მიხედვით, თუ რა არეალს ახორციელებს.

სოფლის ტურიზმი, თავის მხრივ, არის ტურიზმის სახეობა, სადაც ტურისტები მიდიან სოფლის დასახლებაში, რათა დაისვენონ ბუნებრივ გარემოში და იყვნენ სხვადასხვა კულტურებთან ერთად, დარჩნენ და უყურონ ან მონაწილეობა მიიღონ ამ სოფლის დასახლებისთვის სპეციფიკურ აქტივობებში.

სოფლის ტურიზმი აგროეკონომიკის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს, სხვა სიტყვებით რომ

ვთქვათ ავსებს საბაზისო ეკონომიკას სოფლად, მხარს უჭერს ადგილობრივი პროდუქტების გამოყენებას და უზრუნველყოფს ადგილობრივ საქმიანობაში მონაწილეობას. აგრო ტურიზმი ხსნის შესაძლებლობებს მცირე ფირმებისათვის. სოფლის ტურიზმი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ქვეყნის ან რეგიონის პოპულარიზაციისთვის. სოფლად ტურიზმის განვითარება ასევე დადებითად აისახება ჯანდაცვის სერვისების განვითარებაზე.

მაღალმთიანი აჭარა თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდიონარე აგროტურიზმის განვითარების კუთხით დიდი უპირატესობით სარგებლობს. მაღალმთიან აჭარაში აგროტურიზმის განვითარება შესაძლებელია წელიწადის ოთხივე დროს, რადგან აჭარა ბუნებრივი ლანდშაფტით, ფლორითა და ისტორიულ არქიტექტურული ძეგლებით საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი და საინტერესო კუთხეა. მაღალმთიანი აჭარა მდიდარია ძველი არქიტექტურული ძეგლებით და ციხე სიმაგრებით. ძველი არქიტექტურული ძეგლებიდან გამოსარჩევია: ბეღლეთის მეჩეთი, რომელიც 300 წელზე მეტს ითვლის, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი სხალთის ეკლესია რომელიც XIIII საუკუნით თარიღდება, ეკლესიის ინტერიერში შემორჩენილია პირვანდელი მოხატულობის ფრაგმენტები და ხიხანის ციხე რომელიც X-XIII საუკუნით თარიღდება. XI-XVI საუკუნეებში ხიხანის ციხე აჭარის ერისთავთერისთავ აბუსერისძეთა მთავარ რეზიდენცია იყო.

აჭარის მაღალმთიანი საკურორტო ადგილებიდან აღსანიშნავია კურორტი ბეშუმი, რომელიც მდებარეობს ხულოს რაიონში, არსიანის ქედის, გოდერძის უღელტეხილის გადასასვლელის აღმოსავლეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან 1930 მეტრზე. მთავარი სამკურნალო ფაქტორია ჰაერის გამჭვირვალობა და უმნიშვნელო ტენიანობა, მზის ულტრაიისფერი სხივების სიუხვე, კარგი სასმელი და მინერალური წყლები, მდიდარი ბუნებრივი გარემო. კურორტი წელიწადში, დაახლოებით, 7000 დამსვენებელს იზიდავს. სუფთა ჟანგბადით გაჯერებული ჰაერი გულ-სისძარღვთა დაავადებების სამკურნალოდ შესანიშნავ ადგილს წარმოადგენს.

ბოლო წლებში მაღალმთიან აჭარაში აქტიურად დაიწყო სამთო-სათხილამურო კურორტების ინფრასტრუქტურული განვითარება. გაშენების პროცესშია შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების შემდეგი კურორტები: შუახევის მუნიციპალიტეტში: კურორტი ,,გომარდული'', ხულოს მუნიციპალიტეტში _ ,,ქედლები", ,,გოდერძი".

კურორტი გოდერძი ზღვის დონიდან 2025 მეტრზე მდებარეობს. შავ ზღვასთან სიახლოვის გამო ეს ადგილი უხვი ნალექით გამოირჩევა, რაც კურორტს მეტად მიმზიდველს ხდის ზამთრის სეზონი კურორტ გოდერძიზე დეკემბრიდან აპრილამდე გრძელდება. თუმცა სრიალისთვის საუკეთესო დრო იანვარი - თებერვალია, რადგან ამ დროს ყველაზე მაღალი ხარისხის თოვლია. გოდერძი დამსვენებლებს მთელი წლის მანძილზე მასპინძლობს. ზაფხულში ვიზიტორებს შესაძლებლობა აქვთ მოაწყონ სხვადასხვა აქტივობები: ლაშქრობა როგორც ალპურ ისე ტყიან ზონაში, ცხენითა და ველოსიპედით სეირნობა. დღესდღეობით კურორტ გოდერძიზე ორი სახის საბაგიროა _ 2000 მეტრის სიგრძის ღია სავარძლებით და 1800 მეტრის სიგრძის _ გონდოლებიანი.

კურორტმა გოდერძი მაღალმთიან აჭარაში ხელი შეუწყო ადგილობრივი მოსახლეობის დასაქ-მებას და საუჯახო სასტუმროების გაკეთებას. საოჯახო სასტუმროების ფასი კერძო სასტუმროებთან შედარებით უფრო მისაღებია. ადგილობრივი მოსახლეობა ვიზიტორებს უმასპინძლდება აჭარული და ტრადიციული კერძებით, რაც მათ პოპულარიზაციას უწყობს ხელს.

გოდერძთან ახლოს მდებარეობს მწვანე ტბა და გოდერძის ალპური ბაღი. მწვანე ტბა ის გამორჩეული ადგილია, რომელსაც ყველაზე მეტი ვიზიტორი სტუმრობს. საინტერესოა რომ ტბა დღის განმავლობაში მართლაც მწვანე ფერისაა და საღამოს მოახლოებისას დღის ფერის და ამინდის ცვლილებასთან ერთად, მისი ფერიც იცვლება. ტბის წყალი სასმელადაც ვარგა, ვინაიდან მას მიწისქვეშა წყაროები ამარაგებენ. მწვანე ტბა ვულკანური წარმოშობისაა, რასაც ამტკიცებს შავი ქვები, რომლებითაც სავსეა ტბის ფსკერი. რაც შეეხება გოდერძის ალპურ ბაღს ვიზიტორებისთვის საინტერესო მოსანახულებელი ადგილია, რადგან 10 ჰექტარზეა თავმოყრილია აჭარის სუპალპური და ალპური ზონებისთვის დამახასიათებელი ველურად მოზარდი 50 ოჯახის, 111 გვარისა და 161 სახეობის მცენარე და ჰაბიტატის მრავალფეროვნება.

აჭარის მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს სოფლად და ჩართულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. აჭარაში აგროტურიზმის განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ტრადიციული საოჯახო მეურნეობების არსებობა, სწორედ ამიტომ აგროტურიზმის განვითარება პერსპექტულ მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს. ალპური ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე განთავსებულია აჭარის რეგიონში მეფუტკრეობის ტრადიციების სადემონსტრაციო სახლი, სკები და სპეციალური აღჭურვილობა. აჭარის მთიან სოფლებში შემორჩენილია თაფლის წარმოების უნიკალური ტრადიცია - ჯარას ველური თაფლი. მსოფლიოში ცოტა ადგილია, სადაც ადამიანი ველური ფუტკრების მიერ დამზადებულ თაფლს იყენებს და მათ შორის ერთ-ერთი საქართველოა. გარდა ამისა მაღალმთიან აჭარაში კერძოდ სოფელ დიოკნისში ბოლო წლებში დაიწყო მალინის მეურნეობის განვითარება. მოსახლეობა სამჯერ ახერხებს მოსავლის აღებას და ადგილზე ჩაბარებას თუმცა არის გარკვეული პრობლემები, კერძოდ საწვეთურების პრობლემა და გადასამუშავებელი ქარხნის არარსებობა ამისთვის კი საჭიროა მთავრობის მხრიდან სახელმწიფო დახმარების პროგრამის უზრუნველყოფა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ სოფლად თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნა.

დასკვნა

აგროტურიზმი იგივე სოფლის ტურიზმი გულისხმობს მოგზაურობას და დასვენებას სოფლებში. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მაღალმთიან აჭარას აქვს პერსპექტივა და პოტენციალი აგროტურიზმის განვითარებისთვის, თუკი სახელმწიფოს მხრიდან იქნება მხარდაჭერა და ინფრასტრუქტურა განვითარებული. მაღალმთიანი აჭარის რეგიონი აუთვისებელი როგორც ქართველი ასევე უცხოელი ტურისტების მიერ. ამისთვის კი საჭიროა გატარდეს საჭირო ღონისძიებები, რადგან საკურორტო ინფრასტრუქტურა უფრო მეტად განვითარდეს და აგრო ტურიზმი უდიდეს ცენტრად გადაიქცეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზოსიძე რ. ,,ტურიზმის დარგის განვითარების თავისებურებები და ტენდენციები საქართველოში (აჭარის ა.რ. მაგალითზე)'' საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი 2021.
2. მეტრეველი მ. “ტურიზმი”, თბ. 2003.
3. შუბლაძე ვ. “საქართველო და ტურიზმი”, 2004
4. ხარტიშვილი ლ. ტურიზმი სოფლად. «ელკანა»., 2008.
5. http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid.
6. www. agrotourism.iatp.org.ge
7. world-tourism.org

Prospects for the development of agrotourism in the highlands of Adjara

Kochlamazashvili lela
Professor of Technical University of Georgia.

Topchishvili Marine.
Professor of Technical University of Georgia.

Paksadze Koba
student of the business faculty of the Technical University of Georgia.

Abstract

The age of development of international tourism mainly starts from the second half of the 20th century. As you know, tourism is a trip inside or outside the country for recreation, health, sports or cultural purposes. Tourism is a priority area of the economy in Georgia. All corners of Georgia have prospects for the development of types of tourism, from which I would like to single out the Adjara region, which, in addition to the development of marine tourism, enjoys great prospects for the development of agrotourism

Rural tourism is an important type of tourism that allows tourists to know the natural and cultural areas and become familiar with the people of these areas. The importance of rural tourism is increasing day by day in both developed and developing countries. The overcrowding of life in big cities, air pollution, and noise draw the attention of vacationers to a quieter environment, so the purpose of this article is to reveal whether the development of high-mountain acharashirotourism is possible.

Rural tourism plays a major role in the development of agro-economy, in other words it complements the basic economy in rural areas, supports the use of local products and provides participation in local activities. Agri-tourism opens up opportunities for small businesses. Rural tourism is an important tool for promoting a country or region. The development of tourism in rural areas also has a positive impact on the development of health services.

Keywords: highland Ajara, agrotourism, rural tourism, resorts, nature reserves, Black Sea and highland region

სასურსათო უშიშროება – ეროვნული და რეგიონული გამოწვევები

კოღუაშვილი პაატა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ხალვაში ელდარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში სასურსათო უშიშროება (უსაფრთხოება) აღიარებულია, როგორც ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელი საკვებ პროდუქტებთან ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა და მათი საკმარისი რაოდენობით წარმოება. ფიზიკური ხელმისაწვდომობა განიხილება, როგორც საკმარისი რაოდენობისა და ხარისხის პროდუქტების არსებობა. ეკონომიკური ხელმისაწვდომობა გულისხმობს იმას, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს იმდენი შემოსავალი, რომ შეძლოს მინიმალურად მაინც დაიკმაყოფილოს სურსათზე მოთხოვნილება.

სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფაში პოლიტიკურ და რესურსულ პოტენციალთან ერთად სულ უფრო მზარდ როლს ასრულებს რეგიონული ასპექტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, წარმოების სპეციალიზაციას და კულტურას, შესაბამისი პროფილისა და გამოცდილების მქონე საკმარისი რაოდენობის საწარმოო ძალების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს - სამუშაო ძალას, ამ უკანასკნელის დაინტერესების, მოტივაციის, ადგილზე მოზიდვისა და შენარჩუნების უზრუნველყოფას.

საკვანძო სიტყვები: სასურსათო უშიშროება, აგრარული სექტორი, წარმოების სპეციალიზაცია, მდგრადი განვითარება, მთიანი რეგიონი.

JEL: Q1, R1.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური გარდაქმნების ნეგატიური შედეგები უშუალოდ აისახა სასურსათო უსაფრთხოებაზე. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობის მკვეთრად შემცირებით საკვები პროდუქტების წარმოების დონეც დაეცა.

რეგიონის დონეზე ვლინდება სახელისუფლებო გადაწყვეტილების მართებულობა, რაციონალურობა და ეფექტიანობა. ამ მიმართულებით, მიუხედავად ბოლო წლებში საქართველოში აშკარა წინგადადგმული ნაბიჯებისა, შეინიშნება სისტემური ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს უშლიან ვითარებას, რომლითაც, ერთი მხრივ, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება ჯერაც საკმაოდ მოწყვლადია საგარეო რისკებისა და გამოწვევებისადმი და მეორე მხრივ, განაპირობებს სოფლის მეურნეობისათვის არაპრესტიჟული ეკონომიკის ყველაზე „სუსტი რგოლის“ სტატუსის აღმნიშვნელი სტიგმის შენარჩუნებას.

სასურსათო უზრუნველყოფის მდგომარეობა

1990 წელთან შედარებით 2019 წელს მარცვლის წარმოება შემცირდა – 1,7 ჯერ, მათ შორის ხორბლის წარმოება – 2,6-ჯერ, სიმინდის – 1,3-ჯერ, კარტოფილის – 4,5-ჯერ, ბოსტნეულის – 2,8-ჯერ, ხორცის – 2,5-ჯერ, რძის – 1,2-ჯერ, კვერცხის – 1,2-ჯერ. დაბალია მოსავლიანობა, კერძოდ ხორბლის – 23 ც., სიმინდის – 2 ც., კარტოფილის – 123 ც, ბოსტნეულის – 88 ც. დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობაც, კერძოდ ერთ ფურზე იგი შეადგენს – 1543 კგ–ს, ერთ კვერცხმდებელ ქათამზე – 140 ცალ კვერცხს.

სურსათის მოხმარების დონის მიხედვით დაფიქსირდა თავისებურება: წარმოების მკვეთრად შემცირების მიუხედავად მოსახლეობის ერთ სულზე გაიზარდა მოხმარების მაჩვენებელი. მაგალითად, ხორცის მოხმარება 1990 წელს შეადგენდა 36,5 კგ-ს, 2019 წელს – 40 კგ-ს. მაშინ, როცა მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული იყო 1990 წელს 31,2 კგ, ხოლო 2019 წელს 19,5 კგ. სხვაობა პირველ შემთხვევაში 5,2 კგ, მეორე შემთხვევაში 20,5 კგ. დაიფარა იმპორტით. აღსანიშნავია, რომ 1990 წელს მოსახლეობა შეადგენდა 5 მილიონ 456 ათას კაცს, 2019 წელს 1 მილიონ 739 ათასით ნაკლებს.

ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოება მაღალ რისკებთან არის დაკავშირებული, ეს დასტურდება შემდეგი მონაცემებითაც. 2016-2019 წლებში საშუალო წლიურად ქვეყანაში იმპორტით შემოტანილ იქნა 596,25 ათასი ტონა ხორბალი, ადგილზე წარმოებული იყო 108 ათასი ტონა. შესაბამისად, ხორცი 85,3 ათასი და 69,5 ათასი ტონა, ბოსტნეული 98 ათასი და 142 ათასი ტონა, რძე და რძის პროდუქტები 130 ათასი და 546 ათასი ტონა.

ნიშანდობლივია, რომ შემოგვაქვს ისეთი პროდუქტი, რომლის წარმოების ხელსაყრელი პირობები და ტრადიციებიც ადგილზე გაგვაჩნია. მაგალითად, 2019 წელს ქვეყანაში შემოტანილია 44,6 მლნ დოლარის მცენარეული ზეთი, 58,3 მლნ დოლარის შაქარი, 78,2 მლნ დოლარის ხილი, 9 მლნ დოლარის ჩაი, 36 მლნ დოლარის თევზი და თევზეული, 78 მლნ დოლარის ფრინველის ხორცი. სასურსათო უსაფრთხოების მაღალ რისკებზე მიუთითებს ქვეყნის აგრარულ ბაზარზე სასურსათო პროდუქტების მაღალი ხვედრითი წილიც (70-75%).

ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის ჩამოყალიბებული იმპორტით შემოტანილი ტენდენციები გვიჩვენებს, რომ პრობლემა კომპლექსურია და სისტემური მიდგომებით გადაწყვეტას მოითხოვს. მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის ფუნქცია სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური სუბიექტის ექსკლუზიური ფუნქციაა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყნის მიწის ფონდის 85%-მეტი ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებაშია, გასაგები გახდება სასურსათო უზრუნველყოფაში სახელმწიფოს როლის მზარდი ხასიათი.

სასურსათო უსაფრთხოების რისკების შემცირებისათვის და ამ მიმართულებით სტაბილური მდგომარეობის შესაქმნელად საგანგებო ღონისძიებათა განხორციელება იქნება საჭირო, კერძოდ:

– აუცილებელია 10 დასახელების ძირითადი სასურსათო პროდუქციის მიხედვით, რომლებითაც განისაზღვრება სასურსათო უსაფრთხოების დონე, გაანალიზდეს არსებული მდგომარეობა, რეზერვები, ახალი ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივა, რეგიონების რესურსული პოტენციალი, საბაზრო კონიუნქტურა და განისაზღვროს 2030 წლამდე პერიოდისთვის მათი წარმოების შესაძლებლობები.

ღონისძიებებში უნდა იყოს გათვალისწინებული არა მხოლოდ მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენება, არამედ მასთან ერთად თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მაღალი დონე.

მიუხედავად იმისა, რომ სასურსათო უსაფრთხოების მნიშვნელობა თითქოს ადვილად აღქმადი და გაცნობიერებულია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დონეზე, მისდამი დამოკიდებულება ჯერ კიდევ საკმაოდ შორსაა იდეალურისაგან, რაც ვერ პასუხობს იმ გამოწვევებს და რისკებს, რომლებიც ქვეყნის უსაფრთხოებას უქმნიან სწორედ სასურსათო უზრუნველყოფის მხრივ: სოფლის მეურნეობის, ზოგადად კი ადგილობრივი აგროსასურსათო პროდუქციის წარმოების ზრდის დინამიკა ჩამორჩება დროის მოთხოვნებს, ცალკეული კვების პროდუქტებით, რომლის ადგილზე წარმოების პოტენციალი ქვეყანას ნამდვილად გააჩნია, თვითუზრუნველყოფის დონე (ხორცი, ხორბალი, ზეთი და სხვ.) დაბალი ან კრიტიკულად დაბალია. თანაც, თვითუზრუნველყოფის დონე განისაზღვრება ფაქტობრივად განკარგვად რესურსებთან მიმართებაში, მაშინ როდესაც თვით ამ რესურსების მოცულობის თანაფარდობა მთელი ქვეყნის მოსახლეობის შესაბამისი კვების პროდუქტებით რაციონალურ დონეზე უზრუნველყოფის დონესთან მხოლოდ დაახლოებით 50-80 პროცენტის დონეზეა. შრომის დაბალი მწარმოებლურობა და შესაბამისად, შედარებით დაბალი ანაზღაურება, მიუხედავად ცალკეული სეგმენტური წარმატებებისა და გარღვევებისა მწარმოებლურობის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, ინვესტიციების მოზიდვისა და ანაზღაურების მხრივ, რომელთაც ჯერაც არ მიუღიათ სისტემური ხასიათი, ქმნის საკმაოდ ნოყიერ ნიადაგს სოფლის მოსახლეობის ყველაზე მობილური, შრომისუნარიანი ნაწილის მიგრაციისა ქალაქ ადგილებში ან უცხოეთში. ეს კი ქვეყნის უსაფრთხოებას უქმნის პრობლემას უკვე სხვა - დემოგრაფიული და სამხედრო - მიმართულებებითაც.

სახელმწიფო უსაფრთხოების თვალსაზრისით გარკვეული საფრთხის მატარებელია ეროვნული ვალუტის გამყარების პირობებში იმპორტირებული, არც თუ იშვიათად, დემპინგური პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდა ადგილობრივ წარმოებასთან შედარებით.

სახელმწიფოს ეკონომიკური, აგრარული პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებად უნდა იქცეს

დღეისათვის ქვეყანაში არსებული ყველა რესურსის, მათ შორის მიწის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება, სამუშაო ძალის, მიწის რესურსთან და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სხვა კომპონენტებთან კავშირის, მოტივაციის მკვეთრი ამაღლება შესაბამისი ეკონომიკური, ფინანსური ბერკეტების გამოყენებით, მათ შორის სუბსიდირების სიტემის, საგადასახადო შეღავათებისა და შეღავათიანი საკრედიტო სისტემის ფორმირებით.

სასურსათო უსაფრთხოება არა მარტო ეროვნული უსაფრთხოების, უშიშროების მნიშვნელოვანი კომპონენტია, არამედ თავისი არსით და გავლენით საზოგადოების წევრთა ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე, მათ ეკონომიკურ და სოციალურ აქტიურობაზე, მოტივაციაზე ზეგავლენით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეროვნული უსაფრთხოების სხვა კომპონენტებზეც და შესაბამისად, საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან გაცილებით მეტ ინსტიტუციურ, ორგანიზაციულ და ფინანსურ მხარდაჭერას და უზრუნველყოფას.

სურსათის წარმოების რეგიონული ორიენტირები

სასურსათო უშიშროების პრობლემის, როგორც სახელმწიფოებრივი უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების უზრუნველმყოფი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის, გადაწყვეტა მოითხოვს მნიშვნელოვან ძალისხმევას რეგიონალურ დონეზე. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, შესაქმნელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, განსასაზღვრია პრიორიტეტები და ჩამოსაყალიბებელია სასურსათო უშიშროების უზრუნველმყოფელი სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ჯერ კიდევ შორსაა არათუ საკუთარი წარმოების, არამედ ზოგადად, სასურსათო პროდუქტებით სრული უზრუნველყოფისაგან. მაგალითად, ხორცისა და ხორცპროდუქტების მოხმარება რაციონალური მოხმარების სარეკომენდაციო ნორმის მხოლოდ 60 პროცენტის დონეზეა. - მოსახლეობის ერთ სულზე ფაქტობრივად წლიურად მოხმარებული 38 კგ ხორცისა და ხორცპროდუქტებიდან ადგილობრივი წარმოების წილად მოდის 19.7 კგ - რაციონალური ნორმის მხოლოდ 31.3 პროცენტი.

ასეთ პირობებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაციის პრობლემის გადაწყვეტა, რისთვისაც საჭიროა:

1. სოფლის მეურნეობის განვითარების არსებული და პოტენციური დონის დადგენა;

2. დარგების სწორი სელექცია იმ პრიორიტეტული დარგების გამოყოფით, რომლებიც საბაზრო ურთიერთობის მოთხოვნებს აკმაყოფილებს (ე.ი. დარგი კონკურენტუნარიანი უნდა იყოს ქვეყნის შიდა და გარე ბაზარზე);

3. საკუთარი წარმოებისა და იმპორტის შეწონასწორებული, ოპტიმალური მოდელის შერჩევა.

სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ მსოფლიო ბაზარზე დამოუკიდებელი პოზიციონირებისა და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ახალი როლის ძიებამ და „მიჩენამ“ პირველ ეტაპზე საგრძნობლად დაუზიანა აგრარული სექტორის ის დარგები და ის რეგიონები, რომლებიც ექსპორტზე ორიენტირებულნი იყვნენ. საფასო პარიტეტი, საექსპორტო პროდუქციასა და ძირითად იმპორტირებული პროდუქციის ფასებს შორის, კონიუნქტურის ცვლილების გამო, საქართველოსათვის საგრძნობლად გაუარესდა. მაგალითად, 1990-იანი წლების შუა ხანებში ერთ და იმავე რაოდენობის იმპორტის უზრუნველსაყოფად საჭირო იყო 5-ჯერ მეტი ციტრუსების რეალიზაცია 6-7 წლის წინანდელ პერიოდთან შედარებით. მართალია, ადრინდელ „ექსპორტორიენტირებულ რეგიონებში“ მოხდა სპეციალიზებული დარგების (მევენახეობის, მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, ეთერზეთოვნების და სხვა) ერთგვარი ჩანაცვლება სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი დარგებით (მარცვლეული, მზესუმზირა, ბოსტნეული, კარტოფილი...), მაგრამ მან ვერ მიიღო ისეთი მასშტაბები, რომლებიც მოახდენდა წარმოქმნილი სასურსათო დეფიციტის კომპენსაციას.

ამჟამად საქართველოს აქვს შესაძლებლობა, 10 ძირითადი სოფლის მეურნეობის პროდუქტიდან 7-ზე უკვე უახლოეს წლებში სრულად დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნილებები (კარტოფილი, ბოსტნეული, ბაღჩეული, ხილი, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, თევზი). აგრარული სექტორის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე გასასვლელად, ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფაში აბსოლუტური წვლილის შეტანისათვის, აუცილებელია მისი მართვის პრინციპების

სერიოზული კორექცია, უფრო ქმედითი სახელმწიფო მხარდაჭერა, სუბსიდირების სისტემის გაფართოება, მიწების პარცელიზაციის დაძლევა, სპეციალიზებული აგრარული პროფილის ბანკის ფორმირება, შეღავათიანი საკრედიტო პოლიტიკის გატარება და კოოპერირების სტიმულირება. აღნიშნულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ სასურსათო ბაზრის განვითარებაში და საბოლოო ანგარიშით, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

ამავე კონტექსტში აუცილებელია კიდევ ორი საკითხის დადებითად გადაწყვეტა:

- აგრარულ სექტორში ინვესტიციების მოზიდვის საკითხი და სოფლის მეურნეობის განვითარების სპეციალიზებული ფონდის შექმნა, რომლის წყაროდ შესაძლოა გამოყენებული იქნეს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან გრანტების სახით შემოსული სხვადასხვა დახმარებების მონეტიზაციით მიღებული სახსრები და სხვა მიზნობრივი დახმარებები.

საქართველოში მეცხოველეობის განვითარების ძირითადი საწარმოო ბაზა მისი მთიანი რეგიონია. აქ მეცხოველეობის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სასიცოცხლო არტერიის - მთიანეთის - აღორძინების, მოსახლეობის შენარჩუნება-განვითარებისა და თავდაცვის უპირველესი პირობა იქნება.

საქართველოს დამოუკიდებლობამ უწინარეს სარეალიზაციო ამოცანათა შორის მთისა და ბარის ისტორიული ფუნქციების აღდგენა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გათანაბრების საკითხი დააყენა. ამ მიმართულებით გადაიდგა პირველი ნაბიჯებიც, მაგრამ, მიუხედავად ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების ძალისხმევისა, მთასა და ბარს შორის განვითარებაში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების დაძლევა ჯერაც ვერ მოხერხდა. ისინი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

მდგომარეობის გამოსწორებისათვის, აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად, მთისა და მთისწინეთის სამეურნეო და ბუნებრივი პოტენციალის რაციონალური გამოყენება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, მდგრადი ეკონომიკური განვითარება უნდა გახდეს.

სოფლის მეურნეობის, როგორც ეკონომიკის „სუსტ რგოლის“, საკუთარი „სუსტი რგოლი“ - მეცხოველეობაა, სადაც მწარმოებლურობა მოწინავე ქვეყნებთან ჩამორჩენა, საშუალოდ 4-6-ჯერადია. აღნიშნულის გათვალისწინებით, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ზრდის სიმძიმის ცენტრი შინამეურნეობებიდან თანდათან უნდა გადავიდეს მსხვილ, სასაქონლო ორიენტაციის ფერმერულ მეურნეობებსა და კოოპერატივებზე, რაც პერსპექტივაში საშუალებას მოგვცემს ხორცის წარმოება გაიზარდოს დაახლოებით 3-ჯერ - 260-280 ათას ტონამდე, კვერცხის წარმოება კი - არანაკლებ 2-ჯერ - 1300 ათას ცალამდე.

მნიშვნელოვანი როლის შესრულება სასურსათო უშიშრობის უზრუნველყოფაში შეუძლია რეგიონების დონეზე სასურსათო ბაზრების განვითარებას, რაც ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილების გარდა გულისხმობს ადგილობრივი მწარმოებლების, ფერმერების მოტივაციის ზრდას სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციისთვის.

დასკვნა

სასურსათო უშიშროების საკითხი მოითხოვს სახელმწიფოს აქტიურ, კომპლექსურ ძალისხმევას სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდისთვის ორგანიზაციულ, ფინანსურ და ინსტიტუციურ მხარდაჭერას, აგრეთვე ამ დარგში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისებას, ამა თუ იმ სახის აგრარული პროდუქციისათვის სპეციალური ხელშემწყობი პროგრამების რეალიზაციას.

მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ამ დარგის მულტიპლიკაციის ეფექტი საკმაოდ მაღალია - იგი დაახლოებით 4-5-ჯერ აღემატება მრეწველობის ანალოგიურ მაჩვენებელს. სოფლის მეურნეობასთან პირდაპირაა დაკავშირებული ეროვნული მეურნეობის დარგების 1/3-ზე მეტი. დარგში მოქმედი ერთი სამუშაო ადგილი უზრუნველყოფს სხვა დარგებში 5-6 სამუშაო ადგილის შექმნას. შესაბამისად, აგრარულ სექტორში საქმიანობის სოციალური და ეკონომიკური პრესტიჟულობის ზრდა არა მარტო უზრუნველყოფს ეკონომიკის აღნიშნულ სეგმენტში დასაქმების სტაბილურ დონეს,

სოფლიდან მიგრაციის მოტივაციის შესუსტებას, არამედ ქმნის მყარ საფუძველს ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებში დასაქმებისა და შესაბამისად, დამატებული ღირებულების ზრდისთვის. აღნიშნულ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს რეგიონებისთვის, განსაკუთრებით მთიანეთისათვის, სადაც მიგრაციის, სამუშაო ძალის დეფიციტისა და ზოგადად, დემოგრაფიული ვითარება უკიდურესად მწვავეა. მთლიანობაში, აგრარული სექტორის განვითარება უზრუნველყოფს სასურსათო უშიშროებას და ამ გზით - ქვეყნის უშიშროების განმტკიცებას, მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Koguashvili P., Baratashvili E., Maisuradze I., FOOD CLUSTERS AS A TOOL FOR INCREASING THE EFFICIENCY OF AGRIBUSINESS FUNCTIONING // Modern science: innovations and prospects. Proceedings of the 6-th International scientific and practical conference. SSPG Publish. Stockholm, Sweden. 2022. Pp. 198-211. ISBN 978-91-87224-02-7 URL: https://sci-conf.com.ua/vi-mezhdunarodnaya-nauchno-prakticheskaya-konferentsiyamodern-science-innovations-and-prospects-6-8-marta-2022-goda-stokgolm-shvetsiyaarhiv/
2. პ. კოღუაშვილი, თ. კუნჭულია; საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრატეგიისათვის; ჟურნალი საქაეთველოს სმმ ა „მოამბე“, N 28. 2010
3. ნ. ჭითანავა; საქართველოს აგრარული მეურნეობის განვითარების ახალი სტრატეგია; ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“ N1; 2013.
4. ხარაიშვილი ე., სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები საქართველოსა და ისრაელში: ინოვაციური მიდგომები და მოდელები, სტუდენტური სამეცნიერ--პრაქტიკული ჟურნალი ,,სტუდენტური კვლევები და პროექტები“, N 1-2, 2018.
5. რევაზ ასათიანი, პაატა კოღუაშვილი-საქართველოს სოფლის მეურნეობა- გამოწვევები და პერსპექტივები. თბ. გამომცემლობა ,,საარი', 2023.
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები: www.geostat.ge

Food Security- National and Regional Challange

Paata Koghuashvili,
Professor of Georgia Technical University

Eldar khalvashi
Ph.D. Student of GTU

Abstract

It is also acceptable to take into account the fact that the multiplier effect of this industry is quite high - it is about 4-5 times higher than the similar indicator of the industry. More than 1/3 of the branches of the national economy are directly related to agriculture. One working place in the field ensures the creation of 5-6 jobs in other fields. Accordingly, the increase in the social and economic prestige of the activity in the agricultural sector not only ensures a stable level of employment in the mentioned segment of the economy, weakening the motivation for migration from the countryside, but also creates a solid basis for employment in other branches of the national economy and, accordingly, for the increase of added value. The mentioned circumstance is of great importance for the regions of Georgia, especially for the mountainous region, where the demographic situation of migration, workforce shortage and in general, is extremely acute. As a whole, the development of the agrarian sector ensures food security and thus - the strengthening of the country's security, sustainable economic development and the increase in the well-being of the population.

Keywords: Food security, agricultural sector, production specialization, sustainable development, mountainous region.

JEL: Q1, R1.

საქართველოს ტურისტული პოტენციალი

კოჭლამაზაშვილი ლელა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

თოფჩიშვილი მარინე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

თევდორაშვილი გვანცა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი

აბსტრაქტი

საქართველოს საკმაოდ დამაიმედებელი ტურისტული პოტენციალი აქვს ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით, რაც გლობალური ტურისტული ბაზრისთვის ძალიან მიმზიდველია. ტურისტული სფეროს გრძელვადიანი წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად პოზიტიური იქნება ის გამოცდილება, რასაც ტურისტი საქართველოში ჩამოსვლიდან საქართველოს დატოვებამდე შეიძენს... საუბარია იმაზე, თუ რა შთაბეჭდილება დარჩებათ სტუმრებს ჩვენს ქვეყანაზე.

ტურიზმის განვითარება დამოკიდებული იქნება სწორედ იმაზე, თუ რამდენად სწორად იქნება შემუშავებული დარგის განვითარების სტრატეგია საწყის

ეტაპზე.

იმისთვის, რომ ტურისტები ადვილად გადაადგილდებოდნენ, მნიშვნელოვანია სატრანსპორტო მომსახურების განვითარება და მათი უსაბრთხოდ ყოფნის უზრუნველყოფა. საქართველოს აქვს იმის პოტენციალი, რომ კარგად შეფუთოს საკუთარი ტურისტული გამოცდილება და აქცენტები ისეთ მიმზიდველ სფეროზე გააკეთოს, როგორიცაა კულტურა, აქტიური დასვენება, კურორტები, სპა ტურიზმი, ღვინო და მდიდარი სამზარეულო.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მკვეთრად შეიმჩნევა აგროტურიზმით დაინტერებული მიზნობრივი ტურისტების შემოდინება სხვადასხვა მიმართულებით, ეს იქნება ფერმერული მეურნეობა, აგრო მეურნეობა თუ ზოგადად ტურიზმი სოფლად.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, აგროტურიზმი, ბუნებრივი რესურსები, ტურისტული პოტენ-ციალი, ტურისტული სტრატეგია, ტურისტული პროდუქტი, ტურიზმის ბიუჯეტი 2023 წლისთვის.

ძირითადი ტექსტი

საქართველოს არცერთი მხარე, რესურსული პოტენციალის სიმცირეს არ უჩივის.ტურიზმის განვითარების დაგეგმვის დროს პოტენციური შესაძლებლობების შეფასებისას აუცილებელია ტურიზმის განვითარებისთვის არსებობდეს საჭირო კომპონენტები:ღირსშესანიშნოაობები და თავისუფალი დროის გატრების ფორმები,მიღებისა და მომსახურების ინფრასტუქრა, ,სატრასპორტო ინფრასტრუქტურა და მომსახურება მოგზაურობის ორგანიზება.

ტურისტული პროდუქციის წინ წაწევა საქართველოში ტურიზმის განვითარების პერსფექტივებზეა დამოკიდებულია, არსებობს თუ არა ქალაქში (რეგიონში) ტურიზმის განვითარებისთვის საჭირო რესურსი, არის თუ არა შესაბამისი ტურისტული ბაზარი, რომელზეც შეიძლება გასვლა, ეკონომიკური განვითარების მიზნების მისაღწევად ესაჭიროვება თუ არა ქალაქს (რეგიონს) ტურიზმის განვითარება, არის თუ არა საჭირო შრომითი რესურსები ტურიზმის განვითარებისთვის, დამატებითი შრომითი რესურსების მოყვანის გარეშე.

საქართველოში ჩამოყალიბებულია სუბტროპიკული კლიმატური სარტყელის ჰავის თითქმის ყველა ტიპი : ნოტიო სუბტროპიკული, ზომიერად ნოტიო, ზომიერად მშრალი და მშრალი-კონტინენტური. ეს განპირობებულია მისი სუბტროპიკული და ზომიერი კლიმატური სარტყელების მიჯნაზე მდებარეობით, ასევე ბუნებრივი ბარიერების - კავკასიონისა და სამხრეთ მთიანეთის არსებობითა და შავი ზღვის გავლენით.

ქვეყნის ბუნების შემადგენელი კომპონენტებია: (რელიეფი, ჰავა, წყლები და ა.შ.) სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირად არიან დაკავშირებული და როგორც თვისობრივად, ისე სამეურნეო გამოყენების მიხედვით, განსხვავებულ ბუნებრივ კომპლექსებს ქმნიან.

ეკონომიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, საქართველო ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარეობს და ოდითგან დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციების დამაკავშირებელ ხიდს წარმოადგენს.

შავიზღვისპირა მდებარეობა კი მას დიდ უპირატესობას ანიჭებს სამხრეთ კავკასიის სხვა სახელმწიფოებთან (აზერბაიჯანი და სომხეთი) შედარებით.

საქართველოს ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობა კიდევ ერთხელ მას შემდეგ დადასტურდა და გაიზარდა, როცა საფუძველი ჩაეყარა ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენების მშენებლობას.

კულტურულ-გეოგრაფიული მდებარეობის თვალსაზრისით კი ჩვენი სამშობლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის და ახლო აღმოსავლეთის კულტურულ რეგიონებს შორის მდებარეობს, რაც თავისებურ გავლენას ახდენს ქვეყნის კულტურულ ცხოვრებასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე

საქართველოს, თავისი ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად, მეტად მრავალფეროვანი და უნიკალური ბუნებრივი რესურსები გააჩნია.ბუნებრივ რესურსებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მინერალური და წყლის რესურსები. სწორედ ისინი განსაზღვრავენ ქვეყნის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარებას.

ასევე, საკამოდ მრავალფეროვანია საქართველო თავისი ფლორა და ფაუნით, რაც შესაბამისად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ტურისტული პოტენციალის გასაზრდელად.

როგორც სტატისტიუკური მონაცემები გვიჩვენბს, ტურისტული პროდუქტის შეთავავაზებისას მეტად მოთხოვნადია ბალნეოლოგიური და ზღვის კურორტები

ასევე, დაინტერესება საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლებისა და უძველსი ნაგებობების მიმართ. ყველა ნახსენები ბუნებრივი რესურსი ხელს უწყობს საქართველოში ტურიზმის განვითარებას, რაც წარმატების საწინდარია.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2023 წელს ბიუჯეტი 36 მლნ ლარით განისაზღვრა, შესაბამისად, ტურისტული პოტენციალის ასათვისებლად დაგეგმილია სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო დონის ტურისტული პროდუქტის შესაქმნელად, როგორც საერთაშორისო ისე შიდა მოთხოვნის სტიმულირების მიზნით საჭიროა სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის, თანამშრომლობის გაღრმავება , ტურიზმთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მოდერნიზაცია, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯოსება, ქვეყნის მაშტაბით მაღალი ხარისხის შეთავაზება ტურისტებისთის, განსაკუთრებით ქალაქგარეთ, სადაც ტურიზმის განვითარების პოტენციალი ყველაზე მაღალია, ახალი ტურისტული პროდუქტის შეთავაზება და ბოლოს ქვეყნის კულტურული და ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენებით, სასტუმრო და კულინარიული მომსახურებით, უსაბრთხოების ნორმების სრული დაცვით, ჩვენ ყველანაირად უნდა შევძლოთ ამაღლებული შთაბეჭდილების მოხდენა ქვეყანაში შემოსულ ვიზიტორებზე, ვინაიდან ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ტურისტების ერთჯერადი მოგზაურობა.

ჩვენი მიზანია ტურისტებმა კვლავ გამოთქვან სურვილი და მიიღონ გადაწყყვეტილება ჩვენს ქვეყანაში სამოგზაუროდ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ყუფარაძე გ. ,,კულტურული ტურიზმი'', სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი 2002 წ.
2. ქობლიანიძე თ ., მელაძე მ. ,,ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი'' გამომცემლობა ,,მერიდიანი ''2012 წ.
3. თევდორაძე ს. ,, ტურიზმის მარკეტინგი''; გამომცემლობა ,, მერიდიანი'' 2014 წ

Tourist potential of Georgia

Kochlamazashvili Lela
Professor of Georgian Technical University

Tofchishvili Marine
Professor of Georgian Technical University

Tevdorashvili Gvantsa
Student of Georgian Technical University

Abstract

Georgia has a promising tourism potential in terms of the development of tourism infrastructure, which is very attractive for the global tourism market. The long-term success of the tourism sector depends on how positive the experience a tourist will have from the time he arrives in Georgia to the time he leaves... it is about what impression Stay as guests in our country.

Tourism development will depend on how correctly the industry development strategy is developed at the initial stage. In order for tourists to move easily, it is important to develop transport services and ensure their safe stay. Georgia has the potential to package its tourism experience well and focus on such attractive areas as culture, active recreation, resorts, spa tourism, wine and rich cuisine.

It should also be noted that there is a sharp increase in the direction of agro-tourism, be it farming, agroculture or general tourism in rural areas Key words: tourism, agrotourism, natural resources, tourism potential, tourism strategy, tourism product, tourism budget for 2023.

საქართველოსა და აზერბიჯანის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციები

კუჭავა ბექა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ის ფუნდამენტური დოკუმენტია, რომლითაც განსაზღვრულია ეროვნული ღირებულებები და ინტერესები, ეროვნული მისიის შინაარსი. ამ დოკუმენტით არის გამოკვეთილი სახელმწიფო განვითარების, საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების ხედვა, დადგენილია უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში მკაფიოდ არის დაფიქსირებული ქვეყნის მოქალაქეთა ურყევი ნება - დემოკრატიის, ეკონომიკური თავისუფლების განმტკიცება, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და საერთაშორისო აქტორებთან მშვიდობიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობების დაცვა.

საქართველო მკაფიოდ აფიქსირებს საგარეო პოლიტიკურ კურსს - ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების მისწრაფებას. უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის დალაგება და ოკუპირებული რეგიონების დეოკუპაცია.

პრიორიტეტად განსაზღვრულია მრავალეთნიკურ საზოგადოებად ჩამოყალიბება, ეროვნული უმცირესობების ქვეყნის საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის უზრუნველყოფა. ასევე ოკუპირებული ტერიტორიების მოქალაქეთა ჩართვა ქვეყნის ეკონომიკურსა და კულტურულ პროცესებში.

საქართველოში ეროვნული უმცირესობების დაცვისა და ინტეგრაციის თვალსაზრისით ბევრი რამ კეთდება.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მდგრადი განვითარება, ხალხის ეთნოკულტურული ღირებულებების დაცვა, მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფა, ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში კახისა და ზაქათალის - ისტორიულად ქართულ რეგიონებში ძირითადი პრობლემაა ქართველი ეთნიკური უნცირესობის ეროვნული იდენტობის შენარჩუნება.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, აზერბაიჯანის რესპუბლიკა, უსაფრთხოების კონცეფცია, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები, ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები, სამოქალაქო ჩართულობა.

ძირითადი ტექსტი

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, საზოგადოდ, წარმოადგენს იმ ფუნდამენტურ დოკუმენტს, რომელშიც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ეროვნული ღირებულებები და ინტერესები. იგი წარმოადგენს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების, საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების ხედვას და ადგენს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.[1]

საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოების კონცეფციაში დაფიქსირებული საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნება, - ქვეყანაში დემოკრატიია, ეკონომიკური თავისუფლების დამკვიდრება და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დაცვა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და საერთაშორისო აქტორებთან კეთილმეზობლური ურთირთობა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკისათვის, მისი ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, საზღვრების ხელშეუხებლობა, მდგრადი განვითარება, მოქალაქეების კეთილდღეობის უზრუნველყოფა, მათი კულტურული ღირებულებების დაცვა.

გლობალისტურმა პროცესებმა გლობალური და რეგიონული მასშტაბით შეცვალა როგორც ეროვნული უსაფრთხოების გარემო, ასევე მიდგომები მის მიმართ. რუსეთის აგრესიამ დიდი საფრთხის

[1] საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებს კონცეფცია
http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx

ქვეშ დააყენა რეგიონის სტაბილურობა. კავკასიის რეგიონში არსებული მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი უარყოფით გავლენას ახდენს რეგიონზე და საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზეც. რეგიონში სიმშვიდისა და სატბილურობის დამყარება საქართველოსათვის მრავალ პოზიტიურ შედეგს იწვევს. რუსეთის 2008 წლის ომმა გააუარესა საქართველოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტია და საფრთხე შეუქმნა ქვეყნის სწრაფვას ევროპულ კავშირებისაკენ.

საქართველო ღიად და მკაფიოდ აცხადებს საკუთარ საგარეო პოლიტიკურ კურსს - ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების მისწარფებას. საქართველო მჭიდრო კავშირშია დემოკრატიულ სახელმწიფოებთან და მაქსიმალურად ცდილობს ქვეყანაში მაღალი ხარისხის სტანდარტების დანერგვას, რომელიც შეეხება განათლებას, თავისუფალი სავაჭრო–ეკონომიკის განვითარებას, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას ქვეყნაში...

საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია რუსეთის ფედერაცი-ასთან ურთიერთობის მოწესრიგება და ოკუპირებული რეგიონების დეოკუპაციის. დეოკუპაციისათვის საჭიროა საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური ჩართულობა, მოლაპარაკებები რუსეთთან, რომელიც აიღებს ვალდებულებას ძალის გამოუყენებლობაზე და გაიყვანს ჯარებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან. ეს ფაქტი დადებით გავლენას იქონიებს როგორც საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოების განმტკიცებაზე, ასევე კავკასიის რეგიონში არსებული კონფლიქტების მშვიდობიან გადაჭრაზე. მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე საერთაშორისო საზოგადოებისგან მზარდი მხარდაჭერა, ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პროცესის გაგრძელება.

საქართველო პატივს სცემს როგორც მეზობელი, ასევე სხვა ქვეყნების სუვერენიტეტს, შესაბამისად იმავეს ელის მათგანაც. საქართველოს მკაცრად აქვს ჩამოყალიბებული საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსი. ამ პოლიტიკაში ყოველგვარი ჩარევა უხეშ დარღვევად განიხილება. საქართველოში ადამიანის უფლებები დაცულია კონსტიტუციით და საერთაშორისო აქტებით ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. საქართველო უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის თავისუფლებას, გამოხატვის თავისუფლებას და ყველა მოქალაქეს უქმნის ხელსაყრელ პირობებს განვითარებისათვის. საქართველო დემოკრატიული განვითარების პრინციპებზე დგას და დიდ ყურადღებას უთმობს უმცირესობათა უფლებების, მათ შორის ეთნიკური, რელიგიური უფლებების დაცვას და ხელს უწყობს ქვეყნის შიგნით დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას.

ქართული სახელმწიფოს პრიორიტეტად განსაზღვრულია მრავალეთნიკურ საზოგადოებად ჩამოყალიბება, რომელიც იზრუნებს ეროვნული უმცირესობების თანაბარ ჩართულობაზე ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში; პრიორიტეტია ასევე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებთან ურთიერთობის გაღრმავება და მათი ჩართვა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებში. კავკასია მრავალი ეთნიკური, რელიგიური ჯგუფების სახლია, მათი ტოლერანტულობა და ჰარმონიული ურთიერთობა კი პირდაპირკავშირშია მთლიანად რეგიონში სტაბილურობასთან, განვითარებასა და კეთილდღეობასთნ.

სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ საქართველო უზრუნველყოფს მოქალაქეების ინტეგრაციას, მრავალფეროვნების განვითარებასა და დაცვას. ასევე ეთნიკურ უმცირესობათა განვითარებასა და დაცვას, რაც გულისხმობს ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას და ჩართვას ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის ასევე დიდ გამოწვევას წარმოადგენს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული ეთნიკური კონფლიქტი. კონფლიქტის საფრთხეს შეიცავს რუსეთის გაძლიერება რეგიონში.

მეზობელი ქვეყნებიდან საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების ესკალაციის პროცესი ქვეყნისათვის სერიოზული საფრთხეა და მას, შესაძლოა, ქვეყანაში დესტაბილიზაცია მოჰყვეს. რეგიონის ქვეყნებში არსებულმა კონფლიქტებმა შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს ტერიტორიაზე ლტოლვილთა მასობრივი შემოდინება და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებისა და კონტრაბანდისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, რომელსაც აძლერებს აფხაზეთისა და ე. წ.

სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე კონტროლის არარსებობა.[1]

დღევანდელი გეოპოლიტიკური მდგომარეობა კავკასიის რეგიონში ცხადყოფს, რომ საქართველო უდიდესი საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე დგას. მან გეოპოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ვფიქრობთ ქვეყნის ეთნიკური მრავალფეროვნება თავის სასარგებლოდ უნდა შემოაბრუნოს. საქართველო უნდა გამოვიდეს გამაერთიანებელის როლში, რასაც ასევე დიდი როლი ენიჭება მეზობელი ქვეყნების კონფლიქტების დარეგულირებაში. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ქვეყნის სტაბილური განვითარება და მშვიდობის დამყარება, რაშიც დიდი როლის შესრულება შეუძლიათ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს.

ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის თვალსაზრისით საქართველოში პოზიტიური ცვლილებები მიმდინარეობს. სახალხო დამცველის აპარატი, რომელიც საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის ერთ–ერთ მთავარ გარანტად გვევლინება, მუდმივად ჩართულია ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხებში და ეხმარება მათ პრობ-ლემების გადაჭრაში. საქართველოში დაფუძნებულია მუდმივმოქმედი საკონსულტაციო ორგანო – ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, რომელიც აერთიანებს ქვეყანაში ეროვნული უმცირესობების დაცვის კუთხით მომუშავე ორგანიზაციებს. საბჭო შუამავლობს სახელმწიფოსა და უმცირესობებს შორის, ცდილობს იმ პრობლემების მოგვარებას, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან ჩარევას საჭიროებენ.

საზოგადოებაში ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაციის დონის განსაზღვრის ერთ–ერთი უმთავრესი კრიტერიუმია სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის მაჩვენებელი. საქართველოში მიღებულია დებულებები, რითაც შექმნილია ადეკვატური პირობები იმისა, რომ სამართლებრივ დონეზე იყოს დაცული პირობები უმცირესობებისათვის. საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა უფლებები, მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, არასაკმარისად არის დაცული. ხშირ შემთხვევაში სწორედ უმცირესობების ჩაურევლობა და ინტერესის არქონა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებისადმი ცხადყოფს ამ თვალსაზრისით არსებული მექანიზმების არამართე-ბულობას.[2]

აზერბაიჯანის რესპუბლიკას, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთით ესაზღვრება კასპიის ზღვა, ჩრდილოეთით რუსეთი, ჩრდილო-დასავლეთით საქართველო, დასავლეთით სომხეთი, ხოლო სამხრეთით ირანის ისლამური რესპუბლიკა.

აზერბაიჯანის ეროვნული უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, საზღვრების ხელშეუხებლობა, მდგრადი განითარება, ხალხის ღირებულებების დაცვა, მათი უზრუნველყოფა და კეთილდღეობა.

აზერბაიჯანის ეროვნულ ინტერესებში შედის აზერბაიჯანის პოლიტიკურ–სოციალური კეთილდღეობა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა, სახელმწიფო ინსტიტუ-ტებისა და უსაფრთხოების გაძლიერება, საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება, გლობალური და რეგიონული უსაფრთხოების უსაფრთხოება. მისთის პრიორიტეტულია ტერიტორიული მთლი-ანობის აღდგენა და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება, ასევე მნიშვნელოვანია პოლიტიკური და სოციალური განვითარება.

აზერბაიჯანი თავის რეგიონულ პოლიტიკაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან კავშირებს, რადგან კასპიის ენერგორესურსების საექსპორტო მაგისტრალური მილსადენების უმეტე-სობა საქართველოს ტერიტორიაზე გადის.[3]

აზერბაიჯანის საერთაშორისო უსაფრთხოების კონცეფცია ითვალისწინებს ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვას. მისი პოლიტიკა ემყარება დებულებას, რომელიც აღიარებს ყველა მოქალაქისათვის თანასწორობის, შემწყნარებლობისა და ტოლერანტული გარემოს შექმნას. ეთნიკურ

---

[1] მაისურაძე დ. სამხრეთ კავკასიის ეთნოკონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები;. თელავი 2014; გვ.24–38

[2] დემოკრატიზაციის პროცესი, რეგიონული კონტექსტი, ეროვნული უმცირესობები და კონფლიქტის ტრანსფორმაცია საქართველოში; 2012; გვ.54–60

[3] კვიციანი ჯ. ,,კავკასია და კავკასიელები“ თბილისი, გამომცემლობა ,,უნივერსალი“ 2012; გვ.132–133

და რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დაცვა პრიორიტეტს წარმოადგენს. აზერბაიჯანის ყველა მოქალაქეს აქვს მშობლიური ენის გამოყენების უფლება.

საქართველოში აზერბაიჯანელების ყველაზე დიდი რაოდენობა ქვემო ქართლის რეგიონშია (მარნეულსა და გარდაბანშია). ჩვენი ქვეყანა მაქსიმალურად ცდილობს ამ რეგიონებში ქართული ენის სწავლებასა და უმცირესობების სახელმწიფო მართვის პროცესში ჩართვას.

ქართველი ეთნიკური უმცირესობების ძირითადი პრობლემები აზერბაიჯანში, კერძოდ კი კახსა და ზაქალათაში არის ეროვნული იდენტობის შენარჩუნება.

პრობლემები რომელიც არსებობს კახის რაიონში, მოიცავს განათლების, ჯანდაცვის, კულტურისა და სხვა საკითხებს. ამ პრობლემების მოგვარებისათვის კი აუცილებელია ორივე ქვეყნის ნება, რათა აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების უფლებები ისევე იყოს დაცული, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელებისაა. ამ მხრივ კი ჯერჯერობით ბევრია გასაკეთებლ აზერბაიჯანის რესბულკისი მხრიდან.

დასკვნა

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ითვალისწინებს ქვეყანაში დემოკრატიის, ეკონომიკური თავისუფლების დამკვიდრებას, ადამიანის უფლებათა დაცვას, ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის და საერთაშორისო აქტორებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების უზრუნველყოფას; ასევე საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების მისწრაფებას. უსაფრთხოების პოლიიტიკის ძირითადი მიმართულებებია რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების დალაგება და ოკუპირებული რეგიონების დეოკუპაცია; მრავალეთნიკური საზოგადოების შექმნა, ეროვნული უმცირესობების ჩართულობის უზრუნველყოფა ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული კონფლიქტი.

საქართველოში ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისა და ინტეგრირების თვალსაზრისით პოზიტიური ცვლილებები მიმდინარეობს.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მდგრადი განვითარება, მოსახლეობის კულტურული ღირებულებებისა და სამოქალაქო უფლებების დაცვა, ასევე ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვა, თანასწორობის, შემწყნარებლობისა და ტოლერანტული გარემოს შექმნა.

აზერბაიჯანში ქართველი ეთნიკური უმცირესობები მოსახლეობენ ისტორიულ ქართულ - კახისა და ზაქათალას რეგიონებში, სადაც უმთავრესი პრობლემაა ეროვნული იდენტობის შენარჩუნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გახოკიძე ჯ., მიდელაშვილი ს., ბოსნია და ჰერცოგოვინა 1995, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2020
2. გვახარია გიორგი, არაღიარებული „რესპუბლიკის“ დამოუკიდებლობა და საქართველოს უახლესი ისტორია, რადიო თავისუფლება,. https://www.radiotavisupleba.ge/a/1543363.html
3. თურმანიძე თორნიკე, „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის დარეგულირების მექანიზმის მოკლე ისტორია: 1992-2008 წწ, ბთკკ – პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, 2009, გვ. 2-3.
4. იუნესკოს 2005 წლის კონვენცია კულტურული გამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და პოპულარიზაციის შესახებ: http://unesdoc.unesco.org/images/0014/001429/142919r.pdf (21.04.2017).

National security concepts of Georgia and Azerbaijan

Beka Kuchava
Doctoral student of Technical University of Georgia

Abstract

The concept of national security is the fundamental document that defines national values and interests, the content of the national mission. This document outlines the vision of state development, threats, risks and challenges, and establishes the main directions of the security policy.

The concept of national security of Georgia clearly states the unshakable will of the country's citizens - to strengthen democracy, economic freedom, to protect universally recognized human rights, state independence and peaceful, good-neighborly relations with international actors.

Georgia clearly states its foreign political course - the aspiration to join the European Union and NATO. The main directions of the security policy are the settlement of relations with the Russian Federation and the de-occupation of the occupied regions.

Establishing a multi-ethnic society, ensuring the involvement of national minorities in the public and political life of the country is defined as a priority. as well as the inclusion of the citizens of the occupied territories in the economic and cultural processes of the country.

A lot is being done in Georgia in terms of protection and integration of national minorities.

The national security priority of the Republic of Azerbaijan is restoration of territorial integrity, sustainable development, protection of ethno-cultural values of the people, ensuring their well-being, protection of the rights of ethnic minorities.

The main problem in the historically Georgian regions of Kakhi and Zakatali in the Republic of Azerbaijan is the preservation of the national identity of the Georgian ethnic minority.

Key words: Georgia, Republic of Azerbaijan, concept of security, foreign policy priorities, rights of ethnic minorities, civic engagement.

დემოკრატიული სახელმწიფო მმართველობის საბაზისო პრინციპები

კუჭავა მარიამ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია დემოკრატიული სახელმწიფო მმართველობის საბაზისო პრინციპები, ადამიანის უფლებათა სტანდარტები და პრინციპები დემოკრატიული სახლემწიფოს მმართველობაში. განხილულია, რამდენად შეესაბამება მმართველობის კონკრეტული სტილი პრინციპებს, რომლებიც დადგენილია ღირებულებათა სისტემის საფუძველზე და მოქმედებენ კონკრეტულ დროსა და სივრცეში. განხილულია თანამედროვე სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ასპექტები, თუ როგორ და რა პრინციპებზე დაყრდნობით იმართება იგი. წარმოდგენილია მართვის პრობლემები ადამიანთა საზოგადოების განვითარების ყოველ ეტაპზე. მიმოხილულია სახელმწიფო მართვის ზნეობრივი პრინციპები, მმართველობის დემოკრატიული სისტემა ანტიკური საბერძნეთიდან. წარმოდგენილია სახელმწიფოს დამოუკიდებლობის განსაზღვრაში მნიშვნელოვანი ცნებები. სარგებლიანობის პრინციპი სახელმწიფოს მართვის დემოკრატიული ფორმების განხილვისას დასაბუთებულია, რომ მართვა უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი სარგებლიანობის პრინციპის შესაბამისად. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე სახელმწიფოს მართვის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტის შესახებ. ნაჩვენებია, რომ მართალია სახელმწიფოს სუვერენიტეტს გარკვეულწილად განსაზღვრავს მისი დამოუკიდებლობა. თუმცა დამოუკიდებლობა არ არის აბსოლუტური ცნება და არ არსებობს სახელმწიფო, რომელსაც ჰქონდეს მოქმედების მთლიანი და განუსაზღვრელი უფლება. საბოლოოდ გამოტანილია დასკვნა, არა აქვს მნიშვნელობა, დემოკრატიის რამდენწლიანი ტრადიცია აქვს ქვეყანას, ან როგორ ჩამოყალიბდა. ყველა ქვეყანაში დემოკრატია და ადამიანის უფლებების ძირითადი გაგება მუდმივად განვითარების სტადიაში უნდა იყოს, რათა მისი საშუალებით შესაძლებელი გახდეს იმ სირთულეების დაძლევა და იმ გამოწვევებთან გამკლავება, რომლის წინაშეც დგება ყოველი მომდევნო მმართველობა.

საკვანძო სიტყვები: დემოკრატიული სახელმწიფო მმართველობის საბაზისო პრინციპები, სოციალური და ისტორიული განვითარება, სახელმწიფო მართვის ზნეობრივი პრინციპები, სარგებლიანობის პრინციპი.

შესავალი

სახელმწიფო მართვა არის სახელმწიფოს მიზანმიმართული ქმედება გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და ეფექტიანი სახელმწიფო მართვის სისტემის ჩამოყალიბების, ქვეყნის წარმატებული განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევის მიზნით. მსოფლიოს განვითარებული ქვეყანათა დიდი ნაწილი დემოკრატიული მოწყობისაა. დემოკრატიული სახელმწიფო მმართველობის წარმატებით განხორციელება ფუნდამენტურ როლს თამაშობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე, რასაც ასევე ითვალისწინებს „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“.

ნაშრომის მიზანია დემოკრატიული სახელმწიფო მმართველობის საბაზისო პრინციპების განხილვა. დემოკრატიული სახელმწიფო მმართველობა ეფუძნება ადამიანის უფლებათა სტანდარტებსა და პრინციპებს. არსებობს შემთხვევები, როდესაც ადამიანის უფლებების შესახებ თავს იჩენს ცრუ წარმოდგენები და როდესაც იგი აღიქმება სისტემად, სადაც პიროვნება სრული თავისუფლებით სარგებლობს. რა თქმა უნდა, ეს მცდარი ინტერპრეტაციაა. ადამიანის უფლებები ცნობს ინდივიდუალურად უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც მათ თანდაყოლილ და დამახასიათებელ უფლებებსა და თავისუფლებებს წარმოადგენს. თუმცა ეს უფლებები არ არის აბსოლუტური. ასევე, საჭიროა სხვათა უფლებების დაცვა. გარკვეულ შემთხვევებში, თავს იჩენს უფლებათა შორის კონფლიქტიც. დემოკრატიული პროცესები ხელს უწყობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ხალხი სარგებლობს მათთვის მინიჭებული თავისუფლებებით და ამავდროულად, გარკვეული

აუცილებელი შეზღუდვებით. დემოკრატია, მმართველობის სხვა სისტემებთან შედარებით, ყველაზე მეტ თავისუფლებას აძლევს როგორც ხალხს, ასევე, ინდივიდუალურ პირებს, იმ პირობით, რომ ეს თავისუფლებები სისტემაში იქნება მოქცეული, კერძოდ, ინსტიტუციურ ჩარჩოებში და მათი განხორციელებაც იმავე ჩარჩოებში იწარმოებს. სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის დემოკრატიას სჭირდება მყარი სახელმწიფო, რომელშიც დაცულია კანონის უზენაესობა და კეთილდღეობის თანაბარი გადანაწილების მისაღები დონე.

აღსანიშნავია, რომ საჯარო მმართველობის უნიფიცირებულ რომელიმე კონკრეტულ მოდელზე არ შეგვიძლია ვისაუბროთ. არამედ შეგვიძლია მხოლოდ განსაზღვრა, თუ რამდენად შეესაბამება მმართველობის კონკრეტული სტილი პრინციპებს, რომლებიც დადგენილია ღირებულებათა სისტემის საფუძველზე და მოქმედებენ კონკრეტულ დროსა და სივრცეში. იგულისხმება ღირებულებათა სისტემის არსებობა, რაც განაპირობებს ცალკეული ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ კულტურას. დემოკრატიული ქვეყნებისთვის აუცილებელი ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა: თავისუფლება, კანონის უზენაესობა, ადამიანის ღირსებისა და უფლებების პატივისცემა, თანასწორობა და სხვ. ამავე დროს ქვეყანამ უნდა დააკმაყოფილოს სამი კრიტერიუმი - პოლიტიკური, ეკონომიკური და ადმინისტრაციული ანუ მოითხოვება სტაბილური ინსტიტუტების არსებობა, საბაზრო ეკონომიკასა და კონკურენციის გამკლავების უნარი. მეორე მხრივ, დემოკრატიული სახელმწიფო წარმოუდგენლია ეფექტიანი და ძლიერი სახელმწიფო მართველობის გარეშე. ამრიგად, აუცილებელია იმ ოქროს შუალედის მოძებნა, რომელიც განაპირობებს დემოკრატიულ და ძლიერ სახელმწიფო მმართველობას.

სახელმწიფო მართვის ზნეობრივი პრინციპები

მმართველობის დემოკრატიული სისტემა ანტიკური საბერძნეთიდან იღებს სათავეს. არისტოტელე საკუთარ ნაწარმოებში „პოლიტიკა“ საუბრობს დემოკრატიის არსზე და განიხილავს მის ფორმებს. მისი თქმით, მიზეზი იმისა, რომ დემოკრატიული მართველობები ერთმანეთისგან განსხვავდება, არის თავად ხალხების განსხვავებულობა. თანამედროვე სახელმწიფო მმართველობის პრინციპებისა და ღირებულებების სწორად ფორმირება დამოკიდებულია მმართველთა პროფესიონალიზმზე, როგორც საჯარო სამსახურის არსებითი ღირებულება. მაგრამ გარდა პროფესიონალიზმისა, საჯარო მმართველობის მნიშვნელოვან პრინციპებსა და ღირებულებებს შორის მნიშვენლოვანი ფაქტორი საჯარო ინტერესია.

აღსანიშნავია, რომ მართვის პრობლემები ყურადღებას იპყრობს ადამიანთა საზოგადოების განვითარების ყოველ ეტაპზე. პლატონმა თავის წიგნში „სახელმწიფო“ დაასაბუთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამართლებრივი სახელმწიფო უნდა აშენდეს მეცნიერების დახმარებით, რომელიც იწყება სოციალური პრობლემების კრიტიკული ანალიზით და მთავრდება საზოგადოების სრულყოფის რეკომენდაციებით. პლატონი ელიტისგან მოითხოვდა ზნეობრივ სიწმინდეს. საზოგადოების მართვის ძირითადი იარაღია არა ხელისუფლება, არამედ ავტორიტეტი. ქვეშევრდომები მაგალითს იღებენ მმართველებისგან და იქცევიან მათ მსგავსად.

თანამედროვე სახელმწიფოზე საუბრისას მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ როგორ და რა პრინციპებზე დაყრდნობით იმართება იგი. პირველ რიგში აუცილებელია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ „სახელმწიფოსა“ და „ხელისუფლების“ ცნებები. პირველი მათგანი წარმოადგენს პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს სუვერენიტეტი კონკრეტულ ტერიტორიასა და მასში მცხოვრებ ხალხზე, მაშინ, როდესაც ხელისუფლება არის ინსტიტუცია, რომელიც ქმნის და აღასრულებს კანონებს

სახელმწიფოს შიგნით, ახორციელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკას და აკონტროლებს სახელმწიფოში კანონებისა და ადამიანის უფლებების განუხრელ დაცვას. დემოკრატიული, გონივრული და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველსაყოფად თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში პოლიტიკური ძალაუფლება გადანაწილებულია 3 შტოს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის, რაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გამოვლინებას წარმოადგენს (თანამედროვე დემოკრატია ღიარებს აგრთვე ე.წ „მეოთხე ხელიუფლებას“ - მედიას).

ამგვარი დაყოფა და ხელისუფლების შტოების ურთიერთკონტროლი მიზნად ისახავს

სახელმწიფო ძალაუფლების ბალანსის მიღწევას, ამასთან, უზრუნველყოფს კონტროლის ადეკვატურ მექანიზმებს და აღკვეთს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში ხელისუფლების ფორმირება არჩევნების გზით ხდება, რაც სახალხო სუვერენიტეტისა და ძალაუფლების ერთგვარი ტრანსფორმაცია და გადაცემაა სასურველი პოლიტიკური ძალისათვის.

სახელმწიფოს მართვა არის სახელმწიფოს მიზანმიმართული ქმედება საზოგადოებრივ მოვლენებსა და პროცესებზე, ადამიანთა საქმიანობასა და ურთიერთობებზე. ის წარმოადგენს სოციალური მართვის სახესხვაობას, განსაკუთრებულ სოციალურ საქმიანობას, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ.

იმისდა მიხედვით თუ რამდენად სწორი მმართველობის სისტემა არის სახელმწიფოში, იმდენად ძლიერია სახელმწიფო ხელისუფლება. სწორად შერჩეული სახელმწიფო მართვის სტილი, რომელიც მიესადაგება ქვეყნისა და საზოგადოების ეროვნულ ინტერესებს, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ განვითარებას, ყოველთვის დადებით შედეგს იძლევა. თუ სახელმწიფო აირჩევს მართვის იმ მეთოდს, რომელიც მისთვის მისაღებია, მაშინ სახელმწიფო, რა თქმა უნდა, საბოლოოდ საუკეთესო შედეგს მიიღებს.

სახელმწიფოს დამოუკიდებლობის განსაზღვრაში დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ ცნებას, როგორიცაა სუვერენიტეტი. ჟან ბოდინის თანახმად სუვერენიტეტი დამოკიდებულია სახელმწიფოს მმართველობის უმაღლეს ძალაზე, ობიექტზე და მოქალაქეებზე, რომლებიც არ არიან შეზღუდულნი რაიმე კანონით. აქ ბოდინი გულისხმობს კანონიერ მოქმედებას, რომელიც აძლიერებს ცენტრალური ხელისუფლების ავტორიტეტს სახელმწიფოში. სახელმწიფოს სუვერენიტეტს გარკვეულწილად განსაზღვრავს მისი დამოუკიდებლობა. თუმცა დამოუკიდებლობა არის იმის მაჩვენებელი, თუ რამდენად თავისუფალია კონკრეტული სახელმწიფო სხვა სახელმწიფოსაგან და მისი ზემოქმედებისგან. ,,დამოუკიდებლობა“ არ არის აბსოლუტური ცნება და არც არსებობს სახელმწიფო, რომელსაც ჰქონდეს მოქმედების მთლიანი და განუსაზღვრელი უფლება. თუნდაც ის ფაქტი, რომ სახელმწიფო არის ინტერნაციონალური გაერთიანების წევრი, ნიშნავს, რომ ის უნდა ემორჩილებოდეს საერთაშორისო კანონებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, ზღუდავენ ამ სახელმწიფოს მოქმედებას და თავისუფლებას. თუმცა მთავრობა არ უნდა იყოს სხვა სახელმწიფოს გავლენის ქვეშ. მოსახლეობის არაერთგვაროვნება ტერიტორიაზე, რომელზედაც ვრცელდება მთავრობის იურისდიქცია, აძნელებს მუდმივი და ეფექტიანი კონტროლის შესაძლებლობას მთავრობის მხრიდან.

სარგებლიანობის პრინციპი

სახელმწიფოს მართვის დემოკრატიული ფორმების განხილვისას ძირითადი მამოძრავებელი საკვლევი მიმართულება სამართლიან სახელმწიფოზე გადის. პლატონი საუკეთესოდ და სამართლიანად მიიჩნევდა მხოლოდ იდეალურ სახელმწიფოს. მაგრამ არისტოტელე სრულიად სხვაგვარად მიიჩნევს : როდესაც ერთი ადამიანი ან რამდენიმე, ან უმრავლესობა მართავს საზოგადოებრივი სარგებლიანობის პრინციპის შესაბამისად, ბუნებრივია სახელმწიფო მოწყობის ასეთი ფორმები სწორი ფორმებია, ხოლო ისინი, რომლებიც ერთი ადამიანის, რამდენიმეს ან თუნდაც, უმრავლესობის გამორჩენაზე არიან ორიენტირებულნი, ასეთი სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმები სწორიდან გადახრებს წარმოადგენს.

სარგებლიანობის კრიტერიუმის მიხედვით საინტერესო ხდება არისტოტელეს მიერ დემოკრატიის, როგორც არასწორი ფორმის შეფასება.

მიუხედავად იმისა, რომ მას მიზნად აქვს სარგებლიანობა მოუტანოს უქონლებს, მაგრამ რეალური სარგებელი არც საკუთარი თავისთვის მოაქვს და არც სხვისთვის. არისტოტელეს ეს სიტყვები არ უნდა გავიგოთ დემოკრატიის მიმართ მის მიერ საბოლოოდ გამოტანილ ვერდიქტად. არისტოტელე დემოკრატიის მიმართ გაცილებით უფრო ტოლერანტული იყო, ვიდრე პლატონი. როდესაც კითხვა დგება იმის შესახებ თუ აღწერილთაგან მმართველობის რომელ ფორმას უნდა მივანიჭოთ უპირატესობა, წარმატებულად მიჩნეული ფორმებიდან, არისტოტელე ფორმას და მოწყობის წესის საფუძველზე კი არ პასუხობს, არამედ სათნოების ფენომენზე მითითებით:

„სახელმწიფო მოწყობის სამი ფორმიდან, რომელთაც ჩვენ სწორ ფორმებად მივიჩნევთ, რა თქმა უნდა, საუკეთესო ის არის, რომელშიც მართვის ბერკეტები საუკეთესოთა ხელშია“. ანტიკურ ფილოსოფოსთა გაგებით, დემოკრატიულ

ახელწიფოში მის ძლიერებას განაპირობებს ხალხის უმრავლესობაა და არა კონკრეტული ინდივიდები. არისტოტელეს აზრით ყოველი ადამიანი დემოკრატიისას არის ხელმძღვანელიც და ქვეშევრდომიც. ჩვენი აზრით ეს დებულებაა შემდეგნაირად აიხსნება: დემოკრატიული მართველობისას ხელმძღვანელ პირებს ირჩევს ხალხი, შესაბამისად ყველა ხელმძღვანელობს თითოეულს, ხოლო შემდგომ ეს თითოეული ხელმძღვანელობს ყველას. ანუ ასეთ წყობაში, ნებისმიერი ადამიანი დაქვემდებარებულიცაა და იმავდროულად ზემდგომიც. საბოლოოოდ შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობის შექმნიდან მოყოლებული მისი უამრავი სახესხვაობა და ვარიაცა შეიქმნა მსოფლიო მასშტაბით, თუმცა მიუხედავად დემოკრატიის კონკრეტული სახელმწიფოებრივი ფორმების ცვლილებებისა, ყოველი დემოკრატიული რეჟიმის სამართლიანად შერაცხვა შესაძლებელია თუ გრძელვადიან პერიოდში გადაწყვეტილების მიმღები არა ცალკეული ადამიანები, არამედ მთელი საზოგადოების ერთიანი ძალაა სარგებლიანობის პრინციპიდან გამომდინარე.

დასკვნა

ამრიგად, არა აქვს მნიშვნელობა, დემოკრატიის რამდენწლიანი ტრადიცია აქვს ქვეყანას, ან როგორ ჩამოყალიბდა. ყველა ქვეყანაში დემოკრატია და ადამიანის უფლებების ძირითადი გაგება მუდმივად განვითარების სტადიაში უნდა იმყოფებოდეს, რათა მისი საშუალებით შესაძლებელი იყოს იმ სირთულეების დაძლევა და იმ გამოწვევებთან გამკლავება, რომლის წინაშეც დგება ყოველი მომდევნო მმართველობა. ისეთი სახელმწიფო მმართველობა, რომლიც ერთი მხრივ დაეფუძნება თანამედროვე დემოკრატიულ ღირებულებებს, ხოლო მეორე მხრივ უზრუნველყოფს ეფექტიან და ქვეყნის საკეთილდღეოდ მიმართული გადაწყვეტილებების მიღებას და მათ შემდგომ იმპლემენტაციას. ყოველ მომდევნო მმართველობას სჭირდება განათლება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა სფეროში. დემოკრატიული მმართველობა არის ფორმა, რომელიც მოქალაქეებს უყენებს მოთხოვნებს და განისაზღვრება პროცესებში მოქალაქეების აქტიური ჩართულობითა და მხარდაჭერით ინფორმირებული და კრიტიკული, ლოიალური დამოკიდებულება: როგორც დიდი ბრიტანეთისა და გაერთიანებული სამეფოს პრემიერ მინისტრმა 1947 წელს უინსტონ ჩერჩილმა წარმოთქვა პარლამენტის სხდომაზე1947 წლის 11 ნოემბერს, სრულად ეს ფრაზა ასე ჟღერს:,,არავინ ამტკიცებს, რომ დემოკრატია არის სრულყოფილი ან ყოვლისმომცველი. მართლაც, ითქვა, რომ დემოკრატია არის მმართველობის ყველაზე ცუდი ფორმა, გარდა ყველა სხვა ფორმისა, რომელიც დროდადრო გამოიცადა''. (ჰარსარდი, 1947 წლის 11 ნოემბერი).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Franklin J. H. Jean Bodin and the Sixteenth-century Revolution in the Methodology of Law and History. Columbia University Press. 1963.
2. Gilbert M. Winston Churchill: The Power Of Words – His Remarkable Life Recounted – Through His Writings and Speeches. 2012
3. Jean Bodin and the Sixteenth-century Revolution in the Methodology of Law and History. Columbia University Press. 1963.
4. არისტოტეტელე. ,,პოლიტიკა''
5. ბაღათურია გ., ბაღათურია ო. სტრატეგიული დაგეგმვა სახელმწიფო მართვისა და ბიზნესის ამოცანებში. 2015
6. პლატონი. ,,სახელმწიფო''
7. წერეთელი ს. ანტიკური ფილოსოფია. : თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1968.

State management principles and democratic values

Mariam Kuchava,
PhD student of GTU

Abstract

The thesis refers to the important factors and basic principles of democratic state governance and human rights standards and principles in the governance of a democratic state. It is discussed to what extent a particular style of governance corresponds to the principles established on the basis of the value system and operates in a particular time and space. The important aspects of the modern state, including how and based on what principles it is governed, are discussed. Management problems are presented at every stage of the development of human society. The moral principles of state management and the democratic system of governance from ancient Greece are reviewed. Important concepts for determining the independence of the state are presented. The principle of usefulness is the main driving force behind research when discussing democratic forms of state management. The principles of democratic values as defined by Aristotle and Plato are compared. It is justified that management should be carried out in accordance with the principle of public utility. The work also focuses on the independence and sovereignty of state management. It is shown that although the sovereignty of the state is determined to some extent by its independence, independence is not an absolute concept, and no state has a total and indefinite right to act. The conclusion is finally drawn: it doesn't matter how many years of democratic tradition the country has or how it was formed. In all countries, democracy and the basic understanding of human rights must be constantly evolved so that they can overcome the difficulties and cope with the challenges that each successive administration faces.

Keywords: Basic Principles of Democratic State Governance; Social and Historical Development; The Principle of Utility.

ინოვაციური განვითარება, როგორც ქვეყნის ეკონომიკური წარმატების საფუძველი

ლაზვიაშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

გეგენავა ზურაბ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიო ახალი ცოდნის შექმნისა და ინტენსიური გამოყენების ერაშია. XXI საუკუნის მეორე ათწლეულის არსებითი თავისებურებაა არა მარტო ცოდნის დომინირება, არამედ, ინფორმაციისა და ცოდნის დამუშავების ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლა. ეკონომიკის სფეროში ამ ტექნოლოგიების გამოყენება წარმოების პროცესის არსს ცვლის და ეფექტიანობას ამაღლებს.

ცოდნა ხდება წარმოების ძირითადი პირობა და მაღალი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მიღწევის უმთავრესი საშუალება. ტრადიციული ფაქტორები (მიწა, შრომა და კაპიტალი) თანამედროვე ეკონომიკაში მეორეხარისხოვან მნიშვნელობას იძენს. წარმოების მაკროეკონომიკური სტრუქტურა იცვლება. ეკონომიკის მრავალ დარგში წარმოების პროცესი სულ უფრო მეტად ცოდნას ეფუძნება.

XXI საუკუნემ „ცოდნის საუკუნის“ სახელწოდება მიიღო, რაც გამომდინარეობს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მისი როლის ამაღლებიდან. კვლევები ადასტურებს ცოდნის ეკონომიკის განსხვავებას ტრადიციული ეკონომიკისაგან. ეს განსხვავება უპირველესად მდგომარეობს იმაში, რომ ცოდნა და ინფორმაცია, სხვა რესურსებისაგან განსხვავებით, გამოყენებისას არ მცირდება და არ იცვლის ფორმას. ამასთან, ცოდნის (ინფორმაციის სახით) გავრცელება შეუზღუდავია. იგი თავისუფლად კვეთს სახელმწიფოთა საზღვრებს და სხვა სივრცეში გამოიყენება. მაგალითად, რომელიმე რეგიონში შექმნილი ახალი ცოდნა მთელ მსოფლიოში უმოკლეს დროში ვრელდება და ერთდროულად გამოიყენება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი ქვეყნის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვი-თარება უფრო მიზანშეწონილი და ეფექტური მოდელია მხოლოდ მაშინ, როცა ცოდნაზეა დაფუძნებული.

დღეს მსოფლიო ეკონომიკა და მთლიანად კაცობრიობა მეტადაა დამოკიდებული ცოდნის წარმოებაზე, გავრცელებასა და გამოყენებაზე. თანამედროვე პროდუქტი მაღალი ტექნოლოგიებითა და ინტელექტუალური შრომით იწარმოება. თუ XXI საუკუნემდე საზოგადოების განვითარება ფიზიკურ შრომას ემყარებოდა (განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობაში), შუა საუკუნეებში - მანქანებსა და ტექნოლოგიებს, XXI საუკუნის დასაწყისიდან, როცა დაიწყო საზოგადოების განვითარების პოსტინდუსტრიული პერიოდი, წამყვანი ადგილი სისტემურმა ცოდნამ დაიკავა.

თუ შევეცდებით კაცობრიობის მიერ დროის, ცოცხალი ბუნების, ნივთიერებისა და ენერგიის გამოყენებაში მიღწეულ დონეებში გარკვევას, დავინახავთ, რომ ცოდნის ყველა ზემოაღნიშნულ ცვლილებას, შედეგად ტექნოლოგიური ინოვაციები მოჰყვა. ინოვაციების წყაროდ ადამიანთა შემოქმედებითობა და ცოდნა არის აღიარებული.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, განვითარება, კრეატულობა, სისტემური ცოდნა, შემოქმე-დებითობა, ტექნოლოგიური ინოვაციები.

ძირითადი ტექსტი

კაცობრიობის განვითარებას მრავალი ათასი წლის ისტორია აქვს, რომელიც ქვის, ბრინჯაოს და რკინის ეპოქებად იყოფა. ეს უკანასკნელი ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულიდან დაიწყო და დღესაც გრძელდება. ეს ეპოქები ადამიანებმა შექმნეს. ისინი ადამიანთა აზროვნების, ინტელექტის და შემოქმედებითობის (კრეატულობის) ნაყოფია. აზროვნების საწყისი ნიშნები ადამიანს პირველყოფილი წყობის პირობებშივე ჩამოუყალიბდა. თუმცა, მათი ინტენსიური განვითარება უფრო შემდგომ მოხდა, როდესაც მის წინაშე ცხოვრების უკეთ მოწყობა გახდა საჭირო. ამ კონტექსტში, ნიმუშად საომარი ბრძოლა გამოგვადგება. გამარჯვებისთვის ადამიანებმა რამდენი საბრძოლო იარაღი შექმნეს და

მშვილდისრიდან ატომურ ბომბამდე მივიდნენ.

ასე, რომ სამყარო თავისი არსებობის მანძილზე მრავალჯერ შეიცვალა და ეს ყოველთვის ადამიანთა, კერძოდ, მათი აზროვნების, კრეატულობის, სამყაროსა და საკუთარი თავის შეცნობა-სრულყოფისკენ დაუოკებელი სწრაფვის დამსახურება იყო. ადამიანი აზროვნების გარეშე ვერ იქნება. გავიხსენოთ საქვეყნოდ ცნობილი ადამიანების გამონათქვამები: დეკარტი: "ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ"; არისტოტელე: "გონების აქტივობა არის სიცოცხლე". ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

შემოქმედებითობა (კრეატულობა) ადამიანის თანდაყოლილი უნარია, თუმცა, იგი მრავალ მათგანს ეკარგება არასწორი აღზრდის ან არასაკმარისი განათლების, ხშირად კი, ცხოვრების მძიმე პირობების გამო.

კრეატულობას "დიდ" და "მცირე" კრეატულობად ყოფენ. "დიდი" კრეატულობა საზოგადოებაში ფუნდამენტალურ ცვლილებებს იწვევს. ესაა მნიშვნელოვანი გამოგონება, ახალი კონცეფცია, განვითარების ახალი სტრატეგია, ახალი პარადიგმა და სხვა. "მცირე" კრეატულობა არსებით ცვლილებებს არ იწვევს". [1, გვ. 23] ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს სიახლესთან, ინოვაციასთან. უბრალოდ პირველი "დიდი" ინოვაციაა, მეორე, მასთან შედარებით პატარა.

ადამიანთა შემოქმედებითობა კავშირშია ქვეყნის კრეატულ განვითარებასთან. ამ უკანასკნელს სწორედ ადამიანთა გონებრივი პოტენციალი აყალიბებს. კრეატული განვითარების მთავარი ინსტრუმენტი არის ცოდნა, რესურსი - ინფორმაცია, ხოლო შედეგი - ინოვაცია.

ცოდნის ეკონომიკის განვითარების მსოფლიო ტენდენციებია: [2]

- ❖ ნანოელექტრონიკისა და ბიოინფორმატიკის დაახლოებით (კონვერგენციით) მაღალი ტექნოლოგიების ინტენსიური ფორმირება;
- ❖ ციფრული ტექნოლოგიების არეალის გაფართოება და ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს მომცველობა. ციფრული მოდელის სამყაროს ფორმირება.

ცოდნის ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტებია: [1. გვ.169]

1. ინოვაციური განათლების სფეროს გაფართოება და საგანმანათლებლო მომსახურების ექსპორტი:

- ❖ უმაღლესი სასწავლებლების იმ პროგრამების მხარდაჭერა, რომლებიც კადრებს ამზადებენ პრიორიტეტულ სფეროებში;
- ❖ სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო მომსახურების ექსპორტის გადიდება.

2. მოსახლეობის კრეატული აზროვნების განვითარება:

- ❖ საწარმოებში რაციონალიზატორობისა და ხარისხის ამაღლების წრეების ფორმირება;
- ❖ კონკურსებისა და ოლიმპიადების ჩატარება.

3. მომსახურების სფეროს ინოვაციურობის გაძლიერება:

- ❖ განათლებასა და კულტურაში;
- ❖ საწარმოო მომსახურებაში (სერვისცენტრები);
- ❖ ფინანსურ მომსახურებასა და კონსალტინგში;
- ❖ კავშირგაბმულობასა და ტელეკომუნიკაციაში;
- ❖ სატრანსპორტო და სასაწყობო ლოგისტიკაში.

4. მაღალტექნოლოგიური ინოვაციური კლასტერების შექმნა, განვითარება და წამყვან სეგმენტად გადაქცევა და სხვ.

ცოდნის ეკონომიკის განვითარების მექანიზმებია: [გვ.169-170]

- ❖ ინოვაციური და სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის, მათ შორის ცოდნაზე საკუთრების უფლების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ფორმირება;
- ❖ ცოდნის ეკონომიკის ფუნქციონირების პრობლემებზე ხელმისაწვდომი ინფორმაციული ბაზის შექმნა (მონიტორინგის სააგენტოები, ცოდნის შენახვის ინსტიტუტები);
- ❖ ცოდნის ბირჟის ფორმირება და მაღალტექნოლოგიური ფირმების აქციებით ვაჭრობა;
- ❖ ინკუბატორებისა და ინოვაციური პარკების შექმნა;

- ❖ პროფესიული ასოციაციების (გამომგონებელთა, მეცნიერთა, ადვოკატთა და სხვათა) ჩამოყალიბება;
- ❖ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების რეალიზაციისა და დაპატენტების პირობების ფორმირება;
- ❖ ინოვაციური ინფრასტრუქტურის ელემენტების საგამოფენო და მარკეტინგული საქმიანობის განვითარება.

ცოდნის ეკონომიკის პირობებში საზოგადოებრივი წარმოება თვისებრივად ახლებურად ორგანიზდება, დასაქმებულთა სტრუქტურა იცვლება და დასაქმების ხარისხიც მატულობს. ადამიანისეული კაპიტალის უმეტესობა ინფორმაციისა და ცოდნის ათვისება-გადამუშავების პროცესში ერთვება. მუშაკთა შემოქმედებითი პოტენციალი ეკონომიკური ეფექტიანობის მთავარი ფაქტორი ხდება.

ცოდნის დამოუკიდებელ ფენომენად გადაქცევა ადამიანის შემეცნებითი საქმიანობის გააქტიურებამ და ინფორმატიკის სფეროში მიმდინარე პროცესებმა გამოიწვია.

ცოდნის ეკონომიკა ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ინოვაციის ფორმით ვლინდება, რის გამოც, იგი გრძელვადიან ბაზისად და საზოგადოებაში სიახლისმცოდნეობის წყაროდ ითვლება.

ადამიანებში განივთებული ცოდნა, იმავდროულად, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნის საფუძველია. სხვა სიტყვებით, ცოდნა, როგორც გონებრივი შრომის შედეგი, საზოგადოებას გადასცემს ახალ ტექნიკას და ტექნოლოგიას, ეს კი, თავის მხრივ, ყოველი ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის საჭიროა.

ცოდნის ეკონომიკა და მასზე დაფუძნებული ინოვაციები ერთნაირად მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ქვეყნებისთვის, რადგან იგი:

- ❖ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ქმნის კონკურენტულ უპირატესობას;
- ❖ რესურსული ეკონომიკის ქვეყნებში ხელს უწყობს მდგრად განვითარებას და ზედმეტი ღირებულების ზრდის კვალობაზე წარმოების ტექნოლოგიისა და პროდუქციის ხარისხის სრულყოფას;
- ❖ განვითარებად ქვეყნებში საშუალებას იძლევა დაჩქარდეს ეკონომიკური განვითარების ტემპები, მოხდეს „ტექნოლოგიური ნახტომი“ და ქვეყანა ჩაერთოს მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში.

ამრიგად, დღეს, ჩვენ ვცხოვრობთ იმ საუკუნეში, როცა ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალი და მასზე დაფუძნებული ქვეყნის ინოვაციური დონე მისი განვითარების მამოძრავებელი ძალა და კონკურენტული უპირატესობის ძირითადი წყარო ხდება.

ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი ეკონომიკის განვითარების საფუძველია. იგი გადამწყვეტ როლს ასრულებდა და დღესაც ასრულებს კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე.

დასკვნა

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მიღწევა შეუძლებელია ეკონომიკის ინოვაციური გზით განვითარების გარეშე (ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ნამატის 75-100% მოდის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წილად). [3, გვ.31] აღნიშნული ეხება, როგორც ქვეყანას, ისე ცალკეულ კომპანიას.

ინოვაციის ეფექტური შემუშავება და დანერგვა ბიზნეს-სუბიექტებს წარმატებით ფუნქციონირების საშუალებას აძლევს და აგრეთვე გზას უხსნის ახალ-ახალი სფეროების ასათვისებლად. საბაზრო მექანიზმი, საქართველოში და სხვა ქვეყნებში, აიძულებს მეწარმეებს ჩაებნენ კონკურენციაში, საიდანაც გამარჯვებული ის მეწარმე გამოდის, რომელმაც სწორედ ტექნოლოგიური სიახლის დანერგვით შეძლო კონკურენტუნარიანი პროდუქციის მიწოდება მომხმარებლისთვის.

დღეს, როგორც ქვეყნის, ისე ცალკეული ბიზნეს-სუბიექტის მდგომარეობასა და განვითარების პერსპექტივებს მისი კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი განსაზღვრავს. დასაბუთებულია, რომ კონკურენტუნარიანობის ინდექსში ინოვაციების წილი 50%-ის ფარგლებში მერყეობს.

ინოვაცია, როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელი ფაქტორი, პირველად მეცნიერმა შუმპეტერმა წარმოაჩინა. გამოყო ეკონომიკის განვითარების გამომწვევი სამი ინოვაციური „პაკეტი“ და მათ მიერ გამოწვეული ასევე სამი ტალღა: პირველი მან დაუკავშირა ორთქლის მანქანის გამოგონებას და გავრცელებას (1790-1840 წ.წ.), მეორე - რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებასა და წარმოების მექანიზაციას (1840-1890 წ.წ.), ხოლო მესამე - ელექტროენერგეტიკისა და ქიმიური მრეწველობის განვითარებას (1890-1940 წ.წ.). შემდგომ ამას მოჰყვა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება (1980-1990 წ.წ.), ხოლო უფრო გვიან ბიოტექნოლოგიისა და მოლეკულური ინჟინერიის განვითარება.

დღეს XXI საუკუნის პირველ ოცწლეულში საბოლოოდ დასაბუთებულია, რომ ქვეყნის წარმატების საწინდარი არის ბიზნესში ინოვაციების დანერგვა. თუმცა, ასე არ იყო ყოველთვის. XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლომდე, ეკონომისტთა უმრავლესობა ინოვაციებს ეგზოგენურ მოვლენად თვლიდა და ეკონომიკის ევოლუციურ მოდელებში პრაქტიკულად მას მხედველობაში არ იღებდა. ეკონომიკურ კონცეფციებს შორის, რომლებიც ითვალისწინებენ ეკონომიკურ ზრდაში ტექნოლოგიური ცვლილებების დადებით როლს, მნიშვნელოვანია მეცნიერ კალეცკის თეორია. კალეცკი თვლის, რომ ეკონომიკის უწყვეტი განვითარება მოითხოვს უწყვეტი ნაკადის ინოვაციათა არსებობას. მისი აზრით, ტექნიკური სიახლის უწყვეტი ნაკადი პროგრესის განმსაზღვრელი ხდება და ეკონომიკაზე მისი პოზიტიური ზეგავლენა მის სწრაფ ზრდას იწვევს.

განვითარებული ქვეყნების პრაქტიკამ, რომლებიც კოლოსალური სიდიდის ინვესტიციებს აბანდებენ ინოვაციაში, მართლაც დაარწმუნა კაცობრიობა, რომ ეკონომიკის უწყვეტ ზრდას ეკონომიკის ინოვაციური პროგრესი აპირობებს. ამ გზას შემდეგ დაადგენენ აზიის პატარა სახელმწიფოები - სამხრეთ კორეა, სინგაპური, ტაივანი და სხვები, რომლებმაც სწრაფი განვითარებით „აზიის ვეფხვების“ ეპითეტური სახელი დაიმსახურეს. ამ გზას ადგანან ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტური ქვეყნები - ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი, ესტონეთი და სხვები, რომ-ლებმაც 90-იან წლებში დაშალეს სოციალისტური ეკონომიკა და დაიწყეს საბაზრო ეკონომიკის განვითარება.

საბაზრო ეკონომიკის ფორმირების თანამედროვე ეტაპზე საქართველოში ინოვაციური საქმიანობა (როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი) უაღრესად დაბალ დონეზეა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას გააჩნია კარგი ინოვაციური პოტენციალი (შემოქმედებითი ნიჭის მქონე კადრები, სამეცნიერო-საწარმოო ბაზა, ტექნოლოგიური მარაგები და სხვა), როგორც სამთავრობო ორგანოების, ისე კერძო სტრუქტურების მხრიდან მეტად საჭიროებს ინოვაციურ საქმიანობაზე ორიენტაციას. ეს არის საქმიანობის ის სახე, რომელმაც ეკონომიკა ,,ძველ“ და ,,ახალ“ ეკონომიკად დაჰყო და მეწარმეობის ტრადიციულ და ინოვაციურ მეწარმეობად დაჯგუფება გამოიწვია.[4, გვ.72]

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯოლია გ. კრეატული განვითარება: განათლება, ცოდნა, ქმედება, თბ., 2016;
2. Уинтура Г. Ф., Евсенко А. В. Экономика знаний в стратегическом развитии региона [http./riep.ru/upload/iblock.pdf];
3. აბრალავა ა., გვაჯაია ლ., ქუთათელაძე რ. საინოვაციო მენეჯმენტი, თბ., 2015;
4. ლაზვიაშვილი ნ. რისკმენეჯმენტი. თბ., 2022.

Innovative Development as a Key to the County's Economic Success

Nino Lazviashvili
Professor of Technical University of Georgia

Zurab Gegenava PhD student

Abstract

It is an undeniable fact that in a country, the increase in economic growth cannot be achieved without innovative development measures in economics (this is also confirmed by the fact that in economically developed countries, 75-100% of the total product (GDP) is accounted for by scientific-technological progress). [3, p.31] The above applies to countries, as well as to individual companies.

The efficient implementation and utilization of innovation provides business entities with the opportunity to function successfully and also opens up avenues for the development of new spheres. The basic mechanism, in Georgia and other countries, involves bringing entrepreneurs into competition, from which the successful entrepreneur emerges, who is capable to provide consumers with technologically advanced goods and services, thus creating competitive products for consumers.

Today, the condition and development prospects of both the country and individual business entity are determined by its competitiveness index.. It is noteworthy that innovation accounts for 50% of the competitiveness index.

Innovation, as the driving force of a country's economy, was first recognized by the economist J.Schumpeter. Three innovation "packages" and the three subsequent stages of their implementation have been identified: the first involved the steam engine's invention and deployment (1790-1840), the second involved the mechanization of transportation and manufacturing through the use of electricity (1840-1890), and the third involved the implementation of information technologies (1980-1990), followed by development of biotechnology and molecular engineering

Today, at the beginning of the 21st century, it is generally recognized that innovation plays a crucial role in the success of a country. However, this has not always been the case. Until the end of the 20th century, most economists underestimated the importance of innovation and did not take it into account in their evolutionary models of economics. Among the economic concepts that consider technological changes as a factor in economic growth, the theory of the scientist A. Kaletsky is particularly important. A. Kaletsky suggests that uninterrupted progress of economics requires the existence of uninterrupted innovation stream. In its opinion, the existence of uninterrupted technical innovation is a defining factor of progress, and its positive impact on economics accelerates its rapid growth.

Based on the practice of developed countries that invest heavily in innovation, it has been confirmed that economic progress driven by innovative progress leads to sustainable growth. Following this path, small countries in Asia - South Korea, Singapore, Taiwan, and others - quickly gained the epithet "Asian Tigers" through rapid development. Central and Eastern European countries - Czech Republic, Hungary, Poland, Estonia, and others - which dismantled socialist economy in the 90s and started the transition to a market economy, also chose this path of innovation-driven economic development.

At the stage of formation of the market economy in Georgia, innovative activity (fundamental, as well as applied one) is significantly low. Despite the fact that the country has a good innovative potential (qualified personnel, scientific-research base, technological advancements, etc.), both public and private structures need more orientation towards innovative activities. This is the type of activity that divided the economy into "old" and "new" economies and led to the grouping of businesses into traditional and innovative entrepreneurship. [4, p.72]

გაზიარების ეკონომიკის გლობალური ტენდენციები: მიღწევები, პროლემები და პერსპექტივები

ლობჯანიძე გელა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება გახდა მომხმარებელთა ქცევის ფუნდამენტური ცვლილებების მამოძრავებელი ძალა და განაპირობა ახალი სოციალურ-ეკონომიკური მოდელის გაჩენა, რომელიც ცვლის დამოკიდებულებას ქონებისა და მოხმარების მიმართ. სწორედ ამ მოდელს ეწოდება გაზიარების ეკონომიკა, რომელიც დღესდღეობით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა საქონლისა და სერვისების მოპოვების, მიწოდების ან წვდომის გაზიარების საქმიანობით და, რომელიც კოორდინირებულია ონლაინ სერვისების მეშვეობით, რადგან თანამედროვე პირობებში საქონლის ერთობლივი გამოყენება ხშირ შემთხვევაში უფრო ეფექტიანი და მომგებიანია, ვიდრე მისი ფლობა კერძო საკუთრების უფლებით.

გაზიარების ეკონომიკა უკვე ბოლო რამდენიმე წელია იპყრობს მეცნიერების, ბიზნესისა და საზოგადოების ყურადღებას, რომელმაც გარკვეული გავლენა მოახდინა ადამიანების ცხოვრებისა და საქმიანობის მრავალ ასპექტზე. ამ თვალსაზრისით, ნაშრომში განხილულია გაზიარების ეკონომიკის განვითარების პრობლემატური საკითხები, გაანალიზებულია განვითარების მსოფლიო ტენდენციები, უპირატესობები ტრადიციულ მოდელთან შედარებით, მისი გარკვეული ასპექტების ტრანსფორმაცია, ასევე, განხილულია გაზიარების ეკონომიკის მხარდამჭერი და საწინააღმდეგო მოსაზრებები.

ამასთან, ნაშრომში შემოთავაზებულია გაზიარების ეკონომიკის გლობალური ბაზრის მიმდინარე დინამიკა მ. შ. ცალკეული რეგიონების და ქვეყნების მიხედვით, მიმოხილვა, შეზღუდვები და გამოწვევები, ინდუსტრიის ტენდენციები, სამომავლო ზრდის პერსპექტივების ანალიზი და სხვა მნიშვნელოვანი ელემენტები, რომლებიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გაზიარების გლობალური ბაზრის ზრდას.

საკვანძო სიტყვები: გაზიარების ეკონომიკა, ტრანსფორმაცია, წრიული და ციფრული ეკონომიკა, გლობალური ტენდენციები, მდგრადი განვითარება.

ძირითადი ტექსტი

ციფრული ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ხდება როგორც ძველი ბიზნეს მოდელების ტრანსფორმაცია, ასევე ახლის გაჩენა. ახალი ბიზნეს მოდელების სფეროში ერთ-ერთი ფართომასშტაბიანი ტენდენციაა ე. წ. „გაზიარების ეკონომიკა“, რომელიც გარდაქმნის საქონლის მოხმარების ჩვეულ ხასიათს, ხოლო მომავალში, როგორც არსებულ ეკონომიკას ასევე, მთლიანად საზოგადოების ცხოვრება.

გაზიარების ეკონომიკა ქმნის ახალ შესაძლებლობებს სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პრობლემების გადასაჭრელად, ზრდის რესურსების გამოყენების ეფექტურობას და ათავისუფლებს არასაკმარისი გამოყენების აქტივებს. თუმცა, მისი განმარტების მიდგომების მრავალფეროვნება, ისევე როგორც სტატისტიკური მონაცემების ნაკლებობა, მნიშვნელოვნად ზღუდავს ამ თემაზე კვლევას. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა ასპექტმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. გლობალიზაცია და ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება მდგრადი განვითარების კონცეფციის იდეების პოპულარიზაციის ფონზე, აჩქარებს ისეთი ფუნდამენტური კატეგორიების ტრანსფორმაციას, როგორიცაა ეკონომიკა, ბაზარი, საწარმო, ცვლის მატერიალური და არამატერიალური საქონლის წარმოებისა და მოხმარების გზებს. აშკარაა, რომ მენეჯმენტისა და ბიზნეს მოდელებისადმი ტრადიციული მიდგომები თანამედროვე პირობებში სიძლიერის ტესტირებას განიცდის. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური აქტივობის ახალი მოდელების გაჩენა, გამყიდველებსა და მყიდველებს შორის

ურთიერთქმედება შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ერთგვარი ადაპტაცია ახალ ეკონომიკურ რეალობასთან, სადაც ინდივიდები და კომპანიები იზიარე-ბენ საქონელსა და მომსახურებას, ჩვეულებრივ, ონლაინ პლატფორმების საშუალებით.

ბოლო მონაცემებით, გლობალური გაზიარების ეკონომიკაში 9 829 კომპანია მოქმედებს 133 ქვეყანაში, 25 კატეგორიაში და მისი კონცეფცია ფართოდ არის განვითარებული გამოყენების ისეთ სფეროებში, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი:

- სატრანსპორტო საშუალების გაქირავება (ავტომობილის, ველოსიპედის, მგზავრობის გაზიარება და ა.შ. (კომპანიები: Uber, Yandex Taxi, Sidecar, Lyft, BeepCar, BlaBlaCar, Getaround, Zipcar და ა.შ.));
- უძრავი ქონების გაქირავება (საერთო/ერთობლივი სამუშაოს, ოფისის გაზიარება, ბინები, საწყობები, პარკირების მომსახურება და ა.შ. (კომპანიები: Avito, Yula და ა.შ.));
- პერსონალის დაქირავება სხვადასხვა სამუშაოების განსახორციელებლად (კომპანიები: Taskrabbit, Profi.Ru, Yula და სხვ.);
- საქონელი სახლისთვის, მოგზაურობისთვის, ტურიზმისთვის (კომპანიები: Airbnb, HomeAway და ა.შ.);
- პროექტების ერთობლივი დაფინანსება (crowdfunding) და P2P (Peer-to-peer/ მონაწილეთა თანასწორობა) დაფინანსება/დაკრედიტება (Zopa, Prosper, Lending Club) ა.შ. (იხ. ნახ. 1.) [1, 2, 3]

ნახ. 1. გაზიარების ეკონომიკის ინფოგრაფიკა [1]

მართალია, გაზიარების ეკონომიკას შეუძლია ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებლის შეთავაზება (მაგალითად, მას შეუძლია შეამციროს საქონლისა და სერვისების ხელმისაწვდომობის ღირებულება, გაზარდოს ამ საქონელსა და მომსახურე-ბაზე წვდომა, შექმნას ახალი სამუშაო ადგილები და შეამციროს მოხმარების გარემოზე ზემოქმედება), თუმცა გაზიარების ეკონომიკას თან სდევს გარკვეული რისკები, როგორიცაა თაღლითობის ან ქურდობის შესაძლებლობა, რეგულირების არარსებობა და ანგარიშვალდებულების ნაკლებობა პლატფორმების ან პროვაიდერების მხრიდან. გარდა ამისა, შეიძლება არსებობდეს პრობლემები უსაფრთხოებასთან, კონფიდენცია-ლურობას-თან და გამყიდველებისთვის სამართლიან ანაზღაურებასთან.

როგორც ცნობილია, COVID-19-ის პანდემიამ მკვეთრად შეცვალა გლობალური ეკონომიკა და შოკისმომგვრელად დაარღვია მიწოდება-მოთხოვნის გლობალური ბალანსი და მიწოდების ჯაჭვები.

ჯერ პანდემიის შედეგებმა და შემდგომ, 2022 წლის დასაწყისიდან რუსეთ-უკრაინის სამხედრო დაპირისპირებამ მნიშვნელოვნად იმოქმედა ეკონომიკურ ზრდაზე, დასაქმების დონეებზე და პროვოცირება მოახდინა მოსახლეობის შემოსავლების დონის კლებაზე მთელ მსოფლიოში. თუმცა, არსებულ პირობებში, ტრადიციული ეკონომიკური სერვისებისგან განსხვავებით, რომელთაგან ბევრი გაკოტრდა, სწორედ გაზიარების ეკონომიკამ მოახერხა უფრო ეფექტიანად აღდგენა, რაც ძირითადად განპირობებული იქნა მისი მაღალი ადაპტირებით და კონკურენტუნარიანობით, რადგან ულტრა სწრაფი მიწოდების აპლიკაციები გახდა გარანტირების და შეუზღუდავი კრეატიულობის შესანიშნავი მაგალითი გაზიარების ეკონომიკაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაზიარების ეკონომიკის ინოვაციურმა ბუნებამ განაპირობა მისი უდავო წარმატება და დაეხმარა მას კორონავირუსის პანდემიის მსგავსი კრიზისების გამოცდის ეფექტიან ჩაბარებაში, რამაც თავის მხრივ, ხელი შუწყო გაზიარების ბაზრის შემდგომ ზრდას, იმ მიმართულებით, რომ გაზიარებული კომპანიები გადავიდნენ ბაზრის სხვა სეგმენტებზე და დაიწყეს ახალი ბიზნეს მოდელების შემუშავება, რაც თავის მხრივ, ზრდის მოთხოვნას გაზიარების კომპანიების სერვისებზე და, შედეგად, ამ პერიოდში გაჩენილი ტენდენციები ახალ ბიძგს აძლევს გაზიარების ეკონომიკის შემდგომ განვითარებას.

საგულისხმოა, რომ 2022 წელს გლობალური გაზიარების ეკონომიკის ბაზრის ზომა შეფასდა 149 939.7 მლნ აშშ $-ად და მოსალოდნელია გაფართოვდეს CAGR (Compound Annual Growth Rate - ნაერთი/რთული/კუმულატიური წლიური ზრდის ტემპი) 32.01 %-ით საპროგნოზო პერიოდში და მიაღწევს 793 680.0 მლნ აშშ $-ს 2028 წლისთვის. [4]

მსოფლიოში გაზიარების ეკონომიკის სარგებლობის, განვითარებისა და ზრდის თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ დაახლოებით 500 მლნ-მა ადამიანმა აშშ-ში, ჩინეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთსა და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში გაიზიარა აქტივები/საკუთრება ან მომსახურება ბოლო 3 წლის განმავლობაში მოგების მიზნით. ამავე პერიოდში, 680 მლნ-ზე მეტმა ადამიანმა მთელს მსოფლიოში ისარგებლა ამ გაზიარებული ეკონომიკის აქტივებით ან მომსახურებით. ხოლო, ამერიკელების დაახლოებით 72 %-მა გამოიყენა გაზიარების სერვისი ან აპლიკაცია, 50 %-მა იყიდა ნახმარი საქონელი ინტერნეტით და 15 %-მა გამოიყენა ონლაინ ტაქსის დაჯავშნის აპლიკაციები. ასევე, გამოკვლევით დადგინდა თუ როგორ მუშაობს გაზიარების ეკონომიკა დღეს მსოფლიოს ცალკეულ რეგიონებსა და ქვეყნებში, სახელდობრ:

- აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნებში ადამიანების 78 % სარგებლობს გაზიარების სერვისებით და მზად არის გაუზიაროს ან იქირაოს ის, რაც აქვს, ხოლო 81 %-ს სურს დაქირავდეს სხვებისგან;
- ლათინურ ამერიკაში ადამიანთა 70 % იყენებს გაზიარების ეკონომიკას და მზადაა გაუზიაროს ან იქირაოს, ხოლო 73 % მზადაა იქირაოს სხვებისგან;
- ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში ადამიანთა 68 % იზიარებს მომსახურებას და მზადაა გაუზიაროს ან იქირაოს, ხოლო 71 % მზადაა იქირაოს სხვებისგან;
- ევროპის მასშტაბით ადამიანთა 54 % იყენებს გაზიარების ეკონომიკას და სურს ისარგებლოს ან იქირაოს, ხოლო 44 % მზადაა იქირაოს სხვებისგან;
- კანადის გაზიარების ეკონომიკა 1,3 მლრდ $-ად არის შეფასებული. გაზიარების ეკონომიკაში მონაწილეობს 18 წელზე უფროსი ასაკის 2,7 მლნ კანადელი;
- ჩინეთი არის გამორჩეული ბაზარი გაზიარების ეკონომიკის ფუნქციონირების თვალსაზრისით, რომლის მოსახლეობის 73 % არის ონლაინ მომხმარებელი გაზიარების ეკონომიკაში და ნახევარზე მეტი (55 %) აწვდის საქონელს და მომსახურებას გაზიარების სერვისებით. ეს არის ერთადერთი ბაზარი მსოფლიოში, სადაც ყველა ასაკობრივი ჯგუფი მონაწილეობს თანაბრად, მაშინ როცა სხვა ბაზრებში ჭარბობს ახალგაზრდა თაობა.
- არაბთა გაერთიანებული საემიროებში ბირჟის შეღწევადობის მაღალ დონე მეორე ადგილზეა ჩინეთის შემდეგ, როგორც მოთხოვნით (54 %), ასევე მიწოდებით (61 %). [5]
- ამდენად, გაზიარების ეკონომიკა როგორც მზარდი ეკონომიკური სისტემა და ციფრული გაზიარების პლატფორმები ხდება წრიული ეკონომიკის არსებითი კომპონენტი და ხელს

უწყობს ქვეყნების მდგრად განვითარებას. ეკონომიკური ურთიერთობები, რომელიც დაფუძნებულია არა საქონლის ფლობაზე, არამედ მათ გამოყენებაზე და შემდგომ გაცვლაზე, ხდება სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთქმედების თვისობრივად ახალი მოდელის საფუძველი, რომელიც მოიცავს საქონლისა და მომსახურების უფრო ფართო და სამართლიან წვდომას, სადაც უახლოეს წლებში მნიშვნელოვნად გააქტიურდება სხვადასხვა ტიპის პლატფორმები, მონაწილეობის ეკონომიკური სერვისები, ახალი სახის სოციალური პრაქტიკა, რომლებიც არა მხოლოდ სარგებელს მოუტანს მომხმარებლებს სერვისის მიმწოდებლების ხელმისაწვდომობის გაზრდით, ხარჯების შემცირებით და ოპტიმალურად მორგებული ეკონომიკური სერვისების შექმნით, არამედ ასევე, მათი განვითარება დიდწილად შეცვლის იმ ადამიანების ღირებულებებს, მოტივებსა და დამოკიდებულებებს, რომლებსაც სურთ ერთობლივად შექმნან და გაიზიარონ თავიანთი შრომის შედეგები.

დასკვნა

ამრიგად, გაზიარების ეკონომიკა გლობალური ეკონომიკის მზარდი ნაწილი და ახალი პერსპექტიული ბიზნეს მოდელია, რომლის გავლენის ზრდა მოსალოდნელია უახლოეს წლებში და, რომელიც ახალი ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ბიზნესის კეთების სულ უფრო პოპულარული გზა ხდება. ამ თვალსაზრისით, კომპანიებმა უნდა ისარგებლონ იმ ბიზნეს მოდელებით და შესაძლებლობებით, რომლებსაც გაზიარების ეკონომიკა იძლევა, რათა დარჩენენ კონკურენტუნარიანი და უზრუნველყონ თავიანთი ბიზნესის წარმატება. ამასთან, გაზიარების ეკონომიკის განვითარება მდგრადი განვითარების პოლიტიკის განხორციელების ეფექტური გზაა, რომლის უპირატესობებია: უფრო მეტი ხელმისაწვდომობა, სიცხადე, გამოყენებული ურთიერთქმედების ფორმების ხარჯ-ეფექტურობა ტრადიციული ბიზნეს საქმიანობის სხვა სფეროებთან შედარებით. ასევე, როგორც სოციალურად სასარგებლო ბიზნეს მოდელი, მას აქვს სამი საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ეფექტის (ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური) განხორციელების შესაძლებლობა, რომლითაც იგი ქმნის იმპულსს როგორც ტრადიციული ასევე, ახალი ინდუსტრიების განვითარებისთვის და ეფექტიანად ცვლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხარისხს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://waste4change.com/blog/sharing-economy-the-famous-circular-economy-solution/
2. https://resources.today/PDF/11ECOR419.pdf
3. https://cyberleninka.ru/article/n/razvitie-biznesa-v-usloviyah-ekonomiki-sovmestnogo-potrebleniya
4. https://blog.gitnux.com/sharing-economy-statistics/
5. https://www.globenewswire.com/en/news-release/2023/03/15/2627768/0/en/32-Growth-in-Sharing-Economy-Market-by-2023-2028-Analyzing-Views-and-Position-in-Global-Competition.html

Global trends of sharing economy: achievements, problems and prospects

Gela Lobjanidze
Associate Professor at Georgian Technical University

Abstract

The sharing economy is a growing part of the global economy and a promising new business model whose influence is expected to increase in the coming years and which, along with the development of new technologies, is becoming an increasingly popular way of doing business. In this sense, companies must take advantage of the business models and opportunities that the sharing economy provides in order to remain competitive and ensure the success of their business. In addition, the development of the sharing economy is an effective way of implementing sustainable development policies, the advantages of which are: greater accessibility, clarity, cost-effectiveness of the forms of interaction used compared to other areas of traditional business activity. Also, as a socially useful business model, it has the ability to realize three socially important effects (economic, environmental and social), by which it creates an impetus for the development of both traditional and new industries and effectively changes the quality of socio-economic development.

Key words: sharing economy, transformation, circular and digital economy, global trends, sustainable development.

საქართველოში არსებული პერსპექტივები ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებისთვის

მაისურაძე თემურ
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა
და ინჟინერიის ფაკულტეტი,ბიზნესის ადმინისტრირების
დოქტორი, პროფესორი.

ლომსაძე გიორგი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, დოქტორანტი

აბსტრაქტი

გლობალურ მასშტაბში მიმდინარე ტექნოლოგიური თუ მეცნიერული პროგრესი არა-ერთ სფეროში მოქმედი კომპანიების მიერ სიახლეების აქცენტირება უშუალო კავშირშია ქართული პროდუქტის და მისი მომსახურების კონკურენციაზე როგორც საზღვარგარეთ არსებული, ისე შიდა ბაზრებისთვის. იმისთვის, რომ საქართველოში დამზადებული პროდუქტი მომზადებული დახვდეს იმ ეკონომიკურ გამოწვევებს, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოში ყოველდღიურად ვითარდება, ამისთვის საჭიროა უახლესი ინოვაციური კომპლექსური კანონზომიერებების შესწავლა და ამასთან ერთად იმ წარმატებული ქვეყნების კვლევა, რომელიც ინოვაციური ეკონომიკური განვითარების მხრივ ჩვენზე გაცილებით წინ არიან.

ახალ ეკონომიკურ გარემოში მენეჯმენტისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ამოცანაა ინოვაციური პოლიტიკის გარკვეული ფორმირება, რაც თავის მხრივ კომპანიისა თუ ორგანიზაცი-ისთვის წარმატების მომტანი იქნება. ზოგადად ინოვაციური მენეჯმენტის დადებითი თვისება არის ის, რომ ძალიან მასშტაბურია და რომელიმე ზუსტი დარგით არ შემოიფარგლება.

ინოვაცია უფრო და უფრო პოპულარული ხდება მთელ მსოფლიოში, ის პრიორიტეტული ხდება ყველა დარგში. რადგან, საქართველო ახალი ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილია, რეგიონში არსებული ეკონომიკური ვითარება, აუცილებლად მოითხოვს გადახედვეს და ეტოპობრივ განვითარებას.

რეგიონში არსებული არასახარბიელო ინოვაციური განვითარების ფონის მიუხედავად რთულია ისეთი ლიტერატურული ნაშრომისა თუ ეკონომისტების შეფასების მოძებნა, რომელიც გამოიყვანს საქართველოს ამ დაღმასვლიდან. ვფიქრობ, ჩემი ნაშრომი, რეკომენდაციები და კვლევა, რომელიც უახლოეს შედეგებს ასახავს არსებული მდგომარეობის შესახებ, მკითხველს საშუალებას მისცემს ანალიზი გაუკეთოს და უკეთ შეაფასოს საქართველოში არსებულ ინოვაციური განვითარების პერსპექტივები.

ძირითადი ტექსტი

რეგიონის ეკონომიკის ინოვაციური განვითარებისთვის, მნიშვნელოვან და გადამწყვეტ როლს სახელმწიფო თამაშობს. ამის პარალელურად სულ უფრო და უფრო იზრდება მსოფლიოს დიდი ეკონომიკური ქვეყნების მხრიდან ინოვაციური პროცესების ინტერესი. აქედან გამომდინარე, განვითარდა ინოვაციური საქმიანობების სახელმწიფო წახალისებისა და მხარდაჭერის ფორმები. საქართველოს ხელისუფლება აქტიურად ცდილობს სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით ხელი შეუწყოს რეგიონში ნოვაციური ეკოსისტემის ფორმირებას, მაღალტექნოლოგიური პროდუქტების და ინოვაციების ტრანსფერების ზრდით, ასევე ტექნოლოგიების გამოყენებით ეკონომიკის თითქმის ყველა დარგში. ადგილობრივი, ცენტრალური თუ რეგიონული ორგანოების ეკონომიკურ-სოციალურ გეგმაში ინოვაცია და ინოვაციური მიდგომა ძალიან პრიორიტეტულია გახდა. საქართველოს სოც-ეკონომიკური განვითარების გეგმაში სადაც კერძო სექტორი კონკურენტუნარიანობის გაუმჯობე-სებაზეა საუბარი 3 მნიშვნელოვანი მიმართულებებიდან ერთ-ერთი ტექნოლოგიები და ინოვაციებია.

ინოვაციების მხარდაჭერის ფარგლებშის სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანა უნდა იყოს თანამედროვე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების წახალისება. ბოლო დროს,

ქართული ეკონომიკის ტექნიკური ბაზა მეტ-ნაკლებად ვითარდება, არსებითად არა, მაგრამ ინფრასტრუქტურის მხრივაც გარკვეული ნაბიჯები იდგმევა. უნდა აღინიშნოს საქართველოს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტო. მისი კიდევ ერთი ფუნქციაა საქართველოში ინფორმაციული ტექნოლოგიური ბიზნესის და საინოვაციო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობაზე ზრუნვა, გარდა ამისა ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კომერციალიზაციის ხელშეწყობა შესაბამისი მექანიზმებით. სააგენტო შექმნის დღიდანვე ძალიან ბევრ პროექტს ახორციელებს.

ჩემს მიერ განხორციელებული კვლევის მიხედვით, ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებისთვის ერთ-ერთი პერსპექტიული დარგი სოფლის მეურნეობა აღმოჩნდა. ამ მიმართულებით მთავრობა ახორციელებს სხვადასხვა პროექტის და პროგრამის დაფინანსებას. მაგალითისთვის 2018 წლიდან ამუშავდა სოფლად მცხოვრები ახალგაზრდა მეწარმეებისთვის პროგრამა - ,,ნორჩი მეწარმეები''. საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული პროგრამა ხორციელდება დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით და მიზნად ისახავს: პირველ რიგში ახალგაზრდების მხრიდან მეწარმეობის და ბიზნეს ინერესების გაღვივებას, რეგიონში ეკონომიკური მაჩვენებლის გაძლიერებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოებასა და რეალიზაციის ჯაჭვის შექმნას.

ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ევროკავშირთან ღრმა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, რომელიც ასოცირების ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, ეს იმიტომ, რომ ზუსტად ის მოიცავს ევროპასთან ეკონომიკური ინტეგრირების საკითხებს და ჩვენი ქვეყნის ევროკავშირის 550 მილიონიანი პოტენციური მომხმარებლის ბაზრის შიდა კარებს აღებს.

იმისთვის, რომ რეგიონში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებმა სრულად ისარგებლონ ამ პროგრამით და მეტწილად გააფართოვონ თავიანთი ბიზნეს საქმიანობა ევროკავშირის ქვეყნებში, ამისთვის აუცილებელია ევროკავშირის დირექტივების შესრულება. ადაპტირების პროცესი უმეტსწილად მეწარმეთა მხრიდან ჩართულობაზე იქნება დამოკიდებული, მათი მხრიდან უნდა მოხდეს უახლესი ტექნოლოგიებისა და დანადგარების ინვესტირება, ეს კი ხელს შეუწყობს კონკრეტულ კომპანიასა თუ საწარმოში ინოვაციური მიმდინარეობის წარმართვას.

მოგეხსენებათ, საქართველო პოსტ-კომუნისტური ქვეყანაა. ქვეყანაში სერიოზული გარდატეხები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განხორციელდა. რთული ვითარება იყო 1990-იან წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირის მიერ ჩამოყალიბებული გეგმიური ეკონომიკის მენეჯერები სრულ გაურკვევლობაში აღმოჩნდენ. ამას სამოქალაქო ომიც დაემტა, რამაც ქვეყანა საბოლოოდ დაამძიმა და სოციალურ-ეკონომიკური ფონი კდიევ უფრო გაამძაფრა. დაიწყო ინტელექტუალური სტაგნაციის პერიოდი, ზოგმა სხვა პროფესიით დაიწყო მუშაობა, ზოგიც საერთოდ წავიდა ქვეყნიდან. ამ დროს დაიკარგა ბევრი წამყვანი სპეციალისტები მრავალი დარგიდან. 2000 წლების დასაწყისში და მიმდინარე საუკუნის ათწლეულში აღნიშნული რეალობა, მეტ-ნაკლებად დასტაბილურდა. მოხდა დარგების სტიმულირება სახელმწიფოს მხრიდან, ასევე განხორციელდა არაერთი პროექტი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის, შემცირდა კრიმინალის დონე და დაიწყო უცხოური ინვესტიციების შემოდინება. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა დადებითად შეაფასეს სხვადასხვა ავტორიტეტულმა სააგენტოებმა და საფინანსო ინსტიტუტებმა. მსოფლიო ბანკის და საერთაშორიოს საფინანსო კორპორაციის კვლევის მიხედვით მსოფლიოს 191 ქვეყანას შორის საქართველო 2020 წლისთვის ბიზნესი წამოწყების სიმარტივის მიხედვით მე-7 ადგილზეა. ხოლო უძრავი ქონების დარეგისტრირების კუთხით კი, საქართველო სტაბილურ მეოთხე ადგილს იკავებს და ისეთი ქვეყნების წინ დგას, როგორებიც შვეიცარია, შვედეთი ან ნორვეგია არის.

კვლევის მიზანი იყო გაგვეგო ის, თუ რა ადგილი უჭირავს ინოვაციებს ქართულ რეალობაში, ასევე გვაინტერესებდა ინოვაციური პროცესების განვითარების შესახებ არსებული პერსპექტივების შეხედულებები საზოგადოებაში. კვლევის პროცესში ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა იყო ხალხის შეხედულებების მიხედვით რეგიონში არსებული ინოვაციური პროექტების გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანი დარგები გამოგვევლინა, სადაც რესპოდენტები შეეცდებოდნენ დაესახელებინათ ნემისმიერი მიმართულება, რის შემდეგაც მივიღეთ ასეთი სახის მოცემულობა



აღნიშნული გამოკითხვის საფუძველზე ინოვაციური ხელმძღვანელობის განვითარების კუთხით დიაგრამაზე პირველი ადგილები დაიჭირეს ყველაზე პოპულარულმა მიმართულებებმა . ესენია ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და მრეწველობა. იმისთვის, რომ უფრო თვალნათელი გახდეს თუ რა დიდია მენეჯმენტის როლი რეგიონული ეკონომიკის ნებისმიერი დარგის განვითარებისთვის, მსურს, მოკლედ მიმოვიხილო ტურიზმის განვითარების გარკვეული პერსპექტივები.

მოგეხსენებათ სიახლე არ იქნება თუ ვიტყვი რომ საქართველოს სტრატეგიული მიზანია ის რომ საქართველო გახდეს ტურისტულად მიმზიდველი ზონა მთელი წლის განმავლობაში. მართლაც რა არის ამისთვის საჭირო? მინდა გამოვყო 7 უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ესენია: ინფრასტრუქ-ტურის გაუმჯობესება, მოსახლეობის ფსიქოლოგიური-სოციალური ფაქტორების გაუმჯობესება, ქვეყნის სუვერენიტეტი ვგულისხმობ მშვიდობას და უსაფრთხოებას, გამოცდილი და კვალიფიციური კადრების მატება ტურიზმის სფეროში, სახელმწიფოს მხრიდან ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პიარი, საერთაშორისო ტურისტულ სააგენტოებთან ასევე ავიაკომპანიებთან აქტიური თანამშრომლობა (ამ შემთხვევაში ჩარტერული რეისების დამატება და თანხის სუბსიდირება სახელმწიფოს მხრიდან), ტურიზმში ინოვაციური მენეჯმენტის დანერგვა.

ბოლო საკითხი განსაკუთრებულად აქტუალური გახდა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისთვის ტურისტულ სტრატეგიებში. იმის გათვალისწინებით რომ ტურისტების ნაკადი მსოფლიო მასტაბით სულ უფრო და უფრო იზრდება საჭიროა ამ პროცესების ფეხის აბმა. მართალია წინა წლები პანდემიის გამო შედარებით ნაკლებად დატვირთული იყო ტურისტების თვალსაზრისით, მიუხედავად ამისა 2022 წლის პირველ 7 თვეში 2,35 მილიონი სტუმარი შემოვიდა. ტურიზმის სფერო ძალიან მრავალფე-როვანია რის, ამიტომ ამ კუთხით თუნდაც მცირედის გაუმჯობესებით ხელს შევუწყობთ ტურიზმის გაზრდას საქართველოში.

უნდა აღინიშნოს რომ ბოლო დროს ზრდადი მაჩვენებელი შეინიშნება მსოფლიოს წამყვანი ბრენდების მიერ ინოვაციებთან დაკავშირებული კვლევების თუ ინოვაციების დაფინანსების მხრივ. ამის ფონზე საინტერესო იქნებოდა მოქმედი მენეჯერებისგან გაგვეგო აზრი და ის თუ რას ფიქრობდნენ ამასთან დაკავშირებით



დიაგრამის შედეგები საკმაოდ იმედისმომცემი აღმოჩნდა. თუმცა ეს შედეგები რეალობას არ ასახავს. როდესაც რესპოდენტებს სიღრმისეული გამოკითხვის მეთოდით დავუსვი დამატებით რამდენიმე კითხვა მათ განხორციელებულ საინოვაციო პროექტების შესახებ, თავი შეიკავეს პასუხისგან. თუმცა დიაგრამაზე მოცემული შედეგი ამტკიცებს, რომ კომპანიას და კონკრეტულად მენეჯერებს დიდი მზაობა აქვთ ინოვაციური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სახსრები მოიხმარონ პროექტების განხორციელებისთვის

დასკვნა

ნაშრომში განხილული თეორიული წყაროების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახის დასკვნები და რეკომენდაციები:

რეგიონში არსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით აუცილებელია გატარდეს რიგი ღონისძიებები სხადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების და მათი დონორების მიერ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ორგანიზაციების მიერ საქართველოში შემოდის, როგორც ფინანსური, ასევე უდიდესი გამოცდილება და ინტელექტი, რომელიც აუცილებელია სხვადასხვა იმ დარგის ინოვატორული პროექტების განვითარებისთვის. საქართველოში, რომ სასურველი შედეგი მივიღოთ, საჭიროა აღნიშნულ ორგანიზაციებთან კარგი ურთიერთობა შევინარჩუნოთ და ამის პარალელურად მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები მაქსიმალურად გამოვიყენოთ.

მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, ინოვაციური მენეჯმენტის ეფექტურობაზე უმნიშვნელოვანეს ზეგავლენას ახორციელებს კომპანიის ინოვაციური მიდგომა. საქართველოში ინოვაციურ მენეჯმენტს, რომ ჰქონდეს დადებითი განვითარების მაჩვენებელი, მის ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს ინოვაციური გეგმა.

ინოვაციები თანამედროვე ეკონომიკის სტიმულატორად და ერთგვარ კატალიზატორად იქცა. ქვეყნები, რომლებიც ინოვაციებს თავიანთი განვითარების გეგმაში მოიაზრებენ, უდიდეს წარმატებას აღწევენ ყოველთვის. ასეთ დროს იზრდება ინოვაციური მენეჯმენტის პერსპექტივები სრულიად ყველა სფეროში. ამიტომ ქვეყნის შიგნით არსებულმა ორგანიზაციებმა აქცენტირება უნდა გააკეთონ ინოვაციებზე თუ გვსურს კონკურენცია იმპორტირებულ საქონელს გავუწიოთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შუბლაძე გ, მღებრიშვილი ბ, ,,მენეჯმენტის საფუძვლები“ გამომცემლობა «უნივერსალი» თბილის 2008;
2. აბრალა ა. ,,ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ- ინოვაციური პრობლემები'' მონოგრაფია. თბილისი 2014;
3. გვარუციძე ა. ,,ინოვაციური სფეროს ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულყოფა საბაზრო მეურნეობის პირობებში'' თბილისი 2008;
4. მაისურაძე თ. ,,ინოვაციური მართვის სისტემების წინააღმდეგობების კვლევის მეთოდები'' თბილისი 2014;
5. Bhasin K, "This Is The Difference Between 'Invention' And 'Innovation'". Business Insider. 2012-04-02;
6. Halkier H , „Innovation and Tourism Destination Development. European Planning Studies“ 2013;
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ოფიციალური ვებგვერდი https://www.geostat.ge/ka
8. გარემოს ეროვნული სააგენტო, ოფიციალური ვებგვერდი http://nea.gov.ge/ World intelectual property organization www.wipo.net
9. Renewing America https://www.cfr.org/backgrounder/space-exploration-and-us-competitiveness

Prospects in Georgia For the development of innovative management

Temur Maisuradze,
East European University of Business
and Faculty of Engineering, Business Administration
Doctor, Professor.

Giorgi Lomsadze
Eastern European University, Ph.D

Abstract

Current technological or scientific progress on a global scale, focusing on innovations by companies operating in a number of fields is directly related to the competition of Georgian products and their services for both foreign and domestic markets. In order for the product made in Georgia to be prepared to meet the economic challenges that are developing every day in the modern world, it is necessary to study the latest innovative complex regularities and at the same time research those successful countries that are far ahead of us in terms of innovative economic development.

A necessary and important task for management in the new economic environment is the formation of an innovative policy, which in turn will bring success to the company or organization. A positive feature of innovation management in general is that it is very scalable and not limited to any specific field.

Despite the background of unfavorable innovative development in the region, it is difficult to find a literary work or an assessment of economists, which will bring Georgia out of this decline. I think that my work, recommendations and research, which reflects the immediate results of the current situation, will allow the reader to analyze and better evaluate the prospects of innovative development in Georgia.

სამედიცინო ტურიზმის პოპულარიზაცია საქართველოში

მალანია ელისაბედ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მალიაშვილი ნატო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი

აბსტრაქტი

სამედიცინო ტურიზმი შედარებით ახალი, მაგრამ სწრაფად განვითარებადი დარგია. მის მზარდ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ მსოფლიოში 50 ქვეყანაზე მეტს სამედიცინო ტურიზმის განვითარება სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე ჰყავს აყვანილი .

საქართველო გამოირჩევა გეოგრაფიული მდებარეობით, რომელსაც გააჩნია უამრავი რესურსი მოიზიდოს ტურისტი და მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მოთხოვნები. ტურიზმი მთელ მსოფლიოში ითვლება, როგორც უცხოური ვალუტის შემომტანი ეკონომიკური თვალსაზრისით და მაქსიმალურად ეხმარება ქვეყანას. ტურიზმის მიმართულებებიდან, სამედიცინო ტურიზმი, ერთ-ერთი განვითარებადი სექტორია. მან წარმოშვა თანამედროვე ჯანმრთელობის ახალი კონცეფცია: როდესაც პაციენტი თავის ქვეყანაში ვერ გადაჭრის ჯანმრთელობის პრობლემას, ირჩევს მისთვის სასურველ ქვეყანას, ექიმს, კლინიკას, სადაც შესთავაზებენ ყველაზე თანამედროვე სამკურნალო-დიაგნოსტიკურ მეთოდებს ხელმისაწვდომ ფასად. მნიშვნელოვანია ტურისტების სურვილების გაგება, დაწყებული მოტივაციიდან, დამთავრებული მათი უპირატესობებით მომსახურებისა და პროდუქტების თვალსაზრისით.

თავის მხრივ, გლობალური ეკონომიკური კონკურენციის პირობებში, სამედიცინო ტურიზმი ხელს უწყობს მედიცინის უფრო სწრაფად განვითარებას და შესაძლოა მნიშვნელოვნად შეცვალოს ჯანდაცვის ეროვნული სისტემების სახე. ამ მხრივ, საინტერესოა, თუ რა პოტენციალი გააჩნია დღეს საქართველოს სამედიცინო ტურიზმის თვალსაზრისით, არის თუ არა მათზე მოთხოვნა და რა იგეგმება ამ პოტენციალის გასავითარებლად და დასახვეწად.

საკვანძო სიტყვები: სამედიცინო ტურმიზმი, ჯანმრთელობის ტურიზმი, ბალნეოთერაპია.

ძირითადი ტექსტი

სამედიცინო ტურიზმი სტუმართმოყვარეობისა და ტურიზმის ინდუსტრიის მზარდი ბაზარია, ამიტომ დღევანდელ ეპოქაში ერთ-ერთი არსებული ტენდენციაა ადამიანების ინფორმირებულობა ჯანმრთელობის შესახებ, ის თუ როგორ რეაგირებენ საკუთარი ჯანმრთელობის, ცხოვრების წესისა და ფიტნესის შესახებ. ეს ტენდენცია მუდმივად იზრდება.

მსოფლიოში სამედიცინო ტურმიზმი თითოეული ქვეყნისთვის მაღალშემოსავლიანი წყაროა, მისი საშუალებით შესაძლებელია, როგორც ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოება, ასევე კონკრეტული სფეროს განვითარება. სამედიცინო ტურიზმი, ქვეყნის მდიდარ შესაძლებლობებს წარმოაჩენს, მისი სამკურნალო თვისებების კუთხით. ყოველივე ეს საერთო ჯამში ხელს უწყობს ქვეყანას მდგრადად დაიმკვიდროს თავი ტურისტულ ბაზარზე, მაქსიმალურად დააკმაყოფილოს ტურისტის მოთხოვნები და განვითარდეს ეკონომიკური თვალსაზრისით.

დღესდღეობით, სტრესი არის საერთო საკითხი, რომელიც თითქმის ყველას ეხება. სტრესთან გამკლავება, შეიძლება ძალიან რთული ამოცანა იყოს. რაც უფრო დიდია სტრესი, მით უფრო დიდი გავლენა აქვს მას ადამიანის ჯანმრთელობაზე და შეუძლია გავლენა მოახდინოს, მათ შესაძლებლობებზე მიზნების მისაღწევად.

ტერმინი სამედიცინო ტურიზმი დასვენებისა და სამედიცინო მომსახურების შეთავსებას გულისხმობს. სამედიცინო ტური პირობითად შეგვიძლია დავყოთ რამდენიმე ჯგუფად: დიაგნოსტირება, მკურნალობა, რეაბილიტაცია, ესთეტიკური მედიცინა.

დღეს თანამედროვე ცხოვრების შესაბამისად, დარგი ვითარდება, მაგრამ კაცობრიობისთვის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის სხვა რეგიონში გამგზავრება უცხო არც საუკუნეების წინ ყოფილა.

ანტიკურ პერიოდში მოგზაურობის მოტივი იყო ვაჭრობა, განათლება, წმინდა ადგილების მონახულება და ასევე მკურნალობა. რომის არისტოკრატია აქტიურად იყენებდა თერმულ და სამკურნალო აბანოებს. რომაელებმა ააგეს გზები, რომელზეც შეეძლოთ ცხენების დახმარებით დღეში 100 კილომეტრზე მეტ მანძილზე გადაადგილება, მოენახულებინათ ხმელთაშუა ზღვის ცნობილი ტაძრები და ასევე სახელგანთქმული სამკურნალო და მინერალური წყლები. ცნობილი იყო ძველი რომის პოპულარული კურორტი, სადაც მდებარეობდა იულიუს ცეზარისა და ნერონის ვილები. ხშირი სტუმრები ჰყავდა თბილ მინერალურ და სამკურნალო წყლებს. მეთვრამეტე საუკუნიდან იწყება მუდმივი და მზარდი მოთხოვნა მოგზაურობაზე. ასევე მთავარ მიზანს წარმოადგენდა დასვენება და მასთან ერთად გაჯანსაღებაც. აქედან გამომდინარე ნელ-ნელა ჩამოყალიბდა ტურიზმის ცალკე დარგი, სამედიცინო ტურიზმი. სამედიცინო ტურიზმი ნიშნავს ადამიანების მოგზაურობას ქვეყნის საზღვრებს გარეთ სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით. ჯანმრთელობის ტურიზმს განსხვავებული მიზნები აქვს: ზოგიერთი პრევენციის მიზნით იყენებს, ზოგი მკურნალობის შემდგომ რეაბილიტაციისთვის და ზოგიც სამკურნალოდ. ყველა მიმართლებას თავისი სეგმენტი ჰყავს. სამედიცინო ტურიზმის გაფართებას განაპირობებს საზღვარგარეთ ამა თუ იმ მომსახურების დაბალი ფასი და მომსახურების მაღალი ხარისხი. ასევე პაციენტები ამჯობინებენ დასვენებასთან ერთად მიიღონ სამედიცინო მომსახურება და დაცული იყოს მათი პირადი მონაცემები.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ცნობით, ჯანმრთელობაზე ზრუნვა და კეთილდღეობა ტურისტებისთვის ყველაზე მნიშნველოვანია. დღესდღეობით სამედიცინო და ჯანმრთელობის ტურიზმი სწრაფი ტემპით იზრდება. ახალი ჯანდაცვის პროვაიდერი ქვეყნები რომლებიც ეხლა იწყებენ ამ სფეროს განვითარებას, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებიდან ცდილობენ უცხოელი პაციენტების მოზიდვას, სხვადასხვა სამედიცინო მომსახურებისა და მკურნალობისთვის. ასევე იზრდება ჯანდაცვის მუშაკების გადაადგილება, რადგან ზოგიერთი ქვეყანა განიცდის სპეციალიზირებული პერსონალის დეფიციტს. სამედიცინო ტურიზმის განვითარებასთან ერთად ჯანდაცვის სექტორი ცდილობს მოიზიდოს დამატებითი ინვესტიციები საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაზე დატვირთვის შესამცირებლად.

მსოფლიოში ბოლო 15 წლის მანძილზე შეიმჩნევა მოსახლეობის ცნობიერებისა და ინტერესის გაზრდა ჯანმრთელობის ტურიზმისადმი. ბოლო წლების მონაცემებით ტურისტების დანახარჯმა შეადგინა 4.4 ტრილიონი დოლარი. (Global wellness economy).

საქართველო მდიდარია კურორტებით, გეოგრაფიული მდებარეობის გამო,იგი კარგი კლიმატური პირობებით გამოირჩევა. თითოეულ კურორტს თავისი გამორჩეული ნიუანსები აქვს, რომლის ანალოგიც არ არის სხვა ქვეყნებში.

ბალნეოთერაპია- ეს არის დაავადებების მკურნალობის მეთოდი, სხვადასხვა სარელაქსაციო მასაჟებით, ტალახის აბაზანებითა და მინერალური წყლებით. იგი შეიძლება მოიცავდეს ცხელი ან ცივი წყალით მასაჟს, რელაქსაციით ან სტიმულაციის მეთოდით. მინერალური წყლები მდიდარია ისეთი მინერალებით როგორებიცაა: გოგირდი, სელენიუმი, რადონი და სხვა.

განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენს საქართველოში არსებული რეკრეაციული და ბალნეოლოგიური ადგილები.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობით, საქართველოში სულ უფრო და მეტად ვითარდება ტურიზმი და ასევე დიდი დაინტერესებაა სამედიცინო ტურიზმით. აუცილებელია მთავრობის ჩართულობასთან ერთად, კერძო სექტორის მონაწილეობა, ამ პროცესების შედეგები კი დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ და ფინანსურ მდგრადობაზე.

Global wellness economy-ს მიხედვით საქართველო 103 ადგილზეა, ქვეყნის კეთილღეობის ინდექსით. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობით, საქართველოში ბოლო წლებში შემოსულია 1,881,281 ტურისტი, აქედან 8.9% მკურნალობა-გაჯანსაღებაზე მოდის. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით წარმოგიდგენთ დიაგრამას, ვიზიტორების მთავარია მიზნის მიხედვით.

დიაგრამა N1. ვიზიტის მთავარი მიზანი



საქართველოს გააჩნია 103 კურორტი და 168 საკურორტო ადგილი. კლიმატური პირობები, ბალნეოლოგიური დესტინაციები და თერაპიული პროცედურები ხელს უწყობს საქართველოში ჯანმრთელობის ტურიზმის განვითარებას. უნდა აღნიშნოს რომ ქართული კურორტები: წყალტუბო, აბასთუმანი და ბორჯომი სარგებლობენ საკავშრო მნიშვნელობის. აბასთუმნისა და ბორჯომის მსგავსად, წყალტუბოს მინერალური წყლების ანალოგი მსოფლიოში არ გვხვდება. უნდა აღინიშნოს რომ წყალტუბოს მინერალური წყლის უნიკალურობა, რომელიც შეიცავს ნივთიერება რადონს. რადონულ წყლებს საუცხოო სამკურნალო თვისებები აქვს, მას იყენებენ ისეთი დავაადებების სამკურნალოდ როგორიცაა: საყრდენ-მამოძრავებელი, გულ-სისლძარღვთა,ნერვული სისტემის დაავადები. რადონის მიღებისაგან თერაპიული ეფექტის ვადები დამოკიდებულია დაავადების ფორმაზე, მის სტადიასა და ორგანიზმის მდგომარეობაზე. ის იწყება მკურნალობის კურსის გავლისას, აღწევს თავის მაქსიმუმს 1,5-2 თვის შემდეგ და გრძელდება ნახევარი წლიდან წელიწად ნახევრამდე. რადონულ წყლებს რამდენადც კარგი საკმურნალო თვისებები აქვს იმდენად აქვს უკუჩვენებებიც და ამიტომ აუცილებელია ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა. ასევე უნიკალურია ჩვენს დედაქალაქში არსებული კურორტი, რომელიც ცნობილია თერმულ-გოგირდოვანი მინერალური წყლებით. ხალხი გოგირდოვან წყლებს საუკუნეების მანძლზე იყენებდა აბანოების სახით. გოგირდის წყლებს აქვს უნიკალური გამაჯანსაღებელი, სამკურნალო და რეკრეაციული დანიშნულება, რომელიც ბალნეოლო-გიური კურორტის შენობაშია თავმოყრილი და გაერთიანებული. კურორტმა ფუნქციონირება დაიწყო 1938 წელს და დღეს მინიჭებული აქვს კულტურული მემეკვიდრეობის სტატუსი.

ჯანმრთელობის ტურიზმით ასეთმა მაღალმა ინტერესმა გამოიწვია ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. კლინიკის მფლობელებმა დაიწყეს ფიქრი მომსახურების გაფართოებაზე და მომსახურების მიღების კომფორტულობაზე. დღესდღეობით დიდ კლინიკებს ცალკე სექტორები აქვთ რათა სწრაფად და ხარისხიანად მოხდეს მომსახურების გაწევა უცხოელ პაციენტებზე.

დიდ ინტერესს გამოთქვავენ ტურისტები სტომატოლოგიურ და ესთეთიკურ მედიცინაზე. ჩვენ ჩავატარეთ კვლევა და გამოვკითხეთ ერთ-ერთი სტომატოლოგიური კლინიკა (Megadent), 15 წლიანი გამოცდილებით, რომელიც ძირითადად უცხოელ ტურისტებზე არის ორიენტირებული.

კლინიკის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, უცხოლ პაციენტებს შორის უმრავლესობას წარმოადგენენ არაბები და ისრაელის მოქალაქეები. ისინი მაღალი ხარისხის და დაბალი ფასის გამო უპირატესობას ანიჭებენ საქართველოში ვიზიტს და უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უმეტეს წილად ზაფხულის პერიოდია მეტად დატვირთული.

დასკვნა

სამედიცინო ტურიზმის პოპულარიზაციისთვის საჭიროა მუდმივი განვითარება და წინსვლა, რაც მოიცავს პერიოდულად ცვეთადი ინფრასტრუქტურის განახლებას, სამედიცინო პროცედურების

გამრავალფეროვნებას, მარკეტინგის ეფექტურ მართვას, დასაქმებულთა პერიოდულ გადამზადებას მათივე კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. მიგვაჩნია, რომ ამგვარი ქმედებებით, გაცილებით მეტი ტურისტის გულს მოიგებენ , ყველაზე პრეტენზიული ტურისტებსაც კი, ლოიალურ მომხმარებლებად აქცევენ. საბოლოოდ კი, სამედიცინო ტურიზმის ბაზრის ამგვარი სახეცვლილება, ქვეყანას საშუალებას მისცემს თავისი თავი მყარად და მდგრადად დაიმკვიდროს მსოფლიო რუკაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლარისა დოლიკაშვილი; კობა არაბული; „ტურიზმის საფუძვლები“ თბილისი 2021
2. https://gnta.ge/
3. https://www.geostat.ge/
4. https://balneo.ge/
5. https://tskaltuboresort.ge/
6. https://www.wto.org/
7. https://globalwellnessinstitute.org/
8. http://chapidze.ge/

Promotion of medical tourism in Georgia

Elisabed Malania
Associate Professor of Georgian Technical University

Nato Maliashvili
Master's student of Technical University of Georgia

Abstract

Medical tourism is relatively new, but rapidly developing field. Its growing importance is indicated by the fact that more than 50 countries in the world have adopted the development of medical tourism at the level of state policy. Georgia is distinguished by its geographical location, which has a lot of resources to attract tourists and meet the demands..

It gave a new concept of modern health: when a patient cannot solve a health problem in his country, he chooses his desired country, doctor, clinic, where the most modern treatment and diagnostic methods will be offered at an affordable price.

It is important to understand the desires of tourists, motivations to their preferences in terms of services and products. In turn, in the conditions of global economic competition, medical tourism contributes to the faster development of medicine and may significantly change the face of national healthcare systems.

In this regard, it is interesting to see what potential Georgia has today in terms of medical tourism, whether there is a demand for them and what is planned to develop and refine this potential.

შიდა კონტროლის სისტემის დანერგვისა და განვითარების პროცესები საქართველოში

მამალაძე ირინე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

შიდა კონტროლის სრულყოფილი სისტემის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, რადგან მისი საშუალებით ხდება დაწესებულების როგორც მენეჯერული, ასევე ფინანსური კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბება, რომელმაც შესაძლოა მოიცვას ორგანიზაციულ სტრუქტურა, პროცედურები ან/და მეთოდები, ამასთანავე შიდა აუდიტის ფუნქციაც (საქართველოს პარლამენტი, 2010), რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს დაწესებულებას, დასახულ მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება არც ისე მცირე დროს ითვლის, დღემდე არსებობს პრობლემური საკითხები, რომელიც მოითხოვს გადაჭრის გზების ძიებასა და გაუმჯობესებას. საბიუჯეტო დაწესებულებები ხასიათდებიან ისეთი რისკებით, როგორიცაა საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად, არაეკონომიურად, არაპროდუქტიულად და არაეფექტიანად განკარგვა, თაღლითობა, მითვისება, კორუფცია, რესურსების არარაციონალური ხარჯვა და სხვა. ამასთან, არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და მნიშვნელობა, რადგან იგი გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: საბიუჯეტო სახსრები, არამიზნობრიობა, კორუფცია, არარაციონალური ხარჯვა, შიდა კონტროლი, ჰარმონიზაცია, ფინანსური კონტროლი.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში 2014 წლიდან მიმდინარეობს საჯარო მმართველობის რეფორმა, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანების ერთ-ერთ ფუნდამენტური წინაპირობას წარმოადგენს (საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, 2014, მუხლი 4). გარდა ამისა ეფექტიან საჯარო მმართველობას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ქვეყნის სწორ მართვაში, დასახული მიზნების მიღწევასა და ეკონომიკის განვითარებაში, რადგან იგი „სათანადო კანონმდებლობასა და დამოუკიდებელ სასამართლოსთან ერთად წარმოადგენს ფუნქციონირებადი ბაზრის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას“ (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI); ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), 2021).

2015 წელს შემუშავდა „საქართველოს საჯარო მმართველობის გზამკვლევი 2020“, რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბდა ევროპულ სტანდარტებთან მისადაგებული კონცეპტუალური ჩარჩო და მექანიზმები (იხ. ინფოგრაფიკი 1.). აღნიშნული დოკუმენტი განისაზღვრა, როგორც „ქოლგა“ დოკუმენტი, რომელმაც გააერთიანა სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა სფეროები (საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, 2015)

როგორც ინფოგრაფიკზე ჩანს, საჯარო ფინანსების მართვა რეფორმის შემადგენელი კომპონენ-ტია, რომელსაც თავის მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი უკავია ქვეყნის განვითარებაში, რადგან იგი არის საფუძველი „კარგი მმართველობის[1]“ დამკვიდრების.

საჯარო ფინანსების მიმართულებით, საქართველოში რეფორმა 2004 წლიდან დაიწყო, რომლის მიზანს გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული საბიუჯეტო სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენდა (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, The European Union for Georgia, 2017). აღნიშნული მიმართულებით განხორციელდა:

- კანონმდებლობის ჰარმონიზაცია;
- პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიის შემუშავება;

[1] “Good Governance“

❖ საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციაში ცვლილებები (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2016) და სხვა.

ინფოგრაფიკი 1. საჯარო მმართველობის რეფორმა



წყარო: ინფოგრაფიკი „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020"-ის მიხედვით

უნდა აღინიშნოს, რომ შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება და განვითარებაც სწორედ საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის შემადგენელი ნაწილია, რომელიც თავის მხრივ გათვალისწინებულია საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების და საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმებში.

ძირითადი რეფორმა შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვის მიმართულებით 2009 წლიდან დაიწყო, რომლის საფუძველი იყო საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის განვითარების პირველ ეტაპზე განსაზღვრული სამი მნიშვნელოვანი პირობა:

აღნიშნულის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავდა „სახელმწიფო

სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის შესახებ“ სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც მოიცავდა 2009-2013 წლების პერიოდს და განსაზღვრავდა შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების გეგმასა და ღონისძიებებს (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2009, გვ. 17). აღნიშნული დოკუმენტის საფუძველს ევროკავშირის მიერ შემუშავებულ კონცეფცია - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლი (PIFC)[1] და INTOSAI მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოები და სტანდარტები წარმოადგენდა. მიმდინარე რეფორმის ფარგლებში დიდი მნიშვნელობა მიენიჭა საჯარო სექტორში შიდა აუდიტის ფუნქციის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, რა მიმართულებითაც დამატებით გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები.

2010 წელს დამტკიცდა კანონი „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“, რომელიც 2011 წელს ფუნდამენტურად შეიცვალა. აღნიშნულ ფარგლებში არსებითი ცვლილები იყო ის, რომ შეეცვალა სახელწოდება - „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით და ამავდროულად, მთლიანად მოერგო საერთაშორისო სტანდარტებს (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2014). გარდა ამისა, კანონით განისაზღვრა საქართველოს სამინისტროებში, ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებში, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებში – გამგეობებში (მერიებში) და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში შიდა აუდიტის სუბიექტების ჩამოყალიბების ვალდებულება. კანონი ასევე არეგულირებდა თითოეული აუდიტის სუბიექტის ფუნქციონირების საკითხებს, უფლებებსა და მოვალეობებს, პასუხისმგებლობებსა და დამოუკიდებლობის პრინციპებს (საქართველოს პარლამენტი, 2010).

როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის ჩამოყალიბებაში, სრულყოფილ და ეფექტიან ფუნქციონირებაში მნიშვნელოვანი როლი უკავია ჰარმონიზაციის ცენტრს[2], რომლის ინსტიტუციური გაძლიერება მოხდა 2015 წელს, რაც მოიცავდა სტატუსისა და ფუნქციების დაზუსტებას (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2018). ამ ეტაპზე კი ჰარმონიზაციის ცენტრის ფუნქციებს ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტი.

რაც შეეხება ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებას საბიუჯეტო დაწესებულებებში, ამ მიმართულებით რეფორმის პირველი ნაწილი 2015 წელს დაიწყო, რომლის მიზანიც იყო - შიდა ფინანსური კონტროლის მექანიზმები შემუშავება (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, The European Union for Georgia, 2017). აღსანიშნავია ისიც, რომ საჯარო ფინანსების მართვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, 2017 წელს დამტკიცდა „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქცია“, რომლის რეგულირების სფეროს დაწესებულების მიზნების მისაღწევად საჭირო ყველა შიდა კონტროლის ღონისძიება წარმოადგენს (საქართველოს მთავრობა, 2017), ასევე 2017-2019 წლებისთვის შემუშავდა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სტრატეგია“, სადაც არსებული მდგომარეობის, ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირებისა და SWOT ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებისა და დანერგვისთვის საჭირო ეტაპები, მასში ჩართული საბიუჯეტო ორგანიზაციები და გასატარებელი ღონისძიებები (საქართველოს მთავრობა, 2017).

საბოლოოდ, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის შედეგები დადებითად შეიძლება შეფასდეს, რომელსაც ადასტურებს საერთაშორისო კვლევები, მათ შორის ერთ-ერთია „სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) ეფექტიანობის შეფასების ანგარიში“. აღნიშული შეფასების ფარგლებში ინდიკატორთა დიდი ნაწილი შეფასებულია საუკეთესო - A ქულით (PEFA-ს სამდივნო, 2018).

2021 წელს გამოქვეყნდა „საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ალტერნატიული ანგარიში“, რომლის ფარგლებშიც დადებითად

[1] Public Internal Financial Control;
[2] Central Harmonization Unit

არის შეფასებული საჯარო ფინანსების მიმართულება, რადგან არ გამოვლენილა შეუსრულებელი ამოცანები და აქტივობები (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), 2021), თუმცა ვლინდება გარკვეული ხარვეზები, რომელის გამოსწორების მიზნით შეთავაზებულია რეკომენ-დაციები.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში შიდა კონტროლის სისტემის სრულყოფის მიმართუ-ლებით ორი ათეული წელია მიმდინარეობს რეფორმების განხორციელება, დღემდე კვლავაც რჩება საბიუჯეტო დაწესებულებებში შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებასთან დაკავშირებილი მთელი რიგი პრობლემური საკითხები:

1.არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა;

2.საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შეუსაბამობა;

3.საბიუჯეტო დაწესებულების მენეჯერების დაბალი ცნობიერება და ნაკლები მხარდაჭერა;

4. შიდა აუდიტის სუბიექტის არაეფექტიანი ჩამოყალიბება და ფუნქციონირება;

ასევე გასათვალისწიმებელია საბიუჯეტო დაწესებულებებში შიდა კონტროლის სისტემის, როგორც ევროკავშირში გაწევრიანებისთვის აუცილებელი ერთ-ერთი ძირითდი მოთხოვნა, ასევე მისი ეფექტიანი ფუნქციონირების მნიშვნელობა და გავლენა ქვეყნის განვითარების მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საბაური, ლ. (2018). „აუდიტორული ორგანიზაციის საქმიანობის ხარისხის შიდა კონტროლის უზრუნველყოფის აქტუალური საკითხები “. მოპოვებული https://tsu.ge/: http://eprints.tsu.ge/1597/1/Topical%20issues%20of%20ensuring%20the%20internal%20quality%20control%20of%20the%20auditing%20organizations.pdf-დან
2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA). (2021). „საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ალტერნატიული ანგარიში- ფინანსების მართვა“. მოპოვებული https://www.partracker.ge/ka: https://www.partracker.ge/mwg-internal/de5fs23hu73ds/progress?id=oqwmsqMxnDO64nmRh0aJ9DOHmkEpUiqhvS_cstnvK4E,&dl-დან
3. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (GYLA) . (2020). „საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების შუალედური ალტერნატიული ანგარიში - მიმართულება საჯარო ფინანსები“. მოპოვებული https://www.partracker.ge/ka: https://www.partracker.ge/mwg-internal/de5fs23hu73ds/progress?id=Xyo6G2dEoG24q2x6lv8CnitONG844BgtJSlRuaZXozM,&dl-
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. (2021). „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ N02/ნ ბრძანება. მოპოვებული https://matsne.gov.ge/: https://matsne.gov.ge/document/view/5129512?publication=0-დან
5. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი. (2020). „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ N2-874 ბრძანება. მოპოვებული https://matsne.gov.ge/: https://matsne.gov.ge/document/view/5004536?publication=0-დან

Internal control system implementation and development processes in Georgia

Irine Mamaladze
Professor of Technical University of Georgia

Abstract

The existence of a complete system of internal control is especially important for a developing country like Georgia, because it enables the establishment of both managerial and financial control mechanisms of the institution, which may include organizational structure, procedures and/or methods, as well as the internal audit function (Parliament of Georgia, 2010). , which in turn helps the institution to achieve its goals and objectives.

Although the formation and development of the internal control system in Georgia does not count for a short time, there are still problematic issues that require the search for solutions and improvement. Budgetary institutions are characterized by such risks as untargeted, uneconomical, unproductive and ineffective disposal of budget funds, fraud, embezzlement, corruption, irrational spending of resources and others. However, there is high public interest and importance because it affects the economic development of the country.

Key words: budget funds, non-targeting, corruption, irrational spending, internal control, harmonization, financial control.

ტურისტული ბაზარი და მისი ფორმირებები

მამფორია ნანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბრამიშვილი ნათია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი

აბსტრაქტი

სტატიაში მიმოხილულია ტურისტული ბაზარი, ტურისტული ბაზრის ფუნქციები. თუ რა ხდება ბაზარზე, ტურისტული საწარმოს განვითარება როგორ და რა მხრივაა შესაძლებელი, რა პოზიცია გვაქვს კონკურენტებთან შედარებით.

ტურიზმის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ტურისტული რესურსების პოტენციალი. ტურისტული რესურსები განიხილება, როგორც ეკონომიკური ღირებულების მქონე მატერიალური რესურსები ტურიზმის სექტორისათვის. ის გეოგრაფიული ელემენტები, რომლებიც განკუთვნილია ქვეყანაში ან რეგიონში დანიშნულების ადგილზე შემოსული ვიზიტორის კეთილგანწყობის, კომფორტისა თუ სიამოვნების მისაღებად ითვლება ტურისტულ რესურსად. ტურიზმის მიზნით რესურსების გამოყენება შეზღუდულია, რადგან ის ტურისტების ფიზიკურ უსაფრთხოებასა და ჰიგიენური ნორმების მაქსიმალურ დაცვას უნდა უზრუნველყოფდეს. ტურისტული რესურსის კონცეფცია არის პროდუქტი, რომელიც შეიძლება შევთავაზოთ ტურისტს მისი აუცილებელი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, იქნება ეს იდეა, რაიმე სახის ობიექტები, თუ გარკვეული ადგილები.

ტურისტულ ბაზარში უმნიშვნელოვანესია ტურიზმის დაგეგმვის მეთოდები. ტურიზმის მარკეტინგს ნებისმიერი ქვეყნის თუ რეგიონისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მარკეტინგის წყალობით პოტენციური ტურისტები იღებენ ინფორმაციას მოცემული რეგიონის შესახებ, თუ რატომ უნდა გაუჩნდეთ ამ რეგიონში მოგზაურობის სურვილი. ბაზრის დაგეგმვა არის ტურიზმის განვითარების საერთო დაგეგმვის განუყოფელი ნაწილი.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმის ბაზარი, ეკონომიკური ბერკეტები, პროდუქტის მიწოდება, ტურისტული საწარმო, მარკეტინგული გამოკვლევები, მომხმარებელთა ჯგუფი.

ძირითადი ტექსტი

ტურიზმის ბაზარი ტურისტული პროდუქტის რეალიზაციის და ეკონომიკური ურთიერ-თობების სფეროა. ეს სფერო ტურისტული პროდუქტის მყიდველებს და გამყიდველებს შორის ჩნდება. ტურისტულ ბაზარს აქვს თავისი ფუნქციები, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: 1) ტურისტული პროდუქტები, რაც ტურისტისთვის სასარგებლოა, მისი მოთხოვნილებების შესაბამისი პროდუქტის ღირებულების რეალიზაცია; 2) შრომის მატერიალური სტიმულირების ეკონომიკური უზრუნველ-ყოფა; 3) პროცესის ორგანიზაცია, რომელსაც ტურისტული პროდუქტი მომხმარებლამდე მიაქვს.

ტურისტულ ბაზარზე ხდება ტურისტული საწარმოს მიერ შეთავაზებული პროდუქტის მიწოდება და მის საფუძველზე კეთდება ტურისტის მოთხოვნის განსაზღვრა ტურისტულ პროდუქტზე. მოთხოვნა გადახდისუნარიანია თუ თანხით უზრუნველყოფილია. მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება მრავალფეროვანი ეკონომიკური ბერკეტების სისტემის გამოყენებით ტურისტული ბაზრის ფუნქციონირების მთავარი პირობაა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ბაზარზე პროდუქტის მიწოდების ფორმას, კერძოდ დისტრიბუციას, ანუ ტურისტული პროდუქტის მიწოდება საბოლოო მომხმარებლამდე. თუ დისტრიბუცია სწორად და გამართულად მუშაობს ტურისტული კომპანიის წარმატება გარანტირებულია.

ბაზარზე ახალი ტურისტული მომსახურების ამოქმედებით შეიძლება უკეთესი ეფექტის მიღება ბაზარზე, ან შეიძლება ძველი, უკვე არსებულის სრულყოფა, რაც უფრო მეტი სარგებლის მოტანას უზრუნველყოფს. თუ გვეცოდინება ბაზრის სიდიდე, სიტუაციას სწორად შევაფასებთ: თუ რა ხდება

ბაზარზე, ტურისტული საწარმოს განვითარება როგორ და რა მხრივაა შესაძლებელი, რა პოზიცია გვაქვს კონკურენტებთან შედარებით. სხვადასხვა რეგიონისთვის და პერიოდისთვის შეიძლება შედგეს გაყიდვების პროგრამა. ამიტომაა აუცილებელი განისაზღვროს ბაზრის ზომა, რაც გვეხმარება: ბაზარზე ავამუშავოთ ახალი ტურისტული პროგრამა, გავაფართოვოთ გაყიდვების საზღვარი, უფრო სრულყოფილი გავხადოთ ტურისტული მომსახურება. ახალი ტუროპროდუქტის ან ახალი ტურისტული ბაზრის ათვისებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ მომავალი მომხმარებლების მოთხოვნილებები და საჭიროებები. მარკეტინგული გამოკვლევების საშუალებით შეიძლება გაკეთდეს პროგნოზი, ეს მიმართულებებია: ბაზრის ტევადობა, მომხმარებლები, კონკურენტები, მომწოდებლები, შუამავლები და ტურისტული პროდუქტი. მარკეტინგული ანალიზი ტარდება მასობრივი ინფორ-მაციის საშუალებების კონტროლით, მონაცემების შეგროვებით აგენტებიდან და პარტნიორებიდან, ტურისტულ ბაზრობებზე მონაწილეობით, მოსახლეობის წინასწარ შერჩეული ნაწილის ანკეტირებით.

ტურისტული ბაზარი მყიდველებისგან და გამყიდველებისგან შედგება, თითოეული მყიდველი განსხვავდება მოთხოვნილებით და ცალკეულ ბაზრის სეგმენტს წარმოადგენს. გამყიდველი ადგენს ცალკეულ პროგრამას მათი მოთხოვნილებების გათვალისწინებით. უნდა შეირჩეს მიზნობრივი ბაზარი, რაც არის საერთო საჭიროებების ან მახასიათებლების მქონე ტურისტების ჯგუფი, რომელსაც კომპანია მოემსახურება, რადგან ყველა მომხმარებლის მოთხოვნილების ერთდროულად შესრულება შეუძლებელია. მიზნობრივი ბაზრის შერჩევაზე დამოკიდებულია წარმოების საქმიანობა და მისი ეფექტიანობა. ბაზრის სეგმენტი უნდა იყოს საკმარისად ტევადი, იმისათვის რომ შეძლოს დანახარჯების დაფარვა და მოიტანოს მოგება, იყოს მზარდი.

ტურისტულმა ფირმამ უნდა მიიღოს ინფორმაცია პროდუქტის დანერგვის შემთხვევაში, იქნება თუ არა მომგებიანი და მომხმარებელთა ჯგუფის მიერ მოწონებული. კონკურენტებს ხომ არ აქვთ მსგავსი პროდუქტი, რომელსაც უფრო მყარი პოზიცია გააჩნია. უნდა შეფასდეს რისკი კონკურენტების მოსალოდნელი რეაქციის შესახებ, გაყიდვების და მოგების მოცულობა უნდა იყოს წინასწარ მიახლოებით პროგნოზირებული.

საქართველოს ტურისტული ბაზრის მდგომარეობის და მისი განვითარების მიმართულებების და პერსპექტივების შესახებ ჩატარებულია არაერთი მარკეტინგული კვლევა. კვლევის მიზანი ტურიზმის ინფრასტრუქტურის, კერძოდ, სასტუმრო ბიზნესის მდგომარეობის განსაზღვრა და მისი განვითარების პერსპექტივების დადგენაა.

ტურიზმის ინდუსტრიის ტემპის მაჩვენებელი ყოველ წელს უფრო და უფრო იზრდება. UNTWO-ს გაანგარიშებით საერთაშორისო მოგზაურების სტაბილური, საშუალოდ 3,3%- იანი ზრდის ტემპი 2030 წლამდე შენარჩუნდება.

დასკვნა

საბაზო მომზადების სისტემაში გამოყენებული მეთოდები და ხერხები უნდა იყოს მოდერ-ნიზებული და სწავლება უნდა წარმოადგენდეს კომპლექსურ, უწყვეტ პროცესს. ცოდნის საფუძველზე პერსონალს უნდა შეეძლოს სწრაფად შეაფასოს სიტუაცია და შეარჩიოს მოქმედების ოპტიმალური ვარიანტი.

ტურიზმის განვითარება უკავშირდება ბუნებას, ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობას. მას დიდად უწყობს ხელს ქვეყანაში არსებული ტურისტული რესურსი. რესურსები ეხმარება ტურისტულ რეგიონებს ვიზიტორების მოზიდვაში. ტურისტების მოსაზიდად აუცილებელია სუფთა ეკოლოგიური გარემო, გამართული ინფრასტრუქტურა და საინტერესო ტურისტული მარშრუტები.

ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი პირობაა რეგიონებისათვის ტურიზმის სახეობების შერჩევა. ტურიზმის კარგად შერჩეულ სეგმენტს შეუძლია უფრო მეტი ვიზიტორის მოზიდვა რეგიონში და ეხმარება რეგიონის ბიუჯეტს.

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ: კარგად დაგეგმილ და გამართულ ტურიზმის პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს, გააჩნია კარგი შესაძლებლობა ადგილობრივი ეკონომიკის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ტურიზმის დაგეგმვა მნიშვნელოვანია

ტურიზმის მდგრადობისთვის და ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსების დაცვას, რაზეც დამოკიდებულია ტურიზმის დარგი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოჭლამაზაშვილი ლ., ქართველიშვილი ლ., ტურისტული საწარმოს მენეჯმენტი, თბ., 2013
2. ჭანია მ., „ტურიზმის განვითარების პერსპექტივები და ეკონომიკური ზრდა საქართველოში“, I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. 2016
3. ყორღანაშვილი ლ., ტურიზმის ეკონომიკა, თბ., 2012
4. ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და მსოფლიო გამოცდილება. https://gnta.ge/ge/publication
5. ტურიზმის განვითარება. https://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/Business-Development

Tourist market and its formations

Nani Mamporia
Associate Professor of Georgian Technical University

Abramishvili Natia
Master's student of Georgian Technical University

Abstract

The article reviews the tourist market, functions of the tourist market. What is happening in the market, how and in what respect is the development of the tourist enterprise possible, what is our position compared to our competitors.

The potential of tourist resources is very important for the development of tourism. Tourism resources are considered as material resources with economic value for the tourism sector. Those geographical elements which are intended to attract, comfort or pleasure visitors to a destination in a country or region are considered tourism resources. The use of resources for the purpose of tourism is limited, as it must ensure the physical safety of tourists and the maximum observance of hygienic norms. The concept of a tourist resource is a product that can be offered to a tourist to satisfy his essential demand, whether it is an idea, some kind of facilities, or certain places.

Tourism planning methods are the most important in the tourist market. Tourism marketing is of special importance for any country or region. Thanks to marketing, potential tourists receive information about a given region, why they should want to travel to this region. Market planning is an integral part of overall tourism development planning.

Keywords: tourism market, Economic leverage, Product delivery, tourist enterprise, Marketing research, user group.

დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის აქტუალური საკითხები საბიუჯეტო ორგანიზაციებში

მარგიანი ჯილდა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი

გრიგალაშვილი ბიძინა
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
შემოსავლების სამსახურის საბაჟო-საგადასახადო
მეთოდოლოგიის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი

გრიგალაშვილი ლევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვამ აქტუალური გახადა დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ანგარიშთა გეგმის მიხედვით ასახვა. მნიშვნელოვან საკითხს და ასევე აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ახალი ანგარიშთა გეგმის მიხედვით დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის საკითხები, რომელთა სიზუსტით და სტანდარტების მიხედვით აღრიცხვა წარმოადგენს ორგანიზაციებისთვის აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხს. თანამედროვე გადმოსახედიდან დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის და ანგარიშგების ახალი ანგარიშთა გეგმის მიხედვით აღრიცხვა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ახალი ანგარიშთა გეგმა საშუალებას გვაძლევს დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები ვიწრო რგოლად იქნეს ჩაშლილი, რომელსაც ძველი ანგარიშთა გეგმა ვერ უზრუნველყოფდა. ახალი ანგარიშთა გეგმა ორგანიზაციებს აძლევს იმის საშუალებას, რომ დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები მაქსიმალური სიზუსტით ასახონ ბუღალტრულ ანგარიშთა გეგმაში.

საკვანძო სიტყვები: ანგარიშთა გეგმა, დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები, ფინანსური კრიზისი, აღრიცხვა ანგარიშგება.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში საბუღალტრო აღრიცხვის და ანგარიშგების ახალი სისტემის ჩამოყალიბება 90-იანი წლებიდან დაიწყო. ეს ყველაფერი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ განაპირობა, რომელმაც კერძო და სახელმწიფო სექტორებში სააღრიცხვო სისტემის რეფორმირების აუცილებლობა გამოიწვია.

საჯარო სამართლის სუბიექტებში მანამდე მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვა- ანგარიშგების სისტემა ეფუძნებოდა საზოგადოებრივ ინტერესებს და სახელმწიფო მოთხოვნებს. ფინანსური და ბუღალტრული ანგარიშგების შედგენისას არ გამოიყენებოდა საერთაშორისო პრაქტიკა, რომელიც რა თქმა უნდა უარყოფითად მოქმედებდა ორგანიზაციათა ფინანსურ მაჩვენებლებზე. მოქმედი კანონმდებლობა არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ბუღალტრებს შეემუშავებინათ საკუთარი სააღრიცხვო პოლიტიკა. სანამ თანამედროვე სტანდარტები დაინერგებოდა, მოქმედი ანგარიშთა გეგმის მიხედვით ვერ ხერხდებოდა ასახულიყო მაგალითად სამეურნეო ოპერაციების არსი, რომელიც შესაბამისობაში იყო საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან.

ასევე საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ განაპირობა სხვადასხვა რისკების წარმოქმნა, რომელსაც მიეკუთვნება წარმოებული პროდუქციის რეალიზება, ინფლაციური პროცესები, ფასების ცვალებადობა. ასევე გაჩნდა ახალი ოპერაციები ინვესტიციები სხვა საწაროთა ფასიან ქაღალდებში, უცხოური ვალუტით ანგარიშსწორება, აქციების გამოშვება, ასევე წარმოიშვა უძრავი ქონების და მიწის ბაზარი და უცხოელი ინვესტორების მოზიდვა. რომელმაც განაპირობა ერთიანი საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის აუცილებლობა.

გლობალიზაციის პირობებში მნიშვნელოვანია ორგანიზაციების დებიტორულ-კრედიტორული

დავალიანებების აღრიცხვის საკითები. იმისათვის, რომ ორგანიზაციები ფუნქციონირებდნენ წარმატებულად ამისათვის აღრიცხვის და ანგარიშგების სისტემა უნდა ჰქონდეთ მოწესრიგებული, რომელიც ერთ-ერთ ძირითად ბერკეტს წარმოადგენს მართვის პროცესში. მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ საჯარო სამართლის სუბიექტებმა ფინანსური სახსრები გამოიყენონ რაციონალურად და ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვა აწარმოონ რაც შეიძლება აკურატულად და მაქსიმალური სიზუსტის დაცვით. დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების აღრიცხა ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს და აღრიცხვის წარმოება უნდა განახორციელონ ნომენკლატურის შესაბამისად.

ორგანიზაციებისთვის დებიტორული დავალიანების აღრიცხვა მნიშვნელოვანია იმ გადმო-სახედიდან, რომ იგი წარმოადგენს ორგანიზაციის ვალდებულებას ინდმეწარმეების, ბანკების და სხვა დაწესებულებების წინაშე.

ფინანსურმა კრიზისმა და გლობალიზაციის პირობებმა განაპირობეს ორგანიზაციების ბრძოლა მაღალი კონკურენციის პირობებში. კონკურენცია განაპირობებს სწორედ, რომ ორგანიზაციებმა დროუ-ლად და მაქსიმალური სიზუსტით უზრუნველყონ დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვა, რომელშიც ანგარიშთა გეგმაა.

ანგარიშთა გეგმის მიხედვის დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვისთვის გამოიყენება ანგარიშთა გეგმის ცალკე ,,ხაზი". დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორების აღრიცხვის ანგარიშები წარმოადგენს ნებისმიერი ორგანიზაციის ანგარიშების განუყოფელ ნაწილს, ვინაიდან მათ გარეშე მათი ფუნქციონირება წარმოუდგენელია. ახალი, თანამედროვე ანგარიშთა გეგმა შთამბეჭდავია ორგანიზაციებისთვის, ვინაიდან, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის ასევე კერძო სამართლის პირებისთვის დებიტორული და კრედიტორული დავალი-ანებების მართვა აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.

დებიტორული დავალიანებები ორგანიზაციას წარმოეშობა საქონლის გაყიდვის შემთხვევაში, ასევე თანამშრომლების წინაშე. თანამშრომლებისთვის ხელფასების და გადასახადების დარიცხვა ახალი ანგარიშთა გეგმის გარეშე შეუძლებელია, რომელიც უნდა წარმოებდეს მუდმივად და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ბუღალტრულ აღრიცხვაში გამოიყენება დებიტორული დავალიანების აღიარების კრიტერიუმები, რომელიც აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს ეკონომიკური სარგებლის მიღების მაღალ ალბათობას და საიმედოდ შეფასებას.

დებიტორული დავალიანებების ახალი ანგარიშთა გეგმის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს კლასიფიკაცია ნომენკლატურის მიხედვით. დებიტორულ დავალიანებებს აჯგუფებენ მოკლევადიან და გრძელვადიან დავალიანებებად. მიმდინარე აქტივს განეკუთვნება მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება.

დებიტორული დავალიანებების ასახვა ახალ ანგარიშთა გეგმაზე წარმოებს, რომლის უმთავრესი არსი მდგომარეობს შემოსავლები და ხარჯები სიზუსტით იყოს ასახული, რომელიც საბოლოოდ გვაძლევს საანგარიშო წლის ბოლოსათვის მოგების და ზარალის მაჩვენებელს. ძველი ანგარიშთა გეგმა შედგებოდა ოთხნიშნა ციფრებისგან, ხოლო ახალი ანგარიშთა გეგმა შედგენილია უკვე 7 ციფრისგან. ანგარიშთა გეგმის პირველი ციფრი ძირითადად გვიჩვენებს ჯგუფის ზომას, მაგალითად ციფრ 2 ში გაერთიანებულია დიდი ჯგუფის ვალდებულებები, რომელსაც მოყვება ორზე პატარა რიცხვი, რომელიც გულისხმობს ვალდებულებების მოკლე ჯგუფს, მომდევნო ორი ციფრით შესაბამისად ვიწროვდება ჯგუფი, როგორც უკვე აღვნიშნეთ ძველი ანგარიშთა გეგმა 4 ციფრისგან შედგებოდა, ახალი ანგარიშთა გეგმა კი 7ციფრისგან შედგება თქო ვახსენეთ, სწორედ ახალი ანგარიშთა გეგმის ჩამოყალიბების მიზანი იყო, რაც შეიძლება დავიწროვებულიყო ჯგუფები ნომენკლატურით.

საბუღალტრო პროგრამები საქართველოში ჩატვირთულია ანგარიშთა გეგმის შესაბამისად, რომელშიც შესაძლებელია დაემატოს ქვეანგარიშები. ანგარიშთა გეგმის შემოწმების მკაცრი რეგულაციები, არ არსებობს თუმცა კომპანიებისთვის იმდენად მოხერხებულია ახალი ანგარიშთა გეგმა, რომ ორგანიზაციათა ბუღალტრები მაქსიმალურად ახორციელებენ ანგარიშთა გეგმის მიხედვით აღიცხვას.

ვინაიდან დებიტორული ანგარიშები თანამედროვე ეკონომიკაში კომპანიების აქტივების შთამბეჭდავ ნაწილს შეადგენს. ამ მხრივ, დებიტორული დავალიანების მართვა მოკლევადიანი ფინანსური პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია. 1-13-6600 (1355) – ანგარიშზე ,,მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან" აღირიცხება ისეთი სახის მოთხოვნები, რომლებიც ორგანიზაციას წარმოექმნება საქონლის, მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და სხვა აქტივების, ასევე სამუშაოებისა და მომსახურების მიწოდების შედეგად. [1. გვ.141]

ვალდებულებების წარმოშობა ხდება მომსახურების მიწოდებისას, საქონლის მიწოდებისას, რომელიც წარმოადგენს მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებას და მისი აღრიცხვა ხდება 2-13-4100 (3210) ანგარიშზე (გაცვლითი ოპერაციების ნაწილში) ან 2-13-9900 ანგარიშზე (არაგაცვლითი ოპერაციების ნაწილში) რომლის დროსაც დადებეტება ხდება აქტივების და ხარჯების შესაბამისი ანგარიშების, ხოლო კრედიტდება 2-13-4100 (3210) ან და2-13-9900 ანგარიში.

დასკვნა

დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის ახალი მეთოდების განხილვისას მივედით იმ დასკვნამდე, რომ მნიშვნელოვანი იყო გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე შემუშავებულიყო ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა. საქართველოში საბუღალტრო აღრიცხვის სისტემაში განხორციელებული ცვლილებებიდან აღსანიშნავია ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების შესახებ ნორმატიული აქტების მიღება და შემუშავება, რომელიც ერთობ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის ანგარიშთა გეგმის ახალი მეთოდების დანერგვისას. ახალი ანგარიშთა გემის დანერგვამ განაპირობა ასევე შექმნილიყო ერთიანი საანგარიშგებო ბაზა. ანგარიშთა გეგმის მთავარ მიზანს ასევე წარმოადგენდა შექმნილიყო ერთიანი აღრიცხვა ანგარიშგების სისტემა, რომელიც რა თქმა უნდა იქნებოდა გამჭირვალე და დადებითად აისახებოდა ორგანიზაციათა ფინანსურ მდგომარეობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გრიგალაშვილი ლ. საბუღალტრო აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2017 წელი, გვ.263;
2. გრიგალაშვილი ლ. საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სისტემური ანალიზი, თბილისი 2015 წ. გვ.119
3. სახოკია გ. ანანიძე ჯ. გიორგიძე ბ. ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, თბილისი 2018, გვ.826
4. გაგნიძე ნ. ბიჭიკაშვილი თ. აუდიტის საფუძვლები, გამომცემლობა ფარნავაზი, გორი 2007 წ. გვ.110
5. გრიგალაშვილი ლ. საჯარო სექტორის აღრიცხვა-ანგარიშგების პრობლემები (სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომების კრებული, საკონფერენციო მასალები), თბ. 2009 წ.

Current issues of accounting of receivables and payables according to the new chart of accounts

Margiani Jilda
Master's student of Georgian Technical University

Grigalashvili Bidzina
Doctor of Business Administration
Revenue Service Customs and Tax Department of Methodology, senior specialist

Grigalashvili Levan
Professor of Georgian Technical University

Abstract

The introduction of international accounting standards made it relevant to reflect receivables and payables according to the chart of accounts. An important issue and also an urgent issue is the accounting of receivables and payables according to the new chart of accounts, whose accuracy and accounting according to the standards is an actual and important issue for organizations. From a modern point of view, accounting and reporting of receivables and payables according to the new chart of accounts is important, since the new chart of accounts allows us to break down the receivables-creditor debts into a narrow circle, which the old chart of accounts could not provide. The new chart of accounts allows organizations to reflect receivables and payables with maximum accuracy in the chart of accounts.

Key words: chart of accounts, receivables and payables, financial crisis, accounting and reporting.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მდგომარეობა კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით 2017-2022 წლებში

მაჭარაშვილი თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი

აბსტრაქტი

კორუფციის აღქმის ინდექსი საერთაშორისოდ აღიარებული ინდექსია, რომელიც ეფუძნება თითოეული სახელმწიფოს დონეზე კორუფციის აღქმის მხრივ არსებული სიტუაციის შეფასებებსა და ანალიზს ადგილობრივ დონეზე. ჩვენი მიზანია განვსაზღვროთ ტენდენციები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის კორუფციის აღქმის თვალსაზრისით 2017-2022 წლებში. 2017 წლიდან 2022 წლამდე საქართველოს შედეგების გააზრებამ გვიჩვენა, რომ კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით საქართველოს ქულები მერყეობდა 55-58 შორის, ხოლო სარეიტინგო პოზიციები 41-46 შორის. აზერბაიჯანის შედეგების გააზრებამ გვიჩვენა, რომ კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით აზერბაიჯანის ქულები მერყეობდა 23-31 შორის, ხოლო სარეიტინგო პოზიციები 122-157 შორის. სომხეთის შედეგების გააზრებამ გვიჩვენა, რომ კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით სომხეთის ქულები მერყეობდა 35-49 შორის, ხოლო სარეიტინგო პოზიციები 58-107 შორის.

კორუფციის აღქმის ინდექსი განისაზღვრება როგორც ქულების, ისე შესაბამისი სარეიტინგო პოზიციების მიხედვით. ინდექსი წარმოადგენს 100 ქულიან სისტემას, სადაც 0 ქულა გულისხმობს კორუფციის ყველაზე მაღალ დონეს, ხოლო 100 ქულა განსაზღვრავს კორუფციისგან ყველაზე დაბალ დონეს. სამივე ქვეყნის შედარებით იკვეთება, რომ მოცემული6 წლების განმავლობაში საქართველოს ჰქონდა ყველაზე უკეთესი ქულები, მას მოჰყვება სომხეთი და აზერბაიჯანი, ისევე როგორც რეიტინგული პოზიციების თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: კორუფცია, ინდექსი, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი

ძირითადი ტექსტი

კორუფციის აღქმის ინდექსი განისაზღვრება სექტორში მომუშავე ექსპერტების მოსაზრებებზე დაყრდნობით კორუფციის დონის შესახებ. 2012 წლამდე აღნიშნული ინდექსი არ იძლეოდა შესაძლებლობას სხვადასხვა ქვეყნის მდგომარეობა ერთმანეთისთვის შეგვედარებინა, მაგრამ 2012 წლიდან მეთოლოგიის დახვეწამ აღნიშნული უკვე შესაძლებელი გახადა. კორუფციის აღქმის ინდექსი საერთაშორისოდ აღიარებული, ავტორიტეტული ორგანიზაციების კვლევების საფუძველზე მზადდება, რომელიც თავისთავად ეფუძნება თითოეული სახელმწიფოს დონეზე კორუფციის აღქმის მხრივ არსებული სიტუაციის შეფასებებსა და ანალიზს ადგილობრივ დონეზე. კორუფციის აღქმის ინდექსი განისაზღვრება როგორც ქულების, ისე შესაბამისი სარეიტინგო პოზიციების მიხედვით. ინდექსი წარმოადგენს 100 ქულიან სისტემას, სადაც 0 ქულა გულისხმობს კორუფციის ყველაზე მაღალ დონეს, ხოლო 100 ქულა განსაზღვრავს კორუფციისგან ყველაზე დაბალ დონეს.

ჩვენი მიზანია განვსაზღვროთ ტენდენციები საქართველოსთვის 2017-2022 წლებში, თუ რა ვითარება იყო კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით.

2017-2022 წლებში საქართველოს ქულები მერყეობდა 55-სა და 58-ს შორის, ხოლო რეიტინგული პოზიციები 41-სა და 46-ს შორის.

აღნიშნული გარემოება მიგვანიშნებს იმაზე, რომ საქრთველომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში გარკვეულ პროგრესს მართლაც მიაღწია, მაგრამ კვლავ გადაუჭრელი რჩება მთელი რიგი პრობლემები, რაც მნიშვნელოვან წინსვლას კვლავ აფერხებს. საჭიროა მეტად მკაფიო და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა კორუფციის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ანგარიშის მიხედვით, საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევებია არაფორმალური გავლენები მნიშვნელოვან ინსტიტუციებზე, სასამართლო რეფორმების არასათანადო დონე, ინსტიტუციების გაძლიერების

მიმართულებით არაჯეროვნად გადადგმული ნაბიჯები, დაფინანსების მონიტორინგის არასათანადო სისტემა.

2017-2022 წლებში აზერბაიჯანის ქულები მერყეობდა 23-სა და 31-ს შორის, ხოლო რეიტინგული პოზიციები 122-სა და 157-ს შორის.



სურათი 1. საქართველოს მდგომარეობა 2017-2022 წლებში კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით



სურათი 2. აზერბაიჯანის მდგომარეობა 2017-2022 წლებში კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით

აზერბაიჯანის პოზიციები ჩამორჩება საქართველოსა და სომხეთისას, ჯერ კიდევ ბევრი არის გასაკეთებელი კორუფციის აღმოფხვრის მიმართულებით. 2022 წელს მას ყველაზე ცუდი პოზიციები აქვს 2017-2022 წლებთან მიმართებით. ძირითად პრობლემას წარმოადგენს ჯერ კიდევ შემორჩენილი ვერტიკალური მართვის სისტემა და მაღალ დონეზე გამჭვირვალეობის ნაკლებობა, რაც ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთკონტროლის სათანადოდ განხორციელების შემაფერხებლად შეიძება იქცეს.

კვლავ გამოწვევად რჩება ანგარიშვალდებულების ნაკლებობდა და გაუმჭვირვალობა სხვადასხვა დონეზე. ანგარიშში საუბარია მთელ რიგ გამოწვევებზე რაც ჯერ კიდევ დასაძლევი აქვს სახელმწიფოს, რათა უკეთესი შედეგები დააფიქსიროს სამომავლოდ.

2017-2022 წლებში სომხეთის ქულები მერყეობდა 35-სა და 49-ს შორის, ხოლო რეიტინგული პოზიციები 58-სა და 107-ს შორის.



სურათი 3. სომხეთის მდგომარეობა 2017-2022 წლებში კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით

სომხეთის პოზიციები უკეთესია ვიდრე აზერბაიჯანის, თუმცა ჩამორჩება საქართველოსას. კორუფციის აღქმის ინდექსში სომხეთის შედეგი მიუთითებს, რომ პრობლემები კვლავ რჩება და ისევ საჭიროა მათ აღმოსაფხვრელად აქტიური მუშაობა. გამოწვევები კი შემდეგია: ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალეობის ნაკლებობა, ნეპოტიზმი, სახელმწიფო ინსტიტუციების არასათანადო მდგრადობა, დამოუკიდებელი ანტიკორუფციული უწყების არ არსებობა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მაჩვენებელი საუკეთესოა აღმოსავლეთ ევროპის (ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოკლებით) და ცენტრალური აზიის რეგიონში. ამ შედეგის მიუხედავად მაინც არსებობს მთელი რიგი გამოწვევები. ანგარიშის მიხედვით, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ნაკლებად გვხვდება წვრილმანი მექრთამეობა, თუმცა არსებობს მთელი რიგი გამოწვევებისა რომელთა აღმოფხვრა კვლავ არ არის დასრულებული. საჭიროა გაგრძელდეს რეფორმები და აქტიური თანამშრომლობა ევროპელ პარტიორებთან მათი გამოცდილების გაზიარების გზით.

2017 წლიდან 2022 წლამდე კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შედეგების გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად გარკვეულწილად სტაბილური პოზიციისა არსებითი, გარდამტეხი გაუმჯობესება ამ წლებში არ დაფიქსირებულა. ამის მიზეზთა შორის არის საჯარო ინსტიტუციებზე არაფორმალური გავლენა, რაც საჭიროებს დაბალანსებას. აუცილებელია გატარდეს უფრო მეტად ქმედითი რეფორმები, საჭიროა გაძლიერდეს მუშაობა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიმართულებით, საარჩევნო სისტემის დახვეწა, თავისუფალი და კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა, საჭიროა შეიქმნას დამოუკიდებელი ანტიკორუფციული ორგანო, უნდა განხორციელდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კიდევ უფრო სიღრმისეული რეფორმა და განმტკიცდეს მისი საზედამხედველო ფუნქციები, მნიშვნელოვანია განხორციელდეს თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციის მონიტორინგი და ანტიკორუფციულ ძალისხმევაში აქტიურად იყონ ჩართულნი კერძო სექტორის წარმომადგენლები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.transparency.org/en/cpi/2017
2. https://www.transparency.org/en/cpi/2018
3. https://www.transparency.org/en/cpi/2019
4. https://www.transparency.org/en/cpi/2020
5. https://www.transparency.org/en/cpi/2021
6. https://www.transparency.org/en/cpi/2022

Conditions of South Caucasus Countries according to Corruption Perception Index in 2017-2022

Tamar Matcharashvili
Georgian Technical University, Assistant Professor

The Corruption Perceptions Index is an internationally recognized index based on assessments and analysis of the situation at the local level in terms of the perception of corruption at the level of each state. Our goal is to identify trends in the perception of corruption for the countries of the South Caucasus in 2017-2022. Understanding the results of Georgia from 2017 to 2022 showed us that according to the Corruption Perception Index, Georgia's scores varied between 55-58, and the rating positions between 41-46. A look at Azerbaijan's results showed that Azerbaijan's scores on the Corruption Perceptions Index ranged from 23-31, and ranking positions ranged from 122-157. A look at Armenia's results showed that Armenia's scores on the Corruption Perceptions Index ranged from 35-49, and ranking positions ranged from 58-107.

The Corruption Perceptions Index is determined by both scores and corresponding ranking positions. The index represents a 100-point system, where 0 points mean the highest level of corruption, and 100 points define the lowest level of corruption. Comparing all three countries, it can be seen that during the given 6 years, Georgia had the best scores, followed by Armenia and Azerbaijan, as well as in terms of ranking positions.

გლობალიზაცია და ტურისტული მომსახურების დაჯავშნის გზები

მეტრეველი მარინა,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

რამიშვილი ლამარა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია ტურისტული პროდუქტების დაჯავშნის გზები და მათი აქტუალურობა ქართულ ტურისტულ ბაზარზე. ჩატარებული კვლევა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესებიდან გამომდინარე, ტურისტული კომპანიების საქმიანობას არ დაუკარგავს აქტუალობა, იმის და მიუხედავად, რომ მათი მომსახურება დიდი რაოდენობით ჩაანაცვლა ონლაინ დაჯავშნებმა.

დღეს უკვე ყველასთვის ხელმისაწვდომია სასტუმროების, თვითმფრინავის ბილეთების ონლაინ დაჯავშნა, მანქანის დაქირავება - ყველას აქვს შესაძლებლობა დამოუკიდებლად დაგეგმოს საკუთარი დასვენება. ამასთანავე, „რატომ უნდა გადავიხადოთ ტურის შერჩევაში დამატებითი თანხა, როცა შეგვიძლია თვალყური ვადევნოთ აქციებს, ვიყიდოთ ბილეთები ნახევარ ფასად, ავირჩიოთ სასტუმრო 30%-იანი ფასდაკლებით და ა.შ.“ გლობალიზაციამ ტურიზმის სფეროშიც შემოიტანა ბევრი სიახლე, შესაბამისად, მოგზაურობა გახდა მეტად მობილური და ხელმისაწვდომი.

ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს გავარკვიოთ დაჯავშნის რომელ გზას მიმართავენ ქართველი მოგზაურები - დაჯავშნების განსახორციელებლად სარგებლობენ ტურისტული კომპანიების მომსახურებით, თუ იყენებენ ინტერნეტის სხვადასხვა პლატფორმებს.

კვლევის ამოცანებია დავადგინოთ:

- წლის განმავლობაში საშუალოდ რამდენი ადამიანი ჯავშნის ტურისტულ მომსახურებას კომპანიის საშუალებით.
- წლის განმავლობაში საშუალოდ რამდენი ადამიანი ჯავშნის ტურისტულ მომსახურებას ონლაინ პლატფორმების საშუალებით.
- საქართველოს მოსახლეობისათვის ტურისტული მომსახურების დაჯავშნის პრიორი-ტეტული გზები.

საკვანძო სიტყვები: ტურისტული კომპანია, ონლაინ დაჯავშნა, ტურისტული სერვისი, გლობალიზაცია, პაკეტური ტურები.

ძირითადი ტექსტი

ტექნოლოგიების განვითარება წინასწარ განსაზღვრავს ურთიერთობის თანამედროვე გზების ჩამოყალიბებას მომხმარებელსა და მომსახურების მიმწოდებელს შორის, რა თქმა უნდა ეს ეხება ტურიზმის სექტორსაც. დღეს ტურისტული სააგენტოები იძულებულნი არიან კონკურენცია გაუწიონ ონლაინ რეჟიმში მომუშავე ამავე სფეროს ისეთ ძლიერ სუბიექტებს როგორებიცაა: Booking და Expedia. თუმცა მომხმარებლები მაინც ეძებენ უფრო მეტ ციფრულ გზებს მოგზაურობისათვის, არ ყოფნით ინფორმაცია და აინტერესებთ რეალური ტურისტების შეფასებები. აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად შეიქმნა ვებგვერდი Tripadvisor, ასევე, ხშირად იყენებენ სხვადასხვა მობილურ აპლიკაციებს. განსაკუთრებით პანდემიის შემდეგ, ყოველწლიურად იზრდება ტურისტული სერვისების ონლაინ დაჯავშნების რაოდენობა, შესაბამისად, შემოსავლებიც. აღნიშნული საქმიანობის განვითარებას ხელს უწყობს მომსახურების საფასურის გადახდის გამარტივება, კერძოდ, საბანკო ბარათის საშუალებით. 2022 წელს ტურიზმის სფეროს ჯავშნების 68% განხორციელდა ონლაინ ფორმატში, Statista-ს შეფასებით, 2026 წლისთვის ონლაინ გაყიდვები ტურიზმიდან მთელი შემოსავლის 73%-ს მიაღწევს. ამ შემთხვევაში საუბარი გვაქვს არა ტურისტული კომპანიის ჩანაცვლებაზე, არამედ დაჯავშნის გზის არჩევაზე.

ზოგადად, აღსანიშნავია, რომ გლობალიზაციამ მრავალი ახალი ტექნოლოგიის შექმნას მისცა ბიძგი, მოგზაურობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და მომხმარებელთან კომუნიკაციის გასამარტივებლად. ასე მაგ., ჩატბოტი (ონლაინ პლატფორმა, რომელიც სპეციალიზებულია ბაზრისა და მომხმარებელთა მონაცემების შეგროვებაზე, ანალიზსა და გამოქვეყნებაზე), რომელიც არის ინოვა-ციური კომუნიკაციის ფორმა. მისი ფუნქციონირება ეფუძნება ხელოვნურ ინტელექტთან ინტერაქციას. ზოგიერთმა ტურისტულმა კომპანიამ შექმნა საკუთარი ბოტები, ზოგი კი იყენებს სხვა პროვაიდერს. ბოტი ჩატში პასუხობს მომხმარებლის შეკითხვებს, ჯავშნის სასტუმროს, ავიაბილეთს და ა.შ.

ასევე შეიძლება განვიხილოთ ბიომეტრიული იდენტიფიკაცია - მოგზაურთა მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად ბიომეტრიული იდენტიფიკაციის ტექნოლოგიის გამოყენების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია აეროპორტები. პეკინის დასინის აეროპორტი იყო პირველი, სადაც მგზავრების შემოწმება სახის ამომცნობი ტექნოლოგიით დაიწყეს, რომელიც შემდგომ სასტუმროებშიც დაინერგა.

ტექნოლოგიის განვითარების ფონზე ჩნდება კითხვა, რამდენად აქტუალურია ტურისტული კომპანიების მომსახურება და ამასთან საინტერესოა რა დადებითი მხარეები აქვს როგორც ონლაინ, ასევე ტურისტული კომპანიის შუამავლობით ტურის დაჯავშნას.

ტურისტული კომპანიის დახმარებით მოგზაურობის დაჯავშნის დადებითი მხარეებია:

- დროის ეკონომია;
- დაბალი ტარიფი - ხშირად ავიაბილეთი გარკვეულ მიმართულებებზე უფრო იაფი ღირს, ვიდრე ავიაკომპანიის საიტზე, ან ტურისტულ პორტალზე, რადგან იძენს ბითუმად;
- უსაფრთხოება - პრობლემის არსებობისას, ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი ტურაგენ-ტთან დაკავშირება და მისგან დახმარების მიღება.

უსაფრთხოება მოგზაურობის ყველაზე მნიშვნელოვანი მხარეა. შესაბამისად, შექმნილია არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მუდმივად ანახლებს უსაფრთხოების მოთხოვნებს, გასცემს რეკომენდაციებს, ქვეყნებში იქმნება კანონები მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ.

რაც შეეხება დამოუკიდებლად ონლაინ დაჯავშნის დადებით მხარეებს, შემდეგია:

- დაჯავშნის შესაძლებლობა 24/7;
- მოქნილი გადახდის სისტემა - ზოგიერთ სასტუმრო ღირებულების გადახდას ითხოვს არა წინასწარ, არამედ ადგილზე, რაც ტურისტულ კომპანიაში არ ხდება.
- მომწოდებლების შედარება - ტურისტული პორტალების საშულებით შესაძლებელია სხვა-დასხვა ტუროპერატორის შემოთავაზების ნახვა და დამოუკიდებლად მათი ერთმანეთთან შედარება, ამისათვის ტურისტული კომპანიების ოფისებში სიარული ან დარეკვა არაა საჭირო.
- მოგზაურობის განრიგის და მარშრუტის სურვილის მიხედვით გადანაწილება;
- ტურისტული კომპანიის მომსახურების საკომისიოზე თანხის დაზოგვა.

თანამედროვე ტრენდებსა და ტენდენციებს ტურიზმმაც უნდა აუწყოს ფეხი და სწორედ ამიტომ, ტურისტულმა კომპანიებმა ტურების გაყიდვა დაიწყეს ონლაინ ფორმატში, როგორც საკუთარი ვებგვერდიდან, ასევე ტურისტული პორტალებიდან. რაც შეეხება საქართველოს, არსებობენ გამყვანი ტურიზმის ტუროპერატორები, რომლებსაც აქვთ პაკეტები ჩარტერული ფრენით თურქეთსა და ეგვიპტეში, ასევე ჯგუფური და ინდივიდუალური ტურები: turi.ge, novatour.ge, fly.ge, Good travel. ავიაბილეთების ონლაინ დაჯავშნა შესაძლებელია საიტზე tkt.ge და რა თქმა უნდა თავად ავიაკომპანიების ვებგვერდებზე. არსებობს ტურისტული პორტალი turebi.ge სადაც შესაძლებელია როგორც ტურის განთავსება, ასევე გაყიდვა. კერძო კომპანიებისთვის ტურის ონლაინ გაყიდვის სისტემის ვებ გვერდზე დამატება დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, თუმცა შემომყვან რამდენიმე ტურისტულ კომპანიას მაინც აქვს ონლაინ სერვისი, მხოლოდ პარტნიორებისათვის, რადგან მუშაობენ ძირითადად B2B ფორმატით, კერძოდ, irest.ge.

რაც შეეხება ქართველ მოგზაურებს, 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური

რაოდენობა ყოველწლიურად მატულობდა 2022-მდე. 2019 წელს 1,187; 2020 წელს 1,040 ადამიანმა იმოგზაურა, 2021 წელს 1,412; 2022 წელს კი 1,361.

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური სურათი წლების მიხედვით კოვიდ პანდემიის გამო მერყევია, მაგალითად 2019 წელს 197,824 ადამიანი შეადგინა; 2020 წელს 51,306; შემდგომ ჩანს მატების ტენდენცია 2021 წელი-44,413; ხოლო 2022-141,099 ადამიანი. ამრიგად საზღვარგარეთ მოგზაურთა რაოდენობა ყოველწლიურად საგრძნობლად მატულობს.

ზემოაღნიშნულ გამოწვევებთან გამკლავების საშუალების მიგნების მიზნით, ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა ონლაინ კვლევა/გამოკითხვა, რომლის საშუალებითაც გამოკვეთილ იქნა, თუ რომელ გზას ირჩევენ პოტენციური ტურისტები ტურისტული პროდუქტის დასაჯავშნად - იყენებენ ტურისტული კომპანიის დახმარებას, თუ ჯავშნიან დამოუკიდებლად ტურისტული პორტალებისა და საიტების საშუალებით. რესპოდენტებისადმი დასმული 20 კითხვიდან მხოლოდ 2 იყო ღია კითხვა, რომელზეც მათ მოუწიათ განმარტების დაწერა. ქვევით მოცემულია კითხვებზე პასუხები დიაგრამების სახით.



დიაგრამა 1. კვლევაში მონაწილეთა საქმიანობა

აღსანიშნავია, რომ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 18 დან 70 წლამდე ასაკის მოგზაურმა, რომელთა 48% დასაქმებულია კერძო კომპანიაში, აქედან 23,2% თვით ტურიზმში დასაქმებულებს წარმოადგენდა (იხ. დიაგრამა 1). როგორც კვლევიდან გამოიკვეთა, აქტიურად მოგზაურობენ 29-39 ასაკის ადამიანები. გამოკითხულთა 47% დაოჯახებულია და ჰყავს შვილი, 38-%-მდე კი დასაოჯახებელია, ნაწილი - განქორწინებული. აღსანიშნავია, რომ გამოკითხვაში აქტიურ მონაწილეობას მდედრობითი სქესის წარმომადგენლები იღებდნენ (62%).



დიაგრამა 2. რომელ გზას ირჩევთ ტურისტული პროდუქტის დასაჯავშნათ

კითხვაზე რომელ გზას ირჩევთ ტურისტული პროდუქტის დასაჯავშნათ - 46,2% აირჩია დაჯავშნის ორივე გზა, აქედან ტურისტული პორტალებით 40,4%-მა, ხოლო კომპანიით 13,5% (დიაგრამა 2).

კითხვაზე წლის განმავლობში რამდენჯერ ჯავშნით მინიმუმ ერთ ტურისტულ პროდუქტს - სასტუმრო, ტრანსფერი, პაკეტურ ტურს და ა.შ. გამოკითხულთა 54,5%-მა დააფიქსირა 2-3 ჯერ (იხ. დიაგრამა 3).



დიაგრამა 3. წლის განმავლობში რამდენჯერ ჯავშნით მინიმუმ ერთ ტურისტულ პროდუქტს

ასევე, კითხვაზე ტურისტული კომპანიის მომსახურების არჩევისას რა გზით ახორციელებთ ჯავშანს, აზრები ძირითადად ორად გაიყო; ნაწილს საერთოდ არ უსარგებლია ტურისტული კომპანიის მომსახურებით, ნაწილმა განაცხადა, რომ დისტანციურად, ოფისში მისვლით ან კონპანიის საიტის საშუალებით. უმეტესობამ კომპანიისგან ტურპროდუქტის შეძენის დადებითი მხარეებიდან უსაფრთხოებას და კომფორტულობას გაუსვა ხაზი (იხ. დიაგრამა 4).

დიაგრამა 4. ტურისტული კომპანიის მომსახურების არჩევისას რა გზით ახორციელებთ ჯავშანს

კითხვაზე - გთხოვთ დაგვიკონკრეტოთ რატომ იყენებთ ან არ იყენებთ ტურპროდუქტის დასაჯავშნად ტურისტულ პორტალებს, უმრავლესობამ გვიპასუხა რომ იყენებს, მაგრამ იმის და მიუხედავად, რომ დაჯავშნის ასეთი გზა მოსახერხებელია, იაფია და პროგრამის მიმდინარეობისას ცვლილებების მარტივად განხორციელების საშუალებას იძლევა, უსაფრთხოებისა და მეტი გარან-ტიების გათვალისწინებით, მაინც ურჩევნიათ ტურისტული კომპანიების მომსახურებით სარგებლობა.

დასკვნა

კვლევამ გვიჩვენა ტურისტულ კომპანიებს არ დაუკარგავთ აქტუალურობა, ქართველი მოგზაურები ნაკლებად პოპულარულ დესტინაციებზე წასასვლელად, პაკეტური ან ჯგუფური ტურის შესაძენად მიმართავენ კომპანიას და ძირითადად ჯავშნიან დისტანციურად, რადგან გლობალიზაციის შედეგად განვითარებული ტექნოლოგიები ამის საშუალებას იძლევა. თუმცა დამოუკიდებლად ონლაინ პორტალებზე არანაკლები დაჯავშნა ხორციელდება. კვლევიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ დაჯავშნის ორივე გზა თითქმის ერთნაირი რაოდენობით კიდევ რამდენიმე წელი იქნება მოთხოვნადი, შესაბამისად, ტურისტული კომპანიები მაქსიმალურად უნდა ეცადონ, რომ ფეხი აუწყონ თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს, გახდნენ მობილურები და შეძლონ ყველა სერვისის დისტანციურად დაჯავშნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მეტრეველი მ. – „ტურიზმის ბიზნესი“, ფავორიტი პრინტი, თბილისი, 2011, 262-280 გვ.
2. Metreveli, M., Gigauri, N., & Kutateladze R. (2020). Georgian tourism and strategic directions of state policy in terms of crisis. THIJ – Tourism and Hospitality International Journal. pp; 59-77, thijournal.isce.pt
3. Metreveli, M. (2015). PROSPECTS TO IMPROVE THE TOURIST MARKET OPERATION IN GEORGIA, Strategica, International Academic conference. Third Edition. Local versus Global, pp. 353-361
4. Metreveli M. (2011), Tourism Economics and Policy, Publishing house Favoriti Printi, Tbilisi, Georgia. (In Georgian language)
5. Lochbihler P. - Three ways the travel sector can redefine globalization https://www.hospitalitynet.org/opinion/4112222.html
6. К. Безбородова - Новые технологии в туризме, Hotelier.pro, 28.10.2021 https://hotelier.pro/revenue/item/novye-tekhnologii-v-turizme
7. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/100/turizmis-statistika

Globalization and ways of booking tourist services

Metreveli Marina
Professor of Georgian Technical University

Ramishvili Lamara
Master student of Georgian Technical University

Abstract

The article presents the methods of booking tourist products and their relevance in the tourist market of Georgia.

The conducted research confirms the fact that, despite of the global processes taking place in the world, the activities of travel companies have not lost their relevance - Their services replaced by online bookings. Today, booking of the hotel, air tickets or car rental is available for everyone, it could be made by online – travelers has the opportunity to plan their own vacation.

The aim of the research was to find out which booking method Georgian travelers prefer – service of Travel Company, or different Internet platforms, which showed us that both ways of booking will be in demand for a few more years, therefore, travel companies should try their best, to support modern digital technologies, they should be mobile and should have an option to book all services remotely.

Keywords: travel company, online booking, travel service, globalization, package tours.

ეკოტურიზმის როლი საქართველოს ტურიზმის მდგრად განვითარებაში

მეტრეველი მარინა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ჯაფარიძე ოთარ
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

გარემოს და განვითარების პოლიტიკის ერთ ჭრილში განხილვის აუცილებლობა ფართოდ არის გაცნობიერებული მსოფლიოში მას შემდეგ, რაც „მდგრადი განვითარება“ ჩამოყალიბდა, როგორც საზოგადოების განვითარების წარმმართველი პრინციპი. მრავალი ქვეყნისათვის გარემოსდაცვითი ასპექტების განხილვა ტურიზმის დარგთან კავშირში ერთი-ერთი მთავარი სექტორული გამოწვევა გახდა.

დღევანდელ მსოფლიოში არსებული ცხოვრების მაღალი სიჩქარისა და ურბანიზაციის პირობებში, ეკოტურიზმი ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ჩამოყალიბდა. როგოც მსოფლიო ტურიზმის ასოციაცია, ასევე საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ეკოტურიზმი აღიარებულ იქნა პრიორიტეტულ მიმართულებად. ის მსოფლიოს მდგრადი განვითარების საკითხში უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომი ეძღვნება საქართველოს ეკოტურისტული პოტენციალის შენარჩუნებას და მისი განვითარებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებების იდენტიფიცირებას.

ნაშრომში აღწერილია ეკოტურიზმის ძირითადი მიმართულებები და მასში არსებული პრობლემები; განსაზღვულია მისი განვითარების შესაძლებლობები; ასევე, მოცემულია ემპირიული კვლევა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს საქართველოში ეკოტურიზმის განვითარების შემაფერხებელი და ხელშემწყობი ფაქტორების გამოკვეთა. აღნიშნული კვლევისა და ეკოტურიზმში მომუშავე გიდების გამოკითხვის ანალიზის შედეგად განვსაზღვრეთ საკვლევი თემისათვის აქტუალური საკითხები.

ნაშრომის ძირითადი ამოცანაა კვლევის საფუძველზე მიღებული დასკვნების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები დაინერგოს და გამოყენებულ იქნას ქვეყანაში მდგრადი ტურიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახეობის - ეკოტურიზმის განვითარებისა და ხელშესაწყობისთვის.

საკვანძო სიტყვები: ეკოტურიზმის სახეობები, მდგრადი ტურიზმი, დაცული ტერიტორიები, გიდი, ადგილობრივი მოსახლეობა.

ძირითადი ტექსტი

დღეს, როდესაც მსოფლიო დგას მრავალი გამოწვევის წინაშე, ისე როგორც არასდროს არის მნიშვნელოვანი ეკოლოგიაზე და გარემოზე ფიქრი. პანდემიამ და დღეს არსებულმა ბირთვულმა საფრთხემ, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომიდან მომდინარეობს, მსოფლიო ახალი რეალობის წინაშე დააყენა. მდგრადი განვითარება, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და ეკოსისტემის გაუმჯობესება თუ შენარჩუნება მნიშვნელოვანია მომავალი თაობისთვის. ასევე მნიშვნელოვანია ავთენტურ გარემოში ქცევის კულტურის ამაღლება.

საქართველოს ეკონომიკური გაჯანსაღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკოტურიზმის ხელშეწყობა, რომელიც თავის თავში მოიცავს ისეთ სათავგადასავლო მიმართულებებს, როგორებიცაა: ალპინიზმი, ლაშქრობა, აგროტურიზმი. ასევე ისეთი დღესდღეობით ნაკლებპოპულარული - თუმცა დიდი პოტენციალის მქონდე მიმართულებები, როგორებიცაა: სპელეოლოგია, რაფტინგი, დაივინგი, ფრინველზე დაკვირვება (birdwatching).

ეკოტურიზმის განვითარებით ხელი ეწყობა ადგილობრივების აქტიურ ჩართულობას და მათი ცნობიერების ამაღლებას ბუნებრივი გარემოს მდგრადი გამოყენებისთვის, რაც თავის მხრივ დამატებითი ეკონომიკური სარგებლის მომტანია რეგიონის მოსახლეობისთვის. ეკოტურზმის

დადებით როლზე მეტყველებს ისიც, რომ იგი სარგებლიანია ყველა რგოლისთვის როგორც ტურისტული კომპანიებისთვის, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისთვის და გარემოსთვის - ეს იმ დროს როდესაც სხვა ტურისტული მიმართულების სარგებელი ხშირად თავად ამ ტურისტული კომპანიების იქით არ გადის.

ქვეყნისთვის ეკოტურიზმის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩავთვალეთ ჩაგვეტარებინა ემპირიული კვლევა, რომლის მიზანიც იქნებოდა საქართველოში ეკოტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და განვითარების პერპექტივების დადგენა ქართველი და უცხოელი მომხმარებლის ჭრილში.

საქართველოში ეკოტურისტული მიმართულებების განვითარება ჯერ-ჯერობით ეყრდნობა მხოლოდ რეგიონების გეოგრაფიულ და ბუნებრივ გარემოს, ქვეყნის კულტურასა და ტრადიციებს. შესაბამისად, ეკოტურიზმის განვითარებაში ფაქტიურად არ მონაწილეს საზოგადოების მხრიდან ხელოვნურად შექმნილი და მხარდაჭერილი ფაქტორები, როგორებიცაა სათანადო საკანონმდებლო და საინფორმაციო ბაზა, ბიზნეს სექტორის და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა და სხვ.

ამასთანავე, საქართელოში ძალიან დაბალია ეკოტურიზმის ძირითადი ფუნქციის ცნობადობა - როგორც ეკოტურისტული რეგიონების ადგილობრივ მოსახლეობაში, ასევე სექტორში დასაქმებულ ადამიანებში, ჩვენ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებთ გიდების ინფორმირებულობაზე. ეს კი გამოწვეულია ერთი მხრივ, მაღალპროფესიული გიდის ნაკლებობით და მათი არსებული ცოდნის მხოლოდ გამოცდილების საფუძველზე (და არა თეორიულ ცოდნებზე დაყრდნობით) ჩამოყალიბებით, მეორე მხრივ კი ეკოტურიზმის განვითარებისათვის საჭირო მარკეტინგული ღონისძიებებისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციის სიმწირით.

კვლევის სამიზნე სეგმენტად განვსაზღვრეთ ეკოტურიზმის მიმართულებით მომუშავე გიდები და ტურისტული კომპანიები, რომლებიც ახდენენ როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ტურისტების ეკოტურისტული მარშრუტების ორგანიზებას. კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნა რაოდენობრივი კვლევა ონლაინ ანკეტირების (100 ტურისტული კომპანია და ეკოტურისტული გიდი) საშუალებით.

გიდების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მათი ძირითადი ნაწილისთვის ეკოტურიზმის პრინციპები კარგადაა ნაცნობი - რაც თავის მხრივ იმაზე მიუთითებს, რომ სფეროს რეალურად ჰყავს პროფესიონალი გიდები და ეს ფაქტორი ნაკლებად შეიძლება დასახელდეს სექტორის განვითარების მთავარ შემაფერხებელ პარამეტრად.



სურათი 1. ეკოტურიზმის პოპულარული მიმართულებები

თუმცა, ის გარემოება რომ მათ მცირე ნაწილს ეკოტურზმზე არცთუ სწორი წარმოდგენა აქვს, ბუნებირივია ტოვებს იმის საჭიროებას, რომ პროფესიონალიზმის გაუმჯობესების და ამაღლების პროცესი უწყვეტი უნდა იყოს და ამას უნდა მიეცეს სისტემური, აკადემიური ხასიათი. ამასთანავე, უნდა აღინიშნის, რომ ყველაზე ხშირად მოთხოვნად ეკოტურისტულ მიმართულებად ლაშქრობა

სახელდება ორივე კატეგორიის სეგმენტში. ამის მიზეზი, პირველ რიგში, საქართველოს გეოგრაფიული მრავალფეროვნებაა, ასევე ისიც რომ ლაშქრობას არ ჭირდება განსაკუთრებული ინფრასტრუქტურული მოწყობა. იგივე შეიძლება ითქვას გიდების სპეციალური ფიზიკური მომზადების საჭიროებაზე ლაშქრობის შემთხვევაში.

კვლევის თანახმად პოპულარობით მეორე ადგილს იკავებს ალპინიზმი - საქართველოსთვის ის საკმაოდ ტრადიციული დარგია, ალპინისტური მარშრუტებიც კარგად დამუშვებულია და პროფესიონალი კადრებიც ძირითადად საერთაშორისო დონეზე გადამზადებული. იმის გათვალისწინებით რომ ჩვენი ქვეყნის ლანდშაფტი იძლევა ექსტრემალური ეკოტურისტული მარშრუტების განხორციელების საშუალებას - ამ დარგის პოპულარობაც ბუნებრივია.

პოპულარულ ეკოტურისტულ მიმდინარეობებს შორის დასახელდა ეთნო და აგროტურიზმი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ერთიც და მეორეც საკმაოდ მოთხოვნადია, როგორც უცხოელ, ასევე ქართველ ტურისტებში - რაც ქართული ტრადიციებით და კულტურული მრავალფეროვნების ინტერესითაა გამოწვეული. (სურათი 1.)

არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ ჯერ-ჯერობით ისეთ ნაკლებად მოთხოვნად ეკოტურისტულ მიმართულებებს, როგორებიცაა: დაივინგი, ფრინველებზე დაკვირვება, პარაგლაიდინგი, სხვადასხვა ტიპის საწყლოსნო ეკოტურისტული სახეობები. მათი მეტნაკლები პოპულარობა მხოლოდ უცხოელ ტურისტებში ფიქსირდება, თუმცა მათი მოთხოვნის სიმცირეს საქართველოში ამ მიმართღულებების განვითარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის, აღჭურვილობის, პროფესიონალი გიდების ნაკლებობა და მაღალბიუჯეტურობა წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული მიმართულებები ჯერ კიდევ აუთვისებელ მიმართულებებს წარმოადგენენ საქართველოს ტურისტული ბიზნესისთვის.

ეკოტურიზმის პოზიტიურ/ხელისშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ პოპულარული მიმართულებების განვითარების ხელისშეშლელ ფაქტორებს შორის (ლაშქრობა, ალპინიზმი, ეთნო და აგროტურიზმი და ა.შ.) არ სახელდება საჭირო ინფრასქტურტურული, აღჭურვილობითი ან/და პროფესიონალების დეფიციტი.

ეს გამოწვეულია იმით, რომ ეკოტურისტული მიმართულებით ბოლო წლებში შეინიშნება განსაკუთრებით დიდი კაპიტალდაბანდებები კერძო სექტორის მხრიდან - რაც თავისთავად ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, აღჭურვილობის განახლებას და პროფესიონალი გამყოლების/გიდების საერთაშორისო დონის გადამაზადებებს გულისხმობს.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეკოტურისტული მიმართულებების ხელიშემშლელ ფაქტორებს შორის სახელდება არასათანადო საკანონმდებლო და ინფორმატიული მხარდაჭერა, უკონტროლო მშენებლობების ფონზე, საფრთხე შექმნილი ბუნებრივი გარემოს ავთენტურობა, ადგილობრივი მოსახლეობის ნაკლები ინფორმირებულობა ეკოტურიზმის პრინციპებსა და მისგან მოსალოდნელ პოზიტიურ ფაქტორებზე (სურათი 2.).



სურათი 2. ეკოტურიზმის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები საქართველოში

არაა გასაკვირი ის ფაქტიც, რომ ეკოტურიზმის ხელისშემწყობ ფაქტორებად საქართველოში გიდები ასახელებენ ბუნებრივ, გეოგრაფიულ გარემოპირობებს, ქართულ კულტურასა და ტრადიციებს, მრავალფეროვან სამზარეულოს და კულტურულ ძეგლებს, დაცული ტერიტორიების და ენდემური ჯიშების სიმრავლეს, რეგიონების (განსაკუთრებით მაღალმთიანი) ჯერ კიდევ შენარჩუნებულ ავთენტურობას - მთელ რიგ შემთხვევებში პროფესიონალი გიდების არსებობას.

ამ ეტაპისთვის, ქართული ეკოტურიზმის ხელისშემშლელი ფაქტორები, შეიძლება ითქვას პირდაპირ კორელაციაშია მისი ხელშეწყობის ფაქტორებთან და თუ არ მოხდა მათი ურთიერთთანამშრომლობა - ანუ, არსებული ნაკლოვანებების გამოსწორება და მათი ხელისშემწყობ ფაქტორებად გადაქცევა - ეკოტურიზმი არსებულ პერსპექტივებსაც დაკარგავს.

სწორედ ამ გზით იქნება შესაძლებელი ეკოტურიზმის ჯერ-ჯერობით შემაფერხებელი გარემოებების, მის წამახალისებელ ფაქტორებად ქცევა და მათი იმდაგვარი კორელაცია, რომ ეკოტურიზმი საქართველოში მხოლოდ ბუნებრივ გარემო ფატორებზე კი არ იყოს დამოკიდებული, არამედ ადამიანურ - ხელოვნურად შექმნილ, თუმცა ბუნებრივად მხარდაჭერილ მახასიათებლებზეც.

დასკვნა

კვლევა ნათლად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სწორედ საკანონმდებლო და ინფორმატიული მხარდაჭერის არარსებობა, ბიზნეს სექტორის და ადგილობირვი მოსახლეობის არასათანადო ჩართულობა და მთელ რიგ შემთხვევებში საჭირო ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის არარსებობა აფერხებს და არღვევს ბუნებრივად არსებულ განვითარების წინაპირობებს - რაც ეკოტურიზმის შემაფერხებელ ფაქტორებად გვევლინება. კვლევით მიღებული ანალიზიდან გამომდინარე რეკომენდაციებს წარმოადგენს: 1. რეგიონებში ეკოტურიზმის განვითარები პროპაგანდა მარკეტინგული კომუნიკაციის საშუალებით, რაც გამოიწვევს საზოგადოების ცნობადობის გაზრდას და მათ ჩართულობას განვითარების პროცესებში; 2. რეგიონების მიხედვით პერსპექტიული ეკოტურისტული მიმართულებების განსაზღვრა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს რეგიონებს თანაბრად განავითარონ ტურისტული პოტენციალი. აღნიშნული ღონისძიება წაახალისებს ბიზნეს სექტორს - ეკოლოგიური ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებაში ინვესტირებისათვის. 3. ეკოტურიზმის გიდის, როგორც პროფესიის დანერგვა და ამ ეტაპზე მომუშავე გიდების გადამზადება, სერტიფიცირება და მათვის თეორიული ცოდნისა და პროფესიული უნარების მიცემა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დაცული ტერიტორიების სააგენტო. (2022). მოპოვებული www.apa.ge: https://apa.gov.ge/ge/statistika/vizitorta-statistika/2022-wlis-vizitorta-statistika-daculi-teritoriebis-mixedvit-დან
2. კერესელიძე, ბ. (2020). *ეკოტურიზმი – ტურიზმის მდგრადი განვითარების საწინდარი.* მოპოვებული geoeconomics: http://geoeconomics.ge/?p=12849-დან
3. მეტრეველი, მ. (2012), გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი, ფავორიტი პრინტი, თბილისი
4. მეტრეველი, მ. (2004), ტურიზმი და გარემოს დაცვა - ეკოტურიზმის საფუძვლები, ფორმა, თბილისი
5. მეტრეველი, მ. (2007), კახეთი - ვაშლოვანისა და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები - გზამკვლეცი ტურისტებისათვის, საგამომცემლო სახლი "GAT", თბილისი
6. Lorena Rivera, L., & Sacha , W.-V. (2022). *Global Innovation Index 2022.* World Intellectual Property Organization (WIPO).
7. UNWTO. (2021, 8 7). *https://www.unwto.org/international-tourism-and-covid-19*. Retrieved from unwto.org: www.unwto.org: https://www.unwto.org/

The role of ecotourism in sustainable development of Georgian tourism

Metreveli Marina,
Professor of Georgian Technical University

Otar Japaridze
East European University, PhD student

Abstract

The necessity of environment and development policy consideration in single context has been widely recognized after that "sustainable development" has been identified as a guiding principle of social development.

Discussion of environmental aspects in combination with tourist industry has become one of the main sectoral challenges for many countries.

Under conditions of high pace of live and urbanization engrained in the contemporary world, ecotourism has established as one of the top-priority directions. Both the World Tourism Association and Georgian National Tourism Administration have recognized ecotourism as a priority area. It has turned into very important factor of sustainable development of the world.

Based on the above-mentioned, the work is devoted to preservation of ecotourism potential of Georgia and identification of of measures to be carried out for its development.

Main directins and current problems of ecotourism are described in the work; opportunities for its development are determined; the empiric study is given, as well, which is aimed to disclosure of factors inhibiting and promoting ecoutourism development in Georgia.

Resulting from the mentioned study and analysis of a survey conducted among guides engaged in ecotourism, the urgent issues of subject under study have been determined.

The main objective of the work is to introduce recommendations elaborated as a result of conclusions drawn based on the study and to use them for development and promotion of ecotourism – one of the most important forms of tourism.

Key words: forms of ecotourism, sustainable tourism, protected areas, guide, local population.

ქოუჩინგი დამოუკიდებელ პროფესია

მეტრეველი ლია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ჯაველიძე ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

რეზიუმე

ქოუჩი პოზიტიური ფსიქოლოგიის ფარგლებში აღმოცენებულა, ერთხანს ის ფსიქოლოგიის ერთ-ერთ მიმართულებად ითვლებოდა, მაგრამ დარგის განვითარებამ ქოუჩინგი დამოუკიდებელ პროფესიად აქცია, რაც აუმჯობესებს ადამიანთა ცხოვრების ხარისხს, „მისი მეშვეობით კლიენტი თავის თავში პროფესიულ დიალოგს მოიაზრებს; დაინტერესებული მხარე ქოუჩის დახმარებით თავის თავზე მუშაობის ძვირფას პრაქტიკას და გამოცდილებას იძენს; კლიენტები მათთვის აქტუალურ პირად პროფესიულ საკითხებს ამუშავებენ; აქტუალურ პირად პროფესიულ კავშირებს ამყარებენ, საკუთარი პრიორიტეტების იდენტიფიკაციას ახდენენ და მეტ თავდაჯერებულობას იძენენო - წერენ სპეციალისტები.

საკვანძო სიტყვები: ქოუჩი, ქოუჩინგი, ფსიქოლოგია, „ჰუმანისტური ფსიქოლოგია“.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე გაგებით **ქოუიჩინგი არის ლიდერობის მსურველთა მიზნისკენ სვლისა და მისი პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნის ხელოვნება;** ანუ, ესაა ურთიერთობების განსაკუთრებული სახე, რაც **კლიენტმა** ***ქოუჩთან ერთად შეიმუშავა - საკუთარი პოტენციალის გამომჟღავნებისა და განვითარების უნარი (ანუ ის, რასაც „ჰუმანისტურ ფსიქოლოგიაში“ ადამიანის პიროვნულობის განმსაზღვრელ შინაგან, ფარულ ნიჭს, უნარს, ეგზისტენციალიზმში კი - „ეგზისტენცს“, პიროვნულ „არსებას“ გულისხმობს, რ.გ.).***

ქოუჩინგი - ინგლისურ სიტყვაა; მეცნიერებაში მის შემომტანად **ტიმოთე გოლვი** ითვლება (1970 წლის შუა პერიოდიდან). მას ეკუთვნის წიგნების სერია „შინაგანი თამაშები“, სადაც „ეფექტური პროფესიული შედეგების მიღწევის სრულიად ახლებური მიდგომაა მოცემული (ის იყო ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, ჩოგბურთის მოყვარული და მცოდნე); მისი განსაზღვრებით ესაა პროფესიული პარტნიორობა კლიენტთან რომელსაც ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები სურს. ქოუჩინგის საერთაშორისო ფედერაცია მას (ICF) განსაზღვრავს, როგორც პარტნიორობის ისეთ პროცესს, რაც კლიენტის კრეატიულობასა და ფიქრებს საფუძვლად უდევს. ამ პროცესში მაქსიმალურად იხსნება მისი (კლიენტის) პირადი პროფესიული პოტენციალი (უნარი), რაც მის წარმატებულ პროფესიულ ცხოვრებას უზრუნველყოფს!

სწორედ ქოუჩინგის ეს პოზიცია (მიდგომა) დევს სპორტსა და ცხოვრების ყველა სხვა სფეროების მეთოდოლოგიაშიც.

პროფესიული კონსულტირება თავის-თავში უამრავ შემადგენელ კომპონენტს მოიცავს. კონსულტირება თავისთავად შედეგიანია, როდესაც მოსული ადამიანი იღებს იმ შეკითხვაზე თუ დაკვეთაზე პასუხს, რაც მას აინტერესებდა. შესაბამისად მნიშვნელოვანია გაირკვეს, თუ რა დაკვეთით შეიძლება მოვიდეს კლიენტი კარიერის დაგეგმვის სპეციალისტთან. ეს შეიძლება იყოს ზოგადი დაკვეთა: რა მინდა მე, არ ვიცი რა პროფესია ავირჩიო მომავალში, არ მომწონს ჩემი არსებული პროფესია, მსურს მეტ კმაყოფილებას ვიღებდე ჩემი პროფესიისგან, ვერ გადამიწყვეტია ამ რამდენიმე ალტერნატივიდან რომელ მიმართულებას გავყვე, შეცდომით რომ ავირჩიო პროფესია მერე რა მოხდება? და ა.შ.

ქოუჩინგს გააჩნია საკუთარი პრინციპები, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს დაცული. მისი ერთ-ერთი პრინციპის თანახმად, პასუხები, და საკუთარი მიზნის მიღწევის საშუალებები თავად კლიენტმა უწყის ყველაზე უკეთ, და ქოუჩი არ უნდა გახდეს კლიენტის მენტორი, ან დამრიგებელი,

რომელიც საკუთარი გამოცდილებიდან და დამოკიდებულებებიდან ურჩევს რაიმეს კლიენტს. მნიშვნელოვანია რომ თავად კლიენტი მივიდეს მისთვის სასურველ დასკვნამდე, გამონახოს გზა და აიღოს პასუხისმგებლობა მის შესრულებაზე.

ზემოთ აღწერილი გარემოებებიდან ნათელია, რომ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტები ხვდებიან „კონსულტანტის“ სფეროში, რაც ქოუჩინგი ნამდვილად არ არის.

ქოუჩინგი ეს არის პიროვნებისთვის ქმედითი დახმარება თვითონ გამონახოს თავის შესაფერისი პროფესია. რაც შეეხება ხანგრძლივობას ეს ცხადია შეფასებითი კატეგორიაა. პროფესიული ორიენტაციის მეთოდები იმგვარადაა დახვეწილი რომ მისი გამოყენება შესაძლებელია სკოლამდელი აღზრდის პერიოდშიც კი ბავშვებისთვის პროფესიული გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო უნარების განვითარების გზით.

რაც შეეხება ქოუჩინგის მეთოდით მუშაობის ხანგრძლივობას, როგორც წესი ეს ყველაფერი (როგორც სხვა მსგავსი სერვისების მიწოდების დროს) დამოკიდებულია კლიენტის დაკვეთაზე, მის მოტივაციაზე და ქოუჩის პროფესიონალიზმზე. პროფესიული ორიენტაციის კონტექსტში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქოუჩინგი ეხმარება კლიენტს დაინახოს გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო გზები ამ გზების განხორციელება კი თავად კლიენტზეა დამოკიდებული. ქოუჩინგის პროცესში შესაძლოა ერთ-ერთ გზად დასახულ იქნეს კარიერის დაგეგმვის სპეციალისტთან ვიზიტი, რომელსაც გააჩნია კონკრეტული ცოდნა და უნარები შესაბამისი სერვისის გასაწევად. თუმცა ხაზგასამულად უნდა ითქვას, რომ კარიერის დაგეგმვის სპეციალისტთან ვიზიტი მხოლოდ ერთ-ერთი გზაა მიზნის მისაღწევად.

შესაძლებელია ქოუჩინგის პროცესის განმავლობაში კლიენტმა აღმოაჩინოს რომ მას ესაჭიროება დამატებითი ინფორმაცია მომავალი პროფესიის შესახებ, ასეთ შემთხვევაში ქოუჩინგური ტექნიკით შესაძლებელია კლიენტმა დასახოს კონკრეტული პროფესიის შესახებ ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა საშუალებები და აიღოს პასუხისმგებლობა მათ განხორციელებაზე.

ქოუჩინგის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა დაეხმაროს კლიენტს საკუთარი თავის შეცნობაში, პიროვნული თვითგამორკვევა კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა საკუთარი პროფესიის შერჩევისას.

პროფესიული არჩევანის გაკეთებისას ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანია საკუთარი ფასეულობების განსაზღვრა. ასე მაგალითად, თუ ბუღალტრისთვის, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ მისი სამუშაო საზოგადოებრივ მიზნებს ემსახურებოდეს და მუშაობს ერთ-ერთ კერძო კომპანიაში, რომელიც აწარმოებს იურიდიულ მომსახურებას. ქოუჩთან მისვლის შემდეგ შესაძლოა პროფესიისა და ფასეულობის გაერთიანების ერთ-ერთ გზად გადაწყვიტოს გახდეს საქველმოქმედო ორგანიზაციის ბუღალტერი და ამ გზით შეუსაბამოს საკუთარი პროფესია მის ფასეულობებს.

ფასეულობების განსაზღვრა, მომავლის ხედვის შექმნა, საკუთარი პოტენციალის იდენტი-ფიცირება და მისი რეალიზების გზების განსაზღვრა არის ის ძირითადი საკითხები, რომელშიც ქოუჩინგი შესაძლოა ბევრად უფრო ეფექტური აღმოჩნდეს ვიდრე კარიერული კონსულტირების სპეციალისტთან ვიზიტი.

უფრო მეტი სიცხადისთვის, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ აუცილებელია გამოვიდეთ თავად კლიენტის დაკვეთიდან, რა სურს მას. როგორც უკვე აღინიშნა, კლიენტის დაკვეთა მრავალფეროვანი შეიძლება იყოს. ნებისმიერ შემთხვევაში ქოუჩინგი შესაძლოა განხილულ იქნეს ერთგვარი მეტა-მეთოდი, რომელიც კლიენტს უფრო გლობალურ ჭრილში დაანახებს საკუთარ მომავალს.

ზოგჯერ ადამიანები პროფესიის მიმართ ანგარებიანი დამოკიდებულებით გამოირჩევიან, რაც გულისხმობს პროფესიისთვის მხოლოდ როგორც შემოსავლის წყაროსთვის ისე ყურებას. შეიძლება ითქვას რომ ამგვარი დამოკიდებულება დიდი ალბათობით არც თუ ისე კარგ შედეგებს მოიტანს, რადგან პროფესია არ არის მხოლოდ შემოსავლის წყარო, იგი უნდა განიხილებოდეს როგორც თვითრეალიზაციის საშუალება. რთული წარმოსადგენია, როდესაც დღის განმავლობაში ცნობიერი-აქტიური ცხოვრების ნახევარს მხოლოდ ფულის გამომუშავებას შეალევ მაშინ, როდესაც სამსახურს არანაირი სხვა ფუნქცია არ გააჩნია ადამიანისთვის.

იმ შემთხვევაში თუ კი პროფესიის არჩევანს უფრო მეტად განვაზოგადებთ, ნათელი გახდება, რომ მას საკმაოდ დიდი პროცენტული მაჩვენებელი უჭირავს მომავლის დაგეგმვაში. მომავლის დაგეგმვა კი აუცილებლად მთლიანპიროვნულ ჭრილში უნდა იქნეს განხილული და არა ვიწროდ, პიროვნებისგან მოგლეჯილად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პიროვნებას ჰქონდეს საკუთარი მომავლის ზოგადი ხედვა მაინც და შეეცადოს სწორედ ეს ხედვა „დაწუროს“ კონკრეტულ პროფესიამდე, რომელიც დაეხმარება მას ამ ხედვის განხორციელებაში.

პროფესიული კონსულტირების მთავარი მიზანია ინდივიდმა მაქსიმალურად მისი მოთხოვნების შესაბამისი პროფესია აირჩიოს. დაგეგმოს კარიერა და ჰქონდეს გრძელვადიანი ხედვა. მისთვის მნიშვნელოვანია იცოდეს საით მიდის, რატომ და რომ ნამდვილად უნდა ის რასაც აკეთებს.

არაერთი კვლევა ადასტურებს იმას, რომ სამსახურში ხელფასი მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია რომელიც სამუშაოთი კმაყოფილებას განსაზღვრავს. ასევე მნიშვნელოვანია გიყვარდეს, ან როგორც მინიმუმ მოგწონდეს ის საქმიანობა რასაც ეწევი. აფასებდნენ მას და იძლეოდეს თვითრეალიზაციის განცდას.



უფრო მოკლედ და ლაკონურად თუ ვიტყვით, მთელი პროფორიენტაციის ამოცნები დადის 3 ძირითადი კონცეპტის მაქსიმალურად მოცვაში:

❖ „მინდა“ - მოიცავს ინტერესების, სურვილების იდენტიფიცირებას

❖ „შემიძლია“ - აქცენტი გაკეთებულია ფიზიკურ, და გონებრივ შესაძლებლობებზე.

❖ „საჭიროა“ - გარე სამყარო, მოთხოვნა შრომის ბაზარზე, საზოგადოებაში და ა.შ.

საჭიროა კომპონენტი მთლიანად შრომის ბაზრის კვლევას და ტენდენციებს ეხება, თუმცა აქაც შეიძლება ქოუჩინგმა თავის როლი შეასრულოს. მაგალითად: როდესაც კლიენტი ამბობს რომ მას სურს კონკრეტული პროფესიის დაუფლება, და აქვს ამის შესაბამისი საწყისი უნარები მაინც, მაგრამ არ იცის რამდენად მოთხოვნადი და ანაზღაურებად იქნება მისი პროფესია შრომით ბაზარზე, შესაძლოა მას დავუსვათ შეკითხვა, როგორ შეუძლია გაიგოს იქნება თუ არა მისი პროფესია მოთხოვნადი? ვის შეიძლება ჰკითხოს/მოიძიოს? ან როგორ შეიძლება რომ მისი ეს პროფესია გახდეს უფრო მეტად ღირებული, სად შეიძლება შესაბამისი მომხმარებელი, პოტენციური კლიენტი ეძებოს? საქართველოში თუ საზღვარგარეთ? როგორ შეუძლია ამის მოძიება და რა სჭირდება ამისთვის? ეს ყველაფერი არის კითხვები, რომელიც კლიენტს იძულებულს ხდის უფრო მეტად გაზარდოს თვალსაწიერი, მის გონებაში გაჩნდეს შესაძლებლობების აღმოჩენაზე ორიენტირებული აზროვნება და არა ბარიერების იდენტიფიცირებაზე. ყოველივე ეს უზრუნველყოფს პროფესიული კონსულტირების უფრო მეტად ეფექტურად განხორციელებას.

რაც შეეხება პირველ ორ კომპონენტს „მინდა“ და „შემიძლია“ ეს არის ის სფეროები რომელშიც ქოუჩინგის მეთოდი ყველაზე ეფექტურად გამოიყენება. საკუთარი სურვილების იდენტიფიცირება არც ისეთი მარტივი ამოცანაა. ხშირ შემთხვევაში ძალიან კარგად ვიცით რა უნდათ სხვებს ჩვენგან, ან რა არ გვინდა ჩვენ - თუმცა ეს არ იძლევა პასუხს რა მინდა მე. როგორი მინდა იყოს ჩემი მომავალი პროფესია. შესაძლებლობების გააზრება კი რეალურად სწორე საკუთარი პოტენციალის აღმოჩენასა და გახსნას ნიშნავს. შესაძლებლობებში არ მოიაზრება ვიწროდ ფიზიკური ან ფსიქოლოგიური უნარები. შესაძლებლობებში ხშირად სწორედ რწმენა თამაშობს კოლოსალურ როლს, რწმენა რომ ინდივიდს ეს შეუძლია, ხოლო თუ არ აქვს რაიმე კონკრეტული უნარი, შეუძლია ამ უნარის გამომუშავება.

ყველაზე უფრო ქოუჩინგი სწორედ იმიტომ აამაღლებს ეფექტურობას, რომ გზები, თავად კლიენტის მიერაა მოძებნილი და არა შეთავაზებული. ეს კლიენტს უჩენს განცდას, რომ სწორედ მან დაუსახა საკუთარ თავს კონკრეტული გადაჭრის გზები და ეს გზები სწორედაც რომ მისია და არა თავსმოხვეული. აღნიშნული დამოკიდებულება გადაჭრის გზების მიმართ, ზრდის სესიის დროს

დასახული გზების პრაქტიკაში განხორციელების ალბათობას. თუ კი ამას დავამატებთ იმასაც, რომ ქოუჩი კლიენტს უქმნის ანგარიშვალდებულებას და „აიძულებს“ მას პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ ქმედებებზე ეს კიდევ უფრო ნაყოფიერს ხდის ქოუჩინგის გამოყენებას პროფკონსულტირებისთვის.

დასკვნა

კარიერის დაგეგმვა და კონსულტირება თავისი არსით ბევრად უფრო ვიწრო სპეციალიზაციაა ვიდრე ქოუჩინგი. თუმცა შესაძლოა მოხდეს ქოუჩის დასპეციალიზირება ვიწრო მიმართულებითაც, კარიერული ხედვის ჩამოყალიბების კუთხით. მნიშვნელოვანია ითქვას, რომ პროფესიულ კონსულტანტს აქვს თავისი კვალიფიკაციის ჩარჩო და მიდგომის ფილოსოფია თუ როგორ გაწიოს პროფესიული კონსულტირება. შესაბამისად, აქვს ბერკეტები და მითითებები, თუ როგორ უნდა გაუწიოს დახმარება მასთან მოსულ კლიენტს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ აღნიშნული სფერო უნდა ჩაიკეტოს სხვა შესაძლებლობების მიმართ. სწორედ ერთ-ერთი ასეთი შესაძლებლობაა ქოუჩინგის პრინციპებისა, თუ უნარების გამოყენება სასურველი მიზნის მისაღწევად.

თუ კი შევთანხმდებით, რომ პროფესიონალთან მოსული კლიენტისთვის,მთავარი მიზანია მოახდინოს საკუთარი თავის რეალიზება სწორი პროფესიული არჩევანის საშუალებით, გამოყენებული მეთოდები უკვე მეორე ხარისხოვანი ხდება.

შეიძლება ითქვას, რომ სასურველი შედეგი ერთია, თუმცა გზები განსხვავებული. ვინაიდან ქოუჩინგი ამ შემთხვევაში განიხილება როგორც მეთოდი, სავსებით შესაძლებელია მისი ინტეგრირება პროფესიული კონსულტანტის პროფესიულ ჩარჩოში. იგი დაეხმარება კარიერის დაგეგმვის სპეციალისტს, თავი გაართვას მასზე დაკისრებულ მოვალეობას ბევრად უფრო ეფექტურად. ქოუჩინგის შესწავლით კონსულტანტი გაამდიდრებს მის ხელთ არსებულ პროფესიულ არსენალს და უფრო მეტად ნაყოფიერს გახდის საკუთარ მუშაობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამოყენებითი ფსიქოლოგია-რ.გაფრინდაშვილი, ლ. მეტრეველი, ს. ხიზანიშვილი, თბ.2023წ. (ციტირება გვ; 73)
2. პაიჭაძე ნ., ჩოხელიე., ფარესაშვილი ნ. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თბ., 2011.
3. წარმატების სტრატეგია -ნ.ჰილი თბ;2015წ.
4. გ. კეჩხუაშვილი - შრომისადასაინჟინროფსიქოლოგია, თბ. 1982წ.
5. ია კუტალაძე - „ადამიანური რესურსის მენეჯმენტი“, თბილისი, 1999წ.
6. McDowell, M., Thom, R., Frank, R. & Bernanke, B. (2006). Principles of Economics. McGraw-Hill Education publications

Coaching is an independent profession

Metreveli Lia, professor
Georgian Technical University

Javelidzse Nino, PhD student
Georgian Technical University

Abstract

Coach emerged within the framework of positive psychology, once it was considered one of the directions of psychology, but the development of the field turned coaching into an independent profession, which improves the quality of people's lives, "through it, the client realizes a professional dialogue in himself; The interested party gains valuable practice and experience of working on himself with the help of a coach; Clients work on personal and professional issues relevant to them; They establish relevant personal and professional connections, identify their own priorities and gain more self-confidence - write the specialists.

საგადასახადო მენეჯმენტში განხორციელებული ცვლილებები
და მათი გავლენა ბიზნესზე

მიქელაშვილი მერაბ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ბარბაქაძე-პეტაშვილი ხათუნა
საქართველოს ტენიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი

აბსტრაქტი

საგადასახადო მენეჯმენტი პრაქტიკაში გულისხმობს საგადასახადო კოდექსის განხორციელებას, მაგრამ რეალურად, ეს უფრო შემოქმედებითი პროცესია. ეს ნიშნავს იმას,რომ სწორად მოხდეს კანონმდებლობის გამოყენება, რათა ბიზნესს ტვირთად არ დააწვეს გადასახადები. საგადასახადო პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს, მოახდინოს ქართული კანონმდებლობის თანხვედრას ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობასთან, რასაც გარკვეულწილად ასოცირების ხელშეკრულებაც მოითხოვს. რაც უფრო დაიხვეწება ქართული საგადასახადო კანონმდებლობა, მით უფრო მარტივი გახდება ბიზნესისა და უცხოური საინვესტიციო ორგანიზაციების კავშირი და უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში, რაც, რა თქმა უნდა, დადებითად აისახება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის წინსვლასა და განვითარებაზე. სისტემაში ცვლილებების განხორციელების დროს, აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს, როგორც ქვეყნის ისტორიული გამოცდილება, ასევე, იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც არც ისე დიდი ხნის წინ განახორციელეს იგივე ნაბიჯები. თუ მოხერხდება მსგავსი მაგალითების სიღრმისეული შესწავლა, გამოირიცხება შეცდომების დაშვება და მოკლე დროში გახდება შესაძლებელი დასახული მიზნის მიღწევა. მყარი ეკონომიკის ერთერთ გარანტს წარმოადგენს უსაფრთხო გარემო და განვითარებაზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქვეყანაში საკმაოდ რთული ეკონომიური მდგომარეობაა, მნიშნელოვნად მიგვაჩნია, საგადასახადო კონანმდებლობის დახმარებით შეიქმნას უფრო მეტად გამართული და ამავე დროს გამარტივებული სისტემა, რომელიც მეტნაკლებად, სამართლიანად, მოახდენს შემოსავლების გადანაწილებას მოსახლეობაში.

საკვანძო სიტყვები: გადასახადები, საგადასახადო მენეჯმენტი, საგადასახადო კოდექსი, ბიზნესი, მართვა, ინვესტიცია

ძირითადი ტექსტი

საგადასახადო მენეჯმენტის ძირითად სუბიექტებს წარმოადგენენ, ერთის მხრივ სახელმწიფო, მისი აღმასრულებელი და სახელისუფლებო ორგანოებით, ხოლო მეორეს მხრივ ბიზნესი, ფირმები, საწარმოები და ა.შ.

მას შემდეგ, რაც საქართველოს სახელმწიფომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რომლის რატიფიცირებაც განხორციელდა საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 18 ივლისს, მოხდა რიგი ვალდებულებების აღება, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის, ასევე ეკონომიკური განვითარების კუთხითაც. ასოცირების ხელშეკრულების მიზანია: „მხარი დაუჭიროს საქართველოს ძალიხმევას, განავითაროს მისი ეკონომიკური პოტენციალი საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით, მათ შორის მისი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების გზით;“ ასევე, „ მიაღწიოს ევროკავშირის შიდა ბაზართან საქართველოს ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას, როგორც ეს გათვალისწინებულია წინამდებარე შეთანხმებით, განსაკუთრებით, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნის გზით, რომელიც უზრუნველყოფს ბაზარზე საფუძვლიან დაშვებას მდგრადი და ყოვლისმომცველი რეგულაციური დაახლოების საფუძველზე, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრობის შედეგად წარმოშობილი უფლებებისა და ვალდებულებების დაცვით;“

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ძირეული ცვლილება დაიწყო 2017 წლის 1 იანვრიდან,

როდესაც ძალაში შევიდა მოგების გადასახადის „ესტონური მოდელი“, რომელიც მიმართული იყო ეკონომიკური ზრდის დასაჩქარებლად და უცხოური ინვესტიციებისთვის მიმზიდველი გარემოს შესაქმნელად. თუ მანამდე მოგების გადასახადს იხდიდა ბიზნესი, იმის მიუხედავად, მიიღებდა თუ არა ის ფინანსურ მოგებას, ამჯერად, მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მოგების გადინება (დივიდენდის გაცემა) კომპანიიდან, ფიზიკურ პირზე. შესაბამისად, შეიცვალა ტექნიკური მხარეც - თუ მანამდე ბიზნესი ვალდებული იყო წარედგინა წლიური დეკლარაცია და მოეხდინა სრული მოგების გადასახადის გადახდა (ასევე საავანსოების), ამჯერად ის ახდენს დეკლარირებას ყოველთვიურად, რეალური განაცემების მიხედვით და შესაბამისად, ბიზნესს მძიმე ტვირთად არ აწვება „არარსებული მოგების“ გადასახადი. მართალია, ამ კანონმა პირველ წელს შეამცირა ბიუჯეტში მოგების გადასახადის წილი, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში, ის ხელს უწყობს ბიზნესში რეინვესტირების განხორციელებას და მის წინსვლას, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.

ასევე, აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ძირეულად შეიცვალა კანონი დამატებითი ღირებულების გადასახადის შესახებ. მთლიანად მოხდა დღგ-ს კარის ახლიდან დამუშავება, დასაბეგრი ბაზების განსაზღვრა, ბუნდოვანი საკითხების ნათლად წარმოჩენა, რაც ბიზნეს საშუალებას აძლევს, სწორად დაგეგმოს თავისი პოლიტიკა ბიუჯეტთან მიმართებაში.

ასევე, მნიშვნელოვანია განვიხილოთ „ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის ამოქმედება და მისი შედეგები. ზემოხსენებული კანონი ამოქმედდა 2016 წლის 24 ივნისიდან და მიზნად ისახავდა კაპიტალური და ფინანსური ბაზრების განვითარებას, რათა შეიქმნას მიმზიდველი საინვესტიციო გარემო. ამ კანონის საფუძველზე შეიქმნა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ზედამხედველობის სამსახური, რომელიც კოორდინაციას უწევს კანონის განხორციელებასა და დანერგვას. შემუშავებული იქნა არაერთი სახელმძღვანელო, ჩატარდა არაერთი ტრენინგი თუ შეხვედრა, რაც დღემდე მუდმივ რეჟიმში გრძელდება და მაქსიმალურად ხდება ბიზნესოპერატორებისათვის ინფორმაციის მიწოდება. თავდაპირველ ეტაპზე განხორციელდა შეღავათი მეოთხე და მესამე კატეგორიის საწარმოებისათვის და მათთვის სავალდებულო დეკლარირება გახდა მხოლოდ 2020 წლიდან. ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა ცნობიერების ასამაღლებლად და ფინანსური აღრიცხვის პრინციპების დასანერგად მცირე და საშუალო ბიზნესებში.

აღსანიშნავია, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მნიშვნელობა, რომელმაც აამაღლა ბიზნესის სანდოობის დონე უცხოური საინვესტიციო კომპანიებისთვის. მოხდა ბიზნესის კლასიფიკაცია კატეგორიების მიხედვით, შეიქმნა გამარტივებული სტანდარტები მეოთხე და მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის, რამაც მნიშვნელოვნად გაუმარტივა კომპანიებს ახალი აღრიცხვის სისტემაზე გადასვლა. ასევე, აღსანიშნავია, რომ პირველ და მეორე კატეგორიის საწარმოებს წარმოექმნათ აუდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალდებულება, რამაც საგადასახადო სისტემისთვის საქმე უფრო გაამარტივა , რადგან აღარაა აუცილებელი მსგავსი კომპანიების შემოწმება, რაც გარკვეულწილად ზოგავს საკმაოდ დიდ მატერიალურ თუ დროით რესურსებს. ყოველწლიურად ფინანსური ანგარიშგების მომზადება და გამოქვეყნება, ხელმისაწვდომს ხდის ინფორმაციას გარე დაინტერესებული პირებისთვის. ინფორმაცია არის სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით წარმოდგენილი და შესადარისი.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგადასახადო მენეჯმენტში განხორციელებულ ცვლილებებს დიდი გავლენა აქვს ბიზნესზე. ის ეხმარება მეწარმეებს, სწორი გადაწყვეტილების მიღებაში, ხელისუფლება ცდილობს, რაც შეიძლება, დროულად მოხდეს ბიზნესოპერატორების ინფორმირება, რათა მათ, დროულად მოახდინონ რეაგირება, საჭირო რესურსების გამოყოფა და სიახლეების დანერგვა.

ბოლო წლებში მიმდინარე ცვლილებები, ძირითადად, სასიკეთოდ აისახა საქართველოში რეგისტრირებულ ბიზნესოპერატორებზე და შეძლებისდაგვარად მიმზიდველი გარემოს შექმნა

მიმდინარეობს ინვესტორებისათვის, რათა მოხდეს მეტი რესურსის შემოდინება საქართველოში, რაც გამოიწვევს ეკონომიკურ განვითარებას . საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება, უფრო ამარტივეს საგადასახადო მენეჯმენტისა და ბიზნესოპერატორების ურთიერთობას. პროცედურების გამარტივებით, ნაკლები დრო და ფინანსური რესურსი იხარჯება, რაც მეტი განვითარების საშუალებას აძლევს ნებისმიერ ბიზნესს.

ლიტერატურა:

1. აბრალავა ა. ჯორბენაძე ზ. საგადასახადო რისკი სამეწარმეო-ეკონომიკური რისკის სისტემაში. თბილისი, 2017
2. მ.მიქელაშვილი, გადასახადები, თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2017
3. M.Mikelashvili, Basics and Principles of Taxation, Lambert Academic Publishing, 2016
4. https://www.saras.gov.ge/ka/Home/YearlyReports
5. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717
6. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0
7. https://matsne.gov.ge/ka/document/view/5230186?publication=2

Changes in tax management and their impact on business

Merab Mikelashvili
Professor, GTU
Khatuna Barbakadze-Petashvili
Master of the Faculty of GTU

Abstract

Tax management in practice refers to the implementation of the tax code, but in reality, it is a more creative process. This means that the legislation should be applied correctly so that businesses are not burdened with taxes. The main goal of the tax policy is to harmonize the Georgian legislation with the legislation of the EU countries, which is required by the association agreement to some extent. The more the Georgian tax legislation is improved, the easier will be the connection of business and foreign investment organizations and the influx of foreign investments into Georgia, which, of course, will have a positive impact on the progress and development of our country's economy. During the implementation of changes in the system, it is necessary to take into account the historical experience of the country, as well as the experience of the countries that not so long ago took the same steps. If it is possible to study such examples in depth, making mistakes will be excluded and it will be possible to achieve the set goal in a short time. One of the guarantees of a solid economy is a safe environment and a development-oriented tax system. If we take into account the fact that there is a rather difficult economic situation in the country, we consider it significant to create a more correct and at the same time simplified system with the help of the tax administration, which will more or less fairly distribute the income among the population.

Keywords: taxes, tax management, tax code, business, management, investment

სასკოლო კულტურის განვითარება და მართვა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში: გამოწვევები და პერსპექტივები (მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ფარგლებში)

მშვილდაძე სოფია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

გოგონაია ირინა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,

ლომაძე ინგა
პედაგოგიკის დოქტორი, სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხარისხის კონტროლის, ანალიზისა და განვითარების განყოფილების უფროსი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ჩიკვილაძე ნინო
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი,
გიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში განათლების რეფორმების დაწყებიდან დღემდე უკვე მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ხორციელდება. ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც განათლების რეფორმის მიზნების მისაღწევად მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს, განსაზღვრავს სავალდებულო მოთხოვნებს სასკოლო საზოგადოების მიმართ 3 მიმართულებით: სწავლა-სწავლების პროცესის ორიენტირება მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე; სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე; ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის ჩამოყალიბება.

სკოლის ორგანიზაციული კულტურის თავისებურებებისა და ქცევის შესწავლას ტრადიციულად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უცხოურ კვლევებში, რომელიც ეხება სკოლის მართვის სფეროს, თუმცა ქართულ სამეცნიერო პრაქტიკაში ეს პრობლემა ფაქტიურად არ არის დამუშავებული. კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებში სკოლის ორგანიზაციული კულტურის შესწავლა, ანალიზი და ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის ჩამოყალიბების საფუძვლების შემუშავება, რაც მიმართულია სკოლის კონცეპტუალურ მთლიანობის შენარჩუნებაზე, ეფექტურ მუშაობასა და მისიის რეალიზებაზე, რომელიც ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

სტატიაში განხილულია ორგანიზაციული კულტურის არსი, საქართველოს სკოლებში მისი ხილული გამოვლინებები, ორგანიზაციული კულტურის ტიპოლოგიზაცია, რისი ცოდნაც მნიშვნელოვანია როგორც სკოლის ხელმძღვანელის, ისე პედაგოგიური კოლექტივისთვის. ასევე, ხელს შეუწყობს იმის განსაზღვრას, რა არის მისაღები და რა დაუშვებელი ამა თუ იმ კულტურის ფარგლებში.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა, ზოგადი განათლების რეფორმა, კონსტრუქტივიზმი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა, სასკოლო კულტურა, ორგანიზაციული კულტურის მართვა, ორგანიზაციულ კულტურაზე მოქმედი ფაქტორები

ძირითადი ტექსტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ თანახმად, განიხილება როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი; აღნიშნული საკანონმდებლო ტრანსფორმაცია

სკოლის მართვის საკითხების ორგანიზაციის მართვის პოზიციიდან განხილვის საშუალებას იძლევა.[1] შესაბამისად, შესაძლებელია სკოლის როგორც ორგანიზაციის. ეფექტიანი მუშაობის მახასიათებლების გამოყოფა.

სკოლა, როგორც ორგანიზაცია, გარკვეული თვალსაზრისით, ტრადიციული ბიზნეს-მოდელის-გან განსხვავდება. სასკოლო განათლებაში „საწარმოო ციკლი“ 12 წლის განმავლობაში გრძელდება, სწავლა-სწავლების შინაარსი გაცილებით უფრო სტაბილურია, ვიდრე მუდმივად განივითარებადი ტექნოლოგიები და წარმოების საშუალებები. „რატომ არის, რომ იმის მიუხედავად, რომ მათი საქმიანობა ეფუძნება ერთსა და იმავე დოკუმენტებს, სკოლები ასე განსხვავდება ერთმანეთისგან?“. ამ განსხვავებების საფუძველს, უცხოელი მკვლევარების აზრით, შეადგენს სწორედ ორგანიზაციული კულტურა, რომელიც განაპირობებს თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების იმიჯსა და შინაარსს. შესაბამისად, სკოლის ორგანიზაციული კულტურა უნდა იყოს შესწავლილი სკოლის ფუნქციონირების ოპტიმიზაციის მიზნით.

სკოლის ორგანიზაციული კულტურის თავისებურებებისა და ქცევის შესწავლას ტრადიციულად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უცხოურ კვლევებში, რომელიც ეხება სკოლის მართვის სფეროს [2; 3]. თუმცა ქართულ სამეცნიერო პრაქტიკაში ეს პრობლემა ფაქტიურად არ არის დამუშავებული.

ორგანიზაციული კულტურის მრავალი დეფინიცია არსებობს, მაგალითის სახით რამდენიმე მოვიყვანოთ:

- უილიამ ოუჩი (1981წ.) ორგანიზაციულ კულტურას განსაზღვრავს „როგორც სიმბოლოებს, ცერემონიებს და მითებს, რომლებიც ორგანიზაციის ძირითად ღირებულებებს და რწმენებს მის თანამშრომლებს გადასცემს“
- სტეფან რობინსი (1998წ.) ორგანიზაციულ კულტურას განსაზღვრავს, როგორც წევრების მიერ გაზიარებულ ღირებულებათა სისტემას, რომელიც ამ ორგანიზაციას სხვებისგან განასხვავებს.

სკოლაში თანამშრომლების ჩაცმის მიღებული წესები, როგორ რეაგირებენ ისინი კონფლიქტზე და ზეწოლაზე, როგორ აბალანსებენ საკუთარ ინტერესებს ორგანიზაციულ ინტერესებთან - *ეს ყველაფერი სკოლის ორგანიზაციული კულტურის ნაწილია.*

სასკოლო კულტურაში დამკვიდრებული ნორმების მაგალითებად შეიძლება განვიხილოთ ასეთი გამონათქვამებიც: „სკოლის ამბავი გარეთ არ გაიტანოთ“, „მხარი დაუჭირეთ თქვენს კოლეგებს“ და „მხარი დაუჭირეთ თქვენს დირექტორს“, „ნუ გააკრიტიკებთ კოლეგა მასწავლებელს მოსწავლეებთან და მშობლებთან“, „თავად მოუარეთ დისციპლინის პრობლემებს“, „არ გაუშვათ მოსწავლეები კლასიდან ზარის დარეკვამდე“ და სხვ.

ორგანიზაციული კულტურის გაგებისთვის იქმნება მოდელი დონეების მიხედვით. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: მოდელის საშუალებით ხდება ორგანიზაციის თანამშრომლების ღირებუ-ლებითი გზავნილების იდენტიფიკაცია. კულტურა შეიძლება განვიხილოთ როგორც ხილული სამოსი, რომელშიც იმოსება ადამიანების ძირითადი ფასეულობები და შეხედულებები.

- რა შეიძლება იყოს ორგანიზაციული კულტურის ხილული გამოვლინებები? გამოყოფენ ორგანიზაციული კულტურის ოთხ მახასიათებელს: სიმბოლოები, გმირები, რიტუალები, ღირებულებები;
- რა შეიძლება იყოს ორგანიზაციულ კულტურაზე მოქმედი ფაქტორები - გარე და შიდა?

გარე ფაქტორები. ორგანიზაციაზე ეროვნული კულტურის ზეგავლენის შესწავლის შედეგად რამდენიმე განზომილება გამოიყო [4] (ჰოფსტედე)

1. ძალაუფლებრივი დისტანცია;
2. ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი;
3. მასკულინობა და ფემინურობა;
4. განუსაზღვრელობის თავიდან აცილება;
5. ხანგრძლივი და ხანმოკლე ორიენტაცია.

შიდა ფაქტორები. ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან გავლენას

ახდენს ხელმძღვანელის პიროვნება, მისი პიროვნული თვისებები, ორგანიზაციის გაცხადებული მისია, მისი მიზანი და ამოცანები; თანამშრომელთა განათლება და კვალიფიკაცია.

კონფლიქტების და პრობლემების უმეტესობა, რომელიც ხელმძღვანელის მიერ ხშირად აღიქმება როგორც ცალკეული თანამშრომლის პიროვნული თავისებურებებით განპირობებული, სინამდვილეში წარმოადგენს ჯგუფური ქცევის ფენომენს, რომელიც ეფუძნება კოლექტივში გაბატონებულ სტერეოტიპებს, ანუ განპირობებულია სკოლის ორგანიზაციული კულტურის ხასიათით. ორგანიზაციული კულტურა ხასიათდება მდგრადობის მაღალი ხარისხით. მისი ხშირად ცვლა სახიფათოა, ვინაიდან შეიძლება გამოიწვიოს თანამშრომლებში ორგანიზაციის დაშლის შეგრძნება.

დღეისთვის არსებობს ორგანიზაციული კულტურის მრავალი *ტიპოლოგია.* როცა იკვლევდნენ კავშირს კორპორაციულ კულტურასა და ეფექტიანობას შორის, დადგინდა, რომ ეფექტიანი ორგანიზაციები ისეთი ორგანიზაციებია, სადაც არსებობს შესაბამისობა სტრატეგიას, გარემოსა და კულტურას შორის.

განვიხილოთ ტიპოლოგია, რომელიც შემუშავებულია ამერიკელი მკვლევრების კიმ კამერონისა და რობენ ქუინის მიერ, და ადაპტირებულია სასკოლო ორგანიზაციების აღწერისათვის. ეს მიდგომა გამოყენებულია იმიტომ, რომ კულტურის დიაგნოსტიკის მოცემული მოდელი ოპტიმალურია საექსპორტო შეფასებისთვის და სკოლების კონსულტირებისთვის.

აღნიშნულ ტიპოლოგიას საფუძვლად უდევს ჩარჩო კონსტრუქტი, რომელიც აგებულია კონკრეტული ფასეულობების დაპირისპირებაზე. ეს კონკრეტული ფასეულობები განიხილება მათ მიერ, როგორც ორგანიზაციის ეფექტურობის ინდიკატორი. კერძოდ, ერთმანეთს უპირისპირებენ :

1. მოქნილობა და მოქმედების თავისუფლების ხარისხი (კონტროლის ხარისხი)
2. ეფექტურობის გარე და შიდა კრიტერიუმები.

აღნიშნული ორი პარამეტრი ქმნის ორგანიზაციის ***4 ტიპს,*** რომელთაგან თითოეულ აქვს საკუთარი ინდიკატორები ორგანიზაციის ეფექტურობის შესაფასებლად.

ღირებულებები და დაშვებები, რომლებიც ამ ოთხ ტიპს უდევს საფუძვლად, კულტურის ოთხ ფორმას წარმოქმნის:

1. ოჯახური (კლანური) კულტურის ტიპი
2. იერარქიული კულტურის ტიპი
3. ადხოკრატიული კულტურის ტიპი
4. საბაზრო კულტურის ტიპი

ქვემოთ მოცემულია ჩარჩო კონსტრუქტი (სურ.1) აღნიშნული ტიპების დასახასიათებლად

ოჯახის ტიპის კულტურა ხასიათდება, ერთის მხრივ, მოქნილობითა და ინდივიდუალიზმით, მეორე მხრივ, შიდა ფოკუსით და ინტეგრირებით. მეგობრული გარემოა, სადაც ადამიანებს აქვს ბევრი საერთო, სკოლა წააგავს დიდ ოჯახს, ხოლო ხელმძღვანელები აღიქმებიან, როგორც აღმზრდელები ან მშობლები. ორგანიზაციას კრავს ტრადიცია და ერთგულება, მაღალია ვალდებულებების გრძნობა. ორგანიზაცია აქცენტს აკეთებს პიროვნების განვითარების ხანგრძლივ მოქმედებაზე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მორალურ კლიმატს და შეკრულობას, წარმატება განისაზღვრება ტერმინებში: ადამიანზე ზრუნვა, კეთილი გრძნობები მოსწავლეებში. ორგანიზაცია მაქსიმალურად ახალისებს ჯგუფურ მუშაობას.

დამახასიათებელი ნიშნებია:

1. სპეციალიზაციის მაღალი დონე, ოფიციალურ ვალდებულებების მკაცრი განაწილება, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება.
2. მმართველობის პირამიდული სტრუქტურა, მკაფიოდ შემუშავებული უფლებამოსილების იერარქიითა და პასუხისმგებლობის დადგენილი საზღვრებით. ყველა თანამშრომელი ანგარიშვალდებულია ზემდგომის მიმართ.
3. წესების და ინსტრუქციების სისტემის არსებობა, რომლებიც რაციონალურად არის ჩამოყალიბებული და ემსახურება მიზნის მიღწევას. ინსტრუქციები განსაზღვრავენ თანამშრომელთა მოქმედებათა კოორდინაციას და ერთგვაროვნებას. არაგანპირობებული ურთიერთობა კოლე-

გებთან და მომხმარებლებთან, რაც იცავს ორგანიზაციას „ჩაწყობისა“ და პრივილეგიების შეღწევისა.

სურათი 1 ჩარჩო კონსტრუქტი

სკოლაში, რომელიც იერარქიული კონტექსტში ვითარდება, ადმინისტრაცია, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას აქცევს პროცედურებს, წესებს და ინსტრუქციებს, რომელიც განიხილება, როგორც ძირითადი საშუალება საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად. *ნეგატიური შედეგები:* შეიძლება დაითრგუნოს თანამშრომელთა შემოქმედებითობა, ხდება ფორმალიზებული ქცევის გამომუშავება, რომელიც არ ითვალისწინებს მოსწავლეებისა და კოლეგების პიროვნულ თავისებურებებს და არასტანდარტულ სიტუაციებში, რომელიც ხშირია სკოლაში, არ არსებობს მზაობა სწრაფი მოქმედებისთვის.

ადხოკრატიული ორგანიზაციული კულტურა დინამიური და შემოქმედებითი სამუშაო გარემო. საერთო წარმატებისთვის თანამშრომლები მზად არიან წავიდნენ რისკზე და საკუთარი ინტერესების დათმობაზე. ლიდერები ხასიათდებიან ნოვატორობით. ასეთ ტიპის ორგანიზაცია ახალისებს პირად ინიციატივას, შემოქმედებითობასა და თავისუფლებას. ამ ტიპის ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია წარმატება, რომელიც ნიშნავს ახალი უნიკალური პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავებას. ადხოკრატიული სტრუქტურები იქმნება ბიუროკრატიული პრინციპებისგან მკვეთრად განსხვავებული იდეების საფუძველზე. ადხოკრატიული ორგანიზაციული კულტურის ფარგლებში გამოყოფენ რამდენიმე სტრუქტურას, მაგალითად, საპროექტო სტრუქტურას. ეს არის, როგორც წესი, ორგანიზაციის ყველაზე უფრო კვალიფიციური თანამშრომლების დროებითი გაერთიანება კონკრეტული ამოცანის წარმატებით განხორციელების მიზნით. ასეთი სტრუქტურის ძირითადი ღირსებაა, რომ ხდება საუკეთესო კადრების კონცენტრაცია ერთ უბანზე, მიზნის მიღწევაზე ორიენტირებული გუნდის შექმნა.

საბაზრო ორგანიზაციული კულტურა - ასეთი ტიპის კულტურამ ძალიან სწრაფ დაიწყო განვითარება მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან. ამ კულტურის ძირითად ღირებულებებს შეადგენს პროდუქტიულობა და კონკურენტუნარიანობა, რაც უპირველეს ყოვლისა მიიღწევა გაძლიერებული ყურადღებით ინდივიდთან მუშაობაზე. ამ ტიპის კულტურებისთვის დამახასიათებელია შემდგომი მიდგომები: გარემო განიხილება, როგორც გამოწვევა, მომხმარებელი დაინტერესებულია ხარისხიანი მომსახურების მიღებით, ორგანიზაციის მთავარი მიზანია იყოს კონკურენტუნარიანი და შედეგზე ორიენტირებული.

სკოლას, რომელიც საბაზრო ტიპის ორგანიზაციულ კულტურის ფარგლებში ვითარდება ახასიათებს სწრაფვა დააკმაყოფილოს ყველა იმ ჯგუფის მოთხოვნილებები, რომელზეც დამოკიდებულია სკოლის წარმატება. სკოლის ადმინისტრაცია ზრუნავს იმაზე, რომ მოსწავლე და მათი მშობლები თვლიდნენ, რომ ისინი სწავლობენ საუკეთესო ან ძალიან კარგ დაწესებულებაში. ასეთ იმიჯის დამკვიდრებისა და შენარჩუნებისთვის სკოლა აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა დამატებითი ფასიანი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო განათლების განვითარებაში. ასეთ მომსახურეობის ხარისხს ძალიან დიდი ყურადღებას აქცევენ. ნეგატიური მხარე - კონკურენცია შეიძლება შეაღწიოს მოსწავლეებისა და პედაგოგების პიროვნებათაშორის სფეროში.

სკოლის მართვის ექვივალენტი არის მისი ორგანიზაციული კულტურის მართვა. ორგანიზაციული კულტურის ორ ფუნქციას გამოყოფენ:

- კულტურა განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის სტანდარტულ გზებს;
- კულტურა ხელს უწყობს გაურკვევლობის შემცირებას, როცა ადამინები ახალ სიტუაციაში ხვდებიან.

სკოლის კულტურას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს მისი ხელმძღვანელისთვის, განსაკუთ-რებით მაშინ, როცა ჩნდება განვითარების სხვადასხვა მიმართულებები და როცა სტრატეგიული ცვლილებები აუცილებელი და გარდაუვალი ხდება. რას აძლევს დირექტორს სკოლის ორგანიზა-ციული კულტურის ცოდნა და გააზრება?

ეხმარება იმის დადგენაში, რეალურად რით განსხვავდება მათი სკოლა სხვა სკოლებისაგან, რას ეფუძნება სკოლის უნიკალურობა.·ეხმარება იმის განსაზღვრაში, რა არის დასაშვები და რა დაუშვებელი ამ თუ იმ კულტურის ფარგლებში.

ეხმარება პედაგოგების მოსალოდნელი რეაქციების განჭვრეტაში, კონფლიქტური სიტუაცი-ებისა და წინააღმდეგობების რეალური მიზეზების დადგენაში. სხვათა გამოცდილების მისაღებად გარკვეული კრიტერიუმების შემუშავებაში, რომ ეს გამოცდილება არ იქცეს „უცხო სხეულად" ორგანიზაციისათვის. ნებისმიერი ხელმძღვანელი, რომელიც მოდის ორგანიზაციაში, ცდილობს ცვლილებების შეტანას, მაგრამ მან უნდა იცოდეს, რით დაიწყოს ცვლილებების პროცესი. ზოგადად, არსებობს ცვლილებების ხუთი დონე და ყოველი მომდევნო მოითხოვს წინა დონის ცვლილებების განხორციელებას:

პირველი დონე – სკოლის რომელიმე წევრის ან წევრების კვალიფიკაციის შეცვლა/ამაღლება. ამისათვის დიდი ძალისხმევა არ არის საჭირო. შეიძლება ეს ადამიანი/ადამიანები გავუშვათ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე ან ამისათვის სკოლის შიგნით არსებული ადამიანური რესურსები გამოვიყენოთ.

მეორე დონე– ორგანიზაციის შიგნით არსებული პროცედურების შეცვლა. ასეთი ცვლილების გატარებას მეტი ძალისხმევა სჭირდება, სანამ ეს პროცედურები ორგანიზაციის წევრებს „ჩვევაში არ გადაუვათ". მაგალითად, პროფესიული განვითარების ჯგუფის სამუშაო შეხვედრები დანიშნულია ყოველი თვის ბოლო პარასკევს და ყველამ იცის, რა დავალება აქვს შესასრულებელი ამ შეხვედრისთვის.

მესამე დონე –ორგანიზაციის სტრუქტურის შეცვლა. ეს შედარებით რთულად განსახორციელებელი ცვლილებაა, დაკავშირებული ფუნქცია-მოვალეობების ხელახალ გადანაწილებასთან, რამაც შეიძლება ორგანიზაციის წევრებში დისკომფორტი შექმნას. მან ასევე შეიძლება გამოიწვიოს ურთიერთობების შეცვლა ორგანიზაციაში, ცალკეული წევრის ან წევრებისა თუ ჯგუფების ქცევის შეცვლაც.

მეოთხე დონე -ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების შეცვლა. ეს ისეთი ცვლილებაა, რომელიც ყველა წინა დონეების ცვლილებების განხორციელებას ითხოვს და რომელიც ორგანიზაციის თითოეულ წევრს ეხება.

მეხუთე დონე – ორგანიზაციული კულტურის შეცვლაა. ეს ყველაზე რთული ცვლილებაა, რომელიც ძალიან დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში განათლების რეფორმების დაწყებიდან დღემდე, უკვე მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა შემუშავდა, რომლის მოქმედების ვადა 2018-2024 წლებით განისაზღვრა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტი, ფილოსოფია შეცვლილი არ არის - მის საფუძველს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო კონცეფცია წარმოადგენს.

ეროვნული სასწავლო გეგმა - მთავარი ინსტრუმენტი განათლების რეფორმის მიზნების მისაღწევად. დოკუმენტი განსაზღვრავს სავალდებულო მოთხოვნებს სასკოლო საზოგადოების მიმართ; ეს სავალდებულო მოთხოვნები განისაზღვრა 3 მიმართულებით:

1. სწავლა-სწავლების პროცესის ორიენტირება მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე;
2. სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე;
3. ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის ჩამოყალიბება

სასკოლო საზოგადოების გარდაქმნა რთული პროცესია, ვინაიდან სასკოლო კულტურის გარდაქმნას გულისხმობს, რომელიც თავის მხრივ, მდგრადობის მაღალი ხარისხით ხასიათდება.[6]

განათლების რეფორმის ფარგლებში, სისტემური და ტრანსფორმაციული ლიდერობის კონცეფციების საფუძველზე, ყურადღება მახვილდება შემდეგ პროცესებზე:

- ❖ ფუნქციების დელეგირება დირექტორის მოადგილეებზე ადმინისტრაციულ და საფინანსო საკითხებში;
- ❖ საგნობრივი კათედრების გაძლიერება:

1) სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების და განხორციელების თვალსაზრისით; 2) მასწავლებელთა შეფასებისა და პროფესიული განვითარების კუთხით;

- ❖ კოლექტიური პასუხისმგებლობის დანერგვა სკოლის მასწავლებლებში.

კვლევის მიზანი: საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებში ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის ჩამოყალიბების საფუძვლების შემუშავება, რაც მიმართულია სკოლის კონცეპტუალურ მთლიანობის შენარჩუნებაზე, ეფექტურ მუშაობასა და მისიის რეალიზებაზე, რომელიც ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

1. ჩატარდეს სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით;
2. ზოგადი განათლების სისტემის მართვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო დოკუმენტაციის, მათ შორის, ეროვნული სასწავლო გეგმის ანალიზი;
3. შედარებითი კვლევის მეთოდი, როგორც დროის ჭრილში პირველი, მეორე და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმების იმპლემენტაციის პერიოდში; ისე გეოგრაფიულ ჭრილში, საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების/ქვეყნის სკოლებში ორგანიზაციული კულტურის ცვლილებების თვალსაზრისით;
4. კვლევის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა წყაროების დამუშავება, რაც შესაბამისი მეთოდებისა და მეთოდოლოგიას გულისხმობს, როგორებიცაა: მასალის მეორეული ანალიზი (კურიკულუმის ან შესრულებული სამუშაოს ანალიზი, ფოკუს ჯგუფების, ინტერვიუების, საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმების, მოსწავლეთა შეფასებების, მშობლების გამოკითხვის ანალიზი და სხვ.); კვლევის ვიზუალური მეთოდი, კონტენტანალიზი და სხვ.
5. მეთოდიკური საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ/ხელს შეუწყობენ ზრუნვაზე და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას.

დასკვნა

კვლევის შედეგად დაიგეგმა შემდეგი ამოცანები:

1. განხორციელდება საქართველოს პრაქტიკაში სასკოლო კულტურის პირველი მეცნიერული კვლევა, რომელიც შედგება შედარებითი კვლევის მეთოდის გათვალისწინებით როგორც დროის ჭრილში პირველი, მეორე და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმების იმპლემენტაციის ფარგლებში სასკოლო კულტურის საკითხის აქტუალიზაციის თვალსაზრისით), ისე გეოგრაფიულ ჭრილში (საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების/ქვეყნის სკოლებში ორგანიზაციული კულტურის ცვლილებების თვალსაზრისით), გამოიკვეთება კულტურული, ისტორიული და სხვ. ფაქტორების გავლენა სასკოლო კულტურის ფორმირებაზე; შეიქმნება შესაბამისი მონაცემთა ბაზა;
2. კვლევის შედეგად გავიგებთ, რამდენად მნიშვნელოვანია სკოლის ორგანიზაციული კულტურის გათვალისწინება სასკოლო პროცესის ყველა მონაწილის ურთიერთმოქმედების კონტექსტის კორექტული გაგება-გააზრებისთვის, რამდენად მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროცესის ყველა ფაქტორის ერთობლივი საქმიანობის შეთანხმებულობა სკოლის მიერ დასახული მიზნების რეალიზებისთვის;
3. შემუშავდება სკოლის როგორც ორგანიზაციული კულტურის მატარებელი ორგანიზაციის კონცეპტუალური მოდელი; ამ მოდელის პრაქტიკაში დანერგვა ხელს შეუწყობს სასკოლო სისტემის პროგრესული გარდაქმნის ხარისხობრივად ახალი დონის დამკვიდრებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მინისტრის ბრძანება 24.05.2016, ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ, [ონლაინ], ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3285991?publication=0
2. William G. Ouchi,(1981), *Theory Z:How American Business Can Meet the Japanese Challenge*, 227
3. ტომას ჯ. სერჯიოვანი, *სკოლის ხელმძღვანელობა. თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გააზრებული გამოყენების პერსპექტივა,* მეექვსე გამოცემა, ინიტის უნივერსიტეტი, სან ანტონიო, ტეხასი, 506, [ონლაინ], ხელმისა-წვდომია: https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/skolis-khelmdzghvaneloba.pdf,
4. გირტ ჰოფსტედე და გერტ იან ჰოფსტედე (2011), *კულტურები და ორგანიზაციები გონების პროგრამული უზრუნველყოფა*, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, გვ.,17-19
5. კამერონისა და რობენ ქუინის
6. ნიკოლოზ სილაგაძე, 2020 „სასკოლო კურიკულუმი“, *ჟურნალი* „სკოლის მართვა“ N1, გვ.39-49, [ონლაინ], ხელმისაწვდომია, http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2021/01/%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%90-1.pdf
7. ბერიკა შუკაკიძე, ნატო ინგოროყვა, მანანა რატიანი, ხათუნა ბარაბაძე, ეკატერინე კვირიკაშვილი, სოფიკო ლობჟანიძე და ნათია ნაცვლიშვილი (2021), *თანამედროვე სკოლის მართვა,* მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 308, [ონლაინ], ხელმისაწვდომია, http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2021/11/Book-Tanamedrove-sklois-martva-web.pdf

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ტურისტული პოტენციალი და განვითარების პერსპექტივები

ნადარეიშვილი ნანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რევია ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი

აბსტრაქტი

საქართველოში ტურისტული ბიზნესის წინსვლა დამოკიდებულია რეგიონული ტურიზმის მდგომარეობაზე და აქტივობებზე. ტურიზმის განვითრების დიდი პოტენციალია სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის 10,8%-ა. მასზე მოდის საერთო ვიზიტორების 6,6%, რომელთა ძირითადი მიზანია გართობა, დასვენება, რეკრეაცია.

ტურისტებს იზიდავს ლამაზი ბუნება, (დაწყებული კოლხეთის ტენიანი სუბტროპიკებიდან, სუბალპური და ალპური ლანდშაფტებით დამთავრებული), ისტორიულ-კულტურული ღირსშესანიშ-ნაობები, სტუმართმოყვარე ხალხი და არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურა. ყოველივე ეს რესურსი და პირობა ხელს უწყობს აქ ტურიზმის სხვადასხვა სახეობების განვითარებას.

2015-2018წწ უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა ყოველწლიურად საშუალოდ უდრიდა 180,0 ათას კაცს, ხოლო ადგილობრივების — 978,3 ათასს. რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა 2019 წელს, უცხოელი ვიზიტორები — 2010,0 ათასი, ადგილობრივები — 1,9 მილნ-მდე. კოვიდ პანდემიის გავლენით ტურისტების საერთო ნაკადმა საგრძნობლად იკლო, 2019 წელთან შედარებით 2020 წელს 41,3%-ით, ხოლო 2022 წელს 34,3%-ით.

2015-2021 წლებში განთავსების ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიუთითებს სასტუმრო ნომრების სხვადასხვა კატეგორიებისა და ადგილების მზარდი მაჩვენებლები — ადგილების რაოდენობა გაიზარდა 80,1%-ით, ორ და სამ ადგილიანი ნომრების რაოდენობა შესაბამისად 79,2%-ით და 120,0%-ით.

სახელისუფლებლო ორგანოების ფინანსური და საგანმანათლებლო თანადგომა, თანამედროვე სტანდარტების დაცვა ტურისტული სერვისების მიწოდებაში, რეგიონის პოპულარიზაცია საერთაშორისო და შიდა ბაზარზე ხელს შეუწყობს რეგიონში ტურისტული ბიზნესის განვითარებას, შემოსავლების ზრდას და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

საკვანძო სიტყვები: რეგიონული ტურიზმი, საკურორტო ზონები, ვიზიტორები

ძირითადი ტექსტი

საქართველო თავისი თვითმყოფადი კულტურით მრავალი უცხოელი ვიზიტორისთვის მიმზიდველი ტურისტული ქვეყანაა. მისი თითოეული რეგიონის ლამაზი ბუნება, ისტორიულ-კულტურული ღირშესანიშნაობები, თვალწარმტაცი ლანდშაფტები და სტუმართმოყვარე ხალხი მრავალ ტურისტს იზიდავს და განმეორებითი მონახულების სურვილსაც აღუძრავს.

Covid პანდემიამდე საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობდა და 2019 წელს რეკორდულ ნიშნულამდე მივიდა - 9354 964, ხოლო შემოსავლები გაუტოლდა 3,2 მლრდ. აშშ დოლარს. ჩვენი ქვეყნისათვის ტურიზმიდან შემოსავალი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამიტომაც ის არის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმარ-თულება. პანდემიის გამო 2020-2021 წლებში, მთელ მსოფლიოში ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვნად შეფერხდა. მკაცრ შეზღუდვებს მოჰყვა საერთაშორისო ტურიზმის ფაქტობრივი პარალიზება, ხოლო ადგილობრივი ტურიზმი მკვეთრად შემცირდა.

2020 წელს საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ საქართველოში 2019 წელთან შედარებით დაიკლო 81,3 % -ით და შეადგინა 1 745 110, რითაც გაუტოლდა 2011 წლამდე არსებულ მონაცემებს. 2021 წლიდან ტურიზმმა თანდათან გამოცოცხლება დაიწყო და საერთაშორისო

მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 1881271 შეადგინა. ტურიზმის განვითარების ბოლო წლების ტენდენციები შესაბამისად აისახა მშპ-ში მისი ხვედრითი წილის დინამიკაზე, 2019 წ ის შეადგენდა 8.4 %, 2020 წ - 5,9 %, 2021 წ - 6,4 %.

ქვეყანაში ტურისტული ბიზნესის წინსვლა დამოკიდებულია რეგიონული ტურიზმის მდგომარეობაზე და აქტივებზე. ამ მხრივ საქართველოს ყველა ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი მეტ-ნაკლები განვითარებით ხასიათდება.

ერთ-ერთი რეგიონი, რომელიც ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალის მქონეა არის სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე. მისი ფართობი 7,5 ათასი კვ.კმ - ია და ქვეყნის ტერიტორიის 10,8%-ს შეადგენს. მასზე მოდის საქართველოს საერთო ვიზიტორების 6,6%, აქედან 4,1%-ის სტუმრობის მიზანია გართობა, დასვენება, რეკრეაცია (2021წ.)

აქ ვხვდებით ყველა სახის ლანდშაფტს, რომელიც დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოსთვის: ზღვისპირა კოლხეთის ტენიანი სუბტროპიკული, კოლხური, მთის ტყის, კავკასიონის საშუალო და მაღალი მთის სუბალპური და ალპური ლანდშაფტები. ლანდშაფტური მოზაიკა, ბიოლოგიური მრავალფეროვნება, შავი ზღვის აკვატორიაში და მაღალ მთებში განვითარებული საკურორტო ზონები, თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურა და ადგილობრივი მოსახლეობის გენეტიკური სტუმართმოყვარეობა განსაკუთრებულ პირობებს ქმნიან სხვადასხვა სახის ტურიზმით დაინტერესებულებისათვის, როგორიცაა მაგალითად, საავტომობილო, საცხენოსნო, საფეხმავალო, ეკოტურიზმი, საზღვაო-სანაოსნო, საჯომარდო, სამონადირეო, ბერდვოჩინგი, აგროტურიზმი, შემეცნებითი, პილიგრიმული, ექსტრემალური, სამთო-სათხილამურო და სხვა.

მთელ რიგ მარშრუტებზე და დესტინაციებზე მზარდი მოთხოვნილებაა. დაცული ტერიტორიებიდან ბოლო წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს მარტვილის კანიონი (მდ. აბაშა) ; 2021წ. ის ინახულა 116 420 ტურისტმა (საქართველოს დაცული ტერიტორიების ვიზიტორების 19,8%-მა), აქედან 67% უცხოელი იყო, შემოსავალმა შეადგინა 1,8 მლნ ლარზე მეტი.

დიდი ინტერესია საფეხმავალო მარშრუტზე ტობა-ვარჩხილის ტბების (ზ.დ. - დან 2650 მ.) სანახავად, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ვიზიტორების მხრიდან. მას დედამიწის სამოთხეს უწოდებდნენ.

მნახველებს იზიდავს ზემო სვანეთის მყინვარები, მსოფლიოში ცნობილი მწვერვალები: შხარა, უშბა, თეთნულდი. ეს უკანასკნელი წარმოსდგება, როგორც ახალი სამთო-სათხილამურო კურორტი. მას სამხრეთ კავკასიაში ყველაზე გრძელი და ყველაზე დიდი ვერტიკალური ვარდნის სასრიალო ტრასა აქვს. მესტიაში კიდევ ერთი კურორტი, ჰაწვალი ვითარდება. მკაცრი ბუნების სვანეთს წლის ოთხივე დროს უამრავი მნახველი ჰყავს. უნიკალურ ლანდშაფტს უფრო მიმზიდველს ხდის საუკუნეების წინ აგებული 20-25მ სიმაღლის ქვებითა და ლოდებით ნაგები საცხოვრებელი კოშკები, რომლებიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობას წარმოადგენს. მესტიის სოფ. უშგული კი ევროპაში ყველაზე მაღალ დასახლებად ითვლება.

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში 27 მუზეუმია, მათგან უნიკალურია დადიანების სასახლე, სადაც 41 ათასი ექსპონატი ინახება. წარმოდგენილია ანტიკური ეპოქის ამსახველი არქეოლოგიური მასალები და ქრისტიანული სიწმინდეები (აღსანიშნავია მარიამ ღვთისმშობლის ხელთუქმნელი კვართი). დიდი ინტერესის საგანია ღია მუზეუმი ნოქალაქევი ეგრისის სამეფო-სატახტო ქალაქი), უნიკალურია ქ. ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, სადაც ყველა კონტინენტის იშვიათი მცენარე ხარობს.

ენგურჰესი - მსოფლიოს ყველაზე დიდი ჰესების ხუთეულშია. ბოლო წლებში აქ მოეწყო ტურისტებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა (გადასახედი მოედნები, საბაგირო გზა, ზიპლაინი, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და აღმოჩენათა ცენტრი) ღია საკონცერტო სივრცით. ხელისუფლების გათვლებით ენგურის ტურისტული ზონა წელიწადში სავარაუდოდ 400 ათასამდე საერთაშორისო და ადგილობრივ ტურისტს მოემსახურება.

ქ. ფოთში მალთაყვის სანაპიროს უნიკალური სამკურნალო მაგნიტური ქვიშები ათწლეულებია პოპულარობით სარგებლობს.

ანაკლიაში მეოთხე წელია ტარდება ელექტრონული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი ჯემ

ფესტი, ასევე იმართება კლასიკური მუსიკის საღამოები. ამ პატარა საზღვაო კურორტზე მსოფლიო ვარსკვლავების მოსასმენად ათასობით ტურისტი ჩამოდის ზაფხულში. 2017წ-ს დაფუძნდა ბიზნეს-ფესტივალი ანაკლიობა. მასში მონაწილეობენ ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლები.

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე სწრაფად ვითარდება. რეგიონს აქვს ერთი აეროპორტი მესტიაში. ახლო მომავალში გათვალისწინებულია აეროპორტის მშენებლობა ზუგდიდში, ინგირის ტერიტორიაზე. ზუგდიდის შესასვლელთან იგეგმება ტურისტული ჰაბის მშენებლობა. ყოველივე აღნიშნული ხელს შეუწყობს რეგიონში ტურიზმის განვითარებას.

2015-2022 წლებში სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ვიზიტორების რაოდენობის დინამიკა არათანაბარი იყო (ნახ. 1).

2015-2018 წწ. უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 184,0 ათას კაცს შეადგენდა, ხოლო ადგილობრივების - 978,3 ათას. 2019 წელს, წინა წელთან შედარებით ვიზიტორების რაოდენობამ მოიმატა (ადგილობრივი 100%-ით, უცხოელების 39,0%-ით), მაგრამ შემდგომ წლებში ტურისტების რაოდენობამ იკლო Covid პანდემიის გავლენით. როგორც ვხედავთ ადგილობრივი ვიზიტორებისგან მეტი დაინტერესებაა რეგიონის მიმართ. ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 2,7 დღეა.



ნახ.1. ვიზიტების რაოდენობა სამეგრელო-ზემო სვანეთში. (წყარო — საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური — https://www.geostat.ge/ka).

განთავსების ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიუთითებს სასტუმრო ნომრების კატეგორიებისა და ადგილების მზარდი მაჩვენებლები (სურ. 2).

2015-2021 წლებში ადგილების რაოდენობა გაიზარდა 80,1 %-ით (მხოლოდ 2020 წ. შეფერხდა მზარდი დინამიკა კოვიდ-პანდემიის გამო) . სხვადასხვა კატეგორიის სასტუმრო ნომრების მატება შემდეგი იყო: ლუქსი — 65,2 %, ერთადგილიანი — 33,8%, ორადგილიანი — 79,2%, სამადგილიანი — 120,0 %; ორ და სამადგილიან ნომრების მზარდი დინამიკა განაპირობა მათზე მოთხოვნამ.

იმედია, ადგილობრივი ხელისუფლება სამთავრობო სტრუქტურების მხარდაჭერით, ხელს შეუწყობს მხარის ტურისტული ბიზნესის განვითარებას. მომსახურების ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობასთან ერთად, აუცილებელია, მოიზიდოს ინვესტიციები, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის. მნიშვნელოვანია არსებული შესაძლებლობების განვითარება, ახალი ტურისტული მარშრუტების დაგეგმვა, რომლებიც ინტეგრირებული იქნება საქართველოს მსხვილი ტურისტული კომპანიების მარშრუტებში, კვალიფიცირებული ორგანიზება უნდა გაეწიოს კვებით მომსახურებას და გასტროტურიზმის ელემენტების ჩართვას ტურების

დაგეგმვისას. ასეთ მიდგომას, უდავოდ მოყვება კერძო ინიციატივის გააქტიურება.



ნახ. 2. სასტუმრო ნომრებისა და ადგილების რაოდენობა სამეგრელო-ზემო სვანეთში. (წყარო - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - https://www.geostat.ge/ka).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს გარკვეული ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ ტურიზმის განვითარებას მხარეში. მათი დაძლევისთვის კი საჭიროა:

1. ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესება;
2. რეგიონის პოპულარიზაცია ტურისტული საინფორმაციო ცენტრების ფორმირებით;
3. პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
4. ხელსაყრელი პირობებით ფინანსური კაპიტალის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
5. რეგიონული ტურისტული ბაზრის მარკეტინგული კვლევა.

ტურისტული ბიზნესის განვითარება უნდა დაეფუძნოს მეცნიერულ მიდგომებსა და ინოვაციებს რათა ის არ დაემუქროს მთლიანად რეგიონის აგრარულ იმიჯს და დაცული იქნას მისი კოლორიტული თავისებურებანი, ყოფა-ცხოვრების ტრადიციები.

დასკვნა

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეს აქვს საკმაოდ დიდი შესაძლებლობები ტურიზმის სფეროს და ბიზნესის განვითარებისთვის. სახელისუფლებლო ორგანოების ფინანსური და საგანმანათლებლო თანადგომა, თანამედროვე სტანდარტების დაცვა ტურისტული სერვისების მიწოდებაში, რეგიონის პოპულარიზაცია საერთაშორისო და შიდა ბაზარზე ხელს შეუწყობს ტურისტული ბიზნესის განვითარებას, შემოსავლების ზრდას და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

გამოყენებული წყაროები:

1. სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://regions.geostat.ge/regions/samegrelo.php?lang=ka

Tourism potential of the Samegrelo-Zemo Svaneti region and development prospects

Nadareishvili Nana
Associate professor of Georgian Technical University
Revia Nino
Master's student of Georgian Technical University

Abstract

The success of tourism business in Georgia depends on the state of regional tourism and activities. There is a great potential for tourism development in the Samegrelo-Zemo Svaneti region, which makes up 10.8% of the country's territory. 6.6% of the total number of visitors come to it, the main purpose of which is entertainment, recreation, recreation.

Tourists are attracted by beautiful nature, ranging from the humid subtropics of Colchis to subalpine and alpine landscapes, historical and cultural attractions, hospitable people and the existing tourist infrastructure. All these resources and conditions contribute to the development of various types of tourism here.

In 2015-2018 the number of foreign guests annually averaged 180.0 thousand people, and local - 978.3 thousand people. A record number was recorded in 2019, foreign visitors - 2010.0 thousand, and local visitors - up to 1.9 million people. Due to the impact of the Covid pandemic, the flow of tourists has significantly decreased: compared to 2019, in 2020 by 41.3%, and in 2022 by 34.3%.

The development of the accommodation infrastructure in 2015-2021 is evidenced by the increasing indicators of various categories and places of hotel rooms - the number of places increased by 80.1%, the number of double and triple rooms, respectively, by 79.2% and 120.0%.

The Samegrelo-Zemo Svaneti region has a lot of opportunities for tourism and business development. Financial and educational support of state bodies, compliance with modern standards for the provision of tourism services, promotion of the region in the international and domestic markets will contribute to the development of the tourism business, income growth and an increase in the standard of living of the population.

უსაფრთხო ბიზნეს გარემოს ფორმირების მნიშვნელოვანი ასპექტები

ოთინაშვილი რამაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ელისაბედაშვილი ალექსანდრე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ბედინაშვილი ვარაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ბიზნესის მხარდაჭერისთვის ყურადღება უნდა მიექცეს მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ინტერნეტთან და ელექტრონული კომერციის საერთაშორისო პლატფორმებზე წვდომის გაუმჯობესებას. გასაფართოებელია ფინანსებთან წვდომის კომპონენტი. დასახვეწია ბიზნეს ინკუბატორების პროგრამა, რომელიც სტარტაპერებისათვის გაამარტივებს იდეიდან კონკრეტულ საბაზრო სეგმენტზე ოპერირების დაწყებას. დასამუშავებელია კონკრეტული დარგობრივი ბიზნესების დაწყების და მართვის მეთოდოლოგიები შესაბამისი ტრენინგებითა და მასტერკასებით.

უცხოური კაპიტალის მოზიდვის მიმართულებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მაღალი საექსპორტო და საინვესტიციო პოტენციალის მქონე ბიზნეს-სექტორებს. აქტუალურია ინვესტიციების დაბანდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელ, მოწინავე ტექნოლოგიებით აღჭურვილ მანქანა-დანადგარებში, რაც ხელს შეუწყობს კვების მრეწველობის განვითარებას.

ექსპორტის ზრდა უკეთესია მოხდეს არა პირველადი, მოკლე ტექნოლოგიური ციკლით გადამუშავებული ხილით და ბოსტნეულით. არამედ უფრო ღრმა ტექნოლოგიური პროცესებით დამუშავებული მზა კვების პროდუქტებით: კონსერვებით, წვენებით, ჯემებით და ა.შ.

ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების და მისი უმთავრესი ამოცანის - კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის სტატიაში მოცემულია რეკომენდაციები: მთავრობამ უნდა უზრუნველყოს მაკრო ეკონომიკური სტაბილურობა, ხელი შეუწყოს შრომის სრულფასოვანი ბაზრის ჩამოყალიბება-განვითარებას, მნიშვნელოვანია სამუშაო ძალის კვალიფიკაციის შესაბამისობა ბაზრის მოთხოვნებთან. აუცილებელია ინოვაციური პოტენციალის გაუმჯობესება და ბიზნესის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის განვითარება.

ერთის მხრივ, სამართლიანი კონკურენციის პოლიტიკა და მეორეს მხრივ, მცირე ბიზნესის მხარდაჭერა უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქციის მოცულობის და ხარისხის ზრდას, რაც დასაქმების და ცხოვრების დონის გაუმჯობესების საფუძველი იქნება.

საკვანძო სიტყვები. ბიზნესი, კონკურენცია, ტექნოლოგია, ექსპორტი, ბაზარი.

ძირითადი ტექსტი

ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს ფორმირება დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების ქვაკუთხედია. მიმზიდველ ბიზნეს გარემოში დევს ის გასაღები, რომლითაც უნდა გადაიჭრას სახელმწიფოს წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და მოხდეს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

ბოლო წლებში საქართველოში ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით. თუმცა კვლავ მნიშვნელოვანია ის გამოწვევები, რაც აფერხებს მის განვითარებას. დაწყებულმა რეფორმების ტალღამ შეამცირა საგადასახადო ტვირთი და აღმოფხვრა ბიუროკრატიული ბარიერები. თუმცა კვლავ პრობლემად რჩება თავისუფალი კონკურენციის დაცვა.

ეფექტური პოლიტიკის შემუშავებისათვის აქტუალურია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ახალი შესაძლებლობების გამოვლენა. ამისათვის საჭიროა მოხდეს პერსპექტიული დარგობრივი ბიზნესების განვითარების კომპლექსური შეფასება და შეიქმნას ბიზნეს სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მდგრადობას.

გლობალური გამოწვევების საპასუხოდ, მთავრობის ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს

ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი დარგების განვითარებაზე. მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანი დარგობრივი ბიზნესების წახალისება ადგილობრივი წარმოების ზრდის და საექსპორტო პოტენციალის გაფართოების მიმართულებით.

ბიზნესის განვითარებას უდაოდ შეუწყობს ხელს უცხოური კაპიტალის მოზიდვა, განსაკუთ-რებული ყურადღება უნდა მიექცეს მაღალი საექსპორტო და საინვესტიციო პოტენციალის მქონე ბიზნეს-სექტორებში მათ ინვესტირებას. აქტუალურია დაბანდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელ, მოწინავე ტექნოლოგიებით აღჭურვილ მანქანა-დანადგარებში, რაც ხელს შეუწყობს კვების მრეწველობის დარგობრივი ბიზნესების განვითარებას.

მოთხოვნა საკვებ პროდუქტებზე, მზარდი ტურისტული ნაკადების ფონზე, სულ უფრო მაღალია. მოხმარებული საქონლის უმრავლესობა კი იმპორტირებული. საქართველო ისტორიულად აგრარული ქვეყანაა, სოფლის მეურნეობის კულტურების მოყვანის ტრადიციები ჩვენს მოსახლეობაში მყარადაა განვითარებული.

2022 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკ-ლარირებული ვაჭრობის გარეშე) 13 612.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 35.3 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 4 097.2 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (37.4 პროცენტით გაიზარდა), ხოლო იმპორტი 9 515.0 მლნ. აშშ დოლარს (34.4 პროცენტით მეტია).1

აშენდა მრავალი მაცივარი, სადაც გადამუშავებულ და შენახულ იქნა მილონობით ტონა საექსპორტო ხილი და ბოსტნეული. ეს რა თქმა უნდა დადებითი ფაქტია მაგრამ უკეთესი იქნება გავიტანოთ არა პირველადი ან თუნდაც მოკლე ტექნოლოგიური ციკლით (დახარისხება,შეფუთვა, დაფასოება) გადამუშავებული ხილი და ბოსტნეული. არამედ უფრო ღრმა ტექნოლოგიური პროცესებით დამუშავებული უკვე მზა კვების პროდუქტები: კონსერვები, წვენები, ჯემები და ა.შ. ეს ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და მათი შემოსავლების ზრდას. დადებითად იმოქმედებს რეგიონული პოლიტიკის ეფექტიანობაზე, სოფლის მოსახლეობის დასაქმებაზე, მიგრაციული ნაკადების შემცირებაზე და ა.შ.

ბიზნესის მხარდაჭერის კუთხით გასაძლიერებელია, ფინანსებთან წვდომის კომპონენტი. ამისათვის ჩვენი აზრით უნდა დაიხვეწოს ბიზნეს ინკუბატორის პროგრამა, რომელიც სტარტაპერე-ბისათვის უზრუნველყოფს იდეის რეალიზაციას და კონკრეტულ საბაზრო სეგმენტზე ოპერირების დაწყებას. საჭიროა დამუშავდეს დარგობრივი ბიზნესების დაწყების და მართვის მეთოდოლოგიები შესაბამისი ტრენინგებითა და მასტერკასებით.

ყურადღება უნდა მიექცეს მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ინტერნეტთან და ელექტრონული კომერციის საერთაშორისო პლატფორმებზე წვდომის გაუმჯობესებას.

სახელმწიფომ საკუთარი სიტყვა უნდა სთქვას პროდუქციის რეალიზაციის კუთხით. ექსპორტის მხარდაჭერის მიზნით მნიშვნელოვანია შეიქმნას ექსპორტის წამახალისებელი საკრედიტო სტრუქტურა, რომელიც საექსპორტო ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ დაზღვევისა და გარანტიების ქმედითი ინსტრუმენტების ამოქმედებით წაახალისებს რეგიონებში ოპერირებადი ტერიტორიული ბიზნესების საერთაშორისო ბაზრებზე წვდომას. აღნიშნული მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ექსპორტის ზრდას.

სოფლის განვითარების ერთიანი პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს სოფლად ცხოვრების პირობების ამაღლებასა და ბიზნეს აქტიურობის ზრდაზე.

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით მიწის ფონდის რაციონალური მართვის, სამეურნეო დანიშნულების მიწის ბაზრის განვითარებისა და აგრარული დანიშნულების მიწების მიზნობრივი გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, დასანერგია აქტივობები ფერმერთა რეესტრისა და მიწათსარგებლობის გეოინფორმაციული სისტემის შექმნის მიმართულებით.

ასევე თანამედროვე ტექნოლოგიები დასანერგია დეგრადირებული ნიადაგების გამოკვლევის და მათი ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების კუთხით. სახელმწიფო ხელშეწყობა უნდა გამოიხატოს

[1] https://www.geostat.ge/media

მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების დანერგვაში - შემნახველი, დამხარისხებელი, შემფუთავი, გადამამუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარებაში. რითაც უზრუნველყოფილი იქნება დღგ-ს სრული ციკლის შემადგენელი ტექნოლოგიური პროცესების ინტეგრაცია.

სოფლის მეურნეობის და მის ბაზაზე კვების პროდუქტების გადამამუშავებელი ბიზნეს ტექნოლოგიური პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია სატრანსპორტო სისტემა. მისი ფუნქციონირება და განვითარება უნდა შეესაბამებოდეს ერთის მხრივ ქვეყნის მაკროეკონომიკური წონასწორობის მოთხოვნებს და მეორეს მხრივ ბიზნესის ოპტიმალური განვითარების პროპორციებს. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა სატრანსპორტო სისტემის მორგება ერთიან ტექნოლოგიურ ციკლზე, რომელიც უპასუხებს კვების მრეწველობის დარგობრივი ბიზნესების განვითარების ტენდენციებს და ოპტიმალურად ჩაჯდება ქვეყნის მაკროეკონომიკურ წონასწორობაში.

საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის უკეთ გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია ერთიანი სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბება და სატრანზიტო პოტენციალის ეფექტური გამოყენება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია გაღრმავდეს საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაცია და რეგიონალური თანამშრომლობა. დაიგეგმოს საქართველოს გავლით ახალი სატრანსპორტო დერეფნების დაფუძნება მაგალითად სპარსეთის ყურე-შავი ზღვის სატრანსპორტო დერეფანი და ა.შ.; ამისათვის საჭიროა სატრანსპორტო სისტემების აღჭურვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

სოფლის მეურნეობის ბაზაზე კვების პროდუქტების გადამამუშავებელი ბიზნეს ტექნოლოგიური პროცესის მნიშვნელოვანი რგოლია ტურიზმი. მისი ფუნქციონირება და განვითარება ასევე უნდა შეესაბამებოდეს ერთის მხრივ ქვეყნის მაკროეკონომიკური წონასწორობის მოთხოვნებს და მეორეს მხრივ ბიზნესის ოპტიმალური განვითარების პროპორციებს. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა ტურისტული ბიზნესის მორგება ერთიან ტექნოლოგიურ ციკლზე, რომელიც შეესაბამება დარგობრივი ბიზნესების განვითარების ტენდენციებს და ოპტიმალურად ჩაჯდება ქვეყნის მაკროეკონომიკურ წონასწორობაში.

ტურიზმის განვითარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ყოველწლიურად მზარდია ვიზიტორების ნაკადი და ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავლები. ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა და მისი, როგორც პრიორიტეტული ბიზნესის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია:

- საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, კულტურულ ძეგლებთან და სხვა ღირსშესანიშნაობებთან მისასვლელი გზების გამართვა;

- ახალი, განსაკუთრებით მაღალშემოსავლიანი ევროპული ქვეყნების ბაზრების მოძიება, რისთვისაც საჭირო იქნება მარკეტინგული აქტივობების სტიმულირება;

- შიდა ტურიზმის გამოუყენებელი პოტენციალის ათვისება;

- დაცული ტერიტორიების გაფართოება და ეკოტურიზმის ხელშეწყობა, რაც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სიმდიდრეა;

- ტურიზმის კონკრეტული მიმართულებების: საქმიანი (ბიზნეს) სათხილამური, სათავგადასავლო, სამედიცინო, ღვინის და ა.შ. განვითარება;

- კარგი იქნება მომსახურების სფეროში მომუშავე პერსონალის გადამზადება, საერთაშორისო სტანდარტებამდე გაზრდის მიზნით;

ტურიზმის განვითარებაში სტრატეგიად უნდა იქცეს ჩვენი ქვეყნის გადაქცევა ოთხი სეზონის ტურისტულ ჰაბად, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის შემდგომ დასაქმებას და მათი შემოსავლების ზრდას.

მნიშვნელოვანია სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება ტურისტული პროდუქტის შექმნისა და პოპულარიზაციის მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება სახელმწიფოს მხრიდან უნდა მიექცეს მოთხოვნის შესწავლას და შესაბამისი მიმართულებების განსაზღვრას კერძო საოჯახო ბიზნესებისთვის. მაგალითად თუ გამოიკვეთა მზარდი მოთხოვნა ისეთ საკვებ პროდუქტზე როგორიცაა: ლოკოკინა, მწყერის ხორცი ან თევზეულის რომელიმე კონკრეტული სახეობა. არ უნდა ხდებოდეს სპონტანურად მოძიება სხვადასხვა გზების და საშუალებების მოთხოვნის

დასაკმაყოფილებლად, არამედ სახელმწიფომ ფორმირებული მოთხოვნის შესაბამისად უნდა შექმნას მეთოდოლოგია აღნიშნულ ბიზნესებში მსურველების შესვლის და ბაზარზე ოპერირების დაწყების.

დასკვნა. განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მდიდარი გამოცდილება არსებობს.[1] მისი საქართველოს პირობებთან ადაპტაციისათვის, საჭიროა მოხდეს გადასვლა კონცეპტუალურ საფუძველზე დამყარებულ მცირე ბიზნესის მხარდაჭერის საკვანძო მიმართულებებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., აბრალავა ა., მენეჯმენტი და ადმინისტრირება, თბილისი, „ინოვაცია", 2007.-715გვ.;
2. ნარმანია დ., ბიზნეს გარემოს სრულყოფის კონცეფცია, საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტი, თბ. 2012., გვ. 12-13
3. ოთინაშვილი რამაზ, ბიზნეს უსაფრთხოება, ლექციების კურსი, 2021. 545გვ.
4. Handbook of e-business security / editors, Joao Manuel, R.S. Tavares [and three others], Description: Boca Raton, FL : CRC Press, 2018.
5. Баяндин Н. Технологии безопасности бизнеса: введение в конкурентную разведку. М.:Юрист, 2002.-320с.
6. Радаев В.В., Экономическая социология. Курс лекций: Учеб. пособие.- М., 2000.-368 с.
7. https://www.geostat.ge/regions/
8. http://www.economy.ge/?page=ecoreview
9. https://www.cristianoronaldo.com/#newsletter
10. http://www.enterprisegeorgia.gov.ge/
11. www.eurostat.com

Important aspects of forming a safe business environment

Ramaz Otinashvili - STU professor
Aleksandre Elisabedashvili - Doctoral of GTU
Varaz Bedinashvili - Doctoral of GTU

Abstract

For business support, attention should be paid to improving the access of micro, small, and medium entrepreneurs to the Internet and international e-commerce platforms. The access to finance component should be expanded. The program of business incubators should be improved, which will make it easier for startups to start operating from an idea to a specific market segment. Methodologies for starting and managing specific sector businesses should be developed with appropriate training and masterclasses. In order to attract foreign capital, special attention should be paid to business sectors with high export and investment potential. It is relevant to invest in machines equipped with advanced technologies for processing agricultural products, which will contribute to the development of the food industry. It is better to increase the export not with a primary, short technological cycle of processed fruits and vegetables, but by food with deeper technological processes: canned food, juices, jams, etc. In order to improve the business environment and increase its main task -increase competitiveness, the article contains recommendations: the government should ensure macro-economic stability and promote the formation and development of a full-fledged market, it is important to match the qualifications of the workforce with market requirements. It is necessary to improve the innovative potential and develop a business-friendly infrastructure. On the one hand, the policy of fair competition and on the other hand, the support of small businesses will ensure the increase in the volume and quality of manufactured products, which will be the base for employment and improvement of the standard of living.

keywords. Business, competition, technology, export, market.

[1] *ოთინაშვილი რ.,* ეკონომიკური უსაფრთხოება, ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები, თბილისი: სტუ, 2005.-440გვ.;

მოტივაციის მნიშვნელობა კრიზისის მენეჯმენტში

ომანაძე ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ლაგვილავა თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

სირაძე მაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

აბსტრაქტი

სტატიაში აღნიშნულია, რომ ორგანიზაციის ეფექტიან საქმიანობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მოტივაცია. შეიძლება ორგანიზაციას ჰქონდეს საუკეთესო სტრუქტურა, მაგრამ მისი მუშაობა არ იყოს ეფექტიანი მოტივაციის არქონის ან არასათანადოდ წარმართული წახალისების გამო. მოტივაციის ეფექტიანი სისტემების გამოყენებას დიდი ყურადღება ეთმობა წარმატებულ კომპანიებში, ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც პერსონალის სტიმულირების ასევე ორგანიზაციის კრიზისის მართვის პროცესში.

ავტორები წერენ, რომ კრიზისის მენეჯმენტი გულისხმობს სტრატეგიების გამოყენებას ორგანიზაციის მოულოდნელ და მნიშვნელოვან ნეგატიურ მოვლენებთან გასამკლავებლად. კრიზისის მენეჯმენტი ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს კრიზისით გამოწვეული ზიანი. სწორედ ამ პროცესში უდიდეს როლს თამაშობს მოტივირებული პერსონალი და მათი ეფექტური მუშაობა, რადგან მათ მენეჯმენტთან ერთად მაქსიმალური ძალისხმევა გამოიყენონ ორგანიზაციის კრიზისიდან გამოსაყვანად.

სტატიაში წერია, რომ ნებისმიერი კრიზისის დროს ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ კრიზისის მართვის ისეთი მექანიზმი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება თანამშრომელთა მოტივაცია, რაც გულისხმობს პერსონალის ჩართულობას კრიზისის მოგვარების პროცესში და თანამშრომლებისათვის თავიანთი მოსაზრებების დაფიქსირების შეასძლებლობას, რითიც მენეჯმენტი აჩვენებს, რომ დასაქმებულები მათი გუნდის წევრები არიან, მათი აზრი მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: მოტივაცია, კრიზისის მენეჯმენტი, ორგანიზაციის ეფექტიანობა.

ძირითადი ტექსტი

მოტივაცია არის ადამიანის შრომითი ქცევის მართვის მეთოდი და ის გახლავთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი პერსონალის მართვაში. მოტივაცია გულისხმობს ადამიანური რესურსების მენეჯერის მხრიდან პერსონალის მიმართ გატარებულ ისეთ ღონისძიებებს, რომლებსაც უნარი აქვთ დააკმაყოფილონ მომუშავეთა მნიშვნელოვანი მოთხოვნები და აღუძრან მათ ეკონომიკური საქმიანობის სურვილი. თანამშრომელთა შრომითი საქმიანობის მოტივაციის ეფექტური სისტემის გარეშე შეუძლებელია კომპანიის წარმატებული განვითარება.

ნებისმიერ კრიზისში თანამშრომლებს შეუძლიათ თავი მოუწესრიგებლად და დემოტივი-რებულად იგრძნონ. ადამიანებს, როგორც წესი, არ მოსწონთ ცვლილებები და ურჩევნიათ ისეთ ორგანიზაციებში მუშაობა, სადაც ნათლად იციან თავიანთი პასუხისმგებლობები და შექმნილია მშვიდი და კომფორტული სამუშაო გარემო, თუმცა კრიზისული სიტუაციისაგან არცერთი ორგანიზაცია დაზღვეული არ არის.

ყველა ორგანიზაციაში სხვადასხვა დროს ხდება კრიზისი, რაც უარყოფითად მოქმედებს კომპანიის საქმიანობასა და პერსონალის მოტივაციის შენარჩუნებაზე.

კრიზისის მენეჯმენტი არის სტრატეგიების გამოყენება, რომელიც შექმნილია იმისათვის, რომ

დაეხმაროს ორგანიზაციას გაუმკლავდეს მოულოდნელ და მნიშვნელოვან ნეგატიურ მოვლენას.

კრიზისი შეიძლება მოხდეს არაპროგნოზირებადი მოვლენის ან რაიმე მოვლენის გაუთვალისწინებელი შედეგის შედეგად, რომელიც განიხილებოდა პოტენციურ რისკად.

კრიზისის მენეჯმენტი ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს კრიზისით გამოწვეული ზიანი. ის არის ყოვლისმომცველი პროცესი, რომელიც პრაქტიკაში ხდება კრიზისის დაწყებამდე. კრიზისის მართვის პრაქტიკა ჩართულია კრიზისამდე, მოხდენის დროს და მის შემდეგ. კრიზისის დაწყებამდე ანუ კრიზისამდელი დაგეგმვა მიზნად ისახავს რისკების იდენტიფიცირებას და შემდეგ ამ რისკების შერბილების ან შემცირების გზების პოვნას. კრიზისის მენეჯმენტი გულისხმობს ინციდენტის დროს რეაგირების საუკეთესო გზის გარკვევას.

კრიზისს აქვს თავისი ეტაპები, ესენია: გაფრთხილება და რისკის შეფასება -

რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს რისკების იდენტიფიცირება და ამ რისკებისა და მათი შედეგების მინიმიზაციის გზების დაგეგმვა, ასევე მნიშვნელოვანია მონიტორინგის სისტემების ჩამოყალიბება, რომლებსაც შეუძლიათ ადრეული გაფრთხილების სიგნალები ნებისმიერი მოსალოდნელი კრიზისის შესახებ.

კრიზისამდელი ეფექტური დაგეგმვის გასაღები არის რაც შეიძლება მეტი დაინტერესებული მხარის ჩართვა. ამგვარად, ორგანიზაციის ყველა სფერო წარმოდგენილია რისკის იდენტიფიკაციისა და რისკების დაგეგმვის პროცესში.

მომდევნო ეტაპია: კრიზისზე რეაგირება და მართვა -როდესაც კრიზისი ხდება, კრიზისის მენეჯერი პასუხისმგებელია მასზე რეაგირებაზე, მისი შექმნილი კრიზისის მართვის გეგმის შესაბამისად.

პოსტკრიზისული პერიოდი - მას შემდეგ, რაც კრიზისი ჩაცხრება და ბიზნესი დაუბრუნდება ჩვეულ სამუშაო რიტმს, კრიზისის მენეჯერმა უნდა გააგრძელოს შეხვედრები კრიზისის მართვის გუნდის წევრებთან, განსაკუთრებით მათ იურიდიულ და ფინანსურ განყოფილებებთან, რათა შეაფასონ აღდგენის მცდელობების პროგრესი. ამავდროულად, კრიზისის მენეჯერმა უნდა მიაწოდოს უახლესი ინფორმაცია ძირითად დაინტერესებულ მხარეებს, რათა მათ გააცნობიერონ არსებული ვითარება.

თანამშრომლების მოტივაცია მნიშვნელოვანია კრიზისულ სიტუაციებში, რადგან დასაქმებულთა მოტივაცია ჩნდება მაშინ, როდესაც ადამიანები სარგებლობენ თავიანთი სამუშაო ადგილით და იკმაყოფილებენ მოთხოვნილებებს. მიუხედავად იმისა, ისინი მუშაობენ სახლიდან თუ ოფისში, მოტივირებული სამუშაო ძალა პროდუქტიული და მომგებიანი ბიზნესის საფუძველია. წახალისებული თანამშრომლები ასრულებენ საქმეს და აღწევენ შედეგს, რაც კრიზისის დროს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია.

ნებისმიერ კრიზისში დაქვემდებარებულებს შეუძლიათ თავი დემოტივირებულად იგრძნონ, რადგან ზოგადად ადამიანები რთულად ეგუებიან ცვლილებას, მითუმეტეს არასასურველ ცვლილებას ორგანიზაციის საქმიანობის პროცესში. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად კრიზისული სიტუაციისა მოტივირებულ თანამშრომელს ორგანიზაცია ინარჩუნებს სამუშაო ადგილზე, რაც მიიღწევა თანამშრომლებთან მენეჯმენტის მჭიდრო და სწორი კომუნიკაციით.

თანამშრომლების ჩართულობა ხდება მაშინ, როდესაც თანამშრომლები ახორციელებენ თავიანთ პოტენციალს. ისინი გრძნობენ, რომ ეკუთვნიან და არიან გუნდის ნაწილი, მიუხედავად იმისა, მუშაობენ ოფისში თუ დისტანციურად. თანამშრომლების ჩართულობის გასაღები არის იმის ცოდნა, რომ მათი მოსაზრებები და იდეები არის მნიშვნელოვანი ორგანიზაციისათვის.

დასკვნა

კრიზისული მდგომარეობა მნიშვნელოვანი და გარდამტეხია როგორც პიროვნებისთვის, ასევე ორგანიზაციისთვის. ბიზნესის წარმატება, ხშირ შემთხვევაში, სწორედ იმაზეა დამოკიდებული თუ როგორ, რა გზით შეძლებ კრიზისის გადალახვას, ფსიქოლოგიურ ადაპტაციას, კრიზისული სიტუაციის განმუხტვასა და ცვლილებების მართვას. კრიზისის მართვას სჭირდება შესაბამისი ცოდნა და

სტრატეგიულად სწორად მოქმედება.

ნებისმიერი კრიზისის დროს ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ კრიზისის მართვის ისეთი მექანიზმი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება თანამშრომელთა მოტივაცია, პერსონალი უნდა იყოს ჩართული პრობლემის მოგვარების პროცესში, თანამშრომლებს უნდა შეეძლოთ თავიანთი მოსაზრებების დაფიქსირება, ამით მენეჯმენტი აჩვენებს, რომ ისინი მათი გუნდის წევრები არიან, მათი აზრი მნიშვნელოვანი და პატივსაცემია, რაც ბუნებრივია პერსონალის მოტივაციას უზრუნველყოფს, ეს უკანასკნელი კი ორგანიზაციის კრიზისიდან დროულად გამოყვანის საწინდარია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კ. ბერძენიშვილი, მოტივაცია როგორც ორგანიზაციული კულტურის მაჩვენებელი 2011
2. მ. თორია, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, გამომცემლობა „მერიდიანი—, თბ. 2014
3. ც. ლომაია, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ადამიანთა მახასიათებლები, მოტივაცია, თბილისი, 2014
4. Frederick Winslow Taylor, The Principles of Scientific Management, 1911, https://wwnorton.com/college/history/america-essential-learning/docs/FWTaylorScientific_Mgmt-1911.pdf
5. Fred Luthans, Organizational Behavior, NY, 2011.
6. Henri Fayol, General and Industrial Management, Martino Publishing, 2013

The importance of motivation in crisis management

Nino Omanadze
Assistant Professor of Georgian Technical University

Tamar Lagvilava
Assistant Professor of Georgian Technical University

Maia Siradze
Georgian Technical University
Doctor of Business Administration

Abstract

The article mentions that the effective activity of the organization is largely determined by motivation. An organization may have the best structure, but its work may not be effective due to lack of motivation or improperly directed incentives. A lot of attention is paid to the use of effective motivation systems in successful companies, it plays an important role in the process of both staff stimulation and organization crisis management.

The authors write that crisis management refers to the use of strategies to deal with unexpected and significant negative events in an organization. Crisis management tries to minimize the damage caused by the crisis. It is in this process that motivated staff and their effective work play the greatest role, as they, together with the management, use maximum efforts to get the organization out of the crisis.

The article states that during any crisis, organizations should have a crisis management mechanism that includes employee motivation, which involves staff involvement in the crisis resolution process and the opportunity for employees to express their opinions, thus the management shows that employees are members of their team, their opinion is important for decision making process.

Key words: motivation, crisis management, organization effectiveness.

სოციალურ- ეკონომიკური სისტემების შესწავლისა და კლასიფიკაციის ენტროპიულ-სინერგიული მიდგომა

რობაქიძე მიხეილ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

რობაქიძე მაყვალა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ჭანტურია ნატალია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია სინერგიული და ენტრიპიული მენეჯმენტის საკითხები. თანამედროვე მართვის მეთოდები მენეჯმენტსა და მარკეტინგს ემყარება, რაც უზრუნველყოფს ანტიენტროპიული სისტემის აგებას. ენტროპიის დონის დაწევა- ერთ-ერთი პირობაა კომპანიის წარმატებული ფუნქციონირებისთვის. კომპანიის ანტიენტროპიული მართვის კონცეფცია აძლევს ახალ ჟღერადობას ეფექტური მოღვაწეობის ცნობილ 12 პრინციპს. ეს პრინციპები 1913 წელს ჩამოაყალიბა ჰარონგტონ ემერსონმა. ამ პრინციპებს შორისაა: ჩამოყალიბებული იდეალების არსებობა, საღი აზრის გამარჯვების აუცილებლობა, სამართლიანობის დამყარება საერთო ინტერესების გათვალისწინებით, ნაბიჯების და ხარჯების დაგეგმვა, თანამშრომელთა ფინანსური წახალისება და სხვა. ენტროპიული ანალიზის საფუძველს წარმოადგენს რამოდენიმე კანონი: ენერგიის შენარჩუნების კანონი, ენტროპიის ზრდის კანონი, ენტროპიის კლების კანონი, სისტემის ზღვრული განვითარების კანონი, კონკურენციის ან უპირატესობრივი განვითარების კანონი. ღია სოციალურ-ეკონომიკური სისტემების კვლევის ენტროპიულ- სინერგიული მიდგომა იძლევა საშუალებას ისეთი გლობალური პროცესების კვლევისა, როგორიც არის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, ღია ეკონომიკურ სისტემებში წესრიგის ზრდისა ან კლების ზომა, ენტროპიული რყევების და ენტროპიული დეგრადაციის პრინციპები და კანონზომიერებანი. ამიტომაც ენტროპიის ისეთ სახეებთან როგორიც არის თერმოდინამიული, ბიოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური, ისტორიული და ინფორმაციული ენტროპია, განიხილება და შეისწავლება „ეკონომიკური ენტროპია“ ან „ენტროპიული ეკონომიკა“.

საკვანძო სიტყვები: ენტროპია, სინერგია, სისტემა, ინფორმაცია, კომპანია, მენეჯმენტი

ძირითადი ტექსტი

ნებისმიერ სისტემაში ინფორმაცია წარმოადგენს წესრიგის ანუ სისტემის ორგანიზებულობის ზომა. ხოლო სისტემის ენტროპია წარმოადგენს მისი დეზორგანიზებულობის ან უწესრიგობის ზომას.

სოციალურ- ეკონომიკური სისტემების კლასიფიკაციისთვის საჭიროა „ენტროპიის“ და „სინერგიის“ ცნების გამოყენება. სინერგიულ- ენტროპიული მიდგომის შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური სისტემების კლასიფიკაცია უნდა მოხდეს ორი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით: ენტროპიული და სინერგიული. ეს მიდგომა საფუძვლად უდევს კვლევებს, რომლებიც სწავლობენ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას ორგანიზებულობის და მოწესრიგებულობის ტრაექტორიის მიმართ ან დაზორგანიზაციისა და განუსაზღვრელობის ტრაექტორიის მიმართ.

სოციალურ-ეკონომიკური სისტემების კლასიფიკაცია ენტროპიულ- სინერგიული მახასიათებ-ლების საფუძველზე წარმოადგენს პერსპექტიულ მიმართულებას, რადგან ხსნის ამ სისტემების ხარისხობრივი და რაოდენობრივი პარამეტრების კვლევის, აღმოჩენის და ანალიზის ახალ დონეს.

საზოგადოებრივი სისტემები (ეკონომიკური) სისტემები წარმოადგენენ ღია სისტემებს, რომლებშიც ხორციელდება ადამიანების მიზანშეწონილი საქმიანობა, სადაც ხდება გარემოსთან ნივთიერების, ენერგიის და ინფორმეციის გაცვლა. ღია სისტემები „წონასწორობა-არაწონასწორობის“ მდგომარეობის მიღწევისა და შენარჩუნების მდგომარეობაში არიან, რაც ნიშნავს იმას რომ ამ სისტემებს

და გარემოს შორის მიმდინარეობს პოლიფუნქციონალური ნაკადების მუდმივი წარმოქმნა.

ღია სოციალურ-ეკონომიკური სისტემების კვლევის ენტროპიულ- სინერგიული მიდგომა იძლევა საშუალებას ისეთი გლობალური პროცესების კვლევისა, როგორიც არის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, ღია ეკონომიკურ სისტემებში წესრიგის ზრდისა ან კლების ზომა, ენტროპიული რყევების და ენტროპიული დეგრადაციის პრინციპები და კანონზომიერებანი. ამიტომაც ენტროპიის ისეთ სახეებთან როგორიც არის თერმოდინამიული, ბიოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური, ისტორიული და ინფორმაციული ენტროპია, განიხილება და შეისწავლება „ეკონომიკური ენტროპია“ ან „ენტროპიული ეკონომიკა“. კავშირი ენტროპიასა და ინფორმაციას შორის გამოისახება მარტივი დამოკიდებულებით: ინფორმაცია=1/ენტროპია. ანალოგიის პრინციპით თერმოდინამიკის ძირითადი ცნებების გამოყენება შესაძლებელია სოციალურ და ეკონომიკურ სისტემებში. ყველა საწარმოს (კომპანიის) გარშემო არის „ცხელი“ (უფრო ქაოტური, გაურკვეველი) და „გრილი“ (მოწესრიგებული, ინფორმაციულად გაჯერებული) არეები. იმისათვის რომ კომპანია იყოს წარმატებული, მისი შიდა სივრცე ერთის მხრივ უნდა იყოს ენერგიით სავსე, ხოლო მეორეს მხრივ მასში, რაც შეიძლება ნაკლები უნდა იყოს გაფანტული სითბო. უმჯობესია, რომ საწარმოს შიდა სივრცე იყოს „ცივი“, რაც ნიშნავს ენერგიის დაზოგვას იმის ხარჯზე, რომ ის არ იხარჯება ბროუნის სითბური მოძრაობის ასაჩქარებლად; ინფორმაციით გაჯერებულობას (ყინულის კრისტალებში უფრო მეტი ინფორმაციაა, ვიდრე უფორმო კვამლში); ინფორმაციის კარგი გამტარუნარიანობა (ყველაზე ცუდათ ატარებენ ინფორმაციას სივრცის „ცხელი“ უბნები, რაც დაკავშირებულია მათთვის დამახასიათებელ ბროუნის მოძრაობის ხმაურით).

შიდა მენეჯმენტი და მარკეტინგული პოლიტიკა წარმოადგენენ კომპანიის მუშაობის ერთიანი სქემის ჯაჭვებს. და ეს ხსნის იმას, თუ რაშია „ფასეულობა“ კომპანიის განხილვის ენერგო-ენტროპიული გარდაქმნების პოზიციიდან. ჩნდება საშუალება რეალურად ერთ კონტექსტში უყოს განხილული კომპანიის შიდა მენეჯმენტის ასპექტები და მისი მარკეტინგული პოლიტიკა. ენტროპიული ანალიზი ჩამოყალიბდა როგორც მეცნიერული კვლევის მეთოდი. მას იყენებენ არა მარტო თერმოდინამიკაში. მეთოდმა დიდი პოპულარობა დაიმსახურა სოციალურ მეცნიერებებში და ეკონომიკაში. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს სხვადასხვა მეკროსისტემებისთვის ენერგიის და ენტროპიის ბალანსის შედგენაში.

ენტროპიული ანალიზის საფუძველს წარმოადგენს რამოდენიმე ფუნდამენტური კანონი: ენერგიის შენარჩუნების კანონი, ენტროპიის ზრდის კანონი, ენტროპიის კლების კანონი, სისტემის ზღვრული განვითარების კანონი, კონკურენციის ან უპირატესობრივი განვითარების კანონი.

აღნიშნული კანონები შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევიან: პროგრესული განვითარება შეუძლია მხოლოდ ღია სისტემას; სისტემის განვითარება იქ, სადაც დგება მისი ელემენტების მიმოქცევა, ენერგიის მიდინებას საჭიროებს; კომპანიისთვის, როგორც ერთიანი მაკროსისტემისთვის წარმატების ყველაზე არსებით ფაქტორს ქარმოადგენს მასში ინფორმაციის ცირკულირება; სისტემია ინფორმაციული ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ და როგორ იყენებს ამ ინფორმაციას და არა იმაზე, თუ რა ინფორმაცია შეადგენს სისტემას; იმარჯვებს ის კომპანია, რომელიც უფრო აქტიურად იყენებს გარე სისტემებს.

ენტროპიის არსიდან და მისი შესაძლო ფორმებიდან გამომდინარე, კომპანიის ენტროპიული ანალიზისას გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორების ჩამონათვალი: ფორმების და ინსტრუქციების არსებობა, მათი მოწესრიგებულობა; ინფორმაციის გასვლის პარამეტრები (დრო, სისრულე, ძალისხმევა წვდომაზე); მითითებათა არსებობა და მათი ინფორმაციული ტევადოვა; ანგარიშგებაზე დახარჯული დრო; კომპანიის მოღვაწეობის ფუნქციონალური მოდელის შესაბამისობის ხარისხი მის საშტატო-თანამდებობრივ სტრუქტურასთან; თანამშრომელთა სპონტანური და პროვოცირებული მოცდენის მახასიათებლები; პერსონალის შრომისუნარიანობა; პერსონალის ღირებულებათა ორიენტაციები და თანამშრომელთა თანამდებოვრივო მოტივაციის დონე; კორპორატიული დოქტრინის არსებობა და მის საფუძველზე ადამიანების განრიდებულობის დაძლევა; ხელმძღვანელის ძალისხმევის მიმართ თანამშრომელთა მხრიდან გაწეული წინააღმდეგობის დაძლევა;

ახალი ვაკანსიების შექმნის და ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფების შექმნის პოლიტიკა; პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება; სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფის ინტერესთა შეთანხმება; გუნდის შეკლულობის და ერთიანობის ხარისხი; პერსონალისა და ხელმძღვანელობის ძალისხმევის ხარისხი; ხელმძღვანელობის სიმტკიცე სირთულეების წინაშე; ხელმძღვანელობის ინერციის ხარისხი; პერსონალის ინერციის ხარისხი; თანამშრომელთა ინიციატივა და ინიციატიური აქტივობა; ენერგიის მისაღები არხების მდგომარეობა და გამოყენება (ფული, მატერიალური რესურსები, კვალიფიციური სპეციალისტები, მამობილიზებელი იდეები); კომპანიის „კედლების“ და გარე სამყაროსტან ინფორმაციული გაცვლის არხების მდგომარეობა; „ზედმეტი სითბოს გაყვანის“ პრაქტიკა და უარის თქმა ყველაფერზე, რაც არის დესტრუქციული და აფერხებს განვითარებას; გარემოსთან მოსაზღვრე მონაკვეთების მიზანმიმართული „გაცხელება“ (გარე სამყაროსთან მიმართვის ტრანსლაციების მეთოდები, მათი მომზადების პრქტიკა და მიზანმიმართულება); გარე სამყაროს შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და გამოყენება.

კომპანიის (საწარმოს) ანტიენტროპიული მართვის კონცეფცია აძლევს ახალ ჟღერადობას ეფექტური მოღვაწეობის ცნობილ 12 პრინციპს. ეს პრინციპები 1913 წელს ჩამოაყალიბა ჰარონგტონ ემერსონმა, რომელიც შრომის ეფექტიანობის ფუძემდებლად მიიჩევა. პრინციპები შემდეგია: ცხადად ჩამოყალიბებული იდეალების არსებობა- ყველამ უნდა იცოდეს კომპანიის დანიშნულება და მისწრაფება; უნდა იმარჯვებდეს საღი აზრი- შესასრულებელია მხოლოდ მიზანშეწონილი მოქმედებები; საჭიროა სარგებლობა ექსპერტების რჩევებით- ვერც ერთი ხელმძღვანელი ვერ იქნება ექსპერტი ერთდროულად ყველა სფეროში; ორგანიზაციაში უნდა იყოს დამყარებული დისციპლინა, რომლის გარეშე შეუძლებელია თანამშრომლობა; კომპანიაში აუცილებელია სამართლიანობის დამყარება საერთო ინტერესების გათვალისწინებით; აუცილებელია მუდმივი აღრიცხვის წარმოება. საჭიროა კომპლექსურად ყველა პარამეტრის გაანალიზება მისი შემდგომი შედარების მოზნით ნორმატიულ ბაზასთან; საჭიროა მოქმედებათა დისპეტჩერიზაცია, ანუ ნაბიჯების და ხარჯების კალენდარული დაგეგმვა; საჭიროა შრომის მასტიმულირებელი ნაბიჯების გადადგმა; შემდგომი ნაბიჯების გადადგმა უნდა მოხდეს შესაძლო კორექტირების გათვალისწინებით, რადგან დროთაგანმავლობაში გეგმა შესაძლოა გახდეს არაკორექტული, რაც გამოიწვევს ავრალურ სიტუაციას კომპანიაში; ცალკეული იპერაციების სტანდარტიზაცია არის აუცილებელი, რაც უზრუნველყოფს საჭირო შედეგების მიღების მაღალ ალბათობას; საჭიროა გამოიცეს წერილობითი ინსტრუქციები, რომლებიც პერსონალის განვითარების წინაპირობად გამოდგებიან; საჭიროა თანამშრომელთა ფინანსური წახალისება. ყველა ამ პრინციპს აქვს ნეგ-ენტროპიული ხასიათი. თვით ეფექტიანი მართვა ითვალისწინებს დადებითი ფუნქციის მაქსიმიზაციას დანახარჯების მინიმიზაციის პირობებში, რაც არის კავშირში ენტროპიულ ოპტიმიზაციასთან. თანამედროვე მართვის მეთოდები მენეჯმენტსა და მარკეტინგს ემყარება, რაც უზრუნველყოფს ანტიენტროპიული სისტემის აგებას. ენტროპიის დონის დაწევა- ერთ-ერთი მთავარი პირობაა კომპანიის წარმატებული ფუნქციონირებისთვის.

დასკვნა: ბიზნეს- სტრუქტურის ენტროპია მმართველობითი ზემოქმედების გარეშე ხშირად ზრდის ტენდენციას განიცდის როგორც შიდა ფაქტორების და წინააღვდეგობების, ასევე გარე ფაქტორების გავლენით. ცხადია, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალება, ისევე, როგორც ნებისმიერი ბიზნეს- სტრუქტურა გარკვეულ შემტხვევაში ექვემდებარება თვითორგანიზების სქემას, რომელსაც ძალუწს გადალახოს ენტროპია, მაგრამ ასეთ სტრუქტურებს არსებობის ხანმოკლე ციკლი აქვთ. მაგრამ მიმდინარე მმართველობითი საქმიანობა იძლევა საშუალებას რომ ენტროპიის დონე შენარჩუნდეს მისაღებ დონეზე დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ასე რომ ნებისმიერ მომენტში შეიძლება დადგეს მომენტი, როდესაც საჭირო გახდება ორგანიზაციაში ენტროპიის შემცირება, ანუ ტექნოლოგიური და მმართველობითი ინოვაციების დანერგვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bodriyar Z. Obshchestvo potrebleniya (Consumer society). – 2006.- 272 p.
2. Danilov Y.A., Kadomtsev B.B. Chto takoe sinergetika? Nelineinye volny. Samoorganiozatsiya (What

is Syner getics? Nonlinear Waves. Self Organization). – 1983.— P. 35-48.
3. Kockin A.S. Chepyuk O.R. Uravnenie stoimosti biznesa: entropiya kak mera stoimosti (The equation of business value: entropy as a measure of value) // Vestnik NNGU. 2007. №6.- P.201-207. 9
4. N. Kondraniev, U. Yakovetc, L. Abalkin. Large cycles of the state of affairs and foresight theory: Select labors. - M.: Economy, 2002.-767 p.
5. Haken H. Synergetics. Springer-Verlag, 1977. / Русский перевод 1980 г., 1985 г. Хакен Г. Синергетика. Иерархия неустойчивостей в самоорганизующихся системах и устройствах. М.:Мир, 1985

Entropic-synergistic approach to the study and classification of socio-economic systems

Mikheil Robakidze Georgian Technical University doctoral student
Makvala Robakidze Georgian Technical University doctoral student
Natalia Tchanturia Georgian Technical University associate professor

Abstract

The article discusses issues of synergistic and entropic management. Modern management methods are based on management and marketing, which ensures the construction of an anti-entropic system. Reducing the level of entropy is one of the conditions for the successful operation of the company. The company's anti-entropic management concept gives a new voice to the well-known 12 principles of effective work. These principles were formulated in 1913 by Harrington Emerson. Among these principles are: the existence of established ideals, the need for common sense to prevail, establishing justice taking into account common interests, planning steps and costs, financial incentives for employees, and others. Entropy analysis is based on several laws: the law of conservation of energy, the law of entropy increase, the law of entropy decrease, the law of marginal development of the system, the law of competition or advantageous development. The article discusses issues of synergistic and entropic management. Modern management methods are based on management and marketing, which ensures the construction of an anti-entropic system. Reducing the level of entropy is one of the conditions for the successful operation of the company. The company's anti-entropic management concept gives a new voice to the well-known 12 principles of effective work. These principles were formulated in 1913 by Harrington Emerson. Among these principles are: the existence of established ideals, the need for common sense to prevail, establishing justice taking into account common interests, planning steps and costs, financial incentives for employees, and others. Entropy analysis is based on several laws: the law of conservation of energy, the law of entropy increase, the law of entropy decrease, the law of marginal development of the system, the law of competition or advantageous development.

Keywords: entropy, synergy, system, information, company, management

ბიზნეს პროცესების დღევანდელი გამოწვევების ანალიზი ხვალინდელი უკეთესობისთვის

როსტიაშვილი თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ლეკიაშვილი თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

მენეჯმენტში მაცდურ რისკად განისაზღვრება მომავლის დასაგეგმად ამჟამინდელი სამუშაოს დამატებითი შესაძლებლობების გამოყენება, ანალიზი. მიუხედავად ამისა, ბიზნესის ნებისმიერ სფეროში არსებული გამოწვევების გაცნობიერება დიდი წარმატების მომტანია. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ბიზნეს პროცესების მართვის დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემების მიმოხილვა. აღნიშნული გამოწვევები შეგროვდა სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენლებთან საუბრით, მათ სამუშაოზე დაკვირვებით, განხილული და დახვეწილი იქნა. მიმოხილვა შეიძლება ემსახურებოდეს როგორც ახალბედა, ისე მოწინავე მენეჯერთა შთაგონებას, რომლებიც დაინტერესებულნი არიან რადიკალური სიახლეებით.

სხვადასხვა იდეები საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით სამუშაო პროცესების ანალიზის, დიზაინისა და მართვისთვის გამოყენებულია იმის დასადგენად, თუ როგორ შეიძლება დღევანდელობა გარდავქმნათ მომავლის შესაძლებლობად.

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს პროცესების მენეჯმენტი, გამოწვევები, პროცესის დიზაინი, პროცესის მოდელირება

შესავალი

ბიზნეს პროცესების მენეჯმენტი (შემდგომში - BPM) ეხება ანალიზს, დიზაინსა და სამუშაო პროცესების მართვას ორგანიზაციებში და მათ შორის, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას. ცხადია, აღნიშნული არ ანეიტრალებს ფუძემდებლურ სტიმულებს, რომლებიც იწვევს ზრდასა და განვითარებას. თუმცა ძირითადი პრობლემები ყველა ორგანიზაციაში BPM სფეროში თითქმის იდენტურია, ჩემი მიზანია გამოვიკვლიო რთული და მნიშვნელოვანი თემები, რაც არსებობს დღევანდელი ბიზნესის სასიცოცხლო ციკლის დროს, რაც ჩემი აზრით შეიძლება შთაგონების წყარო გახდეს, სხვადასხვა გამოწვევების გადასაჭრელად და ხელი შეუწყოს მათ გადაწყვეტას.

პრობლემები, რაც წარმოდგენილია ამ ნაშრომში, შეგროვდა სხვადასხვა სხვადასხვა რგოლის წარმომადგენლების გამოცდილების საფუძველზე და ანალზის შედეგად რამდენიმე საკითხად იდენტიფიცირდა:

- პრობლემების კვლევის ფაზაში;
- ფუნდამენტური კომპრომისებისა და შეზღუდვების აღწერა;
- წინადადებები ინოვაციური აპლიკაციებისთვის;
- იდეები, რომლებიც ძირეულად განსხვავდება იმისგან, რაც ჩვენ უკვე შესწავლილი გვაქვს BPM-ის სფეროში;
- წინადადებები BPM-დან წვლილის სინთეზისთვის და ახალი ან არსებული პრობლემების გადასაჭრელად.

BPM მოდელირების ძირითადი პრობლემები

პირველი პრობლემა ეხება ციფრულ ინოვაციას, უფრო კონკრეტულად BPM-ზე ორიენტირებული მნიშვნელობის შექმნა მონაცემებიდან გამომდინარე. მონაცემთა მრავალრიცხვიანობამ და ასოცირებულმა ტექნოლოგიურმა გავრცელებამ შეცვალა გარემო[1] იმის შესახებ, თუ როგორ იმართება ბიზნესი მნიშვნელოვნად. ეს ცვლილებები, თავის მხრივ, საჭიროებს ღრმა ცვლილებებს ბიზნეს

[1] Reichert, M., Weber, B., 2012. Enabling Flexibility in Process-Aware Information

პროცესების მართვაში. მიუხედავად ამისა, ორგანიზაციები მიისწრაფვიან მონაცემთა ბაზაზე ორიენტირებული მიდგომებისკენ როგორც ტექნიკურად, ასევე კულტურულად, ღირებულების სოციალურ-ტექნიკური ბარიერები მონაცემების შექმნა სულ უფრო აშკარა ხდება.

მეორე არის უშუალოდ BPM-ის გაფართოებასთან დაკავშირებული პრობლემა. მიუხედავად დიდი ინვესტიციებისა BPM-ში ათწლეულების განმავლობაში, ორგანიზაციებს ჯერ კიდევ რჩება პროცესი ფრაგმენტები პროცესის პატარა დიაგრამების და არა მთელი "BPM-" დანახვით. ეს გამოჩნდა ორგანიზაციებთან COVID-19 პანდემიის დროს, არ იყო მარტივი კომპანიებისთვის ცვლილებები (ვან ლოი, 2021). BPM მიდგომები, რომლებიც იყენებენ ინდივიდუალურ პროცესებს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ შეძლებენ მართონ მთლიანი პროცესები, ანუ პროცესები, რომლებიც ეხება და მოიცავს მთლიან ჯაჭვს, მჭიდროდ არიან გადაჯაჭვული სხვა პროცესებთან და სხვადასხვა მენეჯმენტის დისციპლინების გავლენის ქვეშ.

მესამე არის პროცესის ავტომატური (ხელახალი) დიზაინის პრობლემა. ბოლოდროინდელი "ჰიპერავტომატიზაციის" ტენდენცია და პროცესის მცოდნე საინფორმაციო სისტემების, ორგანიზაციების ფართოდ დანერგვა სულ უფრო მეტად მიისწრაფვიან გამოიყენონ ავტომატიზაციის პოტენციალი პროცესის ოპერაციების კონტექსტში. მიუხედავად ყველა ავტომატიზაციისა ძალისხმევის, პროცესის (ხელახალი) დიზაინი დარჩა სახელმძღვანელოდ, კოგნიტურად მომთხოვნი დავალება, რაც მას შრომატევადს ხდის. ბიზნეს პროცესების რამდენიმე მახასიათებელი და სირთულე თავად პროცესის (ხელახალი) დიზაინი ხელს უშლის ან მინიმუმ ართულებს მის ავტომატიზაციას, როგორიცაა (ხელახალი) დიზაინისათვის საჭირო კრეატიულობა, სოციალურ-ტექნიკური პროცესების ბუნება, ისევე როგორც პროცესის რთული კონტექსტი.

მეოთხე პრობლემა დაკავშირებულია ციფრული ტყუპების აგებასთან.[1] ბიზნეს პროცესები ექვემდებარება ხშირ ცვლილებებს სხვადასხვა ფაქტორების გამო (რაიჩერტი და ვებერი, 2012). ეს ცვლილებები შეიძლება იყოს ორგანული - პროცესის მოქმედი პირები, რომლებიც არეგულირებენ თავიანთ ქცევას, რათა რეაგირება მოახდინონ, გადაუდებელი სიტუაციები - ან დაგეგმილი - შეთანხმებული ცვლილებები ნორმებში, გაიდლაინები, პოლიტიკა ან IT სისტემები. ეს კონკრეტული პრობლემა ჩნდება დაგეგმილი ცვლილებების კონტექსტში, რომელსაც ჩვენ ინტერვენციას ვუწოდებთ. მაგალითები ინტერვენციები მოიცავს ორი ან მეტი ამოცანის გადალაგებას, დავალების დამატებას, რესურსის დამატება, განშტოების წერტილის გადაწყვეტილების ლოგიკის შეცვლა, ან დავალების ავტომატიზაცია. ჩარევას შეიძლება ჰქონდეს დადებითი ან უარყოფითი ზემოქმედება შესრულების ერთ ან მეტ ზომაზე, მაგ. ციკლის დრო, აქტივობა დამუშავების დრო, ან რესურსის გამოყენება. მეხუთე არის პრობლემა, რომელიც აღწერილია, როგორც პროცესის ობიექტურობის ნაკლებობა. პროცესის მოდელები ბევრისთვის საფუძველს იძლევა ბიზნეს პროცესის მართვის აქტივობები, მათ შორის პროცესის დიზაინი, დოკუმენტაცია, ანალიზი და ავტომატიზაცია (Malinova and Mendling, 2018). ხელმისაწვდომი მეთოდები, ხელსაწყოები და აღნიშვნები გთავაზობთ ელემენტებს მოდელისთვის ფუნქციონალურ, ქცევით, ორგანიზაციული და საინფორმაციო პროცესის პერსპექტივები (იაბლონსკი და ბასლერი, 1996).

გრანულარობა ასევე განიხილება სხვა პრობლემასთან დაკავშირებით, კერძოდ ფიქსირებული დონეები პროცესის ანალიზისთვის. პროცესიდან მოყოლებული მაინინგის ტექნიკა კარგად არ მუშაობს მცირე და დიდი პროცესის დროს (van Zelst et al., 2020) თუმცა, პროცესში აქტივობების შესაბამისი დონის პოვნა წინასწარი დამუშავება რთულია, რადგან მრავალჯერადი დონე შეიძლება იყოს ანალიზისთვის რელევანტური და ხშირად ჩნდება „აქტივობის“ კონცეფცია მონაცემები შესწავლილია (Zerbato et al., 2021). ამრიგად, ანალიტიკოსებმა უნდა გაიმეორონ მოვლენის აბსტრაქციას, გრანულუ-რობის შერჩევასა და მაინინგს და შორის ანალიზის ფაზები, სანამ არ იპოვიან შესაფერის დონეს. მიუხედავად ამისა, შეიძლება ავირჩიოთ მხოლოდ ერთი კონკრეტული დონე, რომელიც ზღუდავს დაკვირვებასა და კონტროლს.

[1] Reijers, H.A., 2021. Business process management: The evolution of a discipline Comput. Ind. 126, 103404.

პრობლემების აღმოფხვრის გზები. კვლევის პრობლემების მთავარი ელემენტია ის, რომ არ არსებობს გადაწყვეტილებები ჯერჯერობით ხელმისაწვდომია. ზოგიერთი პრობლემის გამო, ჩვენ ძალიან შორს ვართ გამოსავლის პოვნისგან. სხვადასხვა სამუშაოებმა და განვითარებებმა BPM სფეროში შეიძლება უზრუნველყოს პოტენციური გზები გადაწყვეტისკენ. ალბათ გამოსავალი ზოგიერთი პრობლემა საერთოდ არ არის კვლევაში, არამედ ინდუსტრიის პრაქტიკაში. მინდა განვიხილო შედეგები, პრობლემებს, ასევე გადაჭრის შესაძლო ამოსავალი წერტილები, სადაც ისინი ხელმისაწვდომია. ტექნიკური წინსვლა მონაცემთა მეცნიერებაში და მანქანათმცოდნეობაში,

ისევე როგორც ხელოვნური ინტელექტის მესამე ტალღამ[1], გაზარდა ბიზნესის მოლოდინი. თუმცა, მაშინ როცა საინფორმაციო სისტემების კვლევა იძლევა ბევრ შეხედულებას IT აქტივებიდან, ორგანიზაციებიდან ღირებულების შექმნის კონტექსტში ჯერ კიდევ იბრძვის მონაცემებიდან ღირებულების შექმნასთან. ვისაც შეუძლია გადალახოს ბარიერები, რომლებიც ხშირად სოციალურ-ტექნიკური ხასიათისაა, მოიპოვებს კონკურენტულ უპირატესობას მათზე, ვისი მონაცემებიც რჩება გამოუყენებელი აქტივი. არსებობს შესაძლებლობები:

1. პროცესზე ორიენტაციის კვლევა ორგანიზაციული სტრუქტურების ინფორმირებისთვის და პროცესები მონაცემთა ბაზაზე ორიენტირებული მუშაობის უკეთ მხარდასაჭერად;

2. პროცესის დიზაინის კვლევა, რათა ხელი შეუწყოს მონაცემების საფუძველზე მოქნილ გამოყენებას;

3. მაინინგის პროცესის კვლევა, რათა დაეხმაროს უფლების იდენტიფიცირებას

ბალანსი ავტომატიზაციასა და ადამიანთა ჩართულობას შორის მონაცემთა ბალანსს;

4. საცნობარო მოდელის კვლევა, რომელიც ღირებულების შექმნის საუკეთესო პრაქტიკაა. მონაცემებიდან ღირებულების შექმნასთან დაკავშირებული გამოწვევების მოგვარება, ორგანიზა-ციებისა და გუნდების უფრო ეფექტური სტრუქტურირების საშუალება, რაც ორგანიზაციას გარდაქმნის მონაცემებზე ორიენტირებულ ერთეულად.

ბიზნეს პროცესები კრიტიკული ორგანიზაციული აქტივებია, რადგან ისინი

გავლენას ახდენენ მუშაობაზე, წესებზე და კულტურაზეც კი, თუ როგორ არის სამუშაო ჩატარებული (Dumas et al., 2018). ისინი კომპლექსურები არიან, რადგან შეუძლიათ გადახურვა, ნაწილები შეიძლება ხელახლა იქნას გამოყენებული და ისინი შეიძლება განსხვავდებოდეს (მაგ. რეგიონში, დაყოფა,

მარეგულირებელი შესაბამისობის განაცხადი, პროდუქტი და მომხმარებლის პროფილი). თუმცა, თანამედროვე BPM პრაქტიკა ხშირად ქმნის "სილოსებს" იმის გამო ფოკუსირება ცალკეულ პროცესებზე, რაც გამოიწვევს პოტენციურ კონფლიქტებზე.

გარდა ამისა, BPM-ის ძალისხმევა ხშირად აფინანსებს განყოფილებებს ან ფუნქციონალურს ხდის მენეჯერებს. თუნდაც საწარმოს მასშტაბით BPM ძალისხმევისთვის, KPI ან მოტივაციური მეტრიკა ხშირად რჩება განყოფილებაზე ორიენტირებული[2]. ამის ნაცვლად, ადამიანმა უნდა იცოდეს

ოპერაციული მოდელი იმის გასაგებად, თუ როგორ ვრცელდება ბიზნეს პროცესი ორგანიზაციის მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთ. პროცესის (ან პორტფოლიოს) გაუმჯობესება არის ინტერდის-ციპლინარული გამოწვევა; სადაც ტიპიური პროცესზე ორიენტირებული ხედვა უნდა გაფართოვდეს, ჩართოს სტრატეგია, მეტრიკა, რისკები, მონაცემები, ბიზნეს არქიტექტურა და ა.შ. გარდა ამისა, სხვადასხვა დისციპლინებიამოიცნონ პროცესები და სხვადასხვა დისციპლინური პერსპექტივების მნიშვნელობა ბიზნეს პრობლემის გადასაჭრელად ან სტრატეგიასთან შესათანხმებლად.

ბიზნეს პროცესების სასიცოცხლო ციკლი

ბიზნეს პროცესების გამოწვევები შესაძლებელია წარმოქმნილ იყოს სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ფაზაზე: დიზაინი, შესრულება, მონიტორინგი და ოპტიმიზაცია. ყოველი ფაზა

[1] Rizk, Y., Isahagian, V., Boag, S., Khazaeni, Y., Unuvar, M., Muthusamy, V., Khalaf, R., 2020. A conversational digital assistant for intelligent process automation. In: Proc.of BPM. pp. 85–100.

[2] Rodríguez, C., Klinkmüller, C., Weber, I., Daniel, F., Casati, F., 2016. Activity matching with human intelligence. In: Proc. of BPM Forum. pp. 124–140.

იდენტიფიცირებულია, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი და კომბინაციები ძალიან მრავალფეროვანია. დიზაინი, მონიტორინგი და ოპტიმიზაცია არის თითქმის ერთნაირად გადამწყვეტი ყველა გამოწვევასა და პრობლემის დროს. ასევე მნიშვნელოვანია შესრულების ფაზა, რადგან იგი გამონაკლისია, რადგან განიხილება, როგორც ნაკლებად კრიტიკული გამოვლენილი პრობლემების ნაკრებად.

თითოეული პრობლემა თავისებურად გვიჩვენებს, რომ არსებობს დაძაბულობა, რომელსაც ადამიანი ასრულებს სამუშაო პროცესებში და დონეებს შორის

არის განსხვავებული ავტომატიზაცია, რომელიც გამოიყენება ასეთ პროცესებში. ეს დაძაბულობა ეხება როგორც ადამიანების ყოფნას, ასევე არყოფნას. აშკარაა, რომ პრობლემების გადაჭრა მხოლოდ კვლევის გზით შეუძლებელია. ზოგიერთი პრობლემის გადაჭრა მოითხოვს მუშაობის განსხვავებულ გზას. პრობლემები მნიშვნელოვანია სხვადასხვა მიზეზის გამო. ძირითადი ნაწილი პრობლემების გადაჭრა მათი სირთულის გამო, რადგან პრობლემა ვლინდება თავად ბევრ სხვადასხვა დონეზე. ბოლო თემა, ასევე გარემოსდაცვითი ან კონტექსტური ასპექტი, სადაც ურთიერთობა გარემო ან კონტექსტი გადამწყვეტია კონკრეტული პრობლემისთვის. ავტომატიზაციის მოსალოდნელი დონე ძალიან მრავალფეროვანია, განსაკუთრებით დიდი სირთულის მქონე პრობლემებისთვის. როგორც ჩანს, ჩვენ არ შეგვიძლია უგულებელვყოთ არც ავტომატიზაცია და არც ადამიანის ჩართულობა სიტუაციებში იმ პრობლემებისთვის, რომლებიც ძირითადად აბსტრაქციის, ან გარემო ფაქტორების შესახებ შეგვხვდება, ყურადღება გამახვილებულია

ძირითადად ადამიანების ჩართულობაზე. პრობლემები, რომლებისთვისაც გადაწყვეტილებები ითვლება ძალიან ავტომატურად, ანუ მაინინგ პროცესები მონაცემების გამოყენებით[1], ავტომატური პროცესი რედიზაინი და მაინინგის პროცესის გაძლიერება საღი აზრით და დომენის ცოდნა, ხდება ის, სადაც ხდება ოპტიმიზაციის ეტაპი. მაგრამ ითვლება, რომ შესრულების ფაზა ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანია.

დასკვნა

ნაშრომში წარმოდგენილია მნიშვნელოვანი პრობლემები, რაც დღევანდელობაში წარმოჩინდა BPM კვლევაში. განხილულია რა გზები არსებობს აღნიშნული პრობლემების დასაძლევად, როგორ შეიძლება მომავლის შესაძლებლობები განვსაზღვროთ დღეს და გამოკვეთილია პოტენციური ამოსავალი წერტილები ამ გადაწყვეტილებების შემუშავებისთვის. ციფრული და პროცესის ინოვაციების თვალსაზრისით, აუცილებელია პროცესების მართვის დროს გამოვიყენოთ მხოლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის ბაზა, რისი დაგროვებაც დღევანდელ საუკუნეში უკვე შესაძლებელია, რაც დაგვეხმარება თავი დავაღწიოთ იმ პრობლემებს, რომელიც ნებისმიერ ორგანიზაციაში შესაძლებელია მომავალ პრობლემად გარდაიქმნას. ბიზნეს პროცესების გაუმობესება, ზუსტი პროგნოზირება და აღნიშნულის მოდელირება თითოეულ ბიზნესს ეხმარება შეაფასოს საკუთარი მოდელი.

რაც შეეხება პროცესის მაინინგს, ვფიქრობ ეს არის შანსი, რაც აღმოფხვრის დაბალ ხარისხს და კონცენტრირებულს ხდის ორგანიზაციას უკეთესი პროდუქტისა და მომსახურების სერვისის შექმნაში. ციფრული გარემო, ბევრ შესაძლებლობას გვაძლევს რათა ვმართოთ შეუფერხებლად პროცესებიდ ა მოვახდინოთ მომავალი რამდენიმე წლის ანალიზი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Reichert, M., Weber, B., 2012. Enabling Flexibility in Process-Aware InformationSystems: Challenges, Methods, Technologies, Vol. 54. Springer Science & Business Media.
2. Reijers, H.A., 2021. Business process management: The evolution of a discipline Comput. Ind. 126, 103404.
3. Rizk, Y., Isahagian, V., Boag, S., Khazaeni, Y., Unuvar, M., Muthusamy, V., Khalaf, R., 2020. A

[1] Satyal, S., Weber, I., Paik, H., Di Ciccio, C., Mendling, J., 2019. Business process improvement with the AB-BPM methodology. Inf. Syst. 84, 283–298. http://dx.doi.org/10.1016/j.is.2018.06.007.

conversational digital assistant for intelligent process automation. In: Proc.of BPM. pp. 85–100.
4. Rodríguez, C., Klinkmüller, C., Weber, I., Daniel, F., Casati, F., 2016. Activity matching with human intelligence. In: Proc. of BPM Forum. pp. 124–140.
5. Satyal, S., Weber, I., Paik, H., Di Ciccio, C., Mendling, J., 2019. Business process improvement with the AB-BPM methodology. Inf. Syst. 84, 283–298. http://dx.doi.org/10.1016/j.is.2018.06.007.

The Impact of Business Globalization on Organizational Governance Decisions

Tamar Rostiashvili
Associate Professor of Georgian Technical University

Tamar Lekiashvili
Doctoral student of Georgian Technical University

Abstract

In management, the use of additional opportunities of the current work to plan the future, analysis is defined as a tempting risk. However, understanding the big challenges in any area of business is the key to great success. This paper presents an overview of problems related to the discipline of business process management. The mentioned challenges were collected by talking to representatives of different communities, observing their work, discussed and refined. It can serve as inspiration for both novice and advanced managers interested in radical innovation.

Various ideas for the analysis, design and management of work processes using information technology are used to determine how we can transform the present into an opportunity for the future.

Business process management (hereinafter - BPM) refers to the analysis, design and management of work processes in organizations, including the use of information technologies. Obviously, this does not neutralize the underlying incentives that lead to growth and development. Although the main problems in the BPM field in all organizations are almost identical, my goal is to explore the complex and important topics that exist in today's business life cycle, which I believe can be a source of inspiration to solve various challenges and contribute to their solutions.

Key words: Business Process Management, Challenges, Process Mapping, Process Modelling.

თანამედროვე უნარ-ჩვევები მენეჯმენტის სრულყოფაში

სირაძე მაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნეს-ადმინისტრირების დოქტორი

რამიშვილი ვარლამი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თელია კონსტანტინე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნეს-ადმინისტრირების დოქტორი

აბსტრაქტი

მენეჯმენტის თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება ხელს უწყობს საბაზრო ეკონომიკის სწრაფ აღმავლობასა და საბოლოო ჯამში სახელმწიფოს გაძლიერებას. მართვის მეთოდების ცოდნა უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყანაში განვითარების დონის ასაწევად. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემიდან საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლა გულისხმობს ეკონომიკის სფეროში მართვის პროცესის განხორციელებას დემოკრატიულ პრინციპებზე. საბაზრო ეკონომიკის პირობებში იქმნება სამეურნეო საქმიანობის ფართო შესაძლებლობები. მენეჯმენტის საფუძვლიანი ცოდნა და მისი შემოქმედებითი გამოყენება პრაქტიკაში სასიცოცხლო და აუცილებელია. თანამედროვე მენეჯმენტის უმთავრესი გამოწვევაა კომპანიის ბიზნეს-გარემოში მიმდინარე ცვლილებების იდენტიფიცირება, მათი წინასწარი განჭვრეტა და სწორი რეაგირება. მენეჯმენტის ამოცანაა სამეწარმეო გარემოს ყველა შესაძლო პოზიტიურ და ნეგატიურ ტენდენციებზე ინფორმაციის მოძიება-ანალიზი და კომპანიის საქმიანობასთან შესაბამისობაში მოყვანა. მენეჯერული უნარები ეხებიან სხვადასხვა უნარებსა და თვისებებს, რაც მენეჯმენტის პერსონალს უნდა ჰქონდეს კომპანიაში გარკვეული დავალებების შესასრულებლად. მათ შორისაა კომპანიაში გადაუდებელი ამოცანების შესრულების უნარი, პრობლემების სწრაფად მოგვარება, როდესაც ისინი წარმოიქმნება კრიტიკული სცენარების თავიდან ასაცილებლად.

საკვანძო სიტყვები: პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ადმინისტრაციულ მბრძანებლური სისტემა, ბიზნეს-გარემო...

ძირითადი ტექსტი

მენეჯერი, ქართულად მმართველი, არის პიროვნება, რომელსაც ხელმძღვანელი თანამდებობა უკავია ორგანიზაციაში. მენეჯერი პროფესიონალი მმართველია და თავისი ფუნქციით განსხვავდება ეკონომისტისაგან, ინჟინერისგან ან აგრონომისგან. იგი ხელმძღვანელი მუშაკია, რომელსაც გავლილი უნდა ჰქონდეს სპეციალური მომზადება. მენეჯმენტი, როგორც პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებელი სახეობა გულისხმობს, რომ მენეჯერი დამოუკიდებელია ფირმის საკუთრებისგან, სადაც იგი მუშაობს. იგი მენეჯერის თანამდებობას იკავებს კონტრაქტის საფუძველზე და შეიძლება ფლობდეს ან არ ფლობდეს ამ ფირმის აქციებს. მენეჯმენტი აერთიანებს სხვადასხვა სპეციალობის მუშაკებს: ინჟინრებს, ეკონომისტებს, ბუღალტრებს, ფსიქოლოგებს და სხვას, რომლებიც მუშაობენ უშუალოდ მენეჯერის ხელმძღვანელობით. პროფესიული მენეჯმენტი, როგორც საქმიანობის სპეციფიკური სახე, გულისხმობს ამ საქმიანობის სუბიექტად სპეციალისტ-მენეჯერს და ობიექტად მთლიანად ფირმის სამეურნეო საქმიანობას, აგრეთვე მისი ქვედანაყოფების საქმიანობას. ე.ი მართვის ყველა დონეს. მენეჯერის საქმიანობა მოითხოვს მისგან მრავალმხრივ განათლებას. ხელმძღვანელს უნდა ახასიათებდეს მრავალი ისეთი თვისება, რაც მას დაეხმარება ორგანიზაციის მართვასა და მისი მიზნების მიღწევაში. მათ შორისაა: თავდაჯერებულობა, ინფორმაციის სწრაფი ანალიზის უნარი, გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი, ქვეშევრდომებზე გავლენის უნარი და ა.შ. ყველა ეს თვისება სამ კატეგორიად შეიძლება იქნას დაყოფილი. ესენია: კონცეპტუალური, ადამიანური და

ტექნიკური ჩვევები.

კონცეპტუალური ჩვევები არის ადამიანის შემეცნებითი უნარი აღიქვას ორგანიზაცია, როგორც ერთი მთლიანი და ამასთანავე, ზუსტად განსაზღვროს ურთიერთკავშირი მის ცალკეულ ნაწილებს შორის.

მან უნდა შეძლოს სწრაფად და ხარისხიანად დაამუშაოს მიღებული ინფორმაცია და დაგეგმოს ან შეიტანოს კორექტივები გეგმაში. მენეჯერს უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი თითოეული თანამშრომლის როლი მთლიანად კომპანიაში და ასევე თვითორგანიზაციის ძირითადი მიზანი და არსი. კონცეპტუალური ჩვევები აუცილებელია ყველა დონის მენეჯერისთვის, მაგრამ ისინი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იერარქიულად მაღალი დონის ხელმძღვანელებისათვის, რომელთაც ევალებათ არა ორგანიზაციის ცალკეული ნაწილის, არამედ მთელი კომპანიის საქმიანობის მართვა.

ადამიანურ ჩვევებში იგულისხმება მენეჯერის თანამშრომლებთან ურთიერთობის უნარი. აღსანიშნავია, რომ მენეჯერს უნდა შეეძლოს კარგი ურთიერთობა დაამყაროს, როგორც მის ზემოთ მდგომ ხელმძღვანელებთან, ასევე მის ხელქვეითებთან. ამ თვისებაში იგულისხმება, თუ რამდენად შეუძლია მენეჯერს წარმოაჩინოს თავი გუნდის წევრად და განმუხტოს კონფლიკტური სიტუაციები, დაინტერესოს თანამშრომლები, მაგალითი მისცეს მათ და უბრალოდ ადამიანური ურთიერთობით სითბო და პატივისცემა დაანახოს. კარგად განვითარებული ადამიანური უნარ-ჩვევებით დაჯილდო-ებული მენეჯერები მის დაქვემდებარებაში მყოფ პერსონალს თვით გამოხატვისა და ორგანიზაციის საქმიანობაში მთელი ენერგიით ჩართვის სტიმულს აძლევენ. მსოფლიო პრაქტიკაში ამის საკმაოდ ბევრი მაგალითია.

მენეჯერის საქმიანობა ძალიან მრავალფეროვანია, რაც მისგან ცოდნის ფართო არეალის ქონასა და მრავალი სხვადასხვა სახის საქმიანობის შესრულებას მოითხოვს. მენეჯერებს მრავალი სახის როლების შესრულება უხდება. არსებობს როლი, რომლებიც დაჯგუფებულია სამ ძირითად კატეგორიად: პიროვნებათაშორისი, ინფორმაციული, გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირე-ბული პიროვნებათაშორისი როლები მოიცავს მენეჯერის ურთიერთობას ორგანიზაციის სხვა თანამ-შრომლებთან და გულისხმობს ყველა ადამიანური ჩვევების გამოყენებას. ინფორმაციული როლები მოიცავს მმართველობითი საქმიანობის სახეობებს, რომლებიც მიმართულია საწარმოში ინფორმაცი-ული ქსელის შექმნასა და განვითარებისკენ. ინფორმაციის წყაროს სახით შეიძლება მოგვევლინოს ხელმძღვანელობა, კოლეგები, დაქვემდებარებული პირები, მასობრივი ინფორმაციული საშუალებები და ა. შ. გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებული როლები გულისხმობს რეალური ქმედებების განხორციელების ინიცირებას. მენეჯერი გამუდმებით ფიქრობს, როგორ გადააქციოს სასურველი მომავალი აწყმოდ. არსებული პრობლემების მოხსნისაკენ მიზანსწრაფვა უბიძგებს მას ქმედებისაკენ.

რაც შეეხება თანამედროვე მენეჯმენტს ის მიზნობრივი ფუნქციების ერთობლიობაა: საწარმოო მართვის პროცესების ორგანიზაცია და წარმატებების მიღწევა. მართვის ფუნქციები შეიცავენ: მიზნის დასახვას, საქმიანობის დაგეგმვას, სამუშაოს ორგანიზებას, დავალებების გადანაწილებას, კონ-ტროლ/მონიტორინგს, შეფასებას, გეგმის კორექტირებას. ყოველივე ამას ახორციელებს ორგანიზაციის მენეჯერი.

დაგეგმვა ეს არის იმ გადაწყვეტილებათა და ქმედებათა შემუშავების პროცესი, რომელთა განხორციელებამაც ორგანიზაცია დასახულ მიზნებამდე უნდა მიიყვანოს. ორგანიზება მოიცავს ასევე დაგეგმვასა და პროგნოზირებას და მოითხოვს, რომ სხვადასხვა დეპარტამენტებთან დაკავშირებული პროცესები შეიძლება შეიქმნას უფრო მეტი ეფექტურობის შესაქმნელად ან ხარისხის გასაუმჯობესებლად. დავალებების გადანაწილება თავისთავად მოიცავს თანამშრომლებზე გარკვეული სამუშაოს შესრულებას, რომლის შედეგის მობილიზებასა და ანალიზს საბოლოო ჯამში მენეჯერი აკეთებს. კონტროლი /მონიტორინგი გულისხმობს მენეჯერის მიერ ყველა დეტალის თავიდან გადახედვასა და შეცდომის შემთხვევაში მის ჩასწორებას. მისი შემდგომი ეტაპია შეფასება რომელშიც იგულისხმება უკვე შესრულებული სამუშაოს შედეგის განხილვა და საბოლლოო ეტაპი კორექტირება რაშიც მოიაზრება ჩასწორებები შესრულებულ სამუშაოს.

დასკვნა

მენეჯმენტის მუშაობა იყოფა დაგეგმვის, ხელმძღვანელობის, ორგანიზებისა და კონტროლის ირგვლივ არსებულ აქტივობებად და მენეჯერის სამუშაო მოიცავს ყველა ამ სფეროს. ყველას, ვისაც სურს გადავიდეს მენეჯმენტში, როგორც კარიერა, უნდა განავითაროს და გამოავლინოს ძლიერი ტექნიკური და ფუნქციური უნარები. საუკეთესო მენეჯერებს ესმით, რომ მათი როლი ეხება მათ გუნდს და მის შესრულებას და არა საკუთარ თავს. ისინი ბევრს მუშაობენ ზემოთ განსაზღვრული უნარების გასავითარებლად და დიდ კმაყოფილებას იღებენ თავიანთი გუნდის წევრების წარმატებებით. რაც უფრო ეფექტურად დაბალ დონეზე გააკეთებენ თანამშრომლები დავალებულ სამუშაოებს და მით უფრო აღიარებენ მენეჯერის ღირებულებას და შეეცდებიან გაზარდონ პასუხისმგებლობა დროთა განმავლობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://www.google.com/search?q=google+translate&rlz=1C1YTUH_enGE1037GE1037&oq=google+translate&aqs=chrome.0.69i59j0i512j0i131i433i512j0i512l5j0i271l2.2704j0j7&sourceid=chrome&ie=UTF-8
2. https://www.indeed.com/hire/job-description/manager
3. https://hbr.org/1990/03/the-managers-job-folklore-and-fact
4. https://resources.workable.com/general-manager-job-description
5. https://www.slideshare.net/DrRhea1/lesson-1-managing-and-the-managers-job

Modern skills in improving management

Siradze Maia
Georgian Technical University

Ramishvili Varlam
Georgian Technical University
Associate Professor

Telia Konstantine
Georgian Technical University
Doctor of Bussines Administration

Abstract

The theoretical knowledge of management and the development of practical skills contribute to the rapid rise of the market economy and ultimately to the strengthening of the state. Knowledge of management methods is extremely important for raising the level of development in the country. The transition from the administrative-command system to the market relationship implies the implementation of the management process in the field of economy based on democratic principles. In the conditions of the market economy, wide opportunities for economic activity are created. A thorough knowledge of management and its creative application in practice is vital and necessary. The main challenge of modern management is to identify the current changes in the company's business environment, anticipate them and respond correctly. The task of management is to find and analyze information on all possible positive and negative trends of the business environment and bring them into compliance with the company's activities. Managerial skills refer to the various skills and qualities that management personnel must possess to perform certain tasks in a company. Among them is the ability to perform urgent tasks in the company, quickly solve problems when they arise to avoid critical scenarios.

ციფრული ტრანსფორმაცია და თანამედროვე გამოწვევები

სულაშვილი მალხაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

კუცია ირმა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნეფარიძე ირინე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ციფრული ტრანსფორმაცია არის მიდგომა, როდესაც ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის გამოყენებით დაცულ გარემოში ხდება პროცესების, პროდუქტის, კომპანიის კულტურისა და მომხმარებელთან ურთიერთობის არხების გარდაქმნა ისე, რომ კომპანია თანხვედრაში იყოს თანამედროვე ბაზრის გამოწვევებთან და მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა.

ციფრული ტრანსფორმაცია წარმოადგენს ძალებისა და განვითარებადი ტექნოლოგიების ერთობლიობას, რომლებიც იყრიან თავს, რათა გამოიწვიონ მკვეთრი ცვლილება ბიზნესსა და საზოგადოებაში. ტრანსფორმაციის დროს საგნები სწრაფად ადაპტირდებიან ცვალებად პირობებთან და განპირობებული არიან გარკვეული გარემოს ზეწოლით დროთა განმავლობაში. კარგად გააზრებული ციფრული ტრანსფორმაციის დროს განვითარების ვექტორები სწორად არის დამუშავებული.

კვლევის მიზანია ტექნოლოგიების ამჟამინდელი სტატუსი და პერსპექტივები; ის თანამედროვე გამოწვევები, რომელიც ციფრულ ტრანსფორმაციასთან არის დაკავშირებული: ცოდნა ახალი ტექნოლოგიების გავლენის შესახებ; ცვლილებების შეტანა ძირითად კორპორატიულ პროცესებში წარმატების შანსების გაზრდის მიზნით; არსებული მონაცემების კონკურენტულ უპირატესობად გადაქცევა; პროდუქტიულობის გაუმჯობესება კომპანიის წარმატებული მართვისათვის. ციფრული ტრანსფორმაცია ყოველდღიური ფაქტია. ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები, რომლებიც აჩქარებს მას მალე იქნება წარმოდგენილი ჩვენი ცხოვრების ყველა ასპექტში.

საკვანძო სიტყვები: ტრანსფორმაცია, ციფრული მენეჯმენტი, ციფრული ტექნოლოგიები.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ყოველდღიურ ოპერაციებსა თუ მომხმარებელთან ურთიერთობის ეტაპზე განვითარების ახალ შესაძლებლობებსა და გზებს ხსნის. ციფრულმა რევოლუციამ მნიშვნელოვნად გაზარდა და განავითარა სხვადასხვა ორგანიზაციები მსოფლიოში. თუმცა, ციფრული რევოლუციის გავლენა ორგანიზაციის მენეჯმენტზე, კონკურენტუნარიანობაზე და სამუშაო ბუნებაზე დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ორგანიზაციამ რა დონეზე აითვისა ეს ტექნოლოგია. ინტერნეტის გამოჩენამ და მისმა დაახლოებამ მონაცემთა ბაზის პროგრესულ ტექნოლოგიებთან საშუალება მისცა ორგანიზაციებს იყვნენ კონკურენტუნარიანები გლობალურ ბაზარზე და უფრო მეტად იყვნენ დაკავშირებული თავიანთ მომხმარებლებთან. დისტანციური მუშაობის ახალი ტექნოლოგიები, რომელიც მოიცავს სინქრონულ ინტერნეტ კომუნიკაციებს, მაგალითად ონლაინ მომხმარებელთა მომსახურების ცენტრებს, ჩატის ოთახებს, ასევე სინქრონულ ინტერნეტ კომუნიკაციებს, რომელიც მოიცავს გამოკითხვებს და ფორუმებს, მკვეთრად შეცვალა გლობალური კომუნიკაციის კურსი. ციფრულ ეპოქაში, ორგანიზაციებმა უნდა ჩამოაყალიბონ ახალი პარადიგმა, რომელიც არის ციფრული და ყველგან გავრცელებული, იაფი, მობილური, პერსონალური და პროგრამირებადი. წარმატებულები არიან ის ორგანიზაციები, რომლებიც მომსახურება, პროდუქტები და მარკეტინგი მორგებული აქვთ თავიანთი მომხმარებლების მოთხოვნილებებზე და საჭიროებებზე. უფრო მეტიც, პროგრამირებადობა ორგანიზაციას აძლევს საშუალებას მოახდინოს შეკვეთების მორგება მომხმარებელთა მოთხოვნების ან

სპეციალობის მიხედვით. ეს აშკარა მანიშნებელია, რომ ციფრული რევოლუცია დიდ გავლენას ახდენს მსოფლიო ბაზარზე სხვადასხვა ორგანიზაციის გლობალურ კონკურენციაზე. ორგანიზაციები, რომლებიც მოახერხებენ ახალი ციფრული ტექნოლოგიების შენარჩუნებას, აქვთ შანსი იყვნენ მაღალი კონკურენტუნარიანები გლობალურ ბაზარზე. ციფრული ტექნოლოგია დიდ როლს თამაშობს კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. ის ასევე ამარტივებს მენეჯმენტის როლს ორგანიზაციაში პროგრამების მიწოდებით, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მენეჯერების დასახმარებლად ორგანიზაციაში გადაწყვეტილების მიღებაში და სხვადასხვა აქტივობების ორგანიზებაში. ციფრული ტექნოლოგია ასევე უზრუნველყოფს მუშაკებს უნიკალური ინსტრუმენტებით, რომლებიც ამარტივებს მათ სამუშაო მიდგომას და სამუშაო პროცესებს. ეს აადვილებს კომუნიკაციას ორგანიზაციასა და მის მომხმარებლებს შორის, ქმნის უკუკავშირის სისტემას და პროდუქტის მიმოხილვის ფორუმს, რომელიც საშუალებას მისცემს ორგანიზაციებს გააუმჯობესონ თავიანთი პროდუქტები. ამ მხრივ, ორგანიზაცია, რომელიც უაღრესად იყენებს ციფრულ ტექნოლოგიას, აქვს დიდი შანსი მიიღოს ეფექტური მენეჯერული გადაწყვეტილებები, აჩვენოს ეფექტურობა, სიზუსტე და სწრაფი რეაგირება მუშაკებისგან და გაუმჯობესოს მათი ზოგადი შრომის-უნარიანობა იმ ორგანიზაციასთან შედარებით, რომელიც ვერ იყენებს ამ ტექნოლოგიას. ეს ზრდის ორგანიზაციის ზოგად კონკურენტუნარიანობას ბაზარზე.

ციფრულმა ტექნოლოგიამ ასევე შემოიღო ვირტუალური მუშაკების ან ვირტუალური სამუშაო ადგილის კონცეფცია. ეს არის მუშაობის ფორმა, რომლის დროსაც თანამშრომლები მუშაობენ მენეჯერებისგან და ერთმანეთისგან დისტანციურად. ვირტუალური ორგანიზაციები არის დინამიური, მრავალორგანიზაციული და მრავალსაიტიანი. ვირტუალური სამუშაო ადგილები ხელს უწყობს ქონების ხარჯების შემცირებას, პროდუქტიულობის გაზრდას და სხვა სარგებელს შორის გლობალური ბაზრის ხელმისაწვდომობის გაზრდას.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ტექნიკას აქვს თავისი ნაკლოვანებები, ის ორგანიზაციას სთავაზობს მუშაობის უფრო კონკურენტულ ფორმას და ეფექტურობას შესრულებულ სამუშაოში, რადგან ადვილია ინდივიდუალური სამუშაოს გაზომვა. ის აძლევს ორგანიზაციას შესაძლებლობას დაიქირავოს მრავალფეროვანი თანამშრომლები გლობალურად, რაც ზრდის ორგანიზაციაში ინოვაციების მაჩვენებელს. ის ზრდის კომპანიის კონკურენტუნარიანობას გლობალურ ბაზარზე საოპერაციო ღირებულების შემცირებით, ეფექტურობისა და პროდუქტიულობის გაზრდით და, შესაბამისად, ორგანიზაციის მომგებიანობის გაზრდით.

ციფრული გარდაქმნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს თანამშრომლები წარმოადგენენ. ტრანსფორმაციული ცვლილებები მოითხოვს კომპანიაში თანამედროვე სამუშაო სივრ-ცის კულტურის დანერგვას. [1]

პროცესების ოპტიმიზაცია კომპანიაში არსებული პროცესების შესწავლითა და აღწერით იწყება. პროცესების ოპტიმიზაციის გუნდი სწავლობს კომპანიისთვის ღირებულების მომტან/პრობლემატურ პროცესებს და აოპტიმიზებს ბიზნეს სტრატეგიის შესაბამისად. კერძოდ,

- **ორგანიზაციული სტრუქტურის შესწავლა**– ვეცნობით კომპანიის ორგანიზაციულ სტრუქტურას, ძირითადი ბიზნეს ერთეულების აღწერილობებსა და პროცესებს.
- **გასაუბრება კომპანიის თანამშრომლებთან** – ვხვდებით სხვადასხვა მიმართულების ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს, რომლებიც აქრიურად არიან ჩართული ძირითად ბიზნეს პროცესებში. ინტერვიუების შედეგად ვიღებთ დეტალურ ინფორმაციას პრობლემატური საკითხების და პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების შესახებ.
- **პროცესების აღწერა** – აღვწერთ კომპანიაში არსებულ პროცესებს (“as is”) მასში ჩართული თანამშრომლების მონაწილეობით. რეკომენდაციებზე დაყრდნობით ვადგენთ სამომავლო პროცესის (“to be”) მონახაზს.
- **პროცესების ვიზუალიზაცია** – flow chart-ების მეშვეობით ნაბიჯ-ნაბიჯ აღვწერთ პროცესის თითოეულ აქტივობას, რაც გვეხმარება აღმოვაჩინოთ განმეორებითი ქმედებები, ლოდინი, ჭარბწარმოება და ა.შ. კონკრეტული პროცესის აღწერილობებში.[2]

ამდენად, ორგანიზაციებმა მკვეთრად შეცვალეს საქმიანობის განხორციელების გზა ციფრული ეპოქის ფონზე. დაემშვიდობნენ ქაღალდს, გადავიდნენ ციფრული დოკუმენტების მარ-თვაზე. კონტრაქტები ფორმდება ელექტრონული ხელმოწერით. ტექნოლოგიების ზრდამ გზა გაუხსნა ახალ პრაქტიკას, რომელსაც ბევრი ორგანიზაცია ჯერ კიდევ ეჩვევა. პრაქტიკულად ყველა მსხვილი ორგანიზაცია ციფრულ ტრანსფორმაციას უპირველეს პრიორიტეტად ხედავს, რომელსაც ჭირდება მართვის სწორი უნარები ამ ციფრული ეპოქისთვის. ორგანიზაციებს შეუძლიათ ადვილად მოხვდნენ რუტინაში თავიანთი ბიზნესების და თანამშრომლების მართვის გზით.

მოქნილობისა და მომავლისკენ ხედვის უნარი არის მენეჯმენტის ძირითადი უნარები, რომლებიც ყველაფერზე წინ უნდა იქნას გამოყენებული. მენეჯერები მზად უნდა იყვნენ, მიიღონ ცვლილებები და განაახლონ თავიანთი გუნდი უახლესი ტექნოლოგიებისა და სამუშაო პროცესების შესახებ. ორგანიზაციები ვერასოდეს აითვისებენ ციფრულ ეპოქას, თუ მათ მენეჯერებს არ სურთ შეცვალონ თავიანთი მუშაობის გზა და მართონ თანამშრომლები. შეიძლება არასოდეს გვიფიქრია, რომ Facebook და Instagram შეიძლება იყოს ასეთი მნიშვნელოვანი კომპანიისთვის, როგორიც დღეს არის. მენეჯმენტის უნარები გადავიდა ადამიანების პირისპირ მართვის უნარიდან, მათ ვირტუალურ მართვაზეც.

სოციალური მედიის გამოყენების ცოდნა არის ნიჭის მოზიდვის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროდუქტების მარკეტინგის ძირითადი უნარი. მომხმარებლებთან ურთიერთობა და ორგანიზაციის ფარგლებში ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება შესანიშნავი საშუალებაა საზოგადოებისთვის, დაინახოს ორგანიზაციის საქმიანობა. მენეჯერებმა უნდა წაახალისონ თავიანთი თანამშრომლები, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ კომპანიის სოციალური მედიის ფორუმში და აჩვენონ ღირებულებები საკუთარ სოციალურ მედია პროფილებზე, რომლებიც ემთხვევა ორგანიზაციულ ღირებულებებს.

ტექნიკური ცოდნა არის მენეჯმენტის ერთ-ერთი აუცილებელი უნარი ციფრულ ეპოქაში მუშაობისთვის. მენეჯერებს უნდა ჰქონდეთ ფართო ცოდნა სხვადასხვა პროგრამებისა და ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ, რათა დაეხმარონ თავიანთ თანამშრომლებს საუკეთესო რესურსების მიცემაში. ტექნოლოგია მუდმივად ცვლილებას განიცდის და ამ მხრივ თუ არ ვთარდება ორგანიზაცია, მაშინ ის კარგავს შესაძლებლობას იყოს ეფექტური.

მსოფლიოში ბევრი კომპანია ცვლის ქაღალდს და ციფრულ დოკუმენტებზე გადადის. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ოფისს სურს ქაღალდის გარეშე მუშაობა, ცოტამ მიაღწია ამას. ქაღალდის გარეშე მუშაობას სჭირდება ლიდერები, რომლებიც დაეხმარებიან ამ პროცესის წარმართვას. სწორედ ამიტომ ეფექტური ციფრული დოკუმენტების მართვის სისტემის შექმნა 21-ე საუკუნეში მართვის ერთ-ერთი მთავარი უნარია. მენეჯერებმა უნდა იმუშაონ თავიანთ გუნდთან, რათა შექმნან სისტემა, რომელიც საუკეთესოდ მუშაობს ყველასთვის. მენეჯერები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი თავიანთი კომპანიაზე სოციალურ მედიაში, ისევე როგორც კონკურენტების ყოფნის შესახებ. ვირტუალურად განახლებულად ყოფნა ასევე დაეხმარება მენეჯერებს ახალი ნიჭის ძიებაში, შეაფასონ თავიანთი პოზიცია მომხმარებლებთან, შეამოწმონ მარკეტინგული სტრატეგიები და დაუკავშირდნენ კლიენტებს უფრო არაფორმალურ საფუძველზე.

დასკვნა

ეკონომიკის მოდიფიცირებისთვის გადამწყვეტი როლი ენიჭება მთელი ეკონომიკური სექტორის დიჯიტალიზაციას, გაციფრულებას. ციფრული ეკონომიკა არ არის ციფრული მარკეტინგი, ან მხოლოდ ციფრული სერვისები და ა.შ. ის წარმოადგენს დამატებითი საინვესტიციო საშუალებების შექმნის, ევროკავშირის ციფრულ ბაზარზე ინტეგრაციის, ეკოსისტემის ჩამოყალიბებისა და ბიზნესისთვის კომფორტული ციფრული გარემოს შექმნას. მისი მიზანი ხარჯების შემცირების ეკოგარემოს შექმნა და ციფრულ გლობალურ ეკონომიკაში ადგილის დამკვირდებაა ქვეყნისათვის.

პარტნიორი ქვეყნების ციფრულ ტრანსფორმაციაში განხორციელებული ინვესტირება, ევროკავშირის კანონმდებლობის და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, ერთიანი ციფრული ბაზრის

სარგებლის გავრცელების შესაძლებლობას ქმნის. ეს ხელს შეუწყობს ციფრული ინფრასტრუქტურის და სერვისების გაუმჯობესებულ წვდომას, საჯარო სამსახურების და ადმინისტრაციის საქმიანობის გაუმჯობესებას მოქალაქეებისთვის.

ევროპის ციფრული მომავლის ფორმირების სტრატეგიაში, ციფრულ ტრანსფორმაციას შეუძლია ხელი შეუწყოს ეკონომიკის ზრდას და გახდეს მდგრადი განვითარების მამოძრავებელი ძალა როგორც ევროკავშირის, ისე პარტნიორი ქვეყნებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. UniqueWritersBay., Analysis of Shifting Management and Leadership Roles in a Digital Age., https://uniquewritersbay.com/analysis-shifting-management-leadership-roles-digital-age/;
2. Westgarth D., Has the Pandemic changed the way we communicate?, Nature.com, 2021, https://www.nature.com/articles/s41404-021-0845-x#citeas;
3. Thomas M. Siebel. Digital Transformation. Survive and Thrive in an Era of Mass Extinction 2019. P. 256.
4. GDS Insights., What is Digital Leadership? – Definition, Examples, Skills, Qualities.,https://gdsgroup.com/insights/marketing/blueprint-for-digital-leadership/
5. Undf., საქართველოს საჯარო სექტორის ციფრული გარდაქმნა https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/stories/electronic-services.html
6. Michaela Wrede, Vivek K Velamuri, Tobias Dauth .,Top managers in the digital age: Exploring the role and practices of top managers in firms' digital transformation 03.04.2020.,
7. Mdpi., Digital Transformation and Knowledge Management https://www.mdpi.com/2071-1050/12/14/5824
8. Kozlenkova I. The role of relationships in healthcare marketing. University of Virginia, 2020;
9. https://bdodigital.ge/services/tsipruli-transpormatsia/

Digital transformation and modern challenges

Sulashvili Malkhaz
Associate Professor of Georgian Technical University

Kutsia Irma
Associate Professor of Georgian Technical University

Neparidze Irine
PhD student of Georgian Technical University

Abstract

Digital transformation is an approach where processes, products, company culture and customer relationship channels are transformed using technology and information in a secure environment so that the company is aligned with the challenges of the modern market and gains a competitive advantage.

Digital transformation is a combination of forces and emerging technologies that are converging to drive dramatic change in business and society. During transformation, objects quickly adapt to changing conditions and are conditioned by certain environmental pressures over time. In a well-thought-out digital transformation, development vectors are handled correctly.

The purpose of the research is the current status and perspectives of technologies; The contemporary challenges associated with digital transformation: knowledge about the impact of new technologies; Making changes to key corporate processes to increase the chances of success; turning existing data into a competitive advantage; Productivity improvement for successful company management. Digital transformation is an everyday fact. Artificial intelligence technologies that accelerate it will soon be present in every aspect of our lives.

Keywords: transformation, digital management, digital technologies.

აუდიტორული საქმიანობის თეორიული ასპექტების ანალიზი

სულაშვილი გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ფოჩხიძე დარეჯან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

გრიგალაშვილი ბიძინა
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
შემოსავლების სამსახურის საბაჟო-საგადასახადო
მეთოდოლოგიის დეპარტამენტის
უფროსი სპეციალისტი

აბსტრაქტი

საქართველოში აუდიტორული საქმიანობის თეორიული ასპექტების რეგულირება ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებისა და აუდიტისა და ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ხორციელდება. აუდიტისა და ეთიკის სტანდარტები ქვეყნის მასშტაბით გამოიყენება, მაგრამ სხვადასხვა სახელმწიფოებში ეროვნული სტანდარტების დამუშავებისას სულ უფრო ხშირად იყენებენ აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა და ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ დადგენილ სტანდარტებს. აუდიტი რთული სახის ინტელექტუალური საქმიანობაა, რომელიც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას საბუღალტრო აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების, საგადასახადო საქმის, ზოგადად ბიზნესის და აუდიტის სფეროში. ამ სპეციალური ცოდნის სწორად წარმართვა დამოკიდებულია საღ განსჯასა და კრიტიკულ აზროვნებაზე. თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში აუდიტორული კონტროლი მართვის ერთი-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. ყველა სახის აუდიტი წარმოადგენს დიაგნოსტიკური გამოკვლევის განხორციელების სპეციფიკურ სისტემას, რომელიც საშუალებას გვაძლევს გაკეთდეს დასკვნა ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურობის ხარისხსა და მისი სრულყოფის გზებზე.

თანამედროვე პირობებში სულ უფრო აქტუალური გახდა საგადასახადო აუდიტის სრულყოფის საკითხები. წარმოდგენილ სტატიაში აუდიტის სხვა საკითხებთან ერთად გამახვილებულია ყურადღება ალტერნატიული საგადასახადო აუდიტის აღდგენის მნიშვნელობაზე. შემოთავაზებულია საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწასთან ერთად უწყვეტი ელექტრონული საგადასახადო აუდიტის ტექნოლოგიების განვითარების აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: აუდიტი, საბუღალტრო აღრიცხვა, ფინანსური ანგარიშგება, ბიზნესი, ეთიკა, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში აუდიტორულ საქმიანობას არეგულირებს საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები და სხვა აქტები. აუდიტი ტარდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA) არის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ მიღებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, რომლებსაც მოიცავს ამ ორგანოს და მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო ოფიციალური დოკუმენტების ცნობარი.

საქართველოში აუდიტორული ფირმები იყოფიან ექვს კატეგორიად, რომელთაც კატეგორიების მიხედვით მინიჭებული აქვთ საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის უფლებამოსილება ან შეზღუდვა.

აუდიტორებს უფლება აქვთ:

1. მოქმედი კანონმდებლობის, ნორმებისა და სტანდარტების, დამკვეთთან დადებული

ხელშეკრულების პირობების, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე დამოუკიდებლად განსაზღვრონ აუდიტის ფორმები და მეთოდები;

2. მიიღონ დამკვეთის ან მესამე პირების ხელთ არსებული ყველა საჭირო დოკუმენტი, რომლებიც შეეხება აუდიტის საგანს. ასეთი დოკუმენტების მქონე მესამე პირები ვალდებულნი არიან წარუდგინონ ისინი აუდიტორს (აუდიტორულ ფირმას) დამკვეთის მიერ დამოწმებული მოთხოვნის შესაბამისად;
3. მიიღონ აუდიტის საგანზე ნებისმიერი საჭირო განმარტება ზეპირი ან წერილობითი ფორმით დამკვეთის ხელმძღვანელებისა და მუშაკებისაგან;
4. შეამოწმონ სრული მოცულობით სამეურნეო სუბიექტის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტაცია, არსებული ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები, მატერიალური ფასეულობანი; მოითხოვონ სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობისაგან საკონტროლო გაზომვის, პროდუქციის ხარისხის განსაზღვრის და სხვა სამუშაოების მოწყობა;
5. მიიწვიონ ხელშეკრულების საფუძველზე სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები შემოწმებაში მონაწილეობის მისაღებად.

პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისას, აუდიტორმა უნდა იხელმძღვანელოს პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს აუდიტორის ისეთ ძირითად ეთიკურ პრინციპებს, როგორიცაა ობიექტურობა და დამოუკიდებლობა.

აუდიტორებს ევალებათ:

1. აუდიტორული საქმიანობის განხორციელებისას განუხრელად დაიცვან საქართველოს კანონმდებლობა, საქართველოში მოქმედი აუდიტორული სტანდარტები, აუდიტორის ეთიკის კოდექსის მოთხოვნები, დებულებები და ნორმატიული აქტები .
2. კვალიფიციურად მოაწყონ აუდიტორული მომსახურება, შეამოწმონ დამკვეთის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობა, მათი უტყუარობა, სისრულე და შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან და დადგენილ ნორმატივებთან;
3. აცნობონ დამკვეთს, აგრეთვე სათანადო მიმართვის შემთხვევაში მესაკუთრეებს, მათ რწმუნებულებს აუდიტის ჩატარებისას ბუღალტრული აღრიცხვასა და ანგარიშგებაში გამოვლენილი ნაკლოვანებები;
4. საიდუმლოდ შეინახონ აუდიტორული მომსახურების დროს მიღებული ინფორმაცია, არ გაახმაურონ კომერციული საიდუმლოების შემცველი ცნობები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ გამოიყენონ ისინი თავიანთი ან მესამე პირის ინტერესებისათვის;
5. არ დაუშვან თავისი და მესამე პირების საქმიანი თვისებების რეკლამირება.

აუდიტი არსებითად იმაში მდგომარეობს, რომ მოიძებნოს და შეფასდეს ინფორმაცია, რომელთა საფუძველზეც აუდიტორი ნათელყოფს, თუ რამდენად შეესაბამება ფაქტები დადგენილ კრიტე-რიუმებს. ,,მიღებულ ცნობათა ტიპები“ და მათი შეფასებისათვის გამოყენებული კრიტერიუმები შეიძლება იცვლებოდეს, მაგრამ ყველა შემთხვევაში აუდიტის პროცესის საფუძველს მათი მიღება და შეფასება წარმოადგენს. მაგალითად, საფინანსო აუდიტის დროს ფინანსურ ანგარიშში შემავალ მტკიცებებსა და აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებს შორის შესაბამისობის ხარისხის მაჩვენებელ საბუთებს წარმოადგენს სააღრიცხვო მონაცემები, რომლებიც საფუძვლად უდევს ფინანურ ანგარიშგებას. აუდიტორმა უნდა შეკრიბოს მიღებული ცნობები და ამავე დროს შეაფასოს ისინი. აუდიტორული დასკვნის ჩამოყალიბებისათვის საჭიროა აუდიტორის კვალიფიკაციის მაღალი დონე. მაგალითად, იმისათვის რომ გააკეთოს დასკვნა სწორად არის თუ არა შეფასებული მარაგი თვითღირებულებისა ან საბაზრო ღირებულების მიხედვით, აუდიტორმა უნდა გაიგოს და განსაზღვროს კონკრეტულად როგორ ანგარიშობს საწარმო დანახარჯებს. ასევე აუცილებელია შეაფასოს როგორ განსაზღვრავდა ადმინისტრაცია აღდგენით ღირებულებას, როგორ ანგარიშობდა რეალიზაციის ფასს და მოგების ნორმას ,,საბაზრო“ ღირებულების ფორმირების პროცესში. ასევე

აუდიტორმა უნდა შეაფასოს მოძველებული და ძნელად გასასაღებელი საქონლით მიღებული ზარალის ასანაზღაურებელი რეზერვები. ამ მსჯელობათა დამამტკიცებელი დამაჯერებელი საბუთების მოპოვება საკმაოდ რთულია, თუმცა ისინი გადამწყვეტ როლს ასრულებენ ფინანსური ანგარიშების აუდიტის ჩატარებისას. ფაქტიურად, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც რაოდენობრივად განსაზღვრავს ფასეულობებს და შემოწმებას ექვემდებარება, შეიძლება აუდიტის საგანი გახდეს, თუკი აუდიტორი და მისი კლიენტი შეთანხმდებიან კრიტერიუმებზე, როგორც ხარისხის განმსაზღვრელ საფუძველზე.

თანამედროვე პირობებში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა შიდა აუდიტს. აუდიტორული ორგანიზაციის/ინდივიდუალური აუდიტორის შიდა სტანდარტების შემუშავება ხდება მოქმედი სტანდარტებისა და საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებზე დაყრდნობით. აუდიტორულ ფირმას უფლება აქვს შეიმუშაოს მოქმედების საკუთარი წესები, დამოუკიდებლად შეარჩიოს მუშაობის მეთოდები და ხერხები, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედი სტანდარტების მოთხოვნებს. აუდიტორული ფირმის შიდა სტანდარტების პაკეტი უნდა ასახავდეს მის დამოკიდებულებას ჩატარებული შემოწმებისადმი. იგი უნდა ახდენდეს აუდიტორის მოქმედების რეგლამენტაციას მოცემული ფირმის ფარგლებში.

აუდიტორული ფირმის შიდა სტანდარტებს მიეკუთვნება დამტკიცებული ინსტრუქციები, მეთოდური მასალა და სხვა დოკუმენტები რომელიც სავალდებულო წესით გამოიყენება აუდიტორული საქმიანობის განხორციელებისას. შიდა სტანდარტებს ამტკიცებს ხელმძღვანელი, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. შიდა სტანდარტებმა უნდა უზრუნველყოს აუდიტის იმ პროცედურების შესრულება, რომელიც შეესაბამება აუდიტის ძირითად პრინციპებს და საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს.

ცალკე განხილვის საგანია საგადასახადო აუდიტის საკითხები, კერძოდ, ამჟამად ალტერნატიული საგადასახადო აუდიტის საკითხებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

2012 წლიდან საქართველოს საგადასახადო ადმინისტრირებაში განხორციელდა ერთ-ერთი აქტუალური პროექტი „ალტერნატიული საგადასახადო აუდიტის“ სახით. იგი ითვალისწინებდა საგადასახადო ორგანოს კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საგადასახადო კონტროლის ცალკეული სახეების განახორციელების შესაძლებლობას სხვა პირების მიერ.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში გადასახადის გადამხდელს უფლება მიეცა მისი საქმიანობის საგადასახადო შემოწმება ჩაეტარებინა მოწვეულ ალტერნატიულ აუდიტორს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქტის საფუძველზე გადამხდელი უფლებამოსილი იყო დაეზუსტებინა დეკლარაცია და აღიარებინა საგადასახადო ვალდებულება. შესაბამისად აღნიშნულ ნაწილში გამოვლენილ საგადასახადო სამართალდარღვევისათვის გადამხდელს ჯარიმა არ ეკისრებოდა. საჯარიმო სანქციები, დღევანდელი წესებისაგან განსხვავებით, არ ვრცელდებოდა აგრეთვე შემოწმების პროცესში გამოვლენილ ზედმეტობაზე ან დანაკლისზე. აუდიტორიული მომსახურების ანაზღაურება ხდებოდა გადასახადის გადამხდელის მიერ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

ალტერნატიული აუდიტის განმახორციელებელი პირთა შერჩევის პრაქტიკა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებშიც წარმატებით გამოიყენება. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ტეხასის შტატში ალტერნატიული აუდიტი ტარდება „საგადასახადო შემოწმების პროგრამის კონტრაქტის“ სახელით („CONTRACT TAX COMPLIANCE EXAMINATION PROGRAM“). აღნიშნული რეგულირდება ტეხასის საგადასახადო კოდექსით, რომელიც ადგენს წესს - „გარე პერსონალის გამოყენებისა და უფლებამოსილების დელეგირების შესახებ“. ამ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს შეუძლია დადოს ხელშეკრულება ბუღალტერთა, ასისტენტთა, აუდიტორთა, კლერკთა, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტებისა და გამომძიებლების მომსახურებაზე. ყოველივე ამის მიზანია საგადასახადო ორგანომ შეძლოს ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადების მაქსიმალური ამოღება და გადასახადის გადამხდელების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფა [1]. ამასთან,

[1] https://comptroller.texas.gov/taxes/audit/contract-tax.php

საკონტრაქტო გამოცდის პროგრამა გამარტივებულია და ადგენს მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ესენია: აკრედიტებული უმაღლესი კოლეჯის ან უნივერსიტეტის ბაკალავრის დიპლომი ან ტეხასის ბუღალტრული აღრიცხვის სახელმწიფო საბჭოს მიერ სერთიფიცირებული ბუღალტრის ლიცენზია და ერთი წლის გამოცდილება ტეხასის საგადასახადო შემოწმებაში, ბუღალტერიაში, ან ტეხასის საგადასახადო სხვა მომსახურებებში. შერჩეული კონტრაქტორი უნდა აკმაყოფილებდეს ინტერესთა კონფლიქტის პროფესიულ სტანდარტებს და სხვა სტანდარტებს. ისინი ვალდებულნი არიან მოაწოდონ მაკონტროლებელ ორგანის შესაბამისი ანგარიშგება, დასკვნა და სხვა წერილობით დოკუმენტაცია.

2015 წლიდან საქართველოში ალტერნატიული საგადასახადო აუდიტის პროექტი დახურა, ეს მაშინ, როდესაც 2013-2015 წლებში საქართველოში ჩატარდა 6421 ალტერნატიული საგადასახადო აუდიტი, რომლის საფუძველზეც ძირითად გადასახადებში დარიცხულმა თანხამ 62,5 მილიონი ლარი შეადგინა.[1] შედარებით ირკვევა, რომ ალტერნატიული საგადასახადო აუდიტის მიერ ჩატარებული შემოწმებების რაოდენობა აუდიტის დეპარტამენტის მიერ ჩატარებულის ნახევარია, ყველა გასვლითია და სახელმწიფოს არავითარი ადამიანური რესურსის ხარჯი არ გაუწევია, მაშინ როდესაც აღნიშნული შედეგის მისაღწევად შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტს დაახლოებით 400-მდე თანამშრომელი სჭირდება.

შეზღუდული ადამიანური რესურსების პირობებში ალტერნატიული საგადასახადო აუდიტის მოდელის გამოყენება საკმაოდ ხელსაყრელია. იმის გამო, რომ იგი პრაქტიკაში აღარ გამოიყენება, სახელმწოფო ყოველწლიურად საშუალოდ 20 მილიონ ლარზე მეტს კარგავს. ცხადია, ალტერნატიული აუდიტის აღდგენა დროის მოთხოვნაა, რომელიც დადებითად აისახება ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებზე. იგი

პრაქტიკულად სახელმწიფოს მიერ არავითარ დანახარჯებთან არ არის დაკავშირებული, რომელიც აუდიტის სრულყოფის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნად მივიჩნიოთ. გარდა ამისა საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწასთან ერთად მნიშვნელოვან მიმართულებად მიგვაჩნია უწყვეტი ელექტრონული საგადასახადო აუდიტის ტექნოლოგიების განვითარება.

დასკვნა

საქართველოში სახელმწიფოს მდგრადი განვითარებისა და საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებისათვის მნიშვნელოვანია საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის ახლებური ფორმებისა და მიდგომების შემუშავება, მათი სრულყოფა და პრაქტიკაში დამკვიდრება. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ ქვეყანაში გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგმულია აუცილებელია დღემდე არსებული მეთოდური, სამართლებრივი და ორგანიზაციული საკითხების სრულყოფა.

ცნობილი მეცნიერის შენდლერის განმარტებით ,,აუდიტის არსი არის იმ მიზეზების დიაგნოსტიკა, რომლებიც წარმოქმნიან ორგანიზაციაში პრობლემებს, მათი არსებითობისა და აღმოფხვრის შესაძლებლობების შეფასება და ორგანიზაციისათვის კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება“. ყოველივე ზემოაღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თითოეული კომპანიისათვის, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.https://matsne.gov.ge/ka/document/view/3311504? publication=11,
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717%23part_201?publication=17,
3. სულაშვილი გ., სულაშვილი მ., ფაილოძე ნ., ალანია ჯ., კეკენაძე ვ., ხუციშვილი ო., სახოკია გ. გ. საბუღალტრო საქმე. ტომი III, აუდიტის კომპიუტერული საინფორმაციო სისტემები,

[1] გადასახადის გადამხდელთა საინფორმაციო სისტემა (გასს)

ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ., 2018,
4. გრიგალაშვილი ლ., ნატრიაშვილი ნ., გრიგალაშვილი ბ. აუდიტის თანამედროვე გამოწვევები საქართველოში. სტუ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, თბილისი, 2020.
5. გრიგალაშვილი ლ., გრიგალაშვილი ბ. ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აუთსორსინგის ეფექტიანობა მცირე და საშუალო ბიზნესში. სტუ V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, თბილისი, 2021.
6. გრიგალაშვილი ლ., გრიგალაშვილი ბ., თაბუკაშვილი თ. ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეფორმირების პროცესები საქართველოში. სტუ III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, თბილისი., 2019.
7. კლდიაშვილი პ. „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული საქმიანობის რეგულირების სრულყოფა საქართველოს კერძო სექტორის საწარმოებში". თბილისი, 2019.
8. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3311504?publication=14
9. https://saras.gov.ge/ka/Home/Supervision
10. https://www.theiia.org/globalassets/documents/standards/code-of-ethics/code-of-ethics-georgian.pdf
11. https://matsne.gov.ge/ka/document/view/28444?publication=5

Analysis of theoretical aspects of audit activity

Sulashvili Giorgi
Associate Professor of Georgian Technical University

Darejan Pochkhidze
PhD student of Georgian Technical University

Grigalashvili Bidzina
Doctor of Buziness administration
Revenue Service Customs and Tax
Department of Methodology
senior specialist

Abstract

Audit improvement is a continuous process and one of the problem areas in improving the effective management of accounting activities.

Normative-legal acts, as well as audit and ethics standards form the foundation for the regulation of the theoretical aspects of audit activity. Auditing and ethics standards are used across the country, but when developing national standards, standards established by the International Auditing and Assurance Standards Board and the International Accounting Standards Board are increasingly used. Auditing is a complex type of intellectual activity that requires special knowledge in the field of financial reporting, taxation, business in general and auditing. The proper use of this special knowledge depends on sound judgment and critical thinking.

In modern conditions, the issues of tax audit perfection have become more and more relevant. The presented article focuses on the importance of alternative tax audit recovery, among other issues of audit. Along with the improvement of the tax legislation, the necessity of developing continuous electronic tax audit technologies is proposed.

Keywords: Audit, accounting, financial reporting, business, ethics, international auditing standards.

ხელისუფლების ანტიკრიზისული სტრატეგია და ქვეყნის განვითარების პერსპექტივები

ტაბატაძე მარინა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ, ას.პროფესორი

თანდილაშვილი ანნა
ილიას უნივერსიტეტი, სტუ მოწვეული პროფესორი

რეზიუმე

გლობალიზაციის ერთ-ერთი გამოწვევა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში დესტაბილიზაციისა და კრიზისების ზრდაა. ფინანსური სისტემების გლობალიზაცია აქტიურ ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკასა და ცალკეული ქვეყნის ფინანსურ ურთიერთობებზე, იწვევს რა რყევებს მასში და, შედეგად, არასტაბილურობას სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. შესაბამისად, აქტუალურია საკითხი აღნიშნული კრიზისების პრევენციის, მისი მეთოდების და ეკონომიკური რყევების უარყოფითი შედეგების შემცირების თაობაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ეკონომიკურ განვითარებაში სახელმწიფოს სულ უფრო მზარდი როლის მეცნიერული შესწავლა, მ.შ. არასტაბილური განვითარების პირობებში მისი ეკონომიკური აქტივობის ზრდის და კრიზისების პრევენციის საკითხების კვლევა.

სტატიაში განხილულია სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები არასტაბილური განვითარების დროს, კრიზისების პრევენციის სამთავრობო მექანიზმები, სახელმწიფო მართვის სიტემის ფუნქციონირების ეკონომიკური ბერკეტები, საზოგადოების როლი განვითარების პროცესში და მისი მენტალური ტრანსფორმაციები ეკონომიკის ლიბერალიზაციის პირობებში. გაანალიზებულია ხელისუფლების ანტიკრიზისული პოლიტიკის გავლენა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაზე, სახელმწიფოს როლი ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის მიღწევაში.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო რეგულირება, ანტიკრიზისული მართვა, მთავრობის ქცევის რაციონალიზაცია, ხელისუფლების საზოგადოებრივი ფუნქცია, ეკონომიკის სტაბილიზაცია, კრიზისის მართვის უნიფიცირებული სცენარი.

ძირითადი ტექსტი

პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის მართვის თანამედროვე ტენდენციები მმართველობითი პრინციპების ფორმირების ხანგრძლივი ისტორიული პროცესებიდან, პოლიტიკური გარემოსა და ცალკეული ქვეყნის თავისებურებებიდან გამომდინარეობს, ეს განსხვავებულ პოლიტიკურ იდეოლოგიას და საზოგადოებრივ ფსიქოლოგიას აყალიბებს, შესაბამისი თეორიებით და სახელმწიფო მართვის ინდივიდუალური მიდგომებით. სახელმწიფო მართვის თანამედროვე კონცეფციები სოციალურ-ეკონომიკური სისტემის რეგულირებასთან ერთად, გავლენას ახდენს თვით სახელმწიფო მოხელის სამეურნეო ქცევაზე და შოკების მართვის პროცესებზე.

ქვეყნის მართვა სამთავრობო ორგანოების და თანამდებობის პირების მიერ ხელისუფლების პოლიტიკური კურსის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით განხორციელებული საქმიანობაა. „სახელმწიფო მართვა პოლიტიკურ შინაარსს ატარებს, თუკი იგი მოიცავს სოციალური ჯგუფების, კლასების, ერების, მასების ინტერესებს. პოლიტიკა მუდამ ასახავს გარკვეულ ინტერესებს, რასაც განსაზღვრავს საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობა და ითვლება ეფექტიანად, თუკი შეესაბამება განვითარების ინტერესებს“ [4.გვ.186]. მართვის პრინციპებს სამართლებრივი, პოლიტიკური და მენეჯერული მიდგომები განსაზღვრავს. პირველი მიდგომის მიხედვით, სახელმწიფო მოხელის იდეოლოგიური წარმმართველი და ქცევის ფაქტორი კანონის უზენაესობა, მოქალაქეთა უფლებების დაცვა, თანასწორული ურთიერთობებისა და არადისკრიმინაციული სისტემის ფორმირებაა. პოლიტიკური მიდგომა გულისხმობს, რომ უმაღლესი დონის მმართველი უნდა იყოს ხალხის ნების აღმსრულებელი და პოლიტიკურად პასუხისმგებელი მის წინაშე, ხელისუფლების

მენეჯერული არსი კი, ქვეყნის ეფექტურ მართვაში და მისი ძირითადი ღირებულებების რეალიზაციაში მდგომარეობს.

განვითარების პროცესს ობიექტურად ახასიათებს ეკონომიკური რყევები, მათი პროგნოზირება, რეგულირება და პრევენცია სახელმწიფოს პრეროგატივა და მისი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფუნქციაა. განვითარების თანამედროვე სპეციფიკა პოლიტიკურ არასტაბილურობასთან ერთად, ეკონომიკური კრიზისების სიმრავლეს ითვალისწინებს. სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება ეკონომიკური რყევების წარმოშობის კანონზომიერებები და კონფლიქტურ გარემოში სახელმწიფოს ჩარევის სტრატეგიები. თანამედროვე ინტეგრაციულმა პროცესებმა და ეკონომიკის ლიბერალიზაციამ მსოფლიო ბაზრების დაბალანსებული განვითარების პროცესი შეასუსტა, მათი დეფორმაციები გამოიწვია და განვითარების ტემპები შეანელა, რამაც გაამწვავა ამ პროცესების ოპტიმალური მართვის, ანტიკრიზისული პოლიტიკის შემუშავების და კონფლიქტურ გარემოში ხელისუფლების რაციონა-ლური ფუნქციონირების პრობლემები. ამასთან, გლობალიზაციის პროცესებმა კრიზისების ზოგადი სქემის და მათი სახელმწიფო რეგულირების უნიფიცირებული სისტემის შექმნას შეუწყო ხელი.

ხელისუფლების მრავალფუნქციურობა მის საზოგადოებრივ საქმიანობაში, სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფაში, სახელმწიფო წესრიგის და ადამიანების დაცვაში მდგომარეობს. პოლიტიკა სახელმწიფოს მართვის, სახელმწიფო საქმეების გაძღოლის ხელოვნება და ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის არსია. პოლიტიკა მუდამ ასახავს გარკვეული ჯგუფის ინტერესებს, საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობოდან გამომდინარე და ითვლება ეფექტიანად, თუკი შეესაბამება განვითარების ინტერესებს. ყველა სოციალურ ჯგუფს საკუთარი მიზნები გააჩნია, ხელისუფლებამ თავისი პოლიტიკით მათ შორის კონსენსუსს უნდა მიაღწიოს, მან ხელი უნდა შეუწყოს ყველა სოციალური ფენის მოთხოვნების დაცვას, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების დომინირების პირობებში. სახელმწიფომ უნდა დაიცვას საზოგადოება სტიქიური საბაზრო ძალების უარყოფითი გავლენისაგან, მან უნდა იზრუნოს წარმოების სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებაზე, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე.

ეფექტური სახელმწიფო მართვა ხელისუფლების პასუხისმგებელობას ითვალისწინებს სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე, ქვეყანაში კონფლიქტების წარმოშობასა და მათი სიმწვავის ხარისხზე, საზოგადოების მმართველობით ცნობიერებაზე, სახელმწიფო პროცესებში მათ ჩართულობასა და, ზოგადად, დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებაზე. „სახელმწიფო მოხელე მხოლოდ მაშინ არის ეფექტიანი მენეჯერი, თუ იგი შეწყობილია პოლიტიკური ხელისუფლების არსებული შეზღუდვების სისტემასთან და ამ შეზღუდვების გათვალისწინებით აქვს შემუშავებული მოქმედების სტრატეგია“ [1. გვ.124].

მთავრობის ქცევის რაციონალიზმს და სისტემის ოპტიმალური მოდელის ფუნქციონირებას მნიშვნელოვნად აფერხებს სამოქალაქო თანხმობის დეფიციტი, რასაც პოლიტიკური სუბიექტების ინტერესების რადიკალიზაცია იწვევს, ეს გამოიხატება ერთის მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების მატერიალურ კეთილდღეობაზე ორიენტირებაში და, მეორე მხრივ, საზოგადოების პოლიტიკური შეკვეთების შესრულებაზე ხელისუფლების ინტერესთა კონცენტრაციაში. ეკონომიკური და პოლიტიკური სტრატეგიების ასეთი დაპირისპირება ასუსტებს ხელისუფლების სისტემურ ერთობას და ამწვავებს სოციალური სუბიექტების საბაზრო პოზიციონირებაში არსებულ დისპროპორციებს.

საზოგადოება მთავრობას საკუთარი ინტერესების დაცვის და მისი მასშტაბების ზრდის გარანტად მიიჩნევს, რაც განსაზღვრავს ქვეყანაში სოციალური კეთილდღეობის ხარისხს. ადამიანებში მატერიალურთან ერთად, დიდია ფსიქოლოგიური კომფორტის მოთხოვნაც, რაც ცხოვრების დონის ამაღლების გარდა, ხელისუფლების მიერ პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას მოითხოვს, ეს საკითხები სამოქალაქო თანხმობის მიღწევის და პოლიტიკური არასტაბილურობის პრევენციის სამთავრობო სტრატეგიაში აისახება, ეს არის მიზნობრივი აუდიტორიისათვის ხელისუფლების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური შეთავაზება, რომლის რეალიზაციაც მის მიმართ საზოგადოების ლოიალურ დამოკიდებულებას იწვევს და ამით, გარკვეულწილად, ასუსტებს ქვეყანაში

დაძაბულობას.

ხელისუფლება სახელმწიფოს განვითარების უსაფრთხოების გარანტი უნდა იყოს, პოლიტიკურ სტაბილურობასთან ერთად, მან ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელება უნდა უზრუნველყოს, გლობალური ეკონომიკის თავისებურებების და შიდა რესურსული ფაქტორების გათვალისწინებით, საკუთარი პრიორიტეტების განსაზღვრით და შესაბამისი სტრატეგიის მიღებით. მთავრობის ფუნქცია მკვეთრი რყევებისაგან ეკონომიკის დაცვა და, ამ გზით, ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა, რაც მაკროეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნებას, სტრუქტურული და ინსტიტუციური გარემოს სრულყოფას, პრიორიტეტული დარგების უპირატესი განვითარების მხარდაჭერას, დემოკრატიული და თავისუფალი სამეწარმეო გარემოს შექმნას და სხვა ასპექტს აერთიანებს.

სახელმწიფოს ერთ-ერთი ცენტრალური ეკონომიკური ფუნქცია ანტიკრიზისული პოლიტიკის შემუშავებაა, რაც სოციალურ-ეკონომიკური სისტემის აქტივობის შესუსტებაზე ხელისუფლების რეაქციას ასახავს და ცხოვრების

დონის დაქვეითების პრევენციას ემსახურება. ანტიკრიზისულმა სტრატეგიამ საზოგადოებრივი კვლავწარმოების წონასწორობა და სისტემის ელემენტების ჰარმონიულობა უნდა უზრუნველყოს, იგი პოლიტიკური პროცესების სტაბილურობასაც უწყობს ხელს, რამდენადაც, რაც უფრო მდგრადია ეკონომიკა, როგორც სამეურნეო ერთეულების ინტეგრირებული ერთობის ფორმა, მით უფრო სტაბილურია საზოგადოებრივი სისტემის ზედნაშენიც, ეს პროცესი პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონალურ დაბალანსებაში, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვადობის ხარისხის ამაღლებაში, პოლიტიკური კონფლიქტებისა და მასების კრიტიკული აქტივობის შესუსტებაში ვლინდება.

ანტიკრიზისული სტრატეგიის განსაზღვრა კრიზისის პროგნოზირების და მისი დაძლევის მართვადი პროცესია, რომელიც სისტემის მიზნებს და მისი განვითარების ობიექტურ ტენდენციებს შეესაბამება. განვითარება ციკლური პროცესია და მისი ცვლილებები ლოგიკური კანონზომიერებების მიხედვით მიმდინარეობს. ეს შეიძლება იყოს წონასწორობის მოსალოდნელი რღვევის საფრთხე, მართვად და უმართავ ფაქტორებს შორის თანაფარდობის ცვლილება, ინტერესთა ცვლილებები და ა.შ. საზოგადოებრივი პროგრესის განმსაზღვრელი, სწორედ, ადამიანთა მოთხოვნების ზრდა და მისი დაკმაყოფილების სურვილია, თუმცა, ინტერესთა განსხვავება და მათი ცვლილების უთანაბრობა, ობიექტურად განაპირობებს მმართველობითი კრიზისების გაჩენის შესაძლებლობას, რაც სოციალურ-ეკონომიკური სისტემების დისფუნქციას იწვევს.

”სახელისუფლებო კრიზისი საზოგადოების პოლიტიკური სისტემის საგანგებო მდგომარეობაა, რომელიც მმართველობითი ინსტიტუტების საქმიანობის დაუბალანსებლობით, მიმდინარე პროცესების მართვადობის დონის შესუსტებით, პოლიტიკური კონფლიქტების გამწვავებით და მასების კრიტიკული აქტივობის გაძლიერებით გამოიხატება“ [3.გვ.33]. ამ დროს სოციალურ-ეკონომიკური კონფლიქტები მკვეთრად გამოხატულ პოლიტიკურ ხასიათს იძენს, რაც სახელისუფლებო სტრუქტურების, მათი პოლიტიკური სტრატეგიის და მართვის მეთოდების ცვლილების მოთხოვნას აჩენს, მცირდება ტრადიციული, სტანდარტული მეთოდებით კონფლიქტების სახელმწიფო მართვის შესაძლებლობა, ძლიერდება ხელისუფლების მართვის სისტემასა და სახელისუფლებო ინსტიტუტებს შორის სტრუქტურულ-ფუნქციონალური დისბალანსი.

პლურალისტურ საზოგადოებაში კრიზისები ძალთა და ინტერესთა ახლებურ თანაფარდობებს აყალიბებს, რითაც მასტაბილიზებელ ფუნქციას ასრულებს და საზოგადოებრივ პროგრესს ასტიმულირებს, რიგიდნული სისტემის პირობებში კი კონფლიქტები აფერხებენ განვითარების პროცესს და აღრმავებენ პოლიტიკურ კრიზისს, ამ დროს იწყება ხელისუფლების და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფუნქციური მოშლა, რთულდება წინააღმდეგობების გადაჭრა კომპრომისების გზით და აუცილებელი ხდება ახალ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოსთან მართვის სტრუქტურების, ფორმების და მეთოდების შესაბამისობის უზრუნველყოფა.

სისტემის არსებობის იმპერატიული მოცემულობაა კონფლიქტი, იგი ურთიერთობების

ობიექტური კომპონენტია, რომელიც სხვადასხა ფორმით მუდმივად არსებობს და რომლის სრული აღმოფხვრა საბოლოოდ, შეუძლებელია. ხელისუფლების როლი ურთიერთობათა განვითარების სტაბილურობის უზრუნველყოფასა და ინტერესთა დაპირისპირების პრევენციაში მდგომარეობს, იგი არსებული სტერეოტიპების რღვევას და მათ ნაცვლად, ახალი ინსტიტუციური სტრუქტურების, პოლიტიკური ქცევის ახალი წესებისა და ნორმების დამკვიდრებას უნდა უწყობდეს ხელს, ეს ხელისუფლების უალტერნატივო მისიაა და მის მარეგულირებელ ფუნქციას შეადგენს. ეფექტური ანტიკრიზისული მართვა კრიზისის ნიშნების გამოვლენას პრობლემის წარმოშობის საწყის ეტაპზე და შემდგომ მის ეფექტურ მართვას ითვალისწინებს, რასაც ხელს უწყობს ხელისუფლების საკანონმდებლო ფუნქცია და ადმინისტრაციული ბერკეტების ფლობა, ანუ ყოველივე ის, რაც ფუნდამენტალურ საფუძველს ქმნის სამართლებრივი სახელმწიფოს და ცივილიზებული მართლწესრიგის ფორმირებისათვის.

არასტაბილურ გარემოში ხშირად დამახასიათებელია ხელისუფლებისადმი მოსახლეობის გაუცხოება, რასაც სხვა ქვეყნების მიმართ ფინანსური, ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდე-ბულების ზრდა და, შესაბამისად, საკუთარი სახელმწიფო პოლიტიკისადმი უნდობლობის გაღრმავება იწვევს. ასეთ ვითარებაში, მმართველობითი სისტემისადმი კონფლიქტი, მისი წარმატებული მართვის შედეგად, შეიძლება პოზიტიური ცვლილებების და განვითარების ახალი ეტაპის წინაპირობაც კი გახდეს. გარკვეულ შემთხვევაში, განსაკუთრებით ხელისუფლების მაღალი ლეგიტიმაციის და ნდობის გარკვეული ვოტუმის არსებობის პირობებში, საზოგადოება სირთულეებს დროებით მოვლენად აღიქვამს და მას პოზიტიური ცვლილებების შესაძლო პერსპექტივად განიხილავს.

კრიზისების რაოდენობა და მასშტაბები განსაკუთრებით გაიზარდა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, რის ძირითად მიზეზად მკვლევარები ახალი ფინანსური ინსტრუმენტების და თანამედროვე საბანკო ტექნოლოგიების დანერგვას მიიჩნევენ {10., 2002}. ამ პროცესებში განსაკუთრებული როლი იქონია კაპიტალის მოძრაობის უკონტროლო ლიბერალიზაციამ, გარე შოკების მიმართ საბანკო სისტემის მოწყვლადობის ზრდამ.

განვითარების და მართვის განსხვავებული სისტემების მიუხედავად, ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ტრანსნაციონალურმა ხასიათმა, კრიზისების ზოგადი სქემის და მათი სახელმწიფო რეგულირების ტიპიური მოდელის შექმნა მოითხოვა, რამაც არსებითი ცვლილებები შეიტანა როგორც კლასიკურ მიდგომებში, ისე ინდივიდუალური მარეგულირებელი მექანიზმების გამოყენების სტანდარტებში. თანამედროვე ინტეგრაციულმა პროცესებმა ეკონომიკური კრიზისები გაამწვავა, რამაც მათი რაციონალური მართვის, ანტიკრიზისული პოლიტიკის შემუშავების და კონფლიქტურ გარემოში ხელისუფლების ოპტიმალური ფუნქციონირების საკითხების გააქტიურება გამოიწვია.

გლობალურმა სისტემებმა ქვეყნების მომავალი მნიშვნელოვნად გახადეს დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად პოზიციონირებენ ისინი მსოფლიო ეკონომიკაში, რა დოზით შეუძლიათ თანამედროვე ინტეგრაციულ პროცესებთან ადაპტირება, ეკონომიკის ციკლური განვითარების შედეგების სწორი პროგნოზირება და მაკროეკონომიკურ დისპროპორციებზე ეფექტიანი რეაგირება.

კრიზისიდან გამოსვლა ხელისუფლების მიერ რეფორმების ეფექტიან გატარებაზე და მოსალოდნელი შედეგების სწორ პროგნოზირებაზეა დამოკიდებული. კრიზისული სიტუაციების სახელმწიფო რეგულირება მისი მიზეზების გამოვლენას და სწორი პრიორიტეტების განსაზღვრას ითვალისწინებს, ამან ზრდის ოპტიმიზაციას და განვითარების ეფექტიანობას უნდა შეუწყოს ხელი. “კრიზისების რეგულირება ტრანსნაციონალური ხასიათის მმართველობითი საქმიანობის ფორმაა, რაზეც გავლენას მსოფლიო განვითარების ზოგადი ტენდენციები და კანონზომიერებები ახდენს.“ [5.გვ.480]. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქცია ამ პროცესებისათვის სამართლებრივი და მარეგულირებელი ბაზის საფუძველზე ოპტიმალური ბიზნეს-გარემოს შექმნაში მდგომარეობს. რეფორმები სახელმწიფო ინსტიტუციებს, სამეურნეო სტრუქტურებს და საზოგადოებას შორის ურთიერთობებს, ფუნქციათა დელეგირების ოპტიმიზაციის მექანიზმებს უნდა შეეხოს. კრიზისიდან გამოსვლის დინამიკა განისაზღვრება სახელმწიფოს უნარით, ხელი შეუწყოს ინსტიტუციურ ცვლილებებს, ახალი სტრუქტურების ფორმირებას, სწორი პრიორიტეტების განსაზღვრას,

მმართველობის დეცენტრალიზაციის, ანტიმონოპოლიური საქმიანობის და მართვის დემოკრატიული მეთოდების გამოყენებას.

რეფორმების სტრატეგია მის სოციალურ შედეგებს უნდა ითვალისწინებდეს. მან უნდა უზრუნველყოს სოციალური დაძაბულობის შესუსტება, ეკონომიკური უსაფრთხოების და პიროვნების სამართლებრივი დაცვა და, შედეგად, განვითარების პროცესის სტაბილიზაცია. სოციალური ფაქტორების გაძლიერება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის განვითარებას და კანონზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების დამკვიდრებას მოითხოვს, რაც, საბოლოო ჯამში, ეკონომიკური აღმავლობის და ცხოვრების დონის სტაბილიზაციის მასტიმულირებელ ფაქტორად იქცევა. ყოველივე ეს სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისადმი ახლებურ მიდგომებს და თანამედროვე, სოციუმზე ორიენტირებული სამართლებრივი გარემოს ფორმირებას მოითხოვს.

ეკონომიკის სოციალიზაცია, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების სტაბილიზაცია. ნორმატიული სტანდარტების სრულყოფასთან ერთად, საფინანსო სექტორის რეგულირებას, შემოსავლების განაწილების ოპტიმიზაციას, ფულის მიწოდების, შემოსავლების წყაროების, სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ვალის, სავაჭრო ბალანსის და სისტემის სხვა მნიშვნელოვანი ელემენტის რეგულირებას, სწორი პრიორიტეტების განსაზღვრას და ანტიკრიზისული სტრატეგიის ძირითადი პარამეტრების დადგენას ითვალისწინებს. მნიშვნელოვანი ცვლილებები მიიღწევა რესურსების ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე კონცენტრირებით, რეალური სექტორის კონკურენტუნარიანი სეგმენტის პრიორიტეტული ინვესტირებით და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე ორიენტირებით. სახელმწიფოს ეკონომიკური აქტიურობა მიმართული უნდა იყოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერაზე და ეკონომიკური აღმავლობისათვის ხელსაყრელი გარემოს ფორმირებაზე.

სახელმწიფო, ანტიკრიზისული სტრატეგიის განსაზღვრასთან ერთად, მისი მართვის მექანიზმების დადგენასა და მონიტორინგის განხორციელებაზეა პასუხისმგებელი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კერძო სექტორის და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა, ეკონომიკური თავისუფლების ზრდა, რეგიონული განვითარების სახელმწიფო პროგრამების შემუშავება, შრომისა და კაპიტალის ეფექტიანი განაწილების უზრუნველყოფა და სხვა. სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა საბაზრო ძალების რეგულირებას უნდა ითვალისწინებდეს, მან ხელი უნდა შეუწყოს შემოსავლების გადანაწილებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას, სიღარიბის დაძლევას, სოციალური დაზღვევის და შემოსავლების გამოთანაბრების საფუძველზე არსებული ცხოვრების დონის ამაღლებას, მინიმალური დონის ზღვარს ქვემოთ შემოსავლების მქონე მოსახლეობის წილის მნიშვნელოვან შემცირებას. თუკი სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს შემოსავლების გამოთანაბრებას, იქმნება უარყოფითი ტენდენციები ადამიანური კაპიტალის ფორმირებაში. ცხოვრების დონის არსებითი დაცემა სოციალურ-ფსიქოლოგიურ დისკომფორტს უქმნის მოსახლეობას და კრიტიკულად განაწყობს მას ხელისუფლების სტრატეგიის მიმართ.

სახელმწიფოს სოციალურმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება და სოციალური დისკრიმინაციის შემცირება, საზოგადოების პოლარიზაციის და სოციალური მარგინალიზაციის აღმოფხვრა, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის სოლიდარობის პრინციპების და სოციალური პარტნიორობის მექანიზმების განმტკიცება, სოციალური ინსტიტუტების გაძლიერება და საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტების დამკვიდრება.

„სახელმწიფომ უნდა დაიცვას საზოგადოება სტიქიური საბაზრო ძალების უარყოფითი გავლენისაგან, მან უნდა იზრუნოს წარმოების სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებაზე, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, ადგილიბრივი წარმოების კონკურენტუ-ნარიანობის ზრდაზე“ [3. გვ.70]. ანტიკრიზისულ სამთავრობო პოლიტიკის შედეგები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საზოგადოების პოლიტიკური აქტივობის ზრდასა და ქვეყნის მართვაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობაზე, რაც, ასევე, ხელისუფლების პასუხისმგებლობის სფეროა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაღათურია გ.,ბაღათურია ო. სტრატეგიული დაგეგმვა სახელმწიფო მართვისა და ბიზნესის ამოცანებში. თბილისი, 2009;
2. ტაბატაძე მ. საარჩევნო სტრატეგია -- სოციუმის პოლიტიკური შეთავაზება ჟურ."ხელისუფლება და საზოგადოება" N1(17), 2011;
3. ტაბატაძე მ., ცანავა ნ. სახელმწიფო ანტიკრიზისული მართვა, თბილისი, 2009;
4. Пикулькин А.В. Система государственного уцравления. ЮНИТИ. М.2004.
5. ტაბატაძე მ. - სახელმწიფოს პოლიტიკური სტრატეგია ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში, თსუ, საერთ.სამეცნ.კონფერენცია, თბილისი, 2016 https//www.tsu.ge/data/file_db/economist_facilty/globaliz.pdf,
6. Tabatadze M. - Priorities of Spatial Economy and Fiscal Mechanizm of Decentralisation, (სივრცითი ეკონომიკის პრიორიტეტები და დეცენტრალზაციის ფისკალური მექანიზმები), Journal of Lnternational Economic Researh (JIER), ტომი 6(1), ლატვია, რიგა, 2020
7. აჰიმ შტაინერი . UNDP, MEDIA GHECKER], 2020
8. Georgieva, Pazarbasioglu, nd Weeks-Brown, 2020).
9. Krugman Poul, Working Out:Money Isn,t Everithing. Ney York,Times, Rec3, 2021
10. Левина РЯ, История экономических учений, М., Инфра-М. 2002
11. CIEC გლობალური ეკონომიკის მონაცენები, (2021). „სამეწარმეო პროდუქციის ინდექსის ზრდა ქვეყნების მიხედვით". https://www.ceicdata.com/en/indicator /industrial-production-index-growth
12. CIEC გლობალური ეკონომიკის მონაცენები, (2021). „ინვესტიციის წილი მთლიან შიდა პროდუქტში".
13. https://www.ceicdata.com/en/indicator/investment--nominal-gdp
14. WORLD ECONOMIC OUTLOOK UPDATE, IMF, January, 2021

The government's anti-crisis strategy and for the country's development perspectives

Tabatadze Marina, Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Assist. professor
Tandilashvili Anna, PhD, Ilia State University, GTU,
invited professor

Abstract

One of the challenges of globalization is the increase of destabilization and crises in the modern world economy. Financial globalization has an active influence on the world economy and financial relations of individual countries, causes fluctuations in this system and, as a result, causes instability in socio-economic development. Accordingly, the issue of prevention of the aforementioned crises, its methods and reduction of the negative consequences of economic fluctuations is relevant. The scientific study of the ever-increasing role of the state in economic development requires special attention, including Research on the issue of growth of its economic activity and prevention of crises in the conditions of unstable development.

In this article we've discussed the economical functions of the state during the unstable development, governmental strategies of crisis prevention, economical mechanism of coountry's control system, role of society in the process of development and its' mental transformations during the economical liberalisation. There's also discussed the influence of state's antirecessionary policy on the process of social-economic functioning, role of the country in the process of forecastiong and achieving the stable economical and political environment.

Keywords: State regulation, anti-crisis management, political and economic system, rationalization of government behavior, effective state management, public function of government.economic stabilisation, unified scenario of crisis management,

საქართველოს რკინიგზაზე საკონტრეილერო ტექნოლოგიების შედარებითი ანალიზი

ტყეშელაშვილი გოდერძი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

არჯევანიძე თამარი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია რკინიგზის სატვირთო გადაზიდვების დაგეგმვისა და ახალი, საკონტრეილერო ოპერაციების ზოგიერთი ძირითადი საკითხების იდენტიფიცირება. საკონტრეილერო ოპერაციების განხორციელებისათვის დაგეგმილი მეთოდოლოგიის საფუძვლად გამოყენებულია სანდო ინფორმაციული მონაცემები, ხელმისაწვდომი პრაქტიკული გამოცდილება, საინვესტიციო და საოპერაციო მაჩვენებლების დეტალური ანალიზი, რომელიც დაკავშირებულია მიწოდების ჯაჭვის ქსელის, ინფრასტრუქტურის, იგივე ტექნიკური აღჭურვილობის სისტემის გამართულობასთან, რომელიც ძალზედ აქტუალური საკითხი გახდა საქართველოს სატრანსპორტო სისტემისათვის საერთაშორისო დერეფნების არეალში. სტატიაში წარმოდგენილია აქტუალურ შუა დერეფანზე კომბინირებული გადაზიდვებისათვის სატრანსპორტო ტერმინალების ოპერაციების სისტემის მიმოხილვა და ანალიზი. კვლევაში გაერთიანებულია სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები და შესაძლებლობები, რომელიც იძლევა საშუალებას განვსაზღვროთ საქართველოს რკინიგზის სატრანსპორტო სისტემისათვის ახალი, მისაღები საოპერაციო საშუალება უკეთესი მომსახურების სერვისისა და საოპერაციო მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად.

მთავარი მიზანი გახლავთ იმის ანალიზი, რა პირობებში შეიძლება საკონტრეილერო კომბინირებული გადაზიდვის განხორციელება საქართველოს რკინიგზაზე ეფექტიანად. კვლევის საფუძველზე შეფასდა სარკინიგზო სატვირთო ტრანსპორტის სისტემა, მაგალითად რეგიონში განვითარებული პორტები, საწყობები, ინტერმოდალური ტერმინალები და ობიექტები, რომლებზეც პრაქტიკულად შეიძლება დაინერგოს საკონტრეილერო გადაზიდვები.

საკვანძო სიტყვები: საკონტრეილერო ოპერაციები, თანამედროვე სატერმინალო ტექნოლოგიები, კომბინირებული გადაზიდვები, რკინიგზა, ტერმინალები.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე პირობებში სულ უფრო მატულობს შერეული ტექნოლოგიით, ანუ მულტიმოდალური ტექნოლოგიით განხორციელებული გადაზიდვები, რომლის მოდელს წარმოადგენს პროექტი ,,კარიდან კარამდე''. ამ დროს, როგორც წესი გადამზიდავები ექვემდებარებიან დაგეგმილი მარშუტიდან გამომდინარე სხვადასხვა სამართლებრივ ნორმებს საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო და საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, რაც ქმნის გარკვეულ პრობლემებს როგორ პროცედურული, ასევე პასუხისმგებლობის გადანაწილების თვალსაზრისით.

თანამედროვე საერთაშორისო მულტიმოდალური ტრანსპორტი დღეისათვის არის ფართო-მასშტაბიანი სატრანსპორტო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საქონლის საერთაშორისო სწრაფ გაცვლას და ემსახურება სხვადასხვა ფორმის საკუთრების სატრანსპორტო ფირმებს. ეს სისტემა კიდევ უფრო აახლოებს მწარმოებლებსა და მომხმარებლებს ერთმანეთთან დროის თვალსაზრისით მაღალი ხარისხის მომსახურებით. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურებაზე მოთხოვნა ისევე როგორც საქონლის დროული მიწოდება ყოველთვის ეგუება მსოფლიო ვაჭრობაში მიმდინარე ცვლილებებს. შესაბამისად საერთაშორისო მულტიმოდალური სატრანსპორტო მომსახურებაზე მოთხოვნა განაპირობა შესაბამისმა ფაქტორებმა; ესენია:

- ცვლილებები წარმოების პროცესში,
- ცვლილებები საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტრუქტურაში
- საერთაშორისო ვაჭრობის ბუნებაში.

საქართველოს შემთხვევაში ასეთი სახეობის ტრანსპორტირების სისტემა დამოკიდებულია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, შესაბამისი ტექნიკური სატრანსპორტო საშუალებების, დატვირთვა-გადმოტვირთვის და სხვა საჭირო აღჭურვილობის ხელმისაწვდომობაზე და მათი ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობებზე. შესაბამისად იგი როგორც ყველა სიახლე უნდა იყოს ორგანიზებული და ლოგისტიკურად სწორად გამართული. საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანია საკონტრეილერო, როგორც მწვანე სატრანსპორტო სახეობის ტრანსპორტირების განვითარება, ვინაიდან აღნიშნული მოდელი საშუალებას მისცემს სატრანსპორტო ბაზარს უფრო სრულად მოერგოს საქონლისა და მომსახურების მიწოდების მსოფლიო ახალ სისტემას. ზოგადად ისევე როგორც ნებისმიერი საქმიანობის სფერო, სატრანსპორტო საქმიანობაც რომელიც დაკავშირებულია სიახლესთან და მის დანერგვასთან აუცილებლად მოითხოვს ორგანიზაციული მექანიზმების გაუმჯობესებასა და კაპიტალის ინვესტირებას, ამისათვის აუცილებელია ყოველმხრივი ეკონომიკური შეფასება, სპეციალური მიდგომების შემუშავება, განსაკუთრებით, თუკი საბაზრო პირობები მეტად კონკურენტუნარიანია და იმავე ტრანსპორტირების პროცესში ურთიერთქმედებს სისტემაზე.

სატვირთო გადაზიდვების ბაზრის განვითარების პირობებში სხვადასხვა ტიპის რკინიგზის სადგურებზე ახალი საკონტრეილერო ტერმინალის მუშაობის ეფექტიანი განვითარებისთვის მხედველობაში მიიღება ფინანსურ-ტექნიკური რესურსები, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას გავაკეთოთ წინასწარი ტექნიკურ ეკონომიკური დასაბუთებული გადაწყვეტილება. საკონტრეილერო ტერმინალი ეს არის ტექნოლოგიური კომპლექსი, რომელიც შესაძლოა განთავსებული იყოს საერთო და კერძო საკუთრების ტერიტორიაზე. ის უნდა შეიცავდეს რკინიგზის ლიანდაგებს, ტრანსპორტის სადგომებსა და ადმინისტრაციულ ინფრასტრუქტურას, რომელიც ემსახურება საკონტრეილერო გადამზიდავებს, როგორც ავტომობილის მფლობელებს ჩასატვირთი ოპერაციების შესასრულებლად, ასევე დასაწყობების ან შენახვის მიზნით.

სატვირთო გადაზიდვების ახალი სისტემის დაგეგმვა ოპერირებისათვის აუცილებელია ძირითადი საკითხების კვლევა და ისეთი ოპერაციული მოდელების იდენტიფიცირება. საორგანი-ზაციო გადაწყვეტილებისათვის კომპიუტერული ვარიაციების საშუალებით წარმოდგენილია გადაწყვეტილება 3 კლასიკური დონის მიხედვით: სტრატეგიული, პრაქტიკური და ოპერაციული.

არსებობს საკონტრეილერო ტრანსპორტირების ტექნოლოგიების კლასიფიკაცია და მათი ასარჩევი ვარიანტების განვითარების დასაბუთებული ვარიაციები. ამისათვის კვლევაში განხილულია საკონტრეილერო ტერმინალების ჰორიზონტალური გადამუშავების ტექნოლოგიის 4 თანამედროვე ვარიანტი: Modalohr, Megaswing, CargoBeamer და Cargospeed. თითოეული დანერგილი ტექნოლოგია წარმოადგენს უნიკალურ კომპლექტს მისი შესაძლებლობებითა და უარყოფითი მხარეებით. მათი სარგებელი შესაფასებლად განსაზღვრულია გარკვეული კრიტერიუმები, რომლების შეესაბამება არსებულ სატერმინალო სიტუაციას: მაგალითად სისტემების მოქნილობა, დამუშავების დრო, დაგეგმილი მოდულის ფართობი. ეკონომიკური კრიტერიუმები, ხარჯებისა და საინვესტიციო ღირებულებები, რომლებიც გრაფიკების სახით არის მოცემული.

მოდული Modalohr-ის დადებითი მხარეებია: იტვირთება ყველა სახის 4 მეტრიანი ნახევრადმისაბმელი ტრაილერი, აქვს სწრაფი გადასატვირთვი გამოცდილი სისტემა, შეუძლია იმუშაოს პარალელურ რეჟიმში რომლის საოპერაციო დროც 60-90 წთ-ია. სჭირდება მცირე რაოდენობის მომსახურე პერსონალი, რადგან სისტემა ავტომატიზირებულია.

უარყოფითი მხარეებია: დაბალი მოქნილობა აქვს. გამოიყენება როგორც ბლოკმატარებლების სისტემის მომსახურების მოდულის სახით, საჭიროა სატერმინალო ინვესტიციები ჩაშენებული მოწყობილობისთვის და საჭიროა მაღალი საინვესტიციო ხარჯი.

მოდული Megaswing-ის დადებითი მხარეებია: მოდულს შეუძლია ყველა მისაბმელიანი სატრანსპორტო მანქანის გადატანა, არ მოითხოვს სატერმინალო ინფრასტრუქტურას (გარდა სარკინიგზო ლიანდაგებისა და სამანქანო მისასვლელი სივრცისა) დატვირთვა შეუძლია განახორციელოს საავტომობილო მძღოლმაც, აქვს მოქნილი განლაგება, სისტემა გამოიყენება ნებისმიერ

სხვა მსგავსი სახის ტვირთების გადასატვირთად, ტვირთის გადამუშავების დრო აქვს 60-90 წთ.

უარყოფითი მხარეებია: ვაგონს გააჩნია მოქმედებისათვის მაღალი ტექნოლოგიური მაჩვენებელი, ამიტომ აქვს მაღალი პოტენციული საექსპლუატაციო ხარჯები. ვარგისია მხოლოდ მისაბმელიანი ტექნიკისათვის, მათ შორის ტრაქტორების გადასაზიდად და არა კონტეინერებისათვის.

მოდულ CargoBeamer-ის დადებითი მხარეებია: სისტემა ავტომატიზირებულია ტრაილერების გადასატვირტი სპეციალური სვიპ ტექნიკით, ძალიან მაღალი და ზუსტი საოპერაციო პროცედურა აქვს, ასევე სხვადასხვა სატრანსპორტო სისტემის თანამშრომლობისას აქვს მარტივი და სწრაფი გადატვირთვისათვის სისტემა. აბსოლუტურად ავტომატიზირებულია და აქვს მომსახურე პერსონალის მოთხოვნის დაბალი მაჩვენებელი. ლოდინის და გადამუშავების დრო მინიმალურია 9 წთ.

უარყოფითი მხარეებია: მაღალი საინვესტიციო ხარჯები, სისტემა შექმნილია ბლოკმატარებლების, ანუ განსაზღვრული გრაფიკის სერვისისთვის, მისი მოქმედება დამოკიდებულია მაღალი დონის ინფრასტრუქტურაზე.

მოდული Cargospeed-ის დადებითი მხარეებია: სისტემა საშუალებას იძლევა ჰორიზონტალური დატვირთვის მეთოდით ადვილად გადაიტვირთოს მისაბმელიანი ტრაილერები, სისტემა არის ავტომატიზირებული, შეუძლია პარალელური დატვირთვის განხორციელება.

უარყოფითი მხარეებია: სპეციალურად განკუთვნილი სატვირთო ვაგონები, რომლებიც ასევე საჭიროებენ მაღალ ინვესტიციას, ტერმინალზე საჭიროებს ენერგომომარაგებას ვაგონების გადასატვირთი სისტემის ასამუშავებლად, ასევე მაღალ ტექნოლოგიურ გამართვას რაც ცალსახად მოითხოვს შესაბამის საექსპლუატაციო ხარჯებს.



გრაფ. 1. საკონტრეილერო გადაზიდვის სამანიპულაციო ფართობი მოდულის მიხედვით

კვლევაში განხილულია საკონტრეილერო გადაზიდვების პირველი A კლასის დონის ჰორიზონტალური გადატვირთვის ტერმინალების თანამედროვე ტექნოლოგიის ოთხი სახე, რომელიც მოდულის სახით მოითხოვს გარკვეულ როგორც ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ შეფასებას. ტექნოლოგიური თვალსაზრით აღებულ იქნა შესაბამისი სადგურები ფოთის, ბათუმის, თბილისი საკვანძო, რუსთავისა და პერპსექტივაში ანაკლიის სახით, სადაც რეალურად შესაძლებელია განთავსდეს საკონტრეილერო ტერმინალები.

ტექნიკური თვალსაზრისით გაკეთდა მოდელების ანალიზი მათი თვისებებისა და საკონ-ტრეილერო გადაზიდვის სამანიპულაციო მოდულის ფართობის მიხედვით. მოცემული გაანგარიშება გრაფიკის 1-ის თანახმად დაგენილია საკონტრეილერო ტერმინალების აღჭურვილობისათვის საჭირო ფართობი ადგილობრივი მონაცემების გათვალისწინებით, რაც ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმს

წარმოადგენს ინვესტიციის ღირებულებისათვის. გრაფიკის თანახმად, მოდულის ფართობად განისაზღვრა სადგურების მიხედვით: ყველაზე ნაკლები მაჩვენებელი აქვს მეგასვინგს როგორც სარეაბილიტაციო ტერმინალებისათვის, ყველაზე დიდი მაჩვენებელი აქვს მოდალოჰრს. ხოლო ახალი ტერმინალებისათვის ანაკლიის სახით კი მოდულ კარგოსპიდს.



გრაფ. 2. საკონტრეილერო გადაზიდვის საინვესტიციო ხარჯები

საკონტრეილერო გადაზიდვის საინვესტიციო ხარჯების თვალსაზრისით ყველაზე დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება მეგასვინის და ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გააჩნია კარბობიმერს.

დასკვნა

თანამედროვე პირობებში, როდესაც ტრანსპორტირებამ უნდა განიცადოს მნიშვნელოვანი ცვლილებები მწვანე ტექნოლოგიებზე გადასვლით, რითაც შემცირდება სათბური აირების 90%, მოითხოვს მდგრად და ჭკვიანურ მობილობას, რომელიც ითხოვს ფაქტებსა და კვლევებზე დამყარებულ დასკვნებს, რომელიც შესაძლოა იყოს დაკავშირებული მაღალ ინვესტიციებთან მისი სოციალური მნიშვნელობის საპირწონედ. საერთაშორისო სტანდარტებისა და ადგილობრივი მონაცე-მებით სადგურების პარამეტრების გათვალისწინებით გაანგარიშდა საკონტრეილერო გადაზიდვების სამანიპულაციო მოდულების ფართობები და მათი საინვესტიციო ღირებულება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Annual report 2020-21 European Road-Rail Combined Transport, International Union for RoadRail Combined Transport (UIRR), Brussels, Belgium [online] [10.03.2022] Available at: https://www.uirr.com/en/media-centre/annual-reports/annual-reports/mediacentre/1892-uirrannual-report-2020-21.h
2. Czermański E. E-book on Combined Transport in the Baltic Sea Region. University of Gdansk, Department of Maritime Transport and Seaborne Trade Press, ISBN 978-83-7939-023-6, 2021. 168 p
3. Cargospeed - Final report, EC, 2004, [online] [10.03.2022] Available at: https://trimis.ec.europa.eu/project/cargo-rail-road-interchange-speed
4. Mertel R., Petri K., Sondermann K.-U. Study on unaccompanied combined transport of semitrailers through Switzerland. Final report. 2012. [online] [10.03.2022] Available at: www.kombiconsult.com/kombiconsult/media/223-466UIRR_Study_Semitrailers-CHfinal_EN.pd

Comparative analysis of contrailer stacking technologies on the Georgian railways

Tkeshelashvili Goderzi
Professor of Geogian Technical University

Arjevanidze Tamari
PhD student of Georgian Technical University

Summery

The purpose of article is to identify some of the key issues in rail freight planning and new, Contrailer operations. Reliable informational data, available practical experience, detailed analysis of investment and operational indicators are used as the basis of the planned methodology for the implementation of control operations, which is related to the functioning of the supply chain network, infrastructure, the same technical equipment issue for the transport system of Georgia in the area of international corridors.

The paper presents an overview and analysis of the current middle corridor transport terminal operation system for combined shipments. The study combines the advantages and disadvantages of the system and the possibilities, which allows to define a new, acceptable operating method for better service and improvement of operational indicators.

The main goal is to analyze the conditions under which combined haulage can be effectively carried out in the Georgian railway. Based on the research, the rail freight transport system was evaluated, for example, the developed forts, warehouses and intermodal terminals and facilities in the region, which could be practically implemented in the Georgian transport system.

Keywords: Contrailer operations, Modern terminal technologies, Combined shipments, Railway, Terminals.

კოვიდ 19-ით გამოწვეული კრიზისის შედარებითი ანალიზი ეკონომიკის ცალკეულ სფეროში საქართველოში

ფაილოძე ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

მურვანიძე იაშა
შავი ზღვის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ჯაფარიძე ირინე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

პანდემიის გამო მსოფლიო დიდი გამოწვევის წინაში დადგა. ეკონომიკური კრიზისი ბევრ სექტორს დაეტყო, განსაკუთრებით კი ტურიზმის სექტორს და პირდაპირ ინვესტიციებს. კოვიდ 19-ით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი საქართველოში განპირობებული იყო რიგი სუბიექტური და ობიექტური პირობებით. ობიექტურ ფაქტორებს განაპირობებს ისეთი გარემოებები, როგორიცაა მსოფლიოში ინვესტიციების შემცირება, საერთაშორისო მოგზაურობის შეზღუდვები, საერთაშორისო ვაჭრობის შეფერხება, ფულადი გზავნილების შემცირება, განსაკუთრებით პანდემიის პირველ ფაზაში და ა. შ. კრიზისი განმაპირობებელი ფაქტორების კიდევ ერთი ნაკრები სუბიექტურია და დაკავშირებულია მთავრობის გადაწყვეტილებებთან, შეზღუდვების შესახებ გადაწყვეტილების ჩათვლით, რომელიც ძალაში ორჯერ შევიდა 2020 წელს - გაზაფხულზე და შემოდგომაზე. ეს ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები ერთად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ რეალობას. პანდემიის დროს ბევრი ქვეყანა დადგა მოსახლეობის მსყიდველობით უნარის დაკარგვის საშიშროების წინაშე. ამან შესაბამისად იმოქმედა საქართველოს საექსპორტო პროდუქციაზე, რომელიც ისედაც დიდი რაოდენობით არ გამოირჩევა. ისეთ ეკონომიკაში, როგორიც საქართველოა, მთავრობის გადაწყვეტილებები განსაზღვრავს რეგიონულ ეკონომიკური განვითარების მიმართულებებს. კორონავირუსის კრიზისამდე საქართველოს ეკონომიკაში სამი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა, როგორიცაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა და ტურისტული სექტორის განვითარება. კრიზისის შემდეგ საგრძნობლად დაზარალდა საქართველოს ეკონომიკა და განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა ტურიზმის სექტორში.

საკვანძო სიტყვები: კოვიდ 19, კრიზისი; ტურიზმი, მთლიანი შიდა პროდუქტი, ინვესტიციები.

ძირითადი ტექსტი

2020 წელს საქართველოს მთავრობამ ტურიზმის სექტორისთვის ანტიკრიზისული დახმარება განხორციელდა, ჯამური ბიუჯეტით 200 მლნ ლარი, რომელიც ითვალისწინებდა ტურიზმის ინდუსტრიისთვის ქონების გადასახადის გაუქმებას, ტურისტული ინდუსტრიის საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებას და გადავადებულ სფეროს. გადახდა, სასტუმროს სესხების სუბსიდირება, ხელფასების სუბსიდირება, ფულადი შეღავათები უმუშევართათვის, სასაჩუქრე ვაუჩერები და ტურისტული კომპანიებისა და გიდების მხარდაჭერა.

Covid-19-ის პანდემიამ შეცვალა მთელი მსოფლიო და მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საერთაშორისო ტურისტულ ინდუსტრიაზე. საერთაშორისო ტურისტული შემოსავლების შემცირების გამო, საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ზიანი გარკვეულია. შემოსავალი ტურიზმის სექტორიდან 2019 წელს წინა წელთან შედარებით 1,4%-ით მეტი იყო, 2020 წელს კი მხოლოდ 499,1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 80,7%-ით არის შემცირებული. ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, საქართველოში ტურისტების რაოდენობა 4%-ით გაიზარდა, ხოლო საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა 0,7%-ით შემცირდა.

დიაგრამა 1: საერთაშორისო ტურიზმის შემოსავლები (მილიონი აშშ დოლარი)



ცხრილი N1. შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან (ათასი აშშ დოლარი)

წელი	**2017**	**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**2022***
სულ	**2,704,340**	**3,222,074**	**3,268,654**	**541,687**	**1,244,942**	**3,516,634**
მათ შორის:	↓	↓	↓	↓	↓	↓
I.კვ.	425,673	550,730	578,442	427,699	53,551	393,708
II.კვ.	629,854	809,969	877,626	28,842	246,123	748,822
III.კვ.	1,078,274	1,210,561	1,126,771	42,534	565,981	1,374,653
IV.კვ.	570,538	650,814	685,814	42,611	379,287	999,451

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია https://gnta.ge/

ტურიზმის სექტორის გლობალურმა კრიზისმა გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე, რადგან საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა დაახლოებით 80%-ით შემცირდა. კორონავირუსის ეპიდემიამ გავლენა მოახდინა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ფულად გზავნილებზეც და ეკონომიკური შოკების შედეგად მიაღწია შრომის ბაზრებსაც მთელს მსოფლიოში.

დიაგრამა 2: საერთაშორისო ვიზიტორები (ათასში)



წყარო: წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ევროკავშირიდან მოდის, რომელიც მთლიანი ინვესტიციების 47,2%-ს შეადგენს. 15 ყველაზე მნიშვნელოვან ინვესტორს შორის არიან აშშ, ჩინეთი და იაპონია. ამდენად, არსებულ ქვეყნებში ვირუსის გავრცელების

ეკონომიკური ეფექტი შეიძლება პირდაპირ გავრცელდეს საქართველოში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლების ტენდენცია უკვე მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის საქართველოს ეკონომიკას. ტრადიციულად, რეგიონების წილი მთლიან შიდა პროდუქტში არათანაბარია. 2019 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში პანდემიამდე 49 252.7 მლნ ლარი იყო. მშპ-ში რეგიონების მიხედვით ყველაზე დიდი წილი თბილისს უჭირავს (51,2%), შემდეგ მოდის აჭარის ა.რ. (10,1%), იმერეთი (8,5%). კახეთს (5.1%) და შიდა ქართლს (3.9%) აქვს საშუალოზე დაბალი წილი საქართველოს მშპ-ში.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მშპ-ში ყველაზე დიდი წილი უკავია მშენებლობას (19.9%), რასაც მოსდევს უძრავი ქონების საქმიანობა (13.9%) და საცხოვრებელი და კვების აქტივობები (ტურიზმთან დაკავშირებული საქმიანობა) (10.3%).

იმერეთის რეგიონში მშპ-ის წილი სხვადასხვა ტიპის საქმიანობას უჭირავს. ყველაზე დიდი წილი სამთო-სამრეწველო მრეწველობას (13.2%), სოფლის მეურნეობას, სატყეო მეურნეობასა და მეთევზეობასა და უძრავ ქონებას (12%) უკავია.

შიდა ქართლში სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობისა და მეთევზეობის სექტორს (19%) უკავია მშპ-ის ყველაზე დიდი წილი, რასაც მოსდევს სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვის სფერო; სავალდებულო სოციალური უზრუნველყოფა (16.6%) და წარმოება (12.4%). კახეთის რეგიონში მეღვინეობის ხარჯზე სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და მეთევზეობა უდიდეს წილს უკავია და რეგიონის მშპ-ის 36.9%-ს შეადგენს, რასაც მოსდევს დამამუშავებელი მრეწველობა (9.8%) და უძრავი ქონების საქმიანობა (8.2%).

ცხადია, რეგიონული ეკონომიკის დარგობრივი განვითარება გამოწვეულია კორონავირუსის პანდემიის ნეგატიური გავლენით. ყველაზე მეტად დაზარალდა აჭარის ტურიზმზე დამოკიდებული ეკონომიკა (რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტის 10%). თუმცა ტურიზმის სექტორი და ტურიზმთან დაკავშირებული საქმიანობა ერთ-ერთი მთავარი დამსაქმებელია სხვა რეგიონებშიც. იგივე ეხება ვაჭრობისა და სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიას, განსაკუთრებით რესტორნებს, რომლებიც ასევე ძლიერ დაზიანებულია ჩაკეტვის შედეგად.

მეორე კვარტალში მშპ-ის კლებამ წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 12.3%-ს მიაღწია, რასაც მოჰყვა მკვეთრი ვარდნა მესამე კვარტალში, 5.6-მდე. % ვინაიდან ჩაკეტვის პერიოდი დაემთხვა 2020 წლის მეორე კვარტალს, ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთი სექტორი მკვეთრად დაეცა. კერძოდ, ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობა (-54,7%); განსახლებისა და კვების აქტივობები (-40%); პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა (-28,8%); მშენებლობა (-24,5%); ხელოვნება, გართობა და დასვენება (-24,1%); ტრანსპორტირება და შენახვა (-22,6%); ფინანსური და სადაზღვევო საქმიანობა (-15,5%); საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილებისა და მოტოციკლების შეკეთება (-13,2%) და წარმოება (-12,1%).

მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, ეკონომიკური აქტივობა მოსალოდნელზე ძლიერი იყო, მშპ-ს რეალური ზრდა 2022 წლის პირველ ნახევარში შეფასდა 10.5 პროცენტით, მას შემდეგ, რაც 2021 წელს უმუშევრობა 20.6 პროცენტამდე გაიზარდა. შრომის ბაზრებმა გამოჯანმრთელება დაიწყო, უმუშევრობა 18.1 პროცენტამდე შემცირდა 2022 წელის მეორე კვარტალში. სახელმწიფო ვალის შეფარდება მშპ-სთან, 2022 წლიდან იწყებს შემცირებას.

ივნისში პიკის მიღწევის შემდეგ, ინფლაცია ოდნავ შემცირდა და აგვისტოში 10,9 პროცენტს მიაღწია. სურსათისა და ენერგიის მაღალი ფასები (ისევე, როგორც კომუნალური ტარიფები) წლეულს ინფლაციის დიდ ნაწილს შეადგენს. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უცვლელად შეინარჩუნა მარტიდან მოყოლებული, 11 პროცენტზე, მას შემდეგ, რაც 2021 წლის მარტიდან ეტაპობრივად გაიზარდა განაკვეთი სულ 300 ბ/წ-ით. საბანკო სექტორის მაჩვენებლები ჯანსაღია. საგარეო ანგარიშები გაძლიერდა ტურიზმის შემოსვლების აღდგენით და ფულადი გზავნილების წმინდა მოცულობის ზრდის შედეგად (69%). ეს მოიცავს როგორც ფულად გზავნილებს, ასევე გადარიცხვებს საქართველოს მოქალაქეობის არ მქონე პირებისგან.

დასკვნა

საქართველოსთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკური კრიზისის მართვის პოზიტიური და უარყოფითი საერთაშორისო გამოცდილების გააზრება და განხორციელება. მთავარი მიზანია კორონავირუსის პანდემიის დაძლევის შემედეგ დამუხრუჭებული ეკონომოკიური აქტივობის აღდგენა. ყველაზე დიდი დარტყმა როგორც ავღნიშნეთ ტურიზმის სექტორმა მიიღო და ცალკეულ რეგიონებში ეს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის ვარდნით გამოისახა. ამიტომ გადამწყვეტია სპეციალური პროგრამების შემუშავება და პოსტკრიზისულ პერიოდში ეკონომიკური აღდგენის სტიმულირება, რაც გააძლიერებს ქვეყნის ეკონომიკურ პროფილს.

იმ უამრავ პრობლემას შორის, რომელიც გამოწვეული იყო კოროვირუსული კრიზისით, საქართველოში სახელმწიფო ვალის მნიშვნელოვანი ზრდა შეგვხვდა. გაზრდილი საგარეო ვალი, ალბათ, მომავალ წლებში დიდ ფისკალურ ზეწოლას დააყენებს განვითარებად ქვეყნებს და საჭიროა ამ ვალების რესტრუქტურიზაციის ახალი გლობალური სისტემის შექმნა. კრიზისის პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ეკონომიკის მდგრადობის მაქსიმალურ დონეზე შენარჩუნებაა, რისთვისაც სახსრების მობილიზების გარეშე ქვეყნების უმრავლესობა გაცილებით ღრმა ეკონომიკური კრიზისის წინაშე აღმოჩნდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_Poll%20Press%20Release_February%202021_GEO_Final.pdf;
2. https://www.bdo.ge/ka-ge/industriebi/coronavirusi-(covid-19)-ka;
3. https://eprc.ge/wp-content/uploads/2022/02/covid__fin-geo.pdf;
4. https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/136-expert-opinion-geo.pdf;
5. https://ekonomisti.tsu.ge/?cat=nomer&leng=eng&adgi=611;
6. https://ekonomisti.tsu.ge/?cat=nomer&leng=eng&adgi=611.

Comparative analysis of the crisis caused by Covid-19 in a separate area of the economy in Georgia

Nino Pailodze
Professor of Georgian Technical University
Iasha Murvanidze
Associate Professor of Black Sea International University
Irine Japaridze
Georgian Technical University
PhD student in the Faculty of Business Technology

Abstract

Due to the pandemic, the world faced a great challenge. The economic crisis has affected many sectors, especially the tourism sector and direct investment. The economic crisis caused by Covid-19 in Georgia was caused by a number of subjective and objective conditions. Objective factors are caused by such circumstances as the reduction of investments in the world, restrictions on international travel, interruption of international trade, reduction of remittances, especially in the first phase of the pandemic, etc. Sh. Another set of factors causing the crisis is subjective and related to government decisions, including the decision on restrictions, which came into force twice in 2020 - in the spring and in the fall. These objective and subjective factors together determine the economic reality of the country. During the pandemic, many countries faced the danger of losing the purchasing power of the population. This had a corresponding effect on Georgia's export products, which are not distinguished by large quantities. In an economy like Georgia, government decisions determine the direction of regional economic development. Before the coronavirus crisis, three main directions were identified in the economy of Georgia, such as attracting foreign direct investments, promoting small and medium-sized businesses and developing the tourism sector. After the crisis, the economy of Georgia was significantly affected, and a particularly difficult situation was created in the tourism sector.

ორგანიზაციული გარაქმნების არსი: რაობა, გამომწვევი ფაქტორები და განხორციელების მოდელები

ფალიანი სოფიო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ორგანიზაციებში ცვლილებების საჭიროება, მათი ტიპები და ის პარამეტრები, რომლებიც ჰქონდათ ცვლილებებს ძველი პარადიგმების დროს და რაც აქვთ ამჟამინ-დელი, ანუ ახალი პარადიგმების დროს. დახასიათებულია აგრეთვე, ცვლილებების საშიშროებანი და ცვლილების განმხორციელებელი მენეჯერის მენტალობა, რომ ის უნდა იყოს გაბედული და ცვლილებებს საშიშროებად კი არა, არამედ, სასარგებლო პროცესად უნდა აღიქვამდეს.

სტატიაში ნათქვამია, რომ ჯერჯერობით არც გარდაქმნების ერთნაირი განმარტება არსებობს, და, არც მათი მართვის ერთნაირი მოდელი. ამის მიუხედავად, ყველა მათგანში მოჩანს გარდაქმნების ძირითადი დანიშნულება - ახლებური მიდგომების ორგანიზაციის შესაძლებლობების და უნარების მეტი სარგებლიანობით გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: გარდაქმნები; ცვლილებები; ფაქტორები; გამოწვევები; მოდელები.

ძირითადი ტექსტი

გარდაქმნა (ცვლილება) ორგანიზაციაში სიახლის დანერგვის ნიშნის მატარებელია. ეკონომი-კური განვითარების საფუძველს წარმოადგენს ინოვაციების გარდასახვა ახალ პროდუქტებში და ახალ ტექნიკაში. ის ფაქტი, რომ განვითარებულ ქვეყნებში მთლიანი სამამულო პროდუქტის ნამატის 75-100% მოდის ინოვაციების, ანუ სიახლეების წილად, იმაზე მეტყველებს, რომ განვითარების ეს გზა უტყუარია და მას უნდა დაადგეს ყველა ქვეყანა და მისი თითოეული ბიზნეს-სუბიექტი. დასანანია, მაგრამ ფაქტია, რომ მთლიანად საქართველო და მისი ყველა სუბიექტი ამ გზაზე ჩამორჩენილია. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისთანავე აღმოჩნდა, რომ დამოუკიდებელი ინოვაციური განვითარებისათვის, ღრმა გარდაქმნების გატარებისთვის საქართველო მოუმზადებელი იყო. მას არ გააჩნდა ამ სფეროში საქმიანობის გამოცდილება. იმის მიუხედავად, რომ მას შემდეგ 30 წელი გავიდა და გარკვეული გამოცდილებაც დაგროვდა, კომპანიათა მენეჯერები მაინც თავს იკავებენ გარდაქმნების განხორციელებისგან და ჩვეულ ფორმატში არჩევენ მუშაობას. წინამდებარე სტატიაში გარდაქმნების საჭიროებასა და ფორმებზე გვექნება საუბარი.

კითხვაზე თუ „რას ეწოდება ორგანიზაციული გარდაქმნები, ანუ იგივე ორგანიზაციული ცვლილებები? - მეცნიერები ასეთ პასუხს იძლევიან: „ორგანიზაციული ცვლილებები ისაზღვრება, როგორც ფირმის მიერ ახალი იდეებისა და ქცევის მოდელების ათვისება“ [1]. არსებობს სხვა განმარტებებიც. მაგალითად, მორანისა და ბრაიტმანის მიერ ორგანიზაციული ცვლილებები განიმარტება როგორც „ორგანიზაციის მიმართულებების, სტრუქტურის და შესაძლებლობების მუდმივი განახლების პროცესი გარე და შიდა მომხმარებლების მუდმივად ცვალებადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად“ [2. გვ. 66-74], კუმინგსი და ვორლეუ მას განმარტავენ როგორც „რადიკალურ გარდაქმნებს პერსონალის ქცევებში, კომპანიების სტრუქტურებში, ორგანიზაციულ მოწყობასა და კორპორატიულ ღირებულებებში [3. გვ. 506] და ა. შ.

ასეთი სხვადასხვა განმარტებების მიუხედავად, გარდაქმნების მიზანია კომპანიის გადასვლა არსებული მდგომარეობიდან სასურველ მდგომარეობაში რესურსების და შესაძლებლობების უკეთ გამოყენების ახლებული გზების მეშვეობით.

არსებობს ცვლილებათა რამდენიმე ტიპი [4. გვ. 163]:

- ❖ ცვლილებები განვითარებისთვის;
- ❖ გარდამავალი ცვლილებები;

❖ ტრანსფორმაციული ცვლილებები.

პირველი სახის ცვლილება ხორციელდება წინასწარ, ანუ მაშინ, როდესაც მისი საჭიროება ჯერ არ დამდგარა, მაგრამ, კომპანიას სურს მომზადებული დახვდეს მას.

მეორე ცვლილება ხორციელდება მაშინ, როდესაც აშკარად ნათელი ხდება რამდენიმე ფუნქციის შერწყმის ეფექტიანობა.

მესამე, ანუ ტრანსფორმაციული ცვლილება არის ძირეული საფუძვლიანი შეცვლა. ამ გზით, მენეჯერი ცდილობს კომპანიის გამოცოცხლებას.

ცვლილებები ხდება კომპანიის ყველა საქმიანობაში - ბიზნესის სტრატეგიაში, მომხმარებლებთან ურთიერთობებში, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, პერსონალის მართვაში, მენეჯერების პოზიციებში და ა. შ. [5. გვ. 259]. ამ გარდაქმნების ნაწილი წინასწარ დაგეგმილია, ნაწილი დაუგეგმავი, მაგრამ გარემოს ცვლილების გამო, აუცილებლად შესასრულებელი.

კომპანიებში გარდაქმნების მართვა მეტად რთული და ამასთან, მტკივნეული პროცესია. მისი განხორციელება მხოლოდ ძლიერ მენეჯერს შეუძლია, რადგან მისი წარმატების რეცეპტი არ არსებობს და მენეჯერები მუდმივად შიშობენ, ვაი, თუ გარდაქმნამ არ გაამართლოს და კოლექტივში მისი იმიჯი დაზარალდეს. ეს ფიქრი არ არის საფუძველს მოკლებული. აი, რას წერს ამის შესახებ მენეჯმენტის დიდი სპეციალისტი პიტერ დრუკერი: „ერთი არატიპიური წარმატებული ცვლილების უკან დგას 99 წარუმატებელი ცვლილება, რომლის შესახებ არავინ იცის“ [6. გვ. 954].

რამოდენიმე ათეული წლის წინ კომპანიები უფრო სტაბილურ გარემოში მუშობდნენ. მაშინ ცვლილებები გამონაკლისი იყო, ხოლო თუ იყო, იგი მხოლოდ სამ ეტაპად ხორციელდებოდა: პირველ ეტაპზე ხდებოდა კომპანიის არსებული მდგომარეობის გალღობა, მეორე ეტაპზე გარდაქმნის განხორციელება, მესამეზე კი - დანერგილი ცვლილებების დამაგრება („გაყინვა“). გავიდა დრო და თვით გარდაქმნების ხასიათიც შეიცვალა და მათი მართვის პარადიგმებიც. მათი ურთიერთ შედარება წარმოდგენილი გვაქვს ცხრილში 1. ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ძველად ცვლილებები ხდებოდა აუჩქარებლად, ნელი ტემპით, იყო რბილი, მიზანი იყო მოკლევადიანი და ა. შ., ამჟამად კი, გარდაქმნა ნახტომისებურია გრძელვადიანი შედეგიტ, სტილი მზაფრია და უტეხი, ცვლილებების განმხორციელებელი მენეჯერის მენტალობა გაბედულია (მამაცური), შეცდომებს ის აღიქვამს სასარგებლო გაკვეთილად და ა. შ. ასე რომ, ცვლილებების მართვის ახალი პარადიგმა ძველთან შედარებით სრულიად ახალი კონცეფციაა. მის განხორციელების დროს მარცხი გამორიცხული არ არის, მაგრამ, ის ტრაგედიად არ იღიქმება.

ცხრილი 1

ცვლილებების მართვის ძველი და ახალი პარადიგმები [7. გვ. 439]

პარამეტრი	**ძველი პარადიგმა**	**ახალი პარადიგმა**
ტემპი	**ნელი**	**სწრაფი**
ცვლილებების ხასიათი	თანდათანობითი, მცურავი	ნახტომისებური
მიზანი	მოკლევადიანი შედეგი, ცვლილებების ინიციაცია	მოკლე და გრძელვადიანი შედეგები, ინიციაცია, ცვლილებების მართვა
მენტალობა	საჭიროა,გავექცეთ რისკსა და შეცდომებს. შეცდომებისთვის დავსაჯოთ. ითვლება, რომ ორგნიზაციის შეცვლა ძნელია.	უნდა მოვიქცეთ მამაცურად და გაბედულად. შეცდომები გარდაუვალია და აღქმული უნდა იქნეს სასარგებლო გაკვეთილად.
სტილი	რბილი	მძაფრი(უკმეხი)
ცვლილებების წყარო	ცვლილებები ხდება „ზევიდან ქვევით გავლენიანი სპონსორების მხარდაჭერით	ცვლილებების ინიცირება ხდება კომპანიის არა მხოლოდ ზედა, არამედ მართვის საშუალო და ქვედა დონეებზეც. ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობა ყველა რანგის თანამშრომელს ეძლევა.
დაგეგმვის ხარისხი	მაღალი: მოემზადეთ, მოემზადეთ.	საშუალო: „მოემზადეთ, დაუმიზნეთ, ცეცხლი“.
მოცულობა	ერთჯერადი ცვლილება	მუდმივი ცვლილებები
კრედო	„ვიდრე არ გაცვეთილა, ნუ შეაკეთებ“	„თუ ჯერ არ გატეხილა, გატეხე!“

კომპანიებში ცვლილებათა მართვის რამდნეიმე მოდელი არსებობს. მათგან, ყველაზე პოპულარულია ჯ. კოტერის მდოელი, ADKAR-ის მოდელი და ლ. გრეინერის მდოელი.

მეცნიერი ჯ. კოტერი ცვლილებების მართვის 8 ეტაპს გვთავაზობს. ეს ეტაპებია [8. გვ. 59]:

- ❖ ახალ შესაძლებლობათა და პოტენციურ კრიზისულ სიტუაციათა გამოვლენა, ბაზრის გულდასმითი ანალიზი და მის საფუძველზე, გადაუდებელ ცვლილებათა საჭიროების გამოვლენა;
- ❖ ცვლილებების პროცესის სამართავად მძლავრი მმართველი კოალიციის ფორმირება;
- ❖ ცვლილებების განხორციელების გეგმისა და მისი რეალიზაციის სტრატეგიის შემუშავება;
- ❖ ცვლილებების განხორციელების გეგმის დაყვანა ორგანიზაციის ყველა წევრამდე;
- ❖ კომპანიის თანამშრომლებისთვის ცვლილებების გეგმის რეალიზაციის საკითხში უფლებამოსილების მიცემა;
- ❖ შრომის პროცესის სრულყოფის მიზნით, მოკლევადიანი ხილული მიზნების დაგეგმვა და მიღწევა;
- ❖ მოქმედებათა პერიოდული ანალიზი, დაგეგმილ ცვლილებათა გადაფასება და კორექტივების შეტანა პროგრამებში;
- ❖ კომპანიის ქცევის ახალ სტილსა და მის წარმატებას შორის კავშირის დაფიქსირება.

ADKAR-ის მოდელი ფოკუსირებულია როგორც კომპანიის ბიზნესზე, ისე თანამშრომელთა მხარდაჭერაზე ცვლილებების პროცესში. ამ მოდელში მეტი ყურადღება მახვილდება ანალიზზე იმის დასადგენად, თუ რა უშლის ხელს კომპანიაში ცვლილებების წარმატებულ განხორციელებას.

რაც შეეხება ცვლილებების მართვის კ. გრეინერის მოდელს იგი 6 ეტაპს მოიცავს [9]:

1. ზეწოლა და ზემოქმედება შიდა და გარე ფაქტორებიდან.
2. გარე კონსულტანტების ჩარევა.
3. პრობლემების იდენტიფიცირება.
4. ახალი გადაწყვეტილება და ვალდებულება.
5. ახალი გადაწყვეტილებების ექსპერიმენტირება.
6. ცვლილებების მიღება და გაძლიერება.

კომპანიაში ორგანიზაციული ცვლილებების გამომწვევი სხვადასხა ფაქტორი არსებობს. ისინი ჯგუფდებიან პროაქტიულ და რეაქტიულ ფაქტორებად. პროაქტიულია ის ცვლილება, როდესაც კომპანია, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე თვლის, რომ ცვლილება სასურველია, ხოლო რეაქტიულია ცვლილება მაშინ, როდესაც ცვლილება გამოწვეულია შიგა და გარე ძალების ზემოქმედებით. კომპანიის მენეჯერს ევალება სიღრმისეულად და დროულად გაანალიზო ყველა ეს ფაქტორები, რადგან თუ მან ეს თავის დროზე ვერ შეიცნო და შესაბამისი ცვლილება ვერ განახორციელა, ეს ფაქტორები მთლიანად თუ არა ნაწილობრივ მაინც დაანგრევენ კომპანიას.

დასკვნა. ორგანიზაციის სასიცოცხლო ციკლი იწყება მისი დაბადებით და მთავრდება დაცემით - ლიკვიდაციით. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა მასში მუდმივად ცვლილებების (გარდაქმნების) განხორციელება. ცხადია, ეს ცვლილებები უნდა აუმჯობესებდეს კომპანიის ქმედუნარიანობას და ამით უხანგრძლივებდეს მას აქტიურ სიცოცხლისუნარიანობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Beer M. and Nohria, N. Resolving the Tension Between E and O of Change Breaking he Cade of (Boston: Harvard Business School Press. 2000).
2. Moran J. W. & Brightman B. K. (2000). Leading Organizational Change. Journal of Workplace Learning. 12(2). pp. 66-74.
3. Cummings T., Worley C. (2008). Organization Development & Change (9th ed.). USA. South-Western Cengage Learning. p. 506.
4. ხარხელი მ., გავარდაშვილი დ. კომპანიებში ორგანიზაციული ცვლილებების განხორ-ციელების აუცილებლობა. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. #1. 2022. გვ. 163.

5. ხარხელი მ., ქეშელაშვილი გ. მენეჯმენტის საფუძვლები. თბ., 2013. გვ. 259.
6. Друкер П. Менеджмент: задачи обязанности, практика. М., 2008. გვ. 954.
7. Курс MBA по менеджменту, под ред. Аллена Р. Коэна, М., «Альпина бизнес Букс», 2007, გვ. 439.
8. Kotter J. Leading Changes: Why Transformation Efforts Fail. Harvard Business Review. March-April. 1995. p. 59.
9. Greiner L. (1967). Patterns of Organization Change. Harvard Business Review: Retrieved from https://hbr.org/1967/OS/patterns-of-organization-change

The essence of organizational transformation: meaning , causing factors, models for implementation

Sofia Paliani
PhD student
Georgian Technical University

Abstract

In the article - " The essence of organizational transformation: meaning, causing factors, models for implementation" –The need for changes in organizations, their types and the parameters , that had changes during the old paradigms and those that have changed during the current, i.e., new paradigms, are discussed. The dangers of changes and the mentality of the manager implementing the change that he should be courageous and perceive changes not as a threat, but as a useful process are also characterized.

The article states that there is still no single definition of transformations, and no single model of their management. Despite this, in all of them, the main purpose of transformations can be seen - the use of new approaches to the organization's capabilities and skills with greater benefit.

Keywords: transformations; changes; factors; challenges; models.

რისკის მართვა და სამართლებრივი რეგულირების საკითხები

ფიფია ასმათ
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბრალავა თინათინ
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

ფოდიაშვილი ნინო
საქართველოს ტენქიკური უნივერსიტეტის სტუდენტი

აბსტრაქტი

საწარმოებში რისკების მართვა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია. რისკების მართვა საწარმოში ძალზე მნიშვნელოვანია და იგი უზრუნველყოფს საწარმოს შესაძლო მატერიალურ, არამატერიალურ და, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლო ზიანის თავიდან აცილებას. ამგვარ მნიშვნელოვან საკითხებზე სწორი რეაგირებისათვის აუცილებელია საწარმოზე მოქმედ შიდა და გარე საფრთხეებზე მონაცემების შეგროვების, ცენტრალიზებული მონიტორინგის, შეფასებისა და ანალიზის პროცესის მაქსიმალური ავტომატიზაცია, შესაბამისი საჭირო მეთოდებისა და ღონისძიებების დანერგვა. დისერტაციაში სწორედ სამეწარმეო რისკების მართვის პროცესის პრობლემებს ეთმობა ყურადღება და, შესაბამისად, დასახულია მათი სრულყოფის გზები.

რისკი განსაზღვრავს ნებისმიერ მოვლენას, რომლის შედეგადაც საწარმოს საქმიანობის შედეგები შესაძლებელია მოსალოდნელზე დაბალი აღმოჩნდეს. ჩვეულებრივ, რისკის შეფასებისთვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები: კაპიტალის მოცულობის თანაფარდობა რისკთან, მომგებიანობის თანაფარდობა რისკთან, ან ფულის ნაკადის თანაფარდობა რისკთან. ამა თუ იმ მაჩვენებლის არჩევა იმ საბაზისო ინფორმაციის ბუნებაზეა დამოკიდებული, რომელიც ანალიზის დროს გამოიყენება. ნებისმიერი რისკის ანალიზი დაფუძნებულია სტატისტიკური და პროგნოზირების ანალიზის მეთოდებზე, რისი პრაქტიკული გამოყენების ძირითადი წყაროც მონაცემებია. ამდენად, მნიშვნელოვანია ზუსტი და ხარისხიანი მონაცემების შეგროვება და რისკის მოვლენების მიხედვით მონაცემთა კატეგორიზაცია, რისკთან დაკავშირებული ინფორმაციის მონაცემებად სტრუქტურიზაცია და ამ მონაცემების მანიპულაცია.

უფრო გასაგები ენით რომ ვთქვათ, რისკების სხვადასხვა სახის პრობლემის გადაჭრისათვის საჭიროა, საწარმოში შეიქმნას რისკების მართვის სისტემა, რომელიც საშულებას მოგვცემს შესწავლილი და შეფასებულ იქნას მათი გრძელვადიანი გავლენა საწარმოს სიცოცხლისუნარიანობაზე და მივიღოთ მათი გადალახვისათვის აუცილებელი გზები.

ძირითადი ტექსტი

საწარმოში რისკების ეფექტური მართვა გულისხმობს რისკის ყველა სახის მიმართ კომპლექსურ მიდგომას იმ რისკის გამოვლენისთვის და შერბილებისთვის, რომლებიც შედარებით დიდ საფრთხეს წარმოადგენენ. რისკები, რომლებსაც უმეტესი საწარმოები ეჯახებიან იყოფა: **საგანგებო შემთხვევების, ფინანსურ, ექსპლუატაციურ, სტრატეგიულ და ინოვაციურ რისკებად** (ბერიძე, შონია & ბიწაძე, 2010, გვ. 78). უფრო მეტი სიცხადისათვის, მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი:

- **საგანგებო შემთხვევების რისკი –** დაკავშირებულია ქონების შესაძ-ლო ზიანთან, ან მის ქურდობასთან;
- **ფინანსური რისკია** იმ შემთხვევაში, როდესაც ემიტანტის გადახდების ნაკადი დროში არ შეესაბამება მის ფინანსურ ვალდებულებებს. მაგალითად, საპროცენტო განაკვეთების, ან ვალუტის კურსების რყევის გამო;
- **ექსპლუატაციური რისკი** წარმოიქმნება მომარაგების ხარვეზებისა და ნედლეულისა და მასალების გადახარჯვების დროს;

- **სტრატეგიულ რისკს** ადგილი აქვს საქონლის წარუმატებელი პოზიციონირების დროს.
- **ინოვაციური რისკი** – დანაკარგების რისკი, რომელიც ახალი პროექტების წარუმატებელ რეალიზაციასთანაა დაკავშირებული.

რისკების მართვის სისტემა მოიცავს თანმიმდევრულ ელემენტთა რიგს, რომელთა შორის შეიძლება გამოიყოს მართვის ზოგადი ორგანიზაციული საკითხები და პრინციპები, ვარიანტების შეფასების კრიტერიუმები, მართვის ფუნქციები და პოლიტიკა, სტრატეგია და ტაქტიკა, რისკის კონკრეტული სახის შეფასების მეთოდები და მისი მართვის ეკონომიკური საკითხები. რისკების მართვის ლოგიკური სქემა წარმოდგენილია 1-ზე (ბერიძე, შონია & ბიწაძე, 2010, გვ. 78).

ნახ. 1. რისკების მართვის ლოგიკური სქემა

რისკების მართვა, ეს არის ექსტრაპოლაციური და ექსტრემალური მართვის სისტემების სინთეზი – ნათქვამია წიგნში „რისკები და დაზღვევა“ (ბერიძე, შონია & ბიწაძე, 2010, გვ. 80-81). აქვე აღნიშნულია, რომ შეიძლება გამოყენებულ იქნას მართვის შემდეგი მეთოდები:

- **მართვა კონტროლის საფუძველზე,** რომლის თანახმად, მომავალი წარსულის გამეორება და საქმიანობის გარკვეული რეგლამენტაციის შესაძლებლობის მოსალოდნელი არსებობაა რიგი ინსტრუქციებისა და სტაციონალური პროექტების შექმნის საშუალებით;
- **მართვა ექსტრაპოლაციის საფუძველზე** გულისხმობს კვაზისტატისტიკის საფუძველზე მომავალი განვითარების ტენდენციების წინასწარი ხედვის შესაძლებლობას;
- **მართვა მოქნილი ექსტრემალური გადაწყვეტილებების საფუძველზე** გულისხმობს რეკურენტულობის სავარაუდო არსებობას, როგორც რისკ-მენეჯმენტის სისტემის ძირითადი ნიშანი.

რისკების მართვის სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტია რისკების მართვის ფუნქციები:

- მარკეტინგი;
- რისკების მართვის დაგეგმვა;
- გეგმის შესრულების ორგანიზაცია;
- მაღალი შედეგების მიღწევის მოტივაცია;
- აღრიცხვა და კონტროლი.

კონკრეტული საწარმოს რისკების კვლევის შედეგების მიხედვით ხდება რისკების რუკების შემუშავება (იხ. 2) (ბერიძე, შონია & ბიწაძე, 2010, გვ. 80-81).

რისკების რუკა შეიძლება შედგენილ იქნას ექსპერტული შეფასებების მეთოდით, რომელსაც ადგენენ საწარმოს ხელმძღვანელები და სპეციალისტები.

რისკების მართვა ითვალისწინებს ერთ-ერთი ალტერნატივის არჩევანს: რისკის მიღება, უარის

თქმა საქმიანობაზე, რომელიც რისკთანაა დაკავშირებული, ან რისკის შესამცირებლად ზომების მიღება ხარისხის წინასწარი შეფასების საფუძველზე.



ნახ. 2. რისკების რუკა

საწარმოს მართვის სისტემაში რისკის მენეჯმენტი არის მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებისა და რეალიზაციის ქვესისტემის კომპონენტი. გადაწყვეტილების შემუშავებისას პროცესის საწყისი ელემენტები შეიძლება იყოს შექმნილი ტექნიკური, ეკოლოგიური, ეკონომიკური და სხვა პრობლემის პარამეტრები, მოთხოვნა მის გადაწყვეტილებაზე, კომპლექსურ უზრუნველყოფაზე და ა. შ.

მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესი ეტაპობრივად ხორციელდება, რომლის დროსაც გამოიყოფა ოთხი ძირითადი ეტაპი (ნახ. 2) (ბერიძე, შონია & ბიწაძე, 2010, გვ. 84).:

1. **ამოცანების დასახვის** დროს ხდება პრობლემური სიტუაციის გამოვლენა და შეფასება, დროის შეფასება, რესურსების განსაზღვრა;

2. **გადაწყვეტილების ფორმირება.** აქ ხდება მისაღები და ეფექტიანი გადაწყვეტილებების განსაზღვრა, რისკის ხარისხის შევსება და ერთადერთი გადაწყვეტილების არჩევანი.



ნახ. 3. მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში რისკების მართვის ადგილი

3. **უპირატესი ვარიანტის არჩევა,** რომელიც შეიძლება ემყარებოდეს ვარიანტების შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმს. ეს კრიტერიუმებია:

● **ვადის კრიტერიუმი** (გადაჭარბებული სიფრთხილე) – აირჩევა სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია მაქსიმალურ წარმატებაზე პრობლემის უარესი ვარიანტის წარმოშობის დროს:

$$J = \max_{i} \min_{k} f_k;$$

● **სევიჯის კრიტერიუმი** (უკეთესი გამოსავლის მოლოდინი) – აირჩევა სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია მაქსიმალურ წარმატებაზე გულისხმობს უპირატესი პირობების წარმოშობას.

$$J = \min_{i} \max_{k} f_{ij};$$

● **ლაპტოასის კრიტერიუმი** (ორიენტირება საშუალოდ მაქსიმალურ წარმატებაზე) – აირჩევა სტრატეგია, რომელიც იძლევა მაქსიმალურ წარმატებას შესაძლო სიტუაციების მთელი ნაკრებისთვის საშუალოდ:

$$J = \max_{i} \frac{1}{n} \sum_{k=1}^{n} f_{jk};$$

● **მინიმალური სინანულის კრიტერიუმის** დროს ირჩევა სტრატეგია, რომელსაც გააჩნია უმცირესი სხვაობა შესაძლო სიტუაციების წარმატებების შეფასებებს შორის:

$$j = \min\left(\max_{kj} f_{ki} - f_{kj}\right);$$

● **გურვიცის კრიტერიუმი** - კომპრომისი:

$$J = \max_{j}\left[a \min_{k} f_{kj} + (1-\alpha) \max_{k} f_{kj}\right];$$

● **მათემატიკური მოლოდინის კრიტერიუმი:**

$$J = \max_{j} \sum_{k} P_{kj} \times f_{kj}.$$

სადაც P_{kj} – სიტუაციის k ვარიანტის რეალიზაციის ალბათობაა.

4. **შესრულების ორგანიზაცია და კონტროლი.** მისი ძირითადი მიზანია ხარვეზებისა და მათი წარმოშობის მიზეზების აღმოფხვრა, რომლებიც წარმოიქმნება შემსრულებლების შეუთანხმებელი მოქმედებების შედეგად, გადაწყვეტილების რეალიზაციის პროცესში.

რისკების მართვისა და კონტროლის პროცესებთან ერთად, ძალზე მნიშვნელოვანია რისკებთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები.

მთავარი კითხვა, რომელზეც სამართლებრივი პასუხი უნდა მიიღოს იურისტისგან მეწარმემ (ან ბიზნესმენმა) შემდეგში მდგომარეობს: არის თუ არა რისკი წინასწარგანზრახული დანაშაულის თავისებური სახე, რომელსაც უნდა მოჰყვეს პასუხისმგებლობა?

ამაზე იურისტების პასუხის ასეთია: გარკვეულ შემთხვევებში რისკის შესახებ გადაწყვეტილება არ ატარებს არავითარ ბრალეულობას. რისკის სამართლებრივი გაგება ნიშნავს, გადაწყვეტილების მიმღების მხრივ, სამართლებრივი ქმედებების ან მოვლენების მოსალოდნელი შედეგის გამო არახელსაყრელი შედეგების დაშვებას. აქედან გამომდინარე, რისკი გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ მასთან დაკავშირებული მოქმედებები სამართლებრივია, ხოლო მიღებული უარყოფითი შედეგი – მიყენებული ზარალი არის იმ მიზეზების შედეგი, რომლებიც, ჯერ-ერთი, არ არის დამოკიდებული გადაწყვეტილების მიმღებზე და, მეორეც, მის მიერ წინასწარ განსაზღვრული ვერ იქნება. სამართლებრივი ქმედებების ქვეშ იგულისხმება კანონიერი, სახელმძღვანელო დოკუმენტების დებულებების, წესების და ა.შ. შესაბამისი ქმედებები. რადგანაც სამართლებრივი რისკის მსგავსი განმარტებისას მაინც შენარჩუნებულია გაურკვევლობის საკმარისი დოზა, სამართალმცოდნეობა გვთავაზობს ვისარგებლოთ რისკის სამართლებრიობის კონკრეტული ნიშნებით. რისკი სამართლებრივია მხოლოდ შემდეგი ოთხი პირობის ერთდროული არსებობისას (თეთრუაშვილი & სხვ.):

1. რისკი უნდა შეესაბამებოდეს იმ მიზნის მნიშვნელობას, რისთვისაც ის ხორციელდება;

2. ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია ჩვეულებრივი, არასარისკო საშუალებებით;

3. რისკი არ უნდა გადადიოდეს აშკარა ზარალში;

4. რისკის ობიექტები, როგორც წესი, უნდა იყოს მატერიალური, ნივთობრივი და არა ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ამ პირობათაგან თუნდაც ერთის დარღვევა გამორიცხავს საწარმოო რისკის სამართლებრიობას.

გამართლებული რისკის პირობებად, განსაკუთრებით, განიხილება ობიექტურად შემთხვევითი და ობიექტურად შეუძლებელი მოქმედებების შესაძლო არახელსაყრელი შედეგები. როგორც ვიცით, შემთხვევა პრაქტიკულად ნებისმიერი მოვლენის გარდაუვალი და კანონზომიერი თანამგზავრია. ანუ, წინასწარ ერთმნიშვნელოვნად განვჭვრიტოთ თითოეული გადაწყვეტილების, მათ შორის რისკთან დაკავშირებულიც, ზუსტი შედეგი, მთელ რიგ შემთხვევებში, შეუძლებელია. თუმცა, ეს ხელს არ უშლის, დავადგინოთ და გონივრულად გამოვიყენოთ შემთხვევითობის კანონზომიერებანი, თუ ამა თუ იმ შემთხვევითი მოვლენის შანსის ზომად განვსაზღვრავთ დადგომის ზომასა და რიცხვს. ამასთან, აუცილებელია განვასხვავოთ ადამიანის ცნობიერებასთან დაკავშირებული ცნების „შემთხვევა“ სუბიექტური მნიშვნელობა ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული, ობიექტური შემთხვევისაგან.

როგორც ცნობილია, ობიექტური შემთხვევა არ არის დამოკიდებული ჩვენ ცნობიერებაზე, ამიტომაც ის შეიძლება წინასწარ გამოითვალოს საკმაო სიზუსტითაც. მაგალითად, წინასწარ ზუსტად ვერ განსაზღვრავ, ექნება თუ არა დეტალს რაიმე წუნი, როდის მოხდება ავარია, ხანძარი ან როდის გამოვა მწყობრიდან მნიშვნელოვანი მექანიზმი. მაგრამ, ალბათობის თეორიის გამოყენების შემთხვევაში, ამა თუ იმ მოვლენის დადგომის საშუალოდ მოსალოდნელ რიცხვზე დაყრდნობით, შეიძლება მსჯელობა რისკთან დაკავშირებული ქმედებების მიზანშეწონილობის შესახებ. კერძოდ, თუ გვეცოდინება, რომ მოცემულ საწარმოო სიტუაციაში ტექნიკური რისკი შეადგენს 1%-ს, შეიძლება ზუსტად განისაზღვროს კონტროლის ზომები, რომლებიც გამორიცხავენ წუნდებული დეტალის საპასუხისმგებლო ხელსაწყოში ან მექანიზმში მოხვედრას. ამ ღონისძიებების არგატარება კვალიფიცირდება როგორც არაკანონზომიერი (თეთრუაშვილი & სხვ.).

ბიზნესმენისათვის აუცილებელია იურისტთან ერთობლივი მუშაობა არა მხოლოდ რისკის პრობლემებთან დაკავშირებით. საკუთრების საკითხები სასამართლოში წყდება, სადაც გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის სამართლებრივი საკითხების სპეციალისტებს – იურისტებს.

მართლმსაჯულება ხორციელდება საქართველოს კოსტიტუციისა და კანონების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს სასამართლო სისტემას.

მართლმსაჯულება აღესრულება საკონსტიტუციო, უზენაესი, და ა.შ. სასამართლოების საშუალებით. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ბიზნესმენის ინტერესებს, როგორც წესი, უნდა იცავდეს საარბიტრაჟო სასამართლო, ორგანო, რომელიც სპეციალურად იქმნება ბიზნესმენთა შორის ეკონომიკური დავის განსახილველად და გადასაწყვეტად („საქართველოს კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ“).

დასკვნა

სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის საარბიტრაჟო სასამართლოს. მხედველობაშია მისაღები, რომ საარბიტრაჟო სასამართლო წარმოადგენს ერთადერთ სახელმწიფო ორგანოს, რომელსაც უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს ეკონომიკური დავა ორგანიზაციებს – იურიდიულ პირებს, აგრეთვე მცირე ბიზნესმენებს შორის.

საარბიტრაჟო პროცესი მთავრდება სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებით. ამისათვის საარბიტრაჟო სასამართლო გასცემს სააღმსრულებლო ფურცელს – დოკუმენტს, რომლის შესრულება სავალდებულოა ყველა დაწესებულების, ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. სააღმსრულებლო ფურცელი შესასრულებლად შეიძლება წარდგენილ იქნეს საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს ექვსი თვის განმავლობაში (არეგულირებს „საქართველოს კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ“).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თურქია ე., მოროზი ნ., ქაჩლიშვილი თ., ორგანიზაციებში საოპერაციო რისკების მართვის სრულყოფის ამოცანები და სტანდარტები, სტუ შრომები 1(17), თბილისი, 2014, გვ 121.
2. ბენიძე ნ., შონია ნ., ბიწაძე ჯ., რისკები და დაზღვევა, თბ., 2010, გვ. 78.
3. თეთრუაშვილი მ., თეთრუაშვილი ზ., თეთრუაშვილი ი., საკუთარი ბიზნესი, რისკების მართვა, კოლექტივის მართვა, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=ekonomik&cl=CL1.2&d=HASH6bac00dbf13ee602739cac.3.3
4. საქართველოში საარბიტრაჟო საქმიანობას არეგულირებს „საქართველოს კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/89284

Risk management and legal regulation

Pipia Asmat
Doctor of Business Administration
Georgian Technical University

Abralava Tinatin
Doctor of Business Administration

Podiashvili Nino
Student of Georgian technical University

Abstract

Risk management in enterprises is one of the most important and priority. Risk management in the enterprise is very important and it ensures the prevention of possible material, non-material and, we can say, vital damage to the enterprise. In order to correctly respond to such important issues, it is necessary to maximally automate the process of data collection, centralized monitoring, evaluation and analysis of internal and external threats affecting the enterprise, and the introduction of appropriate necessary methods and measures. In the dissertation, attention is paid to the problems of the entrepreneurial risk management process and, accordingly, the ways of their improvement are outlined.

Risk defines any event, as a result of which the results of the enterprise may turn out to be lower than expected. Usually, the following indicators are used for risk assessment: the ratio of capital volume to risk, the ratio of profit to risk, or the ratio of cash flow to risk. The choice of this or that indicator depends on the nature of the basic information that is used during the analysis. Any risk analysis is based on statistical and predictive analysis methods, the main source of which is data. Thus, it is important to collect accurate and quality data and categorize data according to risk events, structure risk-related information into data and manipulate this data.

To put it in a more understandable language, in order to solve different types of risk problems, it is necessary to create a risk management system in the enterprise, which will allow us to study and evaluate their long-term impact on the viability of the enterprise and to get the necessary ways to overcome them.

ინოვაციური მენეჯმენტის თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები

ქაჯაია თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ბალახაშვილი ჟანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისასისტენტ პროფესორი

დუგლაძე ანდრო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრი

აბსტრაქტი

მოცემული საკითხი აქტუალურია, მსოფლიოში მიმდინარე მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი და სხვადასხვა სფეროში მოქმედი ორგანიზაციების მიერ ინოვაციებზე აქცენტირება პირ-დაპირ კავშირშია ქართული პროდუქციისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობასთან, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზარზე.იმისათვის, რომ ქართული ნაწარმი შესაბამისი მომზადებით შეხვდეს ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევებს, საჭიროა მენეჯმენტის ეფექტიანობის გაზრდისათვის აუცილებელი თანამედროვე ინოვაციური კანონზომიერებების კომპლექსური შესწავლა და ინოვაციური ეკონომიკის მქონე ქვეყნებისა და წარმატებული კომპანიების გამოცდილების მუდმივი კვლევა. კვლევის ძირითადი საკითხია საქართველოში არსებულ კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებში ინოვაციური მენეჯმენტის ფორმირების პროცესის ოპტიმიზაციის ძირითადი თავისებურებები. ინოვაციური პოლიტიკის ფორმირება და შემდგომ მისი წარმატებული მართვა ნებისმიერი ორგანიზაციის მენეჯმენტისათვის მნიშვნელოვანი ამოცანაა. ინოვაციური მენეჯმენტის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ მისი კონკურენტუნარიანობის არეალი ძალზედ მასშტაბურია და არ შემოიფარგლება რომელიმე კონკრეტული დარგით. მენეჯერი, რომელიც თავის ორგანიზაციაში წარმატებულად ავითარებს ინოვაციურ პროცესებს შესაძლოა იქცეს მსოფლიო ყურადღების ცენტრში, ვინაიდან იმ პირობებში, როცა კაცობრიობის წინაშე მრავალი მნიშვნელოვანი გამოწვევა დგას, თითოეული ინოვაციური იდეის განხორციელებას ადამიანები იმედით ელოდებიან.ინოვაცია გვესმის ყველგან, სადაც მიმდინარეობს შემოქმედებითი საქმიანობა.

საკვანძოსიტყვები: კონკურენტუნარიანობა,ინოვაცია,ოპტიმიზაცია,მენეჯმენტი,გლობალიზაცია,

ძირითადი ტექსტი

თემის ძირითად სიახლეს წარმოადგენს საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების მმარ-თველობით საქმიანობაში ინოვაციური მიდგომების გამოყენების აუცილებლობა; შესწავლილია საქართველოში არსებული ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები და აქტივობები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ხელს უწყობენ ქვეყანაში ინოვაციური პროცესების განვითარებას; დადგენილია ინოვაციური მენეჯმენტისა და მდგრადი განვითარების მჭიდრო ურთიერთკავშირი; კვლევის საფუძველზე გამოკვეთილია ქართველი მომხმარებლების მიერ ინოვაციური პროდუქციისა თუ მომსახურებით სარგებლობისა და დაინტერესების თავისებურებები;თეორიული მასალებისა და პრაქტიკული კვლევების საფუძველზე ჩამოყალიბებულია საქართველოში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებისათვის აუცილებელი ძირითადი რეკომენდაციები; კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. შემოთავაზებული წინადადებები და რეკომენდაციები ხელს უწყობენ ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებასა და სტიმულირებას საქართველოში.

ბოლო საუკუნეებში განხორციელებულმა ტექნოლოგიურ, მეცნიერულ თუ სხვა მიღწევებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვროა, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მოქალაქეთა აზროვნების ტრანსფორმაცია და დღეისათვის ფირმების მიერ მომხამრებელთა გაკვირვება ძალზედ რთულ ამოცანას წარმოადგენს. აღნიშულიდან გამომდინარე იზრდება მენეჯმენტის გამოწვევათა არეალი და ორგანიზაციების ერთ-ერთი გამოსავალი კონკურენტუნა-

რიანობის შესანარჩუნებლად იქცა სწორედ ინოვაციებზე დაფუძნებული მმართველობითი საქმიანობა - ინოვაციური მენეჯმენტი, რომლის გამოწვევათა არეალი ძალზედ ფართოა.

ინოვაციები გახლავთ უმთავრესი ხელშემწყობი ფაქტორი ქვეყანაში ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისათვის. მსოფლიო მასშტაბით წარმატებული ეკონომიკური სისტემები აქცენტს აკეთებენ ინოვაციურ ორგანიზაციებზე, ვინაიდან სწორედ მათგან ელიან ყველაზე დიდ შედეგებს, გლობალური კონკურენტუნარიანობის ზრდის თვალსაზრისით. ინოვაციებზე ორიენტირებული ორგანიზაციები ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ფართომასშტაბიანი სოციალური თუ ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრისათვის.

რა არის ინოვაციური მენეჯმენტის თანამედროვე გამოწვევები და ტენდენციები, რას უნდა აკმაყოფილებდეს ინოვაციური კომპანია. ამისათვის საჭიროა პირველ რიგში კომპანიისავის ინოვაციურობის, როგორც თვითმიზნად დასახვა ამტკიცებს თანამედროვე მკვლევარი ჯეფრი ბაუმგარტნერი. იგი თავის კვლევაში აღნიშნავს, რომ იმისათვის, რომ ორგანიზაცია იყოს ინოვაციური მას უნდა ჰქონდეს 7 აუცილებელი მახასიათებელი:

1. უნიკალური და რელევანტური სტრატეგია;
2. ინოვაცია, როგორც სტრატეგიული მიზნის მიღწევის საშუალება;
3. ინოვაციური მენეჯერები არიან ლიდერები;
4. ინოვატორი ადამიანების ჩამოყალიბება;
5. წარუმატებელი იდეების დაშვება/განხორციელება;
6. ურთიერთნდობის გარემო;
7. თანამშრომლებისადმი ინდივიდუალური მიდგომა;

ინოვაციების მნიშვნელობა თანამედროვე ბიზნესში უფრო და უფრო იზრდება. ინოვაცია კომპანიას საშუალებას აძლევს მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა, გაარღვიოს ბაზრის ბარიერები და სწრაფად დაიკავოს მოწინავე პოზიციები. ინოვაციების არსებობით საზოგადოება ვითარდება და აღწევს ცხოვრების უფრო მაღალ დონეს. ქვეყნებში არსებული ინოვაციების დონე ბოლო 12 წელია რაც გლობალური ინოვაციის ინდექსით (GII) იზომება. გლობალური ინოვაციის ინდექსი 7 მთავარი კომპონენტისგან შედგება. ესენია:

- ❖ ინსტიტუტები (პოლიტიკური გარემო; მარეგულირებელი გარემო; ბიზნეს
- ❖ გარემო.);
- ❖ ადამიანური კაპიტალი და კვლევა (ზოგადი განათლება; უმაღლესი განათლება; კვლევა და განვითარება.);
- ❖ ინფრასტრუქტურა (ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები; ზოდაგი ინფრას-ტრუქტურა; ეკოლოგიური მდგრადობა.);
- ❖ ბაზრის განვითარების დონე (კრედიტები; ინვესტიციები; ვაჭრობა; კონკურენცია და ბაზრის მასშტაბი);
- ❖ ბიზნესის განვითარების დონე (დასაქმებულთა ცოდნის დონე;
- ❖ ინოვაციისათვის საჭირო კავშირების არსებობა; ცოდნის მიღების შესაძლებლობა.);
- ❖ ცოდნა და ტექნოლოგიები (ცოდნის შექმნა; ცოდნის გავლენა ინოვაციების შექმნის პროცესში; ცოდნის გავრცელება.); შემოქმედებითობა (არამატერიალური აქტივები; შემოქმედებითი პროდუქტი და მომსახურება; ელექტრონული შემოქმედებითობა),

2018 წლის რეიტინგით, გლობალური ინოვაციის ინდექსის სიის სათავეში შვეიცარიაა, მას მოსდევს ჰოლანდია, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო, აშშ და სინგაპური. რაც შეეხება საქართველოს, 2018 წლის მონაცემებით, ქვეყანა გლობალური ინოვაციის ინდექსის რეიტინგში 59-ე ადგილს იკავებს 128 ქვეყანას შორის.თუ გლობალური ინოვაციის ინდექსის კომპონენტებს წლების მიხედვით გადავხედავთ, დავინახავთ, რომ 2016 წლიდან მოყოლებული საქართველოს რეიტინგი მზარდი დინამიკით ხასიათდება ადამიანური კაპიტალისა და კვლევის მიმართულებით. თუმცა, მიუხედავად დადებითი ტენდენციისა, აღნიშნულ კომპონენტში საქართველოს დაბალი შედეგი აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რეიტინგი 2018 წელს წინა წლებთან შედარებით

გაუმჯობესდა, ქვეყანა კვლავაც დიდი გამოწვევების წინაშე დგას. ვინაიდან, ქვეყანას დაბალი ქულები აქვს ისეთ კომპონენტებში, რაც გრძელვადიან პერიოდში ინოვაციური განვითარების ძირითად წყაროს წარმოადგენს.2016 წელს ინოვაციებისადმი ინტერესის წარმოუდგენელი ზრდა შეინიშნებოდა მსოფლიოს მასშტაბით. უამრავი ადამიანი მუშაობდა ინოვაციებზე, რათა დადებითი გავლენა მოეხდინა არამხოლოდ ეროვნულ, არამედ გლობალურ ეკონომიკაზე. ხოლო ქვეყნები სულ უფრო მეტ თანხებს ხარჯავდნენ ინოვაციური კვლევებისა და განვითარების მიმართულებით.

ევროკავშირი აფინანსებს სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებს, რომლებიც ახდენენ ინოვაციური სფეროს პოპულარიზაციას. მათ შორის აღსანიშნავია, „ჰორიზონტი 2020“, ეს არის უმსხვილესი პროგრამა ევროკავშირის ისტორიაში, რომელიც აფინანსებს ინოვაციების შემუშავების კვლევებს. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 80 მილიარდ ევროს, გაწერილია 7 წელზე.ინოვაციების შემუშავებაში განსაკუთრებული როლი აკისრიათ სასწავლო დაწესებულებებს, რომლებიც აწარმოებენ ცოდნას და ხელს უწყობენ მის გავრცელებას სტუდენტების მეშვეობით.

ახალი ფირმების შექმნა; თანამედროვე მკვლევარები გერტლერი და ვინოდრაი ხაზს უსვამენ უნივერსიტეტის სოციალურ პასუხისმგებლობას.ინოვაციური მენეჯმენტის გამოწვევების ძირითადი ამოცანაა შექმნას და გააძლიეროს ქცევის ნიმუშები, მოდელები, ინოვაციისათვის დადგენილი წესების იდენტიფიკაციისა და დამტკიცების გზით. ახალი მიზნები წარმოადგენენ მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ნაწილს, და ორიენტირებულნი არიან მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავ-შირებულ ელემენტზე: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა. მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები უნივერსალური გამოყენებისანი არიან, რადგან ითვალისწინებენ განსხვავებულ ეროვნულ თვისებებს, შესაძლებლობებს და განვითარების დონეს.ამრიგად, თანამედ-როვე ინოვაციური მენეჯმენტის გამოწვევები საკმაოდ მრავალფეროვანია.

შესაბამისად, თითოეული ინოვაციური პროცესი უნდა დაიგეგმოს ამ გამოწვევების გათვალისწინებით, რათა მაქსიმალურად პროგნოზირებადი გახდეს ამა თუ იმ ინოვაციის სოციალური და ეკონომიკური ეფექტი. ამასთან, გლობალური სამყაროს სოციალური გამოწვევები, როგორიცაა: ურბანიზაცია, დიგიტალიზაცია, კლიმატის ცვლილება, მოსახლეობის გადაბერება, ეპიდემიები და სხვა, თანამედროვე ორგანიზაციებს უყენებს მოთხოვნას დანერგონ ინოვაციები და გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები თავიანთი პროდუქციისა თუ მომსახურების წარმოების პროცესში.

უკანასკნელ წლებში მსოფლიო ბაზარზე არსებული კომპანიები უპირატესობას ინოვაციურ მენეჯმენტს ანიჭებენ, რადგან მენეჯმენტის პრინციპებისა და პროცესების ინოვაციას შეუძლია შექმნას გრძელვადიანი ხელსაყრელი პირობები და ამავდროულად კონკურენტუნარიან გარემოში მოახდინოს სასიკეთო ცვლილებები. ინოვაციური მენეჯმენტი ქმნის გრძელვადიან უპირატესობას, თუ იგი შეესაბამება კანონმდებლობას და თანამედროვე მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკურ სტანდარტებს, ასევე თუ სისტემურია და წარმოადგენს მეთოდებისა და პროცესების ერთობლიობას.

ნებისმიერი პრობლემის გადაჭრა, რომელიც თავს იჩენს ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების პერიოდში, მოითხოვს მენეჯმენტის პრინციპებისადმი ახლებურ მიდგომას. ორგანიზაციის ინოვაციური მენეჯმენტის მთავარი ამოცანაა უკეთესი მომსახურებისა და პროდუქციის წარმოება და მომხმარებლის სურვილების მაქსიმალურად დაკმაყოფილება მინიმალური დანახარჯებით, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ორგანიზაციის ეკონომიკური წარმატების მიღწევასა და კონკურენციაში პოზიციების გაუმჯობესებას.

დასკვნა

ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციის ინოვაციური საქმიანობის დაგეგმვა/განხორციელების ინტენსივობა პირდაპირ კავშირშია შესაბამისი ორგანიზაციის ინოვაციურ პოტენციალთან. აქედან გამომდინარე, იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ინოვაციებით უნდა შეისწავ-ლონ თავიანთი ინოვაციური პოტენციალი. ამ კუთხით საქართველოში არსებული ვითარება მნიშვნელოვნად ასუსტებს ქვეყანაში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების პერსპექტივებს, ინოვაციური მენეჯმენტის ეფექტიანობაზე უდიდეს გავლენას ახდენს კონკრეტული ორგანიზაციის

ინოვაციური პოლიტიკა. იმისათვის, რომ ქვეყანაში ინოვაციურ მენეჯმენტს ჰქონდეს პერსპექტივები, შესაბამის ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეს ინოვაციური პოლიტიკა, სტრატეგიული დოკუმენტის, სამოქმედო გეგმის სახით, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს იმ პრიორიტეტულ მიმართულებებს, სადაც არსებული პოტენციალით შესაძლებელი იქნება ინოვაციური პროცესების განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქოქიაური... 2018: ქოქიაური ლ., ქოქიაური ნ., გეჩბაია ბ., ,,ინოვაციური ეკონომიკა", გამომცემლობა,,კალმოსანი",თბილისი ბათუმი, 2018;
2. ქოქიაური, 2016 : ქოქიაური ლ.;, ინოვაციები. თბ.2016;
3. აბრალავა, 2014: აბრალავა.ა., ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ- ინოვაციური პრობლემები. მონოგრაფია. თბ., 2014. გვ. 33-34.
4. დუშუაშვილი, 2016: დუშუაშვილი თ.;, გლობალური ინოვაციის ინდექსი და საქართველო, ჟურნალი ფორბსი;
5. მარგველაშვილი, 2016,მარგველაშვილი ქ.; „სამთავრობო ინოვაცია და ინოვაციების დიფუზია", ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში, 2016წელი.
6. Innovation…: official website http://www.innovation-cities.com/innovationcities-index-2016-2017-global/9774
7. სამინისტრო... B:საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ოფიციალური ვებგვერდი http://www.economy.ge/
8. Management: The Seven Essential Characteristics of Innovative Companies official website http://www.innovationmanagement.se /2012/12/18/the-seven-essential-characteristics-of-innovative- companies/

Contemporary trends and challenges of innovative management

Tamar Kajaia
Associate Professor of Technical University of Georgia
Zhana Balakhashvili
Assistant Professor of Technical University of Georgia
Dugladze Andro
Master of Business Technology Faculty

Abstract

This issue is relevant, the ongoing scientific and technological progress in the world and the emphasis on innovation by organizations operating in various fields is directly related to the competitiveness of Georgian products and services. Both on the domestic and international market. In order for Georgian products to meet the modern challenges of the economy with appropriate preparation, there is a need for a complex study of modern innovative laws necessary to increase the effectiveness of management and a constant research of the experience of countries with innovative economies and successful companies. The main issue of the research is the main features of optimizing the process of formation of innovative management in private and state organizations in Georgia. The formation of an innovative policy and its subsequent successful management is an important task for the management of any organization. The uniqueness of innovative management lies in the fact that the area of its competitiveness is very extensive and is not limited to any specific field. A manager who successfully develops innovative processes in his organization may become the center of world attention, because in the conditions when humanity faces many important challenges, People wait with hope for the implementation of each innovative idea. We hear innovation everywhere where creative activity is taking place.

ადგილობრივი შრომის ბაზარი და მისი გავლენა პროფესიულ განათლებაზე საქართველოში

ქაჯაია თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

ხარხელაური ხათუნა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

საქართველოს ხელისუფლების უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ძლიერი განათლების სისტემის ფორმირება, რომელიც ქვეყანას რიგი პრობლემების დაძლევაში დაეხმარება. ამ მხრივ, უმნიშვნელოვანესია მისი ერთერთი შემადგენელი ნაწილის, პროფესიული განათლების სისტემის სრულყოფა, რადგან სწორედ პროფესიული განათლებაა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, წინსვლისა და გაძლიერების ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტი.

იმისთვის, რომ ქვეყანას ჰქონდეს ხარისხიანი, ბიზნესისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე დაფუძნებული და მასზე მორგებული პროფესიული განათლების სისტემა, რომელსაც შეეძლება გამოწვევებზე დაუყონებლივი რეაგირება და მათთან გამკლავება, აუცილებელია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროფესიული განათლების ადაპტაცია, საჯარო-კერძო პარტნიორობის როლისა და ჩართულობის გაძლიერება, სწავლების ფორმებისა და მეთოდების განახლება - დანერგვის მექანიზმების ერთობლიობის შემუშავება, რაც საბოლოოდ პროფესიული განათლების სახელმწიფო მართვის სისტემის სრულყოფას ნიშნავს.

საკვანძო სიტყვები: შრომის ბაზარი, პროფესიული განათლება

ძირითადი ტექსტი

პროფესიული განათლების უმთავრესი ამოცანაა, მოამზადოს კვალიფიციური, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროფესიონალი კადრი. ეს არის სისტემა, რომლის კურსდამთავრებული უმოკლესი გზით მიდის დასაქმებისაკენ. სწავლება ხორციელდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობითა და თანამონაწილეობით.

პროფესიული განათლება საშუალებას იძლევა ნებისმიერმა ადამიანმა განავითაროს/გამოავლინოს/შეიძინოს, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული პროფესიული უნარ-ჩვევები, რაც თავის მხრივ, წარმატებით დასაქმების საშუალებას იძლევა.

2021 წელს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში1 875 დამსაქმებლის მიერ დარეგისტრირდა 11,414 ვაკანსია, რაც საშუალოდ ერთ დამსაქმებელზე 13 ვაკანსიას შეადგენს. ვაკანსიების უმრავლესობა განეკუთვნებოდა: მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს (39%), დამწყები კვალიფიკაციის (26%), ხელოსნებისა (21%) და სამრეწველო დანადგარების ოპერატორების (6%) ძირითად პროფესიულ ჯგუფებს. შესაბამისად, ვაკანსიების უმრავლესობაზე საკვალიფიკაციო მოთხოვნა ითვალისწინებდა საშუალო (46%) და **პროფესიულ (42%) განათლებას** დასაკმაოდ მცირეა უმაღლეს განათლებაზე მოთხოვნის მქონე ვაკანსიების (6%) ხვედრითი წილი. ძირითადი პროფესიული ჯგუფების მსგავსად სისტემაში შემოსული ვაკანსიების მხრივ ლიდერობენ: ვაჭრობის (31%), სხვა სახის მომსახურების (18%), ტურიზმისა (15%) და მშენებლობის (9%) სექტორები. (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2022)

შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც თავისმხრივ ეფუძნება დასაქმების ორი სააგენტოს Worknet-ისა[2] და HR.GE[1] -ის გადამუშავებულ ინფორმაციას, ჩვენ

---

[1] *წარმოადგენს „ერთი ფანჯრის“ პრინციპზე შექმნილ საჯარო ვებ-პორტალს, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა მომხმარებლისათვის განახლებული ინფორმაციის მიწოდებას ქვეყანაში შრომის ბაზრის ტენდენციებზე, კარიერულ დაგეგმვასა და პროფესიებზე.*

[2] *დასაქმების სახელმწიფო სააგენტო*

შეგვიძლია საერთო სურათი შევქმნათ შრომის ბაზერზე არსებული ვაკანსიებისა და მათზე საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოცემული ინფორმაცია დაჯგუფებულია დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO 08) ძირითადი ჯგუფების მიხედვით. (შრომის საერთაშორისო ბიურო, 2012) რადგან მონაცემების ანალიზის დროს გამოიყენება აღნიშნული კლასიფიკატორის კრიტერიუმები, აუცილებელია თვითონ ვანკიების ანალიზის დროს, დამსაქმებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც შესადარისი იყოს დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის კრირერიუმებთან.

ISCO-08-ის მიხედვით, კვალიფიკაციის ორი განზომილება გამოიყენება ჯგუფებში პროფესიების გადასანაწილებლად. ესენია: კვალიფიკაციის დონე და კვალიფიკაციის სპეციალიზაცია. კვალიფიკაციის დონე განისაზღვრება, როგორც პროფესიის ფარგლებში შესრულებული ამოცანებისა და დავალებების სპექტრისა და სირთულის ფუნქცია. იგი იზომება შემდეგი ოპერატიული ფაქტორების მიხედვით: (1) პროფესიის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ხასიათით, რომელიც დაკავშირებულია ISCO-08-ის თითოეული კვალიფიკაციის დონისათვის განსაზღვრულ ტიპურ დავალებებსა და ამოცანებთან; (2) ფორმალური განათლების დონით, რომელიც განისაზღვრება განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორით (ISCED-97) (UNESCO, 1997) და რომელიც წარმოადგენს კონკრეტული ამოცანებისა და მოვალეობების კომპეტენტურად შესასრულებლად დადგენილ მოთხოვნას; (3) არაფორმალური, სამსახურის პირობებში ტრენინგების რაოდენობითა და შესაბამისი პროფესიის ფარგლებში წარსული გამოცდილებით, რომელიც საჭიროა აღნიშნული ამოცანებისა და მოვალეობების კომპეტენტურად შესასრულებლად.

აღნიშნული კლასიფიკატორით, ასევე განსაზღვრულია ISCO-ის კვალიფიკაციის ოთხი დონე და მათი განმარტებები.

ჩვენ ვამახვილებთ ყურადღებას კვალიფიკაციის მეორე დონეზე, სადაც გაერთიანებულია მანქანებისა და ელექტროტექნიკის გამოყენება, სატრანსპორტო საშუალების მართვა, ელექტრო და მექანიკური ტექნიკისა და აღჭურვილობის რემონტი და შეკეთება, ინფორმაციის დახარისხება, მოძიება და შენახვა. კვალიფიკაციის მეორე დონეზე, თითქმის ყველა პროფესიის შემთხვევაში, აუცილებელია ისეთი უნარების ქონა, როგორებიცაა: უსაფრთხოების ინსტრუქციებთან დაკავშირებული ინფორმაციის წაკითხვისა და შესრულებულ სამუშაოზე წერილობითი ანგარიშის შედგენის უნარი, აგრეთვე, მარტივი არითმეტიკული გამოთვლების შესაძლებლობა. კვალიფიკაციის ამ დონეზე ბევრი პროფესია მოითხოვს წიგნიერების შედარებით მაღალ დონეს, არითმეტიკულ და პროფესიული ურთიერთობების უნარებს. ამ დონეზე ზოგიერთი პროფესია მოითხოვს საშუალო განათლების დასრულების შემდეგ პროფესიული განათლების მიღებას (ISCED-97 დონე 4). ცალკეულ შემთხვევებში გამოცდილებამ და კვალიფიკაციის ასამაღლებელმა ტრენინგმა შესაძლებელია ჩაანაცვლოს ფორმალური განათლება. მეორე დონეზე კლასიფიცირებული პროფესიები მოიცავს ავტობუსის მძღოლებს, მდივნებს, ბუღალტრებს, მკერავებს, ტანსაცმლის დიზაინერებს, კონსულტანტ-გამყიდველებს, პოლიციის ოფიცრებს, პარიკმახერებს, შენობის ელექტრიკოსებსა და ავტომობილების მექანიკოსებს. (შრომის საერთაშორისო ბიურო, 2012). ამავე დოკუმენტში, ISCO-08-ის ძირითადი ჯგუფებისა კვალიფიკაციის დონეებს შორის შესაბამისობის მიხედვით კვალიფიკაციის მეორე დონეს შეესაბამება მე-4 ოფისის დამხმარე პერსონალი; მე-5 მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს სპეციალისტები, მე-6 სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სპეციალისტები; და მე-7 ხელოსნები და მონათესავე სფეროს მუშები, და მე-8 სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები - ძირითადი ჯგუფები. სწორედ ამ ჯგუფების მიხედვითაა ზემოთ მოყვანილი ორი სააგენტოს მიერ დამუშავებული ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ.

[1] "დასაქმების სააგენტო ეიჩარი"

დიაგრამა 1. Worknet: დასაქმების სახელმწიფო სააგენტოში შემოსული ვაკანსიები დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO 08) ძირითადი ჯგუფების მიხედვით



წყარო: (შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა, 2023)

დიაგრამა 2. HR.GE: განთავსებული ვაკანსიების რაოდენობა დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO 08) ძირითადი ჯგუფების მიხედვით 2019-2021



წყარო: (შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა, 2023)

ტექნიკოსებსა და დამხმარე სპეციალისტებზე (მე-3 ძირითადი ჯგუფი) მოთხოვნა აერთიანებს

ვაკანსიებს: ბიზნესის, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ჯანდაცვის, სამეცნიერო და სამართლის დამხმარე სპეციალისტების კუთხით. მაღალია საკვალიფიკაციო მოთხოვნა ტექნიკოსების ძირითადი პროფესიული ჯგუფის ვაკანსიებზე. (3 წლიანი ფორმალური განათლება უდს-ში) შესაბამისად, ვაკანსიებიც მოითხოვს სამუშაოს მაძიებლებისგან გამოცდილებასა და მაღალი დონის უნარებს. ტექნიკოსების ძირითადი პროფესიული ჯგუფიდან ყველაზე დიდია მოხოვნა ბიზნესისა და ადმინისტრირების დამხმარე სპეციალისტებზე (74%), რომელთაგან აღსანიშნავია: კომერციული გაყიდვების წარმომადგენლები (53%), საკრედიტო და სესხის ოფიცრები (17%) და ოფისის ზედამხედველები (12%). აღნიშნული ქვეჯგუფიდან ვაკანსიების სიმრავლით გამოირჩევა ასევე სადაზღვევო წარმომადგენლების (5%), უძრავი ქონების აგენტების (5%), შემსყიდველებისა (4%) და საბუღალტრო სფეროს სპეციალისტების (3%) ელემენტარული პროფესიული ჯგუფები.

სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორების ძირითადი პროფესიულ ჯგუფზე საკვალიფიკაციო მოთხოვნა მოითხოვს პროფესიულ განათლებას. აღნიშნული ძირითადი ჯგუფიდან ვაკანსიები მრავლად არის მდგრადი სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორებზე, რომელთა შრომა უკავშირდება წარმოების ხაზთან მუშაობას (61%), ლითონისა (28%) და ქაღალდის (10%) დანადგარების ოპერირებას. (დასაქმების სააგენტო ეიჩარი HR.GE, 2023)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით (პროფესიული განათლება, 2023) დთღეისთვის მოქმედებს საკვალიფიკაციო (620) სასერტიფიკატო (409) პროფესიული გაანათლების პროგრამა. აღნიშნულ პროგრამებს ანხორციელებენ სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებები:

ცხრილი 1. პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები

		სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი	კუმულაციური პროცენტი
Valid	ავტორიზებული კერძო პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯი	35	46.7	46.7	46.7
	ავტორიზებული სახელმწიფო კოლეჯი	19	25.3	25.3	72.0
	პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება	2	2.7	2.7	74.7
	პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	12	16.0	16.0	90.7
	სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კოლეჯი	7	9.3	9.3	100.0
	სულ	75	100.0	100.0	

წყარო: (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2023)

აღნიშნული ჩამონათვალიდან შემთხვევითი შერჩევით შევარჩიეთ 10 ორგნიზანიზაცია და შევისწავლეთ მათ მიერ განხორციელებული პროფესიული პროგრამები. შერჩეული კოლეჯებიდან რვა ძირითადად ანხორციელებს ვიწრო სფეროს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს: ა(ა)იპ - კოლეჯი „იკაროსი“ კულინარიისა და სარესტორნო მომსახურების მიმართულებით; შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი Natali academy - ვზაჟისტისა და სტილისტის, ფრჩხილის, თმისა და კანის მოვლის მიმართულებით; შპს - საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი „ეკვატორი“ და შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი რიგიგითი მეზღვაურების მოზადების მიმართულებით; შპს - „სიო“ და შპს - კოლეჯი მესამე სამედიცინო ანხორციელებენ საექთნო, შინ მოვლისა და ფარმაციის პროგრამებს, შპს - იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი მხოლოდ „საფინანსო სერვისების“ პროგრამას, შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი კი საჰაერო ხომალდის პილოტისა და ტექნიკური მომსახურების სპეციალისტის მომზადების პროგრამებს.

ორი საგანმანათლებლო დაწესებულება სსიპ - კოლეჯი „სპექტრი“ და სსიპ - კოლეჯი „თეთ-ნულდი“ ანხორციელებენ სხვადასხვა საინჟინრო და საამშენებლო მიმართულების პროფესიულ პროგ-რამებს, რომლებიც შრომის ბაზრის ზემოთ განხილულ ანალიზურ მაჩვენებლების ჩამონათვალშია.

ბოლო პერიოდში ქვეყანაში შრომის ბაზრის საკითხებზე ჩატარებულმა სხვადასხვა კვლევებმა შეისწავლეს დამსაქმებლებისა და საზოგადოების დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ. ამასთან, გამოავლინეს სირთულეები სამუშაო ძალის მოძიების მხრივ, პროფესიული ჯგუფების მიმართ, როგორც მაღალი, ასევე დაბალი საკვალიფიკაციო მოთხოვნით. დასაქმების სირთულეები განპირობებულია ერთი მხრივ სამუშაო ადგილების ნაკლებობით (განსაკუთრებით რეგიონებში), ხოლო მეორე მხრივ შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების მქონე კადრების ნაკლებობით. აღნიშნულს თან ახლავს შიდა და გარე ფაქტორებით განპირობებული გლობალური ტენდენციები. კერძოდ, გაზრდილი მიგრაციის შესაძლებლობები, დემოგრაფიული ცვლილებები, სამუშაოს ორგანიზების ახლებური მოწყობა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენება.

დამსაქმებელთა უმრავლესობა პროფესიულ განათლებას მნიშვნელოვნად მიიჩნევს როგორც კომპანიის საქმიანობის, ასევე ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებისა და ეკონომიკის გაძლიერების მხრივ. მიუხედავად ასეთი პოზიტიური განწყობისა, საკმაოდ მოკრძალებულია დამსაქმებლებსა და პროფესიულ სასწავლებლებს შორის თანამშრომლობის ხარისხი, რაც მათი მხრივ აიხსნება ინფორმაციის ნაკლებობით, ვიწრო სპეციალობის შემსწავლელი პროგრამების არარსებობით, პროფესიული განათლების ნაკლები პრესტიჟულობითა და კომპანიაში შესაბამისი ადამიანური რესურსის სიმწირით. კომპანიები ასევე თვლიან, რომ თანამშრომლობის ინიცირება პროფესიული სასწავლებლებისგან უნდა მოდიოდეს და უკავშირდებოდეს პროგრამებსა და სხვადასხვა შესაძლებლობებზე მათ ინფორმირებას. დამსაქმებლების შეფასებით პროფესიული განათლება მეტ-ნაკლებად პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. თუმცა ამავდროულად მიაჩნიათ, რომ იგი არის პროფესიის სწრაფად დაუფლებისა და დასაქმების შესაძლებლობა. დამსაქმებელებმა დადებითად შეაფასეს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ფინანსური და გეოგრაფიული თვალსაზრისით. ამასთან, მათ გამოკვეთეს ის გამოწვევები, რაც უკავშირდება ახალგაზრდების მიერ პროფესიული განათლების არჩევას და სამუშაოს დაწყების სურვილს. გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ისინი ვინც არჩევანს პროფესიულ განათლებაზე აკეთებენ, მათ ნაკლებად აქვთ გააზრებული პროფესიები და დასაქმების შესაძლებლობები. ხშირად პროფესიის არჩევა არ უკავშირდება საკუთარ ინტერესებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც პროფესიული სასწავლებლის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკის გავლის შემდეგ არ თანხმდებიან შემოთავაზებულ სამსახურს. დაბალი მოტივაცია შესაძლოა უკავშირდებოდეს ანაზღაურებასთან დაკავშირებულ მოლოდინებს. დაბალ ანაზღაურებასთან ერთად კადრების მოძიების პრობლემა დაკავშირებულია ქვეყნიდან სამუშაო ძალის გადინებასთან. კვლევამ აჩვენა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ნაკლებად სახელდება პროფესიული განათლება და დამსაქმებლები უთითებენ უმაღლეს განათლებას იმ პოზიციებზე, სადაც ამის საჭიროება არ არსებობს. აღნიშნული საკმაოდ ამცირებს პროფესიული განათლების პოპულარობას. მიმდინარე ეტაპზე, ჯერ კიდევ პროფესიული განათლების სისტემა არ არის სრულად ორიენტირებული შრომის ბაზარზე და ცვალებად საჭიროებებზე.

დასკვნა

შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროფესიული განათლების შესაბამისობა, თავსებადობა სისტემის ერთ-ერთი პრიორიტეტია – დამსაქმებელი თავად ირჩევს რა უნარებისა და კომპენტეციების კადრები სჭირდება მას. უმჯობესია, სახელმწიფო თუ უფრო მეტ მატერიალურ რესურს გამოყოფს, ეცდება დამსაქმებლების მოზიდვას, შეიმუშავებს მათი წახალისების მექანიზმებს, უზრუნველყოფს მათ კვალიფიციური კადრებით, ვინაიდან კვლავ პრობლემად რჩება დამსაქმებლების პასიური ჩართულობა განათლების ამ მიმართულების განვითარებაში. სასურველია ჩაატაროს სისტემური ხასიათის კვლევები, რომლებიც დაეხმარება მათ, უკეთ განსაზღვრონ შრომის ბაზრის მოთხოვნები და შესაბამისად მოამზადონ პროფესიული სტუდენტები. სახელმწიფო განსაკუთრებული ყურადღებით

უნდა მოეკიდოს პროფესიული განათლების სისტემას, რათა პროფესიულმა განათლებამ ეფექტურად შეძლოს შესაბამისი კვალიფიციური კადრებით შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება და უზრუნველყოფა.

ბიბლიოგრაფია

1. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP). (2020). 2019 წლის პროფესიული საგანმანათ-ლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში (Tracer Study). თბილისი.
2. დასაქმების სააგენტო ეიჩარი HR.GE. (2023, მაისი). დასაქმების სააგენტო ეიჩარი. Retrieved from HR.GE: https://www.hr.ge/
3. პროფესიული განათლება. (2023). პროფესიული განათლება. Retrieved from პროგრამები: https://vet.ge/ge/programs
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2023, მარტი 31). პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები. Retrieved from საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო: https://mes.gov.ge/content.php?id=215&lang=geo
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2022). საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2022. თბილისი: შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა - დაგეგმე მომავალი. Retrieved from შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა - დაგეგმე მომავალი: http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=6d62d354-2f42-4614-9038-fdaea4c0d13d
6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2022). უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა. თბილისი.
7. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა. (2023, მაისი). ვაკანსიები და დასაქმება. Retrieved from შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა - დაგეგმე მომავალი: http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Default.aspx
8. შრომის საერთაშორისო ბიურო. (2012). პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ISCO-08. ჟენევა: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO),.

Local labor market and its impact on vocational education in Georgia

Tamari Kajaia
Georgian Technical University Associate Professor
Khatuna Kharkhelauri
Georgian Technical University Associate Professor

Abstract

The main priority of the Georgian government is the formation of a strong education

system, which will help the country overcome a number of problems. In this regard, it is very important to improve one of its constituent parts, the system of professional education, because it is professional education that is the most effective tool for socio-economic development, progress and strengthening of the country.

In order for the country to have a quality professional education system based on business and labor market requirements and adapted to it, which will be able to immediately respond to challenges and deal with them, it is necessary to adapt professional education to the requirements of the labor market, strengthen the role and involvement of public-private partnerships, education forms and methods Renewal - development of a set of implementation mechanisms, which ultimately means perfecting the state management system of vocational education.

იაკობ ფანცხავას წერილი გიორგი წერეთელს გარდაცვალებასთან დაკავშირებით

ქაჯაია მანანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

გიორგი წერეთელი XIX საუკუნის დიდი ქართველი მწერალია. კრიტიკული აზრის განვითარების ისტორიისათვის გარკვეული ღირებულება აქვს მწერლის გარდაცვალების გამო წარმოთქმულ სიტყვებსა და გამოქვეყნებულ წერილებს, რომლებიც ფაქტობრივად მწერლისადმი თანამედროვეთა დამოკიდებულებების ერთგვარ შეჯამებებს შეიცავს.

გიორგი წერეთლის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო დღეებში დაბეჭდილი წერილები გარკვეული პათოსით გამოირჩევა და საყურადღებო მომენტს შეიცავენ.

გიორგი წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ფოთში სიტყვა წარმოუთქვამს იაკობ ფანცხავას - ცნობილ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, რომელიც ილიას „ივერიამ“ დაბეჭდა 1900 წ.

ი. ფანცხავა საუბრისას მეტად საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს მხატვრული ლიტერატურის, კერძოდ, საერთო მწერლობის დანიშნულებაზე.

ი. ფანცხავას აზრით, გიორგი წერეთელი, უპირველეს ყოვლისა, მაინც ბელეტრისტი იყო, რადგან მის პროზაულ ნაწარმოებებს „ეტყობა ღრმა დაკვირვებითი ნიჭი, ოდნავ დამცინავი, შემპარავი კილო, დიდი ცოდნა ჩვენი ერის ყოველდღიური ცხოვრებისა, მისი ზნე-ჩვეულებებისა და ცრუმორწმუ-ნეობისა“. მართლაც, არ შეიძლება დავეთანხმოთ კრიტიკოსის ამ შეფასებას, ვინაიდან „მამიდა ასმათის“, „რუხი მგელისა“ და გ. წერეთლის სხვა ნაწარმოებთა ფურცლებმა ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულებითი ცოცხალი მხატვრული მატიანე შექმნეს.

კრიტიკოსი ღრმად აანალიზებს „ჩვენი ცხოვრების ყვავილის“ მთავარი გმირის სახეს. მისი აზრით, დიტო თავად გიორგი წერეთლის პროტოტიპია.

კრიტიკოსი მაღალ შეფასებას მწერლის გმირებს შორის, მართლაც მშვენივრად, იმერული კოლორიტით დახატულ კუდაბზიკასა და ბახვა ფულავას რთულ, დინამიკურ ჭრილში მოცემულ სახეებს აძლევს.

ი. ფანცხავა დიდ ყურადღებას უთმობს გ. წერეთლის დაინტერესებას ბუნებისმეტყველებით და აღნიშნავს მის დამსახურებას ქართული ბიოლოგიური ტერმინების შექმნაში. საქართველოს ისტორიის შესწავლას. იგი დიდ ყურადღებას უთმობს გ. წერეთლის ჟურნალისტურ მოღვაწეობას. მისი რედაქტორობით გაზეთ „დროების“ გამოსვლას, „სასოფლო გაზეთის“ დაარსებას.

კრიტიკოსი ასევე აფასებს ჟურნალ „კრებულის“ როლს ჟურნალისტიკისა და მკითხველის საზოგადოებრივი ჩამოყალიბების საქმეში. კრიტიკოსის აზრით, პერიოდულმა გამოცემებმა ხელი შეუწყო ეროვნული ცნობიერების ამაღლებას.

საკვანძო სიტყვები: ისტორია, ცნობიერება, სიტყვა, მოღვაწე, ბელეტრისტი.

ძირითადი ტექსტი

კრიტიკული აზრის განვითარების ისტორიისატვის გარკვეული ღირებულება აქვს ამა თუ იმ მწერლის გარდაცვალების გამო წარმოთქმულ სიტყვებსა და გამოქვეყნებულ წერილებს, რომლებიც ფაქტობრივად მწერლისადმი თანამედროვეთა დამოკიდებულებების ერთგვარ შეჯამებებს შეიცავს. ეს აზრი, ბუნებრივია, ვრცელდება გ. წერეთლის გარდაცვალების დღეებში წარმოთქმულ სიტყვებსა თუ სტატიებზე. გიორგი წერეთლის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო დღეებში დაბეჭდილი წერილები გარკვეული პათოსით გამოირჩევა, ისინი მაინც მთელ რიგ საყურადღებო მომენტს შეიცავენ.

გიორგი წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, როგორც ირკვევა, ფოთში სიტყვა წარმოუთქვამს იაკობ ფანცხავას - ცნობილ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, რომელიც ილიას „ივერიამ“ დაბეჭდა.

ჩვენი აზრით, გ. წერეტლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით წარმოთქმულ ამ სიტყვებში

საინტერესოა არა მარტო ი. ფანცხავას მიერ გ. წერეტლის მოღვაწეობისა და შემოქმედების შეფასება, არამედ თავად ამ შეფასების სტილი და, აქედან გამომდინარე, ავტორის ცხოვრებისეული კონცეფცია, რადგან იგი იმ პერიოდში ინტელიგენციის გარკვეული ფენის აზროვნებისათვის დამახასიათებელ მომენტებს შეიცავს.

გიორგი წერეთლის შემოქმედებით გზის დასაწყისზე საუბრისას ორატორი მეტად საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს მხატვრული ლიტერატურის, კერძოდ, საერთო მწერლობის დანიშნულებაზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოებაც, როგორც სხვადასხვა სახის მასალის შესწავლამ გვიჩვენა, თანამედროვენი ხშირ შემთხვევაში, მკვეთრად არ მიჯნავდნენ გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძისა და ილია ჭავჭავაძის აზროვნების სტილსა და მოღვაწეობის მიზნებს, რასაც ჩვენი აზრით, მათი მისწრაფებების სწორედ გაგება ედო საფუძვლად.

იაკობ ფანცხავა საზოგადო და სამწერლო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსვლის ხანას ილიას ორი ლექსით „ელეგია“ და „მას აქეთ რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“ ახასიათებს, რაც, ვფიქრობთ, თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ, კრიტიკოსის აზრით, ილიაცა და გიორგი წერეთელიც ერთი დიდი ისტორიული პროცესის მონაწილენი იყვნენ.

მიუხედავად გიორგი წერეთლის მრავალმხრივი მოღვაწეობისა, ი. ფანცხავას აზრით, იგი, უპირველეს ყოვლისა მაინც ბელეტრისტი იყო, რადგან მის პროზაულ ნაწარმოებებს: „ეტყობა ღრმა, დაკვირვებითი ნიჭი, ოდნავ დამცინავი, შემპარავი კილო, დიდი ცოდნა ჩვენი ერის ყოველდღიური ცხოვრებისა, მისი ზნე-ჩვეულებისა და ცრუმორწმუნეობისა“.

მართლაც, არ შეიძლება დავეთანხმოთ კრიტიკოსის ამ შეფასებას, ვინაიდან „მამიდა ასმათის“, „რუხი მგლისა“ და გიორგი წერეთლის სხვა ნაწარმოებთა ფურცლებმა ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულებითი ცოცხალი მხატვრული მატიანე შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მისი თანამედროვე კრიტიკოსი უარყოფითად აფასებდა გიორგი წერეთლის პროზის მხატვრულ ღირსებას, განვლილმა დრომ ნათელყო, რომ მწერლის შემოქმედებას ნამდვილად გააჩნია მხატვრული ღირსებები და, ამასთან, ორიგინალობითა და ინდივიდუალურობით გამოირჩევა. სწორედ აქედან გამომდინარე, საყურადღებოდ მიგვაჩნია ი ფანცხავას მიერ მართებულად გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გიორგი წერეთელი „ცხოვრებაში ახალ ტიპებს აღმოაჩენს ხოლმე და ხასიათებს ქმნის“.

საინტერესოდ აანალიზებს კრიტიკოსი ვრცელი მოთხრობის „ჩვენი ცხოვრების ყვავილს“ მთავარი გმირის სახეს. მისი აზრით, დიტო თავად გიორგი წერეთლის პროტოტიპია, სიკეთით სავსე ახალგაზრდის, რომელსაც უკვე შეუსწავლია ძველი ქართული მწერლობა: „უკვე ძვალ-რბილში გაჯდომია ეროვნული თავმოყვარეობა“ და იგი წერეთელსავით გატაცებულია ბუნების მეცნიერებით: მისი სურვილია ქვეყანა და მსოფლიო შეისწავლოს, რათა ამით ვინძლო ბინა და ადგილი მოუძებნოს თავის სახატეს- სამშობლოს, თავის საყვარელ ერს“.

ჩვენი აზრით, ი. ფანცხავას ამ მსჯელობაში ძალიან საინტერესოა მის მიერ ეროვნული თავმოყვარეობის ჩამოყალიბების, ძველი ქართული მწერლობის შესწავლის დაკავშირება, რადგან, როგორც ცნობილია, XIX საუკუნის 60-იან წლებში, პეტერბურგის უნივერსიტეტს ქართველი სტუდენტები, რომელთა შორის შემდეგში გიორგი წერეთლის თანამებრძოლებიც იყვნენ, დავით ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით, ბატონიშვილთა ბიბლიოთეკაში დაცულ ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს გაეცნენ. ბუნებივრია, რომ ახალგაზრდებზე წარუშლელი კვალი დატოვა ძველი ქართული მწერლობის საფუძვლიანმა შესწავლამ, რაც, როგორც ჩანს აირეკლა გიორგი წერეთლის მოთხრობაში, და, ამასთან, ი. ფანცხავასაც შეუმჩნეველი არ დარჩა.

კრიტიკოსი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს მწერლის გმირებს შორის მართლაც მშვენივრად, იმერული კოლორიტით დახატულ კუდაბზიკასა და ბახვა ფულავას რთულ, დინამიკურ ჭრილში მოცემულ სახეებს. მისი აზრით: „ყველგან გამოსჭვივის გონიერი კაცის მსხეპავი, დამცინავი, ტუმცა მოსიყვარულე ნიჭი... ადვილად გასაგები და მოკლე სიტყვა ჰხიბლავს მკითხველს“.3

ი. ფანცხავას უყურადღებოდ არ დარჩა გიორგი წერეთლის განსაკუთრებული დაინტერესება ბუნე-ბისმეტყველებით და რაც მთავარია, მისი დამსახურება ქართული ბიოლოგიური ტერმინების შექმნაში.

როგორც საყურადღებოდ ცნობილია გიორგი წერეთელი საქართველოს ისტორიის შესწავლის

მიზნით საკმაოდ ბევრს მუშაობდა... ი. ფანცხავას აზრით, „თანამემამულეთ მოფხიზლიების მიზნით გიორგი წერეთელმა „ისტორიას მოკიდა ხელი, აქედან ამოიღო მოთხრობები საუკეთესო მოღვაწეთა შესახებ, რათა ამით ჩვენი მამა-პაპის სული და მხნეობა შთაენერგა თანამემამულეთა გულში.“1

მიუხედავად ამისა, რომ თავად კრიტიკოსს გ. წერეთელს ისტორიული ხასიათის შრომები მაღალ დონედ არ მიაჩნდა, იგი მაინც თვლის, მათ თავისი ფუნქცია შეასრულეს, რადგან მკითხველთა ფართო მასებში ისტორიისადმი ინტერესი გააღვიძეს და, ამდენად, კონკრეტული მომენტის ობიექტურ მოთხოვნებს უპასუხეს.

სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ ი.ფანცხავა დიდ ყურადღებას უთმობს გიორგი წერეთლის ჟურნალისტურ მოღვაწეობას, განსაკუთრებით კი მისი რედაქტორობით გაზეთ „დროების“ გამოსვლას. კრიტიკოსის მართებული მოსაზრებით, „დროება“ რეალურად უწყობდა ხელს ქართულ საზოგადოებაში ეროვნული შეგნების ამაღლებას და, ამასთან მასში მიმდინარე სოციალურ ცვლილებებსაც ასახავდა.

საყურადღებოა, რომ ი. ფანცხავა გიორგი წერეთლის ჟურნალისტური მოღვაწეობის ერთ-ერთ აშკარა გამარჯვებად მის მიერ „სასოფლო გაზეთის“ დაარსებას მიიჩნევს.

ამ გაზეთის გაშლის მუშაობაში იხატებოდა: „გიორგი წერეთლის ვრცელი, იდუმალი და შორეული მისწრაფება, რომელიც მაშინაც და ეხლაც ფრიად სახიფათო საქმეს წარმოადგენს“.2

ი. ფანცხავას მიერ ერთგვარად გადაჭარბებულად არის შეფასებული ჟურნალ „კრებულის“ როლი ქართული ჟურნალისტიკისა და მკითხველის საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორი ფაქტობრივად სწორედ აფასებს გ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობას „კრებულში“ და მათი შრომის შედეგად მიიჩნევს იმ ხანებში საქართველოში პერიოდულ გამოცემათა საქმის წარმატებას, რამაც თავის მხრივ კრიტიკოსის მართებული მოსაზრებით, დიდად შეუწყო ხელი ეროვნული ცნობიერების ამაღლებას.

Iakob Pantskhava's Letter Regarding the Death of Giorgi Tsereteli

Manana Kajaia
Georgian Technical University

ABSTRACT

Giorgi Tsereteli is a great Georgian writer of the 19th century. For the history of the development of critical thought, the speeches and published letters regarding the death of the writer have a certain value, which actually contain a kind of summaries of the attitudes of contemporaries towards the writer.

The letters printed on the days of mourning dedicated to the memory of Giorgi Tsereteli are distinguished by a certain pathos and contain noteworthy moments.

In connection with the death of Giorgi Tsereteli, Iakob Fanskhava - a famous teacher and public figure, gave a speech in Poti, which was published in Ilia's "Iveria" in 1900.

In his speech, Iakob Fantskhava expresses very interesting opinions about the purpose of fiction, in particular, of general writing.

According to Iakob Fantskhava, Giorgi Tsereteli was, first of all, a fiction writer, because his prose works "clearly show that he has a deep observational talent, a slightly mocking, stealthy tone, a great knowledge of the daily life of our nation, its customs and superstitions". Indeed, we cannot agree with this assessment of the critic, since the pages of "Aunt Asmat", "Grey Wolf" and other works of Giorgi Tsereteli created a living artistic chronicle on the basis of the morals of our people.The critic deeply analyzes the main character of "The Flower of Our Life". In his opinion, he is the prototype of Giorgi Tsereteli himself.

Among the characters of the writer, the critic gives high appraisement to the self-conceited character, described with a beautiful Imeretian accent, and to the character of Bakhva Pulava, given in a complex, dynamic way.

Iakob Fantskhava pays a lot of attention to Giorgi Tsereteli's interest in natural science and mentions his merit in the creation of Georgian biological terms.

The critic also appreciates the role of the magazine "Collection" in journalism and in the public formation of readers. According to the critic, periodicals helped raise national awareness.

Keywords: History, consciousness, word, figure, novelist

მოტივაციის გავლენა შრომის ეფექტიანობაზე

ქაჯაია თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებულო პროფესორი

ჯავშანაშვილი გიგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრი

აბსტრაქტი

მოტივაცია მენეჯმენტის ფუნქციებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ნებისმიერ ორგანიზაციაში თანამშრომელთა მოტივაცია არის ორგანიზაციის განვითარების და წინსვლის უმნიშვნელოვანესი პროცესი. თავად ცნება „მოტივაცია“ ლათინური ენიდან მომდინარეობს, სიტყვიდან - movere, რაც მიზნისკენ სწრაფვას, მოძრაობას ნიშნავს.

სწორედ ამ ცნებებს უკავშირდება თანამედროვე განმარტებითაც მოტივაცია. ეს არის ერთგვარი მამოძრავებელი ძალა, რაც ადამიანს აძლევს სტიმულს, უბიძგებს რაიმე მოქმედებისკენ. ნებისმიერი მენეჯერისთვის მნიშვნელოვანია მოტივაციის არა ზოგადი, არამედ მენეჯმენტის კუთხით განხილვა, რაც უშუალოდ სამუშაო გარემოსა და დასაქმებულებს უკავშირდება. მოტივაცია უზრუნველყოფს დასაქმებულებსა და დამსაქმებელს შორის კომუნიკაციისა და ჯანსაღი, საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. სხვადასხვა კვლევებისა და დაკვირვების საფუძველზე დგინდება, რომ სხვადასხვა მასტიმულირებელი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება დადებით გავლენას ახდენს დასაქმებულთა სამუშაოს შესრულების ხარისხზე, ზრდის თითოეული მათგანის შრომის პროდუქ-ტიულობას და ეხმარება მენეჯმენტს მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევაში. ორგანიზაციებს, რომლებიც აქტიურად მიმართავენ სამოტივაციო ღონისძიებებს დასაქმებულთა მიმართ, წარმატების მეტი შანსები აქვთ, რადგან ჰყავთ ერთგული და სტაბილური თანამშრომლები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული საერთო მიზნების მიღწევაში. მოტივაციის ფუნქციის განხორციელება მომგებიანია ნებისმიერი ორგანიზაციისათვის. მთავარია, მენეჯერებმა გაითვალისწინონ გარკვეული რეკომენდა-ციები და შეძლონ მოტივაციის პროცესის სწორად წარმართვა.

საკვანძო სიტყვები: მოტივაცია, მენეჯმენტი, ეფექტიანობა.

ძირითადი ტექსტი

მოტივაციის ერთი კონკრეტული განმარტება არ არსებობს. სხვადასხვა მეცნიერები განსხვავებულ განმარტებებს გვაწვდიან და სხვადასხვა ასპექტებზე აკეთებენ აქცენტებს მოტივაციის არსის ახსნისას, თუმცა არსებობს ზოგადი გაგება, რაზეც ყველა თანხმდება.

მოტივაცია საყოველთაო პროცესია, ვრცელდება ყველა ადამიანზე განურჩევლად მათი განსხვავებებისა, ის ადამიანებს აძლევს მამოძრავებელ ძალას, გააკეთონ კონკრეტული საქმე. შეიძლება ითქვას, რომ მოტივაცია ერთგვარი შთაგონების წყაროა. არ არსებობს ადამიანი, რომელზეც ეს ფაქტორი გავლენას არ ახდენს. თუმცა, რა თქმა უნდა, თავად პროცესი ყველა ინდივიდზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს. აქედან გამომდინარე, მოტივაციის არსითა და მნიშვნელობით ადრევე დაინტერესდნენ მეცნიერები და დღემდე მრავალი თეორია არსებობს მოტივაციის შესახებ. მოტივაციის შესახებ თეორიები უძველესი დროიდან იღებს სათავეს. მსგავსი ტიპის თეორიები არსებობდა ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში, სადაც ჰედონიზმზე საუბრობდნენ. ჰედონიზმი ეთიკის ერთ-ერთი მიმდინარეობაა, რომელიც ბერძნული სიტყვიდან მოდის და ამ მიმდინარეობის მიხედვით, ცხოვრების მიზანს უდიდესი სიამოვნება წარმოადგენს. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში ფიქრობდნენ, რომ ადამიანები თავიანთ ენერგიას სიამოვნების მიღებისათვის და ტკივილისაგან თავის ასარიდებლად მიმართავენ, სადაც გარკვეულწილად მოტივაციის საფუძვლები უნდა ვეძიოთ.

იმის დასადგენად, თუ რა გავლენა აქვს მოტივაციას მომუშავეთა შრომის ნაყოფიერებაზე და იმის დასადასტურებლად თუ რამდენად მნიშვნელოვანია დამსაქმებლისათვის მოახდინოს

თანამშრომლების მოტივაცია ჩავატარეთ კვლევა. კვლევაში მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო კომპანიის თანამშრომლები, კითხვარის მეშვეობით შევეცადეთ დაგვედგინა რა სახის სტიმულები მოქმედებს ძირითადად მომუშავეებზე, რამდენად იყენებდა კომპანიების მენეჯ-მენტი სხვადასხვა მოტივაციის ღონისძიებებს და იყო თუ არა ეს შედეგიანი. კვლევის მიზანია გამოვიკ-ვლიოთ სხვადასხვა კომპანიაში თანამშრომელთა მოტივაციის გავლენა შრომის ეფექტიანობაზე.

















რა ღონისძიებებს მიმართავს თქვენი კომპანია თქვენს წასახალისებლად? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი)

81 პასუხი



რომელი ღონისძიება მოქმედებს თქვენს მოტივაციაზე დადებითად? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი)

81 პასუხი



რომ არა ფინანსური წახალისება, რა იქნებოდა თქვენთვის საუკეთესო მოტივატორი? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი)

81 პასუხი







როგორც ჩვენი დაკვირვებიდან და კვლევიდან გამოჩნდა, მოტივაცია მართვის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, რომლის ეფექტურად წარმართვა დიდ ძალისხმევას მოითხოვს მენეჯერის მხრიდან. თუმცა, ამავდროულად, მოტივაცია კარგი საშუალებაა დასაქმებულთა შრომის ეფექტიანობის გასაზრდელად და აქვს ბევრი დადებითი ეფექტი, როგორებიცაა:

მოტივაციას აქტიურ მოქმედებაში მოჰყავს ადამიანური რესურსები - მოტივაცია აუცილებლად მოითხოვს ადამიანური რესურსების სრულ გამოყენებას ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად. ამ პროცესში ხდება პერსონალის შესაძლებლობებისა და რესურსების მაქსიმალური გამოყენება, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციის განვითარებას და წინსვლას.

მოტივაცის აუმჯობესებს თანამშრომელთა ეფექტიანობის დონეს - ეფექტიანობა და დაკისრებული მოვალეობების კარგად შესრულება მხოლოდ დასაქმებულის კვალიფიკაციასა და შესაძლებლობებზე არაა დამოკიდებული. საუკეთესო შედეგის მისაღწევად უნართან და ცოდნასთან აუცილებელია მონდომება და სურვილი. ეს ხელს უწყობს დაქვემდებარებულთა მუშაობის დონის გაუმჯობესებას. შესაძლოა კონკრეტული საქმე ნაკლებად კვალიფიციურმა თანამშრომელმა უკეთ შეასრულოს სწორედ მოდნომებისა და სურვილის ხარჯზე, რისი გამომუშავებაც სწორედ მოტივაციის პროცესში ხდება.

მოტივაცია უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მაქსიმალურ გამოყენებას, რაც ასევე ზრდის პერსონალის შრომის პროდუქტიულობას და საერთო ეფექტიანობის მიღწევას ორგანიზაციისათვის.

მოტივაცია ხელს უწყობს სოციალურ ურთიერთობებს - მოტივაცია, როგორც წესი, იწვევს თანამშრომლის კმაყოფილებას, ხელს უწყობს კომუნიკაციის გაღრმავებას ხელმძღვანელებსა და დაქვემდებარებულებს შორის ან ზოგადად, თანამშრომლებს შორის, რაც ორგანიზაციაში შედაეებით მეგობრულ და დადებით გარემოს ქმნის. ეს ფაქტორი კი კიდევ უფრო მოქმედებს თანამშრომლების მოტივაციაზე და მათი შედეგების გაუმჯობესებაზე.

მოტივაცია ხელს უწყობს სამუშაო ძალის სტაბილურობას - როგორც ზემოთ აღვნიშნე, მოტივაცია იწვევს თანამშრომელთა კმაყოფილებას და ქმნის მუშაობისათვის დადებით გარემოს. თავისთავად ცხადია, რომ ეს ფაქტორი მოქმედებს თანამშრომელთა სტაბილურობაზე. ისინი კომპანიის ერთგულები რჩებიან, რადგან სხვადასხვა სამოტივაციო ღონისძიებების საფუძველზე გრძნობენ, რამდენად მნიშვნელოვანნი არიან ორგანიზაციისათვის. სტაბილური და ერთგული თანამშრომლები ასევე მნიშვნელოვანის კომპანიის იმიჯისა და რეპუტაციის კუთხით.

ყველა ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, მოტივაცია იწვევს ორგანიზაციული მიზნების მიღწევას, კომპანიის ზრდა-განვითარებას და საერთო ეფექტიანობის ზრდას. ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგემბა აჩვენა, რომ კომპანიებში აქტიურად იყენებენ თანამშრომელთა მოტივაციას სასურველი შედეგების მისაღწევად. და ეს მეთოდი ნამდვილად ამართლებს, რაც აისახება კომპანიების ფინანსურ მდომარეობაზეც. გამოკითხულთა უმრავლესობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი სტიმული ფინანსური წახალისებაა, რაც მათი შემოსავლების დონითა და სოციალური მდგომარეობით აიხსნება. ყველაზე მნიშვნელოვან სამოტივაციო ღონისძიებებს შორის კი აღმოჩნდა კარიერული განვითარების შესაძლებლობა და სიტყვიერი. ზემოთ ჩამოთვლილი სტიმულები სრულიად განსახვავებულია, თუმცა ისინი გამომდინარეობს თანამშრომელთა მახასიათებლებიდან. სწორედ ამიტომ ძალიან

მნიშვნელოვანია კომპანიის მენეჯმენტი იცნობდეს თანამშრომლებს, ესმოდეს მათი განსხვავებულობა და ინდივიდუალურობა და შესაბამისად არჩევდეს სამოტივაციო სტიმულებსაც.

ძალიან საინტერესო და საყურადღებოა ასევე კვლევის ბოლო კითხვა, ვინაიდან გამოკითხულთა 100% ფიქრობს, რომ მოტივირებული თანამშრომელი დადებით გავლენას ახდენს კომპანიის წარმატებაზე.

დასკვნა

ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერმა ორგანიზაციამ გაიაზროს მოტივაციის მნიშვნელობა თანამშრომლებზე. ხშირად ჰგონიათ, რომ მხოლოდ ფინანსური სამოტივაციო ღონისძიებები მოქმედებს თანამშრომლებზე, თუმცა კვლევით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ არ არის აუცილებელი ფინანსური რესურსის ჩადება თანამშრომელთა მოტივაციისა და წახალისებისთვის, სრულიად „უფასოდ“ დანახარჯების გარეშე არსებული გზებითაც კი შესაძლებელია ჰყავდეს კომპანიას მოტივირებული თანამშრომლები, რაც ცხადად დადებითად აისახება კომპანიის წარმატებასა და ფინანსურ კეთილდღეობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. აბრალავა, ლ. გვაჯაია, რ. ქუთათელაძე. საინოვაციო მენეჯმენტი. სტუ. თბ., 2015.
2. ნ. პაიჭაძე, ადამიანური რესურსების მართვა, თბ., 2018
3. George, J. M., & Jones, G. R. Understanding and Managing Organizational Behavior (5rd). New York: Pearson Education, Inc, 2007.
4. R.Ukaejiofo, Impact of Motivation on Employee Performance, 2013

The influence of motivation on work efficiency

Tamari Kajaia
Associate Professor of Technical University of Georgia
Gigi Javshanashvili
Bachelor of Technical University of Georgia

Abstract

Motivation is one of the most important functions of management. Employee motivation in any organization is the most important process of development and progress of the organization. The very concept of "motivation" comes from the Latin word - movere, which means movement towards a goal.

The modern definition of motivation is connected to these concepts. It is a kind of driving force that motivates a person to do something. For any manager, it is important to consider motivation not in general, but in terms of management, which is directly related to the work environment and employees.

Motivation ensures communication between the employees and the employer and the establishment of a healthy business relationship. Based on various studies and observations, it is established that the planning and implementation of various stimulating measures has a positive effect on the quality of work performance of employees, increases the labor productivity of each of them and helps the management to achieve maximum efficiency.

Organizations that actively apply motivational measures to employees have more chances of success because they have loyal and stable employees who are actively involved in achieving common goals.

Implementation of the motivation function is beneficial for any organization. The main thing is for managers to take into account certain recommendations and be able to conduct the motivation process correctly.

ვაშლის სიდრის განვითარების შესაძლებლობები: ტექნოლოგიური და მარკეტინგული ხედვა

ქართველიშვილი ნიკოლოზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი

სააკიანი ჯემმა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ადამაშვილი ნინო
ფოჯის უნივერსიტეტის მკვლევარი

ანტონინო გალატი
პალერმოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

საქართველოში დამზადებულ ალკოჰოლურ სასმელთა შორის ვაშლის სიდრი სიახლეს წარმოადგენს, აღნიშნული პოპულარული გახდა ბოლო 5 წლის განმავლობაში, როდესაც გაიზარდა ინტერესი ეკოლოგიურად სუფთა და ნატურალურ ალკოჰოლური სასმელების მიმართ. სიდრის წარმოება მოითხოვს მდგრად ინდუსტრიის ჩამოყალიბებას გარემოს დაცვის პირობების გათვალისწინებით, წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით. ჩვენი კვლევის საკითხს წარმოადგენს სიდრის დამზადების ტექნოლოგიის შესწავლა და დარგის განვითარებაზე მოქმედ ფაქტორთა მარკეტინგული ანალიზი. სტატიაში თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ქეისის შესწავლის (case-study) მეთოდი. ანალიზისთვის გამოყენებულია ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ქართული სიდრის ასოციაციის მიერ გამოქვეყნებული წლიური ანგარიშები.

საქართველოში ხეხილოვან კულტურებში ვაშლს მნიშვნელოვანი სეგმენტი უჭირავს, გამოირჩევა უხვი და სტაბილური მოსავლიანობით. თუმცა, ყოველწლიურად მოსავლის 40% შეადგენს არასტანდარტული და დაზიანებული ნაყოფი, რაც მწარმოებლებს უქმნის პრობლემებს. ვაშლის სიდრის დამზადება არის მარკეტინგული სტრატეგია, რომელიც განაპირობებს მიღებული მოსავლის სრულყოფილ გამოყენებას ბაზრის მოთხოვნების მიხედვით. ღვინის წარმოების ინდუსტრიამ ნათლად გვაჩვენა, რომ საქართველოში შეგვიძლია დავამზადოთ უმაღლესი ხარისხის სასმელი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, შესაბამისად ვაშლის სიდრის წარმოებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ახალი ბაზრების ათვისებას.

საკვანძო სიტყვები: ქართული სიდრი, სიდრის დამზადების ტექნოლოგია, ქართული სიდრის პოპულარიზაცია ბაზარზე.

ძირითადი ტექსი

ვაშლის სიდრი დაბალ ალკოჰოლური (1.2%-8.5%) სასმელია, რომელიც მიიღება ვაშლის წვენის დადუღების შედეგად. ამის გარდა არსებობს უალკოჰოლო ვაშლის სიდრიც, რომელიც ვაშლის წვენისგან იმით განსხვავდება, რომ არის გაუფილტრავი და არაპასტერიზებული. პირველი ჩანაწერები ვაშლის სიდრთან დაკავშირებით გვხდება რომაულ ნაშრომებში ძვ.წ 55 წელს, სადაც ნახსენებია თუ როგორ მიაკვლია იულიუს კეისარმა კელტ ბრიტანელებს, რომლებიც აკეთებდნენ ამ სასმელს. ამის გარდა ვაშლის სიდრი პოპულარული სასმელი იყო ძველ საბერძნეთში და შუა საუკუნეების ევროპაში. (Stewart, 2013)

ვაშლის სიდრი შეიძლება იყოს, მშრალი, ნახევრად მშრალი და ნახევრად ტკბილი. მისი წარმოების ტექნოლოგია შემდეგია, პირველ რიგში ხდება ვაშლის გადარჩევა (დამპალი, გაფუჭებულის მოცილება), გამოყენებული ვაშლის ჯიში კი დამოკიდებულია მწარმოებელზე. მსოფლიოში ცნობილი ვაშლის ჯიშებია, „გალა“, „ფუჯი“, „გოლდენ დელიშესი“, „რედ დელიშესი“ და სხვა. ვაშლის ჯიშებს

გარდა შაქრიანობისა, ანსხვავებენ მისი მჟავიანობითა და ტანინის შემცველობით. მოცემული ცხრილი ასახავს ინგლისში ვაშლის სიდრის კლასიფიკაციას, ზემოთ ნახსენები, ორი პარამეტრის მიხედვით:

ვაშლის კლასი	მჟავიანობა (გ/ლ ვაშლმჟავა)	ტანინინი (გ/ლ ტანინის მჟავა)
უხეში	მეტი 4.5-ზე	ნაკლები 2-ზე
მწარე და უხეში	მეტი 4.5-ზე	მეტი 2-ზე
უხეში და ტკბილი	ნაკლები 4.5-ზე	მეტი 2-ზე
ტკბილი	ნაკლები 4.5-ზე	ნაკლები 2-ზე

ცხრილი.1 ვაშლის სიდრის კლასიფიკაცია ინგლისის მაგალითზე. (Jolicoeur, 2013)

გარდაჩეული ვაშლი ირეცხება წყლით, ხდება მისი დაქუცმაცება, დაწნეხვა, შემდეგ კი დაწნეხული მასის, წვენის ფერმენტაცია. (Smith, 2021) ფერმენტაციის ტემპერატურა დამოკიდებულია საფუვრის კულტურაზე, რომელიც ზოგადად მერყეობს 10°C-30°C ტემპერატურაზე. ფერმენტაციის მიზანია ვაშლის წვენში არსებული შაქარი დაიშალოს ალკოჰოლამდე, პროცესის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მწარმოებელზე. ვაშლის სიდრის საწარმოებლად ფართოდ გამოყენებული საფუვრის კულტურებია: Saccharomyces Cerevisiae და Saccharomyces Bayanus. თუმცა ამის გარდა შესაძლებელია სიდრის დაყენება ველური საფუვრების გამოყენებით, რასაც უფრო პატარა წარმოებები მიმართავენ. (Jackson, 2003) კულტურული საფუვრის გამოყენებას ვაშლის სიდრის წარმოებისას აქვს მრავალი დადებითი თვისება, მაგალითად, ფერმენტაციის სისწრაფის კონტროლი, ალკოჰოლთან ტოლერანტობა, სხვადასხვა ტემპერატურაზე მოქმედების დიაპაზონი და სხვა. ვაშლის სიდრში წარმოების დროს ასევე შეიძლება ჩატარდეს მალოლაქტური ფერმენტაცია, რომელიც ხდება რძემჟავა ბაქტერიების საშუალებით. რა დროსაც, სასმელში არსებული ვაშლ მჟავა, რომელიც უფრო აგრესიულია და უხეშია გემოზე, გარდაიქმნება რძე მჟავად, რომელიც გემოზე მეტად რბილია. (Lew, 2003) ფერმენტაციის დასრულების შემდეგ შესაძლებელია ვაშლის სიდრის დავარგება, რა დროსაც ხდება გემოსა და არომატის კარგად განვითარება. ფერმენტაციის დასრულების შემდეგ, ხდება მისი გადაღება, რისი მიზანიცაა რომ შევამციროთ ბიომასა, ის ორგანული ნივთრებებისა რომლებიც კვებავენ მკვდარ ან ცოცხალ საფუარს. სიდრის დავარგების დროს ხდება მასში არომატისა და გემოების განვითარება, ასევე მიღებული პრაქტიკაა დავარგება მუხის კასრებში, რათა სიდრმა განივითაროს გარკვეული ტანინები ხისგან. (Ye, 2014) კასრებში სიდრის დავარგება, კარგი გზაა მალოლაქტური დუღილის ჩასატარებლად, განსაკუთრებით იმ დროს როცა იყენებენ ძველ მუხის კასრებს, რადგან კასრში უკვე განვითარებული იქნება სპორები წინა წლის ბაქტერიებისგან. დასრულებული ვაშლის სიდრი იფილტრება, 0.5 ან უფრო ნაკლებ მიკრონიანი ფილტრით, რათა მოცილებული იყოს საფუვრის უჯრედი. (Rosend, 2019) რაც შეეხება სიდრის გაზირებას შეიძლება ეს მოხდეს ორი გზით, პირველი ესაა ბუნევრივი გაზირება, მეორადი ფერმენტაციის შედეგად, ფრანგულად „prize de mousse", ან ხელოვნური გაზირება რა დროსაც CO2 შედის სითხეში წნევის პირობებში. სიდრის ჩამოსხმა შესაძლებელია, როგორც ბოთლსა და ქილაში, ისე „კეგებში". სტატიაში აღწერილი ტექნოლოგია არის ზოგადი, ვინაიდან დამოკიდებულია როგორი სახის ვაშლის სიდრის წარმოებაა გამიზნული.

აღსანიშნავია, რომ **ქართული სიდრის ასოციაციის** მაჩვენებლების მიხედვით ქართული სიდრი ინოვაციას წარმოადგენს საქართელოს ბაზარზე და ძირითადად სახლის პირობებში ხდება მისი დამზადება, თუმცა სიდრის მწარმოებელ კომპანიათა შორის არიან: „სიდრის კლუბი ბაზალეთი", „გოცას მარანი", „დუღილის მარანი", „შარეულა", „სიდრი ნომერი 4", „NaturaAle", „ქართული სიდრი" და სხვა. როგორც ნატურალური, ასევე კრაფტ სიდრის საშუალო ფასი ბაზარზე მერყეობს 8-20 ლარის ფარგლებში. (ქართული სიდრის ასოციაცია, 2023)

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა საქართველოში სიდრის წარმოებაზე დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის მქონე ფაქტორების განსაზღვრა და მათი

ურთიერთკავშირის დადგენა.

მნიშვნელოვანია ისეთი ხელშემყობი ფაქტორების აღნიშვნა, როგორიც არის:

ვაშლის წარმოების მაღალი მაჩვენებელი. საქართველოს მეხილეობის სექტორის მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ვაშლის წარმოება წარმოადგენს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2021 წელს დაფიქსირებულმა ვაშლის მოსავალმა შეადგინა 73.7 ათასი ტონა, რომლის დიდი ნაწილი კონცენტრირებულია შიდა ქართლის რეგიონში. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023) საქართველოს ბუნებრივი რესურსები და კლიმატური პირობები არის იდეალურად განსაზღვრული ვაშლის წარმოებისთვის, შესაბამისად სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, საქართველოში წარმოებული ხილის 40-50% ვაშლია.

ქართული სიდრის ასოციაციის ჩამოყალიბება და წარმატებული საქმიანობა. ასოციაცია დაფუძნდა 2019 წელს სიდრის შესახებ ცნობიერების ამაღლების, ინდუსტრიის განვითარების, საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვისა და ბაზარზე პოპულარიზაციის მიზნით. (ქართული სიდრის ასოციაცია, 2023) ქართული სიდრის ასოციაციის მთავარი მისია მდგომარეობს იმაში, რომ განავითაროს მრავალფეროვანი და მდგრადი ფერმენტული სასმელების ინდუსტრია, საჭირო ინფორმაციისა და შესაბამისი მომსახურების მიწოდებით.

სახელმწიფოს ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია, რომ მეხილეობის განვითარებისთვის ბოლო ათწლეულში ბევრი სუბსიდირებული პროექტი განხორციელდა, როგორც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასევე, ევროკავშირის მხრიდან. „არასტანდარული ვაშლის რეალიზაციის ხელშეწყობა“, „დანერგე მომავალი“, „ENPARD I, II, III” არის ის პროგრამების მცირე ჩამონათვალი, რომელიც მოიცავდა შესაძლებლობას დარგის განვითარებისთვის. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ვაშლის ბაღების გაშენება და შემდგომ სპეციალურ სამაცივრე საწყობებში დარეზერვების უზრუნველყოფა არის სახელმწიფო პროგრამების მხარდაჭერის თვალსაჩინო მაგალითი.

აღსანიშნავია, რომ ვაშლის წარმოების პოტენციალის ზრდა არის პირდაპირ კავშირში სიდრის ინდუსტრიის განვითარებასთან, რომელიც შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც საბაზრო ნიშა. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს გააჩნია ტრადიციულ-ისტორიული წარსული მეღვინეობაში, ექსპორტირებულ ღვინოსთან ერთად ვაშლის სიდრიც შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროდუქტი.

თუმცა დარგის განვითარებისთვის არსებობს გარკვეული ხელშემშლელი ფაქტორები, მათ შორის ყურადსაღებია:

საბაზისო ცოდნის ნაკლებობა აღსანიშნავია, რომ „ვაშლის სიდრი“-ს ცნება, როგორც ალკოჰოლური სასმელი ძალიან დაბალია საქართველოში, უფრო მეტიც მისი დამზადება სულ რაღაც ბოლო ხუთწლეულში გახდა პოპულარული. განათლების არარსებობა არის მნიშვნელოვანი ინჰიბიტორი ინდუსტრიის განვითარებისთვის.

არახელსაყრელი საგადასახადო პოლიტიკა. საქართველოში საგადასახადო პოლიტიკა ალკოჰოლური სასმელების მიმართ არც ისე სასიხარულოა. აქციზის გადასახადი რომლის გადახდა უწევთ ვაშლის სიდრის და სხვა მსგავსი კატეგორიის ალკოჰოლური სასმელების მწარმოებლებს, საკმაოდ მაღალია და შეადგენს 5 ლარს თუ მისი ალკოჰოლის შემადგენლობა მეტია 5%-ზე. ყურძნის ღვინისთვისსახელმწიფოს მხრიდან შემოღებული ნულოვანი გადასახადის იდენტური ინიციატივა ვაშლის სიდრისთვის დაეხმარებოდა წარმოების განვითარებას.

დასკვნა

ქართული ღვინის ისტორია და კულტურა საქართველოს ძალიან დაეხმარება, მარტივად შეძლოს ქართული სიდრის პოპულარიზაცია, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე. ტექნოლოგიური თვალსაზრისით ვაშლის სიდრი ახლოს დგას ღვინოსთან, ძირითადი ღვინისთვის საჭირო დანადგარებით შესაძლებელია მისი წარმოება, რაც მეტად აიაფებს და ამარტივებს მის წარმოებას საქართველოში.

კვლევამ გვაჩვენა, რომ ქართული სიდრის ინდუსტრია შედარებით ახალია საქართველოში, და საერთაშორისო ბაზარზე შესაძლებელია განიხილოს მისი პოპულარიზაცია. თუმცა წარმოების გასაზრდელად ბევრი რეფორმის განხორციელება არის საჭირო, როგორც წარმოების სტიმულირების, ასევე მომხმარებელთა საბაზისო ცოდნის ამაღლებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Jackson, L. S.-B. (2003). Apple Quality, Storage, and Washing Treatments Affect Patulin Levels in Apple Cider. *Journal of Food Protection*.
2. Jolicoeur, C. (2013). *The New Cider Maker's Handbook: A Comprehensive Guide for Craft Producers Copertina rigida.* Chelsea Green Pub Co.
3. Lew, N. P. (2003). *Cider: Making, Using & Enjoying Sweet & Hard Cider.* Storey Publishing, LLC.
4. Rosend, J. (2019). *The effects of apple variety, ripening stage, and yeast strain on the volatile composition of apple cider.*
5. Smith, M. (2021). *Valuation of sustainable attributes of hard apple cider: A best-worst choice approach.*
6. Stewart, A. (2013). The History of Cider Making. *Utne Reader*.
7. Ye, M. Y. (2014). Evolution of polyphenols and organic acids during the fermentation of apple cider. *Journal of the Science of Food and Agriculture*.
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2023). *geostat.ge.* მოპოვებული https://www.geostat.ge/media/46404/soflis_meurneoba_2021.pdf-დან
9. ქართული სიდრის ასოციაცია. (2023). *ოფ. ვებგვერდი.* მოპოვებული georgiancider.ge: https://georgiancider.ge/about/-დან
10. ქართული სიდრის ასოციაცია. (2023). *როგორ უნდა განვითარდეს სიდრის ინდუსტრია საქართველოში.* მოპოვებული https://georgiancider.ge/rogor-unda-ganvithardes-sidris-industria-saqarthveloshi/-დან

The Development Opportunities for Apple Cider: Technological and Marketing Perspectives

Nikoloz Kartvelishvili, Master Student of Georgian Technical University
Jemma Saakyan, PhD Student of Georgian Technical University
Nino Adamashvili of Researcher at the University of Foggia
Antonino Galati of Associate Professor of University of Palermo

Summary

Among the alcoholic beverages produced in Georgia, apple cider is a novelty; it has become popular in the last 5 years, once the interest in organic and natural alcoholic beverages increased. Cider production requires the creation of a sustainable industry with environmental protections in order to ensure successful socio-economic activity. The subject of our study is to investigate cider production technology and the marketing analysis of factors influencing the development of the industry.

The methodological framework of this research is the qualitative analysis of the case study. Secondary data such as Georgian and foreign scientific literature, annual reports published by the National Statistical Service of Georgia and the Georgian Cider Association were used for the analysis.

The apple tree is an important segment of Georgia's fruit production and has a plentiful harvest. However, 40% of the harvest every year is substandard, which creates problems for producers. The production of apple cider is a marketing strategy that leads to the optimal use of the harvest in accordance with market requirements. The wine industry has clearly shown that in Georgia beverages of the highest quality can be produced according to international standards. Consequently, apple cider can be a great opportunity to develop new markets.

Key words: Georgian cider, cider making technology, promotion of Georgian cider in the market.

სიტუაციური ლიდერობის თეორია განათლების მენეჯმენტში

ქერაშვილი ხათუნა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

საქართველოში განათლების მენეჯმენტი ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია, ამიტომ სჭირდება განვითარება და დახვეწა მეცნიერული კვლევა-ძიების საფუძველზე. ბოლო დროინდელმა ვითარებამ კარგად დაგვანახა, რომ მასზე მოქმედი სიტუაციური ფაქტორების გავლენა განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულად საყურადღებო საკითხია.

მართვა საკმაოდ საპასუხისმგებლო და რთული მოვალეობაა, რომელსაც დიდ პროფესიონალიზმთან ერთად ინტუიცია, ალღო და გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების უნარი სჭირდება, განსაკუთრებით კი განსაკუთრებული სიტუაციების დროს.

თანამედროვე განათლების მენეჯმენტზე გავლენას ახდენს სხვადასხვა სიტუაციური ფაქტორი . მათი მნიშვნელობა განსაკუთრებულად გამოკვეთა ბოლო პერიოდმა, როდესაც პანდემია მთავარ სიტუაციურ ფაქტორად მოგვევლინა. ნათლად გამოჩნდა, რომ საგანმანათლებლო ლიდერები მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ კრიზისულ ვითარებასთან გასამკლავებლად. სტატიაში განხილულია სიტუაციური ლიდერობა განათლების მენეჯმენტში, გაანალიზებულია საგანმანათლებლო ლიდერის როლი სიტუაციური მართვისას, რეალური სიტუაციის (პანდემიის) მაგალითზეა წარმოდგენილი ჩვენეული ხედვა და და მართვის მოდელი, რომელიც გვიჩვენებს ლიდერობის სტილის შესაბამი-სობას თანამშრომელთა მზაობის (სიმწიფის) დონეებთან.

სიტუაციური ლიდერობის თეორიას კარგად უნდა იცნობდნენ საგანმანათლებლო დაწესებულე-ბების ხელმძღვანელი პირები, რათა თანამშრომელთა მზაობის დონეებს შეუსაბამონ მართვის სტილი.

სიტუაციური ლიდერობა არსებითად განსხვავდება სხვა თეორიებისაგან და კარგი იქნება, თუ განათლების მენეჯმენტშიც იქნება გათვალისწინებული.

საკვანძო სიტყვები: სიტუაციური ფაქტორები, განათლების მენეჯმენტი, სიტუაციური ლიდერობა, მართვა, განათლების მენეჯმენტი.

ძირითადი ტექსტი

სიტუაციური ლიდერობის თეორია პირველად ჩამოაყალიბეს პოლ ჰერსმა (ავტორი წიგნისა ,,სიტუაციური ლიდერი“) და კენეტ ბლანჩარდმა (ავტორი წიგნისა ,,ერთი წუთის მენეჯერი“) , ამიტომ ეს თეორია ჰერსი-ბლანჩარდის სიტუაციური ლიდერობის თეორიით არის ცნობილი. გულისხმობს, რომ არ არსებობს ლიდერობის რომელიმე საუკეთესო და უნივერსალური სტილი, ,,მზა რეცეპტი“ არ იძლევა სასურველ შედეგს, პირიქით : ყველაფერი დამოკიდებულია მთლიანად სიტუაციაზე, რომელსაც მოცემულ მომენტში უნდა მოერგოს მართვის სტილი და სტრატეგია პრობლემის შესაბამისად. საუკეთესო ლიდერების კი ისინი არიან, რომელთაც შეეუძლიათ ამის განხორციელება.

სიტუაციური ლიდერობის თეორიის გათვალისწინება განათლების სისტემაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მისი დანერგვა აუცილებელია, რადგან თითოეული სკოლა უნიკალურია და ინდივიდუალურ მართვას საჭიროებს, განსხვავებულია სკოლების მისია, ხედვა, ღირებულებები... ამიტომ სიტუაციური მართვა ყველაზე მეტად ამ დაწესებულებისთვისაა საჭირო.

როგორ მოვარგოთ ჰერსი-ბლანჩარდის თეორია სკოლის მოდელს? ცნობილია,რომ მათ მიერ შემუშავებული სიტუაციური ლიდერობა მართვის ოთხ სტილზე აკეთებს აქცენტს. ესენია:

- ავტოკრატიული მართვის სტილი (S1) - ინსტრუქტაჟი
- თანამონაწილეობითი მართვის სტილი (S2) - დარწმუნება
- დემოკრატული მართვის სტილი (S3)- მხარდაჭერა
- თავისუფალი მართვის სტილი (S4)-დელეგირება

კარგი ლიდერი არცერთ სტილზე არ ამბობს უარს, თუკი ის საჭიროა კონკრეტულ შემთხვევაში. ამავე თეორიის მიხედვით, არსებობს თანამშრომელთა 4 ტიპი, რომელთაც ახასიათებთ სხვადასხვა დონე მზაობის (სიმწიფის) მიხედვით:

1. კომპეტენციის დაბალი დონე, მაგრამ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა-D1
2. დაბალი კომპეტენცია და დაბალი პასუხისმგებლობა-D2
3. საშუალო ან მაღალი კომპეტენცია და დაბალი პასუხისმგებლობა-D3
4. მაღალი კომპეტენცია და მაღალი პასუხისმგებლობა-D4

ლიდერობის სტილი შესაბამისობაშია თანამშრომელთა მზაობის (სიმწიფის) დონეებთან:

კომპეტენციის დაბალი დონე და მაღალი პასუხისმგებლობა- ავტოკრატული

დაბალი კომპეტენცია და დაბალი პასუხისმგებლობა- თანამონაწილეობითი

საშუალო/ მაღალი კომპეტენცია და დაბალი პასუხისმგებლობა- დემოკრატიული

მაღალი კომპეტენცია და მაღალი პასუხისმგებლობა-თავისუფალი სტილი

ფორმულად თუ გამოვსახავთ , ეს მოდელი ასე გამოიყურება[1]

S1 → D1

S2 → D2

S3 → D3

S4 → D4

სიტუაციური ლიდერობის თეორიის ცოდნა და ამ ცოდნის პრაქტიკაში დანერგვა საგანმანათ-ლებლო დაწესებულებების წარმატების ერთ-ერთი პირობაა. ადამიანური რესურსების სწორად მართვა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება სასკოლო კლიმატის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, ამიტომ თითოეული სკოლის დირექტორი კარგად უნდა იცნობდეს თავის თანამშრომლებს და ცდილობდეს მათი მზაობის დონეებს შეუსაბამოს მართვის სტილი. აუცილებელია, კონკრეტული დავალების მიცემისას გაითვალისწინოს, კონკრეტულს თანამშრომელს რამდენად აქვს მისი შესრულების შესაძლებლობა ან რამდენად სურს მას საქმის ბოლომდე მიყვანა. ამისთვის კი უნდა შეისწავლოს თავისი გუნდის წევრთა თვისებები , მათ მოტივაცია, პრეტენზიები, მოთხოვნები.

წარმატებულმა დირექტორმა ეფექტიანად უნდა გამოიყენოს ადამიანური, ფინანსური თუ მატერიალური რესურსები, ამაში კი მას დაეხმარება თავისი როლის გააზრება სიტუაციური მართვის პირობებში.

საინტერესოა იმის ანალიზი, თუ როგორი სტილის მოდელი იყო დომინანტური ეპიდვითარების სიტუაციის მართვისას სკოლებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მართვის არც ერთი სტილი არაა მეორეზე უპირატესი სიტუაციური მართვის პირობების თანახმად, მთავარია, სწორად განისაზღვროს თითოეულის საჭიროება მოცემულ მომენტში. ეპიდვითარება ის განსაკუთრებული მდგომარეობა აღმოჩნდა სკოლებისთვის, რომლის გამოცდილებაც არასდროს გვქონია აქამდე. სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლამ სასკოლო საზოგადოება სრულიად მოსწყვიტა რეალურ გარემოს, ფიზიკური გარემოდან ვირტულურ სივრცეზე გადასვლამ მთლიანი სისტემის გადაწყობა მოითხოვა.

პანდემიის პერიოდში შეიზღუდა სკოლების ავტონომიურობის ხარისხი. სწორედ ამიტომ შევაფასეთ თანამედროვე ეტაპზე პანდემია მთავარ სიტუაციურ ფაქტორად , ახლა კი შევეცდებით იმის ანალიზს, სიტუაციური ლიდერობის რომელი სტილი იყო მეტად ეფექტიანი ეპიდვითარების მართვისას .

ვინაიდან პირველი ეტაპი , ,,დაბნეულობა“ იყო და სასკოლო საზოგადოებას არ ჰქონდა არანაირი გამოცდილება, რომ ეფექტიანად გაგრძელებულიყო სასწავლო პროცესი, ვფიქრობთ, ამ ეტაპზე საუკეთესო იქნებოდა **ავტოკრატული და თანამონაწილეობითი** მართვის სტილების გამოყენება, რომელებიც ხელს შეუწყობდა როგორც მაღალი, ისე დაბალი პასუხისმგებლობის თანამშრომელებს

[1] შემოთავაზებულია ავტორის მიერ

სამუშაოს შესრულებაში. ინსტრუქტაჟი და დარწმუნება შეიძლება მივიჩნიოთ ერთადერთ სწორ მიდგომად , რადგან თანამშრომლებს არ ჰქონდათ არანაირი გამოცდილება რთულ სიტუაციასთან გამკლავებისა. სკოლის დირექტორები შესაბამის რეკომენდაციებს იღებდნენ როგორც განათლების, ისე ჯანდაცვის სამინისტროსგან. ამ დონეზე ყველაზე ეფექტიანი იქნებოდა მკაფიო მითითებების მიცემის გზით მიღწეულიყო მიზნები, რაც ბევრად მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ლიდერისა და დაქვემდებარებულ პირთა ურთიერთობა, რამაც დისტანციურ რეჟიმში გადაინაცვლა.

,,**გამკლავების**" ეტაპს კარგად შეესაბამება სიტუაციური ლიდერობის **,,დემოკრატული მართვის**" სტილი, რომელიც თანამშრომელთა მხარდაჭერას გულისხმობს. ამ ეტაპზე მმართველი გუნდთან შეთანხმებით და მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით ირჩევს სტრატეგიას, სწავლა- სწავლების პროცესის ეფექტიანობისთვის.

მესამე ეტაპზე, რომელსაც **,,ადაპტაცია** " დავარქვით, შესაძლებელი გახდა ,,თავისუფალი მართვის" სტილის გამოყენება. მმართველის უკვე მიეცა დელეგირებას საშუალება, რადგან თანამშრომლებს უკვე შეეძლოთ ფუნქციათა გადანაწილებით მიეღწიათ სასურველი შედეგისთვის.

ამდენად, შექმნილ სიტუაციას თუ კარგად გავაანალიზებთ, დავინახავთ, რა მნიშვნელოვანია სიტუაციური ლიდერობის თეორია სიტუაციური მართვისას.

დასკვნა

სტატიაზე მუშაობამ გამოკვეთა სიტუაციური ფაქტორების გათვალისწინების აუცილებლობა განათლების მენეჯმენტში. აგრეთვე, ამ თეორიის დანერგვის საკითხი თანამედროვე განათლების სისტემაში. სიტუაციური მართვა მოითხოვს სიტუაციური ლიდერობის თეორიის ცოდნასა და შესაბამის გამოცდილებას, რომელიც თეორიულად ახსნილია წარმოდგენილ ნაშრომში, ხოლო პრაქტიკულად საჭიროა მისი განხორციელება საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე. ბაკაშვილი ნ. ფარესიშვილი ნ. გეჩბაია ნ. მესხიშვილი დ. ,,თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები", გამომცემლობა ,,უნივერსალი" , თბილისი, 2011 წელი
2. ნორთჰაუსი პიტერ გ. ,, ლიდერობა, თეორია და პრაქტიკა," V გამოცემა 2010.
3. შუკაკიძე ბ. , ,,დირექტორის მართვის სტილი და ლიდერობის თეორიები განათლებაში", , ჟურნალი ,,სკოლის მართვა", მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ქ. თბილისი , 2021 წელი
4. შუკაკიძე ბ. „ლიდერობის თეორიები განათლებაში," თანამედროვე სკოლის მართვა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2021 http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2021/11/Book-Tanamedrove-sklois-martva-web.pdf -
5. https://www.pmo-bc.com/storage/app/uploads/public/61a/f61/22d/61af6122d2931321864164.pdf

Situational leadership theory in educational management

Khatuna Kerashvili PhD student
Georgian Technical University

Abstract

Education management in Georgia is still in the process of formation.Therefore, it needs to be developed and refined based on scientific research. The recent situation has clearly shown us that the influence of the situational factors affecting it is a particularly noteworthy issue at the modern stage of development.

Management is a very responsible and difficult task, which requires great professionalism along with

intuition, perception and the ability to make quick decisions, especially in special situations.

Modern education management is influenced by various situational factors .Their importance was especially highlighted in the recent period, when the pandemic was the main situational factor. During this period, it became clear that the educational leaders were unprepared to deal with the crisis situation.

The article discusses situational leadership in education management, analyzes the role of an educational leader in situational management, presents our vision and management model on the example of a real situation (pandemic), which shows the compatibility of leadership style with the levels of readiness (maturity) of employees.

The leaders of educational institutions should be familiar with the theory of situational leadership in order to adjust the management style to the readiness levels of employees. Situational leadership is fundamentally different from other theories and it would be good if it is also considered in educational management.

Key words: situational factors, educational management, situational leadership, management, educational management.

საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო სტრატეგიის პრიორიტეტები

ქეშელაშვილი ომარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ვანიშვილი მერაბ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

კუტუბიძე შალვა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი

აბსტრაქტი

სტატიაში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, თანმიმდევრულად არის შესწავლილი საქართველოს ეროვნული ბანკის 2023-2025 წლების საზედამხედველო სტრატეგიის პრიორიტეტები და შესაბამისი აქტივობები.

დადგენილია, რომ საზედამხედველო სტრატეგიის დოკუმენტით განსაზღვრულ პრიორიტეტებზე, მათი შესრულებისთვის განსაზღვრულ ვადებზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ეროვნული ბანკის დინამიური საოპერაციო გარემოსთვის დამახასიათებელმა ტენდენციებმა, გამოწვევებმა და გარკვეულმა რისკებმა, სხვა რისკებმა და გარე ფაქტორებმა.

დასაბუთებულია, რომ ასეთ გამოწვევებზე სათანადო რეაგირებისა და საზედამხედველო მანდატის ეფექტურად შესრულების მიზნით, ეროვნული ბანკი იტოვებს აღნიშნული პრიორიტეტების ან/და მათი შესრულების ვადების შეცვლის/დაკორექტირების უფლებას.

საკვანძო სიტყვები: საზედამხედველო სტრატეგია, ციფრული ბანკი, საზედამხედველო პრიორიტეტები, ფინანსური ინოვაციები, საზედამხედველო ტექნოლოგიები, პრუდენციული რეგულირება.

ძირითადი ნაწილი

გასული სამი წლის განმავლობაში, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოც რთული გამოწვევების წინაშე იდგა, მათ შორის კორონა ვირუსის პანდემიით და უკრაინაში რუსეთის მიერ დაწყებული სამხედრო აგრესიის შედეგად წარმოქმნილი არასტაბილური გარემოს გამო. თუმცა, მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ფინანსური სირთულეების ფონზე, საქართველოს საფინანსო სისტემა ერთ-ერთი ყველაზე მდგრადი და განვითარებული სექტორია, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკის წინსვლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. ეს კი, უპირველესად, სწორი რეგულირების დამსახურებაა.

მიმდინარე გამოწვევების საპასუხოდ, საქართველოს ეროვნული ბანკი მუდ-მივად ცდილობს დროულ რეაგირებას. მას, რეფორმებისა თუ აქტივობების დაგეგმვისას, უწევს მიმდინარე გამოწვევების მხედველობაში მიღება. თუმცა, ამავდროულად, საკუთარი მანდატის და მისიის გათვალისწინებით, საფინანსო სექტორის ზედამხედველობის მიმართულებით ეროვნული ბანკი მიყვება მის მიერ 2020-2022 წლების საზედამხედველო სტრატეგიით განსაზღვრულ სამოქმედო გეგმას.

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო სტრატეგიის პირველი დოკუმენტი, რომელიც 2020-2022 წლების სტრატეგიულ პრიორიტეტებს ასახავდა, ხელს უწყობს ეროვნული ბანკის საქმიანობის ეფექტიან დაგეგმვას, თანამშრომლებისათვის სამომავლო ხედვის ცხადად ჩამოყალიბებას, სამომავლო ღონისძიებებზე სექტორისთვის პროგნოზირებადობის ზრდას, დაინტერესებულ მხარეთათვის საზედამხედველო პრიორიტეტებსა და გეგმებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

2023-2025 წლების საზედამხედველო სტრატეგიაზე მუშაობა კი ეროვნულმა ბანკმა კერძო და სამოქალაქო სექტორის უფრო მეტი ჩართულობით წარმართა, საჯაროდ გამოქვეყნებული კითხვარის საშუალებით მიიღო დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებები და რეკომენდაციები. შედეგად, განისაზღვრა საზედამხედველო პრიორიტეტები, რომელთა გათვალისწინებით ეროვნული ბანკი 2023-2025 წლებში წარმართავს საქმიანობას.

კვლევით დადგინდა, რომ 2023-2025 წლების საზედამხედველო სტრატეგიის დოკუმენტის ფარგლებში, ეროვნულმა ბანკმა მომდევნო სამი წლისთვის შემდეგი საზედამხედველო პრიორიტეტები განსაზღვრა: (1) საფინანსო სექტორის რისკების მართვის ჩარჩოს გაუმჯობესება და შედეგებზე პროაქტიული რეაგირება; (2) საფი-ნანსო სექტორში კონკურენციის ხელშეწყობა; (3) ფინანსური ინოვაციების წახალისება და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარება; (4) საერთაშორისო სტან-დარტებთან დაახლოება; (5) ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერება და გამჭვირვალობის ზრდა.

საფინანსო სექტორის რისკების მართვის ჩარჩოს გაუმჯობესებას და შედეგებზე პროაქტიულ რეაგირებას ეროვნული ბანკი შემდეგი აქტივობებით შეასრულებს: საფინანსო სექტორის არაფინანსური რისკების შეფასების სისტემების დახვეწა და შესაბამისი საზედამხედველო პოლიტიკების შემუშავება; საფინანსო სექტო-რის მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფარგლებში არსებული პრაქტიკებისა და საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს აღსრულების მონიტორინგის მიზნით, რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის პრინციპების გათვალისწინე-ბით, შესაბამისი პოლიტიკა-პროცედურებისა და მიდგომების შემუშავება და დანერგვა; რისკების მართვის ხარისხის ზრდის მიზნით, საფინანსო სექტორში გენდერული მრავალფეროვნების ხელშეწყობა; საფინანსო სექტორის გარე შოკების მი-მართ მდგრადობის შეფასება, მათ შორის, სტრეს-ტესტების ჩატარების გზით და შედეგების შესაბამის ჩარჩოში ასახვა ფინანსური სექტორის მდგრადობის გაუმჯობესების მიზნით; კომერციული ბანკების სხვადასხვა მიმართულებას შორის ინ-ფორმაციული მიჯნისა და კორპორაციული მართვის საკითხების შეფასება, რისკების ანალიზი და იდენტიფიცირებული რისკებისა და ზომების შესაბამის სტრატეგიასა და საზედამხედველო ხედვაში ასახვა; რისკებზე დაფუძნებული საზედამხედველო რეჟიმის, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისა და სისუსტეების, საზედამხედველო ზომებისა და სხვა მატერიალური საკითხების თაობაზე კომერციულ ბანკებთან პირდაპირი და ეფექტური კომუნიკაციის დახვეწა; ინტერესთა კონფლიქტის მართვის სტანდარტების დახვეწა; საკრედიტო რისკების მართვის დებულების შემუშავება და ძირითადი პრინციპების განსაზღვრა; საკანონმდებლო ცვლილებების გზით დროებითი ადმინის-ტრაციის რეჟიმის შემოღება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის; კომერციული ბანკებისთვის მონაცემთა ხარისხის მართვის მოთხოვნების დაწესება.

საფინანსო სექტორში კონკურენციის ხელშეწყობას ეროვნული ბანკი შემდეგი აქტივობებით შეასრულებს: ახალი ტიპის საფინანსო ინსტიტუტის - მიკრო ბანკების საზედამხედველო ჩარჩოს შემუშავება; ფაქტორინგული ოპერაციების განმახორციელებელი პირებისა და სალიზინგო კომპანიების ეროვნული ბანკის რეგულირების დაქვემდებარებაში მოქცევა და ამ მიზნით შესაბამისი საზედამ-ხედველო ჩარჩოს შემუშავება; ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპების განახლება და შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარება; კონკურენციის იმპლემენტაციისა და ხელშეწყობის პოლი-ტიკის შემდგომი დახვეწა და განვითარება პოლიტიკების პრაქტიკაში ეფექტური აღსრულების მიზნით; ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მარეგულირებელი ჩარჩოს დახვეწა; კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანად აღსრულების მიზნით, ქვეყნის შიგნით ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაღრმავება; ბაზარზე ახალი მოთამაშეების გაჩენის წახალისება.

ფინანსური ინოვაციების წახალისებას და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარებას ეროვნული ბანკი შემდეგი აქტივობებით შეასრულებს: ზედამხედველობის ეფექტიანობის გაუმჯო-ბესების მიზნით, საზედამხედველო პროცესების და სერვისების გაციფრულების ხელშეწყობა და შესაბამისი საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარება; ღია ბანკინგის განვითარება და გავ-რცელების ხელშეწყობა; ფინანსური ტექნოლოგიების განვითარების და ეროვნული ფინანსური ჩართულობის სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევის განსაზღვრა; ღია საზედამხედველო მიდგომების განვითარება; ციფრული ბანკინგის განვითარება; მეგა მონაცემების (BigData) მოდელირებასა და მისი საზედამხედველო პროცესში გამოყენებას; მოდელების განვითარება; ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის საპილოტე ეტაპის ამოქმედება; საქართველოს პოზიციონირება რეგიონალურ/შავი ზღვის ფინტექ ჰაბად.

საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას ეროვნული ბანკი შემდეგი აქტივობებით შეასრულებს: არსებული პრუდენციული რეგულირების დახვეწა, რომელიც ეფექტურად უპასუხებს მზარდ გამოწვევებს და წაახალისებს ინოვაციებს საფინანსო სისტემაში; ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულ დირექტივებთან და გამომდინარე სტანდარტებთან დინამიური აპროქსიმაციის მიზნით, შესაბამისი სტანდარტების მონიტორინგი; გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი (ESG) რისკების მართვის სახელმძღვანელოს შემუშავება; დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნის (MREL) შემოღებაზე შესაბამისი კვლევების ჩატარება და მოთხოვნის განსაზღვრა; კომერციული ბანკებისთვის საზედამხედველო ზომების, ადრეული ინტერვენციისა და საბანკო ლიცენზიის გაუქმებისათვის საჭირო თანმიმდევრული პროცესის ამსახველი ჩარჩოს განვითარება; საზედამხედველო კაპიტალის სტანდარტების მუდმივი მონიტორინგი და დახვეწა; რისკის პოზიციების ბაზელ III-ის სტანდარტებსა და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის 575/2013 რეგულაციის მოთხოვნებთან დაახლოება; პრუდენციული მოთხოვნების დაწესება კონ-სოლიდირებულ დონეზე; ლიკვიდობასთან დაკავშირებული სტანდარტების დახვეწა; გაცვლითი კურსის გაუფასურების ეფექტების გაუქმება; ფინანსური კონგლომერატების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ ჩარჩოს შემუშავება.

ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერება და გამჭვირვალობის ზრდა შემდეგი აქტივობებით შესრულდება: ეროვნულ ბანკში კორპორაციული კულტურის გაძლიერება, პროფესიონალ და მოტივირებულ თანამშრომელთა გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა, მათ შორის, ჰიბრიდული სამუშაო რეჟიმის დახვეწაზე მუშაობა; საზედამხედველო პრაქტიკის მაქსიმალური ინსტიტუციონალიზაცია; ზედამხედველობის პროცესში გამოვლენილ გამოწვევებზე საპასუხოდ სამუშაო ჯგუფების შექმნისა და განხილვების პროცესებში ყველა პასუხისმგებელი მიმართულების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა და გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღების წახალისება; საზედამხედველო სტრატეგიის გამოქვეყნების, სექტორის წარმომადგენლებთან და დარგის ექსპერტებთან წარდგენის პრაქტიკის გაუმჯობესება; საზედამხედ-ველო პოლიტიკის დოკუმენტებსა და ინიციატივებთან დაკავშირებით შენიშვნების მიღებისა და მიღებული შენიშვნების გასაჯაროების ჩარჩოს დანერგვა; შემუშავებული რეგულაციებისა და პოლიტიკების სრულყოფილი და ეფექტური იმპლემენტაციის და აღსრულების უზრუნველყოფა; პროფესიონალების მოზიდვა, მათთვის გრძელვადიანი განვითარების გეგმის შემუშავება; შიდა კომუნიკაციების გაძლიერება და თანამშრომელთა ჩართულობის გაზრდა; ორგანიზაციაში ახალი თანამშრომლების ორიენტაცია-ადაპტაციის პროცესის ხელშეწყობა; თანამშრომელთა საქმიანობის შეფასებისა და უკუკავშირის სისტემის დახვეწა, მათ შორის 360 გრა-დუსიანი უკუკავშირის სისტემის საპილოტე რეჟიმში გაშვება; მდგრადი HR პოლიტიკის შემუშავება.

ეროვნული ბანკის საზედამხედველო საქმიანობაზე, საზედამხედველო სტრატეგიის შეუსრულებლობაზე, დაგეგმილი აქტივობების გადავადებასა თუ მო-დიფიცირებაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს *საოპერაციო გარემოს გამოწვევებმა.*

ეროვნული ბანკის მიერ იდენტიფიცირებულ *საოპერაციო გარემოს აქტუალურ გამოწვევებს* მიეკუთვნება: არაფინანსური და განვითარებადი რისკები; ცვლილებები ინდუსტრიაში, მათ შორის ახალი ბიზნესმოდელები; კრიპტო აქტივებისა და კრიპტო ვალუტის აქტუალობის სწრაფი ზრდა; ტექნოლოგიური სიახლეები და კიბერდანაშაულები; ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, გადინება და კომპეტენიის ნაკლებობა; პოლიტიკური გარემო და გარე შოკები; გლობალიზაცია და დიჯიტალიზაცია; თანამშრომლობითი კულტურა.

საოპერაციო გარემოს გამოწვევების გარდა, საზედამხედველო სტრატეგიის/ მისი გარკვეული ნაწილების შეუსრულებლობაზე ზეგავლენა შესაძლოა მოახდინოს სხვა რისკებმა და გარე ფაქტორებმაც: ფორსმაჟორული სიტუაციების ან ეროვნული ბანკისათვის მოულოდნელი სხვა გარე ფაქტორებით გამოწვეული ისეთი სახის ცვლილებები პრიორიტეტებში, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული საზედამხედველო სტრატეგიაში; სტრატეგიის აღსრულებისთვის საჭირო აუცილებელი თანამშრომლების მოზიდვისა და შენარჩუნების რისკები; ეროვნული ბანკის

ინფრასტრუქტურის იმგვარი ხარვეზები/დაზიანება ან არქონა, რაც აფერხებს ეროვნული ბანკის ნორმალური საქმიანობის პროცესებს.

დასახელებულ და სხვა გამოწვევებზე სათანადო რეაგირებისა და საზედამხედველო მანდატის ეფექტურად შესრულების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი იტოვებს აღნიშნული პრიორიტეტების ან/და მათი შესრულების ვადების შეცვლის/დაკორექტირების უფლებას.

დასკვნა

ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ცვლილებების გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებსა და რეგულაციებს ეროვნული ბანკის საზედამხედველო ჩარჩო უმეტესწილად უკვე მოიცავს. თუმცა, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებისა და სტანდარტების დახვეწისა და მსოფლიო და ადგილობრივი ტენდენციების ცვლილებების პარალელურად, ეროვნული ბანკი მუდმივად ანახლებს და სრულყოფს ზედამხედველობასთან დაკავშირებულ მარეგულირებელ ჩარჩოს და საზედამხედველო რესურსებს, ტექნოლოგიებსა თუ მიდგომებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეროვნული ბანკის 2023-2025 წლების საზედამხედველო სტრატეგიის პრიორი-ტეტების შესახებ კითხვარი: https://www.surveymonkey.com/r/MQLG7C5
2. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2022 წლის 4 ნოემბრის N23 განკარ-გულება „საფინანსო სექტორის საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგული-რების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის თაობაზე“: https://nbg.gov.ge/
3. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ ეროვნული ბანკისათვის მიცემული რეკომენდაციები: IMF, Worldbank

Priorities of the Supervisory Strategy of the National Bank of Georgia

Keshelashvili Omar
PhD student Georgian Technical University
Vanishvili Merab
Professor Georgian Technical University
Kutubidze Shalva
assistant professor Georgian Technical University

Abstract

The article, based on the latest literary sources, has studied the priorities of the Supervisory Strategy of 2023-2025 of the National Bank of Georgia and relevant activities.

It is established that the priorities set forth in the supervisory strategy document and the terms set for their performance may affect the tendencies, challenges, and certain risks, and other risks characteristic of the National Bank's dynamic operating environment.

It is reasonable that in order to properly respond to such challenges and to effectively comply with the supervisory mandate, the National Bank reserves the right to change/adjust such priorities and/or their performance.

Keywords: Supervisory Strategy, Digitalization, Digital Bank, Supervisory Priorities, Financial Innovations, Supervisory Technologies, Prudential Regulation.

პროდუქტის მარკეტინგის გამოყენება ტექნოლოგიურ კომპანიებში

ქინქლაძე რუსუდან
საქართველოს ტენქიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გულისაშვილი ნანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ტექნოლოგიური ინოვაცია ყოვლისმომცველია. ეს უფრო მეტია ვიდრე პროდუქტის შექმნა და მარკეტინგი. ეს ეხება თავად ტექნოლოგიის გაგებას და იმას, თუ როგორ შეიძლება მისი გამოყენება ყოველდღიური პრობლემების გადაჭრაში. ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია იმის დადგენა თუ კონკრეტულად რა ქმნის ტექნოლოგიურ კომპანიას და როგორ განისაზღვრება ტექნოლოგია, პროდუქტია იგი თუ მომსახურება, თუ ინდუსტრია. ტექნოლოგია არის ყველაფერი ერთად და კიდევ სხვა მრავალი. იგი ასევე მუდმივად განვითარებადი კონცეფცია და საჭიროა იმის გაგება, თუ როგორი ქმედება თუ აქტივობა უნდა განხორციელდეს მასთან ერთად, რათა ბიზნესს გაეწიოს დახმარება დაბრკოლებების მუდმივად გადალახვის, პროდუქტებისა და სერვისების მიწოდების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ისეთ კომპანიების წინაშე, როგორიცაა Facebook, Amazon, Google და Microsoft-ი, სხვადასხვა გამოწვევები დგას და იგი ყოველთვის რთული და უაღრესად მნიშვნელოვანია. სწორედ ასეთ კომაპანიებისთვის არის გასაგები პროდუქტის მარკეტინგის საჭიროება. პროდუქტის მარკეტინგის მენეჯერი საკმაოდ პოპულარული პოზიციაა მთელ რიგ ინდუსტრიებში, როგორიცაა ტექნოლოგია, საცალო ვაჭრობა, სტუმარმასპინძლობა და ა.შ. და თითქმის ნებისმიერი კომპანია, რომელიც მარკეტინგული ფუნქციას ასრულებს, პროდუქტის მარკეტინგი ყოველდღიურად უფრო და უფრო საჭირო საქმიანობა ხდება ნებისმიერი დამსაქმებლისთვის, მათთვის რომელთა მიზანიც ზრდა და განვითარებაა. ეს კი ძალიან რთულად მისაღწევია მომხარებლისა და პროდუქტის ცოდნის გარეშე. პროდუქტის მარკეტინგი ისეთი რგოლია, რომელიც ამ ყოველივეს აერთიანებს და ქმნის შესანიშნავ შესაძლებლობას, როგორც კომპანიის, ასევე მომხმარებლისთვისაც, რასაც ღირებული პროდუქტი ჰქვია.

საკვანძო სიტყვები: პროდუქტი, მარკეტინგი, პროდუქტის მარკეტინგი, ტექნოლოგია. ტექნოლოგიური პროდუქტი, პროდუქტის მენეჯმენტი.

ძირითადი ტექსტი

გასული საუკუნის შემდეგ მსოფლიოს მთელმა რიგმა წამყვანმა კომპანიებმა ნელ-ნელა უარი თქვა მასშტაბურად ტრადიციული მარკეტინგული სტრატეგიების გამოყენებაზე პროდუქტის წახალისების მიზნით, იქიდან გამომდინარე, რომ როგორც წესი ტრადიციული მარკეტინგული კამპანიები არ ასტიმულირებენ მომხმარებლისთვის საჭირო პროდუქტს და ამის ნაცვლად, ისინი ყურადღებას ამახვილებენ კონკრეტულ ბიზნესზე, კომპანიის პოპულარიზაციაზე. მაგ., როგორიცაა სოციალური მედიის კონტენტი, ასევე ბლოგის შესანიშნავი შინაარსი, სარეკლამო კამპანიების შექმნა, რომელიც ბრენდისკენაა მიმართული, სადაც ხშირ შემთხვევაში იკარგება მომხამრებლისთვის საჭირო პროდუქტის შემუშავებაზე გაწეული შრომა და პოზიციონირების საჭიროება.

ტრადიციული მარკეტინგული სტარტეგიების ნაცვლად კომპანიებმა, მაღალი კონკურენციის ეპოქაში დაიწყეს პროდუქტის წინ წამოწევა, ასეთმა მიდგომამ კი ხელი შეუწყო ახალი დისციპლინის ჩამოყალიბებას, რომელსაც პროდუქტის მარკეტინგი წარმოადგენს. იგი პროდუქტის ბაზარზე შემოტანის, მისი პოპულარიზაციისა და მომხმარებელზე გაყიდვის პროცესია და მოიცავს პროდუქტის სამიზნე აუდიტორიის გაგებას, სტრატეგიული პოზიციონირების და შეტყობინებების გამოყენებას პროდუქტზე შემოსავლისა და მოთხოვნის გაზრდის მიზნით.

პროდუქტის მარკეტინგისა და ტრადიციული მარკეტინგის ძირითადი განსხვავებები მდგომარეობს მათი სამუშაოების აღწერასა და პასუხისმგებლობებში. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული

მარკეტინგის სტარტეგიები მიზნად ისახავს რესურსების მოზიდვას, მოთხოვნის გაძლიერებას და ბრენდის ცნობადობის შექმნას, მეორეს მხრივ ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ პროდუქტის მარკეტინგის საქმიანობა არ მთავრდება შეძენის ეტაპის შემდეგაც კი.

პროდუქტის მარკეტინგი არის ახალი კონცეფცია მარკეტინგში. ზოგადად კი, კონკრეტული პროდუქტის ბაზარზე გაშვების პროცესი და მისი წარმატების უზრუნველყოფა, კვლევის ერთობლიობა მომხმარებელთა საჭიროებების გასაგებად, პროდუქტის პოზიციონირების გადაწყვეტის, პროდუქტის შეტყობინებების შექმნისა და პროდუქტის მოთხოვნის და შემოსავლის გაზრდის მიზნით. იგი მამოძრავებელი ძალაა, რომელიც დგას პროდუქტების ბაზარზე გატანისა და მათი შენარჩუნების უკან. ხოლო პროდუქტის მარკეტოლოგები მომხმარებელთა ყოვლისმომცველი ხმები, შეტყობინებების ოსტატები, გაყიდვების ხელშემწყობები და მიღების ამაჩქარებლებია.

პროდუქტის მარკეტინგის მენეჯერები პასუხისმგებელნი არიან პროდუქტის მრავალფეროვან მიწოდებაზე და მისი სასიცოცხლო ციკლის ფუნდამენტური ნაწილია. ისინი წარმოადგენენ პროდუქტის მახასიათებლების შექმნის მთავარ ხელმძღვანელებს.

კარგი პროდუქტი არაფერია, თუ ის ვერ მიაღწევს თავის პოტენციურ მომხმარებლებს, რომლებიც ისარგებლებენ. პროდუქტის მარკეტინგი მოიცავს პროდუქტის სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრას და მათთან მიდგომების მოძიებას. ასევე პროდუქტის მარკეტინგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მომხმარებელთა და სხვა შიდა გუნდების აღქმაში პროდუქტის შესახებ და ეს ყოველივე საშუალებას აძლევს გააცნობიეროს პროდუქტის ღირებულებას.

ტექნოლოგიური კომპანიების პროდუქტის მარკეტინგი ეხება პროდუქტის მარკეტინგს, როდესაც პროდუქცია არის ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT) ან მაღალტექნოლოგიური. უმეტესად ასეთი პროდუქტები იყიდება B2B გარემოში, ტექნოლოგიური პროდუქტის მარკეტინგი უმეტესად ცნობილია დაინტერესებულ მხარეებთან გაფართოებული ურთიერთობებით და ამჟამად მზარდი კონკურენ-ტული ბაზრით, დღეს ბევრი ახალგაზრდა ქმნის სტარტაპებს იმის გამო, რომ მიიყვანს რაღაც ნიშნულამდე და შესთავაზოს ისეთ ტექნოლოგიურ გიგანტს, როგორიცაა Google.

მზარდი პროგრამული უზრუნველყოფა, როგორც სერვისის სექტორი არის ინოვაციის მტკიცებულება ბიზნეს მოდელებში და მომხმარებელზე ორიენტირებულ ტექნოლოგიური პროდუქტების მარკეტინგის სფეროში.

საყურადღებოა ელიზაბეტ ბრიგჰემის ციტატა, Morningstar-ის პროდუქტის მარკეტინგის (პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით) ყოფილი ხელმძღვანელისგან, ის პროდუქტის მარკეტინგს განმარტავს კომპანიების აღმასრულებელი დირექტორებისთვის: „ნომერ პირველი პასუხი თუ რა არის პროდუქტის მარკეტინგი, არის პროდუქტის ბაზრისთვის მორგება, მაგალითად თქვენ გაქვთ პროდუქტი და ბევრმა შეიძლება იფიქროს, რომ ეს არის ძალიან მაგარი, ახალი, ბრწყინვალე რამ, ბევრჯერ მინახავს, განსაკუთრებით პატარა და ახალ კომპანიებში, დამფუძნებელს ან პირს ჰქონდა პრობლემა, რომ პროდუქტის შექმის შემდეგ იწყებდა ბაზრის მოძიებას. ამის საპირისპიროდ, მაშინ როცა პროდუქტის მარკეტინგი რეალურად აფასებს ბაზარს, თუ რა სახის ძირითადი კომპეტენციები აქვს ამ ორგანიზაციას და შემდეგ აქცევს ამას ერთობად, თუ სად უნდა წავიდეს და რა უნდა შეიქმნას მომხმარებლისთვის ღირებული. პროდუქტის მარკეტოლოგებს ფუნდამენტურად ესმით, რომ არსე-ბობს რაღაც მომხმარებლის სურვილების წერტილი, რისთვისაც ადამიანები მზად არიან გადაიხადონ თავიანთი პრობლემის ან საჭიორების გადაწყვეტისთვის და ეს არის ნამდვილად ის ღირებულება, რომელიც ჭირდება კომპანიას და მომხამრებელს და რომელსაც პროდუქტის მარკეტინგის მენეჯერი მოჰყავს კომპანიებში“[1].

პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების სამყაროში პროდუქტის გუნდის თითოეულ წევრს, როგორც წესი, აქვს მკაფიოდ განსაზღვრული როლი - დეველოპერებიდან დაწყებული QA (Quality Assurance Engineer - ხარისხის უზრუნველყოფის ინჟინერი) ტექნიკოსებით და პროდუქტის მენეჯერით დამთავრებული. თუმცა, ერთ-ერთი თანამდებობა, რომელზედაც ადამიანები შეიძლება დაიბნენ, არის პროდუქტის მარკეტინგის მენეჯერი. როგორც ჩანს, პროდუქტის უმეტეს გუნდს ჰყავს ერთი პროდუქტის მარკეტინგის მენეჯერი, მაგრამ კონკრეტულად რას აკეთებენ ისინი და რაც მთავარია,

რით განსხვავდება მათი როლი პროდუქტის მენეჯერისგან? მოკლედ, პროდუქტის მარკეტინგის მენეჯერი პასუხისმგებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ როგორც ამჟამინდელმა, ასევე პოტენციურმა მომხმარებლებმა სრულად იცოდნენ პროდუქტის სარგებელი და მისი მახასიათებლები. ეს არის ის ფუნქცია რომელიც არ შედის პროდუქტის მენეჯერის კომპეტენციაში, რომელსაც აქვს იდეები ფუნქციების შესახებ. პროდუქტის მარკეტინგის მენეჯერი წარმოადგენს როგორც ერთგვარ თარჯიმანს. მათი სამუშაოა პროდუქტის და მისი მახასიათებლების პოპულარიზაციაა ყველა პოტენციურ მომხმარებლისთვის, რათა მათ იცოდნენ, თუ როგორ შეიძლება გავლენა იქონიოს პროდუქტმა მათ ცხოვრებაზე. ეს ნიშნავს უამრავ უწყებათაშორის თანამშრომლობას, ტექნიკურ გაგებას და შემოქმედებით აზროვნებას. უნდა აღინიშნოს, რომ SaaS (Software as a service, ანუ პროგრამული უზრუნველყოფა, როგორც სერვისი) კომპანიების გავრცელებამ და ინტერნეტის გავლენას ყველა კომპანიაზე პროდუქტისა და პროდუქტის მარკეტინგის როლი უფრო პოპულარული გახდა.

ტექნოლოგიური პროდუქტის მარკეტინგის წარმომადგენლები მრავალი წინააღმდეგობის წინაშე დგანან: ახალი კონკურენტების გამოჩენა, მკვეთრი ცვლილებები ყიდვის ქცევაში, მუდმივად განვითარებადი პრიორიტეტები კლიენტებს შორის, პროდუქტის სტრატეგია და მოთხოვნა იმისა რომ ტექნიკურმა პროდუქტის მარკეტოლოგებმა უფრო დიდი როლი შეასრულონ შედეგების მიღწევაში ბიზნესის მასშტაბით, რათა დაეხმარონ კომპანიას გამარჯვებაში.

Gartner-ის მიერ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ კვლევაში ვკითხულობთ „ჩვენ რეგულარულად ვიღებთ ინტერვიუებს პროდუქტის მარკეტოლოგებისგან და ბოლო დროის გამოიკითხაში 180+ პროდუქტის მარკეტინგის ლიდერი საუბრობს იმის შესახებ, თუ როგორ უახლოვდებიან პრიორიტეტებს, აბალანსებენ დროს და წარმატების გაზომვას ახერხებენ. რაც ჩვენ აღმოვაჩინეთ გამოვლინდა საერთო გამოწვევები, რომელთა წინაშეც ბევრი მათგანი ერთიდაიგივეა თითოეუ-ლისთვის - მაგრამ საერთო ჯამში გამოწვევები დამოკიდებულია ლიდერის გადაწყვეტილებებზე.“[2]



ნახაზი 1. პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი

გამოწვევებში მნიშნელოვანი ნიუანსია პროდუქტი და მისი სასიცოცხლო ციკლი. ტექნოლოგიური პროდუქტის ან პროგრამული უზრუნველყოფის სასიცოცხლო ციკლი იგივენაირად მიჰყვება პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის 4 ეტაპს, როგორც ყველა სხვა პროდუქტი და მომსახურება მაგრამ, როგორც ტექნოლოგიური პროდუქტის მარკეტერებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, სექტორის ტენდენციების.

მოცემული გრაფიკული გამოსახულება არის ტექნოლოგიის სასიცოცხლო ციკლის მრუდი და ამასთანავე სეგმენტაცია. ეს არის ჯეფრი მურის გრაფიკი, რომელიც მას მოცემული აქვს თავის ბესტსელერში „Crossing the Chasm: Marketing and Selling High-Tech Products to Mainstream Customers“. ამ წიგნში ის საუბრობს იმაზე, თუ რა არის საჭირო ტექნოლოგიური კომპანიის ბაზარზე გასატანად და რა

წინააღმდეგობები არსებობს ამ დროს. მნიშვნელოვანია მისი ცნობილი ტექნოლოგიის სასიცოცხლო ციკლის მრუდი.



ნახაზი 2. ჯეფრი მურის გრაფიკი - „ტექნოლოგიის სასიცოცხლო ციკლის მრუდი“ [3]

მრუდის დასაწყისში არიან ადამიანები, რომლებსაც სურთ ახალი ტექნოლოგია ჩაიგდონ ხელში. ესენი არიან ნოვატორები, მეოცნებეები და ადრეული მიმღებები. ასეთ კომპანიად შეიძლება დავასახელოთ Google, როგორც ზემოთ ვისაუბრეთ. სეგმენტაცია აქ მნიშვნელოვანია. ეს არის ბაზრის დაყოფის პროცესი ინდივიდების ან ორგანიზაციის ცალკეულ ქვეჯგუფებად (სეგმენტებად), რომლებიც იზიარებენ მსგავს მახასიათებლებს, რაც იწვევს მათ მსგავს ქცევას ან მსგავსი მოთხოვნილებების არსებობას.

სეგმენტაციის უნიკალური ასპექტი მაღალტექნოლოგიურ ბაზარზე, არის ის, რომ ბაზრის ადრეულ მიმღებებს აქვთ განსხვავებული მიღების მოტივაცია, ვიდრე მეინსტრიმ მიმღებებს; ჯეფრი მური აღნიშნავს ადრეული მიმღებობის ხარვეზს (გაყიდვების შეფერხებას მაღალტექნოლოგიური კომპანიებისთვის ახასიათებს, როგორც უფსკრული). ამ უფსკრულის აღმოსაფხვრელად, კი მაღალტექნოლოგიური კომპანიების გამოწვევაა იმის აღიარება, რომ მარკეტინგული სტრატეგიები, რამაც გამოიწვია მათი საწყისი საბაზრო წარმატებები [4].

ბევრი B2B ტექნოლოგია და სერვისის პროვაიდერი (მომწოდებელი) უახლოვდება ბაზარზე გასვლის სტრატეგიას, ისინი ჯერ ავითარებენ პროდუქტს და შემდეგ იდენტიფიცირებენ ბაზრის სეგმენტაციას, ამის შემდეგ კი ქმნიან გაყიდვებისა და მარკეტინგული სტრატეგიებს. მყიდველები კი სულ უფრო მეტს ელიან. ისინი ეძებენ პროვაიდერებს, რომლებიც შესთავაზებენ მათ სასურველ პროდუქტს სასურველი ყიდვის გამოცდილებით.

ამ მოთხოვნილებების გასაგებად და დასაკმაყოფილებლად, გაყიდვები, პროდუქტის მარკეტინგი და პროდუქტის მენეჯმენტი ერთად უნდა იმუშაონ, რათა უფრო სრულყოფილად მიიღონ თავიანთი ბაზარზე გასვლის სტრატეგიები. პროდუქტის მარკეტინგი სწორ ადგილზეა ამ პროცესში ლიდერობისთვის. „დიდი ინტეგრაცია უპირატესობას ანიჭებს შიდა თანამშრომლობას, მომხმარე-ბელთა გამოცდილებას და მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას“, - ამბობს მარკ სტანიერი, გარტნერის უფროსი დირექტორი ანალიტიკოსი. „ეს არის ყველა დისციპლინა, რომელიც ემსახურება გამოცდილი პროდუქტის მარკეტოლოგების ძლიერ მხარეებს“[5]

კომპანიის ორგანიზაციული კულტურა ხშირად არის ერთადერთი და უდიდესი ფაქტორი ტექნოლოგიური პროდუქტის მარკეტინგის ფაქტობრივი როლებისა და პასუხისმგებლობების

განსაზღვრაში, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს პროვაიდერებს შორის. ეს ართულებს გაყიდვების, მარკეტინგისა და პროდუქტის მენეჯმენტის გათანაბრებას და საერთო ბაზარზე გასვლის სტრატეგიის განხორციელებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კომპანიის კულტურა ხელს უწყობს კონკრეტულ როლს. ძალაუფლების ცენტრი პროდუქტის განვითარებისთვის არის ორგანიზაცია. პროდუქტის მარკეტინგი ხშირად განიხილება, როგორც ტაქტიკურად და არა სტრატეგიულად, მათ ევალებათ ფოკუსირება მოახდინოს პროდუქტის გატანაზე, შექმნაზე, პრეზენტაციებზე და გაყიდვების გააქტიურების ინსტრუმენტებზე.

გაყიდვებზე ორიენტირებულ კულტურაში პროდუქტის მარკეტინგს შეიძლება ჰქონდეს შეზღუდული როლი. ამ მოდელში პროდუქტის მარკეტინგი ფოკუსირებულია მოთხოვნაზე. იმის გამო, რომ გამყიდველები არიან ძირითადი ინტერფეისი ბაზარზე, მომხმარებლის მოთხოვნილებები განაპირობებს პროდუქტის სტრატეგიას. თუმცა, ბაზარზე ხელმძღვანელობით გაყიდვების მოდელი ხშირად ვერ არის ნამდვილად მომხმარებელზე ორიენტირებული. ვინაიდან პროდუქტის მარკეტინგის როლები ორიენტირებულია მოთხოვნის გენერირებაზე ამის მიღწევა კი შეუძლებელია პროდუქტის მარკეტინგის კრიტიკული უნარების გარეშე, როგორიცაა ამბის თხრობა, ბაზრის ანალიზი და მომხმარებელთა ჩართულობა.

შეტყობინებების და პოზიციონირების შესახებ გამოცდილების ნაკლებობა იწვევს მნიშვნელოვან პრობლემებს. მყიდველებს შეუძლიათ ადვილად ეძებონ სხვაგან ალტერნატივები, რომლებიც უფრო მკაფიოდ არის გათვლილი მათ სპეციფიკურ საჭიროებებზე. ეფექტური შეტყობინებების განვითარებისთვის საჭიროა მეტი, ვიდრე წერის გამოცდილება ან პროდუქტის სიღმისეული ცოდნა. „ყველაზე დამაჯერებელი მარკეტინგული ისტორიები ხშირად ისეთებია, რომლებიც ამოძრავებენ პროდუქტის მარკეტოლოგებს, განსაკუთრებით იმ პრაქტიკოსებს, რომლებსაც აქვთ წვდომა მომხმარებლებთან, პერსპექტიულ მომხმარებლებთან და გამყიდველებთან“, - ამბობს სტანიერი [6].

ბევრი პროდუქტის მარკეტინგი კომპანიას ემსახურება როგორც "ორკესტრის წევრი", რომლებიც საშუალებას აძლევს სხვა გუნდებს გახდნენ წარმატებულნი. შესაბამისად, პროდუქტის მარკეტოლოგები ხვდებიან მუდმივ გამოწვევას, დაამტკიცონ თავიანთი გავლენა ბიზნეს მიზნებზე, როგორიცაა შემოსავლების ზრდა და მომხმარებლების შენარჩუნება. მაგ., ზოგი იბრძვის გაყიდვების გასააქტიურებელი კონტენტის გავლენის რაოდენობრივად განსაზღვრისთვის, რათა უზრუნველყოს მოგების მაღალი მაჩვენებლები, უფრო სწრაფი გაყიდვების ციკლი და მეტი შემოსავალი. ამ გამოწვევის გადასაჭრელად, პროდუქტის მარკეტინგის ლიდერები მჭიდროდ თანამშრომლობენ თავიანთ მონაცემთა და ანალიტიკის გუნდებთან, რათა გაიგონ კორელაცია გაყიდვების გუნდების მიერ კონტენტის გამოყენებასა და გაყიდვების შემოსავლის შედეგებზე გავლენას შორის. პროდუქტის გამყიდველები მრავალი გამოწვევების წინაშე დგანან, რადგან ისინი ცვლიან გაყიდვების ჩვევებს და ამატებენ ბიზნეს-მყიდველებს მყიდველების გუნდში. დროის 50%-ზე მეტს ხარჯავენ კვლევებზე.

პროდუქტის სტრატეგია, გაყიდვების მხარდაჭერა, მოთხოვნის წარმოქმნა და პოზიციონირება და შეტყობინებები ყველაზე ეფექტურია, როდესაც პროდუქტი, გაყიდვები და მარკეტინგი ერთმანეთს შეესაბამება. მაღალი დონის გუნდები სწრაფად იდენტიფიცირებენ მათში. პროდუქტის მარკეტინგმა კი ამ ყველაფერში წამყვანი როლი უნდა შეასრულოს შეტყობინებების გაგზავნას, პოზიციონირებაში და პროდუქტის გაშვებაში. მაგრამ არის სხვა პროცესებიც, რომლებიც საჭიროებენ კოორდინაციას გაყიდვებში, მარკეტინგში და პროდუქტის მენეჯმენტში. როგორიცაა გაყიდვების ტრენინგი და გააქტიურება, პროდუქტის მარკეტინგმა შეიძლება იმოქმედოს როგორც ფასილიტატორმა და არა მფლობელმა. პროდუქტის მარკეტინგი უნდა იყოს ბაზრის ხმა ინფორმირებული და დამაჯერებელი ანალიზის მეშვეობით კონსენსუსის ასამაღლებლად.

Gratner-მა 2019 წელს ჩაატარა კვლევა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ Gratner ყოველწლიურად აკეთებს გამოკითხვას 180-ზე მეტი პროდუქტის მარკეტოლოგთან, რისი მიზანიცაა თუ როგორ უახლოვდებიან ისინი პრიორიტეტებს, აბალანსებენ დროს და ზომავენ წარმატებას. გამოკითხვამ აჩვენა, რომ პროდუქტის მარკეტოლოგების ორი მესამედი ურთიერთობს ყოველდღიურად ან ყოველკვირეულად პროდუქტის მენეჯმენტის გუნდთან. გარდა ამისა, პროდუქტის მარკეტოლოგების

85% აღწერს ურთიერთობას პროდუქტის მენეჯმენტთან, როგორც თანამშრომლობითი ან უაღრესად თანამშრომლობითი. ეს მოდელი საშუალებას აძლევს პროდუქტის მარკეტინგის ხელმძღვანელობას შექმნას მაღალი ეფექტურობის კონტენტი, უზრუნველყოს ძირითადი წვლილი პროდუქტის სტრატეგიაში და წვლილი შეიტანოს გაყიდვების ეფექტურობის გაუმჯობესებაში.

შემოსავლის ზრდა არის ის, რაც ამოძრავებს პროდუქტის მარკეტოლოგებს. მთლიანი შემოსავალი გლობალური ტოპ 100 IT გამყიდველისთვის 2018 წელს 12.4%-ით გაიზარდა, ხოლო ტოპ 100-დან 42%-ზე მეტი გაიზარდა 10%-ით. კონკურენცია მოითხოვს ხუთ ძირითად სფეროში მაქსიმალურს, ტექნიკური მარკეტინგის გუნდს და პროდუქტის მარკეტინგს შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს ყველა მათგანზე:

- დაგეგმვა და სეგმენტაცია
- პროდუქტის დიფერენციაცია და შეტყობინებები
- პროდუქტის პოპულარიზაცია და ცნობადობა
- პროდუქტის მარკეტინგული გავლენა
- პროდუქტის მარკეტინგის ლიდერობა

არსებობს გამოწვევები და ქმედებები ტექნოლოგიური პროდუქტის მარკეტინგისთვის, კერძოდ:

1. გამოწვევა არის თუ როგორ განისაზღვროს KPI-ების სწორი ნაკრები, რომელიც შეესაბამება ბიზნესს სტრატეგიას და აჩვენებს, თუ როგორ ეხმარება პროდუქტის მარკეტინგი ორგანიზაციის წინ წაწევას

2. ნიჭის მიქსის ოპტიმიზაცია, რთულია რომ არსებობდეს პროდუქტის მარკეტინგი ტექნოლო-გიური უნარებით, ასევე რთულია შეითავსონ ის საჭირო უნარები რაც ტექნოლოგიურ პროდუქტს სჭირდება, მაგრამ პროდუქტის მარკეტინგის ჰიბრიდული ხასიათი შესაძლებლობას იძლევა, აიმაღლოს კვალიფიკაცია ნებისმიერ სფეროში.

3. დაბალანსებული ფოკუსირება მომხმარებელთა ზრდაზე, განახლებები არც ისე იპყრობს ყურადღებას, როგორც ახალი ლოგოები, ამიტომაც ზოგიერთი ორგანიზაციისთვის, ლოგოების და ბრენდინგის განახლებაზე თანხის დახარჯვა უფრო ხშირად ხდება, ვიდრე მომხმარებლისთვის საჭირო პროდუქტის შექმნაზე.

მაღალტექნოლოგიური პროდუქტების ან სერვისების მარკეტინგი ხდება გარემოში, რომელსაც ახასიათებს სამი სახის გაურკვევლობა: ბაზრის გაურკვევლობა, ტექნოლოგიური გაურკვევლობა და კონკურენტული არასტაბილურობა. ბაზრის გაურკვევლობა არის მოთხოვნის შიშის, გაურკვევლობის და ეჭვის გამო, რომელსაც მომხმარებლები განიცდიან უცნობი პროდუქტის მიღებისას. ჩნდება კითხვები: არის თუ არა მომხმარებლის საჭიროება ამ პროდუქტზე? გადაჭრის ის პრობლემას, რომელსაც მომხმარებლები განიცდიან? შეიძლება შეიცვალოს სამომხმარებლო საჭიროებები მომავალში? იქნება თუ არა კონკურენტი ინდუსტრიის სტანდარტები ამ ახალი ტექნოლოგიის ირგვლივ? რა არის ბაზრის სავარაუდო ზომა? ტექნოლოგიის გაურკვევლობა, მიწოდების გაურკვევ-ლობა, მეცნიერებისა და ინჟინერიის მიერ დაწესებული შეზღუდვების გამო ჩნდება კითხვები: იფუნქციონირებს თუ არა ეს დაპირებული პროდუქტი? შეძლებს თუ არა კომპანიას მიაწოდოს საკმარისი ერთეული საჭირო ვადებში, ისევე როგორც მაღალი ხარისხის მომსახურება, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს? მოძველდება თუ არა ეს პროდუქტი? არის თუ არა მოსალოდნელი ამ პროდუქტის რაიმე გაუთვალისწინებელი უარყოფითი შედეგები მომხმარებლებისთვის, გარემოსთვის ან ზოგადად საზოგადოებისთვის? ბოლოს და ბოლოს, კონკურენტული არასტაბილურობა ასახავს არსებული ან მომავალი კონკურენტების იდენტიფიცირების სირთულეს და შესაძლო საპასუხო სტრატეგიებსა და ტაქტიკას კომპანიის პროდუქტის გამოშვების წინააღმდეგ. პროდუქტის მარკეტინგის მენეჯერები კი ამ ყველაფრის აღმოსაფხვრელად აკეთებენ ბაზრის გაურკვევლობის, ტექნოლოგიური გაურკვევლობის და კონკურენტული არასტაბილურობის რეალისტური შეფასებას მათი პროდუქტის გარშემო.

სწორედაც, რომ მაღალტექნოლოგიური პროდუქტის მარკეტინგი ხდება გარემოში, რომელსაც ახასიათებს ბაზრის გაურკვევლობა, ტექნოლოგიური გაურკვევლობა და კონკურენციის ცვალებადობა.

ზოგიერთი ინდუსტრია, რომლებშიც შეიძლება მოიძებნოს გაურკვევლობის ამ წყაროების კონვერგენცია ხასიათდება როგორც „მაღალტექნოლოგიური", საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგია (ICT, როგორიცაა კომპიუტერული აპარატურა, პროგრამული უზრუნველყოფა და ტელეკომუნიკაცია), ასევე სამომხმარებლო ელექტროტექნიკა, ნანოტექნოლოგია, ბიოტექნოლოგია, რობოტიკა და ახალი ტექნოლოგიური ინოვაციების სპექტრი, რომლებიც რევოლუციას ახდენენ ბიზნესსა და საზოგადოებაში. ამ გაურკვევლობის გამო, მაღალტექნოლოგიური პროდუქტის მარკეტინგი ხშირად მოითხოვს სტანდარტული მარკეტინგული ინსტრუმენტების შეცვლას და მაღალტექნოლოგიურ გარემოსთან ადაპტირებას [1] უფრო კონკრეტულად მოიხსენიება როგორც მაღალტექნოლოგიური პროდუქტის მარკეტინგის საგანგებო თეორია, ამიტომაც მნიშვნელოვანია კომპანიებიც შეესაბამებოდეს თავიანთი სპეციფიკური მარკეტინგული სტრატეგიას და ბაზარზე განხორციელებული ინოვაციის ბუნებას. ერთის მხრივ, დამატებითი ინოვაციები, შეიმუშავება მომხმარებლის ცნობილ მოთხოვნილებებზე რეაგირებით, სადაც კლიენტებს ზოგადად კარგად ესმით ტექნოლოგიის გამოყენება, ეს საშუალებას აძლევს სტანდარტულ მარკეტინგულ ინსტრუმენტებსა და კონცეფციებს საკმაოდ კარგად იმუშაონ. მეორეს მხრივ, გარღვევა, რომელიც ხშირად შემუშავებულია R&D (research and development) პერსონალის მიერ, კონკრეტული კომერციული ბაზრის შესაძლებლობის გათვალისწინებით, შეიძლება მოითხოვოს სხვადასხვა ან დამატებითი პროდუქტის მარკეტინგული სტრატეგიაც. [2]

იმისთვის, რომ მაღალტექნოლოგიურმა კომპანიებმა ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები, პროდუქტები და სერვისები მომხმარებლებთან მიიტანონ, საჭიროა ფიქრი და გააზრება იმ ძირითადი საჭიროებების გათვალისწინებით, რაც მომხმარებელს აქვთ. მათ უნდა ჰქონდეთ ინტიმური გაგება მათი მომხმარებლების, მათი კლიენტების ბიზნესის კეთების გზებისა და მათი მომხმარებლების ინდუსტრიის შესახებ, რის საშვალებასაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ იძლევა პროდუქტის მარკეტინგი, რომ მოხდეს ეს ყოველივე ჰარმონიულად მეტი წარმატების მიღწევის მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. king Richard, Pearce Bryony - Product Marketing Misunderstood: How to Establish Your Role, Authority, and Strategic Value
2. Product Marketing Leaders in Changing Times: Growing Your Impact Insights from the 2019 Gartner Product Marketing Survey
3. Geoffrey A. Moore -Crossing the Chasm: Marketing and Selling High-Tech Products to Mainstream Customers 2006
4. Mark Stanyer – "The Product Marketing Leader's First 100 Days", 2019
5. Mohr, Jakki, Sanjit Sengupta, and Stanley Slater. Marketing of High-Technology Products and Innovations (3rd ed.) Upper Saddle River, NJ: Prentice-Hall, 2010
6. Leonard-Barton, Dorothy, Edith Wilson, and John Doyle (1995), "Commercializing Technology:Understanding User Needs," in Business Marketing Strategy . V. K. Rangan et al. (eds.), Chicago:Irwin, pp. 281–305

[1] Mohr, Jakki, Sanjit Sengupta, and Stanley Slater. Marketing of High-Technology Products and Innovations (3rd ed.) Upper Saddle River, NJ: Prentice-Hall, 2010

[2] Leonard-Barton, Dorothy, Edith Wilson, and John Doyle (1995), "Commercializing Technology:Understanding User Needs," in Business Marketing Strategy . V. K. Rangan et al. (eds.), Chicago:Irwin, pp. 281–305

Application of Product Marketing in Technology Companies

Rusudan Kinkladze
Stu, Associate Professor
Nana Gulisashvili
Stu, of the administration of Byeness
Doctoral student of the doctoral program

Abstract

Technological innovation is widespread. It's more than product creation and marketing. It's about understanding the technology itself and how it can be used to solve everyday problems. With this in mind, it is important to define what exactly makes a technology company and how technology is defined, be it a product, service, or industry. Technology is everything and more. It is also an ever-evolving concept, and it is necessary to understand what action or activity to take with it to help the business continually overcome obstacles and improve the cost-effectiveness of delivering products and services.

Companies such as Facebook, Amazon, Google and Microsoft face different challenges and it is always difficult and extremely important. It is for such companies that the need for product marketing is obvious. Product marketing manager is a very popular position in a number of industries such as technology, retail, hospitality, etc. And for almost any company that performs a marketing function, product marketing is becoming more and more necessary activity for any employer every day, whose goal is growth and development. This is very difficult to achieve without knowing the buyer and the product. Product marketing is the link that brings it all together and creates a great opportunity for both the company and the client, which is called a valuable product.

Key words: product, marketing, commodity marketing, technology. Technology product, product management.

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების მართვის კონცეფცია მომხმარებლებისა და დამკვეთების ინტერესების შეთანხმების საფუძველზე

ქუთათელაძე რუსუდან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ვეკუა ელზა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

აუცილებელია შემუშავებული იქნას საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების ორგანიზაციულ-ეკონომიკური სრულყოფის ახალი მიდგომები და მიმართულებები. ამისათვის კი ერთერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია მარკეტინგული საქმიანობა. შრომის ბაზრის დაბალანსებული ფუნქციონირების და ეფექტიანი დასაქმების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული უნდა იქნას პროფესიული განათლების არსებული სისტემა და სმპ-ის ბაზარი, სმპ-ის ძირითადი მომხმარებლები ხდებიან არა მხოლოდ საწარმოები და ორგანიზაციები, არამედ კონკრეტული ფიზიკური პირი, რომელიც განსაზღვრავს საკუთარ არჩევანს თავისი სურვილების (მოთხოვნილებების) და ფინანსური შესაძლებლობების შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები: ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები (იმკ); საგანმანათლებლო მომსახურებებისა და პროდუქტების (სმპ) ბაზარი; სმპ-ს მომხმარებლები; სმპ-მომხმარებელთა სტრუქტურა.

ძირითადი ტექსტი

საგანმანათლებლო ფუნქცია ნებისმიერი ცივილიზებული საზოგადოების უმნიშვნელოვანესი სოციალური ფუნქციაა. საგანმანათლებლო მომსახურების სფერო წარმოადგენს თანამედროვე ცივილიზაციის ღერძს, საზოგადოების, ცალკეული ქვეყნისა და რეგიონის განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. დღეისათვის უკვე ნათელია, რომ მომავალი იმ ქვეყნებსა და ერებს აქვთ, რომლებიც შეძლებენ სხვებს აჯობონ ახალი ცოდნის ათვისებაში, სამეცნიერო მიღწევებსა და მათ პრაქტიკულ გამოყენებაში. განათლების დონე და ხარისხი განაპირობებს როგორც ზოგადად საზოგადოების კეთილდღეობას, ასევე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და სოციალურ-კულტურული სფეროს განვითარების შესაძლებლობას. საგანმანათლებლო ფუნქციის რეალიზაციაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ისეთი რთული სოციალური ინსტიტუტი, როგორიცაა განათლების სისტემა.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების განვითარებამ გამოიწვია სერიოზული ცვლილებები უმაღლესი განათლების სფეროში. ჩამოყალიბდა საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი, რომელიც სთავაზობს სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და მიმართულების უმაღლესი სასწავლებლის ფართო არჩევანს. თითოეული მათგანი მომხმარებელს სთავაზობს არა მარტო სპეციალობების ფართო არჩევანს, არამედ სწავლების სხვადასხვა მეთოდებს. მნიშვნელოვნად განსხვავდება მათ მიერ შემოთავაზებული მომსახურების საფასურიც.

საქართველოში მიმდინარე განათლების სისტემის ძირეულმა რეფორმამ, ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების მცდელობამ და საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ჩამოყალიბებამ უმაღლესი სასწავლებლების წინაშე დააყენა უამრავი თეორიული და ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური პრობლემა, რომლებიც მკაცრ კონკურენციულ პირობებთან ადაპტაციის აუცილებლობასთანაა დაკავშირებული.

ნათელია, რომ აღნიშნულ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საგანმანათლებლო სფეროს საბაზრო ტრანსფორმაციისა და, პირველ რიგში, მისი განვითარების თანამედროვე მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავებისა და პრაქტიკულად დანერგვის პრობლემები და იმკ-ის სისტემის მართვის მეთოდების სრულყოფის საკითხები.

საგანმანათლებლო მომსახურებებისა და პროდუქტების ბაზრის ძირითად თავისებურებას

საბაზრო ურთიერთობების პირობებში წარმოადგენს ის, რომ მოხდა არსებითი ცვლილებები მომხმარებელთა სტრუქტურაში. ამჟამად სმპ-ის ძირითადი მომხმარებლები არიან საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე კონკრეტული ფიზიკური პირები - მომხმარებელთა აღნიშნული სეგმენტის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს მისი არაორგანიზებულობა.

თავის მხრივ, სმპ-ის დამკვეთები - საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, პიროვნებისგან განსხვავებით, წარმოადგენენ სმპ-ის შუალედურ და არა საბოლოო მომხმარებლებს, მაგრამ სწორედ ისინი აყალიბებენ და აყენებენ მეტ-ნაკლებად ორგანიზებულ მოთხოვნას მათზე. დასაქმებულთა რიცხოვნობის საერთო შემცირების ფონზე ქვეყნის ეკონომიკაში ხდება არა მხოლოდ მომუშავეების დარგთაშორისი, არამედ ერთი დარგის ფარგლებში სხვადასხვა საკუთრებრივი ფორმების საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის გადანაწილება. საწარმოთა რესტრუქტურიზაცია, განვითარების სტრატეგიების ცვლილება ან წარმოებრივი წინსვლა იწვევს საკადრო შემადგენლობის რესტრუქტურიზაციას. სამუშაო ძალის სიჭარბე და, იმავდროულად, მაღალკვალიფიციური პერსონალის დეფიციტი გვკარნახობს პერსონალის მომზადების ან ისეთი ახალი კადრების მოძიების აუცილებლობას, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხით შეესაბამება წარმოების მოთხოვნილებებს. წარმოების საერთო ვარდნამ მწვავედ დააყენა კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის პრობლემა. მეორე მხრივ, არსებული სამეცნიერო-მეთოდურ ბაზასა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის ინტელექტუალურ პოტენციალს შესწევს კვალიფიციური საგანმანათლებლო მომსახურებების გაწევის უნარი ტექნიკური განათლების სფეროში. თუმცა, მომზადებული სპეციალისტები ყოველთვის როდია მოთხოვნადი შრომის ბაზარზე მრეწველობის სტაგნაციის გამო, ან არ მუშაობენ სპეციალობით. იმავდროულად, სახელმწიფო ხარჯავს საშუალებებს მათ გადამზადებაზე, თუმცა წარმოების აღორძინებისთვის, საქართველოში ძალზე საჭიროა ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტები. იქმნება სიტუაცია, როცა სმპ-ის შეთვაზება ან აღემატება მოთხოვნას, ან არ შეესაბამება მას, ხოლო კვალიფიციური სპეციალისტების შეთავაზება შრომის ბაზარზე არ შეესაბამება დამსაქმებელთა მოთხოვნებს.

სახელმწიფოს და თვითმმართველობის ორგანოების როლი კავშირის „მოსახლეობა - ეკონომიკა - დასაქმება“ ფუნქციონირებაში ძალზე მნიშვნელოვანია. ქვეყნის ეკონომიკის მატერიალური წარმოების ცალკეული დარგების და მომსახურების სფეროს განვითარების პრიორიტეტები, საკადრო პოტენციალის ჩამოყალიბება, ასევე შრომის ბაზარზე ქცევის წესების შემუშავება და მათი დაცვის უზრუნველყოფა უნდა გახდეს განვითარების ტენდენცია, დაზოგილი რესურსული პოტენციალი, ჩამოყალიბებული კონკურენტული უპირატესობები და შემდგომი პროგრესული განვითარების აუცილებლობა და შესაძლებლობა.

ჩვენი აზრით, სამომხმარებლო პრიორიტეტების შესწავლა უნდა დაიწყოს ახალგაზრდობის წინა საუნივერსიტეტო მომზადებისა და პროფორიენტაციის სისტემის კვლევით. აღნიშნული კვლევების მიზანს წარმოადგენს მოზარდი თაობის სწავლების პროცესის ორგანული შერწყმა მათ პროფესიულ ორიენტაციასთან. პროფ ორიენტაციული მუშაობის ამოცანას წარმოადგენს ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში მსოფლიო და ქართელი მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების პროპაგანდა, პროფესიული ცოდნის მიღება და თვალსაწიერის გაფართოება. კომპლექსური მიდგომა სწავლებაში და ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაცია შესაძლებლობას მისცემს სტუ-ს, ერთი მხრივ, შეისწავლოს საგანმანათლებლო მომსახურებებზე მუდმივად ცვალებადი მოთხოვნა, მეორე მხრივ კი, - გავლენა მოახდინოს ეკონომიკის დარგების დამსაქმებელთა მხრიდან სოციალური შეკვეთის ჩამოყალიბებაზე ამ უკანასკნელთა მოთხოვნებზე ორიენტაციით. გარდა ამისა, არცერთი სხვა საქმიანობა არ არის ნაზიარები კულტურასთან ისე, როგორც უმაღლესი განათლება. სმპ-ზე მოთხოვნას განსაზღვრავს კულტურის დონე საზოგადოებაში, რაც უფრო მაღალია კულტურის დონე, მით უფრო მწვავდება მოთხოვნილება ახალ ცოდნასა და დამატებით განათლებაზე. ჩვენი აზრით, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა უნდა მოახდინოს ისეთი საგანმანათლებლო კონცეფციის რეალიზება, რომლის ფარგლებშიც ინიცირებული იქნება კვალიფიკაციის, ახალი ცოდნისა და უნარების დაუფლება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით პრიორიტეტულ სამეცნიერო და წარმოებრივი საქმიანობის მიმართულებების მიხედვით.

დასკვნა

პრიორიტეტული მიმართულებებით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიების რეალიზაციის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ საკადრო თანხლების მდგრადი სისტემა, რომელიც ეყრდნობა უმაღლესი პროფესიული განათლების სისტემას. ამ მიზნით, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია უნივერსიტეტის, კვალიფიციური სპეციალისტების დამკვეთების (სახელმწიფოსა და დამსაქმებლების სახით) ძალისხმევის ინტეგრირება ქვეყნის კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც წარმოიქმნება ცალკეულ დარგებში და ეხება როგორც კადრების პროფესიული მომზადების საკითხებს, ასევე სმპ-ის ბაზრის სუბიექტების და მთლიანად ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური, მმართველობითი პრობლემების გადაჭრას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თოდუა ნ. საქართველოს ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა. მონოგრაფია. თბ., 2012;
2. გიგაური ი. მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტები საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე. დისერტაცია. თბ., თსუ. 2012;
3. ვალიშვილი თ. საქართველოს საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის მარკეტინგული კვლევის საფუძვლები. დისერტაცია. ქუთაისი, 2011.
4. Bennetot–Pruvot E, Claeys-Kulik A-L. Estermann T. (2013), „Designing strategies for efficient funding of higher education in Europe", European Union's Association, http://www.eua.be/Libraries/publication/DEFINE_final.pdf?sfvrsn=4, (15.10.2014);
5. Hendrickson Robert M. LaneJason E. Harris James T. Dorman Richard H. (2013). „Academic
6. Leadership and Governance of Higher Education", Stylus Publishing, LLC;

The concept of managing integrated marketing communications based on the agreement of interests of customers and clients

Rusudan Kutateladze
Stu professor
Elsa Vekua
Stu Ph.D

Abstract

It is necessary to develop new approaches and directions for the organizational-economic perfection of the functioning of educational institutions. One of the most important tools for this is marketing activity. In order to ensure the balanced functioning of the labor market and effective employment, the existing system of professional education and the SMP market should be taken into account. The main users of SMP are not only enterprises and organizations, but also specific individuals who determine their own choices based on their wishes (needs) and financial capabilities. Accordingly.

Keywords: integrated marketing communications (IMC); educational services and products (SMP) market; SMP users; Structure of SMP-users.

საფინანსო-საბანკო სექტორის განვითარება ფინანსური გლობალიზაციის პირობებში

ქუთათელაძე ალეკო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ტერჩანიანი სოს
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი

მურადიანი შირაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი

აბსტრაქტი

თანამედროვე დროში განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის ფინანსური ბაზრების გახსნილობის ხარისხი სულ უფრო იზრდება და მცირედით განსხვავდება ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებისაგან. ფინანსური გლობალიზაციის პირობებში საბანკო სექტორი არ არის დამოუკიდებელი. იგი ექცევა კაპიტალის მსოფლიო ბაზრის და მასზე არსებული დეფორმაციის და ასიმეტრიის გავლენის ქვეშ. მსოფლიო ფინანსურ–ეკონომიკურმა კრიზისმა ეს დამაჯერებლად აჩვენა. თანამედროვე ფინანსურ ბაზრებზე ფინანსური ოპერაციების მოცულობა გვაძლევს შესაძლებლობას ვივარაუდოთ, რომ ტრანზაქციების მომსახურების მიმართულებით ფინანსური სექტორი არ არის მეორეხარისხოვანი. იგი გახდა ერთ–ერთი მთავარი ინფლაციური პროცესების შეკავების საკითხში.

დღევანდელ ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიოში კრიზისი არ აღიარებს საზღვრებს. გლობალურ სამყაროში რისკებზე წარმოდგენა სწრაფად იცვლება ურთიერთსაპირისპიროზე. საერთაშორისო ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფის მეთოდები ჯერ კიდევ ჩამორჩება ინტეგრაციის სწრაფ ტემპს. თანამედროვე ფინანსები ატარებენ გლობალურ ხასიათს, მაგრამ სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფის მეთოდები რჩება ძირითადად ეროვნული, რაც ნიშნავს, რომ შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების პოტენციალი შოკების წინააღმდეგ ბრძოლაში ადვილად შესუსტდეს და დარჩეს სტაბილიზაციის პოლიტიკის ინსტრუმენტების გარეშე.

საკვანძო სიტყვები: საბანკო სექტორი, ფინანსური გლობალიზაცია, კაპიტალი, ფინანსური ბაზრები.

ძირითადი ტექსტი

ფინანსური გლობალიზაციის გაღრმავებამ ფინანსურ სექტორში მკვეთრად იმოქმედა საერთაშორისო ეკონომიკურ სტაბილურობაზე. ფინანსური გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოში შლის ეროვნულ საზღვრებს და ამავე დროს არღვევს საუკუნეების მანძილზე არსებულ ჩარჩოებს, რომელშიც განვითარდა ნაციონალური ეკონომიკა. ახლა მრავალი სახელმწიფოს ბანკებს აქვთ თავიანთი ფილიალები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ფინანსური ინსტიტუტები იძულებულნი არიან ჩაებან კონკრეტულ ბრძოლაში არა მხოლოდ ნაციონალურ ბანკებთან, არამედ უფრო ძლიერ უცხოურ ფინანსურ ინსტიტუტებთან, როგორც გარე, ასევე შიდა ბაზარზე. თანამედროვე დროში, ფინანსური ბაზრების გახსნილობის ხარისხი სულ უფრო იზრდება და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის მცირედით განსხვავდება ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებისაგან. ფინანსური გლობალიზაციის პირობებში საბანკო სექტორი არ არის დამოუკიდებელი, იგი ექცევა კაპიტალის მსოფლიო ბაზრის და მასზე არსებული დეფორმაციის და ასიმეტრიის გავლენის ქვეშ. მსოფლიო ფინანსურ–ეკონომიკურმა კრიზისმა ეს დამაჯერებლად აჩვენა. თანამედროვე ფინანსურ ბაზრებზე ფინანსური ოპერაციების მოცულობა გვაძლევს შესაძლებლობას ვივარაუდოთ, რომ ტრანზაქციების მომსახურების მიმართულებით ფინანსური სექტორი არ არის მეორეხარისხოვანი, იგი გახდა ერთ–ერთი მთავარი ინფლაციური პროცესების შეკავების საკითხში. ფინანსური ბაზრებისთვის დამახასიათებელია ინფორმაციული ასიმეტრია, ხოლო საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საჭიროა სანდო ინფორმაცია. საბაზრო დისციპლინის გაძლიერებისთვის, ფინანსურ ბაზრებზე ეფექტიანი ფასების დასადგენად მნიშვნელოვანია ინფორმაციის სიზუსტე და

გამჭვირვალობა.

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა, ასევე გააჩინა კითხვები საბანკო სექტორში კონცენტრაციის ხარისხთან დაკავშიფრებით. გადაჭარბებული კონცენტრაციის ფინანსური კაპიტალი შეინიშნება ბევრ ქვეყანაში. შედეგად გამოჩნდა ახალი ძალიან ძლიერი ფინანსური ინსტიტუტები – „Too big to fail“ (გაკოტრებისთვის ზედმეტად ძლიერი). როგორც ავღნიშნეთ გადაჭარბებული კონცენტრაციის ფინანსური კაპიტალი შეინიშნება ბევრ ქვეყანაში, მაგალითად: აშშ–ში მთლიანი აქტივების 57% მოდის 25 უდიდესი ფინანსური ინსტიტუტის წილზე, ეს ძალიან დიდი მაჩვენებელია, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ფინანსურ სექტორში ატარებს თანდათანობითი დეკონცენტრაციის პოლიტიკას. მთლიანი აქტივების 5 უდიდესი ბანკის წილი აშშ– ში არის 23% , იაპონიაში– 24%, გერმანიაში– 38%, ხოლო რუსეთის ფედერაციაში – 48 %.

გადაჭარბებული კონცენტრაციის საბანკო კაპიტალმა შესაძლოა იქამდე მიგვიყვანოს, რომ ძლიერი ბანკის გაკოტრება გახდეს პოლიტიკური მოვლენა და საფრთხე შეუქმნას ნაციონალურ უსაფრთხოებას, რადგან შესაძლოა საარსებო საშუალების გარეშე დარჩეს მოსახლეობა, ბაზრის ძლიერი წარმომადგენლები და ასევე ფინანსურად დაზარალდნენ უცხო ქვეყნის იურიდიული პირებიც. საფრთხეების თავიდან ასაცილებლად მთავრობა იძულებული იქნება გამოიყენოს საბიუჯეტო რესურსი, ეს კი ფაქტობრივად არის გადასახადების გადამხდელების ფული. საკრედიტო ორგანიზაციები და მათი ტოპ მენეჯმენტი, დაინტერესებულნი არიან დიდი პრემიების მიღებით, ქმნიან სხვადასხვა სახის ბალანსგარეშე სტრუქტურებს, რომლებიც საშუალებას იძლევა ოფიციალური ფინანსური ანგარიშგების გვერდის ავლით განახორციელონ სარისკო ოპერაციები.

უკანასკნელ წლებში მსოფლიო საფინანსო სიტემაში სწრაფი ტემპებით ვითარდება ჩრდილოვანი სექტორი, განსაკუთრებით კი საბანკო სისტემაში. ამ უკანასკნელმა მიიღო ჩრდილოვანი ბანკინგის სახელწოდება. ჩრდილოვანი საბანკო სისტემა წარმოადგენს ნებისმიერი საბანკო ფუნქციების განხორციელებას არარეგულირებადი ან სუსტად რეგულირებადი ინსტიტუტების მიერ. ჩრდილოვან ბანკინგში ჩართული სუბიექტები არ არიან კრიმინალები, და არც მათი წარმომადგენლები არიან დამნაშავენი. ისინი წარმოადგენენ ინსტიტუტებს, რომლებიც იმყოფებიან ეროვნული საბანკო სისტემების რეგულირების მიღმა.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე საბანკო სექტორს ესაჭიროება კონტროლი, ასევე უნდა გატარდეს ანტიმონოპოლიური ღონისძიებები. მოცემული პრობლემა იმით რთულდება, რომ ფინანსურად ძლიერი საკრედიტო ორგანიზაცია, როგორც წესი ფლობს საინვესტიციო პროექტების განხორციელებისთვის საჭირო რესურსებს და ფინანსურ ბაზრებზე ატარებს ფართომასშტაბიან ოპერაციებს თავისი კლიენტების ინტერესებიდან გამომდინარე. საჭიროა ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც გააერთიანებს ფინანსური ბაზრის მონაწილეთა და საზოგადოებრივ ინტერესებს.

ამიტომ გაკოტრებისთვის ზედმეტად ძლიერი ფინანსური ორგანიზაციებისთვის ეროვნული კონტროლის პოლიტიკა უნდა იყოს დაბალანსებული და მომთხოვნიც:

1.ძლიერი ფინანსური ორგანიზაციების კლასიფიკაციისთვის უნდა განისაზღვროს კრიტერიუმები;

2.განისაზღვროს ინფორმაციის გამჭვირვალობის სტანდარტები;

3.ასეთი ორგანიზაციების საქმიანობის განხორციელებისას დაწესდეს პრინციპები სოციალური პასუხისმგებლობის ქცევაზე.

რაც უფრო მკაცრი ხდება საბანკო სექტორში ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ინტერესთა კონფლიქტის მიზეზების აღმოფხვრის მოთხოვნები, მით უფრო მეტი ფული გადაედინება საბანკო სექტორში. ამიტომაც საფინანსო სექტორის მარეგულირებლებისათვის მეტად მნიშვნელოვანია იპოვონ ოქროს შუალედი, ანუ, ერთის მხრივ, რეგულირების პროცესი არ მიიყვანონ აბსურდამდე, ხოლო, მეორეს მხრივ, აკონტროლონ სისტემური რისკები, ამასთანავე მკაცრი რეგულირების ხარჯები საკმაოდ მაღალია, ამიტომ აუცილებელია მათი ოპტიმიზაცია. აუცილებელია ფუნდამენტურად განსხვავებული რეგულირების სისტემების შემუშავება, რომელებიც ხელს შეუწყობს ინოვაციურ განვითარებას და ასევე დააბრკოლებს სოციალურად საეჭვო ინოვაციებს. ბანკის ძირითადი პერსონალის წახალისების

სისტემა სოციალური პასუხისმგებლობის მიღწევებს ბიზნესის სფეროში უნდა უკავშირდებოდეს სოციალური პრობლემების მოგვარებას.

ფინანსური კრიზისის კიდევ ერთ პრობლემად გვევლინება სხვადასხვა სახის სარეიტინგო სააგენტოების საქმიანობა. გლობალურ ეკონომიკაში შეიძლება გაჩნდეს ახალი და უცნობი რისკები. როგორც კრიზისმა არაერთხელ აჩვენა, რისკები შეიძლება ძალიან სწრაფად გავრცელდეს, ზოგჯერ მოულოდნელი გზებით. დღევანდელ ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიოში კრიზისი არ აღიარებს საზღვრებს. გლობალურ სამყაროში რისკებზე წარმოდგენა სწრაფად იცვლება ურთიერთსაპირისპიროზე. საერთაშორისო ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფის მეთოდები ჯერ კიდევ ჩამორჩება ინტეგრაციის სწრაფ ტემპს. თანამედროვე ფინანსები ატარებენ გლობალურ ხასიათს, მაგრამ სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფის მეთოდები რჩება ძირითადად ეროვნული, რაც ნიშნავს, რომ შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების პოტენციალი შოკების წინააღმდეგ ბრძოლაში ადვილად შესუსტდეს და დარჩეს სტაბილიზაციის პოლიტიკის ინსტრუმენტების გარეშე.

დასკვნა

ფინანსური კრიზისის განვითარებამ და გლობალიზაციის პროცესებმა მიგვიყვანა

იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია ეკონომიკის ფინანსურ სექტორში რეგულირების და ზედამხედველობის რადიკალურად განსხვავებული მექანიზმების შემოღება. ახალი რეგულაციები უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა ფინანსური ბაზრების სეგმენტების სპეციფიკას და მათ ურთიერთდამოკიდებულებას, უნდა იყოს ყოვლისმომცველი, უნდა მოიცვას ყველა ფინანსური ინსტიტუტი და ინსტრუმენტი, ასევე მაქსიმალურად თავიდან აიცილოს მარეგულირებელ-საარბიტრაჟო გარიგებები. ამისათვის მარეგულირებელი ორგანოების და ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობა უნდა იყოს აბსოლუტურად გამჭვირვალე. ფინანსური რეგულირების რეფორმების განვითარების და განხორციელების მონიტორინგში ჩართულია საერთაშორისო ორგანიზაციებიც, მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი. უფრო ინტეგრირებულმა და ურთიერთდაკავშირებულმა გლობალურმა ეკონომიკამ შესაძლოა გამოიღოს კარგი შედეგი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=618 ;
2. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=640 ;
3. Лаврушин О.И. Устойчивость банковской системы и развитие банковской политики. Монография. – М.: КноРус, 2020. – 280с.
4. https://mosiashviliblog.wordpress.com ;
5. http://www.economy.ge/uploads/meniu_publikaciebi/ouer/kapitalis_bazris_ganvitarebis_strategia.pdf ;
6. http://unik.edu.ge/uploads/documents/science-center/ekpr/ekpr03.pdf;
7. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=12295 ;
8. http://doc.atsu.edu.ge/geo/sadoqtoro%20disertacia/disertacia_mushkudiani.pdf.

Development of the financial and banking sector In the conditions of globalization

Kutateladze Aleko, Professor of Georgian Technical University
Terchanyan Sos, Student of Georgian Technical University
Muradyan Shiraz, Student of Georgian Technical University

Abstract

In modern times, the degree of openness of the financial markets are growing and developing economies countries, slightly different from the industrially developed countries. Financial globalization, the banking sector is not independent; it is paid to the capital market in the world and its asymmetry and deformation under the influence. The world financial and economic crisis has shown this convincingly. Modern financial markets financial volume of operations, allows us to assume that the financial transactions of the service sector is not less important, it has become one of the main, inflationary pressures in the containment issue.

In today's interconnected world, crisis knows no boundaries. In a globalized world, perceptions of risk are rapidly changing to reciprocal. The methods of ensuring the stability of the international financial system still lag behind the rapid pace of integration. Modern finance has a global character, but the methods of ensuring the stability of the system remain mainly national, which means that the potential of the relevant authorities to fight shocks can be easily weakened and left without stabilization policy instruments.

Key words: Banking sector, financial globalization, capital, financial markets.

სამედიცინო დაწესებულებების ენერგომოხმარების ტრენდის გამოსავლენად დროითი მწკრივების ანალიზის მეთოდის გამოყენება

ქუთათელაძე რუსუდან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბალოიძე მაია
საქართველოს ტენქიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

სამედიცინო დაწესებულებებში ენერგომოხმარების ტრენდის გამოსავლენად ჩვენ მიერ გამოყენებულ იქნა დროითი მწკრივების ანალიზის მეთოდი. სტატიაში განვიხილულია აღნიშნული მეთოდით სეზონური რყევების მაჩვენებლების გამოვლენის მეთოდოლოგია. მეთოდიკა ნაჩვენებია სამედიცინო დაწესებულების საათობრივი ენერგო-მოხმარების დროითი მწკრივის მაგალითზე. მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებულია და წარმოდგენილია დესეზონირებული და სეზონური მწკრივის გრაფიკები. მიღებული შედეგების მიხედვით გაკეთებულია დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: ენერგომოხმარება, ტრენდი, დროითი მწკრივი, ანალიზის მეთოდი, დროითი მწკრივების მოსწორება, მცოცავი საშუალო, ფაქტორი.

დროის მწკივების აღწერის და განვითარების ტენდენციის გამოვლენის ყველაზე მარტივი და გავრცელებული მეთოდი არის დროითი მწკრივების მოსწორება. არსებობს ტრენდის აგების რამდენიმე მეთოდი, რომლებიც პარამეტრული ფუნქციების (წრფივი) აგების საშუალებას იძლევიან. ისინი ასე გამოიყურება:

$$y_t^* = \sum^{s} a_r y_{t+r}$$

სადაც y^* - მოსწორებული მნიშვნელობაა a_r მომენტში. უმარტივესი მაგალითია მცოცავი საშუალო. ჯამი ar = 1 და, შესაბამისად ფილტრი შეესაბამება საშუალო არითმეტიკულს. მოსწორების ინტერვალის სიდიდე განსაზღვრავს, მონაცემების საშუალოს და ხელს უწყობს რყევების გათანაბრებას. გამომდინარე აქედან განვითარების გამოვლენილი ტენდენცია გლუვია.

ენერგომოხმარების ტრენდის გამოსავლენად ჩვენ გამოვიყენეთ დროითი მწკრივების ანალიზის მეთოდი. მწკრივის დესეზონირება წარმოიშობს ცალკე ტრენდს და სეზონურობას. განვიხილოთ აღნიშნული მეთოდი სეზონური რყევების მაჩვენებლების გამოვლენის მეთოდოლოგიაში. 1. დროის მწკრივის მოცემა; 2. გრძელვადიანი კომპონენტის გამოყოფა; 3. მცოცავი საშუალოს გამოთვლა წლიური ან ყოველდღიური ციკლის მიხედვით; 4. შემთხვევითი კომპონენტის ამოღება. სეზონური B-კომპონენტის იდენტიფიცირება; 5. დესეზონირება საწყისი დროითი მწკრივის.

ჩვენ ეს მეთოდიკა გამოვიყენეთ სამედიცინო დაწესებულების საათობრივი ენერგო-მოხმარების დროითი მწკრივის მაგალითზე. 2019 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე. დავამუშავეთ 24x365x4 ჩანაწერები.

ნახ. 7. დესეზონირებული რიგი



ცხრილში მოყვანილი მონაცემები დავამუშავეთ. მე-2 სვეტში თავმოყრილია ელექტრო მოხმარე-ბის სტატისტიკური მწკრივი სამედიცინო დაწესებულებაში. მე-3 სვეტში ნაჩვენებია მოსწორებას შედეგები 12 თვიან მცოცავ საშუალოს გამოყენებით. მე-4 გამოყოფილია შემთხვევითი და სეზონური კომპონენტები. ნახ. 7 და ნახ. 8-ზე წარმოდგენილია დესეზონირებული და სეზონური მწკრივის გრაფიკები.

ცხრილი 2. გაანგარიშების შედეგები

დრო	ელექტრომოხმარება ათასი კვტ.სთ	მცოცავი საშუალო, 12 თვე	მოსწორება მცოცავ საშუალოზე დაყრდნობით	სეზონურობა	დესეზონირებული მწკრივი, ათასი კვტ.სთ
2019 წლის იანვარი	390265,2	-	-	1,44	271005
2019 წლის თებერვალი	355558,3	-	-	1,26	282125
2019 წლის მარტი	303237,2	-	-	1,20	251704
2019 წლის აპრილი	263185,1	-	-	0,92	287033
2019 წლის მაისი	214833,6	-	-	0,79	272510
20019 წლის ივნისი	173357,4	269471	0,64	0,64	271127
2019 წლის ივლისი	177417,6	262010	0,68	0,64	275476

ნახ.7 მოცემულია სტაბილური ენერგო-მოხმარების ტენდენცია მოცემულ პერიოდში.

განსაკუთრებულ საინტერესოა სეზონურობის ქცევა ნახ. 8. ენერგომოხმარების პიკი მიიღწევა ზამთრის თვეებში. რაც გამოწვეულია ტემპერატურის დაწევით, შენობების განათების და გათბობის საჭიროებით. ელექტროენერგიის მოხმარების ყველაზე მცირე რაოდენობა ივლისსა და აგვისტოზე მოდის, რასაც ხელს უწყობს დღის საათების ხანგრძლივობა.

ნახ. 8 - სეზონურობა



სეზონურობა ელექტროენერგიის წლიური მოხმარების გაანალიზების საშუალებას გვაძლევს. განვითარების ტენდენციის განსაზღვრა მომავალი წლისთვის და მისი მნიშვნელობის სეზონურობაზე გამრავლება, წლის განმავლობაში რეალური ელექტრომოხმარების პროგნოზის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. ყოველთვიური პროგნოზის გაკეთებისას სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდების დიდი რაოდენობის გამოყენებაა შესაძლებელი. ანალოგიურად შესაძლებელის სხვა დროითი მწკრივის გაანალიზება.

პროგნოზირების უფრო რთულ ამოცანას მიეკუთვნება პარამეტრების პროგნოზირება დღის თითოეული საათის მიხედვით. ჩვენ ზემოთ მოცემული მცოცავი საშუალო მეთოდი გამოვიყენეთ ელექტრომიმღების მიერ საათობრივი ენერგო-მოხმარებისთვის სამედიცინო დაწესებულებაში. გავითვალისწინეთ წინა ანალიზის გამოცდილება. გამოვყავით დროითი ლაგები ელექტრო ენერგიის მოხმარების რაოდენობის განზოგადებული ფაქტორის გავლენის შესაბამისად ნახ.9.

ნახ. 9 ფაქტორები რომლებიც მოქმედებენ ელექტრომოხმარებაზე



შერჩეული ფაქტორების მიხედვით ჩატარდა პარამეტრების 24 საათიანი ციკლის ანალიზი (ნახაზი 10-17).

ნახ. 10 - ყოველდღიური ციკლი ელექტრომოხმარების გაზაფხულის პერიოდში (სამუშაო დღეები)



ნახ. 11 - ყოველდღიური ციკლი ენერგიის მოხმარების გაზაფხულის პერიოდში (გამოსასვლელ დღეებში)



ნახ.12 - დღიური ციკლურობა ელექტრომოხმარების ზაფხულის პერიოდში



ნახ. 13 - დღიური ციკლურობა ენერგიის მოხმარების ზაფხულის პერიოდში (გამოსასვლელი დღეები)



ნახ. 14 - დღიური ციკლი ენერგიის მოხმარების შემოდგომის პერიოდში (სამუშაო დღეები)



ნახ. 15 - დღიური ციკლურობა ენერგიის მოხმარების შემოდგომის პერიოდში (გამოსასვლელი დღეები)



ნახ. 16 - დღიური ციკლი ენერგიის მოხმარების ზამთრის პერიოდში (სამუშაო დღეები)



ნახ. 17 - დღიური ციკლი ენერგიის მოხმარების ზამთრის პერიოდში (გამოსასვლელი დღეები)

მიღებული შედეგების მიხედვით შესაძლებელი შემდეგი დასკვნის გაკეთება. გარდამავალ სეზონში სამუშაო დღეების მნიშვნელოვანი რყევები არ შეინიშნება, მიუხედავად იმისა რომ კვლევის პერიოდი კოვიდპანდემიის გამო ჰოსპიტალური სექტორის გადატვირთვით მუშაობას დაემთხვა, უმნიშვნელო რყევები მაინც შეინიშნებოდა დასვენების და სამუშაო დღეებში. დასვენების დღეებში ადგილი ქონდა განათების დატვირთვით მუშაობას. ზაფხულში კი საათობრივი ციკლები ნაკლებად შესამჩნევია დღის ხანგრძლივობის გამო. ზამთარში დღის განმავლობაში აღინიშნებოდა პარამეტრების მკვეთრი ცვლილებები.

ამრიგად, პროგნოზირების მეთოდის უმეტესობისათვის, დამაბრკოლებელია დროის მოკლევადიან პერიოდში პარამეტრების მკვეთრი რყევები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Статистические методы прогнозирования в экономике: Учебное пособие, практикум, тесты, программа курса / Дуброва Т.А.; руководство по изучению дисциплины / Дуброва Т.А., Архипова М.Ю. Московский государственный университет экономики, статистики и информатики. - М:, 2004. - 136 с.
2. Дулесов, Хрусталев В.И. Определение энтропии как меры информации при сравнении прогнозных и реальных показателей предприятия // «Современные проблемы науки и образования», 2012.
3. http://apolov-oleg.narod.ru/olderfiles/1/Prangishvili_I.V_JEntropiinye_i_dr-88665.pdf

Using the time series analysis method to reveal the trend of energy consumption of a medical institution

Rusudan Kutateladze
Professor of Georgian Technical University

Maya Abaloidze
PhD studen of Georgian Technical University

We used the time series analysis method to reveal the trend of energy consumption in medical institutions. The article discusses the methodology of identifying the indicators of seasonal fluctuations using the mentioned method.

The methodology is shown on the example of the time series of the hourly energy consumption of a medical institution. Based on the data, deseasonalized and seasonal row graphs are calculated and presented. Conclusions are made according to the obtained results.

Key words: energy consumption, trend, time series, method of analysis, adjustment of time series, moving average, factor.

შრომითი რესურსების კლასიფიკაცია ჯანდაცვაში და ადამიანური კაპიტალის ფორმირების მექანიზმი

ღამბაშიძე თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ჩიკვილაძე თეა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ჯანდაცვის შრომითი რესურსების საქმიანობა მიმართულია ჯანმრთელობის აღდგენის, შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ. ჯანდაცვის შრომითი რესურსები მოიცავს სამედიცინო პერსონალს (ექიმები, ექთნები, ფარმაცევტები, ლაბორანტები) და ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს (ფინანსისტები, მენეჯერები, მძღოლები, დამლაგებლები). პირველთა საქმიანობით უზრუნველყოფილია სამედიცინო მომსახურება, ხოლო მეორეთა გარეშე შეუძლებელია ჯანდაცვის სისტემის გამართული ფუნქციონირება. ჯანმო-ს მონაცემებით მსოფლიოში ჯანდაცვის სექტორში მუშაობს 60 მილიონამდე ადამიანი, რომლის ორი მესამედი ჩართულია უშუალოდ სამედიცინო მომსახურების პროცესში, ერთი მესამედი კი ასრულებს ადმინისტრაციულ და დამხმარე ფუნქციას. ადამიანური კაპიტალის თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დებულებაა ის, რომ მისი ზრდა ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, ვინაიდან ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს საზოგადოების კეთილდღეობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარების ეფექტიანობა დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი რაოდენობით ფინანსებს დებს ის ადამიანურ კაპიტალში, რაც თანამედროვე პროდუქტიული კაპიტალის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც წარმოდგენილია პიროვნებისთვის დამახასიათებელი ცოდნის მდიდარი მარაგით. განვითარებული უნარები, რომლებიც განისაზღვრება ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალით, ადამიანური კაპიტალის არსებობის, განვითარებისა და ღირებულების ზრდის მთავარი ფაქტორია. ამას კი უზრუნველყოფს ინვესტიცია. ინვესტიცია ადამიანურ კაპიტალში გულისხმობს ნებისმიერ ღონისძიებას პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით. ყველა სახის ხარჯი, რომელიც შეიძლება შეფასდეს ფულადი ან სხვა ფორმით და რომელიც მიზანშეწონილია და ასევე ხელს უწყობს ადამიანური რესურსის მომავალი შემოსავლის ზრდას, განიხილება როგორც ინვესტიცია ადამიანურ კაპიტალში.

საკვანძო სიტყვები: ჯანდაცვის სექტორი, მონაცემთა სისტემატიზაცია, ადამიანური კაპიტალი, არაფორმალური განათლება, გლობალური ობსერვატორია, ინვესტიციების უკუგება

ძირითადი ტექსტი

ნებისმიერ ორგანიზაციულ პროცესში რესურსების მნიშვნელოვანი სახე არის ადამიანური რესურსები. ადამიანური რესურსი ყველაზე კრიტიკული რესურსია, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ნებისმიერი ორგანიზაციის ეფექტიანობას. მარტივი არ არის საერთო მიზნის მისაღწევად მრავალი ადამიანის ძალისხმევის კოორდინაცია და წარმართვა. ამ მიზნის ეფექტიანად განხორციელებისათვის აუცილებელია მენეჯმენტისა და ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ძირითადი პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა. ორგანიზაციის უმრავლესობისთვის ადამიანები წარმოადგენენ მნიშვნელოვან რესურსს, ისინი განსაზღვრავენ კომპანიის სამომავლო სტრატეგიას, ხოლო სტრატეგიების რეალიზაცია ხდება ადამიანების მიერ. შერჩეული სტრატეგიის წარმატება ან წარუმატებლობა დამოკიდებულია არამარტო წარსულში მიღებულ გადაწყვეტილებებზე, არამედ იმაზე, თუ როგორ ხდება ამჟამად ორგანიზაციაში დასაქმებული ადამიანების მიერ ამ გადაწყვეტი-ლებების რეალიზაცია. ამიტომაც კომპანიის საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია, თუ ვინ, როგორ და რატომ ასრულებს იმას, რაც აუცილებელია ამა თუ იმ სტრატეგიის რეალიზაციისათვის. ადამიანები მონაწილეობენ დამატებითი ღირებულების შექმნაში, კომპანიის მართვაში, მაგრამ მათ შეუძლიათ

აგრეთვე შეცდომების დაშვებით დიდი მატერიალური ზარალი მიაყენონ კომპანიას. ცალკეული პიროვნებების ურთიერთობების კონტექსტში არსებული ჯგუფების უნარის, ცოდნის და გამოცდილების, ასევე მათ შორის ურთიერთობის ცოდნა კომპანიის სტრატეგიების შემუშავების მნიშვნელოვანი ეტაპია.

ჯანდაცვის შრომითი რესურსების საქმიანობა მიმართულია ჯანმრთელობის აღდგენის, შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ. ჯანდაცვის შრომითი რესურსები მოიცავს სამედიცინო პერსონალს (ექიმები, ექთნები, ფარმაცევტები, ლაბორანტები) და ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს (ფინანსისტები, მენეჯერები, მძღოლები, დამლაგებლები). პირველთა საქმიანობით უზრუნველყოფილია სამედიცინო მომსახურება, ხოლო მეორეთა გარეშე შეუძლებელია ჯანდაცვის სისტემის გამართული ფუნქციონირება. ჯანმო-ს მონაცემებით მსოფლიოში ჯანდაცვის სექტორში მუშაობს 60 მილიონამდე ადამიანი, რომლის ორი მესამედი ჩართულია უშუალოდ სამედიცინო მომსახურების პროცესში, ერთი მესამედი კი ასრულებს ადმინისტრაციულ და დამხმარე ფუნქციას. განვითარებულ ქვეყნებში გამოიყენება შემდეგი საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორები:

- საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია (ISCO-08);
- ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაცია (ISIC).

მოცემული საერთაშორისო კლასიფიკაციები ითვალისწინებენ პროფესიული საქმიანობის სახეს, განათლებისა და მომზადების სფეროს და განათლებისა და მომზადების დონეს. გაეროს მიერ 1997 წელს შემუშავებული განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია გამოიყენება ჯანდაცვის ადამიანური რესურსების განათლების შესახებ მონაცემთა სისტემატიზაციისთვის. კლასიფიკატორის გარეშე შეუძლებელია ჯანდაცვის ადამიანური რესურსების სფეროში სტრატეგიული დაგეგმვა, მონიტორინგი და შეფასება, ქმედითი პოლიტიკის შემუშავება და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება. კლასიფიკატორში ასახულია განათლების ყველა ეტაპი ბავშვთა განათლებიდან არაფორმალური განათლების ჩათვლით. ჯანმოს ჯანდაცვის ადამიანური რესურსების შრომითი საქმიანობის კონცეფცია შედგება სამი ძირითადი ეტაპისაგან:

- შრომითი საქმიანობის საწყისი ეტაპი - შრომითი ბაზრისთვის პერსონალის მომზადება და განვითარება,
- საბაზო განათლება და დიპლომის შემდგომი განათლება, დაგეგმვა, დაქირავება.
- პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს როგორიცაა:

ჯანდაცვის ადამიანური რესურსების განვითარება და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, კონტროლი, კომპენსაცია, სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე. შრომითი საქმიანობის დასრულების ეტაპი, რომელიც უკავშირდება ბუნებრივ კლებას, პენსიაზე გასვლას, მიგრაციას. ჯანდაცვის ადამიანური რესურსების შესახებ ფართო ინფორმაცია ხელმისაწვდომია მონაცემთა საერთაშორისო ბაზებში - ჯანმოს (ჯანდაცვის სამუშაო ძალის გლობალური ატლასი, მონაცემთა გლობალური ობსერვატორია) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სტატისტიკური ბაზები.

ადამიანური კაპიტალის თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დებულებაა ის, რომ მისი ზრდა ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, ვინაიდან ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს საზოგადოების კეთილდღეობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარების ეფექტიანობა დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი რაოდენობით ფინანსებს დებს ის ადამიანურ კაპიტალში, რაც თანამედროვე პროდუქტიული კაპიტალის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც წარმოდგენილია პიროვნებისთვის დამახასიათებელი ცოდნის მდიდარი მარაგით.

ადამიანური კაპიტალი იქმნება როგორც ეკონომიკის საჯარო სექტორში საბაზრო მექანიზმის მოქმედებით, ისე პირადი განვითარების უნარებით, იმ გაგებით, რომ ამ პროცესში გადამწყვეტ როლს თამაშობს შრომის ხარჯები და თვითგანვითარებისთვის საჭირო ძალისხმევა. ეს ხარჯები აუცილებლად შედის სოციალურ ხარჯებში მთელ რეპროდუქციულ პროცესში, რადგან ადამიანის

ცოდნის, უნარებისა და სხვა პროდუქტიული თვისებების დაგროვილი მარაგი შეიძლება განხორციელ-დეს და შეფასდეს მხოლოდ საზოგადოებაში მისი მფლობელის ენერგიული აქტივობით. ინვესტიციებს ადამიანურ კაპიტალში აქვს მთელი რიგი მახასიათებლები, რაც განასხვავებს მათ სხვა სახის ინვესტიციებისგან.

- ❖ ადამიანურ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების უკუგება პირდაპირ დამოკიდებულია სუბიექტის სიცოცხლის და სამუშაო პერიოდის ხანგრძლივობაზე.
- ❖ ადამიანურ კაპიტალს ახასიათებს არა მხოლოდ ფიზიკური და მორალური ცვეთა, არამედ შეუძლია დაგროვება და გამრავლება. ადამიანური კაპიტალის ცვეთა განისაზღვრება, პირველ რიგში, ადამიანის ფიზიკური (დაბერების) ცვეთით ხარისხით და მისი თანდაყოლილი ფსიქოფიზიოლოგიური ფუნქციებით და მეორე, მორალური (ეკონომიკური) ცოდნის მოძველების ან გარკვეული ცვლილებების გამო. ადამიანური კაპიტალის დაგროვებისას მისი მომგებიანობა იზრდება გარკვეულ ზღვარამდე, შემოიფარგლება აქტიური შრომითი საქმიანობის ზედა ზღვრით (აქტიური სამუშაო ასაკი), შემდეგ კი მკვეთრად მცირდება.
- ❖ ადამიანური კაპიტალის ფორმირებას ახსიათებს „ურთიერთმამრავლის ეფექტი“. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სწავლის პროცესში უმჯობესდება და იზრდება არა მხოლოდ დასატრენინგებლის, არამედ მწვრთნელის მახასიათებლები და შესაძლებლობები, რაც შემდგომში იწვევს როგორც პირველის, ასევე მეორეს შემოსავლის ზრდას.
- ❖ ადამიანში ყველა ინვესტიცია არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც ინვესტიცია ადამიანურ კაპიტალში, არამედ მხოლოდ ის, რაც სოციალურად მიზანშეწონილი და ეკონომიკურად აუცილებელია.
- ❖ ადამიანებში ინვესტიციების ბუნება და სახეები განისაზღვრება ისტორიული, ეროვნული, კულტურული თავისებურებებითა და ტრადიციებით, რაც თუნდაც მოზარდებში პროფესიის არჩევა დიდწილად დამოკიდებულია ოჯახურ ტრადიციებზე და მათი მშობლების განათლების დონეზე.
- ❖ ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში, კაპიტალდაბანდებების სხვადასხვა ფორმებთან შედარებით, ყველაზე მომგებიანია როგორც ინდივიდის, ისე მთელი საზოგადოების თვალსაზრისით.

განასხვავებენ ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციის სამ ტიპს:

1. განათლებაზე გაწეული ხარჯები, მათ შორის ზოგადი და სპეციალური, ფორმალური და არაფორმალური, სამსახურში სწავლება.
2. ჯანდაცვის ხარჯები, რომელიც შედგება დაავადების პრევენციის, სამედიცინო დახმარების, დიეტური კვების, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხარჯებისგან.
3. მობილობის ხარჯები, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების შედარებით დაბალპროდუქტიული სამუშაო ადგილებიდან უფრო მაღალპროდუქტიულ ადგილებზე გადაყვანას.

ინოვაციური ეკონომიკის პირობებში, როდესაც მეცნიერული ცოდნა და ინფორმაცია კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების საფუძველია, ადამიანური კაპიტალის განვითარებაში ინვესტიციებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. გასათვალისწინებელია, რომ სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში, ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციის მაქსიმალური ანაზღაურება თითქმის სამჯერ აღემატება ტექნოლოგიაში ინვესტიციების ანაზღაურებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გერზმავა თ., საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი. თბ., 2018
2. ვერულავა თ., ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა. თბ., 2009 11. ვერულა თ. ჯანდაცვის პოლიტიკა. თბ.2016

3. ბეჭვაია ჯ., ვერულავა თ. სამედიცინო პერსონალის სამეცნიერო - ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემები საქართველოში. ჟურნალი "ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა" N 1 2015.
4. Ghambashidze T. An analysis of the functions of international transfer HR of Transnational Corporations Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press
5. Gamkrelidze A, Kereselidze M, Georgia Profile of Health and Well-being. WHO.
6. http://www.euro.who.int/ data/assets/pdf file/0020/351731/20170818-
7. "Health and sustainable development: progress in Georgia". World Health Organization

Classification of labor resources in healthcare and the mechanism of human capital information

Tamar Gambashidze
Associate Professor, Georgian Technical University

Tea Chikviladze
PHD of Georgian Technical University

Abstract

The activity of healthcare labor resources is aimed at restoring, maintaining and strengthening health. Healthcare labor resources include medical staff (doctors, nurses, pharmacists, laboratory technicians) and administrative and support staff (finance, managers, drivers, cleaners). Medical services are provided by the activities of the former, and without the latter, proper functioning of the healthcare system is impossible. According to WHO data, there are up to 60 million people working in the healthcare sector in the world, two-thirds of whom are directly involved in the medical service process, and one-third perform administrative and support functions. One of the important tenets of the theory of human capital is that its growth is one of the main reasons for economic development, since human capital is the most important part of the well-being of society. In modern conditions, the effectiveness of the state's economic development largely depends on the amount of money it invests in human capital, which is the most important component of modern productive capital, which is represented by a rich stock of knowledge characteristic of a person. Developed skills, which are determined by intellectual and creative potential, are the main factor in the existence, development and value growth of human capital. This is provided by investment. Investment in human capital refers to any measure to increase productivity. All types of expenses that can be evaluated in monetary or other form and that are reasonable and also contribute to the growth of future income of human resources are considered as investment in human capital.

ეკონომიკური გლობალიზაციის წინააღმდეგობრივი შედეგები

ღურწკაია თათია
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

გოგოლაძე მაკა
აწსუ-ს ასოცირებული პროფესორი

ღურწკაია კარლო
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

რეზიუმე

გლობალიზაცია გარდაუვალი მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში. ის დამატებით შესაძლებლობებს ქმნის ქვეყნებისთვის. ამ პროცესის წყალობით მიიღწევა წარმოების ხარჯების ეკონომია, ხდება მსოფლიო მასშტაბით რესურსების განთავსების ოპტიმიზება, ეროვნულ ბაზრებზე ფართოვდება საქონლის ასორტიმენტი და იზრდება ხარისხი, ფართოდ ხელმისაწვდომია მიღწევები მეცნიერებაში, ტექნიკასა და კულტურაში.

გლობალიზაციის განვითარებას თან სდევს ცხოვრების დონის შესამჩნევი გაუმჯობესება თითოეულ ქვეყანაში. ამასთან, ამ პროცესში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს განვითარებულმა ქვეყნებმა და ზოგიერთმა განვითარებადმა ქვეყანამ.

ვერც ერთი ქვეყანა, მით უმეტეს უღარიბესი, ვერ მისცემს საკუთარ თავს უფლებას დარჩეს იზოლაციაში მსოფლიო ეკონომიკისგან. თითოეული ქვეყანა უნდა ისწრაფვოდეს სიღარიბის შემცირებისკენ. საერთაშორისო თანამეგობრობა ცდილობს დაეხმაროს უღარიბეს ქვეყნებს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების მათ ძალისხმევაში, რათა მიაღწიონ ზრდის უფრო სწრაფ ტემპებს და სიღარიბის შემცირებას. სწორედ ამ გზითაა შესაძლებელი გლობალიზაციის სიკეთეებთან ხელმისაწ-ვდომობის უზრუნველყოფა თითოეული ადამიანისთვის ყველა ქვეყანაში.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, მსოფლიო ბანკი, კაპიტალის მოდინება, ტექნოლოგიური სიახლეები.

ძირითადი ტექსტი

გლობალიზაცია გარდაუვალი მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში, რაც გულისხმობს იმას, რომ საქონლის, ინფორმაციის, ცოდნის და კულტურული ფასეულობების გაცვლის შედეგად, სამყარო უფრო ურთიერთდაკავშირებული ხდება. ამასთან, უკანასკნელ ათწლეულებში გლობალური ინტეგრაციის ტემპები გაცილებით სწრაფი და შთამბეჭდავი გახდა უპრეცენდენტო მიღწევების წყალობით ისეთ სფეროებში როგორიცაა ტექნოლოგიები, კავშირგაბმულობის საშუალებები, ტრანსპორტი და მრეწველობა.

ერთნი თვლიან, რომ გლობალიზაცია სასარგებლო პროცესია და საკვანძო მნიშვნელობა აქვს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში. მეორენი მის მიმართ მტრულად არიან განწყობილი, შიშითაც კი და მიაჩნიათ, რომ გლობალიზაცია იწვევს უთანაბრობის ზრდას ქვეყნებს შორის, ქმნის საფრთხეებს უმუშევრობის ზრდის და ცხოვრების დონის შემცირების კუთხით და შემაფერხებელია სოციალური პროგრესის გზაზე.

მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი დევიდ დოლარი გლობალიზაციას ჩქაროსნულ მატარებელს ადარებს, რომელშიც ქვეყნები იმ შემთხვევაში მოხვდებიან, თუ ისინი „შექმნიან პლატფორმას“. პლატფორმა კი გულისხმობს საფუძვლის შექმნას ქვეყნის წარმატებული ფუნქციონირებისთვის, რაც მოიცავს საკუთრების უფლებას, კანონის უზენაესობას, საბაზისო განათლებას, სამედიცინო-სანიტარულ მომსახურებას და საიმედო ინფრასტრუქტურას (მაგალითად, პორტებს, გზებს და საბაჟო მომსახურებას).

მსოფლიო ბანკი და არასამთავრობო ორგანიზაციები თანამშრომლობენ განვითარებად ქვეყნებ-

თან ამ საფუძვლების შესაქმნელად, რათა მათ შეძლონ გლობალური ინტეგრაციისთვის მომზადება.

თუ ქვეყნები არ შექმნიან ასეთ საფუძველს და არ უზრუნველყოფენ ელემენტარული მომსახურების გაწევას, ღარიბები ვერ შეძლებენ უპირატესობებით სარგებლობას და აღმოჩნდებიან განვითარების მიღმა.

გლობალიზაცია დამატებით შესაძლებლობებს ქმნის ქვეყნებისთვის. ამ პროცესის წყალობით მიიღწევა წარმოების ხარჯების ეკონომია, ხდება მსოფლიო მასშტაბით რესურსების განთავსების ოპტიმიზება, ეროვნულ ბაზრებზე ფართოვდება საქონლის ასორტიმენტი და იზრდება ხარისხი, ფართოდ ხელმისაწვდომია მიღწევები მეცნიერებაში, ტექნიკასა და კულტურაში.

ამასთან, გლობალიზაცია ყველაზე ცხარე კამათის მიზეზია უკანასკნელ ათწლეულში. გლობალიზაცია ნიშნავს მსოფლიო სავაჭრო და ფინანსური ბაზრების ინტეგრაციის სულ უფრო მზარდ ხარისხს. რამდენად წინ წავიდნენ ამ პროცესში განვითარებადი ქვეყნები? მაგალითად, შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე აზიის ქვეყნებში დაწყებული 1970 წლიდან სწრაფად უახლოვდებოდა მრეწველურად განვითარებული ქვეყნების შემოსავლებს. იმავდროულად, აფრიკაში სულადობრივი შემოსავლები მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით შემცირდა, ზოგიერთ ქვეყნებში კი შეიმჩნეოდა მათი შემცირება აბსოლუტურ მაჩვენებლებში.

განვიხილოთ გლობალიზაციის გარკვეული ასპექტები:

- მთლიანობაში განვითარებადი ქვეყნების წილი მსოფლიო ვაჭრობაში გაიზარდა 1971 წ. 19%-დან 1999 წ. 29%-მდე. აღსანიშნავია, ქვეყნების ექსპორტის სტრუქტურა. მზარდი ტემპებით იზრდებოდა გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ექსპორტი. ამასთან, პირველადი პროდუქციის ექსპორტის წილი მსოფლიო ვაჭრობაში, რომლის წარმოებით დაკავებული არიან უღარიბესი ქვეყნები, შემცირდა.
- დასაქმებულთა გადაადგილება ერთი ქვეყნიდან მეორეში შრომითი მოწყობის უკეთესი შესაძლებლობების ძიებით აიხსნება. სამუშაო ძალის გადინება განვითარებულ ქვეყნებში ხელს უწყობს უნარების გადაცემას განვითარებად ქვეყნებში და ხელფასის დონის ზრდას ამავე ქვეყნებში.
- ინფორმაციის გაცვლა გლობალიზაციის განუყოფელი ნაწილია. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მოაქვს არა მხოლოდ რეალური კაპიტალური ფონდების ზრდა, არამედ ტექნიკური სიახლეები, რაც განსაკუთრებით ფასეული რესურსია განვითარებადი ქვეყნებისთვის.

გლობალიზაციის მომხრეები თვლიან, რომ ღია ეკონომიკის პოლიტიკის გატარებამ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ვიეტნამი, ინდოეთი, ჩინეთი და უგანდა, მნიშვნელოვანწილად შეამცირა სიღარიბის მასშტაბები.

გლობალიზაციას მოაქვს სარგებელი კაპიტალის მოდინების, ტექნოლოგიური სიახლეების და იმპორტულ საქონელზე უფრო დაბალი ფასების სახით. ეკონომიკური ზრდა, დასაქმება და მოსახლეობის ცხოვრების დონე-ყველა ეს მაჩვენებელი იმაზე მაღალია, ვიდრე იქნებოდა დახურული ეკონომიკის შემთხვევაში.

ამის საპასუხოდ კრიტიკოსები აცხადებენ, რომ ამ პროცესმა გამოიწვია ადამიანების ექსპლუატაცია განვითარებად ქვეყნებში, სერიოზული დესტაბილიზაცია და პრაქტიკულად არ მოიტანა სარგებელი.

გლობალიზაციის სარგებელი ბევრი ქვეყნის თვალში არასამართლიანად ნაწილდება. მე-20 საუკუნის უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში გლობალიზაციის მიღწევებმა არ მოხსნა დღის წესრიგიდან ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეებში სახიფათო გარღვევის დაძლევის ამოცანა. მსოფლიო მშპ-ს 86% მოდის მდიდარ ქვეყნებზე, სადაც მოსახლეობის 20% ცხოვრობს, ხოლო უღარიბეს 20%-ზე კი 1%. გლოპალიზაციის პროცესში სარგებლის უფრო სამართლიანი განაწილების პრობლემა აქტუალურია და კვლავ აღელვებს საერთაშორისო თანამეგობრობას.

გლობალიზაციის ფართოდ პროპაგანდირებულ უპირატესობებს თან სდევს არასასურველი შედეგები. ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების მაღალმა ხარისხმა, სპეკულატიური

კაპიტალის არარეგულირებადმა გიგანტურმა ნაკადებმა გლობალური ეკონომიკა მოწყვლადი გახადეს.

დაბოლოს, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები. დადებითი დაკავშირებულია ტექნოლოგიების სწრაფი გავრცელებასთან, მწარმოებლურობის და შემოსავლების ზრდასთან ერთ სულ მოსახლეზე. უარყოფით შედეგებს მიეკუთვნება უთანაბრობის ზრდა ქვეყნებს შორის, ეროვნული სუვერენიტეტის და სახელმწიფო რეგულირების შესუსტება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. The Ages of Globalization, Jeffrey D. Sachs, 2020
2. საერთაშორისო ბიზნესი, ღურწკაია კ.ი., ღურწკაია თ.კ., თბ. 2023 წ.
3. www.worldbank.org
4. Межунароная Экономика, Томас А. Пугель, Питер Х. Линдерт, Москва 2003.

Contradictory effects of economic globalization

T. Gurtskaia
GTU-s associate professor

M.Gogoladze
ATSU-s associate professor

K. Gurtskaia
Academic Doctor of Economics

Abstract

Globalization is an inevitable phenomenon in the history of mankind, it creates additional opportunities for countries. Thanks to this process, the cost savings of production are achieved, the placement of resources on a world scale is optimized, the range of goods in national markets is expanding and quality is increasing, advances in science, technology and culture are widely available.

The development of globalization is accompanied by a noticeable improvement in the standard of living in each country. However, in this process, developed countries and some developing countries have achieved significant success.

No country, let alone the poorest, can allow itself to remain in isolation from the world economy. Each country should strive to reduce poverty. The international community seeks to assist the poorest countries in their efforts to integrate into the world economy in order to achieve faster growth rates and poverty reduction. It is in this way that it is possible to ensure access to the benefits of globalization for every person in every country.

ეკოტურიზმის განვითარების შესაძლებლობები ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

ყანდაშვილი თეიმურაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ფირანაშვილი მაკა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

კალმახელიძე ლიკა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი

ქორიძე იგორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი

აბსტრაქტი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკო-ტურიზმის განვითარებისთვის, ცნობილია თავისი ისტორიულ-კულტურული ძეგლებითა და დაცული ტერიტორიებით. ვიზიტორებს სთავაზობს მრავალფეროვან ეკო-ტურისტულ აქტივობებს, როგორიცაა: სათავგადასავლო, სამეცნიერო, ბუნების ისტორიის ტურებში მონაწილეობა. შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი ეკოტურისტული პოტენციალით აქტუალური და ღირებულია, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. კვლევის მიზანია შევისწავლოთ ლაგოდეხის ეკო-ტურისტული პოტენციალი, რაც ხელს შეუწყობს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციას და საქართველოს პოზიციონირებას მსოფლიო ტურისტულ რუკაზე.

საკვანძო სიტყვები: ლაგოდეხი, კვლევა, ეკო-ტურიზმი.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში ეკოტურიზმის განვითარების შესაძლებლობებით განსაკუთრებით გამოირჩევა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი. ეს უკანასკნელი საყოველთაოდ ცნობილია ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებით, რომელიც უმნიშვნელოვანეს ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსს წარმოადგენს, როგორც საქართველოსთვის, ასევე მთლიანად კავკასიის რეგიონისთვის. აღსანიშნავია ის, რომ მსოფლიოს ველური ბუნების ფონდის მიერ (WWF) ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულია, როგორც მნიშვნელოვანი გლობალური ეკო-რეგიონი მსოფლიოში და ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო ტერიტორიად ფრინველებზე დაკვირვებისთვის - Important bird area (GE024); ხოლო ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის მიერ (IUCN) ცნობილია, როგორც ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილი. [1]

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებს აქვს პოტენციური შესაძლებლობა, გახდეს პანევროპული ეკოლოგიური ქსელის წევრი, („ზურმუხტის ქსელი“) რაც მიზნად ისახავს საქართველოს ბიომრავალფეროვნების, ბუნებრივი და ეკოლოგიური ჰაბიტატების შენარჩუნებასა და დაცვას, სწორედ ამიტომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეკო-ტურიზმის პოპულარიზაციას.[2]

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებს ბუნების დაცვასთან ერთად აქვს, მნიშვნელოვანი შემეცნებით-საგანმანათლებლო და რეკრეაციული ფუნქციაც - მიმდებარე ტერიტორიაზე კეთილმოწყობილია საფეხმავლო ბილიკები, რომლებიც ალპურ მდელოებს უკავშირდება და აქ გადაადგილება შესაძლებელია საგანგებოდ მოწყობილ ტურისტულ მარშრუტებზე ფეხით ან ცხენის მეშვეობით. ამჟამად, ლაგოდეხის აღკვეთილში, წარმოდგენილია ხუთი უმნიშვნელოვანესი ტურისტული დანიშნულების მარშრუტი: *„როჭოს ჩანჩქერი“, „ნინოსხევის ჩანჩქერი”, „შავი კლდეების ტბა“, „მაჭის ციხე”, „ბუნების შემეცნების ბილიკი”.*

---

[1] წყარო: ბარამაშვილი თ. კახეთი - ჩემი საქართველო - ის, რაც ერთხელ მაინც უნდა ნახო. ტ.4 გვ. 96-97 გამომცემლობა პალიტრა L, 2016. გადამოწმებულია 27.01.2023

[2] წყარო: https://apa.gov.ge/ge/ გადამოწმებულია 27.01.2023

ამგვარად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა უნივერსალური ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების სიმდიდრით, რომელიც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია რეგიონში ეკო-ტურიზმის განვითარებისთვის.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ტურები ძირითადად მიმართულია დაცულ ტერიტორიებზე, სადაც წარმოდგენილია უნიკალური ველური ბუნება, ბუნებრივი ჰაბიტატების სიმრავლე და კულტურული ძეგლები. შესაბამისად, ლაგოდეხში განსაკუთრებით პოპულარულია ეკო-ტურები, „ბირდვოჩინგი" (ფრინველებზე დაკვირვება), სათავგადასავლო, სალაშქრო, კულტურული და სხვ. მაგალითად, აღსანიშნავია, ტურისტული კომპანია - "Ecotour Georgia", რომლის მომსახურების სერვისებით, უმეტესწილად, უცხოელი ტურისტები სარგებლობენ. კომპანიას ქვეყანაში მთელი წლის მანძილზე საშუალოდ 200-მდე უცხოელი ტურისტი შემოყავს."Ecotour Georgia"- ს ტურები ტურისტებს ძირითადად სთავაზობს ფლორასა და ფაუნაზე დაკვირვებას. ასევე, არის ცალკე ტურები კონკრეტულად ფოტოგრაფებისთვის. მათ შორის, ყველაზე პოპულარული და მიმზიდველია ტურები ფრინველებზე დაკვირვებისთვის. კომპანია აქტიურად სთავაზობს ტურებს ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე, სადაც ვიზიტორებს აქვთ საშუალება იხილონ იშვიათი ენდემები, როგორებიცაა - კავკასიური შურთხი და კავკასიური როჭო, არწივების რამდენიმე სახეობა, შევარდენი, ბატკანძერი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ნაკრძალის, აღკვეთილის და, ასევე დასახლებული პუნქტების მიმდებარე ტერიტორიაზე აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რაც ხელს უწყობს კონკრეტულ რეგიონში ტურიზმის მიმართულებების პოპულარიზაციას და განვითარებას. კერძოდ, ეკო-ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით, აღკვეთილის ტერიტორიაზე მიმდინარეობს უნივერსალური ინფრასტრუქტურული პროექტის მშენებლობა - *„ხის კენწეროების ბილიკი"*, რომელსაც საქართველოსა და კავკასიის რეგიონში ანალოგი არ აქვს. მსგავსი სახის ბილიკები მსოფლიოს მხოლოდ რამოდენიმე ეროვნულ პარკშია წარმოდგენილი. პროექტი მომზადდა ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით, (8 მილიონი ლარის ინვესტიცია) როგორებიცაა: ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF); გერმანიის ეკონომიკისა და განვითარების სამინისტრო (BMZ); გერმანიის საკრედიტო ბანკი (KFW); სამხრეთ კავკასიის ტრანს-სასაზღვრო სამდივნო (TJS). ვიზიტორებს ბილიკის მეშვეობით ექნებათ შესაძლებლობა, ახლოდან გაეცნონ ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ველურ ბიომრავალფეროვნებას. პროექტის მიხედვით, ხის კენწეროების ბილიკები 500 მეტრიანი, წრიული ტრაექტორიისაა, რომელიც მოწყობილი იქნება ინტელექტუალური დიზაინით - ხიდები, საჰაერო ბილიკები, კოშკები, გასართობი, ინტერპრეტა-ციული და საგანმანათლებლო პორტალები. ცხადია, აღნიშნული ბილიკის მოწყობა დიდწილად განაპირობებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ეკოტურიზმის მიმართულებების განვითარებას და, შესაბამისად საერთაშორისო ტურისტული ნაკადების ზრდას - წინასწარი პროგნოზით, ახალი ბილიკი 1 წლის მანძილზე საშუალოდ 60 000-დან 100 000-მდე ტურისტს მოიზიდავს.[1]

გარდა ამისა, ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე წარმოდგენილია ტურისტული ღირებულების სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ნაგებობა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული და ვიზიტორთა კომპლექსები. ადმინისტრაციულ ცენტრში გამოყოფილია ორი საინფორმაციო დარბაზი, სადაც ვიზიტორები ეცნობიან ლაგოდეხის ნაკრძალისა და აღკვეთილის სპეციფიკას, უსაფრთხოების წესებს, ტარიფებს, ტურისტულ მარშრუტებსა და ბილიკებს. თითოეულ ბილიკი აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით, მაგალითად შავი კლდების ტბასთან წარმოდგენილია ტურისტებისთვის განკუთვნილი 2 თავშესაფარი - ე. წ *„დემიდოვის კოტეჯი"* (ზღ.დ. 2650 მ) და *„მეტეო"* (ზღ.დ. 2000 მეტრი). ასევე, დაცულ ტერიტორიებზე მოწყობილია საინფორმაციო ნიშნულები, საპიკნიკე, საკემპინგე და საბანაკე ადგილები, ხორციელდება სხვადასხვა ეკო-მეგობრული

[1] წყარო: https://apa.gov.ge/ge გადამოწმებულია 27.01.2023

კოტეჯებისა და სასტუმროების აშენება და უკვე არსებულის გაუმჯობესება.[1] ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ დაცულ ტერიტორიებზე ტურისტული რესურსების მდგრადობისთვის ეტაპობრივად ტარდება კვლევები და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი, ეკოტურიზმის განვითარებისთვის ხორციელდება ეკოსაგანმანათლებლო პროგრამები. გარდა ამისა, იგივე ბუნებრივი რესურსების მდგრადობის მიზნით, მდ. სალესავის ხევის მიდამოებში იგეგმება ღვარცოფსაწინააღმდეგო ჯებირების მოწყობა/გამაგრება.

აღსანიშნავია, ისიც, რომ 2008 წელს საერთაშორისო დონეზე ჩატარდა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების სარეკლამო კამპანია - გერმანულმა სატელევიზიო არხმა (MDR) გადაიღო დოკუმენტური ფილმი, რაც ხელს უწყობს მსოფლიოს ტურისტულ ბაზარზე რეგიონის პოპულარიზაციას ეკოტურიზმის მიმართულებით.[2] ასევე, მნიშვნელოვანი იყო 2021 წელს ჩატარებული PR კამპანია - უცხოელი ბლოგერების პრეს-ტური, რომელიც ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა. [3]

2021-2022 წლებში საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის (სრიგპ) მხარდაჭერით და ევროკავშირის დაფინანსებით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, რაც მიზნად ისახავდა ურბანულ განახლებას, ადგილობრივი ბიზნესისა და ტურიზმის სექტორის განვითარებას. მოცემული პროექტის ფარგლებში, სოფელ რაჭისუბანში რეაბილიტირდება საგზაო ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით კულტურულ-ტურისტული ძეგლების შემოგარენში, რაც განსაზღვრავს რეგიონში ტურიზმის განვითარებას. ასევე, ლაგოდეხში იგეგმება ისტორიული მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რესტავრაცია, სპორტული, გასართობი ობიექტებისა და სარეკრეაციო ზონების მოწყობა/განახლება.[4]

ტურისტული პოტენციალის კვლევის მიზნით, ჩატარებულ იქნა ონლაინ გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ტურისტებმა (60 რესპოდენტი) და ადგილობრივმა მოსახლეობამ (52 რესპოდენტი), რომელთა ასაკი 18-დან 45 წელს შეადგენდა.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ტურისტების დიდი ნაწილი (65%) უპირატესობას ანიჭებს ბუნებრივ ფენომენს, 16,7% ისტორიულ-კულტურულ ძეგლებს, 13,3% არქიტექტურულ ძეგლებს, 5% კი გასართობ ობიექტებს.

გამოკითხვისას დადგინდა, რომ ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე წარმოდგენილი ტურისტული მარშრუტებიდან 65% -მა (39 ხმა) ყველაზე მიმზიდველად „შავი კლდეების ტბა“ დაასახელა, 53,3% (32 ხმა) უპირატესობას ანიჭებს „გურგენიანის ჩანჩქერს“, 41,7%-მა (25 ხმა) - „ხის კენწეროების ბილიკი“, ვიზიტორთა 35%-მა - „მაჭის ციხე“, „როჭოს ჩანჩქერი“ 31,7%-მა (19 ხმა), „ბუნების შემეცნების ბილიკი“ – 13,3% -მა(18 ხმა).

ტურისტების 51,7%-სთვის კვების ობიექტების მომსახურება მეტნაკლებად აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს, 45% ამბობს, რომ სრულებით აკმაყოფილებს, ხოლო დანარჩენ 3.3%-ს არ აკმაყოფილებს .

გამოკითხულთა 80%-სთვის ლაგოდეხში ტურისტული მომსახურების ფასები მისაღებია, არ არის მისაღები 11,7%-ისთვის. ხოლო 8,3%-ს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში გამოკითხული რესპოდენტების 55,8% ამბობს, რომ არ არის ჩართული ტურისტულ ბიზნესში, ხოლო ჩართულია 44,2%.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის 38,7%-ს აქვს საოჯახო სასტუმრო, 9,4% ტურისტულ ბიზნესში ჩართულია სხვა მიმართულებით, 16,1% მუშაობს სატრასპორტო მომსახურების სფეროში, ასევე გამოკითხულთა 16,1% არის გიდი, 9,7% ფლობს აგროკულტურულ მეურნეობას.

---

[1] წყარო: მჭედლიშვილი გ. კახეთის დაცული ტერიტორიების ტურისტული პოტენციალი. თავი 2.3 ტურისტული გამოყენება და ინფრასტრუქტურა, გვ.34-37. თბილისი 2020 გადამოწმებულია 27.01.2023

[2] წყარო: ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა. გვ.26-36 თბილისი 2022 გადამოწმებულია 27.01.2023

[3] წყარო: https://heretifm.com/lagodekhi-utskhoeli-blogere/ გადამოწმებულია 27.01.2023

[4] წყარო: https://www.mrdi.gov.ge/ka გადამოწმებულია 27.01.2023

დასკვნა

კვლევები აჩვენებს, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი მდიდარია უნიკალური ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებით, რაც ეკოტურიზმის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. დღესდღეობით, მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემები - ერთის მხრივ, მოწყობილია ტურისტულ დესტინაციამდე მისასვლელი გზები, თუმცა, არასაკმარისია ტურისტულ ადგილებში საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის არსებობა - სამედიცინო პუნქტები, მოწესრიგებული საპირფარეშოები და სხვა.

ეკოტურისტული პოტენციალის თვალსაზრისით, პრობლემას წარმოადგენს კულტურული ძეგლების რეკონსტრუქცია და სასურველია, რომ „მაჭის ციხის“ მსგავსად დანარჩენი ძეგლებიც ჩართული იყოს ეკოტურისტულ მარშრუტებში, რაც გაზრდიდა ლაგოდეხში ეკოტურიზმის პოტენციალს. კვლევისას გამოიკვეთა ისიც, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს ადგილობრივი ტურისტული კომპანიები, რაც რეალურად გაზრდიდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ტურისტებისთვის. ასევე, სხვა ტურ-სააგენტოების მომსახურებაც არ არის მრავალფეროვანი, რადგან ტუროპერატორები ძირითადად ერთი და იმავე სახის ტურებს სთავაზობენ (სათავგადასავლო, ეკოლოგიური ტურები და სხვა).

კარგი იქნებოდა, რომ მასობრივი მედიის საშუალებებში იყოს რეკლამები, გადაცემები, თუნდაც მოკლემეტრაჟიანი ფილმები ტურისტული დესტინაციების შესახებ, აუცილებელია ნარჩენების მართვა დაცულ ტერიტორიებთან და ტურისტულ ინფრასტრუქტურასთან, განვითარებას საჭიროებს მომსახურების სფეროები და მასში არსებული ადამიანური რესურსი - კვალიფიციური კადრების მომზადება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარამაშვილი თ. კახეთი - ჩემი საქართველო - ის, რაც ერთხელ მაინც უნდა ნახო. ტ.4 გვ. 96-97 გამომცემლობა პალიტრა L, 2016. გადამოწმებულია 27.01.2023
2. მჭედლიშვილი გ. კახეთის დაცული ტერიტორიების ტურისტული პოტენციალი. თავი 2.3 ტურისტული გამოყენება და ინფრასტრუქტურა, გვ.34-37. თბილისი 2020 გადამოწმებულია 27.01.2023
3. ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა. გვ.26-36 თბილისი 2022 გადამოწმებულია 27.01.2023
4. https://apa.gov.ge/ge/ გადამოწმებულია 27.01.2023
5. https://heretifm.com/lagodekhi-utskhoeli-blogere/ გადამოწმებულია 27.01.2023
6. https://www.mrdi.gov.ge/ka გადამოწმებულია 27.01.2023

Importance and role of natural recreational resources of Lagodekhi municipality in ecotourism

TeimurazKandashvili, Professor of Georgian Technical University
Maka Piranashvili, Associate Pprofessor of Georgian Tehcnical University
Lika Kalmakhelidze, Master's student of Technical University of Georgia
Igor Khoridze, Master's student of Technical University of Georgia

Abstract

Lagodekhi municipality is of great importance for the development of eco-tourism, it is known for its historical-cultural monuments and protected areas. It offers visitors a variety of eco-tourism activities, such as participation in adventure, scientific, natural history tours. Accordingly, Lagodekhi municipality is relevant and valuable with its ecotourism potential, both locally and internationally. The purpose of the research is to study the eco-tourism potential of Lagodekhi, which will contribute to the promotion of protected areas of Lagodekhi and the positioning of Georgia on the world tourist map.

ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები ახლო აღმოსავლეთის საგარეო მსხვილ აქტორებთან

ყურაშვილი თამილა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

რეგიონალურ ინტეგრაციულ გაერთიანებაში სახელმწიფოთა მონაწილეობამ შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფოთა და იმ გაერთიანებებს შორის შეჯახება, რომლისგანაც ის შედგება. ასეთ შემთხვევაში საკუთარი საგარეოპოლიტიკური კურსის ფორმირებისა და რეალიზაციისას სახელმწიფო იხელმძღვანელებს საკუთარი ეროვნული ინტერესებით.

საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე სისტემაში, სადაც არ არსებობს მისი დარეგულირების ეფექტური მექანიზმი და გამძაფრებულია სახელმწიფოთაშორის ბრძოლა, სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკურ კურსში სულ უფრო აქტუალური ხდება ე.წ. „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგია, რომელიც თავის მხრივ საშუალებას იძევა გამოყენებულ იქნას, თან საკმაოდ ეფექტურად, „ხისტი ძალისა“ და „რბილი ძალის“ სხვადასხვა ელემენტები, რომელსაც თან ერთვის საგარეო პოლიტიკის საკუთარი მიმართულების ონფორმაციული უზრუნველყოფაც.

ახლო აღმოსავლეთი არის მსოფლიოს უნიკალური რეგიონი, სადაც ერთმანეთში შეზრდილია მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციები. მას შემდეგ, რაც ენერგეტიკულმა რესურსებმა მნიშვნელოვანი როლის თამაში დაიწყო ეკონომიკაში, ახლო აღმოსავლეთის რეგიონი გახდა წამყვანი სახელმწიფოების ინტერესის საგანი მასში არსებულ ნავთობზე კონტროლის მოსაპოვებლად. იმის გათვალისწინებით, რომ სპარსეთის ყურის რეგიონში თავმოყრილია მსოფლიოში აღმოჩენილი ნავთობის მარაგების დაახლოებით 50 პროცენტი და მსოფლიოს გაზის მარაგების 40 პროცენტი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა უახლოესი ათწლეულების მანძილზე მხოლოდ გაიზრდება.

ძირითადი ტექსტი

აშშ- რუსეთის ურთიერთობები ახლო აღმოსავლეთის რეგიონში

რუსეთის გეოპოლიტიკაში ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება ამერიკის შეერთებულ შტატებს უკავია. ამჟამად აშშ-სა და რუსეთს შორის უკრაინის ომის გამო უაღრესად დაძაბული ურთიერთობაა. რუსეთი და აშშ ორივე მსოფლიო ომში მოკავშირეები იყვნენ. ეს ისტორიული მეხსიერებაც მათ შორის არსებობს, მაგრამ იდეოლოგიურმა და ცივილიზაციურმა განსხვავებებმა მხარეებს არ მისცა შესაძლებლობა მშვიდობიანი და სამართლიანი მსოფლიოსთვის ჩაეყარათ საფუძველი.

რუსეთის თანამედროვე საგარეო პოლიტიკიური ამბიციების ერთ-ერთ ძირითად ხელის შემშლელ ფაქტორს აშშ წარმოადგენს. რუსეთის საგარეო კონცეფციების სიღრმისეულად გაცნობისას შესამჩნევია ვაშინგტონის მიმართულებით გამოთქმული მკაცრი შეფასებები. რუსეთის შეფასებით ამერიკის მიზანია გაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლითა და გასაიდუმლოებული ქმედებებით მოხადინოს ერთპოლარული წესრიგის დამყარება. რუსეთი ასევე უნდობლობას უცხადებს ვაშინგტონის მიერ შემოთავაზებულ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნის გეგმას.[1]

რუსი პოლიტიკური ექსპერტებისა და ანალიტიკოსების აზრით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აშშ რაღაც დროის განმავლობაში გახდა ერთპიროვნული ლიდერი და გაუჩნდა იმპერიად გადაქცევის ამბიცია. მათი მოსაზრებით, ვაშინგტონი მსოფლიო პროცესებზე დომინანტური სტატუსის შესანარჩუნებლად იყენებს სხვადასხვა მეთოდებსა და ქმედებებს,[2] კერძოდ:

- ❖ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და ჰუმანიტარული საქმიანობის საბაბით მსოფლიოს

[1] Концепция внешней политики Российской Федерации, Утверждена Президентом Российской Федерации 11.07.2000
[2] Коновалов А. О., Ближний Восток в системе внешнеполитических приоритетов Российской Федерации: геополитические концепции XXI в., перспективы, реальность, - Санкт-Петербург, 2016 г.

სხვადასხვა წერტილში აშშ-ის სამხედრო კონტიგენტის ინტერვენცია. აღნიშნულის შედეგად აშშ ახდენს ადგილობრივი მმართველი რეჟიმების მოშლასა და აღნიშნულ რეგიონებში გეოპოლიტიკური სიტუაციის ვაშინგტონის სასარგებლოდ შემობრუნებას;

- ❖ ნატო-ს რუსეთის საზღვრებთან მოახლოება და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების აღმოსავლეთ ევროპაში განთავსება. ამით აშშ აქტიურად ცდილობს შეაკავოს რუსეთის გავლენის გაფართოება;
- ❖ აშშ-ს ინიციატივით ახალი სატრანსპორტო სისტემების შექმნა და რუსული „ენერგეტიკული იარაღის" შემცირების პოლიტიკის განხორციიელება. ამით ვაშინგტონი შეძლებს რუსეთის გვერდის ავლით მოახდინოს შუა აზიური ენერგოსაშუალებების ტრანსპორტირება.[1]
- ❖ აშშ-ს მხრიდან დსთ-ს ქვეყნებზე ზეგავლენა და რიგი „ფარული ქმედებების" განხორციელება. ამით მცირდება დსთ-ს ქვეყნების ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში, საბაჟო კავშირსა და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში (კუხო) გაერთიანების პერსპექტივები.[2]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, რუსეთის ფედერაციის გეოპოლიტიკური ვექტორი, აშშ-ს განიხილავს მთავარ მოწინააღმდეგედ საგარეო პოლიტიკის საკვანძო ამოცანების მიღწევის გზაზე. თუმცა ასევე, რუსი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია აშშ-თან თანამშრომ-ლობა, რადგანაც კრემლისათვის, მსოფლიო და რეგიონალური სტაბილურობისა და უსაფრთხოების დამყარებისას, ასევე შეიარაღების კონტროლის სფეროში, თეთრი სახლი ყველაზე უფრო მისაღები გლობალური პარტნიორია. ეს პოზიცია მეორდება ყველა რუსულ საგარეო პოლიტიკურ კონცეფციაში.

ენერგიის ფასების კონტროლი, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, რუსეთის ინტერესებდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რადგან ეს არის კიდევ ერთი და საკმაოდ ძლიერი არასამხედრო შესაძლებლობა, რომ მან თავისი კონტროლის გავლენის ქვეშ ამყოფოს რეგიონში მიმდინარე პროცესები. თუ გადავხედავთ რუსეთის მოქმედებებს საერთაშორისო ასპარესზე დავინახავთ, რომ კრემლი ხშირად იყენებს ენერგიის ფასებს საკუთარი მიზნების მისაღწევად და ძალაუფლების განსამტკიცებლად.

ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებს რუსეთის თავდაცვის სფეროშიც. 2015 წელს რუსეთის შეიარაღების შემსყიდველთა რიგებში 36% სწორედ ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილო აფრიკის ქვეყნებს ეკავათ, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია თუ გავითვალისწინებთ, რომ აზიას 42% აქვს დაკავებული[3]. ათწლეულების მანძილზე ალჟირი, ეგვიპტე, ირანი, ერაყი და სირია სწორედ რუსეთისაგან ყიდულობენ შეიარაღებას. შესაბამისად, რუსეთში შეიარაღების მწარმოებლები იმედოვნებენ, რომ სირიის ომში რუსული იარაღის მოქმედება, ისევე, როგორც დამასკოში პუტინის მხრიდან მოკავშირის მხარდაჭერა, ხელს შეუწყობს რეგიონში რუსეთის შეიარაღების პრესტიჟის ამაღლებას და შესაბამისად გამოიწვევს ახალი კლიენტების ინტერესს, განსაკუთრებით კი სპარსეთის ყურის ქვეყნებში.

ახლო აღმოსავლეთში ინტერვენციით რუსეთი ცდილობს საერთაშორისო საზოგადოებას დაანახოს, რომ კრემლი კვლავაც წამყვანი ძალაა საერთაშორისო ასპარეზზე. რუსეთი მიმდინარე ქმედებებითა და კონფლიქტში ჩართვით ცდილობდა გარე აქტორებსათვის ეჩვენებინა რუსეთის ახალი თაობის სამხედრო შესაძლებლობები, განსაკუთრებით კი ის ფაქტი, რომ მიუხედავად საერთაშორისო საზოგადოების მიერ დაკისრებული ეკონომიკური სანქციებისა, რუსეთი კვლავაც რჩება ძლიერ სახელმწიფოდ და, რაც მთავარია გლობალურ მოთამაშედ[4].

---

[1] National Security Strategy, February 2015, / National Security Strategy archive.

[2] Clover C., Clinton vows to thwart new Soviet Union, / The Financial Times.

[3] Korzun, P. Russia: Strengthening Foothold in Middle East and North Africa – 2016 https://www.strategic-culture.org/news/2016/10/12/russia-strengthening-foothold-middle-east-north-africa.html (უკანასკნელად გადამოწმებულია 21.04.2023)

[4] Dr. Shabaneh, Gh. Putin's Moment in the Middle East - 2015 http://studies.aljazeera.net/en/reports/2015/10/20151019115125523394.html (უკანასკნელად გადამოწმებულია 21.04.2023)

აშშ- ჩინეთის ურთიერთობები ახლო აღმოსავლეთში

2000-იანი წლებიდან ახლო არმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში შექმნილმა ვითარებამ (ტერორიზმის წინააღმდეგ გამოცხადებული გლობალური ომი აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, სამომარი კამპანიები ერაყსა და ავღანეთში, ე.წ. „არაბული გაზაფხულის“ მოვლენები) ჩინეთის ინტერესები საფრთხის ქვეშ დააყენა. რეგიონში „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, აქამდე არ არსებული უსაფრთხოების არქიტექტურის კრახი იყო.[1] ბევრი საერთაშორისო - პოლიტიკური ექსპერტის აზრით, ჯერ კიდევ 2011 წ. არაბულ აჯანყებამდე აშშ-ს პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულება ახლო აღმოსავლეთში სახელმწიფოთა მონაწილეობისადმი მნიშნელოვნად შეიცვალა.[2] შესაბამისად ვაშინგტონი აღარ აღმოჩნდა რეგიონული უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტი.[3] რამდენადაც აშშ-ს „რბილმა ძალამ“ ახლო აღმოსავლეთში შესუსტება დაიწყო რეგიონი მოწყვლადი აღმოჩნდა საერთაშორისო ურთიერთობების მსხვილი სახელმწიფოების ახალი კონკურეციისათვის. შესაბამისად ჩინეთი შეეცადა შეევსო აშშ-ს მიერ რეგიონში შექმნილი მზარდი ვაკუუმი.[4]

ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ჩინელმა საერთაშორისო - პოლიტიკურმა მკვლევარმა ვანგ ჯისიმ პირველად დაიწყო საუბარი „მარში დასავლეთით“ (march Westward) სტრატეგიაზე თავის სტატიაში, რომელიც მან 2012 წლის 17 ოქტომბერს გამოაქვეყნა. მეცნიერის აზრით, „ჩინური მარში დასავლეთით“ გამოიწვევს აშშ-ჩინეთის თანამშრომლობის პოტენციალის გაზრდას სხვადასხვა სფეროებში და სამხედრო კონფრონტაციის რისკის მინიმიზებას მათ შორის.[5] ანუ ეს ის შემთხვევაა, როცა ჩინეთის წინააღმდეგობა აშშ-ს ერთპიროვნული დომინირების წინააღმდეგ მეორეს მხრივ მოიტანს პოზიტიურ, თანამშრომლობით შედეგს, თუმცა უკრაინაში გაჩაღებულმა ომმა და მასში ამა თუ იმ ფორმით მსოფლიოს გლობალურ აქტორთა ჩართვამ სიტუაცია ამჟამად რამდენადმე შეცვალა.

ჩინეთი კარგად ამჩნევს ახლო აღმოსავლეთ რეგიონის, განსაკუთრებით სპარსეთის ყურის მნიშვნელობის ზრდას ჩინეთისათვის და ცდილობს კიდევ უფრო განამტკიცოს თავისი ეკონომიკური და დიპლომატიური გავლენა რეგიონში, მაგრამ ისე, რომ შეინარჩუნოს „თანაბარი ურთიერთობები“ აშშ-სთან.[6]

ჩინური პრაგმატიზმი ნათლად გამოვლინდა ერაყის პორობლემის ირგვლივ. იგი ჯერ კიდევ 2003 წელს მკვეთრად დაუპირისპირდა აშშ-ს ინტერვენციას ერაყში, მაგრამ შემდეგ ეს პოზიცია შეცვალადა

---

[1] Michael Singh. Chinese Policy in the Middle East in the Wake of the Arab Uprisings.// Toward Well-Oiled Relations? China's Presence in the Middle East Following the Arab Spring / Edited by Niv Horesh. The Nottingham China Policy Institute series. 2016. P. 166-167. https://link.springer.com/content/pdf/10.1057%2F9781137539793.pdf (უკანასკნელად გადამოწმებულია 21.04.2023)

[2] Bruce Drake. Obama Charts a New Foreign Policy Course for a Public that Wants the Focus to be at Home.// Pew Research Center.2014. https://www.pewresearch.org/fact-tank/2014/05/28/obama-charts-a-new-foreign-policy-course-for-a-public-that-wants-the-focus-to-be-at-home/(უკანასკნელად გადამოწმებულია 21.04.2023)

[3] Jordi Quero & Andrea Dessì. Unpredictability in US Foreign Policy and the Regional Order in the Middle East: Reacting Vis-à-Vis a Volatile External Security-Provider // British Journal of Middle Eastern Studies.2021. 48:2, 311-330 - https://doi.org/10.1080/13530194.2019.1580185, DOI: 10.1080/13530194.2019.1580185

[4] Lars Erslev Andersen, Camille Lons, Tamás Peragovics, Erzsébet N. Rózsa, Katarzyna W. Sidło. China-MENA: Relations in the Context of Chinese Global Strategy.// The Role of China in the Middle East and North Africa: beyond Economic Interests? /Edited by Katarzyna W. Sidło. Barcelona: European Institute of the Mediterranean, July 2020 P.17. - https://www.euromesco.net/wp-content/uploads/2020/05/JPS_The-Role-of-China-in-the-MENA.pdf (უკანასკნელად გადამოწმებულია 21.04.2023)

[5] Wang Jisi. "Marching Westwards": the Rebalancing of China's Geostrategy' // International and Strategic Studies Report. Peking University: Center for International and Strategic Studiesю October 2012. P. 7–8; Wang Jisi "Marching Westwards": The Rebalancing of China's Geostrategy.//The World in 2020 According to China . 01 Jan 2014. P. 129–136. - https://doi.org/10.1163/9789004273917_008. (უკანასკნელად გადამოწმებულია 21.04.2023)

[6] Niv Horesh and Ruike Xu. China's Growing Presence in the Middle East. //Toward Well-Oiled Relations? China's Presence in the Middle East Following the Arab Spring ./ Edited by Niv Horesh. The Nottingham China Policy Institute series.2016. P. 216 . https://link.springer.com/content/pdf/10.1057%2F9781137539793.pdf(უკანასკნელად გადამოწმებულია 21.04.2023)

ერაყში აშშ-ს ჯარების ყოფნა გაამართლა, როგორც მასტაბილიზირებელი ფაქტორი.[1] მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში გამოდის გარე ძალების ჩარევის წინააღმდეგ, მას ამის აღსაკვეთად არ შეუმუშავებია არავითარი სტრატეგია და მკვეთრად არ უპირისპირდება აქ აშშ-ს პოლიტიკას, უფრო მეტიც, მას აქ აწყობს სტაბილურობა, რომელიც ასე თუ ისე აშშ-ს მიერაა უზრუნველყოფილი, რადგან ჩინეთი ამით იღებს საკუთარ სარგებელსა და მოგებას.[2] ეს უდავოდ მეტყველებს ჩინელთა პოლიტიკურ პრაგმატიზმზე, რადგან იგი თავისუფალია იმ სირთულეებისაგან, რომელიც მას შეხვდებოდა რეგიონში საკუთარი შიარაღებული ძალების ყოფნის შემთხვევაში და მთლიანად კონცენტრირებულია ეკონომიკური საკითხების ირგვლივ.

სპარსეთის ყურეში აშშ-ჩინეთის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი წინააღმდეგობრივი რგოლია ირანი. ირანი ჩინეთის მიერ მოიაზრება, როგორც პარტნიორი, რომლიც არა მარტო უზრუნველყოფს სახმელეთო წვდომას ბუნებრივი რესურსებისადმი, არამედ გვევლინება რეგიონის ერთადერთ ქვეყნად, რომლიც თავის უსაფრთხოებას არ უკავშირებს აშშ-ს. ჩინეთი მხარს უჭერს ნავთობის მინიმალურ წვდომას, მიუხედავად აშშ-ს მხრიდან სანქციებისა. ესაა „მაშველი რგოლი“ ირანისათვის და იმავდროულად დემონსტრირება იმისა, რომ არც ირანი და არც ჩინეთი არ ემორჩილება აშშ-ს დიქტატს. იმავდროულად ჩინეთი იქცევა ძალზე ფრთხილად, რათა არ გადალახოს „წითელი ხაზი“ და არ გამოიწვიოს ვაშინგტონის ძლიერი გაღიზიანება ირანის გამო, რადგან აშშ-სთან მისი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება საკმაოდ მაღალია.

დასკვნა

მისაღებია ეს თუ არა, რეალობა არის ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ძალაუფლება და გავლენა ახლო აღმოსავლეთში საკმაოდ შემცირდა. ამ ყველაფერს ხელი ასევე შეუწყო, ობამას ადმინისტრაციის დროინდელმა წარუმატებელმა და ჩავარდნილმა გადაწყვეტილებებმა, რამაც რეგიონში შექმნა ძალაუფლების ვაკუუმი. შედეგად ასპარეზზე გამოჩნდა რუსეთი და ჩინეთი, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ ამ ვაკუუმის შესავსებად. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი ასე მასშტაბურად პირველად დაბრუნდა ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით სპარსეთის ყურეში, რომელიც მეთოდურად ქმნიდა სისტემურ გეოპოლიტიკურ გამოწვევებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა აქტორების მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Концепция внешней политики Российской Федерации, Утверждена Президентом Российской Федерации 11.07.2000
2. Коновалов А. О., Ближний Восток в системе внешнеполитических приоритетов Российской Федерации: геополитические концепции XXI в., перспективы, реальность, - Санкт-Петербург, 2016 г.
3. National Security Strategy, February 2015, / National Security Strategy archive.
4. Clover C., Clinton vows to thwart new Soviet Union, / The Financial Times.
5. Korzun, P. Russia: Strengthening Foothold in Middle East and North Africa – 2016 https://www.strategic-culture.org/news/2016/10/12/russia-strengthening-foothold-middle-east-north-africa.html
6. Dr. Shabaneh, Gh. Putin's Moment in the Middle East - 2015

[1] Pan Zhenqiang. China and the Middle East // China's Growing Role in the Middle East: Implications for the Region and Beyond, (Washington DC: Nixon Center, 2010), pp. 73–95. - http://www.cftni.org/full-monograph-chinas-growing-role-in-me.pdf(უკანასკნელად გადამოწმებულია 21.04.2023)

[2] Michael Singh. Chinese Policy in the Middle East in the Wake of the Arab Uprisings. // Toward Well-Oiled Relations? China's presence in the middle east following the Arab spring. /Edited by Niv Horesh. The Nottingham China Policy Institute series.2016. P. 166. https://link.springer.com/content/pdf/10.1057%2F9781137539793.pdf(უკანასკნელად გადამოწმებულია 21.04.2023)

http://studies.aljazeera.net/en/reports/2015/10/20151019115125523394.html
7. Michael Singh. Chinese Policy in the Middle East in the Wake of the Arab Uprisings.// Toward Well-Oiled Relations? China's Presence in the Middle East Following the Arab Spring / Edited by Niv Horesh. The Nottingham China Policy Institute series. 2016. P. 166-167. https://link.springer.com/content/pdf/10.1057%2F9781137539793.pdf
8. Bruce Drake. Obama Charts a New Foreign Policy Course for a Public that Wants the Focus to be at Home.// Pew Research Center.2014. https://www.pewresearch.org/fact-tank/2014/05/28/obama-charts-a-new-foreign-policy-course-for-a-public-that-wants-the-focus-to-be-at-home/
9. Jordi Quero & Andrea Dessì. Unpredictability in US Foreign Policy and the Regional Order in the Middle East: Reacting Vis-à-Vis a Volatile External Security-Provider // British Journal of Middle Eastern Studies.2021. 48:2, 311-330 - https://doi.org/10.1080/13530194.2019.1580185, DOI: 10.1080/13530194.2019.1580185
10. Lars Erslev Andersen, Camille Lons, Tamás Peragovics, Erzsébet N. Rózsa, Katarzyna W. Sidło. China-MENA: Relations in the Context of Chinese Global Strategy.// The Role of China in the Middle East and North Africa: beyond Economic Interests? /Edited by Katarzyna W. Sidło. Barcelona: European Institute of the Mediterranean, July 2020 P.17. - https://www.euromesco.net/wp-content/uploads/2020/05/JPS_The-Role-of-China-in-the-MENA.pdf
11. Wang Jisi. "Marching Westwards": the Rebalancing of China's Geostrategy' // International and Strategic Studies Report. Peking University: Center for International and Strategic Studiesю October 2012. P. 7–8; Wang Jisi "Marching Westwards": The Rebalancing of China's Geostrategy.//The World in 2020 According to China . 01 Jan 2014. P. 129–136. - https://doi.org/10.1163/9789004273917_008.
12. Niv Horesh and Ruike Xu. China's Growing Presence in the Middle East. //Toward Well-Oiled Relations? China's Presence in the Middle East Following the Arab Spring ./ Edited by Niv Horesh. The Nottingham China Policy Institute series.2016. P. 216 . https://link.springer.com/content/pdf/10.1057%2F9781137539793.pdf
13. Pan Zhenqiang. China and the Middle East // China's Growing Role in the Middle East: Implications for the Region and Beyond, (Washington DC: Nixon Center, 2010), pp. 73–95. - http://www.cftni.org/full-monograph-chinas-growing-role-in-me.pdf
14. Michael Singh. Chinese Policy in the Middle East in the Wake of the Arab Uprisings. // Toward Well-Oiled Relations? China's presence in the middle east following the Arab spring. /Edited by Niv Horesh. The Nottingham China Policy Institute series.2016. P. 166. https://link.springer.com/content/pdf/10.1057%2F9781137539793.pdf

Relations of the United States of America with major foreign actors in the Middle East

Kurashvili Tamila
Doctoral student of Technical University of Georgia

Abstract

The participation of states in a regional integration union may lead to clash between the states and the unions of which it is consisted. In such a case, the state will be guided by its own national interests in the formulation and execution of foreign policy course.

In the modern system of international relations, where there is no effective mechanism to regulate it and interstate struggle is aggravated, the so-called "Smart Power" approach is becoming more relevant in the foreign policy course of the state, which in its turn enables to use, quite effectively, various elements of "hard power" and "soft power", which is followed by information provision of its own direction of foreign policy.

კომპანიის შეფასება ადამიანური კაპიტალის პოტენციალისა და ინტელექტის ინდიკატორების მიხედვით

ყურაშვილი გუგული
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ბერიძე თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

სოსელია მაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რაზიუმე

ინტელექტუალური კაპიტალის შეფასება რთული და სადავო პროცესია. იგი მჭიდრო კავშირშია ტრადიციული ეკონომიკური შეფასებების გამოყენების შესაძლებლობებისა და შეზღუდვების გადახედვასთან, პირველ რიგში, ფინანსური ინდიკატორების გამოყენებით და ტრადიციული აღრიცხვის პრინციპებზე დაყრდნობით. ინტელექტუალური კაპიტალის შესაფასებლად გამოყენებული ინდიკატორები ასევე შეიძლება დაიყოს ინტეგრალურ, რაოდენობრივ, ფინანსურ ინდიკატორებად და ინტელექტუალური კაპიტალის ცალკეული კომპონენტებისათვის დამახასიათებელ მაჩვენებლების ინტელექტუალური კაპიტალის პარამეტრების დადგენა შეიძლება შეფასდეს ბუნებრივი და დროებითი ინდიკატორების გამოყენებით. ეს ინდიკატორები ინდივიდუალურ დონეზე მოიცავს: ფორმალური განათლების დონეს, ცოდნისა და ინტელექტის დონეს (IQ კოეფიციენტი), სამეცნიერო შედეგებს და სტატუსს. კომპანიის ინტელექტუალური კაპიტალი შეფასებულია ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების გამოყენებით. ინტელექტუალური კაპიტალის შეფასება მრავალი მიზეზის გამო რთულია. ეს არის ეფექტური ბაზრის სტრუქტურების ნაკლებობა, რომელსაც შეუძლია განსაზღვროს ინფორმაციის და ინტელექტუალური რესურსების რეალური საბაზრო ფასი; დიდი რაოდენობით უნიკალური პროდუქციის არსებობა, რისთვისაც არ არსებობს ხარჯთაღრიცხვის ანალოგები და მეთოდები; სააღრიცხვო პოლიტიკის მექანიზმის არასრულყოფილება.

საკვანძო სიტყვები: კომპანია, ინტელქტუალური კაპიტალი, ინოვაცია, კონკურენტუნარიანობა

ძირითადი ტექსტი

ინტელექტუალური კაპიტალის შეფასება რთული და სადავო პროცესია. იგი მჭიდრო კავშირშია ტრადიციული ეკონომიკური შეფასებების გამოყენების შესაძლებლობებისა და შეზღუდვების გადახედვასთან, პირველ რიგში, ფინანსური ინდიკატორების გამოყენებით და ტრადიციული აღრიცხვის პრინციპებზე დაყრდნობით.

ინტელექტუალური კაპიტალის პარამეტრების დადგენა შეიძლება შეფასდეს ბუნებრივი და დროებითი ინდიკატორების გამოყენებით. ეს ინდიკატორები ინდივიდუალურ დონეზე მოიცავს: ფორმალური განათლების დონეს (სწავლების წლების რაოდენობას), ცოდნისა და ინტელექტის დონეს (IQ კოეფიციენტი), სამეცნიერო შედეგებს და სტატუსს.

მაგალითისათვის განვიხილოთ ცოდნისა და ინტელექტის დონე. ინტელექტის კოეფიციენტი IQ (ინგლისური - *intelligencequotient*) - ადამიანის ინტელექტის დონის რაოდენობრივი შეფასება იმავე ასაკის საშუალო არა სტატისტიკურ პირთან შედარებით განისაზღვრება სპეციალური ტესტების გამოყენებით. IQ ტესტები განსაზღვრავს გონებრივ უნარს და არა ცოდნის დონეს ("ერუდიცია").

1912 წელს ვ. სტერნმა შემოგვთავაზა მარტივი ფორმულა ინტელექტის კოეფიციენტის განსაზღვრის მიზნით (IQ):

$$IQ = \left(\frac{\text{УВ}}{\text{ХВ}}\right) \cdot 100 \ ,$$

სადაც, ХВ არის ქრონოლოგიური ხანა,

YB - გონებრივი ასაკი.

ასე რომ, იმ პირისათვის, ვისი ქრონოლოგიური ასაკი 20 წლისაა, ხოლო გონებრივი - 22 წლის, IQ გამოითვლება შემდეგნაირად: (22/20) • 100. კომპანიის ინტელექტუალური კაპიტალის მაჩვენებლებია: უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტების წილი, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული პერსონალის წილი, გამოგონებების, პატენტების, თანამშრომელთა რაციონალური წინადადებების რაოდენობა.

მაგალითად, ინოვაცია ფასდება სამი ინდიკატორის გამოყენებით: მეცნიერთა რაოდენობა, რომლებიც ჩართული არიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, რეგისტრირებული პატენტების რაოდენობა, რომელთა ავტორებიც კონკრეტულ ქვეყანას მიეკუთვნებიან; სამეცნიერო და ტექნიკურ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა.

კომპანიის ინტელექტუალური კაპიტალი შეფასებულია ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების გამოყენებით. ინტელექტუალური კაპიტალის შეფასება მრავალი მიზეზის გამო რთულია. ეს არის ეფექტური ბაზრის სტრუქტურების ნაკლებობა, რომელსაც შეუძლია განსაზღვროს ინფორმაციის და ინტელექტუალური რესურსების რეალური საბაზრო ფასი; დიდი რაოდენობით უნიკალური პროდუქციის არსებობა, რისთვისაც არ არსებობს ხარჯთაღრიცხვის ანალოგები და მეთოდები; სააღრიცხვო პოლიტიკის მექანიზმის არასრულყოფილება. არაფინანსური შეფასებები ხორციელდება ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის, აგრეთვე ამ კონკურენტუნარიანობის ფაქტორების გასაანალიზებლად. ინტელექტუალური კაპიტალის დონის გაანალიზებისას აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ რესურსების ოდენობა, მათი ღირებულება, რესურსების გამოყენების ინტენსივობა.

ინტელექტუალური კაპიტალის შესაფასებლად გამოყენებული ინდიკატორები ასევე შეიძლება დაიყოს ინტეგრალურ, რაოდენობრივ, ფინანსურ ინდიკატორებად და ინტელექტუალური კაპიტალის ცალკეული კომპონენტებისათვის დამახასიათებელ მაჩვენებლებად. სოციოლოგიური გამოკითხვები თვისებრივი შეფასების მიღების ეფექტური მეთოდია. ინტელექტუალური კაპიტალის ღირებულების ინტეგრალური შეფასებისთვის, როგორც თეორიულ სამუშაოებში, ასევე მრავალი ფირმის პრაქტიკაში, გამოიყენება ტობინის კოეფიციენტი (MSM მეთოდი), რომელიც განსაზღვრულია, როგორც კომპანიის საბაზრო ფასის თანაფარდობა მისი უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობები, სტრუქტურები, მოწყობილობები და აქციები) შემცვლელი ფასის მიხედვით. ამჟამად, კომპანიების უმეტესობისთვის ტობინის კოეფიციენტის მნიშვნელობები 5-დან 10-მდე მერყეობს (მაღალტექნოლოგიური ფირმებისთვის ეს კოეფიციენტი კიდევ უფრო მეტია). თუ კომპანიის ფასი არსებითად აჭარბებს მისი მატერიალური აქტივების ფასს, მაშინ ეს ნიშნავს, რომ დაფასებულია მისი არამატერიალური აქტივები - პერსონალის ნიჭი, მართვის სისტემების ეფექტურობა, მენეჯმენტი და ა.შ. მყიდველი, შესაბამისად, იძენს არა ფიზიკურ, არამედ არამატერიალურ აქტივებს.

თუ ტობინის კოეფიციენტი ერთზე ნაკლებია, მაშინ ეს იმაზე მეტყველებს, რომ კომპანიას აქვს ნეგატიური ინტელექტუალური კაპიტალი. შესაბამისად, მენეჯმენტის დონე, კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა, მომხმარებლებთან ურთიერთობა ისეთია, რომ ისინი არ იმატებენ, არამედ ამცირებენ კომპანიის კაპიტალს. ტობინის კოეფიციენტის ღირებულებები იმაზე მეტყველებს, რომ კომპანია არ არის შეფასებული.

ტობინის კოეფიციენტი შეიძლება გამოითვალოს როგორც კომპანიისთვის, როგორც მთლიანად, ასევე მისი მფლობელობის ცალკეული ობიექტებისთვის - მანქანები, სამრეწველო ან ლაბორატორიული ობიექტები და ა.შ. ამ შემთხვევაში, მათი საბაზრო ღირებულება დაყოფილია ძირითადი აქტივების შეცვლის ღირებულებით. ტობინის კოეფიციენტის გამოყენება ანეიტრალებს სხვადასხვა სისტემასთან დაკავშირებულ დამახინჯებებს ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის დასადგენად, აგრეთვე გარკვეული მაკროეკონომიკური ფაქტორების მოქმედებით, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთები.

კომპანიის ინტელექტუალური კაპიტალის ინდიკატორები შეიცავს უამრავ ინფორმაციას, მაგრამ მათი მთავარი მნიშვნელობა ის არის, რომ სრულ წარმოადგენას იძლევა იმაზე, არა მხოლოდ სად

ხართ, არამედ იმაზეც, რა მიზანი გაქვთ. თუ თქვენ გაქვთ შედარებითი მონაცემები კონკურენტ საწარმოების ან ინდუსტრიის შესახებ, შეგიძლიათ შეადაროთ თავი სხვებს და შეაფასოთ თქვენი შედარებით ძლიერი და სუსტი მხარეები. თუ შეადარებთ სხვადასხვა წლების ნიმუშებს, შეგიძლიათ საიმედოდ გაარკვიოთ პროგრესირებთ თუ რეგრესიული ხართ, ასევე რამდენს მიაღწიეთ მიზნის მიღწევაში. შესაბამისად, ინტელექტუალური კაპიტალი ქმნის რეალურ შესაძლებლობას, შეაფასოს ნებისმიერი ტიპის კოლექტიური საქმიანობის შედეგები, შეადაროს მაჩვენებლების შეფასების დინამიკა, რადგან ეს ზუსტად არის ინდიკატორები, რომლებიც ქმნიან ჰეტეროგენულ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ საწარმოსა და საზოგადოების მთლიან მდგომარეობას და განვითარების ტენდენციებს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანური პოტენციალის გაზომვას (ინდივიდუალური კომპეტენცია), რომლის შეფასებაც შესაძლებელია ისეთი მაჩვენებლების გამოყენებით, როგორიცაა ორგანიზაციის ადამიანური რესურსების შემადგენლობა და მათი მართვა; თანამშრომელთა კმაყოფილების ხარისხი; გაყიდვები და დამატებული გადაანგარიშება თითოეულ თანამშრომელზე; მმართველი პერსონალის განათლება; პერსონალის გამოცდილება, მოცემული პროფესიის წლები; ტრენინგის ხარჯები თითოეულ თანამშრომელზე; წელიწადში სამუშაო დღეების რაოდენობა, რომელიც იხარჯება თანამშრომელთა მოწინავე მომზადებაზე;

ბიზნესში ადამიანური რესურსების მონაწილეობის ღირებულების პარამეტრების დადგენა არც თუ არაერთმნიშვნელოვანია მასში "არამატერიალური აქტივების" მონაწილეობის შედარებით. „ადამიანური ფაქტორი" ერთი ან სხვა ფორმით არის წარმოდგენილი ბიზნესის ინტელექტუალური კაპიტალის ყველა ელემენტში. ამრიგად, ადამიანური რესურსების გამოყენების მაჩვენებლები სცილდება მხოლოდ ადამიანურ კაპიტალს და უნდა შეიცავდეს, სხვათა შორის, ორგანიზაციული კაპიტალის ცალკეული ელემენტების მახასიათებლებს (ორგანიზაციული სტრუქტურა, ბიზნესის მართვის სისტემა და პერსონალის სტიმულირება).

ადამიანის განვითარების ინდექსი კიდევ ერთი მაჩვენებელია, რომელიც პირდაპირ კავშირშია თანამედროვე ინფორმაციული ეკონომიკის საჭიროებებთან და არის საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების შედეგი. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში გამოქვეყნდა ადამიანის განვითარების ანგარიშები, რომლებიც შეიცავს უნიკალურ გამოთვლებს. ჩამოყალიბდა მეცნიერთა ამ გრძელვადიანი მუშაობის ძირითადი იდეა: "… ეკონომიკური და სოციალური პროგრესის მთავარი მიზანი და მნიშვნელობა არაა საბაზრო ეკონომიკის განვითარების დაჩქარება, არამედ თითოეულ ადამიანს მიეცეს შესაძლებლობა გააცნობიეროს საკუთარი პოტენციალი და იხელმძღვანელოს ჯანმრთელი, სრულფასოვანი, შემოქმედებითად აქტიური ცხოვრებით. თითოეული ადამიანი არის პიროვნება, რომელიც განიხილება, როგორც სოციალური განვითარების მთავარი პრიორიტეტი და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის აქტიური მონაწილე. "

ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI) არის ინტეგრალური ინდიკატორი, რომელიც გამოითვლება სამი ზოგადი ინდიკატორის საშუალო მნიშვნელობით:

1) სიცოცხლის ხანგრძლივობის ინდექსი (დაბადებიდან) (სიცოცხლის ხანგრძლივობის ინდექსი);

2) მიღწეული განათლების დონის ინდექსი (ზრდასრულთა წიგნიერების მთლიანი ინდექსი და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული სტუდენტების პროცენტული მაჩვენებელი);

3) ცხოვრების დონის ინდექსი (შეფასებულია ერთ სულ მოსახლეზე რეგულირებული რეალური მშპ).

უნდა აღინიშნოს, რომ მაკროდონეზე არ არსებობს ინტელექტუალური კაპიტალის თვისობრივი ან რაოდენობრივად შეფასების მკაფიო მეთოდოლოგია, მაგრამ უკვე გამოყენებულია მაჩვენებლების ფორმით გაანგარიშების საჭიროება და საფუძველი, რისთვისაც დაგროვდა გარკვეული სტატისტიკა. შესაბამისად, უახლოეს მომავალში შეიძლება ველოდოთ ახალი მასალების და მეთოდების გაჩენას ქვეყნების ნამდვილი ეკონომიკური პოზიციების შესაფასებლად. ამასთან, ქვეყნის ინტელექტუალური კაპიტალის შესაფასებლად, ძალიან პერსპექტიულია კომპანიის მეთოდების ინტელექტუალური კაპიტალის შესაფასებლად არსებული მეთოდების ადაპტირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Black S. e Lynch L. M.), “Human capital investment and productivity”, The
2. American Economic, Review, n 86
3. **Pulic, A.** (2004). Intellectual capital – does it create or destroy value? Measuring Business. Excellence, 8(1).
4. **Петти У**. Экономические и статистические работы / I-II. пер.; под ред.Смит А. Исследование о природе и причинах богатства народов. –М.: Эксмо, 2007. – 320 с.
5. ჯოლია გ. კრეატიული განვითარება: განათლება, ცოდნა, ქმედება, მონოგრაფია. თბილისი, 2016. გვ.445.
6. ყურაშვილი გ. ბარათშვილი ი. კრეატიული მენეჯმენტი, თბილისი, 2021. გვ.412.

Evaluation of the company according to human capital potential and intelligence indicators

Guguli Kurashvili, GTU, Professor
Tamar beridze, GTU, Professor
Maia Soselia, GTU, Associate Professor

Abstract

Valuation of intellectual capital is a complex and controversial process. It is closely related to reviewing the possibilities and limitations of using traditional economic assessments, primarily using financial indicators and based on traditional accounting principles. The indicators used to evaluate intellectual capital can also be divided into integral, quantitative, financial indicators, and the parameters of intellectual capital can be estimated using natural and temporary indicators. These indicators at the individual level include: level of formal education (number of years of education), level of knowledge and intelligence (IQ quotient), scientific results and status. The company's intellectual capital is evaluated using financial and non-financial indicators. Valuing intellectual capital is difficult for many reasons. It is the lack of effective market structures that can determine the real market price of information and intellectual resources; the existence of a large number of unique products, for which there are no analogues and methods of cost estimation; Inadequacy of accounting policy mechanism.

Key words: company, intellectual capital, innovation, competitiveness

მწვანე ინოვაციის განვითარების მნიშვნელობა და უმაღლესი განათლების როლი ამ სფეროში

შენგელია ქეთევან
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიო იმკის იმ მძიმე შედეგებს, რაც მას ადამიანის უგუნურმა ქმედებებმა მოუტანა. დაზიანდა და დაბინძურდა არა მხოლოდ ეკოლოგია, არამედ ადამიანის სულიერებაც. რაც გავეცით, ის მივიღეთ. ასეთ პირობებში აუცილებელი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მწვანე ინოვაციის განვითარება. ნაშრომში დასაბუთებულია უმაღლესი განათლების როლი მწვანე ინოვაციის განვითარებაში. გაანალიზებულია დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის ბიზნეს სკოლების წვლილი ამ პრობლემის მოგვარებაში.

უნივერსიტეტებში ბიზნესის ფაკულტეტებმა ხელი უნდა შეუწყონ სწავლებას მწვანე ინოვაციის მიმართულებით. აქედან გამომდინარე, საუკეთესო შედეგს მოგვცემს ბიზნეს ფაკულტეტების გარე ჩართულობა. საწარმოო პრაქტიკის ნაცვლად სტუდენტებმა შეიძლება გამოიჩინონ აქტიურობა გარე ჩართულობის მიმართულებით. განსაკუთრებით უნდა წავახალისოთ მათი ჩართულობა საზღვრისპირა ან მთიან რეგიონებში. ამ აქტივობებში სტუდენტებს უნდა ქონდეს კრედიტების მიღების შესაძლებლობა, როგორც არის ეს დანერგილი მაგალითად, ბრიტანეთის და საფრანგეთის ბიზნეს სკოლებში.

საკვანძო სიტყვები: მწვანე ეკონომიკა, მწვანე ინოვაცია, ბიზნეს განათლება, გარე ჩართულობა.

ძირითადი ტექსტი

მსოფლიოში საზოგადოებრივი სისტემის ფასეულობები და ნორმები რადიკალურად შეიცვალა, ძირითადი სტრუქტურების მიმართ სერიოზული საფრთხე ღვივდება და კარდინალური გადაწყვეტილებების მიღება აუცილებელი ხდება. გაურკვევლობა და მოულოდნელობა ის უარყოფითი შოკებია, რომელიც თავს დაატყდა მთელს კაცობრიობას. მსოფლიო შეეჯახა გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს, რამაც კაპიტალის დეფიციტი გამოიწვია. თუმცა როგორც ეკონომიკური კრიზისების ზოგადი თეორიიდან არის ცნობილი, ეკონომიკური კონიუქტურის დინამიკას რიტმულობა ახასიათებს, დაქვეითებას მოყვება აღმასვლა და სწორედ ასეთი აღმასვლის მოლოდინში ვართ დღეისთვის. ნელ-ნელა მსოფლიო გამოდის კრიზისიდან, თუმცა დარჩა მრავალი პრობლემა, რომელიც მოითხოვს დასკვნების გაკეთებას. გაურკვეველია როგორი ეკონომიკური პოლიტიკა განხორციელდება მსოფლიოში. პრიორიტეტები ჩამოყალიბების ეტაპზეა. როგორც დეილ კარნეგი ამბობდა, ცხოვრება ბუმერანგია-რასაც გასცემთ, იმას მიიღებთ.

ასეთ პირობებში სულ უფრო აქტუალური ხდება მწვანე ინოვაციების განვითარება, რასაც ხელი უნდა შეუწყოს სწორედ უმაღლესმა განათლებამ, კონკრეტულად კი ბიზნეს განათლებამ. 2020 წლისთვის ბიზნესის სკოლების მრავალფეროვნება და რაოდენობა მსოფლიოში გაიზარდა დაახლოებით 13000-მდე, რამაც გამოიმუშავა 400 მილიარდი ფუნტი წელიწადში.

ნაშრომში გაანალიზებულია თანამედროვე ბრიტანელი და ფრანგი პროფესორების მარტინ კიტჩენერის (კარდიფის ბიზნეს სკოლა), ტომ ლევიტის (დასავლეთ ლონდონის ბიზნეს სკოლა), ლიზა ტომასის (მარსელის ბიზნეს სკოლა, საფრანგეთი) კვლევები, ასევე განხილულია კრისტოფერ ბარტლეტის, მ.ფროსტენსონის, ე.ბოიერის, ჯ.დ.ბრეევერის, ტ. ბრიგმანის, მ. ბურავოის, ბ.ჰარლეის, ჯ.გრანტის, ა.კაპლანის და სხვა ამერიკელ და ბრიტანელ მეცნიერთა შეხედულებები, საინტერესო იყო ჩინელი მეცნიერების ჩენ ჩენგის, სიმინგ ლის, სუნ იატსენის, შალი ლიუს (ჟენჯოუს უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლა, ჟენჯოუ, ჩინეთი) კვლევის შედეგები.

შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესი ერთ-ერთი პირველია ინტერდისციპლინურ პროფესიებს შორის.

განსაკუთრებით ევროპის ბიზნეს სკოლები ტრადიციულად ორიენტირებულია მომავლის ლიდერებზე, მენეჯერებზე, მეწარმეებზე. ეს ბიზნეს სკოლები მუდმივად ავრცელებენ გამონათქვამს, რომ მხოლოდ ის ბიზნესი გადარჩება, რომლებიც ნერგავენ ინოვაციებს.

კითხვა, რომელიც უნდა დაისვას არის ის, თუ რა როლები უნდა იკისრონ ბიზნეს სკოლებმა. რა მნიშვნელობა აქვს განათლებას, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტების მომზადებაზე, რომ გახდნენ მენეჯერები და ინოვატორები? სულ უფრო ფართოვდება ხელოვნური ინტელექტის როლი მენეჯმენტის განათლებაში. წარმოება, ტრანსპორტი, საცალო ვაჭრობა, ფინანსები, ჯანდაცვა, დაზღვევა, განათლება და ამ მხრივ პრაქტიკულად ყველა ინდუსტრია გარდაქმნის ძირითად პროცესებს და მათ შესაბამისად ამუშავებს ბიზნეს მოდელებს, რათა გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტის დამახასიათებელი უპირატესობები.[1]

ხაზგასმით აღვნიშნოთ, ბიზნეს სკოლებს უფრო მეტად სჭირდებათ განვითარება და ინტელექტუალური უნარების მომწიფება, გამჭრიახობა და სხვა ადამიანური უნარები, როგორიცაა კრეატიულობა, გონივრული განსჯა და ეფექტური კომუნიკაცია, სულ უფრო ღირებული და მოთხოვნადი ხდება. ეს არ არის ახალი უნარები. პირიქით, მათ აქვთ და უნდა იყვნენ ნებისმიერი ძლიერი ბიზნეს განათლების ნაწილი. ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ უნარი შეაგროვონ სათანადო ინფორმაცია, გააანალიზონ ბიზნესის პრობლემა ლოგიკური მსჯელობის გამოყენებით და შემდეგ გამოიყენონ შესაბამისი პრობლემის გადაჭრა რეალურ ბიზნეს სამყაროში. მრავალი ფაქტორი იწვევს სიტუაციის გამწვავებას. მათ შორისაა, სტუდენტებს შორის მათემატიკური კომპეტენციის დაბალი დონე, წიგნიერების შეუფასებლობა, შეუსაბამობა სწავლებას, კვლევასა და პრაქტიკულ შესაბამისობას შორის (არ შეესაბამება ინდუსტრიის განვითარებას) ეს განსაკუთრებით აქტუალურია მეცნიერების, სტატისტიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში[2].

ბიზნეს პრობლემების გადასაჭრელად ინტეგრირებული მიდგომის გარდა, ბიზნეს სკოლებმა მეტი ყურადღება უნდა გაამახვილონ კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებაზე. ბიზნეს სკოლის ბევრ სტუდენტს აქვს შეზღუდული გაგების უნარი გამოიტანონ ლოგიკური დასკვნები რთული იდეებიიდან, ამოიცნონ რთული პრობლემები ან წარმოადგინონ დამაჯერებელი არგუმენტები.[3]

იმისათვის, რომ ბიზნეს სკოლები დარჩეს აქტუალური, მათ უნდა განჭვრიტონ ევოლუცია ბიზნეს გარემოში და მოამზადონ სტუდენტები სწრაფად განვითარებად ბიზნეს სამყაროში წარმატებულად შესვლისთვის და დღევანდელი და ხვალინდელი ცვლილებებისათვის. თანამედროვე ბიზნესები სულ უფრო ხშირად ეძებენ კურსდამთავრებულებს, რომლებსაც შეუძლიათ პრობლემის გაანალიზება დისციპლინური ცოდნის საფუძველზე. ბევრმა ორგანიზაციამ, მაგალითად, IBM-მა, Toyota-მ, General Electric-მა და Microsoft-მა, შეიცვალა მათი მენეჯმენტის განვითარების ფოკუსირება. ისინი სულ უფრო მეტად ხაზს უსვამენ დისციპლინების და ფუნქციური განყოფილებების განსხვავებულ ინტეგრაციას.

წარმატებული მწვანე ინოვაცია ძვირია და მოითხოვს დამხმარე გარემოს, რომელიც ავითარებს ინოვაციებს დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების ძიებით. ჩინელმა მეცნიერებმა: ჩენ ჩენგმა, სიმინგ ლიმ, შალი ლიუმ და სუგე ჟანგმა შეარჩიეს 468 საოჯახო ბიზნესი, მათ შორის 147 საოჯახო ფირმა, რომლებიც მეტამორფოზირებული იყვნენ ძირითადად სახელმწიფო საწარმოებიდან და 321 საოჯახო ბიზნესი, რომლებიც დაარსდა საოჯახო მეწარმეების მიერ ან მათ ნათესავებთან პარტნიორობით4. მათი კვლევის შედეგებით რესტრუქტურიზებულ საოჯახო ბიზნესს აქვს უკეთესი შესაძლებლობები

---

[1] Singh, S., Misra, R., & Srivastava, S. An empirical investigation of student's motivation towards learning quantitative courses. International Journal of Management in Education, 15(2), (2017), p.47–59.

[2] Sircar, S. Business intelligence in the business curriculum. Communications of the Association for Information Systems, 24(1), 2009, p.17

[3] Bunch, K. J. State of undergraduate business education: A perfect storm or climate change? The Academy of Management Learning and Education, 19(1), 2020, p.81–98.

[4] Chen Cheng, Siming Li, Shali Liu, Suge Zhang, Origin matters: The institution imprint effect and green innovation in family businesses, Elsevier, Finance Research Letters, 2022, p.50

მწვანე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების შესრულების მიმართულებით ოფიციალური საწყისი ინსტიტუტების წყალობით. აღნიშნული მეცნიერები ადასტურებენ, რომ სამეწარმეო საოჯახო ფირმებს აქვთ უარესი შესაძლებლობები მართონ დაბინძურებისა და დარღვევების პრობლემები, ვიდრე რესტრუქტურიზებულს.

გამოვიყენეთ ასევე გაერთიანებული სამეფოს (დიდი ბრიტანეთი) ბიზნეს სკოლების და საფრანგეთის ბიზნეს სკოლების შესწავლის შედეგები, რომლებიც მოგვცეს ბრიტანელმა და ფრანგმა კოლეგებმა მარტინ კიტჩენერმა (კარდიფის ბიზნეს სკოლა), ტომ ლევიტმა (დასავლეთ ლონდონის ბიზნეს სკოლა), ლიზა ტომასმა (მარსელის ბიზნეს სკოლა, საფრანგეთი). ისინი განმარტავენ, რომ მომავლის ბიზნეს სკოლებს შეუძლიათ უკეთ გაზარდონ საზოგადოებრივი სიკეთე გაფართოებული ჩართულობით. აქ ჩვენ ვიყენებთ გარე ჩართულობას, როგორც საერთო ტერმინს, რათა ჩავრთოთ აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობენ ინტერდისციპლინურობას, ცოდნის გენერირებასა და გამოყენებას, რაც ხელს უწყობს რეალური პრობლემების გადაჭრისას აკადემიური წვლილის შეტანას. ჩვენი კონცეპტუალური წვლილი ეფუძნება ბოლო დროის წინადადებას, რომ ბიზნეს სკოლების ინსტრუმენტული სტრატეგიები უნდა შეიცვალოს მათი მიზნის მიღწევით, რათა გაზარდონ საზოგადოებრივი სიკეთე.[1]

განვიხილეთ ბრაიტონის ბიზნეს სკოლის იურიდიული კლინიკა, რომელიც დაარსდა მიზანმიმართული ჩართულობით მეწარმის, ბრონტი ანსელის მიერ. ის ახლა აერთიანებს მეცნიერებს, პროფესიონალებს, კურსდამთავრებულებს და მომავალ სამართალმცოდნეებს. ნორთუმბრიის ბიზნეს სკოლის ბიზნეს კლინიკა, რომელიც ორგანულად განვითარდა მისი დირექტორის, ნაიჯელ კოუტსის ინიციატივით. ჰადერსფილდის ბიზნეს სკოლა, რომელიც ჩართულია ეთიოპიის სოფლის მაღალმთიან თემებში (აღმოსავლეთ აფრიკაში, სომალის ნახევარკუნძულზე), და ეს იყო ბოლო 20 წლის განმავლობაში მისი წარმატების საზომი. სკოლის სტუდენტებმა ისარგებლეს გავლენიანი კვლევითი პროექტებით როგორც ეთიოპიაში, ასევე სხვა განვითარებად ქვეყნებში. ლივერპულის მენეჯმენტის სკოლა LMS, რომელიც გაჭირვებულ თემებში ქმნის მიზანმიმართულ დასაქმებას და უზრუნველყოფს სასიცოცხლო მნიშვნელობის სერვისებს ეკონომიკის სექტორებში. მანჩესტერის უნივერსიტეტი, რომელმაც სოციალური პასუხისმგებლობა (SR) დაასახელა, როგორც ძირითადი სტრატეგიული მიზანი ხუთი პრიორიტეტით. უნივერსიტეტის SR-ის განხორციელების ვალდებულებას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის დირექტორი SR-ისთვის პროფესორი ჰონგვეი ჰე, რომელიც თავმჯდომარეობს სკოლის SR კომიტეტს.

ნაშრომში მოცემულმა კვლევამ გამოავლინა ახალი კონცეპტუალური და ემპირიული გარე ჩართულობის მიდგომები. მიზანმიმართული ცვლილების მთავარი სტიმულია ბიზნეს სკოლებმა უკეთესად იმუშაონ შეავსონ თავიანთი არსებითი ღირებულება, რათა პოზიტიური წვლილი შეიტანონ საზოგადოებაში. გარდა ამისა, სოციალური და გარემოსდაცვითი გამოწვევები საერთო გავლენას ახდენს ბიზნეს სკოლებზე, ისინი არ უნდა იყვნენ უბრალოდ სტატუს კვოს შენარჩუნებაზე, არამედ ორიენტირებული იყონ ახალ გარდაქმნაზე, რათა შენარჩუნდეს ღირებულების შექმნა. ჩვენი კვლევა ეფუძნება უფრო დიდ ყურადღებას მომავალი ღირებულების შექმნაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Thomas, L., & Ambrosini, V. The future role of the business school: A value co-creation perspective. Academy of Management Learning & Education, 20/2, 2021, p.249–269
2. Singh, S., Misra, R., & Srivastava, S. An empirical investigation of student's motivation towards learning quantitative courses. International Journal of Management in Education, 15(2), 2017, p.47–59.

[1] Thomas, L., & Ambrosini, V. The future role of the business school: A value co-creation perspective. Academy of Management Learning & Education, 20/2, 2021, p.249–269

3. Sircar, S. Business intelligence in the business curriculum. Communications of the Association for Information Systems, 24(1), 2009, p.17
4. Bunch, K. J. State of undergraduate business education: A perfect storm or climate change? The Academy of Management Learning and Education, 19(1), 2020, p.81–98.
5. Chen Cheng, Siming Li, Shali Liu, Suge Zhang, Origin matters: The institution imprint effect and green innovation in family businesses, Elsevier, Finance Research Letters, 2022, p.50
6. http://conferenceconomics.tsu.ge

Importance of developing Green Innovation and the Role of the Higher Education in this Field

Ketevan Shengelia
Associate Professor
of the Georgian National niversity

Abstract

The modern world is suffering from the severe consequences brought to it by the reckless actions of humanity. Not only the ecology is damaged and polluted, but also human spirituality. We got what we deserved, In such conditions, the development of Green Innovation is vitally necessary. The paper substantiates the role of higher education in the development of Green Innovation. The contribution of British and French business schools to solving this problem is analyzed.

Business faculties in universities should promote teaching in the direction of Green Innovation. Therefore, external involvement of business schools will give us the best result. Instead of industrial practice, students can be active in external engagement. We should especially encourage their involvement in border or mountainous regions. In these activities, students should have the opportunity to receive credits, as it is implemented, for instance, in British and French business schools.

Keywords: Green economy, green innovation, business education, external engagement.

ნიკო ნიკოლაძე – ეროვნული იდეოლოგი და რეფორმატორი

შუბითიძე ვაჟა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

„სამშობლოს მამა“ – ასე უწოდებდნენ რომაელები თავის უდიდეს ადამიანებს, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილ შვილებს, ანუ ისეთებს, როგორიც იყო ჩვენი ქვეყნისათვის დიდი ნიკო ნიკოლაძე (ისე, დროა, ილია, ვაჟა, აკაკივით ისიც მხოლოდ სახელით მოვიხსენიოთ).

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს იმის სათქმელად და ხაზგასასმელად, რომ **ნიკო იყო თავისი დროის უგანათლებულესი პიროვნება, რომელიც ღრმად იყო ჩახედული მეცნიერებისა და კულტურის, ბიზნესის და პოლიტიკის სფეროში, იყო უდიდესი პუბლიცისტი, ნიჭიერი მწერალი და კრიტიკოსი, ეკონომისტი, კარგი იურისტი, სოციოლოგი (მან არჩილ ჯორჯაძეზე გაცილებით ადრე მოგვცა ქართული საზოგადოების სოციოლოგიური სურათი), ქართული პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი** (წერდა დემოკრატიისა და პოლიტიკური სისტემის, თვითმმართველობის პრობლემებზე, აანალიზებდა პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკური ლიდერობის, ოპოზიციის როლის აქტუალურ საკითხებს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გარდაქმნებს, რევოლუციებს, სახელმწიფო მოწყობის პრობლემებს საქართველოსა და მსოფლიოში), **გეოპოლიტიკოსი** (იწინასწარ-მეტყველა აშშ, იაპონიის და რუსეთის დაწინაურება XX საუკუნეში, დაასაბუთა საქართველოს ახალი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფუნქცია ევრაზიული დერეფნის სახით – ბერლინი-ფოთი-პეკინი – უმოკლესი გზა ევროპის ვაჭრობის აზიასთან დასაკავშირებლად), **ევროპოლოგი** (მოგვცა ევროპის ქვეყნების, ევროპული ღირებულებების კულტურულ-ეკონომიკური ანალიზი, მათი პოზიტიური და ნეგატიური მხარეები), **პედაგოგიკაში ღრმად ჩახედული პიროვნება** (აქვს ძალზე საყურადღებო მიგნებები ახალგაზრდობის როლის და მისი განათლების, ზნეობრივ-პატრიოტული აღზრდის შესახებ, სკოლის დეპოლიტიზაციასთან დაკავშირებით), **ქართული ჟურნალისტიკის, პოლიტიკური რეალიზმისა და ეკონომიკური პრაგმატიზმის მამამთავარი, ბიზნესის უდიდესი ორგანიზატორი და დიდი ქართული პროექტების განმახორციელებელი** (ბანკების დაარსება, გაზეთებისა და წიგნების გამოცემა, ტყიბულის ქვანახშირისა და ჭიათურის მანგანუმის სამრეწველო ათვისება, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება, რკინიგზების გაყვანის ორგანიზაცია: ჭიათურა-შორაპანი, ქუთაისი-რიონი, ქუთაისი-ტყიბული, კახეთის და ბაქო-თბილისი რკინიგზა, თბილისის და ქუთაისის წყალსადენის, რიკოთის(წიფის) გვირაბის გაყვანა და ყველაზე უმთავრესი – **ფოთის აღშენება** და ამ გზით საქართველოს დაკავშირება ევროპასთან დამოუკიდებლად, რუსეთის გვერდის ავლით).

ცალკე აღნიშვნის ღირსია ნიკოს დამსახურება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრაში, ქართული საზოგადოების განვითარების შემაფერხებელი მიზეზების გამოვლენაში და ქართული სახელმწიფოს გონივრულად მოწყობის დასახვის საქმეში, ქალთა ემანსიპაციისა და გენდერული პრობლემების წამოწევასა და გადაწყვეტაში, ქართული დემოკრატიისა და პლურალიზმის, რეალური თვითმმართველობისა და ავტონომიის, ახალი პოლიტიკური იდეებისა და ტექნოლოგიების დამკვიდრებაში.

ნიკოლაძემ ცნობილ ეკონომისტებზე მეინარდ **კეინზზე** (აშშ) **და სუბურო ოკიტაზე** (იაპონია) ადრე წამოაყენა და დაასაბუთა ეკონომიკურ ცხოვრებაში საზოგადოებრივი რეგულირების უპირატესობა ლიბერალიზმთან შედარებით, რომ აუცილებელია სახელმწიფოს ზომიერი, კონკრეტული ჩარევა ეკონომიკაში და სტრატეგიული ობიექტების სახელმწიფოს ხელში შენარჩუნება, მფარველობითი სისტემის შემოღება ეროვნული წარმოებისათვის და ექსპორტზე ორიენტირება და ა.შ.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ XIX-XX საუკუნეების საქართველოს არ ჰყოლია ნიკო ნიკოლაძისნაირი ევროპული მასშტაბის მოაზროვნე და საქმიანი ადამიანი, რომლის დაყენება თამამად შეიძლება ნამდვილი ევროპელი გრანდების გვერდით. საჭიროა მისი მემკვიდრეობის კიდევ უფრო

ღრმად შესწავლა და დამოუკიდებელი საქართველოს სამსახურში სასწრაფოდ ჩაყენება.

ძირითადი ტექსტი

2023 წლის 27 სექტემბერს 170 წელი შესრულდება უდიდესი ქართველი მოაზროვნისა და მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან. პოლიტიკურ და ფილოსოფიურ ლიტერატურაში მრავალი ტერმინია დამკვიდრებული ერისა და პიროვნების მახასიათებლად (მაგ: ერი-სახელმწიფო), მაგრამ ნიკო ნიკოლაძის დასახასიათებლად აუცილებლად მიმაჩნია ახალი ტერმინის **„კაცი-სახელმწიფო“**-ს შემოღება და დამკვიდრება. სწორედ ეს ტერმინია ზედგამოჭრილი ნიკო ნიკოლაძის წარმოუდგენლად დიდი ღვაწლის დასახასიათებლად.

ამ უდიდესმა საქმიანმა პატრიოტმა ფაქტიურად მარტომ შეძლო სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უმნიშვნელოვანესი კონცეპტუალური საკითხების დასმა და გადაწყვეტა, ასევე დიდი ქართული პროექტების წამოწყება და გასრულება, რაც დღესაც სახელმწიფოების და მთავრობების ფუნქციაა და ზოგი ქვეყანა ამასაც ვერ აუდის და ახერხებს ჩვენს განვითარებულ დროშიც კი.

არჩილ ჯორჯაძემ ნიკო ნიკოლაძეს **„ულმობელი საქმის კაცი“** უწოდა და, მართლაც, საქართველოს ახალ ისტორიას არ ახსოვს ასეთი ნიჭიერი და ენერგიული, დაუდეგარი და საქმიანი პიროვნება.

ნიკო ნიკოლაძემ წინა პლანზე პრაქტიკული და პრაგმატული საკითხები წამოსწია, რაც მთლიანად შეესაბამებოდა და ახლაც შეესაბამება საქართველოს განვითარების მოთხოვნებს. იგი პირველია ქართველ მოაზროვნეებში, ვინც ცივილიზებული ბიზნესის - წარმოების და ვაჭრობის პროპაგანდა და განხორციელება დაიწყო, რაც მაშინ ერის შინაგანი გაერთიანების გზაზე (რელიგიის შემდეგ) აუცილებელი და მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმას მოასწავებდა, ისევე როგორც წარმოებისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი აღორძინებისთვის მისი ბრძოლა და შრომა.

უდიდესი წვლილი მიუძღვის მას ქალაქ ფოთის აღმშენებლობაში და მისი მომავალი პროფილის განსაზღვრაში, პორტის ელექტროფიკაციასა და მექანიზაციაში. მან ფოთის პორტის აღორძინებით ფანჯარა გაჭრა ევროპაში მომავალი საქართველოსთვის რუსეთის გვერდის ავლით. იგი თითქმის 20 წლის განმავლობაში იყო ფოთის ქალაქის თავი და მისი ბიუჯეტი 10-ჯერ გაზარდა, ხოლო ფოთი ნამდვილ ქალაქს დაამსგავსა დიდი გარჯის შედეგად.

უდიდესი შრომა გასწია ნიკო ნიკოლაძემ ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ათვისებისა და ქუთაისი-ტყიბულის რკინიგზის მონაკვეთის გასაყვანად, ჭიათურის მანგანუმის წარმოების სამრეწველო და საექსპორტო დონეზე დასაყენებლად, შორაპან-ჭიათურის სარკინიგზო ხაზის გასაყვანად, რითაც მანგანუმის სწრაფი გადაზიდვის საქმეც მოაგვარა და გააიაფა კიდეც.

აქტიურად მონაწილეობდა ნიკოლაძე ასევე თბილისის წყალსადენის მშენებლობაში, კახეთის რკინიგზისა და სურამის(წიფის) გვირაბის გაყვანაში, ქუთაისის აღმშენებლობაში, ტრანსციმბირის რკინიგზის მშენებლობაშიც კი, მანვე მოიწვია ფრანგი მილიარდერი როტშილდი კავკასიაში ნობელებისათვის კონკურენციის გასაწევად, ფოთში დააარსა ნამდვილი თანამედროვე ბანკი, პირველად საქართველოში დაბეჭდა ობლიგაციები და ლატარიის ბილეთები და ნახევარკაპიკიან გადასახადთან ერთად ფოთის კეთილმოწყობას და განვითარებას მოახმარა.

ნიკოლაძეს ეკუთვნის საქართველოს მომავალი გეოპოლიტიკური ფუნქციის განსაზღვრის იდეა – მან 1918 წელს გერმანელ დიპლომატებთან (მინისტრ კიულმანთან) საუბარში წამოაყენა ევროპის აზიასთან ვაჭრობის უმოკლეს მარშრუტზე – საქართველოზე გატარების იდეა (ბერლინი-ფოთი-პეკინი), რამაც დღეს, დამოუკიდებელ საქართველოში ხორცი შეისხა ევრაზიული დერეფნის და აბრეშუმის გზის სახით.

ის ასევე იყო ყოველი პროგრესულის და მაღალტექნოლოგიურის პირველი შემფასებელი და დამნერგავი საქართველოში, ისევე როგორც ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეების.

ნიკო ნიკოლაძე იყო ქართული პოლიტიკური რეალიზმისა და პრაგმატიზმის მამამთავარი. მან შეიმუშავა მთელი რიგი კონცეფციებისა საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის შეფასების და სამომავლო განვითარებისთვის. ამ გაგებით იგი უთუოდ შეიძლება მივიჩნიოთ პირველ ქართველ

პოლიტოლოგად და გეოპოლიტიკოსად.

ნიკოლაძემ საქართველოს ისტორიის შესწავლისა და გაანალიზების შედეგად წარმოაჩინა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი მიზეზები და, შესაბამისად, მოგვცა მათი გამოსწორების ადეკვატური რეცეპტები. იგი ასევე იყო პირველი ქართველი ევ- როპოლოგი, რომელმაც ევროპის ქვეყნების მაგალითების გაანალიზებით ქართველობას აჩვენა, თუ როგორ ხორციელდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნები განვითარებულ ქვეყნებში, როგორ შეიძლება იქცეს ჩამორჩენილი ქვეყნები (იაპონია, პრუსია) სუპერსახელმწიფოებად, რა უნდა გაკეთდეს ქართული სახელმწიფოს გონივრული მოწყობისათვის.

ნიკო ნიკოლაძემ ღრმა ანალიზისა და შორსმჭვრეტელობის წყალობით დასვა და გადაწყვიტა ზოგიერთი კონცეპტუალური საკითხი, რომელიც მაშინაც და მომდევნო საუკუნეშიც იდგა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე:

1.წინააღმდეგ გამეფებული შეხედულებისა, მან დაამტკიცა, რომ ერი ვერ შეძლებს დამოუკიდებლობის მოპოვებას, თუ ის არ განვითარდა და მოძლიერდა სოციალ-ეკონომიკურად და კულტურულ-შემეცნებითი თვალსაზრისით, თუ მან არ განავითარა ავტონომიური ერთეულები – თვითმმართველობა, დემოკრატია, პოლიტიკური სისტემა, პლურალიზმი და შიდასახელმწიფოებრივი ინსტიტუციები (მანამდე და მერეც ბევრს მიაჩნდა, რომ ჯერ უნდა მოიპოვო დამოუკიდებლობა და მერე შეიძლება განვითარდე).

2.მან აუხსნა ქართველობას (და არა მარტო მას), რომ ჩამორჩენილი ხალხები ერთი ნაბიჯით ვერ გაივლიან იმ გზას, რაც სხვას ხუთი-ექვსი ნაბიჯით გაუვლია, რომ ჩამორჩენილ ქვეყანას არ შეუძლია განვითარების მაგალითი მისცეს ძლიერ ქვეყნებს;

3.აქედან გამომდინარეა ნიკოლაძის შემდეგი დასკვნა იმის შესახებ, რომ უეცრად, უშრომელად ვერც ერთი ხალხი ვერ გამდიდრდება, რომ არ შეიძლება ქვეყანაში მუდმივად გამეფებული იყოს სხვისი მოიმედეობისა და დახმარების, აზიური ინერტულობის განწყობილება, რომ საკუთარ თავზე უკეთესი დამხმარე ჩვენ არავინ გვეყოლება მომავალშიც;

4.ნიკო ნიკოლაძემ ასევე დაასაბუთა, რომ არაა აუცილებელი ველოსიპედის ხელახლა გამოგონება, უნდა გამოვიყენოთ უცხოური დადებითი გამოცდილება, მაგრამ აუცილებელია შეიქმნას საზოგადოებრივი განვითარების ეროვნული მოდელი, დაფუძნებული ქართული ცხოვრების წესზე და მდიდარ ეროვნულ ტრადიციებზე. ეს მოდელი კი უცხოელებს კი არ უნდა შეექმნათ ჩვენთვის, რომლებმაც ქართული სპეციფიკა და რეალობა არ იციან, არამედ განათლებულ ქართველებს („ჩვენი ქვეყნის გონებრივი ზრდისათვის უდიდესი უბედურებაა ის გარემოება, რომ დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაბარივართ. ისინიც ხშირად თხის რძეს გვაწოვებენ და არა ადამიანისას... უცხოელი ძიძა, რაგინდ საღი იყოს, შენს დედაენას ვერ გასწავლის, შენი ქვეყნის ბუნებასა და საჭიროებას ვერ გაგაცნობს“. ასეთი ძიძები გვაჩეჩებდნენ მარქსისტულ, ბოლშევიკურ იდეოლოგიას, გვაჩეჩებენ დღესაც სხვადასხვა გლობალისტურ და კოსმოპოლიტურ, ნეოლიბერალურ თეორიებს).

5.ნიკო ნიკოლაძემ ცნობილი უნგრელი მოღვაწეების კოშუთისა და დეაკის, ასევე ბოლშევიკთა მაგალითზე დაუმტკიცა ქართველებს, რომ რადიკალიზმი დამღუპველია ქვეყნისთვის, რომ „ქართველობის მიზნები მხოლოდ ზომიერების გზით მიიწევნება (მიიღწევა)”. მას ევოლუციური გზა ერჩივნა რევოლუციურ გზას;

6.ნიკო ნიკოლაძემ კარგად აჩვენა ყველას, რომ საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ჩამორჩენის უმთავრესი მიზეზი იყო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თითქმის არქონა, მეცნიერებისა და განათლების ჩამორჩენა ევროპული ანალოგისგან და მიღწევებისგან, პროფესიონალიზმის დეფიციტი;

7.ქართული სახელმწიფოს მშენებლობისთვის უდიდესი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს ნიკოლაძის თეზას იმის თაობაზე, რომ „დასაწყისშივეა საჭირო მითითება სწორედ პირველ ნაბიჯთა შეცდომებსა და მოუხერხებლობაზე, რადგან თუ საფუძველშივე ხელი არ ახლე, ათი წლის შემდეგ ვეღარანაირი გაუმჯობესებული მანქანით ვერ ამოგლეჯ“;

8.ნიკო ნიკოლაძე ქართული სახელმწიფოს გონიერი ორგანიზაციის აუცილებელ პირობად თვლიდა ეროვნული და სახელმწიფო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭებას პარტიულ, პიროვნულ, ჯგუფურ ინტერესებთან შედარებით, ასევე ისეთი მმართველობისა და საარჩევნო სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მართვაში ყველაზე ნიჭიერი, განათლებული და პატიოსანი ადამიანების მონაწილეობას, რომ „ძალა და ძლევა რიცხვსა და სივრცეს კი არა, ცოდნას, ორგანიზაციას ეკუთვნის, იარაღს, წესსა და დისციპლინას;

9.ქართული სახელმწიფოს დემოკრატიულად მოწყობის საქმეში ნიკო ნიკოლაძე საფუძველდამდებ პრინციპად თვლიდა სასამართლოს სწორად ორგანიზაციას, დამოუკიდებლობას და სამართლიანი სასამართლოს უფლებას რიგითი ადამიანებისთვის. მან ჯერ კიდევ 140 წლის წინ გააცნობიერა და დააყენა ნა- ფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების აუცილებლობა, რაც ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი ქვაკუთხედია დღეს;

10.ნიკო ნიკოლაძემ ცნობილ ეკონომისტებზე –მეინარდ კეინზზე (აშშ) და სუბურო ოკიტაზე (იაპონია) – ადრე წამოაყენა და დაასაბუთა ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ზომიერი, კონკრეტული ჩარევის აუცილებლობაზე, რასაც დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ქართული სახელმწიფოსთვის, ისევე, როგორც თეზას იმის შესახებ, რომ „სანამ მოსატანი (იმპორტი) მეტი გვექნება, ვინემ გასატანი (ექსპორტი) – მონობას ვერ ავცდებით", რომ „ერთი რეჟიმის შეცვლა მეორეთი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა სათანადოდ მომზადებული იქნება პროგრამა და გეგმა, აგრეთვე კადრები ახალი ხელისუფლებისათვის" და ა.შ.

ეს მცირედი ჩამონათვალიც კი საკმარისია იმის დასანახად, თუ რა მასშტაბის მოაზროვნესთან გვაქვს საქმე ნიკო ნიკოლაძის სახით. ის იყო ყველაზე ცნობილი სახე ევროპაში ქართველი მოღვაწეებიდან. კაცს, რომელსაც ვიქტორ ჰიუგოსთან, ალფონს დოდესთან, ლუი ბლანთან, კარლ მარქსთან, ემილ ზოლასთან და სხვა ცნობილ ევროპელებთან ახლო ურთიერთობა აკავშირებდა, ქართველები ნაკლებად წყალობდნენ. მისი სახელი დღესაც ფაქტიურად მიჩქმალულია (პარადოქსია, მაგრამ ფაქტია რომ კომუნისტურმა საქართველომ უფრო მეტი გააკეთა მისი პოპულარიზაციისათვის, ვიდრე თანამედროვე დამოუკიდებელმა საქართველომ). არადა თავისი ევროპული მრავალმხრივი განათლებით და ნიჭით, აზროვნების სიღრმით და მასშტაბებით, შორსმჭვრეტელობით და სიახლის აღქმით, საქმიანი და ორგანიზატორული თვისებებით, გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ხედვით იგი მთელი თავით მაღლა იდგა თავის თანამედროვეებზე (მათ შორის ილიაზე, აკაკიზე, იაკობზე, ჯორჯაძეზე და სხვებზე) და ნამდვილ ევროპელ გრანდებს უტოლდება.

ნიკო ნიკოლაძე იყო საქართველოში ახალი იდეების გენერატორი და განმახორციელებელი, ქვეყნისათვის მიმართულების მიმცემი დიდი მამულიშვილი. ასეთი დიდკაცები ბევრ დიდ ერსაც კი არ ჰყავს. საჭიროა ვისწავლოთ ასეთების დაფასება და მათთვის კუთვნილი, სათანადო ადგილის დროულად მიჩენა. მისი ადგილი კი უეჭველად არის ილიასთან და არა მის შემდგომ ან სხვათა ჩამონათვალში.

Niko Nikoladze - National Ideologist and Reformer

Vaja Shubitidze
Professor of Georgian Technical University

Abstract

The "father of the homeland" - that is how the Romans were calling their greatest figures, sons fighting for the wellbeing of their homeland, same as for our country was the great person Niko Nikoladze (it is time to call him only by name as there is the case for Ilia, Vazha, Akaki).

According to the above-mentioned, we are able to say and underline that Niko Nikoladze was one of the most educated persons of his time who was deeply aware of such spheres as are science and culture, business and politics. He was the great publicist, talented writer and critic, economist, good lawyer, sociologist (he created the sociological

picture of Georgian society far earlier than Archil Jorjadze), one of the founders of Georgian political science (he was writing on the problems of democracy and political system, as well as of self-governance; Nikoladze was analyzing the actual issues of political parties and political leadership, as well as of the role of opposition, he was summarizing social-political changes, the problems of state establishment in Georgia and the world). He also was an expert of geopolitics (Nikoladze predicted successes of the US, Japan and Russia in the 20th century and substantiated Georgia's new geo-political and geo-economic functions in the face of the Euro-Asian Corridor - Berlin-Poti-Pekin - the shortest way of connecting the European trade with Asia) and Europeanist (he provided the analysis of European countries, as well as cultural-economic analysis of European values, their positive and negative sides). Nikoladze was the person deeply aware of Pedagogics (he has very important findings about the role of youth and its education, regarding ethical-patriotic training, as well as on depoliticizing of the school); he was the father-founder of Georgian journalism, political realism and economic pragmatism. Nikoladze was the greatest organizer of Georgian business and conductor of great Georgian projects (establishing banks, publishing newspapers and books, producing Tkibuli coal and Chiatura manganese, building of hydro-electric power stations, development of viticulture-wine-making, organizing the construction of the following railways: Chiatura-Shorapani, Kutaisi-Rioni, Kutaisi-Tkibuli, Kakheti and the Baku-Tbilisi railway, construction of Tbilisi and Kutaisi water-pipe and Rikoti Tunnel, and the most significant - building of Poti, and thus, connecting independently with Europe by avoiding Russia).

There is worth to separately mention Niko's contribution in defining the strategy and tactics of the national-liberation movement, his role in revealing the reasons of breaking the development of Georgian society and his participation in rational planning of building the Georgian state, as well as Nikoladze's contribution in women's emancipation and underlining and solving the gender problems, his role in establishing Georgian democracy and pluralism, real self-governance and autonomy, as well as new political ideas and technologies.

Niko Nikoladze earlier than famous economists Keynes (the US) and Saburo Okita (Japan) stated and substantiated the advantages of social regulation in economic life, in comparison with liberalism. He formulated the following position that state's moderate, concrete interference in economy, the state ownership of strategic objects, as well as establishing a protectoral system for national production, orientation on export, etc. are necessary.

We can finally conclude that 19th-20th centuries Georgia did not have any other thinker and businessman of European scales who can be located among the true European grand-persons than Niko Nikoladze. It is necessary to deeply study his legacy and consider it urgently for the wellbeing of Georgia.

Beauty and aesthetics in modern society

Chikviladze Nino
Georgian Technical University, Faculty of Business Technologies
Head of Quality assurance service, associate Professor

Iashvili Irine
Professor of Georgian Technical University

Onezashvili Sopi
Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Paliani Sopfia
PhD student of Technical University of Georgia

Abstract

Beauty is a concept that is deeply subjective and elusive to define definitively. It encompasses a wide range of qualities and characteristics that are visually, intellectually, or emotionally appealing to individuals. Beauty can be found in various forms, including nature, art, music, literature, and even in the human form. At its core, beauty often involves a sense of harmony, balance, and aesthetic pleasure. It is often associated with qualities such as symmetry, proportion, and elegance. However, beauty is not solely confined to these objective criteria and can be influenced by personal, cultural, and historical factors.From a philosophical standpoint, beauty has been a topic of contemplation for centuries. Ancient Greek philosophers, such as Plato and Aristotle, believed that beauty was closely tied to the concept of perfection and ideal forms. They argued that beauty was inherent in the order and symmetry found in the natural world.

In more recent times, philosophers like Immanuel Kant and Arthur Schopenhauer have explored the subjective nature of beauty. Kant proposed that beauty arises from the harmony between our cognitive faculties, while Schopenhauer believed that beauty provides a temporary escape from the suffering and limitations of existence.

Beauty is also deeply intertwined with aesthetics, which is the branch of philosophy that studies the nature and perception of art and beauty. Aesthetics delves into questions about what makes something beautiful, how beauty is perceived, and how it influences human experience. Aesthetics seeks to understand the principles, theories, and criteria that underpin our understanding and appreciation of beauty. However, it's important to recognize that beauty is not solely limited to visual appeal. It can evoke emotional responses, intellectual stimulation, or a sense of awe and wonder. For example, a beautiful piece of music can evoke strong emotions, while a thought-provoking poem or novel can captivate our minds and touch our souls.

Furthermore, beauty can be found in the human form. People are often drawn to physical attractiveness, which can vary across cultures and individuals. However, it is important to note that personal beauty extends beyond physical appearance. Inner qualities, such as kindness, intelligence, and charisma, can greatly contribute to an individual's overall beauty and attractiveness. In conclusion, beauty is a complex and multifaceted concept that encompasses various qualities and characteristics that are visually, intellectually, or emotionally appealing. It is a deeply subjective and personal experience that can be found in nature, art, music, literature, and in the human form. The exploration of beauty and its understanding is an ongoing endeavor that spans across disciplines, cultures, and historical periods.

Is it important today to share the philosophy of beauty and aesthetics with young people?

In today's world, sharing the philosophy of beauty and aesthetics with young people is indeed important. It can provide them with a broader perspective on the world, enhance their critical thinking skills, and foster a deeper appreciation for the arts and the natural world. Here are some reasons why introducing young people to the philosophy of beauty and aesthetics is valuable:

Cultivating Critical Thinking: Exploring the philosophy of beauty and aesthetics encourages young

people to think critically and question conventional norms. It prompts them to analyze and evaluate different perspectives on what constitutes beauty and challenges them to develop their own informed opinions. By engaging in philosophical discussions, young people learn to articulate their thoughts, consider alternative viewpoints, and make well-reasoned judgments.

Promoting Cultural Understanding: Beauty and aesthetics are deeply influenced by cultural contexts. By studying the philosophy of beauty, young people can gain insight into diverse cultural perspectives and artistic traditions from around the world. This exposure fosters empathy, tolerance, and respect for cultural diversity, helping young people appreciate the richness and uniqueness of different artistic expressions.

Nurturing Personal Growth: Exploring beauty and aesthetics can contribute to personal growth and self-reflection. It encourages young people to contemplate their own values, beliefs, and experiences in relation to beauty. This self-reflection can lead to a greater understanding of their own identities and personal preferences. It also helps young people develop a sense of self-awareness, which can positively influence their self-esteem and overall well-being.

Encouraging Appreciation of the Arts: The philosophy of beauty provides a framework for understanding and appreciating various art forms. By introducing young people to different artistic movements, styles, and techniques, they can develop a deeper appreciation for the creativity and expression that art offers. This can lead to an increased interest in visiting museums, attending performances, reading literature, or engaging in artistic endeavors themselves.

Fostering Environmental Consciousness: Beauty extends beyond art and includes the natural world. Teaching young people about the philosophy of beauty and aesthetics can instill a sense of environmental consciousness. By exploring the beauty of nature, understanding ecological interconnections, and recognizing the value of preserving natural habitats, young people can develop a deeper appreciation for the environment and become more environmentally responsible.

Examples and Evidence:

The inclusion of aesthetics and philosophy of beauty in educational curricula: Some educational institutions have recognized the importance of aesthetics and philosophy of beauty and have incorporated them into their curricula. For instance, certain schools offer courses or modules that explore the philosophy of art, literature, or environmental aesthetics. This demonstrates a recognition of the value of introducing young people to these topics.

Impact on creativity and critical thinking: Research has shown that studying aesthetics and engaging in philosophical discussions can enhance creativity and critical thinking skills in young people. A study published in the Journal of Aesthetic Education found that students who participated in aesthetics-based lessons demonstrated improved creative thinking abilities compared to those who did not receive such instruction.

Long-term benefits: Introducing young people to the philosophy of beauty and aesthetics can have long-lasting effects. It can shape their perspectives, cultivate a lifelong appreciation for the arts and nature, and contribute to their overall personal and intellectual development. It can also inspire some to pursue careers in fields such as fine arts, design, architecture, or environmental conservation.

Cultural understanding and empathy: Exposure to diverse cultural perspectives through the philosophy of beauty can foster empathy and cross-cultural understanding. Research published in the Journal of Aesthetic Education indicates that studying aesthetics can lead to greater empathy and open-mindedness towards different cultures and their artistic expressions.

Here are a few more examples and evidence to support the importance of sharing the philosophy of beauty and aesthetics with young people:

Developing Emotional Intelligence: The philosophy of beauty and aesthetics can help young people develop emotional intelligence. By engaging with art forms that evoke different emotions and reflecting on the meaning and impact of these experiences, young people can enhance their ability to understand and manage their own emotions and empathize with the emotions of others. This can contribute to their overall emotional

well-being and interpersonal skills.

Enhancing Cognitive Skills: Engaging with the philosophy of beauty and aesthetics stimulates cognitive processes such as observation, analysis, and interpretation. Young people learn to pay attention to details, recognize patterns, and make connections between ideas. This enhances their cognitive abilities and critical thinking skills, which are essential for academic success and lifelong learning.

Empowering Self-Expression: Beauty and aesthetics provide a platform for young people to express themselves creatively. Exploring different art forms and engaging in artistic practices can serve as outlets for self-expression, allowing young people to communicate their thoughts, emotions, and experiences in unique and meaningful ways. This promotes self-confidence, self-identity, and personal empowerment.

Building Ethical and Moral Frameworks: The philosophy of beauty and aesthetics raises ethical and moral questions about the nature of art, cultural representation, and the impact of beauty standards. By critically examining these issues, young people develop a deeper understanding of ethical considerations in the arts and society at large. This helps them develop their own ethical frameworks and make informed decisions about their own artistic creations and appreciation of beauty.

Stimulating Imagination and Creativity: Engaging with beauty and aesthetics sparks the imagination and nurtures creativity in young people. It encourages them to think beyond the ordinary, explore alternative possibilities, and envision new ways of perceiving and experiencing the world. This imaginative thinking is crucial for innovation, problem-solving, and adapting to an ever-changing society.

Nourishing Well-Rounded Individuals: The philosophy of beauty and aesthetics complements other academic disciplines and contributes to the holistic development of young people. It encourages interdisciplinary thinking, connecting ideas from art, science, humanities, and social sciences. By fostering a well-rounded education, young people become more versatile individuals with a broader perspective on life.

Based on the above, we consider it necessary to teach the beauty and aesthetics course as a free component at the undergraduate level at the Technical University of Georgia. On the basis of our research, we offer a list of topics for the syllabus of the training course, which is based on the experience of various foreign ranked universities in this direction.

Course Duration: 15 weeks

Course Description:

This course explores the concept of beauty and aesthetics, its evolution over time, and how it is expressed in various forms of art. It will cover key theories of beauty, such as the classical, medieval, and modern views, and examine how these theories have influenced artistic practices across different cultures and eras. The course will also explore the relationship between beauty and ethics, as well as contemporary debates surrounding the concept of beauty.

Week 1: Introduction to Beauty and Aesthetics

Defining beauty and aesthetics

Historical overview of the concept of beauty

Key theories of beauty: classical, medieval, and modern views

Week 2: Classical Views of Beauty

Plato's theory of Forms

Aristotle's theory of beauty

The Golden Ratio

Week 3: Medieval Views of Beauty

St. Augustine's theory of beauty

The concept of divine beauty

Islamic aesthetics

Week 4: Modern Views of Beauty

Immanuel Kant's theory of beauty

Edmund Burke's theory of the sublime
Arthur Schopenhauer's theory of aesthetics
Week 5: Beauty in Visual Arts
Renaissance art and beauty
Baroque art and beauty
Romanticism and beauty
Week 6: Beauty in Literature
The concept of poetic beauty
Beauty in Romantic poetry
Modernist literature and beauty
Week 7: Beauty in Music
The concept of musical beauty
Beauty in classical music
Beauty in popular music
Week 8: Beauty in Film and Photography
The concept of cinematic beauty
Beauty in classical Hollywood cinema
Beauty in contemporary film and photography
Week 9: The Ethics of Beauty
Beauty and morality
Aesthetics and environmental ethics
Beauty and social justice
Week 10: Postmodern Views of Beauty
Jean-Francois Lyotard's theory of the sublime
The concept of the avant-garde
Beauty in postmodern art
Week 11: Beauty in Non-Western Cultures
Traditional Japanese aesthetics
African aesthetics
Beauty in Indian art and literature
Week 12: The Critique of Beauty
The Frankfurt School's critique of beauty
Feminist critiques of beauty
The relevance of the critique of beauty in contemporary culture
Week 13: Beauty and Technology
The impact of technology on beauty
The concept of digital beauty
Beauty in virtual reality and gaming
Week 14: Beauty and Consumer Culture
The commodification of beauty
Advertising and the construction of beauty standards
Beauty in fashion and design
Week 15: Contemporary Debates on Beauty
Beauty and diversity
The future of beauty
Beauty and the environment

Required Readings:

Plato, "The Symposium"; Aristotle, "Poetics"; St. Augustine, "On Beauty"; Immanuel Kant, "Critique of Judgment"; Edmund Burke, "A Philosophical Enquiry into the Origin of Our Ideas of the Sublime and Beautiful"; Arthur Schopenhauer, "The World as Will and Representation"; Jean-Francois Lyotard, "The Inhuman: Reflections on Time"; Susan Sontag, "On Photography"; Umberto Eco, "On Beauty"; Elaine Scarry, "On Beauty and Being Just"; bell hooks, "Beauty Laid Bare: Aesthetics in the Ordinary"; Angela Y. Davis, "Beauty and the Beast of Advertising"; Robin Wall Kimmerer, "Braiding Sweetgrass: Indigenous Wisdom, Scientific Knowledge, and the Teachings of Plants".

Overall, sharing the philosophy of beauty and aesthetics with young people offers numerous benefits. It enhances critical thinking, promotes emotional intelligence, nurtures creativity, and develops cultural understanding. By engaging with beauty and aesthetics, young people are better equipped to navigate the complexities of the world, appreciate diverse forms of expression, and lead more enriched and meaningful lives.

სილამაზე და ესთეტიკა თანამედროვე საზოგადოებაში

ჩიკვილაძე ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი,
ასოცირებული პროფესორი

იაშვილი ირინე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ონეზაშვილი სოფი
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

ფალიანი სოფიო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სილამაზე არის ცნება, რომელიც ძალზედ სუბიექტურია და მიუწვდომელია მისი ერთგვაროვანი საბოლოო განსაზღვრა. ის მოიცავს თვისებებისა და მახასიათებლების ფართო სპექტრს, რომლებიც ვიზუალურად, ინტელექტუალურად ან ემოციურად მიმზიდველია თითოეული ჩვენთაგანისათვის. სილამაზე გვხვდება სხვადასხვა ფორმით - ბუნებაში, ხელოვნებაში, მუსიკაში, ლიტერატურაში და ა. შ. თავის არსში, სილამაზე ხშირად გულისხმობს ჰარმონიასა და ესთეტიკურ სიამოვნებას. ის ხშირად ასოცირდება ისეთ თვისებებთან, როგორიცაა სიმეტრია, პროპორცია და ელეგანტურობა. თუმცა, სილამაზე არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ ობიექტური კრიტერიუმებით და შეიძლება მასზე გავლენა მოახდინოს პიროვნულმა, კულტურულმა და ისტორიულმა ფაქტორებმა. ფილოსოფიური თვალსაზრისით, სილამაზე საუკუნეების მანძილზე იყო განხილვის თემა. ძველი ბერძენი ფილოსოფოსები, როგორებიც იყვნენ პლატონი და არისტოტელე, რომლებიც თვლიდნენ, რომ სილამაზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული სრულყოფილებისა და იდეალური ფორმების კონცეფციასთან. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სილამაზე ბუნებრივ სამყაროში არსებული წესრიგისა და სიმეტრიის თანდაყოლილი იყო.

სილამაზე ასევე ღრმად არის გადაჯაჭვული ესთეტიკასთან, რომელიც არის ფილოსოფიის ერთ-ერთი კატეგორია. ის სწავლობს ხელოვნებისა და სილამაზის ბუნებასა და აღქმას. ესთეტიკა იკვლევს საკითხებს იმის შესახებ, თუ რა ხდის სულიერ ან უსულო საგანს ლამაზს, როგორ აღიქმება სილამაზე და როგორ მოქმედებს ის ადამიანზე. ესთეტიკა ცდილობს გაიგოს პრინციპები, თეორიები და კრიტერიუმები, რომლებიც საფუძვლად უდევს სილამაზის ჩვენეულ აღქმასა და შეფასებას. თუმცა,

მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ სილამაზე არ შემოიფარგლება მხოლოდ ვიზუალური მიმზიდველობით. მას შეუძლია გამოიწვიოს ემოციური რეაქციები, ინტელექტუალური სტიმულაცია ან შიშის და გაოცების გრძნობა. მაგალითად, მშვენიერ მუსიკას შეუძლია ძლიერი ემოციების აღძვრა, ხოლო დამაფიქრებელ ლექსს ან რომანს შეუძლია ჩვენი გონების მოხიბვლა და ჩვენი სულის შეხება. ამ საკითხების გაცნობა სტუდენტებისათვის აუცილებელია, რადგან უვითარდებათ კრიტიკული აზროვნება და იხვეწება მათი მსოფლმხედველობა. სტატიაში შეთავაზებულია სასწავლო კურსის - სილაბუსის სალექციო საკითხები, რომელიც შესაძლებელია საბაკალავრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების თავისუფალ კომპონენტად ისწავლებოდეს.

საგანმანათლებლო დაწესებულების მარკეტინგული კომუნიკაციები

ჩიქოვანი მიხეილ
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი

მარკეტინგული კომუნიკაციები გახლავთ მარკეტინგულ საქმიანობაში ტაქტიკური და სტრატეგიული გადაწყვეტილებების შეთანხმებასა და მიღებასთან დაკავშირებით მარკეტინგის სისტემის სუბიექტთა ურთიერთქმედების პროცესი.

მარკეტინგულ კომუნიკაციებს განეკუთვნება საგანმანათლებლო მომსახურებებისა და შრომის ბაზრის, შემოთავაზებული საგანმანათლებლო მომსახურებებისა და პროდუქტების, მოლაპარაკებებისა და საგანმანათლებლო მომსახურებების გაყიდვის ორგანიზაციის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და მიწოდების საშუალებები და პროცესები, ანუ ყველაფერი ის, რაც იძლევა კავშირების დამყარების, ინფორმაციის მიმოცვლის, სასწავლო დაწესებულებასა და მის მიკროგარემოს შორის გაგებისა და თანხმობის მიღწევის შესაძლებლობებს.

ნაშრომში განხილულია სასწავლო დაწესებულების მარკეტინგული კომუნიკაციის ცნება, მარკეტინგული კომუნიკაციების ორმხრივი პროცესი. საგანმანათლებლო დაწესებულებების მარკეტინგული კომუნიკაციების კომპლექსი წარმოდგენილია რეკლამის და PR-ის სახით. მოცემულია და გაანალიზებულია სასწავლო დაწესებულების PR-ის ძირითადი ამოცანები.

საკვანძო სიტყვები: მარკეტინგული კომუნიკაცია, შრომის ბაზარი, საგანმანათლებლო მომსახურება, რეკლამა, სავაჭრო მარკა, ორგანიზაცია, ტაქტიკური და სტრატეგიული გადაწყვეტილებები

ძირითადი ტექსტი

სასწავლო დაწესებულების მარკეტინგული კომუნიკაცია - ეს არის სასწავლო დაწესებულების კომპლექსური ზემოქმედება ბაზარზე სტაბილური საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შიდა და გარე გარემოზე ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად.

მარკეტინგული კომუნიკაციები ორმხრივი პროცესია: ერთი მხრივ, შემოთავაზებულია მიზნობრივ და სხვა აუდიტორიებზე ზემოქმედება, მეორე მხრივ კი - შემხვედრი ინფორმაციის მიღება ამ აუდიტორიების რეაქციის შესახებ სასწავლო დაწესებულების მიერ განხორციელებულ ზემოქმედებაზე. ყველა ეს მდგენელი ერთნაირად მნიშვნელოვანია; მათი ერთიანობა იძლევა საშუალებას ვისაუბროთ მარკეტინგული კომუნიკაციების სისტემაზე.

ტრადიციულად, საგანმანათლებლო დაწესებულებების მარკეტინგული კომუნიკაციების კომპლექსში შედის:

1. რეკლამა - იდეების, საქონლისა და მომსახურებების არაპიროვნული წარდგენისა და პრომოუშენის ნებისმიერი ფორმა, რომლის ანაზღაურება ხდება დამკვეთის მიერ ზუსტად განსაზღვრული ფორმით (ამერიკული მარკეტინგული ასოციაციის (ამა) განმარტება). რეკლამა წარმოადგენს სასწავლო დაწესებულების მარკეტინგული კომუნიკაციების კომპლექსის უმნიშვნელოვანეს და ცენტრალურ მდგენელს public relations-თან ერთად.

2. Public relations (PR) – არის სასურველი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება სასწავლო დაწესებულების და მისი პროდუქციის შესახებ. ეს ასევე გახლავთ პიროვნებას, ორგანიზაციასა და სხვა ადამიანებს, ადამიანთა ჯგუფებს ან მთლიანად საზოგადოებას შორის ურთიერთგაგებისა და კეთილმოსურნეობის ატმოსფეროს ხელშეწყობა განმარტებითი მასალების გავრცელების, ინფორმაციის მიმოცვლის განვითარებისა და საზოგადოებრივი რეაქციის შეფასების მეშვეობით.

სასწავლო დაწესებულების PR-ის ძირითადი ამოცანები:

1. საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ საზოგადოების კეთილმოსურნე დამოკიდებულების ჩამოყალიბება მისი შემდგომი წარმატებული ფუნქციონირებისა და ზრდისთვის;

2. დადებითი რეპუტაციის ჩამოყალიბება საზოგადოების თვალში, ტრადიციების შენარჩუნება;

3. საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჯანსაღი შიდა ურთიერთობების შექმნა და შენარჩუნება, სასწავლო დაწესებულების კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბება.

სასწავლო დაწესებულების მთლიანი კონტინგენტი პირობითად შეიძლება დავყოთ შიდა და გარე საზოგადოებებად. შესაბამისად, სასწავლო დაწესებულების PR ასევე შეიძლება პირობითად დაიყოს შიდა და გარე პიარად.

შიდა საზოგადოებას მიეკუთვნება:

- პერსონალი (სასწავლო-დამხმარე პერსონალი, სპეციალისტები და ა.შ.);

- სტრუქტურული ქვედანაყოფების (სამმართველოების, განყოფილებების და ა.შ.) ხელმძღვანელები.

შიდა კომუნიკაციები ხორციელდება სასწავლო დაწესებულების კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბების და მხარდაჭერის მიზნით და, როგორც წესი, მოიცავს:

- ინფორმაციის ნორმალური მიმოცვლის უზრუნველყოფას სასწავლო დაწესებულების შიგნით;

- მოსაზრებებისა და შეფასებების შესწავლას, „მოსაზრებათა ლიდერებთან მუშაობას;

- სასწავლო დაწესებულების კორპორაციული კულტურისა და იმიჯის ჩამოყალიბებას;

გარე საზოგადოება, თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს უახლოეს და შორეულ საზოგადოებებად:

- უახლოესი გარეშე საზოგადოება მუდმივ და არსებით გავლენას ახდენს სასწავლო დაწესებულების მუშაობაზე (პარტნიორები, მომწოდებლები და ა.შ.);

- შორეული გარე საზოგადოება ირიბ ზემოქმედებას ახდენს სასწავლო დაწესებულების მუშაობაზე (კონკურენტები და ა.შ.).

სასწავლო დაწესებულების გარე კომუნიკაციები, რომლებიც მიმართულია გარე საზოგადოებისკენ, იკავებს დროის დაახლოებით 80 %-ს და მოიაზრებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მუშაობას.

გარე კომუნიკაციები მოიცავს:

ა) მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებებში საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ყველა პუბლიკაციის მუდმივ დათვალიერებას;

ბ) პუბლიკაციებზე რეაგირებასა და არასასურველი ცნობების გაბათილებას;

გ) საკუთარი მასალების მომზადებას პარტნიორ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოსაქვეყნებლად;

დ) ბრიფინგებსა და პრესკონფერენციებში მონაწილეობას, ღია კარის დღეების, მრგვალი მაგიდების, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მოწყობას;

ე) ადმინისტრაციის სახელით განცხადებით გამოსვლას აქტუალურ თემებზე და სხვ.

გარე კომუნიკაციებს ორგანიზაციულ დონეზე უზრუნველყოფენ სასწავლო დაწესებულების პრესსამსახურები (პრესმდივნები), რომელთაც უნდა ჰქონდეთ კარგი არაფორმალური კავშირები მასმედიასთან.

საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა PR-ის სფეროში უნდა შეესაბამებოდეს ისეთ მნიშვნელოვან მოთხოვნებს, როგორიცაა საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ინფორმაციის სამართლიანობა, პატიოსნება და ღიაობა.[1]

3. პირდაპირი მარკეტინგი (დაირექთ-მარკეტინგი) - ეს არის სასწავლო დაწესებულების ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც მიმართულია მომხმარებლის გამოხმაურების მიღებაზე საგანმანათლებლო მომსახურებაზე პირდაპირი შეკვეთის, შემდგომი ინფორმაციის მოთხოვნის, საგანმანათლებლო მომსახურების მისაღებად სასწავლო დაწესებულებისთვის მიმართვის სახით.

დაირექთ-მარკეტინგი როგორც სასწავლო დაწესებულების საკომუნიკაციო პოლიტიკის ინსტრუმენტი, ჯერ არ არის ისე განვითარებული, როგორც რეკლამა და PR, თუმცა მისი ცალკეული ელემენტები განათლების სფეროში ყოველთვის გამოიყენებოდა (მაგალითად, უმაღლესი სასწავლებლის მიმღები კომისიის წევრის საუბარი აბიტურიენტთან სპეციალობების შესახებ -

[1] Панкрухин А. П. Маркетинг образовательных услуг // http://www.marketologi.ru.

უმაღლესი სასწავლებლის დაირექთ-მარკეტინგის ტიპური შემთხვევაა.

დაირექთ-მარკეტინგის ძირითადი საშუალებები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სასწავლო დაწესებულების მხრიდან, შემდეგია:

- გასავრცელებელი ბეჭდური საშუალებები (ფურცლები, ჩანართები, პროსპექტები და უფასო გაზეთები) - ისინი განკუთვნილია მომხმარებელი პიროვნებებისთვის;

- პირდაპირი პასუხის საშუალებები (ფოსტა, ტელეფონი, ფაქსი და სხვ.) - განკუთვნილია მომხმარებელი ორგანიზაციებისთვის;

- ელექტრონული საშუალებები (ინტერნეტი) განკუთვნილია ფართო საზოგადოების, აბიტურიენტების, სკოლის კურსდამთავრებულების, სტუდენტებისთვის.

4. პირადი გაყიდვები - საგანმანათლებლო მომსახურების ზეპირი წარდგენა ერთ ან რამდენიმე პოტენციურ მყიდველთან საუბრის პროცესში პროდუქტის შემდგომი გაყიდვის მიზნით (მაგალითად, გამოსაშვებ კლასთან სკოლაში - კათედრის სპეციალობის შესახებ).

უნდა გვახსოვდეს, რომ განათლებაში წინა პლანზეა წამოწეული კომუნიკაციები პირადი კონტაქტების სახით (მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან, კოლეგებსა და თანამშრომლებთან).

დასკვნა

ამრიგად შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაციების განხორციელება განათლების სფეროში უნდა ითვალისწინებდეს განათლების იმ სუბიექტების თავისებურებებს, რომლებმაც უნდა მიიღონ გადაწყვეტილება ბაზრის არჩევის შესახებ. ესენი არიან საგანმანათლებლო პროცესის პოტენციური მონაწილეები, თავად საგანმანათლებლო დაწესებულებები და ორგანიზაციები - განათლების სპონსორები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Багиев Г.Л., Тарасевич В.М., Анн Х. Маркетинг: учеб. М.: Экономика, 1999: 428
2. Абабкова М.Ю. Маркетинг образовательных услуг: учеб. пособие. СПб.: Изд-во Политехн. ун-та, 2007: 78
3. Панкрухин А. П. Маркетинг образовательных услуг // http://www.marketologi.ru.
4. Абабков Ю.Н., Абабкова М.Ю. Маркетинг в социальной сфере: учебн. пособие. СПб.: Изд-во СПбГАСЭ, 2005.
5. Типы и виды Product Placement. URL: http://stud.ibi.spb.ru/144/kraseli/html/types.html.

Marketing communications of an educational institution

Mikhail Chikovani

Doctor of Business Administration

Abstract

Marketing communications is the process of interaction between the subjects of the marketing system in connection with the agreement and adoption of tactical and strategic decisions in marketing activities.

Marketing communications include the means and processes of collecting and providing information about educational services and the labor market, offered educational services and products, negotiations and the organization of selling educational services, That is, everything that provides opportunities to establish connections, exchange information, and achieve understanding and agreement between the educational institution and its microenvironment.

The paper discusses the concept of marketing communication of an educational institution, the two-way process of marketing communications. The complex of marketing communications of educational institutions is presented in the form of advertising and PR. The main tasks of the PR of the educational institution are given and analyzed.

Keywords: marketing communication, labor market, educational services, advertising, trademark, organization, Tactical and strategic decisions.

საბანკო ლოგისტიკა: პრობლემები და განვითარების პერსპექტივები

ცაავა გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ბურდიაშვილი რატი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია საბანკო საქმიანობა როგორც მეწარმეობის ყველაზე უფრო რთული სახეობა მისი პრობლემებით და განვითარების პერსპექტივებით. საბანკო სტრუქტურების ეფექტიანი საქმიანობის ამაღლების ერთ-ერთ საკვანძო ინსტრუმენტს, ავტორების მოსაზრების მიხედვით, მოწოდებულია გახდეს ნაკადური პროცესების ლოგისტიზაცია სისტემა ბანკში - საბანკო პროდუქტი (მომსახურეობა) - ურთიერთმოქმედების სუბიეექტები.

საკვანძო სიტყვები: საბანკო ლოგისტიკა, საბანკო პროდუქტი (მომსახურეობა), ნაკადური პროცესები, საფინანსო-საკრედიტო ინფრასტრუქტურა.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა შეუძლებელია წარმოდგენილი იქნას მისი ადკვატური საფინანსო-საკრედიტო ინფრასტრუქტურის გარეშე. ფინანსური ნაკადების მართვა სხვადასხვა დონეებზე და ყველაზე განსხვავებული ეკონომიკური ინსტრუმენტებით ხორციელდება. ცენტრალური ადგილი საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების სისტემაში უკავიათ ბანკებს. საბანკო საქმიანობა მრავალრიცხოვანი ეკონომიკური რისკების ზემოქმედების ქვეშაა და სწორედ ამიტომ ბანკის მეწარმეობის სახეობა რეგულირების თვალსაზრისით ყველაზე უფრო რთულს წარმოადგენს. საბანკო მომსახურეობების ბაზრის განვითარების თავისებურებას წარმოადგენს შესაბამისი საკრედიტო ინსტიტუების გამწვავებული კონკურენცია, მოსახლეობის ნდობის შემცირება მთლიანი სისტემისადმი მიმართებაში და, როგორც შედეგი, რიგი საბანკო სტრუქტურების ლიკვიდაცია. ასეთი სახის ამოცანების გადაწყვეტის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად მოწოდებულია გახდეს საბანკო საქმიანობის ლოგისტიზაცია, რომლის საუძველში ბანკების მიერ მატერიალური სფეროს სუბიექტებთან მათი ურთიერთქმედების პროცესში წამოქმნადი სხვადასხვა სახეობის ეკონომიკური ნაკადების მეცნიერული მეთოდების დანერგვის გზით, მისი ეფექტიანობის ამაღლების მძლავრი პოტენციალი არის ჩადებული.

სამამულო ბანკები თითქმის სულ ბოლო დრომდე პრაქტიკულას არ იყენებდნენ ლოგისტიკის ინსტრუმენტარიებს თავიანთი ნაკადური პროცესების რეგულირებისათვის, მათ შორის საჭირო სამეცნიერო-პრაქტიკული შემუშავებების არ ქონის გამოც. საქართველოს ეკონომიკის საფინანსო-საკრედიტო სფეროში ლოგისტიკის უნივერსალური კონცეფციის გამოყენების სპეციფიკის არასაკმარისი დამუშავებადობა საბანკო ლოგისტიკის აქტუალურობას განსაზღვრავს.

კვლევის მიზანს ლოგისტიკის პრინციპების გამოყენებით საბანკო სფეროს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით თეორიულ-მეთოდოლოგიეური მიდგომების საფუძველზე შემუშავება წარმოადგენს. დასახული მიზნების მიღწევისათვის აუცილებელ პირობად გვესახება რიგი ამოცანების გადაწყვეტა, რომელთა შორისაა: საბანკო საქმიანობის გაანალიზება, საბანკო საქმიანობაში ლოგისტიკის როლის განსაზღვრა, ფინანსურ სფეროში ინოვაციური ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენების უცხოური გამოცდილების განხილვა, ეკონომიკის საბანკო სექტორში ლოგისტიკის ეფექტიანი გამოყენების მიმართულებების ჩამოყალიბება.

უნდა ითქვას, რომ ლოგისტიკა - ბიზნესის მრავალი ორგანიზაციებისათვის კონკურენტულ ბრძოლაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ინსტრუმენტს წარმოადგენს. დიდ ინტერესს იძენს ეკონომიკური ლოგისტიკა, რომლის ქვეშ წარმოებისა დ მიმოქცევის სფეროში მატერიალური და მასთან დაკავშირებული ინფორმაციული და ფინასური ნაკადების ეფექტური მართვის მომცველი

მეურნეობრიობის მეცნიერულ-პრაქტიკული მიმართულება გაიგება. მიკროდონეზე ლოგისტიკა მიიღება როგოც მომარაგების, შენახვისა და გასაღების ერთიანობაში მომცველი მატერიალური ნაკადების მართვის მეთოდი. ლოგისტკის მთავარ მისსიად ითვლება ცვალებადი საბაზრო გარემოებისადმი უმცირესი დანახარჯებით ბიზნესის სუბიექტების მაღალი შეთანაწყობის მიღწევა, ბაზარზე თავისი წილის ამაღლება და კონკურენტების წინაშე უპირატესობების მიღება.

ზოგიერთი ავტორების მოსაზრებით საბანკო ლოგისტიკა - არის ღონისძიებების მთლიანი კომპლექსი: საბანკო სისტემის საინვესტიციო და საკრედიტო პროგრამებით მომარაგება, ბანკის საფონდო საქმიანობა.

ლოგისტიკური კონცეფციები ბანკის ყველა ოპერაციებში მონაწილეობენ. წამყვანი ამერიკული, ეფროპიული და იაპონური გამოცდილების გათვალისწინებით ბანკების საქმიანობის ჩატარებული სხვადასხვა მიმართულებები იძლევიან საფუძველს დავადასტუროთ, რომ ისინი შეიძლება პირობითად იქნან დიფერენცირებულები“

- ❖ კომერციული ბანკის პასიურ ოპერაციებად;
- ❖ კომერციული ბანკის აქტიურ ოპერაციებად;
- ❖ კომერციული ბანკის საკომისიო ოპერაციებად.

პასიური ოპერაციების ქვეშ - გაიგება ბანკის ისეთი ოპერაციები, რომელთა შდეგად ბანკების რესურსების ფორმირება ხორციელდება. მათი არსი მდგომარეობს - სხვადასხვა სახეობის ანაბრების მოზიდვაში, სხვა ბანკებიდან კრესიტების მიღებაში, საკუთარი ფასიანი ქაღალდების ემისიაში, ასევე სხვა ოპერაციების ჩატარებაში, რომელთა შედეგად საბანკო რესურსები გაიზრდებიან.

აქტიური ოპერაციების სახით - ბანკის მობილიზებული ფულადი სახსრები გამოიყენებიან - კლიენტურის დაკრედიტებისათვის და თავისი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის. აქტიური ოპერაციები - მიმართულია შექმნილი ფულადი ფონდების გამოყენებაზე მოგების მოზიდვის მიზნით. ისინი დაიყოფიან საკრედიტოებად და საინვესტიციოებად.

საკომისიო ოპერაციები - შესრულდება ბანკების მიერ კლიენტების დავალების მიხედვით გარკვეული საფასურის (საკომისიოსი) გადახდით. ასეთ ოპერაციებს მიეკუთვნებიან - ანგარიშსწორებები, გარანტიები, სავაჭრო გარიგებები, ოპერაციები ვალუტასთან. თამასუქებისა და ჩეკების ინკასირება, ფასიან=ნი ქაღალდების შენახვაზე მიღება. საშუამავლო ოპერაციებმა, საკრედიტოებთან მჭიდროდ გადაჯაჭვულობით, წარმოშვეს საბანკო მომსახურების ისეთი კომპლექსური ფორმა, როფორიცაა ფაქტორინგი. ფაქტორინგი - არის უფლების გადაყიდვა ვალების ამოღებასთან მიმართებაში; კომერციული ოპერაციები მინდობილობის მიხედვით; მომსახურეობა დაკავშირებული ფულის მიღებასთან კრედიტში გაყიდვაზე.

ზემოთაღნიშნულების რეზიუმირებით, შეიძლება დავადასტუროთ, რომ ნებისმიერი კომერციული ბანკის ქმედების მთლიანი ერთობლიობა აქტიური და პასიური ოპერაციების განხორციელებასთან მიმართებაში შეიძლება განხილული იქნას როგორც ლოგისტიკური ღონისძიებების ერთობლიობა ფულადი ნაკადების რეგულირების მიმართებაში, რომელთა ძირითადი მიზანი მდგომარეობს - სასესხო კაპიტალის ეფექტიანად გამოყენების მიღწევაში, თვით ბანკის და მისი კლიენტის კომერციული ინტერესების რეალიზაციაში.

თანამედროვე კომერციულ ბანკში ფინანსური ანალიზი თავისთავად წარმოადგენს არა უბრალოდ ფინანსური მართვის ელემენტს, არამედ მის საფუძველს. ფინანსური მართვა უაზროა ანალიზის გარეშე - იქნება იგი საკრედიტო ოპერაციების ტრადიციული შესრულება; გადახდების, ანგარიშსწორებების და ფულის შენახვის ან შედარებით საქმიანობი ახალი სახეობების შესრულება, მაგალითად, დაზღვევა, ლიზინგი, სატრასტო და საბროკერო მომსახურეობები, სხვა ოპერციები.

ფინანსური ანალიზის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ბანკებში ის, რომ ამ უკანასკნელების საქმიანობა მეტი ხარისხით, ვიდრე სხვა ეკონომიკური სუბიექტების, დაკავშირებულია პროცესებთან და მოვლენებთან, რომლებიც მიმდინარეობენ იმ გარემოში, რომელშიც ისინი ფუნქციონირებენ. ამიტომ ფინანსური ანალიზის ჩატარებას ბანკში წინ უნდა უსწრებდეს მისი გარემომცველების, საქმიანი და ეკონომიკური გარემოს ფინანსურ-პოლიტიკური ანალიზი. ამასთან

საჭიროა გათვალისწინებული იქნას ტენდენციებიც, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკისათვის მთლიანობაში არის დამახასიათებელი, და არა მარტო საკუთარი სახელმწიფოს განვითარების დონე.

ბანკის საქმიანი და საფინანსო-პოლიტიკური გარემოს ანალიზის არსი მდგომარეობს - საბანკო სექტორში ინვესტიციების დაგეგმილი შემოსულობების დონის შესწავლაში და შეფასებაში, ბანკის რეფინანსირების არსებული ინსტრუმენტებისადმი მიღწევადობის შეფასებაში, ფულად-საკრედიტო სფეროს მდგოარეობის ინდიკატორების ანალიზში.

ინვესტიციების ქვეშ - გაიგება სახსრების გრძელვადიანი დაბანდება მრეწველობაში, სიფლის მეურნეობაში და ეკონომიკის სხვა დარგებში ქვეყნის შიგნიტ და უცხოეთშივ მოგების მიღების მიზნით.

ბანკების საინვესტიციო საქმიანობის, როგორც სხვა ინვესტორებისათვისაც, არსებობს შემდეგი ძირითადი სახეობებია:

- პირდაპირი ინვესტრება;
- პორტფელური ინვესტირება;
- სასესხო ინვესტირება;
- სავალუტო ინვესტირება.

ბანკების საინვესტიციო საქმიანობა პირდაპირი ინვესტირების სახით თავისთავად წარმოადგენს ნებისმიერი კომპანიის რეალური საწარმოო აქტივების შეძენა მათზე კონტროლის მიღებისათვის.

ბანკების საინვესტიციო საქმიანობა პორტფელური ინვესტირების სახით თავისთავად სხვადასხვა კომპანიების აქციების შეძენას და საინვესტიციო პორტფელის ფორმირება წარმოაგენს. დივესიფიცირებული პორტფელური ინვესტიციები შეიძლება იქნას შეზღუდული აქციების როგორისაც ნაწილის შეძენით, ასევე შეიძლება მუდმივი შემოსავლის მომტანი სტაბილურად მზარდი კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენისაკენ მიგვიყვანოს.

ბანკების საინვესტიციო საქმიანობა სასესხო ინვესტირების სახით ითვალისწინებს ბანკების ძირითად საქმიანობას, ანუ კომპანიებზე და კერძო პირებზე სხვადასხვა კრედიტების, სესხების და ნასესხებების მიწოდება.

ბანკების საინვესტიციო საქმიანობა სავალური ინვესტირების სახით თავისთავად სავალუტო ოპერაციების განხორციელებას წარმოადგენს საინვესტიციო საქმიანობის პირველი სამი ფორმით განხორციელებასთან დაკავსირებით.

საბანკო სფეროში კომპიუტერული ტექნოლოგიები გამოყენება ყველაზე ეფექტიანია. თანამედროვე დროში ჩამოყალიბდა საბანკო ელექტრონული მომსახურეობების შემდეგი სახის სამდონიან სისტემა:

- „საცალო“ საბანკო ელექტრონული მომსახურეობები;
- საბითუმო საბანკო ელექტრონული მომსახურეობები;
- ავტომატური საანგარიშსწორებო პალატები.

უდიდესი როლი საბანკო საქმიანობის მართვის სრულყოფაში მიკუთვნებული აქვს ბანკის ავტომატიზაციის სისტემას. ავტომატიზაციას აქვს დიდი მნიშვნელობა საბანკო საქმიანობის შემდეგი სახეობებისათვის:

- ახალი საბანკო პროდუქტებისა და მომსახურეობების (საბანკო ბრათები, ბანკომატები, სისტემენო „ბანკი-კლიენტი“ და სხვა) შემუშავება და დანერგვა;
- საბანკო ტექნოლოგიების შექმნა ოპერაციების შესრულებისათვის (კავშირგაბმულობის, პროგრამული უზრუნველყოფის და სხვასისტემები);
- საბანკო პროდუქტებისა და მომსახურეობების ხარისხის ამარლება;
- შრომის მწარმოებლობის ამაღლება: დანახარჯების დადაბლება საბანკო პროდუქტებისა და მომსახურეობების ერთეულზე, დანახარჯების შემცირება ერთ საბანკო მოსამსახურეზე.

ბიზნეს-პროცესების უმეტესობა ბანკებში - არის პროცესები, რომლებიც ინფორმაციებისა და ავტომატიზაციის აქტიურად გამოყენებადი საშუალებების დამუშავებასთან არიან დაკავშირებულები. აუტსოსრსინგული მომსახურეობების ერთობლივი მოცულობა საბანკო ოპერაციების სეგმენტში

იზრდება დღითიდღე.

მსოფლიო პრაქტიკაში საკრედიტო-საბანკო სისტემის ჩამოყალიბების ორი ძირითადი მოდელი არის ცნობილი: სეგმენტირებული (ამერიკული) და უნივერსალური (გერმანუ;ლი). მოცემული მოდელების ძირითადი განსხვავებები - საკრედიტო ინსტიტუტების უნივერსალიზაციისა და სპეციალიზაციის ხარისხში, რეალური სექტორის ფორმირების ფორმებში და წყაროებში, ბანკებისა და საწარმოების საინვესტიციო პორტფელების დივერსიფიკაციის დონეებში მდგომარეობს.

მაგალითად, **ამერიკულ მოდელში რისკები** - მაქსიმალური ხარისხიტ დაყოფილია - კომერციულებად და ინვესტიციურებად და დივერსიფიცირებულები არიან დაზღვევის რიგი დონეების მეშვეობით; საწარმოს დაფინანსების სისტემა ფასიანი ქაღალდების გამოშვების და საფონდო ბაზრის მექანიზმის, დაკრედიტება სპეციალიზირებული საინვესტიციო საბანკო და არასაბანკო ინსტიტუტების მეშვეობით. **გერმანულ მოდელში რისკების -** კონტროლის უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსალური კომერციული ბანკების მიერ, რომლებიც ერთდროულად რეალური სექტორის კრედიტორებს და ფინანსური ბაზრის მთავარ სუბიექტებს წარმოადგენენ.

XXI საუკუნეში საქართველოს ეკონომიკამ აუცილებლად უნდა დაძლიოს 1990-ინი წლებიდან ჩამოყალიბებული ეკონომიკური კრიზისი, ასევე 2008-2010 წლებიდან მძვინვარე მსოფლიო ფინანსური კრიზისი. სავალდებულო პირობას კრიზისიდან გამოსვლისა - სახალხო-მეურნეობრივი კომპლექსის რესტრუქტურიზაცია წარმოადგენს. **დასახული ამოცანების გადაწყვეტის მნიშვნელოვან ინსტრუმენ-ტად მოწოდებულია გახდეს - ყველა პროცესების ლოგისიზაცია,** რომელთა საფუძველში ჩადებულია ეფექტიანობის ამაღლების პოტენციალი სხვადასხვა სახეობის ნაკადების (მატერიალურები, ფინანსურები, ინფორმაციულები) რეგულირების მეცნიერული მეთოდების დანერგვის გზით.

ეკონომიკური ნაკადების ლოგისტიზაცია - ორგანიზაციულ- ტექნიკური და ეკონომიკურ-სამართლებრივი რთული და კომპლექსური პროცესია.

ნებისმიერი კომერციული ბანკის ქმედების ერთობლიობა აქტიური და პასიური ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებით შეიძლება განხილული იქნას როგორც კოგისტიკური ღონისძიებების ერთობლიობა ფულადი ნაკადების რეგულირებასთან მიმართებაში, რომელთა ძირითადი მიზანი მდგომარეობს კაპიტალის ეფექტიანად გამოყენების მიღწევაში, თვით ბანკის, მისი კლიენტების კომერციული ინტერესების რეალიზაციაში, სახელმწიფოსი და საზოგადოების ინტერესე-ბის სავალდებულო დაცვისას.

ამრიგად, სტატიაში განხილული იყო საბანკო ლოგისტიკის თეორიული საფუძვლები, **შეთავაზებულია** საბანკო ლოგისტიკის დეფინიცია, გამოვლენილია ლოგისტიკური კონცეფციები ბანკის ოპრაციებში, რაც საბოლოო ჯამში საბანკო საქმიანობაში ლოგისტიკის გამოყენების არსისა და მიმართულებების გაგების შესაძლებლობას იძლევა; **ჩამოყალიბებულია** ეკონომიკის საბანკო სექტორში ლოგისტიკის ეფექტიანად გამოყენების მიმართულებები, რომლის საფუძველში მითითებულია ლოგისტიკის ზეგავლენა დანახარჯების შემცირებაზე და საბანკო საქმიანობის კაპიტალის ეფექტიანად გამოყენებაზე; **ჩატარებულია** საბანკო საქმიანობის სუბიექტების ანალიზი, რომლის დამახასიათებელ ნიშან-თვისებად კმერციული ბანკის აქტიური და პასიური ოპერაციები გამოდიან. ასევე **განსაზღვრული** იქნა ლოგისტიკის როლი საბანკო საქმიანობაში როგორც საინვესტიციო ინსტრუმენტი, რომელიც საბანკო საქმიანობაში მატერიალური და ფინანსური ნაკადების ოპტიმიზირებას ახორციელებს, და **განხილულია** უცხოური გამოცდილება ფინანსურ სფეროში ინოვაციური ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენებით, რაც აღნიშნული გამოცდილების ეროვნულ ბაზარზე გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩხაიძე ზ. - საბანკო ბიზნეს-ლოგისტიკა. - ლექციების კურსი, თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს ტექნიკური უნივესიტეტი“. – 2011. – 165 გვ.
2. Левикин Г.Г. – Логистика: Теория и практика, Учебное пособие. – Ростов-на-Дону, 2009. – 200

Banking logistics: problems and development prospects

Giorgi Tsaava
Professor of Technical University of Georgia

Rati Burdiashvili
Professor of Technical University of Georgia

Abstract

The article examines banking as the most complex form of business with its problems and prospects of development. One of the key tools for increasing the efficiency of the banking institutions, according to the author, is to increase logistic stream processes in the bank – a bank product (service) the parties of interaction.

Keywords: banking logistics, banking product (service), stream processes, financial and credit infrastructure.

კლინიკურ ნევროლოგიაში დაავადებების დიაგნოზირებისთვის შემუშავებული ექსპერტული სისტემის ინტერფეისი

ჭოლიკიძე მაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

როგორც ცნობილია, ექსპერტული სისტემები ფართოდ გამოიყენება მედიცინის სფეროში სხვადასხვა დაავადებების დიაგნოზირებისთვის. ნაკლები ყურადღება აქვს ექსპერტული სისტემების შემუშავებას და გამოყენებას კლინიკურ ნევროლოგიაში დაავადებების დიაგნოზირებისა და მკურნალობისთვის. სტატიაში შემოთავაზებულია კლინიკურ ნევროლოგიაში პაციენტების დიაგნოზირების და მკურნალობის მიზნით შემუშავებული ექსპერტული სისტემა და მისი პროგრამული ინტერფეისი. ექიმ-ნევროლოგის კავშირს ექსპერტულ სისტემასთან ახორციელებს შესაბამისი პროგრამული ინტერფეისი. ის რამდენიმე ფანჯრისგან შედგება და მკვეთრად უადვილებს ექიმ-ნევროლოგს ექსპერტულ სისტემასთან ურთიერთობას. მისი გამოყენება ექიმ-ნევროლოგს საშუალებას აძლევს შეიტანოს, მიიღოს და დაამუშაოს ინფორმაცია ავადმყოფის შესახებ, მოახდინოს პაციენტის მონაცემების ანალიზი, დასვას სწორი დიაგნოზი და დანიშნოს შესაბამისი მკურნალობა. პროგრამული ინტერფეისი იძლევა ასევე, საავადმყოფოში არსებული განყოფილებების და მომსახურე პერსონალის შესახებ, როგორიცაა ექიმები, ექთნები და სანიტრები, ინფორმაციის შეტანისა და რედაქტირების საშუალებას.

საკვანძო სიტყვები: ექსპერტული სისტემა, კლინიკური ნევროლოგია, ინტერფეისი

ძირითადი ტექსტი

ნევროლოგიური ჩივილების მქონე პაციენტების ეფექტური დიაგნოზირების მიზნით შემუშავებულია ექსპერტული სისტემა [1], რომლის სტრუქტურა ნაჩვენებია ნახ. 1-ზე. ის შემდეგი ბლოკებისგან შედგება: მონაცემთა ბაზა, ლოგიკური დასკვნების მკეთებელი ბლოკი, ცოდნის ბაზა, პროდუქციული წესებისა და ფაქტების სისტემა, ცოდნის შეძენის მოდული, ექიმ-ნევროლოგთან ურთიერთობის ინტერფეისი, რომელიც მოიცავს მონაცემების შეტანის, ახსნა-განმარტებების და რჩევების გაცემის ბლოკებს.

ახსნა-განმარტების ბლოკი ექიმ-ნევროლოგს აცნობებს რომელმა მონაცემებმა, ფაქტებმა, წესებმა, დასკვნებმა და მსჯელობის როგორმა თანმიმდევრობამ მიიყვანა ექსპერტული სისტემა მიღებულ შედეგამდე.

ლოგიკური დასკვნის მექანიზმი ეს არის პროგრამების კომპლექსი, რომლებიც ცოდნის ბაზაში შენახული მონაცემების საფუძველზე გამოიმუშავებს რეკომენდაციას სწორი დიაგნოზის დასმის მიზნით. შემუშავებული ცოდნის ბაზა შეიცავს კლინიკური ნევროლოგიის სფეროში მომუშავე მაღალკვალიფიციური ექიმების ცოდნას, გამოცდილებას და შედგება ფაქტების და წესებისგან.

ექიმ-ნევროლოგის კავშირს ექსპერტულ სისტემასთან ახსნა-განმარტების ბლოკი ახორციელებს. ის უზრუნველყოფს დიალოგს ექსპერტულ სისტემასა და ექიმ-ნევროლოგს შორის ქართულ ენაზე წინასწარ განსაზღვრული ფრაზების გამოყენებით. ახსნა-განმარტების ბლოკი ასრულებს ექიმი-ნევროლოგის მიერ დასმული შეკითხვების დამუშავებას და ახდენს შესაბამისი პასუხის გაცემას. ახსნა-განმარტების ბლოკი შეიცავს შეკითხვების და შესაბამისი პასუხების მონაცემთა ბაზას, ასევე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთების ქვებლოკს.

ცოდნის შესაძენად შეიძლება გამოყენებული იყოს არსებული სტანდარტული მეთოდები და ალგორითმები. წარმოდგენილი ექსპერტული სისტემისთვის, ცოდნის ბაზაში წესების დამატებას და შესაბამისი მოქმედებების განსაზღვრას ახდენს ცოდნის ინჟინერი და ექიმი-ნევროლოგი.

შეკითხვების ქვებლოკი შეიცავს ექიმის მიერ ექსპერტული სისტემის მიმართ დასმულ შეკითხვებს. პასუხების ქვებლოკი შეიცავს ექიმი-ნევროლოგის მიერ დასმულ კითხვებზე ექსპერტული

სისტემის მიერ გაცემულ პასუხებს.

ექსპერტული სისტემა გადაწყვეტილებების დასაბუთების ქვებლოკის მეშვეობით ექიმ-ნევროლოგს აუწყებს თუ როგორ მიიღო მან ესა თუ ის გადაწყვეტილება. ამ მიზნით ბლოკი ასრულებს დასკვნის კეთების უკუპროცედურას. რჩევების გაცემის ბლოკი ექიმ-ნევროლოგს აუწყებს დასმულ დიაგნოზს, განსაზღვრულს კონკრეტული საწყისი მონაცემების საფუძველზე და ურჩევს მას თუ რა მკურნალობა უნდა დაინიშნოს კონკრეტულ შემთხვევაში.

ექსპერტულ სისტემასთან ექიმ-ნევროლოგის ეფექტური კავშირის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია შესაბამისი პროგრამული ინტერფეისი. ის რამდენიმე ფანჯრისგან შედგება და მკვეთრად უადვილებს ექიმ-ნევროლოგს ექსპერტულ სისტემასთან ურთიერთობას.

ექსპერტულ სისტემის ინტერფეისის პირველი ფანჯარა (ნახ. 2) ექიმ-ნევროლოგს საშუალებას აძლევს აირჩიოს განყოფილება. განყოფილების თანამშრომლების სანახავად აჭერს "*ექიმები*" კლავიშს. მეორე ფანჯარაში (ნახ. 3) გამოჩნდება ამ განყოფილებაში მომუშავე ექიმების, ექთნების და სანიტრების სია. რომელიმე მათგანის არჩევის შემდეგ ფანჯარაში გამოჩნდება მისი მონაცემები. ამავე ფანჯარაში შესაძლებელია ექიმების, ექთნების და სანიტრების შესახებ ინფორმაციის როგორც ნახვა, ისე რედაქტირება, კერძოდ დამატება, შეცვლა და წაშლა.



ნახ.1. ექსპერტული სისტემის სტრუქტურა



ნახ. 2. კლინიკის განყოფილებები



ნახ. 3. განყოფილების ექიმები, ექთნები და სანიტრები



ნახ. 4. განყოფილების პაციენტები

ექიმის არჩევის და "*პაციენტი*" კლავიშზე დაჭერის შედეგად გაიხსნება პაციენტების ფანჯარა (ნახ. 4), რომელშიც გამოჩნდება ექიმის პაციენტები. ამავე ფანჯარაში შესაძლებელია პაციენტის დამატება, და წაშლა. პაციენტის არჩევის და "*ანკეტა*" კლავიშზე დაჭერის შედეგად გაიხსნება ფანჯარა (ნახ. 5), სადაც გამოჩნდება არჩეული პაციენტის ანკეტა.



ნახ. 5 პაციენტის ანკეტა

ავადმყოფის არჩევის შემდეგ "ჩივილები-დიაგნოზი" კლავიშზე დაჭერის შედეგად გაიხსნება ფანჯარა, რომელშიც გამოჩნდება პაციენტის ჩივილები და ექიმის მიერ დასმული დიაგნოზი (ნახ. 6). "კვლევები" კლავიშზე დაჭერის შედეგად გამოჩნდება ავადმყოფის მიერ ჩატარებული კვლევების და ანალიზების შედეგები (ნახ. 7). კერძოდ, ამ ფანჯარაში გამოჩნდება პაციენტის სისხლის და შარდის საერთო ანალიზების პასუხები.



ნახ. 6 ჩივილები, დიაგნოზი, ანალიზის შედეგები

დასკვნა

ნევროლოგიური ჩივილების მქონე პაციენტების ეფექტური დიაგნოზირების მიზნით შემუშავებული ექსპერტული სისტემისთვის დაპროექტებულია პროგრამული ინტერფეისი. მისი გამოყენება ექიმ-ნევროლოგს უადვილებს ავადმყოფის შესახებ მონაცემების მიღებას, ანალიზს, რედაქტირებას და ზუსტი დიაგნოზის დასმას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Samkharadze R., Kiknadze M., Cholikidze M., Gachechiladze L. PRODUCTION MODEL FOR DIAGNOSIS OF PATIENTS WITH NEUROLOGICAL COMPLAINTS. The 11th International scientific and practical conference “Problems of the development of science and the view of society” (March 21 – 24, 2023) Graz, Austria. International Science Group. 2023. 382-388 p. ISBN – 979-8-88896-521-4 DOI – 10.46299/ISG.2023.1.11.

Designing an interface for an expert system developed for diagnosing diseases in clinical neurology

Maia Tcholikidze
PhD student of Georgian Technical University

Abstract

As is known, expert systems are widely used in the field of medicine to diagnose various diseases. Less attention has been paid to the development and application of expert systems for the diagnosis and treatment of diseases in clinical neurology. The article proposes an expert system and its software interface developed for the purpose of diagnosis and treatment of patients in clinical neurology. The connection of the neurologist with tAhe expert system is carried out by the appropriate software interface. It consists of several windows and makes it much easier for the neurologist to interact with the expert system. Its use allows the neurologist to enter, receive and process information about the patient, analyze the patient's data, make the correct diagnosis, and prescribe the appropriate treatment. The software interface also allows for entering and editing information about hospital departments and service personnel such as doctors, nurses, and orderlies.

Keywords: Expert system, clinical neurology, interface.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების დაახლოება სატრანსპორტო კომუნიკაციების გზით

ხარაზი გიგა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

თანამედროვე ეტაპზე, გლობალიზაციის პირობებში, დამოუკიდებელი საქართველოს გეოეკონომიკური როლი, როგორც დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი სატრანზიტო არტერიისა, კიდევ უფრო აქტუალური ხდება და მსოფლიოს დიდი ქვეყნების გეოეკონომიკურ ინტერესებში ჯდება. საქართველო მოექცა გლობალურ ინტერესთა სფეროში. საქართველოსთან, თავიანთი უპირატესი გეოეკონომიკური მნიშვნელობის მაქსიმალური რეალიზაციის მიზნით, განვითარებუულმა სახელმწიფოებმა აქტიურად დაიწყეს თანამშრომლობა

საქართველოს სატრანზოტო დერეფანი ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შემადგენელი ნაწილია. ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი, მათ შორის საქართველოს მონაკვეთი, გატარებული პროდუქციის სახეობისა და ტრანსპორტირების ფორმების მიხედვით ორ ძირითად კომპონენტს მოიცავს : TRACECA-ს დერეფანს და აღმოსავლეთ-დასავლეთ ენერგეტიკულ დერეფანს .

საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური სექტორი მოიცავს საზღვაო, სარკინიგზო, საგზაო-საავტომობილო და საჰაერო სისტემებს, რომლებსაც შესაბამისი დატვირთვა გააჩნიათ საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის პოტენციალის წარმოჩენაში.

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გააქტიურდა ტვირთნაკადები სატრანზიტო დერეფანში. ჯერ კიდევ სრულად არ არის ათვისებული აღნიშნული დერეფნის შესაძლებლობები. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის შესაბამისად, საქართველოს აქვს შესაძლებლობა ,,ახალი აბრეშუმის გზის'' დერეფანში შეასრულოს საკვანძო ფუნქცია, მოახდინოს საკუთარი სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემის სიღრმისეული ინტეგრაცია საერთაშორისო ლოგისტიკურ სისტემებში და ამით ხელი შეუწყოს ქვეყნის საერთო ეკონომიკურ განვითარებას.

საკვანძო სიტვები: ტრანსპორტი, კომუნიკაცია, ლოგისტიკა, ტრანზიტი

ძირითადი ტექსტი

ევროკავშირის ინტეგრაციის პოლიტიკის რესურსების დაახლოებით 22% განსაზღვრულია სატრანსპორტო პროექტებში ინვესტირებისათვის, რაც ნათლად გვიჩვენებს, რომ თანამედროვე, ეფექტური სატრანსპორტო და სადისტრიბუციო სფეროში ეს უზარმაზარი შენატანი ეკონომიკური წარმატებისა და სოციალური განვითარების საფუძველს ქმნის. რეგიონალური პროგრამები შექმნილია იმისთვის, რომ ურთიერთკავშირის ამბიციური მიზნები სატრანსპორტო ქსელის ყველა სფეროს მიაწვდინოს. ისინი გზის, რკინიგზის და საზღვაო მარშრუტების მშენებლობის სფეროში ახალ ინვესტიციებს გვაწვდის. მათი მიზანია ურბანულ უბნებში მდგრადი საზოგადოებრივი სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბება, რომლის შედეგადაც ადგილობრივი მოსახლეობას უკეთესი დამაკავშირებელი საშუალებები გაუჩნდებათ. თუ ქვეყანა შემოსაზღვრულია მხოლოდ სახმელეთო ხაზით, ევროპულ რეგიონალურ პროგრამებს უნიკალური შესაძლებლობა გააჩნია, სიტუაციას ინდივიდუალურად, ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით შეხედოს და ხელი შეუწყოს სატრანსპორტო ქსელში ინვესტირებას, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით გონივრული გადაწყვეტილება იქნება. „ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკა არის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს და მიზნად ისახავს მომავალ შესაძლებლობებს, არა წარსულის პრობლემების კომპენსაციით, არამედ გამოუყენებელი პოტენციალის მობილიზებით“.

კასპიის ზღვის სარკინიგზო ბორნები აკავშირებს ყაზახეთსა და თურქმენეთს, აზერბაიჯანთან, ტვირთების შემდგომი გადაზიდვის მიზნით აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის რკინიგზებისა და პორტების გავლით ევროპის მიმართულებით. მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ,

რომ კასპიის ზღვის ამინდის პირობები უარყოფითად მოქმედებს საზღვაო მიმოსვლაზე და ტრანზიტული დროის პროგნოზირებაზე. იმ პირობებში, როდესაც ჩინეთიდან ევროპისკენ რკინიგზით გადაზიდვის ძირითადი არგუმენტი დროის შემცირების ფაქტორია,

მნიშვნელოვანია კასპიის ზღვის კავშირის ეფექტიანობის გაზრდა, რადგან, ტარიფების მხრივ, სარკინიგზო გადაზიდვა ძირითად კონკურენტ საზღვაო ფრახტთან (გადაზიდვის ღირებულებასთან) შედარებით 2-ჯერ ან 2,75-ჯერ უფრო ძვირია.

საქართველოში არსებული ნავთობტერმინალები - ბაზრის საჭიროებებს ვერ აკმაყოფილებს, რადგან ბათუმისა და ყულევის ტერმინალები გამტარიანობის სიმძლავრის 18-25% იყენებს.

საქართველოში არსებულ ტერმინალებში სანაპირო რეზერვუარები, ძირითადად, განკუთვნილია ნავთობის გადატვირთვისათვის, მაგრამ იმის გამო, რომ არსებობს მძლავრი კონკურენცია, ერთი მხრივ მილსადენებისა, რომლებიც მომპოვებლებთან გეოგრაფიულად ახლოსაა. მეორე მხრივ - ნავთობის შემცირებას შესაძლო ტრანზიტის ბარიერები განაპირობებს. შედეგად, ნედლი ნავთობის ტრანსპორტირების მოცულობები საქართველოს გავლით ყოველწლიურად მცირდება. არასაკმარისია სანაპირო რეზერვუარები;

აუცილებელია კასპიის ზღვის სარკინიგზო ბორნების ოპტიმიზაცია, იმისათვის, რომ გაიზარდოს გადაზიდვის ეფექტიანობა. ასევე, უნდა დაინერგოს საკონტეინერო გემების სერვისი, რადგან თავიდან ავიცილოთ სატრანსპორტო დერეფნების: ტსსმ (ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტისა) და ლაპის ლაზულის გამტარუნარიანობის შეზღუდვა-შემცირება.

ბაზრის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ახალი ტვირთნაკადების მოსაზიდად, აუცილებელია საქართველოში არსებული ნავთობტერმინალების რეზერვუარებისა და ტექნიკური აღჭურვის ოპტიმიზაცია.

კასპიის ზღვის ქვეყნებში ნავთობმომპოვებელ კომპანიებს უნდა ჰქონდეთ თავისუფალი ალტერნატიული მარშრუტების არჩევანის უფლება (მილსადენი ან რკინიგზა). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელია „თავისუფალი ტრანზიტის“ უზრუნველყოფა.

სარკინიგზო გადაზიდვა ნავთობმომპოვებლებს საშუალებას აძლევს, ნავთობი უნიკალური სახელით გაყიდოს, მილსადენში სხვა ნავთობის ტიპებთან შერევის გარეშე.

კასპიის ზღვის ქვეყნებში ცნობილია ნავთობის მრავალი უნიკალური სახეობა, მათ შორის არის: კუმკოლი, ბუზაჩი, თენგიზი, ჩელეკენი, ოკარემი, კიანლი ტიპის ნავთობები, რომლებიც აქტიურად მოძრაობდა საქართველოს რკინიგზისა და ტერმინალების გავლით და დღესაც არსებობს ნავთობმომპოვებელთა ინტერესი, საქართველო კვლავ ალტერნატიული მარშრუტების სიაში ჰყავდეთ.

პოტენციური საერთაშორისო სავაჭრო და სატრანსპორტო კვანძის განვითარებისთვის, პოლიტიკური თუ კერძო კონკურენტული კომერციული ინტერესები, ხშირ შემთხვევაში უარყოფითად აღიქმება ძირითადი მომწოდებლების მიერ ან ზიანს აყენებს ტვირთნაკადების თავისუფალ მოძრაობას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეგიონში და სატრანსპორტო დერეფანში, არსებობენ გარკვეული კომერციული ორგანიზაციები, რომლებიც გავლენას ახდენს სატრანზიტო გადაზიდვებზე. მათ აქვთ ადმინისტრაციული და პოლიტიკური რესურსი და ხშირ შემთხვევაში, იყენებენ მას, რომ ხელი შეუწყონ პირადი ინტერესების გატარებას, გარკვეულ სასაქონლო გარიგებებში და იმ კომპანიებისთვის, რომლებიც უკავშირდება მათ. შედეგად, ვხედავთ ტვირთის მოცულობების უწყვეტ კლებას ჩვენს დერეფანში, ალტერნატიული მარშრუტების სასარგებლოდ, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მომსახურების კომპანიებზე, ტერმინალებზე, პორტებზე, ეკონომიკასა და მთლიანად რეგიონის განვითარებაზე.

საქართველოში ოდესღაც, ძალიან ძნელი იყო მატარებლის ბილეთების შეძენა, სასტუმრო ნომრის დაჯავშნა ან საჯარო მომსახურების მიღება. დღეს ეს სიძნელეები წარსულში დარჩა. ინტერნეტ მომსახურებითა და აპლიკაციების განვითარებით საქართველო ძალიან ეფექტური გახდა, სტუმრებსა და მოქალაქეებს სწრაფი ელექტრონული მომსახურებით უზრუნველყოფს.

სატრანსპორტო ინდუსტრიასაც, ანალოგიურად, ინტერნეტ ტექნოლოგიებისა და მომსახურების

განვითარება ესაჭიროება. მხოლოდ სამართლიანი და ღია პლატფორმის განვითარებას შეუძლია, უზრუნველყოს გამჭვირვალობის გაზრდა და ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივება, ტრანსპორტირების ბიზნესის უპრობლემო ორგანიზება და წარმართვა. ასეთი მომსახურება ხელს შეუწყობს მთელ რეგიონში ტვირთნაკადების თავისუფალ გადაადგილებას და ვაჭრობის განვითარებას.

სამართლიანსა და ღია ინტერნეტ პლატფორმას, მონიტორინგი დამოუკიდებელმა ინსტიტუ-ტებმა უნდა გაუწიონ, რომ თავიდან ავიცილოთ შესაძლო ინტერვენცია და ადამიანური ფაქტორის ზემოქმედება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება პირადი ინტერესებისა და პრეფერენციების დაძლევა, რაც ხელს შეუწყობს ტვირთნაკადების თავისუფალ გატარებასა და მომსახურების ეფექტიანობის ამაღლებას.

რატომ არჩევენ კომპანიები ნავთობპროდუქტების ავტოცისტერნების მეშვეობით გადაზიდვას სარკინიგზო ტრანსპორტის ნაცვლად? იმიტომ, რომ სარკინიგზო ტარიფი საშუალოდ 3 დოლარით მაღალია ტონაზე ანგარიშისას, ვიდრე სატვირთო მანქანების მეშვეობით ტრანსპორტირება. მეზობელ ქვეყნებში ნავთობპროდუქტების მიწოდების მიზნით, რკინიგზით გადაზიდვის ღირებულება ხშირად ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ავტოგადაზიდვის ღირებულება.

ავტოგადაზიდვების სარკინიგზო ტრანსპორტზე გადატანა დადებით გავლენას იქონიებს: მოცულობითი ტვირთებისთვის გადაზიდვის მიზნით, ბაზრის მოთამაშეებისათვის ეფექტური სატრანსპორტო სისტემის ორგანიზებაზე. გარემოს ზემოქმედებაზე, სათბურის გაზების ემისიის შემცირების გზით. ავტომობილებით გადატვირთული გზების განტვირთვაზე. საგზაო სარემონტო სამუშაოების საჭიროების მხრივ, სახელმწიფო ხარჯების შემცირებაზე.

სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების მიმზიდველობის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია შიდა სარკინიგზო სატრანსპორტო განაკვეთების გადახედვა და შემცირება.

არსებობს კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევა: სარკინიგზო ტრანსპორტის სიჩქარის გაზრდა. ამისათვის მნიშვნელოვანია კაპიტალური და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორ-ციელება, რაც გაუმჯობესებს საერთო ეფექტიანობას, მათ შორის დადებით გავლენას იქონიებს არამარტო სატვირთო,არამედ სამგზავრო მარშრუტებზეც. ინოვაციური მიდგომისა და ღირებულების შეთავაზების შესაძლებლობები თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გამოყენებით:

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ამცირებს ქვეყნებს შორის ვაჭრობის ბარიერებს. საქართველოს აქვს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმები ან პრეფერენციული დაშვების რეჟიმები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან.

დასკვნა

საქართველო მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა და თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით ყოველთვის წარმოადგენდა ხიდს დასავლეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის. ასეთი მდებარეობა ყოველთვის დიდ პასუხისმგებლობას ანიჭებდა მას დაეკავებინა მნიშვნელოვანი ადგილი მსოფლიო ცივილიზაციის პროცესში. ისტორიული აბრეშუმის დიდი გზა - არსებული სახმელეთო, საზღვაო და სამდინარო საერთაშორისო სავაჭრო გზათა სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო. საქართველო დღესაც მნიშვნელოვან სატრანზიტო ფუნქციას ასრულებს თანამედროვე ეკონომიკურ სივრცეში დასავლეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის და აქტიურ მონაწილეობას იღებს რეგიონული პროექტების სრულყოფასა და განხორციელებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/15302.pdf
2. https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2016-12/151118_joint-communication_review-of-the-enp_georgian.pdf
3. https://old.infocenter.gov.ge/euinfo-georgia-history/
4. https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00TH43.pdf
5. https://www.economy.ge/?page=departments&dep=8

Bringing EU member states closer together through transport communications

KHARAZI GIGA
PhD student of Georgian Technical University

Abstract

Carring cargo to new organizations will be able to take on more responsibility, including air operators,cargo carriers,courier carriers,postal operators, agents, trucks, landownos and others. The Georgian transport system and transportation

by pipeline in general whether it is possible to include Georgia in them will be able to make choice. Solve the problems of the economy of the Georgian Transport Unit of the Master Building the staff and prospects of their executions pipeline transport service the priority and merit of transit oil and Georgia's transit of transit sites on Georgia the role and merits of transit.

It also discusses your capabilities in the advantages and disadvantages of transport. It is good to transport for the local economy of the company and the fertility to move forward on the basis of creating a unified transport system, you can use any vehicles, harmonizer and water supply. I chose oil and gas pipelines as my research object.

For the last period of time, flow of the goods has been importantly improved in the transit corridor, full potential of this corridor has not been exploited yet. Due to good geographical location Georgia has an opportunity to play a key role on the silk road, by integrating its logistic system making it an international and by this help economic growth of the country.

Keywords: Transport, communication, logistic, transit

პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით დანახარჯების აღრიცხვის სისტემის დანერგვა ქართულ კომპანიებში

ხარხელაური ხათუნა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ხინიკაძე-გვარამია თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

ბიბიჩაძე დავით
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ჯინჭველაშვილი ვახტანგ
საქართველოს ტექნიკური უნივესრიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ბიზნესის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით დანახარჯთა აღრიცხვის სისტემის დანერგვა, რომელიც განსაზღვრავს დანახარჯების ეფექტიან კონტროლსა და მასზე ანგარიშვალდებულების იერარქიას. ის აძლევს საშუალებას პასუხისმგებლობის ცენტრის მენეჯერებს ან/და შემსრულებლებს, განავითარონ თავიანთი უნარები, რათა შეამცირონ ხარჯები, გაზარდონ ორგანიზაციის შემოსავალი და შესაბამისად მოგება. საქართველოში ამ სისტემის არსებობისა და მისი გამოყენებით მიღებული შედეგების შეფასებისთვის ჩატარებულია კვლევა. სტრატიფიცირებული შერჩევის მეთოდით შეირჩა კომპანიები საქმიანობის სფეროების მიხედვით და შერჩეული კომპანიებიდან გამოკითხვის მეთოდით შეგროვდა პირველადი მონაცემები.

განხორციელებული კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ საქართველოში ეს პროცესი ახალი დაწყებულია. კომპანიების ტოპ-მენეჯმენტი საკმარისად არ იცნობს ან საერთოდ არ იცნობს აღრიცხვის ამ სისტემის უპირატესობებს აღრიცხვის ერთიან ცენტრალიზებულ სისტემასთან შედარებით. ამიტომ ისინი არც გეგმავენ ახლო მომავალში ამ სისტემაზე გადასვლას, თუმცა რესპოდენტთა ნაწილი მზადაა გაიღრმავოს ცოდნა ამ მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს კომპანიების წარმატებულ საქმიანობას და ბიზნესის განვითარებას. მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად მივიჩნევთ რომ, ადგილობრივ კომპანიებში სასურველია ამაღლდეს პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით დანახარჯთა აღრიცხვის სისტემის ცნობადობა, რაც ხელს შეუწყობს მის ფართოდ დანერგვას.

საკვანძო სიტყვები: პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები; არაპირდაპირი ხარჯების გადანაწილების ბაზა; კონტროლირებადი ხარჯები; პასუხისმგებლობის ცენტრები;

ძირითადი ტექსტი

როგორც მენეჯერული აღრიცხვის სფეროს არა ერთი თეორიტიკოსი და პრაქტიკოსი მკვლევარი აღმიშნავს, ძალიან დიდი კომპანიების ეფექტიანად, როგორც ერთი მთლიანი ერთეულის მართვისთვის საჭიროა მისი დეპარტამენტებად ანუ ქვედანაყოფებად დაყოფა. (Horngren, Sundem, Burgstahler, & Schatzberg, 2014)

დეცენტრალიზებულ მენეჯერულ აღრიცხვას ორი ძირითადი მიზანი აქვს. პირველი ის არის, რომ შეიქმნას განყოფილებათა აღრიცხვის სისტემა, რომელიც Top-მენეჯერებს აძლევს ინფორმაციას შეაფასოს თითოეული დეპარტამენტის საქმიანობის მომგებიანობა ან ეფექტიანობა. მეორე, შეიქმნას პასუხისმგებლობის აღრიცხვის სისტემა, რათა გააკონტროლოს დანახარჯები, შეაფასოს იმ მენეჯერების საქმიანობა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მათ მართვაზე.

დეპარტამენტების (სტრუქტურული ერთეულების) სააღრიცხვო სისტემა არის აღრიცხვის საინფორმაციო სისტემა, რომელიც ახდენს ამ დეპარტამენტების აქტივობებისა (საქმიანობის) და ფინანსური ინფორმაციის რეგისტრაციას. დიდი ორგანიზაციებისთვის შეუძლებელია დაგეგმვა,

ორგანიზება და კონტროლი განახორციელონ მხოლოდ ერთი ცენტრალიზებული აღრიცხვის სისტემის მეშვეობით. ამის გამოა კორპორაციები დაყოფილია ისეთ მრავალ დეპარტამენტად ანუ პასუხისმგებლობის ცენტრებად, როგორიცაა გადაზიდვების, მომარაგების, რეალიზაციის, წარმოებისა და სხვ. ბევრი კომპანია ასევე მიმართავს დეცენტრალიზაციას გამოშვებული ძირითადი პროდუქტის ან გაწეული მომსახურების სახეობების მიხედვით. მაგალითად, კომპანია Microsoft -ს, აქვს Windows -ის, Xbox -ის, და Microsoft Office -ის დეპარტამენტები ცალ-ცალკე. თითოეული ეს დეპარტამენტი, თავისმხრივ წარმოადგენს პასუხისმგებლობის ცენტრს, რომელიც არის კომპანიის შიგნით იდენტიფიცირებული სეგმენტი, რომლის ხელმძღვანელსაც აქვს უფლებამოსილება და ანგარიშვალ-დებულება ამ ერთეულის საქმიანობასა და აქტივებზე. (Wild & SHaw, 2012)

თითოეულ პასუხისმგებლობის ცენტრს აქვს აღრიცხვის საკუთარი სისტემა, რომლის ინფორმა-ციაზე დაყრდნობით მზადდება ანგარიშგებები როგორც შიდა, ისე გარე მომხარებლებისათვის, იმის შესახებ თუ რამდენად მომგებიანი და ეფექტიანია ამა თუ იმ დეპარტამენტის საქმიანობა. ეს ანგარიშგება საშუალებას იძლევა შევადაროთ ერთმანეთს კონკრეტული პასუხისმგებლობის ცენტრის დანახარჯებისა და შემოსავლების საბიუჯეტო მონაცემები ფაქტიურ შედეგებს, შევაფასოთ და გავაანალიზოთ ცალკეული გადახრები (ცვლილებები). პასუხისმგებლობის ცენტრების ანგარიშგებები უნდა მოიცავდეს მხოლოდ კონტროლირებად დანახარჯებს, რადგან დეპარტამენტის ხელმძღვანელებს არ ხელეწიფებათ მართონ ის დანახარჯები, რომლებიც გაიწევა იმ აქტივობებზე, რომლებიც მათზე დელეგირებულ უფლება-მოვალეობის მიღმაა. მენეჯმენტი ამ ანგარიშგებებს იყენებს რათა შეაფასოს დეპარტამენტების საქმიანობა და მიიღოს გადაწყვეტილებები, როგორიცაა მაგალითად, რამდენიმე მათგანის გაერთიანების ან საერთოდ რომელიმეს გაუქმების შესახებ. მსგავსი გადაწყვეტილებები ხელს უწყობს მომავალში კორპორაციის როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური შედეგების გაუმჯო-ბესებას.

იმისდა მიხედვით თუ რა სახის საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება აქვს პასუხისმგებლობის ცენტრს, ხდება მათი კლასიფიცირება დანახარჯების, შემოსავლების, მოგების და ინვესტიციების ცენტრებად.

დეპარტამენტის საქმიანობის შეფასებისას, მენეჯმენტი ყოველთვის ითვალისწინებს, კონკრეტული დეპარტამენტი პასუხისმგებლობის ცენტრის რომელ ტიპს წარმოადგენს. ცენტრები რომლებიც ახდენენ შემოსავლებისა და გაწეული დანახარჯების გენერირებას, წარმოადგენენ მოგების ცენტრებს. მათი მენეჯერების საქმიანობა ფასდება მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური მოგების მიღების უნარით. საინვესტიციო ცენტრები დამატებით პასუხისმგებელნი არიან აქტივების ეფექტიან მართვაზე და მისი ხელმძღვანელების საქმიანობა ფასდება ცენტრის აქტივების გამოყენებით მაქიმალური მოგების მიღების მიხედვით. ხოლო განყოფილება, რომელიც მხოლოდ დანახარჯებს გაწევს და შემოსავლებს არ იღებს დანახარჯების ცენტრია და მათი მენეჯერები პასუხისმგებლები არიან დანახარჯების კონტროლზე, რაც გულისხმობს მათ შენარჩუნებას სასურველ დიაპაზონში. მწარმოებელი კომპანიის წარმოების განყოფილება და მისი მომსახურების განყოფილებები, როგორიცაა საფინანსო, რეკლამის და შესყიდვების დეპარტამენტები, ყველა დანახარჯების ცენტრებს წარმო-ადგენენ. მათი შენარჩუნება აუცილებელია, რადგან ისინი ყველა სხვა დეპარტმენტს უწევენ ისეთ მომ-სახურებას, როგორიცაა ტექნიკური მომსახურება, ექსპლუატაცია და ა.შ. (Horngren, Datar, & Rajan, 2012)

დეპარტამენტის დანახარჯების აღრიცხვა როდესაც კომპანია მოგებას ითვლის დეპარტა-მენტების მიხედვით, შესაძლოა შეიქმნას წინააღმდეგობა ამ გამოთვლებში ოპერაციულ (საწარმოო) განყოფილებებზე დანახარჯების რეგულარულად განაწილების მცდელობისას. დანახარჯების აღრიცხვა სხვა სახის დანახარჯებთან ერთად მოიცავს პირდაპირი და არაპირდაპირ ხარჯებს. როგორც ვიცით, პირდაპირია ის ხარჯები, რომელთა მიკვლევა დანახარჯის ობიექტზე სასურველი და შესაძლებელია.

პირდაპირი ხარჯები პირდაპირ და სრულად შეიტანება დანახარჯის ობიექტზე გაწეულ ხარჯებ-ში. დეპარტამენტების მიხედვით დანახარჯების აღრიცხვაში დანახარჯების ობიექტს წარმოადგენს თვით ეს სტრუქტურული ერთეული (დეპარტამენტი, ფილიალი, განყოფილება, საამქრო და ა.შ.).

მაგალითად იმ თანამშრომლების ხელფასი, რომლებიც მხოლოდ ერთ კონკრეტულ სტრუქტურულ ერთეულში არიან დასაქმებული და თავიანთ სამუშაო დროს მთლიანად აქ ხარჯავენ, პირდაპირ და სრულად შეიტანება ამ ობიექტის (დეპარტამენტის) დანახარჯებში. (ხარხელაური, 2017)

მომსახურების დეპარტამენტის ხარჯების გადანაწილება ხდება ადამიანური რესურსის, საფინანსო, რეკლამის და შესყიდვების დეპარტამენტების მიხედვით. ამ სახის დეპარტამენტები როგორც წესი არის დანახარჯთა ცენტრები რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი შემოსავალს არ ქმნიან. დეპარტამენტების მიხედვით დანახარჯების აღრიცხვის სისტემას შეუძლია შეაჯამოს და ანგარიშგება მოამზადოს იმ ხარჯების შესახებ, რომელიც გაწეულ იქნა უშუალოდ მომსახურების დეპარტამენტების მიერ კონკრეტული მიზნის მისაღწევად, კერძოდ ტრადიციული ორ-საფეხურიანი ხარჯების განაწილების მეთოდით. ჯერ გავანაწილებთ საქარხნო არაპირდაპირ ხარჯებს ყველაზე რელევანტური განაწილების ბაზის მიხედვით დეპარტამენტებზე. შემდეგ თითოეული დეპარტამენტის არაპირდაპირ ხარჯებს კონკრეტული დეპარტამენტის განაწილების ბაზის მეშვეობით გადავანაწილებთ გამოშვებულ პროდუქციაზე ან გაწეულ მომსახურებაზე.

პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით დანახარჯების აღრიცხვის სისტემის უპირატესობის შესახებ მოსაზრებები გამოთქმულია ქართულ აკადემიურ თუ პრაქტიკული ხასიათის პუბლიკაცი-ებშიც. (ჭილაძე, 2021); (ბიზნესის აკადემიური ცენტრი, 2023)

იმის დასადგენად თუ როგორ მიმდინარეობს ქართულ კომპანიებში აღნიშნული აღრიცხვის სისტემის დანერგვა, ჩავატარეთ შესამაბისი კვლევა.

კვლევა ეფუძნება სტრატიფიცირებული შერჩევის პრინციპს, კერძოდ: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიცალურ ვებ-გვერდზე www.reportal.ge განთავსებული მონაცემებიდან, სადაც კომპანიები დაჯგუფებულია მათ მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით, შევარჩიეთ ათი სფეროს კომპანიები. კომპანიების შერჩევა მოხდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით, მთლიან შიდა პროდუქტში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილის მქონე სფეროებიდან.



წყარო: (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023)

თითოეული ჯგუფიდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შევარჩიეთ 5% კომპანიებისა და გავუგზავნეთ კითხვარი. გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა (არ გვიპსაუხა) რესპოდენტთა 32%-მა.

გამოკითხვის მიზანი იყო, დაგვედგინა პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით დანახარჯთა

აღრიცხვის სისტემის ცნობადობა, მისი დანერგვის მდგომარეობის შესწავლა და დანერგვის პროცესში ხელისშემშლელი მიზეზების გამოვლენა.

გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ რესპოდენტთა 10% იყენებს პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით დანახარჯთა აღრიცხვის სისტემას და ამ სისტემაზე გადასვლიდან ერთი წელზე ნაკლებია გასული. მათი უმეტესობა პასუხობს, რომ აღრიცხვის ამ სისტემაზე გადასვლა მოხდა აღრიცხვის დეპარტამენტების სპეციალისტების ინიციატივით და აქვთ მხოლოდ „დანახარჯთა ცენტრები“.

„რა მიზნით გადავიდნენ კომპანიები ამ სისტემაზე?“ - შეკითხვაზე პასუხები ასე გადანაწილდა:



კითხვარში ალტერნატიული პასუხების ჩამონათვალი იწება სამი ძირითადი მიზეზით, რომლებსაც თეორიტიკოსები ამ სისტემის ძირითად უპირატესობად მიიჩნევენ. მიუხედავად ამისა, რესპოდენტებმა არცერთი მათგანი მონიშნეს.

როგორც კვლევიდან ჩანს გამოკითხულთა 10% საერთოდ არ იცნობს დანახარჯთა აღრიცხვის აღნიშნულ სისტემას, ნაწილობრივ იცნობს 20%. იმ რესპოდენტების 80%, რომელთა კომპანიებშიც ჯერკიდევ აღრიცხვის ცენტრალიზებული სისტემაა დანერგილი, არ გეგმავენ მის დეცენტრალიზაციას. გეგმავენ თუ არა ამ მიმართულებით კომპანიები თავიანთი კადრების ცოდნის გაღრმავებას, პასუხები და მათი რანჟირება ასე გამოიყურება:



მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ გამოკითხულთა 10% იყენებს აღრიცხვის ამ სისტემას, 30% თვლის, რომ ამ მიმართულებით საკმარის ინფორმაციასა და ცოდნას ფლობს მისი კოლექტივი და აღარ საჭიროებენ რაიმე სახის ტრენინგებს. კითხვაზე, გეგმავენ თუ არა, აღნიშნული აღრიცხვის სისტემის დანერგვას კომპანიაში, მხოლოდ 10%-მა გასცა დადებითი პასუხი. ამ დამოკიდებულების მიზეზის გასარკვევად დასმულ შეკითხვაზე მიღებული შედეგი კი ასეთია:



მიუხედავად იმის, რომ გამოკითხულთა 40% მსხვილი კომპანიებია, აღნიშნული სისტემის დანერგვის მთავარ გამოწვევად გამოკითხულთა 50% ასახელებს - ცალკეული განყოფილებების (დეპარტამენტების) ბიუჯეტის შედგენის პრაქტიკის არ ქონას. გამოკითხულთა 10% ერთდროულად ორ პრობლემას ასახელებს: არასაკმარისი ინფორმაციას აღნიშნული სისტემის უპირატესობის შესახებ და აღრიცხვის ამ სისტემის დანერგვასთან დაკავშირებული დანახარჯებს. ამ შემთხვევაში, საინტერესოა აღნიშნული რესპოდენტების პასუხები ამ სფეროში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებასთან დაკავშირებით. კითხვარზე მიღებული პასუხების ანალიზის დროს შედგენილი ე. წ „ჯვარედინი ცხრილებიდან“ გამოიკვეთა, რომ მათმა უმეტესობამ მონიშნა პასუხი - „საკმარის ცოდნას ფლობენ ჩვენი სპეციალისტები“. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ რეპოდენტთა პასუხები ზოგიერთ შეკითხვაზე არავალიდურია.

გამოკითხულთა 20% თვლის, რომ საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე, არ საჭიროებენ დანახარჯების ამგვარი პრინციპით აღრიცხვას. აღსანიშნავია რომ მათი უმეტესობა ხელოვნების, გართობისა და დასვენების სფეროს განეკუთვნება.

დასკვნა

კომპანიების ეფექტიანი მართვისთვის ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელია დანახარჯების სრულყოფილი და დეტალური აღწერა, მათი სხვადასხვა ნიშნით დაჯგუფება, განაწილება და გადანაწილება. ამისათვის ერთ-ერთ წარმატებულ სისტემად მიიჩნევა პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით დანახარჯების აღრიცხვა.

როგორც ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებიდან ჩანს საქართველოში ეს პროცესი ახალი დაწყებულია. კომპანიების Top-მენეჯმენტი საკმარისად არ იცნობს, ან საერთოდ არ იცნობს აღრიცხვის აღნიშნულ სისტემას, მის უპირატესობებს აღრიცხვის ერთიან, ცენტრალიზებულ სისტემასთან შედარებით. ამიტომ ისინი არც გეგმავენ ახლო მომავალში ამ სისტემაზე გადასვლას.

უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ რესპოდენტთა გარკვეული ნაწილი მზადაა ამ მიმართულებით თავისი კადრების ტრენინგებისა და ცოდნის გაღრმავებისთვის. ეს უდაოდ ხელს შეუწყობს კომპანიების წარმატებულ საქმიანობასა და ზოგადად ბიზნესის განვითარებას.

არსებობს მოსაზრება, რომ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდან ასეთი ტიპის გამოკითხვებში მონაწილეობის მიღება და კითხვებზე რელევანტური პასუხების გაცემა, რაც ართულებს ერთის მხრივ ბიზნესის ადმინისტრების სფეროს აკადემიურ პერსონალს, სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებსა და მეორეს მხრივ ამ სფეროს პრაქტიკოსებს შორის თანმაშრომლობას. ვფიქრობთ რომ ეს მოსაზრება აღნიშნული კვლევის ფარგლებშიც დადასტურდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Wild, J. j., & SHaw, K. W. (2012). Manajerial Accounting. Irwin.
2. Horngren, C. T., Datar, S. M., & Rajan, M. v. (2012). Cost Accounting: a Managerial Emohasis.
3. Horngren, C. T., Sundem, G. L., Burgstahler, D., & Schatzberg, J. (2014). Introduction to management accounting. New Jersey: Pearson.
4. ბიზნესის აკადემიური ცენტრი. (2023, მაისი). პრიგრამის მომზადება და ბიუჯეტის შედგენა . Retrieved from "ფინანსების მენეჯერის" პროგრამა: https://baco.ge/template/files/4bea952a76d58f3.pdf
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2023, მაისი 5). საქსტატი. Retrieved from მთლიანი შიდა პროდუქტი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp
6. ჭილაძე, ი. (2021). მმართველობითი აღრიცხვა 2. თბილისი: თსუ. Retrieved from https://tsu.ge/assets/media/files/7/biblioteka/
7. ხარხელაური, ხ. (2017). დეცენტრალიზაცია და დანახარჯების აღრიცხვა პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები" (pp. 396-401). თბილისი: GTU.

Introduction of responsibility Accounting System in Georgian Companies

Kharkhelauri Khatuna
PhD in Business Administration
Associate Professor of Georgian Technical University
Khinikadze-Gvaramia Tamar
PhD in Business Administration
Assistent Professor of Georgian Technical University
Bibichadze David
PHD in business administration
Associate Professor of Georgian Technical University
Vakhtang Jintchvelashvili
PHD student of Georgian Technical University

Abstract

The responsibility accounting system is a mechanism by which costs and revenue are accumulated and reported to the top management to make an effective decision. In addition, it gives freedom to individuals to amplify their skills to reduce the cost and increase the organization's revenue. In a responsibility accounting system, organizations divide their departments into different responsibility centers, which help them focus on only those whose performance is not as per target. At the same time, this responsibility accounting system is valid only for the big organization because it requires skill and more workforce for the responsibility center. In addition, it gives freedom to the responsibility center management and/or performers to enhance their skills to reduce costs and increase the organization's revenue and therefore profits. The article uses secondary data to determine the fields of activity of companies by stratified sampling method and also uses primary data by random sampling method through survey.

Keywords: direct and indirect costs; Distribution base for indirect costs; controllable expenses; responsibility centers.

შიდა აუდიტის როლი და ფუნქციები კომერციულ ბანკებში

ხინიკაძე-გვარამია თამარი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი,

შამოევი ეთერი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი

აბსტრაქტი

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა შიდა აუდიტის როლი და ფუნქციები კომერციულ ბანკებში, რადგან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ობიექტურობასა და მიუკერძოებას აუდიტორულ საქმიანობაში. პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს: როგორ ხდება შიდა აუდიტის ორგანიზება კომერციულ ბანკებში, რა როლი აქვს აუდიტის კომიტეტს, რა უნარები სჭირდება შიდა აუდიტორს და როგორ უკავშირდება შიდა აუდიტი გარე აუდიტს.

„კომერციულ ბანკებში შიდა აუდიტორული საქმიანობისადმი მოთხოვნების შესახებ“ დებულების თანახმად საბანკო სისტემაში ყველა ბანკი ვალდებულია ჩამოაყალიბოს შიდა აუდიტორული სამსახური ან აუდიტის კომიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს დაიცვას სამსახურის დამოუკიდებელი საქმიანობა.

საქართველოს ეროვნული ბანკი არის საქართველოში საბანკო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებელი სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანო. შიდა აუდიტის როლი მდგომარეობს, კომერციულ ბანკებში აღრიცხვა-ანგარიშგების, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის განვითარებაში. კომერციული ბანკები კი პასუხისმგებელნი არიან ეროვნული ბანკის წინაშე აღნიშნული საქმიანობის სრულყოფილაზე.

ეროვნული ბანკის სტრატეგიის პრიორიტეტებია საფინანსო სექტორის ფუნქციონირების ხელშეწყობა, საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება და ფინანსური ტექნოლოგიების ეკოსისტემის განვითარება. შიდა აუდიტის რეკომენდაციები და დასკვნები ხელს უწყობს ბანკის საქმიანობაში არსებული რისკის დონის დადგენას, პრობლემებისა და ხარვეზების აღმოფხვრას და ნაკისრი ვალდებულებების ეფექტიანად განხორციელებას.

საკვანძო სიტყვები: შიდა აუდიტი, შიდა აუდიტის ფუნქციები, კომერციული ბანკები, გარე აუდიტი.

ძირითადი ტექსტი

ფინანსური კონტროლის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს შიდა აუდიტი. შიდა აუდიტი - ეს ფირმის შიდა კონტროლია, რომელიც საწარმოში ორგანიზებულია დამოუკიდებლად მესაკუთრის ინტერესებიდან გამომდინარე. შიდა აუდიტის სუბიექტმა, სისტემატური და თანამიმდევრული მიდგომის გამოყენებით, უნდა შეაფასოს და წვლილი შეიტანოს მმართველობითი, რისკის მართვისა და კონტროლის პროცესების გაუმჯობესებაში. შიდა აუდიტი არის განყოფილება, რომელიც დამოუკიდებელია ბანკის მენეჯმენტისგან, რომლის მთავარი პასუხისმგებლობაა გადახედოს კონტროლის ხარისხს და ეფექტიანობას, ბანკებში რისკის მართვას და აქტივების დაცვას. შიდა აუდიტი გასცემს რეკომენდაციებსა და რჩევებს რომლებიც ყურადღებას მოითხოვს მენეჯმენტისგან. შიდა აუდიტი, როგორც წესი, შეიმუშავებს შესასრულებელი სამუშაოს წლიურ გეგმას, რომელიც კონცენტრირებულია უფრო მაღალი რისკის მქონე სფეროებზე. ყოველი განხილვის დასასრულს მომზადდება აუდიტის ანგარიში მენეჯმენტისთვის. სრული დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, შიდა აუდიტი არ არის პასუხისმგებელი ყოველდღიური დავალებების შესრულებაზე ან ავტორიზაციაზე ან განხორციელებაზე, რომლებიც ბანკს მუშაობის საშუალებას აძლევს. ასევე ახალ ინიციატივებზე, მაშინაც კი, როდესაც ეს წარმოიქმნება აუდიტის რეკომენდაციების შედეგად. თუმცა, შიდა აუდიტი შეძლებისდაგვარად მისცემს რჩევებს, ითანამშრომლებს და გაუწევს პრაქტიკულ დახმარებას ბანკის მენეჯმენტს.

როგორ ხდება შიდა აუდიტის ორგანიზება - „კომერციულ ბანკებში შიდააუდიტორული

საქმიანობისადმი მოთხოვნების შესახებ“ დებულების თანახმად ყოველი კომერციული ბანკი ვალდებულია ჩამოაყალიბოს შიდააუდიტორული სამსახური, რომლის ამოცანა და მიზანია ბანკის საფინანსო, სამეურნეო და ადმინისტრაციული საქმიანობის შეფასება და მოქმედ ნორმატიულ აქტებთან მათი შესაბამისობის დადგენა. [1:1]. სამსახური ანგარიშვალდებულია ბანკის სარევიზიო კომისიის წინაშე. საქართველოს კანონით „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ და „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის“ მიხედვით კომერციული ბანკების სამეთვალყურეო საბჭოები ქმნიან აუდიტის (და სხვა შესაძლო) კომიტეტებს, რომელთა უმრავლესობა უნდა დაკომპლექტდეს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრებით. [2:1]. შიდა აუდიტის დამოუკიდებლობა საქართველოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბოლო წლების განმავლობაში. სხვადასხვა კვლევის მონაცემები ადასტურებს, რომ პრაქტიკაში ბანკები სრულად ასრულებენ შიდა აუდიტის მოთხოვნებს, ხოლო არასაფინანსო კომპანიები ჩამორჩებიან ამ მნიშვნელოვან სფეროში. შიდა აუდიტორები ანგარიშვალდებულია აუდიტის კომიტეტის წინაშე. ბანკებში შიდა აუდიტის და შიდა კონტროლის ფუნქციების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო, აუდიტის კომიტეტი და დირექტორთა საბჭო. იმისთვის, რომ შიდა აუდიტის ფუნქცია ეფექტური იყოს, ის ანგარიშვალდებული უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს და მისი აუდიტის კომიტეტის წინაშე. მსოფლიო ბანკის 2021 წლის ანგარიშის თანახმად დაქვემდებარების ეს პრაქტიკა განვითარდა და გაუმჯობესდა საქართველოში ბოლო 17 წლის განმავლობაში. ბანკებმა ასევე ჩამოაყალიბეს ყველა საჭირო კომიტეტი: აუდიტის კომიტეტი, რისკების კომიტეტი, ანაზღაურების კომიტეტი და კორპორაციული კომიტეტი. [3:131].

რა როლი აქვს აუდიტის კომიტეტს - კომიტეტს ევალება საბჭოს დახმარება ბანკის ფინანსური კონტროლის სისტემაზე ზედამხედველობის გაწევაში, რაშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა:

- შიდა კონტროლისა და ფინანსური ანგარიშგების მთლიანობას;
- ბანკის გარე აუდიტორის კვალიფიკაციასა და დამოუკიდებლობას; და
- ბანკის შიდა აუდიტის განყოფილებისა და მისი გარე აუდიტორის საქმიანობას.

კომიტეტი უნდა შედგებოდეს საბჭოს არანაკლებ სამი წევრისაგან, რომლებიც საბჭომ უნდა დანიშნოს სულ მცირე ერთი წევრი უნდა იყოს ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის სფეროების ექსპერტი/სპეციალისტი და უნდა შეეძლოს ბანკის წინაშე მდგარი რისკების შეფასება. კომიტეტის ყველა წევრი უნდა იყოს დირექტორი, მათი კომპეტენციისა და გამოცდილების საფუძველზე შერჩეული. კომიტეტის წევრთა უმრავლესობა, მათ შორის კომიტეტის თავმჯდომარე დამოუკიდებელი დირექტორები უნდა იყვნენ. საბჭოს დირექტორებმა უნდა აირჩიონ კომიტეტის თავმჯდომარე. საბჭომ ყოველ წელს ხელახლა უნდა დაამტკიცოს კომიტეტის წევრების შემადგენლობა და, საჭიროებისამებრ, შეიტანოს დამატება ან ცვლილება. კომიტეტის წევრისთვის წევრად ყოფნის ვადა შეზღუდული არ არის. კომიტეტი უნდა შეიკრიბოს საჭიროებისამებრ, მაგრამ არა ნაკლებ წელიწადში 4-ჯერ. [4:1].

რა უნარები სჭირდება შიდა აუდიტორს - მათ უნდა ჰქონდეთ მუშაობის გამოცდილება აუდიტში, საბანკო სფეროში შიდა აუდიტორებმა საქმიანობა უნდა განახორციელონ კვალიფიციურად და სათანადო პროფესიონალურ დონეზე. შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის განსახორციელებლად შიდა აუდიტორები კოლექტიურად უნდა ფლობდნენ ან მოიპოვებდნენ ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და სხვა შესაძლებლობებს.

რა როლი აქვს გარე აუდიტს - გარე აუდიტორების როლი არის ბანკის ფინანსური ანგარიშგების შემოწმებაში, ასევე მენეჯმენტის და კონტროლის მიმართულებით შემოწმებაში. გარე აუდიტი სწავლობს შიდა აუდიტის მიერ გაცემულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

დასკვნა

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკაში კონტროლის, როგორც მართვის ერთ-ერთი ფუნქციის როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა. კონკურენციის პირობებში ბიზნესში მთავარი მიზანი არის პროდუქციის წარმოება ან მომსახურების გაწევა მინიმალური დანახარჯებით. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ კარგად აწყობილი შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის შემოღებით. ამრიგად, ფინანსური კონტროლის

ერთ-ერთ სახე სწორედ შიდა აუდიტი გახლავთ. შიდა აუდიტს ახორციელებენ კვალიფიციური კადრები, რომელთა ძირითადი ამოცანა ორგანიზაციის მუშაობის ეფექტურობის გაზრდაა სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად რათა გაუმჯობესდეს ფინანსური მდგომარეობა.

საქართველოს ეროვნული ბანკი არის საქართველოში საბანკო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებელი სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანო. შიდა აუდიტის როლი მდგომარეობს, კომერციულ ბანკებში აღრიცხვა-ანგარიშგების, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის განვითარებაში. კომერციული ბანკები კი პასუხისმგებელნი არიან ეროვნული ბანკის წინაშე აღნიშნული საქმიანობის სრულყოფილაზე.

შიდა აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციები და დასკვნები ეხმარება სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატს ბანკის საქმიანობაში არსებული რისკის დონის დადგენაში, პრობლემებისა და ხარვეზების იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრაში, ნაკისრი ვალდებულებების ეფექტიანად განხორციელებაში.

ეროვნული ბანკის 2022 წლის წლიური ანგარიშის თანახმად „კომერციული ბანკების საქმიანობას უმაღლესი კატეგორია „შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო ჩარჩოსთან და ეთიკის კოდექსთან ზოგადად შესაბამისი“ მიენიჭა. ჩამოყალიბდა ორი სტრუქტურული ქვედანაყოფი: ოპერაციული და ფინანსური აუდიტის განყოფილება და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის განყოფილება. საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა 2022 წლის სამუშაო გეგმით გათვალის-წინებული 28 ობიექტის აუდიტი/მიმოხილვა. [5:304]. ეს იმის მანიშნებელია, რომ კარგად არის ორგანიზებული შიდა აუდიტის პროცესი კომერციულ ბანკებში. თუმცა სასურველია შიდა აუდიტის გარე აუდიტთან თანამშრომლობისთვის და პროგრამული უზრუნველყოფისთვის ხელშეწყობა, ასევე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „კომერციულ ბანკებში შიდააუდიტორული საქმიანობისადმი მოთხოვნების შესახებ“ დებულების შესახებ ბრძანება N318 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2260901?publication=1
2. საქართველოს კანონი კომერციული ბანკების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/32962?publication=46
3. საქართველო - ანგარიში სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ : კორპორატიული მმართველობის ქვეყნის შეფასება (Georgian),2021 დეკემბერი P16954308142f201c08bb80ec2abeac3860.pdf
4. FRC გაერთიანებული სამეფოს ფინანსურიანგარიშგების საბჭო - გზამკვლევი აუდიტის კომიტეტის შესახებ, 2019 https://saras.gov.ge/Content/files/Guidance-on-Audit-Committees-April-2016(GEO).pdf
5. საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური-ანგარიში-2022.pdf (nbg.gov.ge)
6. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, უწყების შიდა აუდიტის საქმიანობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია ,2022 https://imedinews.ge/ge/ekonomika/267720/erovnuli-bankis-inpormatsiit-utskebis-shida-auditis-saqmianoba-saertashoriso-standartebis-shesabamisia

Role and functions of internal audit in commercial banks

Khinikadze-Gvaramia Tamar
PhD in Business Administration
Assistent Professor of Georgian Technical University
Shamoevi Eter
Master of Georgian Technical Univerity

Abstract

We aimed to study the role and functions of internal audit in commercial banks, because objectivity and impartiality are of particular importance in audit activities. We will answer the following questions: how internal audit is organized in commercial banks, what is the role of the audit committee, what skills do internal auditors need and how does internal audit relate to external audit.According to the regulation "Requirements for internal audit activities in commercial banks", all banks in the banking system are obliged to establish an internal audit service or an audit committee, which ensures the independent activity of the service. The priorities of the strategy of the National Bank are to facilitate the functioning of the financial sector, to approach international standards and to develop the ecosystem of financial technologies. Recommendations and conclusions of the internal audit help determine the level of risk in the bank's activities, eliminate problems and shortcomings, and effectively implement the obligations.

Keywords: Internal audit, Internal audit functions, Commercial banks,external audit.

ტურიზმის მდგრადი განვითარების გამოწვევები და პერსპექტივები მთიან რეგიონში

ხოზრევანიძე ნოე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ქობლიანიძე თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

კოჭლამაზაშვილი ლელა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

მთის ლანდშაფტების ბიოლოგიური და გეოლოგიური განსაკუთრებულობანი, ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული მრავალფეროვნება, ბუნებრივი და თერმული წყაროების სიმრავლე - მთის უნიკალურობის არასრული ჩამონათვალია. მთები მნიშვნელოვანი ტურისტული მიმართულებებია, რომელიც იზიდავს ვიზიტორებს ბუნების სცენური სილამაზით, სპორტული ღონისძიებების გამართვის შესაძლებლობებითა და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობით. ტურიზმი იძლევა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და შემოსავლის ზრდის შესაძლებლობებს სოფლის მთის თემებისთვის; ამასთანავე, ტურიზმი ასოცირდება უარყოფით გავლენასთანაც, რაც გამოიხატება ეკოსისტემებზე ზემოქმედებაში, დაბინძურებასა და ბიომრავალფეროვნების დაკარგვაში, მნიშვნელოვანია მთის თემების სოციალურ და კულტურულ გარემოზე ზემოქმედებაც. რასაც ტურიზმის არამდგრადი განვითარება იწვევს. ტურიზმს თავისი პოტენციალით, შეუძლია ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან (SDG) ბევრი მათგანის მიღწევას და, ასევე, შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს SDG-ების მიღწევაში მთიან რეგიონებში. მდგრადი დაგეგმვის პრინციპები უზრუნველყოფს სისტემას, რომელიც შექმნილი და შემუშავებულია საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარის მიერ, რათა უზრუნველყოს მთელი საზოგადოებისათვის სარგებლის მიღება. ტურიზმის მდგრადმა განვითარებამ უნდა გააუმჯობესოს საარსებო წყარო, შეინარჩუნოს კულტურა და დაიცვას გარემო.

ნაშრომში მეორადი ინორმავიის ანალიზზე დაყრდნობით განხილულია საქართველოს ორ მთიან მუნიციპალიტეტში ტურიზმის მდგრადი განვითარების გამოწვევები და პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: მთა, მდგრადი ტურიზმი, სტრატეგია, ყაზბეგი, წალკა.

ძირითადი ტექსტი

მთის ლანდშაფტების ბიოლოგიური და გეოლოგიური განსაკუთრებულობანი, ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული მრავალფეროვნება, ბუნებრივი და თერმული წყაროების სიმრავლე - მთის უნიკალურობის არასრული ჩამონათვალია. მტკნარი წყლის, საკვებისა და ენერგიის კუთხით მთებზე მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტია დამოკიდებული. კლიმატის ცვლილების, მიწის გამოფიტვისა და დეგრადაციის გამო, მაღალმთიანი რეგიონები ბუნებრივი კატასტროფების საფრთხის წინაშე დგას[1]. მთის შესწავლას განსაკუთრებული ელფერი შესძინა მდგრადი განვითარების მიზნებმა, რომელთა უმეტესობა პირდაპირ უკავშირდება მთის პრობლემატიკას.

გლობალური მასშტაბით მთები მნიშვნელოვანი ტურისტული მიმართულებებია, რომელიც იზიდავს ვიზიტორებს ბუნების სცენური სილამაზით, სპორტული ღონისძიებების გამართვის შესაძლებლობებითა და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობით. ტურიზმი იძლევა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და შემოსავლის ზრდის შესაძლებლობებს სოფლის მთის თემებისთვის; მთის ტურიზმს შეუძლია დაეხმაროს ადგილობრივი ტრადიციებისა და კვების სისტემების აღორძინებას. დღეს მსოფლიოს მხოლოდ რამდენიმე რეგიონია, სადაც მთის ლანდშაფტების

[1] ნოდარ ელიზბარაშვილი, ჰეინო მეესენი, აშოტ ხოეციანი და სხვ. მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარება და რესურსების მართვა. თბ.2018

განსაკუთრებული თვისებები არ არის აღიარებული[1].

ადგილობრივი მოსახლეობის მრავალფეროვნება და ტრადიციული და ავთენტური კულტურა, ბუნებრივი და თერმული წყაროების სიმრავლე და ბიოლოგიური და გეოლოგიური მრავალფეროვნება - ეს ყველაფერი ტურისტების მიზიდულობაა, რომლებიც სულ უფრო მეტად აფასებენ ღია ცის ქვეშ მიმართულებებს და ეძებენ თავშესაფარს და კეთილდღეობას თავიანთი დატვირთული ურბანული ცხოვრების სტილისგან.

ტურიზმი მნიშვნელოვანი რესურსია მთის მრავალი ეკონომიკისთვის, ამასთანავე, ტურიზმი ასოცირდება უარყოფით გავლენასთანაც, რაც გამოიხატება ეკოსისტემებზე ზემოქმედებაში, დაბინძურებასა და ბიომრავალფეროვნების დაკარგვაში; მნიშვნელოვანია მთის თემების სოციალურ და კულტურულ გარემოზე ზემოქმედებაც.

აღიარებულია, რომ ტურიზმს თავისი პოტენციალით, შეუძლია ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან (SDG) ბევრი მათგანის მიღწევას[2]; ტურიზმის სექტორი მდგრადი განვითარების მიზნებში კონკრეტულად არის ნახსენები და მოწოდებულია განახორციელოს სამი მიზანი (8, 12, 14); ამასთანავე, თავისი ჯვარედინი ხასიათისა და გავლენის გამო, ტურიზმს შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს SDG-ების მიღწევაში მთიან რეგიონებში, კერძოდ:

- მიზანი 11 – „მდგრადი ქალაქები და დასახლებები“ - მნიშვნელოვანია ტურიზმის როლი მთის ეკონომიკის დივერსიფიკაციაში, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს ადგილობრივი თემების ეკონომიკურ მდგრადობას (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებულ მოსახლეობას), ისევე, როგორც მთის დასახლებების ინკლუზიურობასა და მდგრადობას ბუნებრივი რესურსების კონსერვაციის მხარდაჭერით ან მოსახლეობის სეგმენტებისთვის სამუშაო ადგილების მიწოდებით, როგორიცაა ახალგაზრდები და ქალები.
- მიზანი 15 – „დედამიწის ეკოსისტემები“ - იმის გამო, რომ ბუნებრივი ეკოსისტემები და ბიომრავალფეროვნება, მათ შორის მთები, მდინარეები და ტბები, წარმოადგენს ტურისტულ აქტივებს, სექტორი სთავაზობს მნიშვნელოვან შესაძლებლობებს მათი კონსერვაციისთვის, თუ მდგრადი მართვა იქნება. მიმართულებები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ ურთიერთსასარგებლო ურთიერთობას ბუნებრივი ეკოსისტემების დაცვასა და ტურიზმიდან შემოსავალს შორის. ბუნებრივი აქტივების ეკონომიკური ღირებულების შეფასებამ შეიძლება ხელი შეუწყოს მდგრად ტურიზმში ინვესტირებას.
- მიზანი 17 – „გლობალური პარტნიორობა მიზნების მისაღწევად“ , რომლის მაგალითია შორეული და მთიანი ტერიტორიების აღორძინება მდგრადი ალტერნატიული ტურიზმის პროექტის (RAMSAT) მეშვეობით, რომელიც ევროკავშირის პროგრამის Interreg Europe-ის ნაწილია.

ტურიზმის არამდგრადი განვითარება იწვევს კულტურების განზოგადებას, ბუნებრივი გარემოს დეგრადაციას, ოვერტურიზმს, და, შესაბამისად, ამცირებს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონეს, და აქვეითებს ეროვნულ და ადგილობრივ კულტურას.

მდგრადი დაგეგმვის პრინციპები კი უზრუნველყოფს სისტემას, რომელიც შექმნილი და შემუშავებულია საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარის მიერ, რათა უზრუნველყოს მთელი საზოგადოებისათვის სარგებლის მიღება. ტურიზმის მდგრადმა განვითარებამ უნდა გააუმჯობესოს საარსებო წყარო, შეინარჩუნოს კულტურა და დაიცვას გარემო.

ტურიზმის მდგრადი განვითარება წარმოადგენს რეალურ კომპლექსურ გამოწვევას. ის განსაკუთრებით აქტუალურია მთიანი ადგილების, სასოფლო თემების გამოცოცხლებისათვის; ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო პირობების გაუმჯობესებასა და კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას შორის სათანადო ბალანსის მოძებნის თვალსაზრისით. ამიტომ მდგრადი

[1] Mountains for Europe‘s Future. Swiss State Secretariat for Education, Research and Innovation, SERI and by the Austrian Federal Ministry of Science, Research and Economy, bmwfw

[2] Mountain tourism– Towards a more sustainable path. FAO&UNWTO, 2021

მიდგომა მთის ტურიზმის მიმართ ყველა ქვეყანაში აუცილებელია, რათა ხელი შეუწყოს გრძელვადიან ზრდას და შენარჩუნდეს რესურსების დაბალანსებული გამოყენება.

მთაში ტურიზმის მდგრადი განვითარების მნიშვნელობა და აუცილებლობა ნაკარნახევია იმ სპეციფიკური გამოწვევებით, რაც მთიან რეგიონებს ახასიათებს და მოიცავს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებს, ასევე კრიზისების მენეჯმენტს; ბუნებრივ საფრთხეებს (წყალდიდობები, მეწყერები, მიწისძვრები) და კონფლიქტებს შეუძლია შეაფერხოს წვდომა და მომსახურება თვეების ან წლების განმავლობაში; ასევე, შესაძლოა განადგურდეს და დაზიანდეს აქტივები და საფრთხე შეექმნას თავად ტურისტების სიცოცხლეს.

COVID-19-ის პანდემიამ ხაზი გაუსვა მდგრადი სამთო ტურიზმის განვითარების მნიშვნელობას, რათა გამოყენებულ იქნას ტურისტების მზარდი სურვილი გაატარონ დრო ბუნებაში. პანდემიამ დაგვანახა მთის სოფლები და ტერიტორიები, როგორც უსაფრთხო თავშესაფარი; მანვე წარმოაჩინა ბევრი ახალი, ჯანსაღი გარემო ცხოვრების მაღალი/მისაღები ხარისხით. მოთხოვნის ეს ზრდა ქმნის ახალ შესაძლებლობებს, მაგრამ იგივე შესაძლებლობა აძლიერებს არსებულ გამოწვევებს, როგორც ტრადიციულ ისე განვითარებად მთის დესტინაციებში.

მთის ტურიზმის განვითარებისას მნიშვნელოვანია შემოსავლის დივერსიფიკაცია და პროდუქტებისა და სერვისების აღორძინება, მაღალი ზემოქმედების ტურისტული პროდუქტებიდან და აქტივობებიდან დაბალი ზემოქმედების, კლიმატისადმი მგრძნობიარე პროდუქტებისკენ. ახალ და ინოვაციურ პროდუქტებს შეუძლიათ მთის რაიონები მიმზიდველ ტურისტულ მიმართულებებად აქციონ და შეარბილონ სეზონურობის გავლენა. მთიანი რეგიონების მრავალ შესაძლებლობებს შორის არის გასტრონომიული ტურიზმი, თემზე დაფუძნებული ტურიზმი, ველნეს ტურიზმი, სოფლის ტურიზმი, აგროტურიზმი და კულტურული ტურიზმი[1].

საერთაშორისო ტენდენციების გაანალიზებით, ნათელია, რომ მდგრადი დაგეგმვისა და მართვის შემთხვევაში ტურიზმის განვითარება მაღალმთიანი რეგიონებიდან მიგრაციის მასშტაბს ამცირებს; ხელს უწყობს ტურისტულ ადგილებში ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობის ზრდას და ამცირებს იმპორტირებული საქონლის შემოდინებას. ამასთანავე, სახელმწიფო ტურისტული ნაკადების ზრდის პარალელურად ახდენს კულტურული მემკვიდრეობის ეფექტიან პრევენციას და ტურისტულ ადგილებში ბუნებრივი (მათ შორის გამაჯანსაღებელი) რესურსების დაცვას დაბინძურების, გამოფიტვისა და განადგურებისგან (იხ. ცხრი 1).

საქართველო ტერიტორიის 85% მთიანი ან მაღალმთიანია. რელიეფი წარმოდგენილია მაღალი, საშუალო და დაბალი მთების, ზეგნებისა და ვაკეების ერთობლიობით. საქართველო არის შთამაგონებელი მთიანი დესტინაცია, რომელსაც გააჩნია უდიდესი ტურისტული პოტენციალი; მომავალი ათწლეულებისთვის, უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში მდგრადი ტურიზმის განვითარება; ეს კი უზრუნველყოფილ უნდა იქნას შესაბამისი კანონმდებლობით, რომელიც დაარეგულირებს კულტურული მემკვიდრეობის და ბუნების დაცვას/კონსერვაციას, ასევე, დაარეგულირებს ტურიზმის გადასახადებს ინფრასტრუქტურისთვის.

მთის ტურიზმის პოტენციალი აღიარებული იქნა UNWTO-ს ევროპისა და აზიის სამთო კურორტების საერთაშორისო კონფერენციიით, რომელსაც 2017 წლის აპრილში საქართველომ უმასპინძლა; კონფერენციის დევიზი იყო: "ინოვაციური სტრატეგიები სამთო ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის". კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა: 1.მდგრადი განვითარება და დაგეგმვა, 2.ინვესტიციები და სტიმულირება 3.ოპერაციული საკითხები. აქცენტი გაკეთდა ტურიზმის მდგრადი განვითარების პოტენციალზე, რომელიც უპირატესობას ანიჭებს გონივრულ ტურისტულ საქმიანობას და ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებს შეესაბამება; სესიაზე, ასევე, განხილულ იქნა სამთო მიმართულებებზე კლიმატური ცვლილებების გავლენა. "სამთო ტურიზმის კულტურის" საჯარო პოლიტიკა, რომელიც მოიცავს მდგრადი და კონკურენტუნარიანი სამთო ტურიზმის ინტეგრირებულ დაგეგმვას, რომელიც უნდა იყოს თავსებადი და ინტეგრირებული რეგიონის სხვა სექტორების

[1] Mountain tourism– Towards a more sustainable path. FAO&UNWTO, 2021

საქმიანობებსა და მოთხოვნებთან (ადგილობრივი საცხოვრებელის, საკვების, მუსიკის, ხელოვნების, რეწვისა და ტრადიციების გამოყენება, რომელიც იცავს არა მარტო მთის კულტურულ მემკვიდრეობას, არამედ ბუნებრივ გარემოსაც)[1].

ცხრილი 1. ტურიზმის მდგრადი და არამდგრადი დაგეგმვის შედეგები

არა მდგრადი დაგეგმვა	**მდგრადი დაგეგმვა**
დაუგეგმავი აქტივობები 1. სასტუმრო სახლის აშენება ეკონომიკური გათვლების გარეშე (არის თუ არა ეს მომგებიანი) 2. სათხილამურო ტრასის აშენება, რომელიც ვერ იქნება წარმატებული, მაგრამ ეკოლოგიური ზიანი რჩება 3. აქტივობების დუბლირება რეგიონში, რაც იწვევს უსარგებლო კონკურენციას და რესურსების გაფლანგვას 4. ცენტრალიზებული დაგეგმვა და გადაწყვეტილების მიღება	*განვითარების კონცეფციები და გეგმები* • განხორციელებადი და პრაქტიკული ბიზნეს გეგმები • რეგიონული ტურიზმის განვითარების დაგეგმვა, რათა შეიქმნას პასუხისმგებელი და კოორდინირებული მიდგომა და რესურსების გამოყენების ხელმისაწვდომობა • გადაწყვეტილებების მიღება ადგილობრივ დონეზე, ყველა ადგილობრივი დაინტერესებული მხარის მონაწილეობით • საზოგადოების ნამდვილი მონაწილეობა
მხოლოდ ეკონომიკური ფოკუსი • ფიქრი ტურიზმზე, როგორც სოციალური და ეკონომიკური პრობლემების უნივერსალური საშუალებაზე • არაპროფესიონალური მიდგომა, რომელიც უგულებელყოფს განვითარების ძირითად ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებს • ერთ სექტორზე დამოკიდებულება - მაღალი რისკი, საფრთხეებთან გამკლავების დაბალი უნარი • ფოკუსირება მხოლოდ ფინანსურ მოგებაზე	*ტურიზმი, როგორც ერთი ინსტრუმენტი* • ტურიზმის, როგორც სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი ინსტრუმენტის გაგება/აღიარება • ეკონომიკური დარგების უფრო ფართო პორტფოლიოს ქონა, რათა ერთის წარუმატებელობის /პრობლემების გამო დანარჩენებს შეეძლიათ ეკონომიკის შენარჩუნება; • ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნების ჰარმონიზაცია და არა მხოლოდ ფინანსური მოგება
სეზონური ფოკუსი • დამოკიდებულება პიკის პერიოდებზე • ნეგატიური ზემოქმედება სოციალურ სფეროსა (სეზონური დასაქმება, ხალხმრავალი ცენტრები) და გარემოზე	*მუდმივი მოთხოვნა* • მუდმივი მოთხოვნა და/ან შეთავაზება • დადებითი გავლენა სოციალურ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ გარემოზე
უნივერსალური პროდუქტი • სტერეოტიპული და უნივერსალური შეთავაზებები • გამოცდილების ხარისხის დაქვეითება • უკმაყოფილების უფრო ძლიერი გრძნობა • ვიზიტორების ნაკლებად დენსიტიურობა და მგრძნობელობა ადგილობრივი ლანდშაფტისა და საზოგადოების მიმართ	*ექსპერიმენტული* • მცირე ჯგუფებზე მორგებული პროდუქტები • მეგობრობისა და სასიამოვნო გამოცდილების ატმოსფერო • სასიამოვნო შეგრძნება რეგიონის მონახულებისგან • სტუმართა მიერ საზოგადოებისა და მდგრადი საქმიანობისადმი მხარდაჭერა

წყარო: ცხრილი შემუშავებული ავტორთა მიერ

მდგრადი განვითარების კონტექსტში ჩვენ ტურიზმი განვიხილეთ აღმოსავლეთ საქართველოს 2 მუნიციპალიტეტში - ყაზბეგსა და წალკაში; ამათგან, ყაზბეგის მუნიციპალიტეში, შეიძლება ითქვას, რომ ტურიზმი საკმაო ხანია რაც ვითარდება, ხოლო წალკის მუნიციპალიტეტი ტურისტულად ახალი რეგიონია. მიუხედავად ამისა, მდგრადი განვითარების თვალსაზრისით ორივეში პრობლემებია.

ყაზბეგი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მთიანი ტურისტული დესტინაციაა. ყაზბეგი ტურისტებს სთავაზობს გუდაურის სათხილამურო კურორტის, მყინვარწვერის -- საქართველოს და კავკასიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სიმბოლოს და ქვეყნის ყველაზე უფრო ადვილად მისადგომი 5 ათას-მეტრიანი მწვერვალისა და მთის წვერზე აღმართული მე-14 საუკუნის გერგეტის წმ. სამების ტაძრის მონახულებას. თუმცა, მუნიციპალიტატში არსებობს მრავალფეროვანი ტურისტული ინტერესების რეალიზების შესაძლებლობა. აქ შეიძლება მოიაროთ ასობით, ან შეიძლება ათასობით, ულამაზესი საფეხმავლო ბილიკი ყაზბეგის ეროვნული პარკის თუ მის მიმდებარე

[1] მედეა მელაშვილი, ნუნუ ქისტაური, ქეთევან ქველაძე. მდგრადი ტურიზმი და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობაში. პროფ. გ. წერეთლის დაბადების 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია „ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები. მასალების კრებული. თბ. 2017

ტერიტორიებზე.

ყაზბეგის ტურისტული შესაძლებლობების კვლევის მიზნით ENPARD-ის პროექტის - „ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი“ - ფარგლებში ჩატარდა კვლევა[1], რომელმაც შესაძლებელი გახადა ტურიზმის სფეროში რეალური სურათის დანახვა. კვლევამ გამოავლინა პრობლემები მონაცემებში, რომლებსაც გვთავაზობს საქართველოს სტატისტიკის სამსახური, და booking.com-ზე რეგისტრირებულ სუბიექტების მონაცემები; ამასთანავე, უმეტესობა უფრო საოჯახო ტიპის სასტუმროს კატეგორიას მიეკუთვნება, ვიდრე უფრო სტრუქტურიზებულ ან საოჯახო სასტუმრო.

მუნიციპალიტეტში, სავარაუდოდ, გაცილებით მეტი ოჯახი იღებს ტურისტებს. მიუხედავად იმისა, რომ ტურისტებმა ზოგადად მაღალი შეფასებები მისცეს ტურისტული დანიშნულების ღირშესანიშნაობებს, კვლევამ თითქმის ყველგან გამოავლინა ინფრასტრუქტურული პრობლემები. სტეფანწმინდის ცენტრის გარდა, პრაქტიკულად არსად არ არის ინგლისურ ან რუსულ-ენოვანი ნიშნები, რომლებიც ტურისტებს ქალაქის და მიმდებარე ტერიტორიებზე ორიენტირებაში, საფეხმავლო ბილიკების პოვნაში და ადგილობრივი კულტურის, ფლორის, ფაუნის და გეოგრაფიის აღქმაში დაეხმარებოდნენ. ბევრ ტურისტულ ადგილას არ არის საპირფარეშოები, მაღაზიები და რესტორნები. ქალაქის ცენტრიდან წინასწარ დაჯავშნილი საოჯახო სასტუმროს პოვნაც კი საკმაოდ რთული შეიძლება აღმოჩნდეს. იმის გამო, რომ ყაზბეგში არ არსებობს საშუალობიუჯეტიან ტურისტზე გათვლილი ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით სასტუმროები, სტუმრების დიდი ნაწილი მხოლოდ ერთი დღით ჩამოდის მყინვარწვერის და გერგეტის სამების სანახავად. შესაბამისად, ყაზბეგი არის თბილისიდან „ადვილად გასასვლელი“ ადგილი - მანქანით 2.5 სთ-ის გზაზე. ყაზბეგი, ასევე არის ძალიან ახლოს რუსეთის საზღვართან, სადაც საკმაოდ ჭარბი მოსახლეობაა. ვლადიკავკაზი, 300 ათასიანი მოსახლეობით, მხოლოდ ერთი საათით არის დაშორებული სტეფანწმინდიდან. შესაბამისად, ყაზბეგი შეიძლება იყოს მცირეხნიანი გასაჩერებელი ადგილი რუსეთიდან შემოსული ტურისტე-ბისთვის[2].

ავტორის აზრით[3], დღეს, ტურიზმის განვითარება საქართველოში ქაოტურად გამოიყურება და მასობრივი ტურიზმი, ბევრი სხვა რეგიონის მსგავსად, ყაზბეგშიც ვითარდება, რაც მდგრადი ტურიზმის სრულად საპირისპირო მხარეა; საქართველოს ტურიზმის ასოციაციისა და დაცული ტერიტორიების ხააგენტოს მონაცემებით, ისევე, როგორც ავტორის მიერ ჩატრებული საქართველოში მოგზაურობისას შეთავზებული 7 დღიანი ტურების შედარებითი ანალიზისას ყაზბეგი ერთ-ერთი აქტიური ტურისტული მიმართულებაა. გასათვალისწინებელია, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში სულ 3795 მოსახლე ცხოვრობს და, 2017 წლის მონაცემებით, რეგიონს 755 080 ვიზიტორი ჰყავდა. ყაზბეგის, როგორც ტურისტული ჰაბის მნიშვნელობას ადასტურებს, ასევე, საზღვრის კვეთის მაჩვენებელიც. ამასთანავრ, ყაზბეგიდან არა მხოლოდ ტურისტები, არამედ ტრანზიტული ვიზიტორებიც შემოდიან. ნათელია, რომ აღნიშნული რაოდენობა რეგიონს ერთი დღით სტუმრობს;

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ყველაზე მოთხოვნადია დაბა სტეფანწმინდა, გუდაური და სოფელი სნო და, მეტნაკლებად, სოფელი გველეთი. ზაფხულში დატვირთულია დაბა სტეფანწმინდა, სოფელი სნო, სოფელი გველეთი, ხოლო ზამთარში – გუდაურის სამთო-სათხილამური კურორტი. ორგანიზებული ტურების ხანგრძლივობა მუნიციპალიტეტში შეაგენს – ერთი ან ორ დღეს. ადგილზე ტურისტები და ტუროპერატორები ხანგრძლივი პერიოდით გაჩერებისგან თავს მომსახურების სფეროში არსებული პრობლემების გამო იკავებს. ზოგიერთი კი საერთოდ არ სარგებლობს განთავსების ობიექტის მომსახურებით. ძირითადი დატვირთვა რეგიონში განთავსების ობიექტებიდან საოჯახო სასტუმროებზე მოდის, რომელიც უმეტესწილად ევროპელი ვიზიტორების ღამისთევის ადგილია, ხოლო რუსი და აზიელი ტურისტები უპირატესობას სასტუმროში განთავსებას ანიჭებენ. მნიშვნელოვანი პრობლემაა რეგიონში კვების ობიექტების და სასტუმროების სიმცირე, რაც ხელს

[1] ყაზბეგის განვითარების სტრატეგია 2020-2024. https://www.kazbegilag.ge/en/documents

[2] ყაზბეგის განვითარების სტრატეგია 2020-2024.

[3] გიორგი რაჯებაშვილი. მასობრივი ტურიზმის გავლენა ყაზბეგის მუნიციპალიტეტზე. ჰაინრიხ ბიოლის ფონდი; საქართველო 2020

უშლის ტურისტების გრძელვადიან გაჩერებას. კვების ობიექტების შემთხვევაში მწვავედ დგას პროდუქტის/მომსახურების დაბალი ხარისხის პრობლემა, რაც გამოწვეულია კვალიფიციური კადრების ნაკლებობით როგორც მომსახურების, ისე მართვის კუთხით. საოჯახო სასტუმროებში კი მთავარი პრობლემა კომფორტის ნაკლებობაა (კონდიცირება, ინდივიდუალური სველი წერტილები ოთახებში და ა.შ.). ძირითადი დატვირთვა ყაზბეგში მდებარე სასტუმრო „რუმსზე" მოდის, ვინაიდან, რესპონდენტთა თქმით, ეს ერთადერთი განთავსების საშუალებაა რეგიონში, რომელიც სექტორის მაღალ სტანდარტებს აკმაყოფლებს. ზამთარში კი დატვირთვა გუდაურის სასტუმროებზეც ნაწილდება. ტურისტული კომპანიები აცხადებენ, რომ კვების ობიექტების არასახარბიელო მდგომარეობის (მომსახურების და პროდუქტის დაბალი ხარისხის) მიუხედავად, იძულებული არიან, ადგილზე არსებული კვების ობიექტების მომსახურებით ისარგებლონ. თუმცა ევროპის ბაზრებზე მომუშე კომპანიები უმეტესწილად უპირატესობას საოჯახო სასტუმრობში კვებითი მომსახურების მიღებას ამჯობინებენ, რაც პროდუქტის მაღალი ხარისხის და, ამავდროულად, ადგილობრივი ტრადიციების გაცნობის კარგ საშუალებას იძლევა[1].

რეგიონში მცირეა დივერსიფიცირებული ტურისტული პროდუქტით სარგებლობის შესაძლებლობა და საჭიროებს დამატებას/გამრავალფეროვნებას. (მაგ, გიდეი-გამყოლებით, აგროტურისტული მეურნეობებით, ფოლკლორული საღამოებით, ფესტივალებით, სათავგადასავლო აქტივობებით, კულინარიული მასტერკლასებით, მარკირებული საფეხმავლო მარშრუტებით, ცხენების გაქირავებით, ჯიპ-ტურებით და სხვა). დაბალია ადგილობრივ მოსახლეობაში ცნობიერების დონე და მწირია უნარ-ჩვევები. თუმცა, აღსანაიშნავია რესურსების ნაკლებობაც.

მუნიციპალიტეტში არსებულ სუპერმარკეტებსა თუ მცირე მაღაზიებში არ გვხდება ადგილობრივი სურსათი. ისინი, ძირითადად თბილისიდან მარაგდება. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი საკვები ობიექტების მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა; ვერსად შეხვდებით თემატურ (მათ შორის, ვეგეტარიანულ/ვეგანურ) სამზარეულოებს, ბარებს), გარდა დიდ სასტუმროებში (სტეფანწმინდასა და გუდაურში) განთავსებული კვების ობიექტებისა. ასევე, ნაკლებად არის წარმოდგენილი ადგილობრივი სამზარეულო. იშვიათად შეხვდებით ადგილს, სადაც ქართული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე დამბალხაჭოს დაგემოვნებას შეძლებდით.

და ბოლოს, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში განთავსების ობიექტები არ არის თემატური ან სამიზნე სეგმენტის ნიშნით განსხვავებული, თითქმის არ არის გათვალისწინებული საბავშვო ინფრასტრუქ-ტურა, რაც ზღუდავს რეგიონის მიმართ ამ კონკრეტული სეგმენტის მოთხოვნას. აუთვისებელია კემპინგისა და ეკოტურისტული ნიშნით პოტენციურად გამორჩეული ადგილები.

მუნიციპალიტეტში გამოკვეთილია ჭარბი ტურიზმის სხვადასხვა ნეგატიური ზეგავლენის შედეგები: ბუნებრივი რესურსების ჭარბი მოხმარება, ჰაერის დაბინძურება, მყარი ნარჩენების მნიშვნე-ლოვანი მატება, ვიზუალური დაბინძურება, ფიზიკური ზემოქმედება და, საბოლოოდ, შესაძლოა ბიოლოგიური მრავალფეროვნების დეგრადაციაც. გასათვალისწინებელია, რამდენად აისახება ადგილობრივებზე ტურიზმის სფეროდან შემოსავლები. ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი კი ისაა, რომ ზიანდება და განადგურების პირასაა სწორედ ის რესურსები, რომლებიც ტურისტული პროდუქტის ყველაზე მნიშვნელოვან, შეიძლება ითქვას, ძირითად მამოძრავებელ ფაქტორს წარმოადგენს. აღნიშნული საფრთხე უკვე სასწრაფო ინტერვენციასა და ცვლილებებს მოითხოვს, ვინა-იდან კულტურული ლანდშაფტის რღვევა არა მარტო ყაზბეგში, არამედ მიმდებარე ხეობებსა და სოფ-ლებშიც უკვე თვალსაჩინოა. მეორეული კვლევისას ნათლად გამოჩნდა, რომ ძირითადი რეკომენდა-ციები ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების პროგრამებსა და ტრენინგებს მოიცავს[2].

წალკა მდებარეობს წალკის ქვაბულში, წალკის წყალსაცავისა და მდინარე ხრა-მის ნაპირზე, ზღვის დონიდან 1482მ სიმაღლეზე, თბილისიდან 120 კილომეტრის დაშორებით. წალკის

[1] გიორგი რაჯებაშვილი. მასობრივი ტურიზმის გავლენა ყაზბეგის მუნიციპალიტეტზე. ფაინრიხ ბიოლის ფონდი; საქართველო 2020

[2] გიორგი რაჯებაშვილი. მასობრივი ტურიზმის გავლენა ყაზბეგის მუნიციპალიტეტზე. ფაინრიხ ბიოლის ფონდის; საქართველო 2020

მუნიციპალიტეტს მდიდარი ტურისტული პოტენციალი გააჩნია[1]. იგი წარმოდგენილია კულტურული მემკვიდრეობით, ბუნების ძეგლებითა და არქეოლოგიური ძეგლებით. აქ უხვადაა ციკლოპური ნასახლარები, ციხესიმაგრეების ნანგრევები, გამოქვაბულები, პეტროგლიფები, მონოლითური ქვები, ზეთსახდელების გელაზის ქვები, გვიანი თუ ადრე შუა საუკუნეების ეკლესიები, შუა საუკუნეების ხიდები, ნასოფლარები, სამარხები თუ ყორღანები. ბუნების ძეგლებიდან აღსანიშნავია დაშბაშის კანიონი, ჯამუშის ტბა, მდინარე ჩინჩილის კანიონი, ბეშთაშენის ჩანჩქერი, ხრამის წყალსაცავი. აქვე უნდა აღვნიშნოთ დაშბაშის ულამაზესი კანიონის თავზე, 240 მ სიმაღლეზე გადაჭიმული შუშის ხიდი , რაც საოცაე ემოციების ზღვას იწვევს.

მუნიციპალიტეტის ბუნებრივი და კულტურული მრავლაფეროვნება იძლევა დივერსიფიცირებული ტურისტული პროდუქტის შემუშავებისა და რეალიზაციის შესაძლებლობას;

მუნიციპალიტეტში ტურიზმის მდგრადი განვითარების საკითხები განხილულ იქნა წალკის ადგილობრივი განვითარების 2020 – 2024 წლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის[2] მიხედვით, რომელიც მომზადებულია პროექტის „ეს წალკაა“ ფარგლებში.

სამოქმედო გეგმის 2 პრიორიტეტული მიმართლებიდან - ტურიზმი და გარემოს დაცვა - ნათლად ჩანს პრობლემები მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად.

ტურიზმისა და ეკონომიკური განვითარების SWOT ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის ხელშეწყობის აუცილებლობა, რადგან უნიკალური და მრავალფეროვანი ტურისტული რესურსის შესახებ დაბალი ინფორმირე-ბულობა ფიქსირდება. წალკის ტურისტული ობიექტების შესახებ ინფორმაცია მიუწვდომელი ან მოძველებულია. მწირია რეგულარული სარეკლამო და ცნობადობის ასამაღლებელი კამპანიები; არ არსებობს ტურისტული საინფორმაციო ცენტრი, რომელიც კვალიფიციური მომსახურებების პაკეტს შესთავაზებს ვიზიტორებს. გამოკვეთილია ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტურისტული რესურსების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი ინიციატივების განხორციელების საჭიროება, მათი ინტერესისა და ტურისტულ საქმიანობაში ჩართულობის გასაზრდელად.

მნიშვნელოვანი ამოცანაა დივერსიფიცირებული ტურისტული პროდუქტების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა, რაც ტურისტთა რაოდენობის გაზრდის აუცილებელი წინაპირობაა. მუნიციპალიტეტში არსებული ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები იდეალურ პირობებს ქმნის საპიკნიკე და საკემპინგე აქტივობებისთვის, თევზჭერისთვის, საფეხმავლო, ველო და საცხენოსნო ტურებისთვის. წალკის მუნიციპალიტეტის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა შესანიშნავი საშუალებაა პილიგ-რიმული, სამეცნიერო, შემეცნებითი და არქეოლოგიური ტურიზმის განვითარებისთვის. მრავალეთ-ნიკური მოსახლეობა თავისი რიტუალებით, ტრადიციებით, სამზარეულოთი, ფოლკლორით, დღესას-წაულებით თუ რეწვით, ეთნოტურიზმისა და კულინარიული ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა. ნაყოფიერი მიწა და კლიმატი კი ეკო და აგროტურიზმით დაინტერესებული ვიზიტორე-ბისთვის საინტერესო ტურისტული პროდუქტების შექმნის შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

ხარისხიანი ტურისტული მომსახურების მიწოდებისთვის, აუცილებელია, ტურისტულ საქმიანობაში ჩართულ პერსონალს ჰქონდეს შესაბამისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები მომსახურების სტანდარტებში, უცხო ენებში, სასტუმროს/ტურისტული ობიექტის მართვაში. საყურადღებოა, რომ უმაღლესი განათლება ან პროფესიული განათლება ტურიზმის მენეჯმენტის ან სხვა რელევანტური პროფესიის კუთხით, ამ ბიზნესში ჩართულ პირებს, ძირითადად, არ აქვთ. ტურიზმში დასაქმებულები არიან ეკონომისტები, საჯარო მმართველები, სტომატოლოგები, პედაგოგები, ინჟინრები, ვეტერინარები. ახალგაზრდები, რომლებიც ამჟამად ჩართულნი არიან

[1] 18 ტურისტული ადგილი წალკაში. https://georgiantravelguide.com/ka/what-to-do/in/tsalka

[2] წალკის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2020 – 2024 https://tsalkalag.ge/app/uploads/2020/06/GE_LDS.pdf

ოჯახურ ტურისტულ ბიზნესებში, ტურიზმის მენეჯმენტში უმაღლეს განათლებას იშვიათად იღებენ[1].

ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი ადგილობრივი ტუროპერატორების არარსებობაა, რომლებიც კონტაქტების დამყარებით შეძლებდნენ შემომავალი ტურიზმის განვითარებას.

სამოქმედო გეგმაში[2] გამოიკვეთა ტურისტული ინფრასტრუქტურის (საოჯახო სასტუმროები, კვების ობიექტები, გასართობი ადგილები, ტურისტული მარშრუტები, ბილიკები და ა.შ) მოწყობის/განახლების ხელშეწყობა. ინფრასტრუქტურა შემოიფარგლება მხოლოდ ერთეული სასტუმროებით/კვების ობიექტებითა და ნაწილობრივ მოწყობილი მარშრუტებით; ამდენად, მნიშვნელოვანია კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება, რათა შეიქმნას ტურისტებისთვის მიმზიდველი გარემო. დაშბაშის კანიონის კვალდაკვალ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის სხვა ღირსშესანიშნაობების განვითარებაც, რათა ვიზიტორებს ჰქონდეთ მრავალფეროვანი არჩევანი და დიდი ხნით გაჩერდნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

სტრატეგიული სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა, რაც ასევე, უმნიშვნელოანესია ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის. აღსანიშნავია წყლის რესურსების (მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების უხვი რესურსით) მართვის გამართული სისტემის არსებობის აუცილებლობა, მაშინ როცა გამოვლენილია სასმელი წყლის პერიოდული დაბინძურების პრობლემა[3].

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მდინარე ქციის საყოფაცხოვრებო ნარჩენით დაბინძურება; ასევე, საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები გაწმენდის გარეშე ჩაედინება მდინარეებში და ჟონავს მიწაშიც, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს გარემოს; უმნიშვნელოვანესია ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და გადამუშავების პრაქტიკის დამკვიდრებაც - შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფითა და მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლების გზით; აქტუალურია, სკოლამდელი და ზოგადი განათლების საფეხურზე.

დასკვნა

ტურიზმის მდგრადი განვითარება წარმოადგენს რეალურ კომპლექსურ გამოწვევას. ის განსაკუთრებით აქტუალურია მთიანი ადგილების გამოცოცხლებისათვის; მდგრადი მიდგომა მთის ტურიზმის მიმართ ყველა ქვეყანაში აუცილებელია, რათა ხელი შეუწყოს გრძელვადიან ზრდას და შენარჩუნდეს რესურსების დაბალანსებული გამოყენება.

მთის ტურიზმის განვითარებისას მნიშვნელოვანია შემოსავლის დივერსიფიკაცია და პროდუქტებისა და სერვისების აღორძინება, მაღალი ზემოქმედების ტურისტული პროდუქტებიდან და აქტივობებიდან დაბალი ზემოქმედების, კლიმატისადმი მგრძნობიარე პროდუქტებისკენ. ახალ და ინოვაციურ პროდუქტებს შეუძლიათ მთის რაიონები მიმზიდველ ტურისტულ მიმართულებებად აქციონ და შეარბილონ სეზონურობის გავლენა. მთიანი რეგიონების მრავალ შესაძლებლობებს შორის არის გასტრონომიული ტურიზმი, თემზე დაფუძნებული ტურიზმი, ეკო და ველნეს ტურიზმი, სოფლის ტურიზმი, აგროტურიზმი და კულტურული ტურიზმი.

საქართველო ტერიტორიის 85% მთიანი ან მაღალმთიანია. რელიეფი წარმოდგენილია მაღალი, საშუალო და დაბალი მთების, ზეგნებისა და ვაკეების ერთობლიობით. საქართველო არის შთამაგონებელი მთიანი დესტინაცია, რომელსაც გააჩნია უდიდესი ტურისტული პოტენციალი; თუმცა ტურიზმის განვითარება საქართველოში ქაოტურად გამოიყურება და მასობრივი ტურიზმი მთიან რეგიონებშიც ვითარდება, რაც მდგრადი ტურიზმის სრულად საპირისპირო მხარეა; ამასთან, ეს რეალურად ემუქრება უკვე ყაზბეგის მთიან მუნიციპალიტეტს, რომელიც ქვეყვის ერთ-ერთი

[1] ადამიანების შესაძლებლობების კვლევა წალკის მუნიციპალიტეტში. თბ. 2021
http://environment.cenn.org/app/uploads/2021/03/Human-Capital-Assesment-Doc.pdf
[2] წალკის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2020 – 2024
https://tsalkalag.ge/app/uploads/2020/06/GE_LDS.pdf
[3] იქვე

უმნიშვნელოვანესი ტურისტული დესტინაციაა. მუნიციპალირეტში გამოკვეთილია ჭარბი ტურიზმის ზეგავლენის შედეგები: ბუნებრივი რესურსების ჭარბი მოხმარება, ჰაერის დაბინძურება, მყარი ნარჩენების მნიშვნელოვანი მატება, ვიზუალური დაბინძურება, ფიზიკური ზემოქმედება და, საბოლოოდ, შესაძლოა ბიოლოგიური მრავალფეროვნების დეგრადაციაც. ამას ემატება მწირი ტურისტული ინფრასტრუქტურა, ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნისა და უნარების ნაკლებობა, ერთგავროვანი ტურისტული პროდუქტები და სხვ.

რაც შეეხება წალკის მუნიციპალიტეტს, სადაც ტურიზმი ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა, მდგრადი განვითარების პრობლემების მთელი კასკადით ხასიათდება. მწირი ადამიანური კაპიტალი და ტურისტული ინფრასტრუქტურა, ტურისტულ ბიზნესში ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი ჩართულობა და დაბინძურების გამოკვეთილი მონაცემები დასაწყისშივე საფრთხეს უქმნის ტურიზმის მდგრად განვითარებას. მით უმეტეს, რომ დაშბაშის კანიონისა მიმდებარედ მოწყობილმა უახლესმა ინფრასტრუქტურამ, შესაძლოა, აქაც ტურისტების ზედმეტი რაოდენობა და ზეწოლა გამოიწვიოს, რასაც აღნიშნული ინფრასტრუქტურა ვერ გაუმკლავდება.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მუნიციპალიტეტებში გადაუდებელი საჭიროების ამოცანაა მოსახლეობის უნარების განვითარებასა და მათი გარემოსდაცვით სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა.

ქვეყანაში მდგრადი ტურიზმის განვითარება, ვფიქრობთ, უზრუნველყოფილ უნდა იქნას შესაბამისი კანონმდებლობით, რომელიც დაარეგულირებს კულტურული მემკვიდრეობის და ბუნების დაცვას/კონსერვაციას, ასევე, ტურიზმის გადასახადებს ინფრასტრუქტურისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნოდარ ელიზბარაშვილი, ჰეინო მეესენი, აშოტ ხოეციანი და სხვ. მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარება და რესურსების მართვა. თბ.2018
2. Mountains for Europe‘s Future. Swiss State Secretariat for Education, Research and Innovation, SERI and by the Austrian Federal Ministry of Science, Research and Economy, bmwfw
3. Mountain tourism–Towards a more sustainable path. FAO&UNWTO, 2021
4. მედეა მელაშვილი, ნუნუ ქისტაური, ქეთევან ქველაძე. მდგრადი ტურიზმი და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობაში. პროფ. გ. წერეთლის დაბადების 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია „ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები. მასალების კრებული. თბ. 2017
5. ყაზბეგის განვითარების სტრატეგია 2020-2024. https://www.kazbegilag.ge/en/documents
6. გიორგი რაჯებაშვილი. მასობრივი ტურიზმის გავლენა ყაზბეგის მუნიციპალიტეტზე. ჰაინრიხ ბიოლის ფონდი; საქართველო 2020
7. 18 ტურისტული ადგილი წალკაში. https://georgiantravelguide.com/ka/what-to-do/in/tsalka
8. წალკის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2020 – 2024 https://tsalkalag.ge/app/uploads/2020/06/GE_LDS.pdf
9. ადამიანების შესაძლებლობების კვლევა წალკის მუნიციპალიტეტში. თბ. 2021 http://environment.cenn.org/app/uploads/2021/03/Human-Capital-Assesment-Doc.pdf

Challenges and prospects of sustainable development of tourism in the mountainous region

Khozrevanidze Noe
Professor of Technical University of Georgia

Tamar Koblianidze
Associate Professor of Technical University of Georgia

Lela Kochlamazashvili
Professor of Technical University of Georgia

Abstract

Biological and geological peculiarities of mountain landscapes, cultural diversity of the local population, abundance of natural and thermal springs - this is an incomplete list of the uniqueness of the mountain. The mountains are important tourist destinations that attract visitors for their scenic beauty, sporting opportunities and rich cultural heritage. Tourism provides socio-economic development and income growth opportunities for rural mountain communities; In addition, tourism is associated with negative impacts, which are manifested in the impact on ecosystems, pollution and loss of biodiversity, and the impact on the social and cultural environment of mountain communities is also important. What unsustainable development of tourism causes. Tourism has the potential to contribute to the achievement of many of the 17 Sustainable Development Goals (SDGs) and can also make a significant contribution to achieving the SDGs in mountainous regions. Sustainable planning principles provide a system that is designed and developed by all stakeholders in the community to ensure that the entire community benefits. Sustainable tourism development should improve livelihoods, preserve culture and protect the environment.

The paper discusses the challenges and perspectives of sustainable development of tourism in the two mountain municipalities of Georgia based on the analysis of secondary information.

Key words: mountain, sustainable tourism, strategy, Kazbegi, Tsalka.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისა და ევროკავშირის ურთიერთობების საკითხები

ჯაგოდნიშვილი ანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საქართველო, როგორც სამხრეთ კავკასიის რეგიონი ქვეყანა, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, თანამედროვე მსოფლიოს აარერთი ქვეყნის ინტერესების სფეროშია მოქცეული, რადგან ამ რეგიონში გადაიკვეთება, ერთ მხრივ, შავი ზღვის აუზის, კასპიის ზღვის აუზის სახელმწიფოების, მეორე მხრივ ევროპისა და აფრიკის კონტინენტების ქვეყნების სტრატეგიული ეკონომიკური ინტერესები.

ფაქტია, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში, მათ შორის საქართველოში არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფიოს ტრანსნაციონალურ პროცესებზე.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის განვითარებას აბრკოლებს არსებული ეთნოკონფლიქტები (მთიანი ყარაბახის, სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის). დასავლეთი, მათ შორის ევროკაშირი ამ პრობლემების გადაჭრაში ნომინალურ როლს თამაშბს, თუმცა ევროკავშირი დაინტერესებულია სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობით.

ევროსაბჭოს 2003 წლის დეკემბერში მიღებული ევროპული უშიშროების სტრატეგიით სამხრეთ კავკასია ის რეგიონია, რომელთან დაკავშირებითაც ევროკავშირის ინტერესი ძლიერი და აქტიური უნდა იყოს.

ევროკავშირის წინაშე მდგრადი სერიოზული გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს ევრიკავშირთან უფრო მეტი დაახლოების პოლიტიკას ახორციელებს და მისი მისწრაფებები ამ მხრივ ბევრად დიდია, ვიდრე ევროპაში თავისუფალი მიმოსვლა ვიზალიბერალიზაციის წყალობით.

საკვანძო სიტყვები: ვეროკავშირი, სამხრეთ კავკასიის რეგიონი, ეთნოკონფლიქტები, პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესები, ვიზალიბერალიზაცია

ძირითადი ტექსტი

გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო სამხრეთ კავკასიის უმნიშვნელოვანესი რეგიონა. იგი საკმაოდ ბევრი ქვეყნის ინტერესების არეშია მოქცეული, რადგან აქ გადაიკვეთება არა მარტო შავი და კასპიის ზღვების აუზის ქვეყნების, არამედ ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნების სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესებიც. სამხრეთ კავკასიაში არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო ტრანს-რეგიონალურ პროცესებზეც, მათ შორის ევროატლანტიკური სივრცის ვითარებაზე. აღნიშნულის მაგალითია ნატოს გეო- ეკონომიკური ინტერესები. ამ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებები ცხადყოფს, რომ კავკასია ნატოს „მოწინავე თავდაცვის“ სტრატეგიის ტერიტორიადაც განიხილება.

სამხრეთ კავკასიის ქვეყანებში პოლიტიკური სიტუაცია მუდმივად დაძაბულია. ამას ხელს უწყობს სამი ფაქტორი: გლობალური - გარე ძალების უდიდესი ინტერესი რეგიონისადმი; შიდა რეგიონალურ-ტერიტორიული პრეტენზიები, სამი გაყინული კონფლიქტი; შიდაპოლიტიკური განვითარების უარყოფითი დინამიკა.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამომავლო განვითარების ნებისმიერი გზა უშუალოდ უკავშირდება არსებული ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირების; აქ ყველაზე მნიშვნელოვანია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი. მიუხედავად საერთაშორისო ორგანოების მცდელობისა, კონფლიქტის მონაწილე ქვეყნებისთვის კონფლიქტის მოგვარების ყველა შეთავაზება უშედეგოა, რადგან ვერ ხერხდება მხარეთა პოზიციების შეთანხმება. სიტუაციის ასეთ დაძაბულობას ისიც განაპირობებს, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობები კონსენსუს ვერ აღწევენ. კონსენსუსის მიღწევა კი აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ დღეს დასავლეთი აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში ნომინალურ როლს თამაშობს, ცდილობს ფორმალური და მოკრძალებული მოლაპარაკებების გამართვით

შემოიფარგლოს. რეგიონის წინაშე გარდა ყარაბაღის პრობლემისა ისეთი გამოწვევებიც დგას, როგორიცაა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში არსებულ სიტუაციები.

საქართველოს პოლიტიიკა იქითკენაა მიმართული, რომ კონფლიქტის ზონებში შეასუსტოს რუსეთის გავლენა და გაამლიეროს მეგობარი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენა. ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა თავად სამხრეთ კავკასიის სამ რესპუბლიკას ეკისრება, ვინაიდან სწორედ მათ იწვნიეს თავიანთ თავზე დიდი პოლიტიკური თამაშების კატასტროფული შედეგები; აქედან გამომდინარე მათ უნდა გაიცნობიერონ პასუხისმგებლობა საკუთარი ხალხის წინაშე და პრობლემის მოგვარების ყველაზე ოპტიმალური და ყველა მხარისათვის მეტ-ნაკლებად მისაღები გადაწყვეტილებები შეიმუშაონ. ეს განსაკუთრებით საშური საქმე ხდება იმის გათვალისწინებით, რომ მათი შიდა დაპირისპირება მთელ რეგიონზე ახდენს უარყოფით დამოკიდებულებას და ისეთ გარე პოლიტიკურ ინტერესებზე ასხამს წყალს, რომელიც საზიანოა სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოსთვის.

აღნიშნულ კონტექსტში ყარაბაღის კონფლიქტი ის კვანძია, რომლის გახსნა, მონდომების შემთხვევაში, შიდა ძალებითაა შესაძლებელი, რადგანაც მონაწილე მხარეები სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებია. მართალია ამ კონფლიქტზე გარეშე ძალების ინტერესებიც ახდენს გავლენას, მაგრამ აზერბაიჯანისა და სომხეთის კეთილი ნების შემთხვევაში, მესამე ძალა ღია დაპირისპირებაზე ვერ წავა.

კონფლიქტის მოგვარების პრეცედენტს მესამე ძალის ჩარევის გარეშე დიდი მნიშვნელობა ექნება არა მარტო რეგიონის პოლიტიკური პროცესების შემდგომი განვითარებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში - ანუ თუ სიტუაციის მესამე მხარის ჩარევით დარეგულირების იმედზე დარჩებიან, მაშინ პრობლემა კიდევ დიდი ხნის განმავლობაში დარჩება გადაუჭრელი.

განსხვავებული ვითარებაა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებში - აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რადგან იქ პრობლემის მოგვარება საქართველოს შიდა რესურსებით შეუძლებელია, ვინაიდან საქმეში თავისი საოკუპაციო მექანიზმით ჩარეულია რუსეთი.

ევროკავშირი ძალზე დაინტერესებულია სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობითა. ევროპული საბჭოს მიერ 2003 წლის დეკემბერში მიღებული ევროპული უშიშროების სტრატეგია სამხრეთ კავკასიას ერთ-ერთ იმ რეგიონად მიიჩნევს, რომელთან დაკავშირებითაც ევროკავშირმა „უფრო ძლიერი და აქტიური ინტერესი“ უნდა გამოავლინოს.

ევროკავშირს სურს, დაინახოს, რომ რეგიონის ქვეყნებში გაძლიერდეს, საიმედო და დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების პატივისცემა, აგრეთვე, წარმატება საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში.

ევროკავშირის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში და მისი როლი ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებით ფასდება.

სამხრეთ კავკასიის რეგიონს ევროკავშირის მმართველ წრეებში განსხვავებულად ხედავენ: ერთნი რეგიონში ევროკავშირის ღირებულებების (დემოკრატია, საბაზრო ეკონომიკა, სოციალური კეთილდღეობა) დაცვაზე აკეთებენ აქცენტს, მეორენი გაფართოებასა და ახალ ენერგომოთხოვნილებებს ეკიდებიან მეტი ყურადღებით. სხვანი რუსეთის გავლენას რეგიონში საფრთხედ მიიჩნევენ, ზოგნი კი პოზიტიურ ფაქტორად აფასებენ. არიან ისეთებიც, ვინც ევროკავშირის როლს რეგიონში ტექნიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებაზე დამყარებულ პირველ საერთაშორისო დონორობაში მოიაზრებენ, ზოგნი კი - პოლიტიკურ და ეკონომიკურ გავლენაში ხედავენ. განსხვავებულ მიდგომათა გამო, არ არსებობს ერთიანი სტრატეგია, რასაც მოსდევს ევროკავშირისა და სხვადასხვა წევრ ქვეყანათა ინტერესების შეუთანხმებლობა.

განსხვავებულია ხედვა ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტებშიც. განსხვავებულია ევროკავშირის ინსტიტუტებში მომუშავე ჩინოვნიკების მოსაზრებაც რეგიონში ევროკავშირის როლთან დაკავშირებით; მიუხედავად ამისა, ევროკავშირის მხრიდან სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ჩართვა სხვადასხვა პროგრამებში და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები ცხადჰყოფს, რომ ევროკავ-შირისთვის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს დემოკრატიული ღირებულებები და თანამშრომ-

ლობის ხარისხი, რაც საერთო ფასეულობებისადმი პარტნიორი სახელმწიფოების ერთგულებაზეა დამოკიდებული.

ევროკავშირის წინაშე მდგარი სერიოზული გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს საგარეო პოლიტიკური მისწრაფება ევროკავშირთან უფრო მეტი დაახლოებაა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი მოვლენაა ევროკავშირის მიერ განხორციელებული ვიზალიბერალიზაციის პოლიტიკა.

ვიზალიბერალიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას ცალსახად პოლიტიკური დატვირთვა აქვს და საქართველოს დეკლარირებული საგარეო პოლიტიკური მიზნის განხორციელებაში გზაზე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. საქართველოს მოქალაქეებისთვის დაუბრკოლებელი გადაადგილება ევროპულ სამყაროში ნიშნავს ევროპული ბაზრის ათვისების გაზრდილ შესაძლებლობას, ურთიერთობების დამყარებასა და განვითარებას.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური მისწრაფებები ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ევროპაში თავისუფალი მიმოსვლა. ვიზალიბერალიზაციის ოფიციალურად ძალაში შესვლის შემდეგ ყველაზე აქტუალურ საკითხს ევროკავშირთან პარტნიორობის შემდეგი ეტაპი წარმოადგენს. საქართველო არ აპირებს ვიზალიბერალიზაციით შემოფარგვლას და ევროკავშირში გაწევრიანებისთვის იღწვის. თუმცა, ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გამოკვეთილი, თუ როგორი უნდა იყოს საქართველოს სამოქმედო გეგმა წევრობის საბოლოო მიზნის მისაღწევად: პოლიტიკის წარმართვა უკვე არსებული თანამშრომლობის ფორმატების ფარგლებში, თუ ახალი ფორმატების შექმნაზე მუშაობა და მათი შემდგომი ინსტრუმენტალიზაცია.

დასკვნა

ევროპის პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და სავაჭრო სივრცესთან დაახლოებასთან ერთად, საქართველო ევროკავშირთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობისა და ევროკავშირში გაწევრიანებისთვის იბრძვის, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის წარმომადგენლების ხედვით ასოცირების ხელშეკრულება არ მოიცავს გაწევრიანების პირობას და მაინც; როგორც სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტები ცხადჰყოფს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზანს ევროკავშირის წევრობა წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სიბრენ დე იონგი, "ევრაზიული ეკონომიკური კავშირი და ევროკავშირი", ევროპული პოლიტიკის ანალიზი სექტემბერი, No. 11 (2016): 12.
2. ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში „მითები ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების (AA) და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ (თბილისი, საქართველო, 2014)
3. ჰეკე, სტივენ ვან და თეონა ლავრელაშვილი, "საქართველო მზადაა 2024 წელს წევრობაზე განაცხადის გაკეთებისთვის - ევროკავშირიც მზადაა?, *Www.euractiv.com*, იანვარი 2021.
4. კვარაცხელია ე. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები. თბილისი, თსუ, 2018.
5. ჩიტაძე ნ, გეოპოლიტიკა, თბილისი გამომცემლობა"უნივერსალი" 2011;
6. კაპანაძე ს, ევროკავშირის პოლიტიკა, თბილისი 2006.

Issues of relations between the countries of the South Caucasus and the European Union

Anna Jagodnishvili
Georgian Technical University

Abstract

Georgia, as a country in the South Caucasus region, due to its geopolitical location, is in the sphere of interests of many countries of the modern world, because in this region, on the one hand, the strategic economic interests of the states of the Black Sea basin, the Caspian Sea basin, and on the other hand, the countries of the European and African continents intersect.

It is a fact that the current situation in the South Caucasus region, including Georgia, has a significant impact on the transnational processes of the world.

The development of the South Caucasus region is hindered by the existing ethno-conflicts (of Nagorno-Karabakh, South Ossetia, Abkhazia). The West, including Eurocash, plays a nominal role in solving these problems, although the European Union is interested in stability in the South Caucasus.

According to the European Security Strategy adopted by the European Council in December 2003, the South Caucasus is a region in which the EU's interest should be strong and active.

Despite the persistent serious challenges facing the European Union, Georgia pursues a policy of greater rapprochement with the European Union, and its aspirations in this regard are much greater than free movement in Europe thanks to visa liberalization.

Key words: Union, South Caucasus region, ethno-conflicts, political-economic interests, visa liberalization

პროექტის მართვის სისტემურ ანალიზში ციფრული კომუნიკაციის ეფექტიანობის მახასიათებლები და სრულყოფილი ფუნქციონირების შესაძლებლობები

ჯიქია ანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში ახსნილია და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული პროექტის მართვის პროცესში ის სისტემური მიდგომები, რომელიც ციფრული კომუნიკაციის ეფექტიანი ფუნქციონირების მახასიათებ-ლების გამოყენებით არის შესაძლებელი. როცა პროექტი არის კონკრეტული მიზნის შესრულებაზე ორიენტირებული, მართვის გამარტივებულ საშუალებებს და შესაძლებლობებს იძლევა ციფრული კომუნიკაციების ყველა საშუალებების გამოყენება. რეკომენდაციის სახით მოყვანილია ცენტრალიზე-ბული კომუნიკაციების არსებობის შემთხვევაში, სტრუქტურისა თუ ქვესტრუქტურის საქმიანობის გამარტივებული საშუალებების გამოყენების მოდელი. ახსნილია ცენტრალიზებული კომუნიკაციების მთავარი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ცალკეული საინფორმაციო ქვესისტემების გაერთიანებას და გამოისახება სტანდარტების სახით, რაც ყველა ქვეგანყოფილებისათვის მოქმედი ტექნიკური კანონის ძალას იძენს.

კვლევის მეთოდებზე დაყრდნობით ნაშრომში ახსნილია აქტუალური ამოცანების გადაწყვეტის გზები, ის თუ როგორ მარტივდება მართვა ცენტრალიზებული კომუნიკაციის მეშვეობით, რაც ხელ უწყობს საქმიანობის მიზნებზე ორიენტირებას და აერთიანებს ყველა შესაძლებლობების ბაზებთან საინფორმაციო სისტემების გამოყენებას.

საკვანძო სიტყვები: პროექტი, საკომუნიკაციო, კომპანია ,მართვა.

ძირითადი ტექსტი

პროექტების მართვაში გამოყენებული ციფრული კომუნიკაციის შესაძლებლობები იმით არის დადებითი მოვლენა, რომ მისი უზრუნველყოფის სახეები წარმოადგენს მეთოდებისა და საშუალებების ერთობლიობას, რომელიც დაირთავს კლასიფიკაციისა და კოდირების სისტემებს, დოკუმენტაციის უნიფიცირებულ სისტემებს, დოკუმენტების ბრუნვის რაციონალიზაციასა და დოკუმენტების ფორმებს, მონაცემთა ბაზის შექმნის სისტემებს.



თავისთავად კი ეს წარმოდგენილია, როგორც პროექტის შემადგენელი ყველა კომპონენტის ინფორმაციული უზრუნველყოფა, რის საფუძველზეც უკვე გადაწყვეტილების ჭრილში ყველა საშუალებების ალგორითმის გათვლა ხორციელდება უნიფიცირებული პროგრამის დახმარებით, ყველა გათვლების და სავარაუდო შედეგზე გასვლის მიზნით. პროექტის მართვის ყველა დეტალის გათვალისწინება ამავდროულად მოითხოვს ციფრული კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებების კომპლექსურ გამოყენებას და ყველა დეტალის აპარატურულ დონეზე გამართულობას, რათა სრული და ოპტიმალურ შედეგზე გასვლის საშუალებებში ფიზიკური მტყუნებების ალბათობები იყოს შემცირებული. ეს თავისთავად პროექტის მართვის პროცესში, ყველა კომპონენტის სრულად ასახვის საიმედო მიდგომაა. როდესაც სისტემურად ვიხილავთ მართვის საკითხს პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებულ საწყის ეტაპზე, ფუნქციური შესაძლებლობების მთავარი ასპექტი არის სამართლებ-

რივი უზრუნველყოფა, რომელიც წარმოადგენს სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, ხდება საინფორმაციო ერთიანი სისტემების შემუშავება და ფუნქციონირების რეგლამენტირება, ისინი მოიცავენ დამკვეთსა და შემსრულებელს შორის სახელშეკრულებო ურთიერთდამოკიდებულების ნორმატიულ აქტებს. სამართლებრივი უზრუნველყოფა დაირთავს ურთიერთობის იურიდული ძალის მინიჭებას, რომელსაც ციფრული უნიფიცირებული კოდი აქვს და შეინახება თანდართულ იურიდიულ დოკუმენტაციასთან ერთად.[6] გასათვალისწინებელია ლინგვისტური ენობრივი საშუალებების ერთობლიობა, რომლის გამოიყენებაც ციფრულ ფორმატში წარმოდგენილ და ქსელში გადასაცემად უკვე გამზადებულ პროექტებისათვის ექსპლუატაციის სხვადასხვა სტადიაზე დამუშავების ეფექტიანობის ასამაღლებლადაა საჭირო და პერსონალს უადვილებს საკომუნიკაციო საშუალებებთან ურთიერთობას. ეს გახლავთ უნიფიცირებული კომუნიკაციის სისტემა,



უნიფიცირებული კომუნიკაციის სისტემა

რომელიც კომუნიკაციის ერთიან-ინტეგრირებულ სისტემად მოიაზრება. ტექნოლოგიების ინტეგრაციის ასეთი მიდგომა მუდმივი კავშირის შესაძლებლობას იძლევა ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან და ნებისმიერი მოწყობილობიდან. განსხვავებით ცალკე მდგომი სისტემებისგან, უნიფიცირებული კომუნიკაციის სისტემას დამატებით შეუძლია გაამარტივოს დაკავშირება და გაზარდოს ეფექტიანობა, კავშირის მომენტისთვის ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიის გამოყენების გზით.

ბიზნესის ინტერესებიდან და მოთხოვნიდან გამომდინარე, ასეთი სახის კავშირებით შესაძლებელია სარგებლობა მრავალფეროვანი ფუნქციონალით. მათგან გამოყენებაში ყველაზე მეტად პოპულარულია უნიფიცირებული შეტყობინებათა კონტაქტ ცენტრის შესაძლებლობების გამოყენება და პროექტების მართვაში თანამედროვე კომუნიკაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მისი მეშვეობით ხორციელდება როგორც ინფორმაციის ავტომატური განაწილება, ასევე წინასწარგანსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად მათზე განსხვავებული სერვისების მინიჭება.[7]კონტაქტ ცენტრში წარმოებს არა მარტო ინფორმაციის გადანაწილების კოლექტიური მომსახურება, არამედ კომუნიკაციების თანამედროვე ინტელექტუალური სისტემების საშუალებათა გამოყენება.

ხარისხის კონტროლის მიზნით და მართვაში ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია შემოსული ინფორმაციის სრული ან შერჩევითი ჩაწერა. ჩაწერილი საუბრების ბაზა პროექტში ჩართულ კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას გამოიყენონ იგი ანალიზის, სამხილისა თუ სხვა სასურველი მიზნისათვის.[3] ეს ტექსტური ბუფერული სისტემა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება კომპანიებს შორის კომუნიკაციაში. თანამშრომლის მიმდინარე ან დასრულებულ საქმიანობაზე ხელმისაწვდომობის ველი კომუნიკაციის ეფექტიანობის ხარისხს მნიშვნელოვნად ზრდის. სტატუსის ცოდნა ხელს უწყობს დაკავშირების ოპტიმალური მეთოდის არჩევას, ხოლო მისი ინტეგრაცია უნიფიცირებული კომუნიკაციის სისტემის სხვა კომპონენტებთან–არჩევანის გაკეთების ავტომატიზირებას და

დაკავშირების ოპერატიულობას ზრდის.[2]

აღსანიშნავია, რომ თუ პროექტს გააჩნია დამოუკიდებლობის საკმაოდ მაღალი ხარისხი და ამავდროულად ორიენტირებულია კონკრეტული მიზნების შესრულებაზე, ამ მიზნების შესრულებისათვის იგი საჭიროებს ნებისმიერი სახის ინფორმაციის დაუყოვნებლივ ფლობას და ამ ინფორმაციის მართვის შესაძლებლობას მის შემადგენლობაში მყოფი ყველა სტრუქტურისა თუ ქვესტრუქტურის საქმიანობის შესახებ. ასეთი კოორდინაციის არსებობა შესაძლებელია მხოლოდ ეფექტიანი ცენტრალიზებული კომუნიკაციების არსებობის შემთხვევაში.

ცენტრალიზებული კომუნიკაციების მთავარ ფაქტორს წარმოადგენს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა. იგი განსაზღვრავს ცალკეული საინფორმაციო ქვესისტემების გაერთიანებას რაც სისტემაზე და მის არქიტექტურაზე საერთო შეხედულების ჩამოყალიბების, მისი განსაზღვრისა და აღწერისათვის საერთო ენის შექმნის საშუალებას იძლევა. რაც გამოისახება სტანდარტების სახით და რომელიც ყველა ქვეგანყოფილებისათვის მოქმედია.

ცენტრალიზებული კომუნიკაცია უზრუნველყოფს აქტუალური ამოცანების გადაწყვეტას და მიზნების მიღწევას, რაც ერთ მთლიანში აერთიანებს ყველა ობიექტის საინფორმაციო სისტემებს, პროექტირდება ერთ კოორდინატთა სისტემაში, რომლის საფუძველს წარმოადგენს სისტემურ–ტექნიკური ინფრასტრუქტურა, სისტემური ფუნქციონალობა და საექსპლუატაციო მახასიათებლები.

ფუნქციონალური თვალსაზრისით ასეთი სახის კომუნიკაცია პროექტების მართვაში არის ეფექტიანი გარემო აქტუალური ინფორმაციის გადასაცემად, რომელიც გადაწყვეტილებათა მისაღებადაა საჭირო. სისტემურ–ტექნიკური თვალსაზრისით კი წარმოადგენს ერთ მთლიან სტრუქტურას, რომელიც რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი დონისაგან შედგება.[4]

როდესაც დგება საჭიროება, რომ გამოვიყენოთ თუ არა ასეთი სახით ცენტრალიზებული კომუნიკაცია, ერთ–ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს ტიპიური გადაწყვეტილებებისა და სტანდარტული უნიფიცირებული კომპონენტების მაქსიმალური გამოყენება. რასაც მიეკუთვნება ინდივიდუალური სამუშაოს ავტომატიზაციის საშუალებები, რომლებიც გამოიყენება პროექტის მართვის პროცესში და ორიენტირებულია თემატური ამოცანების გადაწყვეტაზე, რაც წარმოადგენს ლოკალიზებულ პროგრამულ პროდუქტს, მარტივია ასათვისებლად, გამოსაყენებლად და ორიენტირებულია საბოლოო შედეგზე.

პროექტების მართვისთვის საკომუნიკაციო სისტემა უნდა ფლობდეს ღია ინფრასტურქტურას და მთავარ მახასიათებლებად უნდა გააჩნდეს - მწარმოებლურობა, მასშტაბურობა, უსაფრთხოება და მართვადობა. გლობალური კონკურენციისა და დინამიკური ბიზნეს გარემოს პირობებში გადარჩენისა და განვითარებისათვის ყოველი ახალი პროექტი საჭიროებს ოპტიმალურად ორგანიზებულ პროცესებს. რაც მნიშვნელოვანია სწრაფად და სწორად მოახდინოს რეაგირება გარემო პირობების ცვლილებაზე, რისთვისაც კომპანიას უნდა გააჩნდეს ერთიანი საფუძველი, რომელიც უზრუნველყოფს მიზანმიმართულ მოქმედებას. მართვაში ფორმალიზებული მეთოდების გამოყენება საშუალებას იძლევა უფრო ზუსტად განსაზღვროს მიზნები და ოპტიმალურად დაგეგმოს მოქმედების სქემა, გაითვალისწინოს საპროექტო რისკები, ოპტიმალურად გამოიყენოს არსებული რესურსები, გააკონტროლოს შედგენილი გეგმის შესრულება, გააანალიზოს ფაქტიური მონაცემები, დააგროვოს და შემდეგში გამოიყენოს მსგავსი პროექტების მართვისას.

ციფრული კომუნიკაციების სისტემის გამოყენების მთავარ უპირატესობებს პროექტების მართვაში წარმოადგენს: პროექტების მართვის პროცედურის რეგლამენტირების საშუალება; პროექტის დროის, რესურსების და ღირებულების პარამეტრების მათემატიკური მეთოდების გამოყენება; გრაფიკის მიხედვით სამუშაოს, რესურსებისა და ღირებულებების შესახებ ინფორმაციის ცენტრალიზებული შენახვა; სწრაფი ანალიზის საშუალება სხვადასხვა სახის ცვლილებების დროს; მაკონტროლირებელი სტრუქტურის შემუშავება; პროექტების რისკების მართვა და აღრიცხვა; ანგარიშების, დოკუმენტებისა და გრაფიკული დიაგრამების ავტომატიზებულად გენერაციის საშუალება; პროექტების არქივისა და დაგროვილი ცოდნის გამოყენების მხარდამჭერი უზრუნველყოფები.

ციფრულ საკომუნიკაციო სისტემებს პროექტის მართვისას უნდა წაეყენოს ფუნქციონალური

მოთხოვნები: ინფორმაცია ყველა შესაძლო ვარიანტზე ბიზენსის განვითარების სტრატეგიის შესახებ; ბიზნესის კონკრეტული აღწერა; საწარმოს ფორმალიზებული აღწერა.

დასკვნა

კომუნიკაციის სისტემა უმნიშვნელოვანესი კომპონენტია და უნიფიცირებულია პროექტის მართვის ყველა შესაძლებლობებისათვის. მყისიერი შეტყობინების სისტემის ბაზა აადვილებს ინფორმაციის მომენტალურ გაცვლას, რაც დიდწილად ამაღლებს კოლექტიური მუშაობის ხარისხს, ხოლო თანამედროვე სისტემებში ჩაშენებული კომუნიკაციის შესაძლებლობები, კომუნიკაციების ეფექტიანობის მაქსიმალურ ზრდას უწყობს ხელს.

წარმოდგენილი სისტემები ორიენტირებულია პროექტის მართვის შესაძლებლობებსა და მიზნებზე. სისტემების თეორიისა და სისტემის განაწილებული ხასიათის გათვალისწინებით შეგვიძ-ლია დავასკვნათ, რომ მის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ცენტრალიზებული კომუნიკაციებისა და კოორდინაციის პრინციპი ნაშრომში მოყვანილი ყველა მახასიათებლებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Jack R.Meredith, Samuel J., Mantel Jr., Scott M. Shafer, Project Management: A Managerial Approaach, Winston-Saiem, North Carolina, 2014.
2. Erik W. Larson,Clifford F.Gray, ProjectManagement:the-Managerial Process, 6 th .Edition, Mc Graw-Hill Education, 2013.
3. Young, Trevor L., "The Handbook of Projekt Manajemen" Kogan Page Ltd, 2001. 16. Стенли Э. Портни, Управление проектами для "чайников," М., 2008.
4. Барри Пирсон, Нил Томас, Магистр делового администри рования, краткий курс, Москва., 2002.
5. Майкл В., Управление проектами для профессионалов. "КУДИЦПРЕСС" 2008.
6. Ашманов И. Жизнь внутри пузыря. Неформальное руководство менеджера по выживанию в инвестируемом проекте. Мос., 2007.
7. Иванов В., Ливерзон В., Изучение MS Hroject за 1 день, 2007. 7. Валерьевич В., Управление проектами в Microsoft Project Учебни курс, 2007.

Characteristics of the efficiency and capabilities of digital communication in system analysis of project management

Jikia Ana

Assistant-professor of Georgian Technical University.

Abstract

Systematic approaches in the project management process, which are possible by using the features of effective functioning of digital communication, are explained and clearly established in the work. When the project is focused on the fulfillment of a specific goal, the use of all means of digital communications provides simplified management tools and opportunities. In the form of a recommendation, in the case of the presence of centralized communications, a model of the use of simplified means of activity of the structure or substructure is provided. The main factor of centralized communications is explained, which determines the unification of separate information subsystems and is expressed in the form of standards, which acquire the force of a technical law valid for all subdivisions.

Based on research methods, the paper explains the ways of solving current tasks, how management is simplified through centralized communication, which helps to focus on activity goals and combines all capabilities with the use of information systems.

ციფრული კლასტერის უპირატესობები თანამედროვე მენეჯმენტში

ჯოლია გურამ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბრალავა ანზორ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

ციფრული ტექნოლოგიების გავლენით ფორმირდება ციფრული კლასტერი, რითაც მწარმოებელთა და მათი მომსახურე დარგების (საწარმოების, ორგანიზაციების) ლოკალური კონცენტრაციის ტრადიციული მიდგომა ახალ განზომილებაში გადადის - ტერიტორიულ-გეოგრაფიული ნიშნით თავმოყრილი და ურთიერთდაკავშირებული სხვადასხვა სტრუქტურის ურთიერთკონკურენციულ-თანამშრომლობითი მოდელი უსაზღვროდ ფართოვდება, იცვლება კლასტერის წევრთა კომუნიკაციის ფორმები და პირობები, ყალიბდება საქმიანი ურთიერთობის ციფრული კულტურა, იცვლება ადამიანთა ცნობიერება, მცირდება მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან, ინვესტორებთან ურთიერთობის ხარჯები, ვითარდება დისტანციური დასაქმება, ინერგება ერთობლივი მოხმარების ეკონომიკა, ფრილანსინგი, ელექტრონული კომერცია და სხვ.

გარდა ამისა, ციფრული კლასტერის მონაწილეთა შორის ფორმირდება არა მარტო საბაზრო (კონკურენციული), არამედ მასთან ორგანულად შერწყმული ნდობით-თანამშრომლობაზე დაფუძნებული საქმიანი კომუნიკაციის პლატფორმული ფორმატი, როგორც დაინტერესებული ეკონომიკური აქტორების ერთობლივი ურთიერთობის პროგრესული წარმონაქმნი, მიმართული ინოვაციური განვითარების უზრუნველსაყოფად და დასახული საერთო მიზნების მისაღწევად.

ციფრული კლასტერის უპირატესობებიდან საყურადღებოა: სასარგებლო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის არეალის გაფართოება, არაცხადი (ლატენტური) ცოდნის გაცვლის დიდი შესაძლებლობები და Hi-Tech პროდუქციის ინფორმაციული დამუშავების ცენტრის მატერიალური წარმოების დისლოკაციისაგან განცალკევება.

საკვანძო სიტყვები: ციფრული კლასტერი, ინფორმაციული ტექნოლოგიები, კონცენტრაცია, კონკურენცია, მენეჯმენტი.

ძირითადი ტექსტი

ზოგადად, ტრადიციული კლასტერი არის ტერიტორიული ადგილმდებარეობის ნიშნით თავმოყრილი და ურთიერთდაკავშირებული სხვადასხვა დარგის საწარმოებისა და ორგანიზაციების ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთთან კონკურენციისა და თანამშრომლობის პირობებში იტერატიურად (მრავალგზის) წარმართავენ რაიმე სამეურნეო საქმიანობას, რითაც აძლიერებენ როგორც ერთმანეთს, ისე კლასტერს.

მართვის კლასტერული მოდელი (მეთოდი) ეფუძნება საწარმოებისა და ორგანიზაციების სივრცითი კონცენტრაციის შედეგად ისეთი დადებითი ეფექტების მიღებას, როგორიცაა წარმოების მასშტაბიდან მიღებული ეკონომია, სინერგია, არაცხადი ცოდნის გაცვლა, შრომითი, ფინანსური და ინტელექტუალური რესურსების ოპტიმალური გამოყენება და სხვ.

კლასტერული მოდელი მიჩნეულია მართვის ორგანიზაციის ოპტიმალურ ტექნოლოგიად, რითაც კონკრეტული ტერიტორიის კონკურენტუნარიანობის დონე მაღლდება, როგორც მთლიან, ისე მისი ცალკეული სტრუქტურების მიხედვით.

კლასტერის პირობებში ფორმირდება საქმიანი კომუნიკაციის პროგრესული ფორმა - თანამშრომლობასთან ორგანულად შერწყმული კონკურენციული ურთიერთობის მართვის ეკონომიკური მოდელი, რომელშიც მისი თითოეული მონაწილე შინაგანად მეტად დაცულია. ეცნობა რა ნოვატორთა მიღწევებსა და პროგრესულ სურვილებს, ისიც დადებითად იმუხტება და შემოქმედებითი ქმედებისათვის უფრო სტიმულირდება.

აღიარებულია ისიც, რომ ახალი ცოდნა თავისუფალ სივრცეში ერთბაშად არ იქმნება. იგი ძველი ცოდნის სისტემატური განახლებითა და გამდიდრებით თანდათან მიიღწევა. სწორედ კლასტერში ჯანსაღი თანამშრომლობით ჩართული მისი თითოეული მონაწილე იძენს ახალ, ღირებულ ცოდნას, იმაღლებს პროფესიულ კვალიფიკაციას და ადიდებს მისივე არცოდნის ზონას, რაც აქტიურად უბიძგებს მომავალში მეტად გააღრმაოს და გააფართოოს თავისი საქმიანობა და პერსპექტივაში ხელი შეუწყოს როგორც მთლიანად კლასტერის, ისე საკუთარი საწარმოს/ორგანიზაციის ინოვაციურ განვითარებას.

გარდა ამისა, კლასტერის მონაწილეთა შორის ფორმირდება და იხვეწება არა მარტო საბაზრო (კონკურენციული) ურთიერთობა, არამედ მასთან ბუნებრივად შერწყმული ნდობით-თანამშრომლობაზე დაფუძნებული საქმიანი კომუნიკაციის თანამედროვე ჯანსაღი ფორმატი, დასახული საერთო მიზნების მისაღწევად, აღიარებული ღირებულებების დასაცავად და განვითარების სტრატეგიული გეგმების შესასრულებლად.

კლასტერში ჩართული ყველა ეკონომიკური აქტორი უცვლელად ინარჩუნებს მის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას და საკუთრების უფლებას, როგორც საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ პოსტულატს (მოთხოვნას).

ამიტომაც არის მართვის ორგანიზაციის კლასტერული მოდელი ერთ-ერთ პროგრესულ თანამედროვე ფორმად მიჩნეული.

თუმცა, ტრადიციულ კლასტერს რიგი ხარვეზებიც აქვს, კერძოდ:

- ❖ ინფრასტრუქტურის გამოყენების გადატვირთულობის გამო, მისი მომსახურების ხარჯები საკმაოდ დიდია;
- ❖ კლასტერში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების რაოდენობა მცირედ მატებადია. შედეგად კონკურენციის დონე, რეალურად, არაზრდადია;
- ❖ კლასტერში ჩართული საწარმოებისა და ორგანიზაციების შრომითი, ფინანსური და ინტელექტუალური რესურსები, ძირითადად, განსაზღვრულია და, შესაბამისად, მათი გადიდების შესაძლებლობაც შეზღუდული. კლასტერის მონაწილეები გარკვეულ ტერიტორიაზე არიან დაფუძნებულ-დისლოცირებული, რითაც ამგვარი რესურსების მომწოდებელთა რაოდენობა, მეტწილად, არ დიდდება. ამით არჩევანის მრავალფეროვნება არსებითად არ მატულობს და, შედეგად, მათი საქმიანი ურთიერთობა, ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით, ნაკლებად ეფექტიანი ხდება.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარების გავლენით, ტრადიციული კლასტერის ფუნდამენტური ნიშნებიდან უმთავრესი - ქვეყნის/რეგიონის კონკრეტულ ლოკაციაზე ეკონომიკური აქტორების (მწარმოებელი და მისი მომსახურე საწარმოებისა და ორგანიზაციების) კონცენტრაცია ანუ მათი ტერიტორიული სიახლოვე, რომელიც უზრუნველყოფდა მთლიანად კლასტერისა და მისი მონაწილეების წარმატებულ საქმიანობას, სავალდებულოდ აღარ მიიჩნევა. თანამედროვე მაღალტექნოლოგიური (Hi-Tech) საქონლის თვითღირებულებაში ინფორმაციატევადობის წილის ზრდის პირობებში, ეკონომიკური აქტორების ურთიერთდაკავშირებულობისა და ურთიერთზემოქმედების ეფექტიანობა ფიზიკურ სიახლოვეზე დამოკიდებული ნაკლებად ან საერთოდ არ ხდება. შედეგად ფორმირდება საწარმოებისა და ორგანიზაციების კონცენტრაციის ახალი ინტეგრაციული ფორმატი - „ციფრული კლასტერი“, სადაც ეკონომიკური აქტორების მონაწილეობა მათი ადგილმდებარეობის ნიშნით აღარ იზღუდება. ამით კლასტერის ფუნქციონირების პოტენციური შესაძლებლობები არსებითად ფართოვდება და გლობალურ ინფორმაციულ სივრცეში ერთიანდება.

„ციფრულ კლასტერში“ იმ ეკონომიკური აქტორების ერთობლიობა მოიაზრება, რომელთა ურთიერთობა ვირტუალურ გარემოში ციფრული ტექნოლოგიებით ხორციელდება. შედეგად, ტრანზაქციური ხარჯები მცირდება და განვითარება უფრო მდგრადი და პერსპექტიული ხდება. თუმცა, წარმოება კვლავ მატერიალური ფორმით რჩება. კლასტერის ინტელექტუალური ბირთვი, თავისი ინფორმაციული ბაზით, „ღრუბლებში“ თავსდება და სასურველ გეოგრაფიულ ადგილ(ებ)ს ვირტუალურად უკავშირდება. ასეთი ციფრული კლასტერებია Amazon, Alibaba და სხვ. [1; გვ. 327-340]

ციფრულ კლასტერში იცვლება კლასტერის წევრთა ურთიერთკომუნიკაციის ფორმები და პირობები, ყალიბდება თანამშრომლობის ციფრული კულტურა, ტრანსფორმირდება ადამიანთა ცნობიერება, კლებულობს მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან და ინვესტორებთან ურთიერთობის, ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების ხარჯები, ვითარდება დისტანციური დასაქმება, ინერგება შირინგული ეკონომიკა, ფრილანსინგი, ელექტრონული კომერცია, ონლაინ განათლება და ა.შ.

აღნიშნულის შედეგად, ციფრული კლასტერის უპირატესობები იკვეთება, კერძოდ:

ინფორმაციის მიღებაში ხელმისაწვდომობა იზრდება. სასარგებლო ინფორმაციული რესურსების მოპოვებისა და გამოყენების შესაძლებლობა უსაზღვროდ ფართოვდება. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ თანამედროვე Hi-Tech პროდუქციის თვითღირებულებაში მატერიალური ხარჯების წილი სულ უფრო მცირდება, ცოდნაშემცველი ინფორმაციის კი, - მატულობს. ამით ციფრულ გარემოში ღირებული ინფორმაციის გამოყენების არეალი და სარგებლიანობა არსებითად იზრდება.

ვირტუალურ ინფორმაციულ გარემოში მწარმოებელთა სივრცითი კონცენტრაცია ყოველ მათგანს ახალი ცოდნის მიღებისა და ინოვაციად გარდაქმნის შესაძლებლობას დაუბრკოლებლად აძლევს. მაგ., ერთ კლასტერში სამრეწველო და მომწოდებელი საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო ცენტრების ინტეგრაციით, თითოეული მათგანი გარკვეულ სარგებელს შეუფერხებლად იღებს: საწარმოები - ახალ მეცნიერულ ცოდნასა და კვალიფიციურ კადრებს, მკვლევრები კი, - კვლევითი შედეგების მონეტიზაციის შესაძლებლობებსა და სტრატეგიული განვითარების ფასეულ ორიენტირებს. გარდა ამისა, ეკონომიკურ აქტორებს აუცილებელ ინფორმაციაზე თანაბარი წვდომის შესაძლებლობა ექმნებათ, რითაც ტერიტორიული სიახლოვის ადრინდელი უპირატესობა არსებითად ქრება.

არაცხადი (ფარული, ლატენტური, არადოკუმენტური) ცოდნის გაცვლა ტერიტორიულად დაშორების პირობებშიც რეალური ხდება. თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიებით, ასეთი ცოდნის ურთიერთგაცვლა ფიზიკური სიახლოვის გარეშე, დისტანციურად, საკმაოდ ეფექტიანად და ოპერატიულად ხორციელდება.

პროდუქციის ინფორმაციული დამუშავების ცენტრი მატერიალური წარმოების დისლოკაციისაგან ცალკევდება. „ინდუსტრია 4.0“-ის პირობებში შესაძლებელი ხდება მმართველობითი ოპერაციებისა და მატერიალური წარმოების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, მით უფრო მაშინ, როცა ეს უკანასკნელი, მეტწილად, ავტომატიზებულად სრულდება. შედეგად, კლასტერის კრეატიული პერსონალი, როგორც ინოვაციური განვითარების მთავარი ინტელექტუალური პილარი (ბირთვი), მაღალინდუსტრიულ ქვეყნებში რჩება, საქონლის მატერიალური წარმოება კი, იაფი შრომითი და ბუნებრივი რესურსების მქონე მსოფლიოს პერიფერიულ ზონებში დისლოცირდება.

ციფრული კლასტერების ფუნქციონირების მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ახალი ტიპის კლასტერიზაცია აქტიურად ვითარდება: ზოგან ბაზრის ზემოქმედებით, ზოგან - სახელმწიფო პოლიტიკით. აღნიშნულის მაგალითი მრავალია. კერძოდ:

ციფრული კლასტერების განვითარების საერთო დონით მსოფლიო ლიდერია აშშ, სადაც 400-მდე კლასტერია ინფორმაციულ ტექნოლოგიებში სპეციალიზებული. მათგან გამორჩეულია კალიფორნიის შტატის „სილიციუმის ველი“, როგორც გლობალური ტექნოლოგიური ცენტრი (11 ქალაქის კომპლექსი), სადაც გიგანტი IT-კომპანიების ხუთეულია თავმოყრილი (FAMGA - Facebook, Amazon, Microsoft, Google, Apple). [2]

ევროკავშირი ყურადღებას ამახვილებს (პროგრამა „ჰორიზონტი 2020“) სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიების განვითარებაზე და დასახულ ღონისძიებებს წარმართავს ინოვაციური ეკოსისტემების, მრეწველობის, ეკოლოგიისა და ენერგეტიკის სფეროებში ციფრული კლასტერების შექმნისა და განვითარებისაკენ. [3]

გაერთიანებულ სამეფოში სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერით 170-ზე მეტი ციფრული კლასტერი ფუნქციონირებს (მაგ., ქ. ედინბურგში, ქ. ოქსფორდში და სხვ.). [4]

გერმანიის ციფრული კლასტერებიდან გამორჩეულია ქ. დორტმუნდის ტექნოლოგიური ცენტრი, მასში ჩართული საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებით. მოცემული კლასტერის,

როგორც მსხვილი საუნივერსიტეტო ბიზნესინკუბატორის, რეზიდენტები მცირე ინოვაციური კომპანიებია. მათი საქმიანობის სფეროებია: პროგრამული უზრუნველყოფა, ნანოტექნოლოგიები, რობოტიზაცია და ავტომატიზაცია. [5]

საფრანგეთის სახელმწიფოებრივი კლასტერული პოლიტიკა ეფუძნება სამრეწველო საწარმოების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას, მცირე და საშუალო ბიზნესის პერსპექტიულ განვითარებას, რითაც ინოვაციური პროდუქცია იქმნება და ექსპორტირდება.

ციფრული კლასტერის წარმატებული მაგალითია ჰონკონგის კიბერპორტი (Hong-Kong Cyberport) - აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქალაქთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი, რომლის სტრატეგიული მიზანია მცირე და საშუალო კომპანიების ინოვაციური განვითარების მხარდაჭერა, კლასტერული ინფრასტრუქტურის შექმნა და პერსპექტივაში ჰონკონგის მსოფლიო ციფრულ ცენტრად გადაქცევა. [6]

ელექტრონული მრეწველობის სფეროში მოწინავეა კორეას რესპუბლიკის ციფრული კლასტერი, როგორც თავისებური ტექნოლოგიური ციფრული მოედანი, სადაც ნაყოფიერად მუშაობენ IT-სფეროს მსხვილი მწარმოებლები (მაგ., LG Electronics, LG Philips Display, Samsung Corning...), მათი მომწოდებლები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და სხვები. მისი უპირატესი მიმართულებებია: ნივთების ინტერნეტი, ხელოვნური ინტელექტი, ციფრული განათლება და გეიმიფიკაცია.

დასკვნა

- ❖ ეკონომიკური საქმიანობის ერთ გეოგრაფიულ ლოკაციაზე მიბმული ადგილიდან, სხვადასხვა ტერიტორიაზე განფენილ, მაგრამ ერთიან გლობალურ ინფორმაციულ სივრცეში ვირტუალური გაერთიანებით, წარმატების პერსპექტივებით, ვითარდება თანამშრომლობის ახალი ტიპის ინტეგრაციული ფორმატი - „ციფრული კლასტერი“;
- ❖ ციფრულ კლასტერში ინფორმაციული, მმართველობითი და ფინანსური ტრანზაქციები ვირტუალურ სივრცეში სრულდება, რის გამოც ეკონომიკური აქტორები გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზე დამოკიდებული, პრაქტიკულად, აღარ ხდება.
- ❖ ციფრული კლასტერული პოლიტიკა ეფუძნება სახელისუფლო ორგანოების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ჯანსაღ ურთერთთანამშრომლობას, რითაც სინერგიული ეფექტი და ინოვაციური განვითარება მიიღწევა;
- ❖ ციფრულ კლასტერს ახასიათებს 21-ე საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანი თვისება - პერმანენტული ინოვაციურობა, რითაც მისი განვითარება რეალური და პერსპექტიული ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Тагаров Б. Ж. (2021). Цифровой кластер как новая форма экономической концентрации. Креативная экономика. Том 15. № 2. С. 327-340. doi: 10.18334/ce.15.2.111726 / Tagarov, B. Zh. (2021). Digital cluster as a new form of economic concentration. Creative Economy, 15(2), 327-340. doi: 10.18334/ce.15.2.111726 (in Russian)
2. The U.S. Cluster Mapping Project. URL: http://www.clustermapping.us
3. European Commission. URL: https://ec.europa.eu/info/index_ en.
4. Industrial clusters in England. The UK Government website. URL: https://www.gov.uk/government/publications/industrial-clusters-in-england.
5. Héctor O. Rocha. (2019). Clusters, economic performance, and social cohesion: a system dynamics approach. September. Regional Studies Forthcoming (3).
6. https://www.skoltech.ru/2013/10/student-skolteha-poluchil-grant-ot-hong-kong-syberport/

The Advantages of Digital Clusters in Contemporary Management

Guram Jolia
Professor at GTU

Anzor Abralava
Professor at GTU

Abstract

Digital technologies influence the formation of digital clusters, thereby causing the manufacturing and services fields (enterprises, organizations) to shift their local-scale traditional approach to a new dimension. The competition-collaboration model of interconnected organizations/structures grouped according to territorial-geographical factors is expanding infinitely, and so are the communication forms and conditions of the members in a cluster. A new paradigm of digital business relations is being formed and people's perceptions are changing dramatically. The costs of communicating and building relations with consumers, suppliers, and investors are diminishing, remote employment is on the rise, sharing economy, freelancing, and e-commerce are developing, making inroads into every society's economic life.

Additionally, apart from the market (competitive) relationships and platforms of interaction, organically integrated trust-oriented collaborative systems/formats are being developed as progressive formations of interested economic actors, aiming to ensure innovative development and reach common objectives.

Of the many advantages of digital clusters, several are especially note-worthy: increased access to information, increased opportunities for exchanging and disseminating knowledge, indirect (latent) and the geographical separation of IT and data centers from the physical production locations.

Key words: digital cluster, information technologies, concentration, competition, management.

ჯანდაცვის სფეროს ციფრული ტრანსფორმაცია და განვითარების ალგორითმი

ჯორბენაძე ზურაბ
საქართველოს ტექნიკური ინივერსიტეტის პროფესორი

ზავრაშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

ევროპაში ასოცირების ვალდებულებათა სისტემაში ჯანმრთელი ცხოვრების და კეთილდღეობის მიღწევა ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი და საყურადღებო ამოცანაა. ამდენად, ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ყველა გზა სრულად ყურადღებას იმსახურებს. სწორედ ამ კონტექსტში ჯანდაცვის სფეროს ციფრული ტრანსფორმაციის პარამეტრების გაანალიზება აქტუალურობის მაღალი დონით გამოირჩევა.

ციფრული ტექნოლოგიების გზით ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესების პროცესი თანამედროვეობის ერთ-ერთი მახასიათებელია. აღნიშნული ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაციის კანონზომიერი შედეგია, ამდენად, რაც უფრო ვითარდება ციფრული ეკონომიკა, მით თვისებრივად გარდაიქმნება მისი ყველა სფერო, მათ შორის ჯანდაცვის სფეროც. ამდენად, ციფრული ჯანდაცვა ციფრული ეკონომიკის რეალიზაციის ერთ-ერთი სახეა ჯანდაცვის სფეროში.

ჯანმრთელობის ციფრული გადაწყვეტის სისტემაში მთავარია პაციენტთა ინტერესები. ციფრული ჯანდაცვა მომხმარებლის ლოიალობის პროვოცირებას ახდენს. სწორედ ამ მიზნით თანამედროვე ბიზნესი უზარმაზარ ინვესტიაციას ახორციელებს ციფრულ ტექნოლოგიებში, ყოველი ახალი IT გადაწყვეტილება ხომ სერიოზულ კაპიტალდაბანდებას ეყრდნობა; იგი მედიცინას სთავაზობს უახლოეს ტექნოლოგიებს, მედიცინა კი პაციენტის ინტერესებიდან გამომდიანრე ირჩევს ტოპ-გადაწყვეტილებებს. აღნიშნული ქმედება მხოლოდ შესაბამისი ალგორითმის მეშვეობით არის შესაძლებელი. ამ დროს ჯანმრთლობის კვლევის ნიშნული ასე თუ ისე ბაზრის მოთხოვნებთან თანხვედრაში უნდა ჩაჯდეს. სხვა რეალობა არ იძლევა სასურველ საბოლოო შედეგს.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ეკონომიკა, ციფრული მედიცინა, ტრანსფორმაცია, პაციენტის მოთხოვნები, ბიზნესის ინტერესი, განვითარების ალგორითმი

ძირითადი ტექსტი

ციფრული ჯანდაცვა ციფრული ეკონომიკის გამოვლენისა და რეალიზაციის ერთ-ერთი სახეა ჯანდაცვის სფეროში. ამასთან ციფრული ჯანდაცვა ჯანდაცის სფეროს ერთ-ერთი ქვედარგია „ამბიციური“ პოზიციით და „მომცველობითი“ ძალით. ამ ფონზე ციფრული ჯანდაცვის მისია არის კრეატიული: ციფრული ჯანდაცვა - ეს არის მედიცინა იქ სადაც საჭიროა, ის არის მედიცინა როცა საჭიროა და ის არის მედიცინა როგორც საჭიროა.

თანამედროვე მედიცინის განვითარების ვექტორები მიმართულია პაციენტის (მომხმარებლის) კმაყოფილების ამაღლებისკენ, მისი სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების და ცხოვრების ხანგრძლიობის გაზრდისკენ. ამ ამოცანის გადაწყვეტა ვერ მოხდება სამედიცინო მომსახურების ეფექტიანობის ამაღლების გარეშე. სამედიცინო მომსახურების ეფექტიანობის ამაღლება კი იმ სამედიცინო დაწესებულებას შეუძლია, რომელიც ციფრული ტრანსფორმაციის გზას დაადგება.

დღეს ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიმართულებით ყველა შესაძლო პირობიდან უალტერნატივო არის ჯანდაცვის სფეროს გაციფრულობა. ეს მოცემულობა ნათლად აღიარა 2022 წლის 12-14 სექტემბერის WHO-ს ევროპის რეგიონული ოფისის 72-ე სხდომამ.

ციფრული ჯანდაცვა 2020–2025 წლებისთვის გათვალისწინებული ევროპული პროგრამის (EPW) „ერთიანი ქმედება უკეთესი ჯანმრთელობისთვის ევროპაში“ სხვა მიმართულებების გვერდით ერთ-ერთი სრულფასოვანი მიმართულებად არის აღიარებული. ამ პროგრამის ფარგლებში განიხილება საქართველოსთვის ჯანდაცვაში ციფრული ინსტრუმენტების შესაძლებლობის გამოყენების საკითხი. ამ

მიზნისთვის, ანუ ჯანდაცვის ციფრულ ტრანსფორმაციის განსახორციელებლად 2023-2024 წლებში ევროკავშირი 4.5 მლრდ. ევროს ინვესტირებას გეგმავდა, და თუ რამდენად განახორციელებს ამ მიზანს, ეს ბევრად არის დამოკიდებული დღეს ევროპაში მიმდინარე მოვლენებზე, კერძოდ კი უკრაინა-რუსეთის ომზე.

ჯანდაცვის სფეროს ციფრული ტრანსფორმაცია თვისებრივად სრულიად ახალ ასპექტებს მოიცავს; ესენია პაციენტის მკურნალობის ალგორითმი, პროტოკოლი, საოპერაციო პროცესების ავტომატიზაცია, ავადმყოფის კლინიკური მაჩვენებლის და სამედიცინო დაწესებულების მუშაობის ყველა მონაცემების ელექტრონული შეგროვების მექანიზმის მოქმედებაში მოყვანა, ტელემედიცინის და ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების დანერგვა, მოხერხებული ონლაინ შეთავაზებების გამოყენება და ა.შ. საბოლოოდ ყოველივე ეს მკვეთრად აუმჯობესებს სამედიცინო ურთიერთობების ე.წ. ტექნიკურ-ტექნოლოგიურ მხარეს. რაც შეეხება სამედიცინო ურთიერთობის უშუალოდ ადამიანურ მხარეს, ამ დროს სამედიცინო პერსონალის მუშაობის სრულიად ახალი თვისობრივი რეალობა ყალიბდება: მაღლდება მათი მუშაობის ეფექტიანობის დონე, უმჯობესდება დაავადების დიაგნოსტიკა და მისი მკურნალობის ხარისხი.

ჯანდაცვის ციფრული ტრანსფორმაცია მთელ რიგ უპირატესობებს აყალიბებს:

1.ექიმის პაციენტთან ურთიერთმოქმედების პროცესი თვისებრივად ახალ სახეს ღებულობს და იგი სრულიად გაუმჯობესებული ხდება;

2.წარმატებით იქმნება უსაფრთხო მონაცემთა ბაზები;

3.მკვეთრად მაღლდება მკურნალობის პროცესის სიზუსტე;

4.მარტივდება მონაცემთა მართვა და მისი ხელმისაწდომობა;

5.სამედიცინო მომსახურების გაწევის ყველა ეტაპზე თვით ამ მომსახურების მწარმოებლურობა ამაღლებას განიცდის.

ამ უპირატესობების ფონზე სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონალური გამოცხადებიდან დისტანციურ ციფრულ მართვაზე ხდება გადასვლა. ამ დროს იქმნება ინტეგრირებული პლატფორმა, სადაც ციფრული სადისპეჩერო სივრცე და ხელოვნური ინტელექტის პროაქტიური, ანუ შესაძლებლობები ერთიანდება. ეს კი საშუალებას იძლევა პაციენტზე არსებული მონაცემების ოპტიმიზაცია მოხდეს.

ანალოგიურად განიხილება ჯანდაცვის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესის სხვა მიმართულებები. ესენია ვირტუალური კონტაქტ-ცენტრის, ინფორმაციული პარტნიორობის სისტემის დამკვიდრების, ნეიროქსელის ანუ რენტგენური და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის (MRT), კომპიუტერული ტომოგრაფიის (CT) დროს პათოლოგიის ზუსტად მოიძიების და გამოცნობის პროცედურა, ან პაციენტის ციფრული ორეულის შექმნის პროცესი.

დღეს ჯანდაცვის ციფრული ტრანსფორმაცია IT სფეროში განხორციელებული ტოპ-გადაწყვეტილების ხარჯზე მიმდინარეობს. თვითოეული გადაწყვეტილება ან მოწყობილობის, ან სერვისის გამოყენება-განხორციელების გზით მიიღწევა. აქ კი საყურადღებოა ფუნქციონალური დატვირთვა, სამედიცინო კვლევის სფეროში მათი ფასეულობა, ბაზარზე კი მათი ღირებულებით მნიშვნელობის ინდექსი. ეს პოზიცია ინტელექტუალური ანალიზის IFORA სისტემის მეშვეობით Microsoft Academik Graph პროფესიონალურ პლატფორმაზე არსებული პუბლიკაციების და 26 000-ზე მეტი პროფესიონალური სმს-ების გაანალიზებით ჩამოყალიბდა.

დღეს გამორჩეული ციფრული გადაწყვეტილების სახედ ბიოსენსორები, ტელემედიცინა და ელექტრონული საბუთებ-ბრუნვა არის აღიარებული. ასევე საყურადღებოა ინტერფეისი „ტვინი-კომპიუტერი“, კალორიების მოხმარების თვალისმიდევნების მიზნით mHealth დანართის გამოყენება.

ჯანდაცვის სფეროს გაციფრულობის საკითხი თანამედროვე ბიზნესისთვის მეტად საინტერესო ნიშნულად ჩამოყალიბდა. ბიზნესის დაინტერესების სფერო გახდა ჯანდაცვის სფეროს ციფრული ტრანსფორმაციის ყველა სახის სამედიცინო მდგენელი. ციფრულ ჯანდაცვაში ბიზნესი ინვესტირების არანახულ სიმაღლეზე ავიდა. კერძოდ, უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე აშშ-ს ციფრულ ჯანდაცვაში ფინანსირების მოცულობა 1200 %-ზე მეტად გაიზარდა. ამ სექტორში მხოლოდ 2021 წლის

პირველ ნახევარში აშშ-ში 14,7 მლრდ. დოლარი იქნა ინვესტირებული, რაც 2020 წ-ის მანძილზე ციფრულ ჯანდაცვაში გაწეულ ინვესტიციაზე მეტი არის.

ციფრული ტრანსფორმაციის შედეგი დამოკიდებულია როგორც რესურსების ხარჯვის სტრუქტურაზე, ისე ხარჯვის ეფექტიანობაზეც. სწორედ ეს მომენტი არის საყურადღებო ისრაელის შემთხვევაში, როცა ქვეყანა მშპ-ს მიმართ ჯანდაცვის ხარჯების სიდიდის გვერდით აქცენტს ამ ხარჯების სტრუქტურაზე აკეთებს. რაც შეეხება საქართველოს, აქ ჯანდაცვაზე სახელმწიფოს დანახარჯები მშპ-ის მიმართ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) რეკომენდირებულ მინიმუმზე (5%) ნაკლებია, და 2021 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 3.6% შეადგინა. მართალია უკანასკნელ პერიოდში სახეზეა ჯანდაცვის კუთხით დანახარჯების მკვეთრი ზრდა, მაგრამ სასურველი შედეგიდან ჯერ კიდევ შორს ვართ. ეს მოცემულობა შესაბამისად აისახება ქვეყანაში ჯანდაცვის სფეროს ციფრული ტრანსფორმაციის პროცესზე - მისი დონე ხომ კრიტიკას ვერ უძლებს. აღნიშნულს ემატება არც თუ ისე უმნიშვნელო რეალობა: ქვეყანაში სახეზეა ციფრული უთანასწორობა - ჩვენთან ინტერნეტით წვდომა საერთო ევროპულ მაჩვენებელზე ყველაზე დაბალი არის.

ჯანდაცვის ციფრული ტრანსფორმაცია ამ სფეროს კონსერვატულობის გამო სპეციფიკურად მიმდინარეობს. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ ნებისმიერი ინოვაციის დანერგვა დიდ დროს ითხოვს. ამიტომ ჩვენის აზრით ყურადღება უნდა გამახვილდეს სამედიცინო პერსონალის ჩართულობაზე და სხვ. ამიტომ ეს თითქოს-და უმნიშვნელო საკითხები კვლავაც რჩება ციფრული ტრანსფორმაციის ერთ-ერთ გადამწყვეტ რგოლად.

დასკვნა

ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის და კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიმართულებით ჯანდაცვის სფეროს ციფრული ტრანსფორმაცია სრულიად ახალი ერის დასაწყისი არის. ამ დროს სამედიცინო ურთიერთობების მთელი სისტემა სრულიად სხვა სახით ყალიბდება; სამედიცინო ურთიერთობის ე.წ. ტექნიკურ-ტექნოლოგიური მხარე IT სფეროს მიღწევების რეალობაში წარიმართება, ხოლო ადამიანური მხარე სრულიად ახალი თვისობრივ რეალობაში გადადის. ამ დროს ორივე მხარის ჯამური ეფექტი ციფრული მედიცინის რეალიზაციის ნიშნულად აღიქმება.

ჯანდაცვის სფეროს ციფრული ტრანსფორმაციის ამოსავალი მიზანი პაციენტის ინტერესებია. პრობლემის მაღალი სოციალური ღირებულების გამო ამ პროცესის რეალიზაციის ყველა როგორც დადებითად ისე უარყოფითად მაპროვოცირებელი გარემოება მუდმივ ყურადღებას იმსახურებს. ეს მინიშნება ძალზე საყურადღებოა საქართველოსთვის, სადაც მედიცინის გაციფრულების პროცესი კრიტიკას ვერ უძლებს.

ლიტერატურა

1. გ. აბაშიძე. ციფრული ეკონომიკა – საქართველოს ციფრული მზადყოფნის შეფასება. https://www.conferenceconomics.tsu.ge/
2. Eufordigital.eu/geo/thematic-area/ehealth/
3. Здравоохранение в условиях развития цифровой экономики: национальные и международные аспекты https://elib.pnzgu.ru.
4. Цифровая медицина. https://zdrav.expert/index.php
5. Цифровая медицина 2022: как технологии меняют здравоохранение в России и мире. https://www.finkont.ru

Digital transformation of healthcare and development algorithm

Jorbenadze Zurab
Professor of Technical University of Georgia

Nino Zavrashvili
Assistant Professor of Technical University of Georgia

Abstract

Achieving a healthy life and well-being in the system of association obligations in Europe is an important and noteworthy task for our country. Thus, all ways to improve human health deserve full attention. In this context, the parameters analysis of the digital transformation of the healthcare sector is highly relevant.

The process of improving human health through digital technologies is one of the characteristics of modernity. This is a regular result of the digital transformation of the mentioned economy, thus, the more the digital economy develops, the more qualitatively all its areas, including the healthcare area, will be transformed. Thus, digital health care is one of the ways of realizing the digital economy in the field of health care.

In a digital health solution system, the interests of patients are paramount. Digital health promotes customer loyalty. It is for this purpose that modern business makes huge investments in digital technologies, every new IT decision is based on serious capital investment; it offers medicine the closest technologies, and medicine chooses top decisions based on the interests of the patient. This action is possible only through the corresponding algorithm. At this time, the standard of health research should be aligned with market demands. Other realities do not provide the desired end result.

ორგანიზაციული ცვლილებების მენეჯმენტი

ჯოხაძე ილონა
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ცვლილებების მენეჯმენტი თავად დეფინიციაში უსვამს ხაზს იმას, რომ არსებული სურათი არ არის არსებული რეალობის რელევანტური და გამომდინარე აქედან გარდაუვალია ცვლილებების შეტანა. ყველა ახალი ეტაპი კი მოითხოვს ძველი, უკვე არსებული მეთოდისგან განსხვავებულ ხედვასა და ანალიზს, რაც მხოლოდ კომპანიის მისაღები ახალი სტანდარტი არ უნდა იყოს. მენეჯმენტში გასატარებელი/დასანერგი ნებისმიერი ცვლილება კომპლექსური მუშაობის შედეგი უნდა იყოს, ვინაიდან მასში მონაწილეობას აუცილებელია იღებდეს ყველა ის პირი, ვინც თავად კომპანიის ყოველდღიურობაშია ჩართული. თუმცა, რა თქმა უნდა ყველა რანგის თანამშრომელს, დაწყებული კომპანიის აღმასრულებელი დირექტორიდან, აქვს თავისი პასუხისმგებლობის და მოქმედების ფარგლები.

კომპანიებისთვის, სადაც თვითგადარჩენის ერთადერთი გზა თანამედროვეობასთან ადაპტირებაა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მმართველობის დროს მოქნილი მექანიზმების გამოყენება. ნებისმიერი ცვლილების/ცვლილებების იმპლემენტირება, ერთის მხრივ კომპანიის მთავარი სტრატეგიაა, ხოლო მეორეს მხრივ მუდმივი მონიტორინგის პროცესია, რათა კომპანია არ ასცდეს მთავარ მიზანსა და პოლიტიკას.

ძირითადი ტექსტი

აღნიშნული მიდგომის მაგალითია პანდემიის პერიოდში საჯარო და კერძო სექტორის სტრატეგიული გადაწყვეტილებები, რამაც მათი საქმიანობა არა თუ გააჩერა, არამედ ახალი მიმართულების ხედვები გააჩინა. საქართველოს რეალობაში ამ მხრივ ერთ-ერთ მოწინავე საჯარო სტრუქტურას წარმოადგენდა იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელმაც ამ მხრივ მოქალაქეთა მიღების ონლიან პლატფორმა ჩამოაყალიბა, რაც ჯავშნის გაკეთებას წინასწარ, კონკრეტული დროის მითითებით ითვალისწინებდა. შესაბამისად ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მომსახურების მიღება შეეძლო კონკრეტულ დროს, კონკრეტული მომსახურების მითითებით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია რიგის გარეშე, რაც პანდემიის დროს ჯანმრთელობის კუთხით ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა იყო. კერძო კომპანიის მაგალითზე, კომპანია ელთიბიმ, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს ავეჯის მაკომპლექტებელ კომპონენტებს, მთლიანი მიწოდების ჯაჭვი დაარეგულირა ონლაინ მიწოდების კუთხით, შესაბამისი პლატფორმების გამოყენებით, რამაც სამომავლოდ კომპანიის სტრატეგია მნიშვნელოვნად შეცვალა და გააჩინა ხედვა, რომ მომხმარებელთათვის ალტერნატიულად ამგვარი სერვისის შეთავაზება სამომავლოდ აღარ უნდა გადადებულიყო და საკითხი მნიშვნელოვნად დაპრიორიტეტდა.

საჯარო და კერძო სექტორს, სტრუქტურულად რამდენადაც შესაძლოა ბევრი განმასხვავებელი ფაქტორი ჰქონდეს, ერთი რაც ყოველთვის საერთო დარჩება ეს არის მენეჯერული მიდგომებისა და სტანდარტების გაზიარება. ამ მიმართულებით, რის გამოყენებასაც ორივე მხარი იყენებს, ეს არის დემინგის ციკლი, სახელწოდებით PDCA, რაც გულისხმობს:

- დაგეგმვას
- შესრულებას
- გადამოწმებას
- განხორციელებას

დაგეგმვის ეტაპი საბაზისოდ მნიშვნელოვანია, რადგან ამ დროს ხდება განსაზღვრა, თუ რა საქმიანობა/ცვლილება უნდა განხორციელდეს, რათა შემდგომმა ეტაპებმა ხარისხიანად იმუშაოს

მთავარ მიზანზე.

დემინგის ციკლის წარმატებით ჩატარებისათვის აუცილებელია თანამშრომელთა მობილიზება, როგორც პროფესიულ, აგრეთვე ფსიქოლოგიურ დონეზე, რათა ისინი არ ამოვარდნენ რომელიმე ეტაპიდან და მზად იყვნენ მოსალოდნელი შედეგებისთვის. როდესაც თანამშრომლები გადიან ცვლილებებს ორგანიზაციაში, ისინი ასევე მკვეთრად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, რაც მათ უადვილებს როგორც მუშაობის პროცესს, აგრეთვე პროცესებში სწორად ჩართულობა და თანამონაწილეობა მათ შრომის ნაყოფიერებას დღითი დღე აუმჯობესებს. (Deming, 1993).

ორგანიზაციულ ცვლილებებამდე მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება კორპორაციული კულტურის როლზე ორგანიზაციაში, რომელიც ნებისმიერი კომპანიის იდენტობის ნაწილია და რომლის გარეშეც წარმატებით მუშაობა განწირულია. კორპორაციული კულტურა ერთგვარი ინდიკატორია იმისა, თუ ქცევის რა სტანდარტებზეა შეთანხმებული ერთის მხრივ კომპანია, როგორც დამსაქმებელი და მეორეს მხრივ ყველა ის თანამშრომელი, ვინც ჩართულია კომპანიის პროცესების ყოველდღიურობაში.

სავალდებულოდ წინასწარ გაწერილი კითხვები, როგორც ცვლილებების წინაპირობა

ცვლილებების მენეჯმენტის ორი მნიშვნელოვანი ასპექტია მზადყოფნა ცვლილებებისადმი და შესაძლებლობები, რა დროსაც აუცილებელია დაისვას შემდეგი კითხვები:

- რატომ და რისთვის არის საჭირო ცვლილება;
- რატომ სჭირდება კომპანიას კონკრეტული ცვლილება;
- რამდენად მზად არის კომპანია აღნიშნული ცვლილების განხორციელებისთვის;
- ცვლილებების გასატარებლად რა გზები უნდა იქნას გამოყენებული;
- რამდენად მზად არიან თანამშრომლები ცვლილებებთან ადაპტირებისთვის.

ყოველი ცვლილების ეტაპი უნდა შეთანხმდეს მმართველ რგოლთან, რაზე დაფუძნებითაც მენეჯერებისა და ცვლილების ინიციატორების მხრიდან უნდა განისაზღვროს, თუ რა ეტაპზე და რა პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მათი ჩართვა პროცესებში. ასევე მნიშვნელოვანია ცვლილებებში საწყის ეტაპზე შეთანხმება მოხდეს იმ მიმართულებასთან, განყოფილებასთან, ვისაც კონკრეტული ცვლილება პირდაპირ, თუ ირიბად ეხება.

კუბლერ როსსის **„Grief Model“** აყალიბებს თანამშრომელთა მხრიდან ცვლილებებისადმი განწყობის 5 ძირითად და საგულისხმო ასპექტს:

- **უარყოფა,** როდესაც თანამშრომლებს აქვთ შიში და მღელვარება სიახლეების მიმართ, სიახლეებს უყურებენ სკეპტიკურად და ვერ წარმოუდგენიათ მათი პოზიტიური ასპექტები;
- **ბრაზი,** ამ დროს თანამშრომლები სხვადასხვა მეთოდით ცდილობენ თავიანთი ემოციური მდგომარეობის დემონსტრირებას, განზრახ გამოდიან ანტაგონისტური რწმუნებულებებით, სვამენ არარელევანტურ კითხვებს;
- **ძიება,** აღნიშნულ დროს თანამშრომლების აღქმა მომართულია საქმესთან ბმაში მყოფ საკითხებზე, ხედავენ თავიანთ როლს, შემოდის მეტი სიცხადე, რაც პროცესებს მეტად ოპტიმისტურ ჭრილში წარმოაჩენს;
- **დეპრესია,** აღნიშნულ დროს ერთის მხრივ სიახლის გამზიარებელი თანამშრომლები, მას შემდეგ რაც რეალობის წინაშე დგებიან თითქოს არაფერს არ ცვლიან და იგივე მიდგომებით აგრძელებენ მუშაობას, ეს მდგომარეობა ჰგავს უმოძრაობას
- **მიმღებლობა**, როდესაც თანამშრომლები ერთსულოვნები ხდებიან და თუ ადრე გააჩნდათ პესიმისტური ხედვები, ახლა ორიენტირებულნი არიან შედეგის მიღწევაზე (Gregory, 2022).

დასკვნა

თანამშრომლებისათვის ყველა ახალი გამოწვევა მათი პროფესიული და პიროვნული ზრდის საშუალებაა და თუ კომპანია აგვიანებს მათთვის ახალი, რთული ამოცანების მიცემას, გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს მათში იწვევს დემოტივაციას და სხვა გარემოში, უფრო დიდი გამოწვევების საძიებლად წასვლის სურვილს ზრდის. მეორეს მხრივ, კომპანია ვეღარ იყენებს შესაძლებლობას და

ახალ თანამშრომლებთან ხარჯავს იმაზე მეტ დროს, ვიდრე ეს ცვლილებებს სჭირდება. სწორედ ამიტომ თანამშრომლების პულსზე მუდმივი თვალის დევნება არის მენეჯერების დაუწერელი კანონი, რაც მათთვის ორგანული უნდა იყოს. სწორედ მენეჯერთა ჩართულობით მიიღწევა შედეგი იმ ყველა ეტაპის გავლით, რაც ცვლილებების მენეჯმენტში მნიშვნელოვანია. იმისთვის რომ ,,ა'' პუნქტიდან ,,ბ'' პუნქტამდე მისვლა სწორედ დაგეგმილი მეთოდოლოგიის საფუძველზე შევძლოთ, საჭიროა:

1. ცვლილების მიზეზის განსაზღვრა;
2. მიზნის მიღწევისთვის კონკრეტული ამოცანების დასახვა;
3. KPI-ინდიკატორთა შექმნა;
4. ცვლილებების მართვის თანამედროვე მოდელთა გააზრება;
5. ცვლილებების გეგმის და განხორციელების სტრატეგიის შემუშავება;
6. ცვლილებების ლიდერების დანიშვნა;
7. ცვლილებების იმპლემენტირება;
8. უკუკავშირის შეგროვება;
9. პროგრესისა და შედეგების ანალიზი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Greg G. Wang and Judy Y. Sun (2012). Change management.
2. Weick, K. E., & Quinn, R. E. (1999). Organizational change and development. Annual Review of Psychology.
3. King, Nigel and Anderson, Neil (1995). Innovation, and Change in Organizations, Routledge, London.
4. Golembiewski, T. Robert (1993). Approaches to Planned Change (Orienting Perspectives and Micro Level Interventions), Transaction Publishers, New Brunswick.
5. George, J. M., & Jones, G. R. (2007). Understanding and Managing Organizational Behavior (5th). New York: Pearson Education.
6. Jones, G. R. (2004). Organization Theory, Design, and Change. New York: Addison-Wesley Publishing Company.
7. Rhodes, C., &Scheer's, (2004). H. Developing people in organizations: Working (on) identity. Studies in Continuing Education.
8. Deming, W.E. (1993). The New Economics. MIT Press. Cambridge, MA.
9. Christina Gregory, Ph.D. (2022). An Examination of the Kubler-Ross model.
10. Whatfix (2020). What is change Management.
11. https://website.whatfix.com/change-management

Organizational Change Management

Jokhadze Ilona
PH. D Students at Georgian American University

Abstract

In the modern world, what was relevant 2 years ago may not even be considered in today's reality. Any new challenge requires changes both internally and externally. It is equally important for the state and the private sector to have a strong management system, and at the same time to constantly take care of its strengthening.

For companies where the only way to survive is to adapt to modern issues, it is vital to use flexible mechanisms in governance. Implementation of any change/changes is the main strategy of the companies. It is a continuous monitoring process in order not to miss the company's political and main goals.

Change management is a systematic and structured process of developing and implementing strategies and interventions for organizations transitioning from a current state to the desired state. The primary goal of change

management is to enhance organizational performance ability and capability through proactive or reactive actions to cope with either internally induced or externally imposed changes. Change management has always been an integral part of organizational management. Several change management models or processes are available. Most models have certain phases: Preparing for the change, including analyzing, planning, strategy developing, managing change implementation, consolidating, and institutionalizing the change, including change review, feedback analysis, corrective action, and stabilizing the implemented change (Greg G. Wang and Judy Y.Sun, 2012).

Change management, in its definition, emphasizes that the existing image is not relevant to the existing reality, and therefore changes are inevitable. Every new stage requires a vision and analysis different from the old, already existing method, which should not only be a new standard acceptable to the company.

Any change to be carried out/introduced in the management should be the result of complex work, since it is necessary to participate in it by all those who are involved in the daily life of the company itself. However, of course, every rank of employee, starting from the CEO of the company, has his scope of responsibility and action.

ციფრული ტრანსფორმაცია და მისი გამოწვევები

ჰასრათოვი თეა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

ციფრული ტრანსფორმაცია არის ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების პროცესი ახალი - ან არსებული - ბიზნეს პროცესების, კულტურისა და მომხმარებლის გამოცდილების შესაქმნელად, ბიზნესისა და ბაზრის ცვალებად მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ციფრულ ეპოქაში ბიზნესის ეს ხელახალი წარმოდგენა არის ციფრული ტრანსფორმაცია. ის სცილდება ტრადიციულ როლებს, როგორიცაა გაყიდვები, მარკეტინგი და მომხმარებელთა მომსახურება. სამაგიეროდ, ციფრული ტრანსფორმაცია იწყება და მთავრდება იმით, თუ როგორ ფიქრობთ და ურთიერთობთ მომხმარებლებზე. როდესაც ქაღალდიდან გადავდივართ ჭკვიან აპლიკაციებზე ჩვენი ბიზნესის სამართავად, ჩვენ გვაქვს შანსი, თავიდან წარმოვიდგინოთ, როგორ ვაკეთებთ ბიზნესს - როგორ ჩავრთავთ ჩვენს მომხმარებლებს - ციფრული ტექნოლოგიებით ჩვენს მხარეს. მცირე ბიზნესისთვის, რომელიც ახლახან დაიწყო, არ არის საჭირო თქვენი ბიზნეს პროცესების დაყენება და მათი მოგვიანებით გარდაქმნა. 21-ე საუკუნის ბიზნესის აგება წებოვან და ხელნაწერ წიგნებზე უბრალოდ არ არის მდგრადი. ციფრულად ფიქრი, დაგეგმვა და აშენება საშუალებას გაძლევთ იყოთ მოქნილი, მოქნილი და მზად განვითარებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ეკონომიკა, ციფრული ტრანსფორმაცია, ციფრული გამოთვლა, ციფრული არხები.

ძირითადი ტექსტი

რეალური ტრანსფორმაცია ხდება მაშინ, როდესაც უყურებთ ყველა ხელმისაწვდომ ტექნოლოგიას და ფიქრობთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება თქვენი ბიზნესის მათთან ადაპტაციამ გაუმჯობესოს მომხმარებლის გამოცდილება. სოციალური მედია არ იყო გამოგონილი ქოლ-ცენტრების ჩასანაცვლებლად, ისინი გახდა დამატებითი არხი (და შესაძლებლობა) მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებისთვის. თქვენი სერვისის შეთავაზების სოციალურ მედიაზე მორგება ციფრული ტრანსფორმაციის კიდევ ერთი კარგი მაგალითია.ციფრული ტრანსფორმაცია კრიტიკულად მნიშვნელოვანი პროცესია იმ ბიზნესებისთვის, რომლებსაც სურთ დარჩნენ კონკურენტუ-ნარიანები დღევანდელ სწრაფად ცვალებად სამყაროში. თუმცა, ორგანიზაციების ციფრულ ტრანსფორმაცია არ არის მარტივი პროცესი და ის გარკვეულ გამოწვევებთან არის დაკავშირებული. შევეცდები გაგიზიაროთ, რამოდენიმე ყველაზე გავრცელებული გამოწვევა, რომელსაც კომპანიები ხშირად აწყდებიან ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში:

1) ცვლილებებისადმი წინააღმდეგობა და ადაპტაცია: თანამშრომლების გარკვეული ნაწილი შეიძლება უარყოფითად იყოს განწყობილი ცვლილებების მიმართ, ან მათ არ ჰქონდეთ საჭირო უნარები ახალი ციფრული ხელსაწყოების ეფექტურად გამოსაყენებლად, რაც რა თქმა უნდა შეანელებს ციფრული ტრანსფორმაციის პროცესს.

2) მომხმარებელთა მოლოდინები და საჭიროებები: მომხმარებელთა მოლოდინების და საჭირო-ებების მუდმივი ცვლილება არის კრიტიკული გამოწვევა, რომელსაც ბიზნესი აწყდება ციფრული ტრანსფორმაციის დროს. დღევანდელი მომხმარებლები მუდმივად ელის პერსონალიზირებულ, შეუფერხებელ და მოსახერხებელ გამოცდილებას ყველა მიწოდების არხსა და შეხების წერტილში. ეს ნიშნავს, რომ ბიზნესებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ ციფრული ტრანსფორმაციის ინიციატივებს, რომლებიც შეესაბამება მომხმარებელთა საჭიროებებსა და მოლოდინებს.

3) მკაფიო სტრატეგიის არარსებობა: ციფრული ტრანსფორმაციის მკაფიო სტრატეგიისა და ხედვის გარეშე, ბიზნესს გაუჭირდება ინიციატივების პრიორიტეტიზაცია, რესურსების განაწილება და წარმატების გაზომვა.ინტეგრაცია: ახალი ციფრული ინსტრუმენტებისა და პლატფორმების დანერგვა

შეიძლება გართულდეს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა მათი ინტეგრირება არსებულ ძველ სისტემებთან.

4) გამოცდილების დეფიციტი: გამოცდილი პროფესიონალების პოვნა ციფრული ტრანსფორმაციის სწორად განსახორციელებლად საკმაოდ გავრცელებული გამოწვევა კომპანიებისთვის. თუმცა, მათი მნიშვნელობა განუსაზღვრელია, ამიტომ კომპანიამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ციფრული ტრანსფორმაციის პროცესს გამოცდილი გუნდი წარმართავდეს.

5)შეზღუდული ბიუჯეტი: ახალ ტექნოლოგიებში ინვესტიცია და თანამშრომლების მომზადება მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვს ბიზნესისგან.ბიუჯეტის სიმწირემ კი საბოლოო ჯამში შეიძლება საფრთხე შეუქმნას ციფრული ტრანსფორმაციის სრულყოფილად განხორციელებას.

6)გამოყენების სირთულე: ზოგიერთი ციფრული ინსტრუმენტი და პლატფორმა საკმაოდ კომპლექსურია და რთული გამოსაყენებლად, შესაბამისად, საჭიროებს მნიშვნელოვან ტრენინგს და მხარდაჭერას, რათა თანამშრომლების შეძლონ მისი ეფექტურად გამოყენება.

7)რეგულირების შესაბამისობა: ზოგიერთი ინდუსტრია ექვემდებარება მკაცრ მარეგულირებელ მოთხოვნებს, რაც შეიძლება წინაღობა აღმოჩნდეს ციფრული ტრანსფორმაციის პროცესისთვის. ბიზნესებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი ციფრული ხელსაწყოები და პლატფორმები შეესაბამებოდეს შესაბამის რეგულაციას.

8)მონაცემთა კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება: ციფრული ხელსაწყოებისა და პლატფორმების მზარდ გამოყენებასთან ერთად, მონაცემთა კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება არის მთავარი ერთ-ერთი საზრუნავი, რაზეც ბიზნესებმა უნდა მიმართონ ძალისხმევა.

9)კომუნიკაცია : ციფრული ტრანსფორმაციის ინიციატივები მოითხოვს კომპანიის სხვადასხვა სამსახურებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას და კომუნიკაციას. ეფექტური საკომუნიკაციო არხებისა და პროტოკოლის გარეშე, ბიზნესს გაუჭირდება გუნდების სწორად მობილიზება და ინფორმაციის ეფექტურად გაზიარება.

10) ორგანიზაციული კულტურა: ორგანიზაციულ კულტურას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ციფრული ტრანსფორმაციის წარმატებაში. ბიზნესებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი კულტურა მხარს უჭერდეს ახალი ციფრული ხელსაწყოებისა და პლატფორმების დანერგვას და თანამშრომლები მოტივირებულები იყვნენ ცვლილებების მისაღებად.

დასკვნა

ციფრული ტრანსფორმაცია იღებს მომხმარებელზე ორიენტირებულ, ციფრულ პირველ მიდგომას ბიზნესის ყველა ასპექტის მიმართ, მისი ბიზნეს მოდელებიდან მომხმარებელთა გამოცდილებამდე პროცესებსა და ოპერაციებამდე. ის იყენებს AI-ს, ავტომატიზაციას, ჰიბრიდულ ღრუბელს და სხვა ციფრულ ტექნოლოგიებს, რათა გამოიყენოს მონაცემები და წარმართოს ინტელექტუალური სამუშაო ნაკადები, უფრო სწრაფი და გონივრული გადაწყვეტილებების მიღება და რეალურ დროში რეაგირება ბაზრის შეფერხებებზე. და საბოლოო ჯამში, ის ცვლის მომხმარებლის მოლოდინებს და ქმნის ახალ ბიზნეს შესაძლებლობებს.ამ გამოწვევების დეტალურად გააზრებით, ბიზნესს შეუძლია უკეთ მოემზადოს ციფრული ტრანსფორმაციის პროცესისთვის და გადადგას პრაქტიკული ნაბიჯები მათ მოსაგვარებლად. მაგალითად, როგორიცაა მკაფიო სტრატეგიის შემუშავება, მომხმარებელთა საჭიროებების პრიორიტეტიზაცია, ინვესტიციების შესაბამისობა, საკომუნიკაციო გაიდლაინების და ორგანიზაციული კულტურის შექმნა, რომელიც მხარს უჭერს ციფრულ ტრანსფორმაცია. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს იმპლემენტაციის პროცესის გამარტივებას და ბიზნესის უკეთ პოზიციონირებას ციფრულ ეპოქაში.

გამოყენებული ლიტერტურა:

1. The Digital Transformation-David L. Rogers; 2021
2. Leading Digital: Turning Technology into Business Transformation (Hardcover)- George Westerman, 2022.

3. The Second Machine Age: Work, Progress, and Prosperity in a Time of Brilliant Technologies-Erik Brynjolfsson,2021.
4. The Technology Fallacy: How People Are the Real Key to Digital Transformation (Hardcover)-Gerald C. Kane,2022.
5. Digital Transformation: Survive and Thrive in an Era of Mass Extinction -Thomas M. Siebel, 2022

Digital transformation and its challenges

Tea Hasratovi, Doctor of Finance
GTU Assistant Professor

Abstract

Digital transformation is the process of using digital technologies to create new — or modify existing — business processes, culture, and customer experiences to meet changing business and market requirements. This reimagining of business in the digital age is digital transformation.

It transcends traditional roles like sales, marketing, and customer service. Instead, digital transformation begins and ends with how you think about, and engage with, customers. As we move from paper to spreadsheets to smart applications for managing our business, we have the chance to reimagine how we do business — how we engage our customers — with digital technology on our side.

For small businesses just getting started, there's no need to set up your business processes and transform them later. You can future-proof your organization from the word go. Building a 21st-century business on stickies and handwritten ledgers just isn't sustainable. Thinking, planning, and building digitally sets you up to be agile, flexible, and ready to grow.

Digital transformation takes a customer-driven, digital-first approach to all aspects of a business, from its business models to customer experiences to processes and operations. It uses AI, automation, hybrid cloud and other digital technologies to leverage data and drive intelligent workflows, faster and smarter decision-making, and real-time response to market disruptions. And ultimately, it changes customer expectations and creates new business opportunities.

იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოდგენილი სახით

გადაეცა წარმოებას 26.06.2023. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.06.2023. ქაღალდის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 29,5.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

Verba volant,
scripta manent

Published as represented by the authors

Given for production 26.06.2023. Signed for printing 29.06.2023. Size of paper 60X84 1/16. Approximately 29,5 pr.sh.

Publishing House “Technical University”, Tbilisi, Kostava 77

Verba volant,
scripta manent